

International Economics Theory and Policy

Fourth Edition

Paul R. Krugman
Massachusetts Institute of Technology

Maurice Obstfeld

University of California, Berkeley

All rights reserved. First Georgian Edition. the book has been published and printed in Georgia, with co-financing of the "Open Society-Georgia Foundation".

Publishing House "TSISARTKELA" Ltd
Kazbegi Ave. 25 a, Tbilisi 380077, Georgia
T.: 39-39-42

მთარგმნელთა ჯგუფი:

ზზია თუღიანი
ნანა ქუთათელაძე
ღიანა შაყულაშვილი

რედაქტორი:

როზა ფეიქრიშვილი

დამხმარებელი:

ბესო დარასელია

გამომცემლები:

მერაბ ჯაციტაძე
ღიმიტრი ქემოჯლიძე

წიგნის თარგმნისა და გამოცემის უფლება
გამომცემლობა „ცისარტყელამ“ მოიპოვა
ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“-ს
მიერ გამოცხადებულ ტენდერში. პოლ
კრუგმანისა და მაურის ოფსვილდის ეს წიგნი
ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული
სახელმძღვანელოა მთელს მსოფლიოში. იგი
განუთვნილია ეკონომისტთა ფართო
წრეებისა და სტუდენტებისათვის. ეს არის ამ
ტიპის სახელმძღვანელოს თარგმნის პირველი
მცდელობა დედნიდან.

თავი 1

შესავალი


საერთაშორისო ვაჭრობასა და ფულთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ყოველთვის წარმოადგენდა ეკონომიკის ყველაზე დინამიურ და ამასთან საკამათო ნაწილს. თანამედროვე ეკონომიკის ანალიზის ბევრი ძირითადი საკითხი მე-18 და მე-19 საუკუნეებში წარმოიშვა და მას შემდეგ მიმდინარეობს კამათი საერთაშორისო ვაჭრობისა და მონეტარული პოლიტიკის თაობაზე. არასოდეს ყოფილა საერთაშორისო ეკონომიკის შესწავლა ისე მნიშვნელოვანი, როგორც დღეს. საქონლისა და მომსახურების, ვაჭრობისა და ფულის საერთაშორისო მიმოქცევის საშუალებით სხვადასხვა ქვეყნებმა დაამყარეს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკა ახლა უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ოდესმე. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების გაცნობიერება და ანალიზი წარმოადგენს როგორც ბიზნესის სტრატეგიის, ასევე ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუსავების ცენტრალურ საკითხს.

ვაჭრობის მთავარი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს საერთაშორისო ეკონომიკის მზარდ მნიშვნელობას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. 1-1 გრაფიკი გვიჩვენებს აშშ-ს ექსპორტისა და იმპორტის წილს ერთობლივ შიდა პროდუქტში (ეშპ) 1965 წლიდან 1995 წლამდე, რის საფუძველზეც ორი საკითხი იკვეთება: პირველი, აშშ-ს ექსპორტის სახით გააქვს თავისი ნაწარმის უმეტესობა და იმპორტის სახით კი შემოაქვს იმაზე მეტი, რასაც ადრე მოიხმარდა; 1965 წლიდან 1980 წლამდე ექსპორტისა და იმპორტის წილი ეშპ-ში გააორმაგდა. მეორე, აშშ-ს ვაჭრობა საკმაოდ ცვლადი გამოდგა 1980 წლიდან. 1980 წლიდან 1987 წლამდე ექსპორტი, ეშპ-თან შედარებით, უცებ დაეცა; ეს ცვლილება იმპორტს არ განუცდია.

1987 წლიდან 1991 წლამდე კი პირიქით მოხდა – აღინიშნებოდა ექსპორტის ბუმი და იმპორტის დაცემა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა აშშ-ს ეკონომიკისათვის. 1980 წლიდან აღნიშნული განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის ყველაზე მწვავე საკითხი იყო აშშ-ს ეკონომიკაში.

თუ საერთაშორისო ეკონომიკა გადამწყვეტ როლს თამაშობდა აშშ ცხოვრებაში, მით უფრო უდიდესი როლი უნდა პლანობდა მას სხვა ქვეყნების ეკონომიკისათვის. 1-2 გრაფიკი გვიჩვენებს რამდენიმე ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის წილს ეშპ-ში 1994 წელს. აშშ თავისი სიდიდისა და რესურსების მრავალფეროვნების გამო ნაკლებადაა დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე, ვიდრე სხვა ქვეყნები, ე.ი. ამ უკანასკნელთათვის საერთაშორისო ეკონომიკა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-სათვის.

გრაფიკი 1-1 ექსპორტი და იმპორტი, როგორც აშშ-ს ეროვნული შემოსავლის პროცენტი




1960 წლიდან 1980 წლამდე ექსპორტიცა და იმპორტიც, როგორც აშშ-ს შემოსავლის წილი, სტაბილურად გაიზარდა. 1980 წლიდან ექსპორტი მკვეთრად მერყეობდა.

წინამდებარე წიგნი წარმოგიდგენს საერთაშორისო ეკონომიკის ძირითად კონცეფციებს და მეთოდებს, და მათ საილუსტრაციოდ იყენებს მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში რეალურად მომხდარ ფაქტებს. მე-19

საუკუნეში დაეიდ რიკარდოს თეორია და უფრო ადრე დაეიდ ჰუმბისეული საერთაშორისო მონეტარული ანალიზის საკმაოდ მიუხადავებლად თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებას. ამ ბოლო წლებში საერთაშორისო ეკონომიკის სფეროში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა შეიძინა თავისი ახალი შეხედულებების წყალობით სავაჭრო პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიის, სტრატეგიული ვაჭრობის პოლიტიკის, ვალუტის კურსის განსაზღვრისა თუ მაკროეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაციის საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ვეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა კვლევისა თუ ანალიზის ახალ მიდგომებზე და არ დაგვიწყებოდა ძველი იდეების საჭიროებაც.

გრაფიკი 1-2 საერთაშორისო ვაჭრობა უფრო მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებისათვის, ვიდრე აშშ-სათვის.



რას მხვდა საერთაშორისო ეკონომიკა?

საერთაშორისო ეკონომიკა იყენებს ანალიზის იმავე ფუნდამენტურ მეთოდებს, რასაც ეკონომიკის სხვა დარგები, რადგან ინდივიდებისა და ფირმების მიზნები და მოქმედება ისეთივეა საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც ადგილობრივ საქმიანობაში. ესპანური ღვინის გამოჩენა სუფრაზე ლონდონში ისეთივე მოვლენების განხილვას წყალობით ხდება, რაც განაპირობებს კალიფორნიული ღვინის გამოჩენას ნიუ-იორკში. საერთაშორისო ეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა ინტერესებს – დაკავშირებულს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტირებასთან. ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი სუვერენული სახელმწიფოები არიან; კალიფორნია და ნიუ-იორკი არა. ესპანური ღვინის გადაზიდვა დიდ ბრიტანეთში შეიძლება შემცირდეს, თუკი ამ უკანასკნელის მთავრობა განსაზღვრავს ქვოტებს იმპორტზე; იგივე ღვინო შეიძლება უცებ გაიფუდეს ბრიტანეთის ბაზარზე, თუკი ესპანური პესოს გაცვლითი კურსი დაეცემა ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგთან შედარებით. ასეთი რამ არ მოხდება აშშ-ს ფარგლებში, სადაც კონსტიტუცია კრძალავს შუღლედებს ქვეყნის შიგნით ვაჭრობაზე და მიმოქცევაშია მხოლოდ ერთი ვალუტა.

საერთაშორისო ეკონომიკა ძირითადად იკვლევს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დროს წარმოშობილ პრობლემებს, რაც მოიცავს შეიქმნას ვაჭრობიდან მიღებული მოგება, ვაჭრობის სტრუქტურები, პროტექციონიზმი, საგადაამხდელი ბალანსი, გაცვლითი კურსი, საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაცია და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი.

მეჭრობიდან მიღებული მოგება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის სოციურთი სახეობა მომგებიანია – არაეინ იტყვის, რომ ნორვეგიამ უნდა მოიწიოს საკუთარი ფორთოხადი. მაგრამ ბევრი სეკტიკურად უყურებს იმ საქონლის იმპორტიდან მიღებულ მოგებას, რომლის წარმოებაც თვითონ ქვეყანას შეუძლია. საერთაშორისო ეკონომიკის ყველა სფეროში ვაჭრობა მნიშვნელოვანი ურთიერთობის სასარგებლო ფორმაა, რადგან ერთმანეთისათვის საქონლისა და მომსახურების მიყვანა ყოველთვის მომგებიანია ორივე მოვაჭრე ქვეყნისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის მომგებიანობის დამადასტურებელი გარემოებების სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე ეს ჰქონიათ. მაგალითად, აშშ-ს ბევრი საქმიანი ადამიანი მიშობს, რომ თუ იაპონიის შრომის მწარმოებლებმა გადააჭარბეს აშშ-ს შრომის მწარმოებლებს, ვაჭრობა იაპონიასთან დაახარავს აშშ-ს ეკონომიკას, რადგან ამ უკანასკნელის მრეწველობის ვერც ერთი დარგი ვერ შეინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას. სოციურთი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ აშშ-ს ეკონომიკა დაახარავს იმ ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობის გამო, რომელთა მრეწველობის ნაყოფიერება ნაკლებ ეფექტურია, მაგრამ რომლებსაც ხანდახან შეუძლიათ თავიანთი საქონელი უფრო დაბალ ფასად გაყიდონ, იმის გამო, რომ ხელფასების დონე ამ ქვეყნებში დაბალია. ვაჭრობის პირველი მოდელი, რომელიც მოცემულია ამ წიგნში (თავი 2), გვიჩვენებს, რომ ორ ქვეყანას შეუძლია ურთიერთთან ივაჭროს ორივე მხარისათვის

მომგებიანად მაშინაც კი, როდესაც ერთ-ერთი მათგანის მრეწველობა უფრო ეფექტურია, ვიდრე მეორისა და ეს მეორე ქვეყანა კონკურენციას უწევს პირველს მხოლოდ დაბალი ხელფასების ხარჯს. ვაჭრობა უსრულველყოფს მოგებას ორივე შემთხვევაში: თუ ქვეყნებს იმ საქონლის ექსპორტის საშუალება მიეცემა, რომლის წარმოებაც მხოლოდ ადგილობრივ რესურსებს მოითხოვს, და იმ საქონლის იმპორტირებითაც, რომლის წარმოებას სჭირდება ისეთი რესურსები, რაც ადგილობრივ იშვიათობას წარმოადგენს (თავი 4). საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს საქონლის წარმოების ვიწრო სპეციალიზაციის საშუალებას აძლევს, რათა მათ მეტი ეფექტური შედეგი მიიღონ დიდმასშტაბიანი წარმოებიდან (თავი 6). არ ამხოლოდ მატერიალური საქონლით ვაჭრობის შედეგად მიიღება სარგებელი: აგრეთვე საერთაშორისო მიგრაცია და საერთაშორისო სესხები ხელს უწყობს ურთიერთმოგებიან ვაჭრობას. პირველი ნიშნავს სამუშაო ძალით ვაჭრობას საქონლისა და მომსახურების ნაცვლად, და მეორე – არსებულ საქონელს ვაჭრობას მომავალი საქონლის სანაცვლოდ (თავი 7).

ბოლოს შევეხებით რისიან აქტივებს, როგორცაა აქციები და ობლიგაციები. საერთაშორისო გაცვლა მომგებიანი იქნება, თუ თითოეული ქვეყანა მოახდენს თავისი ქონების დივერსიფიცირებას და შეამცირებს საკუთარი შემოსავლის ცვალებადობას (თავი 21). ვაჭრობის ეს უხილავი ფორმები იწვევს მოგებას, რომელიც ისევე რეალურია, როგორც თვით ვაჭრობა, რომლის მეშვეობითაც ლათინური ამერიკის ხილი თებერვალში ტორინტოში იყიდება.

იმ დროს, როდესაც ქვეყნის მოგებას განაპირობებს საერთაშორისო ვაჭრობა, მანვე შესაძლებელია დაასარალოს გარკვეული ჯგუფები ქვეყნის შიგნით. სხვა სიტყვებით – საერთაშორისო ვაჭრობა ძლიერ გაველენას ახდენს შემოსავლის განაწილებაზე. ეს პრობლემა ყოველთვის იყო განხილვის საგანი საერთაშორისო ვაჭრობის თეორეტიკოსებს შორის. მათ გამოიყენეს შემდეგი ძირითადი მოსაზრებები:

საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია საწინააღმდეგოდ იმოქმედოს მფლობელობაზე იმ რესურსების, რაც 'დამახასიათებელია' ისეთი წარმოებებისათვის, რომლებიც კონკურენციას უწევენ იმპორტს, ე.ი. ვერ პოულობენ ალტერნატიულ გამოყენებას სხვა მრეწველობაში (თავი 8).

ვაჭრობას შეუძლია, აგრეთვე, შეცვალოს შემოსავლის განაწილება მუშებსა და კაპიტალის მფლობელებს შორის (თავი 4).

ამ ბოლო მოსაზრებამ სასწავლო დაწესებულებებიდან რეალურ სამყაროში გადაინაცვლა და ყველასათვის ნათელი გახადა, რომ ნაკლებკვალიფიციური მუშების რეალური ხელფასი აშშ-ში იკლებს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ქვეყანა უფრო და უფრო მეტად მდიდრდება. ბევრი თელის, რომ ეს გამოწვეულია მხარდი საერთაშორისო ვაჭრობით, განსაკუთრებით კი დაბალხელფასიანი ქვეყნებიდან სამრეწველო საქონლის ექსპორტის სწრაფი ზრდით. ეს საკითხი მსოფლიოს ეკონომისტების დიდ ინტერესს იწვევს და ჩვენც მათ მე-4 და მე-5 თავებში განვიხილავთ.

ვაჭრობის სტრუქტურა

ეკონომისტები არ განიხილავენ საერთაშორისო ვაჭრობის გავლენას სამთავრობო პოლიტიკაზე და არც ამავდროის პოლიტიკაში ვაჭრობის მიმართ რეკომენდებულ ცვლილებებს. მათი მიზანია, ახსნან საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა, ანუ მარტივად – ვინ ვის რას მაცოდის.

ვაჭრობის სტრუქტურის სოგიერთი ასპექტი ადვილი გასაგებია. პაეა და რესურსები ნათლად მიგვიჩვენებენ, რატომ მისდევს ბრაზილია ყავის ექსპორტს, ხოლო საუდის არაბეთი – ნავთობისას. ვაჭრობის სახეობების უმეტესობა წამოყალიბებულია. რატომ აწარმოებს იაპონია ავტომობილების ექსპორტს მაშინ, როცა აშშ-ს თვითმფრინავები გააქვს სასდვარგარეთ. მე-19 ს. დასაწყისში ინგლისელმა ეკონომისტმა დაეიდ რიკარდომ შემოგეთავაზა ვაჭრობის განმარტება, როგორც შრომის ნაყოფიერებაში საერთაშორისო განსხვავების პირობით ახსნა. ეს ახრი დღესაც რჩება ვაჭრობის არსის გაგების ძლიერ არგუმენტად (თავი 2). მე-20 საუკუნეში ალტერნატიული მოსაზრებებიც გაჩნდა. საწინააღმდეგო შეხედულება, თემც ქველასე უფრო გავრცელებული, ვაჭრობის სტრუქტურას უკავშირებს ურთიერთმოქმედებას ეროვნული რესურსების (კაპიტალი, მუშახელი და მიწა) შესაღარის მიწოდებასა და სხვადასხვა საქონლის წარმოებაში ამ ფაქტორების გამოყენებას შორის. ეს თეორია წარმოდგენილია მე-4 თავში. ამ ბოლოდროინდელი ძველებით, შექმნილებინათ ამ თეორიის ტეშმარტება, აღმანდა, რომ იგი ნაკლებ მოქმედია, ვიდრე ფიქრობდნენ. უფრო მოგვიანებით კი სოგიერთმა საერთაშორისო ეკონომისტმა წამოაყენა თეორიები, რომლებიც გეთავაზობენ შემთხვევიის, მაგრამ არსებით კომპონენტებს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში, რაც მოცემულია მე-6 თავში.

პროტექციონიზმი

თუ ვაჭრობიდან მოგების იდეა ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფციაა საერთაშორისო ეკონომიკაში, მუდმივი ფარული იმი თავისუფალ ვაჭრობასა და პროტექციონიზმს შორის არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემა. მე-16 საუკუნეში ქვეყნის ხელისუფალნი წუხდნენ საერთაშორისო კონკურენციის გაკლების გამო შიდა მრეწველობის კეთილდღეობაზე და ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი მრეწველობა უცხოური კონკურენციისაგან იმპორტზე შეზღუდვების დაწესებით, ან დახმარებოდნენ ადგილობრივ მეწარმეებს მსოფლიო კონკურენციაში ექსპორტის სუბსიდირებით. საერთაშორისო ეკონომისტების მისია იყო გაეანალიზებინათ ე.წ. პროტექციონისტული პოლიტიკის შედეგები, გაეკრიტიკებინათ პროტექციონიზმი და ენეუებინათ თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობები.

პროტექციონიზმი განსაკუთრებით ინტენსიურია აშშ-ში იმ მიმართულების გამო, რომელიც ნაჩვენებია 1-1 გრაფიკზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ქვეყანა პრობაგანდას უწევდა საერთაშორისო თავისუფალ ვაჭრობას მსოფლიოში, რადგან მიანდდა, რომ იგი ხელს უწყობდა არა მარტო სახელმწიფოს აყვავებას, არამედ მშვიდობასაც მსოფლიოში. აშშ ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად განდგა მხარდნი ეჭვიც, რომ შესაძლოა უცხოურ კონკურენციას შეემცილებინა ზოგიერთი ამერიკელის ხელფასი. ამის გამო ტრადიციულმა მიდგომამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მნიშვნელოვანი ზეწოლა განიცადა. შედეგად მივიღეთ ბუნდოვანი პოლიტიკური სურათი. ერთი მხრივ, აშშ-მ მხარი დაუჭირა ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას კანადასა და მექსიკასთან (დამტკიცებულია 1993 წელს) და ე.წ. ურუგვაის რაუნდის შეთანხმებას (რომელიც მოიცავს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებს, ხელმოწერილია 1994 წელს). მეორე მხრივ, იგივე ქვეყანა უფრო და უფრო აგრესიული ხდება ისეთ სახელმწიფოებთან სავაჭრო დაუბეში, როგორცაა იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი; მიუხედავად ამისა, აშკარა პროტექციონისტული პოლიტიკური განცხადებები სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი პოლიტიკოსების მხრიდან.

წიგნის თითქმის მეოთხედი ეძღვნება პროტექციონიზმს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის მქონეს და როგორც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულს. წლების განმავლობაში საერთაშორისო ეკონომისტები ავითარებდნენ ანალიტიკურ საზღვრებს, რათა გამოეკეთათ მთავრობის პოლიტიკის შედეგი, რომელიც გაელენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. ამ საზღვრებში მოექცა არა მარტო სავაჭრო პოლიტიკის შედეგები, არამედ გაკეთდა დანახარჯებისა და მოგების ანალიზი და განისაზღვრა კრიტერიუმი – როდის კარგია და როდის არა მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში. ჩვენ წარმოვადგინეთ ამ საკითხებს მე-8 და მე-9 თავებში.

მსოფლიოში მთავრობები ყოველთვის არ აკეთებენ იმას, რასაც მათგან მოითხოვენ ეკონომისტები დანახარჯებისა და მოგების ანალიზის საფუძველზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ეკონომიკური ანალიზი უსარგებლოა; პირიქით, იგი დაგეხმარება, შევიცნოთ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის აზრი იმის ჩვენებით, ვინ იგებს და ვინ კარგავს მთავრობის ისეთი ღონისძიებების გამო, როგორცაა საიმპორტო ქვოტები და საექსპორტო სუბსიდირები. ამ ანალიზით აშკარა ხდება, რომ ინტერესების კონფლიქტი ქვეყნებს შიგნით უფრო მნიშვნელოვანია ხოლმე ვაჭრობის პოლიტიკის განსაზღვრაში, ვიდრე ინტერესთა კონფლიქტი უშუალოდ ქვეყნებს შორის. თავები 3 და 4 გვიჩვენებს, რომ ვაჭრობა ძლიერ გაელენას ახდენს ქვეყნებში შემოსავლის განაწილებაზე; 9, 10, 11 თავებში მითითებულია შემდეგი – ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ინტერესთა მქონე ჯგუფების შესაღარისი ძალაუფლება უფრო ხშირადაა ხოლმე საერთაშორისო ვაჭრობის მიმართ მთავრობის პოლიტიკის მთავარი განმასაზღვრელი ფაქტორი, ვიდრე ზოგიერთი ეროვნული ინტერესის ყოველმრისმკველი ღონისძიება.

საგადამხდლო ბალანსი

1990 წელს იაპონიასა და ბრაზილიაში ადგილი ჰქონდა საკმაოდ მნიშვნელოვან დადებით სავაჭრო სალდოს; ე.ი. თითოეული აწარმოებდა საქონლის უფრო მეტ ექსპორტს, ვიდრე იმპორტს. იაპონიის 56 მილიარდი დოლარის დადებითმა სალდომ გამოიწვია სხვა ქვეყნების უკმაყოფილება – თითქოს, იაპონია მდიდრდებოდა მათ ხარჯზე. ბრაზილიის სალდოს კი (რომელიც საკმაოდ აჭარბებდა ბრაზილიის ეროვნულ შემოსავალს) მოჰყვა თავად ბრაზილიელების უკმაყოფილება, რომ მათ არასამართლიანად მოეპყრნენ. რას ნიშნავს ის, რომ – ქვეყანას აქვს დიდი სავაჭრო სალდო ან სავაჭრო დეფიციტი? ამის გასაგებად აუცილებელია ორივე მონაცემი განვიხილოთ მთელი მსოფლიოს საერთაშორისო გარიგებების ფართო კონტექსტში.

მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან ქვეყნის გარიგების სააღრიცხვო დოკუმენტებს ეწოდება **საგადამხდლო ბალანსი**, რომლის ახსნა და მნიშვნელობის განსაზღვრა საერთაშორისო ეკონომიკის მთავარი თემაა. ის წამოიწიეს ხოლმე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის შესახებ მსჯელობათა სხადასხვაობის დროს (თავი 7), საერთაშორისო გარიგებების თანხლები ეროვნული შემოსავლის აღრიცხვასთან დაკავშირებით (თავი 12) და საერთაშორისო მონეტარული პოლიტიკის ყოველი ასპექტის განხილვისას (16-და.. 22 თავის ნათელით). პროტექციონიზმის თეორიის მსგავსად, საგადამხდლო ბალანსი იქცა აშშ-ს ხელისუფლების პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად, რადგან ქვეყანას 1982 წლიდან ყოველ წელს აქვს უსარმაზარი სავაჭრო დეფიციტი.

ვალუტის ბაცვლითი კურსის განსაზღვრა

1985 წლის თებერვალში ერთი აშშ დოლარი საერთაშორისო ბაზარზე 260 იაპონურ იენს უტოლდებოდა; 1988 წლის იანვარში დოლარი 123 იენის ტოლი იყო. ამ ცვლილებათა შედეგები საკმაოდ შორს გასცდა ფინანსურ ბაზრებს. 1985 წლის თებერვალში სამრეწველო სექტორში იაპონელ მეშას უხდიდნენ ხელფასს იენებით, რაც დოლარებით უდრიდა ამერიკელი მეშის ხელფასის ნახევარს. 3 წლის შემდეგ იაპონიისა და აშშ-ს ხელფასები თითქმის იგივე იყო. შრომის დანახარჯის უპირატესობით აშშ-თან მიმართებაში და დაბალხელფასიანი ქვეყნების (კორეა, ტაივანი) კონკურენციის პირობებში იაპონიის მეწარმეები 50-იან წლებში იძულებულნი იყვნენ, შეემცირებინათ წარმოება, რამაც გამოიწვია უმუშევრობის მაღალი დონე; ამის შემდეგ მათ დაიწვეს ძლიერი ინვესტირება სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით აშშ-ში.

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება საერთაშორისო ეკონომიკასა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებს შორის არის ის, რომ ქვეყნებს აქვთ განსხვავებული ვალუტა. ჩვეულებრივ, შესაძლებელია ერთი ვალუტის გადაცვლა მეორე ვალუტაზე (ეს ზოგ ქვეყანაში არაკანონიერად ითვლება), თუმცა ვალუტის შედარებითი ფასები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს (როგორც ამას დოლარი-იენის გაცვლითი კურსის მაგალითი გვიჩვენებს).

ვალუტის კურსის განსაზღვრის შესწავლა საერთაშორისო ეკონომიკის შედარებით ახალი ნაწილია. მე-20 საუკუნის განმავლობაში ვალუტის კურსი უფრო მეტად განისაზღვრებოდა მთავრობის და არა ბაზრის მიერ. პირველ მსოფლიო ომამდე ქვეყნების უმეტესი ვალუტის ღირებულება დგინდებოდა ოქროსთან მიმართებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი უმეტესი ვალუტების განსაზღვრა ხდებოდა აშშ დოლართან შეფარდებით. საერთაშორისო მონეტარული სისტემის ანალიზი, რომელიც ადგენს ვალუტის კურსს, კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნებმა სცადეს, შეექმნათ ფიქსირებული კურსის სისტემა ევროპაში. ამ საკითხს 17-18 თავები ეძღვნება. მე-19 თავში წარმოდგენილია კამათი იმის თაობაზე, თუ რომელი სისტემა უკეთესი: ფიქსირებული თუ მცურავი; მე-20 თავში განხილულია ევროპის მონეტარული სისტემა. მსოფლიოს ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების როლი დროდადრო კვლავ აღმოჩნდება ხოლმე საერთაშორისო ეკონომისტების ყურადღების ცენტრში. მე-13 და მე-16 თავებში განხილულია ვალუტის მცურავი კურსის თანამედროვე თეორიები.

საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაცია

საერთაშორისო ეკონომიკა მოიცავს სუვერენულ ქვეყნებს, რომელთაგან თითოეული თავისუფალია, აირჩიოს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა. სამწუხაროდ, ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის პირობებში ერთი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე. მაგალითად, 1990 წელს გერმანიის ბუნდესბანკმა საპროცენტო განაკვეთი გაზარდა; ღონისძიებებმა, რომელსაც ის ატარებდა შესაძლო ინფლაციის გასაკონტროლებლად, რაც გამოიწვია დასაუფლებელ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებამ, ხელი შეუწყო რეცესიას დასაუფლებელ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. მიზნების სხვაობა ხშირად იწვევს ინტერესთა კონფლიქტს სახელმწიფოთა შორის. მაშინაც კი, როდესაც მათ მსგავსი მიზნები ამოძრავებთ, შეიძლება დანაკარგების გამო სირთულეები შეექმნათ, თუ კი ისინი ვერ მოახერხებენ თავიანთი პოლიტიკის კოორდინებას. საერთაშორისო ეკონომიკაში მთავარი პრობლემაა – მიღწეულ იქნეს საერთაშორისო კარმონიის მისაღები დონე ვაჭრობასა და სხვადასხვა ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას შორის მთავრობათა ჩარევის გარეშე. ბოლო 45 წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა იმართებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რაც ცნობილია, როგორც გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT), და მოლაპარაკებებით, რომელიც მოიცავდა ათობით ქვეყანას. ამ სისტემას განვიხილავთ მე-9 თავში და ვნახავთ, თუ რა შესაძლებლობანი არსებობს მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობისათვის განკუთვნილი თამაშის წესების განსახორციელებლად.

საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის კოორდინირებას თავისი ტრადიცია აქვს, საერთაშორისო მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია კი უფრო ახალი საკითხია. მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოახერხეს ეკონომისტებმა მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის თეორიის შესტად ჩამოყალიბება. საერთაშორისო მაკროეკონომიკური კოორდინაციის მცდელობები თანდათან მატულობს მსოფლიო სინამდვილეში. საერთაშორისო მაკროეკონომიკური კოორდინაციის თეორია და გამოცდილება განხილულია მე-18 და მე-19 თავებში.

საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი

1970-იან წლებში მოწინავე ქვეყნების ბანკებმა ასეხეს ათობით მილიარდი დოლარი ღირებ ქვეყნებს, ფირმებსა და მთავრობებს. კერძოდ, ლათინურ ამერიკაში. 1982 წელს მექსიკამ გამოაცხადა, რომ მას აღარ შეუძლო გადაეხადა ვალი, თუკი არ გატარდებოდა საჭირო ღონისძიებები – კერძოდ, უნდა გადაეკლებინათ ვალი და მიეცათ ვალის სარგებლის ნაწილი სესხად; მალე ბრაზილია, არგენტინა და სხვა ქვეყნები მსგავსი ყოფილნენ. ბანკების, მთავრობებისა და ქვეყნების ერთობლივი მცდელობა, თავიდან აეცილებინათ მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 1982 წელს ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ვალებთან დაკავშირებული ხიმელწების

გამო, კრახით დასრულდა. 1990-იანი წლების დასაწყისისათვის უცხოურ ვალუბთან დაკავშირებული კრიზისის მოყოლიდნულად სწრაფად დასრულდა, როდესაც საერთაშორისო ინვესტიორებმა დაიწყეს დიდი თანხების ჩადება ე.წ. „აღმოსცენებულ ბაზრებში“, რომლებიც მოიცავდნენ ვალის კრიზისის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს. მაგრამ ეს წერ კიდევ არ იყო ამ პროცესის დასასრული. 1994 წლის ბოლოს მექსიკა კვლავ კრიზისმა მოიცვა, რამაც დროებით ხელი შეუშალა ყველა აღმოსცენებელი ბაზრის ბუმს. ყველა ეს მაგალითი გუიხეუებს, რომ იზრდება საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის მნიშვნელობა.

ნებისმიერი ეკონომიკის პირობებში არსებობს კაპიტალის ბაზარი. 1960-იან წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო ვაჭრობის მზარდ მნიშვნელობას თან სდევდა ზრდა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინდივიდუალური ქვეყნების კაპიტალის ბაზრებს. 1970-იან წლებში ნავთობით მდიდარმა შეაღმოსავლეთის ქვეყნებმა განათავსეს თავიანთი ნავთობიდან მიღებული შემოსავალი ლონდონისა და ნიუ-იორკის ბანკებში, ამ ბანკებმა კი გაასესხეს ეს ფული აზიისა და ლათინური ამერიკის მთავრობებსა და კორპორაციებს. 1980-იან წლებში იაპონიამ მოახდინა ექსპორტიდან მიღებული ფულის დიდი ნაწილის დაბანდება აშშ-ში.

საერთაშორისო კაპიტალის ბაზრები განსხვავდებიან ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებისაგან. ისინი უმკლავდებიან სპეციალურ პირობებს, რასაც ბევრი ქვეყანა თავს ახევეს უცხოურ ინვესტიციებს; ისინი აგრეთვე სთავაზობენ შესაძლებლობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შიდა ბაზრებზე შემოდებული პირობები. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული შეიქმნა საერთაშორისო კაპიტალის უზარმაზარი ბაზრები (აღსანიშნავია ლონდონის ევროდოლარის ბაზარი, რომელშიც ყოველდღიურად მილიარდობით ვალუტა იცვლება აშშ-თან შეხების გარეშე).

საერთაშორისო კაპიტალის ბაზრები ხასიათდება განსაკუთრებული რისკებით, რომელთაგან ერთ-ერთი ვალუტის მერყეობაა. მაგალითად, თუ დოლარი უცებ დაეცემა იაპონურ იენთან მიმართებაში, იაპონელი ინვესტიორები, რომლებმაც შეიძინეს აშშ ობლიგაციები, კაპიტალის დანაკარგების რისკი არ ასცდებთ. მეორე საშიშროებაა ქვეყნის მთავრობისაგან საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობა, მაგალითად, მან შეიძლება უარი თქვას ვალების გადახდაზე (იმბოტო, რომ არ შეუძლია) და თვით კრედიტორებისათვისაც ეფექტური არ იყოს სასამართლოში ჩივილი.

სადღეისოდ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების მზარდი მნიშვნელობა და მათი ახალი პრობლემები, რომელთაც წიგნის ორი თავი ეძღვნება: ერთი ეხება გლობალური აქტივების ბაზრების ფუნქციონირებას (თავი 21), ხოლო მეორე – განვითარებადი ქვეყნების საგარეო სესხებს (თავი 22).

საერთაშორისო ეკონომიკა: ვაჭრობა და ფული

საერთაშორისო ეკონომიკის შესწავლის პროცესი შეიძლება ორ სფეროდ დაიყოს: საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფულის კვლევა. საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ეკონომიკაში რეალურ ან იმ გარიგებებს, რომლებიც მოიცავენ საქონლის ფიზიკურ მოძრაობას ან ეკონომიკური რესურსების რეალურ დაბანდებას. საერთაშორისო ფულის ანალიზი კი ეხება დოლარის მონეტარულ მხარეს. საერთაშორისო ვაჭრობის მაგალითთა კონფლიქტი აშშ-სა და ევროპას შორის იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სეფსიდირებას; საერთაშორისო ფულთან დაკავშირებულია დავა იმის თაობაზე – დოლარის უცხოური გაცვლის ღირებულება უნდა ცერავდეს თავისუფლად, თუ მისი სტაბილიზაცია უნდა ხდებოდეს მთავრობის ჩარევით.

მსოფლიო სინამდვილეში არ არსებობს გამყოფი ხაზი ვაჭრობისა და ვალუტის კვლევის საკითხებს შორის, რაკი საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს სავალუტო გარიგებებს, ბევრ სავალუტო მოვლენას თან სდევს ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი შედეგები. მოხუცდავად ამისა, განსხვავების დადგენა საერთაშორისო ვაჭრობასა და საერთაშორისო ფულს შორის საჭიროა. ამ წიგნის პირველი ნაწილი ეხება საერთაშორისო ვაჭრობას (2 და 7 თავების ჩათვლით) და ამასთან ავითარებს საერთაშორისო ვაჭრობის ანალიტიკურ თეორიას. მეორე ნაწილში (8-11 თავები) წარმოდგენილია ვაჭრობის თეორიები და ვაჭრობის მიმართ სამთავრობო პოლიტიკის ანალიზი. წიგნის მესამე ნაწილი (12-17 თავები) ეძღვნება საერთაშორისო ვალუტის თეორიას; მეოთხე ნაწილი (18-23 თავები) ამ ანალიზს საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკასთან მიმართებაში განიხილავს.

I ნაწილი

საერთაშორისო ვაჭრობის თეორია

თავი 2

ზრომის მჭარმოებლურობა და ფარდობითი უპირატესობა: რიკარდოს მოდელი

ქვეყნები ებმებიან საერთაშორისო ვაჭრობაში ორი მთავარი მიზეზის გამო (თითოეული ხელს უწყობს ვაჭრობიდან მიღებულ მოგებას): პირველი, ქვეყნები ერთმანეთთან იწუებენ ვაჭრობას მათ შორის არსებული განსხვავებების გამო. მათ, ინდივიდების მსგავსად, შეუძლიათ ნახონ მოგება საქმის ისე ორგანიზებით, როდესაც თითოეული აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც სხვასთან შედარებით უკეთ შეუძლია. მეორე, ქვეყნები მიმართავენ ურთიერთვაჭრობას, რათა მიადწინონ მასშტაბის ურდით მიღებულ ეკონომიას წარმოებაში. ეს ნიშნავს: თუ თითოეული ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ შესაძლებელი რაოდენობის განსაზღვრულ საქონელს, ერთ რომელიმე ქვეყანას შეუძლია გამოუშვას სწორედ ეს საქონელი უფრო დიდი მასშტაბით და უფრო ეფექტურად, ვიდრე აწარმოოს ყველანაირი საქონელი ერთად. საერთაშორისო ვაჭრობის მსოფლიო სტრუქტურები ასახავენ ამ ორი მოტივის ურთიერთქმედებას. იმისათვის, რომ უკეთ გავივლით ვაჭრობის მიზეზები და შედეგები, კარგი იქნება, შევხედოთ გამარტივებულ მოდელს, რომელშიც მხოლოდ ერთი ამ მოტივთაგანია წარმოდგენილი.

მომდევნო ოთხ თავში განხილულია ქვეყნებს შორის განსხვავებანი, როგორც წინაპირობა, რაც დასაბამს აძლევს მათ შორის ვაჭრობის დაწყებას. ეს დაგვეხმარება, გავეგოთ, რატომ არის ვაჭრობა ურთიერთმომგებიანი. მთავარი კონცეფცია ამ ანალიზისა არის ფარდობითი უპირატესობა, რაც, როგორც გამოცდილება გვჩვენებს, საოცრად მძიმე მისაღებია ბევრი ადამიანისათვის. ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა – ნობელის პრემიის ლაურეტი, რომელმაც განაერთარა 3 და 4 თავებში განხილული საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურები, აღწერა ფარდობითი უპირატესობა, როგორც მისთვის ცნობილი ეკონომიკური პრინციპებიდან ყველაზე საუკეთესო.

ამ თავს ჩვენ ვიწყებთ ფარდობითი უპირატესობის ზოგადი კონცეფციის გაცნობით. შემდეგ განვიხილავთ სპეციფიკურ მოდელს, თუ როგორ განსაზღვრავს ფარდობითი უპირატესობა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურებს.

ფარდობითი უპირატესობის კონცეფცია

1996 წელს, თითქმის ერთი კვირით ადრე გადამწყვეტ 20 თებერვლამდე, ნიუ-ჰემპშირში რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატი პატრიკ ბუჩანანი გაჩერდა, რათა ვალენტიინის დღის აღსანიშნავად ვარდები ეყიდა თავისი მეუღლისათვის. მან ისარგებლა შემთხვევით, სიტყვით გამოვიდა და უქმაცოფილება გამოთქვა შეერთებულ შტატებში ყვავილების მზარდი იმპორტის გამო, რაც, მისი აზრით, სამუშაოს გარეშე ტოკებდა ამერიკელ მეყვავილეებს. ეს, მართლაც, ასეა: შეერთებული შტატების ზამთრის ბაზრის დიდი წილი მარაგდება სამხრეთ ამერიკიდან შემოსული ვარდებით. ცუდია ეს თუ კარგი?

ზამთრის ვარდების შემთხვევა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რატომ შეიძლება საერთაშორისო ვაჭრობა იყოს მომგებიანი. წარმოიდგინეთ, რა პნელია მოამარაგო ამერიკელი შეყვარებულები ახალი ვარდებით თებერვალში. ყვავილები უნდა გაიზარდოს ხათბურებში, ენერჯის დიდი დანახარჯების, კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა დეფიციტური რესურსების ხარჯზე. ეს ყოველივე განა უკეთესი არ იქნებოდა სხვა საქონლის საწარმოებლად გამოყენებულიყო. უდაოა, არსებობს ალტერნატივა. იმისათვის, რომ ბაზარი მოამარაგოს ზამთრის ვარდებით, აშშ-ს ეკონომიკამ უნდა აწარმოოს ნაკლები დანახარჯებით სხვა საქონელი, მაგალითად, კომპიუტერები. ეკონომისტები ხმარობენ ტერმინს **ალტერნატიული ღირებულება**; მაგალითად, ვარდების ალტერნატიული ღირებულება კომპიუტერთან შედარებით არის იმ კომპიუტერების რაოდენობა, რომელიც შეიძლება წარმოებულიყო ყოფილიყო რესურსებით, რაც დაიხარჯა იმავე რაოდენობის ვარდების მოსაყვანად.

ეთქვით, აშშ-ს ახლა მოკეავს 10 მილიონი ვარდი ვალენტიინის დღეს გასაყიდად და რომ მათზე საჭირო რესურსები საკმარისი იქნებოდა 100 000 კომპიუტერის საწარმოებლად. ამ 10 მილიონი ვარდის ალტერნატიული ღირებულება იქნება 100 000 კომპიუტერი (და პირქით, თუ მათ ნაცვლად იწარმოებოდა კომპიუტერები, 100 000 კომპიუტერის ალტერნატიული ღირებულება იქნებოდა 10 მილიონი ვარდი).

ეს 10 მილიონი ვარდი შეიძლება მოეყვანათ სამხრეთ ამერიკაში და მათი ალტერნატიული ღირებულება კომპიუტერთან შედარებით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე აშშ-ში – უფრო ადვილია ზამთრის ვარდების მოყვანა სამხრეთში. სადაც თებერვალშიც კი საფხვლითით თბილია, უფრო მეტიც – სამხრეთ ამერიკელი

მუშები ნაკლებფექტიური არიან, ვიდრე მათი აშშ კოლეგები, ისეთი საქონლის წარმოებაში, როგორცაა კომპიუტერები, ანუ კომპიუტერების წარმოებაში გამოყენებული რესურსებით ნაკლებ კომპიუტერს დაამზადებენ სამხრეთ ამერიკაში, ვიდრე აშშ-ში. ამგვარად, ალტერნატივა შეიძლება იყოს – სამხრეთ ამერიკაში 10 მილიონი ეარდის მოყვანა სამთარში 30 000 კომპიუტერის სანაცვლოდ.

ალტერნატიულ ღირებულებაში არსებული ეს განსხვავება მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებს შორის საქმის ურთიერთმოგებიანად ორგანიზების საშუალებას იძლევა. დე, აშშ-მ უარი თქვა სამთრის ეარდების მოშენებაზე და გამოთავისუფლებული რესურსები მიმართოს კომპიუტერების საწარმოებლად; ამასობაში კი სამხრეთ ამერიკამ მიხედოს ამ ეარდებს ნაცვლად კომპიუტერების წარმოებას. ამის შედეგად წარმოებაში მომხდარი ცვლილებები მოცემულია 2-1 ცხრილში.

ნახეთ, რა მოხდა: მსოფლიო აწარმოებს იმავე რაოდენობის ეარდს, რასაც ადრე, მაგრამ უფრო მეტ კომპიუტერს ამზადებს. წარმოების ამგვარი ორგანიზება – როდესაც აშშ-ს უურადლება გადატანილია კომპიუტერებზე, ხოლო სამხრეთ ამერიკისა – ეარდებზე, ზრდის მსოფლიოს ეკონომიკას. რადგან მსოფლიო მთლიანად აწარმოებს მეტს, შესაძლებელი ხდება ყველა ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლება.

საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს მსოფლიო გამოშვების ზრდას, ამის მიზეზი არის ის, რომ იგი საშუალებას აძლევს თითოეულ ქვეყანას, დაოსტატდეს იმ საქონლის წარმოებაში, რომელშიც მას შედარებით უპირატესობა აქვს ქვეყანას მაშინ აქვს ფარდობითი უპირატესობა ამა თუ იმ საქონლის წარმოებაში, თუ ამ უკანასკნელის ალტერნატიული ღირებულება სხვა საქონელთან შედარებით უფრო დაბალია ამ ქვეყანაში, ვიდრე სხვაგან.

ცხრილი 2-1 საეარაუდო ცვლილებები წარმოებაში .

	მილიონი ეარდი	ათასი კომპიუტერი
აშშ	-10	+100
სამხრეთ ამერიკა	+10	-30
სულ	0	+70

ზემოთ მოტანილი მაგალითის მიხედვით, რაკი სამხრეთ ამერიკას აქვს ფარდობითი უპირატესობა სამთრის ეარდებში და აშშ-ს – კომპიუტერებში, ცხოვრების დონე შეიძლება გააუმჯობესდეს ორივე მხარეს: სამხრეთ ამერიკაში, რომელიც ეარდებს აწარმოებს აშშ-ს ბაზრისათვის, და აშშ-ში, რომელიც კომპიუტერებს უშვებს სამხრეთ ამერიკის ბაზრისათვის. ჩვენ უკვე გვაქვს წარმოდგენა ფარდობითი უპირატესობისა და საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ: *ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა მომგებიანი იქნება თუ თითოეული მიმართავს იმ საქონლის ექსპორტს, რომელშიც მას ფარდობითი უპირატესობა აქვს.*

† ეს შესაძლებლობაა და არა ის, თუ რა შეიძლება რეალურად მოხდეს. მსოფლიოს არა მკავს ცენტრალური ორგანო, რომელიც გადაწყვეტს – რომელმა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ეარდები და რომელმა კომპიუტერები, რომელმა შესთავაზოს მომხმარებელს ეარდები ერთგან და კომპიუტერები სხვაგან. საერთაშორისო წარმოებასა და ვაჭრობას განისაზღვრავს ბაზარი, სადაც მიწოდებისა და მოთხოვნის კანონებია გაბატონებული. არსებობს კი რაიმე მიზეზი იმის დაშვებისა, რომ ვაჭრობიდან ურთიერთმოგებიანობის პოტენციული რეალიზებული იქნება, ან არა? დაანებებენ თუ არა თავს აშშ და სამხრეთ ამერიკა იმ საქონლის წარმოებას, რომელშიც მათ ფარდობითი უპირატესობა აქვთ? რეალურად გააუმჯობესებს თუ არა ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა მათი ცხოვრების დონეს?

ანალიზის დროს ამ კითხვებზე პასუხის გასაცემისას უნდა ვიყოთ ფრთხილად. ამ თავში ვაგებთ საერთაშორისო ვაჭრობის მოდელს, რომელიც პირველად განავითარა ბრიტანელმა ეკონომისტმა დაეიდ რიკარდომ; მანვე შემოიტანა ფარდობითი უპირატესობის კონცეფცია მე-19 საუკუნის დასაწყისში. ეს მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ვაჭრობა გამოწვეულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის განსხვავებით შრომის მწარმოებლურობაში, ცნობილია როგორც *რიკარდოს მოდელი.*

ერთვაჭრობიანი ეკონომიკა (ანუ ეკონომიკა წარმოების ერთი ვაჭრობით)

საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის განსაზღვრაში ფარდობითი უპირატესობის რილის გაცნობას ვიწყებთ იმის გაცნობიერებით, რომ საქმე გვაქვს ქვეყანასთან (მას პირობითად ვუწოდებთ 'ჩვენს ქვეყანას'), რომელსაც აქვს წარმოების ერთი ფაქტორი (მოგვიანებით გავაანალიზებთ მოდელს, სადაც რამდენიმე ფაქტორია). წარმოვიდგინოთ, რომ იწარმოება მხოლოდ ორი საქონელი – ღვინო და ყველი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტექნოლოგია შეიძლება შეფასდეს თითოეულ მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობით, რომელიც გამოხატულია ტერმინით *შრომის დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე*. ეს არის დახარჯული საათების რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი გირეანქა ყველის ან ერთი გადლინი ღვინის საწარმოებლად (მაგალითად, ერთი საათი ერთი გირეანქა ყველის და 2 საათი ერთი გადლინი ღვინის წარმოებისათვის). შემდგომში შრომის დანახარჯი ღვინოსზე იქნება a_{LW} და ყველზე a_{LQ} ; ეკონომიკის მოდელი რესურსები აღინიშნება L -ით.

წარმოების შესაძლებლობები


ნებისმიერ ეკონომიკას თავისი შესაძლებელი რესურსების გამო აქვს საზღვრები, თუ რისი და რამდენის წარმოება შეუძლია მას. ამასთან ყოველთვის სახეზეა ალტერნატიუებიც; ერთი საქონლის წარმოების გასაზრდელად ეკონომიკამ უნდა დათმოს მეორე საქონლის წარმოება. ეს ალტერნატიუები PF მრუდის სახით წარმოდგენილია 2-1 გრაფიკში. მას წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი ეწოდება და გვიჩვენებს ღირსის იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება წარმოებული იქნეს მას შემდეგ, რაც გადაწყდება ნებისმიერი რაოდენობის ყველის გამოშვება და პირიქით.

როდესაც სახეზეა წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორი, მისი შესაძლებლობათა ზღვარი უბრალოდ სწორი ხაზია. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ ხაზზე შემდეგნაირად: თუ Q_w არის ღირსის წარმოების რაოდენობა და Q_c – ყველისა, ღირსის წარმოებაში დახარჯული შრომა იქნება $a_{Lw}Q_w$, ხოლო ყველის წარმოებაში დახარჯული შრომა $a_{Lc}Q_c$. წარმოების შესაძლებლობის ზღვარზე შესაძლებელი გაეგნება ახდენს ეკონომიკის რესურსებზე (ამ შემთხვევაში შრომით რესურსებზე), რადგან ეკონომიკის მთლიანი შრომის რესურსების მიწოდება არის L , შესაძლებელი წარმოებაზე განისაზღვრება უტოლობით

$$a_{Lc} Q_c + a_{Lw} Q_w \leq L \quad (2-1)$$

როდესაც წარმოების შესაძლებლობის ზღვარი სწორხაზოვანია, ერთი გირვანქა ყველის ალტერნატიული ღირებულება (ღირსის სახით) მუდმივია და განსაზღვრულია როგორც ღირსის ის რაოდენობა, რომელიც ეკონომიკამ უნდა დათმოს, რათა აწარმოოს დამატებითი გირვანქა ყველი. ასეთ შემთხვევაში მეორე გირვანქის წარმოება მოითხოვს a_{Lc} კაც-საათს. თითოეული ეს კაც-საათი თავის მხრივ გამოყენებული იქნება $1/a_{Lw}$ გალონი ღირსის საწარმოებლად. ამგვარად, ყველის ალტერნატიული ღირებულება ღირსისთან მიმართებაში არის a_{Lc}/a_{Lw} . მაგალითად, თუ ერთი კაც-საათია საჭირო ერთი გირვანქა ყველის და ორი საათი ერთი გალონი ღირსის საწარმოებლად, ყველის ალტერნატიული ღირებულება ღირსისთან მიმართებაში იქნება ერთი მეორედი. როგორც 2-1 გრაფიკი გვჩვენებს, ეს ალტერნატიული ღირებულება ტოლია წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის აღმნიშვნელი მრუდის დაქანების აბსოლუტური ღირებულებისა.

გრაფიკი 2-1 ჩვენი ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი



PF წრფე გვიჩვენებს ჩვენს ქვეყანაში ყველის შესაძლებელი წარმოების მაქსიმალურ რაოდენობას, რაც განპირობებულია ღირსის ნებისმიერი წარმოებით, და პირიქით.

შესაღარი ფასები და მიწოდება

წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი გვიჩვენებს მრეწველობის მიერ წარმოებული საქონლის სხვადასხვა კომბინირებას. იმის განსაზღვრად, თუ ზუსტად რას აწარმოებს ეკონომიკა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ფასებს, კერძოდ – უნდა ვიცოდეთ ერთი საქონლის შესაღარი ფასი მეორესთან მიმართებაში.

კონკურენტულ ეკონომიკაში გადაწყვეტილებები მიწოდების მოცულობაზე განსაზღვრულია ინდივიდების მცდელობით, მაქსიმუმამდე გაზარდონ თავიანთი მოგება. ეკონომიკაში, სადაც შრომა არის წარმოების ერთადერთი ფაქტორი, ღირსისა და ყველის მიწოდება განისაზღვრება მუშახელის გადასულით დასახელებული პროდუქტის წარმოების იმ სექტორში, რომელიც უფრო მეტ ხელფასს გადაუხდის.

ყოველთვის, P_c და P_w არის შესაბამისად ყველისა და ღირსის ფასები. საჭიროა a_{Lc} კაც-საათი ერთი გირვანქა ყველის საწარმოებლად. რადგან ერთფაქტორიანი მოდელი მოგებას არ იძლევა, საათობრივი ხელფასი

ყველის წარმოებაში გაერთიანება იმის ღირებულებას, რაც მუშას შეუძლია აწარმოოს ერთ საათში – P_c/a_{Lc} რადგან ერთი გალონი ღვინის საწარმოებლად საჭიროა a_{Lw} კაც-საათი, საათობრივი ხელფასი ღვინის წარმოებაში იქნება P_w/a_{Lw} . ხელფასები ყველის წარმოებაში უფრო მაღალი აღმოჩნდება, თუ $P_c/P_w > a_{Lc}/a_{Lw}$, ხოლო ხელფასები ღვინის წარმოებაში უფრო მაღალი იქნება, თუ $P_c/P_w < a_{Lc}/a_{Lw}$. რადგან ყველას მოწოდება იმუშაოს იქ, სადაც მაღალი ხელფასია, ეკონომიკა გადავა ყველის წარმოებაზე, თუ $P_c/P_w > a_{Lc}/a_{Lw}$ და ღვინის წარმოებაზე, თუ $P_c/P_w < a_{Lc}/a_{Lw}$. როდესაც P_c/P_w უტოლდება a_{Lc}/a_{Lw} -ს ეკონომიკა იწყებს ორივე საქონლის წარმოებას.

რა მნიშვნელობა აქვს a_{Lc}/a_{Lw} რიცხვს? ეს არის ყველის ალტერნატიული ღირებულება ღვინოსთან მიმართებაში. ჩვენ გამოვიყენებთ ძირითადი პროპორცია ფასებსა და წარმოებას შორის ურთიერთობის შესახებ: *ეკონომიკა გადავა ყველის წარმოებაზე, თუ ყველის შესადარი ფასი გადააჭარბებს მის ალტერნატიულ ღირებულებას; ის გადავა ღვინის წარმოებაზე, თუ ყველის შესადარი ფასი ნაკლები იქნება მის ალტერნატიულ ღირებულებაზე.*

საერთაშორისო ვაჭრობის არარსებობის პირობებში ჩვენ ქვეყანას თავად მოუწევს დასახელებული ორივე საქონლის წარმოება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ყველის შედარებითი ფასი ტოლია მისი ალტერნატიული ღირებულებისა. რადგან ალტერნატიული ღირებულება უტოლდება ერთეულ პროდუქტზე შრომის დანახარჯის პროპორციას ღვინისა და ყველის წარმოებაში, შეგვიძლია საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში შევიმუშაოთ ფასების განსაზღვრება შრომის ღირებულების მარტივი მოდელით: *საერთაშორისო ვაჭრობის არარსებობის პირობებში საქონლის შესადარი ფასები უტოლდება მათი შესაბამისი შრომის დანახარჯებს ერთეულ პროდუქტზე.*

ვაჭრობა ერთვაჭროიან მსოფლიოში

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის სტრუქტურისა და ეფექტების აღწერა, როდესაც თითოეულ ქვეყანაში სახე¹⁶ წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორი, მარტივია. მიუხედავად ამ სიმარტივისა, ანალიზის დასკვნები შესაძლოა გასაკვირიც აღმოჩნდეს და ბევრი ამ დასკვნებიდან მკვლარიც კი მოეჩვენოს მას, ეისაც არ უფიქრია საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ. სინამდვილეში, ვაჭრობის ამ უმარტივესმა მოდელმაც კი შეიძლება შემოგვთავაზოს მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დებულებები მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ საკითხებზე, როგორცაა სამართლიანი საერთაშორისო კონკერენცია და სამართლიანი საერთაშორისო გაცვლა.

სანამ ამ საკითხებს განვიხილავდეთ, დავადგინოთ მოდელი: ვთქვათ, ორი ქვეყნიდან ერთ-ერთს დავარქვით ჩვენი ქვეყანა, ხოლო მეორეს – უცხოეთი. თითოეულ მათგანს აქვს წარმოების ერთი ფაქტორი (შრომა) და შეუძლია გამოუშვას ორი საქონელი: ღვინო და ყველი. როგორც ზემოთ, ჩვენი ქვეყანის მუშახელს აღვნიშნავთ L-ით, ხოლო შრომის დანახარჯს ერთეულ პროდუქტზე ღვინისა და ყველის წარმოებაში შესაბამისად a_{Lw} და a_{Lc} -ით. უცხოეთისათვის გამოვიყენებთ იმავე სიმბოლოებს, ოღონდ დავუმატებთ ვარსკვლავებს. უცხოეთის მუშახელი აღვნიშნავთ L*^{*}; ხოლო მისივე შრომის დანახარჯები ერთეულ პროდუქტზე ღვინისა და ყველის წარმოებაში – შესაბამისად a^*_{Lw}/a^*_{Lc} და ა.შ.

ზოგადად შრომის დანახარჯები ერთეულ პროდუქტზე შეიძლება ახლდეს ნებისმიერ სტრუქტურას. მაგალითად, ჩვენი ქვეყანა უცხოეთთან შედარებით შეიძლება ღვინის წარმოებაში ნაკლებ მწარმოებლური იყოს და მეტად მწარმოებლური ყველის წარმოებაში, ან პირიქით. აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ერთი პირობითი ვარაუდი:

$$a_{Lc}/a_{Lw} < a^*_{Lc}/a^*_{Lw} \tag{2-2}$$

ან

$$a_{Lc}/a^*_{Lc} < a_{Lw}/a^*_{Lw} \tag{2-3}$$

დავუშვათ, ერთი გირეანქა ყველის საწარმოებლად საჭირო შრომის შეფარდება ერთი გალონი ღვინის საწარმოებლად საჭირო შრომასთან უფრო დაბალია ჩვენ ქვეყანაში, ვიდრე უცხოეთში. ე.ი. ჩვენი ქვეყნის შესადარი მწარმოებლურობა ყველის წარმოებაში უფრო მაღალია, ვიდრე ეს აღვნიშნავთ ღვინის წარმოებაში.

მაგრამ გახსოვდეთ ის, რომ ერთეულ პროდუქტზე შრომის-დანახარჯების კოეფიციენტი ტოლია ყველის ალტერნატიული ღირებულებისა ღვინოსთან მიმართებაში და ისიც, რომ ჩვენ ყარდობით უპირატესობას მივიჩნევთ ზუსტად ასეთ ალტერნატიულ ღირებულებად. ასე რომ, ვარაუდი შესადარი მწარმოებლურობის შესახებ, რომელიც გამოხატულია (2-2) და (2-3) ტოლობებით, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: *ჩვენ ქვეყანას აქვს ფარდობითი უპირატესობა ყველის წარმოებაში.*

ერთი საკითხი ახლაც უნდა გამოვიყენოთ: პირობები, რომლის დროსაც ჩვენ ქვეყანას აქვს აღნიშნული უპირატესობა, მოიცავს შრომით დანახარჯებს ყველა და არა მხოლოდ ორ ერთეულ პროდუქტზე ყველის წარმოებაში ერთეულ პროდუქტზე მხოლოდ ორი ქვეყნის შრომის დანახარჯების ურთიერთშედარება არ კმარა. როდესაც ერთ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს რომელიმე საქონელი ნაკლები შრომით, ვიდრე მეორეს, ვამბობთ, რომ პირველ ქვეყანას აქვს აბსოლუტური უპირატესობა საქონლის წარმოებაში (განხილულ მაგალითში


ჩვენ ქვეყანას აქვს ეს უპირატესობა, მაგრამ მხოლოდ ამით არ შეგვიძლია ვაჭრობის სტრუქტურის განსაზღვრა. საერთაშორისო ვაჭრობის განხილვისას ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომაა ფარდობითი უპირატესობის არევა აბსოლუტურ უპირატესობაში.

მოცემული მუშახელის რაოდენობისა და ერთეულ პროდუქციაზე მუშახელის დანახარჯების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი თითოეული ქვეყნისათვის. ეს უკვე ვაჩვენეთ ჩვენი ქვეყანისათვის, როდესაც დაეხაზეთ PF მრუდი 2-1 გრაფიკზე. წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი იქნება PF* მრუდი 2-2 გრაფიკზე. რადგან წარმოების შესაძლებლობათა ზღურის დაქანება უტოლდება ყველის ალტერნატიულ ხარჯს ღვინოსთან მიმართებაში, უცხოეთის ზღვარი უფრო მკვეთრად დაქანებული იქნება, ვიდრე ჩვენი ქვეყნისა.

ვაჭრობის არარსებობის დროს ყველისა და ღვინის შესადარი ფასები თითოეულ ქვეყანაში განისაზღვრება ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯით. ჩვენ ქვეყანაში ყველის შესადარი ფასი იქნება: a_{LC}/a_{LW} , უცხოეთში – a^*_{LC}/a^*_{LW} .

საერთაშორისო ვაჭრობაში ფასები არ განისაზღვრება მხოლოდ შიდა მონაცემების გათვალისწინებით. თუ ყველის შესადარი ფასი უფრო მაღალია უცხოეთში, ვიდრე ჩვენ ქვეყანაში, მაშინ მომგებიანი იქნება ყველის გადაზიდვა ამ უკანასკნელიდან უცხოეთში, ხოლო ღვინის შემოტანა ჩვენ ქვეყანაში: ე.ი. ჩვენი ქვეყანა მიმართავს ყველის ექსპორტს, ხოლო უცხოეთი – ღვინისას; ამით გათანაბრდება შესადარი ფასები. მაგრამ რა განსაზღვრავს იმ დონეს, რომელზეც ეს ფასი დარეგულირდება?

გრაფიკი 2-2 უცხოეთის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი



რადგან უცხო ქვეყნის ყველის ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯი ჩვენი ქვეყნისაზე მაღალია (ხაჭირთა გაცილებით მეტი ღვინის ერთეულის დათმობა ყველის ერთით მეტი ერთეულის საწარმოებლად) მისი წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი მკვეთრად დაქანებულია.

შესადარი ფასის განსაზღვრა ვაჭრობის შემდეგ

საერთაშორისო ვაჭრობის საქონლის ფასი, სხვა ფასების მსგავსად, განისაზღვრება მიწოდებითა და მოთხოვნით. ფარდობითი უპირატესობის განხილვისას უნდა გამოვიყენოთ მიწოდება-მოთხოვნის ანალიზი. ვაჭრობის განხილვისას (მაგ., 8-11 თავები) ეურადღებოა უნდა გავამახვილოთ მხოლოდ ერთიანი ბაზრისათვის დამახასიათებელ მიწოდებასა და მოთხოვნაზე. ამის მაგალითად გამოვღებთ შემდეგი: შაქარზე აშშ-ის იმპორტის ქეცტების ეფექტის შეფასებისას გონივრული იქნება, გამოვიყენოთ ნაწილობრივი თანაფარდობის ანალიზი, რაც მოთხოვნის ერთიანი ბაზრის – შაქრის ბაზრის შესწავლას. როდესაც ვაანალიზებთ ფარდობითი უპირატესობას, მნიშვნელოვანია, თვალყური ვადევნოთ ბაზრებს შორის ურთიერთობას (ჩვენს მაგალითში – ღვინისა და ყველის ბაზრები). რადგან ჩვენი ქვეყანა მიმართავს ყველის ექსპორტს მხოლოდ ღვინის იმპორტის სანაცვლოდ, ხოლო უცხოეთი ეწევა ღვინის ექსპორტირებას ყველის სანაცვლოდ, არასწორი იქნება განვიხილოთ ამ ორი პროდუქტის ბაზრები ერთმანეთისაგან იზოლირებულად. აუცილებელია ზოგადი თანაფარდობის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ორ ბაზარს შორის კავშირს.


ერთდროულად ორივე ბაზრის მიმართ თვალყურის დევნების ერთ-ერთი საშუალებაა ეურადღებოთ გამახვილება არა მარტო მოთხოვნილი და მიწოდებული ყველისა თუ ღვინის რაოდენობაზე, არამედ მათს შესადარის მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ე.ი. ყველის მიწოდებული და მოთხოვნილი რაოდენობა გაყოფილი ღვინის მიწოდებულ და მოთხოვნილ რაოდენობაზე.

2-3 გრაფიკი გვიჩვენებს მსოფლიოში ყველის მიწოდებისა და მოთხოვნის დონეს ღვინოსთან მიმართებაში, როგორც ყველის ფასს შეფარდებულს ღვინოს ფასთან. შესადარი მოთხოვნა გამოსახულია RD მრუდით; შესადარი მიწოდება კი RS მრუდით. მსოფლიო ზოგადი თანაფარდობა მოითხოვს, რომ შესადარი მიწოდება უტოლდებოდეს შესადარ მოთხოვნას, რის გამოც მსოფლიო შესადარი ფასი დადგინდება RD და RS მრუდების გადაკვეთაზე.

2-3 გრაფიკში RS შესადარი მიწოდების მრუდმა უცნაური ტუხილი ფორმა მიიღო: პორიზონტალური ხაზები შეერთდა ვერტიკალური ხაზით. მას შემდეგ, როცა ჩვენ გავიგებთ RS მრუდის აგების პრინციპს, შეგვეძლება გავიგოთ მთლიანი მოდელი.

RS მრუდი უპირველესად გვიჩვენებს, რომ წყდება ყველის მიწოდება, თუ მსოფლიო ფასი a_{LC}/a_{LW} -ზე ქვემოთ ჩამოდის. ვნახოთ, რატომ ხდება ასე. გაიხსენოთ, რომ ჩვენი ქვეყანა გადადის ღვინოს წარმოებაზე, როდესაც $P_C/P_W < a_{LC}/a_{LW}$ ასევე უცხოეთი გადადის ღვინოს წარმოებაზე, როდესაც $P_C/P_W < a^*_{LC}/a^*_{LW}$. 2-2 ტოლობის შესახებ მსჯელობის დასაწყისში ჩვენ დაეუშეთ, რომ $a_{LC}/a_{LW} < a^*_{LC}/a^*_{LW}$ ასე რომ, როდესაც ყველის შესადარი ფასი a_{LC}/a_{LW} -ზე ქვემოთ დაიწევს, მსოფლიო უარს იტყვის ყველის წარმოებაზე.

გრაფიკი 2-3 მსოფლიო შესადარი მიწოდება და მოთხოვნა



RD მრუდი გვიჩვენებს, რომ ყველზე მოთხოვნა ღვინოსთან შედარებით ყველის ფასის კლებადი ფუნქციაა ღვინოს კლებად ფუნქციასთან შედარებით, ხოლო RS მრუდი გვიჩვენებს, რომ ყველის მიწოდება ღვინოსთან მიმართებაში არის იმავე შესადარი ფასის მზარდი ფუნქცია

მეორე, როდესაც ყველის შესადარი ფასი P_C/P_W ზუსტად a_{LC}/a_{LW} ტოლია, ვიცით, რომ მუშებს ჩვენ ქვეყანაში შეუძლიათ ერთნაირად მოიგონ როგორც ყველის, ასევე ღვინოს წარმოებით. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა ეცდება, გამოუშვას იმ ორი საქონლის ნებისმიერი შესადარი რაოდენობა, რომელიც ქმნის მიწოდების მრუდის პორიზონტალურ ნაწილს.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ თუ $P_C/P_W < a_{LC}/a_{LW}$ -ს შემთხვევაში, ჩვენი ქვეყანა დაიწყებს ყველის წარმოებას. თუ $P_C/P_W < a^*_{LC}/a^*_{LW}$, უცხოეთი გააგრძელებს ღვინოს წარმოებას. ჩვენი ქვეყანა იწყებს ყველის წარმოებას L/a_{LC} რაოდენობით. ასევე უცხოეთი იწყებს L^*/a^*_{LW} რაოდენობის ღვინოს წარმოებას. ყველის ნებისმიერი შესადარი ფასის დროს, a_{LC}/a_{LW} -სა და a^*_{LC}/a^*_{LW} -ს შორის აღნიშნული საქონლის შესადარი მიწოდება იქნება:

$$(L/a_{LC}) / (L^*/a^*_{LW}) \quad (2-4)$$

როცა $P_C/P_W = a^*_{LC}/a^*_{LW}$ -ს, ვიცით, რომ უცხოეთის მუშებისათვის სულერთია, ყველს აწარმოებენ თუ ღვინოს. ასე რომ, მიწოდების მრუდის ნაწილი ისევე პორიზონტალური იქნება.

და ბოლოს, $P_C/P_W > a^*_{LC}/a^*_{LW}$ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანაც და უცხოეთიც დაიწყებს ყველის წარმოებას. შეწყდება ღვინოს წარმოება და ყველის შესადარი მიწოდება უსასრულოდ გაგრძელდება.

შესადარი მოთხოვნის RD მრუდს არ სჭირდება ასეთი ამომწურავი ანალიზი. ქვემოთ დაქანებელი RD მრუდი ასახავს ჩანაცვლების ეფექტს. როდესაც ყველის შესადარი ფასი იზრდება, მომხმარებლები ნაკლებ ყველს და მეტ ღვინოს შეისყიდებიან; ე.ი. ყველზე შესადარი მოთხოვნა ეცემა.

ყველის წონასწორული შესადარი ფასი აღინიშნება მიწოდებისა და შესადარი მოთხოვნის მრუდების გადაკვეთაზე. 2-3 გრაფიკი გვიჩვენებს შესადარი მოთხოვნის RD მრუდს, რომელიც კვეთს RS მრუდს (1) წერტილში, სადაც ყველის შესადარი ფასი თავსდება ორი ქვეყნის წინასაყაჭრო ფასებს შორის. ასეთ

შემთხვევაში თითოეული ქვეყანა იწყებს იმ საქონლის წარმოებას, რომელშიც მას ფარდობითი უპირატესობა აქვს: ჩვენი ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ ყველს, უცხოეთი – მხოლოდ ღვინოს.

რა არის ამ დასკვნის მნიშვნელობა? თუ ყველის შესადარი ფასი უტოვდება მის ალტერნატიულ ხარჯს ჩვენ ქვეყანაში, მის ეკონომიკას არ დასჭირდება არც ღვინოს, არც ყველის წარმოება. ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყანა უნდა აწარმოებდეს ორივეს: ცოტა ღვინოს და ცოტა ყველს, რაც გრაფიკში აღინიშნება წერტილზე (2). ამას ეასკენით იქიდან, რომ ყველის შესადარი მიწოდება (Q წერტილი პორიზონტალურ ღერძზე) ნაკლებია, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ქვეყანა მთლიანად იქნებოდა ამ საქმით დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში ღვინოსთან მიმართებაში P_c/P_w ყველის წარმოების ალტერნატიული ხარჯის ქვემოთ მდებარეობს, უცხოეთი მაინც მთლიანად გადადის ღვინოს წარმოებაზე. ქვეყანა გადადის იმ საქონლის წარმოებაზე, რაშიც მას შედარებით უპირატესობა აქვს.

დაეუწყათ, რომ ერთ-ერთი ამ ორი ქვეყნიდან არ არის სრულად სპეციალიზებული დასახელებული საქონლის წარმოებაში. ასეთ შემთხვევაში ვაჭრობის შედეგი იქნება ის, რომ სავაჭრო საქონლის (ყველი) ფასი მეორე საქონელთან (ღვინო) შეფარდებით ჩერდება ამ ორი ქვეყნის წინასწავაჭრო დონეებს შორის.

შესადარი ფასების დაახლოების ეფექტი არის ის, რომ თითოეული ქვეყანა სპეციალდება იმ საქონლის წარმოებაში, რომელშიც მას აქვს შედარებით დაბალი შრომის დანახარჯები ერთეულ პროდუქტიაზე. ყველის შესადარი ფასის ზრდა გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა გადავა ყველის ინტენსიურ წარმოებაზე, რაც აღინიშნება F წერტილში 2-1 გრაფიკზე. უცხოეთში ყველის შესადარი ფასის დაცემა გამოიწვევს იმას, რომ უცხოეთი ღვინოს წარმოებას მიუბრუნდება და წარმოების დონე დაფიქსირდება F^* წერტილში 2-2 გრაფიკზე.

ვაჭრობიდან მიღებული მოგება

ჩვენ დავინახეთ, რომ ქვეყნები, რომელთა მრეწველობების შესადარი შრომის მწარმოებლურობა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ოსტატებიან სხვადასხვა საქონლის წარმოებაში; ორივე ქვეყანა იღებს მოგებას ვაჭრობიდან ამ სპეციალიზაციის ფარგლებში. ეს ურთიერთმოგება შესაძლოა გამოვიყენოთ ორი ალტერნატიული გზის დემონსტრირებისათვის:


პირველი გზა სპეციალიზაციისა და ვაჭრობის მომგებიანობის საჩვენებლად არის ის, რომ უნდა განვიხილოთ ვაჭრობა, როგორც წარმოების არაპირდაპირი მეთოდი. ჩვენ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს უშუალოდ ღვინო, მაგრამ უცხოეთთან ვაჭრობა საშუალებას აძლევს 'აწარმოოს' ღვინო არაპირდაპირ – ანუ ყველი დაამზადოს და გაყიდოს ღვინოს შესაძენად. ერთი გაღონი ღვინოს 'წარმოების' ეს არაპირდაპირი მეთოდი უფრო ეფექტურია, ვიდრე პირდაპირი წარმოება. განვიხილოთ სამუშაო საათების გამოყენების ორი შესაძლებლობა. ერთი მხრივ, ჩვენ ქვეყანას შეუძლია გამოიყენებინა ერთი საათი პირდაპირ, რათა ეწარმოებინა $1/a_{Lw}$ გაღონი ღვინო. და პირიქით, მასვე ერთი საათის გამოყენებით შეუძლია ეწარმოებინა $1/a_{Lc}$ გირვანქა ყველი. ამ ყველს შემდეგ გაიყიდიდა ღვინოში – 1 გირვანქა $P_c/P_w < a_{Lc}/a_{Lw}$ გაღონზე. ასე რომ, ჩვენი პირველი სამუშაო საათი მოიგებს $(1/a_{Lc}) (P_c/P_w)$ გაღონ ღვინოს. ეს იქნება უფრო მეტი, ვიდრე ერთ საათში წარმოებული ღვინო, რადგან

$$\begin{aligned} \text{ან} \quad & (1/a_{Lc}) (P_c/P_w) > 1/a_{Lw} \\ & P_c/P_w > a_{Lc}/a_{Lw} \end{aligned} \quad (2-5)$$

მაგრამ ეს-ესაა ენახეთ, რომ საერთაშორისო წონასწორობის პირობებში თუ არც ერთი ქვეყანა ერთდროულად არ აწარმოებს ორივე საქონელს, უნდა გექონდეს $P_c/P_w > a_{Lc}/a_{Lw}$. ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ქვეყანას შეუძლია პირდაპირ წარმოებაზე უფრო ეფექტური გზა მოიპოვოს – დაამზადოს და გაყიდოს ყველი, შემდეგ შეიძინოს ღვინო. ასევე უცხოეთს შეუძლია ღვინოს წარმოებით და გაყიდვით უფრო მეტი ყველი იყიდოს. ეს არის ერთი გზა, თუ როგორ იღებს ორივე ქვეყანა.

მეორე გზა, რაც ნათელყოფს ვაჭრობიდან ურთიერთმოგებას, არის ის, რომ დავაკვირდეთ, როგორ გავლენას ახდენს ვაჭრობა თითოეული ქვეყნის მოხმარების შესაძლებლობაზე. ვაჭრობის არარსებობის პირობებში მოხმარებისა და საწარმოო შესაძლებლობები ერთი და იგივეა (PF და P^*F^* 2-4 გრაფიკზე). ვაჭრობის პირობებში თითოეულ ეკონომიკას შეუძლია მოიხმაროს მის მიერ უკვე წარმოებული ყველისა და ღვინოს ნაკრებისაგან განსხვავებული ამ ორი საქონლის ნაკრები. ჩვენი ქვეყნის მოხმარების შესაძლებლობები გამოისახება TF მრუდით 2-4ა გრაფიკზე, უცხოეთის მოხმარებისა აღინიშნება T^*F^* მრუდით 2-4ბ გრაფიკზე. თითოეულ შემთხვევაში ვაჭრობამ გაზარდა არჩევანის შესაძლებლობა.

გრაფიკი 2-4 ვაჭრობის პირობებში მოხმარების შესაძლებლობათა ზრდა



საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლებლობას აძლევს ჩვენსა და უცხო ქვეყანას მოიხმაროს FPT ან E*P*T* ნებისმიერ სამკუთხედებში, რომლებიც ქვეყნების წარმოების შესაძლებლობათა გარეთ მდებარეობენ.

ციფრობრივი მაგალითი

ამ ნაწილში ვიყენებთ ციფრობრივ მაგალითს, რათა უკეთესად გავიგოთ ორი მთავარი საკითხი:

როცა ორი ქვეყანა სპეციალდება იმ საქონლის წარმოებით, რომელშიც მას ფარდობითი უპირატესობა აქვს, ორივე ნახულობს მოგებას ვაჭრობიდან. ფარდობითი უპირატესობა არ უნდა აგვერიოს აბსოლუტურ უპირატესობაში. ფარდობითი და არა აბსოლუტური უპირატესობა განსაზღვრავს, ვინ უნდა აწარმოოს საქონელი.

უტკვთ, ჩვენი ქვეყანისა და უცხოეთის ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს წარმოგვიდგენს 2-2 ცხრილი.

ცხრილი 2-2 ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯი

	ყველი	ღვინო
ჩვენი ქვეყანა	$a_{LC} = 1$ სთ. გირვანქაზე	$a_{LW} = 2$ სთ. გირვანქაზე
უცხოეთი	$a^*_{LC} = 6$ სთ. გირვანქაზე	$a^*_{LW} = 3$ სთ. გირვანქაზე

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის ერთეულ საქონელს აქვს უფრო დაბალი შრომის დანახარჯები და უფრო მაღალი შრომის მწარმოებლურობა მრეწველობის ორივე დარგში.

ყურადღება გავამახვილოთ ვაჭრობის სტრუქტურას. პირველად უნდა განვსაზღვროთ ყველის შესადარი ფასი P_L/P_W . რადგანაც რეალური შესადარი ფასი დამოკიდებულია მოთხოვნაზე, ის უნდა მდებარეობდეს ორ ქვეყანაში ყველის წარმოების ალტერნატიულ ხარჯებს შორის. ჩვენ ქვეყანაში იქნება $a_{LC} = 1$, რადგანაც $a_{LW} = 2$, ე.ი. აქ ყველის ალტერნატიული ხარჯი ღვინის სახით არის $a_{LC}/a_{LW} = 1/2$, იგივე ხარჯი უცხოეთში იქნება, $a^*_{LC} = 6$; $a^*_{LW} = 3$; ე.ი. ყველის ალტერნატიული ხარჯი უდრის 2. მსოფლიო წონასწორობის პირობებში ყველის შესადარი ფასი უნდა მდებარეობდეს ორივე ქვეყნის წარმოებათა შეფასებებს შორის. ჩვენი მაგალითში ვუშვებთ, რომ მსოფლიო წონასწორობის პირობებში ერთი გირვანქა ყველით შეიძლება ვიყიდოთ ერთი გალიონი ღვინო ($P_L/P_W = 1$).

თუ ერთი გირვანქა ყველი გაიყიდება იმავე ფასად, როგორც ერთი გალიონი ღვინო, ორივე ქვეყანა ერთნაირად შეუძლებს მათ წარმოებას. ჩვენ ქვეყანას ერთი გირვანქა ყველის საწარმოებლად დასჭირდება ნახევარჯერ მეტი კაც-საათი, ვიდრე ეს საჭიროა ერთი გალიონი ღვინისათვის. მუშები მოიგებენ მეტს ყველის წარმოებით და ჩვენი ქვეყანაც დასპეციალდება ამ პროდუქტით. პირიქით, უცხოეთში ერთი გირვანქა ყველის დასამზადებლად ორჯერ მეტი კაც-საათია საჭირო, ვიდრე ერთი გალიონი ღვინის საწარმოებლად. რითაც აქაურ მუშებს შეუძლიათ მოიგონ მეტი და უცხოეთი დასპეციალდება ღვინის წარმოებაში.

ნათელია, რომ სპეციალიზაციის ეს სტრუქტურა იძლევა მოგებას ვაჭრობიდან. პირველად გვინდა ვახელოთ, რომ ჩვენ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს ღვინო უფრო მომგებიანად – ყველი დაამზადოს და გაყიდოს იგი ღვინოს საყიდლად, ვიდრე პირდაპირ აწარმოოს იგი. ასეთ დროს აქაური მუშა საათში მხოლოდ 1/2 გალონი ღვინოს გამოუშვებს. იგივე საათი რომ გამოყენებულყო ერთი გირვანქა ყველის მისაღებად, რომელიც შემდეგ გაიყიდებოდა ერთ გალონი ღვინოდ, ნათელია, რომ ჩვენი ქვეყანა მოგებას მიიღებდა ამ ვაჭრობიდან. ასევე უცხოეთს შეუძლია გამოიყენოს ერთი საათის შრომა 1/6 გირვანქა ყველისათვის მაშინ, როცა ერთი საათი სჭირდება 1/3 გალონი ღვინოს საწარმოებლად, რომელსაც შემდეგ გაყიდის 1/3 გირვანქა ყველის ფასად. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე ღირებულება, რომელსაც იღებს მოცემულ საათში ყველის პირდაპირი დამზადებით. ამ მაგალითის მიხედვით თითოეულ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს შრომა ორჯერ უფრო ეფექტურად, თუკი იგი იყიდის იმას, რაც სჭირდება, იმის სანაცვლოდ, რაც თვითონ უნდა აწარმოოს იმპორტისათვის.

შესადარი ხელფასები

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ პოლიტიკურ დისკუსიებში ხშირად ყურადღება მახვილდება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ხელფასების განაკვეთების შედარებაზე. მაგალითად, აშშ-სა და მექსიკას შორის ვაჭრობის ოპონენტები ხაზს უსვამენ იმას, რომ მუშები მექსიკაში საათში დაახლოებით 2 დოლარს იღებენ, იმავე სამუშაოს შესრულებაში აშშ-ს მუშა კი იღებს 15 დოლარს. ჩვენ ზემოთ მხოლოდ შევადარეთ ხელფასები ორ სხვადასხვა ქვეყანაში, ახლა შესაძლებლობა გვქვია, განვსაზღვროთ – როგორია ხელფასის ნორმა ორ ქვეყანაში.

ზემოთ მოტანილი მაგალითის მიხედვით, რადგანაც ქვეყნები უკვე დასპეციალდნენ, ჩვენ ქვეყანაში ყველა მუშა დასაქმებულია ყველის წარმოებაში და იღებს ერთი გირვანქა ყველის დასამზადებლად საჭირო ერთი საათის შრომის ღირებულებას. ასევე, უცხოეთის მუშები აწარმოებენ ღვინოს და იღებენ ერთი გალონი ღვინოს საწარმოებლად საჭირო სამი საათის შრომის საფასურს (ერთ საათში 1/3 გალონი).

ეს რიცხვები რომ გადავიყვანოთ დოლარებში, უნდა ვიცოდეთ ყველისა და ღვინოს ფასები. ვთქვათ, ერთი გირვანქა ყველისა და ერთი გალონი ღვინოს ფასი 12 - 12 დოლარია; ჩვენი ქვეყნის მუშები მიიღებენ 12 დოლარს საათში, უცხოეთის მუშები – 4 დოლარს საათში. მუშების შესადარი ხელფასი იქნება ის რაოდენობა, რომელსაც ერთი ქვეყნის მუშას უხდინან ერთ საათში, შეფარდებულს იმავე რაოდენობასთან, რომელსაც იმავე დროში მეორე ქვეყანაში იღებენ. ჩვენი ქვეყნის შესადარი ხელფასი იქნება 3 (სამჯერ მეტი უცხოეთის მუშების ანაზღაურებაზე).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ხელფასის ეს განაკვეთი მდებარეობს ორი ქვეყნის მრეწველობათა მწარმოებლურობის მანუვრებელთა შორის. ყველის წარმოებით ჩვენი ქვეყანა 6-ჯერ უსწრებს უცხოეთს, ხოლო ღვინოს წარმოებით მხოლოდ – 1.5-ჯერ; ამის გამო ხელფასის განაკვეთი სამჯერ მეტია, ვიდრე უცხოეთში. ე.ი. შესადარი ხელფასი არის მწარმოებლურობის იმ დონეზე შორის, რომელსაც თითოეული ქვეყანა აღწევს ერთ საქონელზე თვითღირებულების უპირატესობით. დაბალი ხელფასის განაკვეთის გამო, უცხოეთს აქვს თვითღირებულების უპირატესობა ღვინოში, მიუხედავად იმისა, რომ დაბალი მწარმოებლურობა ახასიათებს. ჩვენი ქვეყანა ფლობს თვითღირებულების უპირატესობას ყველის წარმოებაში, მიუხედავად მაღალი ხელფასის განაკვეთისა, რადგან უფრო მაღალი ხელფასი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ანაზღაურება უფრო მაღალი მწარმოებლურობით.

ახლა განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე მარტივი – რიკარდოს ერთფაქტორიანი მოდელი, რომელიც სრულად ეფუძნება საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზებსა და შედეგებს, მაგრამ მისი გამოყენებით შესადარი შრომის მწარმოებლურობაზე ყურადღების გამახვილება გამოგვაადგება საერთაშორისო ვაჭრობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ერთფაქტორიან მარტივ მოდელს მიუყავართ ზოგად მცდარ აღქმასთან, რომელიც ეხება ფარდობითი უპირატესობისა და თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული მოგების ბუნებას. ასეთი კონცეფცია ხშირად გვხვდება საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის განხილვისას. შემდეგ ნაწილში ვეცდებით, შევეხოთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მცდარ კონცეფციებს ფარდობითი უპირატესობის შესახებ, ოღონდ ჩვენი მოდელის კრილიში.

ზარლობითი უპირატესობასთან არასწორი აღქმა

ეკონომიკაში საკმაოდ ხშირია გაუგებარი მოსაზრებანი. პოლიტიკოსები, მეწარმენი და ეკონომისტებიც კი აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც ვერ უძლებენ ეკონომიკურ ანალიზს. განსაკუთრებით ეს ეხება საერთაშორისო ეკონომიკას. გადაშალეთ ყოველკვირეული ექრნალ-გაზეთები და აკვირდებლად ნახავთ ერთ სტატიას მაინც სულელური განცხადებებით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით გავრცელებულია სამი სახის მცდარი აღქმა და ჩვენი მარტივი მოდელი გისვენებთ, რატომ არის ის არასწორი.

მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანობა

გამონაგონი პირველი: თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მხოლოდ მაშინ, თუ თქვენი ქვეყანა იმდენად ძლიერია, რომ გაუძლებს უცხოურ კონკურენციას. ეს არგუმენტი საკმაოდ დაძაჯერებლად უნდა იქნებოდეს. მაგალითად, ცნობილმა ისტორიკოსმა ამასწინათ გააკრიტიკა თავისუფალი ვაჭრობა და ასეთი კითხვა დასვა: 'რა მოხდება, თუ თქვენ არ შეგიძლიათ აწარმოოთ რაიმე უფრო იაფად ან უფრო კარგად, ვიდრე ის იწარმოება სადმე სხვაგან; მხოლოდ გამუდმებით უნდა ამციროთ შრომის დანახარჯები?'

ამ შეხედულების ნაკლი ის არის, რომ მას არ ესმის რეკარდოს მოდელის შემდეგი მთავარი ასრი: ვაჭრობიდან მოგება დამოკიდებულია უფრო მეტად ფარდობით და არა აბსოლუტურ უპირატესობაზე. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თქვენს ქვეყანას არ შეუძლია აწარმოოს რაიმე უფრო უფრო კარგად, ვიდრე ვინმე სხვას – ე.ი. არ აქონდეს აბსოლუტური უპირატესობა რაიმე წარმოებაში. რატომაა ეს ასე საგანგაშო? ვაჭრობის ჩვენს მარტივ ციფრულ მაგალითში ჩვენ ქვეყანას აქვს უფრო დაბალი შრომის დანახარჯები ერთეულ პროდუქტთან და აქედან გამომდინარე უფრო მაღალი მწარმოებლურობა როგორც ლეინის, ასევე ყველის წარმოებაში. როგორც ზემოთ ენახეთ, ორივე ქვეყანამ მოიგო ვაჭრობიდან.

შეიძლება დაეუშვათ, რომ საქონლის ექსპორტირების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა თქვენს ქვეყანას აბსოლუტური უპირატესობა მწარმოებლურობაში. მაგრამ ასეთ მანევრებლები სხვა ქვეყნებთან შედარებით არ არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ სახეზე იყოს ამ საქონლის ფარდობითი უპირატესობა. იმის მიზეზი, თუ მრეწველობაში აბსოლუტური მწარმოებლურობის უპირატესობა რატომ არ არის აუცილებელი კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ჩვენს ერთფაქტორიან მოდელში ნათლად არის წარმოდგენილი: მრეწველობის კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მის მწარმოებლურობაზე უცხოეთის მრეწველობასთან შედარებით, არამედ ადგილობრივი ხელფასის განაკვეთის შეფარდებაზეც უცხოეთის ხელფასის განაკვეთთან. ხელფასის განაკვეთი თავის მხრივ დამოკიდებულია შესაძარ მწარმოებლურობაზე ქვეყნის სხვა მრეწველობებში. ზემოთ მოცემულ ციფრულ მაგალითში, უცხოეთი ლეინის წარმოების პროფილით ნაკლებ უფროსია, ვიდრე ჩვენი ქვეყანა. ამიტომ, თავისი ყოველსიმომცველი დაბალი მწარმოებლურობის გამო უცხოეთმა უნდა გასცეს უფრო დაბალი ხელფასები, ვიდრე ჩვენმა ქვეყანამ. ასევე, პორტუგალია (აშშ-სთან შედარებით, დაბალმწარმოებლურობით ხასიათდება, ვთქვათ, ტანსაცმლის წარმოებაში, მაგრამ რადგანაც პორტუგალიის სხვა მრეწველობებში საერთო მწარმოებლურობის დონე უფრო არასახარბიელოა და ხელფასებიც უფრო დაბალი, მას მაინც აქვს ფარდობითი უპირატესობა ტანსაცმლის წარმოებაში.

მაგრამ დაბალ ხელფასებზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა გაუმართლებელი ხომ არ არის? ბევრი ასეც ფიქრობს; მათი ეს რწმენა განხილულია არასწორი კონცეფციის მეორე მაგალითში.

ლატაკი მუშის მტკიცება

გამონაგონი მეორე. უცხოეთის კონკურენცია, როდესაც ის ეფუძნება დაბალ ხელფასებს, არასამართლიანია და ზიანს აყენებს სხვა ქვეყნებს. ეს ასრი ხშირად განიხილება, როგორც ლატაკი მუშის მტკიცება; იგი პოპულარულია მუშათა კავშირებში, რომლებიც ცდილობენ, დაიცვან თავი უცხოეთის კონკურენციისაგან. ამ მტკიცების მიმდევარნი ირწმუნებიან, რომ მრეწველობებს არ უნდა აქონდეთ კავშირი უცხოეთის ისეთ მრეწველობებთან, რომლებიც ნაკლებ უფროსია არიან და იხდიან დაბალ ხელფასებს. ეს თეალსასრისი ფართოდაა გავრცელებული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ელფერიც შეიძინა. 1993 წელს როს პეროტი – მილიონერი და ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატი, ირწმუნებოდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა აშშ-სა და მექსიკას შორის, ამ უკანასკნელის გაცილებით დაბალი ხელფასების გამო, გამოიწვევს 'სლიერ, მაგრამ ფუჭ ხმაურს', რადგან აშშ მრეწველობა უკვე სამხრეთით ინაცულებს. იმავე წელს ჯეიმს გოდსმითმა, მილიონერმა, ეროპარლამენტის წევრმა, მსგავსი შეხედულებანი შემოგვთავაზა თავისი წიგნში 'ხაფანგი', რომელიც ბესტსელერად იქცა საფრანგეთში.

და ისევე ამ მტკიცების შეცდომას ამხელს ჩვენი მარტივი მაგალითი, რომლის მიხედვითაც, ორივე მრეწველობაში ჩვენი ქვეყანა უფრო მწარმოებლურია, ვიდრე უცხოეთი, სადაც ლეინის წარმოების დაბალი ფასი მთლიანად გამოწვეულია მისი გაცილებით დაბალი ხელფასის განაკვეთით. ასეთი განაკვეთი შეუსაბამოა შეკითხვასთან: აქვს თუ არა ჩვენი ქვეყანას მოგება ვაჭრობიდან? პასუხის გასაცემად მნიშვნელობა აღარ აქვს, უცხოეთში წარმოებული ლეინის დაბალი ღირებულება გამოწვეულია თუ არა მაღალი მწარმოებლურობით და დაბალი ხელფასებით. ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მომგებიანი იქნება ის, რომ უფრო იაფი საკუთარი სამუშაო ძალით აწარმოოს ყველი და გაყიდოს ის ლეინოსე, ვიდრე თეითონ დაამზადოს ლეინი.

მაგრამ ეს პროცესი მომგებიანია თუ არა უცხოეთისათვისაც? განა უცნაური არ არის, დაამყარო ექსპორტირება დაბალ ხელფასებზე? რა თქმა უნდა, ეს არ არის მისაღები, მაგრამ თავად ასრი, რომ ვაჭრობა კარგია მაშინ, თუ იგი მაღალ ხელფასებს განაპირობებს, ბოლომდე მცდარია.

ექსპლოატაცია

გამონაგონი სამი: ვაჭრობა ექსპლოატაციას უწევს ქვეყანას და აუარესებს მის მდგომარეობას, თუ მისი მუშები იღებენ გაცილებით დაბალ ხელფასებს, ვიდრე მსგავსი მუშები სხვა ქვეყნებში. ეს მტკიცება უფრო ემოციურებით არის დატვირთული. მაგალითად, ერთმა მიმომხილველმა ტანსაცმლის საწარმოების მთავარი აღმასრულებლის 2 მლნ შემოსავალი დაუპირისპირა 0.56 დოლარს საათში, რომელსაც იღებს ამ საწარმოებში მომუშავე მუშა. ძნელია, მაღალ ანაზღაურებასთან გაათანაბრო მეტი სმეტად დაბალი ხელფასები, რომელსაც მსოფლიოს მუშების უმეტესობას უხდია.

თავისუფალი ვაჭრობის საჭიროებაზე მსჯელობისას მთავარია, ის კი არ ვეკითხოთ – იმსახურებენ თუ არა დაბალხელფასიანი მუშები მეტ ხელფასს, არამედ: უარესია თუ არა, რომ მათმა ქვეყანამ აწარმოოს ექსპორტი დაბალი ხელფასების პირობებში, ვიდრე იმ ხელფასების პირობებში, რაც ექნებოდათ მუშებს, თუ ეს ქვეყანა უარს იტყოდა მონაწილეობა მიეღო ე.წ. დამამცირებელ ვაჭრობაში. არ დაგვაიწუდეს ასეთი კითხვაც: არსებობს კი ალტერნატივა? ჩვენი ციფრობრივი მაგალითი ხაზს უსვამს, რომ არავინ იცის დაბალი ხელფასები იწვევს თუ არა ექსპლოატაციას მანამ, სანამ სახეზე არ იქნება ალტერნატივა. ამ მაგალითის მიხედვით, უცხოეთის მუშებს უხდიათ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მუშებს – ამის გამგონე მიმომხილველი, ადვილად წარმოსადგენია, რა გაბრაზებით წერს დაჩაგრული მუშების ექსპლუატაციის შესახებ. თუ უცხოეთი უარს იტყოდა 'ექსპლუატირებელი' ყოფილიყო და არ დათანხმდებოდა ჩვენ ქვეყანასთან ვაჭრობას (ან მოითხოვდა გაცილებით მაღალ ხელფასებს თავისი ექსპორტის სექტორში, რასაც იგივე ეფექტი ექნებოდა), რეალური ხელფასები უფრო დაბალიც კი იქნებოდა: მუშის საათობრივი ხელფასის მსყიდველობითი უნარი 1/3-დან 1/6 გირვანკა ყველის ფასამდე დაეცემოდა.

მიმომხილველს, რომელმაც ერთმანეთთან დააპირისპირა მეწარმისა და მუშის ხელფასები და ერთობ აღშფოთებული იყო მუშების სიღარიბის გამო, უნდა ესმოდეს, რომ ექსპორტისა და ვაჭრობის უარყოფით უფრო მეტი საღარიბისათვის გაწირავდა მისგან შებრალებულ მუშებს.

ფარდობითი უპირატესობა მრავალსაქონლიანი მოდელით

ჩვენს მიერ წარმოდგენილ მოდელში მოცემულია ორი სახის საქონლის წარმოება და მოხმარება. გამარტივებული ანალიზი საშუალებას იძლევა, შევხვთ ფარდობითი უპირატესობისა და ვაჭრობის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს. რეალობასთან დასაახლოებლად აუცილებელია გავიგოთ, როგორ ფუნქციონირებს ფარდობითი უპირატესობა მოდელში, რომელშიც ორსე მეტი საქონელია.

მოდელის შედგენა

ისევე ჩვენი ქვეყანა და უცხოეთი. როგორც აღრე, თითოეულს აქვს წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორი (შრომა) და უცდება, აწარმოოს N რაოდენობის სხვადასხვა საქონელი. თითოეულ საქონელს 1-დან N-მდე აღვნიშნავთ.

ქვეყნის ტექნოლოგია შეიძლება აღწერილი იქნას თითოეული საქონლის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომის მიხედვით, ე.ი. სამუშაო საათების რაოდენობა, რომელიც საჭიროა მოცემული საქონლის ერთი ერთეულის საწარმოებლად. ჩვენ ქვეყანაში კონკრეტული საქონლის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომას აღვნიშნავთ – a_L , სადაც i არის რაოდენობა, რომელიც დაუწესეთ ამ საქონელს. თუ ყველი არის საქონელი ნომერი 7, a_{L7} იქნება ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომა ყველის წარმოებაში. ჩვენი წესის მიხედვით, უცხოეთის ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯს აღვნიშნავთ შემდეგნაირად – a^*_L .

ვაჭრობის გასაანალიზებლად კიდევ ერთ ხერხს მივმართავთ. შეგვიძლია გამოვითვალოთ a_L/a^*_L , ანუ ჩვენი ქვეყნის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომის შეფარდება უცხოეთის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯულ შრომასთან. ხერხი მდგომარეობს შემდეგში: აღვნიშნოს საქონელი ისე, რომ რაც უფრო დაბალია რიცხვი, მით უფრო დაბალი უნდა იყოს შეფარდება. საქონელს შემდეგი რიგითობით ვაღვსავთ:

$$a_{L1}/a^*_{L1} < a_{L2}/a^*_{L2} < a_{L3}/a^*_{L3} < \dots < a_{LN}/a^*_{LN} \quad (2-6)$$

შესადარი ხელფასები და სპეციალიზაცია

ახლა მსად ვართ, განვიხილოთ ვაჭრობის სტრუქტურა, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ხელფასების შეფარდებაზე. რადგანაც ვიცით, როგორია ეს შეფარდება, შეგვიძლია განვსაზღვრო – ვინ რას აწარმოებს.

ჩვენ ქვეყანაში ხელფასების ნორმა ერთ საათზე აღვნიშნით w-ით, ხოლო უცხოეთისა, როგორც w^* . მაშინ

ხელფასების ნორმების შეფარდება იქნება w/w^* . მსოფლიო წარმოების განვითარების წესი შემდეგშია: საქონელი ეოველთვის იწარმოება იქ, სადაც ყველაზე იაფია მისი წარმოება. რაკი, i საქონლის წარმოების ფასი არის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომა გამრავლებული ხელფასის ნორმაზე, ნუნ ქვეყანაში i საქონლის წარმოება ეღირება wa_{Li} . იმავე საქონლის წარმოების ღირებულება უცხოეთში იქნება $w^*a^*_{Li}$. უფრო იაფი დაჯდებოდა საქონლის წარმოება ნუნ ქვეყანაში თუ,

$$wa_{Li} < w^*a^*_{Li},$$

რომელიც შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირადაც:

$$a^*_{Li} > w/w^*$$

მორე მხრივ, უფრო იაფი იქნებოდა საქონლის წარმოება უცხოეთში, თუ

$$wa_{Li} > w^*a^*_{Li}$$

რომელიც შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირადაც:

$$a^*_{Li} / a_{Li} < w/w^*$$

ამგვარად, შეგვიძლია განვსაზღვროთ განთავსების წესი: ნებისმიერი საქონელი, რომლისთვისაც $a^*_{Li}/a_{Li} > w/w^*$, იწარმოება ნუნ ქვეყანაში, ხოლო ნებისმიერი საქონელი, რომლისთვისაც $a^*_{Li}/a_{Li} < w/w^*$, წარმოებული იქნება უცხოეთში.

ნუნ უკვე დავალაგეთ საქონელი a_{Li}/a^*_{Li} -ის სრლის თანმიმდევრობით (ტოლობა 2-6). სპეციალისაციის ეს კრიტერიუმი გვინუნებს, რომ 'კლება' ხდება იმ რიგში, რომელიც განისაზღვრება ორი ქვეყნის ხელფასების განაკვეთის შეფარდებით w^*/w . ყველა საქონელი ამ 'კლების' მარცხნივ, ანერებს წარმოებას ნუნ ქვეყანაში, ხოლო მარჯვნივ მოცემული ყველა საქონელი შეანერებს წარმოებას უცხოეთში (შესაძლებელია, ხელფასების განაკვეთის შეფარდება უტოლდებოდეს ერთი საქონლის ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომას. ასეთ შემთხვევაში საქონელი შეიძლება იწარმოებოდეს ორივე ქვეყანაში).

2-3 ცხრილი გვთავაზობს ციფრობრივ მაგალის, რომელშიც ნუნ ქვეყანაც და უცხოეთიც მოიხმარუნ და აქეთ შესაძლებლობა, აწარმოონ 5 სახის საქონელი: ეაშლი, ბანანი, ფინიკი, ხიზილალა და საწებელა.

ცხრილი 2-3 ნუნ ქვეყანასა და უცხოეთის ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯი

საქონელი	ნუნ ქვეყნის a_{Li}	უცხოური ქვეყნის a^*_{Li}	ადგილობრივი მწარმოებლურობის უპირატესობა (a^*_{Li}/a_{Li})
ეაშლი	1	10	10
ბანანი	5	40	8
ხიზილალა	3	12	4
ფინიკი	6	12	2
საწებელა	12	9	0.75

ცხრილის მესამე სვეტში წარმოდგენილია უცხოეთისა და ნუნ ქვეყნის ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯთა ერთერთ შეფარდება; რაც გვინუნებს ნუნ ქვეყნის შესადარი მწარმოებლურობის უპირატესობას თითოეული საქონლის წარმოებაში. დაენომრეთ საქონელი ნუნ ქვეყანაში მწარმოებლურობის უპირატესობის თანმიმდევრობით – ედიდესი უპირატესობა აღინიშნება ეაშლის და უმცირესი – საწებელას დამსაღებაში.

რომელი ქვეყანა რა საქონელს აწარმოებს, დამოკიდებულია მათი ხელფასების განაკვეთის შეფარდებაზე. ნუნ ქვეყანას უქნება ფასის უპირატესობა ნებისმიერი საქონლისათვის. რადგანაც მისი შესადარი მწარმოებლურობა უფრო მაღალია, ეიდრე მისი შესადარი ხელფასი, ხოლო უცხოეთის უპირატესობა სხვა დანარსუნში გამოეღინდება. თუ, მაგალითად, ნუნ ქვეყნის ხელფასის განაკვეთი 5-ჯერ მეტია უცხოურზე (მოცემული ხელფასების შეფარდება არის 5-1-თან), ეაშლისა და ბანანის წარმოება ნუნ ქვეყანაში ხელსაერულია, ხოლო ხიზილალის, ფინიკისა და საწებელასი – უცხოეთში. თუ ამ უკანასკნელის ხელფასის განაკვეთზე 3-ჯერ მეტია ნუნ ქვეყანაში ფიქსირებული ანაზღაურება, ეს უკანასკნელი აწარმოებს ეაშლს, ბანანსა და ხიზილალას, ხოლო უცხოეთი მხოლოდ ფინიკსა და საწებელას.

არის თუ არა ასეთი სპეციალისაცია მომგებიანი ორივე ქვეყნისათვის. ამას დავინახავთ იმავე მეთოდის საშუალებით, რაც უკვე გამოიყენეთ, რაცა ვახილაგდით უშუალოდ ქვეყანაში საქონლის წარმოებისათვის ქვ

სამუშაო ძალის ხარჯის შეფარდებას იმ სამუშაო ძალის ხარჯებთან, რომელიც არაპირდაპირ 'აწარმოებს' მას ე.ი. სხვა საქონელს ამზადებს და ყიდის სასურველ საქონელზე. თუ ჩვენი ქვეყნის ხელფასის განაკვეთი სამჯერ მეტია უცხოეთისაზე, პირველი მიმართავს ფინიკსა და საწებელის იმპორტს. ერთი ერთეული ფინიკის წარმოება მოითხოვს თორმეტ ერთეულ უცხოეთის სამუშაო ძალას, მაგრამ მისი ღირებულება ჩვენ ქვეყანაში სამუშაოს ძალის სახით მოცემულია შეფარდებით – სამი ერთთან; ეს იქნება მხოლოდ 4 კაც-საათი (12/3). 4 კაც-საათის ღირებულება ნაკლებია, ვიდრე 6 კაც-საათისა, რომელიც მას დასჭირდებოდა ფინიკის საწარმოებლად ჩვენ ქვეყანაში. საწებელისათვის უცხოეთს რეალურად აქვს უფრო მაღალი მწარმოებლურობა უფრო დაბად ხელფასთან ერთად; ერთი ერთეული საწებელის შექმნა ვაჭრობის გზით ჩვენ ქვეყანას დაუჯდება მხოლოდ 3 კაც-საათი მაშინ, როცა მის ადგილობრივად წარმოებას დასჭირდებოდა თორმეტი კაც-საათი. მსგავსი გამოთვლები გვისჩვენებს, რომ ორივე ქვეყანა იგებს; უცხოეთის იმპორტის თითოეული საქონელი უფრო იაფი აღმოსნდება სხვა საქონლის სანაცვლოდ ყიდვით, ვიდრე ადგილობრივ წარმოებით. მაგალითად, ერთეული ვაშლის საწარმოებლად საჭირო იქნებოდა უცხოეთის მეშა – ძალის ათი საათი; ჩვენი ქვეყნის მეშის 1/3 ხელფასის განაკვეთის პირობებშიც კი უცხოეთს დასჭირდება 3 საათის შრომა ჩვენი ქვეყნის ერთი ერთეული ვაშლის შესაძენად. აქედან გამომდინარე უბრალოდ დაეუშვით, რომ შესადარი ხელფასის ნორმა არის 3. რეალურად როგორ ხდება შესადარი ხელფასის განაკვეთის განსაზღვრა?

შესადარი ხელფასის განსაზღვრა მრავალსაქონლიანი მოდელით

ორსაქონლიანი მოდელით ჩვენ განვსაზღვრეთ შესადარი ხელფასები: ჯერ გამოეთვალეთ ჩვენი ქვეყნის ხელფასები ყველის დანახარჯების მიხედვით და უცხოეთის ხელფასები ღვინის დანახარჯების მიხედვით, შემდეგ ყველის ფასის ღვინის ფასთან შეფარდებით გამოვიყენებთ ორი ქვეყნის ხელფასის განაკვეთის პროპორცია. ვინ რა უნდა აწარმოოს, განისაზღვრება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვეცოდინება შესადარი ხელფასის განაკვეთი. მრავალსაქონლიან ეკონომიკაში ხელფასის განსაზღვრისათვის საქონელზე მოთხოვნა უნდა შევადაროთ სამუშაო ძალაზე ნაკლებს მოთხოვნას. ეს არის არა მომხმარებელთა ნაწილის პირდაპირი, არამედ წარმოქმნილი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს თითოეული ქვეყნის სამუშაო ძალის მიერ წარმოებულ საქონელზე მოთხოვნიდან.


როდესაც დასახელებული ორი ქვეყნის ხელფასების პროპორცია გაიზრდება, ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალაზე შესადარი წარმოქმნილი მოთხოვნა შემცირდება ორი მიზეზის გამო: პირველი, თუ აქ სამუშაო ძალა უფრო გაძვირდება უცხოეთის სამუშაო ძალასთან შედარებით, წარმოებული საქონლის ფასებიც შედარებით მოიმატებს და მსოფლიო მოთხოვნა ამ საქონელზე შემცირდება. მეორე, თუ ჩვენ ქვეყანაში ხელფასები გაიზრდება, აქ უფრო ნაკლები საქონლის წარმოებას ექნება ადგილი, ვიდრე უცხოეთში; ამის გამო გაგრძელდება ჩვენ ქვეყანაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება.

ჩვენ შეგვიძლია ნათელყოთ ეს ორ ეფექტი ციფრებითი მაგალითის გამოყენებით. ვიწყებთ შემდეგი სიტუაციით: დასაწიქისში ჩვენი ქვეყნის ხელფასი არის 3.5-ჯერ მეტი უცხოეთის ხელფასთან შედარებით და ამ დონეზე აწარმოებს ვაშლს, ბანანსა და ხიზილალას; უცხოეთს რჩება ფინიკისა და საწებელი გამოშვება. თუ ჩვენი ქვეყნის შესადარი ხელფასი გაიზრდება 4-მდე (ყოქვათ, 3.99-მდე), სპეციალიზაციის სტრუქტურა არ შეიცვლება. მაგრამ თუ ჩვენ ქვეყანაში წარმოებული საქონელი შედარებით გაძვირდება, ამ საქონელზე შესადარი მოთხოვნა შემცირდება ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალაზე შესადარ მოთხოვნასთან ერთად.

ვთქვათ, შესადარი ხელფასები ოდნავ უნდა გაიზარდოს – 3.99-დან 4.01-მდე. ჩვენ ქვეყანაში ეს პროცესი გამოიწვევს გადაადგილებას სპეციალიზაციის სტრუქტურაში. იმის გამო, რომ ახლა უფრო იაფია ხიზილალის წარმოება უცხოეთში, ვიდრე ჩვენ ქვეყანაში, სპეციალიზაცია გადაინაცვლებს ერთი ქვეყნიდან მეორეში. რას ნიშნავს ეს ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალაზე შესადარი მოთხოვნისათვის? ეს გულისხმობს შემდეგს – როდესაც შესადარი ხელფასი იზრდება 4-ზე ცოტა ნაკლებიდან 4-ზე ცოტა მეტამდე, შესადარ მოთხოვნაში აღინიშნება უცაბედი ვარდნა; ჩვენ ქვეყანაში ხიზილალის წარმოება ნელა დაეკუმს, ხოლო, უცხოეთი დაიწყებს მის დამზადებას. თუ შესადარი ხელფასი განაგრძობს ზრდას, ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალაზე შესადარი მოთხოვნა თანდათან შემცირდება და შესადარი ხელფასის (8) გამო ბანანის წარმოება გადაინაცვლებს უცხოეთში.

შესადარი ხელფასი განსაზღვრულია 2-5 გრაფიკში. 2-3 გრაფიკისაგან განსხვავებით, ამ გრაფიკის მრუდებზე აღინიშნება საქონლის შესადარი რაოდენობა და საქონლის შესადარი ფასები. სანაცვლოდ ამისა, ის გვიჩვენებს სამუშაო ძალის შეფარდებით რაოდენობასა და შესადარი ხელფასის განაკვეთს. ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალაზე მსოფლიო მოთხოვნის შეფარდება უცხოეთის მუშახელზე მოთხოვნასთან მოცემულია RD მრუდით. ჩვენი ქვეყნის მუშახელის შეფარდება უცხოეთის მუშახელთან ნაჩვენებია RS მრუდით.

გრაფიკი 2-5 შესადარი ხელფასის განსაზღვრა



რიკარდოს მრავალსაქონლიან მოდელში შესადარი ხელფასები განსაზღვრულია სამუშაო ძალის წარმოებული შესადარი მოთხოვნის RD მრუდისა და RS შესადარი მიწოდების გადაკვეთაზე.

სამუშაო ძალის შესადარი მიწოდება განისაზღვრება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სამუშაო ძალის შეფარდების ზომით. თუ დავეშვებით, რომ ხელმისაწვდომი კაც-საათების რაოდენობა არ იცვლება ხელფასებთან ერთად, შესადარი ხელფასი გაეღვენას ვერ მოახდენს სამუშაო ძალის შესადარ მიწოდებაზე და RS იქნება ვერტიკალური ხაზი. მუშახელზე შესადარი მოთხოვნის შესახებ ჩვენი მსჯელობა ხსნის RD მრუდის 'საფეხურებრივ' ფორმას. როდესაც ვზრდით ჩვენი ქვეყნის მუშების ხელფასის განაკვეთს უცხოეთის მუშების ხელფასთან შეფარდებით, ჩვენი ქვეყნის წარმოებულ საქონელსა და მუშახელზე მოთხოვნა ერთდროულად მცირდება. ამავე დროს მუშახელზე შესადარი მოთხოვნა უცბად დაეცემა. როგორც კი ჩვენ ქვეყანაში შესადარი ხელფასის ზრდა გააიფარებს ამ საქონლის წარმოებას უცხოეთში. ასე რომ, მრუდის ნაწილი იცვლება – ქვემოთ დაქანდება, აქ კი სპეციალიზაციის სტრუქტურა უცვლელია და მრუდიც პორიზონტალურია, რაკი შესადარი მოთხოვნა უცბად გადაადგილდება სპეციალიზაციის სტრუქტურაში მომხდარი განაწილებების გამო. როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები, ტეხილი მრუდის ეს პორიზონტალური ხაზები შეესაბამება შესადარ ხელფასებს, რომელიც ათანაბრებს ჩვენი ქვეყნის მწარმოებლებს უცხოეთთან თითოეული სემთო ჩამოთვლილი ხუთი საქონლისათვის.

წონასწორული შესადარი ხელფასის ნიშნულები აღინიშნება RD და RS მრუდების გადაკვეთის ადგილებზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, წონასწორული შესადარი ხელფასი არის სამი. ამ ხელფასის პირობებში ჩვენი ქვეყანა აწარმოებს ვაშლს, ბანანსა და ხიხილას, უცხოეთი – ფინიკსა და საწებლას. შედეგი დამოკიდებულია ქვეყნების შეფარდებით ზომასზე (რაც განსაზღვრავს RS მრუდის მდებარეობას) და საქონელზე შესადარ მოთხოვნასზე (რაც ნიშნავს RD მრუდის ტეხილ ფორმასა და მდებარეობას).

დამატებითი სატრანსპორტო ხარჯები და არასავაჭრო საქონელი

ახლა გაეფართოვებთ ჩვენს მოდელს რეალობასთან მიახლოებული კიდევ ერთი საფეხურით და განვიხილავთ სატრანსპორტო ხარჯების ეფექტს. სატრანსპორტო ხარჯები არ ცვლის ფარდობითი უპირატესობის ფუნდამენტურ პრინციპებს ან მოგვას ვაჭრობიდან. იმის გამო, რომ აღნიშნული ხარჯები ზღუდავს საქონლისა და მომსახურების განეთარებას, მას მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მსოფლიო ვაჭრობაზე გაეღვენას ახდენს ისეთი სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა უცხოეთის დახმარება, საერთაშორისო ინვესტირება, საგადასხდლო ბალანსი. ჩვენი მრავალსაქონლიანი და ერთფაქტორიანი მოდელი გამოგვადგება იმისათვის, რომ გავეცნოთ სატრანსპორტო ხარჯების ეფექტს.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მოდელით აღწერილ მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებს უკიდურესი სპეციალიზაცია. მოდელის მიხედვით, თუ ერთ საქონელს ორივე ქვეყანა აწარმოებს, სამაგიეროდ დანარჩენ საქონელზე ან ჩვენი ქვეყანა სპეციალდება, ან უცხოეთი (და არა ორივე ერთდროულად).

არსებობს სამი მიზეზი, რაც ხელს უშლის რეალურ საერთაშორისო ეკონომიკაში უკიდურეს სპეციალიზაციის:

1. ერთზე მეტი საწარმოო ფაქტორის არსებობა ამცირებს სპეციალიზაციის ტენდენციას (როგორც ამას მომდევნო ორ თავში ვნახავთ).
2. ქვეყნები ხანდახან იცავენ მრეწველობებს უცხოეთის კონკურენციისაგან (განხილულია 8-11 თავებში);

3. საქონლისა და მომსახურების ტრანსპორტირება ძვირია (ხოგჯერ იმდენად ღიძია, რომ იგი საკმარისია სოგიერთი სამრეწველო ღირებულების დასაფინანსებლად).

მრავალსაქონლიანი მოდელის მაგალითში აღმოვაჩინეთ, რომ შესაძარი ხელფასის (3) პირობებში ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება აწარმოოს ვაშლი, ბანანი და ხისილალა უფრო იაფად, ვიდრე უცხოეთმა, რომელიც თავის მხრივ აწარმოებს ფინიკსა და საწებელას უფრო იაფად, ვიდრე ჩვენი ქვეყანა. **სატრანსპორტო ხარჯების არარსებობის პირობებში ჩვენი ქვეყანა ეწევა პირველი სამი საქონლის ექსპორტს და უცხოეთი კი – ორი საქონლის იმპორტს.**

დაეუშვათ, საქონლის სატრანსპორტო ხარჯები არის საწარმოო ღირებულების 100%. ეს ხელს შეუშლის ვაჭრობას. მაგალითად, ჩვენ ქვეყანაში ფინიკის ერთი ერთეულის საწარმოებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალის 6 საათი ან უცხოეთის სამუშაო ძალის 12 საათი. როდესაც შესაძარი ხელფასი 3-ის ტოლია, აღნიშნული 12 საათი უტოლდება ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალის 4 საათს; ტრანსპორტირების ხარჯების არარსებობის პირობებში ჩვენი ქვეყანა ეწევა ფინიკის იმპორტს. 100%-იანი ტრანსპორტის ხარჯის დროს მის მიერ ფინიკის იმპორტირება გაუტოლდება სამუშაო ძალის 8 საათს. ასე რომ, ეკეთესი გზაა – ჩვენი ქვეყანამ თვითონ აწარმოოს ეს საქონელი.

სატრანსპორტო ხარჯების შემოტანამ ჩვენს მაგალითში გვიჩვენა შემდეგი: სანამ ჩვენ ქვეყანას ისევე გააქვს ვაშლი და ბანანი ექსპორტის სახით და შემოაქვს საწებელა იმპორტის სახით, ხისილალა და ფინიკი იტყვევება არასავაჭრო საქონლად, ანუ მას თითოეული ქვეყანა თავისთვის თვითონვე შექმნის.

სატრანსპორტო ხარჯები ყველა სექტორის საწარმოო ხარჯის ნაწილია. პრაქტიკაში სატრანსპორტის ხარჯები ფართო სექტორითაა წარმოდგენილი. სოგ შემთხვევაში საქონლის ან მომსახურების ტრანსპორტირება შეუძლებელია, თუნდაც ისეთი, როგორცაა თმის შეჭრა და ავტომობილის შეკეთება, არ შეიძლება გახდეს საერთაშორისო ვაჭრობის საგანი. ასევე ძალიან მცირე ადგილი უკავია საერთაშორისო ვაჭრობაში ისეთ საქონელს, როგორცაა ცემენტი (ტრანსპორტირებისათვის ხარჯების გაღება არც ღირს, რადგან მისი წარმოება ყველგან იაფია).

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები თავიანთი შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავენ არასაწარმოო საქონელზე. ამ საკითხს შევხებით შემოსავლის საერთაშორისო ტრანსფერებისა (თავი 5) და საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკების განხილვისას.

ეკონომიკური ფაქტები რიკარდოს მოდელის შესახებ

საერთაშორისო ვაჭრობის რიკარდოს მოდელი დაგვაფიქრებს ვაჭრობის გამომწვევ მიზეზებზე და იმაზე, თუ რა გავლენა აქვს მას ქვეყნის კეთილდღეობას; ან როგორ მიუერთება ეს მოდელი რეალურ მსოფლიოს; აკეთებს თუ არა იგი რეალური საერთაშორისო ვაჭრობის იმიოქცევის ზესტ პროგნოზს?


რიკარდოს მოდელის პროგნოზირება შეიძლება არასწორი გამოდგეს რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, როგორც არასავაჭრო საქონელთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რიკარდოს მარტივი მოდელის მიხედვით, მოსალოდნელია უკიდურესი სპეციალიზაცია, მაგრამ მას რეალურ სამყაროში ვერ ვხვდებით. მეორე, რიკარდოს მოდელით საერთაშორისო ვაჭრობა გაკლენას არ ახდენს შემოსავლის განაწილებაზე ქვეყნის შიგნით, მაგრამ ვარაუდობს, რომ ქვეყნები მოლიანობაში ყოველთვის ნახელობენ მოგებას ვაჭრობიდან; პრაქტიკულად კი, საერთაშორისო ვაჭრობა ძლიერ გაკლენას ახდენს შემოსავლის განაწილებაზე. (იხ. თავი 3). მესამე, რიკარდოს მოდელი არ აღიარებს ვაჭრობაში ქვეყნებს შორის რესურსების განსხვავების როლს და აქედან გამომდინარე, ხელიდან უშვებს ვაჭრობის სისტემის მნიშვნელოვან ასპექტს (იხ. თავი 4). დაბოლოს, რიკარდოს მოდელი უარყოფს ვაჭრობაში მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომიის როლს, რაც აუხსნელს ტოებს დიდ ზავაჭრო დინებებს მსგავს ქვეყნებს შორის (იხ. თავი 6). მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, რიკარდოს მოდელის ძირითადი პროგნოზი, რომ ქვეყნებმა უნდა აწარმოონ იმ საქონლის ექსპორტი, რომელშიც მათი მწარმოებლურობა შედარებით მაღალია, დადასტურდა მრავალწლიანი კვლევის შედეგად.

რიკარდოს მოდელის გამოცდა განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მონაცემების გამოყენებით: შედარებული იქნა ბრიტანეთისა და ამერიკის მწარმოებლურობა და ვაჭრობა. თითქმის ყველა სექტორში ბრიტანეთის სამუშაო ძალის მწარმოებლურობა ნაკლები იყო, ვიდრე ამერიკისა. აქედან გამომდინარე, ამერიკას ჰქონდა აბსოლუტური უპირატესობა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის ყოველმომცველი ექსპორტების მოცულობა ისეთივე იყო, როგორც ამერიკისა. მიუხედავად თავისი დაბალი აბსოლუტური მწარმოებლურობისა, ალბათ, არსებობდა სოგიერთი სექტორი, სადაც ბრიტანეთი შედარებითი უპირატესობით ხასიათდებოდა. რიკარდოს მოდელის მიხედვით, ეს იქნებოდა ის სექტორები, სადაც ამერიკის მწარმოებლურობის უპირატესობა ყველაზე მცირე იყო.

2-6 გრაფიკი ეყრდნობა რიკარდოს მოდელს, რომელშიც გამოყენებულია მონაცემები ცნობილი უნგრელი ეკონომისტის ბელა ბალაჩას ნაშრომიდან (1963 წელი). გრაფიკში 1951 წელს ამერიკაში ბრიტანეთის ექსპორტის წილი შედარებულია ბრიტანეთში სამუშაო ძალის მწარმოებლურობასთან 26 სამრეწველო საწარმოს

მაგალითზე. მწარმოებლურობის შეფარდება იზომება პორიზონტალურ ღერძზე, ექსპორტის შეფარდება კი ვერტიკალურ ღერძზე. ორივე ღერძს აქვს ლოგარითმული მასშტაბი, რომლის საშუალებითაც ნათელ სურათს მივიღებთ.

გრაფიკი 2-6 მწარმოებლურობა და ექსპორტი



შედარებითა კვლევა გვიჩვენა, რომ აშშ-ს ექსპორტი უფრო მაღალი იყო ბრიტანეთის ექსპორტიდან შედარებით იმ მრეწველობებში, სადაც აშშ-ს უფრო მაღალი შრომის შესაღარი მწარმოებლურობა გააჩნდა. თითოეული წერილი აღნიშნავს სხვადასხვა მრეწველობას.

რიკარდოს მოდელის მიხედვით, რაც უფრო მაღალია შესაღარი მწარმოებლურობა ამერიკის მრეწველობაში, მით უფრო მეტია მისი ექსპორტი, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. ამას გვიჩვენებს 2-6 გრაფიკიც, რომლის მონაცემები ადასტურებს, რომ ვაჭრობა დამოკიდებულია ფარდობითი და არა აბსოლუტურ უპირატესობაზე. გრაფიკის მიხედვით, აშშ-ს მრეწველობას გაცილებით მაღალი – საშუალოდ ორჯერ მეტი შრომის მწარმოებლურობა ახასიათებდა, ვიდრე ბრიტანეთის მრეწველობას. ყველაზე გაერცვლებულ მცდარ კონცეფციას, რომ ქვეყანას შეუძლია იყოს კონკურენტული მხოლოდ მაშინ, თუ მას შეუძლია მიესადაგოს სხვა ქვეყნების მწარმოებლურობას, მოკეცება იმის პროგნოზი, რომ აშშ-ს აქვს ექსპორტის უპირატესობა საკუთარ სასაღერებს მიღმა. რიკარდოს მოდელი გვიჩვენებს, რომ უცხოეთთან შედარებით, საკუთარ მრეწველობაში მაღალი მწარმოებლურობის პირობებში არ არის საკმარისი, ქვეყანამ შეეძლოს თავისი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტირება; შესაღარი მწარმოებლურობა უნდა იყოს მაღალი შეფარდებით სხვა სექტორების მწარმოებლურობასთან. აშშ-ს მწარმოებლურობამ გადააჭარბა ბრიტანეთისას 26 სექტორში (2-6 გრაფიკში აღნიშნულია წერტილებით), სასაღერები მერყეობს 11 - 36%-მდე. 12 სექტორში ბრიტანეთი რეალურად ეწეოდა უფრო მეტ ექსპორტს, ვიდრე აშშ. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ აშშ-ს ექსპორტი აჭარბებს დიდი ბრიტანეთის ექსპორტს მხოლოდ იმ მრეწველობებში, სადაც აშშ-ს მწარმოებლურობის უპირატესობა 2-1-თან შეფარდებაზე მეტი იყო.

მსოფლიო ვაჭრობის ზრდა და ეროვნული ეკონომიკის სპეციალიზაცია ნიშნავს, რომ არ გვექნება შესაძლებლობა დაეინახოთ, რომელი ქვეყნებია წარუმატებელი. 1990-იან წლებში ქვეყნები ხშირად არ აწარმოებდნენ საქონელს, რომელშიც მათ არ ჰქონდათ ფარდობითი უპირატესობა, ასე რომ, არ არსებობს გზა მათი მწარმოებლურობის გაზომვისათვის ამა თუ იმ სექტორში. მაგალითად, ბევრი ქვეყანა არ უშვებს თვითმფრინავებს, ამიტომაც არ არსებობს მონაცემები, რათა შეფასდეს ერთეული თვითმფრინავის წარმოებაზე დახარჯული შრომა. ქვეყნებს შორის შრომის მწარმოებლურობაში განსხვავება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ვაჭრობის განსაზღვრაში. ასეთი დიდნი განსხვავებები არსებობს ქვეყნებს შორის და მრეწველობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მწარმოებლურობის განსხვავებების საფუძველზე ხდება. მაგალითად, ერთი გამოკედევიდან დადგინდა, რომ 1990 წელს შრომის საშუალო მწარმოებლურობა იაპონიის მრეწველობაში 20-ით დაბალი იყო, ვიდრე აშშ-ში. მაგრამ ავტომობილებისა და ავტონაწილების მრეწველობაში იაპონიის წარმატება 16-დან 24%-მდე იყო გაზრდილი, ვიდრე აშშ-ში. ამით აიხსნება იაპონიის მანქანების მიღწევი ექსპორტი აშშ-ში. აშკარაა, ვაჭრობის სტრუქტურა უბრალოდ აირეკლავს აბსოლუტურ უპირატესობას. იაპონიას აქვს ყველაზე მაღალი მწარმოებლურობა და არის მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორი. ფარდობითი უპირატესობის პრინციპი შეიძლება ნათლად ეჩვენოს ტანსაცმლის მსოფლიო ვაჭრობით. აშშ-ს მსგავსად, განვითარებულ ქვეყნებს აქვთ უფრო მაღალი შრომის მწარმოებლურობა ტანსაცმლის გამოშვებაში, ვიდრე ახლად განვითარებულ ქვეყნებს; მექსიკას ან ჩინეთს. მაგრამ იმის გამო, რომ ტანსაცმლის წარმოების ტექნოლოგია შედარებით მარტივია, მწარმოებლურობის უპირატესობა წამყვან ქვეყნებში ტანსაცმლის წარმოებაში ნაკლებია, ვიდრე მათი უპირატესობა მრეწველობის ბევრ სხვა სფეროში. მაგალითად, 1992 წელს აშშ-ში საშუალო დონის მეშა 5-ჯერ უფრო მწარმოებლური იყო, ვიდრე ასეთვე მექსიკელი მეშა; მაგრამ ტანსაცმლის წარმოებაში აშშ-ს მწარმოებლურობის უპირატესობა მხოლოდ 50%-ს შეადგენდა. ამრიგად, ტანსაცმელი არის ექსპორტის მთავარი საგანი დაბალხელფასიანი ქვეყნებიდან მაღალხელფასიანი ქვეყნებისაკენ.

დასასრულს, ბევრ ეკონომისტს სჯერა, რომ რიკარდოს მოდელი სრულად აღწერს მსოფლიო ვაჭრობის მიწესებებსა და შედეგებს, და ეყრდნობა ორ პრინციპს – ქვეყნების მწარმოებლურობას შორის განსხვავება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობაში და რომ მნიშვნელობა აქვს უფრო შედარებითს, ვიდრე აბსოლუტურ უპირატესობას.

რეზიუმე

1. ჩვენ განვიხილეთ რიკარდოს უმარტივესი მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქვეყნებს შორის მწარმოებლურობითი განსხვავებები წარმოშობენ ვაჭრობას და შემდგომ – მისგან მოგებას. ამ მოდელით შრომა არ არის წარმოების ერთადერთი ფაქტორი და ქვეყნები განსხვავდებიან მხოლოდ შრომის მწარმოებლურობით მრეწველობების სხვადასხვა დარგებში.
2. რიკარდოს მოდელით, ქვეყნები მისდევენ საქონლის ექსპორტს, რომელსაც მათი სამუშაო ძალა შედარებით ეფექტურად აწარმოებს, და იმ საქონლის იმპორტს, რასაც მათი მიწახელი აწარმოებს არაეფექტურად. სხვა სიტყვებით, ქვეყნის წარმოების სტრუქტურა განისაზღვრება ფარდობით უპირატესობით.
3. თუ რა მოგება მოაქვს ქვეყნისათვის ვაჭრობას, ნაჩვენებია ორი გზით: პირველი, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ვაჭრობა, როგორც წარმოების არაპირდაპირი მეთოდი. ერთი სახეობის საქონლის ნაცვლად, ქვეყანას შეუძლია აწარმოოს მეორე სახის საქონელი და გაცვალოს ის სასურველ საქონელში. მარტივი მოდელი გვიჩვენებს, რომ საქონლის იმპორტირებისას არაპირდაპირი "წარმოება" მოითხოვს ნაკლებ შრომას, ვიდრე პირდაპირი წარმოება. მეორე, ვაჭრობა ზრდის ქვეყნის მოხმარების შესაძლებლობებს, რაც განპირობებულია ვაჭრობიდან მოგებით.
4. ვაჭრობიდან მოგების განაწილება დამოკიდებულია ქვეყნის მიერ წარმოებული საქონლის შესადარ ფასზე, რომლის განსაზღვრისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ შესადარი მსოფლიო მიწოდება მოთხოვნილ საქონელზე. შესადარი ფასი გულისხმობს შესადარი ხელფასის განაკვეთს მოსაზრება, რომ ვაჭრობა მომგებიანია, გაუმართაურია. ე.ი. არ არსებობს მოთხოვნა, რომ ქვეყანა იყოს "კონკურენტული" ან, რომ ვაჭრობა იყოს "სამართლიანი". კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებული სამი ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისი არ არის სწორი. პირველი, ქვეყანა მოგებას ნახულობს ვაჭრობიდან მაშინაც კი, თუ მას აქვს უფრო დაბალი მწარმოებლურობა, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორს მრეწველობის ყველა დარგში. მეორე, ვაჭრობა მომგებიანია მაშინაც, თუ უცხოეთის მრეწველობები კონკურენტულია მხოლოდ დაბალი ხელფასების გამო. მესამე, ვაჭრობა მომგებიანია მაშინაც, თუ ქვეყნის ექსპორტს სჭირდება მეტი შრომა, ვიდრე მის იმპორტს.
6. ერთფაქტორიანი, ორსაქონლიანი მოდელის მისადაგება ბევრ საქონელზე არ ცვლის ამ დასკვნებს. ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ აუცილებელი ხდება, ყურადღება გავამახვილოთ მიწახელის შესადარ მოთხოვნასზე, რათა განვსაზღვროთ შესადარი ხელფასები საქონელზე შესადარი მოთხოვნის საშუალებით. ასევე მრავალსაქონლიანი მოდელის გამოყენება შეიძლება იმ მნიშვნელოვანი საკითხის ილუსტრირებისათვის, რაც ტრანსპორტის ხარჯებმა შეიძლება წამოკრას ზოგიერთ არასავაჭრო საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით.
7. იმ დროს, როდესაც რიკარდოს მოდელის "სოცი პროცენტო" არარეალურია, მისი მთავარი პროცენტო – რომ ქვეყნები აწარმოებენ იმ საქონლის ექსპორტს, რომელშიც მათ შედარებით მაღალი მწარმოებლურობა აქვთ – ხანგრძლივმა კვლევამ დაადასტურა.

პირითაღი ტერმინები

აბსოლუტური უპირატესობა

წარმოქმნილი მოთხოვნა

ზოგადი თანაფარდობის ანალიზი

ალტერნატიული ხარჯები

ლატაკი მუშის მტკიცება

შესადარი მოთხოვნის მრედი

შესადარი ხელფასები

ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯი

ფარდობითი უპირატესობა

მოგება ვაჭრობიდან

არასავაჭრო საქონელი

ნაწილობრივი თანაფარდობის ანალიზი

წარმოების შესაძლებლობათა სღვარი

შესადარი მიწოდების მრედი

რიკარდოს მოდელი

პითხვები

1. ჩვენ ქვეყანას აქვს ხელმისაწვდომი 1 200 შრომის ერთეული. მას შეუძლია აწარმოოს ორი საქონელი: ვაშლი და ბანანი. ერთეულ პროდუქციაზე დახარჯული შრომა ვაშლის წარმოებაში არის 3, ბანანის წარმოებაში – 2.
 - ა) დახარჯეთ ჩვენი ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა სღვარი; ბ) როგორია ვაშლის ალტერნატიული ღირებულება ბანანის სახით? გ) ვაჭრობის პირობებში რა იქნება ვაშლის ფასი ბანანის სახით? რატომ?
2. არსებობს მეორე ქვეყანაც – უცხოეთი, 800 სამუშაო ერთეულით. უცხოეთის შრომითი დანახარჯები

- ერთეულ პროდუქციაზე ვაშლის წარმოებაში არის 5, ხოლო ბანანისა – 1. ა) დახაზეთ უცხოეთის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი; ბ) შეადგინეთ მსოფლიო მიწოდების შესადარი მრედი.
3. დაეუქვათ, რომ მსოფლიო შესადარ მოთხოვნას აქვს შემდეგი ფორმები: მოთხოვნა ვაშლზე/მოთხოვნა ბანანზე = ბანანის ფასი/ვაშლის ფასი. ა) დახაზეთ შესადარი მოთხოვნის და შესადარი მიწოდების მრედი; ბ) როგორია ვაშლის წონასწორული შესადარი ფასი; გ) აღწერეთ ვაჭრობის სტრუქტურა; დ) აჩვენეთ, რომ ორივე ქვეყანა ნახულობს მოგებას ვაჭრობიდან.
 4. ვთქვათ, 1 200 მეუშის ნაცვლად ჩვენ ქვეყანას პყავს 2 400 მეუშა. იპოვეთ წონასწორული შესადარი ფასი. რა შეკიდლიათ თქვათ მსოფლიო წარმოების ეფექტურობაზე და ვაჭრობიდან მოგების განაწილებაზე ამ ორ ქვეყანას შორის ამ შემთხვევაში?
 5. ვთქვათ, ჩვენ ქვეყანას პყავს 2 400 მეუშა, მაგრამ ისინი ნახევრად მწარმოებლური არიან ორივე მრეწველობაში. ააგეთ მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდი და განსაზღვრეთ წონასწორული შესადარი ფასი. როგორ შეეაფარდებთ მოგებას ვაჭრობიდან იმ მოგებასთან, რომელიც აღწერილია მეოთხე შეკითხვაში?
 6. კორეელი მეუშები გამოიმეშავებენ მხოლოდ 2.50 დოლარს საათში; თუ ნებას დაერთავთ კორეას, გაიტანოს აშშ-ში იმდენი ექსპორტი, რამდენიც უნდა, ამერიკელი მეუშების რიცხვი შემცირდება. თქვენ ვერ შემოიტანთ 5 დოლარიანი პურანგს იმპორტის სახით იმ 2.50 დოლარიანი იქაური ხელფასის გარეშე, რომელიც მის გამოშვებას შეესაბამება. განიხილეთ.
 7. იაპონიის შრომის მწარმოებლურობა თითქმის იგივეა, რაც აშშ-ში მრეწველობის სექტორში (ზოგ მრეწველობაში უფრო მაღალი, ზოგში უფრო დაბალი), აშშ-ში კი მნიშვნელოვნად მწარმოებლურია მომსახურების სექტორი, მაგრამ მომსახურებათა უმეტესობა არასაეაჭროა. ზოგის აზრით, ეს პრობლემებს უქმნის აშშ-ს, რადგან მისი ფარდობითი უპირატესობა არის იმაში, რისი გაყიდვაც არ შეუძლია მსოფლიო ბაზარზე. რა არის არასწორი ამ მსჯელობაში?
 8. ყველა, ვინც ყოფილა იაპონიაში, იცის, რომ იქ ძალიან სიძვირეა; იაპონელი მეუშა გამოიმეშავებს დაახლოებით იმდენს, რამდენსაც მისი აშშ პარტნიორი, მათი შემოსავლის მსყიდველობითი უნარი არის 1/3. განაერცეთ თქვენი განხილვა მე-7 კითხვიდან.
 9. ის ფაქტი, რომ ბევრი საქონელი არასაეაჭროა, როგორ ახდენს გავლენას ვაჭრობიდან შესაძლო მოგების გაზრდაზე?
 10. ჩვენ ყურადღება გაეამახვილეთ ვაჭრობის შემთხვევაზე, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ორი ქვეყანა. ვთქვათ, ბევრი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია აწარმოოს ორი საქონელი და თითოეულ ქვეყანას აქვს მხოლოდ ერთი წარმოების ფაქტორი, შრომა. რას ვიტყოდით ვაჭრობის სტრუქტურაზე ასეთ შემთხვევაში? (სცადეთ, შეადგინოთ მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდი).

თავი 3

სპეციფიკური ფაქტორები და შემოსავლის განაწილება

როგორც მე-2 თავში ვნახეთ, საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლოა ურთიერთმომგებიანი გამოდგეს მასში ჩართული ქვეყნებისათვის. მთელი ისტორიის მანძილზე მთავრობები იცავდნენ საკუთარი ეკონომიკის სექტორს იმპორტის კონკურენციისაგან. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ აშშ მხარს უჭერს თავისუფალ ვაჭრობას, იგი ზღუდავს იმპორტს საფეიქრო ნაწარმზე, შაქარსა და სხვა საქონელზე. თუ ვაჭრობა ასე დადებითად მოქმედებს ეკონომიკაზე, რატომ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება მისი შედეგების თაობაზე? ვაჭრობის პოლიტიკის ასახსნელად აუცილებელია, გაეგოთ ვაჭრობის ეფექტი არა მთლიანად ქვეყანაზე, არამედ მისი გაქვინა უშუალოდ შემოსავლის განაწილებაზე ამ ქვეყნის შიგნით.

საერთაშორისო ვაჭრობის რიკარდოს მოდელი, რომელიც მე-2 თავში განვიხილეთ, ვაჭრობიდან მიღებული პოტენციური მოგების ნათელი მაგალითია. ამ მოდელის მიხედვით, ვაჭრობა იწვევს საერთაშორისო სპეციალიზაციას, რომლის დროსაც თითოეული ქვეყანა გადაანაცვლებს თავის სამუშაო ძალას იმ მრეწველობიდან, რომელშიც შრომა შედარებით არაეფექტურია, იმ მრეწველობაში, სადაც იგი უფრო ეფექტური იქნება. რადგან მოდელში შრომა ერთადერთი საწარმოო ფაქტორია, ეუშეებთ მის თავისუფალ გადაადგილებას ერთი მრეწველობიდან მეორეში ისე, რომ ინდივიდები არ დაზარალებიან ვაჭრობის გამო. რიკარდოს მოდელის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობით არა მარტო ქვეყნები იღებენ მოგებას, არამედ თითოეული ინდივიდიც იუმჯობესებს მდგომარეობას. თავად ვაჭრობა არ ახდენს შემოსავლის განაწილებას. მაგრამ რეალურად იგი მსოფლიოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლის განაწილებაზე ვაჭრობაში ჩაბმული თითოეული ქვეყნის შიგნით, თანაც ცნობილია, რომ ვაჭრობიდან მოგება ხშირად ძალიან არათანაბრად განაწილებული. საერთაშორისო ვაჭრობა თუ რატომ ახდენს ძლიერ გავლენას შემოსავლის განაწილებაზე, ამის ორი მიზეზი არსებობს: პირველი, რესურსები უცბად, დანახარჯის გარეშე ვერ გადაადგილდებიან ერთი წარმოებიდან მეორეში; მეორე, მრეწველობები განსხვავდებიან წარმოების ფაქტორებით. შერეული საქონლის წარმოებაში გადაადგილება ჩვეულებრივ გამოიწვევს ზოგიერთ საწარმოო ფაქტორზე მოთხოვნის შემცირებას, ზოგიერთზე გაზრდას. ამ ორივე მიზეზის გამო საერთაშორისო ვაჭრობა არც ისე მომგებიანია, როგორც ეს მე-2 თავში მოგვეჩვენა. მაშინ, როცა ვაჭრობამ შეიძლება სარგებელი მოუტანოს ქვეყანას როგორც მთლიანს, მანვე შეიძლება დააზარალოს გარკვეული ჯგუფები ქვეყნის შიგნით, ყოველ შემთხვევაში მოკლე პერიოდში მაინც.

განვიხილოთ იაპონიის ბრინჯის სავაჭრო პოლიტიკის შედეგები. ეს ქვეყანა მიმართავს ბრინჯის შეზღუდულ იმპორტს მიუხედავად იმისა, რომ მცირემიწიანობის გამო აქ მისი წარმოება ექსტენსიურია, ვიდრე სხვა ქვეყნებში (მათ შორის აშშ-ში). ისმის კითხვა: ექნება თუ არა იაპონიას, როგორც მთლიანს, ცხოვრების უფრო მაღალი დონე, თუ ბრინჯის თავისუფალ იმპორტს დაუშვებს, თუმცა თავისუფალი ვაჭრობა ძლიერ დაზარალებდა იაპონიის ბრინჯის მრეწველ ფერმერებს. ისინი ბრინჯის წარმოებიდან იმპორტით გამოდევნილი იაპონიის სრული დასაქმების პირობებში სამუშაოს სხვა მრეწველობაშიც ადვილად იშოვნიან, მაგრამ ეს ხარჯიანი და მოუხერხებელი იქნება. უფრო მეტიც, მიწის ღირებულება, რომელსაც ფერმერი ფლობს, ბრინჯის ფასთან ერთად დაეცემა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იაპონელი ბრინჯის მრეწველები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ბრინჯით თავისუფალ ვაჭრობას.

ვაჭრობის ანალიზი უნდა გასცდეს რიკარდოს მოდელს და მივიდეს იმ დონემდე, რომლის მიხედვითაც ვაჭრობა გავლენას მოახდენს შემოსავლის განაწილებაზე. ასეთ კონკრეტულ მოდელად წარმოვადგინოთ სპეციფიკური ფაქტორების მოდელი.

სპეციფიკური ფაქტორების მოდელი

სპეციფიკური ფაქტორების მოდელი განავითარეს პოლ სამუელსონმა და რონალდ ჯოუნმა. რიკარდოს მარტივი მოდელის მსგავსად, იგი ვარაუდობს ეკონომიკას, რომელიც აწარმოებს ორ საქონელს და თავისი სამუშაო ძალას ამ ორ სექტორს შორის განათავსებს. რიკარდოს მოდელისაგან განსხვავებით, სპეციფიკური ფაქტორების მოდელი უშეუბნებს შრომის გარდა სხვა საწარმოო ფაქტორების არსებობასაც. რადგანაც შრომა იწოდება **მოთხრობიერ ფაქტორად**, რომელმაც შეიძლება იმობრაოს სექტორებს შორის, დანარჩენ ფაქტორებს ეწოდათ **სპეციფიკური**, ე.ი. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ კონკრეტული საქონლის წარმოებაში.

მოდელის ვარაუდი

წარმოდგინეთ ეკონომიკა, რომელსაც შეეძლოა აწარმოოს ორი საქონელი: სამრეწველო და საკვები. წარმოების ერთი ფაქტორის ნაცვლად ქვეყანას აქვს სამი: შრომა (L), კაპიტალი (K) და მიწა (T – ტერას პირველი ასო). მრეწველობა აწარმოებს საქონელს კაპიტალისა და შრომის გამოყენებით (მაგრამ არა მიწის), ხოლო საკვები იწარმოება მიწისა და შრომის (და არა კაპიტალის) გამოყენებით. შრომა *მობილური* ფაქტორია და შეიძლება ორივე სექტორში გამოიყენოს, მიწა და კაპიტალი *სპეციფიკური* ფაქტორებია და მათი გამოყენება მხოლოდ ერთი რომელიმე საქონლის წარმოებაში შეიძლება.

თითოეული საქონლის რა რაოდენობას აწარმოებს ეკონომიკა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი კაპიტალი და შრომა იქნა გამოყენებული ამ სექტორში. ეს ურთიერთობა ჯამდება *საწარმოო ფუნქციით*, რაც გვინყენებს პროდუქციის რაოდენობას, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნას ნებისმიერი კაპიტალისა და შრომის დანახარჯებით. საწარმოო ფუნქცია სამრეწველო საქონელზე შეიძლება ასე გამოისახოს:

$$Q_M = Q_M(K, L_M), \tag{3-1}$$

Q_M არის ეკონომიკის მიერ გამოშვებული სამრეწველო საქონელი, K – ძირითადი კაპიტალი, L_M – მრეწველობაში დასაქმებული სამუშაო ძალა. ასევე შეგვიძლია საწარმოო ფუნქციით გამოვსახოთ საკვების წარმოება:

$$Q_F = Q_F(T, L_F), \tag{3-2}$$

სადაც Q_F არის ეკონომიკის მიერ გამოშვებული საკვები, T – გამოყენებული მიწა და L_F – კვების მრეწველობაში დასაქმებული სამუშაო ძალა. მთლიანად ეკონომიკისათვის დასაქმებული სამუშაო ძალა უნდა უდრიდეს მთლიანად სამუშაო ძალის მიწოდებას – L :

$$L_M + L_F = L,$$

რა არის სპეციფიკური ფაქტორი?

მოდელის მიხედვით, არსებობს წარმოების ორი ფაქტორი: მიწა და კაპიტალი, რომლებიც მიბმული არიან ეკონომიკის კონკრეტულ სექტორზე. მოწინავე ქვეყნებში ეროვნული შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. როდესაც ეკონომისტები იყენებენ სპეციფიკურ მოდელს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ ან საფრანგეთი, ისინი ფაქტორის სპეციფიკურობას განიხილავენ არა როგორც მუდმივ მდგომარეობას, არამედ როგორც დროის საკითხს. მაგალითად, კასრები, რომლებიც გამოიყენება ლუდის დუღილისათვის, და წნეხები ავტომობილების კორპუსების გასაკეთებლად, ერთმანეთს ვერ შეცვლიან, ამიტომაც ეს დანადგარები სპეციფიკურია. თანამედროვე მრეწველობა საშუალებას იძლევა ინვესტიციები მიჰმართოს ავტოქარხნებიდან ლუდის ქარხნებისაკენ და პირიქით. ხანგრძლივ პერიოდში როგორც კასრები ასევე წნეხები შეიძლება გაიყოს, როგორც ერთი მთლიანის ორი გამოვლინება, ანუ მობილური ფაქტორი, რომელსაც კაპიტალი ეწოდება.

პრაქტიკულად, განსხვავება სპეციფიკურ და მობილურ ფაქტორებს შორის არც ისე მკვეთრია. ეს უბრალოდ შეგუების სისწრაფის საკითხია – უფრო სპეციფიკურ ფაქტორებს მრეწველობებს შორის დისლოცირებისათვის შედარებით დიდი დრო სჭირდება.

რამდენად სპეციფიკურია წარმოების ფაქტორები რეალურ ეკონომიკაში? მუშებს, რომლებსაც აქვთ ზოგადი კვალიფიკაცია და არა სპეციალური ცოდნა, უფრო მობილურები არიან. კვლევაში გვინყენა, რომ როდესაც აშშ-ს აქვს ეკონომიკური სიძნელეები, მუშები ერთი შტატიდან მეორეში გადადიან; ამგვარად, სამუშაო ძალა ნაკლებად სპეციფიკურია, ვიდრე კაპიტალი. მეორე მხრივ, უფრო კვალიფიციური მუშები მეტად მიჯაჭვული არიან თავიანთ წარმოებას. ქირურგი შეიძლება გახდეს კიდევ კარგი მედიკოსი, მაგრამ შეწყვეტს კი იგი თავის კარიერას ცხოვრების შუაში?


წარმოების შესაძლებლობები

სპეციფიკური ფაქტორების მოდელი უშეუბნებს, რომ თითოეული სპეციფიკური ფაქტორი და მიწა შეიძლება გამოიყენებულ იქნას მხოლოდ ერთ სექტორში, მრეწველობაში ან საკვების წარმოებაში. შრომა კი გამოიყენება ორივე სექტორში; ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობების ანალიზისათვის უნდა ვიკითხოთ: როგორ იცვლება შერეული გამოშვება, როდესაც სამუშაო ძალა გადადის ერთი სექტორიდან მეორეში? ეს შეიძლება

გრაფიკულად გამოისახოს. ჯერ საწარმოო (3-1) და (3-2) ფუნქციები წარმოადგინოთ, შემდეგ კი მათი შეერთებით დაეხაზოთ წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი.


3-1 გრაფიკი გვიჩვენებს ურთიერთობას შრომის დანახარჯსა და სამრეწველო გამოშვებას შორის. რაც მეტია შრომის დანახარჯი მოცემული კაპიტალის პირობებში, მით მაღალი იქნება გამოშვება. გრაფიკში მრუდი $Q_M(K, L_M)$ წარმოადგენს შრომის ზღვრულ პროდუქტს; ეს არის დამატება გამოშვებაზე, რომელიც იქმნება კაც-საათების რაოდენობის გაზრდის შედეგად. თუ შრომის დანახარჯი დიდდება კაპიტალის ზრდის გარეშე, საქმე გვაქვს კლებად უკუგებასთან: ერთი მუშის დამატებით თითოეული მუშის კაპიტალი კლებულობს. ამიტომ მუშათა რაოდენობის ყოველი ასეთი ზრდა ნაკლებს და ნაკლებს შემატებს წარმოებას. კლებადი უკუგება აირეკლება საწარმოო ფუნქციაში: $Q_M(K, L_M)$, იგი დაქანებული მდგომარეობიდან უფრო პორიზონტალურ მდგომარეობაში გადადის, როცა ემოძრაობთ მარჯვნივ. ეს გვიჩვენებს, რომ შრომის ზღვრული პროდუქტის მრუდი მით უფრო იხრება, რაც უფრო მეტი მუშა გამოიყენება. 3-2 გრაფიკი გვიჩვენებს იმავე ინფორმაციას, ოღონდ სხვაგვარად, ამ გრაფიკში ჩვენ ვხაზავთ შრომის ზღვრულ პროდუქტს, როგორც დასაქმებული მუშახელის ფუნქციას (ამ თავის დანართში ვაჩვენებთ, რომ ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვემო არე წარმოადგენს მრეწველობის მთლიან გამოშვებას).

გრაფიკი 3-1 მრეწველობის საწარმოო ფუნქცია




რაც უფრო მეტი სამუშაო ძალაა გამოყენებული გადამამუშავებელ მრეწველობაში, მით მეტია გამოშვება. კლებადი უკუგების შედეგად, ნებისმიერი მომდევნო კაც/სთ. ზრდის გამოშვებას წინანდელზე ნაკლებად; ეს ნაჩვენებია იმ ფაქტით, რომ დანახარჯებისა და გამოშვების დამაკავშირებელი მრუდი უფრო პორიზონტალური ხდება დასაქმების მაღალ დონეზე.

გრაფიკი 3-2 შრომის ზღვრული პროდუქტი



შრომის ზღვრული პროდუქტი გადამამუშავებელ სექტორში, რომელიც 3-1 გრაფიკში ნაჩვენებია წარმოების ფუნქციის დახრილობის ტოლია, მისი უფრო დაბალია, რაც მეტ სამუშაო ძალას იყენებს სექტორი.



გადაამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის და საკვების წარმოება განისაზღვრება სამუშაო ძალის განაწილებით. ქვედა მარცხენა კვადრანტში სამუშაო ძალის განაწილება სექტორებს შორის მოცემულია AA მრუდზე, რაც წარმოადგენს გადაამუშავებელ და საკვებ მრეწველობაში შრომის დანახარჯების ექვივალენტ კომბინაციას, რომელიც ჯამდება L მთლიანი სამუშაო ძალის მიწოდებით. AA მრუდზე ნებისმიერი შესაბამისი წერტილი, ეთქვას, წერტილი (2) წარმოადგენს სამუშაო ძალის დანახარჯს გადაამუშავებელ (L^2) და საკვების (L^2) მრეწველობაში ქვედა მარცხენა და ზედა მარცხენა კვადრანტების მრუდები წარმოადგენს გადაამუშავებელი და საკვების მრეწველობის საწარმოო ფუნქციებს; ეს (Q_M^2 , Q_F^2) გამოშვების განსაზღვრის საშუალებას იძლევა მოცემული შრომის დანახარჯების პირობებში. ზედა მარცხენა კვადრანტში PP მრუდი გვიჩვენებს ორი საქონლის გამოშვების სხეობას, როცა სამუშაო ძალის განაწილება ხდება საკვებიდან გადაამუშავებელ მრეწველობაში 1, 2, 3 გამოშვების წერტილებით, რომლებიც შეესატყვისება 1, 2, 3 სამუშაო ძალის განთავსებას. კლებადი უკუკლების გამო PP მრუდი სწორის ნაცვლად რკალის ფორმას მიიღებს.

წველი გრაფიკი წარმოგიდგინებს საკვების საწარმოო ფუნქციას. ეს ორი ნახაზი შემდეგ შეიძლება გაერთიანდეს და აიგოს წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი ეკონომიკაში, როგორც ეს მოცემულია 3-3 გრაფიკში. როგორც ვნახეთ მე-2 თავში, წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი გვიჩვენებს იმას, რისი წარმოებაც შეუძლია ეკონომიკას; ამ შემთხვევაში იგივე ზღვარი გვიჩვენებს, რამდენი საკვების წარმოება შეუძლია მას მოცემული სამრეწველო გამოშვებისათვის.

3-3 გრაფიკის ორივე ნახაზი კვადრატის ფორმისაა. ქვემო მარცხენა კვადრატში მოცემულია მრეწველობის საწარმოო ფუნქცია, (იხ. 3-1 გრაფიკი). ქვემოთ, ევრტიკალური ღერძის ასწვრივ მოძრაობა გამოხატავს შრომის დანახარჯის ზრდას მრეწველობაში, ხოლო მოძრაობა მარცხნივ პორტიონალური ღერძის გასწვრივ წარმოადგენს მრეწველობის გამოშვების მატებას. ზემო მარცხენა კვადრატში საკვების შესაბამისი საწარმოო ფუნქცია გამოხატავს; მოძრაობა მარცხნივ პორტიონალური ღერძის გასწვრივ გამოხატავს შრომის დანახარჯის ზრდას საკვების წარმოებაში, ხოლო მოძრაობა ზემოთ - ევრტიკალური ღერძის აკოდებას საკვების გამოშვების მატებას.

ქვემო მარცხენა კვადრატ გვიჩვენებს სამუშაო ძალის განთავსებას ეკონომიკაში. ქვემოთ მოცემული მანევრებელი ოსონება სვეტლებრივი მიმართულების საწინააღმდეგოდ. ევრტიკალური ღერძის დაკოდებაზე მოძრაობა გამოხატავს მრეწველობაში დასაქმებული სამუშაო ძალის ზრდას, მარცხენა მხარეს პორტიონალური ღერძის გასწვრივ მოძრაობა კი კვების მრეწველობაში დასაქმებული სამუშაო ძალის გადიდებას. რადგან ზრდა დასაქმების ერთ სექტორში ხომარავს, რომ ნაკლები შრომა უსდება მეორეს, სამუშაო ძალის შესაძლო

განთავსებები გამოხატულია 45^o-იანი კუთხით ქვემოთ დაქანებული მრუდით – AA, ე.ი. მისი დაქანებაა -1. იმის სახეცნებლად, თუ რატომ არის ეს ხაზი სამუშაო ძალის შესაძლო განთავსების მანევრებელი, ყურადღება მიაკციეთ, რომ, თუ ყველა სამუშაო ძალა დაკავებული იქნება საკვების წარმოებაში, L_F გაუტოლდება L_S (როცა L_F ტოლი იქნება 0-ს). თუ სამუშაო ძალა თანდათანობით გადაადგილდება მრეწველობაში, თითოეული კაც-საათის მიმართობა გაზრდის L_M -ს ერთი ერთეულით და შეამცირებს L_F -ს ერთი ერთეულით, გაჰყვება რა -1 დაქანების ხაზს, სანამ მთელი სამუშაო ძალა L დასაქმებული არ იქნება მრეწველობაში. ნებისმიერი კონკრეტული სამუშაო ძალის განთავსება ორ სექტორს შორის შეიძლება წარმოდგენილი იყოს წერტილით (2) AA ხაზზე.

ახლა ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ წარმოება ორ სექტორს შორის სამუშაო ძალის მოცემული კონკრეტული განთავსების პირობებში. ვთქვათ, სამუშაო ძალის განთავსება წარმოდგენილია წერტილით (2) AA ქვედა მარცხენა კვადრატში, ე.ი. L_M^2 საათით მრეწველობაში და L_F^2 საათით საკვების წარმოებაში. შემდეგ შეგვიძლია გამოვიყენოთ საწარმოს ფუნქცია თითოეული სექტორისათვის, რათა განვსაზღვროთ შემდეგი გამოშვება: Q_M^2 არის წარმოებული ერთეული მრეწველობაში და Q_F^2 საკვების წარმოებაში. Q_M^2 , Q_F^2 კოორდინატების გამოყენებით წერტილი 2' აღინიშნება მარჯვენა ზედა კვადრატში და გვიჩვენებს მრეწველობისა და საკვების წარმოების საბოლოო გამოშვებას.

რომ მივხედოთ მთლიანი წარმოების შესაძლებლობათა ზღვარზე დაკვირვებას, იგი წარმოგიდგება როგორც სამუშაო ძალის ბუერი ალტერნატიული განთავსების გამეორება. შეგვიძლია დაეიწყოთ საკვების წარმოებაში განთავსებული მუშაძალით წერტილში (1) ქვედა მარცხენა კვადრატში, შემდეგ თანდათან გაიზრდება მრეწველობაში გამოყენებული მუშაძალის ოდენობა მანამ, სანამ რამდენიმე მუშა არ იქნება დასაქმებული საკვების წარმოებაში, რაც აღინიშნება წერტილზე (3); შესაბამისი წერტილი ზედა მარჯვენა კვადრატში გაჩვენებს 1' წერტილიდან 3'-მდე PP მრუდი ზედა მარჯვენა კვადრატში გვიჩვენებს ეკონომიკის წარმოების შესაძლებლობებს მიწის, შრომისა და კაპიტალის მოცემული მარაგის პირობებში.

რიკარდოს მოდელში, სადაც შრომა წარმოების ერთადერთ ფაქტორადაა წარმოდგენილი, წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი სწორხაზოვანია, რადგან მრეწველობის ალტერნატიული ხარჯი საკვების წარმოების სახით მუდმივია. სპეციფიკური ფაქტორების მოდელში სხვა საწარმოო ფაქტორის დამატება ცვლის წარმოების შესაძლებლობათა PP ზღვარის ფორმას და გადააქცევს მას მრუდად, რაც გამოხატავს სამუშაო ძალის კლებად უკუგებებს თითოეულ სექტორში; ეს კლებადი უკუგებები ქმნიან მნიშვნელოვან განსხვავებას სპეციფიკურ ფაქტორებსა და რიკარდოს მოდელს შორის.

PP მრუდზე ჩვენ გადავაადგილებთ სამუშაო ძალას საკვების წარმოებიდან მრეწველობის სექტორში. თუ მოხდება გადანაცვლება შრომის ერთი კაც-საათისა საკვების წარმოებიდან მრეწველობაში, ეს დამატებითი ხარჯი გაზრდის გამოშვებას მრეწველობაში შრომის ზღვრული პროდუქტით, MPL_M ; მრეწველობის გამოშვების ერთი ერთეულით გასაღივებლად უნდა გაეზარდოს სამუშაო ძალის დანახარჯი $1/MPL_M$ საათით. ამასობაში შრომის დანახარჯის თითოეული ერთეული, რომელიც გამოედინება საკვების წარმოებიდან, შეამცირებს გამოშვებას საკვების წარმოებაში შრომის ზღვრული პროდუქტით, MPL_F . მრეწველობაში გამოშვების ერთი ერთეულით გასაზრდელად ეკონომიკამ უნდა შეამციროს საკვების გამოშვება MPL_F/MPL_M ერთეულით. PP მრუდის დაქანება გამოსახავს მრეწველობაში ალტერნატიულ ხარჯს საკვების სახით ე.ი. საკვების გამოშვების იმ ერთეულების რაოდენობას, რომელიც უნდა დაეუმატოს მრეწველობის გამოშვებას ერთი ერთეულით გასაზრდელად.

$$\text{წარმოების შესაძლებლობათა მრუდის დაქანება} = - MPL_F/MPL_M$$

ახლა ვხედავთ, რატომ მიიღო PP მრუდმა რკალის ფორმა. როდესაც ემოძრაობთ 1' წერტილიდან 3'-მდე, L_M იზრდება და L_F ეცემა. 3-2 გრაფიკში დაინახეთ, რომ როცა L_M იზრდება, მრეწველობაში შრომის ზღვრული პროდუქტი ეცემა; შესაბამისად – როცა L_F ეცემა, საკვების წარმოებაში შრომის ზღვრული პროდუქტი იმატებს და PP მრუდი უფრო სწორხაზოვანი ხდება, როცა მას ეამოძრავენ ქვემოთ და მარჯვნივ.

ჩვენ ვაჩვენებთ, როგორ განისაზღვრება გამოშვება სამუშაო ძალის მოცემული განთავსების პირობებში. ახლა შევეცხოთ საკითხს – როგორ განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკა სამუშაო ძალის განთავსებას.

შასები, ხელფასები და სამუშაო ძალის განთავსება

დასაქმებული მუშახელის ოდენობის დასადგენად თითოეულ სექტორში უნდა გაეთვალისწინოთ მიწოდება და მოთხოვნა შრომის ბაზარზე. თითოეულ სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დამოკიდებულია საქონლის ფასსა და ხელფასის განაკვეთზე. თავის მხრივ, ხელფასის განაკვეთი დამოკიდებულია სამუშაო ძალის კომბინირებულ მოთხოვნაზე საკვების წარმოებაში და მრეწველობაში. სამრეწველო საქონლისა და საკვების ფასების მიხედვით, მოცემული ხელფასის განაკვეთის პირობებში შეგვიძლია განვსაზღვროთ თითოეული სექტორის დასაქმება და გამოშვება.

პირველად უკრადლება შევანეროთ სამუშაო ძალის მოთხოვნაზე. თითოეულ სექტორში დასაქმებულები,

რომლებსაც სურთ მოგების მაქსიმუმამდე გაზრდა, მოიხივენ სამუშაო ძალის დამატებას იქამდე, სანამ ის ღირებულება, რაც იწარმოება დამატებითი კაც-საათით, არ გაუტოლდება ამ საათის გამოყენების ღირებულებას. მრეწველობაში, მაგალითად, დამატებითი კაც-საათის ღირებულება არის შრომის 'ზღვრული პროდუქტი გამრავლებული სამრეწველო საქონლის ერთი ერთეულის ფასზე: $MPL_M \times P_M$, თუ w არის სამუშაო ძალის ხელფასის განაკვეთი, დამჭირაველები დაიჭირავენ მუშებს მანამ, სანამ

$$MPL_M \times P_M = w. \tag{3-4}$$

მაგრამ შრომის ზღვრული პროდუქტის აღმნიშვნელი მრუდი მრეწველობაში, როგორც ეს ნახევნებია 3-2 გრაფიკს, ქვემოთაა დაქანებული კლებადი უკუგების გამო. ასე რომ, მეწარმის მიერ დადგენილი ნებისმიერი P_M ფასის პირობებში ზღვრული პროდუქტის ღირებულება – $MPL_M \times P_M$ – ასევე ქვემოთ იქნება დაქანებული. გვაქვს ტოლობა (3-4), რომელიც განსაზღვრავს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდს მრეწველობაში: თუ ხელფასის განაკვეთი ეცემა, სხვა თანაბარ პირობებში დამჭირაველებს სურვილი ექნება, დაიჭიროთ უფრო მეტი მუშა.


ასევე, საკვების წარმოებაში დამატებითი კაც-საათის ღირებულება არის $MPL_F \times P_F$ და მოთხოვნის მრუდი სამუშაო ძალაზე შეიძლება ასე გამოისახოს:

$$MPL_F \times P_F = w. \tag{3-5}$$

ხელფასის განაკვეთი w ერთნაირი უნდა იყოს ორივე სექტორში, რაკი სამუშაო ძალა თავისუფლად მოძრაობს სექტორებს შორის. ე.ი. რადგან სამუშაო ძალა მობილური ფაქტორია, ის გადაინაცვლებს დაბალ ხელფასიანი სექტორიდან მაღალ ხელფასიან სექტორში იქამდე, სანამ ხელფასები არ გათანაბრდება. ხელფასის განაკვეთი თავის მხრივ განისაზღვრება შემდეგით: სამუშაო ძალაზე მთლიანი მოთხოვნა (სრული დასაქმება) უნდა უტოლდებოდეს სამუშაო ძალის მთლიან მიწოდებას.

$$L_M + L_F = L \tag{3-6}$$

გრაფიკი 3-4 სამუშაო ძალის განთავსება



სამუშაო ძალა ნაწილდება ისე რომ, მისი ზღვრული პროდუქტის ღირებულება ($P \times MPL$) ერთნაირია გადამამუშავებელსა და საკვების მრეწველობაში. წონასწორობის პირობებში ხელფასის განაკვეთი უდრის სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტის ღირებულებას.

ამ საში ტოლობის წარმოდგენით (3-4 გრაფიკს) შეგვიძლია დავინახოთ, თითოეულ სექტორში როგორ ხდება ხელფასის განაკვეთისა და დასაქმების განსაზღვრა საკვებსა და სამრეწველო ნაწარმზე მოცემული ფასის მიხედვით. 3-4 გრაფიკსე კორიკონტალური ღერძის გასწვრივ აღინიშნება სამუშაო ძალის მთლიანი მიწოდება L . ნახაზზე მარცხნივ გადაიზომება შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება მრეწველობაში, რაც მოცემულია 3-2 გრაფიკში MPL_M მრუდის გამრავლებით P_M -ზე. ეს არის სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი მრეწველობაში. მარჯვნივ გაიზომისას ნაჩვენებია შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება საკვების წარმოებაში, რაც წარმოადგენს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას. წონასწორობის ხელფასის განაკვეთი და სამუშაო ძალის განთავსება ორ სექტორს შორის წარმოდგენილია (1) წერტილით. w' ხელფასის განაკვეთის დროს გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ მოთხოვნილი სამუშაო ძალის (L'_M) და საკვების წარმოების (L'_F) ჯამი უტოლდება სამუშაო ძალის მთლიან მიწოდებას, L -ს.

საჭირო ურთიერთობაა შესადარ ფასებსა და გამოშვებას შორის, რომელიც გამოიკვეთება ამ სამუშაო ძალის განთავსების ანალიზიდან; ეს ურთიერთობა უფრო გამოიყენება სოციალი ვითარებისათვის, ვიდრე ის, რომელიც აღწერილია სპეციფიკური ფაქტორების მოდელით. ტოლობები (3-4) და (3-5) გულისხმობს


$$MPL_M \times P_M = MPL_F \times P_F = w.$$

ან

$$- MPL_F / MPL_M = - P_M / P_F \quad (3-7)$$

(3-7) ტოლობის მარცხენა მხარე არის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის დაქანება რეალური წარმოების წერტილზე; მარჯვენა მხარე არის მინუს მრეწველობის შესადარი ფასი. ეს შედეგი გეჩვენებს, რომ წარმოების წერტილში წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი უნდა კვეთდეს ხაზს, რომლის დაქანება არის სამრეწველო საქონელს გამოკლებული ფასი და გაყოფილი საკვების ფასზე. შედეგი ნაჩვენებია 3-5 გრაფიკზე: თუ სამრეწველო საქონლის შესადარი ფასი არის (P_M/P_F) , ეკონომიკა წარმოებას იწყებს 1 წერტილში.

გრაფიკი 3-5 წარმოება სპეციფიკური ფაქტორების მოდელით




ეკონომიკა აწარმოებს მისი (PP) წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის იმ წერტილზე, სადაც ამ ზღვარის მრუდი უდრის გადაამუშავებელი მრეწველობის მინუსიან შესადარს ფასს.

როგორ ხდება სამუშაო ძალის განთავსება და შემოსავლის განაწილება, როდესაც საკვებ პროდუქტებზე და სამრეწველო ნაწარმზე ფასები იცვლება? ფასების ნებისმიერი ცვლილება შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: თანაბრად პროპორციული ცვლილება ორივეში, P_M -სა და P_F -ში, ცვლილება ხდება მხოლოდ ერთი ფასით. ეთქვას, სამრეწველო საქონლის ფასი იზრდება 17%-ით, ხოლო საკვებისა - 10%-ით. ამ პროცესის გაანალიზება მოხდება მხოლოდ ამ კითხვების დასმის შემდეგ: რა მოხდება, თუ სამრეწველო საქონელსა და საკვებზე, ორივეზე, ფასები 10%-ით გაიზრდება, შემდეგ კი რა მოხდება, თუ სამრეწველო საქონელზე ფასები 7%-ით გაიზრდება? ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ფასის უოვლისმომცველ დონეზე ცვლილების უფექტი ცვლილებათა იმ ეფექტისაგან, რასაც შესადარი ფასები იწვევს.

თანაბარი პროპორციული ცვლილება ფასებში. 3-6 გრაფიკი გეჩვენებს თანაბარი პროპორციული ზრდის ეფექტს P_M -სა და P_F -ში. P_M იზრდება P^1_M -დან P^2_M -მდე; P_F იზრდება P^1_F -დან P^2_F -მდე. თუ ორივე საქონლის ფასი გადიდება 10%-ით, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იწყებს 10%-იან ზრდას ხელფასის განაკვეთში - w^1 -დან (1 წერტილი) w^2 -მდე (2 წერტილი). სამუშაო ძალის განთავსება სექტორებს შორის და ორივე სახის საქონლის გამოშვების დონე არ იცვლება.

ფაქტობრივად, P_M და P_F პროპორციულ ცვლას რეალური ცვლილებები არ ახლავს: ხელფასის განაკვეთი იზრდება იმავე პროპორციით, როგორც ფასები. ასე რომ, რეალური ხელფასის განაკვეთი (ხელფასის განაკვეთის შეფარდება საქონლის ფასებთან) უცვლელი რჩება; თითოეულ სექტორში დასაქმებული იმავე რაოდენობის სამუშაო ძალა იმავე რეალურ ხელფასს იღებს; კაპიტალის მფლობელთა და მიწის მფლობელთა რეალური შემოსავალიც უცვლელი რჩება. ასე რომ, ეველა ზუსტად იმავე მდგომარეობაშია, რომელშიაც ადრე იყო. ეს გეჩვენებს სოციალ პრინციპს: ცვლილებებს უოვლისმომცველი ფასის დონეში რეალური შედეგები არ მოხდეს. ე.ი. არ იწვევენ ფისიკური რაოდენობის ცვლილებებს ეკონომიკაში. შესადარ ფასებში ცვლილებები, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს სამრეწველო საქონლის ფასის შეფარდებას საკვების ფასთან, (P_M/P_F) , გავლენას ახდენს მომხმარებლის კეთილდღეობაზე ან რესურსების განთავსებაზე.

გრაფიკი 3-6 სამრეწველო საქონლისა და საკვების ფასების თანაბარი პროპორციული ზრდა



გადამამუშავებელი და კვების მრეწველობებში სამუშაო ძალის მოთხოვნის მრუდები ზეოთქონ იწვევა P_M -ის ზრდის პროპორციულად P_F -დან P_M -მდე და P_F -ის ზრდის პროპორციულად P_F -დან P_F -მდე. ხელფასის განაკვეთი იზრდება იმავე პროპორციით w^1 -დან w^2 -მდე, მაგრამ სამუშაო ძალის განთავსება ამ სექტორებში არ იცვლება.


ცვლილებები შესადარ ფასებში. განვიხილოთ ფასის ცვლილების ეფექტი, რომელიც გაელენას ახდენს შესადარ ფასებზე. 3-7 გრაფიკი გვიჩვენებს მხოლოდ ერთი საქონლის ფასის ცვლილების ეფექტს, ამ შემთხვევაში P_M -ში ფასის 7%-ით ზრდას P_M^1 -დან და P_M^2 -მდე. P_M -ის ზრდა გადაადგილებს მრეწველობაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდს იმავე პროპორციით, რითაც ფასის ზრდა გადაადგილებს წონასწორობას წერტილიდან (1) წერტილისაკენ (2). აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ფაქტი ამ გადაადგილების შედეგებთან დაკავშირებით: პირველი, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის განაკვეთი იზრდება, მისი ეს ზრდა ნაკლებია, ვიდრე სამრეწველო საქონლის ფასებისა. ამას დაემატება 3-6 და 3-7 გრაფიკების შედარებით. 3-6 გრაფიკში, რომელიც წარმოგიდგენს 10%-იან ზრდას P_M -სა და P_F -ში, w გაიზარდა ასევე 10%-ით. თუ მხოლოდ P_M მოიმატებს, w გაიზარდება ნაკლებად – ეთქვამთ, 5 %-ით.

მეორე, როდესაც მხოლოდ P_M იზრდება, განსხვავებით P_M -სა და P_F -ის იმავედროული ზრდისა, სამუშაო ძალა გადაინაცვლებს საკვების წარმოებიდან სამრეწველო საქონლის წარმოებაში და ამ უკანასკნელის გამოშვება გადიდება, ხოლო საკვებისა – შემცირდება (ამიტომაც, რომ w არ იზრდება ისე, როგორც P_M , მრეწველობაში დასაქმების დონის ზრდის გამო შრომის ზღვრული პროდუქტი ამ სექტორში ეცემა).


სამრეწველო საქონლის შესადარი ფასის ზრდის ეფექტი შეიძლება დაემატოს, როდესაც შეეხებათ წარმოების შესაძლებლობათა მრუდს. 3-8 გრაფიკში ნაჩვენებია გადამამუშავებელ მრეწველობაში ფასების ისეთივე ზრდის ეფექტი, რომელიც ზრდის მრეწველობაში შესადარ ფასებს (P_M/P_F)-დან (P_M/P_F)-მდე. წარმოების ნიშნული, რომელიც ყოველთვის განთავსებულია იქ, სადაც PP -ს დაქანება უდრის მინუს შესადარ ფასს, (1) წერტილებიდან (2)-კენ გადაადგილდება. საკვების გამოშვება ეცემა და მრეწველობაში შესადარი ფასების ზრდის შედეგად სამრეწველო საქონლის გამოშვება იზრდება.

გრაფიკი 3-7 სამრეწველო საქონლის ფასის ზრდა

გადამამუშავებელი მრეწველობის სამუშაო ძალის მრუდი იზრდება P_M -ის 7%-იანი ზრდის პროპორციულად, მაგრამ ხელფასის განაკვეთი პროპორციულზე ნაკლებად იზრდება. გადამამუშავებელი მრეწველობის გამოშვება იზრდება, საკვებისა კი მცირდება.




გრაფიკი 3-8 გამოშვების რეგულირება მრეწველობაში შესადარი ფასის ცვლილების გამო.



ეკონომიკა ეოველთეის აწარმოებს თავისი წარმოების შესაძლებლობათა (PP) ზღვარზე იმ წერტილში, სადაც PP-ს დაქანება უტოლდება გადაამუშავებული მრეწველობის პროდუქტის მიხედვით შესადარ ფასს. ასე რომ, P_M/P_F -ს ზრდა იწვევს წარმოების გადაადგილებას ქვემოთ და მარჯვნივ წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის გასწვრივ, რომელიც შეესაბამება გადაამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის უფრო მაღალ გამოშვებას და საკვების უფრო დაბალ გამოშვებას.

რადგან მრეწველობაში მაღალი შესადარი ფასები იწვევს სამრეწველო საქონლის გამოშვების ზრდას უფრო მეტად, ვიდრე საკვებისა, შეგვიძლია დავხაზოთ შესადარი მიწოდების მრუდი, რომელიც გეისვენებს Q_M/Q_F -ს, P_M/P_F -ის ფუნქციით. 3-9 გრაფიკზე ეს შესადარი მიწოდება მოცემულია, როგორც RS მრუდი. როგორც მე-2 თავში ვანგენეთ, შეგვიძლია გამოვსახოთ შესადარი მოთხოვნის ქვემოთ დაქანებული RD მრუდიც. წონასწორული შესადარი ფასი (P_M/P_F)¹ და გამოშვება (Q_M/Q_F)¹ განისაზღვრება RS და RD მრუდების გადაკვეთის წერტილზე.

გრაფიკი 3-9 შესადარი ფასების განსაზღვრა



სპეციფიკური ფაქტორების მოდელში გადაამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის უფრო მაღალი შესადარი ფასი ზრდის გამოშვებას საკვებთან შედარებით. ამგვარად მიწოდების შესადარი RS მრუდი ზემოთკენაა მიმართული. წონასწორული შესადარი რაოდენობა და ფასი განისაზღვრება RS-სა და RD შესადარი მოთხოვნის მრუდების გადაკვეთით.

შესადარისი ფასები და შემოსავლის განაწილება

სენ განვიხილოთ სპეციფიკური ფაქტორების მოდელის შემდეგი ორი ასპექტი: (1) წარმოების შესაძლებლობათა განსაზღვრა ეკონომიკის მოცემული რესურსებისა და ტექნოლოგიების პირობებში და (2) რესურსების განთავსების, წარმოებისა და შესადარი ფასების განსაზღვრა საბაზრო ეკონომიკაში. ხანამ მოკუბრუნდებით საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტს, შევხებით შესადარი ფასების ცვლილებების გავლენას შემოსავლის განაწილებაზე.

კვლავ დავაკვირდეთ 3-7 გრაფიკს, რომელიც გეისვენებს სამრეწველო საქონელზე ფასების ზრდის ეფექტს. მკვე აღვნიშნეთ, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი მრეწველობაში გადაადგილდება ზემოთ P_M -ის ზრდის პროპორციულად: ისე რომ, თუ P_M გაიზრდება 10%-ით, მრუდი $P_M \times MPL_M$ -ც მოისატებს 10%-ით აგრეთვე ენახეთ, რომ ხანამ საკვებზე ფასები იზრდება 10%-ით, w მოისატებს ნაკლებად, ვიდრე P_M , თუ სამრეწველო საქონლის ფასი გაიზრდება 10%-ით. მოსალოდნელია, რომ ხელფასის განაკვეთი გადიდდეს მხოლოდ 5%-ით.

რა მნიშვნელობა აქვთ შემოსავლისათვის მუშებს, კაპიტალის მფლობელებსა და მიწის მფლობელებს. მუშების ხელფასები გაიზარდა, მაგრამ ნაკლებია, ვიდრე P_M აქედან გამომდინარე. მათი რეალური ხელფასები მრეწველობის საქონლის სახით, w/P_M , დაეცა, მათი რეალური ხელფასი კი საკვების სახით, w/P_F , გაიზარდა. ამ ინფორმაციით არ შეგვიძლია განვსაზღვროთ – მუშები უკეთ არიან, თუ უარესად; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამრეწველო პროდუქციას და საკვებს მუშების მოხმარებაში.

კაპიტალის მფლობელები შედარებით უკეთ არიან. რეალური ხელფასის განაკვეთი სამრეწველო საქონლის სახით შემცირდა და კაპიტალის მფლობელთა მოგება იმ სახით, რასაც ისინი აწარმოებენ, იზრდება. ე.ი. კაპიტალის მფლობელთა შემოსავალი მოიმატებს პროპორციულზე უფრო მეტად, ვიდრე P_M , რადგან P_M თავის მხრივ გაიზარდა P_F -თან შეფარდებით, კაპიტალისტის შემოსავალი საკმაოდ გადაიღება ორივე საქონლის სახით.

მიწის მფლობელები კი უფრო ცუდად არიან. ისინი ზარალდებიან ორი მიზეზის გამო: (1) რეალური ხელფასი საკვების გათვალისწინებით იზრდება, (2) შემოსავლის შესაღება და სამრეწველო საქონელზე ფასების გაზრდა შეამცირებს მათი შემოსავლის მსყიდველობით უნარს.

სამართაშორისო ვაჭრობა სპეციფიკური ფაქტორების მოდელში

ახლა, როცა უკვე ვიცით, როგორ მოქმედებს სპეციფიკური ფაქტორების მოდელი ერთიან ეკონომიკაში, შეგვიძლია დაეუბრუნდეთ საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზს. ეთქვას, ორი ქვეყანა, იაპონია და ამერიკა, ერთმანეთთან ვაჭრობს; დაეკვირდეთ ვაჭრობის ეფექტს მათ კეთილდღეობაზე.

ვაჭრობის განხორციელებისათვის ორვე ქვეყანაში სამრეწველო საქონლის ის შესადარი ფასები განსხვავებული უნდა იყოს ერთმანეთისაგან, რომლებსაც უპირატესობა ექნებათ ვაჭრობის არარსებობის დროს. 3-9 გრაფიკში ვნახეთ, როგორაა განსაზღვრული P_M/P_F ერთიან ეკონომიკაში ვაჭრობის არარსებობის პირობებში. იაპონიასა და ამერიკას შეიძლება ჰქონდეთ სამრეწველო საქონლის განსხვავებული შესადარი ფასები, მოთხოვნა და მიწოდება. დაეუშვათ, მოცემული ნებისმიერი P_M/P_F -ის დროს შესადარი მოთხოვნა ორივე ქვეყანაში ერთნაირია. თუ ორივე ქვეყანას აქვს სამრეწველო საქონელზე ერთნაირი შესადარი ფასი, ისინი მოიხმარენ ამ აღნიშნულ საქონელსა და საკვებს ერთნაირი პროპორციით. ამგვარად, ორივე ქვეყანას ექნება ერთნაირი მოთხოვნის მრუდი. დაეკვირდეთ განსხვავებას შესადარ მიწოდებაში, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წყაროს.

რატომ განსხვავდება ერთმანეთისაგან ორი ქვეყნის შესადარი მიწოდება? ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ტექნოლოგიები, როგორც ეს რიკარდოს მოდელშია ნაჩვენები. ახლა, როცა ჩვენს მოდელს აქვს ერთ-ერთი ქვეყანა გაზრდის სოციურთი რესურსის მიწოდებას. ეთქვას, იაპონია გაადიდებს თავის ძირითად კაპიტალს. ასეთი ზრდის ეფექტი მოცემულია 3-10 გრაფიკში.

რესურსები და შესადარი მიწოდება


ძირითადი ურთიერთობა რესურსებსა და შესადარ მიწოდებას შორის მარტივია: ქვეყანა, რომელსაც აქვს ბევრი კაპიტალი და ცოტა მიწა, აწარმოებს უფრო მეტ სამრეწველო საქონელს, ვიდრე საკვებს. ის ქვეყანა კი, რომელიც ფლობს მეტ მიწას და ნაკლებ კაპიტალს, პირიქით მოიქცევა. განვიხილოთ, რა მოხდება, თუ ერთ-ერთი ქვეყანა გაზრდის სოციურთი რესურსის მიწოდებას. ეთქვას, იაპონია გაადიდებს თავის ძირითად კაპიტალს. ასეთი ზრდის ეფექტი მოცემულია 3-10 გრაფიკში.

სხვა თანაბარ პირობებში, კაპიტალის ზრდა გაადიდებს შრომის ზღვრულ პროდუქტს სამრეწველო საქონლის წარმოებაში. ასე რომ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მრუდი მრეწველობაში გადაადგილდება მარჯვნივ, $P_M \times MPL_M^1$ -დან $P_M \times MPL_M^2$ -კენ. სამრეწველო საქონლისა და საკვების ნებისმიერი ფასის დროს სამრეწველო საქონლის წარმოებაში მუშახელზე მოთხოვნის ეს ზრდა გადაადგილებს წონასწორობას წერტილიდან (1) წერტილისაკენ (2). მეტი მუშა გადავა საკვების სექტორიდან სამრეწველო საქონლის სექტორში. ამ უკანასკნელის გამოშვება გაიზარდა ორი მიზეზით: მუშების სიმრავლით ამ სექტორში და მეტი კაპიტალით. საკვების წარმოება დაეცემა შემცირებული შრომის დანახარჯების გამო. შეგვიძლია დავასკვნათ: კაპიტალის მიწოდების ზრდა გადაადგილებს შესადარი მიწოდების მრუდს მარჯვნივ.

შესაბამისად, მიწის მიწოდების ზრდა გაადიდებს საკვების და შემცირებს სამრეწველო საქონლის გამოშვებას; შესადარი მიწოდების მრუდი გადაინაცვლებს მარცხნივ.

გრაფიკი 3-10 ძირითადი კაპიტალის ცვლილება

ძირითადი კაპიტალის ზრდა აღიწერებს სამუშაო ძალის ზღვრულ პროდუქტს გადაამუშავებელ მრეწველობაში დასაქმების ნებისმიერ მოცემულ დონეზე. ეს ზრდის სამუშაო ძალაზე მოთხოვნას ამავე სექტორში, რაც აღიწერებს ხელფასის მოდიანი განაკვეთს. რადგან სამუშაო ძალა საკვების სექტორში შემცირებულია, გადაამუშავებელში გამოშვება იზრდება საკვებში კი მცირდება.




როგორია სამუშაო ძალის ზრდის ეფექტი? თუ დამჭირებლები დამატებით მიუშვებს აიკვანენ, ხელფასის განაკვეთი შემცირდება, რაც გამოიწვევს დასაქმებისა და გამოშვების ზრდას როგორც მრეწველობაში, ასევე საკვების წარმოებაში; შესაძლოა გამოშვების ეფექტი საეჭვოა.

ვთქვათ, ამერიკასა და იაპონიას ჰყავს ერთნაირი რაოდენობის სამუშაო ძალა, მაგრამ ერთმანეთთან შედარებით იაპონიას აქვს მეტი კაპიტალი, ხოლო ამერიკას მეტი მიწა. სიტუაცია გამოსახულია 3-11 გრაფიკზე. იაპონიის შესაძლო მიწოდების მრუდი RS_J , მდებარეობს ამერიკის RS_A მრუდის მარჯვნივ, რადგან კაპიტალის სიჭარბე და მიწის სიმწირე აიძულებს იაპონიას, აწარმოოს მეტი რაოდენობის სამრეწველო საქონელი, ვიდრე საკვები. საპირისპირო შეგვიძლია ვთქვათ ამერიკაზე.

ვაჭრობა და შესაძლო ფასები

ჩვენი მოდელის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს შესაძლო ფასებთან მიახლოებას, რაც ნაჩვენებია 3-11 გრაფიკზე. რადგანაც შესაძლო მოთხოვნა ამერიკასა და იაპონიაში ერთნაირია, $RD_{საერთაშორისო}$ ერთდროულად არის ორივე ქვეყნისა (როდესაც ეს ქვეყნები ვაჭრობენ) და მსოფლიოს შესაძლო მოთხოვნის მრუდი. RS_J და RS_A წარმოადგენენ შესაბამისად იაპონიისა და ამერიკის შესაძლო მიწოდების მრუდებს. იაპონია ითვლება კაპიტალის მფლობელ ქვეყნად, რომელსაც მცირე მიწა აქვს, ამერიკა კი პირიქით; ასე რომ, RS_J მრუდი მდებარეობს RS_A -ს მარჯვნივ. წინასწავაჭრო სამრეწველო საქონლის შესაძლო ფასი იაპონიაში (P_M/P_F)_J უფრო დაბალია, ვიდრე წინასწავაჭრო შესაძლო ფასი ამერიკაში (P_M/P_F)_A.

გრაფიკი 3-11 ვაჭრობა და შესაძლო ფასები



გრაფიკში იაპონიას აქვს მეტი კაპიტალი ერთ მიწაზე, ვიდრე ამერიკას, ხოლო ამერიკას მეტი მიწა აქვს ერთ მიწაზე, ვიდრე იაპონიას. ამგვარად იაპონიის მიწოდების შესაძლო მრუდი ამერიკის მარჯვნივ მდებარეობს. როცა ორი ქვეყანა ვაჭრობს $RS_{საერთაშორისო}$ (მსოფლიო მიწოდების შესაძლო მრუდი) მდებარეობს ორი ქვეყნის მრუდებს შორის და გადაამუშავებელი მრეწველობის მსოფლიო შესაძლო ფასის წინასწარობა, რომელიც განისაზღვრება $RS_{საერთაშორისო}$ -სა და $RS_{საერთაშორისო}$ მოთხოვნის შესაძლო მრუდის გადაკვეთით – მდებარეობს P_M/P_F დონეებს შორის, რომელიც გადაჭარბებული იქნება ორივე ქვეყანაში ვაჭრობის არ არსებობის დროს.

როდესაც ორი ქვეყანა იწვევს ვაჭრობას, ისინი ქმნიან ინტეგრირებულ მსოფლიო ეკონომიკას, რომლის სამრეწველო საქონლისა და საკვების წარმოება წარმოადგენს ორი საქონლის ერთეული გამოშვების ჯამს. სამრეწველო საქონლის მსოფლიო შესაძლო მიწოდება ($RS_{საერთაშორისო}$) მდებარეობს ორი ქვეყნის შესაძლო მიწოდებებს შორის. სამრეწველო საქონლის მსოფლიო შესაძლო ფასი, (P_M/P_F)_{საერთაშორისო}, მდებარეობს ამ ქვეყნების წინასწავაჭრო ფასებს შორის. ვაჭრობამ გაზარდა სამრეწველო საქონლის შესაძლო ფასები იაპონიაში, ხოლო ამერიკაში შემცირდა იგი.

ვაჭრობის სტრუქტურა

თუ ვაჭრობა სამრეწველო საქონლის ფასებში განსხვავების გამო იწყება, როგორ გარდაიქმნება P_M/P_F -ის მიახლოება საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გეგმირდება, დაედაგინოთ ზოგიერთი ძირითადი დამოკიდებულება ფასებს, წარმოებასა და მოხმარებას შორის.

ქვეყანაში, რომელსაც ვაჭრობა არ შეუძლია, საქონლის გამოშვება უნდა უტოლდებოდეს მის მოხმარებას. თუ D_M არის სამრეწველო საქონლის მოხმარება, ხოლო D_F საკვებისა, მაშინ დახურულ ეკონომიკაში $D_M = Q_M$ და $D_F = Q_F$. საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლებელს ხდის შერეულად მოხმარებული სამრეწველო საქონელი და საკვები განსხვავდებოდეს შერეულად წარმოებულიდან. როცა თითოეული საქონლის რაოდენობა, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს და მოიხმარს, შეიძლება განსხვავებული იყოს. ქვეყანა მაინც ვერ დახარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე გამოიმუშავებს: მოხმარების ხარჯი უნდა უტოლდებოდეს წარმოების ხარჯს, ე.ი.

$$P_M \times D_M + P_F \times D_F = P_M \times Q_M + P_F \times Q_F \quad (3-8)$$


(3-8) ტოლობა შეიძლება გარდაიქმნას, რათა მივიღოთ:

$$D_F - Q_F = (P_M/P_F) \times (Q_M - D_M) \quad (3-9)$$

$D_F - Q_F$ არის ქვეყნის საკვების იმპორტი, ანუ რაოდენობა, რომლითაც საკვების მოხმარება აჭარბებს მის წარმოებას. ტოლობის მარჯვენა მხარე არის სამრეწველო საქონლის შესადარი ფასის მქონე პროდუქტი და ის რაოდენობა, რომლითაც სამრეწველო საქონლის წარმოება აჭარბებს მოხმარებას, ე.ი. ქვეყნის სამრეწველო საქონლის ექსპორტი. ტოლობა გვიჩვენებს, რომ საკვების იმპორტი უტოლდება სამრეწველო საქონლის ექსპორტს გამრავლებულს ამ უკანასკნელის შესადარ ფასზე. ტოლობაში არ ჩანს, ქვეყანას რამდენის იმპორტირება და ექსპორტირება შეუძლია, ნაჩვენებია, რომ ის რაოდენობა, რომლის იმპორტიც შეუძლია ქვეყანას, შეზღუდულია ექსპორტის რაოდენობით. (3-9) ტოლობა ცნობილია, როგორც ბიუჯეტის შეზღუდვა.


3-12 გრაფიკი გვჩვენებს მოვაჭრე ქვეყნის ბიუჯეტის შესაზღუდვის ორ მნიშვნელოვან ნიშანს: პირველი, ბიუჯეტის შეზღუდვის დაქანება არის მინუს P_M/P_F – სამრეწველო საქონლის შესადარი ფასი. ამის მიხედვით ის არის, რომ სამრეწველო საქონლის ერთით ნაკლები ერთეულის მოხმარება ზოგავს P_M -ს ეკონომიკაში; ეს საკმარისია P_M/P_F დამატებითი საკვების შესაძენად. მეორე, ბიუჯეტის შეზღუდვა ეხება წარმოების შესაძლებლობათა ზღვარს იმ წერტილში, რომელიც აღნიშნავს ქვეყნის წარმოების არჩევანს მოცემული სამრეწველო საქონლის შესადარი ფასის პირობებში. იგი გრაფიკზე მოცემულია, როგორც წერტილი (1); ე.ი. ქვეყანას შეუძლია ყოველთვის მოიხმაროს, რასაც აწარმოებს.

გრაფიკი 3-12



წერტილი (1) წარმოგვიდგენს ეკონომიკის წარმოებას. ეკონომიკის მოხმარება უნდა მდებარეობდეს იმ ხაზის გასწვრივ, რომელიც გადის (1) წერტილზე და რომლის დაქანება გადამამუშავებელი მრეწველობის მისუხიანი შესადარი ფასის ტოლია.

გრაფიკი 3-13



იაპონიის საქვების იმპორტი ზუსტად უდრის ამერიკის ექსპორტს, ხოლო ამერიკის გადამამუშავებელი მრეწველობის იმპორტი ზუსტად უდრის იაპონიის ექსპორტს.

ჩვენ გამოვიყენებთ იაპონიისა და ამერიკის ბიუჯეტის შესღუდვას, რათა შევქმნათ ვაჭრობის წონასწორობის სურათი. 3-13 გრაფიკში ვაჩვენებთ იაპონიისა და ამერიკის გამოშვებები, ბიუჯეტის შესღუდვები და მოხმარების არჩევანი წონასწორობულ ფასებში. იაპონიის მრეწველობაში შესადარი ფასის ზრდა იწვევს საქვების მოხმარების მატებას სამრეწველო საქონელთან შედარებით და საქვების შესადარი გამოშვების დაცემას. იაპონია აწარმოებს Q_F^J საქვებს, მაგრამ მოიხმარებს D_F^J ; ის ხდება სამრეწველო საქონლის ექსპორტიორი და საქვების იმპორტიორი. ამერიკაში სამრეწველო საქონლის შესადარი ფასის ვაჭრობის შემდგომი დაცემა იწვევს სამრეწველო საქონლის მოხმარების ზრდას საქვებთან შედარებით და სამრეწველო საქონლის შესადარი გამოშვების შემცირებას; ამერიკა ხდება სამრეწველო საქონლის იმპორტიორი და საქვების ექსპორტიორი. წონასწორობის პირობებში იაპონიის სამრეწველო საქონლის ექსპორტი ზუსტად უნდა უტოლდებოდეს ამერიკის იმპორტს, იაპონიის საქვების იმპორტი ამერიკის ექსპორტს. ეს ტოლობები ნაჩვენებია ორი შავი სამკუთხედით 3-13 გრაფიკზე.

შემოსავლის ბანაწილება და ვაჭრობიდან მიღებული მოგება

ჩვენ ვნახეთ, როგორ არის განსაზღვრული საწარმოო შესაძლებლობები რესურსებითა და ტექნოლოგიებით; როგორია არჩევანი – რა აწარმოოს სამრეწველო საქონლის შესადარი ფასით; ამ უკანასკნელის ცვლილება რა გავლენას ახდენს სხვადასხვა საწარმოო ფაქტორის რეალურ შემოსავალზე; როგორ მოქმედებს ვაჭრობა შესადარ ფასებსა და ქვეყნის ბიუჯეტის შესღუდვაზე. ახლა მთავარი შეკითხვაა: ვინ იგებს და ვინ აკებს საერთაშორისო ვაჭრობიდან? პასუხის გაცემას ვიწყებთ იმის გარკვევით, თუ რა გავლენას ახდენს ვაჭრობა კონკრეტული ჯგუფების ან ქვეყნის, როგორც მთლიანის, კეთილდღეობაზე.

გარკვეულ ჯგუფებზე ვაჭრობის ეფექტის მთავარი გასარკვევი საკითხია, საერთაშორისო ვაჭრობა როგორ გადაადგილებს სამრეწველო საქონლისა და საქვების შესადარ ფასს. ჯერ განვიხილოთ, რა ხდება იაპონიაში. დაეუშვათ, ვაჭრობის არარსებობის დროს იაპონიას აქვს სამრეწველო საქონლის უფრო დაბალი შესადარი ფასი, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოს. თუ ასეა, ვაჭრობა, რომელიც იწვევს შესადარი ფასების დაახლოებას, იმის მანიერებული იქნება, რომ P_x/P_f გაიზარდება, რის შედეგადაც იაპონიაში P_x/P_f -ის გაზრდის შემდეგ კაპიტალის მფლობელები უკეთ იქნებიან, მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციების გაურკვეველი გადაადგილება და მიწის მფლობელებს გაუუარესდებათ მდგომარეობა.

ამერიკაში ვაჭრობის ეფექტების გაგება შესადარ ფასებზე პირიქით ხდება: სამრეწველო საქონლის შესადარი ფასები ეცემა. ასე რომ, ამერიკაში მიწის მფლობელები უკეთესად არიან, კაპიტალის მფლობელებს უუარესდებათ მდგომარეობა და მიწათა მდგომარეობა კელავ გაურკვეველია.

სოცალი დასკვნა მარტივია: ვაჭრობა სარგებელს მოუტანს იმ ფაქტორებს, რაც სპეციფიკურია თითოეული ქვეყნის ექსპორტისათვის, მაგრამ ზიანს აყენებს ფაქტორს, რომელიც სპეციფიკურია იმპორტისა და კონკურენციისათვის; იგი გაურკვეველ ეფექტს ახდენს მობილურ ფაქტორებზე.

გადაწინის თუ არა ვაჭრობიდან მოგება დანაკარგებს? ამასუ პასუხის გასაცემად უნდა შევაჯამოთ მოგებულთა შემოსავლები და დასარაღებულთა დანაკარგები, ამასთან შევადაროთ ისინი ერთმანეთთან.


ვაჭრობიდან მოგების შესაფასებლად უნდა დავესვათ მთლიანი შემოსავალი თუ არა მათ, ვინც მიიღო, დანაკარგის კომპენსაცია მოახდინოს დასარაღებულთათვის და იმავდროულად თავისი კარგი მდგომარეობა

შეინარჩუნოს? თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ვაჭრობა ყოფილა მოგების წყარო ყველასათვის.

იმის ნათელსაყოფად, რომ ვაჭრობა, მართლაც, ყველასათვის მოგების წყაროა, მსჯელობას სამ საფეხურად წარმოგიდგინთ:

1. პირველი, ვაჭრობის არარსებობის პირობებში ქვეყანას მოეწვევს იმდენის გამოშვება, რასაც ის მოიხმარს და პირიქით. ასე რომ, ვაჭრობის არარსებობის პირობებში ქვეყნის მოხმარების აღმნიშვნელი იქნება წერტილი წარმოების შესაძლებლობათა ზღვარზე. 3-14 გრაფიკში მოხმარების ნიშნული (2) წერტილზეა.
2. მეორე, მოვაჭრე ქვეყნის ვაჭრობის არარსებობისას შეუძლია მოიხმაროს მეტი ორივე საქონელი, ვიდრე ეს შეეძლებოდა ვაჭრობის არარსებობის დროს. ბიუჯეტის შესწორება 3-14 გრაფიკზე წარმოადგენს საკვებისა და სამრეწველო საქონლის ყველა შესაძლო კომბინაციას, რომელსაც ქვეყანა მოიხმარს სამრეწველო საქონელზე არსებული შესაძარი ფასის დროს. გრაფიკზე ბიუჯეტის ამ შესწორების აღმნიშვნელი მუქი ნაწილი წარმოგიდგინებს სიტუაციას, რომლის დროსაც ქვეყანა მოიხმარს მეტ სამრეწველო საქონელს და საკვებს, ვიდრე მას ეს შეეძლო ვაჭრობის არარსებობის დროს. შედეგი არ არის დამოკიდებული იმ ვარაუდზე, რომ წინასავაჭრო წარმოება და მოხმარება აღინიშნებოდა (2) წერტილში. სანამ წინასავაჭრო წარმოება (1) წერტილზეა და ვაჭრობა საერთოდ არ ავლენს ეფექტს წარმოებაზე, ყოველთვის არის ბიუჯეტის შესწორებაში მხარე, რაც უწყებს ორივე საქონლის მეტ მოხმარებას.
3. და ბოლოს, თუ ქვეყანა, როგორც მთლიანი, მოიხმარს მეტ ორივე საქონელს, თითოეულ ინდივიდსაც მიეცემა მეტი ორივე საქონელი, რაც ყველას მდგომარეობას გააუმჯობესებს. ე.ი. შესაძლებელია ვირწმუნოთ, რომ ვაჭრობის შედეგად ყველა უკეთესადაა. რა თქმა უნდა, ყველა უკეთესად იქნება მაშინაც, თუ მათ ნაკლები ერთი და მეტი მეორე პროდუქტი ექნებათ. ეს გეაძლევეს საფუძველს დაეასკენათ – ყველა მოიგებს ვაჭრობიდან.

გრაფიკი 3-14 ვაჭრობა ზრდის ქვეყნის მოხმარების შესაძლებლობებს



ვაჭრობის დაწყებამდე ეკონომიკის წარმოებას და მოხმარებას ადგილი ჰქონდა (2) წერტილში ეკონომიკის წარმოების შესაძლებლობათა PP ზღვარზე ვაჭრობის დაწყების შემდეგ, ეკონომიკას შეუძლია მოიხმაროს თავისი ბიუჯეტის შესწორების ნებისმიერ წერტილზე. მეტი ფერის ბიუჯეტის შესწორების ნაწილში შედარებულია ვაჭრობის შემდგომი მოხმარება და ორივე საქონლის მოხმარება, რომელიც უფრო მაღალია ვაჭრობის შემდგომ (2) წერტილში.

ძირითადი მიზეზი ქვეყნის მოგებისა ვაჭრობით არის ის, რომ ვაჭრობა ზრდის ქვეყნის არჩევანს, ანუ ყოველთვის შესაძლებელია შემოსავლის გადანაწილება ისე, რომ ყველა მოგებულ დარსეს ვაჭრობიდან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში ყველა იგებს. რეალურ მსოფლიოში ვაჭრობიდან მოგებულთა და დასარალებულთა ერთმანეთის გვერდით არსებობა არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ვაჭრობა არ არის თავისუფალი.

ვაჭრობის პოლიტიკური ეკონომია: ფინანსური მოსაზრება

ვაჭრობის პროცესში ერთნაირად ფიგურირებენ მოგებულნიც და დასარალებულნიც. ეს არის მთავარი საკითხი, რაც რეალურად განსაზღვრავს სავაჭრო პოლიტიკას თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში. სავაჭრო პოლიტიკა დეტალურადაა განხილული 8-11 თავებში;

არსებობს ორი უსა სავაჭრო პოლიტიკის (ან ნებისმიერი სამთავრობო პოლიტიკის) განსახლდებისა: (1) მოცემულ მიზნების განსახორციელებლად რა უნდა გააკეთოს მთავრობამ? როგორია მისი ოპტიმალური სავაჭრო პოლიტიკა? (2) პრაქტიკულად რას აკეთებს მთავრობა?

ვაჭრობიდან შემოსავლის განაწილების ეფექტი დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საკითხს შეეხებათ პირველი კითხვა, რომელიც გააძაწვევს მსოფლიოს.

ოპტიმალური სავაჭრო პოლიტიკა

ვთქვათ, მთავრობას უნდა მაქსიმუმამდე გაზარდოს თავისი მოსახლეობის კეთილდღეობა. თუ ყველას ექნება ერთნაირი გემოვნება და ერთნაირი შემოსავალი, მაშინ გადაწყვეტილება ც სწორხაზოვანი იქნება – მთავრობამ უნდა შეარჩიოს პოლიტიკა, რათა ინდივიდი იყოს რაც შეიძლება უკეთესად. ამ ერთგვაროვან ეკონომიკაში თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა კარგ სამსახურს გაუწევს მთავრობას ამ მიზნების განხორციელებაში.

როდესაც ადამიანები სუბსტად ერთნაირნი არიან, მთავრობამ როგორღაც უნდა შეძლოს, შეადაროს ერთი პირუცემების მოგება მეორის დანაკარგს. მაგალითად, თუ იაპონიის მთავრობა დაინტერესებულია უფრო მიწის მფლობელთა დასარაღების საკითხით, ვიდრე იმით, რომ დაეხმაროს კაპიტალისტებს, მაშინ საერთაშორისო ვაჭრობა (რომელიც ჩვენი ანალიზის მიხედვით, მოგებას აძლევდა კაპიტალის მფლობელებს და ასარაღებდა მიწის მფლობელებს) შესაძლოა მიუღებელი აღმოჩნდეს იაპონიის მთავრობის თვალსაზრისით.

რატომ აქვს მეტი მნიშვნელობა ადამიანთა ერთ ჯგუფს, ვიდრე მეორეს? ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ სოციერთ ჯგუფს სჭირდება სპეციალური მიდგომა, რადგან ისინი შედარებით ღარიბები არიან. აშშ-ში ფართოდაა გავრცელებული შესღვევები ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის იმპორტზე, რაც ზრდის სამომხმარებლო ფასს, მეშუებს კი ამ წარმოებაში ცოტას უხდიან. მოგებას, რომელსაც მდიდარი მომხმარებელი მიიღებდა უფრო მეტი იმპორტის შემთხვევაში, აშშ მთავრობისათვის ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც იმ სარაღას, რომელიც ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოებაში მთავრდება დაბალხელფასიან მეშუებს ექნებათ.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ვაჭრობა დაშვებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზიანს არ მიაყენებს დაბალშემოსავლიან ადამიანებს? მიუხედავად შემოსავლის განაწილების რეალური მნიშვნელობისა, ეკონომისტთა უმეტესობა თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა. არსებობს სამი მიზეზი იმისა, თუ ეკონომისტები რატომ არ უსვამენ ხაზს საერთაშორისო ვაჭრობიდან შემოსავლის განაწილების ეფექტს:

1. შემოსავლის განაწილების ეფექტი არ არის სპეციფიკური საერთაშორისო ვაჭრობისათვის. ყოველი ცვლილება ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესებს, მომხმარებლის მიერ უპირატესობის მიჩნევის ცვალებადობას, ძველი რესურსების ამოწურვასა თუ ახლის შექმნას და ა.შ., გავლენას ახდენს შემოსავლის განაწილებაზე. თუ ეკონომიკაში ყოველი ცვლილება დაშვებული იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოწმდება მისი განაწილების ეფექტი, ეკონომიკური პროგრესი ადვილად მოუღებდა ბოლოს ამ გაუგებრობას.
2. ყოველთვის უკეთესია დაეუშვათ ვაჭრობა და ავანსლაუროთ მისგან მიღებული სარაღი, ვიდრე აეკრძალოთ ვაჭრობა. ყველა თანამედროვე სამრეწველო ქვეყანა ქმნის შემოსავლის ხელშეწყობის პროგრამების ერთგვარ უსაფრთხოების ქსელს (როგორცაა უმუშევრობის დახმარება და სუბსიდირებული პონორარი), რაც აანაზღაურებს ჯგუფების დანაკარგს ვაჭრობიდან.
3. ის, ვინც უმკლავდება გაზრდილი ვაჭრობიდან დანაკარგებს, უფრო უკეთ არის ორგანიზებული, ვიდრე ის, ვინც მოგებას ნახულობს. ეს დისბალანსი წარმოშობს გადახრას პოლიტიკურ პროცესში, რაც მოითხოვს გაწონასწორებას. ეკონომისტების ვალია, მხარი დაუჭიროონ თავისუფალ ვაჭრობას, დაასაბუთონ, რომ ის მომგებიანია.

ეკონომისტთა უმეტესობა როცა გააცნობიერებს საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტს შემოსავლის განაწილებაზე, დარწმუნდება, რომ უფრო მნიშვნელოვანია ხაზი გაუსვა მოგებას ვაჭრობიდან, ვიდრე სოციერთი ჯგუფის შესაძლო დანაკარგებს ქვეყანაში. ეკონომისტებს ხშირად არა აქვთ გადაწყვეტი ხმა ეკონომიკურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, როდესაც საქმეა ეხება კონფლიქტურ ინტერესებს. სავაჭრო პოლიტიკის არსის გაგება უნდა ითვალისწინებდეს ამ პოლიტიკის რეალურ მოტივაციას.

საეციფიკური ფაქტორები და ვაჭრობის თეორიის შემგნის დასაწყისი

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე თეორია სათავეს იღებს დავიდ რიკარდოს შრომიდან (1817 წელი). სადაც აღნიშნულია, რომ ვაჭრობა ურთიერთმომგებიანია ქვეყნებისთვის. მე-2 თავში განვიხილეთ რიკარდოს მოდელი, რასაც აეტორი იყენებდა, რათა მხარი დაეჭირა თავისუფალი ვაჭრობისათვის, კერძოდ, რათა ბოლო მოეღო იმ ტარიფებისათვის, რომლებიც ამკაცრებდნენ ინგლისის იმპორტს საკვებზე. 1817 წლის ბრიტანეთის ეკონომიკის აღწერა უკეთესად მოხერხდა სპეციფიკური ფაქტორების მოდელით, ვიდრე ერთფაქტორიანი ე.წ. რიკარდოს მოდელით.

სიტუაციის გასაგებად გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისიდან (1789 წ.) ნაპოლეონის ვაჭრობისთან დაპირისპირებამდე (1815 წ.) ბრიტანეთი თითქმის მუდმივად იმის მდგომარეობაში იყო საფრანგეთთან. ომმა სუბსტიტუცია მოახდინა ბრიტანეთის ვაჭრობაზე მეტობაზე გემები აკონტროლებდნენ სასაღებო გადასახადებს და ფრანგები ცდილობდნენ ბრიტანული საქონლის ბლოკირებას რადგან ბრიტანეთი აწარმოებდა სამრეწველო საქონლის ექსპორტს და სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტს, ვაჭრობის ამ შესღვევებმა გაზარდა შესაძლო ფასები საკვებზე აღნიშნულ ქვეყანაში. სამრეწველო საქონლის მეწარმეები დასარაღდნენ, ხოლო მიწის მფლობელებმა რეალური მოგება ნახეს ამ ხანგრძლივი ომის პერიოდში.

ომის შემდგომ ბრიტანეთში საკუთარ ფასები დაეცა. აქედან გამომდინარე შედეგების თავიდან ასაცილებლად პოლიტიკურად გაკლენიანმა მიწის მფლობელებმა შეძლეს კანონმდებლობით (ე.წ. **სიმინდის კანონები**) გადასახადის შემოღება. რათა ხელი შეუშალათ მარცვლეულის იმპორტირებისათვის. რიკარდო ამ კანონის წინააღმდეგ გამოვიდა.

რიკარდომ იცოდა, რომ **სიმინდის კანონების** გაუქმება გააუმჯობესებდა კაპიტალისტების მდგომარეობას. მაგრამ გააყარესუბა მიწის მფლობელთა ყოფას. რადგანაც იგი თვითონ იყო ლონდონელი ბიზნესმენი, ნაყოფიერად მომუშავე კაპიტალისტი ერთი უსაქმურ არისტოკრატს, მაგრამ მან წარმოადგინა ეს არგუმენტი მოდელის სახით, რომელიც არ ითვალისწინებდა შიდაშემოსავლის განაწილების საკითხს.

რატომ გააკეთა მან ასე? პასუხი თითქმის პოლიტიკურია: მიუხედავად იმისა, რომ რიკარდო იცავდა გარკვეული ჯგუფის ინტერესს, მან ხაზი გაუსვა მოგებას მოლიანად ქვეყნისათვის. ეს იყო ჰეგლიანური და სრულიად თანამედროვე სტრატეგია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თეორიის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის, გამოყენებას. მაშინ, როგორც ახლა, პოლიტიკური და ინტელექტუალური პროცესები არ იყო შეუთავსებელი. **სიმინდის კანონები** გაუქმდა საუკუნეწინაბურსის წინათ, მაგრამ რიკარდოს ეაჭრობის მოდელი კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდელად ეკონომიკაში.

შემოსავლის განაწილება და ვაჭრობის პოლიტიკა

გასაგებია, რომ გარკვეული ჯგუფები სარალდებიან ვაჭრობიდან და მოითხოვენ თავიანთ მოაქრობებისაგან, რათა ამ უკანასკნელთ გაამკაცრონ ვაჭრობა და დაიცვან თავიანთი შემოსავლები. შეიძლება იფიქროთ, რომ ისინი, ვინც მოგებით ვაჭრობს, ლობიურებას მიმართავენ ისევე აქტიურად, როგორც ისინი, ვინც სარალდებიან მისგან. აშშ-სა და უმეტეს ქვეყნებში ისინი, ვისაც უნდა ვაჭრობის შესწავლა, უფრო აქტიური არიან პოლიტიკურად. ვიდრე ისინი, ვისაც უნდა მისი გაფართოება. კონკრეტული პროდუქტის ვაჭრობიდან მოგების მიმდებნი ნაკლებ კონცენტრირებულნი, ინფორმირებულნი და ორგანიზებულნი არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც სარალდებიან.

მაგალითად ავიღოთ შაქრის წარმოება აშშ-ში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიმართავენ შაქრის იმპორტის შესწავლას; აქაურ ბაზარზე შაქრის ფასი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. ბევრის შეფასებით, აშშ-ს მომხმარებლების ხარჯი იმპორტის შესწავლის პირობებში დაახლოებით ორი მლრდ. დოლარია წელიწადში, ე.ი. 8 დოლარი თითოეულ ადამიანზე. მწარმოებელთა მოგება გაცილებით მცირეა.

თუ შევარჩევთ და მომხმარებელი თანაბრად მიიღებენ თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ასეთი პოლიტიკა არასდროს გატარდება ცხოვრებაში. გამოდის, რომ თითოეული მომხმარებელი ძალიან ცოტას ხარჯავს – 8 დოლარი წელიწადში არც ისე ბევრი; უფრო მეტიც, ხარჯის უმეტესობა იფარება რადგან შაქარი მოიხმარება როგორც სხვა საკვების შემადგენელი ნაწილი და ნაკლებად ხდება მისი პირდაპირი შესყიდვა. მომხმარებელთა უმეტესობამ არც კი იცის, რომ იმპორტზე არსებობს ქვოტები. რომც იცოდეს, 8 დოლარი არ არის ის თანხა, რომლისთვისაც ღირს ადამიანებმა პროტესტი განაცხადონ. შაქრის მეწარმის მდგომარეობა საკმაოდ განსხვავებულია, იგი იკებს ათასობით დოლარს წელიწადში იმპორტის ქვოტებიდან. უფრო მეტიც, შაქრის მწარმოებლები ერთიანდებიან სავაჭრო ასოციაციებში და კოორპორატივებში, რომლებიც გამოხატავენ თავიანთი წევრების პოლიტიკურ ინტერესებს.

როგორც 8-11 თავებში ვნახავთ, შაქრის წარმოებაში იმპორტის შესწავლა არის იმ პოლიტიკური პროცესის მაგალითი, რომელიც ხშირად ახლავს საერთაშორისო ვაჭრობას. მსოფლიო ვაჭრობა უფრო თავისუფალი გახდა 1945 წლიდან 1980 წლამდე, რასაც მე-9 თავში განვიხილავთ.

რეზიუმე

1. საერთაშორისო ვაჭრობა ხშირად ძლიერ გაკლენას ახლენს შემოსავლის განაწილებაზე ქვეყნის შიგნით, წარმოშობს როგორც დასარალდებულს, ასევე მოგებულს. შემოსავლის განაწილების უფექტი წარმოიქმნება ორი მიზეზით: წარმოების ფაქტორებს ერთი მრეწველობიდან მეორეში არ შეუძლიათ იმოდროს უცბად და ხარჯის გარეშე. ცვლილებები ქვეყნის გამოშვების ნარევი განსხვავებულად მოქმედებენ წარმოების სხვადასხვა ფაქტორების მოთხოვნაზე.
2. შემოსავლის განაწილებაში საერთაშორისო ვაჭრობის როლის სახარგებლო მოდელი არის **სპეციფიკური ფაქტორების მოდელი**, რომლის მიხედვით განაწილება შესაძლებელია კონკრეტული გამოყენებისათვის სპეციფიკურ საერთო ფაქტორებს შორის. ამ მოდელით რესურსების განსხვავების გაკლენით ქვეყნებში შესაძლოა მიწოდების მრედეტი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც მოსდევს საერთაშორისო ვაჭრობა.
3. სპეციფიკური ფაქტორების მოდელში საწარმოო ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკური არიან თითოეული ქვეყნის ექსპორტის სექტორში, მოგებას ნახელობენ ვაჭრობიდან, ხოლო საწარმოო ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკური არიან იმპორტისა და კონკრეტული სექტორისათვის, სარალდებიან. მობილური საწარმოო ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ იმეწარმის ნებისმიერ სექტორში, იკებენ ან აკებენ.

- ვაჭრობა წარმოშობს საყოველთაო მოგებას, რადგან ის, ვინც იგებს, ანაზღაურებს იმის ზარალს, ვინც აკებს, ამასთან ინარჩუნებს თავის კეთილდღეობას.
- ეკონომისტთა უმეტესობა არ მიიჩნევს შემოსავლის განაწილებაზე საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტს დამაჯერებელ საფუძველად იმისათვის, რომ შეიზღუდოს ეს ვაჭრობა. თავისი განაწილების ეფექტით ვაჭრობა არ განსხვავდება ეკონომიკური ცვლილებების ბუკური სხვა ფორმისაგან, რომლებიც ნორმალურად არ რეგულირდებიან. უფრო მეტიც, ეკონომისტები ამჯობინებენ, მართონ შემოსავლის განაწილების ეს პროცესი უშუალოდ და არა ვაჭრობის დინებების ჩარევით.
- ვაჭრობის რეალურ პოლიტიკაში შემოსავლის განაწილება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ეს ასეა, რადგანაც ისინი, რომლებიც სარალდებიან ვაჭრობით, უფრო ინფორმირებულნი და ორგანიზებულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც იკებენ.

პირითადი ტერმინები

ბიუჯეტის შესუდევა	კლებადი უკუგება
შრომის უღერული პროდუქტი	მობილური ფაქტორი
საწარმოო ფუნქცია	წარმოების შესაძლებლობათა უღერი
სპეციფიკური ფაქტორები	სპეციფიკური ფაქტორების მოდელი

კითხვები

- 1986 წელს მსოფლიო ბაზარზე ნაყოობის ფასი მკვეთრად დაეცა. რადგან აშშ არის ნავთობის იმპორტიორი ქვეყანა, ეს ხელსაყრელი იყო მისი ეკონომიკისათვის. და მაინც ტეხასსა და ლუიზიანაში 1986 წელს ადგილი ჰქონდა ეკონომიკის დაცემას. რატომ?
- ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს: საქონელი (1), რომელიც იყენებს სამუშაო ძალასა და კაპიტალს; საქონელი (2), რომელიც იყენებს სამუშაო ძალასა და მიწას. სამუშაო ძალის მთლიანი მიწოდება არის 100 ერთეული. მოცემული კაპიტალის პირობებში ამ ორი საქონლის გამოშვება დამოკიდებულია შრომის დანახარჯზე შემდეგნაირად:

შრომის დანახარჯი 1 საქონელზე	1 საქონლის გამოშვება	შრომის დანახარჯი 2 საქონელზე	2 საქონლის გამოშვება
0	0.0	0	0.0
10	25.1	10	39.8
20	38.1	20	52.5
30	48.6	30	61.8
40	57.7	40	69.3
50	66.0	50	75.8
60	73.6	60	81.5
70	80.7	70	86.7
80	87.4	80	91.4
90	93.9	90	95.9
100	100	100	100

- დახაზეთ საწარმოო ფუნქციები (1) და (2) საქონლისათვის.
 - დახაზეთ წარმოების შესაძლებლობათა უღერი. რატომ არის მისი აღმნიშვნელი მრუდი ასე მოხრილი?
- საწარმოო ფუნქციის შესაბამისი შრომის უღერული პროდუქტის მრუდები მე-2 კითხვაში შემდეგია:

დასაქმებული მუშები	შრომის უღერული ხარჯი 1 სექტორში	შრომის უღერული ხარჯი 2 სექტორში
10	1.51	1.59
20	1.14	1.05
30	0.97	0.82
40	0.87	0.69
50	0.79	0.61
60	0.74	0.54
70	0.69	0.50
80	0.63	0.46
90	0.63	0.43
100	0.60	0.40

- ა) ეთქვას, (2) საქონლის ფასი (1) საქონლის ფასთან შედარებით არის 2. გრაფიკულად განსაზღვრეთ ხელფასის განაკვეთი და სამუშაო ძალის განაწილება ორ სექტორს შორის.
 - ბ) გამოიყენეთ გრაფიკი, რომელსაც დახაზავთ მე-2 კითხვისათვის, და განსაზღვრეთ თითოეული სექტორის გამოშვება. შემდეგ გრაფიკულად დაადასტურეთ, წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი რომელ წერტილში უტოლდება შესადარ ფასს.
 - გ) ეთქვას, (2) საქონლის შესადარი ფასი ეცემა (1)-მდე. გაიმეორეთ (ა) და (ბ) მითითება.
 - დ) გამოთქალეთ ფასის ცვლილების ეფექტი სპეციფიკური ფაქტორების შემოსავალზე (1) და (2) სექტორში.
3. მიწისა და კაპიტალის მიწოდებაზე ზრდის შემოქმედების გათვალისწინებით, გაარკვიეთ – რა მოხდება, თუ მობილური ფაქტორის, შრომის, მიწოდება გაიზრდება?
- ა) გააანალიზეთ სამუშაო ძალის მიწოდების ხარისხობრივი ზრდის ეფექტი სპეციფიკური ფაქტორების მოდელში, ორივე საქონლის ფასების შენარჩუნების პირობებში.

მე-3 თავის დანართი

**დამატებითი დეტალები სამეცნიერო
ფაქტორებთან დაკავშირებით**

სპეციფიკური ფაქტორების მოდელს გავითვალისწინებთ საკითხის დეტალურად განხილვისას. უფრო სრულად შევეხებით ორ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას: (1) ურთიერთობას ზღვრულ და მთლიან პროდუქტს შორის თითოეული სექტორის შიგნით; (2) შესადარი ფასის ცვლილების გავლენას შემოსავლის განაწილებაზე.


ზღვრული და მთლიანი პროდუქტი

მრეწველობაში საწარმოო ფუნქცია ტექსტში გავაანალიზეთ ორი გზით. 3-1 გრაფიკში ვაჩვენებთ მთლიანი გამოშვება, როგორც შრომის დანახარჯის ფუნქცია მუდმივი კაპიტალის პირობებში, შემდეგ – 3-2 გრაფიკზე წარმოვადგინებთ შრომის ზღვრული პროდუქტის მრუდის დაქანება. ახლა ენახოთ, მთლიანი გამოშვება როგორ იზომება ზღვრული პროდუქტის ქვედა არეთი.

3დ-1 გრაფიკში კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ ზღვრული პროდუქტის მრუდი მრეწველობაში. ეთქვას, დაეიქირავეთ L_M კაც-საათი. როგორი იქნება სამრეწველო პროდუქტის მთლიანი გამოშვება? პასუხისათვის 'ზღვრული პროდუქტის მრუდი გამოვიყენოთ. რა მოხდება, თუ დაეიქირავეთ უფრო ცოტა კაც-საათს, ეთქვას, dL_M -ით ნაკლებს – გამოშვება შემცირდება, რაც დაახლოებით ასე გამოისახება – $dL_M \times MPL_M$ (სამუშაო ძალის კლება გამრავლებული შრომის ზღვრულ პროდუქტზე დასაქმების საწყის დონეზე). 3დ-1 გრაფიკზე გამოშვების ეს შემცირება წარმოდგენილია მუქი ფერის მართკუთხედით. ახლა შევამციროთ კიდევ რამდენიმე კაც-საათი; გამოშვების დანაკარგის აღმნიშვნელი იქნება მეორე მართკუთხედი. ამჯერად იგი უფრო მოგრძო ფორმის იქნება, რაი შრომის ზღვრული პროდუქტი გაიზრდება, როცა სამუშაო ძალის რაოდენობა შემცირდება. თუ გავაგრძელებთ ამ პროცესს მანამ, სანამ მთელი სამუშაო ძალა არ წავა, ჩვენი მთლიანი გამოშვების მიახლოებითი დანაკარგი იქნება გრაფიკზე მოცემული ყველა მართკუთხედის ჯამი. როცა არც ერთი დასაქმებული აღარ დაგვრჩება, გამოშვება ნულამდე დაეცემა. ასე რომ, შეგვიძლია დაახლოებით გამოეთვალათ სამრეწველო სექტორის მთლიანი გამოშვება იმ ყველა მართკუთხედის ჯამით, რომელიც მოცემულია 'ზღვრული პროდუქტის მრუდს ქვემოთ.

ეს მხოლოდ მიახლოებითი მნიშვნელობაა, რადგან გამოვიყენებთ მხოლოდ პირველი კაც-საათის 'ზღვრული პროდუქტი მუშის თითოეული ჯგუფის წახელის დროს. უკეთეს მონაცემებს მივიღებთ, თუ უფრო პატარა ჯგუფებს ავიღებთ. რაც მცირეა ჯგუფში შემავალ მუშათა რაოდენობა, მით უფრო მოიკლებს მართკუთხედის სიმაღლე. ბოლოს ენახაუთ, რომ სამრეწველო საქონლის მთლიანი გამოშვება, რომელსაც აწარმოებს L_M სამუშაო ძალა, უტოლდება იმ არეს, რომელიც მდებარეობს შრომის 'ზღვრული პროდუქტის მრუდის MPL_M -ს ქვეშ L_M -მდე.

3დ-1 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ გამოშვება უტოლდება არეს, რომელიც მდებარეობს ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვეშ.



ზღვრული პროდუქტის მრუდის მახასიათებელი რამდენიმე ვიწრო ოთხკუთხედიან შეიძლება ვახეყნოთ, რომ გადაამაჩუშავებელი მრეწველობის მილიანი გამოშვება უდრის მრუდს ქვემოთ მითაგესებულ არეს.


შესადარი ფასები და შემოსავლის განაწილება

3დ-2 გრაფიკი იყენებს იმ შედეგებს, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლის განაწილებას სამრეწველო სექტორში მოცემული ხელფასის პირობებში. ჩვენ ვიცით, რომ დამკირავებლები დაასაქმებენ სამუშაო ძალას იმ წერტილამდე, სადაც w/P_M რეალური ხელფასი, სამრეწველო საქონლის სახით, უტოლდება ზღვრულ პროდუქტს. შეგვიძლია წავიკითხოთ სამრეწველო საქონლის მთლიანი გამოშვების გრაფიკი, როგორც არე ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვეშ და განვიხილოთ იგი, როგორც სამრეწველო საქონლის გამოშვების ნაწილი. ამ უკანასკნელს იხდიან ხელფასების სახით, რომელიც უდრის რეალურ ხელფასს გამრავლებულს დასაქმებაზე (ე.ი. მართკუთხედით გამოსახული არე). გამოშვების დარსნილი ნაწილი ეკუთვნის კაპიტალის მფლობელს. იმავე გზით შეგვიძლია განვსაზღვროთ საკვების განაწილება სამუშაო ძალასა და მიწისმფლობელებს შორის.

ვთქვათ, სამრეწველო საქონლის შესადარი ფასი იზრდება. 3-7 გრაფიკში, რომ მოცემულია, რომ P_M/P_F -ის ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს სამრეწველო საქონლის სახით. ეს ეფექტი კაპიტალისტისა და მიწისმფლობელის შემოსავალზე ნაჩვენებია 3დ-3 და 3დ-4 გრაფიკებზე. სამრეწველო სექტორში რეალური ხელფასი კლებულობს (w/P_M)-დან (w/P_M)-მდე; ამის შედეგად კაპიტალისტები მიიღებენ გაზრდილ შემოსავლებს. საკვების სექტორში რეალური ხელფასი იზრდება (w/P_F)-დან (w/P_F)-მდე და მიწისმფლობელები მიიღებენ ნაკლებ შემოსავალს.


შემოსავალზე ეს ეფექტი გამოწვეულია ცვლილებით P_M/P_F -ში. კაპიტალის მფლობელები იღებენ მეტ შემოსავალს სამრეწველო საქონლის სახით. მათი მსყიდველობითი უნარი შემდგომში იზრდება სამრეწველო საქონლის ფასის გაღივებით საკვების ფასთან შედარებით. მიწისმფლობელები იღებენ ნაკლებ შემოსავალს საკვების სახით; ისინი კვლავ არასახარებიელო მდგომარეობაში არიან სამრეწველო საქონლის შესადარი ფასის ზრდის გამო.

გრაფიკი 3დ-2 შემოსავლის განაწილება სამრეწველო სექტორში.




შრომითი შემოსავალი უდრის რეალურ ხელფასს გამრავლებულს დასაქმებაზე. გამოშვების დანარსნი ნაწილი ემარება კაპიტალის მფლობელს შემოსავლის სახით.

გრაფიკი 3დ-3 P_M -ის ზრდა სასარგებლოა კაპიტალის მფლობელისათვის



რეალური ხელფასი გადაამაგმუშაებელ მრეწველობაში მცირდება, რაც ზრდის კაპიტალის მფლობელთა შემოსავალს.

გრაფიკი 3დ-4 P_M -ის ზრდა ზარალიანია მიწისმფლობელისათვის



რეალური ხელფასი საკვების მრეწველობაში იზრდება და ამცირებს მიწის მფლობელთა შემოსავალს.

თავი 4

რესურსები და ვაჭრობა: ჰექსამერ-ოქლინის მოდელი

თუ შრომა იყო წარმოების ერთადერთი ფაქტორი, როგორც ამას რიკარდოს მოდელი ვარაუდობს, ფარდობითი უპირატესობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო მასშტაბით შრომის მწარმოებლურობა განსხვავებული იქნება, რაზედაც ნაწილობრივ დამოკიდებულია ვაჭრობა. ფარდობითი უპირატესობა ამავე დროს ასახავს ცალკეული ქვეყნის რესურსებისთვის დამახასიათებელ განსხვავებას. მაგალითად, კანადა აწვდის აშშ-ს ხე-ტყის პროდუქტებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ხის მჭრელები უფრო მწარმოებლური არიან, ვიდრე აშშ-ში, არამედ იმიტომ, რომ იგი ფლობს მეტ ტყიან მიწას ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე აშშ. ვაჭრობის რეალური გაგება ემყარება არა მარტო შრომის (სამუშაო ძალის), არამედ სხვა საწარმოო ფაქტორების (მიწა, კაპიტალი, მინერალური რესურსები) მნიშვნელობასაც.

ვაჭრობაში რესურსების ურთიერთგანსხვავების როლის ასახსნელად ამ თავში ვიყენებთ მოდელს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სხვაობა არ არის ვაჭრობის ერთადერთი წყარო. ეს მოდელი გვიჩვენებს, რომ შედარებით უპირატესობაზე გავლენას ახდენს ქვეყნების რესურსებს შორის ურთიერთობა (საწარმოო ფაქტორების შესადარი სიუხვე) და წარმოების ტექნოლოგია (ზემოქმედებს შესადარ ინტენსიობაზე, რითაც ხდება წარმოების სხვადასხვა ფაქტორების გამოყენება განსხვავებული საქონლის წარმოებაში). იმავე აზრს ავითარებდა სპეციფიკური ფაქტორების მოდელი (თავი 3).

მოდელი, რომელსაც წინამდებარე თავში განვიხილავთ, ერთმანეთთან აკავშირებს წარმოების ფაქტორების შესადარ სიუხვესა და წარმოების ტექნოლოგიის თანხლებ შესადარ ინტენსიობას.

მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე გაერცყლებული თეორიული შეხედულებაა ის, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნების რესურსებს შორის განსხვავებაზე. ეს აზრი განავითარეს შვედმა ეკონომისტებმა – ელ ჰექსქერმა და ბერტილ ოქლინმა (ოქლინმა 1977 წელს მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში). ამიტომ მას ხშირად მოიხსენიებენ *ჰექსქერ-ოქლინის თეორიად*. ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს სხვადასხვა ქვეყნის წარმოებათა ფაქტორების შეფარდებების ურთიერთგავლენას, რაც ვლინდება ცალკეული საქონლის წარმოებაში; მას, აგრეთვე, უწოდებენ *საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორიას*.

საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორიის განხილვას დაეწეებთ იმ ქვეყნების ეკონომიკით, რომლებიც არ ვაჭრობენ; მერე ენახავთ, რა მოხდება, თუ ასეთი ორი ქვეყანა დაიწყებს ერთმანეთთან ვაჭრობას. რადგან დასახელებული თეორია არის არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ საკამათოც, მოცემულია მოსაზრებები როგორც ამ თეორიის მხარდასაჭერად, ასევე მის საწინააღმდეგოდ.

ორფაქტორიანი ეკონომიკის მოდელი

ყველაზე მარტივი საწარმოო ფაქტორების შეფარდების მოდელი ერთგვარად ჰგავს სპეციფიკური ფაქტორების მოდელს (იხ. მე-3 თავი). ამ უკანასკნელის მიხედვით ვუშვებთ, რომ თითოეულ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს ორი საქონელი, ამასთან თითოეული საქონლის წარმოება მოითხოვს წარმოების ორი ფაქტორის გამოყენებას. ოდონდ ადარ ვუშვებთ, რომ თითოეულ მრეწველობაში გამოყენებული ერთ-ერთი ფაქტორი სპეციფიკურია ამ მრეწველობისათვის. ამის ნაცვლად, იგივე ორი წარმოების ფაქტორი გამოიყენება ორივე სექტორში. ამას მიეყვართ უფრო რთული მოდელისა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი მოსაზრებისაკენ.

მოდელის შესაბამისად ღაგუშვათ:

ქვეყნები, რომელთა შესახებაც ვმსჯელობთ, ორ საქონელს უშვებენ: ქსოვილს (რომელიც იწარმოება სიგრძის ერთეულით – იარდით) და საკეები (რომელიც იწარმოება კალორიებით). თითოეული საქონლის წარმოება მოითხოვს ორ ლიმიტირებულ დანახარჯს: შრომას (რომელსაც ვსომავთ დროის ერთეულით – საათით), და მიწას (რომელსაც ვსომავთ ფართის ერთეულით – აკრით).

^a = მიწის ფართი აკრით, რომელიც გამოიყენება ერთი იარდი ქსოვილის საწარმოებლად.
^a_{TC} = სამუშაო საათი, რომელიც გამოიყენება ერთი იარდის ქსოვილის საწარმოებლად.

a = მიწის ფართი აკრით, რომელიც გამოიყენება ერთი კალორია საკვების საწარმოებლად.


a^{TF} = სამუშაო საათი, რომელიც გამოიყენება ერთი კალორია საკვების საწარმოებლად.

L^{LF} = სამუშაო ძალის მარაგი.

T = მიწის მარაგი.

გრაფიკი 4-1 დანახარჯის შესაძლებლობები საკვების მრეწველობაში

ერთი კალორია ფასი, გამოყენებული ერთი კალორია საკვების საწარმოებლად, z_T



ფერმერს შეუძლია აწარმოოს სკალორიული საკვები ნაკლები მიწით, თუ მეტ სამუშაო ძალას მოიხმარს, და პირიქით.

ამ განსაზღვრებებში ყურადღებას გაემახვილებთ უფრო მეტად მიწისა და სამუშაო ძალის ხარისხზე, რომელიც გამოიყენება ფიქსირებული რაოდენობის საკვებისა და ქსოვილების საწარმოებლად, ვიდრე იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა ამ საქონლის საწარმოებლად. რიკარდოს მოდელიდან გადახვევის მიზეზი არის ის, რომ ორფაქტორიან ეკონომიკაში არსებობს დანახარჯების გამოყენების არჩევანის შესაძლებლობა. ფერმერს შეუძლია, მოიყვანოს მეტი საკვები ერთ აკრ მიწაზე, თუ გამოიყენებს მეტ დანახარჯებს ნიადაგის მოსამზადებლად, სარეველების გასანადგურებლად და ა.შ. ასე რომ, ფერმერი მიწის ნაკლებ ფართზე მეტ შრომას დახარჯავს გამოშვების ერთი ერთეულის მისაღებად. თითოეულ სექტორში მეწარმენი დგებიან არა ფიქსირებული ხარჯის მოთხოვნის წინაშე (როგორც ეს რიკარდოს მოდელშია), არამედ ისეთი კომპრომისების წინაშე, რომლებიც გამოხატულია 4-1 გრაფიკზე; II მრუდი გვიჩვენებს ერთი კალორია საკვების საწარმოებლად საჭირო ალტერნატიული ხარჯის კომბინაციას.

თუ დანახარჯების რა არჩევანს გააკეთებენ მეწარმენი რეალურად, დამოკიდებულია მიწისა და სამუშაო ძალის შესადარ ფასზე. თუ მიწის იჯარა მაღალია და ხელფასები დაბალი, ფერმერები ამჯობინებენ წარმოებისათვის გამოიყენონ შედარებით მცირე მიწა და ჭარბი სამუშაო ძალა; თუ იჯარა დაბალია, ხოლო ხელფასი მაღალი, ისინი დაზოგავენ სამუშაო ძალას და გამოიყენებენ მიწის დიდ ოდენობას. ადენიშნით w -ით ხელფასის განაკვეთი სამუშაო ძალის ერთ საათზე და r -ით მიწის ერთი აკრის ღირებულება; დანახარჯის არჩევანი დამოკიდებული იქნება ამ ორი ფაქტორის ფასის შეფარდებაზე, w/r ურთიერთობა ფაქტორების ფასებსა და საკვების წარმოებაში გამოიყენებულ სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდებას შორის ნაჩვენებია 4-2 გრაფიკზე FF მრუდით.

შესაბამისი ურთიერთობაა w/r და ქსოვილის წარმოებაში მიწასა და სამუშაო ძალის შეფარდებას შორის. ეს ურთიერთობა ნაჩვენებია 4-2 გრაფიკზე, CC მრუდით, რომელიც მდებარეობს FF მრუდის მარცხნივ და გვიჩვენებს, რომ ფაქტორის ნებისმიერი ფასების დროს საკვების წარმოებას ყოველთვის დასჭირდება მიწის უფრო მაღალი შეფარდება სამუშაო ძალასთან, ვიდრე ქსოვილის გამოშვებას. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ საკვების წარმოება მიწა ინტენსიურია, ხოლო ქსოვილის წარმოება – შრომა ინტენსიური. ინტენსიობის დადგენა დამოკიდებულია მიწის შეფარდებაზე წარმოებაში გამოიყენებულ სამუშაო ძალასთან და არა მიწის ან სამუშაო ძალის შეფარდებაზე გამოშვებასთან. ასე რომ, საქონელი არ შეიძლება იყოს მიწა-ინტენსიურიც და შრომა-ინტენსიურიც ერთდროულად.

ფაქტორებისა და საქონლის ფასები


დავეშვათ, რომ ეკონომიკა აწარმოებს ქსოვილსა და ტანსაცმელს. თითოეულ სექტორში მეწარმეთა შორის კონკურენცია იმის გარანტიას იძლევა, რომ დასახელებული ცალკეული საქონლის ფასი უტოლდება მის საწარმოო დანახარჯს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ფაქტორის ფასზე: თუ საიჯარო გადასახადი მიწაზე მაღალია, მაშინ (სხვა თანაბარ პირობებში) ფასი ნებისმიერი საქონლისა, რომლის წარმოებაც მოითხოვს მიწის დანახარჯს, აგრეთვე მაღალი იქნება.

კონკურენტული ფაქტორის ფასის მნიშვნელობა საქონლის წარმოების დანახარჯში დამოკიდებულია იმაზე, ამ შემთხვევაში რა რაოდენობით გამოიყენება ეს ფაქტორი. თუ ქსოვილის წარმოება მოითხოვს მცირე მიწის გამოყენებას, შემდეგში მიწის ფასის გაზრდა დიდ ეფექტს ვერ მოახდენს ქსოვილის ფასზე; თუ საკვების წარმოებაში გამოიყენება ბევრი მიწა, ამ უკანასკნელის ფასის გადიდება დიდად იმოქმედებს საკვების ფასზე. შეგვიძლია დაეკვივროთ, რომ სახესუა ურთიერთობა იჯარის განაკვეთთან სახელფასო განაკვეთის შეფარდებასა

(w/r) და საკვების ფასთან ქსოვილის ფასის შეფარდებას (P_c/P_f) შორის. ეს ერთიერთობა ნაჩვენებია 'ხემათ მიმართული SS მრუდით 4-3 გრაფიკზე.

გრაფიკი 4-2 ფაქტორის ფასები და დანახარჯის არჩევანი

შრომითი დანახარჯების (ხელფასის) შეფარდება მიწის ღირებულებასთან (რენტასთან), w/r




თითოეულ სექტორში წარმოებაში გამოყენებული მიწის შეფარდება სამუშაო ძალასთან დამოკიდებულია შრომითი დანახარჯების ღირებულება მიწის ღირებულებასთან მიმართებაში, w/r . FF მრუდი გეინენებს მიწისა და სამუშაო ძალის შეფარდებას საკვების წარმოებაში, CC მრუდი – ქსოვილის წარმოებაში. ნებისმიერი ხელფასისა და იჯარის შეფარდების დროს საკვების წარმოება იყენებს მიწისა და სამუშაო ძალის უფრო მაღალ კოეფიციენტს. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ საკვების წარმოება მიწაინტენსიურია, ხოლო ქსოვილის წარმოება შრომაინტენსიურია.

გრაფიკი 4-3 ფაქტორისა და საქონლის ფასები

რადგან ქსოვილის წარმოება შრომაინტენსიურია, საკვებისა კი მიწაინტენსიურია, არსებობს ერთმანეთთან პირდაპირი ურთიერთობა ფაქტორულ ფასების შეფარდებასა (w/r) და ტანსაცმლის შესაღარი ფასის (P_c/P_f) შორის: რაც უფრო დიდია შრომითი დანახარჯების ღირებულება, მით უფრო მეტი უნდა იყოს შრომაინტენსიური საქონლის შესაღარი ფასი. ეს ნაჩვენებია SS მრუდით.

ქსოვილის შესაღარი ფასი, P_c/P_f



თუ გავაერთიანებთ 4-2 და 4-3 გრაფიკებს, ავაგებთ 4-4 გრაფიკს, რომლის მარცხენა მხარე 4-3 გრაფიკის (SS მრუდი) შესატყვისია, ხოლო მარჯვენა 4-2 გრაფიკის შესატყვისი იქნება. ამ ორი ნახაზის გაერთიანებით ჩანს ერთი შეხედვით გასაკვირი კავშირი საკვების ფასსა და თითოეული საქონლის წარმოებაში გამოყენებული სამუშაო ძალის მიწასთან შეფარდებას შორის. ვთქვათ, ქსოვილის შესაღარი ფასია (P_c/P_f)¹ (4-4 გრაფიკის მარცხენა მხარე); თუ ეკონომიკა აწარმოებს ორივე საქონელს, სახელფასო განაკვეთის შეფარდება მიწის საიჯარო განაკვეთთან უნდა უტოლდებოდეს (w/r)¹-ს. შეფარდება გულისხმობს, რომ ქსოვილისა და საკვების წარმოებაში დასაქმებულ სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება უნდა იყოს (T/L)¹ და (T/L)¹ შესაბამისად (4-4 გრაფიკის მარჯვენა მხარე). თუ ქსოვილის შესაღარი ფასი უნდა გაიზარდოს (P_c/P_f)² დონემდე, სახელფასო განაკვეთის შეფარდება მიწის საიჯარო განაკვეთთან გადიდება (w/r)²-მდე. იმის³ გამო, რომ მიწა ახლა შედარებით იაფია, ქსოვილისა და საკვების წარმოებაში დასაქმებული სამუშაო ძალის შეფარდება მიწასთან გაიზარდება შესაბამისად (T/L)²-მდე და (T/L)²-მდე.

ამ გრაფიკიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ შეგვიძლია შევიტყოთ. მარცხენა ნაწილი გეინენებს, რომ, საკვების ფასთან შედარებით, ქსოვილის ფასის სრულად გაადიდებს მეშვების შემოსავალს უფრო, ვიდრე მიწის მფლობელებისას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: შესაღარი ფასების ასეთი ცვლილება მსხვილდებოდა უნარს გაადიდებს მეშვებში და შეამცირებს მიწისმფლობელებში. ეს გამოწვეული იქნება ორივე საქონლით გამოხატული რეალური ხელფასების სრული და რეალური იჯარის შემცირებით.

როგორ დგინდება ეს? როდესაც P_c/P_f იზრდება, სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება ორივე საქონლის წარმოებაში იმატებს. როგორც მე-3 თავში ვნახეთ, კონკურენტულ ეკონომიკაში საწარმოო ფაქტორები ანაზღაურდება მათი 'ხდურული პროდუქტით' – მეშვების რეალური ხელფასი ქსოვილის სახით უტოლდება სამუშაო ძალის 'ხდურულ მწარმოებლურობას' ქსოვილის გამოშვებაში და ა.შ. როდესაც ერთ-ერთი საქონლის წარმოებაში სამუშაო ძალის 'ხდურული პროდუქტი' ამ საქონელთან მიმართებაში იზრდება – მეშვების რეალური ხელფასი მაღალი იქნება ორივე საქონლის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, მიწის 'ხდურული პროდუქტი' ორივე მრეწველობაში ეცემა, ახე რომ მიწისმფლობელების რეალური შემოსავალი მცირდება ორივე საქონელთან მიმართებაში.


ამ მოდელში, ისევე როგორც სპეციფიკური ფაქტორების მოდელში, შესაძარი ფასის სხვადასხვაობა ძლიერ გააულებს ახდენს შემოსავლის განაწილებას. საკვების ფასის ცვალებადობა იწვევს შემოსავლის განაწილების ისეთ ძლიერ ცვლილებას, რომ ერთი წარმოების ფაქტორის მფლობელები მოგებას ნახულობენ, ხოლო მეორე წარმოების ფაქტორის პატრონები ზარალდებიან.

რესურსები და გამოშვება

ახლა შეგვიძლია დავასრულოთ ორფაქტორიანი ეკონომიკის აღწერა საქონლის ფასის, ხაჭარისო ფაქტორების მიწოდებისა და გამოშვების შორის ურთიერთობის გაანალიზების საშუალებით.

ეოქათ, ვიღებთ ქსოვილის მოცემულ შესაძარ ფასს. 4-4 გრაფიკიდან ვიცი, რომ ეს ფასი განსაზღვრავს ხელფას-იჯარის შეფარდებას w/r , და აქედან გამომდინარე ორივე საქონლის (ქსოვილი, საკვები) წარმოებაში გამოყენებულ სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდებას. მაგრამ ეკონომიკაში სრულად უნდა გამოიყენოს სამუშაო ძალის და მიწის მთელი მიწოდება. ეს პირობა განსაზღვრავს რესურსების განთავსებას ორ მრეწველობას შორის და წარმოების მოლიან გამოშვებას.

გრაფიკი 4-4 საქონლის ფასებიდან დანახარჯის არჩევანისკენ




ქსოვილის შესაძარი ფასის (P_c/P_c)¹ დროს ხელფასის განაკვეთის შეფარდება მიწის საიჯარო განაკვეთთან უნდა უდრიდეს (w/r). ხელფასისა და იჯარის ეს შეფარდება გულისხმობს, რომ ქსოვილისა და საკვების წარმოებაში გამოყენებული მიწისა და სამუშაო ძალის შეფარდება, უნდა იყოს (T_c/L_c) და (T_f/L_f). თუ ქსოვილის შესაძარი ფასი იზრდება (P_c/P_c -მდე, მაშინ ხელფასისა და იჯარის შეფარდება უნდა გაიზარდოს (w/r). ეს გამოიწვევს ორივე წარმოებაში გამოყენებული მიწისა და სამუშაო ძალის შეფარდების ზრდას.

ყველაზე მოსახერხებელი გზა ორფაქტორიანი ეკონომიკაში რესურსების განთავსების ანალიზისათვის არის "მართკუთხედის" აგება 4-5 გრაფიკში. ამ მართკუთხედის სიგანე გამოსახავს სამუშაო ძალის მთლიან მიწოდებას, ხოლო მისი სიმაღლე – მიწის მთლიან მიწოდებას. ორ მრეწველობას შორის რესურსების განთავსება შეიძლება წარმოდგენილი იყოს მართკუთხედის შიგნით (1) წერტილით. მიწისა და სამუშაო ძალის გამოყენების ოდენობა ტანსაცმლის წარმოებაში აღინიშნება როგორც პორიზონტალური და ვერტიკალური მანძილი O წერტილიდან; (1) $O L$ წერტილი არის სამუშაო ძალა ტანსაცმლის წარმოებაში გამოყენებული, ხოლო $O T$ არის მიწა – გამოყენებული იმავე წარმოებაში. დანახარჯები საკვების წარმოების სექტორში გადაიზომება სწავნიანადმდეყო კუთხიდან: $O L$ არის სამუშაო ძალა, $O T$ კი საკვების წარმოებაში გამოყენებული მიწა.

როგორ შეგვიძლია დავადგინოთ ამ რესურსების განთავსების წერტილის ადგილი? 4-4 გრაფიკიდან ვიცი, რომ საქონლის მოცემული ფასების პირობებში შეგვიძლია განვსაზღვროთ სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება ტანსაცმლის წარმოებაში, T_c/L_c დაუხაზოთ სწორი ხაზი O -დან, რომლის დაქანება გაუტოლდება მიწა-სამუშაო ძალის შეფარდებას, $O C$ ხაზს; (1) წერტილი უნდა მდებარეობდეს ამ ხაზზე. მიწა-სამუშაო ძალის შეფარდება საკვების წარმოებაში განსაზღვრავს $O F$ მუორე ხაზის დაქანებას; (1) წერტილი უნდა მდებარეობდეს ამავე ხაზზე. ($O F$ უფრო დაქანებულია, ვიდრე $O C$, რადგან, როგორც ადრე ვნახეთ, სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება უფრო მაღალია საკვების წარმოებაში, ვიდრე ქსოვილის წარმოებაში). ასე რომ, წარმოების რესურსების განთავსება აღინიშნება (1) წერტილით, რომელსაც ორი მრეწვი (წარმომადგენენ მიწა-სამუშაო ძალის შეფარდებას) იკვებება.

გრაფიკი 4-5 რესურსების განთავსება


მართკუთხედის მხარეები აღმნიშნავენ სამუშაო ძალისა (ჰორიზონტალური ღერძი) და მიწის (ვერტიკალური ღერძი) მთლიან მიწოდებას ეკონომიკაში. ქსოვილის წარმოებაში დანახარჯები გაიზომება ქვედა მარცხენა კუთხიდან; საკვებისა კი ზედა მარჯვენა კუთხიდან. ქსოვილის წარმოებაში მიწისა და სამუშაო ძალის T_c/L_c შეფარდების დროს, ქსოვილის წარმოებაში გამოყენებული რესურსები უნდა აღინიშნოს O_cC მრუდზე, ხოლო საკვებისა O_cF მრუდზე. ამდენად რესურსების განთავსება აღინიშნება (1) წერტილიდან, სადაც ეს მრუდები გადაიკვეთება.



ქსოვილისა და საკვების მოცემული ფასის, მიწისა და სამუშაო ძალის მიწოდების პირობებში შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ, თითოეული რესურსის რა რაოდენობაა გამოყენებული თითოეული საქონლის წარმოებაში; და აქედან გამოვძინარე განესაზღვროთ თითოეული საქონლის გამოშვება. კითხვაზე – როგორ იცვლება ეს გამოშვება, წარმოების რესურსების ცვალებადობის შესაბამისად გასაოცარ პასუხს იძლევა 4-6 გრაფიკი. იგი გვინიშნებს, თუ რა ხდება, როდესაც ორივე საქონლის ფასები და სამუშაო ძალის მიწოდება ფიქსირებულია წარმოებისათვის მიწის მიწოდების ზრდის პირობებში. ასეთ დროს მართკუთხედის სიმაღლე დიდია. ეს ნიშნავს, რომ საკვების წარმოებაში დანახარჯის ზრდა აითვლება არა O წერტილიდან (ახლა აღნიშნულია როგორც O^1), არამედ უფრო გაზრდილი მართკუთხედის კუთხიდან O^2F , პირველადი მრუდი O^1F^1 უნდა შეიცვალოს O^2F^2 -ით. რესურსების განთავსების წერტილი უნდა გადაადგილდეს (1)-დან (2)-კენ.

რა არის საოცარი ამ შედეგში? დააკვირდით, რომ ქსოვილის წარმოებაში გამოყენებული სამუშაო ძალისა და მიწის რაოდენობა რეალურად დაეცა, L^1 და T^1 -დან L^2 და T^2 -მდე. ასე რომ, წარმოებისათვის მიწის მიწოდების ზრდა, მუდმივი ფასების პირობებში, იწვევს შრომა-ინტენსიური საქონლის გამოშვების დაცემას. რა უმართება მიწასა და სამუშაო ძალას, რომელიც აღარ გამოიყენება ქსოვილის წარმოებაში? ახლა ის გადაინაცვლებს საკვების წარმოებაში, რომლის გამოშვებაც უნდა გაიზარდოს მიწის მიწოდების ზრდაზე მეტად; მაგალითად, თუ მიწის მიწოდება გადიდება 10%-ით, საკვების გამოშვებამ შეიძლება 15%-20%-ით მოიმატოს.

გრაფიკი 4-6 მიწის მიწოდების ზრდა




მიწის გაზრდილი მიწოდების გამო ეკონომიკის რესურსების აღმნიშნული მართკუთხედი უფრო მაღალია; საკვების წარმოებაში განთავსებული რესურსები ახლა უნდა გაიზომოს O^1 წერტილიდან. თუ საქონლის ფასი უცვლელი რჩება და ფაქტორული ფასებისა და მიწისა და სამუშაო ძალის შეფარდება იგივეა, რესურსები გადაინაცვლებს (1) წერტილიდან (2)-კენ და საკვების წარმოებას მეტი მიწა და საკვები სამუშაო ძალა დაეუძმობა. ტანსაცმლის გამოშვება მცირდება, მაშინ როცა საკვებისა პროპორციულზე მეტად იზრდება.

ამ შედეგზე ფიქრის დროს იბადება კითხვა: რა გაელენას ახდენს რესურსები წარმოების შესაძლებლობებზე. 4-7 გრაფიკზე IT^1 მრული წარმოვიდგენს წარმოების შესაძლებლობებს მიწის მიწოდების ზრდამდე. გამოშვება აღინიშნება (1) წერტილში, სადაც წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის დაქანება უტოლდება ქსოვილის შესადარი ფასს, $-P/P_c$. ამ შემთხვევაში ეკონომიკა აწარმოებს Q_c^1 და Q_f^1 რაოდენობის ქსოვილსა და საკვებს. IT^2 მრული გვიჩვენებს წარმოების შესაძლებლობათა ზღვარს მიწის მიწოდების ზრდის შემდეგ, დასახელებული ზღვარი გადაინაცვლებს IT^2 -სკენ, ე.ი. ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს მეტი ორივე საქონელი (ქსოვილი, საკვები), ვიდრე ადრე. ზღვარს გარეთ გადაადგილება ხდება უფრო მეტი საკვების, ვიდრე ქსოვილის მიმართულებით, ე.ი. სახეზეა წარმოების შესაძლებლობათა გადახრილი გაფართოება. იგი გვხვდება, როდესაც წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი გადაადგილდება უფრო მეტად ერთი და ნაკლებად მეორე მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში გაფართოება ისე ძლიერ იხრება საკვების წარმოებისაკენ, რომ უცვლელი შესადარი ფასების დროს, წარმოება (1) წერტილიდან (2) წერტილისაკენ გადაინაცვლებს, რაც გულისხმობს ქსოვილის გამოშვების რეალურ შემცირებას Q_c^1 -დან Q_c^2 -მდე და საკვების გამოშვების დიდ ზრდას Q_f^1 -დან Q_f^2 -მდე.

რესურსების ზრდის გადახრის ეფექტი წარმოების შესაძლებლობებზე მთავარი საკითხია იმის გასაგებად, თუ რესურსების არსებული სხვაობა როგორ ზრდის საერთაშორისო ვაჭრობას. საკვების წარმოებისათვის მიწის მიწოდების გადიდება წარმოების შესაძლებლობებს აფართოებს არაპროპორციულად. ასე რომ, ეკონომიკა, რომელსაც აქვს სამუშაო ძალასთან მიწის მაღალი შეფარდება, შედარებით უკეთ აწარმოებს საკვებს, ვიდრე ეკონომიკა, რომელსაც ახასიათებს სამუშაო ძალასთან მიწის დაბალი შეფარდება. ზოგადად ეკონომიკა შედარებით ეფექტური იქნება საქონლის წარმოებაში, რომელიც ინტენსიურია იმ ფაქტორებით, რითაც ეს ქვეყანა შედარებით უკეთაა უზრუნველყოფილი.

გრაფიკი 4-7 რესურსები და წარმოების შესაძლებლობები



მიწის მიწოდების ზრდა გადაადგილებს ეკონომიკის შესაძლებლობათა ზღვარს ზემოთკენ IT^1 -დან IT^2 -სკენ, მაგრამ უკუპროპორციულად საკვების წარმოების მიმართულებით. შედეგი ისაა, რომ ქსოვილის უცვლელი შესადარი ფასის დროს (რომელიც გამოხატულია $-P/P_c$ მრულით) ქსოვილის წარმოება გადაიხრება Q_c^1 -დან Q_c^2 -სკენ.

საერთაშორისო ვაჭრობის უძლებები ორფაქტორიან ქვეყნებს შორის

გამოვეყნით რა ორფაქტორიანი ეკონომიკის საწარმოო სტრუქტურა, ახლა ვნახოთ, როგორ ვაჭრობს ასეთი ორი ეკონომიკა - ჩვენი ქვეყანა და უცხოეთი. ხშირად ისინი ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს - აქვთ ერთნაირი გემოვნება, მსგავსი შესადარი მოთხოვნა საკვებსა და ქსოვილზე და აქვთ ერთნაირი შესადარი ფასები ორივე საქონელზე; ფლობენ აგრეთვე მსგავს ტექნოლოგიას. მიწისა და სამუშაო ძალის მოცემული რაოდენობა წარმოშობს ქსოვილის ან საკვების ერთნაირ გამოშვებას ორივე ქვეყანაში, რომელთა შორის ერთადერთი განსხვავება არის მათი რესურსები: ჩვენი ქვეყანას აქვს მიწასთან სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდება, ვიდრე უცხოეთს.

შესადარი ფასები და ვაჭრობის სტრუქტურა

ჩვენი ქვეყანა, თუ მას უცხოეთთან შედარებით, აქვს მიწასთან სამუშაო ძალის მაღალი შეფარდება, არის ჭარბი სამუშაო ძალის მფლობელი, ხოლო უცხოეთი - ჭარბმიწიანი. აღსანიშნავია, რომ სიჭარბე შეფარდებითია და არა აბსოლუტური. თუ ამერიკას ჰყავს 80 მილიონი მუშა და აქვს 200 მილიონი აკრი მიწა, ხოლო ბრიტანეთს - 20 მილიონი მუშა და 20 მილიონი აკრი მიწა, ბრიტანეთის დამახასიათებელი იქნება ჭარბი სამუშაო ძალა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუშათა ოდენობა ამერიკის მთლიან რიცხვზე ნაკლებია. როგორც აღვნიშნეთ, სიჭარბე ყოველთვის განისაზღვრება ორ ქვეყანაში მიწასთან სამუშაო ძალის შეფარდებათა ურთიერთშედარებით, არც ერთ ქვეყანაში არ აღინიშნება ყველაფრის სიჭარბე.

რადგან ქსოვილი უზრუნველყოფილია სიჭარბეულია, ჩვენი ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი,

უცხოეთთან შედარებით, გადაადგილდება უფრო მეტად ქსოვილის, ვიდრე საკვების მიმართულებით. ე.ი. სხვა თანაბარ პირობებში ჩვენ ქვეყანას აქვს საკვებთან ქსოვილის მაღალი შეფარდება.


რადგან ვაჭრობა იწვევს შესადარი ფასების დაახლოებას, ქსოვილის ფასი საკვების ფასს დაუახლოვდება. რადგანაც ქვეყნები განსხვავდებიან საწარმოო ფაქტორების სიჭარბით, მოცემული ფასების ნებისმიერი შეფარდების პირობებში, ჩვენი ქვეყანა აწარმოებს საკვებთან ქსოვილის უფრო მაღალ შეფარდებას, ვიდრე უცხოეთი: ჩვენ ქვეყანას ექნება ქსოვილის უფრო მეტი შესადარი მიწოდება, რომლის მრუდი მდებარეობს უცხოეთის შესაბამისი მრუდის მარჯვნივ.

ჩვენი ქვეყნის შესადარი მიწოდების RS და RS* მრუდები მოცემულია 4-8 გრაფიკზე. ჩვენი ვარაუდით, ორივე ქვეყნისათვის ერთნაირი უნდა იყოს RD მრუდი. თუ არ არის საერთაშორისო ვაჭრობა, წონასწორობა ჩვენი ქვეყნისათვის აღინიშნება (1) წერტილში, ხოლო უცხოეთისათვის – (3) წერტილში, ე.ი. ვაჭრობის არასებობის პირობებში ქსოვილის შესადარი ფასი ჩვენ ქვეყანაში უფრო დაბალი იქნება, ვიდრე უცხოეთში.

ერთმანეთთან ვაჭრობის დროს ხდება მათი შესადარი ფასების დაახლოება. ქსოვილის შესადარი ფასი იზრდება ჩვენ ქვეყანაში და მცირდება უცხოეთში. ქსოვილის ახალი მსოფლიო შესადარი ფასი ფიქსირდება წინასავეაჭრო შესადარ ფასებს შორის, ვაჭრათ, (2) წერტილში. ჩვენ ქვეყანაში ქსოვილის შესადარი ფასის ზრდა იწვევს მისი წარმოების მატებას და შესადარი მოხმარების შემცირებას; ასე რომ, ჩვენ ქვეყანა ხდება ქსოვილის ექსპორტიორი და საკვების იმპორტიორი. უკუპროცესი აღინიშნება უცხოეთში – ქსოვილის შესადარი ფასის შემცირება გადააქცევს მას ქსოვილის იმპორტიორად და საკვების ექსპორტიორად.

ვაჭრობის სტრუქტურის მიხედვით, ჩვენ ქვეყანას აქვს ჭარბი სამუშაო ძალა, ხოლო უცხოეთს ჭარბი მიწა. ქსოვილის წარმოება იყენებს მიწასთან შედარებით მეტ სამუშაო ძალას, ე.ი. არის შრომა-ინტენსიური; საკვები პირიქით – მიწა-ინტენსიური. ჩვენი ქვეყანა, სადაც ჭარბი სამუშაო ძალაა, ახდენს შრომაინტენსიური საქონლის (ქსოვილის) ექსპორტს; უცხოეთი, რომელიც ჭარბმიწიანია ეწევა მიწაინტენსიური საქონლის (საკვების) ექსპორტს. დასკვნა: ქვეყნები მიმართავენ საქონლის ექსპორტს, რომლის წარმოებაც საჭიროებს იმ ინტენსიურ საწარმოო ფაქტორებს, რითაც ისინი უხვად არიან უზრუნველყოფილნი.

გრაფიკი 4-8 ვაჭრობა იწვევს შესადარი ფასები დაახლოებას



ვაჭრობის არარსებობისას ჩვენი ქვეყნის წონასწორობა იქნება (1) წერტილზე, სადაც ადგილობრივი შესადარი მიწოდება RS გადაკვეთს RD შესადარის მოთხოვნის მრუდს. ასევე უცხო ქვეყნის წონასწორობა იქნება (3) წერტილში. ვაჭრობის მიუხედავად მსოფლიო შესადარ ფასამდე, რომელიც მდებარეობს წინასავეაჭრო ფასებს შორის, ე.ი. (2) წერტილში.

ვაჭრობა და შემოსავლის განაწილება

ვაჭრობა იწვევს შესადარი ფასების დაახლოებას. ცვლილებები შესადარ ფასებში თავის მხრივ ძლიერ გავლენას ახდენს სამუშაო ძალისა და მიწის შესადარ შემოსავალზე. ქსოვილის ფასის ზრდა აღიძვრს სამუშაო ძალის და ამცირებს მიწის მსყიდველობით უნარს ორივე საქონლის სახით. საკვების ფასის ზრდას აქვს საწინააღმდეგო ეფექტი შემოსავლის განაწილებაზე. ჩვენი ქვეყანაში ქსოვილის ფასის ზრდის პირობებში ადამიანები, რომლებიც შემოსავალს საკუთარი შრომით იღებენ, მოგებას ნახულობენ ვაჭრობიდან, მაგრამ ისინი, რომელთა შემოსავალიც მიწასთან არის დაკავშირებული, სარალდებიან. უცხოეთში პირიქით ხდება: ქსოვილის შესადარი ფასი ეცემა და მუშების მდგომარეობა უარესდება, ხოლო მიწის მფლობელებისა – უმჯობესდება.

ის რესურსი, რომელიც ქვეყანას შედარებით მეტი აქვს (სამუშაო ძალა ჩვენ ქვეყანაში, მიწა უცხოეთში), თვლება წარმოების ჭარბ ფაქტორად, ხოლო ნაკლები რესურსი (მიწა ჩვენ ქვეყანაში, სამუშაო ძალა უცხოეთში) – დეფიციტურ ფაქტორად. სოციალი დასკვნა შემოსავლის განაწილებაზე საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტის შესახებ შემდეგია: ქვეყნის ჭარბი საწარმოო ფაქტორების მფლობელები მოგებას ნახულობენ ვაჭრობიდან, ხოლო დეფიციტური საწარმოო ფაქტორების მქონენი სარალდებიან.

ეს დასკვნა მსგავსია სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების ანალიზის დროს მიღებული დასკვნისა: საწარმოო ფაქტორების ინტენსიურად გამოყენებული იმპორტის კონკურენტი, ადგილობრივი მრეწველობა, სარაღდება ვაჭრობის დაწესებით. იმპორტის კონკურენტი ადგილობრივ მრეწველობებში ფაქტორების სპეციფიკურობა ხშირად მხოლოდ დროებითი პრობლემაა: ტანსაცმლის დამამზადებელი ვერ გახდებიან კომპიუტერების მწარმოებლები ერთ დამეში, მაგრამ მოცემულ დროში აშშ-ს ეკონომიკას შეუძლია გადაადგილოს თავისი მრეწველობის დასაქმება კლებადიდან გაფართოებულ სექტორში. ასე რომ, შემოსავლის განაწილების გაულებლა, როგორც შედეგი სამუშაო ძალისა და წარმოების სხვა ფაქტორების არამობილურობისა, დროებითი გარდამავალი პრობლემაა. და პირიქით, მიწას, სამუშაო ძალასა და კაპიტალს შორის შემოსავლის განაწილებაზე ვაჭრობის გაულებლა ასე თუ ისე მუდმივია.

აშშ-ს ვაჭრობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით იგი ჭარბადაა უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად დაბალი კვალიფიკაციის მუშები აშშ-ში უარეს მდგომარეობაში არიან არა დროებით, არამედ მუდმივად. მათზე ვაჭრობის უარყოფითი გაულებლა იწვევს მუდმივ პოლიტიკურ პრობლემებს. მრეწველობები, რომლებიც იყენებენ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას ინტენსიურად (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოება), მუდმივად მოითხოვენ უცხოური კონკურენციისაგან მათ დაცვას.

არამობილურობით გამოწვეულ შემოსავლის განაწილებასა და საწარმოო ფაქტორის სხვადასხვა ინტენსიობას შორის სხვაობა გვიჩვენებს, რომ ხშირია კონფლიქტი მოკლევადიან და გრძელვადიან ინტერესებს შორის ვაჭრობაში. დაეუშვათ, აშშ-ს მაღალკვალიფიციური მუშა დაკავებულია საწარმოში, სადაც ბევრია დაბალი კვალიფიკაციის მუშა. პირველის მოკლევადიანი ინტერესი იქნება ის, რომ შეისწავლოს საერთაშორისო ვაჭრობა, რადგან მას არ შეუძლია დაუყონებლივ გამოიცივლოს სამუშაო. ხანგრძლივ პერიოდში კი ის უკვე შეძლებს თავისუფალი ვაჭრობიდან მოგების მიღებას და შემოსავლის გაზრდას.

ვაჭრობის ფასების გათანაბრება

ვაჭრობის არარსებობის პირობებში მუშების შემოსავალი ნაკლები იქნება ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან ექნება ქსოვილის უფრო დაბალი შესადარი ფასი, უცხოეთი მეტ შემოსავალს მიიღებს არაბი მიწიდან. საქონლის შესადარ ფასებში არსებული განსხვავება შედეგია **საწარმოო ფაქტორების** მესადარ ფასებში უფრო დიდი სხვაობისა.

როდესაც ჩვენი ქვეყანა და უცხოეთი ვაჭრობენ, საქონლის შესადარი ფასები ერთმანეთს უახლოვდება. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იწვევს მიწის და სამუშაო ძალის შესადარი ფასების მიახლოებას. ასე რომ, ადგილი აქვს **ფაქტორის ფასების გათანაბრებას**. მოდელის მიხედვით ეს ტენდენცია გრძელდება – საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს ფაქტორის ფასების სრულ გათანაბრებას. რადგან ჩვენს ქვეყანას აქვს მიწასთან სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდება, ვიდრე უცხოეთს. როდესაც ისინი ერთმანეთთან ვაჭრობენ, ხელფასის განაკვეთი და მიწის იჯარა ერთნაირია ორივე ქვეყანაში. ამის ნათელსაყოფად დაეუბრუნდეთ 4-3 გრაფიკს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქსოვილისა და საკვების მოცემული ფასის პირობებში შეგვიძლია განვსაზღვროთ ხელფასის განაკვეთი და მიწის იჯარა სამუშაო ძალისა და მიწის მიწოდების გაუთვალისწინებლად. თუ ორივე ქვეყანას აქვთ საქონელსა და საკვებზე ერთნაირი შესადარი ფასები, მათ ასევე ექნებათ ფაქტორის ერთნაირი ფასები.

იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება გათანაბრება, უნდა გაეიგოთ, რომ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ერთმანეთთან ვაჭრობა უფრო მეტია, ვიდრე საქონლის უბრალო გაცვლა. ისინი შემოქმედებას განიცდიან არაპირდაპირ საწარმოო ფაქტორების ვაჭრობის დროს. ჩვენი ქვეყანა საშუალებას აძლევს უცხოეთს, გამოიყენოს თავისი ჭარბი სამუშაო ძალა, არა ამ უკანასკნელის გაყიდვით, არამედ ორ საქონელს შორის ვაჭრობით. ამ ორი საქონლიდან ერთი იწარმოება მიწასთან სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდებით, მეორე სამუშაო ძალის მიწასთან დაბალი შეფარდებით. საქონელი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ყიდის, მოითხოვს საწარმოებლად უფრო მეტ სამუშაო ძალას, ვიდრე ის საქონელი, რომელსაც სანაცვლოდ ყიდულობს. ე.ი. უფრო მეტი სამუშაო ძალა არის გაერთიანებული ჩვენი ქვეყნის ექსპორტში, ვიდრე მის იმპორტში. და პირიქით, უცხოეთის ექსპორტში გაერთიანებულია მეტი მიწა, ვიდრე მის იმპორტში, ასე რომ, უცხოეთი არაპირდაპირ აწარმოებს თავისი მიწის ექსპორტს. აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ ვაჭრობა იწვევს ამ ორი ქვეყნის ფაქტორის ფასების გათანაბრებას.

ვაჭრობის ეს ახსნა მარტივია, მაგრამ არსებობს მთავარი პრობლემა: რეალურ მსოფლიოში ფაქტორის ფასები არ არის გათანაბრებული. მაგალითად, არსებობს ხელფასის განაკვეთის უკიდურესად ფართო დიაპაზონი მთელ რიგ ქვეყნებში (ცხრილი 4-1). ზოგიერთ ამ განსხვავებაში შეიძლება არეკლილია სამუშაო ძალის ხარისხის სხვაობა.

მოდელი არ გვაძლევს ზუსტ პროგნოზებს, ამიტომ განვიხილოთ სამი გადაწყვეტი ვარაუდი: (1) ორი ქვეყანა აწარმოებს ორივე საქონლს; (2) ტექნოლოგია ერთნაირია; (3) ვაჭრობა რეალურად ათანაბრებს საქონლის ფასებს ამ ორ ქვეყანაში.

1. იმისათვის, რომ დადგინდეს ხელფასისა და იჯარის ნორმები ქსოვილის და საკვების ფასის მიხედვით, 4-3 გრაფიკში ჩვენ დაუშვით, რომ ორივე ქვეყანამ გამოუშვა ორივე საქონლი. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ არის. ქვეყანა მიწასთან სამუშაო ძალის მაღალი შეფარდებით შექმნის აწარმოოს მხოლოდ ქსოვილი, ხოლო ქვეყანა, რომელიც სამუშაო ძალასთან მიწის მაღალი შეფარდებით ხასიათდება, აწარმოებს მხოლოდ საკვებს. ეს გულისხმობს, რომ ფაქტორზე ფასის გათანაბრება გეხდება მხოლოდ მაშინ, თუ ამ პროცესში წართული ქვეყნები ერთნაირად უსრუნველყოფენ შესადარ ფაქტორს. ასე რომ, ფაქტორზე ფასები არ გათანაბრდება იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც აქვთ სამუშაო ძალასთან კაპიტალის რადიკალური განსხვავებული შეფარდება ან კვალიფიციური სამუშაო ძალის არაკვალიფიციურთან შეფარდება.
2. მტკიცება, რომ ვაჭრობა ფაქტორის ფასებს ათანაბრებს, არ იქნება სწორი, თუ ქვეყნებს აქვთ განსხვავებული წარმოების ტექნოლოგიები. მაგალითად, იქ, სადაც მოწინავე ტექნოლოგიაა დანერგილი, შეიძლება იყოს როგორც მაღალი ხელფასის, ასევე მაღალი საიჯარო განაკვეთი, ვიდრე იქ, სადაც ტექნოლოგია ჩამორჩენილია. როგორც ამ თავში მოგვიანებით აღვწერთ, ტექნოლოგიათა ასეთი განსხვავების პირობებში აუცილებელია საწარმოო ფაქტორის შეფარდების მოდელის შეთანხმება მსოფლიო ვაჭრობის შესახებ რეალურ მონაცემებთან.
3. და ბოლოს, მტკიცება ფაქტორის ფასის სრული გათანაბრების შესახებ დამოკიდებულია საქონლის ფასების ერთმანეთთან მკვეთრ მიახლოებაზე. რეალურად, მსოფლიოში საქონლის ფასები სრულად არ თანაბრდება საერთაშორისო ვაჭრობით, რაც გამოწვეულია ბუნებრივი (მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯები) და ისეთი ბარიერებით, როგორიცაა ტარიფები, იმპორტის ქვოტები და სხვა შესულებები.

ცხრილი 4-1 მსოფლიოში ხელფასის განაკვეთების შედარება (აშშ=100)

ქვეყნები	საათობრივი ხელფასის განაკვეთი 1992 წელს
აშშ	100
გერმანია	160
იაპონია	100
ესპანეთი	83
საბერძნეთი	44
ჰონგ კონგი	24
ტაივანი	32
კორეა	30
მექსიკა	15

საბოთნი შესწავლისათვის

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვაჭრობა და არათანაბარი განაწილება

1970-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ხელფასების უთანასწორობის მკვეთრი ზრდა შეინიშნებოდა, რამაც გაამძაფრა ქვეყნის სოციალური პრობლემები; ხელფასის დაცემა გამოიწვია ოჯახების გაღარიბება. სხვაობას ბევრი ოჯახის უცვლელ შემოსავალსა და ზოგიერთის სწრაფად მზარდ შემოსავალს შორის მოჰყვა პოლიტიკური და სოციალური სირთულეები.

რამ გამოიწვია ხელფასებს შორის უთანასწორობის მატება? ბევრი დამკვირვებელი ამ ცვლილებას მსოფლიო ვაჭრობის ზრდას მიაწერს, კერძოდ კი სამრეწველო საქონლის ინტენსიურ ექსპორტს ახლადგანვითარებული ქვეყნებიდან (როგორცაა სამხრეთ კორეა და ჩინეთი). 1970-იან წლებამდე ვაჭრობა მოწინავე, სამრეწველო და ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს შორის ხშირად განიხილებოდა, როგორც "ჩრდილოეთ-სამხრეთის" ვაჭრობა, რაკი პირველთა უმეტესობა მდებარეობს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში და მოიცავდა ძირითადად ჩრდილოეთის სამრეწველო საქონლისა და სამხრეთის ნედლეულის ან სასოფლო-სამეურნეო საქონლის (ნაეთი, ყავა) გაცვლას. 1970 წლიდან ნედლეულის ყოფილმა ექსპორტიორებმა დაიწყეს სამრეწველო საქონლის მიყიდვა ისეთი მაღალხელფასიანი ქვეყნებისათვის, როგორცაა, აშშ. როგორც 4-2 ცხრილი გვიჩვენებს, ექსპორტი ახლადგანვითარებული ქვეყნებიდან მოწინავე ქვეყნებში 1970 წლის უმნიშვნელო მოცულობიდან 1990-იანი წლების დასაწყისში 2%-ით გაიზარდა. მაშინ, როცა ახლადგანვითარებული მაღალხელფასიანი ქვეყნები უსრუნველყოფდნენ სწრაფად მზარდ ბაზრებს მაღალგანვითარებული, მაღალხელფასიანი ქვეყნების ექსპორტით, ახლადგანვითარებული ქვეყნების ექსპორტი ძლიერ განსხვავდებოდა იმპორტისაგან საწარმოო ფაქტორის ინტენსიობით. ახლადგანვითარებული ქვეყნებიდან ექსპორტები შედგებოდა ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა შედარებით მარტივი პროდუქტისაგან, რომელთა საწარმოებლად არაკვალიფიციური მუშა-ხელიც საკმარისია, ხოლო მოწინავე ქვეყნებს ექსპორტის სახით ახლადგანვითარებულ ქვეყნებში გაქონდათ ისეთი საქონელი, რომელიც მოითხოვს ინტენსიურ კაპიტალსა

და კვალიფიციურ მუშახელს (ქიმიკატები, თეთმფრინაეები). ზოგიერთი დამკვირვებელი ასკვნის – ის, რაც ხდებოდა, იყო სელა ფაქტორის ფასის გათანაბრებისაკენ. ვაჭრობა განვითარებულ ქვეყნებსა (სადაც კაპიტალისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის სიჭარბეა) და ახლადგანვითარებულ ქვეყნებს (სადაც არაკვალიფიციური სამუშაო ძალა მეტია) შორის ზრდიდა მაღალკვალიფიციური მუშის ხელფასს და ამცირებდა დაბალკვალიფიციური მუშის გასამრჯელოს ქვეყნებში, სადაც კაპიტალისა და კვალიფიციურობის სიჭარბეა. ეს არის წმინდა აკადემიური მნიშვნელობის არგუმენტი. თუ მოწინავე ქვეყნებში შემოსავლის მსარდი არათანასწორობა განიხილება როგორც სერიოზული პრობლემა და თუ მსარდი მსოფლიო ვაჭრობა ითვლება ამ პრობლემის მთავარ მიზეზად, გამწვანდება თავისუფალი ვაჭრობის მიმართ ეკონომისტების ტრადიციული მხარდაჭერის შენარჩუნება.

ცხრილი 4-2. გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის ექსპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან (განკუთვნილი შემოსავლის პროცენტი)

	ყველა იდუსტრიული ქვეყანა	ევროკავშირი	აშშ
1970	0.24	0.22	0.28
1990	1.61	1.30	1.91

იმ დროს, როდესაც 'სოგიერთ ეკონომისტს სჯერა, რომ დაბალხელფასიან ქვეყნებთან მსარდი ვაჭრობა არის აშშ-ში შემოსავლის მკვეთრი უთანასწორობის მთავარი მიზეზი, ბევრი გამოცდილი მუშა დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ამ ზრდის მხოლოდ ხელშემწყობ ფაქტორს და რომ მთავარი მიზეზი სულ სხვაა. ეს სკეპტიციზმი ოთხ ძირითად დაკვირვებას ეყრდნობა.

პირველი, მიხედავად იმისა, რომ მოწინავე ქვეყნები აწარმოებდნენ კაპიტალიზმისიურო საქონლის ექსპორტს და შრომიანტენსიური საქონლის იმპორტს, არ აღინიშნება რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შემოსავლის განაწილებაში კაპიტალსა და შრომას შორის; კომპენსაციის (ხელფასებს მიმატებული მოგება) წილი აშშ-ს ეროვნულ შემოსავალში იგივე იყო (73%) 1993 წელს, რაც 1973 წელს. ასე რომ, ძირითადად ვაჭრობა შეიძლება გამოვიყენოთ უფრო კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებს შორის შემოსავლის განაწილების მიმართ, ვიდრე მუშებსა და კაპიტალს შორის განაწილების მიმართ.

მეორე, საწარმოო ფაქტორის შეფარდების მოდელი გვინიშნებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა გავლენას ახდენს შემოსავლის განაწილებაზე შესაძლარი საქონლის ფასების ცვლილების საშუალებით. თუ საერთაშორისო ვაჭრობა იყო შემოსავლის მსარდი უთანასწორობის მთავარი ძალა, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კვალიფიციან-ინტენსიური პროდუქტის ფასებში მატება უფრო აშკარაა, ვიდრე დაბალი კვალიფიციის სამუშაო ძალაინტენსიური საქონლის ფასებში. საერთაშორისო ფასების მონაცემების შესწავლამ ვერ გამოავლინა შესაძლარ ფასებში ასეთი ცვლილების ნამდვილი მიზეზი.

მესამე, მოდელი ვარაუდობს, რომ საწარმოო ფაქტორის ფასები მიუახლოვდება ერთმანეთს. თუ ქვეყნებში კვალიფიციური მუშების ხელფასები იზრდება, ხოლო არაკვალიფიციური მუშებისა ეცემა, საწინააღმდეგო უნდა მოხდეს ჭარბ სამუშაოძალიან ქვეყანაში განვითარებად ქვეყნებში ხელფასებისა და შემოსავლის განაწილების შესახებ მონაცემები მჭირია, შემოხვევითი დაკვირვება კი გვინიშნებს, რომ ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ჩინეთში, საწინააღმდეგო ხდებოდა: ახლადგანვითარებულ და განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლის უთანასწორობა ერთნაირად სწრაფად იზრდებოდა და კვალიფიციური მუშების მდგომარეობა უმჯობესდებოდა.

მეოთხე, მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სწრაფა გაიზარდა, ის კვლავ წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი დანახარჯების მხოლოდ მცირე პროცენტს. ამის შედეგად, ვაჭრობის 'ფაქტორული შემადგენლობის' შეფასება – კვალიფიციური სამუშაო ძალა ექსპორტირებული განვითარებული ქვეყნების მიერ (განხორციელებული კვალიფიციან-ინტენსიურ ექსპორტში) და არაკვალიფიციურებული სამუშაო ძალა – იმპორტირებული სამუშაო ძალა-ინტენსიურ ექსპორტში – კვლავ არის ამ ორი სახის სამუშაო ძალის მთლიანი მიწოდების მცირე ნაწილი. ამიტომაც ვაჭრობის ეს დინებები დიდ გავლენას ვერ მოახდენს შემოსავლის განაწილებაზე.

მაშ რა არის აშშ-ში კვალიფიციურებულ და არაკვალიფიციურებულ სამუშაო ძალის შემოსავალს შორის უფსკრულის გაღრმავების მიზეზი? უმეტესობის აზრით, არა ვაჭრობა, არამედ ის ტექნოლოგია, რომელმაც გამოადგინა არაკვალიფიციური შრომა.

ჰეკსქერ-ოჰლინის მოდელის ემაირიული საფუძველი

რადგან ვაჭრობის საწარმოო ფაქტორის შეფარდების თეორია ყველაზე გავრცელებულია საერთაშორისო ეკონომიკაში, იგი იქცა ყველაზე უფრო ინტენსიური შემოწმების საგნად.

ჰეკსქერ-ოჰლინის მოდელის შემოწმება

აშშ-ს მონაცემების შემოწმება. ამ ბოლო დრომდე აშშ ითვლებოდა ყველასაგან განსხვავებულ ქვეყნად – იყო სხვა ქვეყნებზე გაცილებით მდიდარი და მის მუშებს ჰქონდათ მეტი კაპიტალი ერთ სულზე, ვიდრე მათ კოლეგებს სხვა ქვეყნებში. ახლაც კი, მიუხედავად იმისა, რომ სოციური დასაკლეთ ევროპული ქვეყანა და იაპონია დაეწინეს აშშ-ს, იგი კვლავ რჩება კაპიტალისა და შრომის მაღალი შეფარდების მქონე ქვეყნად.

შეიძლება იფიქროთ, რომ აშშ უნდა ყოფილიყო კაპიტალიზმის ინტენსიური საქონლის ექსპორტიორი და შრომინტენსიური საქონლის იმპორტიორი. მაგრამ ამის მიღწევა ამ ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 25 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა. გამოკვლევაში, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა, ცნობილია ეკონომისტი ვ. ლეონტიევი (1973 წელს მიიღო ნობელის პრემია) აღმოაჩინა, რომ აშშ-ს ექსპორტები ნაკლებ კაპიტალიზმის იყო, ვიდრე იმპორტები. ეს შედეგი ცნობილია, როგორც ლეონტიევის პარადოქსი.

4-3 ცხრილი გვიჩვენებს როგორც ლეონტიევის პარადოქსს ასევე სხვა ინფორმაციას აშშ-ს ვაჭრობის სტრუქტურის შესახებ. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ 1962 წელს 1 მილიონი დოლარის ღირებულების აშშ-ს ექსპორტისათვის საჭირო საწარმოო ფაქტორებს და იმავე ღირებულების ფაქტორებს აშშ იმპორტის საწარმოებლად იმავე წელს. როგორც ცხრილის პირველი ორი ხაზი გვიჩვენებს, ამ ხანებში ლეონტიევის პარადოქსი კვლავ არსებობდა: აშშ-ს ექსპორტები იწარმოებოდა სამუშაო ძალასთან კაპიტალის უფრო დაბალი შეფარდებით, ვიდრე იმპორტები. აშშ აწარმოებდა ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელიც უფრო კვალიფიციური სამუშაო ძალის ინტენსიობით ხასიათდებოდა, ვიდრე მისი იმპორტი, რაც იწინებოდა განათლებასა და საშუალო დახარჯული წლების რაოდენობით. აგრეთვე ადგილი ჰქონდა ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელიც "ტექნოლოგიის ინტენსიობით ხასიათდებოდა", მოითხოვდა მეტ მეცნიერსა და ინჟინერს. ეს მოვლენები თანმიმდევრულია აშშ-სათვის, როგორც მაღალი კვალიფიციური სამუშაო ძალის მქონე ქვეყნისათვის, რომელსაც აქვს შდარებითი უპირატესობა დახვეწილი, რთული საქონლის წარმოებაში.

ცხრილი 4-3 აშშ-ს ექსპორტის და იმპორტის საწარმოო ფაქტორების შემადგელობა 1962 წელს

	იმპორტი	ექსპორტი
კაპიტალი თითოეულ მლნ. დოლარზე	\$ 2,132,000	\$1, 876 000
სამუშაო ძალა (კაც-წელი) 1 მლნ დოლარზე	119	131
კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდება (დოლარი 1 მუშაზე)	\$ 17,916	\$14, 321
განათლებისათვის საჭირო წლები (საშუალოდ) 1 მუშაზე	9.9	10.1
ინჟინერებისა და მეცნიერების შეფარდება სამუშაო ძალაში	0.0189	0.0255

მაშ რატომ ვაკვირდებით ლეონტიევის პარადოქსს? იქნებ სიმართლესთან მიახლოებული ახსნა იყოს შემდეგი: აშშ-ს შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა ისეთი ახალი საქონლის წარმოებაში, რომელიც გულისხმობს ახალ ტექნოლოგიებს, როგორცაა თვითმფრინავი და კომპიუტერის რთული, ნატიფი ნაწილები. ასეთ შემთხვევაში იგი მიმართავს ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელიც იყენებს კვალიფიციურ შრომას და გამომგონებლობას, და იმპორტს ისეთი სამრეწველო საქონლისა (მაგალითად, ავტომანქანები), რომელსაც სჭირდება დიდი რაოდენობით კაპიტალი.

გლობალური მონაცემების შემოწმება. არც ისე დიდი ხნის წინ ეკონომისტებმა გამოიყენეს ბევრი ქვეყნის მონაცემი ჰეკსქერ-ოჰლინის მოდელის შესამოწმებლად. მათი გამოკვლევა ემყარება აზრს, რომ საქონლით ვაჭრობა რეალურად არის საწარმოო ფაქტორებით ვაჭრობის არაპირდაპირი გზა. ე.ი. თუ ჩვენ გამოვიყენებთ საწარმოო ფაქტორებს – განხორციელებულს ქვეყნის ექსპორტებსა და იმპორტებში, აღმოვაჩინოთ, რომ ქვეყანა არის იმ საწარმოო ფაქტორების წმინდა ექსპორტიორი, რომლითაც ის შედარებით უხვადაა უზრუნველყოფილი, და წმინდა იმპორტიორი იმ საწარმოო ფაქტორებისა, რომელსაც ის შედარებით ნაკლებად ფლობს.

ცხრილი 4-4 გვიჩვენებს მეცნიერების: პარი ფ. ბოენის, ედვარდ ე. ლიმერის და ლეო სევიკაუსკაის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ შემოწმებას 27 ქვეყნისა და 12 საწარმოო ფაქტორის მაგალითზე. ამ შედეგებში გამოითვალეს თითოეული ქვეყნის საწარმოო ფაქტორების შეფარდება მსოფლიო მიწოდებასთან. შემდეგ ეს შეფარდებები შეადარეს ცალკეული ქვეყნის წილს მსოფლიო შემოსავალში. თუ საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორია სწორია, მაშინ ქვეყანა ყოველთვის ახდენს იმ საწარმოო ფაქტორების ექსპორტს, რომლის წილი აჭარბებს შემოსავლის წილს, და იმ საწარმოო ფაქტორების იმპორტს, რომლის წილი

ნაკლებია. ფაქტობრივად, საწარმოო ფაქტორების ორი მესამედისათვის ვაჭრობა მიემართება წინასწარგანსასღერული მიმართულებით. ეს შედეგი ადასტურებს ლეონტიევის ახრს: ვაჭრობა ხშირად არ მიდის იქით, საითაც ამას პექსქერ-ოპლინის თეორია მიუთითებს.

ცხრილი 4-4 პექსქერ-ოპლინის მოდელის შემოწმება

წარმოების ფაქტორები	ნავარაუდელი წარმატება
კაპიტალი	0.52
სამუშაო ძალა	0.67
კვალიფიციური მუშები	0.78
მმართველი მუშაკები	0.22
მოხელეები	0.59
გამყიდველები	0.67
მომსახურე პერსონალი	0.67
სოფლისმეურნეობის მუშაკები	0.63
საწარმოო მუშაკი	0.70
სახნაო მიწები	0.70
სადოურები	0.52
ტყეები	0.70

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვაჭრობის შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის საყოველთაო სტრუქტურა არ არის კარგად გათვლილი პექსქერ-ოპლინის მოდელისათვის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობის მორგება თეორიაზე უკვე სახეზეა. განვიხილოთ, მაგალითად, 4-5 ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის ვაჭრობის ელემენტებს.

ცხრილი 4-5 ვაჭრობა აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის 1992 წელს (მლნ. დოლარებით)

პროდუქტის სახეები	აშშ-ს ექსპორტი სამხ. კორეაში	იმპორტი აშშ-ში სამხ. კორეიდან
ქიმიკატები, პლასტიკატები, ფარმაცევტული ნაწარმი	1340	105
ენერჯო გენერაციის აღჭურვილობა	705	93
პროფესიული და მეცნიერული ინსტრუმენტები	512	96
ტრანსპორტის აღჭურვილობა, გარდა სამგზავრო		
აეროშობილებისა (ძირითადად ავიაცია)	1531	78
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	11	4203

აშკარაა, საქონელი, რომელიც აშშ-ს ექსპორტად გააქვს სამხრეთ კორეაში, განსხვავდება იმ საქონლისაგან, რომელიც მას ამ ქვეყნიდან შემოაქვს. ასევე აშკარაა, რომ აშშ-ს საექსპორტო პროდუქცია არის რთული, დახვეწილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის მიერ წარმოებული (მაგალითად, სამეცნიერო ხელსაწყოები), ხოლო სამხრეთ კორეის ექსპორტი მოიცავს მარტივ საქონელს (მაგალითად, ფეხსაცმელი). იქნებ პექსქერ-ოპლინის მოდელი უკეთ იქნას გამოყენებული ჩრდილოეთ-სამხრეთის, ვიდრე საყოველთაო საერთაშორისო ვაჭრობაში. რადგან ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობა შეადგენს მთელი მსოფლიო ვაჭრობის მხოლოდ დაახლოებით 10%-ს, აღნიშნულ მოდელს დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს.

შემოწმებიდან გამომდინარე დასკვნები

საწარმოო ფაქტორის შეფარდების თეორიის შემოწმების შედეგებმა საერთაშორისო ეკონომისტები მიიძე მდგომარეობაში წააყენა. მეორე თავში ვნახეთ, კმპირიულმა კვლევამ როგორ დაადასტურა რიკარდოს მოდელის განსაზღვრება, რომ ქვეყნები ახდენენ ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელშიც მათი სამუშაო ძალა განსაკუთრებით მწარმოებლურია. საერთაშორისო ეკონომისტთა უმეტესობის აზრით, რიკარდოს მოდელი შესაძლებელია და არ შეუძლია შეასრულოს საერთაშორისო ვაჭრობაში მთავარი მოდელის როლი. და პირიქით, პექსქერ-ოპლინის მოდელი ვაჭრობის თეორიაში დიდი ხანია დაიკავა წამყვანი ადგილი, რადგან იგი ითვალისწინებს როგორც შემოსავლის განაწილებას, ასევე ვაჭრობის სტრუქტურას.

ვაჭრობის შესახებ შეხვედრებების უმეტესობა გვარწმუნებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურასა და ხელფასის განაკვეთებს შორის არსებული დიდი სხვაობის ახახსნელად აკვილებელია, უარი ვთქვათ პექსქერ-ოპლინის მოდელის მიერ შექმნილ დაწვებაზე - ქვეყნებს უნდა აქონდეთ ერთნაირი ტექნოლოგიები. თუ არა და, უნდა ვერაწმუნოთ შესაძლებლობას, რომ აშშ-ს უბრალოდ შეუძლია აწარმოოს მეტი, ვიდრე

წინამდებარე ნაშრომში ნახეხებულია, რომ ჰექსკერ-ოპლინის მოდელის სირთულეების დასაძლევად უნდა დაეუშვათ, რომ ტექნოლოგიების განსხვავებები იღებენ 'საწარმოო ფაქტორის ზრდის' სახეს – ე.ი. აღნიშნული განსხვავებების გამო აშშ-ს ერთი მუშა ბრიტანეთის ერთნახევარი მუშის, ხოლო პორტუგალიელი მუშის და ა.შ. ექვივალენტურია. გამოთვლა ასე ხდება: პირველი, დაეუშვათ, საწარმოო ფაქტორების ფასები რეალურად გათანაბრდა, ე.ი. ის ფაქტი, რომ მექსიკელი მუშები აშშ-ს მუშების ხელფასის მხოლოდ 15%-ს იღებენ, ნიშნავს, რომ მექსიკელი მუშა არის 0.15 აშშ მუშის ექვივალენტური. შემდეგ გამოვიყენებთ ამ მნიშვნებელს და შევადარებთ შეფასებული საწარმოო ფაქტორის მიწოდებას. მაგალითად, მეხიკოში არის დაახლოებით 30 მლნ. მუშა. 15%-იანი მნიშვნებლის გამოყენებით დავადგინოთ, რომ მექსიკაში მხოლოდ 4.5 მლნ. 'მუშა-ექვივალენტი' ყოფილა, აშშ მუშასთან, როგორც სტანდარტთან შედარებით. შეგვიძლია მსგავსი შეფარდების გამოყვანა კაპიტალის, მიწისა და სხვა საწარმოო ფაქტორებისათვის, რომელთა მიწოდებებს ბოლოს იყენებენ ისეთი შემოწმებების განსახორციელებლად, რომელიც აღწერილია 4-4 ცხრილში. წინასწარი სამუშაო გეგმევებს, რომ შეფარდებაზე აგებული ეს მოდელი უკეთესად მუშაობს, ვიდრე მოდელი, რომელიც უშვებს, რომ არ არსებობს ტექნოლოგიებში განსხვავებები ქვეყნებს შორის.

რადგან ჰექსკერ-ოპლინის მოდელი წარმატებით ხსნის საერთაშორისო ვაჭრობის რეალურ სტრუქტურას. ის მაინც გამოსადეგია ვაჭრობაზე შემოსავლის განაწილების უწყვეტის გასაგებად. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვაჭრობის ზრდამ – ვაჭრობის, სადაც ჩრდილოეთის იმპორტებში საწარმოო ფაქტორების ინტენსიობა ძალიან განსხვავდება მისი ექსპორტის საწარმოო ფაქტორების ინტენსიობისაგან – საწარმოო ფაქტორის შეფარდების თეორია აქცია საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკამათო საკითხად.

რეზიუმე

1. ვაჭრობაში რესურსების როლის გასაგებად შევიმუშავეთ მოდელი, რომლის მიხედვით ორი სახის საქონელი მსადადება ორი საწარმოო ფაქტორის გამოყენებით და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საწარმოო ფაქტორების ინტენსიობით, ე.ი. ნებისმიერი მოცემული ხელფასი-იჯარის შეფარდების პირობებში ერთ-ერთი საქონლის წარმოებას სჭირდება სამუშაო ძალასთან მიწის უფრო მაღალი შეფარდება, ვიდრე მეორის წარმოებას.
2. როდესაც ქვეყანა აწარმოებს ორივე საქონელს, ადგილი აქვს ერთ-ერთის წარმოებაში ურთიერთობას საქონლის შესადარ ფასებსა და საწარმოო ფაქტორების შესადარ ფასებს შორის. სამუშაო ძალა ინტენსიური საქონლის შესადარი ფასის ზრდა გადაადგილებს შემოსავლის განაწილებას სამუშაო ძალის სასარგებლოდ და ეს პროცესი ძალიან ძლიერად მიმდინარეობს: სამუშაო ძალის რეალური ხელფასი გაიზრდება ორი საქონლის სახით მაშინ, როცა მიწის მფლობელის რეალური შემოსავალი დაეცემა ორივე საქონლის სახით.
3. წარმოების ერთი ფაქტორის მიწოდების მატება აფართოებს წარმოების შესაძლებლობებს, მაგრამ ძალიან გადახრილად: საქონლის უცვლელი შესადარი ფასების პირობებში საქონლის გამოშვება, რომელსაც აქვს ინტენსიური საწარმოო ფაქტორი, იზრდება მაშინ, როცა სხვა საქონლის გამოშვება რეალურად ეცემა.
4. ქვეყანა, რომელსაც აქვს ერთი რესურსის უფრო მეტი მარაგი (და აქედან სიჭარბე), ვიდრე მეორისა – აწარმოებს შედარებით მეტ იმ საქონელს, რომელიც ინტენსიურად იყენებს ამ ჭარბ რესურსებს. შედეგად გვაქვს ვაჭრობის ჰექსკერ-ოპლინის მოდელი: ქვეყნები მიმართავენ ისეთი საქონლის ექსპორტს, რომელიც იყენებს ქვეყნის ჭარბ ინტენსიურ საწარმოო ფაქტორებს.
5. იმის გამო, რომ საქონლის შესადარი ფასების ცვლილებები ძლიერ გავლენას ახდენენ რესურსების შესადარ შემოსავალზე და რომ ვაჭრობა ცვლის შესადარ ფასებს, საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს შემოსავლის განაწილების ძლიერი უწყვეტი ქვეყნის ჭარბი საწარმოო ფაქტორების წყალობით მოგებას ნახელობენ ვაჭრობიდან, ხოლო დეფიციტური საწარმოო ფაქტორების მფლობელები ზარალდებიან.
6. იდეალური მოდელით საერთაშორისო ვაჭრობა რეალურად გამოიწვევდა ქვეყნებს შორის ისეთ საწარმოო ფაქტორებზე ფასების გათანაბრებას, როგორცაა შრომა და კაპიტალი. სინამდვილეში, საწარმოო ფაქტორის ფასის სრული გათანაბრება არ შეინიშნება, რადგან რესურსებთან დაკავშირებულია დიდი თავისებურებანი, როგორც გამოძახილი სავაჭრო ბარიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო განსხვავებებისა.
7. ემპირიული დასაბუთება ვერდნობა ჰექსკერ-ოპლინის მოდელს, მაგრამ მკვლევართა უმეტესობას არ სჯერა, რომ მხოლოდ რესურსებში არსებულ განსხვავებას შეუძლია მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურის ან მსოფლიო საწარმოო ფაქტორის ფასების ახსნა. სამაგიეროდ, აუცილებელია დაშვებულ იქნას მნიშვნელოვანი საერთაშორისო სხვადასხვაობა ტექნოლოგიებში. მიუხედავად ამისა, ჰექსკერ-ოპლინის მოდელი უკიდურესად გამოსადეგია, განსაკუთრებით კი შემოსავლის განაწილებაზე ვაჭრობის უწყვეტის გასაანალიზებლად.

პირითადი ტერმინები

ჭარბი საწარმოო ფაქტორები
შესაძლებლობები
საწარმოო ფაქტორების ინტენსიობა
საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორია
ლეონტიევის პარადოქსი

წარმოების გადახრილი გაფართოება
საწარმოო ფაქტორების ფასების გათანაბრება
საწარმოო ფაქტორების ფასები
პექსქერ-ოპლინის მოდელი
დეფიციტური საწარმოო ფაქტორები

კითხვები

1. შეერთებულ შტატებში მიწა იაფია. სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება, რომელიც გამოიყენება მსხილფეხა პირუტყვისათვის უფრო მაღალია, ვიდრე იმ მიწისა, რომელზედაც ხორბალი მოჰყავთ. უფრო მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, სადაც მიწა ძვირია და სამუშაო ძალა იაფი, პირუტყვისათვის მოსაშენებლად სჭირდებათ ნაკლები მიწა და მეტი სამუშაო ძალა, ვიდრე ამერიკელები იყენებენ ხორბლის მოსაყვანად. შეგიძლია ეთქვათ, რომ მსხილფეხა საქონლის მოშენება ხორბლის მოყვანასთან შედარებით მიწაინტენსიურია? სწორია ეს მსჯელობა თუ არა?
2. ეთქვათ, მოცემული საწარმოო ფაქტორის ფასების პირობებში ქსოვილის დასამზადებლად საჭიროა 20 სამუშაო საათი მიწის თოთოეულ აკრზე და საკვებისათვის მხოლოდ 5 სამუშაო საათი ერთ აკრ მიწაზე; აქედან:
 - ა) ეთქვათ, ქვეყნის მთლიანი რესურსი არის 600 სამუშაო საათი და 60 აკრი მიწა. გრაფიკის საშუალებით განსაზღვრეთ, რა სახეს მიიღებს რესურსების განთავსება.
 - ბ) ახლა დაეუშვათ, რომ სამუშაო ძალის მიწოდება იზრდება ჯერ 800-მდე, შემდეგ 1000-მდე, ბოლოს კი 1200 საათამდე. 4-6 გრაფიკის მსგავსი დიაგრამის აგებით განსაზღვრეთ რესურსების ცვალებადი განთავსება.
 - გ) რა მოჰყვებოდა სამუშაო ძალის მიწოდების კიდევ უფრო გაზრდას?
3. „მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებს არაფერი აქვთ საექსპორტო, არც ჭარბი რესურსი, არც კაპიტალი, არც მიწა; პატარა ღარიბ ქვეყნებში არც ჭარბი მუშახელია“- განიხილეთ ეს ფრაზა.
4. აშშ-ს სამუშაო ძალის მოძრაობა – რომელიც ძირითადად ეხება უფრო დაბალი კვალიფიკაციის, ვიდრე გამოცდილ და განათლებულ მუშებს – ხელს უწყობდა იმპორტის შეზღუდვას ნაკლებად მდიდარი ქვეყნებიდან. ეს პოლიტიკა გამოუსადეგარი, თუ რაციონალური პოლიტიკაა პროფესიული კავშირების წევრთა ინტერესების თვალსაზრისით? დამოკიდებულია თუ არა პასუხი ეაჭრობის მოდელზე და როგორ?
5. არსებობს მნიშვნელოვანი უთანასწორობა ხელფასების დონეთა შორის აშშ-ს რეგიონებში. მაგალითად, მრეწველობაში მომუშავეთა ხელფასები ექვივალენტურ სამუშაოზე დაახლოებით 20 %-ით დაბალია სამხრეთ-აღმოსავლეთში, ვიდრე შორეულ დასავლეთში. რითი განსხვავდება ეს შემთხვევა ხელფასების მიახლოებისაგან აშშ-სა და მექსიკას შორის.
6. ახსენით ლეონტიევის პარადოქსი და შემდგომში – ბოვენის, ლიმერის და სვეინაუსკასის თეორია.
7. პექსქერ-ოპლინის მოდელის ემპირიული შედეგების განხილვისას აღენიშნეთ, რომ ჩვენი ნაშრომის მიხედვით, საწარმოო ფაქტორების შეფარდების ეფექტურობა საერთაშორისო მასშტაბით განსხვავდება. ახსენით, რა გავლენას მოახდენს ეს საწარმოო ფაქტორის ფასის გათანასწოების კონცეფციაზე.

მე-4 თავის დანართი

ფაქტორის ფასები, საქონელის ფასები და დანახარჯის არჩევანი


ამ თავის ძირითად ნაწილში ორი დასკვნა გაეაკეთეთ, ორივე სწორი იყო, მაგრამ არ იყო ყურადღებით ნამოყალიბებული. პირველი დასკვნა გამოხატული იყო 4-2 გრაფიკით და გვიჩვენებდა, რომ მრეწველობაში დასაქმებულ სამუშაო ძალასთან მიწის შეფარდება დამოკიდებულია ხელფასისა და იჯარის შეფარდებაზე w/r . 4-3 გრაფიკი გვიჩვენებს მეორე დასკვნას: არსებობს თანაბარი ურთიერთობა საქონლის შესადარ ფასებსა P_c/P_f და იჯარა-ხელფასის შეფარდებას შორის. ეს დანართი მოკლედ მიმოიხილავს ამ ორივე მოსაზრებას.

ტექნიკის შერჩევა

4დ-1 გრაფიკი გვიჩვენებს სამუშაო ძალასა და მიწის დანახარჯს შორის არჩევანს ერთი ერთეული საკვების საწარმოებლად – ერთეული ოზოქენტა საკვების წარმოებისათვის ნაჩვენებია II მრუდით. აგრეთვე მოცემულია ოზოხარჯის რამდენიმე ხაზი: მიწისა და სამუშაო ძალის დანახარჯის კომბინაციები, რომლებსაც ერთნაირი ხარჯები აქვთ.

გრაფიკი 4A-1 მიწა-სამუშაო ძალის ოპტიმალური შეფარდების შერჩევა

ერთეული მიწის რესურსი
გამოყენებული ერთი
კალორია საკვების
საწარმოებლად, a_{TF}



დანახარჯების მინიმუმამდე შესამცირებლად, მწარმოებელი უნდა მივიდეს იზოხარჯის ყველაზე დაბალ შესაძლო ხაზს; ეს ნიშნავს, წერტილის შერჩევას ერთეულ იზოქვანტაზე (II მრუდი), სადაც დაქანება უდრის მიწის ხელფასისა და იჯარის შეფარდებას, w/r .

იზოხარჯის მრუდი შეიძლება შემდეგნაირად აიგოს: L მოცემული სამუშაო ძალის შესყიდვის ხარჯი არის wL , T რაოდენობის მიწის იჯარის ხარჯი - rT . თუ შეგიძლიათ აწარმოთ ერთი ერთეული საკვები a_{LF} ერთეული სამუშაო ძალისა და a_{TF} ერთეული მიწის გამოყენებით, ამ ერთეული გამოშვების მთლიანი ხარჯი K იქნება

$$K = wa_{LF} + ra_{TF}$$

მრუდს, რომელიც გვიჩვენებს a_{LF} -ის და a_{TF} -ის ყველა კომბინაციას იმავე ხარჯით, გამოსახავს შემდეგი ტოლობა


$$a_{TF} = \frac{K}{r} - (w/r)a_{LF}$$

ეს არის მრუდი $-w/r$ დაქანებით.

გრაფიკი გვიჩვენებს ასეთი მრუდების ჯგუფს, სადაც თითოეული შეესაბამება ხარჯის სხვადასხვა დონეს; ძირითადი ხაზიდან მოშორებულნი გამოხატავენ უფრო მაღალ მთლიან ხარჯს. მეწარმე შეარჩევს ყველაზე დაბალ შესაძლო ხარჯს მოცემული ტექნოლოგიის პირობებში, რომელიც გამოხატულია II მრუდით. ახლა ის მოხედება (1) წერტილში, სადაც მრუდი კვეთს იზოხარჯის ხაზს; II მრუდის დაქანება უტოლდება $-w/r$ -ს.

ახლა შევადაროთ მიწა-სამუშაო ძალის შეფარდების არჩევანი და ორი სხვადასხვა საწარმოო ფაქტორის ფასის შეფარდება. 4დ-2 გრაფიკსე ვაჩვენებთ ხარჯის არჩევანი სამუშაო ძალისა და მოცემული დაბალი შესადარი ფასის პირობებში $(w/r)^1$, სამუშაო ძალის მაღალ შესადარ ფასთან $(w/r)^2$. წინა შემთხვევაში ხარჯის არჩევანი იყო (1) წერტილში; შემდეგ იგი (2) წერტილში აღინიშნება; ე.ი. სამუშაო ძალის მაღალი შესადარი ფასი იწვევს მიწასთან სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდების არჩევანს, როგორც ეს ნაჩვენებია 4-2 გრაფიკსე

ერთეული მიწის რესურსი
გამოყენებული ერთი
კალორია საკვების
საწარმოებლად, a_{TF}



w/r -ს ზრდა გადაადილებს ყველაზე დაბალ ღირებულებიან დანახარჯს (1)-დან (2) წერტილისაკენ, ე.ი. მას მიუყვართ მიწისა და სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდების არჩევისაკენ


საქონლის ფასები და საწარმოო ფაქტორების ფასები

ენახოთ ურთიერთობა საქონლის ფასებსა და საწარმოო ფაქტორის ფასებს შორის. ამ პრობლემის მიმართ მიდგომის რამდენიმე საშუალება არსებობს: ახლა შევხვით ანალიზს, რომელიც შემოიტანა აბა ლურნერმა 1930-იან წლებში.

4დ-3 გრაფიკი გვიჩვენებს მიწისა და სამუშაო ძალის დანახარჯებს ორი საქონლის (ქსოვილი, საკეები) წარმოებაში. წინა გრაფიკებში მოცემული იყო ერთი ერთეული საქონლის საწარმოებლად საჭირო დანახარჯები. ამ გრაფიკში წარმოგიდგინებთ დანახარჯებს, რაც საჭიროა ერთი დოლარის ღირებულების თითოეული საქონლის საწარმოებლად. ასე რომ, ქსოვილის იზოქვანტა CC გვიჩვენებს 1/P ერთეული ქსოვილის საწარმოებლად საჭირო დანახარჯის კომბინაციებს; საკეების იზოქვანტა FF გვიჩვენებს 1/P ერთეული საკეების საწარმოებლად საჭირო დანახარჯის კომბინაციებს. ყურადღება მიაქციეთ, რომ საკეების წარმოება მიწაზე უფრო ინტენსიურია. მოცემული ნებისმიერი w/r-თვის საკეების წარმოებაში ყოველთვის გამოიყენება მიწისა და სამუშაო ძალის უფრო მაღალი შეფარდება, ვიდრე ქსოვილის დამზადებაში.

თუ ეკონომიკა აწარმოებს ორივე საქონელს, მაშინ ეს უნდა იყოს ის შემთხვევა, როცა ერთი დოლარის ღირებულების თითოეული საქონლის წარმოების დანახარჯი, ფაქტობრივად, არის ერთი დოლარი. კერძოდ, ერთი დოლარის ღირებულების ორივე საქონლის წარმოების ღირებულება ერთნაირი უნდა იყოს. ეს შედეგი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ორივე საქონლის წარმოების მინიმალური ხარჯის წერტილი მდებარეობს იმავე იზოხარჯის ხაზზე. ასე რომ, ხელფასისა და იჯარის შეფარდებას w/r უნდა გამოხატავდეს იმ მრუდის დაქანება, რომელიც კვეთს ორივე იზოქვანტას.


გრაფიკი 4დ-3 ხელფასი-იჯარის შეფარდების განსაზღვრა



CC და FF იზოქვანტები გვიჩვენებენ ძირითადად ერთი დოლარის ღირებულების ტანსაცმლისა და საკეების საწარმოებლად საჭირო დანახარჯებს. რადგან ფასი უნდა უდრიდეს წარმოების ხარჯებს თითოეული საქონლის დანახარჯი უნდა უდრიდეს ერთ დოლარს; ეს ნიშნავს, რომ ხელფასისა და იჯარის შეფარდება უნდა უდრიდეს მინუსიან იმ მრუდის დაქანებას რომელიც ეხება ორივე იზოქვანტს.

და ბოლოს, განვიხილოთ ქსოვილის ფასის ზრდის ეფექტი ხელფასი-იჯარის შეფარდებაზე. თუ ქსოვილის ფასი იმატებს, აუცილებელია უფრო ნაკლები სიგრძის ქსოვილი, რათა შევინარსუნოთ ერთი დოლარის ღირებულება. ასე რომ, იზოქვანტა, რომელიც შეესაბამება ერთი დოლარის ღირებულების ქსოვილს, შიგნით გადაინაცვლებს. 4დ-4 გრაფიკში საწყისი იზოქვანტა მოცემულია, როგორც CC' მრუდი, ახალი იზოქვანტა კი როგორც CC'' მრუდი. ჩვენ ისევ უნდა შემოვიტანოთ მრუდი, რომელიც კვეთს ორივე იზოქვანტას; ამ ხაზის დაქანება იქნება მინუს ხელფასი-იჯარის შეფარდება. ის განსხვავდება იზოხარჯის დაქანებისაგან (დაქანება = $-(w/r)'$). ახალი w/r არის უფრო მაღალი, ვიდრე წინა შეფარდება: ქსოვილის უფრო მაღალი შესაღარი ფასი გულისხმობს ხელფასის-იჯარის უფრო მაღალ შეფარდებას.

გრაფიკი 4დ-4 ტანსაცმლის ფასის ზრდა



თუ ტანსაცმლის ფასი იზრდება უფრო მცირე გამოშვება ახლა უდრის ერთ დოლარს: ამგვარად CC' იცვლება CC''-თი. ნაკლებისმეტი ხელფასისა და იჯარის შეფარდება უნდა გაიზარდოს $(w/r)'$ -დან $(w/r)''$ -მდე.

თავი 5

ვაჭრობის სტანდარტული მოდელი

წინა თავებში განვიხილეთ საერთაშორისო ვაჭრობის სამი სხვადასხვა მოდელი, რომელთაგან თითოეული წარმოგვიდგენს განსხვავებულ ვარაუდებს საწარმოო შესაძლებლობების ძირითადი ფაქტორების შესახებ. ეს მოდელებია:

- **რიკარდოს მოდელი.** წარმოების შესაძლებლობები განისაზღვრება ერთადერთი რესურსის – სამუშაო ძალის განთავსებით სექტორებს შორის. ეს მოდელი ხაზს უსვამს შედარებითი უპირატესობის იდეას, მაგრამ არ უშეებს შემოსავლის განაწილებას.
- **სპეციფიკური ფაქტორების მოდელი.** იმ დროს, როდესაც სამუშაო ძალა თავისუფლად მოძრაობს სექტორებს შორის, არსებობს სხვა საწარმოო ფაქტორებიც, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტული მრეწველობის დარგებისთვის. ეს მოდელი იდეალურია შემოსავლის განაწილების გასაგებად, მაგრამ არ გამოდგება ვაჭრობის სტრუქტურის განსახილველად.
- **ჰექსკერ-ოპლინის მოდელი.** რთულ საწარმოო ფაქტორებს შეუძლიათ მოძრაობა სექტორებს შორის. ეს მოდელი უფრო რთული გამოსაყენებელია, ვიდრე პირველი ორი, მაგრამ კარგად გვიხსნის, როგორ გავლენას ახდენს რესურსები ვაჭრობის სტრუქტურაზე.

რეალური პრობლემების გაანალიზებისას დავემყარებით შერეულ მოდელებს. მაგალითად, 1990-იან წლებში მსოფლიო ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ახლადგანვითარებული ქვეყნების მწარმოებლობის ინტენსიურად მატება და ექსპორტის სწრაფი ზრდა. ამ პროცესის განსახილველად შეიძლება მივმართოთ მეორე თავში წარმოდგენილ რიკარდოს მოდელს. ვაჭრობის ცვლადი სტრუქტურა განსხვავებულ გავლენას ახდენს აშშ-ში სხვადასხვა ჯგუფებზე; იმისათვის, რომ გავიგოთ აშშ-ს შემოსავლის განაწილებაზე წინარი ოკეანის აუზის ქვეყნების ვაჭრობის ზრდის გავლენა, შეიძლება მივმართოთ სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელს, რომელიც მესამე თავში განვიხილეთ. და ბოლოს, დროთა განმავლობაში ახლადგანვითარებული ქვეყნების რესურსები შეიცვალა იმის გამო, რომ დააგროვეს კაპიტალი და მათი სამუშაო ძალაც უფრო განათლებული გახდა; არაკვალიფიცირებული მუშა იშვიათობად იქცა. ამ გადაადგილების გასაგებად შეიძლება მივმართოთ ჰექსკერ-ოპლინის მოდელს, რომელიც მეოთხე თავში განვიხილეთ.

მიუხედავად განსხვავებებისა, ამ მოდელებს შემდეგი საერთო ნიშნებიც ახასიათებთ:

1. ეკონომიკის საწარმოო სიმძლავრეები შეიძლება შეჯამდეს მისი საწარმოო შესაძლებლობათა ზღვარის საშუალებით. ამ ზღვართა შორის არსებული განსხვავებები იწვევს ვაჭრობის აღმავლობას.
2. აწარმოო შესაძლებლობები განსაზღვრავს ქვეყნის შესადარი მიწოდების გრაფიკს.
3. მსოფლიო წონასწორობა განისაზღვრება მსოფლიო შესადარი მოთხოვნითა და მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდით, რომელიც მდებარეობს ეროვნული შესადარი მიწოდების მრუდებს შორის.

ამ საერთო ნიშნების გამო დასახელებული მოდელები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვაჭრობაში ჩაბმული მსოფლიო ეკონომიკის ზოგადი მოდელის სპეციალური განმტკიცებანი. საერთაშორისო მრეწველობების განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენის ანალიზი შეიძლება ამ ზოგადი მოდელით. მის დეტალებზე დამოკიდებული იქნება, სპეციალური მოდელის არჩევაც. მითითებული მოდელებით შეიძლება განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც ასახავენ მსოფლიო მიწოდებაში არსებული ეკონომიკური ზრდით გამოწვეული გადაადგილების გავლენას, უცხოური დახმარებით გამოწვეულ გადაადგილებებს მსოფლიო მოთხოვნაში და სხვა საერთაშორისო შემოსავლების ტრანსფერტებს; აგრეთვე ექსპორტის ტარიფებითა და სუბსიდიებით გამოწვეულ ერთდროულ გადაადგილებებს მიწოდებასა და მოთხოვნაში.

წინამდებარე თავში განვიხილავთ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ის საკითხები, რომლებიც ძლიერ არ არის დამოკიდებული მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკის დეტალებზე. ჩვენ ვაკითხავთ ვაჭრობაში ჩართული მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სტანდარტულ მოდელს, რომლის ფონზეც 2, 3, 4 თავებში განვიხილავთ მოდელები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს ასახავენ. ძირითადად მოდელს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკაზე.


საბარემო ვაჭრობის სტანდარტული მოდელი აგებულია ოთხ ძირითად ურთიერთობაზე: (1) ურთიერთობა წარმოების შესაძლებლობათა ზღვარსა და შესადარი მიწოდების მრუდს შორის; (2) ურთიერთობა შესადარ ფასებსა და შესადარ მოთხოვნას შორის; (3) მსოფლიო წონასწორობის განსაზღვრა მსოფლიო შესადარი მიწოდებისა და მსოფლიო შესადარი მოთხოვნის საშუალებით; (4) საბარემო ვაჭრობის პირობების კვატრანტზე (ქვეყნის ექსპორტის ფასი გაყოფილი მისი იმპორტირების ფასზე) ანუ ქვეყნის კეთილდღეობაზე.

წარმოების შესაძლებლობები და შესადარი მიწოდება

მიოთხებული სტანდარტული მოდელის გასაგებად, ეთქვათ, თითოეული ქვეყანა უშვებს ორ საქონელს: საკვები (F) და ქსოვილი (C) და თითოეული ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი არის 5-1 გრაფიკზე გამოსახული TT-ს მსგავსი მრუდი.

გრაფიკი 5-1 ეკონომიკის გამოშვება განსაზღვრული შესადარი ფასებით

ეკონომიკა, რომლის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი არის TT აწარმოებს Q_F წერტილზე რომელიც არის უმაღლესი შესაძლო იზოლირებულების მრუდი.




წარმოების შესაძლებლობათა ზღვარზე წერტილი, რომელიც ეკონომიკის წარმოების ნიშნულია, დამოკიდებულია ქსოვილის ფასის შეფარდებაზე საკვებთან, ანუ P/P_C ზე. მიკროეკონომიკისათვის მთავარია ის, რომ საბაზრო ეკონომიკას, თუ მას ხელს არ უშლის მონოპოლია, ან ბაზრის წარუმატებლობა, ეფექტური წარმოება ახასიათებს, ე.ი. სახეზეა მაქსიმალური გამოშვების ღირებულება მოცემული საბაზრო ფასის პირობებში, $P_C Q_C + P_F Q_F$.

ჩვენ შეგვიძლია დაეადგინოთ გამოშვების საბაზრო ღირებულება ერთნაირი ღირებულების მრუდებით, რომლის გასწვრივ გამოშვების ღირებულება მუდმივია. თითოეული ეს მრუდი განისაზღვრება ტოლობით $P_C Q_C + P_F Q_F = V$, ან მეორენაირად $-Q_C = V/P_C - (P_F/P_C)Q_F$ სადაც V არის გამოშვების ღირებულება. რაც უფრო ერთმანეთისგან შორს მდებარეობენ ერთნაირი ღირებულების მრუდები, მით უფრო მაღალია V. ასე რომ, თავიანთი მდებარეობით პირველადი მრუდიდან მოშორებით ისინი ზრდიან გამოშვების ღირებულებას. ერთნაირი ღირებულების მრუდის დაქანება უდრის ღირებულებას გამოკლებული ქსოვილის შესადარი ფასი. ეკონომიკა აწარმოებს მისთვის შესაძლებელი ყველაზე მაღალი ღირებულების გამოშვებას, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს Q წერტილში წარმოებით, სადაც TT კვეთს ერთნაირი ღირებულების მრუდს.

ახლა დაუშვათ, რომ P/P_C უნდა გაიზარდოს. მაშინ ერთნაირი ღირებულების მრუდები მკვეთრად დაქანდებიან. 5-2 გრაფიკში ყველაზე მაღალი ერთნაირი ღირებულების მრუდი, რომლის მიღწევაც ეკონომიკას შეუძლია P/P_C ში ცვლილებებამდე, არის VV' ; ფასის ცვლილების შემდეგ კი $-VV''$; წერტილი, რომელზეც ეკონომიკა აწარმოებს Q^1 -დან Q^2 -კენ გადაადგილებება. როგორც მოსალოდნელი იყო, ქსოვილის შესადარი ფასის ზრდა იწვევს ქსოვილის წარმოებისა და მიწოდების გადიდებას და საკვების წარმოების შემცირებას.

გრაფიკი 5-2 რა გაელენას ახდენს ქსოვილის შესადარი ფასის ზრდა შესადარ მიწოდებაზე



იზოლირებულების მრუდები უფრო მკვეთრად დაქანებულია, როდესაც ტანსაცმლის შესადარი ფასი იზრდება (P/P_F) -დან (P/P_F) -მდე (რომელიც ნაჩვენებია V^1 -დან V^2 -კენ მონაცვლეობით). ამის შედეგად ეკონომიკა აწარმოებს ბევრ ტანსაცმელს და ნაკლებ საქვებს და წონასწორული გამოშვება გადაიხრება Q^1 -დან Q^2 -კენ.

შესადარი ფასები და მიწოდება

5-3 გრაფიკი გვჩვენებს ურთიერთობას წარმოებას, მოხმარებასა და ვაჭრობას შორის სტანდარტული მოდელის მიხედვით. როგორც მე-3 თავში აღვნიშნეთ, ეკონომიკის მოხმარების ღირებულება უტოლდება მისი წარმოების ღირებულებას:


$$P_C Q_C + P_F Q_F = P_C D_C + P_F D_F = V,$$

სადაც D_C და D_F არის შესაბამისად ქსოვილისა და საქვების მოხმარების აღმნიშვნელი. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ წარმოება და მოხმარება უნდა მდებარეობდეს ერთსა და იმავე ერთნაირი ღირებულების მრუდიზე.

ეკონომიკის მიერ არჩეული მრუდი დამოკიდებულია მისი მომხმარებლის გემოვნებაზე. ჩვენ სტანდარტული მოდელისათვის ეუშვებით გამოსადეგ გამარტივებულ ვარაუდს, რომ ეკონომიკის მოხმარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება თითქოს ემყარებოდეს თითოეული ინდივიდის გემოვნებას.

გრაფიკი 5-3 წარმოება, მოხმარება და ვაჭრობა სტანდარტული მოდელის მიხედვით

მრეწველობა აწარმოებს Q წერილში, სადაც წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი ეხება უმაღლეს შესაძლო იზოლირებულების წრფეს. იგი მოიხმრს წერტილ D -ზე, სადაც ეს იზოლირებულების მრუდი ეხება შესაძლო გულგრილობის უმაღლეს მრუდს. ეკონომიკა აწარმოებს მეტ ქსოვილს, ვიდრე მოიხმარს და ამიტომ გააქვს ქსოვილი; შესაბამისად ის მოიხმარს მეტ საქვებს, ვიდრე აწარმოებს და ამიტომ შემოაქვს საქვები.



ინდივიდის გემოვნება შეიძლება გრაფიკულად წარმოვადგინოთ ე.წ. გულგრილობის მრუდებით. გულგრილობის მრუდი გვჩვენებს ქსოვილის (C) და საქვების (F) მოხმარების კომბინაციას, როცა ინდივიდი შეძლებულია. გულგრილობის მრუდებს აქვთ სამი დამახასიათებელი ნიშანი:


1. ისინი არიან ქვემოთ დაქანებული: თუ ინდივიდებს სთავაზობენ ნაკლებ F-ს იმისათვის, რომ ისინი შესაბამისად შეძლებულად ცხოვრობდნენ, მათ უნდა მიეცეთ მეტი C.
2. რაც უფრო ზემოთ და მარჯვნივ მდებარეობს გულგრილობის მრუდი, მით მაღალია ინდივიდის კუთილდღეობის შესაბამისი დონე: ინდივიდი ამჯობინებს მეტ ორივე საქონელს და არც ერთს – ნაკლებს.
3. გულგრილობის თითოეული მრუდი ხდება უფრო კონკრეტულად, როდესაც იგი გადაადგილდება მარჯვნივ: რაც უფრო მეტ C-ს და ნაკლებ F-ს მოიხმარს ინდივიდი, 'სდევარს' მით უფრო მაღალია F-ის ერთეული C ერთეულთან შედარებით, ასე რომ, F-ის შემდგომი შემცირების ანაზღაურების მიზნით უსრულებელი უნდა იყოს მეტი C-ს მიწოდება.

5-3 გრაფიკზე ვაჩვენებთ გულგრილობის მრუდები და მათი დამახასიათებელი სამი თვისება. ერთნაირი ღირებულების მრუდზე ეკონომიკა აირჩევს მოხმარების წერტილს, რომელზეც აღინიშნება ყველაზე მაღალი შესაძლო კეთილდღეობა. ეს წერტილი მდებარეობს ყველაზე მაღალი გულგრილობის მრუდისა და ღირებულების მრუდის გადაკვეთის D წერტილში. ამ წერტილში ქვეყანა აწარმოებს ქსოვილის (წარმოებული ქსოვილის რაოდენობა აჭარბებს მოხმარებულის რაოდენობას) და საკვების იმპორტს.

ახლა განვიხილოთ, რა მოხდება, როცა P/P იზრდება. 5-4 გრაფიკზე უკვე ვაჩვენებთ ამის შედეგები: პირველი, ეკონომიკა აწარმოებს მეტ C -ს და ნაკლებ F -ს და გადაადგილდება წარმოებას Q^1 -დან Q^2 -მდე. ეს გადაწევს ერთნაირი ღირებულების მრუდს, რომელზეც აღინიშნება მოხმარება VV^1 -დან VV^2 -მდე.

მოძრაობა D^1 -დან D^2 -მდე ასახავს P/P -ში ზრდის ორ ეფექტს: პირველი, ეკონომიკა გადაადგილდა უფრო მაღალი გულგრილობის მრუდისაკენ; F ეს კი იწვევს გამდიდრებას, რადგან ეკონომიკა ხდება ქსოვილის ექსპორტიორი. როდესაც ქსოვილის შესადარი ფასი იზრდება, ეკონომიკას შეუძლია მიმართოს მეტი საკვების იმპორტს ექსპორტის ნებისმიერი მოცულობის პირობებში. ასე რომ, მისი საექსპორტო საქონლის უფრო მაღალი შესადარი ფასი წარმოადგენს მის უპირატესობას. მეორე, ცვლილებები შესადარ ფასებში იწვევს გადაადგილებას გულგრილობის მრუდის გასწვრივ – საკვებისაკენ და არა ქსოვილისაკენ.

გრაფიკი 5-4 ქსოვილის შესადარი ფასის ზრდის ეფექტები



იზოღირებულების მრუდის დაქანება უდრის ტანსაცმლის მიწისთან სესადარის ფასს P/P , ისე რომ, როცა შესადარი ფასი იზრდება იზოღირებულების ყველა მრუდი მკვეთრად დაქანებული ხდება. კერძოდ, მაქსიმალური ღირებულების ხაზი გადაინაცვლებს VV^1 -დან VV^2 -კენ. წარმოება გადაიხრება Q^1 -დან Q^2 -კენ; მოხმარება D^1 -დან D^2 -კენ.

ეს ორი ეფექტი ცნობილია ძირითადი ეკონომიკური თეორიიდან. კეთილდღეობის ზრდა არის შემოსავლის ეფექტი; მოხმარების ცვლილება კეთილდღეობის ნებისმიერი დონის პირობებში არის შენაცვლებადობის ეფექტი. შემოსავლის ეფექტი იწვევს ორივე საქონლის მოხმარების ზრდას, ხოლო შენაცვლებადობის ეფექტს მოჰყვება C -ს ნაკლები, ხოლო F -ის მეტი მოხმარება.

შესაძლებელია, შემოსავლის ეფექტი ისე ძლიერი იყოს, რომ როცა P/P იზრდება, ორივე საქონლის მოხმარება დიდდება. ნორმალურ პირობებში C -ს მოხმარების შეფარდება F -ის მოხმარებასთან უნდა დაეცეს, ე.ი. C -ზე შესადარი მოთხოვნა მცირდება. ეს ის შემთხვევაა, რომელიც ჩაჩვენებია გრაფიკზე.


საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილებათა გავლენა კეთილდღეობაზე

როდესაც P/P იზრდება, ქვეყანა, რომელიც აწარმოებს ქსოვილის ექსპორტს, მდიდრდება, როგორც ეს ნაჩვენებია D^1 -დან D^2 -კენ მოძრაობით 5-4 გრაფიკზე. და პირიქით, თუ P/P მცირდება, ქვეყანა ღარიბდება; მაგალითად, მოხმარება შეიძლება D^2 -დან დაუბრუნდეს D^1 -ს.

თუ ქვეყანა ჯერ საკვების ექსპორტიორი იყო, მაშინ შედეგი, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო იქნება. P/P -ის ზრდა ნიშნავს P/P -ს შემცირებას და ქვეყნის მდგომარეობა უარესდება; P/P -ის შემცირებით კი უმჯობესდება.

ჩვენ საგარეო ვაჭრობის პირობებს განსასჯერავეთ შემდეგნაირად: იმ საქონლის ფასს, რომლის ექსპორტსაც ქვეყანა პირველად აწარმოებდა, ვუთხროთ იმ საქონლის ფასს, რომლის იმპორტსაც ის პირველად მიმართავდა. ზოგადი დასკვნა ასეთია: საგარეო ვაჭრობის პირობების გადიდება იწვევს ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას, ხოლო საგარეო ვაჭრობის პირობების შემცირება აუარესებს მის კეთილდღეობას.

გრაფიკი 5-5 მსოფლიო შესადარი მიწოდება და მოთხოვნა.



რაც უფრო მაღალია P/P_f -თან, მით უფრო მეტია ტანსაცმლის მსოფლიო მიწოდება საკეებთან შეფარდებით (RS) და მით უფრო დაბალი იქნება ტანსაცმელზე მსოფლიო მოთხოვნა საკეებთან შედარებით (RD). წონასწორული შესადარი ფასი (აქ $(P/P_f)^1$) განისაზღვრება მსოფლიო შესადარი მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთით.

შესადარი ფასების განსაზღვრა

დაუშვათ, მსოფლიო ეკონომიკა შედგება ორი ქვეყნისაგან: ჩვენი ქვეყანა (რომელიც ეწევა ქსოვილის ექსპორტს) და უცხოეთი (რომელიც მიმართავს საკეების ექსპორტს). ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობები იზომება P/P_f -ით, ხოლო უცხოეთისა - $P/P_f \cdot Q$ და Q არის ქსოვილისა და საკეების რაოდენობა, რომელსაც უშვებს ჩვენი ქვეყანა, Q_c^* და Q_f^* არის ჩარდენობა, რომელიც იწარმოება უცხოეთის მიერ.

P/P_f -ის განსაზღვრისას აღვნიშნავთ ქსოვილზე მსოფლიო შესადარი მიწოდებისა და მსოფლიო შესადარი მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილს. მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდი (RS 5-5 გრაფიკზე) შემოთავაზებულია მიმართული, რადგან P/P_f -ის ზრდა იწვევს მეტი ქსოვილის და ნაკლები საკეების წარმოებას ორივე ქვეყანაში. მსოფლიო შესადარი მოთხოვნის მრუდი (RD) ქვემოთაა დაქანებული, რადგან P/P_f -ის ზრდა აიძულებს ორივე ქვეყანას, გადაადგილონ თავიანთი მოხმარება ქსოვილიდან საკეებისაკენ. მრუდების გადაკვეთა (1) წერტილში განსაზღვრავს წონასწორულ შესადარ ფასს (P/P_f)¹.

ახლა, როცა ვიცით შესადარი მიწოდება და შესადარი მოთხოვნა, ვაჭრობის პირობები და კეთილდღეობა, საინტერესოა როგორაა ეს განსაზღვრული სტანდარტულ მოდელში; შეგვიძლია თუ არა გამოვიყენოთ იგი უამრავი მნიშვნელოვანი საკითხის გასაგებად საერთაშორისო ეკონომიკაში.

ეკონომიკური განვითარება: RS მრუდის გადაადგილება

საგარეო ვაჭრობაში ჩაბმული ქვეყნისათვის ეკონომიკური განვითარების ეფექტები მუდმივი კამათის საგანია. კამათი ძირითადად ორი საკითხის გარშემო მიმდინარეობს: პირველი, მეორე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა კარგია თუ ცუდი ჩვენი ქვეყნისათვის? მეორე, ზრის თუ არა ეკონომიკური ზრდა მეტად თუ ნაკლებად ღირებული ჩვენთვის, როცა ქვეყანა წარმოადგენს ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის ნაწილს?

სხვა ქვეყნებში ზრდის ეფექტის გასაგებად შეიძლება გამოვიყენოთ 'სოგადი არგუმენტები'. ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარება მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში შეიძლება კარგი აღმოჩნდეს ჩვენი ეკონომიკისათვის, რადგან იგი გულისხმობს დიდ ბაზარს ჩვენი ექსპორტებისათვის. მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების განვითარება შეიძლება მზარდ კონკურენციად გადაეღობოს ჩვენ ექსპორტს.

მსგავსი გაურკვეველობა გეხდება მაშინაც, როდესაც ვაკვირდებით ეკონომიკური განვითარების შედეგებს ჩვენს ქვეყანაში. ერთი მხრივ, ქვეყნის საწარმოო სიმძლავრის ზრდა უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, როცა ამ ქვეყანას შეუძლია გაყიდოს სოგიერთი თავისი პროდუქტი მსოფლიო ბაზარზე. მეორე მხრივ, ეკონომიკური განვითარების სარგებელი შეიძლება გადავიდეს უცხო ქვეყნის ექსპორტზე უფრო დაბალი ფასების სახით, ვიდრე ეს შენარჩუნებულია ჩვენს ქვეყანებში.

ვაჭრობის სტანდარტული მოდელი უსრუენველყოფს იმ სისტემას, რომელიც დაგვეხმარება, ნათლად დაეინახოთ ეკონომიკური განვითარების ეფექტები საგარეო ვაჭრობაში ჩართულ მსოფლიოში.


ეკონომიკური ზრდა და წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი

ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ეკონომიკის წარმოების შესაძლებლობათა გადაადგილებას ზღვარს გარეთ. ეს ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს ქვეყანაში არსებული რესურსების გადიდებით, ან მათი ეფექტურად გამოყენების გაუმჯობესებით.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ეფექტები გამოწვეულია იმით, რომ ასეთ ეკონომიკურ ზრდას ახასიათებს გადახრები. ასეთ ზრდას ადგილი აქვს მაშინ, როცა წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი

გადაადგილდება უფრო მეტად ერთი, ვიდრე მეორე მიმართულებით. 5-6ა გრაფიკი გვიჩვენებს ქსოვილის წარმოებისაკენ გადახრილ ეკონომიკური ზრდის მანევრებელს, ხოლო 5-6ბ გრაფიკზე ადბეჭდილია საკვების წარმოებისაკენ გადახრილი ზრდის მანევრებელი. ორივე შემთხვევაში წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი გადაადგილდება TT^1 -დან TT^2 -სკენ.

გრაფიკი 5-6 გადახრილი ზრდა



ზრდა გადახრილია, როცა ის გადაწევს წარმოების შესაძლებლობებს უფრო ერთი საქონლისაკენ, ვიდრე მეორისაკენ. ორივე შემთხვევაში წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი გადაიხრება TT^1 დან TT^2 -კენ. (a) შემთხვევაში ეს გადახრა მიმართულია ქსოვილისაკენ (b) შემთხვევაში საკვებისაკენ.

(ა) ზრდის გადახრა მიმართულია ქსოვილისაკენ (ბ) ზრდის გადახრა მიმართულია საკვებისაკენ

ეკონომიკური ზრდის მანევრებლის გადახრას ორი მთავარი მიზეზის აქვს:

1. მეორე თავში განხილული რიკარდოს მოდელი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის ერთი სექტორის ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს ეკონომიკის წარმოების შესაძლებლობების გაფართოებას უფრო მეტად ამ სექტორის, ვიდრე მეორე სექტორის გამოშვების მიმართულებით.
2. მესამე თავში განხილული სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელი და საწარმოო ფაქტორების შეფარდების მოდელი (მეოთხე თავიდან) გვიჩვენებენ, რომ ქვეყნისათვის საწარმოო ფაქტორების მიწოდების ზრდა – ვთქვათ, დანაზოგებითა და ინვესტიციებით გამოწვეული ძირითადი კაპიტალის მატება – გამოიწვევს წარმოების შესაძლებლობათა გაფართოების გადახრას. ეს მოხდება ან იმ საქონლისაკენ, რომლის მიმართაც ეს საწარმოო ფაქტორი სპეციფიკურია, ან იმ საქონლისაკენ, რომლის წარმოებაც ინტენსიურია მიწოდების გაზრდილი ფაქტორებით. ასე რომ, მიზეზი, რამაც გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობა, გამოიწვევს ეკონომიკის ზრდის გადახრას ვაჭრობაში ჩართულ ქვეყანაში.

5-6A და 5-6B გრაფიკებზე ზრდის ძლიერი გადახრაა ნაჩვენები. თითოეულ შემთხვევაში ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს მეტი ორივე საქონელი, მაგრამ ქსოვილის უცვლელი შესადარი ფასის პირობებში საკვების გამოშვება რეალურად ეცემა (5-6A გრაფიკზე). იგივე პროცესი აღინიშნება 5-6B გრაფიკზე ქსოვილის მიმართ.

მიუხედავად ამისა, გადახრა ყოველთვის არ არის ძლიერი. მოცემულ მაგალითებში ნაჩვენებია, რომ ქსოვილის ზრდის ოდნავი გადახრაც კი იწვევს – ქსოვილზე ნებისმიერი მოცემული შესადარი ფასის პირობებში – მატებას უფრო ქსოვილის, ვიდრე საკვების გამოშვებაში. საწინააღმდეგო ხდება, როდესაც ეკონომიკური ზრდა გადახრილია საკვებისაკენ.

შესადარი მიწოდება და საბარეო ვაჭრობის პირობები

ვთქვათ, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შესაბამისად ქსოვილის გამოშვებაც იზრდება – ქსოვილზე ნებისმიერი მოცემული შესადარი ფასის პირობებში – ხოლო საკვების წარმოება მცირდება. ასეთ შემთხვევაში, მთელ მსოფლიოში ქსოვილის გამოშვება საკვებთან შედარებით გადიდება მოცემული ნებისმიერი ფასის პირობებში და მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ – RS^1 -დან RS^2 -სკენ (5-7A გრაფიკი). ეს გადაადგილება გამოიწვევს ქსოვილის შესადარი ფასის შემცირებას (P_c/P_f)-დან (P_c/P_f)-მდე, გააუარესებს ჩვენი ქვეყნის და გააუმჯობესებს უცხოეთის ვაჭრობის პირობებს.


შეამჩნიეთ, რომ მნიშვნელოვანია არა თავისთავად ეკონომიკის ზრდა, არამედ ამ ზრდის გადახრა. თუ უცხოეთში ეკონომიკური ზრდა ქსოვილისაკენ არის გადახრილი, შესადარ მიწოდებასა და საბარეო ვაჭრობის პირობებზე ეფექტი ერთნაირი იქნება. მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ან უცხოეთის ეკონომიკური ზრდის გადახრა საკვებისაკენ (5-7B გრაფიკი) გამოიწვევს RS მრუდის მარცხენა მხარეს გადაადგილებას (RS^1 -დან RS^2 -მდე) და აქედან გამომდინარე, გაზრდის ქსოვილის შესადარ ფასს (P_c/P_f)-დან (P_c/P_f)-მდე. ეს ზრდა გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის საბარეო ვაჭრობის პირობებს, ხოლო უცხოეთისას გააუარესებს.

არაპროპორციული გაფართოება ქვეყნის წარმოების შესაძლებლობებისა მის მიერ ექსპორტირებული საქონლის მიმართულებით (ქსოვილი ჩვენს ქვეყანაში, საკვები უცხოეთში) არის ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით. ასევე ზრდა, რომელიც ეხება იმ საქონელს, რომლის იმპორტირებასაც მიმართავს ქვეყანა, არის ეკონომიკური ზრდა იმპორტის განხრით.

ანალიზის მიუხედავად შემდეგ დასკვნამდე: ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით იწვევს განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესებას დაწარჩენი მსოფლიოს სასარგებლოდ; ეკონომიკური ზრდა იმპორტის განხრით იწვევს განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებას დაწარჩენი მსოფლიოს ხარჯზე.

ეკონომიკური ზრდის საერთაშორისო ეფექტი

ამ დასკვნის გამოყენებით შეგვიძლია გადავტვათ საკითხი, რომელიც ეხება ზრდის საერთაშორისო ეფექტებს. მსოფლიოს დაწარჩენი ნაწილისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდა კარგია თუ ცუდი ჩვენი ქვეყნისათვის? ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა არის მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, ადიდება თუ ამცირებს საერთაშორისო ეკონომიკური ზრდით მიღებულ მოგებას? ორივე კითხვის პასუხი დამოკიდებულია ზრდის ტენდენციაზე. მთელ მსოფლიოში ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით კარგია ჩვენთვის, იგი აუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობებს, მაშინ როცა სასდევარგარეთ ეკონომიკური ზრდა იმპორტის განხრით აუარესებს ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობებს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით აუარესებს ჩვენი ვაჭრობის პირობებს, ამცირებს რა ზრდით მიღებულ პირდაპირ მოგებას, მაშინ როცა ეკონომიკური ზრდა იმპორტის განხრით გამოიწვევს ჩვენი ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებას.



ტანსაცმლისაგან მიმართული ზრდა RS მრუდს მარჯვნივ გადასწევს (a), საკვებისაგან მიმართული კი მარცხინი (b).

1950-იან წლებში ბევრ ეკონომისტს სჯეროდა, რომ ღარიბი ქვეყნების, რომლებიც პირველადი ნედლეულის ექსპორტს აწარმოებდნენ, ვაჭრობის პირობები სტაბილურად უარესდებოდა, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მიიღწეოდა ნედლეულის ხელშეწყობის შემცველულების გამოყენების გაფართოებით. ღარიბ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური ზრდას კი უნდა მოჰყოლოდა მათი საექსპორტო საწარმოო სიმძლავრეების უფრო გადიდება, ვიდრე ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება. ე.ი., განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა აღინიშნება იმპორტის ტენდენციით, ხოლო ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისა – ექსპორტის განხრით.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ეკონომიკური განვითარება ღარიბი ქვეყნებისათვის რეალურად თვითდამანგრეველ ფაქტორად იქცევა. მათივე მტკიცებით, ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით ღარიბ ქვეყნებში გააუარესებს მათი ვაჭრობის პირობებს. ეკონომისტებისათვის ეს მდგომარეობა ცნობილია, როგორც გაღარიბების ზრდა.

იაგდომ ბაგვათმა (კალუმბიის უნივერსიტეტი) 1958 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში გვიჩვენა შემდეგი – გაღარიბების ზრდის ეფექტი შეიძლება წარმოიშვას მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური მოდელის შიგნით. პირობები, რომელიც გაღარიბების ზრდა იწვევს, ერთობ უკიდურესია: ძლიერი ეკონომიკური ზრდა ექსპორტის განხრით უნდა ერთდროულად აღინიშნოს RS და RD მკვეთრად დაქანებული მრუდებით, რაკი საგარეო ვაჭრობის პირობებში ცვლილება შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ მან შეიძლება აანაზღაუროს ქვეყნის საწარმოო სიმძლავრის ზრდის პირველადი ხელსაყრელი ეფექტი. ეკონომისტთა უმრავლესობა განიხილავს გაღარიბების ზრდის ეფექტს, როგორც უფრო თეორიულ და არა პრაქტიკულ საკითხს.

თუ ეკონომიკური ზრდა ჩვენ ქვეყანაში ადიდება ჩვენსავე კეთილდღეობას, იგივე შედეგი ჩვენ მდგომარეობაზე არ ექნება სასდევარგარეთ ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური ზრდა იმპორტის განხრით, რაც დაწარჩენი მსოფლიოში აღინიშნება, აუარესებს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს. ამიტომაც შესაძლებელი აღმოჩნდა, აშშ-ის პქონოლა რეალური შემოსავლის დანაკარგები უცხოეთში ეკონომიკური ზრდის გამო ომის შემდგომ პერიოდში.

მიაყენა თუ არა ზიანი ახლადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკურმა მოწოდებებმა ზრდამ მოწინავე ქვეყნებს?


ბევრი დამკვირვებელი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ახლადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა საფრთხეს შეუქმნიდა განვითარებულ ქვეყნებს. მეოთხე თავეში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვაჭრობის განხილვისას აღვნიშნეთ, თუ რა პრობლემებს შექმნის ასეთი ზრდა: მან შეიძლება გააღრმავოს უფსკრული ეკალიფიციური და არაკვალიფიციური მუშების შემოსავალს შორის განვითარებულ ქვეყნებში. ზოგი მკვლევარის აზრით, ეს საშიშროება კვლავაც არსებობს – განვითარებული ქვეყნების რეალური შემოსავალი შეიძლება შემცირდეს ახალი კონკურენტების გამოჩენის გამო. მაგალითად, ევროკომისიის მიერ 1993 წელს გამოქვეყნებულ ანალიზში ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში არსებული სიძნელეების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ახლადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დაწინაურება და მათი კონკურენცია მსოფლიო ბაზრებზე. ე.ი. დაბალხელფასიანი ქვეყნების მზარდი მწარმოებლურობა გაელენას მოახდენს მაღალხელფასიანი ქვეყნების ეკონომიკაზე.

სამართლიანია თუ არა ასეთი მიდგომა? ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი კონკურენტების გაჩენა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ცხოვრების დონეს. როგორც ვნახეთ, არ არის აუცილებელი საზღვარგარეთისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდა გაელენას ახდენდეს ჩვენი ქვეყნის შემოსავალზე. ერთის განვითარების გაელენა მეორის რეალურ შემოსავალზე დამოკიდებულია ამ ზრდის მიმართულებაზე; თუ ის მიმართულია მეორე ქვეყნის იმპორტზე, მან შეიძლება გამოიწვიოს მისი რეალური შემოსავლის შემცირება და გააუარესოს საგარეო ვაჭრობის პირობები.

საკმაოდ ძნელია, განსაზღვრო ეკონომიკური ზრდის გადახრა ახლადგანვითარებული ქვეყნებში. უფრო ადვილია, განვითარებული ქვეყნების ვაჭრობის პირობების გაუარესების პირდაპირი დაადგენა. ამისათვის ყველა დაწინაურებული ქვეყანა გამოითვლის ექსპორტებისა და იმპორტების ფასების ინდექსებს, რომელთა ურთიერთშეფარდება დაადგენს საგარეო ვაჭრობის პირობებს. 5-8 გრაფიკი გვიჩვენებს 1970 და 1993 წლებში ამ შეფარდებას განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა საგარეო ვაჭრობის პირობები გაუარესდა 1973-74 და 1979-80 წლებში, როდესაც ნავთობზე ფასმა აიწია; 1985-1986 წლებში, როდესაც ნავთობის ფასი შემცირდა, მდგომარეობა გამოსწორდა. მთელი პერიოდის განმავლობაში საგარეო ვაჭრობის პირობები მხოლოდ 6%-ით გაუარესდა.

ცოტაა ეს თუ ბევრი? წიგნის ბოლოს ამ თავის მათემატიკურ დანართში ჩვენ ვაჩვენებთ, რომ საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესების პროცენტული დანაკარგი უტოლდება: საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილების პროცენტს გამრავლებულს შემოსავალში იმპორტის წილზე. რადგან 1990 წელს განვითარებულ ქვეყნებში ეროვნულ შემოსავალში იმპორტის წილი უდრიდა საშუალოდ 18%-ს, რეალური შემოსავლის დანაკარგი – გამოწვეული საგარეო ვაჭრობის პირობებით – 20-წლიან პერიოდში შეადგენდა დაახლოებით 1.1%-ს. აქედან დასკვნა, რომ ახლადგანვითარებადი ქვეყნების კონკურენცია სერიოზულ პრობლემებს არ უქმნის განვითარებულ ქვეყნებს.

გრაფიკი 5-8 განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პირობები 1970-94 წლებში



მოწინავე ქვეყნების ვაჭრობის პირობები დიდად არ გაუარესებულა 1970 წლის შემდეგ, რადგან ის ვარაუდია, რომ ახლადგანვითარებული ქვეყნების მზარდი კონკურენცია მათ დააზარალებდა, არასწორი გამოდგა.

შემოსავლის სამართაშორისო ტრანსფერტები: RD მრუდის გადაადგილება

ვაჭრობის პირობების ცვლილებებიდან, რომელიც მიწოდებასე ორიენტირებულმა მსოფლიო ეკონომიკამ გამოიწვია, გადაეკალთ იმ ცვლილებებზე. რაც წარმოშვა მოთხოვნაზე ორიენტირებულმა ეკონომიკამ.

საკონკრეტო შესაძარი მსოფლიო მოთხოვნა შეიძლება გადაადგილდეს მრავალი მიზეზის გამო. გემოვნებებიც იცვლება – მაგალითად, ხორცში არსებული ბევრი ქოლესტერინის გამო მოთხოვნა თვესზე გაიზარდა. შეიძლება ტექნოლოგიამაც შეცვალოს მოთხოვნა, მაგალითად, ვეშაპის ქონი, რომელსაც ლამაზში საწვავად იყენებდნენ, შეიცვალა ნაერთით, მოგვიანებით გაზით და ბოლოს ელექტრონერგით. მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საკამათო საკითხია შესაძარ მოთხოვნაში გადაადგილება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო შემოსავლის ტრანსფერტმა.

ადრე შემოსავლის ტრანსფერტი ქვეყნებს შორის ხშირად ომის შემდგომ პერიოდებში გეხდებოდა. მაგალითად, გერმანიამ საფრანგეთს 1871 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში დამარცხების შემდეგ გადასახადი მოსთხოვა. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ალიანსის ქვეყნებმა გერმანიისაგან მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება (რომელიც გერმანიას არ გადაუხდია). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მ დახმარება გაუწია დამარცხებულ იაპონიასა და გერმანიას. 1950-იანი წლებიდან მოწინავე ქვეყნები ეხმარებიან ღარიბ ქვეყნებს, მაგრამ ამ დახმარებამ მხოლოდ რამდენიმე უღარიბესი ქვეყნის შემოსავალზე მოახდინა გავლენა.

საერთაშორისო სესხები არ არის შემოსავლის ტრანსფერტები, რადგან სესხი მოიცავს მოგვიანებით მისი გადახდის ვალდებულებებს. მოკლე პერიოდში ეკონომიკური ფექტები, გამოწვეული ქვეყნისათვის პირდაპირი ფულადი დახმარებით და იმავე რაოდენობის თანხის სესხით, ერთნაირია. საერთაშორისო შემოსავლის ტრანსფერტების ანალიზი გუქმარება, გაევიგოთ საერთაშორისო სესხების გავლენის ხარისხი.

ტრანსფერტების პრობლემები

საკითხი, თუ რა გავლენას ახდენს შემოსავლის ტრანსფერტები ვაჭრობის პირობებზე. წამოიჭრა ცნობილ დისკუსიაში ორ ეკონომისტს: ბერთილ ოჰლინსა (ვაჭრობის საწარმოო ფაქტორების შეფარდების თეორიის ერთ-ერთი ავტორი) და ჯონ შეინარდ კეინსს შორის. კამათის საგანი იყო გერმანიისათვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, და ის, თუ რა ტვირთად დააწებოდა ეს გერმანიის ეკონომიკას.

კეინსის აზრით, ალიანსის (ე.წ. კართაგენის მშვიდობა) შეკრისმაძიებლური პირობები ძლიან მკაცრი იყო – მოთხოვნილი ფულადი თანხა მძიმე ტვირთი იყო გერმანიისათვის. ის ამბობდა: იმისათვის, რომ გერმანიამ სხვა ქვეყნებს გადაუხადოს მოთხოვნილი თანხა, მან უნდა აწარმოოს მეტი ექსპორტი და მოიხმაროს ნაკლები იმპორტი. ეს გამოიწვევს გერმანიის საგარეო ვაჭრობის გაუარესებას და მიემატება იმ ვალს, რაც სხვა ქვეყნებს უნდა გადაუხადოს.

ოჰლინმა საუკუნოდ მიიწინა კეინსის მოსაზრება, გერმანიის საგარეო ვაჭრობის პირობების თაობაზე. მისი საწინააღმდეგო მტკიცება იყო შემდეგი: როცა გერმანია გაზრდიდა გადასახადებს ზარალის ასანაზღაურებლად, მისი მოთხოვნა უცხოურ საკონკრეტო ავტორმატურად შემცირდებოდა. იმავედროულად, აღნიშნული გადასახადი გადანაწილდებოდა სხვა ქვეყნებში შემცირებული გადასახადებისა ან გაზრდილი სამთავრობო ხარჯების სახით და შედეგად გაიზრდებოდა უცხოეთის მოთხოვნა გერმანიის ექსპორტზე. ასე რომ, გერმანიას შესაძლებლობა ექნებოდა, შეემცირებინა იმპორტი და გაეზარდა ექსპორტი თავისი საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესების გარეშე. ბოლოს გერმანიამ მხოლოდ მცირე თანხა გადაიხადა.

საგარეო ვაჭრობის პირობებზე ტრანსფერტების ეფექტები წარმოიშობა ხოლმე საერთაშორისო ეკონომიკის სხვადასხვა კონტექსტში.

ტრანსფერტების ეფექტი საგარეო ვაჭრობის პირობებზე


თუ ჩვენი ქვეყანა მიმართავს თავისი შემოსავლის ნაწილის გადაცემას უცხოეთისათვის, ადგილობრივი შემოსავალი მცირდება და მან უნდა შეამციროს თავისი ხარჯებიც. ამის შესაბამისად უცხოეთი გაზრდის თავის ხარჯებს. მსოფლიო ხარჯის ეროვნულ დაყოფაში ასეთმა გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს გადანაცვლება მსოფლიოს შესაძარ მოთხოვნაში და გავლენა მოახდინოს საგარეო ვაჭრობის პირობებზე.

RD მრუდის გადაადგილება (თუ ასე მოხდა) არის შემოსავლის ტრანსფერტის ერთადერთი ეფექტი. **RS** მრუდი არ გადაადგილდება. რადგან ადგილი აქვს მხოლოდ შემოსავლის და არა ფისიკური რესურსების ტრანსფერტს (მაგალითად, კაპიტალური აღჭურვილობები), ქსოვილისა და საკვების წარმოება მოცემული ნებისმიერი შესაძარი ფასის დროს არცერთ ქვეყანაში არ შეიცვლება. ასე რომ, ტრანსფერტის პრობლემა არის წმინდა მოთხოვნაზე ორიენტირებული საკითხი.

RD მრუდის გადაადგილება არ არის აუცილებელი მსოფლიო შემოსავლის გადანაწილების დროს (ეს იყო ოჰლინის აზრი). თუ უცხოეთი განათავსებს თავის დამატებით შემოსავალს ქსოვილსა და საკვებს შორის იმავე პროპორციით, რითაც ჩვენი ქვეყანა ამცირებს თავის ხარჯებს, მაშინ მსოფლიო ხარჯი ქსოვილსა და საკვებზე არ შეიცვლება. **RD** მრუდი არ გადაადგილდება და ადგილი აღარ ექნება საგარეო ვაჭრობის პირობების შეცვლას.

თუ ორი ქვეყანა თავის დანახარჯებში არ განათავსებს ცვლილებას იმავე პროპორციით, მაშინ ადგილი ექნება საგარეო ვაჭრობის პირობების შეცვლას; მისი მიმართულება დამოკიდებული იქნება წყნის ქვეყანისა და უცხოეთის დანახარჯების სტრუქტურებს შორის განსხვავებაზე. ვთქვათ, წყნის ქვეყანა განათავსებს ქსოვილის დანახარჯებში ზღვრული გადაადგილების უფრო მეტ ნაწილს, ვიდრე უცხოეთი, ე.ი. წყნ ქვეყანას აქვს ქსოვილზე მაღალი ზღვრული სწრაფვა ხარჯებისადმი, ვიდრე უცხოეთს (შესაბამისად, წყნ ქვეყანას ამ შემთხვევაში უნდა აქონდეს დაბალი ზღვრული სწრაფვა ხარჯებისადმი საკვებზე). მაშინ ნებისმიერი მოცემული შესადარი ფასის დროს წყნის ტრანსფერტის გადასახადი უცხოეთისათვის ამცირებს მოთხოვნას ქსოვილზე და ზრდის მოთხოვნას საკვებზე. ასეთ შემთხვევაში RD მრუდი გადაადგილდება მარცხნივ RD¹-დან RD²-სკენ (5-9 გრაფიკი), ხოლო წონასწორობა გადაადგილდება (1) წერტილიდან (2) წერტილისაკენ. ეს მოძრაობა ამცირებს ქსოვილის შესადარ ფასს (P/P')-დან (P/P)²-მდე, აქარებს წყნის ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს (რადგან იგი ახლენს ქსოვნილის ექსპორტს) და აუმჯობესებს უცხოეთის საგარეო ვაჭრობის პირობებს. ეს არის ის შემთხვევა, რომელსაც კეინსი აღწერს შემდეგნაირად: საგარეო ვაჭრობაზე საერთაშორისო ტრანსფერტების არაპირდაპირი ეფექტი აძლიერებს მის პირველადს ეფექტს ამ ორი ქვეყნის შემოსავალზე.

გრაფიკი 5-9 ტრანსფერტების ეფექტი საგარეო ვაჭრობის პირობებზე



თუ წყნ ქვეყანას უფრო მაღალი ზღვრული მისწრაფვა აქვს დახარჯოს ტანსაცმელზე, ვიდრე უცხოეთს, შემოსავლის ტრანსფერტი წყნ ქვეყნიდან უცხოეთში მარცხნივ გადასწევს RD მრუდს RD¹-დან RD²-სკენ და შეამცირებს ტანსაცმლის წონასწორულ შესადარ ფასს.

არსებობს მეორე შესაძლებლობაც – თუ წყნ ქვეყანას აქვს დაბალი ზღვრული სწრაფვა ხარჯებისადმი ქსოვილზე, წყნის ტრანსფერტი უცხოეთისათვის გადაადგილებს RD მრუდს მარჯვნივ და გამოასწორებს წყნის ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს უცხოეთის საგარეო ვაჭრობის პირობების ხარჯზე. ეს ეფექტი იწვევს უარყოფით გაკლენას წყნის ქვეყნის შემოსავალზე და დადებითს უცხოეთის შემოსავალზე.

ზოგადად, ტრანსფერტი აუარესებს დონორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს, თუ მას აქვს უფრო მაღალი სწრაფვა ხარჯებისადმი თავის საექსპორტო საქონელზე, ვიდრე მიმღებ ქვეყანას.

ამ ანალიზს პარადოქსის იერი დაჰკრავს. ტრანსფერტი – ეთქვათ, უცხოური დახმარება – აუმჯობესებს დონორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს იმდენად, რომ ის სასიკეთო გაკლენას ახლენს თვით დონორის მდგომარეობაზე. ოღონდ აუარესებს მიმღები ქვეყნის მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, მისცე, ვიდრე მიიღო! ბოლადროისდელი თეორიული დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ეს პარადოქსი შესაძლებელია მკაცრ სპეციფიკურ მოდელში.

ანალიზის მიხედვით, ვაჭრობის პირობების ეფექტი 'სარალის ანაწილაკრებზე' და უცხოური დახმარებები შეიძლება სხვა გზითაც წაყვდეს. ასე რომ, ოკლინის 'ზოგადი პრინციპი სწორი იყო. ბევრი შეიძლება კვლავ ამტკიცებდეს, რომ კეინსი მართალი იყო, როდესაც გვთავაზობდა შემდეგ ვარაუდს: ტრანსფერტები იწვევენ საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილებებს, რაც აძლიერებს მათ გაკლენას დონორი და მიმღები ქვეყნების შემოსავალზე.

ტრანსფერტების სავარაუდო ეფექტები ვაჭრობის პირობებზე

ტრანსფერტები გააუარესებს დონორი ქვეყნის ვაჭრობის პირობებს, თუ ამ უკანასკნელს, მიმღებ ქვეყანასთან შედარებით, აქვს უფრო მაღალი ზღვრული სწრაფვა თავისი საექსპორტო საქონლის ხარჯებისადმი. თუ ხარჯებისადმი ზღვრული სწრაფვის განსხვავებანი უბრალოდ გემოვნებათა განსხვავების გამოხატულება იქნება, მაშინ გამოირიცხება შემდეგი არსებული ვარაუდი: რომელი საქონლის ექსპორტს მიმართავს ქვეყანა, უმეტესწილად და უკიდრებელია ტექნოლოგიებსა და რესურსების სხვაობებზე, რასაც არანაირი კავშირი არა აქვს გემოვნებასთან. როდესაც ყიხილავთ რეალური ხარჯის სტრუქტურას, თითოეული ქვეყანა შედარებით უპირატესობას ანიჭებს საკუთარ საქონელს. მაგალითად, აშშ აწარმოებს მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის გამოშვების დაახლოებით 25%-ს, ასე რომ, მისი მთლიანი გასაღების წილი უდრის მსოფლიო გასაღების 25%-ს. ხარჯების სტრუქტურა რომ ყველგან ერთნაირი ყოფილიყო, აშშ დახარჯავდა თავისი შემოსავლის

მხოლოდ 25%-ს საკუთარ პროდუქტზე ფაქტობრივად მისი იმპორტი შეადგენს ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 11%-ს; ე.ი. აშშ ხარჯავს თავისი შემოსავლის 89% თავისხავე ნაწარმზე. მეორე მხრივ, მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი ხარჯავს თავისი შემოსავლის 3%-ზე ნაკლებს აშშ-ს პროდუქტისაზე. ეს განსხვავება დანახარჯის სტრუქტურაში გვინიშნებს, რომ თუ აშშ-ს სურვილი აქვს, გადასცეს უცხოეთს თავისი შემოსავლის ნაწილი ტრანსფერტის სახით, მის საქონელზე შესადარი მოთხოვნა დაეცემა და აშშ-ს ვაჭრობის მოცულობა შემცირდება. ანუ ზუსტად ისე, როგორც ამას კეინსი ამტკიცებდა.

აშშ ხარჯავს თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ადგილობრივ საქონელზე ვაჭრობაში არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერების გამო. ტრანსპორტის ხარჯები, საიმპორტო ტარიფები (გადასახადები), საიმპორტო ქვოტები (მთავრობის დადგენილებები, რომლებიც სლუდავს იმპორტის მოცულობას) აიძულებს თითოეულ ქვეყნას, უპირატესობა მიანიჭოს საკუთარ საქონელსა და მომსახურებებს და არა იმპორტირებულს. როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ვაჭრობაში ასეთი ბარიერები არსებობს იმისათვის, რომ შეიქმნას არასაეაჯრო საქონელი. მაშინაც კი, თუ თითოეული ქვეყანა დაანაწილებს თავის შემოსავალს სხვადასხვა საქონელზე ერთნაირი პროპორციით, არასაეაჯრო საქონლის ადგილობრივი შესყიდვა გვსჩვენებს, რომ ხარჯები ეროვნულ საქონლისაკენ გადაიხრება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ, სახესეა არა ორი, არამედ სამი საქონელი: ქსოვილი, საკვები და თმის შეჭრა. ჩემი ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ ქსოვილს, უცხოეთი – საკვებს. თმის შეჭრა ისეთი არასაეაჯრო საქონელია (მომსახურება), რომელსაც ყოველი ქვეყანა ადგილობრივად აწარმოებს. თითოეული ქვეყანა ხარჯავს თავისი შემოსავლის ერთ მესამედს ცალკეულ საქონელზე. მაშინაც კი, თუ ამ ქვეყნებს აღმოაჩნდება ერთნაირი გემოვნება, თითოეული მათგანი დახარჯავს თავისი შემოსავლის ორ მესამედს ადგილობრივ საქონელზე და მხოლოდ ერთ მესამედს იმპორტულზე.

იმისათვის, რომ გაეაზნალოსოთ ტრანსფერტების გავლენა ვაჭრობის პირობებზე, უნდა ვიცოდეთ, რა ექსპორტის მიწოდებასა და მოთხოვნას. აქ გადამწვევია ის, რომ ქვეყნის არასაეაჯრო საქონელი კონკრეტულად რესურსების ექსპორტს. შემოსავლის ტრანსფერტი აშშ-დან დანარჩენი მსოფლიოსათვის ადგილობრივ ამცირებს მოთხოვნას არასაეაჯრო საქონელზე, ათავისუფლებს რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლება ამ ქვეყნის საექსპორტო საქონლის საწარმოებლად. ამის შედეგად აშშ-ს ექსპორტი იზრდება. იმავე დროს შემოსავლის ტრანსფერტი დანარჩენი მსოფლიოსათვის სრდის ამ უკანასკნელის მოთხოვნას არასაეაჯრო საქონელზე, იმიტომ, რომ ტრანსფერტული შემოსავლის ნაწილი იხარჯება თმის შეჭრაზე და სხვ. არასაეაჯრო საქონელზე მოთხოვნის სრდა დანარჩენ მსოფლიოში იდებს უცხოურ რესურსებს ექსპორტიდან და ამცირებს უცხოური ექსპორტის მიწოდებას (რაც არის აშშ-ს იმპორტები). შედეგია ის, რომ აშშ-ს სხვა ქვეყნებისათვის გაცემულმა ტრანსფერტებმა შეიძლება შეამციროს აშშ-ს ექსპორტების ღირებულება უცხოეთთან შედარებით და გააუარესოს მისი ვაჭრობის პირობები.

მოთხოვნა იწვევს რესურსების გადაადგილებას არასაეაჯრო და იმპორტის სექტორებს შორის. ეკონომისტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ვაჭრობაში ბარიერების არსებობა ადასტურებს ვარაუდს – თითქოს შემოსავლის საერთაშორისო ტრანსფერტები აუარესებს ღონორი ქვეყნების ვაჭრობის პირობებს. ასე რომ, კეინსი მართალი იყო.

საკითხის შესავლისათვის

ტრანსფერტის პრობლემა და პალის კრიზისი

1980-იან წლებში ბევრმა დაბალშემოსავლიანმა ქვეყანამ განიცადა ეწ. 'ვალების კრიზისი'. მათ ისესხეს დიდი რაოდენობის ფული განვითარებული ქვეყნებისაგან 1970-იან წლებში და 1980-იანი წლების დასაწყისში. სხვადასხვა მიზეზის გამო ბანკებმა უარი თქვეს შემდგომ სესხებზე და მოითხოვეს ძველი ვალების დაბრუნება (ვალის კრიზისი განსილულია 22-ე თავში). დაიწყო მოვალე ქვეყნებში ფულის უცაბუდი გადაადგილება წმინდა შედინებებიდან (ახალი ვალების სახით), წმინდა გადინებებისაკენ (პროცენტისა და ვალების გადასახდელად). და მოხდა ისე, თითქოს დაბალშემოსავლიანი ქვეყნები სხვათაგან დიდი ტრანსფერტების მიმღებებიდან, უეცრად იქცნენ ტრანსფერტების სასღვარგარეთ გამცემებად.

თუ კეინსის ვარაუდი ტრანსფერტების პრობლემის შესახებ სწორია, იგი უნდა ასახულიყო მევალე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გაუარესებაში. და, მართლაც, ასე მოხდა. ცხრილი გვიჩვენებს განვითარებადი ნავთობის არაექსპორტიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პირობებს. 1980-1985 წლების გაუარესება შეიძლება მივაწეროთ მოწინავე ქვეყნებში არსებულ რეცესიას (ეკონომიკურ დაკეშას), რამაც შეამცირა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტზე მოთხოვნა. 1982 წლის შემდეგ მოწინავე ქვეყნების მდგომარეობა გაუმჯობესდა, განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობის პირობები – არა, რადგან ეკონომისტებს შორის კვლავ მიმდინარეობს კამათი, თუ რატომ ხდება ასე. ნანს, ტრანსფერტების პრობლემა, რომელიც ვალების კრიზისის წარმოქმნა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

თუ ვაღის კრიზისი, მართლაც, ქმნიდა ტრანსფერების პრობლემას, ვაღების ტვირთი უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე თეთონ გადასახადის ხიდილე – სესტად ისე, როგორც კეინსი გვაფრთხილებდა.

ნავთობის არაექსპორტიორი განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პირობები (1980 = 100)

1980 – 100.0	1983 – 93.5
1981 – 95.0	1984 – 95.1
1982 – 94.4	1985 – 92.8

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის წელიწადი, 1994

ტარიფები და საქსპორტის სუბსიდიები: RS და RD მრუდების ერთდროული გადაადგილება

საიმპორტო ტარიფები (გადასახდები იმპორტზე) და საექსპორტო სუბსიდიები (ანაზღაურება, რაც ვაჭრებს ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც ყიდიან საქონელს სასაღვარჯარო) ყოველთვის გამოიყენებიან იმ დანიშნულებით, რომ გავლენა მოახდინონ ქვეყნის ვაჭრობის პირობებზე. ვაჭრობაში მთავრობის ჩარევა ხდება შემოსავლის განაწილების დროს, მრეწველობის ხელშეწყობისათვის ან საგადაამხდელი ბალანსისათვის (ეს საკითხები განხილულია 9, 10 და 11 თავებში). როგორც არ უნდა იყოს ტარიფებსა და სუბსიდიებზე მოთხოვნის მოტივი, ისინი ყოველთვის ახდენენ გავლენას ვაჭრობის პირობებზე, რაც გასაგები გახდება ვაჭრობის სტანდარტული მოდელის გამოყენებით.

ტარიფები და საექსპორტო სუბსიდიები იწვევენ იმ ფასების განსხვავებას, რომლითაც ეს საქონელი იყიდება მსოფლიო ბაზარზე და ქვეყნის შიგნით. ტარიფების პირდაპირი ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ შედარებით იაფი იმპორტირებული საქონელი უფრო გააძვიროს ქვეყნის შიგნით. საექსპორტო სუბსიდიები აძლევს მეწარმეებს ექსპორტირების საშუალებას. უფრო მომგებიანი იქნება, გაყიდო საქონელი სასაღვარჯარო, ვიდრე ქვეყნის შიგნით, რადგან იქ ფასი უფრო მაღალია. ასე რომ ასეთი სუბსიდიები ზრდის ექსპორტირებული საქონლის ფასს ქვეყნის შიგნით.

ტარიფებითა და სუბსიდიებით გამოწვეული ფასის ცვლილება ცვლის შესადარ მიწოდებასა და შესადარ მოთხოვნას. ამის შედეგად იმ ქვეყნის ვაჭრობის პირობები გადაადგილდება, რომელიც განიცდის პოლიტიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ვაჭრობისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს.

შესადარ მოთხოვნასა და მიწოდებაზე ტარიფების გავლენა

კერძოდებით უნდა ვიყოთ ვაჭრობის პირობების განსაზღვრისას, რადგან არსებობს შეუთანხმებლობა საქონლის იმ ფასებს შორის, რომლითაც ვაჭრობენ სასაღვარჯარო (გარეთა ბაზრის ფასები) და რომლითაც ვაჭრობენ ქვეყნის შიგნით (შიდა ბაზრის ფასები). ვაჭრობის პირობები ისომება შეფარდებით, რომლის საფუძველზეც ქვეყნები ცვლიან საქონელს; მაგალითად, რამდენი ერთეული საკვების იმპორტირება შეუძლია წყნის ქვეყანას მის მიერ ექსპორტირებული ქსოვილის თითოეული ერთეულის სანაცვლოდ. საგარეო ვაჭრობის პირობები შეესაბამება გარეთა და არა შიდა ბაზრის ფასებს. როდესაც ვაჭრობის პირობები ან საექსპორტო სუბსიდიებს, ვარკვევთ, რა გავლენას ახდენს ვაჭრობის პირობებზე შესადარი მიწოდება და მოთხოვნა, როგორც გარეთა ბაზრის ფასების ფუნქცია.


თუ წვენი ქვეყანა აწესებს 20%-იან ტარიფს საკვების იმპორტზე, საკვების შიდა ბაზრის ფასი იმ ქსოვილის ფასთან შედარებით, რომელსაც აწარმოებენ ადგილობრივი მეწარმენი, იქნება 20%-ით მაღალი, ვიდრე საკვების გარეთა შესადარი ფასი მსოფლიო ბაზარზე. ამის მსგავსად, იმ ქსოვილის შიდა ბაზრის შესადარი ფასი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს, ნაკლები იქნება, ვიდრე გარეთა ბაზრის შესადარი ფასი.

წვენი ქვეყნის მეწარმენი, დადგებიან რა ქსოვილის დაბალი შესადარი ფასის წინაშე, აწარმოებენ ნაკლებ ქსოვილს და მეტ საკვებს. ამას დროს, წვენი ქვეყნის მომხმარებლები გადაანაცვლებენ თავიანთ მოხმარებას ქსოვილის და არა საკვების მიმართულებით. მსოფლიოს მასშტაბით, ქსოვილის შესადარი მიწოდება დაეცემა (RS^1 -დან RS^2 -მდე 5-10 გრაფიკზე), ხოლო შესადარი ფასი გაიზრდება (RS^1 -დან RS^2 -მდე). ნათელია, რომ ქსოვილის მსოფლიო შესადარი ფასი მოიმატებს (P/P^1)-დან (P/P^2)-მდე და წვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები უმჯობესდება უცხოეთის ხარჯზე.

საგარეო ვაჭრობის პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხიდილისაა ტარიფის დამწვებელი ქვეყანა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით – თუ ის პატარაა, იგი დიდ გავლენას ვერ მოახდენს მსოფლიო

შესადარ მიწოდებასა და მოთხოვნაზე და აქედან გამომდინარე შესადარ ფასებზე. თუ აშშ-მ, ძალიან დიდმა ქვეყანამ, უნდა დააწესოს 20%-იანი ტარიფი, 'სოგიერთი შეფარდებით მისი საგარეო ვაჭრობის პირობები შეიძლება 15%-ით გაიზარდოს, ე.ი. აშშ-ს იმპორტის ფასები ექსპორტთან შედარებით 15%-ით დაეცემა მსოფლიო ბაზარზე, მაშინ როცა შიდა ბაზარზე შესადარი ფასი იმპორტზე უნდა გადიდდეს მხოლოდ 5%-ით. მეორე მხრივ, თუ პორტუგალია ან ლუქსემბურგი შემოიღებენ 20%-იან ტარიფს, საგარეო ვაჭრობის ეფექტი ალბათ ძალიან მცირე იქნება.

გრაფიკი 5-10 ტარიფის გავლენა საგარეო ვაჭრობის პირობებზე



ჩვენი ქვეყნის მიერ დადგენილი იმპორტის ტარიფი ამცირებს ქსოვილის შესადარ მიწოდებას (RS^1 -დან RS^2 -მდე) და ზრდის შესადარ მოთხოვნას (RD^1 -დან RD^2 -მდე). ამის შედეგად უნდა გაიზარდოს ქსოვილის შესადარი ფასი.

საექსპორტო სუბსიდიების ეფექტი

ტარიფები და საექსპორტო სუბსიდიები ხშირად განიხილება, როგორც ერთნაირი ღონისძიებები, რადგანაც ორივე მხარს უჭერს ადგილობრივ მეწარმეებს. სინამდვილეში მათ განსხვავებული ეფექტი აქვთ საგარეო ვაჭრობის პირობებზე. ეთქვათ, ჩვენი ქვეყანა გეთავაზობს 20%-იან სუბსიდიას ნებისმიერი ექსპორტირებული ქსოვილის ღირებულებაზე. მოცემული ნებისმიერი მსოფლიო ფასებისათვის ეს სუბსიდია გაზრდის ჩვენი ქვეყნის შიდა ფასს ქსოვილზე საკეებთან შედარებით 20%-ით. ქსოვილის შესადარი ფასის მატება უბიძგებს ჩვენი ქვეყნის მეწარმეებს, აწარმოონ მეტი ქსოვილი და ნაკლები საკეები, და ამით აიძულონ ჩვენი ქვეყნის მომხმარებლები, შეცვალონ საკეები ქსოვილით. როგორც 5-11 გრაფიკი გეჩვენებს, სუბსიდია გაზრდის ქსოვილის შესადარ მიწოდებას (RS^1 -დან RS^2 -მდე) და შეამცირებს მსოფლიო შესადარ მოთხოვნას ქსოვილზე (RD^1 -დან RD^2 -მდე), რაც გადაადგილებს წონასწორობას (1)-დან (2) წერტილისაკენ. ჩვენი ქვეყნის საექსპორტო სუბსიდიები აუარესებს მისი საგარეო ვაჭრობის პირობებს და აუმჯობესებს უცხოეთისას.

საგარეო ვაჭრობის პირობების ეფექტების მნიშვნელობა: ვინ იგებს და ვინ ზარალდება?

საკითხს – ვინ იგებს და ვინ ზარალდება ტარიფებისა და ექსპორტის სუბსიდიებით, აქვს ორი მახასიათებელი: პირველი, შემოსავლის საერთაშორისო განაწილება; მეორე, შემოსავლის განაწილება თითოეული ქვეყნის შიგნით.

შემოსავლის საერთაშორისო განაწილება. ჩვენი ქვეყანა ტარიფის შემოღებით აუმჯობესებს თავის საგარეო ვაჭრობის პირობებს უცხოეთის ხარჯზე. ე.ი. ტარიფები ზიანს აყენებენ დანარჩენ მსოფლიოს. საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისათვის; მაგრამ ტარიფი აწესებს აგრეთვე წარმოების ხარჯებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შიგნით წარმოებისა და მოხმარების სტიმულების დარღვევით (იხილეთ მე-8 თავი). საგარეო ვაჭრობის პირობებიდან მოგებები გადაწონის დარღვევებით გამოწვეულ დანაკარგებს მხოლოდ მაშინ, თუ ტარიფი არ არის ძალიან დიდი. მოგვიანებით ვნახავთ, როგორ განვსაზღვროთ ოპტიმალური ტარიფი, რომელიც მაქსიმუმად გაზრდის წმინდა მოგებას (პატარა ქვეყნებში ეს დიდ გავლენას არ მოახდენს საგარეო ვაჭრობაზე; ოპტიმალური ტარიფი თითქმის ნულის ტოლია).


საექსპორტო სუბსიდიების შედეგები სრულიად ნათელია. უცხოეთის საგარეო ვაჭრობის პირობები გაუმჯობესდება ჩვენი ქვეყნის ხარჯზე და უცხოეთი მოიგებს. ამავე დროს ჩვენი ქვეყანა დაზარალდება საგარეო ვაჭრობის პირობებში არსებული დარღვევების გამო.

ანალიზი გეჩვენებს, რომ საექსპორტო სუბსიდიებს არა აქვთ რაიმე მიშენელობა. ფაქტობრივად, ვერ დაასახელებთ სიტუაციას, რომელშიც საექსპორტო სუბსიდიებმა სამსახური გაუწიეს ეროვნულ ინტერესებს. მათი, როგორც პოლიტიკური იარაღის, გამოყენებას უფრო ბევრი აქვს საერთო ვაჭრობის პოლიტიკის თავისებურებებთან, ვიდრე ეკონომიკურ ლოგიკასთან.

აუცილებელი არ არის, ყოველთვის წამგებიანი იყოს უცხოური ტარიფები ქვეყნისათვის და ყოველთვის

მომგებიანი უცხოური სუბსიდიები. ჩვენი მოდელი განკუთვნილია ორქვეყნიანი მსოფლიოსათვის. აქედან ერთი ჩვენი ქვეყანაა. მეორე ქვეყანა აწარმოებს იმ საქონლის ექსპორტს, რომლის იმპორტსაც ჩვენ მიემართავთ, და პირიქით. რეალურ მრავალქვეყნიან მსოფლიოში უცხოეთის მთავრობებმა შეიძლება მოახდინონ იმ საქონლის ექსპორტის სუბსიდირება. რომელიც კონკურენციას უწევს, მაგალითად, აშშ ექსპორტს. ეს, რა თქმა უნდა, ზიანს აყენებს ამ ქვეყნის ვაჭრობას. ამ ეფექტის კარგ მაგალითს იძლევა ეროვნული სუბსიდიები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე (იხ. თავი 8). და პირიქით ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება შემოიღოს ტარიფი ისეთ საქონელზე, რომლის იმპორტირებასაც ახდენს აშშ, შეამკვიროს მისი ფასი და აქედან მიიღოს მოგება. დასკვნა უნდა გაეკეთოს ჩვენი ორქვეყნიანი მოდელის ანალიზიდან: სუბსიდიები იმ საქონელზე, რომლის იმპორტსაც აწარმოებს აშშ, გვეხმარება მაშინ, როცა ტარიფები აშშ-ს ექსპორტის წინააღმდეგ ზიანს გვაყენებს.

გრაფიკი 5-11 სუბსიდიის ეფექტი საგარეო ვაჭრობის პირობებზე



ექსპორტის დაფინანსების ეფექტი ტარიფის დაფინანსების ეფექტის საწინააღმდეგოა. ქსონის მიწოდება იზრდება მოთხოვნა კი მცირდება. ცვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობები მცირდება, რადგან ქსონის შესადარ ფასი ეცემა (P_c/P_f) -დან (P_c/P_f) -მდე.

შეხედულება, რომ სუფსიდირებული საქონლის უცხოური გასაღება აშშ-ში მომგებიანია ჩვენთვის, არ არის პოპულარული. როცა უცხოეთის მთავრობებს ეძლევათ საშუალება სუფსიდირებული საქონლის გაყიდვებისა აშშ-ში, ჩვეულებრივი რეაქცია არის ის, რომ ეს არის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. როდესაც აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის გამოკვლევამ განსაზღვრა, რომ ევროპის მთავრობები ფოლადის ექსპორტირებას აძლევს სუბსიდიებს, აშშ-ს მთავრობამ მოითხოვა, რომ გაეზარდათ ფასები ამგვარ საქონელზე. სტანდარტული მოდელი გვიჩვენებს, რომ როცა უცხოეთის მთავრობები სუფსიდირებას უკეთებენ ექსპორტს აშშ-ში, შესაბამისი რეაქცია იქნება მათთვის მადლობის გადახდა!

რა თქმა უნდა, ეს არასოდეს მოხდება აშშ-ს შიგნით შემოსავლის განაწილებაზე უცხოური სუბსიდიების ეფექტის გამო. თუ ევროპა ფოლადის აშშ-ში ექსპორტის სუფსიდირებას ახდენს, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა მოგებას ნახულობს იაფი ფოლადის გამო, მაგრამ თვით ფოლადის კომპანიის მფლობელები და საერთოდ, მრეწველობაში მომუშავე მუშები არც ისე კმაყოფილნი დარჩებიან ამით.

შემოსავლის განაწილება ქვეყნის შიგნით. უცხოეთის ტარიფები ან სუბსიდიები ცვლიან საქონლის შესადარ ფასებს. ასეთი ცვლილებები ძლიერ გავლენას ახდენენ შემოსავლის განაწილებაზე საწარმოო ფაქტორების არამობილურობისა და სხვადასხვა მრეწველობის ფაქტორების ინტენსიობის განსხვავებათა გამო.

ერთი შეხედვით ტარიფების ეფექტის მიმართულება და საექსპორტო სუბსიდიები შესადარ ფასებსა და შემოსავლის განაწილებაზე შეიძლება აშკარა იყოს. ტარიფი პირდაპირ გავლენას ახდენს იმპორტირებული საქონლის შიდა შესადარ ფასის ზრდაზე მაშინ, როცა საექსპორტო სუბსიდია არაპირდაპირ შემოქმედებს ექსპორტირებული საქონლის შიდა შესადარ ფასის მატებაზე. ჩვენ ეს-ესაა ვნახეთ, რომ ტარიფები და საექსპორტო სუბსიდიები არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის ვაჭრობის პირობებზე, რომლებიც გვთავაზობენ პარადოქსულ შესაძლებლობებს. ტარიფებმა შეიძლება ისე გააუმჯობესოს ქვეყნის ვაჭრობა - ეი. გაზარდოს მისი საექსპორტო საქონლის შესადარ ფასი მსოფლიო ბაზარზე = რომ მაშინაც კი, როცა სატარიფო განაკვეთი იზრდება, იმპორტირებული საქონლის შიდა შესადარ ფასი ეცემა. ასევე, საექსპორტო სუბსიდიებმა შეიძლება გააუმჯობესოს ვაჭრობის პირობები იმდენად, რომ ექსპორტირებული საქონლის შიდა შესადარ ფასი შემცირდეს სუბსიდიების მიუხედავად. თუ ასეთი პარადოქსული შედეგი გვექნება, სავაჭრო პოლიტიკის შემოქმედება შემოსავლის განაწილებაზე მოსალოდნელის საწინააღმდეგო აღმოჩნდება.

იმის შესაძლებლობა, რომ ტარიფებმა და საექსპორტო სუბსიდიებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ ქვეყნის შიდა ფასებზე, გამოკვლენილი იქნა ლიონ მეცლერის (ჩიკაგოს უნივერსიტეტი) მიერ. ამიტომ იგი ცნობილია, როგორც **მეცლერის პარადოქსი**. ამ პარადოქსს თითქმის იგივე სტატუსი აქვს, რაც ტრანსფერტს, რომელიც მისი მიმღები ქვეყნის მდგომარეობას აუარესებს; ეს შესაძლებელია თეორიულად (შეიძლება მოხდეს მხოლოდ ექსტრემალურ პირობებში), მაგრამ არა პრაქტიკაში.

თუ თავს დაეხეობთ მეცლერის პარადოქსს, ტარიფი დაეხმარება ჩვენს ქვეყანაში იმპორტის კონკურენტულ ადგილობრივ მრეწველობას და ზიანს მოაყენებს ექსპორტს; საექსპორტო სუბსიდია კი საწინააღმდეგოს გამოიწვევს.

ქვეყნის შიგნით შემოსავლის განაწილების გადაადგილება ხშირად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკის შექმნაში, ვიდრე გადაადგილება შემოსავლის განაწილებაში ქვეყნებს შორის; ეს გამოწვეულია საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილებებით.

შეჯამება

1. ვაჭრობის სტანდარტული მოდელი აგებს მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდს საწარმოო შესაძლებლობებისა და მსოფლიო შესადარი მოთხოვნის მრუდებისაგან. ექსპორტის ფასი იმპორტის ფასთან შედარებით, ანუ ქვეყნის საგარეო ვაჭრობა, განისაზღვრება მსოფლიო შესადარი მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთით. სხვა თანაბარ პირობებში, ვაჭრობის ზრდა აუქმობს ქვეყნის კეთილდღეობას. და პირიქით, ვაჭრობის შემცირება ქვეყნის მდგომარეობას აუარესებს.
2. ეკონომიკური განვითარება ნიშნავს ქვეყნის წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის გარეთ გადაადგილებას. ასეთი განვითარება გრაფიკულად ძირითადად გადახრილია; ე.ი. წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი იხრება უფრო ერთი საქონლისკენ, ვიდრე მეორის მიმართულებით. განვითარების ასეთი გადახრა სხვა თანაბარ პირობებში იწვევს იმ საქონლის მსოფლიო შესადარი მიწოდების ზრდას, რომლისკენაც ეს ზრდა იხრება. თავის მხრივ მსოფლიო შესადარი მიწოდების მრუდის გადაადგილებას მოსდევს ცვლილება განვითარებული ქვეყნის ვაჭრობაში, რომელიც შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით დაწინაურდეს. თუ განვითარების პროცესში მეოფი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები გაუმჯობესდება, ეს გააძლიერებს საწყის განვითარებას ნეენ ქვეყანაში, მაგრამ ზიანს მიაყენებს დანარჩენ მსოფლიოს. განვითარების პროცესში მეოფი ქვეყნის ვაჭრობის პირობების გაუარესებას მოჰყვება ნეენ ქვეყნის დაზარალება, მაგრამ მოგებას მოუტანს დანარჩენ მსოფლიოს.
3. საგარეო ვაჭრობის შედეგების მიმართულება დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარების ბუნებაზე. ექსპორტის ზრდა აუარესებს ვაჭრობის პირობებს და პირიქით, იმპორტისადმი მიდრეკილი განვითარება არაპროპორციულად ზრდის იმპორტკონკურენტული საქონლის წარმოების შესაძლებლობას, აუქმობს ქვეყნის ვაჭრობის პირობებს. იმპორტისადმი მიდრეკილმა განვითარებამ სასღვარგარეო შეიძლება ზიანი მიაყენოს ნეენ ქვეყანას.
4. შემოსავლის საერთაშორისო ტრანსფერტებმა, როგორცაა ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურება და უცხოეთის დახმარება, შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყნის ვაჭრობის პირობებზე მსოფლიო შესადარი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებით. თუ ტრანსფერტის მიმღები ქვეყანა ხარჯავს შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს ექსპორტზე, ვიდრე მიმცემი, ტრანსფერტი ზრდის მსოფლიო შესადარ მოთხოვნას მიმღები ქვეყნის საექსპორტო საქონელზე და აუქმობს მის საგარეო ვაჭრობის პირობებს. ეს გაუმჯობესება აძლიერებს საწყის ტრანსფერტს და უსრუენველიყოფს არაპირდაპირ მოგებას შემოსავლის პირდაპირ ტრანსფერტზე დამატებით. მეორე მხრივ, თუ მიმღებ ქვეყანას აქვს დაბალი ზღვრული სწრაფვა ექსპორტის ხარჯებისადმი, ვიდრე დონორ ქვეყანას, ტრანსფერტი აუარესებს მიმღების ვაჭრობის პირობებს და ანაზღაურებს ტრანსფერტის ნაწილს.
5. პრაქტიკაში ქვეყნების უმეტესობა ხარჯავს თავისი შემოსავლის გაცილებით მეტს ადგილობრივ პროდუქტზე, ვიდრე უცხოურზე. ეს გამოწვეულია არა ადამიანთა განსხვავებული გემოვნებით, არამედ ვაჭრობაში არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერებით, რომლის გამოც ბევრი საქონელი არასავაჭრო ხდება. თუ არასავაჭრო საქონელი კონკურენტციას უწევს ექსპორტის რესურსების გამო, ტრანსფერტები გაზრდიან მიმღები ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს.
6. საიმპორტო ტარიფები და საექსპორტო სუბსიდიები გაკლენას ახდენენ შესადარ მიწოდებასა და მოთხოვნას. ტარიფი ზრდის ქვეყნის იმპორტირებული საქონლის შესადარ მიწოდებას და ამცირებს შესადარ მოთხოვნას. ამასთან აუქმობს ქვეყნის ვაჭრობას დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე. საექსპორტო სუბსიდიას საწინააღმდეგო ეფექტი მოსდევს - იგი ზრდის შესადარ მიწოდებას და ამცირებს ქვეყნის ექსპორტირებულ საქონელზე შესადარ მოთხოვნას და ამით აუარესებს მისი საგარეო ვაჭრობის პირობებს.
7. საექსპორტო სუბსიდიების ეფექტი ზიანს აყენებს დაფინანსებულ ქვეყანას, სამაგიეროდ, დანარჩენი მსოფლიო იგებს; ტარიფები კი საწინააღმდეგოს იწვევენ. ტარიფებიცა და სუბსიდიებიც ძლიერ გავლენას ახდენენ შემოსავლის დანაწილებაზე ქვეყნის შიგნით და ეს ეფექტი უფრო ძლიერ სემოქმედებს პოლიტიკაზე, ვიდრე ვაჭრობის პირობები.

ძირითადი ტერმინები

განვითარება ექსპორტის ზრდის ტენდენციით ექსპორტის დაფინანსება
გარე ბაზრის ფასი
საიმპორტო ტარიფი
ერთნაირი ღირებულების მრედი
მეცდურის პარადოქსი
საგარეო ვაჭრობის პირობები

განვითარება იმპორტის ზრდის ტენდენციით
შიდა ბაზრის ფასი
გაღარიბების ზრდა
გულგრილობის მრუდები
ზღვრული სწრაფვა ხარჯებისადმი
ვაჭრობის სტანდარტული მოდელი
შემოსავლის ტრანსფერტები

კითხვები

1. ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლოა მიწოდება შეიძლება არ რეაგირებდეს ფასების ცვლილებებზე. მაგალითად, თუ საწარმოო ფაქტორები არამობილური იქნება სექტორებს შორის, წარმოების ზღვრული შესაძლებლობები გამოისახება მართკუთხედით და ორი საქონლის გამოშვება დამოკიდებული არ აღმოჩნდება მათ შესაძლო ფასზე. არის თუ არა სწორი, რომ საგარეო ვაჭრობის პირობები სრდის ქვეყნის კეთილდღეობას? გამოსახეთ გრაფიკულად.
 2. წარმოიდგინეთ ეკონომიკა, სადაც მომხმარებლები ყოველთვის ყიდულობენ თითოეულ საქონელს შესაძლებელი პროპორციებით – მაგალითად, ყოველი გირვანქა საკეების ნაცვლად ერთი იარაღი ქსოვილი – მიუხედავად ორი საქონლის ფასისა. აიყენეთ, რომ საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.
 3. იაპონია აწარმოებს სამრეწველო საქონლის ექსპორტს და ისეთი ნედლეულის იმპორტს, როგორცაა საკეები და ნაფთობი. გააანალიზეთ იაპონიის საგარეო ვაჭრობაზე შემდეგი მოვლენების გავლენა:
 - ა) შუა აღმოსავლეთში ომი ჩაშლის ნაფთობის მიწოდებას.
 - ბ) კორეა ავითარებს ავტომანქანების წარმოებას, რომლის გაყიდვაც მას შეუძლია კანადასა და აშშ-ში.
 - გ) მოუსაველიანობა რუსეთში.
 - დ) იმპორტირებულ საქონელზე – ხორცსა და ციტრუსებზე იაპონიის ტარიფების შემცირება.
 4. A და B ქვეყნებს აქვს ორი საწარმოო ფაქტორი: კაპიტალი და სამუშაო ძალა, რომლითაც ისინი აწარმოებენ ორ – X და Y საქონელს. ტექნოლოგია ორივე ქვეყანაში ერთნაირია. X კაპიტალინტენსიურია; A –ს აქვს ჭარბი კაპიტალი; გააანალიზეთ, რა გავლენას მოახდენს ორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე და კეთილდღეობაზე შემდეგი:
 - a) A ქვეყნის ძირითადი კაპიტალის ზრდა
 - b) A ქვეყნის სამუშაო ძალის ზრდა
 - გ) B ქვეყნის ძირითადი კაპიტალის ზრდა
 - h) B ქვეყნის სამუშაო ძალის ზრდა
 5. პრაქტიკულად, ბევრი უცხოური დახმარება "შეიცრია", ე.ი. მას ახლავს შესაძლებელი, რაც მოითხოვს, რომ მიმღებმა ქვეყანამ დახარჯოს ეს დახმარება დონორი ქვეყნის საქონელზე. მაგალითად, საფრანგეთი ფულით უსრუნველყოფს აფრიკაში საირიგაციო პროექტს იმ პირობით, თუ საქანავეები, მილსადენები და სამშენებლო აღჭურვილობა შესყიდული იქნება საფრანგეთში და არა იაპონიაში. როგორ გავლენას ახდენს დახმარების ასეთი შესაძლებელი ტრანსფერტის პრობლემის ანალიზზე? აქვს თუ არა ამ შესაძლებლებს რაიმე მნიშვნელობა დონორი ქვეყნის თვალსაზრისისათვის?
 6. 1989 წელს პოლიტიკური ცვლილებების ტალღამ გადაუარა აღმოსავლეთ ევროპას, რომელმაც გზა მისცა დემოკრატიის პერსპექტივებს და ამ ქვეყნების გეგმიანი ეკონომიკის გადასვლას საბაზრო ეკონომიკაზე. ერთი შედეგი შეიძლება იყოს, თუ როგორ იყენებს დასავლეთ ევროპა თავის ფულს: გერმანია, რომელიც 1980 წელს ფულს ასესხებდა აშშ-ს, იწყებს ფულის გასესხებებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე.
- ტრანსფერტის პრობლემების ანალიზზე დაყრდნობით, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს დასავლეთ ევროპის საქონლის ფასებზე აშშ-სა და იაპონიის საქონლის ფასებისაგან განსხვავებით?
7. ეთქვამთ, ერთი ქვეყანა აფინანსებს თავის ექსპორტს და მეორე ქვეყანა აწესებს "წონასწორულ" ტარიფებს, რომელიც ანაზღაურებს მის ექსპორტს ისე, რომ ბოლოს შესაძლოა ფასები მეორე ქვეყანაში უცვლელია. რა ემართება ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს? რას იტყვიეთ მათ კეთილდღეობაზე?

საერთაშორისო წონასწორობის შემთავაზების მრუდები

საერთაშორისო წონასწორობის ანალიზი შესაძარი მიწოდებისა და მოთხოვნის გათვალისწინებით უმარტივესი და ერთობ გამოსადეგი პროცესია. სოციალურ გარემოებაში სასარგებლო იქნება, ვაჭრობა გაეანალიზოთ გრაფიკით, რომელიც გვიჩვენებს, რა გადააქვს ერთ ქვეყანას მეორეში. ასეთ გრაფიკს *შეთავაზების მრუდი* ეწოდება.


ქვეყნის შემთავაზების მრუდი

5-3 გრაფიკში ვასწავნებთ, როგორ შეიძლება განისაზღვროს ქვეყნის წარმოება და მოხმარება მოცემული P_C/P_F შესაძარი ფასის პირობებში. ვაჭრობა არის განსხვავება წარმოებასა და მოხმარებას შორის. შეთავაზების მრუდის გრაფიკით ჩვენ პირდაპირ ვაჩვენებთ ვაჭრობის დინებები, რაც შეესაბამება ვაჭრობის მოცემულ შესაძარ ფასს. 5დ-1 გრაფიკის ერთ ღერძზე აღნიშნულია ქვეყნის ექსპორტები ($Q_C - D_C$) მეორეზე მისი იმპორტები ($D_F - Q_F$). T წერტილი 5დ-1 გრაფიკზე შეესაბამება იმ სიტუაციას, რომელიც ჩანს 5-3 გრაფიკზე (წარმოება Q წერტილში, მოხმარება D წერტილში). რადგან

$$(D_F - Q_F) = (Q_C - D_C) \times (P_C / P_F) \tag{5დ-1}$$

5დ-1 გრაფიკზე ხაზის დაქანება საწიხიდან T-სკენ უტოლდება P_C/P_F -ს. T არის ჩვენი ქვეყნის შეთავაზება დაშვებული შესაძარი ფასის პირობებში; ასეთი ფასის დროს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას აქვს ვაჭრობის სურვილი: ($Q_C - D_C$) ერთეული ქსოვილი ($D_F - Q_F$) ერთეული საკვების ნაცვლად.

გრაფიკი 5დ-1 ჩვენი ქვეყნის სასურველი ვაჭრობა შესაძარი ფასის პირობებში




საწიხის წერტილიდან მრუდის დაქანების შეესაბამისი შესაძარი ფასის პირობებში ჩვენი ქვეყანა სთავაზობს ქსოვილის $Q_C - D_C$ ერთეულს $D_F - Q_F$ ერთეული საკვების სანაცვლოდ.

სხვადასხვა შესაძარ ფასში ჩვენი ქვეყნის შეთავაზების გამოთვლით შევადგენთ შეთავაზების მრუდს (5დ-2 გრაფიკი). 5-4 გრაფიკში ვნახეთ, რომ როცა P_C/P_F იზრდება - Q_C იზრდება, Q_F ეცემა, D_F - იმატებს და D_C შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს. სასურველი ($Q_C - D_C$) და ($D_F - Q_F$) - ორივე ნორმალურად იზრდება, თუ P_C/P_F შემოსავლის გააღება ძალიან ძლიერი არაა. 5დ-2 გრაფიკში T არის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება Q^1, D^1 -ს 5-1 გრაფიკში; T² შეთავაზება შეესაბამება Q^2, D^2 -ს. მრავალნაირი ფასის პირობებში ჩვენი ქვეყნის შეთავაზების დონის გარკვევის შემდეგ დაეხაზათ OC მრუდს.

უცხოეთის შეთავაზების OF მრუდი შეიძლება იმავე გზით აიგოს (5დ-3 გრაფიკი) ევრტიკალურ ღერძზე ($Q^*_F - D^*_F$) უცხოეთის სასურველი საკვების ექსპორტი აღნიშნული, ხოლო პერიონტალურ ღერძზე ($D^*_C - Q^*_C$) - ქსოვილის სასურველი იმპორტი. რაც უფრო დაბალია P_C/P_F , უცხოეთს მით მეტი საკვების ექსპორტი და მეტი ქსოვილის იმპორტი მოუწდება.

გრაფიკი 5დ-2 ჩვენი ქვეყნის შეთავაზების მრუდი




შეთავაზების მრუდი გამოისახება იმის მიხედვით, თუ როგორი განსხვავებულია ჩვენი ქვეყნის შეთავაზება, როდესაც თანსაკმდის შესაძარი ფასი იცვლება.

საერთაშორისო წონასწორობა

წონასწორობის პირობებში $(D_c - Q_c) = (D^*_c - Q^*_c)$ და $(D_f - Q_f) = (Q^*_f - D^*_f)$. ე.ი. მსოფლიო მიწოდება და მოთხოვნა ტოლი უნდა იყოს ქსოვილისა და საკვებისათვის. ამ ტოლობის პირობებში ჩვენ შეგვიძლია აუგოთ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის შეთავაზების მრუდები იმავე გრაფიკზე (5დ-4). წონასწორობა ხდება წერტილში, სადაც ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის შეთავაზების მრუდები იკვეთება. წონასწორობის E წერტილში ქსოვილის შესადარი ფასი უტოლდება OE დაქანებას. ჩვენი ქვეყნის ქსოვილის ექსპორტი, რომელიც უტოლდება უცხოეთის იმპორტს, არის OX. უცხოეთის საკვების ექსპორტი, რომელიც უტოლდება ჩვენი ქვეყნის იმპორტს, არის OY.


საერთაშორისო წონასწორობის ასეთი წარმოსახვა გვეხმარება იმის გაგებაში, რომ ფაქტობრივად, წონასწორობა საერთოა, სადაც მიწოდება და მოთხოვნა გათანაბრებულია ორივე ბაზარზე ერთდროულად.

გრაფიკი 5დ-3 უცხოეთის შეთავაზების მრუდი



უცხოეთის შეთავაზების მრუდი გეჩვენებს თუ როგორ განსხვავდება მისი სასურველი ქსოვილის იმპორტი და საკვების ექსპორტი შესადარი ფასის დროს.

გრაფიკი 5დ-4 შეთავაზების მრუდის წონასწორობა



მსოფლიო წონასწორობა ხდება იქ, სადაც ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის შეთავაზების მრუდები გადაიკვეთება.

თავი 6

მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია, არასრულყოფილი კონკურენცია და საერთაშორისო ვაჭრობა

მე-2 თავში ვაჩვენებთ ქვეყნების სპეციალიზაციისა და ვაჭრობის ორი მიზეზი: პირველი, ისინი თავიანთი რესურსებით ან ტექნოლოგიებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რის გამოც სპეციალდებიან იმ საქონლის წარმოებაში, რომლის გაკეთებაც მათ შედარებით უკეთ შეუძლიათ; მეორე, მასშტაბის ზრდით მიღებულ ეკონომია (ზრდადი ეფექტი) თითოეულ ქვეყანას აძლევს უპირატესობას დასპეციალდეს მხოლოდ რამდენიმე სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებაში. წინა ოთხ თავში განვიხილეთ მოდელი, რომლის მიხედვითაც მთლიანი ვაჭრობა დაფუძნებულია შედარებითს უპირატესობაზე; ამრიგად, აღნიშნული განსხვავებები ქვეყნებს შორის არის ვაჭრობის ერთადერთი მიზეზი. ამ თავში გავეცნობით მასშტაბის ზრდით მიღებულ ეკონომიას (მასშტაბის ეკონომიას).

მასშტაბის ეკონომიასე დაფუძნებული ვაჭრობის ანალიზი წარმოაჩენს კონკრეტულ პრობლემებს. აქამდე ვეარაუდობდით, რომ ბაზრები სრულყოფილად კონკურენტულნი არიან. როდესაც სახესუა ზრდადი ეფექტი დიდ ფირმებს ყოველთვის აქვთ უპირატესობა პატარა ფირმებთან შედარებით – რადგან ბაზრებზე შეიძლება დომინირებდეს მხოლოდ ერთი ფირმა (მონოპოლია) ან უფრო ხშირად რამდენიმე ფირმა (ოლიგოპოლია). როდესაც ადგილი აქვს ზრდადი ეფექტს ვაჭრობაში, ბაზრები არასრულყოფილად კონკურენტულნი ხდებიან.

დავიწყებთ მასშტაბის ეკონომიისა და არასრულყოფილი კონკურენციის კონცეფციის მიმოხილვით; შემდეგ მიუხედავად საერთაშორისო ვაჭრობის ორ მოდელს, რომლებშიც მასშტაბის ეკონომია და არასრულყოფილი კონკურენცია გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ეს არის მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი და დემონიკური მოდელი. ამ თავის დანარჩენი ნაწილი ეძღვნება სხვადასხვა ზრდადი ეფექტებს, გარე ეკონომიკის როლს ვაჭრობის სტრუქტურის განსაზღვრაში.

მასშტაბის ეკონომია და საერთაშორისო ვაჭრობა: მიმოსილვა

ფარდობითი უპირატესობის მოდელი, როგორც აღვნიშნეთ, ეყრდნობა მასშტაბის უცვლელი ეფექტის შემდეგ ვარაუდს: თუ მრეწველობაში დანახარჯები გაორმაგდება, გაორმაგდება სამრეწველო გამოშვებაც. პრაქტიკულად, ბევრ წარმოებას ახასიათებს მასშტაბის ეკონომია (მოიხსენიება, როგორც ზრდადი ეფექტი). წარმოება იქნება უფრო ეფექტური, რაც უფრო დიდი მასშტაბით ხასიათდება იგი. ასე რომ, მასშტაბის ეკონომიის პირობებში მრეწველობაში დანახარჯების გაორმაგება აუცილებლად გააორმაგებს წარმოებასაც.

მარტივი მაგალითი დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასშტაბის ეკონომიას საერთაშორისო ვაჭრობაში. 6-1 ცხრილი გვიჩვენებს ურთიერთობას მრეწველობის სავარაუდო დანახარჯსა და გამოშვებას შორის. X საქონელი იწარმოება მხოლოდ ერთი დანახარჯის, სამუშაო ძალის, გამოყენებით, რომლის მოთხოვნილი რაოდენობა დამოკიდებულია X საქონლის რაოდენობაზე. 10 X საქონლის საწარმოებლად საჭიროა 15 საათის შრომა, ხოლო 25 X საქონლის საწარმოებლად – 30 საათი. სახესუა მასშტაბის ეკონომია: სამუშაო ძალის გაორკეცება 15-დან 30-მდე გაორმაგებაზე მეტად გაზრდის გამოშვებას, რეალურად იზრდება 2.5 ფაქტორით. მასშტაბის ეკონომია აშკარაა, თუ დაეკვირდებით თითოეული ერთეულის წარმოებაზე გამოყენებული სამუშაო ძალის საშუალო რაოდენობას: თუ გამოშვება არის მხოლოდ 5 X საქონელი, 1 X საქონელზე სამუშაო ძალის საშუალო დანახარჯი იქნება 2 საათი, ხოლო თუ გამოშვება არის 25 ერთეული სამუშაო ძალის საშუალო დანახარჯი კლებულობს 1.2 საათამდე.

ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ ეს მაგალითი იმის გასარკვევად, თუ რატომ უკმნის მასშტაბის ეკონომია სტიმულს საერთაშორისო ვაჭრობას. წარმოიდგინეთ მსოფლიო, რომელიც შედგება მხოლოდ ორი ქვეყნისაგან – ამერიკა და ბრიტანეთი. ორივეს აქვს X საქონლის წარმოების ერთნაირი ტექნოლოგია. დასაწყისში ისინი აწარმოებენ 10 X საქონელს, რისთვისაც, ცხრილის მიხედვით, საჭიროა თითოეულ ქვეყანაში 15 საათის შრომა. ასე რომ, მსოფლიოში მთლიანად 20 X საქონლის საწარმოებლად დაიხარჯება 30 საათის შრომა. ახლა დავუშვათ, რომ ამერიკა იყენებს 30 საათის შრომას X საქონლისათვის. თუ მსოფლიო X საქონლის წარმოების კონცენტრაციას ამერიკაში, მსოფლიო ეკონომიკამ შესაძლოა გამოიყენოს იმავე მოცულობის შრომა 25%-ით მეტი X საქონლის საწარმოებლად.

გამოშვება	შრომის მთლიანი დანახარჯი	შრომის საშუალო დანახარჯი
5	10	2
10	15	1.5
15	20	1.333333
20	25	1.25
25	30	1.2
30	35	1.16667

მაგრამ სად იპოვის ამერიკა დამატებით სამუშაო ძალას X საქონლის საწარმოებლად და რა დაეკარება სამუშაო ძალას, რომელიც დასაქმებული იყო ბრიტანეთში იმავე სახის წარმოებაში? ერთი სახის საქონლის წარმოების გასასრდელად სამუშაო ძალა რომ იშოვოს, ამერიკამ უნდა შეამციროს ან მიატოვოს მეორე სახის საქონლის წარმოება. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელის წარმოებას შემდეგში ბრიტანეთი დაიწყებს, რისთვისაც გამოიყენებს სამუშაო ძალას, ადრე დასაქმებულს იმ მრეწველობაში, რომლის წარმოებაც გაფართოვდა ამერიკაში. წარმოიდგინეთ, ბევრი საქონელი, რომელიც ექვემდებარება მასშტაბის ეკონომიას წარმოებაში, და აღენიშნეთ იგი ციფრებით – 1, 2, 3 . . . იმისათვის, რომ თითოეულმა ქვეყანამ ისარგებლოს მასშტაბის ეკონომიით, ყურადღება უნდა გაამახვილოს მხოლოდ შესლულული რაოდენობის საქონლის წარმოებაზე. მაგალითად, ამერიკამ შეიძლება აწარმოოს 1, 3, 5 და ა.შ. საქონელი, ხოლო ბრიტანეთმა – 2, 4, 6 და ა.შ. ორივე ქვეყანა ცალ-ცალკე შექმნის მხოლოდ რამდენიმე სახის საქონელს, მასთან თითოეული მათგანის წარმოების მასშტაბი უფრო დიდი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული ქვეყანა ეცდებოდა. ეწარმოებინა ყველაფერი და ამით მხოლოდ ეკონომიკა შექმნიდა ორივე სახის საქონლის უფრო მეტ რაოდენობას.

რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხისათვის საერთაშორისო ვაჭრობას? თითოეული ქვეყანის მომხმარებელს სურს სხვადასხვა საქონლის შექმნა. ყოველთა, (1) საქონელი იწარმოება ამერიკაში, ხოლო (2) ბრიტანეთში; მაშინ ამერიკელ მომხმარებელს მოუწევს ბრიტანეთიდან იმპორტირებული (2) საქონლის ყიდვა, ხოლო ბრიტანელს – ამერიკიდან იმპორტირებული (1) საქონლისა. საერთაშორისო ვაჭრობას გადამწყვეტი როლი აქვს; ეს საშუალებას აძლევს თითოეულ ქვეყანას აწარმოოს რამდენიმე სახის საქონელი და ისარგებლოს მასშტაბის ეკონომიით მოხმარების მრავალფეროვნების დათმობის გარეშე. საერთაშორისო ვაჭრობა ნამდვილად იწვევს საქონლის მრავალმხრივობის ზრდას.

შემდეგი მაგალითი გვინიყენებს, როგორ შეიძლება წარმოიშვას მასშტაბის ეკონომია ურთიერთმომგებიანი ვაჭრობიდან. თითოეული ქვეყანა სპეციალდება შესლულული სახის საქონლის წარმოებაში, რაც საშუალებას აძლევს მას, გამოუშვას ეს საქონელი უფრო ეფექტურად, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ის ეცდებოდა, ეწარმოებინა ყველაფერი თვითონ; ეს სპეციალიზებული ეკონომიკები ვაჭრობენ ერთმანეთთან, რაც შემდგომ საშუალებას იძლევა, მოხმარებელი იქნას ყველა სახის საქონელი.

მასშტაბის ეკონომიას ყოველთვის მიეკავართ საბაზრო სტრუქტურისაკენ და ამ უკანასკნელის გასაანალიზებლად მეტი სიფრთხილეა საჭირო.

მასშტაბის ეკონომია და საბაზრო სტრუქტურა

6-1 ცხრილში წარმოვადგინეთ მასშტაბის ეკონომია იმ დაშვებით, რომ შრომის დანახარჯი ერთი ერთეულის წარმოებაზე მით უფრო მცირეა, რაც უფრო მეტი ოდენობა იწარმოება. არ ვამახვილებთ ყურადღებას, თუ როგორ მიიღწევა წარმოების ზრდა – არსებული ფირმები უბრალოდ უფრო მეტს აწარმოებდნენ, თუ თავად ფირმების რაოდენობა იზრდებოდა. მოაყარია, ბაზრის სტრუქტურაზე ეკონომიის მასშტაბის გასაანალიზებლად კარგად გავერკეოთ, რა სახის წარმოების ზრდა არის საჭირო, რათა შემცირდეს საშუალო ხარჯები. გარე მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია გვხვდება მაშინ, როდესაც დანახარჯი ერთ ერთეულზე დამოკიდებულია მრეწველობის სიდიდეზე და არა ერთი რომელიმე ფირმის ზომასზე. შიდა მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია მაშინაა სახესზე, როცა დანახარჯი ერთ ერთეულზე დამოკიდებულია ინდივიდუალური ფირმის და არა მრეწველობის სიდიდეზე.

განსხვავება შიდა და გარე მასშტაბის ეკონომიებს შორის შეიძლება ვაჩვენოთ სავარაუდო მაგალითით. წარმოიდგინეთ მრეწველობა, რომელშიც პირველად გაერთიანებული იყო 10 ფირმა და იწარმოებოდა თითოეულში 100 X საქონელი, მთლიანად მრეწველობაში კი 1 000 X საქონელი. განვიხილოთ ორი შემთხვევა: პირველი, დავეუწყოთ, მრეწველობის სიდიდე გაორმაგდა, ახლა იგი შეიცავს 20 ფირმას, რომელთაგან თითოეული აწარმოებს 100 X საქონელს. შესაძლებელია, მრეწველობის ზრდამ შეამციროს ცალკეული ფირმის დანახარჯი. მაგალითად, უფრო დიდმა მრეწველობამ შეიძლება ეფექტურად უსრულებდეს ფირმის წარმოებას სპეციალიზირებული მოსახერხებელი ან მანქანებით. ახეთ დროს ადვილი ექნება გარე მასშტაბის ეკონომიას.

ე.ი. უფრო დიდი მრეწველობა ზრდის ფირმის წარმატობას, ოღონდ ამ უკანასკნელის სიდიდე 'უცვლელი' რჩება.

მეორე, ეთქვამთ გამოშვება უდრის 1 000 X საქონელს, მაგრამ ფირმების რიცხვი განახევრდა, ასე რომ, დარჩენილი 5 ფირმიდან თითოეული აწარმოებს 200 X საქონელს. თუ ასეთ შემთხვევაში წარმოების დანახარჯი შემცირდება, ადგილი აქვს შიდა მასშტაბის ეკონომიას: ფირმა შესაბამისად ეფექტურია, როცა მისი გამოშვების მოცულობა უფრო დიდია.

გარე და შიდა მასშტაბის ეკონომიას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მრეწველობის სტრუქტურისათვის. მრეწველობა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია გარე მასშტაბის ეკონომია, უპირატესობას არა ანიჭებს დიდ ფირმებს შეიცავს ბევრ პატარა ფირმას და არის სრულყოფილად კონკურენტული. შიდა მასშტაბის ეკონომია კი პირიქით, ირჩევს დიდ ფირმებს და მიმართულია არასრულყოფილად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურისაკენ.

შიდა და გარე მასშტაბის ეკონომია მნიშვნელოვან, ოღონდ სხვადასხვა როლს თამაშობენ საერთაშორისო ვაჭრობაში. ამის გამო მათი ერთად განხილვა ძნელია, ამიტომ მათ ერთმანეთის თანმიმდევრობით შევხებით. ჩვენ დავიწყებთ მოდელით, რომელიც დაფუძნებულია შიდა მასშტაბის ეკონომიაზე. როგორც აღვნიშნეთ, შიდა მასშტაბის ეკონომია იწვევს სრულყოფილი კონკურენციის დარღვევას. ეს საშუალებას მოგვცემს, განვიხილოთ არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომია და შემდგომ მიუხედავად საერთაშორისო ვაჭრობაში შიდა მასშტაბის ეკონომიის როლის ანალიზს.

არასრულყოფილი კონკურენციის თეორია

სრულყოფილ კონკურენტულ ბაზარზე, სადაც ბევრი მყიდველი და გამყიდველია, თუმცა არც ერთი არ არის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი – ფირმები ფასის ამღებნი არიან. ე.ი საქონლის მფლობელები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ არსებულ ფასად შეუძლიათ გაყიდონ რამდენიც უნდათ და თანაც ისე, რომ ზეგაყენა არ მოახდინონ ფასზე, რომელსაც ისინი იღებენ თავიანთ პროდუქტში. მაგალითად, ხორბლის მომყვანი ფერმერები ყიდიან იმდენ ხორბალს, რამდენიც უნდათ და არა აქვთ შიში, რომ მეტი ხორბლის გაყიდვით დასცემენ საბაზრო ფასს. მას სახურეულო არაფერი აქვს იმიტომ, რომ ნებისმიერი ხორბლის მომყვანი წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის მხოლოდ პაწაწინა ნაწილს.


როცა მხოლოდ რამდენიმე ფირმა აწარმოებს საქონელს, საჭმე სხვანაირადაა. ავიღოთ ყველაზე დრამატული მაგალითი – გიგანტური თვითმფრინვაი „ბოინგი“ ბაზარს ინაწილებს მხოლოდ ორ მეტოქესთან – „ვარბასთან“ და „მაკდონალდს-დუგლასთან“. „ბოინგმა“ იცის – თუ გაზრდის თავის წარმოებას, ამით მნიშვნელოვან გაელენას მოახდენს თვითმფრინვაების მიწოდებაზე მსოფლიოში და მნიშვნელოვნად დასცემს მის ფასს; ამასთან თუ მოინდომებს მეტი თვითმფრინვის გაყიდვას, მნიშვნელოვნად უნდა დაწიოს მისი ფასი. **არასრულყოფილი კონკურენციის** პირობებში ფირმებმა იციან, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ნაწარმი მეტი გაყიდონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეამცირებენ ფასს. არასრულყოფილი კონკურენცია დამახასიათებელია ისეთი მრეწველობისათვის, სადაც მხოლოდ რამდენიმე მთავარი მწარმოებელია. იგი ნიშანდობლივია მრეწველობებისათვისაც, სადაც თითოეული ფირმის პროდუქტი მომხმარებლის მიერ განიხილება, როგორც მისი მეტოქე ფირმის მიერ წარმოებული საქონლისაგან განსხვავებული. ამ გარემოებაში თითოეული ფირმა თავს თვლის **ფასის დაშვსებლად**, რადგან სწორედ იგი აწესებს არჩეულ ფასს თავის პროდუქტზე და არა ფასის ამღები.

როცა ფირმები არ არიან ფასის ამღებები, აუცილებელია დამატებითი კვლევა, რათა აღვწეროთ, როგორ განისაზღვრება ფასები და გამოშვება. ყველაზე მარტივი არასრულყოფილი კონკურენტული ბაზრის სტრუქტურა, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის **წმინდა მონოპოლია** – ბაზარი, რომელსაც ახასიათებს კონკურენცია; არგუმენტები, რასაც განვიხილავთ, შეიძლება შემდეგ გამოვიყენოთ უფრო რთული ბაზრის სტრუქტურის შესასწავლად.

მონოპოლია: ხანმოკლე პერიოდში

6-1 გრაფიკი გვიჩვენებს მონოპოლიური ფირმის მდგომარეობას. ფირმების მოთხოვნა გამოსახულია ქვემოთ მიმართული D მრუდით, რაც გვიჩვენებს, რომ ფირმას შეუძლია გაყიდოს მეტი ერთეული მხოლოდ მაშინ, თუ გამოშვების ფასი ეცემა. მაკროეკონომიკიდან შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ **ზღვრული შემოსავლის** მრუდი შეესაბამება მოთხოვნის მრუდს. 'ზღვრული შემოსავალი არის დამატებითი შემოსავალი, რომელსაც ფირმა იღებს დამატებითი ერთეულის გაყიდვიდან. მონოპოლისტისათვის 'ზღვრული შემოსავალი ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე ფასი, რადგან დამატებითი ერთეულის გასაყიდად ფირმამ უნდა შეამციროს ყველა დანარჩენი ერთეულის ფასი (არა მხოლოდ 'ზღვრული ერთეულისა). ასე რომ, მონოპოლისტის 'ზღვრული შემოსავლის აღმნიშვნელი MR მრუდი ყოველთვის მდებარეობს მოთხოვნის მრუდის ქვემოთ.

გრაფიკი 6-1 მონოპოლიური ფასის დადგენა და წარმოების გადაწყვეტილება



მონოპოლისტური ფირმა ისეთ გამოშვებას ირჩევს, როცა ზღვრული მოგება (დამატებითი ერთეულის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ზრდა) უდრის ზღვრულ დანახარჯს (დამატებითი ერთეულის წარმოების დანახარჯს). მაქსიმუმი მოგების მომტანი გამოშვება ნაჩვენებია Q_M -ით; ფასი როცა ეს გამოშვება მოთხოვნილია - არის P_M ზღვრული მოგების მრუდი MR მდებარეობს მოთხოვნის D მრუდის ქვევით, რადგან მონოპოლისათვის, ზღვრული მოგება ყოველთვის ფასზე ნაკლებია. მონოპოლისტის მოგება უდრის შეფერადებულ მართკუთხედს (სხვაობა ფასსა და საშუალო დანახარჯს შორის გამრავლებული Q_M -ზე).

ზღვრული შემოსავალი და ფასი. მონოპოლიური კონკურენციის მოდელის ანალიზისას მნიშვნელოვანია განესაზღვროთ ურთიერთობა ფასსა, რომელსაც მონოპოლისტი იღებს ერთ ერთეულზე, და ზღვრულ შემოსავალს შორის. ზღვრული შემოსავალი ყოველთვის ფასზე ნაკლებია, მაგრამ რამდენით? ურთიერთობა ზღვრულ შემოსავალსა და ფასს შორის, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ პროდუქციის რა რაოდენობას ყიდის ფირმა: ცოტას გამყიდველი ძალიან არ დაზარალებდა თითოეულ ერთეულზე ფასის შემცირებით. მეორე მხრივ, სხვაობა ფასსა და ზღვრულ შემოსავალს შორის დამოკიდებულია მოთხოვნის მრუდის დაქანებაზე, რაც გეიწვენებს, თუ რამდენით უნდა შეამციროს მონოპოლისტმა თავისი პროდუქციის ფასი, რათა გაყიდოს დამატებითი ერთეული. თუ მრუდი უახლოვდება პორიზონტალურ მდგომარეობას, მონოპოლისტს შეუძლია გაყიდოს დამატებითი ერთეული მხოლოდ მცირედი ფასდაკლებით და შემდეგაც აღარ მოუხდება ფასის საგრძნობი დაკლება იმავე ერთეულებზე; ასე რომ, ზღვრული შემოსავალი ძალიან ახლოს იქნება ერთი ერთეულის ფასთან. ან თუ მოთხოვნის მრუდი ძალიან დაქანებულია, დამატებითი ერთეულის გაყიდვა მოითხოვს მეტ ფასდაკლებას, რის გამოც ზღვრული შემოსავალი გაცილებით ნაკლები იქნება ფასზე.

უკეთესად გავარკვევთ ფასსა და ზღვრულ შემოსავალს შორის არსებულ ურთიერთობას, თუ დავეუშვებთ, რომ ფირმის მოთხოვნის მრუდი არის სწორხაზოვანი. ასეთ დროს მონოპოლისტის მთლიანი გასაღება დამოკიდებული იქნება ფასზე, რომელსაც ის ცვლის. ეს შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ტოლობით:

$$Q = A - B \times P \tag{6-1}$$

ტოლობაში Q არის ფირმის მიერ გაყიდული საქონლის ერთეულის რაოდენობა, P თითოეული ერთეულის ფასი, A და B მუდმივი სიდიდეები. ამ თავის დანართში ვანიჭებთ, რომ ასეთ შემთხვევაში

$$\text{ზღვრული შემოსავალი} = MR = P - Q/B, \tag{6-2}$$

ეს გულისხმობს შემდეგს:

$$P - MP = Q/B$$

(6-2) ტოლობა გეიწვენებს, რომ სხვაობა ფასსა და ზღვრულ შემოსავალს შორის დამოკიდებულია ფირმის საწყის Q გაყიდვაზე და მისი მოთხოვნის მრუდის დაქანების B პარამეტრზე. თუ Q -ს მოცულობა არის მაღალი, ზღვრული შემოსავალი დაბალი იქნება, რადგან ფასის დაკლება გამოიწვევს უფრო მეტი რაოდენობის საქონლის გაყიდვას, რაც ფირმას ძვირი უჯდება. რაც მეტია B , ე.ი. გაყიდვის დონე დაიწვეს ფასების ზრდის შედეგად, მით უფრო ახლოა ზღვრული შემოსავალი საქონლის ფასთან. (6-2) ტოლობა მნიშვნელოვანია ვაჭრობის მონოპოლიური კონკურენციის მოდელის ანალიზისათვის.

საშუალო და ზღვრული დანახარჯები. დაუბრუნდეთ 6-1 გრაფიკს. AC გამოსახავს ფირმის პროდუქციის საშუალო ღირებულებას, ანუ მთლიან ღირებულებას გაყოფილს გამოშვებაზე. ქვემოთ დაქანებული AC მრუდი ასახავს ჩვენს ვარაუდს, რომ ადგილი აქვს მასშტაბის ეკონომიას, ე.ი. რაც უფრო დიდია ფირმის გამოშვება, მით უფრო ნაკლებია მისი ხარჯი ერთ ერთეულზე. MC ნაჩვენებელია ფირმის ზღვრული დანახარჯისა (ფირმის მიერ ერთი დამატებითი ერთეული წარმოების ხარჯი). ამრიგად, როცა საშუალო დანახარჯი არის გამოშვების კლებადი ფუნქცია, ზღვრული დანახარჯი ყოველთვის ნაკლებია საშუალო დანახარჯზე. MC მდებარეობს AC -ს ქვემოთ.

(6-2) ტოლობის შესადარი ფასი და ზღვრული შემოსავალი. შეგვიძლია მივიღოთ შესაბამისი ფორმულა, რომელიც გეიწვენებს საშუალო დანახარჯსა და ზღვრულ დანახარჯს. თუ ფირმის დანახარჯი არის C , მაშინ

$$C = F + c + Q \tag{6-3}$$

სადაც F არის ფირმის გამოშვებისაგან დამოკიდებული ფიქსირებული დანახარჯი, c არის ფირმის 'სღვრული

დანახარჯი და Q არის მისი გამოშვება (ეკელა ამ მონაცემს ერთად ეწოდება დანახარჯის წრფივი ფუნქცია). მუდმივი ხარჯი დანახარჯების წრფივ ფუნქციაში ზრდის მასშტაბის ეკონომიას, რადგან, რაც უფრო დიდია ფირმის გამოშვება, მით ნაკლებია ფიქსირებული დანახარჯი ერთ ერთეულზე.

ფირმის საშუალო დანახარჯი არის მთლიანი დანახარჯი გაყოფილი გამოშვებაზე


$$\text{საშუალო დანახარჯი} = AC = C/Q = F/Q + c \quad (6-4)$$

საშუალო დანახარჯის მრუდი ქვემოთ იხრება, როცა Q იზრდება, რადგან ფიქსირებული დანახარჯი ერკველება დიდი მოცულობის პროდუქციაზე.

მაგალითად, თუ $F=5$ და $c=1$ -ს, 10 ერთეულის გამოშვების საშუალო დანახარჯი არის $5/10 + 1 = 1.5$, ხოლო 25 ერთეული გამოშვების საშუალო დანახარჯი იქნება $5/25 + 1 = 1.2$. ეს ციფრობრივი მანუენებლები გამოვიყენოთ 6-1 ცხრილში; ურთიერთობა გამოშვებას, საშუალო დანახარჯს და ზღვრულ ხარჯს შორის (6-1 ცხრილის მონაცემები) გამოსახულია 6-2 გრაფიკზე. საიდანაც აშკარაა – საშუალო დანახარჯს ეახლოვდება უსასრულოობას ნულოვანი წარმოების დროს და ალწევს ზღვრულ დანახარჯს დიდი მოცულობის გამოშვების დროს.

გამოშვება მაქსიმუმამდე მაშინ ზრდის მონოპოლისტის მოგებას, როცა ზღვრული შემოსავალი (მიღებული დამატებითი ერთეულის გაყიდვიდან) უტოლდება ზღვრულ დანახარჯს (დამატებითი ერთეულის წარმოების დანახარჯს), ტოლობის ნიშნული აღმოჩნდება MC და MR მრუდების გადაკვეთის წერტილზე. 6-1 გრაფიკის მიხედვით ფასი, რომლის დროსაც საჭიროა Q გამოშვება, რათა მაქსიმუმამდე გაიზარდოს მოგება, არის P, რომელიც შეტია, ვიდრე საშუალო დანახარჯი. როცა $P > AC$ -ზე, მონოპოლისტი იღებს მონოპოლიურ მოგებას.

გრაფიკი 6-2 საშუალო შედარებითი ზღვრული დანახარჯი



ეს გრაფიკი გვიჩვენებს საშუალო და ზღვრულ დანახარჯებს, რომელიც შეესაბამება მთლიანი დანახარჯის ფუნქციას $C=5+Q$ ზღვრული დანახარჯი ყოველთვის არის (1); როცა გამოშვება იზრდება, საშუალო დანახარჯი მცირდება.

მონოპოლიური კონკურენცია

მონოპოლიური მოგება აღვიღად არ მიიღწევა. მაღალი მოგების მქონე ფირმა იზიდავს კონკურენტებს. საერთოდ, წმინდა მონოპოლია იშვიათი რეალობაა. საბაზრო სტრუქტურებისათვის დამახასიათებელია ოლიგოპოლია – რამდენიმე ფირმა, რომელთაგან თითოეული საკმარისად დიდია, რათა გავლენა მოახდინოს ფასებზე, მაგრამ არც ერთს არ ახასიათებს უკონკურენტო მონოპოლია.

ოლიგოპოლიის ზოგადი ანალიზი რთული და საკამათოა, რადგანაც ერთი ფირმის მიერ ფასის დადგენის პოლიტიკა ოლიგოპოლიის შემადგენელ ფირმებთან ურთიერთობაზე არის დამოკიდებული. ოლიგოპოლიის თითოეული ფირმა ფასის დადგენისას განიხილავს არა მარტო მომხმარებლის განწყობას, არამედ კონკურენტების მოსალოდნელ რეაგირებას. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დამოკიდებულია ფირმის ქცევისთან დაკავშირებულ მოლოდინზე – ნაყერთით თუ არა რთულ თამაშში, სადაც ფირმები ცდილობენ გაიგონ ერთმანეთის სტრატეგია. ქვემოთ ნიქნ მოკლედ განვიხილავთ ოლიგოპოლიის მოდელურების პრობლემას. არსებობს ოლიგოპოლიის სპეციალური შემთხვევა, ცნობილი, როგორც მონოპოლიური კონკურენცია, რომლის ანალიზიც შედარებით ადვილია. ბოლო წლებში მონოპოლიური კონკურენციის მოდელები ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში.

მონოპოლიური კონკურენციის მოდელში დაშვებულია ორი მთავარი ვარაუდი: პირველი, თითოეულმა ფირმამ უნდა განახილოს საკუთარი წარმოების პროდუქტი თავისი მოწინააღმდეგის პროდუქტისაგან. ფირმის მომხმარებლები, რაკი სერტ შეისყიდონ ამ ფირმის კონკრეტული პროდუქტი, არ წავლენ მეორე ფირმის პროდუქტის საყიდლად ფასის მცირედი განსხვავებების გამო. საქონლის დიფერენციაცია საშუალებას იძლევა, რომ თითოეული ფირმა ფლობდეს თავისი კონკრეტული პროდუქტის მონოპოლიას მრეწველობის შიგნით და ამით იყოს დაცული კონკურენციისაგან. მეორე, თითოეული ფირმა ვარაუდობს აიღოს თავისი მუდმივი მიერ დაწესებული ფასები. ე.ი. ის უარყოფს საკუთარი ფასების გადგენას სხვა ფირმების ფასებზე ამის შესაძლოა მონოპოლისტიური კონკურენციის მოდელი უშუალებს შემდეგს – მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ფირმა

რეალურად სხვა ფირმების მხრიდან კონკურენციას განიცდის, ისე იქცევა, თითქოს თვითონ მონოპოლისტი იყოს – აქედანაა მოდელის სახელიც.

სინამდვილეში არსებობენ თუ არა მონოპოლიურად კონკურენტული მრეწველობები? ზოგიერთი მრეწველობა შეიძლება უახლოვდებოდეს ამ კატეგორიას. მაგალითად, ეროპაში მთავარი სააგრომობილო მრეწველობები (ფორდი, ჯენერალ მოტორსი, ფოლქსვაგენი, რენო, პეჟო, ფიატი, ვოლვო და ბოლოს ნისანი) გეოგრაფიკულად საკმაოდ განსხვავებულ კონკურენტულ მანქანებს, შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მონოპოლიურად კონკურენტულნი. მონოპოლიური კონკურენციის მოდელისათვის მთავარი ნიშანია სიმარტივე. როგორც ამ თავის მეორე ნაწილში ვნახავთ, დასახელებული მოდელი ნათლად გვიჩვენებს, როგორ ზრდის ურთიერთმიმდებელი ვაჭრობის მასშტაბის ეკონომია.

სანამ შევეხებოდეთ ვაჭრობას, უნდა განვიხილოთ მონოპოლიური კონკურენციის მთავარი მოდელი. წარმოვიდგინოთ მრეწველობა, რომელიც შეიცავს დიფერენცირებული – ერთმანეთის შემცველი პროდუქტის რამდენიმე ფორმას; მათგან თითოეული მონოპოლისტია იმ თვალსაზრისით, რომ იგი კონკრეტული საქონელის ერთადერთი მწარმოებელია, მაგრამ მის საქონელზე მოთხოვნა დამოკიდებულია სხვა ხელმისაწვდომი მსგავსი პროდუქტის რაოდენობაზე და სხვა ფირმების ფასებზე მრეწველობაში.

მოდელის ვარაუდი. დავიწყებთ ტიპური მონოპოლიური კონკურენტული ფირმის მოთხოვნის აღწერით. ზოგადად მოსალოდნელია, რომ ფირმა გაყიდის მეტოქის ნაწარმზე მთლიან მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტს და მისგან დაწესებულზე მეტ ფასად. მაგრამ მაინც ვეარაუდობთ, რომ ფირმამ შეიძლება გაყიდოს უფრო ნაკლები, რაც მეტი იქნება ფირმების რაოდენობა მრეწველობაში და რაც უფრო მაღალი იქნება ფირმის საკუთარი ფასი. ტოლობა ფირმის მოთხოვნისა, რომელსაც აქვს ეს ნიშნები, არის

$$Q = S \times [1/n - b \times (P - \bar{P})], \quad (6-5)$$

სადაც Q არის ფირმის პროდუქტის რეალიზაციის მანქანებელი, S – მრეწველობის მთლიანი გასაღება. n – ფირმების რაოდენობა მრეწველობაში, b – ფირმის გაყიდვის რეაგირება მის ფასზე, P – ფირმის მიერ დაწესებული ფასი \bar{P} – მისი კონკურენტის მიერ დაწესებული საშუალო ფასი. (6-5) ტოლობა გამართლებულია შემდეგი პირობით – თუ ყველა ფირმა ერთნაირად შეცვლის ფასს, თითოეულს ექნება $1/n$ საბაზრო წილი. ფირმას, რომელიც სხვა ფირმების საშუალო მანქანებელზე მეტად ცვლის ფასს, ნაკლები საბაზრო წილი ექნება, ხოლო ფირმა, რომელიც ფასის ნაკლები ცვლილებით ხასიათდება, მეტი წილი ექნება.

დაეწვივით, S მრეწველობის მთლიან რეალიზაციაზე გავლენას არ ახდენს მრეწველობაში ფირმების მიერ დაწესებული \bar{P} საშუალო ფასი. ე.ი. ვეარაუდობთ, რომ ფირმებს შეუძლიათ მიიზიდონ მომხმარებელი ერთმანეთის ხარჯზე. ეს რეალობას მოკლებული ვარაუდია, მაგრამ ამარტივებს ანალიზს და გვეხმარება, ეურადლება გავამახვილოთ ფირმებს შორის კონკურენციაზე. კერძოდ, S არის ბაზრის სიდიდის სასომი და თუ ყველა ფირმა ერთნაირად შეცვლის ფასს, თითოეული გაყიდის S/n ერთეულს.

შემდეგ დაუბრუნდებით ტიპური ფირმის დანახარჯს. მისი საშუალო დანახარჯი გადმოცემულია (6-3) და (6-4) ტოლობებით.

ბაზრის წონასწორობა. მონოპოლიური კონკურენტული მრეწველობის ქცევის მოდელი ვარაუდობს, რომ ამ მრეწველობაში ყველა ფირმის მოთხოვნის ფუნქცია და დანახარჯის ფუნქცია ერთმანეთის იდენტურია (მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ პროდუქტს ყიდიან). როდესაც ინდივიდუალური ფირმები სიმეტრიულად საქმიანობენ, მრეწველობის მდგომარეობა შეიძლება აღწერილი იქნას ყველა ფირმის დამახასიათებელი ნიშნის დეტალური გამოთვლის გარეშე; ამისათვის გვჭირდება, ვიცოდეთ – რამდენი ფირმაა მრეწველობაში და რა ფასებს ცვლის ტიპური ფირმა. მრეწველობის გასაანალიზებლად საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობის შედეგების ცოდნა, რისთვისაც უნდა განვსაზღვროთ ფირმების რაოდენობა და მათ მიერ დაწესებული საშუალო ფასი, როგორც \bar{P} რადგან გვაქვს n -ის და \bar{P} -ს შესახებ მეთოდი, შეგვიძლია ვიკითხოთ – რა გავლენას ახდენს მათზე საერთაშორისო ვაჭრობა.

ჩვენი მეთოდი შეიცავს n -ის და \bar{P} -ს განსაზღვრის სამ ეტაპს: (1) ვაკვირდებით, ურთიერთობას ფირმების რაოდენობასა და ტიპური ფირმის საშუალო დანახარჯს შორის. და ვაჩვენებთ, რომ ეს ურთიერთობა აღმავალია: რაც მეტია ფირმების რაოდენობა, მით ნაკლები აღმოჩნდება თითოეული ფირმის გამოშვება; აქედან გამომდინარე – უფრო მაღალი იქნება ხარჯი გამოშვების ერთ ერთეულზე. (2) შემდეგ ვაჩვენებთ ურთიერთობას ფირმების რაოდენობასა და თითოეული ფირმის მიერ ფასების ცვლილებას შორის. ეს ცვლილება უნდა უტოლდებოდეს \bar{P} -ს წონასწორობას. ვნახავთ, რომ ეს ურთიერთობა დადამავალია: რაც მეტია ფირმების რაოდენობა, მით უფრო ინტენსიურია მათ შორის კონკურენცია და ამის შედეგად მცირდება მათ მიერ შეცვლილი ფასები. (3) და ბოლოს, ვამტკიცებთ, რომ როცა ფასი აჭარბებს საშუალო დანახარჯს, ფირმები მიემართებიან მრეწველობას, ხოლო როცა ფასი საშუალო დანახარჯზე ნაკლებია, ფირმები დამოუკიდებლად იარსებებენ. ასე რომ, ხანგრძლივ პერიოდში ფირმების რაოდენობა აღინიშნება იმ მრეწველების

გადაკეთით, რომელიც აკავშირებს საშუალო დანახარჯსა და ფასს n -თან.


ახლა განვიხილოთ თითოეული ეტაპი ცალ-ცალკე:

1. ფირმების რაოდენობა და საშუალო დანახარჯი. n -ის და \bar{P} -ის განსაზღვრისათვის პირველ რიგში ვკითხულობთ – როგორია ტიპური ფირმის საშუალო დანახარჯის დამოკიდებულება ფირმების რაოდენობაზე მრეწველობაში. რადგან, მოდელის მიხედვით, ყველა ფირმა ერთმანეთის სიმეტრიულად საქმიანობს, წონასწორობის დროს ისინი ერთნაირად შეცვლიან ფასს. მაგრამ, როცა ყველა ფირმა ერთნაირ ფასს დააწესებს $P = \bar{P}$ (6-5) ტოლობის მიხედვით $Q = S/n$; ე.ი. თითოეული ფირმის Q გამოშვება იქნება მთლიანი მრეწველობის S გაყიდვის $1/n$ წილი. მაგრამ (6-4) ტოლობაში ენახეთ, რომ საშუალო დანახარჯი დამოკიდებულია ფირმის გამოშვებაზე. აქედან ვასკენით, რომ საშუალო დანახარჯი დამოკიდებულია ბაზრის ფასსა და მრეწველობაში ფირმების რაოდენობაზე:

$$AC = F/Q + c = n \times F/S + c \quad (6-6)$$

(6-6) ტოლობა გვჩვენებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მეტი ფირმაა მრეწველობაში, მით უფრო მაღალია საშუალო დანახარჯი რადგან ფირმათა დიდი ოდენობიდან თითოეული ნაკლებს აწარმოებს. მაგალითად, მრეწველობის მთლიანი რეალიზაციაა 1 მილიონი X საქონელი წელიწადში. თუ მრეწველობაში შედის 5 ფირმა, თითოეული წელიწადში გაყიდის 200 000 X საქონელს. 10 ფირმიდან, თითოეული – მხოლოდ 100 000 X საქონელს, ე.ი. თითოეულ ფირმას ექნება უფრო მეტი საშუალო დანახარჯი. აღმავალი ურთიერთობა n -სა და საშუალო დანახარჯს შორის ნაჩვენებია, როგორც CC მრუდი 6-3 გრაფიკზე.

გრაფიკი 6-3. წონასწორობა მონოპოლისტურად კონკურენტულ ბაზარზე



ფირმათა რაოდენობა მონოპოლისტურად კონკურენტული ბაზარია და მათ მიერ დაწესებული ფასები ორი ურთიერთობითაა განსაზღვრული. ერთის მხრივ, რაც მეტია ფირმა მით უფრო ინტენსიურად კონკურენტულია და ამდენად უფრო დაბალია საწარმოო ფასი. ეს ურთიერთობა წარმოდგენილია PP მრუდით. მეორეს მხრივ, რაც უფრო მეტია ფირმა, მით უფრო ნაკლებს ყიდის თითოეული და ამიტომ მით უფრო მაღალია საშუალო ღირებულება. ეს წარმოდგენილია CC მრუდით. თუ ფასი აჭარბებს საშუალო ღირებულებას (თუ PP CC მრუდზე ზემოთაა), წარმოება მომგებიანი იქნება და დამატებითი ფირმები შევლენ მრეწველობაში; თუ ფასი საშუალო ღირებულებაზე დაბალია, წარმოება წამგებიანია და ფირმები ტოვებენ მრეწველობას. წონასწორული ფასი და ფირმების რაოდენობა ემთხვევა PP და CC მრუდების გადაკვეთაზე. როცა ფასი უდრის საშუალო ღირებულებას.

2. ფირმების რაოდენობა და ფასი. ფასი, რომელსაც ტიპური ფირმა ცვლის, ასევე დამოკიდებულია მრეწველობაში ფირმების რაოდენობაზე. სოციალად შეიძლება ველოდეთ, რომ რაც უფრო მეტი ფირმაა მრეწველობაში, მით უფრო ინტენსიური იქნება კონკურენცია მათ შორის და აქედან გამომდინარე ნაკლები იქნება ფასი. თითოეულ ფირმას ექნება სწორხაზოვანი მოთხოვნის მრუდი, როგორც ვაჩვენეთ (6-1) ტოლობაში და შემდეგ გამოვიყენეთ (6-2) ტოლობაში ფასის განსაზღვრისათვის.

მონოპოლიური კონკურენტული მოდელის მიხედვით, ფირმებმა უნდა აიღონ ერთმანეთის მიერ დაწესებული ფასები; ე.ი. თითოეული ფირმა უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ რაღაც თაყვანად შეცვლის ფასს, სხვა ფირმებიც შეცვლიან თაყვანად ფასებს. თუ თითოეული ფირმა განიხილავს \bar{P} -ს, როგორც მოცემულს, მაშინ ტოლობა (6-5) მიიღებს შემდეგ ფორმას.

$$Q = (S/n + S \times b \times \bar{P}) - S \times b \times P \quad (6-7)$$

სადაც b არის (6-5) ტოლობის პარამეტრი, რომელიც სომავს თითოეული ფირმის ბაზრის წილის მგრძობაზელობას მის მიერ შეცვლილი ფასის მიმართ. ახლა ეს ტოლობა იგივეა, რაც (6-1), ოღონდ მედივი A -ს ნაცვლად გვაქვს $S/n + S \times b \times \bar{P}$ და დაქანების B კოეფიციენტის ნაცვლად $S \times b$. თუ გაითვალისწინებთ ამ ღირებულებებს სდერული შემოსავლის (6-2) ტოლობაში, ჩვენ მივიღებთ სდერული შემოსავლის ფორმულას ტიპური ფირმისათვის:

$$MR = P - Q / (S \times b)$$

(6-8)

ფირმების, რომლებიც მოგების მაქსიმუმს იღებენ, 'ხდურ'ული შემოსავალი ტოლია საკუთარი 'ხდურ'ული დანახარჯისა - c; ასე რომ,

$$MR = P - Q / (S \times b),$$

რომელიც შეიძლება შეიცვალოს, რათა მივიღოთ ტიპური ფირმის მიერ დაწესებული ფასის ტოლობა

$$P = c + Q / (S \times b)$$

(6-9)

უკვე შევამჩნიეთ, რომ თუ ვეღვა ფირმა დააწესებს ერთნაირ ფასს, თითოეული გაყიდვის საქონლის $Q = S/n$ რაოდენობას. თუ ამას წაესვამთ (6-9) ტოლობაში, მივიღებთ ურთიერთობას ფირმების რაოდენობასა და თითოეული ფირმის მიერ დაწესებულ ფასს შორის

$$P = c + 1 / (b \times n)$$

(6-10)

(6-10) ტოლობა გვიჩვენებს: რაც მეტი ფირმაა მრეწველობაში, მით დაბალია თითოეული ფირმის მიერ დაწესებული ფასი. (6-10) ტოლობა წარმოდგენილია 6-3 გრაფიკზე, როგორც ქვემოთ მიმართული PP მრუდი.

3. ფირმების წონასწორული რაოდენობა 6-3 გრაფიკზე მრეწველობა წარმოდგენილია ორი მრუდით. ქვემოთ მიმართული PP მრუდი გვიჩვენებს, რომ მრეწველობაში ფირმების რაოდენობის სიჭარბე განაპირობებს თითოეული ფირმის მიერ დაწესებულ დაბალ ფასს. რაც მეტია ფირმა, მით ძლიერია მათ შორის კონკურენცია. სემთ მიმართული CC მრუდის მიხედვით კი, მრეწველობაში ფირმების სიმრავლე იწვევს თითოეული ფირმის საშუალო დანახარჯი სიმაღლეს. თუ ფირმების რაოდენობა იზრდება, თითოეული ფირმა გაყიდვის ნაკლებს, ასე რომ, ფირმებს არ ექნებათ შესაძლებლობა გადაადგილდნენ მათი საშუალო დანახარჯის მრუდის ქვემოთ.

ორი მრუდი ერთმანეთს გადაკვეთს E წერტილში. ამ დროს ნულოვანი მოგების მქონე ფირმების რაოდენობა მრეწველობაში არის n_1 და მათი მოგების მაქსიმუმამდე გამოსრული ფასი იქნება P_1 , რომელიც უტოლდება მათ საშუალო ღირებულებას, გამოსახულს AC_1 მრუდით.

დავამტკიცოთ, რომ ხანგრძლივ პერიოდში ფირმების რაოდენობა მრეწველობაში მიმართული იქნება n_2 -სკენ, ასე რომ, E იქნება მრეწველობის გრძელვადიანი წონასწორობის წერტილი.

ამისათვის დავუშვათ, n არის ნაკლები n_2 -ზე და აღენიშნოთ იგი n_1 -ით. მაშინ ფირმების მიერ დაწესებული ფასი იქნება P_1 , ხოლო მათი საშუალო ღირებულება - მხოლოდ AC_1 . ფირმები მიიღებენ მონოპოლიურ მოგებას. და პირიქით, n არის n_2 -ზე მეტი, ვთქვათ, n_2 , მაშინ ფირმები დაადგენენ მხოლოდ P_2 ფასს, ხოლო მათი საშუალო ღირებულება იქნება AC_2 - ფირმა იზარალებს.

თანდათანობით ფირმები შევლენ იმ მრეწველობაში, რომელიც მოგებიანია და გამოეღვი იქიდან, სადაც მათ ზარალი განიცადეს. დროთა განმავლობაში ფირმების რაოდენობა გაიზრდება, თუ ის ნაკლებია n_2 -ზე და შემცირდება, თუ ის მეტია n_2 -ზე. ეს ნიშნავს, რომ n_2 არის ფირმების წონასწორული რაოდენობა მრეწველობაში, ხოლო P_2 წონასწორული ფასი.

ახლა განვიხილოთ მონოპოლიური კონკურენტული მრეწველობის მოდელი, რითაც განესაზღვრავთ ფირმების წონასწორულ რაოდენობას და ამ ფირმების მიერ დადგენილ წონასწორულ ფასს. შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მოდელი, რათა გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნები მასშტაბის ეკონომიის როლის შესახებ ხაერთაშორისო ეპოქრობაში. მაგრამ მანამდე უნდა გავარკვიოთ ზოგიერთი მონოპოლიური კონკურენტული მოდელის შესაძლო შესაძლებლობები.

მონოპოლიური კონკურენტულის მოდელის შეზღუდვები

მონოპოლიური კონკურენციის მოდელი მოიცავს ბასრებისათვის დამახასიათებელი კონკურენტულობის მთავარ ელემენტებს, სადაც ადგილი აქვს მასშტაბის ეკონომიას და აქედან გამომდინარე არასრულყოფილ კონკურენციას. ყველაზე გავრცელებული ბასრის სტრუქტურა არის პატარა ჯგუფებისაგან ოლიგოპოლია, სადაც მხოლოდ რამდენიმე ფირმაა აქტიურად ჩაბმული კონკურენციაში. ასეთ ვითარებაში მონოპოლიური კონკურენტული მოდელის მთავარი ვარაუდი - რომ თითოეული ფირმა მოიქცევა ისე, თითქოს თავად იყოს ნამდვილი მონოპოლისტი, ალბათ კრახს განიცდის. სამაგიეროდ, ფირმებს ეკოლინებათ, რომ თავიანთი საქმიანობით გაეღენას ახდენენ სხვა ფირმების მოქმედებაზე და ამ ურთიერთდამოკიდებულებას გაითვალისწინებენ.

წყველებრივ ოლიგოპოლიაში ადგილი აქვს ფირმების მხრიდან ორი სახის ქცევას, რაც გამოორიცხულია მონოპოლიური კონკურენციის მოდელიდან. პირველია, **ფარული შეთანხმება**. თითოეულმა ფირმამ შეიძლება შეინარჩუნოს თავისი ფასები მოგების მაქსიმუმის დონეზე სვეით. სხვა ფირმებიც იმავეს გადაკეთებენ და თითოეული ფირმის მოგება გაიზრდება (მომხმარებლის ხარჯზე) რაკი მისი კონკურენტები უფრო მაღალ ფასებს დააწესებენ. ფარული შეთანხმების ნაცვლად ფასის დაწესება შეიძლება განხორციელდეს აშკარა შეთანხმებებით (აშშ-ში არალეგალურია) ან თანამშრომლობის ფარული სტრატეგიით, მაგალითად, ნება დართო ფირმას, იყოს ფასის დამდგენი მრეწველობაში.

ფირმებმა შეიძლება მიმართონ **სტრატეგიულ** ქმედებას, ე.ი. ისინი შეიძლება ისე მოიქცნენ, თითქოს ამცირებენ მოგებას. ეს სასურველ გაელენას ახდენს კონკურენტების ქმედებაზე. მაგალითად, ფირმამ შეიძლება ააშენოს დამატებითი სიმძლავრის წარმოება არა იმიტომ, რომ გამოიყენოს, არამედ შეაკაოს პოტენციური კონკურენტები იმ მრეწველობაში შესასვლელად, რომელსაც თავად ეკუთვნის. ფარული შეთანხმებისა და სტრატეგიული ქმედების ეს შესაძლებლობები ართულებს ოლიგოპოლიის ანალიზს. ვაჭრობაში მონოპოლისტური კონკურენცია ამ სირთულეებს თავიდან იცილებს და მისი მოდელიც ამიტომ ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკაში მასშტაბის ეკონომიის როლის განსასაზღვრავად.

მონოპოლიური კონკურენცია და ვაჭრობა

მონოპოლიური კონკურენციის მოდელის ვაჭრობაში გამოყენება ემყარება იმ აზრს, რომ ვაჭრობა ზრდის ბაზრის მოცულობას. მრეწველობები, რომელთაც ახასიათებთ მასშტაბის ეკონომია, საქონლის მრავალფეროვნება და მისი გამოშვების დიამაზონი, იწვლება ბაზრის სიდიდით. ერთმანეთთან ვაჭრობით და ინტეგრირებული მსოფლიო ბაზრის შექმნით (რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ცალკეული ქვეყნის ბაზრი) ქვეყნებს საშუალება ეძლევათ განთავისუფლდნენ ამ შესულებებისაგან. საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში მათ შეუძლიათ დასპეციალდნენ ერთი რომელიმე საქონლის წარმოებაში, ოღონდ სხვა ქვეყნებისაგან იმ საქონლის შექმნის პირობით, რომელსაც ისინი თავად არ აწარმოებენ. ეს პროცესი ზრდის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი საქონლის რაოდენობას. ასე რომ, ვაჭრობა განაპირობებს ურთიერთმოგების შესაძლებლობას მაშინაც კი, თუ ქვეყნები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რესურსებით ან ტექნოლოგიებით.

მაგალითად, ავიდოთ ორი ქვეყანა: თითოეულს აქვს ბაზარი 1 მილიონი მანქანისათვის წელიწადში. ერთმანეთთან ვაჭრობით ეს ქვეყნები შექმნიან კომბინირებულ ბაზარს 2 მილიონი მანქანისათვის. ასეთ კომბინირებულ ბაზარზე საქონლის უფრო მეტი მრავალფეროვნებაა, შედარებით დაბალი საშუალო ღირებულებით, ვიდრე თითოეულ ბაზარზე ცალ-ცალკე.

მონოპოლიური კონკურენციის მოდელის გამოყენება შეიძლება იმის სანიყნებლად, როგორ აემჯობესებს ქვეყნის უნარს, აირჩიოს მის წინაშე არსებულ მასშტაბსა და მრავალფეროვნებას შორის საეკონომიკო. აღნიშნული მოდელით განვიყნებთ, როგორ უძლევა დიდი ბაზარი დაბალი საშუალო ფასებისა და მრავალფეროვნების ხელმისაწვდომობის პრობლემას. თუ დავაკვირდებით საერთაშორისო ვაჭრობის ამ უპირატეხობას, შევაშინვეთ, რომ ეს ვაჭრობა ქმნის დიდ მსოფლიო ბაზარს, რომელიც აღემატება ყველა მასში მონაწილე ცალკეული ქვეყნის ბაზარს. ინტეგრირებულ ბაზრებს იგივე უფექტი აქვთ, რაც ბაზრის ზრდას ერთი ცალკეული ქვეყნის შიგნით.

გაზრდილი ბაზრის ეფექტი

მონოპოლიურ კონკურენტულ მრეწველობაში ფირმების რაოდენობასა და მათ მიერ ფასების დაწესებაზე გაელენას ახდენს ბაზრის სიდიდე. დიდ ბაზრებში უფრო მეტი იქნება როგორც ფირმის რიცხვი, ისე ერთი ფირმის მიერ განხორციელებული რეალიზაცია; მომხმარებელს დიდი ბაზრები სთავაზობენ უფრო დაბალ ფასებს და პროდუქტების მრავალფეროვნებას, ვიდრე პატარა ბაზრები თავიანთ მიყიდველებს.

ამის გასაგებად, ჩვენი მოდელის მიხედვით შევხედოთ 6-3 გრაფიკსე CC მრუდს, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთი ფირმის საშუალო დანახარჯი მით უფრო მაღალია, რაც მეტი ფირმაა გაერთიანებული მრეწველობაში. CC მრუდის განსასაზღვრება მოცემულია (6-6) ტოლობით:

$$AC = F/Q + c = n \times F/S + c$$

ამ ტოლობიდან ვხედავთ, რომ მილიანი S რეალიზაციის ზრდა შეამცირებს საშუალო დანახარჯს მოცემული ფირმების რაოდენობისათვის. ამის მიზეზი შემდეგია – თუ ბაზარი გაიზრდება, ხოლო ფირმების რაოდენობა უცვლელი დარჩება, თითოეული ფირმის პროდუქციის გაყიდვა გადიდდება და თითოეული ფირმის საშუალო დანახარჯი შემცირდება. ასე რომ, თუ შევადარებთ ერთმანეთს ორ ბაზარს: ერთს, რომელსაც აქვს უფრო მეტი S და მეორეს, ვისაც იგი ნაკლები აქვს, CC მრუდი (უფრო დიდი ბაზარის პირობებში) იქნება პატარა ბაზრის პირობებში არსებული CC მრუდის ქვემოთ.

PP მრუდი (6-3 გრაფიკზე), რომელიც აკავშირებს ფირმის მიერ შემოდებულ ფასს ფირმების რაოდენობასთან, არ გადაადგილდება. ამ მრუდის განსზღვრება მოცემულია (6-10) ტოლობაში:

$$P = c + 1 / (b \times n)$$

ბაზრის სიდიდე არ ფიგურირებს ტოლობაში. ასე რომ, S-ის ზრდა არ გადაადგილებს PP მრუდს.


6-4 გრაფიკი იყენებს ამ ინფორმაციას, რათა აჩვენოს ბაზრის სიდიდის ზრდის ეფექტი გრძელვადიან წონასწორობაზე. პირველად წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილში, P_1 ფასის და n_1 ფირმების რაოდენობის პირობებში. ბაზრის სიდიდის ზრდა, რომელიც იწვევს მრეწველობის S რეალიზაციით, გადააწვავს CC მრუდს ქვემოთ CC_1 -დან CC_2 -სკენ და გააღწევს არ მოახდენს PP მრუდზე. ახალი წონასწორობა აღმოჩნდება (2) წერტილში: ფირმების რაოდენობა იზრდება n_1 -დან n_2 -მდე, ხოლო ფასი ეცემა P_1 -დან P_2 -მდე.

ნათელია, ადამიანები ამჯობინებენ იყენენ დიდი ბაზრის მომხმარებლები, ვიდრე პატარა ბაზრისა. (2) წერტილში აღინიშნება პროდუქტების უფრო მეტი მრავალფეროვნება უფრო დაბალ ფასად, ვიდრე (1) წერტილში.

მომავალ ინტერპირებული ბაზრებიდან: ციფრობრივი მაგალითი

საერთაშორისო ვაჭრობა კმნის უფრო დიდ ბაზარს. შეგვიძლია, ვაჩვენოთ ვაჭრობის ეფექტი ფასებზე, გასაღებასა და ხელმისაწვდომი საქონლის მრავალფეროვნებაზე სპეციფიკური რიცხობრივი მაგალითის საშუალებით.

გრაფიკი 6-4 დიდი ბაზრის ეფექტი



ბაზრის მოცულობის ზრდა საშუალებას აძლევს თითოეულ ფირმას სხვა თანაბარ პირობებში, აწარმოოს მეტი და ამიტომ ჰქონდეს დაბალი საშუალო ღირებულება. ეს წარმოლკენილია CC_1 მრუდის CC_2 მრუდისკენ ქვემოთ დახრით. შედეგად ეიღებთ ფირმების რაოდენობის იმაღლოულ ზრდას (სხვადასხვა ხელმისაწვდომი საქონლის ზრდასაც) და თითოეულის ღირებულების შემცირებას.

წარმოიდგინეთ, რომ მანქანა იწარმოება მონოპოლიურად კონკურენტული მრეწველობის მიერ. ნებისმიერი მისი მეწარმის წინაშე არსებული მოთხოვნის მრუდი ფიქსირებულია (6-5) ტოლობით, სადაც $b = 1/30\ 000$ (ამ ღირებულებას არა აქვს კონკრეტული მნიშვნელობა; ის შეირჩა იმისათვის, რომ მაგალითი უფრო ნათელი იყოს). ასე რომ, ერთი ნებისმიერი მეწარმის წინაშე არსებული მოთხოვნა არის

$$Q = S \times [1/n - (1/30\ 000) \times (P - \bar{P})]$$

სადაც Q არის ერთი ფირმის მიერ გაყიდული მანქანების რაოდენობა, S მრეწველობის მთლიანი რეალიზაცია, n ფირმების რიცხვი, P ფირმის მიერი პროდუქციაზე დადებული ფასი და \bar{P} არის საშუალო ფასი – ფირმის მიერ დადებული ფასი. ეუშვებთ აგრეთვე, რომ ხარჯის ფუნქცია მანქანების წარმოებისათვის აღწერილია (6-3) ტოლობით, სადაც მუდმივი დანახარჯი $F = 750\ 000\ 000$ დოლარს და ზღვრული დანახარჯი $c = 5\ 000$ დოლარს ერთ აექტომობილზე.

მთლიანი დანახარჯი იქნება

$$c = 750\ 000\ 000 + (5\ 000 \times Q)$$

საშუალო დანახარჯის მრუდი არის


$$AC = (750\ 000\ 000/Q) + 5\ 000.$$

ახლა დაეუშვათ, რომ არის ორი ქვეყანა: ჩვენი და უცხოეთი. ჩვენი ქვეყანა წლიურად ყიდის 900 000 აექტომობილს, უცხოეთი კი 1.6 მილიონს. ორივე ქვეყანა ვარაუდობს წარმოების ერთნაირ დანახარჯებს.

6-5ა გრაფიკსე წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ავტომრეწველობის მანქანებელი PP და CC მრეუდები. ვაჭრობის არარსებობის პირობებში ქვეყანას ექნება 6 საავტომობილო ფირმა, რომელიც გაყიდის თითოეულ მანქანას 10 000 დოლარად.


გრაფიკი 6-5 წონასწორობა მანქანების ბაზარზე

ერთი ავტომანქანის ფასი ათასობით დოლარში




(ა) ჩვენი ქვეყნის ბაზარი

ერთი ავტომანქანის ფასი ათასობით დოლარში



(ბ) უცხოეთის ბაზარი

ერთი ავტომანქანის ფასი ათასობით დოლარში



(გ) ინტეგრირებული ბაზარი

ა) ჩვენი ქვეყნის ბაზარი: 900 000 ავტომანქანის მოცულობის ბაზრის პირობებში, ჩვენი ქვეყნის წონასწორობა, PP და CC მრეუდების გადაკვეთით განსაზღვრული, იქნება 6 ფირმითა და თითოეულ მანქანაზე 10 000 დოლარის საწარმოო ფასით. ბ) უცხო ქვეყნის ბაზარი: 1.6 მილიონ ავტომანქანის მოცულობის ბაზრის პირობებში, უცხოეთის წონასწორობა იქნება 8 ფირმითა და თითოეულ მანქანაზე 8 750 დოლარის საწარმოო ფასით. ც) შერეული ბაზარი: ორი ბაზრის შერწყმით იქმნება ბაზარი 2.5 მილიონ ავტომობილისათვის. ეს ბაზარი ეხმარება 10 ბაზარს და ავტომანქანის ფასი მხოლოდ 8 000 დოლარია.

გრძელვადიანი წონასწორობის დასამტკიცებლად უნდა ვანიჭოთ, რომ ფასის დაწესების (6-10) ტოლობა დაკმაყოფილებულია და ფასი უტოლდება საშუალო დანახარჯს.

თუ (6-10) ტოლობაში შევცვლით c ზღვრული დანახარჯის რეალურ ღირებულებას, მოთხოვნის b პარამეტრს და ჩვენ ქვეყანაში არსებული ფირმების n რაოდენობას, მივიღებთ

$$P = \$ 10\ 000 = c + 1 / (b \times n) = \$ 5\ 000 + 1 / [(1/30.000) \times 6] = \$ 5\ 000 + \$ 5\ 000$$

ასე რომ, მოგების მაქსიმუმადე გაზრდის პირობა – როცა ზღვრული შემოსავალი უდრის ზღვრულ დანახარჯს – დაკმაყოფილებულია. თითოეული ფირმა ყიდის 900 000 ერთეულს/6 ფირმა = 150 000 ერთეული/ფირმა. მისი საშუალო დანახარჯი იქნება

$$AC = (\$ 750\ 000\ 000 / 150.000) + \$ 5\ 000 = \$ 10\ 000$$

10 000 დოლარი არის ერთ ერთეულზე საშუალო დანახარჯი. ასე რომ, 6 ფირმიდან თითოეული 1 ცალ მანქანას ყიდის 10 000 დოლარად და ყოველი მათგანი აწარმოებს 150 000 მანქანას. ეს არის გრძელვადიანი წონასწორობა ჩვენი ქვეყნის ბაზარზე.

რაც შეეხება უცხოეთს, PP და CC მრეუდების დახაზვით 6-5 (ბ) გრაფიკსე ვნახავთ, რომ როცა ბაზარი განკუთვნილია 1.6 მილიონი მანქანისათვის, მრეუდები ერთმანეთს გადაკვეთენ n = 8, P = 8 750 წერტილში, ე.ი. ვაჭრობის არარსებობის პირობებში უცხოეთის ბაზარზე იქნება 8 ფირმა – თითოეული 200 000 მანქანის მწარმოებელი. მათგან თითოეულის 8 750 დოლარად გამოიღვევლი. შეგვიძლია კვლავ დაეადასტუროთ, რომ ეს გადაწყვეტა აკმაყოფილებს წონასწორობის პირობებს:

$$P = \$ 8750 = C + 1 / (b \times n) = \$ 5000 + 1 / [(1/30\ 000) \times 8] = \$ 5000 + \$ 3750$$

და

$$AC = (\$750\,000\,000 / 200\,000) + \$5\,000 = \$8\,750$$

ახლა დავეუშვათ, რომ შესაძლებელია ჩვენმა ქვეყანამ და უცხოეთში ერთმანეთთან მანქანებით ივაჭროს ხარჯების გარეშე. ეს შექმნის ახალ, ინტეგრირებულ ბაზარს (6-5ე გრაფიკი) 2.5 მილიონიანი მთლიანი რეალიზაციით. PP და CC მრეწველის კიდევ ერთხელ დახაზვით, ვნახავთ, რომ ამ ინტეგრირებულ ბაზარზე წარმოდგენილი იქნება 10 ფირმა, რომელთაგან თითოეული აწარმოებს 250 000 მანქანას და გაყიდის თითოეულს 8 000 დოლარად. პირობები მოგების მაქსიმუმად გაზრდისათვის და ნულოვანი მოგებისათვის კვლავ დამაკმაყოფილებელია:

$$P = \$8\,000 = c + 1/(b \times n) = \$5\,000 + 1 / [(1/30.000) \times 10] = \$5\,000 + \$3\,000$$

და

$$AC = (\$750\,000\,000 / 250\,000) + \$5\,000 = \$8\,000$$

ვაჯამებთ შექმნილი ინტეგრირებული ბაზრის შედეგებს 6-2 ცხრილში, სადაც ერთმანეთთან შედარებულია თითოეული ბაზარი და ინტეგრირებული ბაზარი. ეს უკანასკნელი მოიცავს მეტ ფირმებს, რომელთაგანაც თითოეულის წარმოება უფრო დიდი მასშტაბისაა. იგი პროდუქციას ყიდის უფრო დაბალ ფასად, ეიღრე ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარი.

ცხრილი 6-2 ბაზრის ინტეგრაციიდან მიღებული მოგების სავარაუდო მაგალითი

	ჩვენი ქვეყნის ბაზარი, ვაჭრობამდე	უცხოეთის ბაზარი ვაჭრობამდე	ინტეგრირებული ბაზრები ვაჭრობის შემდეგ
მანქანების მთლიანი რეალიზაცია	900, 000	1,600,000	2,500,000
ფირმების რაოდენობა	6	8	10
რეალიზაცია ერთი ფირმის მიერ	150,000	200,000	250,000
საშუალო დანახარჯი	10.000	8.75	8.00
ფასი	10.000	8.75	8.00

ნათელია, რომ ინტეგრაციიდან მოგებას იღებს ყველა. დიდ ბაზრებზე მომხმარებლებს აქვთ არჩევანის მეტი საშუალება, რაჟი თითოეული ფირმა აწარმოებს მეტ პროდუქტს და დაბალ ფასად სთავაზობს მკიდველს.

ინტეგრაციიდან ამ მოგების რეალიზაციისათვის ქვეყნები უნდა წაერთონ საერთაშორისო ვაჭრობაში. მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად თითოეულმა ფირმამ უნდა მოახდინოს თავისი ნაწარმის კონცენტრირება ერთ ქვეყანაში – ჩვენში, ან უცხოეთში. მან უნდა მოჰყიდოს თავისი საქონელი მომხმარებელს ორივე ბაზარზე. ეს ხდება თითოეული პროდუქტის წარმოებით მხოლოდ ერთ ქვეყანაში და მათი ექსპორტირებისა, მყოფეში.

მასშტაბის ეკონომია და ზარლობითი უპირატესობა

ჩვენი მონოპოლიური კონკურენტული მრეწველობის მაგალითი ცოტას გვეუბნება მასშტაბის ეკონომიით გამოწვეული ვაჭრობის სტრუქტურის შესახებ. მოდელი ვარაუდობს, რომ წარმოების დანახარჯი ორივე ქვეყანაში ერთნაირია და ვაჭრობას ხარჯი არ ახლავს. მართალია, ვიცით, რომ ინტეგრირებულ ბაზარში არის 10 ფირმა, მაგრამ არ შეგვიძლია ვთქვათ, სად იქნებიან ისინი განთავსებული. მაგალითად, 4 ფირმა შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყანაში და 6 – უცხოეთში, ან ათივე ფირმა იყოს ამათგან ერთში.


ახლა წარმოვიდგინოთ მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც შედგება პირობითად ორი ქვეყნისაგან: ჩვენ და უცხოეთი. თითოეულს აქვს წარმოების ორი ფაქტორი – კაპიტალი და შრომა. ვვარაუდობთ, რომ ჩვენ ქვეყანას ექნება კაპიტალის უფრო მაღალი შეფარდება შრომასთან, ვიდრე უცხოეთს, ე.ი. ჩვენი ქვეყანა არის ჭარბკაპიტალიანი. ახლა დავეუშვათ ორი მრეწველობა – სამრეწველო საქონლის გადამამუშავებელი და კვების, სადაც სამრეწველო საქონლის წარმოება უფრო კაპიტალინტენსიურია.

განსხვავება ამ მოდელსა და საწარმოო ფაქტორების შეფარდების მოდელს შორის არის ის რომ, ვარაუდით, გადამამუშავებელი მრეწველობა არ არის სრულყოფილად კონკურენტული მრეწველობა, რომელიც უშვებს მრავალი სახის პროდუქციას. სამაგიეროდ, ის არის მონოპოლიურად კონკურენტული მრეწველობა, სადაც ყველა ფირმა აწარმოებს სხვადასხვა სახის საქონელს. მასშტაბის ეკონომიის გამო არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია, თვითონ აწარმოოს სრული დიპაზონის სამრეწველო საქონელი; ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას შეუძლია აწარმოოს სამრეწველო საქონელი, მომავალში ისინი აწარმოებენ სხვადასხვა სახის საქონელს. გადამამუშავებელი მრეწველობის მონოპოლიურად კონკურენტული ბუნება მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნის ვაჭრობის სტრუქტურაში.

სამრეწველო საქონლის წარმოება რომ არ ყოფილიყო დიფერენცირებული, როგორი იქნებოდა მაშინ ვაჭრობის სტრუქტურა? იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა არის ჭარბკაპიტალიანი, ხოლო სამრეწველო საქონლის წარმოება კაპიტალიზმის სისტემის, ჩვენ გვექნება შედარებით მეტი სამრეწველო საქონელი, რის გამოც ჩვენი ქვეყანა მოახდენს მის ექსპორტირებას და საკვების იმპორტირებას. სტრუქტურად ეს გამოვსახეთ 6-6 გრაფიკზე. ისრების სიგრძე მიუთითებს ვაჭრობის ღირებულებაზე თითოეული მიმართულებით. გრაფიკი გეჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა აწარმოებს სამრეწველო საქონლის ექსპორტს, რომელიც ტოლი იქნება საკვების იმპორტისა.

გრაფიკი 6-6 მსოფლიო ვაჭრობა ზრდადი ეფექტის გარეშე

მასშტაბის ეკონომიის არქონე მსოფლიოში იარსებებს გადაამაშეშეებელი მრეწველობის ნაწარმის გადაცემა საკვებზე.




თუ დაეუშვებთ, რომ სამრეწველო საქონლის წარმოება არის მონოპოლიურად კონკურენტული სექტორი (თითოეული ფირმის ნაწარმი განსხვავდება მეორის ნაწარმისაგან), ჩვენი ქვეყანა იქნება სამრეწველო საქონლის წმინდა ექსპორტიორი და საკვების იმპორტიორი. უცხოეთის ფირმები ამავე სექტორში უშვებენ საქონელს, რომელიც განსხვავდება ჩვენი ქვეყნის ფირმების საქონლისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მომხმარებელი ამჯობინებს უცხოეთის საქონელს, ჩვენი ქვეყანა მიმართავს როგორც ექსპორტს, ასევე იმპორტს სამრეწველო საქონლის წარმოების შიგნით. სამრეწველო საქონლის მონოპოლიური კონკურენციის პირობებში ვაჭრობის სტრუქტურას ექნება 6-7 გრაფიკის სახე.

მსოფლიო ვაჭრობის მონოპოლიური კონკურენციის მოდელი შედგება ორი ნაწილისაგან შესაბამისად ორგვარი ვაჭრობისა სამრეწველო საქონლის წარმოების სექტორში. ორ ქვეყანას შორის სამრეწველო საქონლის გაცვლას ეწოდება მრეწველობის შიგნით ვაჭრობა. ხოლო სამრეწველო საქონლის გაცვლას საკვებში – მრეწველობებს შორის ვაჭრობა.

გრაფიკი 6-7 ვაჭრობა ზრდადი ეფექტით და მონოპოლიური კონკურენცია

თუ გადაამაშეშეებელი მრეწველობა მონოპოლისტურად კონკურენტულია, ჩვენი ქვეყანა და უცხოეთი სხვადასხვა საქონელს აწარმოებს. ამიტომ, მაშინაც კი თუ ჩვენი ქვეყანა არის გადაამაშეშეებელი მრეწველობის ნაწარმის წმინდა ექსპორტიორი, გადაამაშეშეებელი მრეწველობის ნაწარმი ის კიდევ შემოიტანს და კიდევ გაიტანს და ამით წარმოშობს შიდა სამრეწველო ვაჭრობას.



ვაჭრობის სტრუქტურა 4 საპირობად შეიქმნება ჩამოყალიბდეს:

1. მრეწველობებს შორის ვაჭრობა (სამრეწველო საქონლის გაცემა საკვებში) ასახავს ფარდობითი უპირატესობას. ამგვარი ვაჭრობის სტრუქტურა სახეზეა, როცა ჩვენი ჭარბკაპიტალიანი ქვეყანა არის კაპიტალიზმის სისტემის სამრეწველო საქონლის წმინდა ექსპორტიორი და შრომაინტენსიური საკვების იმპორტიორი. ასე რომ, ფარდობითი უპირატესობა კვლავ რჩება მთავარ საკითხად ვაჭრობაში.
2. მრეწველობის შიგნით ვაჭრობა (სამრეწველო საქონლის გაცემა სამრეწველო საქონელში) არ ასახავს ფარდობითი უპირატესობას. მაშინაც კი, თუ ქვეყნებს აქვთ ერთნაირი შეფარდება კაპიტალისა შრომასთან, მათი ფირმები კვლავ გააგრძელებენ დიფერენცირებული პროდუქტის წარმოებას და მომხმარებელთა მოთხოვნა საზღვარგარეთ წარმოებულ პროდუქტზე ხელს შეუწყობს მრეწველობის შიგნით ვაჭრობას. მასშტაბის ეკონომიის გამო თითოეული ქვეყანა არ აწარმოებს სრული დიპლომის პროდუქტებს თავისთვის; ასე რომ, მასშტაბის ეკონომია არის საერთაშორისო ვაჭრობის დამოუკიდებელი წყარო.
3. თვითონ მრეწველობის შიგნით ვაჭრობის სტრუქტურა წინასწარ არ განისაზღვრება. მოდელი არაფერს ამბობს, თუ რომელი ქვეყანა რას აწარმოებს სამრეწველო საქონლის სექტორის შიგნით. რადგანაც ისტორია, ზოგჯერ შემთხვევად განსაზღვრავს დეტალებს ვაჭრობის სტრუქტურაში; ამ უკანასკნელის გაუთვალისწინებელი კომპონენტი არის მსოფლიოსათვის დამახასიათებელი, აუცილებელი ნიშან-თვისება, სადაც მასშტაბის ეკონომია მნიშვნელოვანია. რადგანაც მრეწველობის შიგნით ვაჭრობის სტრუქტურა სამრეწველო საქონლის სექტორში პირობითია, მრეწველობებს შორის ვაჭრობის სტრუქტურა (გაცემა სამრეწველო საქონლისა საკვებზე) განისაზღვრება ქვეყნებს შორის განსხვავებით.
4. მრეწველობის შიგნით და მრეწველობებს შორის ვაჭრობის შესაძარი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მსგავსნი არიან ქვეყნები. თუ ჩვენი ქვეყანა და უცხოეთი ერთნაირნი არიან კაპიტალის შეფარდებით შრომასთან, მაშინ ნაკლები იქნება მრეწველობებს შორის ვაჭრობა, ხოლო მრეწველობებს შიგნით ვაჭრობა, რომელიც ემყარება მასშტაბის ეკონომიას, უფრო დიდი აღმოჩნდება. მეორე მხრივ,

თუ კაპიტალ-შრომის შეფარდება აღნიშნულ ქვეყნებს შორის ძალიან განსხვავდება (მაგალითად, უცხოეთი სპეციალდება სრულად საკუების წარმოებაში), ადგილი არ ექნება მასშტაბის ეკონომიკას დაფუძნებულ მრეწველობის შიგნით ვაჭრობას. მთელი ვაჭრობა დაემყარება ფარდობითი უპირატესობას.

მრეწველობათაშორისი ვაჭრობის მნიშვნელობა

მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით ერთი მეოთხედი მოიცავს მრეწველობებს შორის ვაჭრობას, რაც განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს მოწინავე ქვეყნებს შორის სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში, რაც მოელი მსოფლიოს ვაჭრობის დიდ ნაწილს შეადგენს. განვითარებული ქვეყნები კვალიფიციური მუშახელისა და კაპიტალის ხელმისაწვდომობის მიხედვით დროთა განმავლობაში ტექნოლოგიებისა და რესურსების ერთნაირი დონის ქვეყნებად გადაიქცნენ, რის გამოც ხშირად აღარ გვხვდება ფარდობითი უპირატესობა მრეწველობის შიგნით და საერთაშორისო ვაჭრობის დიდი ნაწილი იღებს მრეწველობებს შორის უფრო ორგანიზაციულ ვაჭრობის, ვიდრე მრეწველობათა შორის სპეციალიზაციის ფორმას.

6-3 ცხრილი გვიჩვენებს მრეწველობის შიგნით ვაჭრობის მნიშვნელობის მაჩვენებლებს აშშ-ს სამრეწველო საქონლის მწარმოებელთათვის 1993 წელს. ეს მაჩვენებლები მერყეობს 0.99-დან არაორგანული ქიმიკატებისათვის (რომლის ექსპორტი და იმპორტი თითქმის ერთნაირია) 0.00-მდე ფეხსაცმლისათვის (სახეზეა დიდი იმპორტი და თითქმის არ არის ექსპორტი). მაჩვენებელი იქნება 0-ის ტოლი ისეთი მრეწველობისათვის, სადაც აშშ იყო მხოლოდ ექსპორტიორი, ან მხოლოდ იმპორტიორი და არა ორივე ერთად.

6-3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბევრ მრეწველობაში ვაჭრობის დიდი წილი მოდის უფრო მრეწველობის შიგნით, ვიდრე მრეწველობებს შორის ვაჭრობებზე. მრეწველობები განლაგებული არიან თავიანთი შედარებითი მნიშვნელობის მიხედვით. ისინი, ვისაც აქვს უფრო მაღალი მრეწველობის შიგნით ვაჭრობა არიან პირველნი და აწარმოებენ ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებს, როგორიცაა ქიმიკატები, ფარმაცევტული პროდუქცია და გენერატორები. ამ საქონლის ექსპორტირება ხდება ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან და ექვემდებარება მნიშვნელოვან მასშტაბის ეკონომიკას წარმოებაში. მასშტაბის მეორე მხარეს მცირე მრეწველობის შიგნით ვაჭრობის მქონე მრეწველობები უშეგებენ შრომაინტენსიურ პროდუქტებს, როგორიცაა ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. ეს საქონელი აშშ-ს შემოაქვს ძირითადად ნაკლებგანვითარებული ქვეყნებიდან, სადაც ადგილი აქვს ფარდობითი უპირატესობას და ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მთავარი განმსაზღვრელია.

ცხრილი 6-3 მრეწველობის შიგნით ვაჭრობის ინდექსი აშშ-ს მრეწველობებისათვის 1993 წელს.

არაორგანული ქიმიკატები	0.99
ენერგო-გენერირების დანადგარები	0.97
ელექტრო დანადგარები	0.96
ორგანული ქიმიკატები	0.91
სამედიცინო და ფარმაცევტული ნაწარმი	0.86
საოფისე მოწყობილობა	0.81
სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა	0.69
საგზაო ტრანსპორტი	0.65
რკინა და ფოლადი	0.43
ქსოვილი და ტანსაცმელი	0.27
ფეხსაცმელი	0.20

რატომ აქვს მრეწველობათაშორისი ვაჭრობას მნიშვნელობა

6-3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში უფრო დიდი ნაწილი უკავია მრეწველობებს შიგნით ვაჭრობას, ვიდრე მრეწველობებს შორის ვაჭრობას. დავამტკიცოთ, ცვლის თუ არა მრეწველობის შიგნით ვაჭრობის მნიშვნელობა ჩვენს დასკვნებს:

პირველი, მრეწველობის შიგნით ვაჭრობა დამატებით მოგებას ქმნის საერთაშორისო ვაჭრობიდან, რადგან იგი საშუალებას აძლევს ქვეყნებს, სარგებლობა ნახონ დიდი ბაზრებიდან. როგორც ვნახეთ, მრეწველობის შიგნით მოვაჭრე ქვეყანას შეუძლია ერთდროულად შეამციროს თავისი საქონლის რაოდენობა და გაზარდოს ადგილობრივი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი პროდუქციის მრავალფეროვნება. შეზღუდული სახის საქონლის წარმოების პირობებში ქვეყანას შეუძლია თითოეული ეს სახეობა აწარმოოს უფრო დიდი მასშტაბით, მაღალი მწარმოებლურობით და დაბალი ხარჯებით. იმავდროულად, მომხმარებელი იღებს არჩევანის გაზრდილი ღირებულებას. ინტეგრირებული ბაზრიდან მოგების ციფრული მაგალითის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მომხმარებელმა აღმოაჩინა, რომ მრეწველობის შიგნით ვაჭრობამ გააფართოვა მისი არჩევანის არე მანქანის 6 მოდელიდან 10-მდე, რამაც გამოიწვია ფასის დაკლება 10 000-დან 8 000 დოლარამდე.

ვაჭრობიდან მიღებული მოგების განაწილების ანალიზის განხილვის დროს (3 და 4 თავები) პესიმისტურად ვიყავით განწყობილი იმ პერსპექტივის მიმართ, რომ ყველა მოიგებს ვაჭრობიდან, რადგან საერთაშორისო ვაჭრობა ზრდის ყველას შემოსავალს. ადრე განხილული მოდელების მიხედვით, ვაჭრობა იწვევს შესაძარ ფასებში ცვლილებებს, რაც თავის მხრივ გააღებინებს ახლებს შემოსავლის განაწილებაზე.

მრეწველობის შიგნით ვაჭრობა მაშინ იძლევა მოგებას, (1) როცა ქვეყნებს აქვთ ერთნაირი შესაძარ ფაქტორების მარაგი, და მრეწველობებს შორის ვაჭრობის არე მცირეა. და (2) როცა მასშტაბური ეკონომიები და პროდუქტის დიფერენციაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ე.ი. გაზრდილი მასშტაბიდან მოგება და არჩევანი დიდია. ასეთ ვითარებაში ვაჭრობიდან შემოსავლის განაწილების ეფექტი შემცირდება და ადგილი ექნება საგრძობ დამატებით მოგებას მრეწველობის შიგნით ვაჭრობიდან. შედეგი იქნება ის რომ, მიუხედავად შემოსავლის განაწილებაზე ვაჭრობის ეფექტისა, ვაჭრობიდან ყველა მოიგებს.

როდის მოხდება ეს? მრეწველობის შიგნით ვაჭრობა გაერცვლებულია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთმანეთს კვიანან თავიანთი კაპიტალის შეფარდებით შრომასთან, კვალიფიკაციის დონეებით და ა.შ. ასე რომ, მრეწველობის შიგნით ვაჭრობა მთავარი იქნება იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც აქვთ ერთნაირი ეკონომიკური განვითარების დონეები. მოგებაც დიდი იქნება, რაკი მასშტაბის ეკონომია ძლიერია და პროდუქტები მკვეთრად დიფერენცირებული. ეს ახასიათებს უფრო სამრეწველო საქონელს, ვიდრე ნედლეულს, ან ტრადიციულ სექტორს (როგორცაა საფუქრო და ტანსაცმლის). ვაჭრობას სერიოზული შემოსავლის განაწილების ეფექტის გარეშე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სამრეწველო საქონლის ვაჭრობის პირობებში განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის.

ეს დასკვნა ომის შემდგომი გამოცდილების შედეგია; კერძოდ, დასავლეთ ევროპაში 1957 წელს კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობამ შექმნა თავისუფალი ვაჭრობის ზონა სამრეწველო საქონლისათვის, საერთო ბაზარი, ანუ ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (დიდი ბრიტანეთი ამ კავშირს მოგვიანებით, 1973 წელს, შეუერთდა). შედეგად ვაჭრობამ სწრაფი ტემპით იწყო ზრდა: თითო ამ კავშირის შიგნით ორჯერ გაიზარდა. ზოგს ეგონა, რომ მისი ასეთი წარმატება პოლიტიკურ პრობლემებს გამოიწვევდა. ეს ზრდა ძირითადად ხდებოდა მრეწველობის შიგნით და არა მრეწველობებს შორის; ადგილი არ ჰქონდა გადამწვეტ ეკონომიკურ დისლოკაციებს. მოხდა ისე, რომ საფრანგეთის ელექტრული მანქანების მრეწველობის მუშები დაზარალდნენ, მაშინ, როცა მათმა გერმანელმა კოლეგებმა მოიგეს ინტეგრირებული ევროპის მრეწველობის გაზრდილი ეფექტურობიდან.

მრეწველობის შიგნით ვაჭრობას, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი და მისაღები მხარეები აქვს. კარგია ის, რომ ზოგიერთ გარემოებაში ვაჭრობა შედარებით ადვილად მიმდინარეობს და მისი პოლიტიკური მხარდაჭერა უფრო იოლია. მიუღებელია ის, რომ ვაჭრობა ძალიან განსხვავებულ ქვეყნებს შორის, სადაც მასშტაბის ეკონომია და წარმოების დიფერენციაცია უმნიშვნელოა, წარმოშობს პოლიტიკურ პრობლემებს. ფაქტობრივად ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რაც დამახასიათებელი იყო 1950-1980 წლებისათვის, ძირითადად თავს იყრიდა ვაჭრობაში წამყვან ქვეყნებს შორის.

საპითის შესავლისათვის

მრეწველობის შიგნით ვაჭრობა: ჩრდილოეთ ამერიკის 1964 წლის ავტო-კაპტი

საერთაშორისო ვაჭრობაში მასშტაბის ეკონომიის როლის მაგალითია მანქანებით ვაჭრობის ზრდა აშშ-სა და კანადას შორის 1960-იანი წლების მეორე ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევა ზუსტად არ ეხება ჩვენს მოდელს, მაინც გვიჩვენებს, რომ ჩვენი მთავარი კონცეფციები გამოსადეგია რეალური მსოფლიოსათვის.

1965 წლამდე კანადისა და აშშ-ს მიერ ტარიფებით შიდა ბაზრის დაცვამ წარმოშვა კანადის ავტომრეწველობა, რომელიც დიდ იმპორტირება – ექსპორტირებას არ მისდევდა. იგი კონტროლდებოდა იმავე ფირმების მიერ, რომელთაც აშშ-ს მრეწველობა; ამ ფირმებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ ცალკე წარმოების სისტემა, რაც უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე ტარიფების გადახდა. ასე რომ, კანადის მრეწველობა იქცა აშშ-ს მრეწველობის ყველაზე მინიატურულ ვერსიად, მისი მასშტაბის ერთ მეათედად.

აშშ-ს ფირმების კანადურმა ფილიალებმა დაინახეს, რომ წარმოებების პატარა მასშტაბი (კანადის ქარხნები გაცილებით პატარა იყო) არ იყო მომგებიანი. უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ აშშ ქარხნები აწარმოებდნენ ერთ მოდელს ან ნაწილებს, კანადურ ქარხნებს კი უხდებოდათ რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოება, რის გამოც ქარხნები პერიოდულად იხურებოდა, რათა ერთი საქონლიდან მეორის წარმოებაზე გადასულიყვნენ. კანადის ავტომრეწველობის შრომის მწარმოებლურობა 30%-ით ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ში.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად 1964 წელს აშშ და კანადა შეთანხმდნენ, შემოელოთ მანქანებით ვაჭრობის თავისუფალი სივრცე. ამან საშუალება მისცა ავტოკომპანიებს, რეორგანიზაცია მოეხდინათ თავიანთ საწარმოებში. კანადურმა ფილიალებმა სწრაფად შეამცირეს ადგილობრივ დამსაღებელი პროდუქტის ოდენობა. მაგალითად, „ჯენერალ-მოტორსმა“ გაანახვერა კანადაში აწეობილი მოდელების რიცხვი.

კანადური საქონლის წარმოებისა და დასაქმების დონის შენარჩუნება მაინც მოხერხდა იმით, რომ აშშ-დან ხდებოდა იმ პროდუქტის იმპორტირება, რასაც კანადა აღარ აწარმოებდა, და იმ საქონლის ექსპორტირება, რომლის გამოშვებასაც კანადა აკრძალავდა. 1962 წელს კანადის ავტომანქანების ექსპორტი აშშ-ში შეფასდა 16 მილიონ დოლარად და 519 მილიონ დოლარად იმპორტი. 1968 წლისათვის ეს რიცხვი იყო 2.4 და 2.9 მილიარდი დოლარი შესაბამისად. ე.ი. ექსპორტიცა და იმპორტიც ძალიან გაიზარდა.

მოგება მნიშვნელოვანი იყო. 1970-იან წლების დასაწყისისათვის მწარმოებლების თვალსაზრისით კანადის მრეწველობამ აშშ-ს მრეწველობის შესადარ დონეს მიაღწია.

დემინგი

მონოპოლიური კონკურენციის მოდელი გვეხმარება, გავიგოთ ზრდადი ეფექტი როგორ უწყობს ხელს საერთაშორისო ვაჭრობას. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეს მოდელი ვარაუდობს ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა ფირმები არასრულყოფილად კონკურენტულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მოდელის მიხედვით, არასრულყოფილი კონკურენცია მასშტაბის ეკონომიის აუცილებელი შედეგია, მონოპოლისტური კონკურენციის ანალიზი ყურადღებას მაინც არ ამახვილებს თვით არასრულყოფილი კონკურენციის შესაძლო შედეგებზე საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

სინამდვილეში არასრულყოფილ კონკურენციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საერთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არ არის აუცილებელი, ფირმებმა ერთნაირად შეცვალონ ფასები საექსპორტო და ადგილობრივი მყიდველისათვის განკუთვნილ საქონელზე.

დემინგის ეკონომიკა

არასრულყოფილ კონკურენტულ ბაზარზე ფირმები ხანდახან ცვლიან ფასს ექსპორტირებულ საქონელზე, ასევე აწესებენ სხვა ფასს, როდესაც იგივე საქონელი ადგილობრივ იყიდება. ზოგადად სხვადასხვა მომხმარებლისათვის განსხვავებული ფასების დაწესებას ეწოდება **ფასის დისკრიმინაცია**. საერთაშორისო ვაჭრობაში ფასის დისკრიმინაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **დემინგი** – ფასის დაწესების პრაქტიკა, როდესაც ფირმა ადებს უფრო დაბალ ფასს საექსპორტო საქონელს, ვიდრე შიდა გაყიდვისათვის განკუთვნილ პროდუქციას. დემინგი საკმაოდ საკითხია სავაჭრო პოლიტიკაში და სპეციალურ წესებსა და ჯარიმებს ექვემდებარება. დემინგთან დაკავშირებულ საკითხებს მე-9 თავში განვიხილავთ. ახლა კი წარმოგიდგენთ დემინგის ფენომენის ძირითად ეკონომიკურ ანლიზს.

დემინგი შესაძლებელია მხოლოდ ორი გარემოების დამთხვევის შემთხვევაში. პირველი, მრეწველობა უნდა იყოს არასრულყოფილად კონკურენტული ანუ ფირმები უფრო ადგენენ ფასებს, ვიდრე იღებენ ბაზარში მოქმედ ფასებს. მეორე, ფასები უნდა დაიყოს **სეგმენტებად**, რის გამოც ადგილობრივი მცხოვრებლები ადვილად ვერ შეძლებენ, იყიდონ ექსპორტისათვის გამოწვრილი საქონელი. ასეთ პირობებში მონოპოლისტური ფირმა აღმოაჩენს, რომ მისთვის მომგებიანია ჩაერთოს დემინგში.


მაგალითი გვინებებს, როგორ შეიძლება იყოს დემინგი მაქსიმალური მოგების მომტანი. წარმოიდგინეთ ფირმა, რომელიც ყიდის 1 000 ერთეულ საქონელს შინ და 100 ერთეულს სასაღვარჯარეთ: ერთ ერთეულს 20 დოლარად შინ და 15 დოლარად სასაღვარჯარეთ. ფირმა ადგენს, რომ დამატებითი შიდა რეალიზაცია უფრო მომგებიანია, ვიდრე დამატებითი ექსპორტი.

დაუშვათ, რეალიზაციის გაფართოება ერთი ერთეულით რომელიმე ბაზარზე მოითხოვს 0.01 დოლარით ფასდაკლებას. ადგილობრივი ფასის ერთი პენით შემცირება გაზრდის რეალიზაციას ერთი ერთეულით – შემოსავალს პირდაპირ დაამატებს 19.99 დოლარს, მაგრამ შეამცირებს ფულად შემოსავლებს 1 000 ერთეულით (საქონელი, რომელიც უნდა გაყიდულიყო 20 დოლარად – 10 დოლარით ნაკლებად გაიყიდება). ასე რომ, ზღვრული შემოსავალი, რომელიც მიიღება დამატებითი ერთეულიდან, არის მხოლოდ 9.99 დოლარი. მეორე მხრივ, უცხოელი მომხმარებლისათვის ფასის შემცირება და ექსპორტის ერთი ერთეულით გაზრდა პირდაპირ გააადვილებს შემოსავალს მხოლოდ 14.99 დოლარით. 100 ერთეულზე შემცირებული ფულადი შემოსავლების არაპირდაპირი ხარჯი, რომელიც მიიღებოდა საწყის ფასად, გაყიდული საქონლიდან იქნება მხოლოდ 1 დოლარი; ასე რომ, ზღვრული შემოსავალი ექსპორტის რეალიზაციიდან იქნება 13.99 დოლარი. ასეთ შემთხვევაში

შეიძლება მომგებიანი იყოს, თუ გაეფართოვებთ უფრო ექსპორტს, ვიდრე ადგილობრივ რეალიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ ფასი ექსპორტზე უფრო დაბალია.

ეს მაგალითი შეიძლება საწინააღმდეგო იყოს, თუ იქნება (უცხოურთან შედარებით) ადგილობრივი რეალიზაციის შემცირების სტიმული. ფასის დისკრიმინაცია ექსპორტის სასარგებლოდ უფრო გაერცყლებულია. რადგან საერთაშორისო ბაზრები არასრულყოფილად ინტეგრირებულია სატრანსპორტო ხარჯებისა და ვაჭრობის პროტექციონისტული ბარიერების გამო, ადგილობრივ ფირმებს აქვთ შიდა ბაზრების უფრო მეტი წილი, ვიდრე უცხოური ბაზრებისა. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ მათ მიერ ფასის დაწესება უცხოურ რეალიზაციაზე მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ადგილობრივზე. ფირმას, რომელსაც აქვს 20% ბაზრის წილი, ისე არ სჭირდება ფასის შემცირება, რომ გაიორმაგოს რეალიზაცია; იმ ფირმას, რომელიც ფლობს 80% წილს. ე.ი. ფირმებს პგონიათ, რომ აქვთ ნაკლები მონოპოლიური ძალაუფლება და მეტი სტიმული, რომ შენარჩუნონ უფრო დაბალი ფასები ექსპორტზე. ვიდრე ადგილობრივ რეალიზაციაზე.

გრაფიკი 6-8. დემინგის დიაგრამა



6-8 გრაფიკი გეთავაზობს დემინგის დიაგრამას. იგი გვიჩვენებს მრეწველობას, სადაც არის ერთი მონოპოლისტიური ადგილობრივი ფირმა, რომელიც პროდუქციას ყიდის ორ ბაზარზე: ადგილობრივ ბაზარზე. სადაც მას აქვს მოთხოვნის D_{DOM} მრუდი, და ექსპორტის ბაზარზე. ექსპორტის ბაზარზე, ევარაუდობთ, რომ რეალიზაცია ძლიერ რეაგირებს ფირმის მიერ დაწესებულ ფასებზე და უშეუბნებს, რომ ფირმას შეუძლია გაყიდოს იმდენი, რამდენიც უნდა P_{FOR} ფასად. პორიზონტალური ხაზი P_{FOR} არის რეალიზაციის მოთხოვნის მრუდი უცხოურ ბაზარზე. ჩვენი ვარაუდით, ბაზრები დაყოფილია ისე, რომ ფირმებს შეუძლიათ მაღალი ფასის დაწესება ადგილობრივ ბაზარზე გასაყიდ საქონელზე, ვიდრე ექსპორტისათვის განკუთვნილ პროდუქციაზე. MC არის იმ მთლიანი გამოშვების ზღვრული ხარჯის მრუდი, რომელიც გაიყიდება ორივე ბაზარზე.

მოგების მაქსიმიზაციისთვის გასაზრდელად ფირმამ უნდა დააწესოს ზღვრული შემოსავალი, რომელიც უდრის ზღვრულ დანახარჯს თითოეულ ბაზარზე. ზღვრული შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციის დროს განისაზღვრება MR_{DOM} მრუდით, რომელიც მდებარეობს D_{DOM} მრუდის ქვემოთ. ექსპორტების რეალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც P_{FOR} ფასი შედარებულია. ასე რომ, ზღვრული შემოსავალი დამატებით საექსპორტო ერთეულზე არის P_{FOR} იმისათვის, რომ ზღვრული დანახარჯი უდრიდეს ზღვრულ შემოსავალს, აუცილებელია, ორივე ბაზარზე იწარმოებოდეს $Q_{MONOPOLY}$ რაოდენობა, Q_{DOM} -ის გასაყიდად ადგილობრივ ბაზარზე. $Q_{MONOPOLY} - Q_{DOM}$ საექსპორტოდ. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ერთეულის წარმოების ხარჯი უდრის P_{FOR} -ს - ექსპორტიდან ზღვრულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ უდრის ადგილობრივი რეალიზაციის ზღვრულ შემოსავალს.

Q_{DOM} რაოდენობის მოთხოვნა მოხდება ადგილობრივ P_{DOM} ფასად, რაც ექსპორტის P_{FOR} ფასზე მაღალია. ასე რომ, ფირმა, მართლაც, დემინგურია - სხვაგან ყიდის უფრო იაფად, ვიდრე შინ.

როგორც ციფრულ მაგალითში, ასევე 6-8 გრაფიკში მოცემულია მიზეზი, რის გამოც ფირმა ირჩევს პრაქტიკაში დემინგის გამოყენებას. ნახევრებია განსხვავება ფასების მიმართ რეალიზაციის მგრძობიანობაში ექსპორტში და ადგილობრივ ბაზრებზე. 6-8 გრაფიკში ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ფირმას შეუძლია გაზარდოს ექსპორტი მისი ფასების შემცირების გარეშე. ასე რომ, ზღვრული შემოსავალი და ფასი ერთმანეთს დაემთხვევა ექსპორტის ბაზარზე. ადგილობრივად კი პირიქით, გაზრდილი რეალიზაცია ამცირებს ფასს. ეს არის ფასის დისკრიმინაციის სოგადი პირობის უკიდურესი მაგალითი, რომელიც წარმოადგენს მიკროეკონომიკის კურსში: ფირმები ახდენენ ფასების დისკრიმინაციას, როცა რეალიზაცია მგრძობიანარეა ფასის მიმართ უფრო ერთ, ვიდრე მეორე ბაზარზე.

დემინგი განიხილება როგორც არასამართლიანი პრაქტიკა საერთაშორისო ვაჭრობაში. დემინგის ეკონომიკური გამართლება არ შეიძლება. აშშ-ის ბაზარზე საეკონომიკური კანონით უკრძალავს უცხოურ ფირმებს დემინგის პრაქტიკაში გატარებას და ავტომატურად აწესებს ტარიფებს, თუკი ასეთ ფაქტს ექნება ადგილი. 6-8 გრაფიკზე წარმოდგენილი სიტუაცია არის იმ გარემოების უკიდურესი ვერსია, როცა ფირმებს ურსუნიანთ გაყიდონ საექსპორტო პროდუქცია უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე.

ორმხრივი დემინგი

დემინგის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფასის დისკრიმინაციამ შეიძლება რეალურად გაზარდოს საერთაშორისო ვაჭრობა. ვთქვათ, არის ორი მონოპოლია: ნუენი ქვეყანა და უცხოეთი. ორივე აწარმოებს ერთსა და იმავე საქონელს, ანალიზის გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ ამ ორ ფირმას აქვს ერთნაირი 'ხდურული დანახარჯი, და რომ ორ ბაზარს შორის ტრანსპორტირებას ერთნაირი ხარჯები ახასიათებს. ასე რომ, თუ ფირმები დააწესებენ ერთნაირ ფასებს, ვაჭრობა არ შედგება. ვაჭრობის არარსებობის პირობებში თითოეული ფირმის მონოპოლია კონკურსგარეშეა.

დემინგის დაშვებით, შეიძლება შედგეს ვაჭრობა. თითოეული ფირმა 'შესვლავს' შიდა ბაზარზე გასაყიდი საქონლის რაოდენობას, რადგან მას შეეჩვეული ექნება, რომ მეტის გაყიდვა შეამცირებს ადგილზე რეალიზაციის ადგილობრივ ფასებს. თუ ფირმას შეუძლია გაყიდოს ცოტა მაინც სხვა ბაზარზე, ის გაზრდის თავის მოგებას მაშინაც კი, თუ ფასი ადგილობრივ ფასზე ნაკლები იქნება; ამ შემთხვევაში არსებული რეალიზაციის ფასები უარყოფით გაელენას მოახდენენ მეორე ფირმაზე და არა პირველზე. ე.ი., თითოეულ ფირმას ექნება სტიმული, გაყიდოს ცოტა საქონელი იმ ფასად, რომელიც შიდა ბაზრის ფასზე ნაკლებია, მაგრამ 'ხდურულ დანახარჯზე მეტია.

თუ ორივე ფირმა ამას გააკეთებს, დაიწყება ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში არ ჩანდა სხვაობა ორი ბაზრის საქონლის ფასებს შორის და რომ არსებობდა ტრანსპორტის ხარჯები. ე.ი. ადგილი ექნება ერთი და იმავე საქონლით ორგვარ ვაჭრობას. მაგალითად, *A* ქვეყნიდან ცემენტი გადააქვთ *B* ქვეყანაში მაშინ, როცა ამ უკანასკნელიდან იგივე პროდუქცია მიაქვთ *A*-ში. მდგომარეობას, როცა დემინგი იწვევს ერთი და იმავე საქონლის ორმხრივ ვაჭრობას, **ორმხრივი დემინგი** ეწოდება.

შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობაში იშვიათია ქვეყნებს შორის ზუსტად ერთნაირი საქონლის გაყიდვა ერთმანეთის მიმართულებით ერთდროულად. მიუხედავად ამისა, ორმხრივი დემინგი იწვევს იმ საქონლის სახეობათა ურთიერთვაჭრობის მოცულობის გაზრდას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მთლად იდენტურნი არ არიან.

არის თუ არა ასეთი თითქოს უმიზნო ვაჭრობა სასურველი? პასუხი ორპიროვანია. ერთი და იმავე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვა ხარჯიანია ტრანსპორტირების სიძვირის გამო. მიუხედავად ამისა, ორმხრივი დემინგი აუქმებს პირველადს წმინდა მონოპოლიას და იწვევს კონკურენციას, რომლის სრულ მოგების მატებას იწვევს და ანაზღაურებს ტრანსპორტირების ხარჯებს. ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ასეთი ვაჭრობის გაელენის წმინდა შედეგები საეჭვოა.

გარე ეფექტებით განპირობებული ეკონომიკის თეორია

ვაჭრობის მონოპოლიური კონკურენციის მოსაღელში დაშვებულა, რომ მასშტაბის ეკონომია, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის სრულს, ფუნქციონირებს ინდივიდუალური ფირმების დონეზე. ე.ი. რაც მეტია რომელიმე ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქცია, მით ნაკლებია მისი საშუალო დანახარჯი. ასეთი მასშტაბის ეკონომიის გარდუვალი შედეგი აღნიშნულ დონეზე არის არასრულყოფილი კონკურენცია, რომელიც თავის მხრივ გზას აძლევს დემინგს.

როგორც ამ თავში ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მასშტაბის ეკონომია არ გამოიყენება ინდივიდუალური ფირმის დონეზე. სხვადასხვა მიზეზის გამო ერთ ან რამდენიმე ადგილას სამრეწველო პროდუქციის კონცენტრაცია ამცირებს მრეწველობის დანახარჯს მაშინაც კი, თუ მასში შემავალი ინდივიდუალური ფირმების რაოდენობა მცირე იქნება. მასშტაბის ეკონომიის თუ ადგილი აქვს უფრო მრეწველობის, ვიდრე ინდივიდუალური ფირმის დონეზე, ეწოდება **გარე ეფექტებით განპირობებული ეკონომია**. ამ უკანასკნელის ანალიზს მე-19 საუკუნეში გადაეყვანათ, ინგლისელ ეკონომისტთან – ალფრედ მარშალთან, რომელიც გატაცებული იყო „სამრეწველო რაიონების“ ფენომენით – მრეწველობის გეოგრაფიული კონცენტრაციით, რაც ადვილად ვერ აიხსნებოდა ბუნებრივი რესურსების თავმოყრის საფუძველზე. მარშალის დროს ყველაზე ცნობილი მაგალითი გულისხმობდა მრეწველობათა ისეთ კონცენტრაციას, როგორიც იყო დანების წარმოება შეფილდში და ტრიკოტაჟის ფირმები ნორთემპტონში. თანამედროვე მრეწველობიდან, სადაც ადგილი აქვს ძლიერ გარე ეფექტებით განპირობებულ ეკონომიკას, მაგალითებად შეიძლება დაყვასახელათ ნახეარგამტარების მრეწველობა, რომელიც თავმოყრილია კალიფორნიაში, სილიკონის ველზე; ნიუ-იორკში საინვესტიციო-საბანკო მრეწველობა; პოლიეთილენი გასართობი მრეწველობა. . .

მარშალი ამტკიცებდა, რომ ინდივიდუალური ისოლირებულ ფირმასთან შედარებით, ფირმების კონცენტრაციის

შესაძლო ეფექტურობას განაპირობებდა სამი მიზეზი: კონცენტრაციის უნარი, მხარი დაუჭიროს *სპეციალიზებულ მიმწოდებელს*; გეოგრაფიულად კონცენტრირებული მრეწველობის უნარი *შრომის ბაზრის გაერთიანებისა* და მისივე უნარი ხელი შეუწყოს *ცოდნის გადაღივებას*. იგივე ფაქტორები დღესაც არსებობს.

სპეციალიზებული მიმწოდებელი

მრეწველობის მრავალ დარგში საქონლის წარმოება და მომსახურება მოითხოვს სპეციალურ აღჭურვილობას ან დამხმარე მომსახურება, ინდივიდუალური კომპანიები ვერ უსრუენველყოფენ მომსახურებისათვის ისეთ დიდ ბაზარს, რომელიც მიმწოდებელს ბიზნესში შეინარჩუნებს ადგილს. მრეწველობის ერთ ადგილზე კონცენტრაციას კი შეუძლია გადაჭრას ეს პრობლემა. ბევრი ფირმის ერთად თავმოყრა უსრუენველყოფს იმდენად დიდ ბაზარს, რომ იგი მხარს დაუჭერს სპეციალიზებული პროდუქციის ფართო დიაპაზონს. ეს ფენომენი ნაჩვენებია სილიკონის ველის მაგალითით: ბოლოდროინდელი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ როცა ადგილობრივი მრეწველობა გაიზარდა, „ინჟინრებმა დატოვეს ნახეუარგამტარების კომპანიები, რათა დაეარსებინათ ფირმები დიფუზური ღუმელების, შაბლონების, სპეციალიზებული ქიმიკატების . . . საწარმოებლად“.

ქვოტების მიხედვით, სილიკონის ველზე სპეციალიზებული მიმწოდებლების მჭიდრო ქსელის ხელმისაწვდომობამ უპირატესობა მიანიჭა მაღალტექნოლოგიურ ფირმებს სხვა ფირმებთან შედარებით. ძირითადი ხარჯები უფრო ნაკლებია, რესურსები ხელმისაწვდომი იმიტომ, რომ ბევრი ფირმა უჯიბრება ერთმანეთს მომარაგებაში. ფირმებს შეუძლიათ კონცენტრირება იქ, სადაც წარმატება უფრო მაგალითად, სილიკონის ველის ზოგიერთმა ფირმამ, რომელიც სპეციალდება კომპიუტერის როული ნაწილების დამზადებაზე განსაზღვრული მომხმარებლისათვის, მაგრამ არა აქვს საამისო სპეციალური ქარხნები, გადაწყვიტა ყურადღება გადაეტანა ამ ნაწილების შექმნაზე და დაექირავებინა სხვა ფირმა მათ რეალურად საწარმოებლად.

კომპანია, რომელიც ეცდება, შეუერთდეს მთლიან მრეწველობას უმაღლ დაკარგავს უპირატესობას, რადგან მას არ ექნება სილიკონის ველის მიმწოდებლებთან ადვილად გაერთიანების შესაძლებლობა, რაკი ვერ შეძლებს პროდუქციით მის მომარაგებას ისე, როგორც ამას მისი დიდი ხნის მიმწოდებლები ახერხებენ.

შრომის ბაზრის გაერთიანება

გარე ფაქტორით განპირობებული ეკონომიკის მეორე წყაროა ის, რომ ფირმების ჯგუფს შეუძლია კვალიფიციური მუშებისათვის შექმნას გაერთიანებული ბაზარი, რაც სასარგებლო იქნება, როგორც მეწარმისათვის, ასევე მუშებისათვის: ამ პროცესს არ ემუქრება სამუშაო ძალის ნაკლებობა და არც მუშებს ემუქრება უმუშევრობა.

ეს საკითხი შეგვიძლია ნათელვყოთ მარტივი მაგალითით. წარმოდგინეთ ორი კომპანია, ვთქვათ ფილმების ორი სტუდია იყენებს ერთნაირ სპეციალიზებულ სამუშაო ძალას – ექსპერტებს – კომპიუტერულ მულტფილმებში. ამ ორიდან არც ერთმა დამქირავებელმა არ იცის, რამდენი მუშა უნდა დაიქირაოს: თუ მოთხოვნა მის პროდუქტზე მაღალია, ორივე კომპანიას ენდომება 150 მუშის დაქირაება, მაგრამ თუ მოთხოვნა დაბალია, მათ დასჭირდებათ 50 მუშის აყვანა. ვთქვათ, სახეზეა ასეთი კვალიფიკაციის 200 მუშა. ახლა შევადაროთ ორი სიტუაცია: პირველი, სადაც არის 200 მუშა ორივე ფირმისათვის ერთსა და იმავე ქალაქში; მეორე, როცა თითოეულ ქალაქში ერთი ფირმა და 100 მუშაა. მუშაც და დამქირავებელიც ემყოფილია, როდესაც ორივე ერთსა და იმავე ადგილზეა.

პირველად, განვიხილოთ სიტუაცია კომპანიების თვალთახედვით. თუ ისინი სხედასხევა ადგილას არიან განთავსებულნი, რაც არ უნდა წარმატება გააჩნდეს ერთ კომპანიას, მას მაინც ექნება სამუშაო ძალის ნაკლებობა; მას დასჭირდება 150 მუშის დაქირაება, მაგრამ ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ 100. თუ ფირმები ერთმანეთთან ახლოს არიან, შესაძლებელია, ერთს აქონდეს წარმატება, მეორეს კი არა, ასე რომ, ისინი დაიქირავებენ იმდენ მუშას, რამდენიც სურთ. ასე რომ, ერთმანეთთან ახლოს მყოფი კომპანიები ზრდიან ალბათობას, რომ მათ საშუალება ექნებათ ისარგებლონ ბიზნესშესაძლებლობებით.

მუშების თვალთახედვით კი მრეწველობის კონცენტრირება უკვე უპირატესობაა. თუ მრეწველობა დანაწილებულია ორ ქალაქს შორის, როცა ერთ ფირმას ექნება მუშა-ხელსე დაბალი მოთხოვნა, შედეგად მივიღებთ უმუშევრობას; ფირმა დაიქირავებს მის ქალაქში მყოფი 100 მუშიდან მხოლოდ 50-ს, მაგრამ თუ მრეწველობა კონცენტრირებულია ერთ ქალაქში, ერთი ფირმის დაბალი მოთხოვნა არასდროს ემყოფება მეორე ფირმის მაღალი მოთხოვნით. ამის შედეგად მუშებს უმუშევრად დარჩენის ნაკლები საშიშროება ემუქრებათ.

ეს უპირატესობები დოკუმენტურად დადასტურდა სილიკონის ველის მაგალითით – კომპანიებს შეუძლიათ სწრაფად გაფართოვდნენ, ხოლო მუშებს – შეიცვალონ დამქირავებელი. სილიკონის ველის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფირმების კონცენტრაცია ერთ ადგილზე მუშებს უადვილებს დამქირავებლის შეცვლას. როცა ინჟინრებს სამუშაოდან ითხოვენ, ეუბნებიან: „ეს არ არის კატასტროფა, დავითხოვენ ერთ ადგილზე პარასკევს, წახვალ მეორე სამუშაოზე ორშაბათს; ისე რომ, არც კია საჭირო, ამის შესახებ უთხრა ცოდს, უბრალოდ ორშაბათს წადი სხვა მიმართულებით“ ამ მოქნილობის გამო სილიკონის ველი იხილავს როგორც კვალიფიციურ მუშას, ასევე მათ დამქირავებელ ფირმებს.

ცოდნის გადამინება

ცნობილია, რომ თანამედროვე ეკონომიკაში ცოდნა ისევე მნიშვნელოვანია როგორც წარმოების ფაქტორები (შრომა, კაპიტალი, ნედლეული). ეს განსაკუთრებით ეხება მაღალგანვითარებულ მრეწველობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ცოდნას, როგორც გადაამწვევებს ნოვატორული წარმოებისათვის. ამ ცოდნას კომპანიები იძენენ სხვადასხვა გზით – ატარებენ გამოკვლევებს და იძენენ ახალ ტექნოლოგიას, სწავლობენ კონკურენტებისაგან დამზადებულ პროდუქციას და სხვ. ტექნიკური ცოდნის მნიშვნელოვანი წყაროა პიროვნულ დონეზე ინფორმაციისა და იდეების არაფორმალური გაცვლა. ცოდნის გაეცელება ხდება უფრო მაშინ, როდესაც მრეწველობა კონცენტრირებულია პატარა ტერიტორიაზე, სხვადასხვა კომპანიის მუშები ერთმანეთს ხედიან და საუბრობენ ხშირად მეტად მნიშვნელოვან ტექნიკურ საკითხებზე.

მარშალმა, როცა იგი წერდა იმ რაიონის შესახებ, სადაც ერთი მრეწველობის ბევრი ფირმა იყო განთავსებული, ეს პროცესიც ასე აღწერა: „ვაჭრობის საიდუმლო ვერ დარჩება საიდუმლოდ კარგი მუშაობა კარგად ფასდება. მანქანების, პროცესებისა და ბიზნესის ორგანიზაციის განვითარებასა და გაუმჯობესებას მოსდევს დაუყოვნებლივი განხილვის აუცილებლობა: თუ ერთ კაცს მოუვა რაიმე აზრი, მას სხვები აიტაცებენ და აჯერებენ მას საკუთარ მოსაზრებებთან, რაც ხდება შემდგომი ახალი იდეების წყარო!“

ჟურნალისტები წერდნენ ცოდნის იმ სიჭარბეზე, რომელიც ვლინდებოდა სილიკონის ველზე შეკრების დროს: „ყოველ წელს ირჩევდნენ რაიმე ადგილს, სადაც ამ საიდუმლო ორგანიზაციის წევრები, ნახევარგამტარების მრეწველობაში მომუშავენი, ერთად სვამდნენ და საუბრობდნენ, თან ერთმანეთს პროფესიულ-ინფორმაციას უზიარებდნენ“. სილიკონის ველზე არსებული კომპანიებისათვის ასეთი სახის შეკრებებიდან არაფორმალური ინფორმაციის დინება უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე სხვა წყაროებიდან. ბევრი მრავალეროვნული ფირმა, კვლევითი ცენტრი და ქარხანაც კი დააარსეს სილიკონის ველზე, რათა ფეხდაფეხ მიჰყოლოდნენ უახლეს ტექნოლოგიას.

გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკები და ზრდადი ეფექტი

გეოგრაფიულად ერთ ადგილზე თავმოყრილ მრეწველობას შეუძლია მხარი დაუჭიროს სპეციალისებზე მიწოდებლებს გაერთიანებული შრომის ბაზრის შექმნით და ჭარბი ცოდნის მიწოდებით. ეს კი სხვადასხვა ადგილას გაფანტული მრეწველობის დროს გაძნელებულია. ქვეყანა მხოლოდ დიდ მრეწველობაში ახერხებს თავი მოუყაროს ბევრ ფირმას. გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის თეორია გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი მეტად ეფექტური და მნიშვნელოვანია იმ ქვეყნისათვის, რომელიც ფლობს დიდი მოცულობის მრეწველობას, ვიდრე ქვეყნისათვის მცირე მოცულობის მრეწველობით სხვა თანაბარ პირობებში. ე.ი. გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკებს შეუძლიათ სტიმული მისცენ მასშტაბის ეფექტების ზრდას *ეროვნული მრეწველობის დონემდე*.

რადგან პრაქტიკულად გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკების დეტალები ხშირად ძალიან კომპლექსურია (როგორც ამას სილიკონის ველის მაგალითი გვიჩვენებს), უმჯობესი იქნება ამ დეტალების მიხედვით ჩვენ წარმოვადგინოთ გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკები უბრალოდ იმის დაშვებით, რომ დიდი მრეწველობის ხარჯები შესაბამისად დაბალია; თუ უარყოფთ კონკურენციის არასრულყოფილებას, ეს ნიშნავს, რომ მრეწველობას ექნება *წინდაქანებული მიწოდების მრუდო*: რაც მეტია მრეწველობის გამოშვება, მით ნაკლებია ფასი, რომლითაც ფირმებს ექნებათ სურვილი გაყიდონ თავიანთი პროდუქცია.

გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა და სავრთაშორისო ვაჭრობა

გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა, მასშტაბის ეკონომიის მსგავსად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სავრთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ თავიანთი შედეგებით. კერძოდ, გარე ფაქტორებით განპირობებულმა ეკონომიკამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის „ჩაკეტვა“, არასასურველი სპეციალიზაცია და იქნებ სავრთაშორისო ვაჭრობით გამოწვეული ზარალიც.

გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა და ვაჭრობის სტრუქტურა


როდესაც ადგილი აქვს გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკას, ქვეყანა, რომელიც ფლობს დიდ საწარმოო მრეწველობას, სხვა თანაბარ პირობებში, ექნება წარმოების დაბალი დანახარჯები კონკრეტულ საქონელზე. და რაკი შეუძლია აწარმოოს საქონელი იაფად, ეცდება გამოუმუშავოს ბევრი პროდუქცია. ძლიერი გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა ამყარებს მრეწველობათაშორის ვაჭრობის არსებულ სტრუქტურას. ქვეყნები, რომლებიც ნებისმიერი მიზეზით იწევენ როგორც დიდი მეწარმენი რომელიმე

მრეწველობაში, რსებთან დიდ მწვარმეებად. ისინი ამ დონეს მაშინაც არ კარგავენ, თუ სხვა ქვეყანა აწარმოებს ამ საქონელს უფრო იაფად.

ამ პროცესს ნათლად გვიჩვენებს 6-9 გრაფიკი, რომელზეც წარმოდგენილია საათის წარმოების დანახარჯი როგორც წლიური პროდუქციის ოდენობის ფუნქცია. მოცემულია ორი ქვეყანა: შეეცარია და ტაილანდი. საათის წარმოების ხარჯი გამოსახულია მრუდებით: $AC_{შეეცარია}$ და $AC_{ტაილ.}$. D წერტილი არის მსოფლიო მოთხოვნა საათზე, რომელსაც დააკმაყოფილებს შეეცარია ან ტაილანდი.

ვთქვათ, მასშტაბის ეკონომია საათის წარმოებაში მთლიანად გარე ფაქტორებითაა განპირობებული. რადგან არ არსებობს მასშტაბის ეკონომია დიდი ფირმების დონეზე, საათის მრეწველობა თითოეულ ქვეყანაში შეიცავს ბევრ პატარა სრულყოფილ კონკურენტულ ფირმას. მათ შორის კონკურენცია საათის ფასს დაწვეს მის საშუალო დანახარჯებამდე.

გრაფიკი 6-9 გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა და სპეციალიზაცია



ტაილანდის საშუალო ღირებულების მრული $AC_{ტაილ.}$ მდებარეობს შეეცარიის საშუალო ღირებულების მრუდის ქვევით $AC_{შეეცარია}$ ამგვარად ტაილანდი მსოფლიო ბაზარს მიაწოდებდა უფრო იაფად, ვიდრე შეეცარია. თუ მრეწველობა პირველად ჩამოყალიბდებოდა შეეცარიაში მას შესაძლებლობა ექნებოდა საათები გაეყიდა P_1 ფასად, რომელიც C_0 ღირებულებაზე ქვემოთაა, და რომლის წინაშეც აღმოჩნდება ტაილანდის ცალკეული ფირმა თუკი იგი საკუთარ წარმოებას წამოიწყებს. ამგვარად, ისტორიულად ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის ნიშანი მაინც აკაეებს ახალ მწარმოებლებს ქონდეთ უფრო დაბალი ხარჯები.

ჩვენ უშვებთ, რომ ტაილანდის დანახარჯის მრული მდებარეობს შეეცარიის მრუდს ქვემოთ, რაკი ტაილანდში ხელფასები უფრო დაბალია, ვიდრე შეეცარიაში. ეს ნიშნავს, რომ წარმოების მოცემული ნებისმიერი დონის დროს ტაილანდი აწარმოებს საათებს უფრო იაფად, ვიდრე შეეცარია. ამის გამო ტაილანდი ხომ არ გახდა მსოფლიო ბაზრის ფაქტიური მიმწოდებელი? სამწუხაროდ, არა. ვთქვათ, ისტორიული მიზეზების გამო შეეცარიაში პირველმა შექმნა საათის მრეწველობა. დასაწყისში საათის მსოფლიო წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილში 6-9 გრაფიკზე; ამ დროს შეეცარული წარმოება იქნება Q ერთეული წელიწადში P ფასად. გავითვალისწინოთ ტაილანდის წარმოების შესაძლებლობაც. თუ იგი დაიპყრობს მსოფლიო ბაზარს, წონასწორობა გადაინაცვლებს (2) წერტილში. თუ არა აქვს ტაილანდს საწყისი წარმოება ($Q = 0$), მაშინ ნებისმიერ აქაურ ფირმას, რომელიც თავიდან იწყებს საათების დამზადებას, ექნება C წარმოების ხარჯი. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ეს დანახარჯი არის იმ ფასზე მეტი, რა ფასადაც უკვე არსებულ შეეცარულ მრეწველობას შეუძლია საათების წარმოება. ამრიგად, ტაილანდს შეუძლია პოტენციურად უფრო იაფი საათების წარმოება, ვიდრე შეეცარიის, მაგრამ რაკი ამ უკანასკნელმა დაიწყო მისი გამოშვება, აბრკოლებს ტაილანდის აღნიშნული პოტენციის გამოვლინებას.

როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ მანქანებელს იმის განსაზღვრაში, თუ ვინ რას აწარმოებს.


გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკით გამოწვეული პაჭრობა და კეთილდღეობა.

გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკაზე დაფუძნებული ვაჭრობა უფრო გაურკვეველ გავლენას ახდენს ქვეყნის კეთილდღეობაზე, ვიდრე მასშტაბის ეკონომიაზე დაფუძნებული ვაჭრობა ფარდობით უპირატესობაზე ან ფირმის დონეზე. კონკურენტულ მრეწველობაში წარმოებათა თავმოყრით მსოფლიო ეკონომიკამ შეიძლება მოიგოს. მეორე მხრივ, არ არსებობს გარანტია, რომ სწორედ ის ქვეყანა იქნება წარმატებული მწარმოებელი, რომელიც დაექმდებარება გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკას და რომ შესაძლებელია ამ ფაქტორებმა ქვეყანას შეუქმნას უფრო ცუდი მდგომარეობა, ვიდრე ეს ექნებოდა ვაჭრობის არარსებობის პირობებში.

მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა რეალურად უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ვაჭრობის შემთხვევაში, ვიდრე მის გარეშე, ნაჩვენებია 6-10 გრაფიკზე. ვთქვათ, ტაილანდიც და შეეცარიაც აწარმოებენ საათებს: ტაილანდი უფრო იაფად, შეეცარია კი პირველი დამწვებია მისი წარმოებისა. $D_{მსოფლ.}$ არის საათებზე მსოფლიო მოთხოვნა და შეეცარიის მიერ საათების მოცემული წარმოების პირობებში წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილზე. ტაილანდის წარმოება არის $D_{ტაილ.}$. საათების წარმოებაში ვაჭრობა რომ არ ყოფილიყო დაშვებული და ტაილანდი აღმოჩნდილიყო მარტო, მისი წონასწორობა იქნებოდა (2) წერტილში.

მისი დაბალი საშუალო დანახარჯის მრუდის გამო ტაილანდში (2) წერტილში დამსაღებელი საათების ფასი იქნება P_2 , რაც რეალურად დაბალია (1) წერტილში შეიცვარის მიერ დამსაღებელი საქონლის P_1 ფასზე.

გრაფიკი 6-10 გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა და ვაჭრობით გამოწვეული დანაკარგები



როცა არსებობს გარე ეკონომიკები, ქვეყანა შეიძლება უფრო ცუდ მდგომარეობაში იყოს, ვიდრე ის იქნებოდა ვაჭრობის არარსებობის პირობებში. ამ მაგალითში ტაილანდის შემთავის საათები შეეცვარის, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს მსოფლიო ($D_{\text{ბოლო}}$) ბაზარს, რაც იმდენად დაბალ (P_1) ფასად, რომ ხელი შეუშალოს ტაილანდის მეწარმეებს, რომლებსაც დასაწესიშევე სურდათ ეწარმოებინათ საათები C_0 ფასად. თუ ტაილანდი მაინც შეანერგდა საათებით ვაჭრობას მას შეუძლია თავისი შიდა ბაზრის ($D_{\text{ბოლო}}$) მომარაგება დაბალ P_1 ფასად

აშკარაა, იმ სიტუაციაში, როცა ტაილანდში იმპორტირებული საქონლის ფასი იქნება უფრო დაბალი ვაჭრობის არარსებობის პირობებში და ქვეყანა იძულებული გახდება გამოუშვას საქონელი თავისთვის, რა თქმა უნდა, ქვეყნის მდგომარეობა უარესდება ვაჭრობის პირობებში, ვიდრე მისი არარსებობის შემთხვევაში.

ტაილანდს ეძლევა სტიმული, რათა დაიცვას თავისი საათების წარმოების პოტენციური მრეწველობა უცხოეთის კონკურენციისაგან. ეს იწვევს პროტექციონიზმს. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ 6-10 გრაფიკზე ნაჩვენებია შემთხვევების გაიგივება არ არის ადვილი ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა ხანდახან იწვევს სპეცილიზაციისა და ვაჭრობის არახელსაყრელ სტრუქტურებს, ის მაინც მომგებიანია მსოფლიო ეკონომიკისათვის მრეწველობის კონცენტრაციის წყალობით. კანადა უკეთ იქნებოდა, სილიკონის ველი სან-ფრანცისკოს ნაცვლად ტორონტოსთან ახლოს რომ ეოფილიყო; გერმანია შეიძლება უკეთ ეოფილიყო, სიტი (დონდონის ფინანსური რაიონი, რომელიც უილ-სტრიტთან ერთად დომინირებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე) თუ აღმოსავლეთით ფრანკფურტში. მსოფლიო, როგორც მთლიანი, უფრო ეფექტურია და უფრო მდიდარი იმის გამო, რომ საერთაშორისო ვაჭრობა უშეუბნებს ქვეყნების სპეციალიზაციას სხვადასხვა მრეწველობაში და ნახულობს მოგებას როგორც გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკიდან, ასევე ფარდობითი უპირატესობიდან.

თინსელტონის ეკონომიკა

რომელია ამერიკის ექსპორტის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი? პასუხი განსხვავებული იქნება. ერთნი მიუთითებენ სოფლის მეურნეობაზე, მეორენი თვითმფრინავებზე. აშშ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპორტიორია გასართობი სექტორისა, რომლის საშუალებითაც 1994 წელს მან 8 მლრდ-ზე მეტი შემოსავალი მიიღო. ამერიკულ ფილმებსა და სატელევიზიო პროგრამებს მთელ მსოფლიოში აჩვენებენ. რის გამოც ოკეანის გაღმა ბაზარი გადამწვეტი გახდა პოლიეუდის ფინანსებისათვის: ამერიკულ ფილმებს მეტი მოგება მოაქვთ სასლვარგარეთ, ვიდრე შინ.

რატომ არის აშშ მსოფლიოში გასართობი ბიზნესის მთავარი ექსპორტიორი? მნიშვნელოვანი უპირატესობები იქნება ამერიკული ბაზრის აბსოლუტური ზომებიდან. ფილმი, რომელიც გამოსხეული იყო გაცვლით პატარა ფრანგული ან იტალიური ბაზრისთვის, ვერ ახდენს გავლენას ბევრი ამერიკული ფირმის უსარმაზარ ბიუჯეტზე. ამ ქვეყნების უმეტეს წილად დრამატული ან კომედიური ჟანრის ფილმები საჭიროებენ დუბლირებას ან სუბტიტრებს.

ამასობაში კი ამერიკულ ფილმებს შეუძლიათ გადალახონ ენის ბარიერი გულუხვი პროდუქციით და იმპოსანტური სპეცეფექტებით.

ამერიკული გასართობი ინდუსტრიის მნიშვნელოვანი უპირატესობა გამოწვეულია გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკით, რომელიც წარმოქმნა გასართობი ფილმების კონცენტრაციამ პოლიეუდში, სადაც განსოგადებულია მარშალის ორი ტიპი გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკებისა: სპეციალიზებული მიმწოდებლები და შრომის ბაზრის გაერთიანება.

რადგან საბოლოო პროდუქტს უშეუბნებს კინოსტუდიები და სატელევიზიო კომპანიები. ეს თავის მხრივ წარმოშობს დამოუკიდებელი პროდიუსერების კომპლექსურ ქსელს, ნიჭიერ ავანტურებს, დუგალურ ფირმებს, სპეცეფექტების ექსპერტებს და ა.შ. შრომის ბაზრის გაერთიანების აუცილებლობა აშკარაა ყველასთვის, ვინც უყურებს ტიტრებს ფილმის თავში ან ბოლოში. თითოეული ნამუშევარი მთითხოსს უსარმაზარ, მაგრამ დროებით მუშაობა არმის, რომელიც მთიცავს არამარტო საერთაშორისო და გრძელვადიან, არამედ მუხიკოსებს, კასკადიორებს, უამრავ მაშაქაცხა და ქალ სტაიორს და, რა თქმა უნდა, მსახიობებს. ხდის თუ არა ეს მესამე სახის გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკას – ცოდნის გადინებას – საუკუნოს. სხვათა შორის, როგორც ერთმა ავტორმა აღნიშნა, კინობიზნესის გასაგებად არსებობს

ფრანსა - „არაყინ არაფერი არ იცის“. თუ რაიმე ცოდნა უნდა გადადინდეს, რა თქმა უნდა, ეს უკეთესად მოხდება ისეთ ინტენსიურ სოციალურ გარემოში, როგორცაა პოლიეუდი, ვიდრე სადმე სხვაგან.

პოლიეუდის გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის განმსაზღვრელი ძალაა მისი უნარი - მოიხილოს ტალანტები აშშ-ს ფარგლებს გარეშად. დაწვებული გრეცა გარბოთი და არნოლდ შვარცენგუერთი დამთავრებული ამერიკელი ფილმები ყოველთვის სავსე იყო პატივმოყვარე უცხოელებით, რომლებმაც ალბათ იმაზე მეტი სახელი მოიხვეჭეს, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში შეძლებდნენ ამა.

არის თუ არა პოლიეუდი უნიკალური? არა! მსოფლიოში არსებობს მსგავსი გასართობი კომპლექსები. ინდოეთში, რომლის ფილმების ბაზარს ამერიკელი ფილმების შემოტყევისაგან ნაწილობრივ იცავს მთავრობის პოლიტიკა და ნაწილობრივ კულტურულ-ეთნიკური სხვაობა, დაიწყო კინოწარმოების კონცენტრირება და შეიქმნა „პოლიეუდი“ ბომბეში. ასეთივე თავმოყრა კინოწარმოებისა მოხდა პონგ-კონგში, ესპანურენოვან სატელევიზიო პროგრამებსაც - ე.წ. მრავალხერტიან „სამნის ოპერებს“, მთელ ლათინურ ამერიკაში უკვენებენ. ამ უკანასკნელმა გასართობმა კომპლექსმა ექსპორტის ბაზარი გაიხიზა რუსეთშიც.


ზრდადი ეფექტის დინამიკა

სოციურით მნიშვნელოვანი გარე ფაქტორით განპირობებული ეკონომიკა, ალბათ ცოდნის დაგროვების პირმშოა. როცა ინდივიდუალური ფირმა აუმჯობესებს თავის პროდუქტს ან წარმოების მეთოდს გამოცდილების მეშვეობით, სხვა ფირმები ცდილობენ, მიჰბაძონ მას და ისარგებლონ მისი ცოდნით. ცოდნის გადადინება წარმოშობს ისეთ სიტუაციას, სადაც ინდივიდუალური ფირმების წარმოების დანახარჯები ეცემა, როცა მრეწველობა მოდიანობაში აგროვებს გამოცდილებას.

როგორც აღვნიშნეთ, ცოდნის დაგროვების შედეგია გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა. სადაც მრეწველობის დანახარჯები დამოკიდებულია არსებულ გამოშვებაზე, ასეთ ალტერნატიულ სიტუაციაში მრეწველობის დანახარჯები ასევე დამოკიდებული იქნება გამოცდილებაზე. მაგალითად, ერთი ტონა ფოლადის წარმოება შეიძლება უარყოფითად იყოს დამოკიდებული ქვეყნის მიერ წარმოებული ფოლადის მთლიან რაოდენობაზე (ტონობით) ამ მრეწველობის ამოქმედების დღიდან. ასეთი სახის ურთიერთობა შეჯამებულია სწავლების მრუდით. რომელიც აკავშირებს ერთეულის ღირებულებას დაგროვილი პროდუქციის გამოშვებასთან. ასეთი სწავლების მრუდები მოცემულია 6-11 გრაფიკში. ისინი ქვემოთაა დაქანებული გამოცდილებით მიღებული ეფექტის გამო. როცა დანახარჯები ეცემა დაგროვილი წარმოების შესაბამისად და არა წარმოების არსებულ ტემპთან ერთად, საქმე გვაქვს **ზრდადი ეფექტის დინამიკასთან**.

გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის მსგავსად მინიმალური გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა შეიძლება შემოიფარგლოს საწყისი უპირატესობით, ან იმ დონით, რითაც დაიწყო მრეწველობა. 6-11 გრაფიკში სწავლების L მრუდი აღნიშნავს იმ ქვეყანას, რომელმაც პირველმა დაიწყო ეს მრეწველობა, ხოლო L^* მრუდი - იმ ქვეყნისა, რომელსაც აქვს დაბალი დანახარჯები (ეთქვათ, დაბალი ხელფასები), მაგრამ ნაკლები საწარმოს გამოცდილება. იმ პირობით, რომ პირველ ქვეყანას აქვს საკმაოდ დიდი წარმოება დასაწყისშივე, მეორე ქვეყნის პოტენციური დაბალი დანახარჯები საშუალებას არ მისცემს მას, შევიდეს ბაზარზე. ეთქვათ, პირველ ქვეყანას აქვს დაგროვილი გამოშვების Q რაოდენობა, რომლიდან თითოეულის დანახარჯი არის C , მეორე ქვეყანას კი არასოდეს უწარმოებია ეს საქონელი. როცა მეორე ქვეყანას ექნება საწყისი დანახარჯი C^* , ეს იქნება უფრო მეტი, ვიდრე ერთი ერთეულის არსებული C დანახარჯი პირველად დაარსებული მრეწველობისა.

გრაფიკი 6-11 სწავლების მრუდი



სწავლების მრუდი გვიჩვენებს, რომ ერთეულზე დანახარჯი მით უფრო დაბალია, რაც უფრო მეტია იმ დროისათვის ქვეყნის მრეწველობის დაგროვილი გამოშვება. ქვეყანას, რომელსაც აქვს (L) წარმოების კარგი გამოცდილება, უფრო დაბალი დანახარჯი აქვს ერთეულზე, ვიდრე იმ ქვეყანას, რომელსაც ძალიან მცირეა ან საერთოდ არ აქვს გამოცდილება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე ქვეყნის სწავლების (L^*) მრუდი უფრო დაბალია, მაგალითად დაბალი ხელფასების გამო.

დინამიური მასშტაბის ეკონომიკა, მსგავსად გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკებისა, შესაძლოა ამართლებდეს პროტექციონიზმს. დაეკვივრება, ქვეყანას ექნება საკმაოდ დაბალი დანახარჯები ექსპორტისათვის საქონლის საწარმოებლად, თუ მას მეტი საწარმოს გამოცდილება აღმოაჩნდება, მაგრამ ამის გარეშე, მას

არ შეუძლია აწარმოოს კონკურენტული საქონელი. ასეთი ქვეყანა გაზრდის თავის გრძელვადიან კეთილდღეობას საქონლის წარმოების დაფინანსებით ან უცხოური კონკურენციისაგან მისი დაცვით, სანამ მრეწველობა ფეხსე არ დადგება. წარმოების დროებითი დაცვა გამოცდილების შექენამდე (ცნობილია, როგორც *მრეწველობის ახალგაზრდა დარგის არგუმენტი* და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკის განვითარებაში სავაჭრო პოლიტიკის როლის განსაზღვრისას. ამ საკითხებს განვიხილავთ მე-10 თავში.

რეზიუმე

1. არ არის უცილებელი, რომ ვაჭრობა იყოს ფარდობითი უპირატესობის შედეგი. სამაგიეროდ, ის შეიძლება წარმოიქმნას ზრდადი ეფექტის ან მასშტაბის ეკონომიისაგან, ე.ი. როცა არსებობს დიდი გამოშვების პირობებში ერთ ერთეულზე დანახარჯების შემცირების ტენდენცია. მასშტაბის ეკონომია საშუალებას აძლევს ქვეყანას, დასპეციალდეს და ივაჭროს მაშინაც კი, თუ არ არსებობს რესურსებსა და ტექნოლოგიებში განსხვავება ქვეყნებს შორის. მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია შეიძლება იყოს შიდა (რომელიც დამოკიდებულია ფირმის სიდიდეზე), ან გარე (რომელიც დამოკიდებულია მრეწველობის მოცულობაზე).
2. მასშტაბის ეკონომია იწვევს სრულყოფილი კონკურენციის შექცევას. ასე რომ, ვაჭრობა მასშტაბის ეკონომიის პირობებში უნდა გაანალიზდეს არასრულყოფილი კონკურენციის მოდელით. ამ სახის ორი მოდელია შემუშავებული: მონოპოლიური კონკურენციის მოდელი და დემპინგური მოდელი. მესამე მოდელი, გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკა, არსებობს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში.
3. მონოპოლიურ კონკურენციაში მრეწველობა შეიცავს ფირმების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც აწარმოებენ დიფერენცირებულ პროდუქტს. ფირმები მოქმედებენ როგორც ინდივიდუალური მონოპოლისტები, მაგრამ დამატებითი ფირმები შედიან მომგებიან მრეწველობაში, სანამ მონოპოლიის მოგება არ გამოდენით მათ. წონასწორობაზე გაყვლენას ახდენს ბაზრის სიდიდე: დიდი ბაზარი პატარაზე უკეთესად მოემსახურება მრავალრიცხოვან ფირმებს, რომელთაგან თითოეული აწარმოებს დიდი მასშტაბით და დაბალი საშუალო დანახარჯებით.
4. საერთაშორისო ვაჭრობა საშუალებას იძლევა, შეიქმნას ინტეგრირებული ბაზარი, რაც ყველა ცალკეული ქვეყნის ბაზარზე უფრო დიდ და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი საქონლის შეთავაზების საშუალებას იძლევა დაბალ ფასად.
5. მონოპოლიურ კონკურენტულ მოდელში ვაჭრობა შეიძლება დაეყოს ორ სახედ: დიფერენცირებული პროდუქტით ორმხრივ ვაჭრობას მრეწველობის შიგნით ეწოდება მრეწველობის შიგნით ვაჭრობა; ვაჭრობა, რომელიც გულისხმობს ერთი მრეწველობის საქონლის გაცვლას მეორე მრეწველობის საქონელში, ეწოდება მრეწველობებს შორის ვაჭრობა. მრეწველობის შიგნით ვაჭრობა აირეკლავს მასშტაბის ეკონომიას, მრეწველობათაშორის ვაჭრობა – ფარდობითი უპირატესობას. მრეწველობის შიგნით ვაჭრობა ისე ძლიერ ეფექტს არ ახდენს შემოსავლის განაწილებაზე, როგორც მრეწველობათაშორის ვაჭრობა.
6. დემპინგი გვხვდება, როცა მონოპოლიური ფირმა აწესებს ექსპორტზე ნაკლებ ფასს, ვიდრე შიდა გაყიდვისათვის განკუთვნილ საქონელზე. ეს არის მოგების მაქსიმუმამდე გამზრდელი სტრატეგია იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტის რეალიზაცია არის მგრძობიარე უფრო ფასის მიმართ, ვიდრე ადგილობრივი რეალიზაცია და როცა ფირმებს შეუძლიათ ეფექტურად დაეყონ ბაზრები, ე.ი. საშუალება მისცენ ადგილობრივი მომხმარებელს, იყიდოს ის საქონლი, რომელიც ექსპორტისათვისაა განკუთვნილი. ორმხრივი დემპინგი გვხვდება მაშინ, როცა ორი მონოპოლისტური ფირმა ახორციელებს დემპინგს ერთმანეთის შიდა ბაზრებზე. ასეთი ორმხრივი დემპინგი შეიძლება გახდეს საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზი.
7. გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიები არ არის მასშტაბის ეკონომიები, რომლებიც გვხვდება მრეწველობის და არა ფირმის დონეზე. ისინი მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ისტორიასა და შემთხვევითობას საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის განსაზღვრისას. ქვეყანა, რომელმაც დაიწყო დიდი მრეწველობით, შეიძლება შეინარჩუნოს ეს უპირატესობა მაშინაც კი, თუ მეორე ქვეყანა აწარმოებს იმავე საქონელს უფრო იაფად. როცა გარე ფაქტორები მნიშვნელოვანია, ქვეყნები ვაჭრობით ზარალდებიან.

პირითაღი ტერმინები

ზრდადი ეფექტი
დემპინგი
გარე მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია
არასრულყოფილი კონკურენცია
მრეწველობებს შორის ვაჭრობა
შიდა მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია
შრომის ბაზრის გაერთიანება
ზღვრული დანახარჯი
მონოპოლიური კონკურენცია
ფასის დისკრიმინაცია
ორმხრივი დემპინგი

საშუალო დანახარჯი
დინამიურად ზრდადი ეფექტი
წინ დაქანებული მიწოდების მრუდი
მრეწველობის ახალგაზრდა დარგის არგუმენტი
მრეწველობის შიგნით ვაჭრობა
ცოდნის გადაადინება
სწავლების მრუდი
ზღვრული შემოსავალი
ოლიგოპოლია
წმინდა მონოპოლია
სპეციალიზებული მიწოდებელი

კითხვები

1. თითოეული მაგალითიდან ახსენით, ეს შიდა მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომიკაა თუ გარე მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია:
 - ა) აშშ-ში მუსიკალური ინსტრუმენტების დიდი ნაწილი იწარმოება ელქართის ათობით ქარხანაში (ინდიანა).
 - ბ) აშშ-ში გაყიდული ყველა ჰონდა იმპორტირებულია, ან იწარმოება მერისვილში (ოჰაიო).
 - გ) აერობუსების კარკასების ერთ-ერთი წარმოება ტულუზაში, (საფრანგეთი).
2. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმები აწესებენ ზღვრული დანახარჯის ტოლ ფასს. რატომ არ არის ეს შესაძლებელი მაშინ, როდესაც ადგილი აქვს შიდა მასშტაბის ზრდით მიღებულ ეკონომიას?
3. ხშირად ამტკიცებენ, რომ ზრდადი ფუნქტი ქვეყნებს შორის კონფლიქტის წყაროა, რადგან თითოეული ქვეყანა უკეთაა, თუ მას შეუძლია გაზარდოს თავის წარმოება იმ მრეწველობებში, რომლებსაც ახასიათებთ მასშტაბის ეკონომია. შეაფასეთ ეს მოსაზრება მონოპოლიური კონკურენციისა და გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის მოდელით.
4. ეთქვით, ორმა ქვეყანამ, რომელიც განვიხილეთ ციფრული მოდელში, მოახერხა ავტომანქანების ბაზრების ინტეგრირება მესამე ქვეყანასთან, რომელსაც აქვს წლიური ბაზარი, 3.75 მილიონი ავტომანქანა. დაადგინეთ ფირმების რაოდენობა, ერთი ფირმის გამოშვება და ერთი ავტომანქანის ფასი ახალ ინტეგრირებულ ბაზარში ვაჭრობის შემდეგ.
5. შეაფასეთ მასშტაბის ეკონომიის შესაძარი მნიშვნელობა და ფარდობითი უპირატესობა შემდეგის წარმოქმნაში:
 - ა) მსოფლიო ალუმინის ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიღობა ნორვეგიაში ან კანადაში;
 - ბ) მსოფლიოს დიდი ზომის თვითმფრინავების ნახევარზე მეტი იწყობა სიეტლში;
 - გ) ნახევარგამტარების უმეტესობა იწარმოება აშშ-ში ან იაპონიაში;
 - დ) „შოტლანდიური ვისკის“ უმეტესობა იწარმოება შოტლანდიაში;
 - ე) მსოფლიოს საუკეთესო ღვინის წარმოების უმეტესობა მოდის საფრანგეთზე.
6. იაპონიაში არის რამდენიმე მაღაზია, რომელიც ყიდის ადგილობრივ საქონელს, რომელიც იმპორტირებულია ხელშეორედ აშშ-დან იმ ფასდაკლებით, რაც დააწესა იაპონიის სხვა მაღაზიამ. როგორ არის ეს შესაძლებელი?
7. განიხილეთ სიტუაცია, რომელიც მსგავსია 6-9 გრაფიკში ასახული მდგომარეობისა, სადაც ორ ქვეყანას, რომელთაც შეუძლიათ აწარმოონ საქონელი, ემორჩილებიან წინ დაქანებულ მიწოდების მრულს. ასეთ შემთხვევაში, დაეუშვათ, ორ ქვეყანას აქვს ერთნაირი დანახარჯები და მათი მიწოდების მრუდები ერთნაირია:
 - ა) როგორ ფიქრობთ, რანაირი იქნება საერთაშორისო სპეციალიზაციისა და ვაჭრობის სტრუქტურა? რა განსაზღვრავს იმას, თუ ვინ აწარმოებს საქონელს?
 - ბ) რა არის საერთაშორისო ვაჭრობის სარგებელი ამ შემთხვევაში?
8. როცა მრეწველობის ტექნოლოგია ისე სწრაფად აღარ ვითარდება – როცა აღარ არის აუცილებელი ულტრათანამედროვე მანქანები, როცა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მუშებზე მცირდება, მრეწველობის კონცენტრაციისათვის დამახასიათებელია შეჩერება, ხოლო წარმოებისათვის ნიშანდობლივი ხდება იქით გადაადგილება, სადაც დაბალი ხელფასებია. ახსენით მრეწველობის კონცენტრაციის შეწყვეტისაკენ მიმართული ეს ტენდენცია გარე ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის თეორიით.

მე-6 თავის დანართი

ზღვრული შემოსავლის განსაზღვრა

მონოპოლიისა და მონოპოლიურ კონკურენციის განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ მოცემული მოთხოვნის მრუდის პირობებში ფირმის წინაშე არსებული 'ზღვრული შემოსავლის ალგებრული გამოსახვა' სასარგებლოა. თუ ფირმას აქვს მოთხოვნის მრუდი

$$Q = A - B \times P, \quad (6დ-1)$$

მისი ზღვრული შემოსავალი იქნება

$$MR = P - (1/B) \times Q. \quad (6დ-2)$$

ამ დანართში ვაჩვენებთ, რატომ არის ტოლობა სწორი.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მოთხოვნის მრუდი შეიძლება გადაკეოს, რათა განისაზღვროს ფასი, როგორც ფირმის რეალიზაციის ფუნქცია. რის შედეგადაც მივიღებთ

$$P = (A/B) - (1/B) \times Q. \quad (6დ-3)$$

ფირმის შემოსავალი უბრალოდ არის ფასი, რომელსაც იგი იღებს ერთი ერთეულიდან გამრავლებული მის მიერ გაყიდული ერთეულების რაოდენობაზე. თუ R აღნიშნავს ფირმის შემოსავალს, მაშინ

$$R = P \times Q = [(A/B) - (1/B) \times Q] \times Q. \quad (6დ-4)$$

ახლა ვნახოთ, როგორ იცვლება ფირმის შემოსავალი, თუ ის ცვლის თავის რეალიზაციას. ეთქვას, ფირმამ გადაწყვიტა გაზარდოს თავისი გაყიდვის დონე მცირედ – dX მოცულობით. მაშინ მისი ახალი დონე იქნება $Q = Q + dQ$. ფირმის გაზრდილი რეალიზაციის შემდეგ R' შემოსავალი იქნება

$$\begin{aligned} R' &= P' \times Q' = [(A/B) - (1/B) \times (Q + dQ)] \times (Q + dQ) \\ &= [(A/B) - (1/B) \times Q] \times Q + [(A/B) - (1/B) \times Q] \times dQ \\ &\quad - (1/B) \times Q \times dQ - (1/B) \times (dQ)^2 \end{aligned} \quad (6დ-5)$$

ტოლობა (6A-5) შეიძლება გამარტივდეს (6A-1) და (6A-4) ტოლობებით; მივიღებთ

$$R' = R + P \times dQ - (1/B) \times Q \times dQ - (1/B) \times (dQ)^2 \quad (6დ-6)$$

როდესაც dQ რეალიზაციის ცვლილება მცირეა მისი კვადრატი $(dQ)^2$ ძალიან მცირეა (მაგალითად, 1-ის კვადრატი არის 1, მაგრამ $1/10$ -ისა იქნება $1/100$). ასე რომ, Q -ს ოდნავი ცვლილება შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს. ეს გვაძლევს იმ შედეგს, რომ რეალიზაციის მცირედი ცვლილება იწვევს შემოსავლის შემდეგ ცვლილებას –

$$R' - R = [P - (1/B) \times Q] \times dQ \quad (6დ-7)$$

ასე რომ, შემოსავლის ზრდა დამატებითი რეალიზაციის ერთი ერთეულით – რომელიც 'ზღვრული შემოსავლის განსაზღვრება' – არის

$$MR = (R' - R) / dQ = P - (1/B) \times Q,$$

ეს არის ის, რაც ჩვენ დაემატევიკეთ (6დ-2) ტოლობაში.

თავი 7

ფაქტორების საერთაშორისო დინამიკა

აქამდე ვიხილავდით საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს; ე.ი. ყურადღება გავამახვილეთ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის მიხედვებსა და შედეგებს. აღნიშნული ვაჭრობა არ არის საერთაშორისო ინტეგრაციის ერთადერთი ფორმა. ამ თავში განხილულია ინტეგრაციის მეორე ფორმა – საწარმოო ფაქტორების საერთაშორისო დინამიკა, ანუ ფაქტორის დინამიკა. მასში შედის სამუშაო ძალის მიგრაცია, კაპიტალის ტრანსფერტი საერთაშორისო სესხის აღებისა და გასესხების საშუალებით და საერთაშორისო კაუშირები თავიანთი მრავალეროვნული კორპორაციების ჩამოყალიბებით.

ფაქტორის საერთაშორისო დინამიკის პრინციპები თავისი არსით არ განსხვავდება იმ შეხედულებათაგან, რომლებიც ხაზს უსვამენ საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას. 2-5 თავში განხილული საერთაშორისო სესხის აღებაცა და გასესხებაც, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციაც – თავიანთი მიხედვითა და შედეგებით – საქონლის მოძრაობის ანალოგიურად უნდა ჩაითვალოს. მრავალეროვნული კორპორაციის როლი გასაგები გახდება მე-6 თავში განხილული შეხედულებების ფართო განხილვით. ამგვარად, როცა ჩვენ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობიდან გადავდივართ ფაქტორის დინამიკაზე, არ გვიხდება საკითხიდან რადიკალური გადახვევა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საფუძვლიანი ეკონომიკური მსგავსება ვაჭრობასა და ფაქტორის დინამიკას შორის, მაინც არის განსხვავება პოლიტიკურ კონტექსტში ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ქვეყანას შეუძლია გარკვეულ ვითარებაში იმპორტის სახით შემოიტანოს კაპიტალისტენსიური საქონელი; სხვა პირობებში კი მიიღოს კაპიტალი სახელმწიფო სესხის აღებით. ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყანა სამუშაო ძალაინტენსიურ საქონელს შემოიტანს ან დაიწეებს ემიგრანტი მუშების დასაქმებას. პატარა ქვეყანას, რომელსაც არ შეუძლია დიდი მოცულობის ფირმებს დაუჭიროოს მხარი, შეუძლია შემოიტანოს საქონელი, ან საშუალება მისცეს საქონლის ადგილზე წარმოებას უცხოური ფირმების ფილიალებით. ეს ალტერნატიული სტრატეგიები შესაძლოა მსგავსი იყვნენ თავიანთი წმინდა ეკონომიკური შედეგებით, მაგრამ რადიკალურად განსხვავებულნი აღმოჩნდებიან პოლიტიკურად მისაღები პირობებით.

ფაქტორის საერთაშორისო დინამიკას უფრო შეუძლია პოლიტიკური სიძნელეების შექმნა, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობას და ამით საქონლით ვაჭრობასთან შედარებით ექვემდებარება მეტ შეზღუდვებს, რომელთაგან უნივერსალურია ემიგრაციული დაბრკოლებები. 1980 წლამდე ევროპის რამდენიმე ქვეყანამ (მაგალითად, საფრანგეთმა) შეინარჩუნა კონტროლი კაპიტალის მიმოქცევაზე, თუმცა მათ შეუძლოთ თავისუფლად ვაჭრობა თავიანთ მესობლებთან. უცხოეთის ბაზაზე არსებული მრავალეროვნული კორპორაციების ინვესტიციებს ეჭვის თვალთ უყურებენ და იგი რეგულირდება მსოფლიოს დიდი ნაწილის მიერ. შედეგი ისაა, რომ ფაქტორის დინამიკა პრაქტიკულად ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე საქონლით ვაჭრობა. აქ კეთდება ვაჭრობის ანალიზი ფაქტორის დინამიკის, როგორც ამოსავალი წერტილის, არარსებობის დროს. მაგრამ მაინც ფაქტორის დინამიკა ძალიან მნიშვნელოვანია.

წინამდებარე თავი სამი ნაწილისაგან შედგება. ეიწეებთ საერთაშორისო სამუშაო ძალის მობილურობის მარტივი მოდელით, შემდეგ გავაანალიზებთ საერთაშორისო სესხის აღებასა და გასესხებას ანუ ვაჭრობას დროთა განმავლობაში: გამსესხებელი ქვეყანა ახლა თმობს რესურსებს, რომ მომავალში მიიღოს ანაზღაურება, სესხის ამღები კი პირიქით იქცევა. თავის დასასრულს გავაანალიზებთ მრავალეროვნული კორპორაციების არსს.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მობილურობა

ეიწეებთ სამუშაო ძალის მობილურობის ეფექტის ანალიზით. თანამედროვე სამყაროში სამუშაო ძალის ნაკადის შესწავლა მრავალგვარია. თითქმის ყველა ქვეყანა აწესებს შეზღუდვებს ემიგრაციაზე, ამიტომ სამუშაო ძალის მობილურობა პრაქტიკულად ნაკლებია კაპიტალის მობილურობაზე.

ერთსაქონლიანი მოდელი ფაქტორის მობილურობის გარეშე


ისევე, როგორც ვაჭრობის ანალიზისას, ფაქტორის მობილურობის გაგების საუკეთესო საშუალებას გამოვიყენებთ და დაეიწეებთ ეკონომიკურად არაინტეგრირებული ქვეყნით, შემდეგ განვიხილავთ საერთაშორისო ოპერაციების

დამსხვებების შედეგებს. ვთქვათ, ნეუგლებრივ გვაქვს მსაღელი ორი ქვეყნით – ჩვენი და უცხო. თითოეულს გააჩნია წარმოების ორი ფაქტორი, მიწა და სამუშაო ძალა. დაეუწეთ, ეს მსოფლიო უფრო მარტივია, ვიდრე მუდღისე თავეში განხილული, სადაც ორი ქვეყანა აწარმოებდა მხოლოდ ერთ საქონელს, რომელსაც უბრალოდ ეკუთვნებოდა „გამოშვებას“. ამგვარად, აქ არ არის სიფრცვე ნეუგლებრივი ვაჭრობისათვის, სხვადასხვა საქონლის გასაცვლელად. ერთადერთი საშუალება, რომ მათი ეკონომიკა ინტეგრირებული გახდეს, არის მიწისა და სამუშაო ძალის დინამიკა. განსახლურის თანახმად, მიწა უძრავია; ასე რომ, რჩება ინტეგრაცია, როგორც სამუშაო ძალის საერთაშორისო მობილურობა.

ფაქტორის დინამიკის წარმოდგენამდე გაუაჩნაღისოთ თითოეულ ქვეყანაში გამოშვების დონის გადამწვევტი მანუენებელი. მიწა (T) და სამუშაო ძალა (L) არის შეხლუდელი რესურსები. ამგვარად, თითოეული ქვეყნის გამოშვება დამოკიდებული იქნება სხვა თანაბარ პირობებში ამ ხელმისაწვდომი ფაქტორების რაოდენობაზე. ერთი მხრივ, ფაქტორების მიწოდებასა და, მეორე მხრივ, ეკონომიკის გამოშვებას შორის კავშირი იქნება ეკონომიკის საწარმოო ფუნქცია, რასაც $Q(T, L)$ -ით აღვნიშნავთ.

მესამე თავეში უკვე განვიხილეთ საწარმოო ფუნქციის არსი. როგორც მაშინ აღვნიშნეთ, საწარმოო ფუნქციის გაგების საშუალებაა, დაინტერესდე – თუ როგორ არის დამოკიდებული გამოშვება წარმოების ერთი ფაქტორის მიწოდებაზე, როცა მეორე ფაქტორის რაოდენობა ფიქსირებულია (იხ. 7-1 გრაფიკი).


გრაფიკი 7-1 ეკონომიკის საწარმოო ფუნქცია



$Q(T, L)$ წარმოების ფუნქცია გვინუენებს, თუ როგორ იცვლება გამოშვება დასაქმებული მუშახელის რაოდენობის ცვლით, როცა T მიწის რაოდენობა ფიქსირებულია. რაც უფრო მეტია სამუშაო ძალა, მით უფრო მეტია გამოშვება. მიუხედავად ამისა, სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი მცირდება, რაც უფრო მეტი სამუშაო ძალა დასაქმებული.

7-1 გრაფიკი გვინუენებს, თუ როგორ იცვლება ქვეყნის გამოშვება სამუშაო ძალის გამოყენების ცვლასთან ერთად (მიწის მიწოდების ფიქსირებით); ამ გრაფიკის მონაცემები იგივეა, რაც 3-1 გრაფიკზე. საწარმოო ფუნქციის დახრილობა გამოხატავს გამოშვების იმ ზრდას, რომელიც მიიღება ცოტა მეტი სამუშაო ძალის გამოყენებით და ამგვარად განეკუთვნება სამუშაო ძალის ზღვრულ პროდუქტს. მრუდი 7-1 გრაფიკზე გვინუენებს სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტის შემცირებას, როგორც სამუშაო ძალის შეფარდებას მიწის ზრდასთან. ეს ნორმალურია: რაკი ქვეყანა ისწრაფის, დაასაქმოს მეტი სამუშაო ძალა მიწის მოცემულ ფართობზე, მან უნდა გამოიყენოს სამუშაო ძალაინტენსიური მსარდი წარმოების ტექნიკა. ეს პროცესი უფრო გაძნელდება, რაც უფრო შორს წავა სამუშაო ძალის მიწით შეცვლა.

გრაფიკი 7-2 სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი



სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი მცირდება დასაქმებისთან ერთად. ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვემოთ მდებარე არე უდრის მოლიან გამოშვებას. მოცემული დასაქმების დონის დროს, ზღვრული პროდუქტი განსაზღვრავს რეალურ ხელფასს; ამგვარად სამუშაო ძალის მოლიანი ანაზღაურება (რეალური ხელფასი გამრავლებული დასაქმებულთა რაოდენობაზე) ნახუენება მართკუთხდით. დანარჩენი გამოშვება შედგება მიწის იჯარისაგან.

7-2 გრაფიკი შეესატყვისება 3-2 გრაფიკს და იმავე ინფორმაციას შეიცავს, რასაც 6-1 გრაფიკი, მაგრამ გადმოგეცემს სხვაგვარად. ახლა უშუალოდ გინუენებთ, თუ სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი როგორაა დამოკიდებული გამოყენებულ სამუშაო ძალის რაოდენობაზე. აგრეთვე მიუკითხუებთ, რომ სამუშაო ძალის თითოეული ერთეულის მიერ გამოიმუშავებული რეალური ხელფასი სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტის ტოლია. ეს მანამდე იქნება სწორი, ვიდრე ეკონომიკა სრულყოფილად კონკურენტულია.

რა შეიძლება ითქვას მიწიდან მიღებულ შემოსავალზე? როგორც მესამე თავეს დანართში გინუენეთ, ეკონომიკის მოლიანი გამოშვება იოსმება ზღვრული პროდუქტის მრუდს ქვევით არსებული არეთი. მოელ გამოშვებაზე მეშვების მიერ გამოიმუშავებული ხელფასი უდრის რეალური ხელფასის დონეს გამრავლებულს სამუშაო


ძალის დასაქმებაზე და აქედან გამომდინარე, ემთხვევა გრაფიკზე მითითებულ არეს; დანარჩენი უდრის მიწისმფლობელების მიერ გამოიშვებულ რენტას.

დაეუშვათ, ჩვენსა და უცხო ქვეყანას აქვს მსგავსი ტექნოლოგია, ოღონდ განსხვავებული მთლიანი სამუშაო ძალის შეფარდებით. თუ ჩვენ ქვეყანაში ჯარბი სამუშაო ძალაა, მუშები გამოიშვებენ უფრო ნაკლებს, ვიდრე უცხო ქვეყნის მუშები; მიწა კი ჩვენთან გამოიშვებებს მეტს, ვიდრე უცხო ქვეყანაში. ეს აშკარად ქმნის სტიმულს საწარმოო ფაქტორების გადასანაცვლებლად. ჩვენი ქვეყნის მუშებს გაუნდებთ სურვილი უცხო ქვეყანაში გადასვლისა; უცხოელ მიწათმფლობელებსაც ენდობებათ თავიანთი მიწის შინ გადატანა, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩვენი შემდგომი სეკლაა, საშუალება მივცეთ მუშებს, გადაადგილდნენ. დაეკვირდეთ, რა მოხდება.

სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილება

დაეუშვათ, მუშებს შეუძლიათ ორ ქვეყანაში – ჩვენი და უცხო – გადაადგილება, რაც შეამცირებს სამუშაო ძალას შინ და გაზრდის რეალურ ხელფასს, უცხოეთში კი გააძლიერებს სამუშაო ძალას და შეამცირებს რეალურ ხელფასს. თუ არ არსებობს წანააღმდეგობა ამ გადაადგილების მიმართ, ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ორივე ქვეყანაში სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი ერთნაირი არ იქნება.

გრაფიკი 7-3 სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილების მიზეზები და შედეგები



დასაწყისში OL' მუშა დასაქმებულია ჩვენ ქვეყანაში, $L'O^*$ მუშა კი უცხოეთში. სამუშაო ძალა გაედინება ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში მანამ, სანამ OL' მუშა დასაქმებული ჩვენში, $L'O^*$ კი უცხოეთში, ხოლო ხელფასები გათანაბრებულია.

7-3 გრაფიკი გვჩვენებს საერთაშორისო სამუშაო ძალის გადაადგილების მიზეზებსა და შედეგებს. პორისონტალური ღერძი გამოხატავს მსოფლიოს მთლიან სამუშაო ძალას. ჩვენ ქვეყანაში დასაქმებული მუშების რაოდენობა გაიზარდა მარცხნიდან, უცხოეთში – მარჯვნიდან. მარცხენა ვერტიკალური ღერძი უჩვენებს სამუშაო ძალის ზღვრულ პროდუქტს ჩვენში, მარჯვენა – უცხოეთში. თავიდანვე ხაზს ვუსვამთ, რომ OL' მუშები არიან ჩვენი ქვეყნის, $L'O^*$ – უცხოეთისა. ამ მოცემული განთავსებით რეალური ხელფასის განაკვეთი უფრო დაბალი იქნება ჩვენ ქვეყანაში (C წერტილი), ვიდრე უცხოეთში (B წერტილი). მუშებს რომ გადაადგილება თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც მათ უფრო მაღალ რეალურ ხელფასს სთავაზობს, ისინი მანამდე გამოიცივლიან ქვეყანას, სანამ ორივეგან რეალური ხელფასის განაკვეთი არ გათანაბრდება. მსოფლიოს სამუშაო ძალის შესაძლო განაწილება იქნება OL' მუშებით ჩვენში და $L'O^*$ მუშებით უცხოეთში (წერტილი 4).

სამი პუნქტი აღინიშნება მსოფლიოს სამუშაო ძალის ამ განაწილებაში:

1. მას მივეყვართ რეალური ხელფასის განაკვეთების ურთიერთდამთხვევამდე. რეალური ხელფასი იზრდება ჩვენ ქვეყანაში, მცირდება უცხოეთში.
2. ის ზრდის მთლიანად მსოფლიო გამოშვებას. უცხოეთის გამოშვება გადიდება მისი ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვევით არსებული სივრცით L' -დან L^* -მდე. მაშინ როცა ჩვენ ქვეყანაში ის მცირდება შესაბამისი სივრცით ზღვრული პროდუქტის მრუდის ქვევით. გრაფიკიდან ჩანს, რომ უცხოეთის მოგება უფრო დიდია, ვიდრე ადგილობრივი ქვეყნის სარალი; განსხვავების რაოდენობა უდრის მუქ ABC სივრცეს.
3. ამ მოგების მიუხედავად სოგიერთ მუშას ეს ცვლილება ვნებს. ისინი, ვინც დასაწყისიდანვე მუშაობდნენ ჩვენ ქვეყანაში, მიიღებენ მაღალ რეალურ ხელფასს, მაგრამ ისინი, ვინც თავიდან უცხოეთში მუშაობდნენ, დაბალი რეალური ხელფასი ექნებათ. უცხოეთში მიწისმფლობელები სარგებლობენ სამუშაო ძალის უფრო დიდი მიწოდებით, მაგრამ ჩვენ ქვეყანაში მიწის მფლობელებს არასახარბიელო მდგომარეობა ექმნებათ. როგორც საერთაშორისო ვაჭრობით მიღებული მოგების შემთხვევაში, საერთაშორისო სამუშაო ძალის მიბილურება მუშების ზოგ ჯგუფს პრაქტიკულად უუარესებს პირობებს (მაშინ, როცა ყველას აძლევენ საშუალებას, ექვეით იყვნენ).

ანალიზის გაფართოება

ძალიან მარტივი მოდელიც კი ბევრ რამეს გვეუბნება იმაზე, თუ რატომ ხდება და რა შედეგები ახლავს საერთაშორისო ფაქტორების გადაადგილებას. სამუშაო ძალის მობილურობა ამ მარტივ მოდელში, მე-4 თავში მოცემული ვაჭრობის მოდელის მსგავსად, იმართება რესურსების საერთაშორისო განსხვავებებით. ასევე ვაჭრობასავე, ის მიზანშეწონილია იმ აზრით, რომ ზრდის მსოფლიო წარმოებას, თუმცა დაკავშირებულია შემოსავლის განაწილების ძლიერ ეფექტებთან, რომელიც ამ მოგებას პრობლემატურს ხდის.

მოკლედ განვიხილოთ, როგორ რთულდება ანალიზი. ამისათვის საჭიროა მოვიცილოთ ის ვარაუდი, რომ ორივე ქვეყანა მხოლოდ ერთ საქონელს აწარმოებს და დაეუშვათ ორი საქონლის წარმოება, რომელთაგან ერთი უფრო შრომა-ინტენსიურია. ფაქტორის პროპორციების მოდელის განხილვიდან უკვე ვიცით, რომ ამ შემთხვევაში ვაჭრობა გოთაეაზობს ფაქტორის მობილურობის ალტერნატივას. ჩვენ ქვეყანას შეუძლია სამუშაო ძალის ექსპორტირება შრომა-ინტენსიური საქონლის გატანით და მიწის იმპორტირება მიწა-ინტენსიური საქონლის შემოტანით. ძირითადად შესაძლებელია, რომ ასეთმა ვაჭრობამ მიგვიყვანოს ფაქტორების ფასების სრულ გათანაბრებამდე ყოველგვარი ფაქტორის დინამიკის გარეშე. თუ ეს მოხდება, რასაკვირველია, ეს ჩაახშობს ნებისმიერ სტიმულს, რომ სამუშაო ძალა ჩვენი ქვეყნიდან უცხო ქვეყანაში გადაადგილდეს.

პრაქტიკულად, ვაჭრობა საერთაშორისო ფაქტორების დინამიკის სრულყოფილი შემცველი არაა. ამის მიზეზები უკვე განხილულია მე-4 თავში. ფაქტორის ფასის სრული გათანაბრება არ შეინიშნება რეალურ სამყაროში, რადგან ქვეყნები ერთმანეთისაგან ზოგჯერ ძალიან განსხვავდებიან რესურსებით და ვერ ახერხებენ წარმოების სპეციალიზაციას; არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური სავაჭრო ბარიერები, განსხვავებული ტექნოლოგია და რესურსები.

მეორე მხრივ, ფაქტორების გადაადგილება ვერ მოშლის საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულს. ვიდრე მარტივ მოდელში საწარმოო ფაქტორების გადაადგილებას შეუძლია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა უსარგებლო გახადოს, პრაქტიკულად არსებობს ბარიერები სამუშაო ძალის, კაპიტალისა და სხვა პოტენციური რესურსების თავისუფლად გადაადგილების წინაშე. რესურსის სახეობათაგან ზოგიერთები თავს ერთად ვერ მოიყრის, მაგალითად, კანადის ტყეები და კარიბის მზე.

ფაქტორის მობილურობის მარტივი გაერცობა არ ცვლის მის ძირითად მისიას. მთავარი ისაა, რომ ფაქტორებით ვაჭრობა, წმინდა ეკონომიკური აზრით, ძალიან წააგავს საქონლით ვაჭრობას, იმავე მიზნებს ემსახურება და შედეგებიც ისეთივე ახლავს.

სტატიის შესავლისათვის

ემიგრაცია და აშშ-ს ეკონომიკა

მე-20 საუკუნის განმავლობაში აშშ-მ ემიგრაციის ორი დიდი შემოტევა განიცადა: პირველი მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო და დამთავრდა 1924 წლის შემზღუდავი კანონით. მეორე ტალღა 1960-იანი წლების შუახანებში მიაწედა. ცხრილი გვიჩვენებს კანონიერი ემიგრანტების რაოდენობას, რომლებიც აშშ-ში შედიოდნენ 1880 წლიდან ყოველი ათწლეულის განმავლობაში. იყო უკანონო ემიგრანტების მზარდი რიცხვიც (დაახლოებით 200 000 - 300 000 ყოველწლიურად).

ემიგრაციის შესუსტების პერიოდში, 1924-65 წლებში, ემიგრანტები ნაკლებ გაელენას ახდენდნენ აშშ ეკონომიკას; ეს ხდებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბევრნი არ იყვნენ და მათი მოქმედების სასაღებო შეზღუდული იყო, საემიგრაციო კანონები ჯავშნიდნენ იმ ვიზებს, რაც დამყარებული იყო 1920 წლის აშშ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას; ამის შედეგად ძირითადად კანადიდან და ევროპიდან შემოდოდნენ ემიგრანტები, რომლებიც კვალიფიკაციის მხრივ ძალიან ჰგავდნენ ადგილობრივ სამუშაო ძალას. 1965 წელს ლათინური ამერიკიდან და აზიიდან დაიწყო ნაკლებად მომზადებული მუშების ემიგრაცია.

ზოგს უვინება, რომ ამ ქვეყანაში გაუნათლებელი მუშახელის დიდმასშტაბიანი მოძალევა ადგილობრივ ნაკლებკვალიფიციური მუშების ხელფასს შეამცირებდა. 1970-80-იან წლებში ადგილი ჰქონდა სპეციალიზაციის მიხედვით ხელფასის დიფერენცირების გაფართოებას დაქირავებულებს შორის. კერძოდ, იმ მუშებს, ვისაც უმაღლესი სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, ხელფასი უმცირდებოდა 10%-ით, მეტი განათლების მქონე მუშებთან შედარებით. ამ მიმართულებას ხელს სხვა ფაქტორებიც უწყობდა. მაგრამ ხელფასის შემცირების დაახლოებით მესამედი ემიგრაციის ფაქტს მიეწერებოდა.

ემიგრაციის შესახებ სასოგადოების კამათი ძირითადად თავს იყრდა ამ შემოსავლის განაწილების შედეგზე, პოლიტიკოსები და ამომრჩეველები კი წუხდნენ ემიგრანტების გაელენის შესახებ გადასახადებსა და სამთავრობო დანახარჯებსზე, გაურკვეველ გაელენასუ სამთავრობო ბიუჯეტის მიმართ. ერთი მხრივ, ისინი იხდოდნენ გადასახდებს, მეორე მხრივ, ზრდიდნენ სასოგადოებრივ მომსახურებასუ მოთხოვნას

დაწვეული განათლებით და დამთავრებული პოლიციით (როგორც შვეიცარიელი მწერალი მაქს ფრიში წერდა ემიგრანტი მუშების შესახებ: „ჩვენ მოვითხოვეთ მუშები, მაგრამ ადამიანები ჩამოვიდნენ“). რადგან ბოლო დროის ემიგრანტები აშშ-ში საშუალოდ იღებდნენ შედარებით დაბალ ხელფასს (ეს ნიშნავს, რომ ისინი დიდ გადასახდს არ იხდიდნენ) და ხშირად სახელმწიფო კმაყოფაზეც იყენენ, ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ ეს წმინდა დანახარჯები იყო სამთავრობო ბიუჯეტისათვის. ეკონომისტთა დასკვნები განსხვავებული იყო არსებითად იმიტომ, რომ ასეთი გამოთვლები ეყარებოდა საყარაუდო დაშვებას იმის შესახებ, თუ რა ღირს დამატებითი მაცხოვრებლის უზრუნველყოფა მომსახურებით. ერთ რამეზე ყველანი თანხმდებიან – ემიგრაციის წმინდა ეფექტი მთლიან შემოსავალზე არის არა უმეტეს 1%-სა.

მიუხედავად რბილი შეფასებისა, 1990-იან წლებში საზოგადოებაში მაინც გაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ბზარი ემიგრაციის წინააღმდეგ. 1994 წლის ბოლოსათვის კალიფორნიელმა ამომრჩეველებმა მიიღეს პროექტი 187 ლონისძიებით, რომელიც მხარს უჭერდა მკაცრ წესებს, რათა ხელი შეეშალათ არაკანონიერი ემიგრანტებისათვის – ესარგებლათ საზოგადოებრივი მომსახურებით ბავშვების განათლების ჩათვლით. აშშ კონგრესმაც განიხილა კანონმდებლობა, რომელშიც გათვალისწინებული იყო მრავალი მომსახურება კანონიერი ემიგრანტებისათვის, რომლებიც მოქალაქეები მაინც ვერ გახდებოდნენ.

ემიგრაცია შერთებულ შტატებში (1 000 კაცი)

1881-1890	5247
1891-1900	3688
1901-1910	8796
1911-1920	5736
1921-1930	4107
1931-1940	528
1941-1950	1035
1951-1960	2516
1961-1970	3322
1971-1980	4493
1981-1990	7338

საერთაშორისო სესხის აღება და გასესხება

კაპიტალის საერთაშორისო დინამიკა საერთაშორისო ეკონომიკური პანორამის გამორჩეულ ნიშანს წარმოადგენს. ზოგჯერ სასარგებლო ვარჯიშად რჩება ამ მოძრაობის გაანალიზება სამუშაო ძალის მობილურობის ანალიზის პარალელურად. როდესაც ვლადიმერ კობოტ საერთაშორისო სამუშაო ძალის მობილურობაზე, ნათელია, რომ მუშები ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიან, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა კი ასე მარტივი არაა. როდესაც ვსაუბრობთ აშშ-დან კაპიტალის გადინებაზე მექსიკაში, არ ნიშნავს, რომ აშშ მანქანა-დანადგარები დაიშლება და სამხრეთით გადაიზიდება. საუბარია ფინანსურ ოპერაციებზე: აშშ ბანკი სესხს აძლევს მექსიკურ ფირმას, ან აშშ მოქალაქე ყიდულობს ქონებას მექსიკაში, ან აშშ ფირმა აბანდებს თავისი მექსიკური ფილიალების მეშვეობით. ყურადღებას ეამახვილებთ ოპერაციების პირველ სახეზე, როცა აშშ მოქალაქე სესხს აძლევს მექსიკელს, ე.ი. იგი აძლევს საშუალებას მსესხებელს, დახარჯოს იმაზე მეტი, რასაც ღლევს გამოიმუშავენს მომავალში გადახდის სანაცვლოდ.


საერთაშორისო ეკონომიკის ფინანსური ასპექტების ანალიზი არის ამ წიგნის მეორე ნახევრის კვლევის საგანი. მნიშვნელოვანია გავიანროთ, რომ ფინანსური ოპერაციები მხოლოდ ქაღალდზე არ არსებობს, მათ რეალური შედეგები ახლავს. საერთაშორისო სესხის აღება და გასესხება შეიძლება გავიგოთ, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის სახე. ვაჭრობა კი არ არის ერთი საქონლის მეორეზე გადაცემა ამ წუთში, არამედ დღევანდელი საქონლისა მომავალ საქონელზე. ამ სახით ვაჭრობას ეწოდება **დროთაშორისი ვაჭრობა**; მოგვიანებით ამის შესახებ ბევრს ვიმსჯელებთ, მაგრამ ეხლანდელი მიზნებისათვის მარტივი მოდელიც საკმარისი იქნება.

დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობები და ვაჭრობა

საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის არარსებობის შემთხვევაში ჩებისმიერი ეკონომიკა აწყდება არჩევანის პრობლემაში მისდინარე და მომავალ მოხმარებას შორის. ეკონომიკა ჩვეულებრივ არ მოიხმარს თავის მიმდინარე გამოშვებას; გამოშვების სიგიერთი ნაწილი მანქანა-მექანიზმებში, შენობებში იღებს დაბანდების სახეს და საწარმოს კაპიტალის სხვა ფორმებს. რაც უფრო მეტს აბანდებს ეკონომიკა, მით უფრო მეტის წარმოება და მოხმარება შეუძლია მომავალში. დაბანდების გასადიდებლად ეკონომიკამ უარი უნდა თქვას მოუხმარებელ რესურსებზე (სანამ გამოუყენებელი რესურსი არსებობს, შესაძლებლობას არ ვითვალისწინებთ). ამგვარად, არსებობს კომპრომისი მიმდინარე და მომავალ მოხმარებას შორის.

წარმოვიდგინოთ ეკონომიკა, რომელიც მოიხმარს მხოლოდ ერთ საქონელს და არსებობს მხოლოდ აწმყოსა და მომავალში. იწყება გაცემა მიმდინარე და მომავალი სამომხმარებლო საქონლის წარმოებას შორის, რომლის შეჯამება შეგვიძლია დროთაშორისი და წარმოების შესაძლებლობის ზღვარის გამოსახვით. ასეთი ზღვარი მოცემულია 7-4 გრაფიკში.

გრაფიკი 7-4 დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობათა ზღვარი



ქვეყანას შეუძლია ივაჭროს არსებული სამომხმარებლო საქონლით მომავლის ნაცვალად იმგაეარად, რომ შეძლოს აწარმოოს მეტი ერთი საქონელი მეორე საქონლის უფრო ნაკლები წარმოებით.

დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობის ზღვარის მოყვანილობა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთი ქვეყნის წარმოების შესაძლებლობები ხასიათდებიან გადახრით მიმდინარე გამოშვებისაკენ, ზოგიერთი – მომავალი გამოშვებისაკენ. ამ გადახრებს შორის რეალური განსხვავების გარკვევამდე დაეუშვათ, რომ არსებობს ჩვენი და უცხო ქვეყანა სხვადასხვა დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობებით. ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები იხრება არსებული, უცხოეთისა – მომავალი მოხმარებისაკენ.

ანალოგიურად ჩვენ უკვე ვიცით, რა არის მოსალოდნელი. საერთაშორისო სესხის აღებისა და გასესხების არარსებობის დროს მოსალოდნელია მომავალი მოხმარების შესადარი ფასის სიმალლე ჩვენ ქვეყანაში უცხოეთთან შედარებით. ამგვარად, თუ დროთა განმავლობაში შეგვექმნება ვაჭრობის პირობები, ალბათ, ჩვენი ქვეყანა გაიტანს მიმდინარეს და შემოიტანს მომავალ მოხმარებას.

რეალური საპროცენტო განაკვეთი

როგორ ვაჭრობს ქვეყანა დროთა განმავლობაში? როგორც ცალკე ინდივიდს, ქვეყანას შეუძლია ივაჭროს გარკვეულ ხანს სესხის აღებით, ან გასესხებით. რა ხდება, როცა ინდივიდი სესხს იღებს: მას შეუძლია დახარჯოს საკუთარ შემოსავალზე ზევით, ანუ მოიხმაროს მეტი, ვიდრე აწარმოებს. მოგვიანებით მან უნდა გადაიხადოს სესხი პროცენტთანად და ამიტომ მომავალში ნაკლებს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს. სესხის აღებით არსებითად იგი ირჩევს მომავალ მოხმარებას. იგივე შეიძლება ითქვას სესხის ამღებ ქვეყანაზე.

მომავალი მოხმარების ფასი მიმდინარე მოხმარების გათვალისწინებით ერთგვარად უკავშირდება საპროცენტო განაკვეთს. როგორც ამ წიგნიდან შემდეგ გავიგებთ, რეალურ სამყაროში საპროცენტო განაკვეთის ინტერპრეტაცია გართულებულია მთლიანი ფასის დონის ცვლილებების შესაძლებლობით. ახლა გვერდს ეუვლით იმ პრობლემას, რომ სასესხო კონტრაქტები დახასიათებულია, როგორც „რეალური“: როცა ქვეყანა სესხს იღებს, მას შეუძლია ახლა შეისყიდოს მოხმარების გარკვეული რაოდენობა მომავალში უფრო მეტი რაოდენობის გადასახდელად. მომავალში გადახდის რაოდენობა იქნება $1+r$ -ჯერ მეტი ამჟამად ნასესხებზე. r არის რეალური საპროცენტო განაკვეთი სესხზე. რადგან არჩევანი მოხმარების ერთი ერთეულია $1 + r$ ერთეულისათვის მომავალში, სამერმისო მოხმარების შესადარი ფასი იქნება $1/(1 + r)$.

ვაჭრობის სტანდარტულ მოდელთან პარალელი უკვე გავაველეთ. თუ სესხის აღება და გასესხება ნებადართულია, მომავალი მოხმარების შესადარი ფასი და მსოფლიოს რეალური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იქნება მომავალი მოხმარების მსოფლიო შეფარდებითი მიწოდებითა და მოთხოვნით. ჩვენი ქვეყანა, რომლის დროთაშორისი პროდუქციის გამოშვების საწარმოო შესაძლებლობანი გადაიხრება მიმდინარე მოხმარებისაკენ, გაიტანს მიმდინარე და შემოიტანს მომავალ მოხმარებას. ე.ი. ჩვენი ქვეყანა პირველ პერიოდში ასესხებს უცხოეთს და მიიღებს ვალის კომპენსაციას მეორეში.

დროთაშორისი შედარებითი უპირატესობა

დაეუშვიტ, რომ ჩვენი ქვეყნის დროთაშორისი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა იხრება მიმდინარე წარმოებისაკენ. რას ნიშნავს ეს? დროთაშორისი შედარებითი უპირატესობის წყაროები რამდენადმე განსხვავდება იმათგან, რომლებიც წარმოშობენ ჩვეულებრივ ვაჭრობას.

ქვეყანას, რომელსაც შედარებითი უპირატესობა ექნება სამომხმარებლო საქონლის მომავალ წარმოებაში,


მისთვის დამახასიათებელი აღმონწილება დაბალი შესადარი ფასი საერთაშორისო სესხის აღებისა და გასესხების არარსებობის დროს, ე.ი. ექნება მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთი. ეს შეესატყვისება მაღალ მოგებას ინვესტიციაზე. ამგვარად, საერთაშორისო ბაზრიდან სესხს იღებენ ის ქვეყნები, სადაც წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობანი ხელმისაწვდომია (არსებულ საწარმო სიმძლავრეებთან შედარებით) იმ ქვეყნებში კი, რომლებიც სესხს გასცემენ, ეს შესაძლებლობანი ადგილობრივ არაა ხელმისაწვდომი,

სწორედ ამას გვიჩვენებს საერთაშორისო სესხის აღებისა და გასესხების სტრუქტურა 1970-იან წლებში. 22-2 ცხრილში ურთიერთშედარებულია ქვეყნების საერთაშორისო გასესხების სამი ჯგუფი: განვითარებული ქვეყნები, უნავთობო განვითარებადი და ნავთობის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები. 1973-81 წლებში ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა გაასესხეს 332 მლრდ დოლარი, ნაკლებგანვითარებულმა ქვეყნებმა ისესხეს 264 მლრდ დოლარი და განვითარებულმა ქვეყნებმა გაცილებით ნაკლები – 62 მლრდ დოლარი. ჩვენი მოდელის მაგალითით ეს ბუნებრივია. 1970-იან წლებში ნავთობის ფასის სპექულაციური ზრდის შედეგად ნავთობის ისეთმა ექსპორტიორებმა, როგორიცაა საუდის არაბეთი, მიიღეს ძალიან დიდი მიმდინარე შემოსავალი. მათ ვერ აღმოაჩინეს შედარებითი ზრდა თავიანთ ადგილობრივ საინვესტიციო შესაძლებლობებში; ე.ი. მათ ჰქონდათ შეფარდებითი უპირატესობა მიმდინარე მოხმარებაში. მცირე მოსახლეობის, შეზღუდული რესურსების (ნავთობის გარდა) და სამრეწველო ან სხვა საწარმოებში მცირე გამოცდილების საფუძველზე, მათი ბუნებრივი რეაქცია იყო ბევრის დაბანდება სასაღვარჯარო გამოუმუშავებული მოგებიდან. ამის საპირისპიროდ სწრაფად განვითარებადი ქვეყნები, როგორიცაა ბრაზილია და სამხრეთ კორეა, მოელოდნენ, რომ უფრო დიდი მოგება ექნებოდათ მომავალში და სჯეროდათ მაღალი მწარმოებლური საინვესტიციო შესაძლებლობებისა თავიანთ მზარდ სამრეწველო სექტორებში; მათ ჰქონდათ შედარებითი უპირატესობა მომავალ მოგებაში. ამგვარად, ამ დროისათვის (1973-81 წწ.) ნავთობის ექსპორტიორებს ნაწილობრივ გაჰქონდათ არსებული მოხმარება თავიანთი ფულის გასესხებით ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში.

შნებს თუ არა მაღალხელფასიანი ქვეყნების მუშებს კაპიტალის გადატანა განვითარებად ქვეყნებში

ამ სახელმძღვანელოში ჩვენ ხშირად ვიმეორებთ უხერხულობას, რომელიც შეიქმნა განვითარებადი ეკონომიკის სწრაფი ზრდით, ძირითადად აზიაში. მე-4 თავში განვიხილეთ ის საკითხი, რომ განვითარებად ეკონომიკასთან ვაჭრობა სტოლპერ-სამუელსონის ეფექტით ამცირებს მოწინავე ქვეყნების ნაკლებკვალიფიციური მუშების რეალურ ხელფასს და დაეინახეთ, რომ ამას გარკვეული გამართლება ჰქონდა. მე-5 თავში მიუბრუნდით იმ შესაძლებლობას, რომ განვითარებადი ეკონომიკის ზრდა აუარესებს მოწინავე ქვეყნების ვაჭრობის სტრუქტურას და ამცირებს მათ მთლიან რეალურ შემოსავალს. ეს ნაკლებ სარწმუნო იყო. 1990-იან წლებში სოგიერთი მიმოხილველი წუხდა, რომ კაპიტალის ექსპორტი განვითარებად ეკონომიკაში შეამცირებდა მოწინავე ქვეყნების მუშების ხელფასს.

ამ შეხედულების ლოგიკა ასეთია: თუ მაღალხელფასიანი ქვეყნები აფინანსებენ დაბალხელფასიანი ქვეყნების კაპიტალდაბანდებას, ეს ნიშნავს ნაკლებ დანაზოგს ჩვენს ქვეყანაში სააქციო კაპიტალის შესაქმნელად. რადგან ჩვენი ქვეყნის ყოველ მუშას ნაკლები კაპიტალი ექნება მუდმივ მოძრაობაში, ვიდრე სხვა შემთხვევაში, მისი ზღვრული პროდუქტი და აქედან გამომდინარე, მისი ხელფასი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე კაპიტალის გადაღინების არარსებობის დროს. მთლიანი რეალური შემოსავალი, უცხოეთში დაბანდებადი კაპიტალიდან მიღებული მოგების ჩათვლით, შესაძლოა უფრო მაღალი იყოს ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა შრომის რეალური გაუარესებით, მაგრამ უფრო მეტი, ვიდრე მთელი შემოსავალი შესული კაპიტალში.



დაბალ ხელფას დაბალ ხელფასიან ქვეყნებში კაპიტალის დინება. კაპიტალის დიდი შედინება „ნავთობის არმქონე“ განვითარებად ქვეყნებში დაიწყო 1970-იან წლებში. შემდგომ ადგილი ჰქონდა ჩვენარდნას ვალის კრიზისის გამო, ხოლო 1990-იან წლებში კვლავ გაიზარდა. იან ქვეყნებში კაპიტალის დინება. კაპიტალის დიდი შედინება „ნავთობის არმქონე“ განვითარებად ქვეყნებში დაიწყო 1970-იან წლებში. შემდგომ ადგილი ჰქონდა ჩვენარდნას ვალის კრიზისის გამო, ხოლო 1990-იან წლებში კვლავ გაიზარდა.

რაკი ეს საპირისპირო ეფექტი პრინციპულად შესაძლებელია, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება იგი პრაქტიკულად? სოგმა გაელენიანმა პირმა, მაგალითად კლაჯს შკაბბს (შეიცარისის გაელენიანი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელმა) გააფრთხილა მსოფლიო, რომ იგი იღვა აქციების დიდი

გარდაქმნის" წინაშე, რომელიც ბოლოს მოუღებდა მუშების მიერ დიდი ხელფასის გამოიმუშავების შესაძლებლობას მოწინავე ქვეყნებში. სხვა ბევრმა კურნალისტმაც იგივე აზრი გამოთქვა.

ეკონომისტებზე ამას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ისინი მიუთითებდნენ, რომ დიდი ხნით ადრე კაპიტალის გადაადინება დაბალხელფასიან ქვეყნებში ძალიან შეზღუდული იყო; როგორც გრაფიკი გეიხენებს, 22-ე თავში განხილული ვალის კრიზისი (1980-იან წლები) ასეთ გადაადინებას აჩერებდა. უფრო მეტიც, როცა კაპიტალის გადაადინება განვითარებად ქვეყნებში, რაც 1990-იანი წლისათვის განახლდა, უსარმასარი აღმოჩნდა (როგორც გრაფიკი გეიხენებს, მან მიაღწია 85 მლრდ დოლარს 1993 წელს), მაღალხელფასიანი ქვეყნების ეკონომიკა ძალიან მაღალი იყო. ეს ნაკადი მოწინავე ქვეყნების მთლიანი ინვესტიციის ძალიან მცირე წილი გამოდგა (3%-ზე ნაკლები). შედეგად, ეკონომისტების ტიპური შეფასება გულისხმობდა, რომ იმდენად მოწინავე ქვეყნებიდან კაპიტალის გადინებით კი არ შემცირდა იმ ქვეყნების ხელფასები, რამდენადაც პროცენტის წილით.

ამ ანალიზის მიუხედავად, ამ მოვლენებმა (იმ კორპორაციის მიერ დახურული ქარხნების შესახებ, რომელმაც შემდეგ დაიქირავა განვითარებადი ქვეყნების მუშები მესხეთედ ან მეთათედ ფასად ამერიკისა და ევროპის მუშების ხელფასთან შედარებით), გაგრძელებულ ეკონომიკურ სიძნელეებთან ერთად, ბევრი მაღალხელფასიანი ქვეყანა, ჩანს, დაარწმუნა, რომ კაპიტალის გადაადინება განვითარებად ეკონომიკაში რთულ პოლიტიკურ საკითხად დარჩება დიდი ხნის განმავლობაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მრავალეროვნული ფირმები

ბოლო ნაწილში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ საერთაშორისო სესხის აღებასა და გასესხებაზე. ეს შედარებით მარტივი ოპერაციაა, რომელშიც სესხის ამღები არაფერს მოსთხოვს გამსესხებელს, გარდა სესხისა. საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა იღებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სახეს. ამაში იგულისხმება საერთაშორისო კაპიტალის ნაკადი, როდესაც ერთი ქვეყნის ფირმა ქმნის ან აფართოებს ფილიალს სხვა ქვეყანაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის გარკვეული თვისება არის ის, რომ იგი შეიცავს არა მარტო რესურსების გადატანას, არამედ აგრეთვე კონტროლის უფლებასაც. ე.ი. ფილიალს მხოლოდ ფინანსური ვალდებულებები კი არ აქვს სათაო ორგანიზაციის წინაშე; ის ნაწილია იმავე ორგანიზაციის სტრუქტურისა.

მრავალეროვნული ფირმები ხშირად ტრანსპორტის საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო სესხის აღებისა და გასესხებისათვის. სათაო კომპანიები უზრუნველყოფენ თავიანთ უცხოურ ფილიალებს კაპიტალით შესაძლო ანაზღაურების მოლოდინში. რამდენადაც მრავალეროვნული ფირმები უზრუნველყოფენ თავიანთი უცხოური ფილიალების დაფინანსებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის შერჩევითი საშუალება საერთაშორისო გასესხების დასასრულებლად. ის კელავ ტოვებს ღიად საკითხს, თუ რატომ აირჩიეს პირდაპირი ინვესტიცია და არა სხვა საშუალება ფონდების ტრანსფერტისათვის. ყოველ შემთხვევაში, მრავალეროვნული ფირმების არსებობა აუცილებლად ასახავს წმინდა კაპიტალის ნაკადს ერთი ქვეყნიდან მეორეში. ეს ფირმები ზოგჯერ შოულობენ ფულს თავიანთი ფილიალების გასაფართოებლად უფრო იმ ქვეყანაში, სადაც ფილიალია, ვიდრე თავიანთ სამშობლოში. თანაც, არსებობს ბევრი ორმხრივი უცხოური პირდაპირი ინვესტიცია განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ს ფირმები აფართოებენ თავიანთ ევროპულ ფილიალებს იმ დროს, როცა ევროპის ფირმები აფართოებენ თავიანთ ფილიალებს აშშ-ში.

საქმე ისაა, რომ როცა მრავალეროვნული ფირმები ხანდახან ისე იქცევიან, როგორც სატრანსპორტო საშუალება საერთაშორისო კაპიტალის ნაკადისათვის, ალბათ შეცდომაა, განიხილო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, როგორც უპირველესი ალტერნატიული გზა ქვეყნებისათვის – აიღონ სესხი და გაასესხონ. ამის ნაცვლად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ძირითდი ნიშანია, საშუალება მისცეს მრავალეროვნული ორგანიზაციები ჩამოყალიბებას. ე.ი. კონტროლის გაფართოება არის მისი არსებითი ნიშანი.

მაგრამ რატომ სურთ კონტროლის გაფართოება? ეკონომისტებს არ გააჩნიათ მრავალეროვნული საწარმოს სრულყოფილად განვითარებული თეორია, როგორც საერთაშორისო ეკონომიკის სხვა საკითხებზე. მაგრამ მაინც არსებობს თეორია იმ პრობლემებზე, რომელთაც ახლა განვიხილავთ.

მრავალეროვნული საწარმოს თეორია

მრავალეროვნული საწარმოების თეორიის ძირითადი ელემენტები უფრო კარგად ჩანს მაგალითის განხილვით: ავიღოთ ამერიკელი ავტომწარმოებლების ევროპული ოპერაციები. ფორდი და ჯენერალ მოტორსი ბევრ მანქანას ყიდის ევროპაში, მაგრამ თითქმის ყველა ეს მანქანა დამზადებულია გერმანიაში, ბრიტანეთსა და ესპანეთში. ეს ნაცნობი ღონისძიებებია. უნდა გაეიგოთ, რომ არსებობს ორი არსეული: ერთი მხრივ, ევროპის მაგიერად აშშ ფირმებს შეუძლიათ პროდუქცია აწარმოონ აშშ-ში და გაიტანონ ევროპის ბაზარზე. მეორე მხრივ, მთელ ბაზარს შესაძლოა მოემსახურონ ევროპელი მწარმოებლები (მაგალითად, ფოლკსვაგენი და რენო). მაშ რატომ უმჯობეს პროდუქციას ერთი და იგივე ფირმები სხვადასხვა ქვეყანაში?

მრავალეროვნული საწარმოს თანამედროვე თეორია ორი საკითხიდან ირჩევს ერთ-ერთს, რომელსაც ორი ქვეკითხვა ახლავს: პირველი, რატომ იწარმოება საქონელი ორ ან მეტ ქვეყანაში და არა ერთში? ეს განთავსების საკითხია. მეორე, რატომ ხდება წარმოება სხვადასხვა ადგილებში იმავე ფირმის მიერ და არა სხვა ფირმების მიერ? ეს ინტერნალიზაციის (ტრანსფორმაცია) საკითხია. საჭიროა, განთავსების თეორიამ ახსნას, რატომ არ შემოაქვს ევროპას თავისი ავტომანქანები აშშ-დან; ტრანსფორმაციის თეორიამ კი გაარკვიოს, რატომ დამოუკიდებლად არ კონტროლდება ევროპის ავტომანქანების მრეწველობა.

განთავსების თეორია არ არის პრინციპულად ძნელი. ესაა მხოლოდ ვაჭრობის თეორია, რომელიც განვიხილეთ 2-დან 6 თავის ჩათვლით. წარმოების განთავსება ხშირად განისაზღვრება რესურსებით. ალუმინის საბადო უნდა იყოს იქ, სადაც ბოქსიტია, მინიკომპიუტერების მწარმოებლები განთავსებენ თავიანთ ნახელავ მოწყობილობას მასაჩუსეტსში, ან ჩრდილოეთ კალიფორნიაში და თავიანთ შრომაინტენსიურ ქარხნებს ირლანდიაში ან სინგაპურში. სხვანაირად, სატრანსპორტო ხარჯები და ტრანსპორტის სხვა ბარიერებიც მოქმედებენ განთავსებაზე. ამერიკული ფირმები აწარმოებენ ევროპის ადგილობრივი ბაზრებისათვის ნაწილობრივ ტრანსპორტის ხარჯების შესამცირებლად; რადგან მანქანის მოდელი, რომელიც სარეზინად იყიდება ევროპაში, ხშირად დიდად განსხვავდება იმისაგან, რაც კარგად იყიდება აშშ-ში, აზრი აქვს ცალკე საწარმოო სიმძლავრეების განთავსებას სხვადასხვა კონტინენტზე. როგორც მაგალითები გეჩვენებენ, ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მრავალეროვნული კორპორაციის გადაწყვეტილებებს, თუ სად უნდა აწარმოონ პროდუქცია, ალბათ, დიდად არ განსხვავდება იმათგან, რომლებიც საერთოდ ვაჭრობის სტრუქტურას განსაზღვრავენ.

ტრანსფორმაციის თეორია სხვა რამაა. რატომ არ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ავტოკომპანიები ევროპაში? ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველთვის არსებობს მნიშვნელოვანი გარიგებები მრავალეროვნული ფირმების ოპერაციებს შორის სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი ფილიალის გამოშვება მეორესათვის დანახარჯია. ან ერთ ქვეყანაში განვითარებული ტექნოლოგია შეიძლება მეორეში იქნეს გამოყენებული. ეს გარიგებები ერთმანეთს უკავშირებენ მრავალეროვნულ ფირმებს და საეარაუდოა, რომ ფირმა არსებობს სწორედ ამ გარიგებების უზრუნველსაყოფად. მაგრამ საერთაშორისო გარიგებები არ უნდა ხდებოდეს ფირმის შიგნით. კომპონენტები შესაძლოა გაიყიდოს დია ბაზარზე და ტექნოლოგია ლიცენზირებულ იქნას სხვა ფირმაში. მრავალეროვნული ფირმები არსებობენ, რადგან ისინი უფრო მომგებიანი არიან ამ გარიგებების საწარმოებლად ფირმის შიგნით, ვიდრე ფირმებს შორის; ამიტომ მრავალეროვნული ფირმების არსებობის მოტივი განეკუთვნება „ტრანსფორმაციას“ (ინტერნალიზაცია). ჩვენ ჩამოვყალიბეთ კონცეფცია, მაგრამ ჯერ არ აგვიხსნია, რა წარმოშობს ტრანსფორმაციას. რატომ ტარდება ზოგიერთი გარიგება მომგებიანად ფირმაში და არა ფირმებს შორის? არსებობს თეორიების მრავალგვარობა, მაგრამ არცერთი არ არის ისე კარგად დასაბუთებული, როგორც ჩვენი განთავსების თეორია. შეგვიძლია შევნიშნოთ ორი გაერცელებული შეხედულება, თუ რატომ შეიძლება, საქმიანობები სხვადასხვა ქვეყანაში იყოს უფრო გამოსადეგად ინტეგრირებული ერთი ცალკე ფირმისათვის.

პირველი შეხედულება ხაზგასმით აღნიშნავს ტექნოლოგიური მიღწევების ტრანსფერტს. ტექნოლოგია, როგორც ფართოდ გაშუქებული ნებისმიერი ეკონომიკური ცოდნა, შესაძლოა გაიყიდოს ან ლიცენზირებულ იქნას, თუმც მნიშვნელოვანი სირთულეები ახლავს ამის შესრულებას. ტექნოლოგიას ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ. მისი თეორიული არსი განსხვავებული იყო პიროვნებათა ცოდნაში და გაყიდვას და მსგავს პრაქტიკულ პროცესებს არ ექვემდებარებოდა. პერსპექტიულმა მედიკოსებმა კი არ იცოდა, რა ღირდა ის ცოდნა, რისი შექმნაც სურდა. ცოდნა საკუთრებაა, თუმცა ამ უფლების ბოლომდე განხორციელება თითქმის შეუძლებელი. მაგალითად, თუ ევროპული ფირმა ტექნოლოგიის ლიცენზიას აძლევს აშშ-ს ფირმას, აქაურ სხვა ფირმებს კანონიერად შეუძლიათ ამ ტექნოლოგიის მიმსგავსებული პროცესები შეიმუშაონ. ყველა ეს პრობლემა შემცირდება, თუ ფირმა ტექნოლოგიის გაყიდვის მაგიერად დაიწყებს მოგების აღებას სხვა ქვეყნებში უცხოური ფილიალების ჩამოყალიბებით და მოცემული ტექნოლოგიის დანერგვით.

მეორე შეხედულება ხაზს უსვამს ვერტიკალური ინტეგრაციის ტრანსფორმაციას. თუ ერთი ფირმა („აღმავალი“ ფირმა) აწარმოებს საქონელს, რომელსაც როგორც დანახარჯს იყენებენ სხვა ფირმები („დაღმავალი“ ფირმა), შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე პრობლემა. თუ თითოეულს აქვს მონოპოლიური მდგომარეობა, კონფლიქტი არ ასცდება – დაღმავალი ფირმა ეცდება დაწიოს ფასები, აღმავალი ფირმა გაზრდას მონიდომებს. შესაძლოა არსებობდეს კოორდინაციის პრობლემები, თუ მოთხოვნა და მიწოდება საეჭვოა; და ბოლოს, მერყევა ფასმა იქნებ გამოიწვიოს მეტისმეტი რისკი რომელიმე მხარისათვის. თუ აღმავალი და დაღმავალი ფირმები შეუროდებიან ერთ „ვერტიკალურად ინტეგრირებულ“ ფირმად, ამ პრობლემის აცილება ან შემცირება შესაძლოა.

საეჭვო არ არის, ეს შეხედულებები ისევე კარგად არის დამუშავებული, როგორც ამ წიგნში მოცემული ვაჭრობის ანალიზი. ორგანიზაციების ეკონომიკური თეორია – რომელსაც ჩვენ ვსაუბრობთ, როცა ვაერთარებთ მრავალეროვნული კორპორაციების ტრანსფორმაციის თეორიას – ჯერ კიდევ საყმაწვილო ასაკშია. ეს სამწუხაროა, რადგან პრაქტიკულად მრავალეროვნული ფირმები გაცხოველებულ წინააღმდეგობებს ბადებს თეორეტიკოსთა შორის – სოჯი აქებს, როგორც ეკონომიკური დაწინაურების ხელშემწყობს, სოჯი ბრალს სდებს სიღარიბის გამოს.

მრავალეროვნული ფირმები პრაქტიკაში

მრავალეროვნული ფირმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში და ინვესტიციაში. მაგალითად, აშშ იმპორტის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენს გარიგებები „დაკავშირებულ მხარეებს“ შორის. იგულისხმება, რომ მყიდველიც და გამყიდველიც მნიშვნელოვან წილად ეკუთვნის ფირმას და კონტროლდება იმავე ფირმის მიერ. ასე რომ, აშშ იმპორტის ნახევარი განიხილება, როგორც მრავალეროვნული ფირმების დარგებს შორის ოპერაციები. იმავე დროს სასაღვარჯთო აშშ-ს აქციების 24% წარმოადგენს აშშ ფირმის უცხოური ფილიალების ღირებულება. ამგვარად, აშშ საერთაშორისო ეკონომიკა და ინვესტიცია მნიშვნელოვან წილად იმართება ასეთი ფირმების მიერ.

მრავალეროვნული ფირმები შესაძლოა ადგილობრივ ან უცხოურ მფლობელობაში იყვნენ. უცხოეთის მფლობელობაში არსებული ფირმები დიდ როლს ასრულებენ ეკონომიკაში უმეტესობაში და გაცილებით დიდ როლს – აშშ-ში. 7-1 ცხრილი გვიჩვენებს აღნიშნულ როლს სამი მთავარი გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში (გახსოვდეთ, რომ უცხოელები ფლობენ გადამამუშავებელი მრეწველობის გაცილებით დიდ წილს, ვიდრე მთლიანად ეკონომიკისა). ცხრილიდან ჩანს, თუ ამერიკელები როგორ ვერ ეჩვენებიან აზრს, რომ იმუშაონ უცხოეთის მფლობელობაში მყოფი კომპანიებისათვის და ზოგჯერ ნერეიულობენ აღმავალ უცხოურ მფლობელობაში თანამონაწილეობის გამო.

ცხრილი 7-1 უცხოეთის მფლობელობაში არსებული ფირმების წილი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გაყიდვაში, დამატებით ღირებულებასა და დასაქმებაში – 1985-1990 წწ. (%-ით)

	რეალიზაცია		დამატებული ღირებულება		დასაქმება	
	1985	1990	1985	1990	1985	1990
ქვეყნები						
საფრანგეთი	26.7	28.4	25.3	27.1	21.1	23.7
დიდი ბრიტანეთი	20.3	24.1	18.7	21.1	14.0	14.9
აშშ	8.0	16.4	8.3	13.4	8.0	10.8

ცხრილი გვიჩვენებს, რომ სანამ დიდმასშტაბიანი უცხოური მფლობელობა აქ შესაძლოა უჩვეულო იყოს, სხვაგან ის უკვე დრომოჭმულია: საფრანგეთი ამჟამად თავისი კულტურული დამოუკიდებლობით, მაგრამ 1985-იან წლებში მისი გადამამუშავებელი მრეწველობის მუშების 1/5-ზე მეტი დასაქმებული იყო უცხოურ ფირმებში. ცხრილი, აგრეთვე, გვიდასტურებს, რომ მკვეთრად გადიდდა უცხოურ მფლობელობაში აშშ წილი 1980-იან წლებში; მაგალითად, 1985-90 წლებში ეს წილი გაყიდვების სფეროში გაორმაგდა. ამ ზრდამ იგი დაამსგავსა იმ ქვეყნებს, სადაც არსებითი უცხოური საკუთრება დიდი ხანია უკვე ცხოვრებისეულ ფაქტად იქცა.

შედარებითი სტატისტიკის სიმწირის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ მთავარ მწარმოებლებს შორის იაპონია გამოჩნდა, რომელსაც ძალიან მცირე უცხოური საკუთრება აქვს. ეს არაა გამოწვეული იმის გამოვლინებით: დოკუმენტების წყალობით უცხოელებს თავისუფლად შეუძლიათ გახსნან ქარხნები იაპონიაში, შეიძინონ იაპონური კომპანიები (მცირე გამოჩნდა გარდა). მაგრამ ეროვნულ-ისტორიული კულტურის წინააღმდეგობანი (მაგალითად, ბევრ იაპონელს არ სურს მუშაობა უცხოური კომპანიებისათვის) და შესაძლოა ბიუროკრატიული ბარიერებიც ხელს უშლიან უცხოეთის ბაზარზე შექმნილი მრავალეროვნული ფირმების დიდმასშტაბიან ოპერაციებს.

რა მნიშვნელობა აქვს მრავალეროვნულ ფირმას? – მნიშვნელოვანი კითხვაა! ვიწრო გაგებით, თუ რატომ არსებობს მრავალეროვნული ფირმა, პასუხის გაცემა ძნელია. და მაინც, არსებული თეორიის საფუძველზე შეიძლება ამ ინტერესის ახსნა.

ჩანს, რომ რისი გაკეთებაც მრავალეროვნულ ფირმას შეუძლია, შეიძლება გაკეთდეს უიმიოდაც, თუმცა ისე იოლად არა. შრომანტენსიური წარმოების გადახრა განვითარებული ქვეყნებიდან ჭარბი მუშახელის მქონე ქვეყნებისაკენ და კაპიტალის ნაკადი კაპიტალანტენსიური ქვეყნებიდან კაპიტალშეზღუდული ქვეყნებისაკენ – აი, ორი პროცესი, რომელთა ცვლილებების ფაქტორს ზოგჯერ წარმოადგენენ მრავალეროვნული ფირმები. ამიტომაც კომენტატორები საკუთარი შეხედულებებისამებრ აქებენ ან აძაგებენ ამ ფირმებს. მრავალეროვნული ფირმის ჩუენი თეორიის მიხედვით, რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი ეკონომიკის თეორიისაგან, აღნიშნული გადახრები ასახავს „განთავსების“ ასპექტს. მრავალეროვნული ფირმების გარეშეც საქმე მსგავსადვე წარიმართებოდა, თუმცა არა იმავე მასშტაბით.

ზოგადად, რასაც მრავალეროვნული კორპორაციები აკეთებენ იმით, რომ ქმნიან ორგანიზაციებს ეროვნულ საზღვრებს იქით, მსგავსია ეკონომიკისა და ფაქტორების მობილურობის ეფექტებისა; ე.ი. ესაა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა. იმ საერთაშორისო ინტეგრაციის სხვა ფორმების მსგავსად (რაც ნუნა

შევისწავლეთ), მოსალოდნელია, მრავალეროვნული ფირმაც აწარმოებდეს მთლიან შემოსავალს, მაგრამ ამ შემოსავლის განაწილების ეფექტის სხვადასხვაობის გამო ზოგიერთის მდგომარეობას აუარესებს. შემოსავლის განაწილების ასეთი ეფექტი ძირითადად ქვეყნის შიგნითა ეფექტი უფროა, ვიდრე ქვეყანათაშორისი.

ამრიგად, მრავალეროვნული კორპორაციები შესაძლოა არც ისე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს მსოფლიო ეკონომიკისათვის, როგორც მათი მიმოხილვიდან ერთი შეხედვით ჩანს; მათი როლი არც მეტად სასარგებლოა და არც ნაკლებად სხვა საერთაშორისო კავშირებთან შედარებით.

საკითხის შესწავლისთვის


უცხოური პირდაპირი ინვესტიციები აშშ-ში

აქამდე აშშ-ს თითქმის ყოველთვის „ადგილობრივ“ ქვეყნად ვთვლიდით და არა „მასპინძლად“ უცხოეთის ბაზაზე ჩამოყალიბებული ფირმებისა თუ საერთაშორისო საწარმოებისათვის. 1968 წელს ფრანგი მკვლევარი ჟან-ჟაკ სერვან-შრებიერი თავის ნაშრომს ასათაურებს „ამერიკული პრობლემა“. იგი მიმართულია მრავალეროვნული ფირმების ზრდის წინააღმდეგ.

ადრე, აშშ-ს მთავრობა ტრადიციულად იცავდა მრავალეროვნულ ფირმებს კრიტიკისაგან (მაგალითად, სერვან-შრებიერისა და მესამე მსოფლიოს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამცველებისაგან). 1980-იან წლებში ვითარება შეიცვალა, როცა აშშ გადაიქცა სხვა მოწინავე ქვეყნების მხრიდან უპრეცედენტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამიზნედ.

გრაფიკი 7-5 უცხო ქვეყნის პირდაპირი ინვესტიცია აშშ-ში

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, კუპის პროცენტით



უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი აშშ-ში შემცირდა 1978-1981 წლებში და 1986 წლის შემდეგაც, და სწრაფად გაზარდა აშშ-ს წარმოების წილი, რომელსაც უცხოური ფირმები აკონტროლებდნენ

7-5 გრაფიკი გეინვენებს 1973 წლიდან აშშ-ში უცხოური პირდაპირი ინვესტიციის ნაკადს, რომელიც ეროვნული შემოსავლის წილად ითვლება. პირდაპირი ინვესტიციის ორი ტალღა განჩნდა 1970-იანი წლებიდან: პირველი 1978-81 წწ., მეორე – 1986-90 წწ. 1990-იანი წლისათვის აშშ მუშების დაახლოებით 4% დასაქმებული იყო უცხო ქვეყნების ფირმების მიერ. უცხოური საკუთრება თავმოყრილი იყო ფინანსებსა და გადამამუშავებელ მრეწველობაში; 1990-იან წლისათვის აშშ გადამამუშავებელი მრეწველობის აქციების 12%-ზე და საბანკო აქციების 20%-ზე მეტი ეკუთვნოდათ უცხო ქვეყნებს.

უცხოური ინვესტიციები აშშ-ში სხვადასხვა გზით შემოვიდა და უამრავი სახე მიიღო. ყველაზე რეკლამირებული ინვესტიცია იყო გადამამუშავებელ, განსაკუთრებით საავტომობილო მრეწველობაში ქარხნების დაფუძნება. იაპონიის ხუთმა საავტომობილო ფირმამ ააგო ქარხნები. სადაც მსადღებოდა აშშ-ში 1991 წელს გამოშვებული მანქანების 11%. აშშ-ში არსებული ფირმები შეიძინა ბევრმა ქვეყანამ. განსაკუთრებით ევროპამ და კანადამ იაპონურ კორპორაციებთან შედარებით. მაგალითად გამოდგება სიგრამის მიერ ტროიკანას, ხოლო ბრიტიშ პეტროლეუმის მიერ სლიოს შექმნა.

რატომ ეტანებიან უცხოური ფირმები აშშ-ს? როგორც აღვნიშნეთ, ჯერ უნდა გაიგოთ, რატომ იწარმოება ესა თუ ის საქონელი აშშ-ში და რატომ აწარმოებს მას უცხოური და არა აშშ ფირმები. განთავსების გადაწყვეტილებათა მიღების ახსნა არც თუ იოლია. ერთი ახსნა არის გადახრა შეფარდებითი ღირებულებიდან: აშშ ხელფასები უკვე აღარ არის ისე მაღალი, როგორც ადრე იყო – 1985-87 წლებში დოლარის კურსის შემცირებამ იგი ჩამოიყვანა გერმანიაში არსებული ხელფასების დონეზე დაბლა და იაპონიაში არსებულზე უფრო მაღლა. მეორე ახსნა არის პროტექციონიზმის შიში: უცხოური ფირმები, განსაკუთრებით იაპონიისა, აქედლებენ წარმოებას აშშ-ში ან იმპორტის ქსოვების იმედით ან პროტექციონიზმის გავლენისაგან თავის დაცვით, აშშ-ში ხაზგასმით ადგილების უსრუქველყოფით. თუ რატომ ქმნიან თავიანთ საწარმოებს ამერიკაში უცხოელები და არა ადგილობრივი ფირმები, პასუხი

ასეთია – უცხოეთის ფირმები დარწმუნებულნი არიან, რომ აქვთ უმაღლესი ტექნოლოგია და მმართველობის დახვეწილი მეთოდები, რაც საშუალებას აძლევთ აწარმოონ უფრო ეფექტურად, ვიდრე ადგილობრივმა კონკურენტებმა.

აშშ-ში პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი – ნაჩვენები 7-5 გრაფიკში – არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული აშშ კაპიტალის მთლიან იმპორტთან, რომელიც გაიზარდა 1980-იან წლებში. პირდაპირი ინვესტიციის პირველი ტალღა მოვიდა კაპიტალის ფართომასშტაბიანი იმპორტის გამოჩენის წინ; მეორე ტალღა მაშინვე არ გამოჩენილა, როცა კაპიტალის დიდი იმპორტი დაიწყო; იგი ფაქტობრივად მაშინ მოაწყო ამერიკას, როცა მისი კაპიტალის იმპორტს შემცირება დაეტყო. ნათქვამი ხაზს უსვამს იმას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არ არის კაპიტალის გადატანის უპირველესი გზა.

1994-95 წლებში შემცირებადი დოლარისა და აშშ-ში ეკონომიკური აღორძინების შესაძლებლობის კომბინაციამ გამოიწვია უცხოური პირდაპირი ინვესტიციის რამდენადმე გამოცოცხლება.

ჩეჯივები

1. ფაქტორის საერთაშორისო დინამიკამ შეიძლება ზოგჯერ შეცვალოს ვაჭრობა, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია თავისი მიზეზ-შედეგით წააგავს საერთაშორისო ვაჭრობას, რომელიც ეყრდნობა რესურსების განსხვავებას. სამუშაო ძალა გადაადგილდება იმ ქვეყნიდან, სადაც მისი სიჭარბეა, იმ ქვეყანაში, სადაც ის მცირეა. ეს გადაადგილება ზრდის მსოფლიო მთლიან გამოშვებას ისე, რომ ზოგიერთი ჯგუფი ზარალდება.
2. საერთაშორისო სესხის აღება და გასესხება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის სახე, მაგრამ ისეთი, რომელიც ეხება უფრო არსებული მოხმარებით ვაჭრობას მომავალი მოხმარებისათვის, ვიდრე ერთი საქონლით ვაჭრობას მეორე საქონლისათვის. შესადარი ფასი, რომლითაც ხდება დროთაშორისი ვაჭრობა, არის ამ ფასს მიმატებული რეალური საპროცენტო განაკვეთი.
3. მრავალეროვნული ფირმები, ხშირად გამოიყენებენ დამხმარე საშუალებად სესხის აღებასა და გასესხებაში. ისინი უპირველესად არსებობენ როგორც კონტროლის საშუალება იმ ქმედებებზე, რაც მოხდა ორ ან მეტ სხვადასხვა ქვეყანაში. მრავალეროვნული ფირმების თეორია ისე კარგად არ არის დამუშავებული, როგორც საერთაშორისო ეკონომიკის სხვა ნაწილები. შესაძლოა წარმოდგენილ იქნას ძირითადი სტრუქტურა ორი კრიტიკული მოტივით, რომელიც ხსნის მრავალეროვნული ფირმების არსს: განთავსების მოტივი, რასაც გადააქვს ფირმის საქმიანობა სხვადასხვა ქვეყანაში და ტრანსფორმაციის მოტივი, რომელიც იწვევს ამ საქმიანობის ინტეგრირებას ცალკე ფირმასთან. მრავალეროვნული ფირმებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ყველა განთავსების მოტივი ერთნაირია. ტრანსფორმაციის მოტივები ნაკლებად ნათელი. არსებული თეორია მიგვიჩვენებს ტექნიკის მიღწევებისა და უპირატესობების გადაცემის საჭიროებაზე ვერტიკალური ინტეგრაციის შემთხვევებში.

ძირითადი ტერმინები

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობა

ფაქტორის დინამიკა
მრავალეროვნული ფირმების განთავსებისა და
ტრანსფორმაციის მოტივები
ტექნიკური მიღწევების გადაცემა

რეალური საპროცენტო განაკვეთი
ვერტიკალური ინტეგრაცია

კითხვები

1. ჩვენთან და უცხოეთში არსებობს წარმოების ორი ფაქტორი: მიწა და სამუშაო ძალა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ერთი საქონლის საწარმოებლად. მიწის მიწოდება და წარმოების ტექნიკა თითოეულ ქვეყანაში თითქმის ერთი და იგივეა. შრომის ზღვრული პროდუქტი ორივეში შემდეგნაირადაა დამოკიდებული დასაქმებაზე.

დასაქმებული მეშუების რაოდენობა	ბოლო მეშის ზღვრული პროდუქტი
1	20
2	19
3	18
4	17
5	16
6	15
7	14
8	13
9	12
10	11
11	10

11 მეშა ჩვენ ქვეყანაშია დასაქმებული და მხოლოდ 3 უცხოეთში.

- გამოიანგარიშეთ ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების ეფექტი დასაქმებაზე, წარმოებაზე, რეალურ ხელფასსა და მიწისმფლობელთა შემოსავალზე თითოეულ ქვეყანაში.
2. დაეუშვათ, ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ქვეყანა და ჭარბი მიწის მქონე ქვეყანა – ორივე აწარმოებს შრომა-ინტენსიურ და მიწა-ინტენსიურ საქონელს ერთი და იმავე ტექნიკით. მე-4 თავში მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით ჯერ გააანალიზეთ ის პირობები, რომლის დროსაც ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის გამორიცხავს სამუშაო ძალის მიგრაციის სურვილს. შემდეგ მე-5 თავში მოცემული ანალიზის საფუძველზე გვიჩვენეთ, რომ ერთი ქვეყნის ტარიფი წარმოშობს სამუშაო ძალის მიგრაციის სტიმულს.
 3. ახსენით საერთაშორისო სესხის აღება-გასესხებასა და ჩვეულებრივ საერთაშორისო ვაჭრობას შორის მსგავსება.
 4. თქვენი აზრით, რომელ ქვეყანას ექნება დროთაშორისი წარმოების შესაძლებლობანი; რომელი იხრება მიმდინარე სამომხმარებლო საქონლისაკენ ან მომავლისაკენ: ა) არგენტინას და კანადას, (ბოლო საუკუნეში), რომელიც ეს-ესაა გაიხსნა ფართომასშტაბიანი დასახლებისათვის და იღებს ემიგრანტების დიდ ნაკადს. ბ) დიდი ბრიტანეთს, გვიან მე-19 საუკუნეში, ან აშშ-ს დღეს, რომელიც მსოფლიოს ტექნოლოგიურად მართავს, მაგრამ ამჩნევს, რომ ეს მართვა მცირდება – მას უკვე სხვა ქვეყნები ეწევიან. გ) საუდის არაბეთს, რომელმაც ნაუთობის დიდი საბადო აღმოაჩინა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაკლები ახალი ინვესტიციით. დ) ნორუეგიას, რომელმაც ნაუთობის დიდი საბადო აღმოაჩინა, რის გამოყენებაც შეიძლება მხოლოდ უზარმაზარი ინვესტიციით. ნაუთობის ეს მარაგი ჩრდილოეთის ზღვის ფსკერზეა. ე) სამხრეთ კორეას, რომელიც დიდად გაიწაფა სამრეწველო საქონლის წარმოებაში და სწრაფად ეწევა მოწინავე ქვეყნებს.
 5. რომელია პირდაპირი უცხოური ინვესტიცია და რომელი არა: ა) საუდელი ბიზნესმენი ყიდულობს ნიუ-იორკში საცხოვრებელ სახლს. ბ) ფრანგული კომპანია ერწმის ამერიკულ კომპანიას; აშშ კომპანიის აქციის მფლობელები თავიანთ ქონებას ცვლიან ფრანგული ფირმის აქციებში. გ) იტალიური ფირმა აშენებს ქარხანას რუსეთში და მართავს მას, როგორც რუსეთის მთაწარმის მოიჯარე.
 6. კარმას კომპიუტერულმა კომპანიამ გადაწყვიტა გაეხსნა ბრაზილიური ფილიალი. ბრაზილიის იმპორტის შეზღუდვებმა ხელი შეუშალა ფირმას, ევაჭრა ბაზარში მასწინ, როცა ფირმას არ სურდა გაეყიდა ან გაეცა თავისი პატენტი ბრაზილიური ფირმებისათვის, რადგან იგი შიშობდა, რომ ეს აენებდა მის ტექნიკურ წინსვლას აშშ-ს ბაზარზე. გააანალიზეთ კარმას გადაწყვეტილება მრავალეროვნული საწარმოების თეორიის გათვალისწინებით.

უზრო მები რამ ღროთაშორისი ვაჭრობის შესახებ

ამ ღანართში უფრო დაწერილებითაა განხილული ღროთაშორისი ვაჭრობის ორპერიოდისი მოდელები. იგივე კონცეფციას გამოყენებული, რაც მე-5 თავში, სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის საერთაშორისო ბრუნვის გასაანალიზებლად. ამ პირობებში ეკონომიკური მოდელები გვიჩვენებს ინვესტიციისა და სესხის აღების საერთაშორისო მოდელებს და ღროთაშორისი ვაჭრობის პირობების განსაზღვრას (ე.ი. რეალურ საპროცენტო განაკვეთს).


ჯერ შევხებით ჩვენ ქვეყანას. ღროთაშორისი საწარმოო შესაძლებლობათა ზღვარი ნაჩვენებია 7ღ-1 გრაფიკში. გაიხსენეთ, რომ შინ დამზადებული დღევანდელი და მომავალი სამომხმარებლო საქონლის რაოდენობა დამოკიდებულია იმ მიმდინარე სამომხმარებლო პროდუქციის რაოდენობაზე, რომელიც დაბანდებულია მომავალი საქონლის საწარმოებლად. რადგან არსებული ხელმისაწვდომი რესურსები გადატანილია სამერმისოდ დასაბანდებლად მიმდინარე მოხმარებიდან, ამ უკანასკნელის წარმოება Q მცირდება და მომავალი მოხმარების წარმოება Q' იზრდება. ამიტომაც, გაზრდილი დაბანდება ეკონომიკას გადაწვეს ზევით და მარცხნივ - ღროთაშორისი საწარმოო შესაძლებლობის ზღვარის გასწვრივ.

ამ თავში ნაჩვენებია, რომ მომავალი მოხმარების ფასი არსებულის გათვალისწინებით არის $V/(1+r)$, სადაც r არის რეალური საპროცენტო განაკვეთი. არსებული მოხმარების გათვალისწინებით ეკონომიკის მთლიანი წარმოების ღირებულება არსებობის ორი პერიოდის განმავლობაში არის

$$V = Q_p + Q_f / (1 + r)$$

7ღ-1 გრაფიკი გვიჩვენებს ერთნაირი ღირებულების აღმნიშვნელ მრუდებს, რაც შეესატყვისება შესადარის $V/(1+r)$ ფასს V სხვადასხვა ღირებულებასთან. ესაა სწორი მრუდები - $(1+r)$ დაქანებით (მომავალი მოხმარება აღინიშნება ვერტიკალურ ღერძზე). როგორც ვაჭრობის სტანდარტულ მოდელებში, ფირმის გადაწყვეტილებებს მიყვავართ წარმოების სტრუქტურამდე, რომელიც მაქსიმუმამდე ზრდის წარმოების ღირებულებას საბაზრო ფასებით, $Q_p + Q_f / (1+r)$ ამიტომ წარმოება ხდება Q წერტილში. ეკონომიკა აბანდებს ნაჩვენებ რაოდენობას, ტოვებს Q' -ს არსებული მოხმარებისათვის და აწარმოებს Q_f რაოდენობას მომავალი მოხმარებისთვის, როცა პირველპერიოდისი დაბანდება გასწორებულია.

გრაფიკი 7ღ-1 ჩვენი ქვეყნის ღროთაშორისი საწარმოო სტრუქტურის განსაზღვრა




მსოფლიოს რეალური საპროცენტო r განაკვეთი, ჩვენი ქვეყნის ინვესტიციის დონე, მაქსიმუმამდე ზრდის წარმოების ღირებულებას იმ ორი პერიოდის განმავლობაში, რაც ეკონომიკა არსებობს.

შენიშნეთ, რომ Q წერტილზე ნაჩვენებია ჭარბი მომავალი მოხმარება, რომელიც მიიღება არსებული მოხმარების დამატებითი ერთეულის დაბანდებით; ეს უდრის $(1+r)$ -ს. არაეფექტური იქნება დაბანდების გადატანა Q წერტილიდან, რადგან ეკონომიკა მოიგებს დამატებითი არსებული მოხმარების გასესხებით უცხოელებზე. 7ღ-1 გრაფიკი გულისხმობს, რომ მსოფლიო რეალური საპროცენტო r განაკვეთის ზრდას, რომელიც ერთნაირი ღირებულების მრუდების დაქანებას იწვევს, დაბანდების შემცირება მოჰყვება.

7ღ-2 გრაფიკი გვიჩვენებს, როგორაა განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო სტრუქტურა მოცემული ქვეყნის საპროცენტო განაკვეთისათვის. დაუშვათ, D და D' არის არსებული და მომავალი სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნა. რადგან წარმოება არის Q წერტილში, ეკონომიკის სამომხმარებლო შესაძლებლობის ორი პერიოდის განმავლობაში მცირდება ღროთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვებით:

$$D_p + D_f / (1 + r) = Q_p + Q_f / (1 + r)$$

გრაფიკი 7დ-2 ჩვენი ქვეყნის დროთაშორისო მოხმარების სტრუქტურის განსაზღვრა




ჩვენი ქვეყნის მოხმარება ათავსებს დროთაშორისი მოხმარების სტრუქტურას გულგრილობის უმაღლეს მრუდზე, ვხედავთ რა დროთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვებს. ეკონომიკას ექსპორტის სახით გააქვს ამჟამინდელი მოხმარების $Q_F^1 - D_F^1$ ერთეული და შემოაქვს მომავალი მოხმარების $D_F^1 - Q_F^1 = (1+r) \times (Q_F^1 - D_F^1)$ ერთეული.

ამ შესაძლებლობით დგინდება, რომ ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ღირებულება ორი პერიოდის განმავლობაში (არსებული მოხმარების გათვალისწინებით) უდრის ამავე დროში დამზადებული სამომხმარებლო საქონლის ღირებულებას (გაზომილია არსებული სამომხმარებლო ერთეულით). სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოება და მოხმარება უნდა მდებარეობდეს ერთნაირი ღირებულების მრუდზე.

წერტილი D , სადაც ჩვენი ქვეყნის შეზღუდვის მრუდი კვეთს გულგრილობის უმაღლეს მისაწვდომ მრუდს, გვიჩვენებს ეკონომიკის მიერ არსებული და მომავალი მოხმარების დონეს. ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა არსებულ მოხმარებაზე D^1 უფრო მცირეა, ვიდრე არსებული მოხმარების Q^1 წარმოება; ასე რომ, მას უცხოეთში გააქვს (ე.ი. გაასწესებს) $Q - D^1$ არსებული მოხმარების ერთეული. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას უცხოეთიდან შემოაქვს $D^1 - Q^1$ მომავალი მოხმარების ერთეული, როცა მისი პირველი პერიოდის სესხი პროცენტითაა გადახდილი. დროთაშორისი საბიუჯეტო შეზღუდვა გულისხმობს, რომ $D_F^1 - Q_F^1 = (1+r) \times (Q_F^1 - D_F^1)$, ე.ი. ვატრობა დროთაშორისად გაწონასწორებულია.

გრაფიკი 7დ-3 უცხო ქვეყნის დროთაშორისი წარმოებისა და მოხმარების მოდელის განსაზღვრა




უცხოეთი აწარმოებს Q^* წერტილზე და მოიხმარს D^* წერტილზე, შემოაქვს რა არსებული მოხმარების $D_F^{*1} - Q_F^{*1}$ ერთეული და გააქვს მომავალი მოხმარების $Q_F^{*1} - D_F^{*1} = (1+r) \times (D_F^{*1} - Q_F^{*1})$ ერთეული.

7დ-3 გრაფიკი გვიჩვენებს, როგორ არის გადაწყვეტილი დაბანდება და მოხმარება უცხო ქვეყანაში. დაშვებულია, რომ უცხო ქვეყანაში არის შედარებით უპირატესობა მომავალი სამომხმარებლო საქონლის წარმოებაში. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ r რეალური საპროცენტო განაკვეთით უცხო ქვეყანა იღებს სესხად სამომხმარებლო საქონელს პირველ პერიოდში და ანაზღაურებს ამ სესხს სამომხმარებლო საქონლის გამოყენებით, რომელიც წარმოებულია მეორე პერიოდში. მისი შედარებით მდიდარი ადგილობრივი საინვესტიციო შესაძლებლობისა და მისი არსებული მოხმარების შეფარდებითი უპირატესობის გამო, უცხო ქვეყანა არის დღევანდელი მოხმარების იმპორტიორი და მომავლის ექსპორტიორი.

როგორც მე-5 თავის ჩანართში აღვნიშნეთ, საერთაშორისო წონასწორობა შეიძლება დახასიათდეს შემოთავაზების მრუდით. გაიხსენეთ, რომ ქვეყნის შემოთავაზების მრუდი არის შედგენილი თამაშისა - მისი სასურველი ექსპორტისა სასურველი იმპორტის წინააღმდეგ. ახლა გრაფიკზე დახაზული საქონლებრივია მოიცავს არსებულ და მომავალ მოხმარებას. 7დ-4 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ წონასწორული რეალური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია ჩვენი და უცხო ქვეყნის შეთავაზების მრუდებით OP და OF , რომლებიც გადაიკვეთებიან E წერტილში. OE მრუდს აქვს $(1+r)$ დაქანება, სადაც r არის წონასწორული მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი. E წერტილზე ჩვენი ქვეყნის არსებული მოხმარების სასურველი ექსპორტი

უღრის უცხო ქვეყნების არსებული მოხმარების სასურველ იმპორტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, E წერტილზე სწავნი ქვეყნის სასურველი პირველი პერიოდის გასესხება უღრის უცხო ქვეყნის სასურველი პირველი პერიოდის შესხის აღებას. ამიტომაც მიწოდება და მოთხოვნა თანაბარია ორივე პერიოდში.

მომავალი მოხმარების უცხოური ექსპორტი ($Q_p^* - D_p^*$) და მომავალი მოხმარების ჩვენი ქვეყნის იმპორტი ($D_p - Q_p$)



ახლანდელი მოხმარების ჩვენი ქვეყნის ექსპორტი ($Q_p - D_p$) და მომავალი უცხოური იმპორტი ($Q_p^* - D_p^*$)

წონასწორობა არის E წერტილზე (r' საპროცენტო განაკვეთით), რადგან ჩვენი ქვეყნის სასურველი ექსპორტი ამჟამინდელი მოხმარებისა უღრის უცხოეთის ექსპორტისა უცხოეთის სასურველი ექსპორტი მომავალი მოხმარებისა უღრის ჩვენი ქვეყნის სასურველ იმპორტს.

თავი 8

საგაჭრო პოლიტიკის საშუალებანი

წინა თავში საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზებისა და შედეგების, მსოფლიო საგაჭრო ეკონომიკის ქმედების აღწერის საშუალებით პასუხი გაეცა კითხვას – „რატომ ვაჭრობენ ქვეყნები?“ კითხვა თავისთავად საინტერესოა. მისი პასუხი მით უფრო საინტერესო იქნება, თუ იგი დაგვეხმარება, გაეარკიოთ – როგორი უნდა იყოს ქვეყნის საგაჭრო პოლიტიკა; უნდა გამოიყენოს თუ არა აშშ-მ ტარიფი ან იმპორტული ქვოტა თავისი მანქანათმშენებელი მრეწველობის დასაცავად იაპონიისა და სამხრეთ კორეის კონკურენციისაგან; ვინ მოიგებს და ვინ წააგებს იმპორტული ქვოტით, გადაწონის თუ არა მოგება ხარჯებს?

ამ თავში განვიხილავთ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს გადასახადებს ზოგიერთ საერთაშორისო გარიგებაზე, სუბსიდიებს ზოგიერთ ოპერაციაზე, კანონიერ შესღულეებს განსაკუთრებული იმპორტის მოცულობასა და ღირებულებაზე და ბევრ სხვა ქმედებას.

პირითადი ტარიფის ანალიზი

ტარიფი, საგაჭრო პოლიტიკიდან უმარტივესი, არის საქონლის იმპორტიდან ამოღებული გადასახადი. *სპეციალური ტარიფები* განიხილება, როგორც ფიქსირებული ამონაკრები შემოტანილი საქონლის ყოველი ერთეულისათვის (მაგალითად, 3 დოლარი 1 ბარელ ნავთობზე). *ადვალორული ტარიფი* კი არის გადასახადი, რომელიც ამოღებულია, როგორც შემოტანილი საქონლის ღირებულების წილი (მაგალითად, აშშ-ში 25% ტარიფი შემოტანილ მანქანებზე). ორივე შემთხვევაში ტარიფის ეფექტი არის ქვეყანაში საქონლის შემოზიდვის ხარჯის ამოღება.

ტარიფი საგაჭრო პოლიტიკის უძველესი ფორმაა და ჩვეულებრივ გამოიყენება სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ. საშემოსავლო გადასახადის შემოღებამდე თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს ტარიფებიდან იღებდა აშშ მთავრობა, რომლის რეალური მიზანი იყო არა მარტო შემოსავლის უზრუნველყოფა, არამედ განსაკუთრებული ადგილობრივი სექტორების დაცვა მე-19 საუკუნის ადრეულ წლებში, დიდი ბრიტანეთი იყენებდა ტარიფებს (კორნის ცნობილი კანონები) სოფლის მეურნეობის დასაცავად იმპორტის კონკურენციისაგან. მაშინ გერმანია და აშშ-ც იცავდნენ თავიანთ ახალ სამრეწველო სექტორებს ტარიფების დაწესებით გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის შემოტანაზე. თანამედროვე მსოფლიოში ტარიფების მნიშვნელობა შემცირდა, რადგან მთავრობები ჩვეულებრივ ამჯობინებენ, დაიცვან ადგილობრივი მრეწველობა ისეთი არასატარიფო შეზღუდვებით, როგორიცაა *საიმპორტო ქვოტა* (იმპორტის რაოდენობის შეზღუდვა) და *ექსპორტის შეზღუდვით* (რაოდენობრივი შეზღუდვა, ჩვეულებრივ დაწესებული ექსპორტიორი ქვეყნის მიერ იმპორტიორი ქვეყნის თხოვნით). და მაინც, ტარიფის ეფექტის გაგება სასიცოცხლო პრობლემად რჩება საერთოდ საგაჭრო პოლიტიკის გასაგებად.

2-7 თავებში განვიხილავთ ვაჭრობის თეორიის მიხედვით, *დავსახეთ საერთო წონასწორობის* პერსპექტივა. ე.ი. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ეკონომიკის ერთ ნაწილში მომხდარი ძვრები სხვაგანაც გამოსცემდა ექოს. ბევრ შემთხვევაში საუჭუო პოლიტიკა ერთი სექტორის მიმართ შესაძლოა სხვა ეკონომიკამ მისაღებად ჩათვალოს პოლიტიკის გამოძახილის წვრილმანებში ჩაუხედავად. უდიდესი ნაწილისათვის საგაჭრო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ *ნაწილობრივი წონასწორობის* სტრუქტურის საფუძველზე. როდესაც ეფექტები მთლიანად ეკონომიკაში გადამწვევტი იქნება, მიუხედავად საერთო წონასწორობის ანალიზის.


მიწოდება, მოთხოვნა და ვაჭრობა ერთ მრეწველობაში

წარმოვიდგინოთ ორი ქვეყანა: ჩვენი და უცხო; ორივე აწარმოებს და მოიხმარს ხორბალს, რაც შესაძლოა შემოტანილ იქნეს კიდევ ამ ქვეყნებში დანახარჯის გარეშე. თითოეული ქვეყნისათვის ხორბლის წარმოება მარტივი კონკურენტული მრეწველობაა, სადაც მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები საბაზრო ფასის ფუნქციებს გამოსახავენ. ჩვენი ქვეყნის მიწოდება და მოთხოვნა დამოკიდებული იქნება ფასებზე, ადგილობრივი ვალუტის გათვალისწინებით, უცხო ქვეყნისა კი – მისსავე ვალუტაზე; მაგრამ ვეშვებთ, რომ მათ შორის ვალუტის კურსი არ ექცევა საგაჭრო პოლიტიკის არანაირ გაყენებაში. ამგვარად, ვაწესებთ ფასებს ორივე ბაზარში ჩვენი ქვეყნის ვალუტის გათვალისწინებით.

ვაჭრობა აღმოცენდება ისეთ ბაზარში, სადაც ფასები განსხვავდება ვაჭრობის არარსებობის დროს. დაუშვათ, ვაჭრობის არარსებობისას ხორბლის ფასი უფრო მაღალია ჩვენ ქვეყანაში, ვიდრე უცხოში. იწყება საგარეო ვაჭრობა – რადგან ხორბლის ფასი შინ აჭარბებს უცხოეთის ფასს, ექსპორტიორი იქიდან იწყებს ხორბლის შემოტანას ჩვენ ქვეყანაში. ხორბლის იმპორტი ჩვენს ქვეყანაში ზრდის მის ფასს უცხო ქვეყანაში და ამცირებს მის ფასს ჩვენთან, სანამ განსხვავება ფასებში არ გამოირიცხება.

მსოფლიო ფასისა და გაყიდული რაოდენობის განსაზღვრისათვის სასარგებლოა ორი ახალი მრუდის აგება: ჩვენი ქვეყნის იმპორტზე მოთხოვნის მრუდი და უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდი. ორივე შედგენილია ჩვენი ქვეყნის მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებისაგან. ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნა არის ადგილობრივი მომხმარებლის მოთხოვნის სიჯარბე ჩვენივე მწარმოებლის მიწოდებაზე; უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდება არის იქაური მწარმოებლის მიწოდების სიჯარბე უცხო ქვეყნის მომხმარებლის მოთხოვნაზე.


გრაფიკი 8-1 ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნის მრუდის აგება



როცა საქონლის ფასი იზრდება, ჩვენი ქვეყნის მომხმარებლები ნაკლებს მოითხოვენ, მაშინ როცა ჩვენი ქვეყნის მწარმოებლები მიაწვდიან მეტს; ასე რომ, იმპორტზე მოთხოვნა მცირდება.

8-1 გრაფიკი გვიჩვენებს, როგორ აიგება ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნის მრუდი. P^1 ფასის დროს ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნაა D^1 მაშინ, როცა ჩვენი მწარმოებლების მიწოდება მხოლოდ S^1 უდრის. ამგვარად, ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნა არის $D^1 - S^1$. თუ გაზრდით ფასს P^2 -მდე, ჩვენი ქვეყნის მომხმარებლის მოთხოვნა იქნება D^2 , ხოლო ქვეყნის მწარმოებლები თავიანთ მიწოდების ოდენობას ადიდებენ S^2 -მდე. ამგვარად, იმპორტის მოთხოვნა მცირდება $D^2 - S^2$ -მდე. ფასისა და რაოდენობის ეს კომბინაციები გამოსახულია როგორც 1 და 2 წერტილები მარჯვენა მხარეს 8-1 გრაფიკში. იმპორტის მოთხოვნის მრუდი MD დაბლაა მიმართული, რადგან, როცა ფასი იზრდება, იმპორტის მოთხოვნის რაოდენობა მცირდება. P-ს დროს ჩვენი ქვეყნის მიწოდება და მოთხოვნა თანაბარია ვაჭრობის არარსებობისას. ამგვარად, მისი იმპორტის მოთხოვნის მრუდი გადაკვეთს ფასის ღერძს P_A წერტილში (იმპორტის მოთხოვნა ნულის ტოლია P_A -ს დროს).

გრაფიკი 8-2 უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდის აგება




როცა საქონლის ფასი იზრდება, უცხო ქვეყნის მწარმოებლები მიაწვდიან მეტს, მაშინ როცა უცხო ქვეყნის მომხმარებლები მოითხოვენ ნაკლებს, ასე რომ ექსპორტისათვის ხელმისაწვდომი მიწოდება იზრდება.

8-2 გრაფიკი გვიჩვენებს, როგორაა აგებული უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდი – XS. P^1 -ის დროს უცხო ქვეყნის მწარმოებლები აწოდებენ S^1 რაოდენობას, მისი მომხმარებლები კი მოითხოვენ მხოლოდ D^1 ; ამგვარად, მთლიანი მიწოდების რაოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომია ექსპორტისათვის, არის $S^1 - D^1$. P^2 -ს დროს უცხო ქვეყნის მწარმოებლები ზრდიან მიწოდების რაოდენობას S^2 -მდე და მომხმარებლები ამცირებენ თავიანთი მოთხოვნის რაოდენობას D^2 -მდე; ასე რომ, ექსპორტისათვის ხელმისაწვდომი მთლიანი მიწოდების რაოდენობა იზრდება $S^2 - D^2$ -მდე. რადგან ეს უკანასკნელი მაჩვენებელი იზრდება ფასის მატებასთან ერთად, უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდი სუეითაა მიმართული. P^{**} -ს დროს მიწოდება და მოთხოვნა თანაბარი იქნება ვაჭრობის არარსებობისას და უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდი გადაკვეთს ფასის ღერძს P^{**} წერტილში (ექსპორტის მიწოდება უდრის ნულს P^{**} -ს დროს).

მსოფლიო წონასწორობა მაშინ მიიღწევა, როცა ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნა უდრის უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდებას (8-3 გრაფიკი). P ფასის დროს, როცა ორივე მრუდი ურთიერთს კვეთს, მსოფლიო მიწოდება უდრის მსოფლიო მოთხოვნას. წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილზე 8-3 გრაფიკში.

გრაფიკი 8-3 მსოფლიო წონასწორობა



მსოფლიო წონასწორული ფასი არის იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის იმპორტზე მოთხოვნა (MD მრუდი) უტოლდება უცხოეთის ექსპორტის მიწოდებას (XS მრუდი).

ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა – მიწოდება = უცხო ქვეყნის მიწოდება – მოთხოვნა.

ორივე მხრიდან დამატებით და გამოკლებით, ეს ტოლობა შეიძლება გადაეწიოს და მივიღოთ:

ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა + უცხო ქვეყნის მოთხოვნა = ჩვენი ქვეყნის მიწოდება + უცხო ქვეყნის მიწოდება,


ან სხვაგვარად:

მსოფლიო მოთხოვნა = მსოფლიო მიწოდებას.

ტარიფის ეფექტები

ვისაც საქონელი გადააქვს, მისთვის ტარიფი არის ტრანსპორტირების ხარჯი. თუ ჩვენი ქვეყანა 2 დოლარ გადასახადს აწესებს შემოტანილი ხორბლის თითოეულ ბუშელზე, ექსპორტიორებს აღარ ენდომებათ გადაზიდონ ხორბალი, ვიდრე ფასთა სხვაობა ორ ბაზარს შორის 2 დოლარი მაინც არ იქნება.

გრაფიკი 8-4 ტარიფის ეფექტები



ტარიფი ზრდის ფასებს ჩვენ ქვეყანაში და ამცირებს უცხოეთში. ვაჭრობის მოცულობა მცირდება.

8-4 გრაფიკი გვიჩვენებს ხორბლის ერთი ერთეულის t სპეციალური ტარიფის ეფექტს (გრაფიკზე ნაჩვენებია როგორც t). ტარიფის არარსებობის დროს ჩვენშიც და უცხო ქვეყანაშიც ხორბლის ფასი P გათანაბრდება, რაც ეს ნაჩვენებია (1) წერტილში გრაფიკის შუა ნახაზზე, რომელიც აშუქებს მსოფლიო ბაზარს. შესაბამისი ტარიფით ექსპორტიორებს არ სურთ უცხო ქვეყნიდან ხორბლის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში, სანამ ჩვენი ქვეყნის ფასი არ გადააჭარბებს უცხოეთს, სულ მცირე t -თ. თუ ხორბალი არ შემოიყვანა, იქნება ჭარბი მოთხოვნა ჩვენ ქვეყანაში და ჭარბი მიწოდება უცხოეთში. ამგვარად, ფასი ჩვენთან გაიზარდება და უცხო ქვეყანაში – შემცირდება იქამდე, სანამ განსხვავება ფასში არ იქნება t .


ტარიფის შემოღება ავლებს ზღვარს ორი ბაზრის ფასებს შორის, ზრდის ფასს ადგილობრივ P -მდე და ამცირებს უცხო ქვეყანაში $P^* = P - t$. ჩვენი ქვეყნის მწარმოებლებისაგან მიწოდება უფრო მეტია და სერიოზული მომხმარებლის მოთხოვნა კი ნაკლებია, ასე რომ, უფრო ნაკლებია იმპორტზე მოთხოვნა (როგორც ეს ნაჩვენებია (1) წერტილიდან (2) წერტილში გადაადგილებით MD მრუდზე). უცხო ქვეყანაში დაბალი ფასი იწვევს მიწოდების შემცირებას და მოთხოვნის ზრდას, ანუ ექსპორტის მცირე მიწოდებას (როგორც ეს ჩანს (1)-დან (3) წერტილისკენ მოძრაობით XS მრუდზე). ამგვარად, ნაგავრი ხორბლის მოცულობა მცირდება Q -დან (თავისუფალი ვაჭრობის მოცულობა) Q -მდე (მოცულობა ტარიფის ჩათვლით). Q -ს პირობებში ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა უდრის უცხო ქვეყნის მიწოდებას, როცა $P - P^* = t$.

ადგილობრივ ფასის ზრდა P -დან P -მდე ნაკლებია, ვიდრე ტარიფის ოდენობა; ტარიფის ნაწილი ასახულია უცხო ქვეყნის ექსპორტის ფასის შემცირებით და, ამგვარად, არ გადაეცემა ჩვენი ქვეყნის მომხმარებლებს. ეს

ნორმალურია ტარიფისა და ნებისმიერი სავაჭრო პოლიტიკისათვის, რომელიც ზღუდავს იმპორტს. პრაქტიკულად, ექსპორტიორების ფასზე ეს ხშირად ძალიან მცირე გავლენას ახდენს. როცა პატარა ქვეყანა აწესებს ტარიფს, მსოფლიო ბაზარზე შემოტანილ საქონელში მისი წილი, ჩვეულებრივ, უმნიშვნელოა ეაჭრობის დასაწყებად, ასე რომ, მისი იმპორტის შემცირება ნაკლებ გავლენას ახდენს მსოფლიო ფასზე.

ტარიფის ეფექტები პატარა ქვეყნის შემთხვევაში, როცა მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს საგარეო ექსპორტის ფასებზე, ნაჩვენებია 8-5 გრაფიკში. ამ შემთხვევაში ტარიფი ზრდის შემოტანილი საქონლის ფასს იმ ქვეყანაში, რომელიც აწესებს ტარიფს სრული ოდენობით, P -დან $P + t$ -მდე. შემოტანილი საქონლის წარმოება იზრდება S' -დან S'' -მდე მაშინ, როცა საქონლის მოხმარება მცირდება D' -დან D'' -მდე. ტარიფის შედეგად იმპორტი მცირდება იმ ქვეყანაში, რომელიც აწესებს ტარიფს.

გრაფიკი 8-5 ტარიფი პატარა ქვეყანაში



როცა ქვეყანა პატარაა, ტარიფი, რომელიც მან შემოიღო, ვერ შეამცირებს მის მიერ იმპორტირებული საქონლის უცხოურ ფასს. ამის შედეგად, იმპორტის ფასი იზრდება P -დან $P + t$ -მდე და იმპორტზე მოთხოვნა მცირდება S' -დან S'' -მდე.

პროტექციონიზმის სიღღის გავრცელება

შემოტანილ საქონელზე ტარიფი ზრდის იმ ფასს, რომელიც დააწესა ადგილობრივმა მწარმოებელმა. ხშირად ტარიფის ძირითადი ამოცანაა – დაიცვას ადგილობრივი მწარმოებელი იმპორტული საქონლის შემოტანით გამოწვეული დაბალი ფასებისაგან. სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის დროს აუცილებელია, ვიკითხოთ – რა ოდენობის პროტექციით შეიძლება სავაჭრო პოლიტიკისა და ტარიფის უზრუნველყოფა? პასუხი უკავშირდება ფასის პროცენტს, რომელიც ჭარბია თავისუფალი ეაჭრობის დროს. იმპორტულმა ქვოტამ შაქარზე შესაძლოა გაზარდოს ფასი, რომელიც დაადგინა შაქრის მწარმოებელმა (45%).

პროტექციონიზმის გავრცელება ტარიფის შემთხვევაში სწორხაზოვანია: თუ ტარიფი არის ადვალორული გადასახადი – პროპორციული იმპორტის ღირებულებისა, მისმა განაკვეთმა უნდა გავრცელოს პროტექციონიზმის რაოდენობა; თუ ტარიფი სპეციფიკურია, მისი გაყოფა ფასზე (ტარიფის გამოკლებით) გვაძლევს ადვალორულ ექვივალენტს.

პროტექციონიზმის დონის დადგენის დროს ჩნდება ორი პრობლემა: პირველი, თუ პატარა ქვეყნის შეფასება არაა სწორი, ტარიფის საშუალებით უნდა უფრო უცხოური ექსპორტის ფასი შემცირდეს, ვიდრე ადგილობრივი ფასი გაიზარდოს. სავაჭრო პოლიტიკის ეს ეფექტი უცხოური ექსპორტის ფასებზე ზოგჯერ მნიშვნელოვანია.

მეორე პრობლემა – ტარიფი შესაძლოა სხვადასხვაგვარად მოქმედებდეს საქონლის წარმოების განსხვავებულ საფეხურზე. ამას მარტივი მაგალითი გვიჩვენებს.

დავუშვათ, მსოფლიო ბაზარზე მანქანა იყიდება 8 000 დოლარად, ხოლო მისი ნაწილები – 6 000 დოლარად. ერთმანეთს შეედაროთ ორი ქვეყანა: ერთი, რომელსაც სურს განაეითაროს მანქანის ამწეობი მრეწველობა, და მეორე, რომელსაც უკვე აქვს ამწეობი და ახლა სურს ხელი მიჰყოს ნაწილების დამამზადებელი მრეწველობის შექმნას.

ადგილობრივი მანქანათმშენებელი მრეწველობის წასახალისებლად პირველი ქვეყანა აწესებს 25%-იან ტარიფს შემოტანილ მანქანებზე და საშუალებას აძლევს ადგილობრივ ამწეობებს 8 000 დოლარის ნაცვლად დაარიცხონ ფასი 10 000 დოლარი. ამ შემთხვევაში არასწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ამწეობები პროტექციონიზმის მხოლოდ 25%-ს მიიღებდნენ. ტარიფის დადგენამდე ადგილობრივ ამწეობა შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ ეს გაკეთდება 2 000 დოლარად ან ნაკლებად. ესაა სხვაობა დამთავრებული მანქანის ღირებულებასა (8 000) და ნაწილების ღირებულებას (6 000) შორის; თუ ფასად 10 000 დოლარს დაარიცხავენ, 4 000 დოლარად დაჯდება ამწეობა (სხვაობა 10 000 დოლარსა და ნაწილების ფასს 6 000 დოლარს შორის). ე. ი. 25%-იანი სატარიფო განაკვეთი უზრუნველყოფს ამწეობებს 100%-იანი პროტექციონიზმის ფაქტობრივი განაკვეთით.

ახლა შევეხეთ მეორე ქვეყანას, რომელიც ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად აწესებს 10%-იან ტარიფს შემოტანილ ნაწილებზე და ამით ზრდის მათ ფასს ადგილობრივი ამწეობებისათვის 6 000-დან 6 600

დოლარამდე. მიუხედავად იმისა, რომ აწყობილი მანქანების ტარიფში ცვლილება არ ხდება, ეს პოლიტიკა ნაკლებ ეპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ აწყობას. ტარიფის დაწესებამდე კარგი იქნებოდა, მანქანა ადგილზე აწყობილიყო 2 000 დოლარად (8 000 – 6 000 დოლარი). ტარიფის დაწესების შემდეგ კი ადგილობრივი აწყობა მოხდება მხოლოდ 1 400 დოლარის (8 000 – 6 000) საფასურად. ტარიფები, როცა იგი უზრუნველყოფს დადებით პროტექციონიზმს ნაწილების გადამამუშავებლებისათვის, გამოიწვევს უარყოფით ფაქტობრივ პროტექციონიზმს აწყობებისათვის – 30%-იანი განაკვეთით (-600/2 000).

ამ მაგალითმა მიიყვანა ეკონომისტები იქამდე, რომ გამოთვლები ეწარმოებინათ ფაქტობრივი პროტექციონიზმის ხარისხის გასაზომად. სავაჭრო პოლიტიკას, რომელიც გამიზნულია ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად, ხშირად მიუყავდით ფაქტობრივი პროტექციონიზმის ნორმამდე, რომელიც გაცილებით მაღალი იყო თვით სატარიფო განაკვეთებზე.


ტარიფის ხარჯები და მოგება

ტარიფი სრდის საქონლის ფასს იმპორტიორ ქვეყანაში და ამცირებს ექსპორტიორში. ფასთა ამ ცვლილებების შედეგად მომხმარებლები ზარალდებიან იმპორტიორ და იგებენ ექსპორტიორ ქვეყანაში. მწარმოებლები კი პირიქით – მოგებას ნახულობენ იმპორტიორ ქვეყანაში და აგებენ ექსპორტიორში. ამასთან, მთავრობა, რომელიც აწესებს ტარიფს, მოგებას ნახულობს შემოსავალის სახით. მათი რაოდენობის გაზომვა აუცილებელია ამ ხარჯებისა და მოგების შედარებით. გასომეის მეთოდი დამოკიდებულია ორ შეხედულებაზე, რომელიც გამოიყენება მიკროეკონომიკურ ანალიზშიც: ეს ორი შეხედულება ეხება მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამატს.

მომხმარებლის და მწარმოებლის ნამატი

მომხმარებლის ნამატი არის ის რაოდენობა, რომელიც მან მოიგო გაყიდვით – იმ ფასებს შორის სხვაობით, რომელსაც ის რეალურად იხდის და რისი გადახდის სურვილიც ექნებოდა. მაგალითად, თუ მომხმარებელს უნდოდა გადაეხადა 8 დოლარი ხორბლის ერთ ბუშელზე, ფასი კი 3 დოლარი იყო, მისთვის გაყიდვიდან მიღებული ნამატი იქნებოდა 5 დოლარი.

გრაფიკი 8-6 მომხმარებლის ნამატის გამოსახვა მოთხოვნის მრუდით



თითოეულ გაყიდულ ერთეულზე მომხმარებლის ნამატი არის განსხვავება რეალურ ფასსა და იმ ფასს შორის, რომელსაც მომხმარებელი ისურვებდა რომ გადაეხადა.

მომხმარებლის ნამატი შესაძლოა გამოისახოს ბაზრის მოთხოვნის მრუდით (8-6 გრაფიკი). დავეშვათ, მაქსიმალური ფასი, რომლითაც მომხმარებელი ყიდულობს საქონლის 10 ერთეულს, არის 10 დოლარი, მაშინ ნაყიდი საქონლის მე-10 ერთეული ეღირება 10 დოლარი მომხმარებლისთვის. ის რომ ნაკლები ღირებულებიყო – არ იყიდდნენ; თუ მეტი ეღირებოდა, მისი ყიდვის სურვილი მაინც ექნებოდათ. ახლა დავეშვათ, მომხმარებელმა რომ იყიდოს 11 ერთეული, მაშინ მე-11 ერთეული უნდა ღირდეს მხოლოდ 9 დოლარი მომხმარებლისათვის.


თუ ფასი 9 დოლარია, მაშინ მომხმარებლებს სურვილი ექნებათ, შეისყიდონ საქონლის მე-11 ერთეული, რომლის შესყიდვით არ მიიღებენ ნამატს. მათ სურვილი ექნებათ, გადაიხადონ 10 დოლარი მე-10 ერთეულში და ამით ნამატი შექმნან 1 დოლარის სახით ამ ერთეულიდან. თუ გადაიხდიან 12 დოლარს მე-9 ერთეულში, მიიღებენ 3 დოლარს ნამატს იმ ერთეულიდან და ა.შ.

განვასოგადოთ ეს მაგალითი – თუ P საქონლის ფასია და Q მოთხოვნილი რაოდენობა ამ ფასად, მაშინ მომხმარებლის ნამატი გამოიანგარიშება P-ს შემცირებით Q-ჯერ – მოთხოვნის მრუდის ქვედა სივრცოდან Q-მდე (8-7 გრაფიკი). თუ ფასია P', მოთხოვნილი რაოდენობა იქნება Q' და მომხმარებლის ნამატი გაიზომება a სივრცოდან. თუ ფასი მცირდება P'-მდე, მოთხოვნილი რაოდენობა დიდდება Q'-მდე, მომხმარებლის ნამატი იზრდება, რათა გაუთანაბრდეს a-ს დამატებულ b სივრცეს.

მწარმოებლის ნამატიც ანალოგიური კონცეფციაა. მწარმოებელი, რომელსაც უნდა გაყიდოს საქონელი 2 დოლარად, მაგრამ ყიდის 5-ად, იგებს 3 დოლარს. იგივე პროცედურა, გამოიყენებულია მომხმარებლის ნამატის


მისაღებად მოთხოვნის მრუდიდან, შესაძლოა გამოვიყენოთ მწარმოებლის ნამატის მისაღებად მიწოდების მრუდიდან. თუ P ფასია და Q რაოდენობა (მიწოდებული ამ ფასად), მაშინ მწარმოებლის ნამატი იქნება P გამრავლებული Q -ზე – მიწოდების მრუდის ქვედა საფრცხიდან Q -მდე (8-8 გრაფიკი). თუ ფასია P^1 , მიწოდებული რაოდენობა იქნება Q^1 და მწარმოებლის ნამატი გაიზომება c სიერციტით. თუ ფასი გაიზრდება P^2 -მდე, მიწოდებული რაოდენობაც გადიდება Q^2 -მდე და მწარმოებლის ნამატი მოიმატებს, რათა გაუთანაბრდეს c -ს დამატებულ d სიერცეს.

გრაფიკი 8-7 მომხმარებლის ნამატის გეომეტრია



მომხმარებლის ნამატი ტოლია იმ სიერცისა, რომელიც მდებარეობს მოთხოვნის მრუდის ქვემოთ და ფასის ზემოთ.

გრაფიკი 8-8 მწარმოებლის ნამატის გეომეტრია




მწარმის ნამატი ტოლია იმ სიერცისა, რომელიც მდებარეობს მიწოდების მრუდის ზემოთ და ფასის ქვემოთ.

მწარმოებლისა და მომხმარებლის ნამატის კონცეფციასთან დაკავშირებული სირთულეები გაანგარიშების ტექნიკური მხარეა, რასაც შეიძლება არც მივაქციოთ ყურადღება. უფრო მნიშვნელოვანია საკითხი – სწორად ზომავს თუ არა საზოგადოებრივ მოგებას მწარმოებლისა და მომხმარებლის პირდაპირი მოგება აღნიშნულ ბაზარში. დამატებითი მოგება და ხარჯები წარმოადგენს საყაჭრო პოლიტიკის აქტიურობის ცენტრს, რაც მე-9 თავშია განხილული.

ხარჯებისა და მოგების გაზომვა

8-9 გრაფიკი გვიჩვენებს ტარიფის ხარჯებსა და მოგებას იმპორტიორი ქვეყნებისათვის.

გრაფიკი 8-9 ტარიფის ხარჯები და მოგება იმპორტიორი ქვეყნებისათვის



სხვადასხვა ჯგუფების ხარჯები და მოგება შესაძლოა წარმოადგენდნენ იქნეს ხუთი სიერცის a , b , c , d და e ჯამი.

- = მომხმარებლის დანახარჯი (ზარალი) ($a + b + c + d$)
- = მწარმოებლის მოგება (a)
- = მთავრობის შემოსავლის მოგება (ზრდა) ($c + e$)

ტარიფი ზრდის ადგილობრივ ფასს P -დან P*-მდე, მაგრამ ამცირებს უცხოური ექსპორტის ფასს P* -დან P* -მდე (იხ. გრაფიკი 8-4). ადგილობრივი წარმოება იზრდება S¹-დან S²-მდე, ადგილობრივი მოხმარება კი მცირდება D¹-დან D²-მდე. ხარჯები და მოგება სხვადასხვა ჯგუფებში შესაძლოა გამოიხატოს ხუთი სივრცის (a, b, c, d, e) ჯამით.

ჯერ განვიხილოთ ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავალი. ისინი აწესებენ მაღალ ფასს და იღებენ ნამატს. როგორც 8-8 გრაფიკში ენახეთ, მწარმოებლის ნამატი უდრის ფასის ქვემოთ, და მიწოდების მრუდის ზემოთ არსებულ სივრცეს. ტარიფის შემოღებამდე მწარმოებლის ნამატი უდრიდა P -ს ქვემო სივრცეს, ოღონდ მიწოდების მრუდის ზევით; ფასის P_T ზრდით ეს ნამატი დიდდება a სივრცით, ე.ი. ტარიფის შემოღებით მწარმოებელი იგებს.

ადგილობრივი მომხმარებელიც აწუდება მაღალ ფასებს, რაც მის მდგომარეობას აუარესებს. როგორც 8-7 გრაფიკში ენახეთ, მომხმარებლის ნამატი უდრის ფასის ზემო სივრცეს, მაგრამ მოთხოვნის მრუდის ქვემოთ. რადგან ფასი იზრდება P -დან P*-მდე, მომხმარებლის ნამატი მცირდება a + b + c + d სივრცით. ამგვარად, მომხმარებელი ზარალდება ტარიფის შემოღებით.

არის მესამე მონაწილეც – მთავრობა, რომელიც იგებს სატარიფო შემოსავლის შემოღებით. ეს უდრის სატარიფო განაკვეთს, რომელიც t-ჯერ მეტია იმპორტის მოცულობაზე $Q_T = D^2 - S^2$. რადგან $t = P_T - P_T^*$, მთავრობის შემოსავალი უდრის c და e სივრცეთა ჯამს.

რადგან მოგება და ზარალი ხალხზე ნაწილდება, ტარიფის მთლიანი ხარჯისა და მოგების შეფასება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ვითვალისწინებთ დოლარის ღირებულების სარგებელს თითოეული ჯგუფისათვის. მაგალითად, თუ მოგება გროვდება ძირითადად მდიდარი რესურსების მქონე მწარმოებლების განკარგულებაში, როცა მომხმარებლები საშუალოდ უფრო ღარიბები არიან, ტარიფი განიხილება სხვანაირად, ვიდრე მაშინ, როცა საქონელი, დამზადებული დაბალხელფასიანი მუშების მიერ, ფუფუნებად იქცევა მდიდართა ხელში. ბუნდოვანია მთავრობის პოზიცია ასეთ დროს – გამოიყენებს თუ არა იგი თავის მოგებას სასიცოცხლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი მომსახურების დასაფინანსებლად, თუ დახარჯავს 1 000 დოლარს ტუალეტის დასაჯდომისათვის? ამ პრობლემების მიუხედავად, სავაჭრო პოლიტიკის ანალიტიკოსები ცდილობენ, გაიანგარიშონ ტარიფის წმინდა ეფექტი ქვეყნის კეთილდღეობაში იმის დაშვებით, რომ დოლარის ღირებულებიდან მოგება ან ზარალი თითოეული ჯგუფისათვის სოციალური შინაარსის მქონეა.

ენახოთ, როგორია ტარიფის წმინდა ეფექტი კეთილდღეობაზე.

ტარიფის წმინდა ხარჯი უდრის:
 მომხმარებლის ზარალი – წარმოების მოგება – მთავრობის შემოსავალი (8-1)

ან ამ მონაცემებს თუ შევცვლით 8-9 გრაფიკში აღნიშნული სივრცეებით, მივიღებთ
 $(a + b + c + d) - a - (c + e) = b + d - e$ (8-2)


ე.ი. გრაფიკზე გვაქვს ორი „სამკუთხედი“, რომელთა სივრცე გამოსახავს მთელი ქვეყნის ზარალს და ერთი „ოთხკუთხედი“, რომლის სივრცე ანაზღაურებდა მოგებას გვირევენებს. ამ მოგებისა და ზარალის გამოსათვლელად არსებობს შემდეგი გზა: ზარალის სამკუთხედები აღნიშნავენ მწარმოებლურობის შემცირებას, რომელიც ჩნდება იმიტომ, რომ ტარიფი ახშობს მოხმარებისა და წარმოების სტიმულს; მაშინ როცა ოთხკუთხედი წარმოგვიდგენს ვაჭრობის პირობების მოგებას, რომელიც წარმოიშობა, რადგან ტარიფი ამცირებს უცხოური ექსპორტის ფასებს.

მოგება დამოკიდებულია ტარიფის დამწესებელი ქვეყნის უნარზე, შეამციროს უცხოური ექსპორტის ფასები. თუ ქვეყანას არ შეუძლია გაეღწეოს მოახდინოს მსოფლიო ფასებზე („პატარა ქვეყნის“ მაგალითი 8-5 გრაფიკში), e სივრცე, რომელიც წარმოადგენს ვაჭრობიდან მოგებას, უჩინარდება და შესაბამისად, მცირდება ხალხის კეთილდღეობა. ის ახშობს მწარმოებლისა და მომხმარებლის სტიმულს იმიტომ, რომ აიძულებს მათ, იმოქმედონ ისე, თითქოს იმპორტი უფრო ძვირი იყოს, ვიდრე სინამდვილეშია. ქვეყნის მოხმარების დამატებითი ერთეულის ღირებულება არის იმპორტის დამატებითი ერთეულის ფასი. რაკი ტარიფი ზრდის ადგილობრივ ფასს (მსოფლიო ფასთან შედარებით), მომხმარებლები ამცირებენ თავიანთ მოხმარებას იქამდე, სანამ მათ კეთილდღეობას უზარუნელებს ზღვრული ერთეული, რაც უდრის ტარიფის შემცველ ადგილობრივ ფასს. ქვეყნის წარმოების ერთი დამატებითი ერთეულის ღირებულება არის იმპორტის იმ ერთეულის ფასი, რომელსაც ის ზოგავს; ადგილობრივი მწარმოებელი აფართოებს წარმოებას იქამდე, სანამ ზღვრული ხარჯი არ გაუტოლდება ტარიფის შემცველ ფასს. ამგვარად, ეკონომიკა აწარმოებს შინ საქონლის დამატებით ერთეულს, რომლის ყიდვაც მას უფრო იაფად შეუძლია საზღვარგარეთ.

ტარიფის კეთილდღეობის წმინდა ეფექტები შეჯამებულია 8-10 გრაფიკში. უარყოფითი გავლენა გამოსახულია b და d სამკუთხედებით. პირველი სამკუთხედი არის წარმოების დამახინჯების ზარალი, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ტარიფი აიძულებს მწარმოებლებს გამოიყუან ბევრი საქონელი. მეორე

სამკუთხედი არის ადგილობრივი მოხმარების დამახინჯების ზარალი – ტარიფი აიძულებს მომხმარებელს, მოიხმაროს ძალიან ბევრი საქონელი. ამ ზარალის წინააღმდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ვაჭრობის პირობების მოგება, რომელიც e ოთხკუთხედით იზომება; აღნიშნული მოგება მიიღება ტარიფის მიერ უცხოური ექსპორტის ფასის შემცირებიდან. „კატარა ქვეყანაში“, რომელიც მნიშვნელოვნად ვერ ახდენს გაყიდვას უცხოურ ფასებზე, ეს ბოლო ეფექტი უწინარდება ისე, რომ ტარიფის ხარჯები აშკარად აჭარბებს მის მოგებას.

გრაფიკი 8-10 ტარიფის წმინდა კეთილდღეობის ეფექტები



მუქი სამკუთხედები წარმოგვიდგენს მწარმოებელურობის დანაკარგებს, ხოლო ოთხკუთხედი ვაჭრობის პირობებიდან მიღებულ მოგებას.


სავაჭრო პოლიტიკის სხვა საშუალებები

სავაჭრო პოლიტიკის საშუალებათაგან ტარიფი უმარტივესია; თანამედროვე მსოფლიოში მთავრობის ჩარევა საერთაშორისო ვაჭრობაში სხვა სახით ხდება – მაგალითად, ექსპორტის სუბსიდიებით, იმპორტული ქვრტებით, ადგილობრივი წილის მოთხოვნებით, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვით. საბედნიეროდ, როცა ამოვიცნობთ ტარიფს, არ იქნება ძნელი გავიგოთ ვაჭრობის სხვა საშუალებანიც.

საექსპორტო სუბსიდიები: თეორია

საექსპორტო სუბსიდია არის გადასახალი ფირმისა ან ინდივიდისა, რომელსაც გადააქვს საქონელი საზღვარგარეთ. ტარიფის მსგავსად, ექსპორტის სუბსიდია შესაძლოა იყოს სპეციალური (ერთ ერთეულზე ფიქსირებული თანხა) ან ადვილარული (ექსპორტირებული ღირებულების პროპორცია). როდესაც მთავრობა სთავაზობს საექსპორტო სუბსიდიას, ექსპორტიორებს გააქვთ საქონელი იქამდე, სანამ ადგილობრივი ფასი არ გადააჭარბებს უცხოურ ფასს სუბსიდიის ოდენობით.

გრაფიკი 8-11 საექსპორტო სუბსიდიის ეფექტები



საექსპორტო სუბსიდირება ზრდის ფასებს ექსპორტიორ ქვეყანაში და ამცირებს მათ იმპორტიორ ქვეყანაში.

ფასებზე საექსპორტო სუბსიდიების ეფექტი არის უუსტად ტარიფის ფასის საწინააღმდეგო (8-11 გრაფიკი). ფასი ექსპორტიორ ქვეყანაში იზრდება P -დან P^* -მდე, იმპორტიორ ქვეყანაში მცირდება P -დან P^* -მდე, ე.ი. ფასი დიდდება ნაკლებად, ვიდრე სუბსიდიის ოდენობა იყო. ექსპორტიორ ქვეყანაში მომხმარებელი აგებს, მწარმოებელი იკებს, მთავრობაც ზარალს განიცდის, რადგან იგი ხარჯავს ფულს ექსპორტში ჩადებულ სუბსიდიასზე. მომხმარებლის ზარალს გამოსახავს $a + b$ სივრცე; მწარმოების მოგებას $a + b + c$ სივრცე; მთავრობის სუბსიდიის (ექსპორტის რაოდენობა გამრავლებული სუბსიდიის რაოდენობაზე) სივრცე იქნება b

$+c+d+e+f+g$. კეთილდღეობის წმინდა ზარალი ამიტომაც არის $b+d+e+f+g$ სივრცეთა ჯამი. აქედან b და d წარმოადგენს მოხმარებისა და წარმოების დამახინჯებიდან გამომდინარე იმავე სახის ზარალს, რასაც ტარიფი ქმნის. ამასთან ერთად (და ტარიფის საწინააღმდეგოდ), ექსპორტის სუბსიდიის აუარესებს ვაჭრობის პირობებს უცხოურ ბაზარზე ექსპორტის ფასის შემცირებით P -დან P^* -მდე. ეს იწვევს ვაჭრობის პირობების დამატებით ზარალს $e+f+g$, რომელიც უდრის $P - P^*$ გამრავლებულს სუბსიდიით ექსპორტირებულ რაოდენობაზე. ამგვარად, ექსპორტის სუბსიდიის მიუყავართ⁵ ხარჯებამდე, რომელიც მის მოგებას ატარებს.


საკითხის შესწავლისათვის

ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა

1957 წლიდან ევროპის ექვსი სახელმწიფო: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი – გახდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი; მათ მოგვიანებით შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, დანია, საბერძნეთი და სულ ახლახანს – ესპანეთი და პორტუგალია. ახლა ევროკავშირად წოდებულ ორგანიზაციას ორი უძლიერესი ევექტი აქვს საეკონომიკური პოლიტიკაზე: პირველი, ევროკავშირის წევრებმა გააქვეყნეს ტარიფები და შემოიღეს საბაჟო კავშირი. მეორე, ევროკავშირის სოფლისმეურნეობრივი პოლიტიკა გადაიზარდა ექსპორტის სუბსიდიის პროგრამად.

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა არ დაწყებულა როგორც საექსპორტო სუბსიდიის, არამედ ეს იყო ძალისხმევა ევროპული ფერმერებისათვის მაღალი ფასების უზრუნველსაყოფად; ამ ღონისძიებას განახორციელებდა იმით, რომ ევროკავშირი შეისყიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როცა ფასები შემცირდებოდა მხარდაჭერის სპეციფიკურ ღირებულებამდე. ამ პოლიტიკიდან რომ გამოერიცხათ დიდი რაოდენობის იმპორტის შემცირება, მას თავიდანვე დაუჭირეს მხარი ტარიფების მეშვეობით, რომელიც ანაზღაურებდა სხვაობას ევროპისა და მსოფლიოს სოფლის მეურნეობის ფასებს შორის. 1970 წლიდან მართვადი ფასები, რაც ევროკავშირმა დააწესა, გადაიქცა იმდენად მაღალ ფასად, რომ ევროპა, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის დროს უნდა ყოფილიყო სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის იმპორტიორი, აწარმოებდა იმაზე მეტს, რაც მოხმარებულს უნდა ყოფილიყო. შედეგი ის იყო, რომ ევროკავშირმა თავი ვალდებულად ცნო, შეეძინა და შეენახა საკვების უდიდესი რაოდენობა. 1985 წლის ბოლოს ევროპის ქვეყნებმა მოიმარაგეს 780 000 ტონა საქონლის ხორცი, 12 მლნ ტონა კარაქი და 12 მლნ ტონა ხორბალი. ამ მარაგების განუხაზღვრელი ზრდის თავიდან ასაცილებლად ევროკავშირი მიუბრუნდა ექსპორტის დაფინანსების პოლიტიკას ჭარბი პროდუქციის ლიკვიდაციისათვის.

გრაფიკი 8-12 ევროპის ერთიანი აგრარული პროგრამა



სასოფლო-სამეურნეო ფასები ფიქსირებულია არა მარტო მსოფლიო ბაზრის ღირებულებით, არამედ იმ ფასზე ზემოთ, რაც გააწონასწორებდა ევროპულ ბაზარს. საექსპორტო სუბსიდიის გამოყენება შედეგად მიღებული ნაშაბის საჩვენებლად.

8-12 გრაფიკი გვიჩვენებს, როგორ მოქმედებს აგრარული ერთიანი პოლიტიკა. ეს, რასაკვირველია, პკავს 8-10 გრაფიკში ნაჩვენებ საექსპორტო სუბსიდიას (გარდა იმისა, რომ ევროპა უნდა ყოფილიყო იმპორტიორი თავისუფალი ვაჭრობის დროს). მართვადი ფასი დაწესებულია არა მარტო მსოფლიო ფასის ზემოთ, არამედ იმ ფასზე ზევითაც, რომელიც გაათანაბრებს მოთხოვნასა და მიწოდებას იმპორტის გარეშეც. შედეგად მიღებული ნაშაბის საექსპორტოდ ხდება ექსპორტის სუბსიდიის გადახდა, რაც ანაზღაურებს სხვაობას ევროპისა და მსოფლიო ფასებს შორის. სუბსიდირებულ ექსპორტს ახასიათებს მსოფლიო ფასების შემცირება და მოთხოვნილი სუბსიდიის ზრდა. ხარჯისა და მოგების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ევროპელი მომხმარებლებისა და გადაამხდელების ერთობლივი ხარჯები ატარებს მწარმოებლების მოგებას.

სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი წმინდა დახარჯების მიუხედავად, ფერმერების პოლიტიკური ძალა ევროკავშირში ისე ძლიერი იყო, რომ პროგრამაში თავი ისინი შიდა პრობლემებმა. ძირითადი სწავლა აგრარული ერთიანი პოლიტიკაზე მოდიოდა აშშ-დან და საკვების ექსპორტიორი სხვა ქვეყნებიდან.

რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ევროპის საექსპორტო სუბსიდიები ამცირებდნენ მათი საკუთარი ექსპორტის ფასს. სავაჭრო მოლაპარაკებისას ურუგვაიში აშშ-მ თავიდანვე მოითხოვა ევროპის სუბსიდიების დასრულება 2 000 წლისათვის. მართალია, მოთხოვნები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ევროპელი ფერმერების წინააღმდეგობამ ნებისმიერ შემცირებაზე მოლაპარაკებების ჩაშლა გამოიწვია. ბოლოს ევროკავშირი შეთანხმდა მესამედამდე შემცირებინა სუბსიდიები ექვსი წლის განმავლობაში.

საიმპორტო ქვოტები: თეორია

საიმპორტო ქვოტა არის სოგიერთ საიმპორტო საქონლის რაოდენობის პირდაპირი შეზღუდვა, რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია ცალკეული პიროვნებისა და ფირმისათვის ლიცენზიის მიცემით. მაგალითად, აშშ-ს აქვს უცხოური ყველის შემოტანაზე ქვოტა. ერთადერთი, რომელიც ნებას იძლევა ყველის შემოტანაზე, არის სავაჭრო კომპანიები, რომელთაგან თითოეულს აქვს უფლება, ყოველწლიურად შემოიტანოს ყველის მაქსიმალური რაოდენობა; თითოეული ფირმის ქვოტა ემყარება იმ ყველის რაოდენობას, რომელიც მან ადრე შემოიტანა. აშშ-ში, ზოგჯერ განსაკუთრებით შაქრისა და ტანსაცმლის გაყიდვაზე უფლება ეძლევათ ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობებს. მნიშვნელოვანია, თავიდან ავიცილოთ არასწორი შეხედულება, რომ საიმპორტო ქვოტები რამდენადმე ზღუდავენ იმპორტს ადგილობრივი ფასების გაზრდის გარეშე. საიმპორტო ქვოტა ყოველთვის ზრდის ადგილობრივ ფასებს შემოტანილ საქონლზე. როცა იმპორტი შეზღუდულია, უცაბედი შედეგი არის ის, რომ საწყისი ფასის დროს საქონელზე მოთხოვნა აჭარბებს ადგილობრივ მიწოდებას მიმატებულ იმპორტს. ეს იწვევს ფასების მატებას, ვიდრე ბაზარი არ დარეგულირდება. ბოლოს, საიმპორტო ქვოტა გაზრდის ადგილობრივ ფასებს იმავე რაოდენობით, როგორც ის ტარიფი, რომელიც ზღუდავს იმპორტს იმავე დონემდე (ადგილობრივი მონოპოლიის გარდა, როცა ქვოტა ფასებს უფრო მეტად ზრდის).

ქვოტასა და ტარიფს შორის განსხვავება არის ის, რომ ქვოტის მეშვეობით მთავრობა ელარ იღებს შემოსავალს. როცა ქვოტას ტარიფის მაგივრად იყენებენ იმპორტის შესაზღუდად, ის ფულადი თანხა, როგორც მთავრობის შემოსავალი ტარიფიდან, აიკრიფება ნებისმიერის მიერ, ვინც მიიღებს იმპორტის ლიცენზიას. ლიცენზიის მფლობელს შეუძლია იყიდოს იმპორტი და გაყიდოს უფრო ძვირად ადგილობრივ ბაზარზე. მისი მოგება ცნობილია, როგორც ქვოტის რენტა. საიმპორტო ქვოტის ხარჯებისა და მოგების შეფასებისას გადამწვევებია განსაზღვრა – ვინ იღებს რენტას. როცა ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვის უფლება აქვთ ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობებს, როგორც ეს ხშირად ხდება, საზღვარგარეთ რენტის ტრანსფერტი ქვოტის ხარჯებს არსებითად უფრო ზრდის, ვიდრე შესაბამისი ტარიფი.

საიმპორტო ქვოტის შეფასებისათვის

საიმპორტო ქვოტა პრაქტიკაში: აშშ-ს შაქარი

აშშ-ს შაქრისა და ევროპის სოფლის მეურნეობის პრობლემები ერთმანეთს ჰგვანან. აშშ-ს ყველაზე უფრო მთავრობის მხრიდან გარანტიამ ადგილობრივი ფასები გაზარდა მსოფლიო ბაზრის დონეზე მაღლა. ევროკავშირისაგან განსხვავებით, აშშ-ს ადგილობრივი მიწოდება არ აჭარბებდა ადგილობრივ მოთხოვნას და შესაძლებლობა ჰქონდა, შეენარჩუნებინა ადგილობრივი ფასები გამიზნულ დონემდე შაქარზე საიმპორტო ქვოტით.


საიმპორტო ქვოტას დამახასიათებელი ნიშანია ის, რაც ხდება აშშ-ში. აქ შაქრის გაყიდვის უფლება აქვთ უცხოურ მთავრობებს, რომლებიც შემდეგ ამ უფლებებს გადასცემენ თავიანთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ამის შედეგად შაქრის ქვოტისაგან შექმნილი რენტა ერგებათ უცხოელებს.

8-13 გრაფიკი გვიჩვენებს შაქრის ქვოტის ეფექტების შეფასებას 1990-იან წლებში. ქვოტამ შეზღუდა იმპორტი დაახლოებით 2.13 მლნ ტონით; ამის შედეგად აშშ-ში შაქრის ფასი 40%-ით ცოტა მეტი იყო, ვიდრე გარე სამყაროში. გრაფიკი აკებულება იმ ვარაუდით, რომ აშშ არის „პატარა“ მსოფლიო შაქრის ბაზარზე, ე.ი. ქვოტის შეცვლა მნიშვნელოვან გაელენას არ მოახდენს ფასზე. ამ შეფასების თანახმად, თავისუფალი ვაჭრობა გააორმაგებს შაქრის იმპორტს (4.12 მლნ ტონამდე).

საიმპორტო ქვოტას ეკონომიკური ეფექტი ნაჩვენებია a, b, c და d სივრცეებით. მომხმარებლები აშშ-დან კარგავენ a + b + c + d ნაშატს 1.646 მლრდ დოლარის ღირებულებით. ამ სამომხმარებლო სარალის ნაწილი წარმოადგენს ტრანსფერტს აშშ-ს შაქრის მწარმოებლებისათვის, რომლებიც იგებენ მწარმოებლის a ნაშატს: 1.066 მლრდ დოლარს. სარალის ნაწილი არის წარმოების b დამახინჯება (0.109 მლრდ დოლარი) და მოხმარების d დამახინჯება (0.076 მლრდ დოლარი). უცხოეთის იმ მთავრობების რენტა, რომლებიც იღებენ იმპორტის უფლებებს, შეჯამებულია c სივრცით, 0.395 მლრდ დოლარის ღირებულებით.

აშშ-ს წმინდა სარალი არის b + d -ს მიმატებული c ქვოტის რენტა, 580 მლნ დოლარი წლიურად. შენიშნეთ, რომ ამ წმინდა სარალის ლიდი ნაწილი შედგება იმისა, რომ უცხოელებს აქვთ იმპორტის უფლება!

გრაფიკი 8-13 აშშ-ს იმპორტული ქვოტის ეფექტები შაქარზე



შაქრის საიმპორტო ქვოტა ინარჩუნებს იმპორტს თავისუფალი ვაჭრობის პირობებში არსებული დონის დაახლოებით ნახევარზე. შედეგად, შაქრის ფასი არის 466 დოლარი ტონაზე მსოფლიო ბაზარზე არსებული 280 დოლარის ნაცვლად. ეს აძლევს მოგებას აშშ-ს შაქრის მწარმოებლებს, ხოლო ზარალს მომხმარებლებს. შემოსავალში მოგება არ არის, რადგან საიჯარო ქვოტას იღებს უცხოეთის მთავერობები.

შაქრის ქვოტა გვიჩვენებს პროტექციონიზმის ტენდენციას – უზრუნველყოს მოგება მწარმოებლების მცირე ჯგუფისათვის, საიდანაც თითოეული იღებს დიდ მოგებას მომხმარებლების დიდი რაოდენობის ხარჯზე, რომელთაგან თითოეული მცირედ ზარალდება – წლიურად დაახლოებით 6 დოლარით ერთ სულზე, ან 25 დოლარით ტიპურ ოჯახზე. არაა გასაკვირი, რომ საშუალო ამერიკელმა ამომრჩეველმა არც იცოდეს შაქრის ქვოტის არსებობის შესახებ, ასე რომ, ფაქტიბრივად ნაკლები ოპოზიცია ყალიბდება.

შაქრის მწარმოებლების აზრით, ქვოტა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ამ წარმოებაში დაახლოებით 12 000 მუშაა დასაქმებული. მოგება ქვოტიდან არის 90 000 დოლარამდე ერთ დასაქმებულზე. რა თქმა უნდა, შაქრის მწარმოებელი ძალიან მონდომებულია დაიცვას თავისი პროტექციონიზმი.

პროტექციონიზმის მოწინააღმდეგენი ხშირად ცდილობენ, თავიანთი კრიტიკა წარმართონ არა მომხმარებლებისა და მწარმოებლების ნამატის, არამედ მომხმარებლის ყველა სამუშაოს იმ ხარჯის მიმართ, რომელიც „გადარჩენილია“ იმპორტის შეზღუდვით. ეკონომისტებმა, რომლებმაც შეისწავლეს შაქრის წარმოება, დარწმუნებულნი არიან, რომ თავისუფალი ვაჭრობის დროსაც აშშ-ს საწარმოების უმეტესობა გადარჩება; მხოლოდ 2 000 – 3 000 მუშა გათავისუფლდება, რითაც მომხმარებლის ხარჯი ერთ სამუშაო ადგილზე დაიზოგება 500 000 დოლარზე მეტით.

ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები

საიმპორტო ქვოტის ვარიანტი არის **ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა**. ცნობილია, აგრეთვე, ნებაყოფლობითი შეზღუდვის შეთანხმება. ესაა ქვოტა ვაჭრობაზე, რომელიც დააწესა ექსპორტიორმა ქვეყანამ იმპორტიორის ნაცვლად. ყველაზე ცნობილი მაგალითია აშშ-ში მანქანის ექსპორტზე შეზღუდვა, რაც 1981 წელს იაპონიის დაძალებით განხორციელდა.

საიმპორტო ქვოტის შეზღუდვა საერთოდ წესდება იმპორტიორის თხოვნით და ექსპორტიორთან შეთანხმებით სხვა სავაჭრო შეზღუდვების წინასწარი განჭვრეტის საფუძველზე. როგორც მე-9 თავში ვნახეთ, გარკვეულმა პოლიტიკურმა და საკანონმდებლო უპირატესობამ ბოლო წლებში ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები აქცია ვაჭრობის პოლიტიკის უმჯობეს საშუალებებად. ეკონომიკური თვალსაზრისით, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები ძალიან კვავს საიმპორტო ქვოტას, სადაც ლიცენზია უცხოეთის მთავერობებს ეკუთვნით და ამიტომ იგი იმპორტიორი ქვეყნებისათვის ძვირადღირებულია.

ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები ყოველთვის ძვირად უჯდება იმპორტიორ ქვეყნებს, ვიდრე ის ტარიფი, რომელიც ზღუდავს იმპორტს იმავე რაოდენობით. განსხვავება ისაა, რომ მოგება ტარიფიდან იქცევა რენტად უცხოელების მიერ გამოიშვებულ ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვების დროს, ასე რომ, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები დამაზარალებელია იმპორტიორი ქვეყნებისათვის.

ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვებიდან სამი ძირითადის შედეგების შესწავლით აშშ-ში (საფეიქრო და ტანსაცმლის, ყოლადისა და აეტომანქანების წარმოება) აღმოსნდა, რომ მომხმარებლების ხარჯების ამ შეზღუდვების 2/3 აიხსნება უცხოელების მიერ გამოიშვებულ რენტით. სხვა სიტყვებით, ხარჯის ხერხემალს წარმოადგენს უფრო შემოსავლის ტრანსფერტი, ვიდრე ეფექტურობის ზარალი. ეს გამოთქვია ხაუს უსვამს იმას, რომ ქვეყნისათვის ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ტარიფები. ამით მთავერობის მხრიდან მათი უპირატესობა სხვა სავაჭრო პოლიტიკის დონისძიებასთან შედარებით მითითხვენ ფრთხილ ანალიზს. ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვების ნაწილი მოიცავს მრავალ ქვეყანას. ყველაზე ცნობილია მრავალმხრივი შეთანხმება, რაც ზღუდავს საფეიქრო ნაწარმის ექსპორტს 22 ქვეყნიდან. ასეთი შეთანხმებები ცნობილია, როგორც რეგულარული ვაჭრობის შეთანხმება.

იმპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები პრაქტიკაში: იაპონური მანქანები

1960-70-იან წლებში აშშ-ს მანქანათმშენებელი მრეწველობა დაცული იყო იმპორტის კონკურენციისაგან იმ მანქანათა სახეობრივი სხვაობის გამო, რომელსაც ყიდულობდნენ ადგილობრივი და უცხოეთის მომხმარებლები. აშშ-ს დიდ ქალაქებში მცხოვრები მყიდველები, სადაც ბენზინსუ დაბალი გადასახდია, ამჯობინებენ დიდ მანქანებს, ვიდრე იაპონელი და ევროპელი მომხმარებლები; უცხოურ ფირმებს ერჩივნათ, არ შეჯიბრებოდნენ აშშ-ს დიდი მანქანების გასაღებაში.

1979 წელს ნათობის ფასის მკვეთრმა ზრდამ და ხანდახან ბენზინის ნაკლებობამ გამოიწვია გადახრა მცირე ზომის მანქანებისაკენ აშშ ბაზარზე. იაპონელი მწარმოებლები, რომელთა დანახარჯები აშშ-ს კონკურენტებისაგან განსხვავებით მცირდებოდა, დაიძრნენ ახალი ბაზრებისაკენ ახალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. რადგან იაპონიის ბაზრის წილი იზრდებოდა, ხოლო აშშ მცირდებოდა, ამ უკანასკნელის ძლიერმა პოლიტიკურმა ძალებმა მოითხოვეს თავიანთი მრეწველობის დაცვა. საუკუნოების რისკის შექმნის მაგივრად, აშშ ხელისუფლებამ სთხოვა იაპონიის მთავრობას, შეემცირებინა ექსპორტი. იაპონელები, რომლებსაც შეეშინდათ პროტექციონიზმის ღონისძიებებისა აშშ-ს მხრიდან, შეუთანხმდნენ, რომ პროდუქციის რეალიზაციას შეაწყობდნენ. პირველი შეთანხმება 1981 წელს ზღუდავდა იაპონიის ექსპორტს 1.68 მლნ ავტომანქანით, 1984-85 წლებში – 1.85 მლნ-ით, შემდეგ შეთანხმებამ ძალა დაკარგა.

ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვების ეფექტები გართულდა რამდენიმე ფაქტორის გამო: პირველი, იაპონური და აშშ მანქანები არ იყო ერთმანეთის შემცველი. მეორე, იაპონიის მრეწველობა გარკვეულწილად პასუხობდა ქეოტას ხარისხის გაუმჯობესებით და ყიდდა დიდ მანქანებს უფრო კარგი მახასიათებლებით. მესამე, მანქანათმშენებელი მრეწველობა სრულყოფილად კონკურენტული არ იყო. და მაინც, ძირითადი შედეგი გამოდგა ის, რასაც ვარაუდობდა კამათი ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვებზე: იაპონური მანქანების ფასი აშშ-ში გაიზარდა იაპონიის ფირმების მიერ რენტის მითვისებით. აშშ მთავრობის მთლიანი ხარჯი უდრიდა 32 მლრდ დოლარს 1984 წელს, რაც ძირითადად შედეგი იყო უფრო ტრანსფერებისა იაპონიაში, ვიდრე ფაქტობრივი ზარალისა.

მოთხოვნა ნაწილობრივ ადგილობრივ წარმოებაზე

მოთხოვნის ადგილობრივი წილი გულისხმობს, რომ მზა პროდუქციის გარკვეული ნაწილი დამსაღდეს ადგილობრივ. ზოგ შემთხვევაში ეს წილი ფიზიკური ერთეულით გამოისახება, მაგალითად, როგორც აშშ ნათობის იმპორტის ქეოტა 1960 წელს. სხვა შემთხვევაში მოთხოვნა დგინდება ღირებულებითი გამოსახულებით, ოღონდ საქონლის ფასის მინიმალური წილი უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივ დამატებით ღირებულებას. ადგილობრივი წილის კანონებს ფართოდ იყენებდნენ განვითარებად ქვეყნებში, რათა თავიანთი გადამამუშავებელი ბაზა გადაეყვანათ ისევე შეუალედურ პროდუქციაზე. აშშ-ში მანქანებზე შემოთავაზებული ადგილობრივი წილის თამასუქი გაფორმდა 1982 წელს, მაგრამ მას არასოდეს არ უმოქმედია.

მანქანის ნაწილების ადგილობრივ მწარმოებლების აზრით, წილის რეგულირება უზრუნველყოფს პროტექციონიზმს ისევე, როგორც იმპორტული ქეოტა. იმ ფირმებისათვის, რომლებმაც ადგილზე უნდა იყიდონ, ეფექტი რამდენადმე სხვაა. ადგილობრივი წილი არ აწესებს მკაცრ ლიმიტს იმპორტზე. ის საშუალებას აძლევს ფირმებს, მეტი შემოიტანონ თავიანთი ქვეყანაში იმ პირობით, რომ ადგილობრივაც ბევრს შეიძენენ. ეს ნიშნავს, რომ ფირმის ნედლეულის ფაქტობრივი ფასი არის ფასების საშუალო მაჩვენებელი იმპორტირებული და ადგილობრივი ნედლეულზე.

განვიხილოთ მაგალითი: დაუშვათ, შემოტანილი მანქანების ფასია 6 000 დოლარი. ადგილობრივ ისეთივე მანქანის ნაწილების შესყიდვა დაჯდება 10 000 დოლარი, მაგრამ ამწყოფ ფირმებს მოეთხოვებათ, გამოიყენონ ადგილობრივი ნაწილების 50%. ისინი მიიღებენ მათ საშუალო ღირებულებას – 8 000 დოლარს (0.5 x 6 000 + 0.5 x 10 000), რაც აისახება მანქანების საბოლოო ფასში.

მნიშვნელოვანია ის, რომ მოთხოვნები ადგილობრივ წილზე არ ქმნიან არც სამთავრობო მოგებას და არც ქეოტის რენტას. სამაგიეროდ, იმპორტის ფასსა და ადგილობრივ პროდუქციას შორის სხვაობა საშუალოედება საბოლოო ფასში, რაც მომხმარებლის ინტერესის საგანია.

ადგილობრივი წილის რეგულირებაში საინტერესო სიახლე საშუალებას აძლევდა ფირმებს, ექსპორტის მეშვეობით დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები ადგილობრივ წილზე, ნაწილების ადგილობრივ გამოყენების

ნაცვლად. ეს მნიშვნელოვანი გახდა რამდენიმე შემთხვევაში. მაგალითად, აშშ სამანქანო ფორმებმა, რომლებიც მექსიკაში მიუშაობენ, არჩიეს გაეცნათ მექსიკიდან აშშ-ში რამდენიმე სახის ნაწილი, თუმცა მათი წარმოება უფრო იაფად შეიძლებოდა აშშ-ში, მაგრამ გატანა მათ საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინათ ნაკლები მექსიკური ნაწილები მექსიკაში მანქანების დასამზადებლად, მექსიკისავე ბაზრისათვის.

სავაჭრო პოლიტიკის სხვა საშუალებები

არსებობს ვაჭრობაზე მთავრობის გავლენის ბევრი სხვა გზა. მათ შორისაა:

1. **საექსპორტო კრედიტის სუბსიდიები.** ეს თითქმის იგივეა, რაც საექსპორტო სუბსიდია; განსხვავება ისაა, რომ ის იღებს მეიდველისათვის სუბსიდირებული სესხის სახეს. აშშ-ს, როგორც ბევრ სხვა ქვეყანას, აქვს სამთავრობო ინსტიტუტი – ექსპორტ-იმპორტის ბანკი, რომელმაც უნდა უსრუენელებს სუბსიდირებული კრედიტები კრედიტი ექსპორტის წასახალისებლად.
2. **ქვეყნის შესყიდვები.** მთავრობისა ან მკაცრად რეგულირებული ფორმების შესყიდვები შესაძლოა მიმართული იყოს ადგილობრივად დამზადებული პროდუქციისაკენ მაშინაც კი, თუ ეს პროდუქცია შემოტანილს უფრო ძვირია. ამის კლასიკური მაგალითია ევროპის ტელეკომუნიკაციების მრეწველობა. ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთთან თავისუფლად ვაჭრობენ. ტელეკომუნიკაციების მთავარი მეიდველები არიან სატელეფონო კომპანიები, რომლებიც – ძირითადად ევროპაში – აქამდე სახელმწიფო საკუთრება იყო. მთავრობის კუთვნილი ეს სატელეფონო კომპანიები საჭირო ნაწილებს მაინც იძენენ ადგილობრივი მიმწოდებლებისაგან, რომლებიც უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე სხვა ქვეყნები. შედეგი ისაა, რომ ევროპაში ტელეკომუნიკაციების ადგილობრივობით ვაჭრობის მასშტაბი ძალიან მცირეა.
3. **ბიუროკრატიული ბარიერები.** სოფტუერ მთავრობას უნდა იმპორტის შეზღუდვა არაფორმალურად. საბუნდოვანოდ თუ საუბედუროდ, ადვილია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საბაჟო პროცედურების შეცვლა ისე, რომ არსებითი წინააღმდეგობა შეექმნას ვაჭრობას. კლასიკური მაგალითია საფრანგეთის 1982 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც იაპონიის ვიდუოკასეტების ყველა ჩამწერ მოწყობილობას უნდა გაეყვანა საბაჟო შემოწმება, რაც ფაქტობრივად ზღუდავდა იმპორტს.

სავაჭრო პოლიტიკის შედეგები: რეზიუმე

სავაჭრო პოლიტიკის შედეგების შეჯამება შესაძლებელია 8-1 ცხრილის მიხედვით. მასში ნაჩვენებია სავაჭრო პოლიტიკის ოთხი მთავარი საკითხის სემიოტიკა: მომხმარებლის, მწარმოებლის, მთავრობისა და მოლიანად ქვეყნის კეთილდღეობაზე.

სავაჭრო პოლიტიკის ოთხივე განხრას სარგებლობა მოაქვს მწარმოებლისათვის და ვნებს მომხმარებელს, ამდენად მათი შედეგები ეკონომიკურ კეთილდღეობაში, უკეთეს შემთხვევაში, ორასროვანია; კერძოდ – ამათგან ორი სახეობა პოლიტიკისა ენებას აუენებს ქვეყანას, ხოლო ორი – ტარიფი და საიმპორტო ქვოტა – პოტენციურად სასარგებლოა მხოლოდ დიდი ქვეყნისათვის, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ფასების შემცირება.

ცხრილი 8-1 ალტერნატიული სავაჭრო პოლიტიკის შედეგები

	ტარიფი	საექსპორტო სუბსიდია	საიმპორტო ქვოტა	ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა
მეწარმის ნამატი	იზრდება	იზრდება	იზრდება	იზრდება
მომხმარებლის ნამატი	მცირდება	მცირდება	მცირდება	მცირდება
მთავრობის შემოსავლი	იზრდება	მცირდება (იზრდება სამთავრობო ხარჯები)	არ იცვლება (იჯარა ლიცენზიის მფლობელებისათვის)	არ იცვლება (იჯარა უცხოელებისათვის)
უროვნული კეთილდღეობა	გაურკვეველი (უცემა პატარა ქვეყნისათვის)	უცემა	გაურკვეველი (უცემა პატარა ქვეყნისათვის)	უცემა

თუ რატომ მიქმედებენ მთავრობები ისე, რომ შესწავლონ ან წაახალისონ ექსპორტი, განვიხილოთ მე-9 თავში.

ჩვენთვის

- ჩვენთვის წინა ანალიზის საპირისპიროდ, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა საბაზრო ოპერაციების საერთო წონასწორობაზე, სავაჭრო პოლიტიკის ანალიზისათვის არსებითია ნაწილობრივი წონასწორობის მიდგომის გამოყენება.
- ტარიფი ერთმანეთისაგან გამოყოფს უცხოეთისა და ადგილობრივ ფასებს. ზრდის ადგილობრივ ფასებს, მაგრამ სატარიფო განაკვეთზე ნაკლებად. მნიშვნელოვანია „პატარა“ ქვეყნის მაგალითი, რომელიც ევრაერთარ გაეღენას ვერ ახდენს უცხოურ ფასებზე. პატარა ქვეყნის ტარიფი მთლიანადაა ასახული ადგილობრივ ფასებში
- ტარიფის ან სხვა სავაჭრო პოლიტიკის ხარჯები და მოგება შესაძლოა გაიზომოს მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამატის კონცეფციის გამოყენებით. ამით ჩვენ შეგვიძლია გიჩვენოთ, რომ საქონლის ადგილობრივი მწარმოებელი იგებს, რადგან ტარიფი ზრდის ფასს, ადგილობრივი მომხმარებელი კი ზარალობს ამავე მიზეზით. მთავრობის შემოსავალშიც მოგება აღინიშნება.
- თუ შევადარებთ ტარიფით მიღებულ მოგებასა და ზარალს, ქვეყნის კეთილდღეობის წმინდა ეფექტი შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად. არის ფაქტობრივი ზარალი, რომელიც სტიმულების იმ დამახინჯების შედეგია, რასაც ადგილობრივი მწარმოებლები და მომხმარებლები აწვდებიან. მეორე მხრივ, არსებობს ვაჭრობის პირობების მოგება, რომელიც ასახავს ტარიფის ტენდენციას, შეამციროს უცხოური ექსპორტის ფასები. პატარა ქვეყანაში, რომელიც გაეღენას ვერ ახდენს უცხოურ ფასებზე, მეორე ეფექტი ნულის ტოლია. ასე რომ, სახეზეა აშკარა ზარალი.
- ტარიფის ანალიზი შესაძლოა მიესადაგოს სავაჭრო პოლიტიკის სხვა ღონისძიებებს, როგორცაა საექსპორტო სუბსიდიები, საიმპორტო ქვოტები და ექსპორტის ნაბაყოფლობითი შეზღუდვები. საექსპორტო სუბსიდია იწვევს ტარიფის მსგავს ფაქტობრივ ზარალს, მაგრამ ანაზღაურებს ამ ზარალს ვაჭრობის პირობების გაუარესებით. საიმპორტო ქვოტებიდან ექსპორტის ნაბაყოფლობითი შეზღუდვები განსხვავდება ტარიფისაგან იმით, რომ მთავრობა არ იღებს მოგებას. სამაგიეროდ ის, რაც იქნებოდა მთავრობის მოგება, გროვდება რენტის სახით იმპორტის ლიცენზიის მიმღებთა ხელში ქვოტის შემთხვევაშიც და უცხოელებისათვის ექსპორტის ნაბაყოფლობითი შეზღუდვის შემთხვევაშიც.

პირითადი ტერმინები

ადვალორული ტარიფი
 მოხმარების დამახინჯების ზარალი
 პროტექციონიზმის ეფექტური ნორმა
 საექსპორტო შეზღუდვა
 ექსპორტის მიწოდების მრუდი
 საიმპორტო ქვოტა
 არასატარიფო ბარიერები
 საიჯარო ქვოტა
 ვაჭრობის პირობების მოგება

მომხმარებლის ნამატი
 წარმოების დამახინჯების ზარალი
 ეფექტურობის ზარალი
 საექსპორტო სუბსიდია
 იმპორტის მოთხოვნის მრუდი
 მოთხოვნა ნაწილობრივ ადგილობრივ ნაწარმზე
 მწარმოებლის ნამატი
 სპეციფიკური ტარიფი
 ექსპორტის ნაბაყოფლობითი შეზღუდვა

პითხვები

- ჩვენი ქვეყნის ხორბალზე მოთხოვნის მრუდი არის
-

$$D = 100 - 20P,$$

მისი მიწოდების მრუდი არის

$$S = 20 + 20P.$$

შეადგინეთ ჩვენი ქვეყნის იმპორტის მრუდის სქემა. რამდენი ეღირება ხორბალი ვაჭრობის არარსებობის დროს?

- ახლა დაამატეთ უცხო ქვეყნის მოთხოვნის მრუდი
-

$$D^* = 80 - 20P$$

და მიწოდების მრუდი

$$S^* = 40 + 20P$$

- გამოიანგარიშეთ და შეადგინეთ უცხო ქვეყნის ექსპორტის მიწოდების მრუდი და ხორბლის საბოლოო ფასი, რომელიც გადააჭარბებს უცხო ქვეყნისას ვაჭრობის არარსებობის დროს.
- ახლა ივაჭროს ორივე ქვეყანამ ტრანსპორტირების ნულოვანი ხარჯით. იპოვეთ და გრაფიკულად გამოსახეთ წონასწორობა თავისუფალი ვაჭრობის დროს. რა არის მსოფლიო ფასი? რა არის ვაჭრობის მოცულობა?

5. ჩვენი ქვეყანა აწესებს სპეციფიკურ ტარიფს – 0.5%-ს ხორბლის იმპორტზე.
 - ა. განსაზღვრეთ და დახაზეთ ტარიფის ეფექტი შემდეგ ჯგუფებზე: 1. თითოეულ ქვეყანაში ხორბლის ფასი; 2. თითოეულ ქვეყანაში ხორბლის მოთხოვნილი და მიწოდებული რაოდენობა; 3. ვაჭრობის მოცულობა.
 - ბ. გრაფიკულად წარმოსახეთ და დაიანგარიშეთ ვაჭრობის პირობების მოგება, ფაქტობრივი ზარალი და მთლიანი ეფექტი ტარიფის კეთილდღეობაზე.
6. დაეუშვათ, უცხოეთი გაცილებით დიდი ქვეყანაა, ადგილობრივი მოთხოვნით

$$D^* = 800 - 200P, \quad S^* = 400 + 200P.$$

(შენიშნეთ, რომ ხორბლის ფასი უცხო ქვეყანაში ვაჭრობის არარსებობის დროს იგივეა, რაც მე-2 კითხვაში).

გადაიანგარიშეთ თავისუფალი ვაჭრობის წონასწორობა და ჩვენი ქვეყნის მიერ დაწესებული 0.5% ტარიფიანი ეფექტები.

7. ევროპის საავიაციო მრეწველობა იღებს დახმარებას სხვადასხვა სახელმწიფოდან, რაც დაახლოებით უდრის თითოეული თვითმფრინავის გასაყიდი ფასის 20%-ს. მაგალითად, თვითმფრინავი, რომელიც იყიდება 50 მლნ დოლარად, შესაძლოა უღირდეს მწარმოებელს 60 მლნ დოლარი. ამავე დროს „ევროპული“ თვითმფრინავის შესყიდვის ფასის დაახლოებით ნახევარი წარმოადგენს იმ ნაწილების ფასს, რომელიც სხვა ქვეყნებიდანაა შესყიდული (აშშ-ს ჩათვლით). თუ შეფასება სწორია, რა არის პროტექციონიზმის ეფექტური ნორმა, მიღებული თვითმფრინავების ევროპელი მწარმოებლის მიერ.
8. მიუბრუნდეთ მე-2 კითხვის მაგალითს. დაეუშვათ, თავისუფალი ვაჭრობით დაწყებული, უცხო ქვეყანა სთავაზობს ექსპორტიორებს 0.5% სუბსიდიას ერთ ერთეულზე. გაიანგარიშეთ თითოეულ ქვეყანაში ფასზე ეფექტი და კეთილდღეობა როგორც ცალკე ჯგუფებისათვის, ისე მთლიანად ეკონომიკისათვის ორივე ქვეყანაში.
9. ავიღოთ „პატარა ქვეყანა“, რომელიც გავლენას ვერ ახდენს მსოფლიო ფასზე. მას შემოაქვს ერთი ტომარა თხილი 10 დოლარად. მოთხოვნის მრუდი არის

$$D = 400 - 10P,$$

მიწოდების მრუდი არის

$$S = 50 + 5P.$$

განსაზღვრეთ თავისუფალი ვაჭრობის წონასწორობა, შემდეგ გაიანგარიშეთ და გრაფიკულად გამოსახეთ შემდეგი ეფექტები საიმპორტო ქვოტაზე, რომელიც ზღუდავს იმპორტს 50 ტომარამდე:

- ა. ადგილობრივი ფასის ზრდა.
- ბ. საიჯარო ქვოტა.
- გ. მოხმარების დამახინჯების ზარალი.
- დ. წარმოების დამახინჯების ზარალი.

თავი 8, ღანართი 1

ტარიფის საერთო წონასწორობის ანალიზი

ეს თავი ეხება ტარიფებს, ქვოტებსა და პოლიტიკის სხვა ეფექტებს ერთიან ბაზარში და არ ითვალისწინებს შედეგებს სხვა ბაზრებისათვის. ასეთი ნაწილობრივი განხილვა გაცილებით მარტივია (რაკი სხვა ბაზრების წონასწორობა ერთმანეთის ადექვატურია), ვიდრე სრული საერთო წონასწორობის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ჯვარედინი ბაზრის ეფექტებს, და მაინც, მიუხედავად სირთულისა, ზოგჯერ აუცილებელი ხდება საერთო წონასწორობის ანალიზი. მე-5 თავში მოკლედ მიმოვიხილეთ ტარიფების ეფექტი საერთო წონასწორობაში. დანართში უფრო დაწვრილებითი ანალიზია მოცემული.


ანალიზი ორ საფეხურად მიმდინარეობს: ჯერ ვაანალიზებთ ტარიფის ეფექტს პატარა ქვეყანაში, რომელიც გავლენას ვერ ახდენს ვაჭრობის პირობებზე, შემდეგ ვეხებით იმავე ეფექტს დიდ ქვეყანაში.

ტარიფი პატარა ქვეყანაში

წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელიც ორ საქონელს აწარმოებს და მოიხმარს – ესაა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია და საკვები. ქვეყანა თავისი სიმცირის გამო უძლურია, გააკლენა მოახდინოს ვაჭრობის პირობებზე; თუ დაეუშვებთ, რომ მას ექსპორტის სახით გააქვს გადამამუშავებელი მრეწველობის

პროდუქცია და შემოაქვს საკვები. მაშინ ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე ყიდის ამ პროდუქციას მოცემულ მსოფლიო P_M^* ფასად და ყიდულობს საკვებს მსოფლიო P_F^* ფასად.

გრაფიკი 8დ1-1 თავისუფალი ვაჭრობის წონასწორობა პატარა ქვეყანაში




ქვეყანა აწარმოებს თავისი წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის იმ წერტილში, სადაც იგი ეხება იმ მრუდს, რომლის დაქანება უდრის შესადარ ფასებს, და მოიხმარს ბიუჯეტის მრუდის იმ წერტილში, სადაც იგი ეხება ყველაზე მაღალ შესაძლებელ გულგრილობის მრუდს.

8დ1-1 გრაფიკი გვიჩვენებს ამ ქვეყნის მდგომარეობას ტარიფების არარსებობის დროს. ეკონომიკა აწარმოებს თავისი საწარმოო შესაძლებლობების ზღვარზე, რაც $-P_M^*/P_F^*$ დახრილი წრფის მხებია, რომელიც გამოხატულია Q^1 -ით. ეს მრუდი, აგრეთვე, განსაზღვრავს ეკონომიკის ბიუჯეტურ შეზღუდვას. ეკონომიკა ირჩევს წერტილს ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდზე, რომელიც გადაკვეთს უმაღლეს შესაძლო გულგრილობის მრუდს; გადაკვეთის წერტილი ნაჩვენებია D^1 -ით.

ახლა დაუშვათ, მთავრობა აწესებს ღირებულებითს ტარიფს t განაკვეთზე. ამით, საკვების ფასი მომხმარებლებისა და მწარმოებლებისათვის იზრდება $P_F^*(1+t)$, და შესადარი ფასის მრუდი პორიზონტალური ხდება $-P_M^*/P_F^*(1+t)$ დაქანებით.

გრაფიკი 8დ1-2 ტარიფი პატარა ქვეყანაში



ქვეყანა აწარმოებს ნაკლებ საექსპორტო საქონელს და მეტ იმპორტირებულ საქონელს. მოხმარება დამახინჯებულია. შედეგად, მცირდება როგორც კეთილდღეობა, ასევე ქვეყნის ვაჭრობის მოცულობა.

გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის შესადარი ფასის შემცირების ეფექტი წარმოებაზე სწორხაზოვანია: პროდუქცია მცირდება, როცა საკვების გამოშვება იზრდება. 8დ1-2 გრაფიკში ეს გადახრა ნაჩვენებია წარმოების წერტილის მოძრაობით Q^1 -დან (8დ1-1 გრაფიკზე დაფიქსირებული) Q^2 -მდე.

მოხმარების ეფექტი უფრო გართულებულია; ტარიფი ქმნის შემოსავალს, რომელიც როგორმე უნდა დაიხარჯოს. საერთოდ, ტარიფის ზუსტი ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხარჯავს მთავრობა შემოსავალს. განვიხილოთ შემთხვევა, როცა მთავრობა უბრუნებს მომხმარებელს ტარიფის შემოსავლის რაიმე წილს. ამ შემთხვევაში მომხმარებლების ბიუჯეტის შეზღუდვა აღარ იქნება $-P_M^*/P_F^*(1+t)$ დაქანების მქონე მრუდი, რომელიც გადის წარმოების Q^2 წერტილზე; მომხმარებლებს უკვე მეტი დახარჯვა შეუძლიათ, რადგან იმ შემოსავალს, რასაც ისინი იღებენ საქონლის წარმოებით, ემატება მთავრობის მიერ აკრეფილი სატარიფო შემოსავლის ნაწილი.

როგორ ვანგარიშობთ სწორ ბიუჯეტურ შეზღუდვას. შენიშნეთ, რომ ვაჭრობა გაწონასწორებული უნდა იყოს მსოფლიო ფასებით. ე.ი.

$$P_M^* \times (Q_M - D_M) = P_F^* \times (D_F - Q_F)$$

სადაც Q გამოშვებაა და D გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია და საკვები. ამ ტოლობის მარცხენა მხარე წარმოადგენს ექსპორტის ღირებულებას მსოფლიო ფასებით, მარჯვენა კი - იმპორტის ღირებულებას. ეს მახეყენებლები შეიძლება გადაყვადგილით და აშკარა გავხადოთ; რომ მოხმარების ღირებულება უდრის

წარმოების ღირებულებას მსოფლიო ფასით:

$$P^*_M \times Q_M + P^*_F \times Q_F = P^*_M \times D_M + P^*_F \times D_F$$

ეს განსაზღვრავს ბიუჯეტურ შეზღუდვას, რომლის აღმნიშვნელი მრუდი გადის წარმოების Q^1 წერტილზე $-P^*_M / P^*_F$ დაქანებით. მოხმარების წერტილი უნდა იყოს ამ ახალი ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდზე.

მაგრამ მომხმარებლები არ აირჩევენ იმ წერტილს, სადაც შეზღუდვის მრუდი ეხება გულგრილობის მრუდს. ამის ნაცვლად, ისინი მოიხმარენ ნაკლებ საკვებს და გადაამაშავებელი მრეწველობის მეტ ნაწარმს ტარიფის მეშვეობით. 8დ1-2 გრაფიკში მოხმარების ნიშნული, ტარიფის გათვალისწინებით, ნაჩვენებია D^2 -წერტილით. იგი მდებარეობს ახალი ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდზე, მაგრამ გულგრილობის მრუდზე, რომელიც ეხება $-P^*_M / P^*_F (1+t)$ დაქანებით. ეს მრუდი ნაჩვენებია იმავე დაქანების მქონე მრუდს ზემოთ, რომელიც გადის წარმოების Q^1 წერტილზე; სხვაობას ქმნის ტარიფის შემოსავალი, გადანაწილებული მომხმარებლებზე. ამ გრაფიკის განხილვითა და მისი შედარებით 8დ1-1 გრაფიკთან გამოყოფთ სამ ძირითად საკითხს:


1. მომხმარებელთა კეთილდღეობა ნაკლებია ტარიფის პირობებში, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობისას. ე.ი. D^2 მდებარეობს გულგრილობის უფრო დაბალ მრუდზე, ვიდრე D^1
2. კეთილდღეობა მცირდება ორი ეფექტის გამო: ა) ეკონომიკა აღარ აწარმოებს იმ წერტილზე, რომელსაც მაქსიმუმამდე აყვავს შემოსავლის ღირებულება მსოფლიო ფასებით. ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდი, რომელიც Q^1 წერტილზე გადის, გავლენილია შეზღუდვის იმ მრუდის შიგნით, რომელიც გადის Q^1 წერტილზე. ბ) მომხმარებლები არ ირჩევენ კეთილდღეობის მაქსიმუმამდე გასრდის წერტილს ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდზე; მოძრაობა არ აღინიშნება ზემოთ, გულგრილობის მრუდისაკენ, რომელიც კვეთს ეკონომიკის ნამდვილი ბიუჯეტური შეზღუდვის მრუდს. ორივე ეფექტი შედეგია იმისა, რომ ადგილობრივი მომხმარებლები და მწარმოებლები აწყობიან მსოფლიო ფასებისაგან განსხვავებულ ფასებს. კეთილდღეობის ზარალი – გამოწვეული არაეფექტური წარმოებით (ა) ისეთივეა, როგორც წარმოების დამახინჯებით გამოწვეული ზარალი, რაც ამ თავში ნაწილობრივ წონასწორული მიდგომით აღეწერეთ; და არაეფექტური მომხმარებით (ბ) გამოწვეული კეთილდღეობის ზარალი მსგავსია სამომხმარებლო დამახინჯებებით გამოწვეული ზარალისა.
3. ვაჭრობა მცირდება ტარიფის გამო. ექსპორტიც და იმპორტიც იკლებს ტარიფის დაწესების შემდეგ.

ასეთია იმ ტარიფის ეფექტები, რომლის დაწესებაც შეუძლია პატარა ქვეყანას.

ტარიფი დიდ ქვეყანაში

დიდი ქვეყნის მაგალითის განხილვის დროს ვიყენებთ შეთავაზების მრუდის მეთოდს, რომელიც მე-5 თავის დანართში წარმოვადგინეთ. ვიღებთ ორ ქვეყანას: ჩვენს ქვეყანას, რომელსაც ექსპორტად გააქვს გადაამაშავებელი მრეწველობის პროდუქცია და შემოაქვს საკვები, და უცხო ქვეყანას, რომელიც მისი სავაჭრო პარტნიორია. 8დ1-3 გრაფიკში უცხო ქვეყნის შეთავაზების მრუდი არის OF. ჩვენი ქვეყნისა OM^1 – ტარიფის არარსებობის დროს. თავისუფალი ვაჭრობის წონასწორობა განისაზღვრება OF და OM^1 მრუდების გადაკვეთით (1) წერტილში; მსოფლიო ბაზარზე გადაამაშავებელი მრეწველობის პროდუქციის შესაძარი ფასია (P^*_M / P^*_F) .

გრაფიკი 8დ1-3 ტარიფის ეფექტი ვაჭრობის პირობებზე



ტარიფი იწვევს ქვეყნის ვაჭრობის შემცირებას ჩებისმიერი მოცემული ვაჭრობის პირობებში; ასე რომ, მისი შემოსავაზების მრუდი შიგნით გადაიწევა. ეს გულისხმობს, რომ ვაჭრობის პირობები უნდა გაუმჯობესდეს. გაუმჯობესებული ვაჭრობის პირობებიდან მოგება აანაზღაურებს წარმოებისა და მოხმარების დამახინჯებიდან შედეგად გამოწვეულ იმ დანაკარგებს, რომელიც ამცირებს კეთილდღეობას ვაჭრობის მოცემულ პირობებში.

ახლა დაეუშვათ, ჩვენი ქვეყანა აწესებს ტარიფს. ჯერ გასარკვევია, როგორ შეიცვლება მისი ვაჭრობა, თუ ვაჭრობის პირობები იგივე დარჩება? პატარა ქვეყნის მიხედვით გაკეთებული ანალიზიდან პასუხი უკვე ვიცით – მოცემული მსოფლიო ფასებით ტარიფი ამცირებს ექსპორტსაც და იმპორტსაც. ამგვარად, თუ

გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის მსოფლიო შესადარი ფასი რჩება P^* / P^* -ზე, ჩვენი ქვეყნის შუთავაზების მრედი გადაიხრება (1)-დან (2) წერტილისაკენ. უფრო სოგადად, თუ ჩვენი ქვეყანა აწევებს ტარიფს, მისი მოლიანი შუთავაზების მრედი შემცირდება და დაემთხევა OM' მრუდს, რომელიც გადის (2) წერტილში.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის შუთავაზების მრუდის ეს გადახრა შეცვლის ვაჭობის პირობების წონასწორობას, რაც ნაჩვენებია 8დ1-3 გრაფიკში. ახალი წონასწორობა მიიღწევა (3) წერტილში, გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის შესადარი ფასით $(P^* / P^*) > (P^* / P^*)'$. ე.ი. ტარიფი აუმჯობესებს ჩემი ქვეყნის ვაჭრობის პირობებს.

ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე ტარიფის ეფექტი ორაზროვანია. ერთი მხრივ, თუ ვაჭრობის პირობები არ გაუმჯობესდება, როგორც ეს პატარა ქვეყნის ანალიზით გავარკვეეთ, ტარიფი შეამცირებს კეთილდღეობას. მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებას მიჰყვება მოქმედების კეთილდღეობის ზრდა. ასე რომ, კეთილდღეობის ეფექტი შესაძლოა ორივე შემთხვევაში წარმართოს ისევე, როგორც ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზის დროს.

დანართი II

ტარიფები და იმპორტული ძვობები მონოპოლიის დროს

ამ თავში სავაჭრო პოლიტიკის ანალიზში ცხადყო, რომ ბაზრები სრულყოფილად კონკურენტულნი არიან და ყველა ფირმა იღებს იმ ფასს, რაც დაწესებულია, მაგრამ, როგორც მე-ნ თავში დავამტკიცეთ, ბევრი ბაზარი არასრულყოფილად კონკურენტულია საერთაშორისო სავაჭრო საქონლისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის ეფექტზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბაზარზე კონკურენციის ხასიათმა.


როდესაც ვაანალიზებთ სავაჭრო პოლიტიკის ეფექტებს არასრულყოფილად კონკურენტულ ბაზრებში, ჩნდება ახალი შეხედულება: საერთაშორისო ვაჭრობა ზღუდავს მონოპოლურ ძალაუფლებას; ამიტომ ის პოლიტიკა, რომელიც შეხლუდავს ვაჭრობას, გაზრდის მონოპოლურ ძალაუფლებას. ფირმას, ერთადერთი მწარმოებელიც რომ იყოს ქვეყანაში, ფასების გაზრდის მცირე შესაძლებლობა მაინც ექნებოდა ბევრი უცხოელი მიმწოდებლისა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში. თუ იმპორტი შესლუდელი იქნება ქვობით, იგივე ფირმა თავისუფლად გაზრდის ფასებს, კონკურენციის შიშის მიუხედავად.

სავაჭრო პოლიტიკასა და მონოპოლურ ძალაუფლებას შორის კავშირი გასაგები გახდება იმ მოდელის განხილვის შემდეგ, როცა ქვეყანას შემოაქვს საქონელი და მისი იმპორტკონკურენტული წარმოება მოწმდება მხოლოდ ერთი ფირმის მიერ. ქვეყანა პატარაა მსოფლიო ბაზრების მასშტაბის მიხედვით, ასე რომ, იმპორტის ფასზე გავლენას ვერ მოახდენს მისი სავაჭრო პოლიტიკა. ამ მოდელის ნათელსაყოფად განვიხილოთ და შევადაროთ ერთმანეთს თავისუფალი ვაჭრობის ეფექტები, ტარიფი და საიმპორტო ქვობა.

თავისუფალი ვაჭრობის მოდელი

8დ11-1 გრაფიკი გვიჩვენებს თავისუფალ ვაჭრობას იმ ბაზარზე, სადაც ადგილობრივი მონოპოლისტი აწევდა იმპორტის კონკურენციას. D არის ადგილობრივი მოთხოვნის მრედი ანუ ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ პროდუქციის მოთხოვნის მანქნებელი. P არის საქონლის მსოფლიო ფასი, ანუ იმპორტი შეუსლუდავი რაოდენობითაა დაშვებული ამ ფასად. ვთქვათ, ადგილობრივი მრეწველობა შედგება ერთი ფირმისაგან, რომლის სღვრული ხარჯის მრედი არის MC .

8დ11-1 გრაფიკი მონოპოლისტი თავისუფალი ვაჭრობის დროს




იმპორტის კონკურენციის შიში აიძულებს მონოპოლისტს იმოქმედოს როგორც სრულყოფილმა კონკურენტულმა წარმოებამ.

ამ ბაზარში თავისუფალი ვაჭრობის არარსებობის პირობებში ადგილობრივი ფირმა იქცევა, როგორც ჩვეულებრივი, მოგების მაქსიმუმამდე ამყვანი მონოპოლისტი. ამის შესაბამისად არის MR ზღვრული შემოსავლის მრუდი და ფირმა ირჩევს მოგების მაქსიმუმამდე ამყვანი მონოპოლისტის განმაპირობებელ Q_M გამოშვების დონეს და P_M ფასს.

მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის დროს მონოპოლისტის ასეთი ქცევა შეუძლებელია. თუ ფირმა ეცდება დაარიცხოს P ფასი, ან ნებისმიერი ფასი P -ზე მაღლა, არაეინ იყიდის მის საქონელს, რადგან იაფი იმპორტი უფრო ხელმისაწვდომია. ამგვარად, საერთაშორისო ვაჭრობა დააწესებს უმაღლეს ზედა ზღვარს მონოპოლისტის ფასზე P_W დროს.

ფასზე ამ ლიმიტის დაწესებით ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც მონოპოლისტს შეუძლია, არის აწარმოოს იმ წერტილამდე, სადაც ზღვრული ხარჯი უდრის მსოფლიო ფასს Q -ზე P ფასის დროს ადგილობრივი მომხმარებლები მოთხოვენ საქონლის D ერთეულს. ასე რომ, იმპორტი იქნება $D - Q$. ეს შედეგი ისეთივეა, როგორც ექნებოდა ადგილობრივ მრეწველობას, სრულყოფილად კონკურენტული რომ ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ თავისუფალი ვაჭრობის დროს ადგილობრივ მრეწველობას აქვს მონოპოლიური მდგომარეობა, ამ შედეგისათვის არაფერს ნიშნავს.

გრაფიკი 8დII-2. მონოპოლისტის დაცვა ტარიფებით



ტარიფები საშუალებას აძლევს მონოპოლისტს გაზარდოს თავისი ფასი, მაგრამ ფასი მაინც შეზღუდულია იმპორტის კონკურენციის შიშით.


ტარიფის მოდელი

ტარიფის ეფექტი არის მაქსიმუმამდე გაზრდა იმ ფასისა, რისი დარიცხვაც პროდუქციაზე ადგილობრივ მრეწველობას შეუძლია. თუ სპეციალური t ტარიფი დაერიცხება იმპორტს, ადგილობრივ მრეწველობას შეუძლია დაარიცხოს $P + t$ (8დII-2 გრაფიკი). ვაჭრობა ჯერ კიდევ არაა თავისუფალი და არ შეუძლია გაზარდოს ფასები მონოპოლურ ფასებამდე – მომხმარებლები მიეძალებიან იმპორტს, თუ ადგილობრივი პროდუქციის ფასი ტარიფის დამატებით გაიზარდება მსოფლიო ფასზე მეტად. ამგვარად, ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც ამ შემთხვევაში მონოპოლისტს შეუძლია, არის ის, რომ დააწესოს ზღვრული ხარჯის ტოლი ფასი Q დროს. ტარიფი ზრდის ადგილობრივ ფასს ისევე, როგორც ადგილობრივი მრეწველობის გამოშვებას, როცა მოთხოვნა მცირდება D -მდე; ამ შემთხვევაში იმპორტიც მცირდება. ადგილობრივი მრეწველობა კვლავ აწარმოებს იმავე რაოდენობას, როგორც ეს სრულყოფილად კონკურენტულ პირობებში არის შესაძლებელი.

საიმპორტო ქვოტის მოდელი

დაეუშვათ, მთავრობა აწესებს ლიმიტს იმპორტზე, მისი რაოდენობის შეზღუდვით Q ფიქსირებულ დონემდე. მონოპოლისტმა იცის, რომ როდესაც ის აწესებს P -ზე მაღალ ფასს, იგი არ იზარალებს მთელი თავისი პროდუქციის გაყიდვიდან. პირიქით, იგი გაყიდის ადგილობრივი მოთხოვნის მიხედვით დარიცხულ ფასად, გამოკლებული დაშვებული Q იმპორტის ღირებულება. ამგვარად, მონოპოლისტის მოთხოვნა იქნება ადგილობრივ მოთხოვნას გამოკლებული დაშვებული იმპორტი. ჩვენ ესაზღვრავთ ქვოტის შემდგომ მოთხოვნის მრუდს D ; იგი ადგილობრივი მოთხოვნის D მრუდის პარალელურია, მაგრამ Q ერთეული გადახრილია მარცხნივ (8დII-3 გრაფიკი).

გრაფიკი 8დII-3 საიმპორტო ქვოტით დაცული მონოპოლისტი




ახლა მონოპოლისტს თავისუფლად შეუძლია გაზარდოს ფასი, რადგან იცის, რომ იმპორტის ადგილობრივი ფასიც გაიზრდება.

D -ს შესატყვისად აიგება ზღვრული შემოსავლის ახალი MR მრუდი. ფირმა, რომელიც დაცულია იმპორტული ქვოტით, მაქსიმუმამდე ზრდის თავის მოგებას ახალი ზღვრული შემოსავლის ტოლი ზღვრული ხარჯის დაწესებით, აწარმოებს Q ოდენობას და აწესებს P ფასს (ერთი ერთეულის შემოტანის ლიცენზია იძლევა $P_w - P$ შემოსავალს).

ტარიფისა და ქვოტის შედარება

ტარიფისა და ქვოტის შედეგების ერთმანეთთან შედარებას მიეყვართ იმპორტის იმავე დონემდე, რაც ნაჩვენებია 8დII-4 გრაფიკში. t ტარიფის დონე განაპირობებს \bar{Q} იმპორტის დონეს; ისმის კითხვა: რა მოხდება, თუ ტარიფის ნაცვლად მთავრობა უბრალოდ შეზღუდავს იმპორტს \bar{Q} დონემდე?

გრაფიკი 8დII-4 ტარიფისა და ქვოტის შედარება



ქვოტები იწვევს ადგილობრივი გამოშვების შემცირებას და ტარიფზე უფრო მაღალ ფასს, რაც წარმოშობს იმპორტის იმავე დონეს.

გრაფიკიდან ჩანს, რომ ადგილობრივი წარმოების თვალსაზრისით შედეგი ერთნაირი არ არის. ტარიფს მიეყვართ Q დონის ადგილობრივი წარმოებამდე და ადგილობრივ $P + t$ ფასამდე, ქვოტას კი Q ადგილობრივი წარმოების დაბალ დონემდე და P მაღალ ფასამდე. ტარიფით დაცული მონოპოლური ადგილობრივი წარმოება იქცევა ისე, თითქოს სრულყოფილად კონკურენტული იყოს, როდესაც იგი ქვოტითაა დაცული, ასე არ ხდება.

ამ სხვაობის მიზეზი არის ის, რომ საიმპორტო ქვოტა ქმნის უფრო მეტ მონოპოლურ ძალაუფლებას, ვიდრე ტარიფი. როდესაც მონოპოლისტური საწარმოები დაცულია ტარიფით, ადგილობრივმა ფირმებმა იციან, რომ თუ ფასს ძალიან გაზრდიან, მათ მაინც შეზღუდავს იმპორტი. საიმპორტო ქვოტა, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს აბსოლუტურ პროტექციონიზმს: არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მაღალია ადგილობრივი ფასი. იმპორტს არ შეუძლია, გადააჭარბოს ქვოტას.

ეს შედარება გვეუბნება, რომ თუ მთავრობა ფიქრობს ადგილობრივ მონოპოლურ ძალაუფლებაზე, მან ტარიფების დაწესება უნდა აშკარაობს ქვოტებს, როგორც ვაჭრობის პოლიტიკის საშუალებას. პროტექციონიზმის გამო იზრდება გადახრა ტარიფებიდან არასატარიფო ბარიერებისაკენ, საიმპორტო ქვოტის ჩათვლით. ამის ასახსნელად ეკონომიკური ეფექტურობის გარდა, რაც მთავრობის პოლიტიკას ამოძრავებს, უნდა განვიხილოთ სხვა მიზეზებიც.

თავი 9

სავაჭრო პოლიტიკის პოლიტიკური მონოპია

1981 წელს აშშ-მ სოხოვა იაპონიას, შეესაბამებოდა მანქანების ექსპორტი მის სახელმწიფოში. იაპონიამ მიიღო ეს წინადადება და აშშ-ში შემოტანილ მანქანებზე ფასები გასარდა – მისი მომხმარებელი იძულებული გახდა, ეყიდა ადგილობრივი მანქანა, რომელიც მას დიდად არ მოსწონდა. იაპონია ცდილობდა ამ საკითხის მოგვარებას აშშ მთავრობასთან; ეს უკანასკნელი კი მოითხოვდა, იაპონიას გაეუქმებინა საიმპორტო ქვოტები საქონლის ხორცისა და ციტრუსების ნაწარმზე. ეს კი აიძულებდა იაპონელ მომხმარებელს, ეყიდა წარმოუდგენლად ძვირი ადგილობრივი ნაწარმი აშშ-დან შემოტანილი იაფი ნაწარმის მაგივრად. ორივე ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა, გაეტარებინა ის პოლიტიკა, რომელსაც, ხარჯებისა და მოგების ანალიზის თანახმად (თავი 8), უფრო მეტი წაგება მოჰყვებოდა, ვიდრე მოგება. აშკარაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ასახავს იმ მიზნებს, რაც სცილდება ხარჯებისა და მოგების მარტივ მნიშვნელობას.

აქ განვიხილავთ სხვა გარემოებებსაც, როდესაც მთავრობები არ ამყარებენ თავიანთ პოლიტიკას ეკონომისტების მიერ ჩატარებულ ხარჯისა და მოგების გამოთვლებზე. სავაჭრო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალების განხილვა პრაქტიკულად გრძელდება მე-10 და მე-11 თავებში, სადაც წინწამოწეულია სავაჭრო პოლიტიკის ის განსაკუთრებული საკითხები, რის წინაშეც დგანან განვითარებადი და მოწინავე ქვეყნები.

რეალური სავაჭრო პოლიტიკის გასაგებად, პირველ რიგში უნდა ვიკითხოთ: რა მიზეზებით არ უნდა ჩაერიოს მთავრობა ვაჭრობაში – ე.ი. რა არის თავისუფალი ვაჭრობა? ამისათვის პასუხის გასაცემად განვიხილოთ ჩარევის არგუმენტები.

თავისუფალი ვაჭრობის საკითხი

ძალიან ცოტა ქვეყანამ იცის, რა არის თავისუფალი ვაჭრობის თეორია. ქალაქი-სახელმწიფო პონგ-კონგი, შესაძლოა, იყოს ერთადერთი თანამედროვე ეკონომიკაში, სადაც არ არის ტარიფები და საიმპორტო ქვოტები, და ეს ყოველივე შეიცვლება 1997 წელს, როდესაც ქალაქის მთავრობა გადაეა პროტექციონისტული ჩინეთის გამგებლობაში. ადამ სმიტიდან მოყოლებული, ეკონომისტები იცადენენ თავისუფალ ვაჭრობას, როგორც იდეალურს, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს სავაჭრო პოლიტიკა. ამ დაცვის მიზეზები არც ისე მარტივია, როგორც თვით იდეა. თეორიული მოდელების მიხედვით თავისუფალი ვაჭრობა აიცილებს პროტექციონიზმთან დაკავშირებული ეფექტურობის ზარალს. ბევრი ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობა ბოლოს მოუღებს წარმოებისა და მოხმარების დამახინჯებებს და შექმნის დამატებით მოგებას. და ბოლოს, ეკონომისტთაგან ბევრს სჯერა, რომ თავისუფალი ვაჭრობა შორსაა სრულყოფილი პოლიტიკისაგან, ბევრიც დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობა მაინც უკეთესია მთავრობის მიერ გატარებულ ბევრ სხვა პოლიტიკაზე.

თავისუფალი ვაჭრობა და ეფექტურობა

თავისუფალი ვაჭრობის ეფექტურობის საკითხი უბრალოდ ტარიფის ხარჯისა და მოგების ანალიზის მეორე მხარეა. 9-1 გრაფიკი გვიჩვენებს იმ პატარა ქვეყნის მაგალითს, რომელსაც არ შეუძლია გააღწიოს მოახდინოს უცხოური ექსპორტის ფასებზე. ტარიფი იწვევს ორი სამკუთხედით გასომილ წმინდა ზარალს ეკონომიკაში; რასაც მოსდევს როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის ეკონომიკური წახალისების დარღვევა. პირაქით, თავისუფალი ვაჭრობის განვითარებისაკენ მოძრაობა აუქმებს ამ დარღვევებს და ზრდის ქვეყნის კეთილდღეობას.


აღნიშვნის ღირსია, რომ აშშ-ს პროტექციონიზმის ხარჯები ძალიან მცირეა ეროვნულ შემოსავალთან მიმართებაში ორი ფაქტის გამო: 1. აშშ ნაკლებად დაამოკიდებულია ვაჭრობაზე, ვიდრე სხვა ქვეყნები; 2. ამ ქვეყანაში ვაჭრობა თავისუფალია (სოფიერით გამოწვევის გარდა). პატარა ქვეყანა კი, რომელიც ძალიან მცირე ტარიფსა და ქვოტებს აწესებს, დასარაღდება თავისი ეროვნული შემოსავლის 10%-ით სავაჭრო პოლიტიკით გამოწვეული დარღვევების გამო.

თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული დამატებითი მოგება

ეკონომისტთა წრეში გაერცვლებულია მოსაზრება, რომ 9-1 ცხრილში მოცემული გამოთვლები (თუმცა ისინი სოფიერ გვიჩვენებენ თავისუფალი ვაჭრობით მიღებულ არსებით მოგებას), არ გადმოგვეცემენ პრობლემის

მთელ შინაარსს. ბევრი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ პატარა ქვეყნებში საერთოდ და კერძოდ განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობას ახლავს მნიშვნელოვანი მოგება, რაც არ აისახება ხარჯებისა და მოგების ტრადიციულ ანალიზში.

გრაფიკი 9-1 თავისუფალი ვაჭრობის ეფექტურობის საკითხი



ვაჭრობის შეზღუდვა, როგორცაა ტარიფი, იწვევს წარმოებისა და მოხმარების დარღვევას.

ცხრილი 9-1 ეფექტურობის შემთხვევა თავისუფალი ვაჭრობისათვის

ბრაზილია (1966)	9.5
თურქეთი (1978)	5.4
ფილიპინები (1978)	5.2
აშშ (1983)	0.26

დამატებითი მოგების ერთი სახეა მასშტაბის ეკონომია. დაცული ბაზრები არა მარტო ნაწილებად შლიან წარმოებას, არამედ კონკურენციის შემცირებითა და მოგების ზრდით ბევრ ფირმას აიძულებენ, შევიდნენ დაცულ მრეწველობაში. ვიწრო ადგილობრივ ბაზრებში, ფირმების მკვეთრი რაოდენობრივი ზრდის შედეგად თითოეული ფირმის წარმოების მასშტაბი არაეფექტური ხდება. იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ გავლენას ახდენს პროტექციონიზმი წარმოებაზე, არის არგენტინის მანქანათმშენებელი მრეწველობის ფაქტი, რომელიც წარმოიშვა ამ ქვეყანაში იმპორტის შეზღუდვის გამო. ეფექტური მასშტაბის მქონე ამწყოებ ქარხანას წლიურად უნდა გამოეშვა 80 000-დან 200 000-მდე მანქანა, თუმცა 1964 წელს არგენტინის მანქანათმშენებელ მრეწველობაში, რომელმაც გამოიშვა მხოლოდ 166 000 მანქანა, 13 ფირმაზე ნაკლები არ იყო გაერთიანებული. სოგი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ მრეწველობის შემადგენლობაში ფირმის შესვლის შეზღუდვის საჭიროება და, აქედან გამომდინარე, წარმოების არაეფექტური მასშტაბი არის თავისუფალი ვაჭრობის პირობა, რომელიც სცილდება ხარჯებისა და მოგების სტანდარტულ გამოთვლებს.

თავისუფალი ვაჭრობის ერთ-ერთი არგუმენტი იხილება, რომ მეწარმეების წახალისებით ეძიონ ექსპორტის ახალი გზები და კონკურენცია გაუწიონ იმპორტს, თავისუფალი ვაჭრობა სწავლისა და სიახლეების დანერგვის მეტ საშუალებას იძლევა, ვიდრე ეს უზრუნველყოფილია „მაროვადი“ ვაჭრობის სისტემის მეშვეობით, როცა ბაზარს მთავრობა კარნახობს იმპორტისა და ექსპორტის სტრუქტურას. მე-10 თავში განიხილება ნაკლებგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება, როცა მათ აღმოაჩნდათ ექსპორტის მოულოდნელი შესაძლებლობანი იმიტომ, რომ იმპორტული ქვოტისა და ტარიფების სისტემიდან გეზი აიღეს უფრო ღია ვაჭრობის პოლიტიკისაკენ.

თავისუფალი ვაჭრობის ეს დამატებითი არგუმენტები, უმეტესწილად, რაოდენობრივად განსაზღვრული არაა. 1985 წელს კანადელმა ეკონომისტებმა რიჩარდ პარისმა და დევიდ კოქსმა მაინც სცადეს გამოეანგარიშებინათ, რა მოგება ხდება წილად აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობით კანადას, ადგილობრივი წარმოების უფრო ეფექტური მასშტაბიდან მომდინარე მოგების გათვალისწინებით. პასუხი ასეთი იყო – კანადის რეალური შემოსავალი გაიზარდა 8%-ით, თითქმის 3-ჯერ მეტად, ვიდრე ეს გაიანგარიშეს ეკონომისტებმა, რომლებმაც არ გაითვალისწინეს მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია.

თუ თავისუფალი ვაჭრობით მიღებული დამატებითი მოგება ისე დიდია, როგორც ამაში აშშ-ს სოგიერთი ეკონომისტი დარწმუნებული, ტარიფებით, ქვოტებით, საექსპორტო სუბსიდიებითა და ა.შ. გამოწვეული დარღვევები ვაჭრობის ხარჯებში, შესაბამისად, უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ამას ხარჯებისა და მოგების ანალიზის ღონისძიებები ვარაუდობს.

თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერი პოლიტიკური არგუმენტი

თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერი პოლიტიკური არგუმენტი ასახავს იმ ფაქტს, რომ პრაქტიკულად რომელიმე გადაწყვეტილება მისაღებად, მაგრამ არსებობს უკეთესი პოლიტიკური აზრიც. ეკონომისტები ხშირად ამტკიცებენ, რომ სავაჭრო პოლიტიკაზე გაეღწეას ახდენს უფრო პოლიტიკური ინტერესები და არა სახელმწიფოს ხარჯებისა და მოგების გათვალისწინება; რომ თეორიულად ტარიფებისა და საექსპორტო სუბსიდიების ნაკრებმა შეიძლება გაზარდოს ქვეყნის კეთილდღეობა, მაგრამ სინამდვილეში ნებისმიერი სამთავრობო ორგანო, რომელიც ცდილობს შეასრულოს ვაჭრობაში ჩარევის რთული პროგრამა, ხელში ჩაუკიდებს საკუთარი ინტერესების მქონე ჯგუფებს და გადაიქცევა პოლიტიკურად გაეღწეიან სექტორებში შემოსავლის გადანაწილების მექანიზმად. თუ ეს მსჯელობა სწორია, უმჯობესი იქნება თავისუფალი ვაჭრობის დაცვა გამონაკლისების გარეშე. წმინდა ეკონომიკურ საუწყებელსაც კი თავისუფალი ვაჭრობა ყოველთვის ვერ იქნება საუკეთესო შესაძლო პოლიტიკა.

მსოფლიოს ეკონომისტების უმეტესობის (აშშ-ში მაინც) აზრს ქმნის წინა ნაწილში მოყვანილი სამი არგუმენტი:

1. თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრის დანახარჯები (პირობითი ოდენობა) დიდია.
2. არსებობს თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი, რაც ემატება პროტექციონისტული პოლიტიკის ხარჯებს.
3. თავისუფალი ვაჭრობიდან სერიოზული გადახრის ნებისმიერი ცდის ნაშლას შეძლებენ პოლიტიკური პროცესები. თუმცა არსებობს ამ გადახრის გასამართლებელი არგუმენტი, რაც ყურადღების ღირსია.

სახელმწიფო კეთილდღეობის არგუმენტები თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ

ტარიფების, საიმპორტო ქვოტებისა და სავაჭრო პოლიტიკის სხვა ღონისძიებათა უმეტესობა ხორციელდება საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფების შემოსავლის დასაცავად. პოლიტიკოსები ხშირად აცხადებენ, რომ ემსახურებიან ქვეყნის ინტერესებს და ზოგჯერ მართაღნიც არიან. თუმცა ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრა ამცირებს ქვეყნის კეთილდღეობას, ფაქტობრივად არსებობს თეორიული საფუძველი იმისა, რომ აქტიური სავაჭრო პოლიტიკაც ზოგჯერ ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას.

სავითნოს შესწავლისათვის

მოგებაები „1992“-დან

ევროგაერთიანების ქვეყნები (ახლა ევროკავშირი) 1987 წელს შეთანხმდნენ ერთიან კანონზე, რათა შეექმნათ უნიფიცირებული ევროპული ბაზარი. რადგან საყარაულოდ კანონი უნდა ამოქმედებულიყო ხუთ წელიწადში, მისი ღონისძიებები ცნობილი იყო სახელწოდებით – „1992“.

„1992“-ში უნეულო ის იყო, რომ ევროგაერთიანება უკვე იყო საბაჟო კავშირი, ე.ი. არ არსებობდა ტარიფები და საიმპორტო ქვოტები შიდა ევროპულ ვაჭრობაში. „1992“-ის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ბარიერები ედობებოდა წინ ევროპის ფარგლებში საერთაშორისო ვაჭრობას. ზოგი დაბრკოლება მოიცავდა სასაღებურების გადაკვეთის ხარჯებს, მაგალითად, საქონლით დატვირთული მიანქანები, რომლებიც საფრანგეთსა და გერმანიას შორის მიმოდისდნენ, უნდა განერებულიყვნენ კანონიერი ფორმალობისათვის, რაც ნიშნავდა ცდას დროისა და საწვავის დიდი ხარჯით. მსგავსი ხარჯები უზნდებოდათ ბისნესმოგსაერებს, რომლებიც ლონდონიდან პარიზში წაფრენას ერთ საათს ანდომებდნენ, მაგრამ საემიგრაციო და საბაჟო სამსახური კიდევ ერთ საათს ართმევდა. ბარიერად იქცეოდა აგრეთვე ბაზრების ინტეგრაციის შესლულების ეფექტი. მაგალითად, რადგან ჯანდაცვის კანონები საკვებსე განსხვავდებოდა ევროპის ქვეყნებში, შეუმოწმებლად ევრაყინ დატვირთავდა უბრალოდ ბრიტანული კვების პროდუქტებით მანქანებს და წაიღებდა საფრანგეთში, ანდა პირიქით.

ამ წინააღმდეგობათა გადალახვა ძალიან ძნელი პოლიტიკური პროცესია. დაეუშუათ, გერმანია ამირებს საფრანგეთში გადაჯაგსაენოს საქონელი საბუთის გარეშე. ასეთ შემთხვევაში რა დაიცავს ფრანგ ხალხს იმ პროდუქციის მიწოდებისაგან, რომელიც არ შეესაბამება საფრანგეთის უსაფრთხოების სტანდარტებს; საკვებისაგან, რომელიც არ შეესაბამება ამავე ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნილებებს, ან წამლებისაგან, რომლებიც ფრანგი ექიმების მიერ არ არის დამოწმებული?! ერთადერთი გზა ქვეყნებს შორის ღია სასაღებურისა არის მათი შეთანხმება საერთო სტანდარტებსე ისე, რომ ერთი ქვეყნის (ამჯერად საფრანგეთის) მოთხოვნები მისაღები იყოს მეორისათვის (ამჯერად გერმანიისათვის), და პირიქით. „1992“-ის მილაპარაკებების მთავარი ამოცანა იყო მომწესრიგებული კანონების პარმონისაცია დიდ საერთოერთო სიერცეებში.

მაგალითად, ყველა მოწინავე ქვეყანა აწესრიგებს ხელოვნური საღებავის გამოყენებას იმის საგარანტიოდ, რომ მომხმარებლები გაუცნობიერებლად არ იყვებოდნენ კანცეროგენული და მავნე ქიმიკატებით გაჯერებული საკვებით. თავიდან შემოთავაზებული კანონები ხელოვნური საღებავების შესახებ გააუფერულებდა ტრადიციული ბრიტანული საკვების შესახებ დაობას – ვარდისფერი სოსისი გათეთრდებოდა, ოქროსფრად დაშაშხული ქაშაყი განაცრისფრდებოდა და ა.შ. ევროპის კონტინენტის მომხმარებლებისათვის ასეთ ღონისძიებებს მნიშვნელობა არა აქვს – ამას არ განიცდიან – ისინი ვერც იგებენ, როგორ შეუძლიათ ბრიტანელებს ასე შეფერადებული საკვების მიღება. ბრიტანეთში კი ეს საკითხი დაუკავშირდა ეროვნული სახის დაცვას შიშს. გერმანია იძულებული იყო მიეღო ლუდის იმპორტი, რაც მის საუკუნეობრივ წმინდა ტრადიციებს ვერ დააკმაყოფილებდა.

მაშ რატომ უნდა ჩართულიყვნენ ამ როლზე მოლაპარაკებებში და რა პოტენციური მოგება ჰქონდა „1992“-ს? მისი პირდაპირი მოგება ყოველთვის მოკრძალებული იყო: საზღვრების გადაკეთასთან დაკავშირებული ხარჯები გადაზიდული ტვირთის ღირებულების მხოლოდ რამდენიმე პროცენტს უდრიდა და მისი დაზოგვა მხოლოდ ამ უმნიშვნელო პროცენტის ნაწილს მიამატებდა მთლიანად ევროპის შემოსავალს. თუმცა ევროკავშირის ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ რეალური მოგება უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ევროპის ბაზრის უნიფიკაცია გამოიწვევდა უფრო დიდ კონკურენციას ფირმებს შორის და წარმოების უფრო ეფექტურ მასშტაბს. ბევრი რამ გაირკვა აშშ-სთან მიმართებით, ქვეყანასთან, რომლის მსყიდველობითი უნარი და მოსახლეობა ევროკავშირისაგან ჰგავს, მაგრამ რომელიც ევროპის საზღვრებს გარეთ არის მთლიანად ინტეგრირებული ბაზრით. ევროკომისიის ეკონომისტები მიუთითებდნენ, რომ ევროპის რამდენიმე მრეწველობაში არის სეგმენტებად დაყოფილი ბაზრები. იმის ნაცვლად, რომ მთელი კონტინენტი აქციონ ერთიან ბაზრად, ფირმებმა იგი თითქოს დაანაწევრეს ადგილობრივ ზონებად შედარებით მცირე რაოდენობის მწარმოებლით. მათივე აზრით, ვაჭრობის ყველა ბარიერის მოხსნა გამოიწვევს ამ დაქსასული მწარმოებლების კონსოლიდაციას ერთიან წარმოებაში არსებითი მოგებით. „1992“-დან ეს საუარაუდო მოგება ზრდიდა მთლიან მოგებას ევროპის ქვეყნების საწყის შემოსავალთან შედარებით რამდენიმე პროცენტამდე. კომისიის ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ იქმნებოდა არაპირდაპირი მოგება, რადგან ევროპის ეკონომიკის გაუმჯობესებული ეფექტურობა ხელს შეუწყობდა არჩევანს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. მთელი რიგი გამოთვლების შემდეგ კომისიამ შეაფასა „1992“-დან მოგება ევროპის შემოსავლის 7%-ით.

ამ კამათში ჩართულთაგან ეს 7% საიმედო რაოდენობად არაღივსებდა და ბევრი იზიარებდა კომისიის აზრს – მოგება შესაძლოა უფრო დიდი ყოფილიყო. სექტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ბაზრების სეგმენტებად დაყოფას მეტი საერთო აქვს კულტურასთან, ვიდრე ვაჭრობასთან. მაგალითად, იტალიელ მომხმარებელს უნდა იყიდოს სარეცხი მანქანა, მაგრამ ასეთი სამამულო წარმოების მანქანა დიდად განსხვავდება გერმანიაში დამზადებულისაგან, რომელიც მას მოსწონს. იტალიელებმა შედარებით ნაკლები ტანსაცმლის შექმნა იციან, მაგრამ რასაც შეიძენენ მოდური და, რა თქმა უნდა, ძვირიც უნდა იყოს. ასე რომ, ისინი ამჯობინებენ ფრთხილად მომუშავე სარეცხ მანქანებს, რომელიც დაზოგავს დანახარჯებს მათსავე ტანსაცმელზე.

ძალიან ადრე დასკვნის გამოტანა „1992“-ის შესახებ, მაგრამ წინასწარი მიმოხილვა გეიჩვენებს, რომ მომხმარებლებსაც და მოწინააღმდეგეებსაც დამაჯერებელი შეხედულებანი აქვთ.


ზოგ შემთხვევაში შეიმჩნეოდა მრეწველობის კონსოლიდაცია. მაგალითად, ჰუვერმა დახურა მტვერსასრუტების ქარხანა საფრანგეთში და მთელ თავის წარმოებას თავი მოუყარა ბრიტანეთში. ზოგ შემთხვევაში ბაზრის ძველი დაყოფა სეგმენტებად ჩაიშალა, ზოგჯერ ბაზრებმა ურთიერთშერწყმის ნაკლები სურვილი გამოავლინეს. გერმანელებმაც არც თუ მოიწონეს შემოტანილი ლუდი და ა.შ.

ვაჭრობის პირობების არგუმენტი ტარიფისათვის

თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრის ერთი არგუმენტი მომდინარეობს ხარჯებისა და მოგების ანალიზიდან: დიდი ქვეყნისათვის, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს უცხოელი ექსპორტიორების ფასებზე, ტარიფი ამცირებს იმპორტის ფასს და ამგვარად, წარმოშობს ვაჭრობის პირობების მოგებას. ეს მოგება უნდა დადგინდეს ტარიფის ხარჯების საპირისპიროდ, რადგან ტარიფი ახშობს წარმოებისა და მოხმარების სტიმულს. მაინც შესაძლოა, რომ ზოგ შემთხვევაში ტარიფით მიღებული სარგებელით ვაჭრობის პირობების მოგებამ გადაწონოს ტარიფისავე ხარჯი; ასე რომ, მივიღებთ ტარიფისათვის ვაჭრობის პირობების არგუმენტს.

ამ თავის დანართში ნაჩვენებია, რომ საკმაოდ მცირე ტარიფისათვის ვაჭრობის პირობების მოგებამ უნდა გადაწონოს მისივე დანახარჯი. ამგვარად, მცირე სატარიფო განაკვეთის დროს ქვეყნის კეთილდღეობა უფრო მაღალია, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის პირობებში (9-2 გრაფიკი). რადგან სატარიფო განაკვეთი იზრდება, ხარჯიც უფრო სწრაფად იწყებს მატებას, ვიდრე მოგება, და ის მრუდი, რომელიც აკავშირებს ქვეყნის კეთილდღეობას ტარიფთან, ქვეით იქნება მიმართული. სატარიფო განაკვეთი, რომელიც სრულიად კრძალავს ვაჭრობას (t 9-2 გრაფიკში), თავისუფალ ვაჭრობასთან შედარებით, ქვეყნის მდგომარეობას აუარესებს, t – ს

გრაფიკი 9-2 ოპტიმალური ტარიფი



დიდი ქვეყნისათვის ოპტიმალური ტარიფია t_1 , რომლის დროსაც გაუმჯობესებული ვაჭრობის პირობებიდან მიღებული ზღერული მოგება უტოლდება წარმოებისა და მოხმარების დარღვევებიდან გამომწვეული ზღერული ეფექტურობის დანაკარგს.

(1) წერტილში 9-2 გრაფიკის მრუდს, რომელიც შეესაბამება t სატარიფო განაკვეთს, ქვეყნის კეთილდღეობა მაქსიმუმამდეა გაზრდილი და t სატარიფო განაკვეთი იწოდება ოპტიმალურ ტარიფად (კონვენციის მიხედვით, ეს სახელი აქვია ტარიფს, რომელიც გამართლებულია ვაჭრობის პირობების არგუმენტით, და არა საუკეთესო ტარიფს, რომელსაც ახლავს ყველა შესაძლო ანაზღაურება). ოპტიმალური სატარიფო განაკვეთი ყოველთვის დადებითია, მაგრამ ნაკლები, ვიდრე ამკრძალავი განაკვეთი t_1 , რომელიც გააუქმებს ყველა იმპორტს.

რა პოლიტიკას შესთავაზებს ვაჭრობის პირობები ექსპორტის სექტორებს? რამდენადაც საექსპორტო სუბსიდია აუარესებს ვაჭრობის პირობებს და ამკარად ამცირებს ქვეყნის კეთილდღეობას, ოპტიმალური პოლიტიკა ექსპორტის სექტორებში უნდა იყოს უარყოფითი სუბსიდია. ე.ი. გადასახადი ექსპორტზე, რომელიც ზრდის მის ფასს ეცხიულუბისათვის. ოპტიმალური ტარიფის მსგავსად, ოპტიმალური ექსპორტის გადასახადი ყოველთვის დადებითია, მაგრამ ნაკლები, ვიდრე ამკრძალავი გადასახადი, რომელიც სრულად გააუქმებს ექსპორტს.

საუღის არაბეთისა და ნავთობის ექსპორტიორი სხვა ქვეყნების პოლიტიკა იყო დაებეგრათ ნავთობის ექსპორტი და აეწიათ მისი ფასი დანარჩენ მსოფლიოში. თუმცა ნავთობის ფასმა 1980 წლის შუა ხანებში დაიწია, ძნელია ამტკიცო, რომ საუღის არაბეთი თავისუფალი ვაჭრობის დროს უკეთ იქნებოდა.

ვაჭრობის პირობების არგუმენტს თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა მაინც აქვს. მაგრამ რაკი ბევრ პატარა ქვეყანას მცირე შესაძლებლობა აქვს, გავლენა იქონიოს მსოფლიო ფასებზე ან მათ იმპორტ-ექსპორტზე, ვაჭრობის პირობების არგუმენტი, პრაქტიკულად, მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ისეთი დიდი ქვეყნისათვის კი, როგორცაა აშშ, პრობლემა ისაა, რომ ვაჭრობის პირობების არგუმენტი იწვევს ქვეყნის მონოპოლიური ძალაუფლების გამოყენებას, რაც განაპირობებდა სხვა ქვეყნების დანახარჯებით სარგებლობას. აშშ შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ ასეთი მტაცებლური პოლიტიკის საპასუხოდ გამოიწვევდა შურისძიებას სხვა დიდი ქვეყნების მხრიდან; და შურისძიებლური ვაჭრობის ციკლი, თავის მხრივ, ძირს გამოუთხრიადა საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის კოორდინაციის ცდას.

ვაჭრობის პირობების არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ თეორიულად უზადოა, მაგრამ საეჭვოდ რჩება მისი სარკებლიანობა. პრაქტიკულად, ეკონომისტების მიერ იგი მიჩნეულია უფრო თეორიულ წინადადებად, მთავრობა კი მას თვლის სავაჭრო პოლიტიკის გასამართლებელ საშუალებად.


ადგილობრივი ბაზრის წარმატებლობის არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ

ვაჭრობის პირობების საკითხის გვერდის ავლით, თავისუფალი ვაჭრობის ძირითადი თეორიული საკითხი ემყარებოდა ხარჯებისა და მოგების ანალიზს და ამისათვის იყენებდა მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამატის კონცეფციას. ბევრი ეკონომისტი წინააღმდეგი იყო ისეთი თავისუფალი ვაჭრობისა, რომელიც ემყარებოდა შემდეგ კონტრარგუმენტს: ამ კონცეფციის ერთი მხარე, კერძოდ წარმოების ნამატი, არ გამოდგება ხარჯებისა და მოგების სიდიდის გასაზომად.

რატომ ვერ უნდა გასომოს სწორად მწარმოებლის ნამატმა საქონლის წარმოების მოგება? პასუხისათვის შეგვედგე ორ თავში, განვიხილავთ ამის სხვადასხვა მიზეზს: შესაძლებლობას, რომ სექტორში დასაქმებული სამუშაო ძალა ან გამოუყენებელი იქნება, ან ნაკლებად გამოყენებული; დეფექტებს კაპიტალის ან სამუშაო ძალის ბაზარზე, რომელიც ხელს უშლის რესურსების სწრაფად გადატანას ისეთ სექტორებში, რომელიც მაღალ მოგებას იძლევა; ყველა ეს მიზეზი კლასიფიცირდება ზოგადი სათაურით – ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა. ე.ი. თითოეული ეს მიზეზი არის იმის მაგალითი, როცა ქვეყანაში ზოგიერთი ბაზარი სწორად არ აკეთებს თავის საქმეს – სამუშაო ძალის ბაზარი არ აწარმოებს ანგარიშს, კაპიტალის ბაზარი არ განათავსებს რესურსებს ეფექტურად და ა.შ.

მაგალითად, დაეუშვათ, ზოგიერთი საქონლის წარმოება იძენს გამოცდილებას, რაც აუმჯობესებს ეკონომიკას მთლიანად, მაგრამ ფირმებს სექტორებში არ შეუძლიათ ამ გაუმჯობესებიდან მოგების მითვისება და ამიტომ აღნიშნულ გამოცდილებას მხედველობაში არ იღებენ იმის გადაწყვეტის დროს, თუ რამდენი უნდა აწარმოონ. ასეთ დროს გვაქვს დამატებითი წარმოების ზღვრული საზოგადოებრივი მოგება, რომელიც არ შედის წარმოების ნამატის მანევრებელში, იგი ემსახურება ტარიფის ან სხვა საეკონომიკური პოლიტიკის გამართლებას.

გრაფიკი 9-3 ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობის არგუმენტი ტარიფისათვის



თუ საქონლის წარმოება წარმოშობს დამატებით მოგებას (გაზომილი (b) ნაწილში (c) სივრცით), რომელიც არ გულისხმობს მწარმოებლის ნამატს ((b) სივრცე (a) ნაწილში) ტარიფმა შეიძლება გაზარდოს კეთილდღეობა.

9-3 გრაფიკში გაშუქებულია ადგილობრივი ბაზრის

წარუმატებლობის არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ. 9-3ა გრაფიკი გვიჩვენებს ტარიფის ხარჯებისა და მოგების კონვენციურ ანალიზს პატარა ქვეყნისათვის (რომელიც გამოირიცხავს ვაჭრობის პირობების ეფექტს), ხოლო 9-3ბ გრაფიკი – წარმოებიდან მიღებულ ზღვრულ მოგებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული მწარმოებლის ნამატის მანევრებელში. 9-3ა გრაფიკი გვიჩვენებს იმ ტარიფის ეფექტს, რომელიც ზრდის ადგილობრივ ფასს P -დან $P + t$ -მდე. S^1 -დან S^2 -მდე იზრდება, წარმოება, რომელსაც ახლავს დამახინჯება – გამოხატული a სივრცით. მოხმარება მცირდება D^1 -დან D^2 -მდე, შესაბამისი დამახინჯებით, რომელიც გამოხატულია b სივრცით. თუ განვიხილავთ მხოლოდ მომხმარებლისა და მწარმოებლის ნამატს, აღმოვაჩინებთ, რომ ტარიფის ხარჯები აჭარბებს მის მოგებას. 9-3ბ გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ეს გამოთვლა არ ეხება სატარიფო მოგებას, რომელსაც შეეძლო ტარიფისათვის მიენიჭებინა უპირატესობა თავისუფალ ვაჭრობასთან შედარებით. წარმოების ზრდა იძლევა საზოგადოებრივ სარგებელს, რომელიც შეიძლება გაიზომოს იმ სივრცით, რომელიც ზღვრული საზოგადოებრივი სარგებლის მრუდის ქვევითაა S^1 -დან S^2 -მდე არსებული c სივრცით. სინამდვილეში, ვაჭრობის პირობების არგუმენტის მსგავსი მანევრებით შეგვიძლია ნათქვამით, რომ თუ ტარიფი მცირეა, c სივრცე ყოველთვის აჭარბებს $a + b$ სივრცეს, და რომ არსებობს კეთილდღეობის მაქსიმუმამდე გადიდების ტარიფი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების დონეს უფრო ზრდის, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობა.

ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობის არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ უფრო ზოგადი კონცეფციის კერძო შემთხვევად – როგორც მეორე საუკეთესოს თეორიად არის ცნობილი. ეს თეორია ამტკიცებს, რომ ჩაურევლობის პოლიტიკა სასურველია ნებისმიერ ერთ ბაზარში მხოლოდ მაშინ, თუ სხვა ბაზრები წესიერად მუშაობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის ჩარევამ, რომელიც სტიმულს უკარგავს ერთ ბაზარს, შესაძლოა გაზარდოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე საბაზრო წარუმატებლობის შედეგების დაფარვით სხვაგან. მაგალითად, თუ სამუშაო ძალის ბაზარი ცუდად მუშაობას და ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, სამუშაო ძალა-ინტენსიური საწარმოების დაფინანსების პოლიტიკა, რაც არ იქნებოდა სასურველი სრული დასაქმების შემთხვევაში, შესაძლოა გონიერულიც გამოდგეს. უმჯობესი იქნებოდა სამუშაო ძალის ბაზრის მოწესრიგება, მაგალითად, ხელფასების მეტი მოქნილობით, მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ამის გაკეთება არ შეიძლება, სხვა ბაზრებში ჩარევა იქნება ე.წ. „მეორე საუკეთესოს“ საშუალება პრობლემის შესამსუბუქებლად.

როდესაც ეკონომისტები ეხებიან „მეორე საუკეთესოს“ თეორიის გამოყენებას საეკონომიკურ პოლიტიკაში, ამტკიცებენ, რომ ეკონომიკის შიდა ფუნქციონირების არასრულყოფილება შესაძლოა ამართლებდეს ჩარევას ამ ეკონომიკის გარე ურთიერთობებში. ეს მტკიცება უშვებს იმას, რომ საერთაშორისო ვაჭრობა არ არის პრობლემის სრულად გადაწყვეტის წყარო, მაგრამ საეკონომიკური პოლიტიკა მის ნაწილობრივ გადაწყვეტას მაინც უწყობს ხელს.

რამდენად ღამაჯერებელია ბაზრის წარუმატებლობის არბუმენტი?

ბაზრის წარუმატებლობის არგუმენტი თითქოს ძირს უთხრიდა თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლო ფაქტებს. ბოლოსდაბოლოს, ვინ დაამტკიცებს, რომ ეკონომიკა, რომელშიც ეცხოვრობთ, თავისუფალია ბაზრის წარუმატებლობისაგან? ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებში ბაზრის წარუმატებლობა ხშირია – სახესუა უმუშევრობა, მკვეთრი სხვაობა ქალაქისა და სოფლის ხელფასების განაკვეთებს შორის (თავი 10) და სხვა. ბაზრის გაუმართავე მუშაობა ნაკლებად საგრძნობია მოწინავე ქვეყნებში, მაგრამ ბაზრის წარუმატებლობის არსებობის პიკოტის წამოყენება მაინც შეიძლება – მაგალითად, ფირმების უუნარობა, თავიანთ წარმოებებში დანერგონ სიახლეები და მიიღონ მოგება. როგორ უნდა დავიცვათ თავისუფალი ვაჭრობა (რასაც ქვეყნის კეთილდღეობის სრდა შეუქლია), როცა არსებობს მასში ჩარევის შესაძლებლობა

თავისუფალი ვაჭრობის დაცვის ორი გზა არსებობს: პირველი ამტკიცებს, რომ ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა უნდა გასწორდეს ადგილობრივი პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც პირდაპირ იქნება მიმართული პრობლემის წარმომშობ წყაროზე; მეორე მიუთითებს, რომ ეკონომისტი ვერ დაუსვამს დიაგნოზს ბაზრის წარუმატებლობას და ვერც წამალს გამოუწერს მას.

ის აზრი, რომ ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა იწვევს მოცემული ქვეყნის, და არა საერთაშორისო პოლიტიკის ცვლილებებს, მოწმდება ხარჯებისა და მოგების ანალიზით, რომელიც განსაზღვრულია ნებისმიერი ზღვრული საზოგადოებრივი სარგებლის გასაზომად. 9-3 გრაფიკიდან ვნახეთ, რომ ტარიფს შეუძლია კეთილდღეობის გაზრდა (მისგან მომდინარე წარმოებისა და მოხმარების დამახინჯების მიუხედავად) იმით, რომ ის იწვევს დამატებით წარმოებას, რომელიც ზრდის საზოგადოებრივ სარგებელს. წარმოებას ასეთივე ზრდისათვის რომ მიეღწია სუბსიდიებისა და არა ტარიფის მეშვეობით, პროდუქციის ფასი არ გაიზრდებოდა და მას მომხმარებლის ხარალი ც არ მოჰყვებოდა – ანუ, წარმოების სუბსიდია აიცილებდა ტარიფთან დაკავშირებულ ზედმეტ ხარჯს.

ეს მაგალითი ეყრდნობა ზოგად პრინციპს: ყოველთვის უკეთესია უშუალოდ გათვალისწინება ბაზრის წარუმატებლობის შედეგებისა, რადგან თავისუფალ ვაჭრობაში პოლიტიკის არაპირდაპირ ჩარევას მიყვავართ ეკონომიკური სტიმულების გაუთვალისწინებელ დამახინჯებაზე. ამგვარად, ბაზრის წარუმატებლობით გამართლებული სავაჭრო პოლიტიკა ყველაზე ამომწურავი პასუხი არაა; ის “მეორე საუკეთესო” უფროა, ვიდრე “პირველი საუკეთესო”.

სავაჭრო პოლიტიკის შემქმნელები ამ შეხედულებაში დიდ შინაარსს დებენ, რაც გულისხმობს შემდეგს: ნებისმიერი შეთავაზებული სავაჭრო პოლიტიკა ყოველთვის უნდა შეუდარდეს ადგილობრივს, რომელიც გამიზნულია იმავე პრობლემის გამოსასწორებლად. თუ ადგილობრივი პოლიტიკა ძვირადღირებულია, ან არასასურველი გვერდითი ეფექტები ახლავს, სავაჭრო პოლიტიკა ნაკლებსასარგებლო იქნება – თემცა დანახარჯი შესამჩნევად ნაკლები აღმოჩნდება.

მაგალითად, აშშ-მ საიმპორტო ქვოტას მანქანებზე მხოლოდ იმ საფუძველზე დაუქტირა მხარი, რომ აეცილებელი იყო აქ მომუშავეთათვის სამუშაოს შენარჩუნება. საიმპორტო ქვოტის მხარდამჭერები ამტკიცებდნენ, რომ აშშ-ს სამუშაო ძალის ბაზარი ძალიან მოუქნელია, რათა მუშებმა შეინარჩუნონ სამუშაო ხელფასის შემცირებით ან სხვა სექტორებში სამუშაოს შოვნით. ახლა განვიხილოთ იმავე პრობლემის მოსაგვარებლად გამიზნული წმინდად ადგილობრივი პოლიტიკა – იმ ფირმების დაფინანსება, რომლებიც მანქანებზე ასაქმებენ მუშებს. ამგვარი პოლიტიკა დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. იგი დასაქმების არსებული დონის შესანარჩუნებლად (პროტექციონიზმის გარეშე) მოითხოვს სუბსიდიის დიდ ოდენობას, რაც გაზრდის ფულეარალური სამთაყრობო ბიუჯეტის დეფიციტს ან გადასახადს. გადაამაშუაებელ მრეწველობაში მანქანებზე მომუშავენი განეკუთვნებიან მაღალხელფასიან კატეგორიას; სახელმწიფო აეცილებლად შეეწინააღმდეგება მათ დაფინანსებას. ძნელი დასაჯერებელია, რომ მანქანაზე მომუშავეთათვის სუბსიდიის გამოყოფის საკითხი კონგრესში დაისვას. მაგრამ საიმპორტო ქვოტა უფრო ძვირი იქნება იმიტომ, რომ დასაქმების იმავე დონით ზრდის განხორციელებისას ის მომხმარებლის არჩევანსაც დაამახინჯებს. ერთი შეხედვით, განსხვავება სამთაყრობო დაფინანსებასა და საიმპორტო ქვოტას შორის ნაკლებ შესამჩნევი იქნება და გამოიხატება მანქანებზე უფრო მაღალი ფასების დაწესებით, ვიდრე პირდაპირი სამთაყრობო ხარჯებით.

დამცველთაგან ზოგნი ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობას ტიპიურ შემთხვევად მიიჩნევენ და ამტკიცებენ: თავისუფალი ვაჭრობის დარღვევების უმეტესობა იმიტომ კი არ ხდება, რომ მათი მოგება აჭარბებს დანახარჯებს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო კარგად ვერ ერკვევა მათ ნამდვილ დანახარჯებში. სავაჭრო პოლიტიკით გამოწვეული ხარჯების შედარება ადგილობრივი ალტერნატიული პოლიტიკის თანხლებ ხარჯებთან საიმედო საშუალებაა ყურადღების მისაქცევად იმაზე, თუ რამდენად დიდია ეს ხარჯი.

თავისუფალი ვაჭრობის მეორე დამცველნი თვლიან, რომ რადგან ბაზრის წარუმატებლობის გაგება ძნელია, რთული იქნება პოლიტიკის შესაბამისი რეაგირებაც. დაუშვათ, სახესუა უმუშევრობა ნაკლებგანვითარებული ქვეყნის რომელიმე ქალაქში; როგორ იქნება ამის შესაბამისი სწორი პოლიტიკა? ერთი ვარაუდით, საქალაქო

სამრეწველო სექტორების დაცვის ტარიფი უმუშევრობას გადააქვეს მწარმოებლურ შრომად და ამით წარმოშობს სასოგადოებრივ მოგებას, რაც ანაზღაურებს ხარჯებს. მეორე ვარაუდი ის არის, რომ ეს პოლიტიკა გამოიწვევს ქალაქისაკენ ინტენსიურ მიგრაციას, რაც უმუშევრობას უფრო გაზრდის. ძნელია გარკვევა, რომელი ვარაუდი სწორი. ეკონომიკური თეორია ბევრს ლაპარაკობს სწორად მოქმედ ბაზრებზე. სამაგიეროდ, ეს არაფერში არგია ბაზრებს, რომლებიც ვერ მუშაობენ; მრავალი მიზეზი არსებობს ბაზრების ცუდად მუშაობისათვის. ასეთ დროს „მეორე საუკეთესო“ პოლიტიკის არჩევანი დამოკიდებული იქნება ბაზრის წარუმატებლობის დეტალების გათვალისწინებაზე.

საეკონომიკური პოლიტიკის („მეორე საუკეთესო“) გატარების სირთულე ამტკიცებს სემოსხენებულ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკურ არგუმენტს. თუ საეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტებმა ღრმად არ იცინა, როგორ ირღვევა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, თუ ერთმანეთს შორის ვერ თანხმდება ეს ორი პოლიტიკა, მაშინ ძალიან ადვილია, თავისუფალმა ვაჭრობამ მთლიანად უარყოს ქვეყნის კეთილდღეობის მიზანი და აირიოს განსაკუთრებული ინტერესები. თუ ბაზრის წარუმატებლობა არც ისე ცუდია დასაწყისისათვის, თავისუფალი ვაჭრობის დანახარჯები შესაძლოა, ბოლოს ექვემდებარება პოლიტიკის შედეგიც აღმოჩნდეს.

ეს პოლიტიკის შესახებ მსჯელობა უფროა, ვიდრე ეკონომიკაზე. ჩვენ კი უნდა გავიაზროთ, რომ ეკონომიკური თეორია არ ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის დომინანტურ დაცვას, რაშიც მას ხშირად ადანაშაულებენ.

შემოსავლის განაწილება და სავაჭრო პოლიტიკა

აქამდე კამათი ეხებოდა ქვეყნის კეთილდღეობის არგუმენტს სატარიფო პოლიტიკის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. აქედან დაწყება სწორია ჯერ იმიტომ, რომ ქვეყნისა და გარკვეული ჯგუფების კეთილდღეობას შორის განსხვავება გვეხმარება, ნათელი მოფინოთ საკითხს, და მეორეც, საეკონომიკური პოლიტიკის დამცველები, ჩვეულებრივ, აცხადებენ, რომ ისინი მთლიანად ქვეყანას ასარგებლებენ. როდესაც ვხედავთ საეკონომიკური პოლიტიკის რეალურ სახეს, აუცილებელი ხდება გავიაზროთ – იქნებ არც არსებობს ისეთი რამ, რასაც ქვეყნის კეთილდღეობა ჰქვია. არის მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა სურვილები, რაც მეტნაკლებად არასრულყოფილად აისახება მთავრობის ამოცანებში.

საარჩევნო კონკურენცია

მეცნიერ-პოლიტიკოსები დიდი ხანია იყენებენ პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციის მარტივ მოდელს იმის საჩვენებლად, როგორია ამომრჩეველთა არჩევანი რეალურ პოლიტიკაში. მოდელი შექმენილია ვითარება: დაეუშვათ, არის ორი ურთიერთ-კონკურენტული პარტია, რომელთაგან თითოეული ყველა მოთხოვნის შესრულების დაპირებას იძლევა მომავალ არჩევნებში გასამარჯვებლად. ვთქვათ, პოლიტიკა ხასიათდება ერთი განსხვავებით – სატარიფო განაკვეთის დონით. და ბოლოს, დაეუშვათ, ამომრჩეველები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არჩევანის პოლიტიკით. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ქვეყანას გააქვს კვალიფიკაციის ინტენსიური საქონელი და შემოაქვს შრომადიან ინტენსიური საქონელი. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ამომრჩეველები იწონებენ დაბალ სატარიფო განაკვეთს, მაგრამ დაბალი დაოსტატების მქონე ამომრჩეველები მხარს უჭერენ მაღალი ტარიფის დაწესებას (მე-4 თავში განხილული სტოლპერ-სამუელსონის ეფექტის გამო). ახლა ყველა ამომრჩეველი გაევანწილოთ მათ მიერ არჩეული სატარიფო განაკვეთის მიხედვით. ისინი, ვინც დაბალ განაკვეთს ირჩევენ – მარცხნივ, და ვინც მაღალს – მარჯვნივ.


რომელი პოლიტიკა უნდა აირიოს ამ ორმა მხარემ? პასუხი ისაა, რომ ისინი ეცდებიან, იპოვონ საშუალო დასაყრდენი – ორივეს უნდა გაერთიანება იმ სატარიფო განაკვეთზე, რომელიც ირჩია შუალედურმა ამომრჩეველმა (მოცემულმა ხაზის შუაში 9-4 გრაფიკზე). ამომრჩეველები განლაგებულნი არიან სატარიფო განაკვეთის არჩევის მიხედვით, რომელიც ნაჩვენებია აღმავალი მრუდით; t არის შუალედური ამომრჩეველის მიერ არჩეული განაკვეთი. ახლა დაეუშვათ, ერთ-ერთმა მხარემ შემოგუთავაზა t სატარიფო განაკვეთი, რომელიც მნიშვნელოვნად ზევითაა, ვიდრე შუალედური ამომრჩეველის მიერ არჩეული განაკვეთი. მეორე მხარეს შეეძლო შეეთავაზებინა შედარებით დაბალი განაკვეთი t; მის პროგრამას მხარს დაუჭერდა ყველა ამომრჩეველი, ვინც დაბალ ტარიფს ემხრობოდა, ე.ი. უმრავლესობა. სხვა რამდენად დამაჯერებელია ბაზრის წარუმატებლობის არგუმენტი რომ ვთქვათ, ყოველთვის იარსებებს პარტიის ინტერესი, შეამციროს ნებისმიერი შემოთავაზებული ტარიფი, რომელიც იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე შუალედურ ამომრჩეველს უნდა.

მაშასადამე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსებს ყოველთვის ექნებათ სურვილი, ამომრჩეველებს დაპირდნენ მაღალ ტარიფს, თუ მათი მოწინააღმდეგენი შესთავაზებენ შუალედური ამომრჩეველის მიერ მოწონებულზე უფრო დაბალ ტარიფს. ამრიგად, ორივე მხარე თავის დაპირებას დაასრულებს იმ ტარიფის შემოთავაზებით, რომელიც ახლოს იქნება საშუალო ამომრჩეველის სურვილთან.

მეცნიერ-პოლიტიკოსებმა სხვადასხვანაირად ახსნეს შუალედური ამომრჩეველის მოდელი. მაგალითად, სოციურით ანალიტიკოსი ხაზს უსვამს პარტიის აქტივისტების მნიშვნელობას ხმების მოპოვებაში; რადგან ამ აქტივისტებს ხშირად იდეოლოგია ამოძრავებთ, მათმა მხარდაჭერამ, შესაძლოა, პარტია ააცდინოს ისეთ გაურკვეველ პლატფორმაზე დგომას, როგორცაც ეს მოდელი გულისხმობს. მაგრამ მაინც, შუალედური ამომრჩეველის

მოდელი საარჩევნო კონკურენციის შესახებ ძალიან სასარგებლოა, როგორც იმაზე ფიქრის საშუალება, თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებას რეალურ ცხოვრებაში, სადაც პოლიტიკის გავლენის ეფექტი შემოსავლის განაწილებაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მწარმოებლურობაზე.

გრაფიკი 9-4 პოლიტიკური კონკურენცია



ამომრჩეველები განლაგებულნი არიან იმ სატარიფო განაკვეთის მიხედვით, რომელიც ურჩევნიათ. თუ ერთი მხარე სთავაზობს t მაღალ ტარიფს, მეორე მხარეს შეუძლია მოიგოს ამომრჩეველთა მეტი რაოდენობა, შედარებით დაბალი t ტარიფის შეთავაზებით. ეს პოლიტიკური შეჯიბრება აიძულებს მხარეებს შესთავაზონ t -სთან ახლო მდებარე ტარიფი, რომელიც ურჩევნია საშუალო ამომრჩეველს.

სიერცე, სადაც საშუალო ამომრჩევლის მოდელი არ გამოდგება, არის სავაჭრო პოლიტიკა! ეს მოდელი არასწორად ვარაუდობს, რომ პოლიტიკა არჩეულ უნდა იქნეს იმაზე დაყრდნობით, რამდენ ამომრჩეველს სიამოვნებს იგი. პოლიტიკა, რომლის წყალობითაც საარაღდება ცოტა ხალხი, მაგრამ მეტი იგებს, გამარჯვებული უნდა იყოს; ის პოლიტიკა კი, რომელიც ფართო მასებს აზარალებს და მცირეს ეხმარება, წამგებიანია და უნდა დამარცხდეს. ფაქტობრივად, ამ უკანასკნელს პროტექციონისტული პოლიტიკა უფრო მიესადაგება. გაიხსენეთ აშშ-ს შაქრის იმპორტის მაგალითი მე-8 თავში. იქ მოცემული შეფასების თანახმად, ქვოტამ ათეული მილიონობით ამომრჩეველი დააზარალა 1.6 მლრდ. დოლარით – მაშინ, როცა რამდენიმე ათასი შაქრის მრეწველობის მუშისა და საქმოსნის მოგება თითქმის შემოაღწიშნულის ნახევარი იყო. როგორ შეიძლება ეს აიხსნას?

ერთობლივი ქმედება

ეკონომისტი მანქურ ოლსონი მიუთითებდა, რომ ჯგუფური პოლიტიკური საქმიანობა ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარია, ე.ი. მიღებული სარგებელი ჯგუფის ყველა წევრს ერგება და არა ინდივიდს, რომელიც კონკრეტულად ასრულებს ქმედებას. დაუშვათ, მომხმარებელი სწერს წერილს კონგრესმენს და ითხოვს დაბალ სატარიფო განაკვეთს მოწონებულ შემოტანილ საქონელზე; ამ წერილის საფუძველზე შეიძლება, შეიცვალოს კონგრესმენის გადაწყვეტილება (ვოტუმი) და დაბალი ტარიფი დამტკიცდეს. ამის შემდეგ ყველა მომხმარებელი, ვინც კი საქონელი შეიძინა, სარგებლობს დაბალი ტარიფით. მიუხედავად იმისა, რომ წერილი არ დაუწერია.

საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზემოქმედების ამ დამახასიათებელი თვისების გამო პოლიტიკა, რომელიც დიდ ზარალს იწვევს მთლიანად, მაგრამ ინდივიდს მცირედ აზარალებს, შესაძლოა არ წააწყდეს დიდ წინააღმდეგობას. კვლავ გაიხსენოთ შაქრის საიმპორტო ქვოტის მაგალითი. ეს პოლიტიკა ტიპურ ამერიკულ ოჯახში იწვევს დაახლოებით 25%-იან დანახარჯს წლიურად. უნდა გამოიყენოს თუ არა მომხმარებელმა თავის მიერ არჩეული კონგრესმენის ძალა ამ ქვოტის გასაუქმებლად? კერძო ინტერესების თეალსაზრისით, რასაკვირველია, არა. რამდენადაც ერთ წერილს მხოლოდ 'სდერული ეფექტი აქვს პოლიტიკაზე, ინდივიდუალური მოგება ასეთი წერილიდან, სიტყვა-სიტყვით რომ ვთქვათ, არის იმ ქალაქის ფასი, რაზედაც თხოვნა დაიწერა – საფოსტო მარკას რომ თავი დაეანებოთ. და მაინც, თუ მილიონი ამომრჩეველი დაწერდა წერილს ქვოტის გაუქმების მოთხოვნით, მასზე აუცილებლად გასცემდნენ პასუხს, რაც გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანდა მომხმარებელს. ოლსონის ფორმულირებაში არის ერთობლივი ქმედების პრობლემა: როცა მთლიანად ჯგუფის ინტერესების არეშია სასარგებლო პოლიტიკის გატარება, ინდივიდისათვის ეს საინტერესო არ არის.

ერთობლივი ქმედების პრობლემა საუკეთესოდ გადაიტრება, თუ ჯგუფი პატარაა და კარგად ორგანიზებული. შესაძლებლობა, რომ პოლიტიკასაც შაქრის ქვოტის მაგვარი რამ დაემართება, არის ის, რომ შაქრის მწარმოებლები აყალიბებენ შედარებით მცირე, კარგად ორგანიზებულ ჯგუფს, რომელმაც იცის სუბსიდიის ნაგარაუდები მოცულობა, რასაც წვერები იღებენ; მაშინ, როცა შაქრის მომხმარებელი წარმოადგენს მოსახლეობის დიდ ნაწილს, იგი თავის თავს ვერ აღიქვამს ერთიანი ინტერესების მქონე ჯგუფად. ერთობლივი ქმედების პრობლემით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ირჩევს იმ პოლიტიკას, რომელიც არა მარტო ქმნის უფრო დიდ ხარჯს, ვიდრე მოგებას, არამედ უფრო ვნებს ამომრჩეველს, ვიდრე ეხმარება.

პოლიტიკური პროცესის მოდელირება

ერთობლივი ქმედების ლოგიკა, რომლის გამოყენებაც ეკონომისტებს დიდი ხანია უნდოდათ ირაციონალური სავაჭრო პოლიტიკის ასახსნელად, რამდენადაც ბუნდოვანია იქ, სადაც ორგანიზებული ინტერესების ჯგუფები მოქმედებენ და გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. ამ ანალიზის ამოსავალი წერტილი ნათელია; პოლიტიკოსებს შეუძლიათ არჩევნებში გაიმარჯვონ ნაწილობრივ იმპიკომ, რომ ისინი იცავენ კონკურენტულ პოლიტიკას.

მაგრამ წარმატებული კომპანიაც ხომ მოითხოვს ფულს რეკლამისათვის, ხმის მიცემის პროცედურისათვის ა.შ. ამიტომ შესაძლოა, პოლიტიკოსებმა დაიკაონ ის პოზიცია, რომელიც ტიპური ამომრჩეველის ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუ ამისათვის შესთავაზებენ საკმაოდ დიდ ფინანსურ დახმარებას.

სავაჭრო პოლიტიკური ეკონომიის უახლესი მოდელები გეისვენებს ბოლო აქციონს, როდესაც; საერთო ინტერესით გაერთიანებული ჯგუფი „მოისყიდის“ პოლიტიკას და შესთავაზებს „შესაწირ“ სახსრებს იმ პოლიტიკაში გადასახდელად, რომელსაც მთავრობა ატარებს. პოლიტიკოსები არ უარყოფენ სასოგადოების მთლიან კეთილდღეობას, მაგრამ მათი სურვილით უკეთესი იქნებოდა ამომრჩეველის კეთილდღეობის ცოტაოდენი შექცობა უფრო დიდი კომპანიის დასაფინანსებლად. ამის შედეგად კარგად ორგანიზებული ჯგუფები შეძლებდნენ გაეტარებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი ინტერესების განხორციელებას სასოგადოების ხარჯზე.

306 არის ღაცული?

პრაქტიკული თვალსაზრისით, რომელი საწარმოებია დაცული იმპორტის კონკურენციისაგან? ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ ტრადიციულად დაიცვა გადაამამუშავებელი მრეწველობა ისეთი პოლიტიკის დროს, რომელიც ცნობილია, როგორც იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება. მე-10 თავში განვიხილავთ ამ პოლიტიკას და ბოლო წლებში მისი შედარებითი არაპოპულარობის მიზეზებს. მაშინაცვე ქვეყნებში პროტექციონიზმი უფრო ვიწროა. ძირითადად თავმოყრილია ორ სექტორში: სოფლის მეურნეობა და ტანსაცმელი (სამკერვალო მრეწველობა).

სოფლის მეურნეობა. თანამედროვე ეკონომიკაში ფერმერი ბევრი არ არის. ის აშშ-ს მთელი სამეშაო ძალის მხოლოდ 2%-ია. თუმცა ისინი საკმაოდ ორგანიზებული და პოლიტიკურად გავლენიან ჯგუფს ქმნიან, რომელიც ბევრ შემთხვევაში ადევნებს პროდუქციის მაღალ ხარისხს. ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა განვიხილეთ მე-8 თავში; ექსპორტის დაფინანსების პროგრამა ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რამდენიმე სახეობა გაიყიდება ორჯერ ან სამჯერ მეტად მსოფლიო ფასებთან შედარებით. იაპონიის მთავრობამ მხოლოდ მოგვიანებით შეასუსტა ბრინჯის იმპორტის ტრადიციული აკრძალვა; აკრძალვის გამო ძირითადი საკვების შიდა ფასები 5-ჯერ მეტი იყო მსოფლიო ფასებთან შედარებით.

ზოგადად, აშშ საკვების ექსპორტიორია, რაც ნიშნავს, რომ საიმპორტო ქვოტები და ტარიფები ვერ გაზრდიან მის ფასებს (შაქარი გამონაკლისია). ფერმერები იღებდნენ მნიშვნელოვან სუბსიდიას ფედერალური მთავრობიდან, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგობამ ფულის გადახდაზე, შესწავლა ამ სუბსიდიების მოცულობა. ამიტომ აშშ-ში პროტექციონიზმმა ძირითადად თავი მოიყარა მეორე მთავარ სექტორში: ტანსაცმლის (სამკერვალო) მრეწველობაში.

სამკერვალო მრეწველობა. სამკერვალო მრეწველობა შედგება ორი ნაწილისაგან: საფეიქრო (სართავ-საქსოვი) და ტანსაცმელი (ამ ქსოვილის აწყობა ტანსაცმლად). ორივე მრეწველობა, განსაკუთრებით ტანსაცმლის (სამკერვალო), კარგად იყო დაცული ტარიფებისა და საიმპორტო ქვოტების მეშვეობით. ისინი ამჟამად ექვემდებარებიან შეთანხმებას, რომელიც აწესებს საექსპორტო და საიმპორტო ქვოტებს ბევრი ქვეყნისთვის.

სამკერვალო მრეწველობას ორი ძირითადი ნიშანი აქვს: პირველი, იგი სამეშაო ძალა-ინტენსიურია. მეშას პროდუქციის შესაქმნელად შედარებით ნაკლები კაპიტალი სჭირდება, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ საკერაუი მანქანა, და მეორე – ამ სამეშაოს შესრულება დიდი განათლების გარეშეც შეუძლია. ტექნოლოგიაც შედარებით მარტივია: ძალიან დარიბი ქვეყნისთვისაც კი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ტექნიკის შექმნა. ამიტომ, სამკერვალო მრეწველობა სწორედ ის სექტორია, სადაც დაბალანაზღაურებად ქვეყნებს გააჩნიათ მძლავრი კონკურენტული უპირატესობა, დაწინაურებულ ქვეყნებს კი არა. ეს მრეწველობა ტრადიციულად კარგად ორგანიზებული სექტორია მოწინავე ქვეყნებში.

ბევრის შეფასებით, სამკერვალო მრეწველობაზე მოდის მომხმარებლის დანახარჯების უმეტესობა აშშ-ში. საერთაშორისო კომისიის ბოლო შეფასების მიხედვით, აშშ-ს ყველა სავაჭრო შესწავლის ფასი არის 15 მლრდ დოლარი წლიურად, საიდანაც საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობას ეკუთვნის 10 მლრდ დოლარი.


საერთაშორისო მოლაპარაკებები და საერთაშორისო პოლიტიკა

სავაჭრო პოლიტიკის მოსახრებათა განხილვა დიდად გამამხნეებელი არ გახლავთ. წვენ ვამტკიცებდით, რომ ძნელია ისეთი სავაჭრო პოლიტიკის გამოგონება, რომელიც გაზრდის ქვეყნის კეთილდღეობას, და რომ სავაჭრო პოლიტიკა ხშირად დომინირებულია საერთო ინტერესებით გაერთიანებული პოლიტიკოსების მიერ.

თუმცა ფაქტობრივად, 1930 წლების შუა პერიოდიდან 1980 წლამდე აშშ-მ და სხვა მოწინავე ქვეყნებმა თანდათანობით მოხსნეს ტარიფები და სხვა სავაჭრო ბარიერები და ამით ხელი შეუწვეს საერთაშორისო ინტეგრაციის სწრაფ ზრდას. 9-5 გრაფიკი გვიჩვენებს აშშ-ში ტარიფის საშუალო განაკვეთს დასაბეგრ იმპორტზე 1920-1991 წლებში; ადრეულ 1930-იან წლებში სწრაფი ზრდის შემდეგ განაკვეთი სწრაფად

დაეცა. ბევრი ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეს პროცესი ძალიან მომგებიანი იყო. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ეთქვით საეაჭრო პოლიტიკურ მოსაზრებებზე, დგება კითხვა – მაინც როგორ გახდა პოლიტიკურად შესაძლებელი ტარიფების მოხსნა?

ტარიფის განაკვეთი (პროცენტებში)



აშშ-ს საშუალო სატარიფო განაკვეთი შემცირდა, მას შემდეგ, რაც 1930-იან წლებში სწრაფად დაიწყო ზრდა.

პასუხს ნაწილობრივ იძლევა ომის შემდგომი ვაჭრობის დიდი ლიბერალიზაციის მიღწევა საერთაშორისო მოლაპარაკებებით. ე.ი. მთავრობები შეთანხმდნენ, ერთობლივად შეემცირებინათ ტარიფი. ეს შეთანხმებები ერთმანეთთან აკავშირებდა თითოეული ქვეყნის იმპორტ-კონკურენტული მრეწველობის შემცირებულ პროტექციონიზმს სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებულ შემცირებულ პროტექციონიზმთან ერთერთი ქვეყნის საექსპორტო მრეწველობის მიმართ. ასეთი კავშირი აადვილებდა ზოგიერთი პოლიტიკური სიძნელის გადალახვას, რაც ქვეყნებს წინ აღუდგებოდა ხოლმე კარგი საეაჭრო პოლიტიკის გატარებაში.

მოლაპარაკების უპირატესობანი

სულ მცირე ორი მიზეზი არსებობს იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ტარიფების, როგორც ერთობლივი შეთანხმების ნაწილის, შემცირება უფრო ადვილი, ვიდრე მაშინ, როცა ტარიფები განიხილება ცალმხრივ პოლიტიკად: ჯერ ერთი, ერთობლივი შეთანხმება გვიადვილებს თავისუფალი ვაჭრობის მიმართ დახმარების მობილიზებას. მეორე, იგი შესაძლოა დაეხმაროს მთავრობებს, არ ჩაებან გამანადგურებელ საეაჭრო ომში.

საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტი თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად სწორხაზოვანია. ჩვენ შევნიშნეთ, რომ იმპორტ-კონკურენტული მწარმოებლები ჩვეულებრივ კარგად ინფორმირებულნი და ორგანიზებულნი არიან, ვიდრე მომხმარებლები. ადგილობრივი მწარმოებლები კი იმ უპირატესობას მოკლებულნი არიან, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო მოლაპარაკებები. აშშ და იაპონია მიადწევენ შეთანხმებას, თუ აშშ თავს შეიკავებს იმ ქვოტის დაწესებისაგან, რომელიც დაიცავს თავის ზოგიერთ დამამსაღებულს (ფირმას) იაპონიის კონკურენციისაგან, თუ სამაგიეროდ იაპონია აშშ-ს სოფლის მეურნეობის ნაწარმისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტზე იაპონურ ბარიერებს მოხსნის. აშშ-ს მომხმარებელი პოლიტიკურად ვერც შეეწინააღმდეგება უცხოურ ნაწარმსე ასეთი საიმპორტო ქვოტების დაწესებას, ეს უკანასკნელი ძვირადღირებულად რომ იყოს მათთვის; მაგრამ ექსპორტიორებმა, რომელთაც შეეძლება უნდათ უცხოურ ბაზრებში, შესაძლოა დაიცვიან მომხმარებლის ინტერესი საიმპორტო ქვოტების ერთობლივი გაუქმების მხარდაჭერით.

საერთაშორისო მოლაპარაკება დაეხმარება მთავრობას საეაჭრო ომის აცილებაში. ამ კონცეფციის გაშუქება შეიძლება ასეთი სტილიზებული მაგალითით.

ცხრილი 9-2 საეაჭრო კონფლიქტის პრობლემა

	აშშ	იაპონია		
			თავისუფალი ვაჭრობა	პროტექცია
თავისუფალი ვაჭრობა			10	20
			10	-10
პროტექცია			20	-5
			-10	-5

ავიღოთ ორი ქვეყანა: აშშ და იაპონია; მათს პოლიტიკას ორი არჩევანი აქვს: თავისუფალი ვაჭრობა და

პროტექციონიზმი. დაეუშვათ, ორივე მთავრობა გონივრულად ანაწილებს მათს განსახლებურ რაოდენობრიობას ნებისმიერი კერძო პოლიტიკის შედეგით (ცხრილი 9-2).

ამ ცხრილში მოცემული მოცემების ოდენობა გვიჩვენებს ორ ვარაუდს. პირველი – თითოეული ქვეყნის მთავრობას შეუძლია აირჩიოს პროტექციონიზმი, თუ მეორე ქვეყნის პოლიტიკას მიიღებს ისეთს, როგორც არის. ე.ი. რომელი პოლიტიკაც არ უნდა აირჩიოს იაპონიამ, აშშ აირჩევს პროტექციონიზმს. ეს ვარაუდი აუცილებელი არ არის, სწორი იქნება; ბევრი ეკონომისტი დაამტკიცებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა საუკეთესოა ქვეყნისათვის იმის მიუხედავად, რას აკეთებს სხვა მთავრობა. ბელის უფლებამ უნდა იმოქმედოს არა მარტო საზოგადოებრივი ინტერესებით, არამედ საკუთარი პოლიტიკური მიზნებითაც. ადრე განხილული მიხედვების გამო, მთავრობებს ხშირად მიაჩნიათ პოლიტიკურ სირთულედ სოგეერთი საწარმოს მიმართ პროტექციონიზმისაგან თავის არიდება.

9-2 ცხრილში მეორე ვარაუდი შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ თითოეული დამოუკიდებლად მოქმედი მთავრობა უკეთეს პირობებს იქმნის პროტექციონიზმის დროს, ორივე ქვეყანა უკეთესად იქნება თავისუფალი ვაჭრობის არჩევით. ე.ი. აშშ მთავრობა უფრო მეტს მოიგებს იაპონური ბაზრის ამოქმედებით, ვიდრე იზარალებს საკუთარი ბაზრების გახსნით; ასეა იაპონიისათვისაც. ამ ვარაუდის გამართლება მარტივად შეგვიძლია ვაჭრობიდან მოგების მოზიდვით. მათთვის, ვისაც თამაშის თეორია უსწავლია, ეს გარემოება ცნობილია როგორც *ტუსალის დილემა*.

თითოეული მთავრობა თავისთვის უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად ირჩევს პროტექციონიზმს. ამ არჩევანის შედეგი ნაჩვენებია ცხრილის მარჯვენა ქვედა უჯრედით. ორივე ქვეყანა უკეთესად, როცა არცერთი არ ირჩევს პროტექციონიზმს: ზედა მარცხენა უჯრედი გამოსახავს ორივესათვის მაღალ მოგებას. თავიანთი საუკეთესო ინტერესებისათვის ერთმხრივი მოქმედებით მთავრობები ვერ აღწევენ შესაძლო შედეგს. თუ ქვეყნები ცალმხრივად დაიცავენ თავს არსებობს სავაჭრო ომის საფრთხე, რომელიც ორივეს უზარესებს მდგომარეობას. თუმცა ეს ომი ისე საშიში არაა, როგორც იარაღით, მაგრამ მათი არიდების მცდელობა მაინც ჰგავს შეიარაღებული კონფლიქტის აცილების პრობლემას.

აშკარაა, რომ იაპონია და აშშ უნდა შეთანხმდნენ პროტექციონიზმიდან თავის დასაღწევად. თითოეული უკეთ იქნება, თუ ის შეზღუდავს თავისი მოქმედების თავისუფლებას იმ პირობით, რომ მეორე ქვეყანაც ასევე მოიქცევა მოლაპარაკებით მდგომარეობა ყველას უუმჯობესდება.

ეს უმარტივესი მაგალითია. რეალურ სამყაროში არსებობს ბევრი ორი ქვეყანა, ბევრი გრადაცია სავაჭრო პოლიტიკისა თავისუფალ ვაჭრობასა და სრულ პროტექციონიზმს შორის იმპორტის საწინააღმდეგოდ. მაგრამ მოტიანილი მაგალითი გულისხმობს, რომ აუცილებელია სავაჭრო პოლიტიკის კოორდინაცია საერთაშორისო შეთანხმებების მეშვეობით და რომ ასეთ შეთანხმებებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. მართლაც, საერთაშორისო ვაჭრობის არსებული სისტემა აგებულია საერთაშორისო შეთანხმებების ღერძზე.

საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებები: მოკლე ისტორია

ტარიფის საერთაშორისოდ კოორდინირებული შემცირება, როგორც სავაჭრო პოლიტიკა, იწყება 1930-იან წლებში. მაშინ აშშ-ში მიიღო ძალიან უპასუხისმგებლო ს. ტარიფო კანონი, სმუტ-ჰოულის კანონი, რომლის მიხედვითაც სატარიფო განაკვეთი სწრაფად გაიზარდა და აშშ-ს ვაჭრობა უმალ შემცირდა. სოცი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ სმუტ-ჰოულის კანონმა ხელი შეუწყო დიდი დეპრესიის გაღრმავებას. კანონის გამოშვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ აშშ ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ საჭირო იყო ტარიფის შემცირება, მაგრამ ამის შესრულება იწვევდა სერიოზულ პრობლემებს პოლიტიკური კოალიციის შექმნაში. ტარიფის ნებისმიერ შემცირებას შეეწინააღმდეგებოდნენ კონგრესის ის წევრები, რომელთა ამომრჩეველ რეგიონებში არსებობდა კონკურენტუნარიანი საქონლის მწარმოებელი ფირმები. სატარიფო განაკვეთების შემცირება დაკავშირებული უნდა იყოს ექსპორტიორების კონკრეტულ სარგებელთან. ამ პოლიტიკური პრობლემის საწყისი გადაწყვეტა ტარიფთან დაკავშირებული ორმხრივი მოლაპარაკებებია. აშშ მიმართავდა იმ ქვეყანას, რომელიც მთავარი ექსპორტიორი იყო (დაეუშვათ შაქრისა), და შესთავაზებდა ტარიფების შემცირებას ამ პროდუქტზე – იმ პირობით, რომ ექსპორტიორი ქვეყანაც შეამცირებდა ტარიფებს აშშ-ს სოგეერთ ექსპორტზე. ამ საქმის მიმზიდველობა აშშ-ს ექსპორტიორებს დაეხმარება წინააღმდეგობა გაეწიათ შაქრით დაინტერესებული პოლიტიკისათვის. უცხო ქვეყანაში შაქრის უცხოელი ექსპორტიორების იგივე დამოკიდებულება გააწონასწორებდა იმპორტ-კონკურენტული ინტერესების პოლიტიკურ გავლენას. ასეთი ორმხრივი მოლაპარაკება დაეხმარა აშშ-ს იმპორტზე საშუალო საბაჟო გადასახადის შემცირებაში 59%-დან 1932 წელს, 25%-მდე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ორმხრივმა მოლაპარაკებებმა შეიძლება ვერ გამოიყენონ საერთაშორისო კოორდინაცია და მიღებული მოგება „გადაედინოს“ ი ქვეყნებში, რომლებმაც არაფერი დათმეს. მაგალითად, თუ ბრაზილიასთან ერთიერთობის შედეგად აშშ შეამცირებს ტარიფებს ყავაზე, კოლუმბიაც მოიგებს ყავაზე მსოფლიო მაღალი ფასებით. შემდეგ, სოგეერთი წარმატებული საქმე შეიძლება სხვა ქვეყნებშიც გავრცელდეს. მაგალითად, აშშ უფრო მეტს ყიდის ევროპაში, ევროპა – საუდის არაბეთში, საუდის არაბეთი – იაპონიაში და იაპონია – აშშ-ში. ასე რომ, საერთაშორისო ვაჭრობის განთავისუფლების შემდეგი ნაბიჯი იქნება მრავალმხრივი მოლაპარაკებები ბევრ ქვეყანას შორის.

1945 წლიდან არსებობს რეა მთავარი მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმება. პირველმა ხუთმა მიიღო „პარალელური“ ორმხრივი მოლაპარაკების სახე, სადაც წყვილი ქვეყანა მოლაპარაკებას აწარმოებდა რამდენიმე ქვეყანასთან ერთდროულად. მაგალითად, თუ გერმანია წამოაყენებდა ტარიფის შემცირებას, რომელიც იტალიასა და საფრანგეთს ასარგებლებდა, შეეძლო აგრეთვე მოეთხოვა სამაგიერო დათმობა ორივესაგან. უფრო დიდი საქმის გაკეთების შესაძლებლობამ, ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკურ აღდგენასთან ერთად, გამოიწვია საერთაშორისო ტარიფების არსებითი შეზღუდვების დაშვება.

მეექვსე მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმება, ცნობილი როგორც *კენედის რაუნდი*, დასრულდა 1967 წელს. ეს შეთანხმება მოიცავდა მთავარი განვითარებული ქვეყნების მხრიდან საზღვარზე ტარიფების 50%-იან შემცირებას (იყო მრეწველობის დარგები, რომელთა ტარიფები უცვლელი დარჩა). მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საწარმოების გადასახადებიდან განთავისუფლებაზე და არა მოცულობის შემცირებაზე იმ საწარმოებში, რომელთა შესახებაც არ იყო სპეციალური მოლაპარაკება. კენედის რაუნდით საშუალოდ ტარიფი შემცირდა 35%-ით.

ე. წ. ტოკოს რაუნდმა (დასრულდა 1979 წელს) შეამცირა ტარიფები უფრო რთული ფორმულით, ვიდრე კენედის რაუნდმა. არასატარიფო ბარიერების სწრაფი ზრდის შესამოწმებლად მან ჩამოაყალიბა ახალი კოდექსი, როგორცაა ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები და მოწესრიგებული საბაზრო შეთანხმებები. და ბოლოს, 1994 წელს მოლაპარაკებების მერვე, *ურუგვაის რაუნდი*, დასრულდა. დიდი კამათის შემდეგ მისი დასკვნები დაამტკიცა აშშ-ს კონგრესმა. ამ მოლაპარაკებების შედეგებს შემდეგ ნაწილში აღვწერთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მრავალმხრივი სატარიფო შემცირებები განხორციელდა *ტარიფსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმებების (GATT)* სტრუქტურით, რომელიც 1947 წელს ჩამოყალიბდა. *GATT* შეიცავს სავაჭრო საერთაშორისო პოლიტიკის ქცევის წესებს, რომელსაც ამოწმებს ენევეაში არსებული შტაბი. როგორც ნებისმიერი სხვა კანონი, *GATT*-ის პირობებიც რთულია. მთავარი სირთულე შემდეგია:

1. *საექსპორტო სუბსიდიები*. *GATT*-ის ხელმომწერლებმა შესაძლოა არსად გამოიყენონ საექსპორტო სუბსიდიები, გარდა სოფლის მეურნეობრივი პროდუქტების ექსპორტისა. (ამ გამოწვევის პირველად მოითხოვდა აშშ, ახლა კი ევროკავშირიც იყენებს).
2. *საიმპორტო ქვოტები*. *GATT*-ის ხელმომწერლებმა შესაძლოა არ დააწესონ ცალმხრივი ქვოტები იმპორტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იმპორტი იმუქრება „ბაზრის დანგრევით“ (ფრაზა, რომელიც ჩვეულებრივ ნიშნავს იმპორტის შემცირებას, რაც ემუქრება ადგილობრივი სექტორის გამოდენას საქმიდან).
3. *ტარიფები*. ახალი ტარიფი და მისი ზრდა უნდა დაიფაროს სხვა უკვე არსებული ტარიფების შემცირებით, რათა ანაზღაურდეს ექსპორტიორ ქვეყნებს მისი გავლენის შედეგები.

ყველა ქვეყანა არ არის *GATT*-ის წევრი. განვითარებადი ქვეყნები მის გარეთ არიან, ხოლო თითქმის ყველა წარმატებული ქვეყანა მისი წევრია. აქედან გამომდინარე, სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც მათ შეიმუშავენ, რამდენადმე განპირობებულია „*GATT*-ში წევრად დარჩენის“ საჭიროებით.

ურუგვაის რაუნდი

მთავარი საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებები ყოველთვის იხსნება საზეიმოდ ერთ რომელიმე ეგზოტიკურ ადგილზე და მთავრდება ხელმოწერის ცერემონიით სხვაგან. მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების მერვე რაუნდიც წარიმართა 1986 წელს *GATT*-ის მიერ სანაპირო კურორტზე ურუგვაიში. მონაწილეები შემდეგ გაემგზავრნენ ენევეაში, სადაც განაგრძეს მოლაპარაკებანი, რომელიც 7 წელს მიმდინარეობდა. 1993 წლის ბოლოს, მოლაპარაკებების დასასრულს, გაფორმდა 400 გვერდიანი შეთანხმება დამატებითი (22 000 გვერდიანი) დოკუმენტაციით, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი წევრი ქვეყნების ვალდებულებები. ამ შეთანხმებებს ხელი მოეწერა ქალაქ მარაკეში (მაროკო) 1994 წლის აპრილში და დამტკიცებულ იქნა წლის ბოლოს მთავარი ქვეყნების მიერ.

როგორც დოკუმენტის სიდიდე გვიჩვენებს, ურუგვაის რაუნდის საბოლოო შედეგების შეჯამება არც ისე იოლია. ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი გართიანებული იყო ორ სათაურში: ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ადმინისტრაციული რეფორმები.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია

ურუგვაის რაუნდმა, როგორც *GATT*-ის სხვა მოლაპარაკებებმა, მთელ მსოფლიოში შეამცირეს ტარიფი ერთობ შთამბეჭდავი ოდენობით: მოწინავე ქვეყნების მიერ დაწესებული საშუალო ტარიფი თითქმის 42%-ით მცირდებოდა, თუმცა ტარიფები ისედაც საკმაოდ დაბალი იყო. ფაქტობრივად, საშუალო სატარიფო განაკვეთი მცირდებოდა 6.3%-დან 3.9%-მდე, რომელიც საკმარისი იყო, მსოფლიო ვაჭრობაში მხოლოდ მცირედი ზრდა გამოეწვია.

მოლაპარაკებათა შედეგებში ტარიფების შემცირებაზე უფრო მნიშვნელოვანია ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ სულა ორ მთავარ სექტორში: სოფლის მეურნეობასა და სამკერვალო მრეწველობაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მსოფლიო ვაჭრობა ერთობ დამახინჯებულად მიმდინარეობდა. იაპონია ცნობილი იყო იმპორტის შესაღწევით, რომელიც იწვევდა ბრინჯის, საქონლის ხორცისა და სხვა საქვები პროდუქტების ფასების რამდენჯერმე ზრდას მსოფლიო ფასებთან შედარებით; ევროპის დიდი საქსპორტო სუბსიდიები ერთობლივი აგრარული პროგრამით აღწერილი იყო მერვე თავში. ურუგვაის რაუნდის დაწყებისას აშშ-ს პატივმოყვრული მიზანი კქონდა – სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თავისუფალი ვაჭრობა 2000 წლისათვის! რეალური მიღწევები გაცილებით მოკრძალებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გამოდგა. შეთანხმება მოითხოვდა, სოფლის მეურნეობის ნაწარმის ექსპორტიორებს შეემცირებინათ სუბსიდიების ღირებულება 36%-ით და დაფინანსებული ექსპორტის მოცულობა 21%-ით 6 წლის განმავლობაში. ქვეყნებს, რომლებიც თავიანთ ფერმერებს იცავდნენ საიმპორტო ქვოტებით (მაგალითად, იაპონია), მოეთხოვებოდათ, შეეცვალებათ ქვოტები მეარი ტარიფებით, რომელიც შემდგომში არ გაიზრდებოდა.

საფეიქრო და სამკერვალო ნაწარმით მსოფლიო ვაჭრობაც ძალიან იყო დამახინჯებული მრავალბოჭკოვანი შეთანხმების წყალობით, რაც მე-8 თავში აღწერილი. ურუგვაის რაუნდი ფასებზედ ყოფდა მრავალბოჭკოვანი შეთანხმებას 10 წლიანი პერიოდით და იშორებდა ყველა რაოდენობრივ შესაღწევას საფეიქრო და სამკერვალო ნაწარმით ვაჭრობაში (სოფიერტი მაღალი ტარიფი დარჩებოდა). ესაა ნამდვილად დრამატული ლიბერალიზაცია! გახსოვდეთ, შეფასება ძირითადად გულისხმობს, რომ სამკერვალო მრეწველობის პროტექციონიზმი იწვევს აშშ მომხმარებლების უფრო დიდ ხარჯს, ვიდრე სხვა პროტექციონისტული ღონისძიებები ერთად აღებულნი. აღსანიშნავია რომ, ფორმულა, რომელიც გამოყენებულია შეთანხმების ფასებზედ დაყოფისათვის ძალიან „დატვირთულია“. ლიბერალიზაციის პროცესის დიდი ნაწილი გადაიყვანა გარდამავალი პერიოდისათვის, ე.ი. 2003–2004 წლისათვის. ვაჭრობის სოფიერტი ექსპორტი შეწყუბებულია ასეთი ხანგრძლივი ვალდებულებების შესარულების ალბათობით და ეკვობს, შესაძლებელია თუ არა, რომ 1994 წელს ხელმოწერილმა შეთანხმებამ რეალურად დააძალოს პოლიტიკოსებს, მიიღონ პოლიტიკურად ძნელი გადაწყვეტილება 10 წლის შემდეგ.

ურუგვაის რაუნდის დროს ვაჭრობის მნიშვნელოვანი საბოლოო ქმედება ახალი წესების შემოღება სამთავრობო შესყიდვებისათვის, რომელსაც აწარმოებენ არა კერძო ფირმა ან მომხმარებელი, არამედ სამთავრობო სააგენტოები. ასეთი შესყიდვები უზრუნველყოფს მრავალსაქონლიან დაცულ ბაზრებს. ურუგვაის რაუნდმა ჩამოაყალიბა ახალი წესები, რაც მისაწვდომს გახდის ფართომასშტაბიან სამთავრობო კონტრაქტებს იმპორტირებული პროდუქტისათვის.

ალმინისტრაციული რეფორმები

დიდი გამოხმაურება კმოვა ახალი ინსტიტუტის – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსებამ: მას უნდა შეეცვალა ე.წ. სამდივნო, რომელიც მართავდა GATT-ს 1994 წლამდე. მაღე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია თანამდგომ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის გადაიქცა სავარაუდო შეთქმულების სიმბოლოდ აშშ-ს სუვერენიტეტის ძირგამოსათხრელად და მისი მოსახლეობის მოსაქცევად მსოფლიო მმართველობის წესების არეალში. ახალი ორგანიზაციის რეალური მოთხოვნები მოკრძალებულია – არ შექმნის ახალ დიდი ბიუროკრატიას და თავად შეასრულებს ძველ ფუნქციას. GATT-ის საქმიანობასთან შედარებით, მისი ღებულება ითვალისწინებს ახალ დანქარებულ პროცესს წვერ ქვეყნებს შორის დავების მოსაგვარებლად. GATT-ის ერთ-ერთი მთავარი ეარყოფითი მხარე იყო ის, რომ კომისიის გაფრთხილების შემთხვევაში – განეხილა ერთი ქვეყნის საჩივარი მეორის მიმართ (მაგალითად, შემთხვევა, როცა აშშ ამტკიცებდა, რომ იაპონიის მთავრობის პრაქტიკა რეალურად ეფუძნებოდა უკანონო პროტექციონიზმს) – მის განხილვაკ 10 წელი მაინც უნდებოდა. ამ დროის მანძილზე მთელი საწარმოების გაუჩინარებაც კი შეიძლებოდა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გააჩნია ახალი „დავის მოგვარების მექანიზმი“, რომელიც დაგუმილია განაჩენის უფრო მოკლე ვადაში გამოსატანად.

და ბოლოს, როგორც ახალი შეთანხმების ნაწილი, ხელმომწერლებმა შეადგინეს ქვეშეთანხმება, რომელსაც ეწოდება ერთობლივი შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATT-ს). დასდევვა, კონსულტაცია, საბანკო საქმე – არასოდეს ყოფილა შეთანხმების წესების ობიექტი; ამის შედეგი იყო, რომ ბუერმა ქვეყანამ დააწესა ნორმები, რომელიც ღიად და „დე ფაქტო“ ცუდ მდგომარეობაში აყენებდა უცხოელ მიმწოდებლებს. ეს სერიოზული დარღვევაა, რამდენადაც მომსახურება შეადგენს მოწინავე ქვეყნებში გამოშვების ღირებულების 60%-ს. მომსახურების დიდი ნაწილი კვლავ არასავაჭროა (მაგალითად, თმის შუტრა სხვა ქვეყანაში), მაგრამ ვაჭრობა კომერციული მომსახურებით მზარდი ხდება და მსოფლიო ვაჭრობის თითქმის 20%-ს შეადგენს.

GATT-მა ვერ მოშალა მნიშვნელოვანი ბარიერები მომსახურებით ვაჭრობაში. მან ჩამოაყალიბა კანონიერი სტრუქტურა, რითაც მომავალი მოლაპარაკებები მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ გაგრძელდება. თაკიდანვე იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრებისაგან მოითხოვდა, დაეწყოთ მოლაპარაკებები მომსახურებით ვაჭრობის შესახებ 2000 წლისათვის.

მომზა და ხარჯები

ურუგვაის რაუნდის ეკონომიკური ეფექტის შეფასება ძნელია. ამისათვის უამრავი იურიდიული დოკუმენტი უნდა შეეუსაბამოთ ეკონომიკურ ლექსიკას, შემდეგ ეს შევიყვანოთ კომპიუტერში მსოფლიო ეკონომიკის მოდელის სახით. საქმე უარესდება იმით, რომ რაუნდის მთავარი მხარეები თითქმის პაერში არიან გამოკიდებული ისე, რომ, როცა ეს წიგნი დაიწერა, ეკონომიკური მოდელის შემქნელები ჯერ კიდევ ცდილობდნენ, გადაესინჯათ ეს შეფასებები, რათა შეთანხმების დებულებისათვის მიესადაგებინათ.

ყველაზე ხშირად ციტირება ხდება *GATT*-ისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (რომელიც მხოლოდ მდიდარი ქვეყნებისაგან შედგება და დაფუძნდა პარიზში) შეფასებებისა. ორივე შეფასება ნიშნავს სამომავლოდ, როცა შეთანხმება ძალაში შევა, მსოფლიო ეკონომიკაში 200 მლრდ დოლარის მოგებას წლიურად. ეს მსოფლიოს რეალურ შემოსავალს დაახლოებით 1%-ით გაზრდის. ზოგი ეკონომისტი აცხადებს, რომ შეფასებული მოგება გადაჭარბებულია. ზოგის მტკიცებით, შეფასება ძალიან მოკრძალებულია იმ „დინამიური“ მიზეზების გამო, რაც ზემოთ აღწერეთ.

ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის ჩვეულებრივი ლოგიკა გამოიყენება: ურუგვაის რაუნდის ხარჯები აღქმული იქნება კონცენტრირებული, კარგად ორგანიზებული ჯგუფების მიერ მაშინ, როცა მოგების უმეტესობა გადანაწილდება დიდი მოცულობის მოსახლეობაზე. სოფლის მეურნეობის პროგრესი დაახარალებს მცირე, მაგრამ გაელენიან ფერმერებს ევროპაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები მსოფლიო ფასებზე გაცილებით მაღალია. ეს ზარალი მეტი იქნება, ვიდრე მომხმარებლებისა და გადასახადის გადამხდელების მოგება იმავე ქვეყნებში, მაგრამ რადგან ეს მოგებები ფართოდ გაერცვლებდა, ზარალი ნაკლებ შესამჩნევი იქნება. ამის მსგავსად, ვაჭრობის ლიბერალიზაცია საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობებში გამოიწვევს გარკვეულ ტიპიულს ამ მრეწველობის მუშებსა და კომპანიებში, რაც ანაზღაურდება შედარებით დიდი, მაგრამ ნაკლებად ხილული სამომხმარებლო მოგებით.

აღსანიშნავია, რომ ურუგვაის შეთანხმება ბოლოსდაბოლოს, მიღწეულ იქნა. თუმცა ბევრი მიმომხილველი თვლიდა, რომ მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა, რაკი ვერ განახორციელეს 1990 წლის ამოცანა. შეთანხმების მიღწევა შესაძლოა მიეწეროს პოლიტიკური გათვლების გაერთიანებულ სისტემას. აშშ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორების მოგება და მომსახურების ექსპორტიორების პერსპექტიული მოგება (იმ შემთხვევაში, თუ *GATS* (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაში) კარს გაუღებს არსებით ლიბერალიზაციას) დაეხმარება სამკერვალო მრეწველობის ზარალის ანაზღაურებას. ბევრი განვითარებული ქვეყანა მხარს უჭერდა რაუნდს იმ ახალი შესაძლებლობების გამო, რომელსაც იგი სთავაზობდა საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობების ნაწარმის ექსპორტს.

რაუნდის ბოლო წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი მაინც იყო იმის შიში, თუ რა მოხდებოდა მისი ჩაყარდნის შემთხვევაში. 1993 წლისათვის პროტექციონიზმის ნაკადი ნათლად გამოჩნდა აშშ-ში და სხვაგანაც. იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვა შემთხვევაში უარს იტყობდნენ შეთანხმების გაგრძელებაზე – საფრანგეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა, სადაც ფერმერების მძლავრი ლობი დიდად ეწინააღმდეგებოდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას – შიშობდნენ, რომ სავაჭრო მოლაპარაკებების ჩაშლა სახიფათო გამოდგებოდა, ე.ი. არშემდგარი რაუნდი უბრალოდ პროგრესის შეფერხებას კი არ გამოიწვევდა, არამედ არსებით უკუსვლას.

პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები

საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები შეიცავდა „არადისკრიმინაციულ“ შემცირებას სატარიფო განაკვეთებში. მაგალითად, როცა აშშ უთანხმდება გერმანიას იმპორტირებული მანქანა-შექანიზმების ტარიფის შემცირებაზე, ახალი სატარიფო განაკვეთი ეხება ყველა ქვეყნიდან, და არა მარტო გერმანიიდან, შემოტანილ ნაწარმს. ასეთი არადისკრიმინაციულობა ნორმალურია ბევრი ტარიფისათვის. მართლაც, აშშ ბევრ ქვეყანას ანიჭებს ყველაზე კეთილგანწყობილი ერის სტატუსს. ესაა გარანტია, რომ მათი ექსპორტიორები არ გადაიხდიდნენ იმაზე მეტ ტარიფს, რასაც ყველაზე დაბალტარიფიანი ქვეყანა იხდის. ამ სტატუსით გაერთიანებული ყველა ქვეყანა ერთსა და იმავე ტარიფს იხდის. ტარიფის ყველა შემცირება *GATT*-ის დროს (ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისის გარდა) მოხდა „ყველაზე კეთილგანწყობილი ერის“ ბაზაზე.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, როცა ქვეყნები ამყარებენ პრეფერენციულ სავაჭრო შეთანხმებას, რის საფუძველზეც ტარიფები, რომლებსაც ერთმანეთის ნაწარმს ადებენ, უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოსულ საქონელზე. *GATT*-ი საერთოდ კრძალავს ასეთ შეთანხმებას, მაგრამ უცნაურ გამონაკლისს უშუებს: ის ეწინააღმდეგება **A** ქვეყნის წესებს, კქონდეს დაბალი ტარიფები **B** ქვეყნიდან იმპორტზე, ვიდრე **C** ქვეყნიდან იმპორტზე, მაგრამ მისაღებად თვლის, როცა **B** და **C** ქვეყანა თანახმაა, კქონდეს ნულოვანი ტარიფი ერთმანეთის ნაწარმზე. ე.ი. *GATT* კრძალავს პრეფერენციულ სავაჭრო შეთანხმებას საერთოდ, როგორც „ყველაზე კეთილგანწყობილი ერის“ პრინციპებზე ძალდატანებას, მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს მათ შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში.

საერთოდ, ორ ან მეტ ქვეყანას – თავისუფალი ვაჭრობის ჩამოყალიბების მსურველთ – ამის გაკეთება ორი

გზით შეუძლია. ჯერ ერთი, უნდა შექმნან თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, სადაც თითოეული ქვეყნის ნაწარმის უტარიფოდ გადაგზავნა შესაძლებელი იქნება, მაგრამ სადაც ქვეყნები აწესებენ ტარიფს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად. მეორეც – მათ შეუძლიათ დააარსონ საბაჟო კავშირი, სადაც ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ სატარიფო განაკვეთებზე. ჩრდილო ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისუფალი ვაჭრობა კანადას, აშშ-სა და მექსიკას შორის, ქმნის თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს: საჭირო არ არის შეთანხმების დადება, რომ კანადასა და მექსიკას ჰქონდეთ ერთნაირი ტარიფი ჩინეთიდან შემოტანილ ნაწარმზე. შეთანხმებულადაც ყველა ქვეყანამ უნდა დააწესოს ერთნაირი სატარიფო განაკვეთი შემოტანილ საქონელზე. თითოეულ სისტემას ნაკლიც გააჩნია და უპირატესობაც. სატარიფო განაკვეთი ზრდის ეკონომიკის ეფექტურობას. პირველად თითქოს პრეფერენციული სატარიფო შემცირებაც კარგია, მაგრამ ისე კარგი არაა, როგორც ტარიფების ყოველმხრივი შემცირება. ბოლოსდაბოლოს კი, ნახევარი სჯობია არც ერთს.

იქნებ ეს დასკვნა ძალიან ოპტიმისტურად მოგეჩვენოთ. ქვეყნისათვის შეიძლება უარესი იყოს საბაჟო კავშირში გაერთიანება. ეს ჩანს შემდეგი მაგალითით – აშშ ხორბლის დაბალხარჯიანი მწარმოებელია (4 დოლარი ბუშელზე), საფრანგეთი – საშუალო (6 დოლარი ბუშელზე), ბრიტანეთი ძვირი (8 დოლარი ბუშელზე). ბრიტანეთი და საფრანგეთი ინარჩუნებენ ტარიფს ხორბლის ყველა იმპორტზე. თუ ბრიტანეთი საფრანგეთთან გააფორმებს საბაჟო კავშირს, გაუქმდება საფრანგეთისა და არა აშშ ხორბლის ტარიფი. ეს კარგია თუ ცუდი ბრიტანეთისათვის? ამისათვის უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა:

პირველი, დაეუშვათ ბრიტანეთის საწყისი ტარიფი ხორბალზე საკმაოდ მაღალი იყო, რათა გამოერიცხა მისი იმპორტი საფრანგეთიდან ან აშშ-დან, მაგალითად, ერთ ბუშელზე 5 დოლარიანი ტარიფით აშშ-დან ხორბლის შემოტანა ეღირებოდა 9 დოლარი, ხოლო საფრანგეთიდან – 11 დოლარი. ბრიტანელ მომხმარებელს კი შეეძლო შეეძინა 8 დოლარიანი ბრიტანული ხორბალი. თუ ტარიფი საფრანგეთის ხორბალზე გაუქმდება, ამ უკანასკნელიდან იმპორტი შეცვლის ბრიტანულ პროდუქციას. ბრიტანეთის აზრით, ეს მოგებაა, რადგან ერთი ბუშელი ხორბლის წარმოება ადგილობრივ ღირს 8 დოლარი, მაშინ როცა ბრიტანეთს სჭირდება აწარმოოს მხოლოდ 6 დოლარის ღირებულების საექსპორტო საქონელი ფრანგული ხორბლის ერთ ბუშელზე გადასახდელად.

მეორე მხრივ, დაეუშვათ, ტარიფი უფრო დაბალია – 3 დოლარი 1 ბუშელზე. ასე რომ, საბაჟო კავშირში შესვლამდე ღირდა ბრიტანეთმა არჩია აშშ-დან შეეძინა ხორბალი (7 დოლარი 1 ბუშელი მომხმარებლისათვის), ვიდრე თვითონ ეწარმოებინა საკუთარი. როცა საბაჟო კავშირი ჩამოყალიბდება, მომხმარებელი იყიდის 6 დოლარად ფრანგულ ხორბალს და არა 7 დოლარად აშშ ხორბალს, რის გამოც ხორბლის შემოტანა აშშ-დან შეწყდება. რეალურად აშშ ხორბალი ფრანგულზე უფრო იაფია; 3 დოლარი გადასახადი, რაც ბრიტანელმა მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს აშშ ხორბალში, უბრუნდება ბრიტანეთს სამთავრობო შემოსავლის სახით და ამიტომ იგი არ ითვლება ბრიტანეთის ეკონომიკის წმინდა ღირებულებად. ბრიტანეთს უნდა მეტი რესურსი ჩადოს ექსპორტში, რათა გადაიხადოს ხორბლის იმპორტში, ამით კი გაუმჯობესების მაგივრად მდგომარეობა გაუუარესდება.

ზარალის ეს შესაძლებლობა კიდევ ერთი მაგალითია „მეორე საუკეთესოს“ თეორიაში. გაიხსენეთ ბრიტანეთი, რომელიც თავდაპირველად ორ სავაჭრო პოლიტიკას მისდევდა, რამაც სტიმულები დაამახინჯა: ეს იყო აშშ-სა და ფრანგულ ხორბალზე ტარიფები. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული ხორბლის ტარიფი ახშობდა სტიმულს, მას დახმარების გაწევაც შეეძლო სტიმულების ამგვარი ჩახშობის ასანაზღაურებლად. ეს გამომდინარეობდა აშშ-ს ხორბლის ტარიფიდან, აქაური უფრო იაფი ხორბლის მოხმარების წახალისებით. ამგვარად, ფრანგულ ხორბალზე ტარიფის გაუქმება აუცილებლად შეამცირებდა ბრიტანეთის საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

გაიხსენოთ ორი შემთხვევა: ბრიტანეთი იგებს, თუ საბაჟოს კავშირის შექმნას მოჰყვება ახალი ვაჭრობა – ფრანგული ხორბალი შეცვლის ადგილობრივს – და ქვეყანა ზარალობს, თუ ვაჭრობა საბაჟო კავშირის შიგნით უბრალოდ შეცვლის ვაჭრობას კავშირს გარეთა სხვა ქვეყნებთან. პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ანალიზში პირველი შემთხვევა განეკუთვნება ვაჭრობის შექმნას, მეორე კი ვაჭრობის გადახრას სასურველია თუ არა საბაჟო კავშირი, დამოკიდებულია იმაზე, საით მიყვავართ მას – ვაჭრობის შექმნისაკენ, თუ ვაჭრობის გადახრისაკენ.

თავისუფალი ვაჭრობის სივრცე საბაჟო კავშირის წინააღმდეგ

თავისუფალი ვაჭრობის სივრცესა და საბაჟო კავშირს შორის განსხვავება მოკლედ ის არის, რომ პირველი პოლიტიკურად სწორხაზოვანია, მეორე კი სრულიად საწინააღმდეგო.

განვიხილოთ: საბაჟო კავშირი. რაკი ასეთი კავშირი ჩამოყალიბდა, ტარიფის მართვა შედარებით გაიოლდა: უნდა გადაიხადოს ტარიფი კავშირის საზღვრის გადაკვეთისას საქონელზე, რაც მხოლოდ შემდეგ გადაიზიდება თავისუფლად სხვა ქვეყნებში. მარსელსა და როტერდამში ჩატვირთულ საქონელზე იქვე უნდა გადაიხადოს საბაჟო გადასახადი და არავითარი დამატებითი გადახდა აღარ მოუწევს მიუნხენამდე. ამ მარტივმა სისტემამ რომ კარგად იმუშაოს, ქვეყნები მანაც უნდა შეთანხმდნენ სატარიფო განაკვეთზე: საბაჟო გადასახადი

ყველგან ერთნირი უნდა იყოს, იმპორტიორმა რომ არ აირჩიოს ქვეყანაში შესვლის ისეთი ადგილი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს მის გადასახადებს.

ევროპაში ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში იმ რწმენის საფუძველზე, რომ ეკონომიკური ერთიანობა დაეხმარებოდა ომის შემდგომი პოლიტიკური ალიანსის გამყარებას ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს შორის (ევროკავშირის ერთ-ერთმა დამაარსებელმა იხუმრა: ძველი უნდა დაეუდგათ სტალინს, რომლის წინაშეც შიშის გარეშე კავშირი იქნებ არასოდეს შექმნილიყო). ევროპის სამ ქვეყანას, რომელმაც შექმნა კავშირი, გაუჭირდებოდა კონტროლი ნებისმიერი ზესახელმწიფო სუბიექტის ტარიფებზე; სხვა რომ არ იყოს, გაძნელებდებოდა, რაიმე მექანიზმის შექმნა, რაც სათანადო მნიშვნელობას მიანიჭებდა აშშ-ს ინტერესებს და შეზღუდავდა აშშ-ს, ეკარნახა სავაჭრო პოლიტიკა კანადისა და მექსიკისათვის. ამიტომ ეს კავშირი, როცა იგი ნებას რთავს მექსიკურ საქონელს, შევიდეს აშშ-ში ტარიფის გარეშე და პირიქით, არ მოითხოვს, რომ ამ ორივე ქვეყანამ მიიღოს ერთობლივი საგარეო ტარიფი სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზეც.

მაგრამ ეს ქმნის სხვა პრობლემას. ამ კავშირის პირობების მიხედვით, მექსიკაში დამზადებული პერანგი უტარიფოდ შედის აშშ-ში, მაგრამ აშშ-ს სურს სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ პერანგებზე შეინარჩუნოს მაღალი ტარიფი. რა შეუშლის ხელს პერანგის შემოტანას, ეთქვას, ბანგლადეშიდან მექსიკაში, შემდეგ კი ჩიკაგოში?

პასუხი: თუმცა აშშ-სა და მექსიკას ურთიერთთან თავისუფალი ვაჭრობა აქვთ, მექსიკიდან აშშ-ში შემოტანილმა საქონელმა უნდა გაიაროს საბაჟო შემოწმება და იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტებით დამტკიცდება, რომ ის ნამდვილად მექსიკური საქონელია და არა გადმოტვირთული იმპორტი მესამე ქვეყნებიდან, ქვეყანაში შესვლა საბაჟო გადასახადის გარეშე.

მაგრამ თუ პერანგი მოდის ბანგლადეშიდან, მაგრამ მექსიკელმა დააკერა ღილები, მაშინ იგი მექსიკური იქნება? ალბათ, არა! მექსიკური იქნება ის, რაც ღილების გარეშე მექსიკაში იქნება დამზადებული. საქმე ისაა, რომ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დაწესება, რომელიც საბაჟო კავშირი არაა, მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ქვეყნები აგრძელებდნენ საქონლის შემოწმებას საზღვარზე, არამედ იმასაც, რომ ზუსტად განსაზღვრავდნენ „წარმოშობის წესების“ სისტემას. სწორედ ეს გადაწყვეტს, მისაღებია თუ არა, რომ საქონელმა გადაკვეთოს საზღვარი ტარიფის გადაუხდელოდ.

ამის შედეგად სამ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება იწვევს უამრავ დოკუმენტთან დაკავშირებულ სამუშაოს, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა იყოს ვაჭრობისათვის მაშინაც კი, როცა იგი პრინციპით თავისუფალია.

რეზიუმე

1. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ქვეყანაში მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობა, ბევრი ეკონომისტი მას მაინც მიიჩნევს სასურველ პოლიტიკად. ეს დაცვა გამომდინარეობს არგუმენტის სამი პუნქტიდან. პირველი არის ოფიციალური არგუმენტი თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებული მოგების სასარგებლოდ. მეორე, ბევრი ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქმნის დამატებით მოგებას, რომელიც ამ ოფიციალურ არგუმენტს სცილდება. და ბოლოს, რთული ეკონომიკური ანალიზის რეალურ პოლიტიკად გარდაქმნის სიმბოლურების მიუხედავად, ისინიც კი, რომლებიც არ თვლიან თავისუფალ ვაჭრობას საუკეთესო პოლიტიკად, მას მარტივ საშუალებად მიიჩნევენ.
2. ერთ-ერთი ყველაზე წონადი არგუმენტი ის არის, რომ ქვეყნებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ვაჭრობის პირობები ოპტიმალური ტარიფისა და საექსპორტო გადასახადების მეშვეობით. პრაქტიკულად, ეს არგუმენტი არც ისე მნიშვნელოვანია. პატარა ქვეყნები დიდ გავლენას ვერ ახდენენ იმპორტისა და ექსპორტის ფასებზე. ასე რომ, მათ არ შეუძლიათ ტარიფებისა ან სხვა პოლიტიკის გამოყენება ვაჭრობის პირობების შესაცვლელად. დიდ ქვეყნებს კი შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ვაჭრობის პირობებზე, მაგრამ ტარიფის დაწესებით სავაჭრო არგუმენტის ჩაგდების და საპასუხო რეაქციის გამოწვევის რისკის წინაშე დგებიან.
3. თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრის მეორე არგუმენტია ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა. თუ ზოგი ადგილობრივი ბაზარი, როგორცაა სამუშაო ძალის ბაზარი, სწორად ვერ მოქმედებს, თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრა ზოგჯერ ეხმარება ამ გაუმართავე ქმედების შემცირებას. მეორე საუკეთესოს თეორია ადგენს, რომ თუ ერთი ბაზარი ვერ მუშაობს კარგად, იგი უკვე არ არის ოპტიმალური იმისათვის, რომ შეაკავოს მთავრობა სხვა ბაზრებში შეჭრისაგან. ტარიფმა შესაძლოა გაზარდოს საზოგადოებრივი კეთილდღეობა, თუ გვაქვს საქონლის წარმოების ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც შეზღუდული არ არის ჭარბი წარმოების მანქანებლებით.
4. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის წარუმატებლობა საერთოა, ადგილობრივი ბაზრისათვის ეს არგუმენტი თავისუფლად არ უნდა გამოვიყენოთ. ჯერ ერთი, ის არგუმენტად გამოდგება ადგილობრივი პოლიტიკისათვის და არა სავაჭრო პოლიტიკისათვის; ტარიფები ყოველთვის „მეორე საუკეთესოს“ უარესი საშუალებაა, გამოყენებული ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობის დასაფარავად (რომლის განკურნება ყოველთვის დასაწყისშივე სჯობია). შემდეგ ბაზრის წარუმატებლობის გაანალიზება მეტად რთულია იმისათვის, რომ დარწმუნდეს სავაჭრო პოლიტიკის რეკომენდაციის შესაბამისობაში.
5. პრაქტიკულად, შემოსავლის განაწილების შესახებ მოსახრებები ზემოქმედებს სავაჭრო პოლიტიკაზე.

რომლის მოდელირება მხოლოდ ერთი გზით არ ხდება. მეცნიერ-პოლიტიკოსები ხშირად ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა განისაზღვრება იმ პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციით, რომლებიც ცდილობენ, მიიმხრონ ბევრი ამომრჩეველი. უმარტივეს შემთხვევაში ამას მიეყვაროთ ისეთი პოლიტიკის უპირატესობისაკენ, რომელიც ემსახურება საშუალო ამომრჩევლის ინტერესებს. ეს მიდგომა, როგორც ჩანს, ზრდის არარეალურ ვარაუდებს საეკონომიკური პოლიტიკაში, რომელიც მხარს უჭერს მცირე, კონცენტრირებული ჯგუფების და არა მთელი საზოგადოების ინტერესებს. ეკონომისტები და მეცნიერ-პოლიტიკოსები ზოგადად ამას ხსნიან ერთობლივი ქმედების პრობლემის დამოწმებით. რადგან შესაძლოა ინდივიდებს ნაკლები სტიმული გააჩნდეთ პოლიტიკური მოქმედებისათვის იმ ჯგუფის სახელით, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან, ეს კარგად ორგანიზებული ჯგუფები ხშირად ირჩევენ პოლიტიკას, რომელიც მათ ინტერესებს ემსახურება უმეტესობის ხარჯზე.

6. საეკონომიკური პოლიტიკა რომ წმინდა ადგილობრივ ბაზაზე ეფუძნებოდეს, პროგრესი თავისუფალ ვაჭრობაში გაძნელებულია. ფაქტობრივად, განვითარებულმა ქვეყნებმა ტარიფების არსებით შემცირებას მაღლივს მრავალმხრივი საერთაშორისო მოლაპარაკებების საშუალებით. ტარიფების შემცირების მიზნის ახსნის ორი გზა არსებობს: იგი ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებას ექსპორტიორებისათვის პირდაპირი დახმარებით და საშუალებას აძლევს მთავრობებს აიცილონ ორივესათვის წამგებიანი საეკონომიკური ომები, რაც შესაძლოა საერთაშორისოდ არაკომუნიკაბელურ ურთიერთობებში გამოიწვიოს.
7. მიუხედავად 1930 წელს ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული პროგრესისა ვაჭრობის ლიბერალიზაციის საქმეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო კოორდინაცია მოხდა GATT-ის მრავალმხრივი შეთანხმებების მეშვეობით. ეს უკანასკნელი შეიცავს ბიუროკრატიულ ელემენტებსა და ქცევის წესებს. GATT წარმოადგენს საერთაშორისო საეკონომიკური სისტემის ცენტრალურ ინსტიტუტს. მისი შეთანხმებაც აყალიბებს ახალ მსოფლიო საეკონომიკური ორგანიზაციას შეთანხმების მონიტორინგისა და ამოქმედებისათვის.
8. ტარიფების შემცირებასთან ერთად, რაც მრავალმხრივ მოლაპარაკებებს მოჰყვა, ქვეყნების რამდენიმე ჯგუფმა მოილაპარაკა პრეფერენციული საეკონომიკური ხელშეკრულების შესახებ, რომლის დროსაც ტარიფები შემცირეს ერთმანეთის და არა მთელი მსოფლიოს მიმართ. GATT-ის მეშვეობით მუშავდება ორი სახის პრეფერენციული საეკონომიკური შეთანხმება: საბაჟო კავშირი, სადაც შეთანხმების წევრები საერთო საგარეო ტარიფებს აწესებენ, და თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, სადაც ისინი ერთმანეთის ნაწარმზე ტარიფს არ აწესებენ, მაგრამ ამას აკეთებენ გარე სამყაროს პროდუქტებზე. ორივე გადაწყვეტილება ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ორაზროვან გავლენას ახდენს – თუ ასეთი შეთანხმება გამოიწვევს ადგილობრივი მაღალხარჯიანი წარმოების შეცვლას შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებიდან იმპორტით (ვაჭრობის შექმნა), ქვეყანა იგებს. მაგრამ თუ ეს შეთანხმება იწვევს დაბალხარჯიანი იმპორტის შეცვლას მაღალხარჯიანი საქონლით შეთანხმების წევრი ქვეყნებიდან (ვაჭრობის გადახრა), ქვეყანა ზარალდება.

ძირითადი ტერმინები

კოლექტიური ქმედება	საბაჟო კავშირი
ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა	თავისუფალი ვაჭრობის მწარმოებლურობის კოეფიციენტი
თავისუფალი ვაჭრობის სივრცე	გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობაზე (GATT)
საერთაშორისო მოლაპარაკება	საზოგადოებრივი სარგებელი
საშუალო ამომრჩეველი	ოპტიმალური ტარიფი
თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკური არგუმენტი	პრეფერენციული საეკონომიკური შეთანხმება
ტუსაღის დილემა	ვაჭრობის პირობების არგუმენტი ტარიფისათვის
მეორე საუკეთესო თეორია	ვაჭრობის შექმნა
ვაჭრობის გადახრა	საეკონომიკური ომი

კითხვები

1. „ფილიპინების მსგავსი პატარა ქვეყნისათვის თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლას დიდი უპირატესობა ექნებოდა. მომხმარებლები და მწარმოებლები თავის არჩევანს გააკეთებდნენ საქონლის რეალურ ფასებზე დაყრდნობით და არა სამთავრობო პოლიტიკით განსაზღვრულ ხელშეწყობით ფასებზე; ეს ქვეყანას საშუალებას მისცემდა, გამოისულიყო ვიწრო ადგილობრივი ბაზრის ჩარჩოებიდან და ახალ პორიზონტს გაეხსნა შეწარმობას; ამასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაეხმარებოდა ადგილობრივი პოლიტიკის მოწესრიგებაში“ – გამოყოფით და ამოიცანით თავისუფალი ვაჭრობის არგუმენტები ამ წინადადებაში.
2. ქვემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან რომელია წინადაც ტარიფებისა და ექსპორტის სუბსიდირებისათვის სა რომელი არა (ახსენით, რატომ?):

- ა) რაც მეტი ნაეთობი შემოაქვს აშშ-ს, მით უფრო მეტად აიწვეს ნაეთობის ფასი მსოფლიოში მისი მოსალოდნელი ნაკლებობის დროს.
 - ბ) არასეზონური ხილის გატანა ჩილედან ახლა შეადგენს აშშ-ს მიწოდების 80%-ს და ხელს უწყობს წარსულში ამ ფუფუნების საქონლის ფასების მკვეთრ შემცირებას.
 - გ) აშშ-ს ფერმერული საქონლის ექსპორტი არ ნიშნავს ფერმერებისათვის დიდ შემოსავალს. ესაა შემოსავალი ყველასათვის, ვინც ყიდის საქონელსა და მომსახურებას აშშ-ს ფერმერულ სექტორში.
 - დ) ხე-ტყის რეალური ფასი 40%-ით შემცირდა და ათასობით მუშა იძულებული გახდა, სხვა სამუშაო ეძებნა.
3. პატარა ქვეყანას შეუძლია შემოიტანოს საქონელი, რომლის მსოფლიო ფასი 10-ია ერთ ერთეულზე. საქონლის ადგილობრივი მიწოდების მრუდი არის

$$S = 50 + 5P$$

მოთხოვნის მრუდი არის

$$D = 400 - 10P$$

ამასთან წარმოების ერთ ერთეულს მოაქვს ზღერული საზოგადოებრივი სარგებელი – 10.

- ა) გამოითვალეთ კეთილდღეობის მთლიანი ეფექტი ექსპორტიდან ამოღებული ტარიფით – 5 ერთ ერთეულზე.
 - ბ) გამოითვალეთ ერთი ერთეულის მთლიანი ეფექტი – 5 წარმოების სუბსიდიით.
 - გ) რატომ ზრდის კეთილდღეობას უფრო წარმოების სუბსიდია, ვიდრე ტარიფი?
 - დ) რა შეიძლება იყოს წარმოების ოპტიმალური სუბსიდია?
4. დაეუშვათ, მოთხოვნა და მიწოდება ისეთიყუა, როგორც მე-3 კითხვაში, მაგრამ არ არსებობს წარმოების ზღერული საზოგადოებრივი მოგება. პოლიტიკური მოსაზრებების გამო მწარმოებლების 1 დოლარის მოგებას მთავრობა მომხმრებლისათვის 2 დოლარის ტოლფას მოგებად თელის ან მთავრობისათვის 2 დოლარის ტოლფას შემოსავლად. გამოიანგარიშეთ, რა გავლენას ახდენს მთავრობის მიზნებზე ტარიფი – 5 ერთ ერთეულზე.
5. „არავინ გამოთქვამს საყვედურს აშშ-ში იაპონიის და ევროპის საეაჭრო პოლიტიკაზე. ყოველ ქვეყანას აქვს უფლება პქონდეს საკუთარი ინტერესები. უკმაყოფილების ნაცვლად აშშ-მ საშუალება უნდა მისცეს ქვეყნებს, იარონ თავიანთი გზით. თავი ვანებოთ საკუთარ ვარაუდებს თავისუფალ ვაჭრობაზე და მივეყუეთ ჩვენს მაგალითს“. განიხილეთ ამ აზრის ეკონომიკაც და პოლიტიკონომიაც.
6. GATT-ის რომელი ქმედება იქნება კანონიერი და რომელი არა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან:
- ა) აშშ-ს 20%-იანი ტარიფი ნებისმიერი ქვეყნისადმი, რომელსაც ორჯერ მეტი შეაქვს აშშ-ში, ვიდრე გააქვს.
 - ბ) აშშ-ს ხორბლზე საექსპორტო სუბსიდია, რომელიც გამიზნული იყო ევროკავშირისათვის ზოგიერთი დაკარგული ბაზრის დასაბრუნებლად.
 - გ) აშშ-ს ტარიფი კანადური ხის მორებზე, რომელიც არ ესადაგება სხვა ტარიფებზე შესაბამის შემცირებას. კანადური გადასახადი ხის მორების ექსპორტზე, აშშ-ს მოთხოვნით შეთანხმებული ხის მორების ადგილობრივი მწარმოებლების გულის მოსაგებად.
 - დ) კელევისა და განვითარების სუბსიდიების პროგრამა, რომელიც ეხება მაღალტექნოლოგიურ ნაწარმს, როგორიცაა ელექტროტექნიკა და ნახევარგამტარები.
 - ე) სპეციალური სამთავრობო დახმარება მუქებისათვის, ვინც სამუშაო დაკარგა იმპორტის კონკურენციის გამო.
7. აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგად განადდა სპეკულაცია, რამაც ისეთი ქვეყნები, როგორიცაა პოლონეთი და უნგრეთი, შესაძლოა შეიყვანოს ევროკავშირში. განიხილეთ პოტენციური ეკონომიკური ხარჯები ევროკავშირის ასეთი ექსპანსიისა დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების თვალსაზრისით.

მე-9 თავის დანართი, რომელიც ამტკიცებს, რომ ოპტიმალური ტარიფი დადებითია

დიდ ქვეყანაში ტარიფი ყოველთვის აუმჯობესებს ვაჭრობის პირობებს, მაგრამ ზოგჯერ ამახინჯებს წარმოებასა და მოხმარებას. ეს დანართი გვიჩვენებს, რომ საკმაოდ მცირე ტარიფიდან ვაჭრობის პირობებით მოგება უფრო დიდია, ვიდრე დამახინჯებით გამოწვეული ზარალი. ამრიგად, ყოველთვის გვაქვს ოპტიმალური ტარიფი, რომელიც დადებითია.

ამის დასამტკიცებლად ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ შემთხვევაზე, როცა მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები წრფივია, ე.ი. სწორხაზოვანია.

მოთხოვნა და მიწოდება

დაუეშვათ, ჩვენში იმპორტზე მოთხოვნის მრუდის გამომსახველი ტოლობაა

$$D = a - b\tilde{P}, \quad (9დ-1)$$

სადაც $[\tilde{P}]$ არის საქონლის ადგილობრივი ფასი. ასევე მიწოდების მრუდის ტოლობა არის

$$Q = e + f\tilde{P}. \quad (9დ-2)$$

ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნა უდრის სხვაობას ადგილობრივ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის

$$D - Q = (a - e) - (b + f)\tilde{P}. \quad (9დ-3)$$

უცხოეთის ექსპორტის მიწოდებაც სწორხაზოვანია

$$(Q^* - D^*) = g + hP_w. \quad (9დ-4)$$


სადაც P_w არის მსოფლიო ფასი. ადგილობრივი ფასი ჩვენში გადააჭარბებს მსოფლიო ფასს ტარიფით

$$\tilde{P} = P_w + t. \quad (9დ-5)$$

ტარიფი და ფასები

ტარიფი ზღვარს აეღებს ადგილობრივ და მსოფლიო ფასებს შორის, ზრდის ჩვენი ქვეყნის ფასებს და ამცირებს მსოფლიო ფასებს (9დ-1 გრაფიკი)

გრაფიკი 9დ-1 ფასებზე ტარიფის ეფექტი



წრფივ მოდელში შეგვიძლია გამოვითვალოთ ფასებზე ტარიფის ზუსტი შედეგი.

მსოფლიო წონასწორობის დროს ჩვენი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნა უდრის უცხოეთის ექსპორტის მიწოდებას

$$(a - e) - (b + f) \times (P_w + t) = g + hP_w. \quad (9დ-6)$$

დავუშვათ, P არის მსოფლიო ფასი, რომელიც დიდად იმატებს ტარიფის არარსებობის დროს. მაშინ t ტარიფი გაზრდის შიდა ფასებს

$$\bar{P} = P_f + th / (b + f + h), \quad (9დ-7)$$

მაშინ, როცა შეამცირებს მსოფლიო ფასს, ტოლობა იქნება

$$P_w = P_f - t(b + f) / (b + f + h). \quad (9დ-8)$$

(პატარა ქვეყნისათვის უცხოეთის მიწოდება ძალიან ელასტიურია, ე.ი. h არის ძალიან დიდი. ამგვარად, პატარა ქვეყნისათვის ტარიფს მცირე ეფექტი ექნება მსოფლიო ფასებზე მაშინ, როცა ადგილობრივი ფასის ზრდა ერთი ერთზე იქნება).

ტარიფი და ადგილობრივი კეთილდღეობა

ახლა გამოვიყენოთ ის, რაც ვიცით ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის შესახებ, ტარიფის ეფექტების მისაღებად (9დ-2 გრაფიკი). Q^1 და D^1 წარმოადგენს მოხმარებისა და წარმოების თავისუფალი ვაჭრობის დონეებს. ადგილობრივი ფასები იზრდება ტარიფის მეშვეობით ისეთი შედეგით, რომ: Q იზრდება Q^1 -მდე და D მცირდება D^1 -მდე, სადაც

$$Q^2 = Q^1 + th / (b + f + h) \quad (9დ-9)$$

და

$$D^2 = D^1 - th / (b + f + h). \quad (9დ-10)$$

დაბალი მსოფლიო ფასები და მოგება გამოსახულია ოთხკუთხედით 9დ-2 გრაფიკში; ფასის შემცირება მრავლდება იმპორტის დონით ტარიფის დაწესების შემდეგ:

$$\begin{aligned} \text{მოგება} &= (D^2 - Q^2) \times t(b + f) / (b + f + h) \\ &= t \times (D^1 - Q^1) \times (b + f) / (b + f + h) - (t)^2 \times h(b + f)^2 / (b + f + h)^2. \end{aligned} \quad (9დ-11)$$


დამახინჯებული მოხმარებიდან ზარალი უდრის ორი სამკუთხედის ჯამს (9დ-2 გრაფიკში):

$$\begin{aligned} \text{ზარალი} &= (1/2) \times (Q^2 - Q^1) \times (\bar{P} - P_f) + (1/2) \times (D^1 - D^2) \times (\bar{P} - P_f) \\ &= (t)^2 \times (b + f) \times (h)^2 / 2(b + f + h)^2 \end{aligned} \quad (9დ-12)$$

ამიტომ კეთილდღეობის წმინდა ეფექტი გამოისახება

$$\text{მოგებას} - \text{ზარალი} = t \times U - (t)^2 \times V, \quad (9დ-13)$$

სადაც U და V არის რთული მანკენებელი, რომელიც დამოუკიდებელია ტარიფის დონისაგან, ე.ი. წმინდა ეფექტი არის დადებითი რიცხვის (გამრავლებული სატარიფო განაკვეთზე) და უარყოფითი რიცხვის (გამრავლებული სატარიფო განაკვეთის კვადრატზე) ჯამი.



ტარიფის წმინდა მოგება ტოლია მუქ ოთხკუთხედს გამოკლებული ორი მუქი სამკუთხედის არე.

საგაჭრო პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში

ჩვენ გაეანალიზეთ საგაჭრო პოლიტიკის საშუალებები და მისი ამოცანები კონტექსტის დასუსტების გარეშე, მაგრამ ამ პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნების შესახებ ბევრი არაფერი თქმულა. თითოეულ ქვეყანას თავისი ისტორია და პრობლემები აქვს. ეკონომიკური პოლიტიკის განხილვის დროს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ვლინდება ქვეყნებს შორის – ეს არის მათი შემოსავლის დონეები. როგორც 10-1 ცხრილი გვიჩვენებს, ქვეყნები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით. სექტორის ერთ მხარეს არიან განვითარებული ქვეყნები (დასავლეთი ევროპა, ევროპელებით დასახლებული რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის აშშ, და იაპონია); ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი წლიურად ზოგჯერ 20 000 დოლარს აღწევს. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა კი ძირითადად ცხოვრობს ღარიბ, ე.წ. განვითარებად და ნაკლებად განვითარებად ქვეყნებში, სადაც შემოსავლის მერყეობა ძალიან დიდია. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი, მაგალითად სინგაპური, ოფიციალური მონაცემებით, განვითარებული ქვეყნების რიგს შეუერთდება. ზოგიც, როგორცაა ბანგლადეში, უკიდურესად ღარიბად რჩება. ყველა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, დაახლოებოდნენ განვითარებულ ქვეყნებს.

რატომაა ზოგი ქვეყანა ასე ღარიბი? როგორ შეძლო ქვეყნების ნაწილმა ერთი თაობით ადრე მიეღწია პროგრესისათვის? ეს საკამათო კითხვებია და მათზე პასუხის გაცემა სცილდება ამ წიგნის მასშტაბს. რისი თქმაც შეგვიძლია, ის არის, რომ ეკონომიკური განვითარების შესახებ ცვალებად შეხედულებებს დიდი როლი აკისრიათ საგაჭრო პოლიტიკის განსახილვერში.

ცხრილი 10-1 ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის მიხედვით, 1993 (აშშ დოლარი)

აშშ	24,750
იაპონია	21,090
გერმანია	20,980
სინგაპური	20,470
სამხრეთ კორეა	9,810
მექსიკა	7,100
ჩინეთი	2,120
ინდოეთი	1,250

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 30 წლის განმავლობაში ბევრ განვითარებად ქვეყანაში საგაჭრო პოლიტიკაზე გავლენა მოახდინა იმ რწმენამ, რომ ეკონომიკური განვითარების გასაღები მძლავრი გადაამამუშაებელი სექტორის შექმნა იყო და ამის მიღწევა შეიძლებოდა ადგილობრივი გადაამამუშაებელი მრეწველობის დაცვით საერთაშორისო კონკურენციისაგან. ამ თავის პირველ ნახევარში აღწევრთ იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიზეზს და განვიხილავთ ამ სტრატეგიების კრიტიკასაც, რომელიც 1970 წლიდან ერთობ გააქტიურდა.

როცა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნვია შემოსავლის საერთო დაბალი დონე, ბევრი განვითარებული ქვეყანა ხასიათდება შემოსავლის დიდი სხვაობით რეგიონებსა და სექტორებს შორის. ეკონომიკური დუალიზმის ეს პრობლემა პოლიტიკის განსაკუთრებული საკითხია და ამ თავის მეორე ნაწილში განიხილება.

და ბოლოს, ვიდრე ეკონომისტები კამათობდნენ ქვეყნებს შორის შემოსავლის დიდი უფსკრულის მიზეზებზე, 1960-იანი წლებიდან აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დიდმა ჯგუფმა მსოფლიო გააოცა ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპით. ამ წიგნის ნაწილი ეძღვნება „აღმოსავლეთ აზიის სასწაულს“.

იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება

მეორე მსოფლიო ომიდან 1970 წლამდე ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ სცადა, დაეჩქარებინა საკუთარი ეკონომიკური განვითარება გადაამამუშაებელი მრეწველობის ნაწარმის შემოზიდვის შესაძლებლობით, ადგილობრივი ბაზრის გადაამამუშაებელი სექტორის ხელშეწყობის მიზნით. ამ სტრატეგიაში, რომელიც რამდენიმე მიზეზის გამო გახმაურდა, იმპორტის შეცვლას თვარიული ეკონომიკური არგუმენტი დიდ როლს თამაშობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ იყო „ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტი“, რაზეც მე-9 თავში ვისაუბრებთ.

ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტი

ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის თანახმად, განვითარებად ქვეყნებს აქვთ პოტენციური ფარდობითი უპირატესობა გადაამამუშავებელ მრეწველობაში, რომლის ახალ დარგებს არ შეუძლიათ განვითარებული ქვეყნების კარგად ჩამოყალიბებულ გადაამამუშავებელ მრეწველობასთან ჭიდილი. მთავრობებმა დროებით უნდა დაუჭიროონ მხარი მრეწველობის ახალ დარგებს, სანამ ისინი შეძლებენ საერთაშორისო კონკურენციის დაძლევას. \ამ არგუმენტის თანახმად, გონივრულია ტარიფებისა და საიმპორტო ქვოტების, როგორც ინდუსტრიალიზაციის დასაწყებად დროებითი ღონისძიებების, გამოყენება. ისტორიული ფაქტია, რომ მსოფლიოს სამი უდიდესი საბაზრო ეკონომიკა დაიწყო მრეწველობის განვითარებით: აშშ-ს და გერმანიას მაღალი ტარიფები ჰქონდათ გადაამამუშავებელ მრეწველობაში მე-19 საუკუნეში, იაპონიას კი გააჩნდა ექსტენსიური იმპორტის კონტროლი 1970 წლამდე.

ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის პრობლემა. ეს არგუმენტი აშკარაა და რეალურად ბევრი მთავრობისათვის სარწმუნო, მაგრამ ეკონომისტები მაინც მიუთითებდნენ მასში არსებულ ბევრ მახესა და მისი ფრთხილი გამოყენების საჭიროებაზე/

ჯერ ერთი, ყოველთვის არ იძლევა კარგ შედეგს გადასვლა იმ დარგებში, რომელთაც ფარდობითი უპირატესობა მომავალში ექნებათ. დაეუშვათ, ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალა ჭარბია, მიმდინარეობს კაპიტალის დაგროვება; საკმაო კაპიტალის დაგროვების შემდეგ მას უკვე ექნება ფარდობითი უპირატესობა კაპიტალიზმის სფეროებში. ასეთი დარგების განვითარება სწრაფად არ ხდება. 1980-იან წლებში სამხრეთ კორეა მანქანების ექსპორტიორი გახდა, მაგრამ ამას დიდი დრო და პირობები დასჭირდა – იქ მანქანათმშენებელი მრეწველობა 1960-იან წლებში ვერ განვითარდებოდა, რაკი კაპიტალი და სამუშაო ძალა მწირი იყო.

მეორე, გადაამამუშავებელი მრეწველობის დაცვა არაა მართებული, სანამ თვითონ პროტექცია არ გადააქცევს მრეწველობას კონკურენტულად. \პაკისატინი და ინდოეთი ათწლეულობით იცავდნენ თავიანთ გადაამამუშავებელ სექტორებს და სულ ახლახანს დაიწყეს ამ დარგის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. მათი საექსპორტო საქონელი არის მსუბუქი (როგორცაა საფეიქრო ნაწარმი) და არა მძიმე მრეწველობის პროდუქცია. ზოგი ეკონომისტი სიფრთხილეს იხენდა ფსევდოახალგაზრდული მრეწველობის მიმართ, სადაც თავდაპირველად მრეწველობა დაცულია და შემდეგ ხდება კონკურენტული ისეთი მიზეზების გამო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პროტექციონიზმთან. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მრეწველობის დაცვა თითქოს წარმატებით მთავრდება, მაგრამ ეკონომიკისათვის შესაძლოა წარმოქმნას დანახარჯები.

უფრო ზოგადად – ის ფაქტი, რომ მრეწველობის აგება დიდ ხარჯებსა და დროს მოითხოვს, არ წარმოადგენს არგუმენტს სამთავრობო ჩარევისათვის, ვიდრე არსებობს ადგილობრივი ბაზრის წარუმატებლობა. თუ მიჩნეულია, რომ მრეწველობა გამოიმუშავებს საკმაოდ მაღალ მოგებას კაპიტალის, სამუშაო ძალისა და წარმოების სხვა ისეთი ფაქტორებისათვის, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ, მაშ რატომ არ ავითარებენ მრეწველობას კერძო ინვესტორები მთავრობის დაუხმარებლად? სოჯერ ამტკიცებენ, რომ კერძო ინვესტორები მრეწველობაში ითვალისწინებენ მხოლოდ მიმდინარე და არა მომავალ მოგებას, მაგრამ ეს არ ეხება ბაზრის რეალიზაციის მდგომარეობას. მოწინავე ქვეყნებში ინვესტორები ხშირად უჭერენ მხარს იმ პროექტებს, რომელთა მოგება საეჭვოა ან შორეული პერსპექტივაა (მაგალითად, აშშ-ს ბიოტექნოლოგიური მრეწველობა, სადაც მილიონობით დოლარი დაიხარჯა, ვიდრე ის წლების შემდეგ ერთ კომერციულ გაყიდვას მაინც მოახერხებდა).

ბაზრის წარუმატებლობის გამართლება ახალგაზრდა მრეწველობის პროტექციონიზმის დროს. ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის გამართლებისათვის აუცილებელია იმ მოჩვენებითი მხარდაჭერიდან გადახვევა, რომ ახალგაზრდა მრეწველობას ყოველთვის სჭირდება მფარველობა. გამართლება თუ არა მისი დაცვა, დამოკიდებულია მე-9 თავში განხილულ მსგავს ანალიზზე. ე.ი. საწყის სტადიაზე მრეწველობის დაცვა დაკავშირებული უნდა იყოს ბაზრის წარუმატებლობის გარკვეულ რიგთან, რომელიც კერძო ბაზრებს ხელს შეუშლის მრეწველობის სწრაფ განვითარებაში. ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის გამოცდილმა მოწინააღმდეგეებმა ამოიცნეს ორი მიზეზი იმისა, თუ ბაზრის წარუმატებლობის შემთხვევაში როგორ შეიძლება ახალგაზრდა მრეწველობის გონივრული დაცვა. ეს მიზეზებია კაპიტალის არასრულყოფილი ბაზრები და შესაბამისობის პრობლემა.

ახალგაზრდა მრეწველობის დასაცავად კაპიტალის არასრულყოფილი ბაზრების როლის ახსნა შემდეგია: თუ განვითარებად ქვეყანას არა აქვს ფინანსური ინსტიტუტების სისტემა (ეთქვამთ, ეფექტური საფონდო ბირჟა და ბანკები), ეს შესაძლებლობას იძლევა, ტრადიციული სექტორებიდან (მაგალითად, სოფლის მეურნეობა) მიღებული დანახარჯები გამოყენებულ იქნეს ახალი საქორების (როგორცაა გადაამამუშავებელი მრეწველობა) ინვესტიციების დასაფინანსებლად. თუმცა ახალი მრეწველობის განვითარება შეიზღუდება იმით, რომ ამ მრეწველობაში ფირმებს სმიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ მიმდინარე მოგება. ამგვარად, დაბალი საწყისი მოგება დაბრკოლება იქნება ინვესტიციისათვის მაშინაც კი, თუ გრძელვადიანი მოგება ამ ინვესტიციაზე მაღალია. პირველი საუკეთესოს პოლიტიკა არის უკეთესი კაპიტალის ბაზრის შექმნა; ახალი მრეწველობების დაცვა კი, რომელიც გაზრდის მოგებას და ამგვარად გამოიწვევს უფრო სწრაფ განვითარებას, შესაძლოა გამართლებულ იქნეს, როგორც მეორე საუკეთესო პოლიტიკის არჩევანი.

შესაბამისობის არგუმენტმა ახალგაზრდა მრეწველობის დასაცავად შესაძლოა მრავალი სახე მიიღოს, მაგრამ ყველას საერთო აზრი ექნება – ფირმები ახალ მრეწველობაში ქმნიან საზოგადოებრივ მოგებას, რომლიდანაც მათ არაფერი ერგებათ. მაგალითად, ფირმებმა, რომლებიც პირველად შეუერთდნენ მრეწველობას, შესაძლოა იწვინონ ადგილობრივი პირობებისათვის ტექნოლოგიის შეგუების „სასტარტო“ დანახარჯები. თუ სხვა ფირმები შეძლებენ არ გაიმეორონ ეს და ყველაფერი გააკეთონ ამ „სასტარტო“ ხარჯების გარეშე, დამწვებებს ხელი შეეშლება, მიიღონ რაიმე მოგება ამ დანახარჯებიდან. ამის გამო პიონერ ფირმებს ფაქტობრივ მწარმოებლურობასთან ერთად დამატებით შეუძლიათ შექმნან არამატერიალური მოგება (როგორცაა ცოდნა და ახალი ბაზრები); ზოგ შემთხვევაში, ახალი მრეწველობიდან მიღებული საზოგადოებრივი მოგება გადააჭარბებს კიდევ მის ხარჯებს, თუმცა შესაბამისობის პრობლემის გამო კერძო მეწარმეებს ამ საქმიანობაში შესვლის სურვილი არ ექნებათ. მაშასადამე, პირველი საუკეთესო პასუხი იქნება ფირმებისათვის თაყიანით არამატერიალური ღვაწლის ანაზღაურება. როცა ეს შეუძლებელია, არსებობს მეორე საუკეთესო პასუხი – ახალ მრეწველობაში შესვლის წასახალისებლად ტარიფებისა და სხვა საეკონომიკური პოლიტიკის გამოყენება.

კაპიტალის არასრულყოფილი ბაზრის არგუმენტიცა და შესაბამისობის შემთხვევაც ახალგაზრდა მრეწველობისათვის ბაზრის წარუმატებლობის გამართლების განსაკუთრებული შემთხვევებია მითითებული. არგუმენტები სპეციალურად გამოიყენება ახალ მრეწველობაში უფრო, ვიდრე სხვა ნებისმიერში. ბაზრის წარუმატებლობის ზოგადი პრობლემები მანაც რჩება. პროტექციულად, ძნელი შესაფასებელია, რომელი მრეწველობა მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას; არსებობს საშიშროება მრეწველობის განვითარების ხელშეწყობი პოლიტიკის დასრულების იმით, რომ თავადვე განსაკუთრებული ინტერესების ტყვეობაში მოექცევა. ბევრი რამ თქმულა ახალგაზრდა მრეწველობებზე, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ წავეიდნენ წინ და დამოკიდებულნი დარჩნენ პროტექციონიზმზე.

გადაამუშავებული მრეწველობის ხელშეწყობა პროტექციონიზმის მეშვეობით

ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტს მანაც ეჭვით უყურებენ – ბევრი განვითარებადი ქვეყანა ფიქრობს, რომ იგი გადაულახავ მიზეზად იქცევა გადამამუშავებელი მრეწველობისათვის განსაკუთრებული მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზაზე. ასეთი მხარდაჭერა კი შესაძლოა სხვადასხვანაირად განხორციელდეს. მაგალითად, ქვეყნებს შეუძლიათ გადამამუშავებელი მრეწველობის უზრუნველყოფა სუბსიდიებით, ან თაყიანით ძალისხმევის გადატანა გადამამუშავებელი მრეწველობის იმ პროდუქციის ექსპორტის დაფინანსებაზე, რასაც, მათი რწმენით, ფარდობითი უპირატესობის ამაღლება შეუძლიათ. ბევრ განვითარებადი ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის მთავარი სტრატეგია იყო იმ მრეწველობის განვითარება, რომელიც ორიენტირებული იყო ადგილობრივ ბაზარზე ისეთი სავაჭრო შეზღუდვების გამოყენებით, როგორცაა ტარიფები და ქვოტები. ეს პროცესი იწვევდა წახალისებას, რათა იმპორტირებული გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია შეეცვალათ ადგილობრივით. ადგილობრივი მრეწველობის სტრატეგიის მხარდაჭერა გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის იმპორტის შეზღუდვით ცნობილია, როგორც **იმპორტის შემცველი ინდუსტრიალიზაციის სტრატეგია**

მიზეზი, თუ რატომ იქნა არჩეული ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიად იმპორტის შეცვლა და არა ექსპორტის განვითარება, დამყარებულია ორ ფაქტორზე: ეკონომიკასა და პოლიტიკასზე. პირველი, 1970 წლამდე ბევრი განვითარებადი ქვეყანა სკეპტიკურად უყურებდა გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის ექსპორტის შესაძლებლობას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინდუსტრიალიზაცია უპირატესად გამოიწვევდა ადგილობრივი მრეწველობის ნაწარმით იმპორტის შეცვლას, ვიდრე გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის განვითარებას. მეორე, ბევრ შემთხვევაში იმპორტის შემცველი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, ბუნებრივია, შეესაბამებოდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მოყვანებს. უკვე აღვნიშნეთ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, განვითარებინათ იმპორტის შემცველები ჯერ 1930-იან წლებში დიდი დეპრესიისა და შემდეგ 1940 წლის პირველ ნახევარში საომარი მდგომარეობის გამო ვაჭრობის შეფერხებით (თავი 9). ამ ქვეყნებში იმპორტის შეცვლა პირდაპირ ასარგებლებდა მსლაური ინტერესების მქონე ჯგუფებს, როცა ამავე ქვეყნებიდან ექსპორტს არ ჰყავდა საიმედო კლიენტურა.

იმპორტის შეცვლის პოლიტიკის დამცველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსოფლიო ეკონომიკა მრეწველობაში ახალი შემსუვლებების წინააღმდეგ მანიპულირებდა, რაკი ჩამოყალიბებული დაწინაურებული ქვეყნების უპირატესობანი ძალიან დიდი იყო და მას განვითარებადი ეკონომიკა ვერ დაძლედა. ამ შეხედულების დამცველები მოითხოვდნენ მოწინავე ქვეყნებიდან განვითარებადი ქვეყნების გამოყოფის საერთო პოლიტიკის შემუშავებას, მაგრამ პროტექციონისტული განვითარების სტრატეგიების ნაკლებ მომხრეთა შორისაც კი ის აზრი, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა მუდმივად მუშაობს განვითარებადი ქვეყნების ინტერესების საწინააღმდეგოდ, 1980 წლამდე ფართოდ იყო აღიარებული.

1950-60-იანმა წლებმა დაგეანახა იმპორტის შემცველი ინდუსტრიალიზაციის განვითარების დიდი მერყეობა. განვითარებადმა ქვეყნებმა უპირატესი ყურადღება მიაქციეს საკვების წარმოებისა და მანქანების აწყოების მრეწველობის დაცვას, რის გამოც დიდ განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივმა ნაწარმმა თითქმის მთლიანად შეცვალა იმპორტირებული სამომხმარებლო საქონელი (მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებას ხშირად

უცხოური მრავალეროვნული ფორმა აწარმოებდა). რაკი სამომხმარებლო საქონლის შემოტანის საჭიროება ამოიწურა, ამ ქვეყნებმა დაიწყეს შეუღებური საქონლის, როგორცაა მანქანის კარკასი, ფოლადი და ნათობქიმიკატები, გამოშვება.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში იმპორტის შემცველი მოძრაობა მივიდა თავის მკვეთრ ლოგიკურ დასასრულამდე: რთული გადაამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის (კომპიუტერები, ზუსტი მექანიზმები და ა.შ.) შემოტანა გრძელდებოდა; უფრო დიდი ქვეყნები, რომლებიც მისდევდნენ იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარებას, საკმაოდ ამცირებდნენ იმპორტს. ცნობილია, რაც უფრო პატარაა ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა (რომელიც იზომება მისი მთლიანი გამოშვების ღირებულებით), მით უფრო დიდი იქნება იმპორტისა და ექსპორტის წილი ადგილობრივ ეკონომიკაში. თუმცა, როგორც 10-2 ცხრილი გეჩვენებს, დიდ ინდოეთს, რომლის ადგილობრივი ბაზარი აშშ ბაზრის 5%-ზე ნაკლებია, გაქონდა თავისი გამოშვების მცირე ნაწილი, იმასთან შედარებით, რაც აშშ-ს 1990-იან წლებში. ბრაზილია უფრო კარგი მაგალითია: 1990 წელს მისი ექსპორტი შეადგენდა გამოშვების მხოლოდ 7% - აშშ წილზე ნაკლებს და გაცილებით ნაკლებს გერმანიის წილთან შედარებით.

ცხრილი 10-2. ექსპორტის წილი (პროცენტებში) ეროვნულ შემოსავალში, 1990

ბრაზილია	7
ინდოეთი	8
აშშ	10
იაპონია	11
დასავლეთ გერმანია	32
სამხრეთ კორეა	32
ჰონგ-კონგი	137
სინგაპური	190

გადაამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტრატეგია ანუ იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება კარგად მიმდინარეობს. ლათინური ამერიკის ეკონომიკა ახლა ქმნის თავისი გამოშვების ისეთივე დიდ წილს გადაამუშავებელი მრეწველობიდან, როგორც მოწინავე ქვეყნები (ინდოეთი ნაკლებს აწარმოებს მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბი მოსახლეობა საკვებზე მოიხმარს მისი შემოსავლის დიდ ნაწილს). ამ ქვეყნებისათვის გადაამუშავებელი მრეწველობის წახალისება არ იყო თვითმიზანი. ეს იყო საშუალება ეკონომიკის განვითარების საბოლოო მიზნის მისაღწევად. დაისმის კითხვა: იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება დაეხმარა თუ არა ეკონომიკურ დაწინაურებას? პასუხის პირდაპირ გასაცემად სერიოზული უჭვი განჩნდა. თუმცა ბევრი ეკონომისტი იწონებდა იმპორტის შემცველ ღონისძიებებს 1950-60-იან წლებში, 1960-იანი წლებიდან კი იგი მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში; მართლაც, ბევრი ეკონომისტ-ანალიტიკოსისა და პოლიტიკის შემქმნელის ყურადღება გადავიდა იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების წახალისების ცდიდან იმ ზარალის გამოსწორებისაკენ, რაც ქვეყანას მიაყენა იმპორტის შემცველ მრეწველობასთან დაკავშირებლმა ცუდმა პოლიტიკამ.

საკითხის შესწავლისათვის

იმპორტის შეცვლის დასასრული ჩილში

ჩილე ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც თავი დაანება იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარებას. 1970-იან წლებამდე შედარებით მდიდარი, უსწეულოდ მიღებული დემოკრატიული ტრადიციების მქონე, განვითარებული ჩილე ატარებდა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავს პოლიტიკას. გადაამუშავებელი მრეწველობის ბაზა შეიქმნა იმპორტის საწინააღმდეგოდ გულდასმით შემუშავებული შესაღწევების სურგს უკან მაშინ, როცა ქვეყნა კელავ მიმართავდა ტრადიციული რესურსების, კერძოდ, ბრინჯაოს ექსპორტს. მაგრამ 1970-იან წლებში კომუნისტური მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამ გამოიწვია სახალხო მდელვარება და საბოლოოდ ქვეყანა ხელთ ჩაუვარდა სამხედრო ძალას, რომელმაც სისხლში ჩაახშო წინააღმდეგობა.

ახალმა მთავრობამ იმპორტის შესღწევები მოსპო და შეცვალა დაბალი ტარიფებით. თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის ან ბრინჯაოს მსოფლიო ფასების ძირეული შემცირების გამო ეკონომიკამ გაიარა მძიმე პერიოდი 1970-იანი წლების შუა ხანებში. გვიან 1970-იან და აღრეულ 1980-იან წლებში აღდგენას მოჰყვა მეორე მძლავრი დაქვეითება; ეს იყო მსოფლიო ვალის კრიზისში ჩილეს ჩაეარდნა (თავი 22).

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ჩილეს ეკონომიკის მწარმოებლურობა ფრიად შთამბეჭდავი იყო. ახალმა ექსპორტმა (არასუსონური ხილის ჩათვლით, რომელიც სამთრობით ჩრდილო ნახევარსფეროს მომხმარებელთან იგზავნებოდა, მაღალხარისხიანი ღვინო და გადაამუშავებელი მრეწველობის ნაწარმი) ქვეყანა გამოიყენა ბრინჯაოს გასაღებაზე დამოკიდებულებიდან, რის შედეგადაც ჩილეს ეკონომიკა

სწრაფად ვითარდებოდა, უკან იტოვებდა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს და აზიის ზოგიერთი ქვეყნის მწარმოებლურობას თითქმის უახლოვდებოდა. ამის შედეგად თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა, რომელიც დასაწყისში ძალიან არაპოპულარული იყო და მოიასრებოდა მხოლოდ ჩილეს მკაცრ სამხედრო წესებთან კავშირში – იწყებდა ფართო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას.

1990-იან წლებში ჩილეს პოლიტიკამ თავი დააღწია სამხედრო რეჟიმს, თუმცა ამ წიგნის წერის პერიოდში მისი ხელისუფლება მაინც რჩებოდა სახელმწიფოში იმ სახელმწიფოდ, რომელიც ცივილიზებული პოლიტიკის წესებს არ ემორჩილებოდა. ბოლო 17 წელს გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას მიეწერებოდა ჩილეს აყვავება. მისი ეკონომიკური წარმატება შემდგომაც გრძელდებოდა: 1990-94 წლებში ეკონომიკამ მიაღწია განვითარების 6.9%-ის დონეს, რაც გაცილებით დიდი იყო ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარებით.

მხარდაჭერის შედეგები წარმოებაში: იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების განხილვა

იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარებასე შეეხება იწყება შემდეგი ფაქტით: ამ პოლიტიკის გატარებელი ბევრი ქვეყანა ვერანაირ ნიშანს ვერ ავლენდა, რომ დაეწყო განვითარებულ ქვეყნებს. სოც შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების ბაზრის განვითარებამ თითქმის მიგვიყვანა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სტატისტიკაზე ეკონომიკური სრლის ნაცვლად. ეს ნათლად ჩანს ინდოეთის მაგალითზე, თუ როგორ ახორციელებდა იგი 20 წლიან პარტიკულარულ გეგმებს 1950-70-იან წლებში. აღმოჩნდა, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი რამდენიმე პროცენტით უფრო მაღალი იყო წინაწინააღმდეგარა. ასევე იყო არგენტინაშიც, ერთ დროს მდიდარ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკა შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, კუს ნაბიჯით მიდიოდა. სხვა ქვეყნებში, მაგალითად მექსიკაში, მიღწია ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ვერ წაშალა განსხვავება მასა და განვითარებულ ქვეყნებს შორის. მხოლოდ რამდენიმე განვითარებადამ ქვეყანამ შეძლო შემოსავლის მიხედვით წინ გადაედგა ნაბიჯი; ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც არასოდეს უცდიათ იმპორტის შეცვლა ან მისგან მკვეთრი გადახვევა.

რატომ არ წარიმართა იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება ისე, როგორც ნაგარაუდები იყო? ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტი ისე უნივერსალურად წონადი არ აღმოჩნდა, როგორც ამას ბევრი მოელოდა. პროტექციონიზმის პერიოდი ვერ შექმნის კონკრეტულ გადაამრეწველებულ სექტორს, თუ ქვეყანას აკლია ფარდობითი უპირატესობა წარმოებაში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ განვითარების შეფერხებას უფრო ღრმა მიზეზები აქვს, ვიდრე ეს უბრალოდ წარმოებაში გამოცდილების ნაკლებობაა. დარბი ქვეყნები განიცდიან კვალიფიციური მუშახელის, მწარმოებლებისა და უნარიანი მმართველობითი აპარატის ნაკლებობას, ექმნებათ სასოგადოებრივ - ორგანიზაციული პრობლემები, რაც აძლელებს ყველა შესაბამისი მიწოდების შენარჩუნებას სათადარიგო ნაწილებიდან ელექტროენერჯის გამომწეშეებად. ეს პრობლემები არაა ძნელი გადასაწყვეტი ეკონომიკური პოლიტიკისათვის, მაგრამ ეს ვერ გადაწყდება საგარეო პოლიტიკის მეშვეობით. საიმპორტო ქეოტა შესაძლებელს ხდის არაეფექტური გადაამრეწველებელი სექტორის გადარჩენას, მაგრამ მის წარმადობას ვერ ამადლებს. ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტი ისაა, რომ ტარიფებისა და ქეოტებისათვის დროებითი თავშესაფრის მიცემით ნაკლებგანვითარებულ ქვეყნების გადაამრეწველებელი მრეწველობა ისწავლის, როგორ გახდეს ეფექტური. პრაქტიკულად, შეიძლება არც ეს არგუმენტი გამოდგეს.

როცა იმპორტის შეცვლამ ვერ მოიტანა დანაპირები მოგება, უკრადლება გადავიდა მრეწველობის მხარდაჭერის პოლიტიკის ხარჯებზე. ამ საკითხთან დაკავშირებულმა უამრავმა ფაქტმა გვინახა, რომ პროტექციონისტულმა პოლიტიკამ ბევრ ნაკლებგანვითარებულ ქვეყანაში ნახსოვნი ინიციატივა. პრობლემა ისიც იყო, რომ ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა ძალიან რთული მეთოდები საკუთარი ახალგაზრდა მრეწველობის ხელშესაწყობად. ე.ი. მათ მიმართეს რთულ ქეოტებს, გაცვლის კონტროლს და ადგილობრივ საგადასახადო წესებს მარტივი ტარიფების ნაცვლად. ხშირად ძნელია გამოიანგარიშო, რა ძალის მფარეულობაა საჭირო სუდამხედველი ორგანოების მხრიდან; გამოკვლევა გვჩვენებს, რომ ხშირად მრეწველობის დაცვის ხარისხი მაღალია, მაგრამ უფრო ცვლადი სხვადასხვა სექტორებში, ვიდრე ამას მოაერობა გეგმავდა. როგორც 10-3 ცხრილიდან ჩანს, ლათინურ ამერიკისა და სამხრეთ აზიაში მრეწველობა დაცული იყო ისეთი რეგულირებით, რაც 200%-იანი და მეტი სატარიფო განაკვეთის ექვივალენტურია. ეფექტური პროტექციონიზმის ეს მაღალი დონე საშუალებას აძლევდა წარმოებას, ვარსება მაშინაც კი, როცა მისი ხარჯი 3-4-ჯერ მეტი იყო იმ იმპორტის ღირებულებაზე, რომელიც მისმა პროდუქციამ შეცვალა. ბაზრის წარუმატებლობის არგუმენტი და პროტექციონიზმის ყველაზე ოპტიმისტური მომხრენიც კი ხელაუდნენ, რომ პროტექციონიზმის დაცვა რთული იყო.

უკრადლება მიიპროს ექსპორტის შესწავლის ტენდენციამ, რომელიც საკმაოდ მცირე მასშტაბით უჭერდა მხარს წარმოებას. გიგანტი განვითარებულ ქვეყნების ადგილობრივი ბაზრებიც კი მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ აშშ-სა და ევროკავშირის ბაზრების მოდელიანი მოცულობისა. ხშირად ქვეყნის მთელი

ადგილობრივი ბაზარიც კი არ არის საკმარისი, რათა დააკმაყოფილოს ეფექტურმაშტაბიანი საწარმოო სიმძლავრეები. როცა პატარა ბაზარი დაცულია, ყოველთა საიმპორტო ქვოტით, მასში ერთი ფირმის საქმიანობა გამოიწვევდა მონოპოლიურ მოგებას. პირიქით კი ხდება – ამ მოგებისათვის ერთმანეთს კონკურენციას უწევს რამდენიმე ფირმა, მიუხედავად იმისა, რომ იქ საკმარისი ადგილი და შესაძლებლობები ერთი ფირმისათვისაც კი არ არის საკმარისი. ამის გამო წარმოების დასასრული ერთობ არაეფექტურია. მცირე ქვეყნებისათვის ამ პრობლემასეუ პასუხი არის პროდუქციის შესლდუელი ნუსხის მიხედვით წარმოებასა და ექსპორტში სპეციალიზაცია და დანარჩენი საქონლის უცხოეთიდან შემოტანა. ასეთი არსეუანი კი გამოირიცხება, თუ იმპორტის შემცველი წარმოების განვითარების საქმეში გარკვეულ ადგილს დაიკაეებს ადგილობრივი ბაზარსეუ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მიმართ ყურადღების გამახვილება.

ცხრილი 10-3. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანებში მრეწველობაში ბაზრის დაცვა (პროცენტებში)

მექსიკა (1960)	26
ფილიპინები (1965)	61
ბრაზილია (1966)	113
ჩილე (1961)	182
პაკისტანი (1963)	271

იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარებას მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ იგი აუარესებს სხვა პრობლემებსაც, როგორცაა შემოსავლის არათანაბრობა და უმუშევრობა.

1980-იანი წლების ბოლოს განვითარებად ქვეყნებში იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების კრიტიკას ფართო ასპარეზი მიეცა არა მარტო ეკონომისტების, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა (მსოფლიო ბანკი) და პოლიტიკის შემქმნელების წრეებშიც. სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც შედარებით თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკას ატარებენ, საშუალოდ უფრო სწრაფად დაწინაურდნენ, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც პროტექციონისტულ პოლიტიკას მიმართავენ. ამ ფაქტმა მიგვიყვანა შესამჩნეე გადახრამდე რეალურ პოლიტიკაში, რადგან ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ შეცვალა საიმპორტო ქვოტა და შეამცირა სატარიფო განაკეუი.

ორმაგი ეკონომიკის პრობლემა

მაშინ, როცა განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა ნაწილობრიე შედეგია მათი ჩამორჩენილობისა მოწინაეე ქვეყნებთან შედარებით, ეს გაუწონასწორებელი განვითარების პროცესიც ქვეყნის შიგნით ამაეე წინაპირობიდან გამომდინარეობს. ხშირად ერთსა და იმაეე ქვეყანაში შედარებით თანამედროეე, კაპიტალიზმისიური, მაღალხელფასიანი სამრეწველო სექტორების გეურდით არსებობს ტრადიციულად ჩამორჩენილი, ძალიან ღარიბი სოფლის მეურნეობა. ერთი ეკონომიკის დაეოფა ორ, განვითარების სხეადასხეა დონეზე მდგომ სექტორად, ეკონომიკური დუალიზმია, ისეუ ეკონომიკას კი, რომელიც ამ უკანასკნელს ჰგავს, ორმაგ ეკონომიკას უწოდებენ.

რა საერთო აქვს დუალიზმს სავაჭრო პოლიტიკასთან? ჯერ ერთი, დუალიზმი შესაძლოა ბაზრების ცუდი მეშაობის ნიშანი იეოს: მეშები დიდად განსხეეებულ ხელფასს ეერ მიიღებენ ეეექტური ეკონომიკის სხეადასხეა სექტორში. ბაზრების ცუდად მეშაობა და წარუმატებლობა იქნება თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრის გამართლება. ეკონომიკური დუალიზმი კი ხშირად გამოიეენება ტარიფების გასამართლებლად, რაც იცავს გადაამაშეეებელი მრეწველობების უფრო ფართო სექტორს.

მეორე მიზეზი, სავაჭრო პოლიტიკას შეიძლება მეტი საერთო ჰქონდეს დუალიზმიან. ცნობილია, იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა და ზოგი ეკონომისტი იმასაც ამტკიცებდა, რომ აღნიშნული პოლიტიკა რეალურად დაეხმარა ორმაგი ეკონომიკის შექმნას ან, სულ მცირე, გააუარესა დუალიზმის ზოგიერთი მხარე.

დუალიზმის ნიშნები

ორმაგი ეკონომიკის ზუსტი განსაზღერა არ ხერხდება, მაგრამ იგი სწორედ იქ ფუნქციონირებს, სადაც არსებობს „თანამედროეე“ სექტორი (რომელიც აწარმოებს იმპორტის კონკურენციისაგან დაცულ გადაამაშეეებელი მრეწველობის საქონელს) – დანარჩენი ეკონომიკისაგან მეეტრად განსხეეებული შემდეგი რამდენიმე ნიშნით:

1. ერთ მეშასე გამოშეების ღირებულება უფრო მაღალია ე.წ. თანამედროეე სექტორში, ვიდრე დანარჩენ ეკონომიკაში. განვითარებელი ქვეყნების უმეტესობის გადაამაშეეებულ სექტორში მეშის მიერ გამოშეებული პროდუქციის ფასი რამდენჯერმე (სოფჯერ 15-ჯერ) მეტია, ვიდრე სოფლის მეურნეობის საქონლისა.
2. გამოშეების მაღალ ღირებულებას თან სდეეს ერთ მეშასე ხელფასის მაღალი განაკეუი. მრეწველობაში

დასაქმებულნი 10-ჯერ მეტს გამოიმუშავენ სოფლის მეურნეობის მუშაკებთან შედარებით (თუმცა სამრეწველო მუშების ხელფასებიც განსხვავებულია - ჩრდილო ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის მუშებთან შედარებით სხვაგან იგი უფრო დაბალია).

3. მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებელ სექტორში ხელფასები მაღალია, აუცილებელი არ არის, კაპიტალზე მოგებაც მაღალი იყოს. ფაქტობრივად, ხშირად ხდება, რომ კაპიტალს ახლავს უფრო დაბალი მოგება სამრეწველო სექტორში.
4. ერთ მიუზისე გამოშვების მაღალი ღირებულება თანამედროვე სექტორში ნაწილობრივ გამოწვეულია წარმოების მაღალი კაპიტალიზაციით, რაც განვითარებადი ქვეყნების გადამამუშავებელ მრეწველობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მეურნეობაში (ეს არ ეხება განვითარებულ ქვეყნებს, სადაც სოფლის მეურნეობა საკვებით კაპიტალიზაციისთვის უფრო განვითარებულია). განვითარებადი სოფლის მეურნეობის მუშაკები ხშირად პრიმიტიული იარაღებით შრომობენ მაშინ, როცა მრეწველობის საწარმოო საშუალებები დიდად არ განსხვავდება მოწინავე ქვეყნების სიმსლავრეებისაგან.
5. ბევრ განვითარებადი ქვეყანას უმუშევრობის მუდმივი პრობლემა აქვს. განსაკუთრებით, ქალაქში ბევრი აღამიანია დარჩენილი სამუშაოს გარეშე ან მუშაობს შემთხვევით ადგილზე დაბალი ანაზღაურებით. ქალაქის ეს უმუშევართა ფენა თანაარსებობს ქალაქშივე შედარებით კარგად ანაზღაურებადი სამრეწველო დარგის მუშების გვერდით.

საკითხის შესწავლისათვის

ეკონომიკური დუალიზმი ინდოეთში

ინდოეთის ეკონომიკა დუალიზმის კლასიკური მაგალითია. 700 მლნ. მეტი მოსახლეობიდან 6 მლნ. მუშაობს გადამამუშავებელ მრეწველობაში და აწარმოებს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 15%-ს და 6-ჯერ მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე სოფლის მეურნეობის მუშები. მართლაც, ბოლო 30 წლის განმავლობაში გადამამუშავებელი მრეწველობის სამუშაო ძალის კაპიტალში იარაღებაზე ინვესტიცია უფრო დიდი იყო, ვიდრე სოფლის მეურნეობაში.

ეს მკვეთრი განსხვავება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დროთა განმავლობაში გადრმავედა - 1960 წლიდან მრეწველობის მუშების ხელფასი 80%-ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის მუშებისა მხოლოდ 5%-ით.

რა ქმნის ასეთ დიდ განსხვავებას მათ შორის? როგორც ჩანს, დიდ როლს მათავერობო პოლიტიკა თამაშობს. ინდოეთში მთავრობის სუბსიდებმა და პროტექციონისტულმა პოლიტიკამ წახალისა ინვესტიციები გადამამუშავებელ მრეწველობაში, კერძოდ, კაპიტალიზაციის სექტორებში. იმავე დროს, მუშების ინტერესების დამცველი შრომის კანონები დაეხმარა პროფკავშირებს, მომრიგებლის პოზიცია დაეკავებინა. ამან შესაძლებლობა მისცა მუშებს, მათთვის გაეზარდათ ხელფასები. თუმცა იქ უამრავი ადამიანი უფრო დაბალი ხელფასითაც იმუშაებდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების ადრეულ პერიოდში ეკონომიკური დაგეგმვისას ინდოეთი იმედოვნებდა, რომ გადამამუშავებელი სექტორი ბოლოს და ბოლოს გაიზრდებოდა და შთანთქმავდა ტრადიციულ ეკონომიკას, მაგრამ 1960-80-იან წლებში იქ დასაქმება გაიზარდა მხოლოდ 3%-იანი წლიური განაკვეთით და არც ისე სწრაფად, როგორც ქვეყნის მოსახლეობა.

1990-იანი წლების დასაწყისში ინდოეთმა დაიწყო ეკონომიკური რეფორმებისაკენ სვლა. მოიხსნა ეაჭრობისა და უცხოური ინვესტიციის რამდენიმე ბარიერი, მაგრამ მაინც არ გამოიკვეთა - ამით მიღწეულ იქნა თუ არა კონსენსუსი პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებაში. ნაციონალისტური ოპოზიცია უცხოური ინვესტიციის მიმართ იკვირ მოწინააღმდეგედ დარჩა. 1995 წლის განმავლობაში ადგილობრივი მთავრობები ინდოეთის რამდენიმე შტატში მოქმედებდნენ უცხოური კორპორაციის წინააღმდეგ, რაც ძირს უთხრიდა ცენტრალური ხელისუფლების ცდას, წახალისებინა ინვესტიცია. ინდოეთის ერთმა შტატმა უცებ შეწყვიტა თანამშრომლობა ამერიკულ ფირმასთან „ენრონთან“ ენერჯეტიკის განვითარების თაობაზე და უარსაც ამბობდა, გადაეხადა დიდი თანხა, რაც კონტრაქტით ემართა. ერთმა ადგილობრივმა მთავრობამ დახურა „ენტეის“ ქათმის ხორცის გადამამუშავებელი ფირმა, რომლის არაპიგიენურობას ყველა მიმომხილველი აღნიშნავდა.

სამუშაო ძალის ბაზრის ორმაგი რეჟიმი და სავაჭრო პოლიტიკა


დუალიზმის ნიშნები ბევრ ქვეყანაში სახეზეა და ცუდად მომუშავე ეკონომიკის ნიშნებიც იხენს ხოლმე თავს, განსაკუთრებით სამუშაო ძალის ბაზრებში. ამ ნიშნების შესახებ სავაჭრო პოლიტიკის დასკვნები დიდ კამათს იწვევს ეკონომიკური განვითარების შესწავლელო შორის.

1950-იან წლებში ბევრი ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ხელფასების სხვაობა უსრუენელებოდა მეორე გამართლებას (ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის გარდა) მრეწველობის წახალისებას სოფლის მეურნეობის ხარჯზე. ეს აზრი ცნობილია, როგორც **ხელფასის სხვაობის არგუმენტი** (ხელფასის დიფერენციალური განაკვეთის არგუმენტი) და შეხადლოა დადგინდეს ბაზრის წარუმატებლობის დონით. მუშა მრეწველობაში მეტ ხელფასს მიიღებს, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. როცა სამრეწველო ფირმა გადაწყვეტს, დაიქირაოს დამატებითი მუშა, მაშინ იქმნება 'სღვრული სასოგადოებრივი სარგებელი' - რადგან მუშა სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში გადასვლით ნახელობს მოგებას ხელფასით. რა მოხდებოდა ხელფასების სხვაობის გარეშე? როცა მუშა გულგრილი დარჩებოდა, იმეზავებდა მრეწველობაში თუ სოფლის მეურნეობაში, ადარც მუშის დაქირავების თანხილები 'სღვრული სასოგადოებრივი სარგებელი' იქნებოდა, თუ არ ნაკეთვით დაიქირავებელი ფირმის მიერ მიღებულ მოგებას.

ხელფასების სხვაობის ეფექტები ეკონომიკაში სამუშაო ძალის განთავსებაზე შეიძლება გინეცნოთ მე-3 თავში წარმოდგენილი **სპეციფიკური ფაქტორების მოდელით**. დაეუშვათ, ეკონომიკა აწარმოებს მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობის საქონელსა და საკვებს. სამრეწველო საქონელი იწარმოება სამუშაო ძალისა და კაპიტალის გამოყენებით; საკვები კი - სამუშაო ძალისა და მიწის. შემდეგ, რესურსების განთავსება ასუონაირად გამოისახება (გრაფიკი 10-1). ვერტიკალურ ღერძზე აღინიშნება ხელფასის განაკვეთი და 'სღვრული პროდუქტი'; პორისონტალურ ღერძზე - დასაქმება. მრეწველობაში დასაქმება გაიზომება პორისონტალურ ხაზზე მარცხნივ O_M -ით, საკვების წარმოებაში დასაქმება - მარჯვნივ O_F -ით. MPL_M არის სამუშაო ძალის 'სღვრული პროდუქტი მრეწველობაში, MPL_F - საკვების მრეწველობაში; P_M არის სამრეწველო ნაწარმის ფასი, P_F - საკვების ფასი. ამგვარად, ორი მრუდის გადაკვეთა თითოეულ სექტორში დამატებითი მუშის 'სღვრული პროდუქტის ღირებულების' წერტილი იქნება.

ხელფასები განსხვავებულია და გადამამუშავებელი მრეწველობის მეშუებს მეტს უხდიან, ვიდრე საკვების მრეწველობაში დასაქმებულებს; გრაფიკში ამ უკანასკნელთა ხელფასი არის, დაეუშვათ, W_M . საკვებში - W_F . დაიქირავებლები თითოეულ სექტორში მეშუებს დაიქირავებენ მანამდე, სანამ მუშის 'სღვრული პროდუქტი' არ გაუქვორდება მის ხელფასს; ამგვარად, გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმება აღინიშნება $O_M L^1$ მრუდზე წერტილი (B), ხოლო საკვების მრეწველობაში - $L^1 O_F$ მრუდზე წერტილი (C).

გრაფიკი 10-1. ხელფასების სხვაობის ეფექტი



თუ გადამამუშავებელმა მრეწველობამ უნდა გადაუხადოს უფრო მაღალი ხელფასი ვიდრე საკვებისამ, პირველში ნაკლები მუშახელი იქნება გამოყენებული, მეორეში კი მეტი, რომელიც აისახება გამოშვების ნაკლებობაში, რომელიც უღრის ABC სამკუთხედს.

თუ ეკონომიკა შეიძლება გადაკვეთა ერთი მუშა საკვებიდან გადამამუშავებელ მრეწველობაში, მაშინ ამ უკანასკნელის გამოშვება გაიზრდებოდა, საკვებისა კი - შემცირდებოდა. გამოშვების დამატებითი ღირებულება იქნებოდა ხელფასის განაკვეთი გადამამუშავებელ მრეწველობაში W_M მაშინ, როცა საკვების გამოშვების შემცირების ღირებულება იქნებოდა უფრო დაბალი ხელფასის განაკვეთი W_F . მრეწველობის გამოშვების მთლიანი ღირებულება გაიზრდება W_M -დან W_F -მდე. ის ფაქტი, რომ გამოშვების ღირებულება შესადლოა გაიზარდოს საკვების მრეწველობიდან გადამამუშავებელ მრეწველობაში სამუშაო ძალის გადაკვეთით, გვიხვენებს, რომ ეკონომიკა განათავსებს ძალიან ცოტა სამუშაო ძალას გადამამუშავებელ მრეწველობაში. ეფექტური ეკონომიკა გაათანაბრებს სამუშაო ძალის 'სღვრულ პროდუქტს' ორივე სექტორში, რაც მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ $O_M L^1$ მუშა დასაქმება გადამამუშავებელ მრეწველობაში, $L^1 O_F$ კი - საკვებში (წერტილი A). (სამუშაო ძალის ეფექტური განთავსებით მიღწეული გამოშვების 'ზრდა ტილი იქნებოდა ABC სამკუთხედისა გრაფიკში).

ხელფასის სხვაობის პირობებში ბაზრები არასწორად განათავსებენ სამუშაო ძალას, ფირმები მრეწველობის სექტორში დაიქირავებენ ძალიან ცოტა მუშას. სამთავრობო პოლიტიკამ, რომელიც აისვენებს მათ, დაიქირაონ მეტი მუშახელი, შესადლოა ქვეყნის კეთილდღეობა აამაღლოს.

ჩვეულებრივ, საჯარო პოლიტიკა არ არის „პირველი საუკეთესო“ გადამამუშავებელი მრეწველობის დასაქმების გასაფართოებლად. იდეალურ შემთხვევაში, სამთავრობო პოლიტიკამ პირდაპირ მისხდა დასაქმება უნდა დასახოს ხელფასის სხვაობის გაქვრებით ან ფირმების დაფინანსებით მეტი მუშახელის დასაქირავებლად. გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტის დაფინანსება კარგი არ არის, რადგან იგი აქვსებს კაპიტალსა და სამუშაო ძალას

გადამამუშავებელ მრეწველობაში გადასასვლელად, რის გამოც კაპიტალი ვერ იღებს დიდ მოგებას ამ მრეწველობიდან. ტარიფი ან საიმპორტო ქვოტა უფრო ცუდია, რადგან ისიც ამახინჯებს მოგებას. მაგრამ როგორც „მეორე საუკეთესო“ ალტერნატივა (ან უფრო ზუსტად „მესამე საუკეთესო“), ანუ ტარიფი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. შესაძლოა, გამართლებულ იქნას ხელფასის სხვაობის არგუმენტი.

1950-60-იან წლებში ეს სავსებით დამაჯერებელი არგუმენტი იყო. 1970-იან წლებში ეკონომისტებმა ჯონ ჰარისმა და მიიკლ ტოდარომ შემოგვთავაზეს განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ძალის ბაზრების გამანადგურებელი ინტერპრეტაცია. ისინი აღნიშნავენ სოფელსა და ქალაქს შორის მიგრაციის კავშირს უმუშევრობასთან, რაც ძირს უთხრიდა გადამამუშავებელი მრეწველობის დასაქმების ხელშეწყობის საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ აქ უფრო მაღალ ხელფასს სთავაზობდნენ.

ჰარისმა და ტოდარომ დაიწყეს იმის მიმოხილვით, რომ დუალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების ქალაქები დიდი უმუშევრობით გამოირჩეოდნენ. შესაძლოა ვინმეს მიანდეს, რომ ეს უმუშევრობა გააძლიერებდა მეტი სამუშაო ადგილის შექმნის მოთხოვნას ქალაქად გადამამუშავებელ მრეწველობაში, ეს ასე არ მოხდა. მაგრამ, როგორც ისინი მიუთითებდნენ, ამ უმუშევრობის მიუხედავად, მიგრაცია სოფლიდან ქალაქისაკენ მაინც გრძელდებოდა. ჰარისი და ტოდარი ასკენიდნენ, რომ სოფლის მეურნეობის მიხედვით ქალაქად ჩადიოდნენ და იქ მანამდე იქნებოდნენ უმუშევრად, ეიდრე მაღალანაზღაურებად ადგილს არ იშოვნიდნენ მრეწველობაში. სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა კი დამოკიდებულია სამუშაო ადგილთა ოდენობაზე.

ჰარის-ტოდაროს მოდელის მიხედვით, გადამამუშავებელ მრეწველობაში სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა გამოიწვევს სოფლიდან ქალაქში ისეთ დიდ მიგრაციას, რომ ქალაქად უმუშევრობა გაიზრდება. როცა გადამამუშავებელი სექტორი ქირობს დამატებით სამუშაო ძალას, შესაძლოა რამდენიმე მუშამ კვლავ მიატოვოს სოფლის მეურნეობა ქალაქად უმუშევართა რიგების შესავსებად. იბლნიანი მუშა მოიგებს, მისი ხელფასიდან მოგება დიდი იქნება ახალი უმუშევრების ხელფასის დანაკარგების ხარჯზე. ამიტომ გადამამუშავებელ მრეწველობაში დამატებითი დასაქმებიდან ნავარაუდები საზოგადოებრივი სარგებელი დაიკარგება.

ახლა გაზრდა მრეწველობის არგუმენტის მსგავსად, ხელფასის სხვაობის დაცვის არგუმენტიც ეკონომისტებში მხარდაჭერით არ სარგებლობს. ეს ნაწილობრივ ისეთი პირობების გამოა, რასაც ჰარისი და ტოდარი განიხილდნენ და ნაწილობრივ კი იმპორტის შემცველი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული განხეთქილების შედეგად. რეალურად სავაჭრო პოლიტიკას, მიღებულს ეკონომიკური დუალიზმის საპასუხოდ, ახლა ბრალად ედება ამ დუალიზმის გაუარესება.

სავაჭრო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური დუალიზმის მიზეზი

სავაჭრო პოლიტიკა ორმხრივად იყო დადანაშაულებული: მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ხელფასების სხვაობის გაფართოებისა და გადაჭარბებული კაპიტალიზმის წახალისების გამო.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ხელფასების სხვაობის მიზეზი ბოლომდე არაა გაგებელი. 'სოფი ეკონომისტი თელის, რომ ეს სხვაობა ბაზრის ბუნებრივი რეაქციაა. ფირმები, არგუმენტიდან გამომდინარე, მეშებს სთავაზობენ მაღალ ხელფასებს დაბალი დენადობისა და სამუშაოს დიდი მოცულობის საგარანტიოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არიან შეწყველი სამრეწველო საქმიანობის დისციპლინას. სხვა ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ხელფასების სხვაობა აგრეთვე ასახავს პროფკავშირების მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომელთა მრეწველობა უცხოური კონკურენციისაგან დაცულია საიმპორტო ქვოტებით. ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ვაჭრობით ხელფასები მრეწველობაში უფრო დაბალი იქნება და სოფლის მეურნეობაში უფრო მაღალი. თუ ასე მოხდა, დუალიზმი და უმუშევრობა შეიძლება გაუარესდეს იმპორტის შესღწევით, განსაკუთრებით იმით, რაც მოხდა იმპორტის შემცველის სახელით.

გადამამუშავებელი მრეწველობის გადაჭარბებული კაპიტალიზმის ნაწილობრივ გამოწვეულია შედარებით ნაკლები ხელფასებით, რაც სტიმულს აძლევს ფირმებს შეცვალონ შრომა კაპიტალით. რამდენადაც სავაჭრო შესღწევები პასუხს აგებენ მაღალ ხელფასებზე, ამდენად დამნაშავენი ისინი არიან. 'სოფ ქვეყანაში კონტროლირებადი საბანკო სისტემა რეალურად უზრუნველყოფს დაფინანსებულ კრედიტს სამრეწველო ფირმებისათვის და კაპიტალის სამუშაო ძალით შეცვლას უფრო აიაფებს. პირდაპირი გზა გადის იმპორტის შერჩევით კონტროლზე. ბევრ შემთხვევაში წარმოების საშუალებების იმპორტი ტარიფების ან სხვა შესღწევების გარეშე ხდება და ზოგჯერ (დე ფაქტო) იმპორტის დაფინანსებითაც. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს კაპიტალიზმის ტექნიკის გამოყენებას.

ემსკორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარება: ალმოსავლეთ აზიის სასწავლო

როგორც აღრე აღენიშნეთ, 1950-60-იან წლებში სჯეროდათ, რომ განვითარებად ქვეყნებს შეეძლოთ შექმნათ სამრეწველო ბაზა მხოლოდ ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმით იმპორტის შეცვლის

შემთხვევაში. 1960-იანი წლებიდან ნათელი გახდა, რომ მრეწველობის განვითარების სხვა გზაც არსებობდა: სამრეწველო საქონლის ექსპორტით უშუალოდ მოწინავე ქვეყნებში. უფრო მეტიც, ქვეყნებმა, რომლებიც ასეთნაირად განვითარდნენ (ჯაპუვი, რომელსაც მსოფლიო ბანკი მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკას მიაკუთვნებს), მიადწიეს ეფექტურ ეკონომიკურ წარმატებას, სოგჯერ 10%-ზე მეტს წლიურად.

სანამ მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკის მიღწევები ეჭვგარეშეა და სანამ არ დაისმება კითხვა: მათი წარმატება უარყოფს თუ არა წინა სენტენციას, რომ სამრეწველო განვითარება უნდა მოხდეს იმპორტის "შეცვლით, მანამდე მთავარ სადაო საკითხად რჩება აღმოსავლეთ აზიის „სასწაულის“ მნიშვნელობა. კერძოდ, სხვადასხვა მიმოხილველი სხვადასხვა ინტერპრეტაციას უკეთებს ეკონომიკის განვითარების საქმეში სამთავრობო პოლიტიკას, სავაჭრო პოლიტიკის ჩათვლით. სოგის აზრით, აზიის ეკონომიკის წარმატება გეინვენებს "შედარებით თავისუფალი ვაჭრობისა და მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკის უპირატესობას; მყორეთა აზრით კი, იგი ნათელყოფს მთავრობის გამოცდილი ჩარევის ეფექტურობას. სხვებს სწამთ, რომ ვაჭრობა და სამრეწველო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აზიის განვითარების ფაქტები

მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკის განსაზღვრაში მსოფლიო-ბანკი მოიხსენიებს ქვეყნების სამ ჯგუფს, რომელთა „სასწაული“ სხვადასხვა დროს დაიწყო. ჯერ იაპონიაში ეკონომიკის სწრაფი განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე სახეზე იყო. ახლა მისი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აშშ-სა და ევროპისას უტოლდება; იაპონიის გამოცდილებას მე-11 თავში განვიხილავთ, სადაც საუბარია განვითარებულ ქვეყნებში ვაჭრობისა და სამრეწველო პოლიტიკაზე. 1960-იან წლებში აზიის ოთხ პატარა ქვეყანაში (ჰონგ-კონგი, ტაივანი, სამხრეთ კორეა და სინგაპური) დაიწყო სწრაფი ეკონომიკური წინსვლა – თითოეულ მათგანს უწოდეს „ეფუხევი“. 1970-80 წლებში სწრაფი განვითარების გზას დაადგენ მაღაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და, განსაკუთრებით, ჩინეთი.

თითოეულმა ჯგუფმა მიადწია განვითარების მაღალ დონეს: „ეფუხეების“ ეკონომიკაში, 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან რეალური მშპ გაიზარდა საშუალოდ 8-9%-ით, აშშ-სა და დასავლეთ ევროპის 2-3%-თან შედარებით. განვითარების უახლესი დონე აზიის სხვა ქვეყნების ეკონომიკაში მაღალი იყო და ჩინეთმა აჩვენა 10%-ანი სრდის ტემპი (თუმცა ჩინეთის სტატისტიკური მონაცემების სიზუსტე საეჭვოა).

განვითარების მაღალი ტემპის გარდა, მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკას სხვა განმასხვავებელი ნიშანიც აქვს: ის დიახ საერთაშორისო ვაჭრობისათვის. რეალურად, სწრაფად მზარდი აზიის ეკონომიკა უფრო ექსპორტზეა ორიენტირებული, ვიდრე სხვა ქვეყნებისა, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკისა და სამხრეთ აზიისა. 10-2 ცხრილი გეინვენებს ექსპორტს, როგორც მაღალი მწარმოებლურობის რამდენიმე აზიური ეკონომიკის მშპ-ს ნაწილს; ციფრები საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით სინგაპურისა და ჰონგ-კონგისა აჭარბებს მშპ-ს 100%-ს. როგორაა ეს შესაძლებელი? მშპ წარმოადგენს ეკონომიკის მხრიდან დამატებით ღირებულებას და არა მთლიან რეალიზაციას. მაგალითად, როცა სამკერვალო მრეწველობა ჰონგ-კონგში სხვაგან დამზადებულ ქსოვილს კოსტუმად აწყობს, მშპ-ზე დამატება არის მხოლოდ სხვაობა ქსოვილის ფასსა და კოსტუმის ღირებულებას შორის და არა კოსტუმის მთლიანი ფასი. მაგრამ, თუ კოსტუმი ექსპორტირებულია, მისი მთლიანი ფასი ითვლება მთლიანი ექსპორტის ნაწილად. რადგან თანამედროვე გადამამუშავებელი მრეწველობა შედგება ღირებულების შედარებით მცირე რაოდენობის დამატებით იმპორტის დანახარჯებზე, ექსპორტი ადვილად გადააჭარბებს ქვეყნის მთლიან გამოშვებას.

უჭველია ის ფაქტი, რომ აზიის ეკონომიკის ჯგუფმა მიადწია განვითარების მაღალ ტემპს და რომ მათ ეს შესძლეს იმ პროცესის მეშვეობით, რაც იწვევს ექსპორტის სწრაფ აღმავლობას, ვიდრე ადგილობრივი წარმოების იმპორტით შეცვლა. მაგრამ რას გვეუბნება მათი გამოცდილება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ?

სავაჭრო პოლიტიკა მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკაში

სოგმა ეკონომისტმა სცადა აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის წარმატება „გარე ორიენტირებული“ სავაჭრო პოლიტიკისთვის მიეწერა. ამ აზრით, ექსპორტისა და იმპორტის მაღალი კოეფიციენტი აზიის ქვეყნების მშპ-ში არის სავაჭრო პოლიტიკის შედეგი (მაშინ, როცა ისინი შესაძლოა არ შეესატყვისებოდნენ თავისუფალ ვაჭრობას), რაც ვაჭრობას უფრო თავისუფალს ხდის, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც წინსვლას ცდილობდნენ ადგილობრივი წარმოებით იმპორტის შეცვლის გზით. განვითარების მაღალი ტემპები არის შედარებით ღია ვაჭრობის რეჟიმის მოგება.

სამწუხაროდ, ამ ამბის სარწმუნოება არ არის ისე ძლიერი, როგორც ეს მის დამცველებს ეგონათ. ჯერ ერთი, ნათელი არაა, რეალურად რა დონით მიეკუთვნება თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკას ვაჭრობის მაღალი კოეფიციენტი მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკაში. ჰონგ-კონგის გარდა რეალურად მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკას არაფერი აქონდა საერთო თავისუფალ ვაჭრობასთან; ყველა

დანარჩენს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ტარიფი, საიმპორტო ქვოტა, საექსპორტო სუბსიდიები და სხვა პოლიტიკა, რომელიც მათ ვაჭრობას მართავს. ატარებს თუ არა მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკა ისეთ პოლიტიკას, რომელიც უფრო ახლოა თავისუფალ ვაჭრობასთან, ვიდრე სხვა განვითარებადი ქვეყნებისა? შესაძლოა, თუმცა იმ საევატრო პოლიტიკის სიმძიმე, რომელსაც ატარებენ განვითარებადი ქვეყნები საერთოდ, ამგვარ შედარებას ძალიან ართულებს. 10-4 ცხრილი გვიჩვენებს მსოფლიო ბანკის მონაცემებს, სადაც შედარებულია ბაზრის დაკეის საშუალო დონე განვითარებადი ქვეყნების რამდენიმე ჯგუფისათვის: მონაცემები გვიჩვენებს, რომ მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკა უფრო ნაკლებ პროტექციონისტული იყო, ვიდრე სხვა ნაკლებ წარმატებულად განვითარებადი ქვეყნები. თუმცა ისინი მისდევდნენ მოლიანდ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას.

მაშინ, როცა საევატრო პოლიტიკა ხელს უწყობდა მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკის გახსნილობას, ეკონომიკის ბევრი მცოდნე ფიქრობდა, რომ მაღალი საევატრო კოეფიციენტი უმეტესად არის შედეგი მათი ეკონომიკური წარმატებისა. მაგალითად, ტაილანდის ექსპორტიცა და იმპორტიც ბოლო წლებში ძალიან გაიზარდა. რატომ? იმიტომ, რომ ქვეყანა გაღაიქვა ხელსაყრელ ადგილად მრავალეროვნული კომპანიებისათვის. ეს კომპანიები პირდაპირ წარმოშობდნენ ახალი ექსპორტის უმეტესობას და მათი ნედლეულის იმპორტიც აიხსნება საერთოდ აზიაში იმპორტის დიდი აღმავლობით; დანარჩენი აიხსნება ტაილანდის მოსახლეობის მსარდი შემოსავლით. ამგვარად, ტაილანდს გააჩნია დიდი ექსპორტი და იმპორტი, რადგან ის სხვებთან შედარებით გარკვეულად ართმევს თავს საქმეს.

ეს დასკვნა ნიშნავს, რომ სანამ არსებობს კორელაცია ექსპორტის სწრაფ ზრდასა და მოლინ ეკონომიკურ განვითარებას შორის, ეს კორელაცია არ მიუთითებდეს იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა ასეთი განვითარების მთავარი მიზეზია. მაგრამ ბევრი ეკონომისტი ფიქრობს, რომ როცა პროტექციონიზმის შედარებით დაბალი დონე დაეხმარა ამ მაღალი მწარმოებლურობის აზიურ ეკონომიკას მათ სწრაფ განვითარებაში, ეს მხოლოდ ნაწილობრივი ახსნაა ამ „სასაწაულისა“.

ცხრილი 10-4 პროტექციონიზმის საერთო დონე 1985 (პროცენტებში)

მაღალგანვითარებული აზიური ეკონომიკა	24
აზიის დანარჩენი ქვეყნები	42
სამხრეთ ამერია	46
სუბსაჰარის აფრია	34

ჩინეთის ბუმი

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი, 12 მლრდ მოსახლეობით, მსოფლიოს ყველაზე მეტად დასახლებული ტერიტორიაა, იგი ძალიან პატარა როლს თამაშობდა მსოფლიო ეკონომიკაში. 1949-78 წლებში ქვეყნის კომუნისტურმა რეჟიმმა იგი მსოფლიო ვაჭრობას ჩამოაშორა. აკრძალული იყო არა მხოლოდ კერძო წარმოება, არამედ ცალკეული წარმატებული საქმეც კი საევატო ხდებოდა, განსაკუთრებით კულტურული რეპოლუციის წლებში (1968-72 წწ.), როცა ბევრი მენეჯერი სახელმწიფო დაწესებულების მუშაკი, მასწავლებელი და სხვა თქულებული იყვნენ, მიეტოვებინათ სამსახური და სოფლად გადასულიყვნენ.

1978 წელს ჩინეთის პოლიტიკამ უახლოვარი შემობრუნება განიცადა. განაცხადა რა, რომ „გამდიდრება ღიდეზულია“, კომუნისტურმა პარტიამ კარი გაუღო ადგილობრივ კერძო წარმოებას და საგარეო ვაჭრობასაც. შედეგები განსაცვიფრებელი იყო. 1978 წლიდან ჩინეთის ეკონომიკამ მიაღწია განვითარების ტემპის საშუალო წლიურ 10%-ს. სოციალური შეფასებით, ჩინეთი უკვე გახდა მსოფლიოს მეორე დიდი ეკონომიკა აშშ-ს შემდეგ. თუმცა ჩინეთი ჯერ კიდევ იაპონიაზე ღარიბია, მის მოსახლეობას, რომელიც 10-ჯერ მეტია, შეუძლია პქონდეს იაპონიის სულ მოსახლეზე შემოსავლის ერთ მეათედზე მეტი.

როგორ მიაღწია ამას ჩინეთმა? ბოლიდროინდელი გამოკვლევები ამ კითხვას უამრავ პასუხს იძლევა. ჩინეთის განვითარების ახსნისას ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ ეს უჩვეულო მოუღენაა და განვითარების უმეტესი ნაწილი სტატისტიკური ილუზიაა. არსებობს დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჩინეთის სტატისტიკა რეალური ინფლაციის მანიქენებლებს სუადმეტად ამცირებს, რეალურ განვითარების მანიქენებლებს კი გადაჭარბებით სრდის; სრდის რეალური ტემპი სულ მცირე 2%-ით ნაკლებია ოფიციალურ მონაცემზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, სრდის წლიური მანიქენებელი 7%-ია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთში ძალიან მაღალია დანახოვის ნორმა (დაახლოებით მშპ-ს 10%), რამაც სწრაფად გაზარდა სააქციო კაპიტალი. ეს კთანხმება გამოცდილებას სხვა მაღალი მწარმოებლურობის აზიური ეკონომიკისას, რომელიც სწრაფად განვითარდა უმეტესწილად დანახარჯების სწრაფი დაგროვებით.

და ბოლოს, მკვლევარნი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის ეკონომიკა ამჟამად დეკალიზმის ძალიან სერიოზული პრობლემის შესწორების პროცესშია. ჩინეთის 1978 წლამდე არსებულმა პოლიტიკამ უარი ათქვეყნა მუშებს, გადასულიყვნენ ქალაქში სამრეწველო სამუშაოებზე, და იმავე დროს ხელი შეუშალა

სოფლის მეურნეობის სექტორს არამწარმოებლური სამუშაო ძალის თავიდან მოშორებაში. მუშის ზღვრული პროდუქტი ფერმერულ სექტორში ძალიან დაბალი იყო ქალაქთან შედარებით. ეკონომიკის ლიბერალიზაციის გამო ბევრი მუშა წავიდა სოფლის მეურნეობიდან. ამან ნაკლებად იმოქმედა ფერმერულ გამოშვებაზე, რადგან ეს სექტორი ნებისმიერ შემთხვევაში ფლობდა დიდად ჭარბ სამუშაო ძალას, მაგრამ დაეხმარა გადაამაშუშავებელი მრეწველობის ეფექტურ გაფართოებას.

შეუძლია თუ არა ჩინეთს, განაგრძოს ასე სწრაფად ზრდა? ალბათ, არა! ფერმერულ სექტორში იწყება ჭარბი სამუშაო ძალის შემცირება და მაღალი საინვესტიციო განაკვეთები მოსალოდნელია შემცირებად შემოსავალში გადაიზარდოს. არსებობს კიდევ ბევრი სერიოზული პრობლემა, თუნდაც სახელმწიფო სექტორის გამუდმებული არამწარმოებლობა და სამთავრობო კორუფცია.

მაგრამ ჩინეთს, თავისი მოსახლეობის სიმრავლით, არ სჭირდება მოწინავე ქვეყნებით იყოს ისეთი მწარმოებლური, რომ გადაიქცეს მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკად. ჩინეთს სჭირდება, მიაღწიოს ამერიკის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მხოლოდ ერთ მეხუთედს, რათა მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკად გადაიქცეს.

სამრეწველო პოლიტიკა მაღალი მწარმოებლობის აზიურ ეკონომიკაში

ზოგიერთი მიმომხილველი დარწმუნებულია, რომ ჩინეთის წარმატება, რომელიც შორსაა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის ეფექტურობის დემონსტრაციისაგან, სინამდვილეში წარმოადგენს გართულებული ინტერვენციონიზმის კომპრომისს. ეს რეალურად ის შემთხვევაა, როცა დიდი წარმატების მქონე რამდენიმე ეკონომიკა ერთობლივად ატარებდა ისეთ პოლიტიკას, რაც ხელს უწყობდა ზოგიერთ მრეწველობას; ასეთი სამრეწველო პოლიტიკა შეიცავდა არა მარტო ტარიფებს, იმპორტის შეზღუდვებსა და ექსპორტის დაფინანსებას, არამედ მეტ რთულ პოლიტიკას, როგორცაა დაბალპროცენტიანი სესხები და მთავრობის მხარდაჭერა კვლევასა და განვითარებაში.

სამრეწველო პოლიტიკის შეფასება, საერთოდ, ძალიან რთულია. ამ საკითხს განვიხილავთ მე-11 თავში. აქ უბრალოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომისტთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებდა ასეთი პოლიტიკის მნიშვნელობას, სულ მცირე, სამი მიზეზის გამო:

პირველი, მაღალი მწარმოებლობის აზიური ეკონომიკები სხვადასხვა პოლიტიკას ატარებდნენ, დაწყებული სინგაპურის ეკონომიკიდან, რომელიც მთავრობის მითითებებს პირვინდად ასრულებდა, კონგ-კონგის ხელისუფლების ჩაურევლობის პოლიტიკით დამთავრებული. სამხრეთ კორეამ მხარი დაუჭირა ძალიან დიდი სამრეწველო ფირმების პამოყალიბებას; ტაივანის ეკონომიკაზე კვლავ გაბატონებულია მცირე ოჯახური კომპანიები. ამ ეკონომიკებმა მაინც მიაღწიეს განვითარების ერთნაირ მაღალ ტემპებს.

მეორე, სამრეწველო პოლიტიკის მხარდამჭერი შესამჩნევი რეკლამის მიუხედავად, მისი რეალური შედეგი სამრეწველო პროდუქციაზე შესაძლოა დიდი არც ყოფილიყო. როცა აზიის სასწავლს სწავლობდა, მსოფლიო ბანკმა აღმოაჩინა ძალიან ცოტა სარწმუნო საბუთი იმისა, რომ ქვეყნები, განსაკუთრებით სამრეწველო პოლიტიკით, გადავიდნენ გამოსწავლ მრეწველობაზე უფრო სწრაფად, კიდრე ისინი, ვისაც ეს პოლიტიკა არ გააჩნდათ;

და ბოლოს, არსებობდა სამრეწველო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ჩავარდნა განვითარებულ ეკონომიკაშიც კი. მაგალითად, 1973-79 წლებში სამხრეთ კორეა ატარებდა პოლიტიკას, რომელიც მხარს უჭერდა მძიმე და ქიმიურ მრეწველობას (ფოლადის, მანქანების, ქიმიკატების და ა. შ.). ეს პოლიტიკა ძალიან ძვირადღირებული და ნაადრევი იყო, ამიტომაც მიატოვეს.

მთავარია ის, რომ სამრეწველო პოლიტიკა არ იყო ძირითადი მამოძრავებელი ძალა აზიური წარმატებისა. კამათი გრძელდება და სამრეწველო პოლიტიკის შედეგების შეფასების ცდა კვლევის მთავარ საგნად რჩება.

ბანკითარების სხვა ფაქტორები

ბოლო წლებში რამდენიმე მკვლევარს მიანდა, რომ აზიის ქვეყნების განვითარებაში მთელი ყურადღება ევაჭრობასა და სამრეწველო პოლიტიკაზე არასწორად იყო მიპყრობილი. ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო ვაჭრობა და სამრეწველო პოლიტიკა მხოლოდ ნაწილია ნებისმიერი პოლიტიკისა, თუნდაც ისეთისა, როგორცაა ქვეყნის შემოსავალში ექსპორტის ძალიან მაღალი კოეფიციენტი.

და ფაქტობრივად, სწრაფად მზარდი აზიური ეკონომიკა გამოირჩევა უფრო სხვა ნიშნით, ვიდრე თავიანთი მაღალი სავაჭრო წილით. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ამ ეკონომიკას დანახოვის ძალიან მაღალი ნორმა გააჩნია, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ დააფინანსონ ძალიან ძვირადღირებული ინვესტიცია (კაპიტალდაბანდების ზრდის ტემპი). თითქმის ყველა მათგანმა დიდი ნაბიჯი გადადგა სახალხო განათლების

საქმეში. ბოლოდროინდელი შეფასებით აღმოჩნდა, რომ მაღალი ინვესტიციის ნორმისა და სწრაფად გაუმჯობესებადი საგანმანათლებლო დონის კომბინაციით აიხსნება აღმოსავლეთ აზიის სწრაფი განვითარების დიდი წილი, თუ მოვლი არა. თუ ეს სწორია, მთელი ყურადღება შეცდომით ყოფილა მიმართული ვაჭრობასა და სამრეწველო პოლიტიკაზე. შესაძლოა ვინმემ ამტკიცოს: აზიური ეკონომიკა ატარებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც კარგი იყო იმ ახრით, რომ იგი იძლეოდა განვითარების საშუალებას, რომ თითქოს მან გამოიწვია განვითარება. ამ პოლიტიკის მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასებაა.

ყველაფერი, რაც აზიურ განვითარებას ეხება, ერთობ წინააღმდეგობრივია. ასეთია ეს ინტერპრეტაციაც.

ერთი რამ მაინც ნათელია აღმოსავლეთ აზიის გამოცდილებიდან. უეჭველია, რომ მან უარყო ეკონომიკის განვითარების სოციალური ნორმა, რაც ფართოდ იყო გაერცყლებული. ის პირველი ვარაუდი, რომ ინდუსტრიალიზაცია და განვითარება უნდა ემყარებოდეს იმპორტის შეცვლის შიგნით მიმართულ სტრატეგიას, ყალბია. პირიქით, ყველაფერი, რაც წარმატებასთანაა დაკავშირებული, მოიცავდა გარეთ მიმართულ ინდუსტრიალიზაციას, რომელიც ემყარებოდა გადაამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის ექსპორტს. მეორე, ის პესიმისტური შეხედულება, რომ მსოფლიო ბაზარი ახალი შემსუვლებების წინააღმდეგაა მიმართული და ხელს უშლის ღარიბი ქვეყნების გამდიდრებას, აღმოჩნდა არასწორი: არასოდეს კაცობრიობის ისტორიაში არავინ მოსწრებია ამდენი ხალხის ცხოვრების დონის ასეთ სწრაფ ერთდროულ ზრდას.

წინადადება

1. განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა შეიძლება გაანალიზდეს იმავე საშუალებით, რასაც მოწინავე ქვეყნებზე მსჯელობისას ვიყენებდით. განვითარებადი ქვეყნების დამახასიათებელი ნიშნები სხვადასხვაა. კერძოდ, სავაჭრო პოლიტიკა ამ ქვეყნებში ორი ამოცანითაა დაკავებული: მრეწველობის განვითარების მხარდაჭერით და ადგილობრივი ეკონომიკის გაუმჯობესებით. მრეწველობის განვითარების გამოსწორებით.
2. მრეწველობის განვითარების მხარდაჭერი სამთავრობო პოლიტიკა ხშირად გამართლებული იყო ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტით, რომლის მიხედვითაც ახალ მწარმოებლებს ესაჭიროებოდათ დროებითი პროტექციონიზმი სხვა ქვეყნების უკვე ჩამოყალიბებულ კონკურენტებთან საბრძოლველად. ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტი წონადი მხოლოდ მაშინაა, თუ იგი გამოყენებული იქნება, როგორც მთავრობის წარმომადგენელი გამოიყენებდა ბაზრის წარმატებლობის არგუმენტი. მისი ორი ნეყულებრივი გასამართლებელი გარემოებაა: არასრულყოფილი კაპიტალის ბაზრების არსებობა და ცოდნის შესაბამისობის პრობლემა, რაც პიონერი ფირმებისაგან წარმოიშობა.
3. ახალგაზრდა მრეწველობის არგუმენტის გამართლების გამოყენებით, ბევრი განვითარებადი ქვეყანა ატარებდა იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების პოლიტიკას, როცა ადგილობრივი საწარმოები შეიქმნა ტარიფებისა და საიმპორტო ქვრტების მფარველობით. ეს პოლიტიკა წარმატებული იყო გადაამამუშავებელი მრეწველობის მიმართ დახმარების შემთხვევაში – ეკონომიკური განვითარებისა და საარსებო მინიმუმის მიღწევაში მას მოჰყვა ნაგარაუღვევი მოგება. ბევრი ეკონომისტი ახლა მძაფრად აკრიტიკებს იმპორტის შეცვლის შედეგებს და ამტკიცებს, რომ მან ხელი შეუწყო ძვირადღირებულ არაეფექტურ წარმოებას.
4. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას ახასიათებს ეკონომიკური დუალიზმი: მაღალხელფასიანი, კაპიტალიზმისიური სამრეწველო სექტორი თანაარსებობს დაბალხელფასიან ტრადიციულ სექტორთან. ორმაგ ეკონომიკასაც აქვს ქალაქად უმუშევრობის სერიოზული პრობლემა.
5. თანამედროვე და ტრადიციულ სექტორებს შორის ხელფასების სხვაობა ხშირად გამოიყენებოდა სამრეწველო სექტორის ტარიფის დაცვისათვის. ესაა ხელფასის სხვაობა პროტექციონიზმის სასარგებლოდ. ეს შეხედულება არ სარგებლობს ნდობით ეკონომისტებს შორის. ბოლო ანალიზის მიხედვით მინწეულია, რომ პროტექციონიზმი გამოიწვევს სოფელსა და ქალაქს შორის მეტ მიგრაციას, რაც გააუარესებს ქალაქში უმუშევრობის პრობლემას და შესაძლოა, გააუარესოს დუალიზმის ნიშნებიც.
6. ის შეხედულება, რომ ეკონომიკური განვითარება უნდა მოხდეს იმპორტის შეცვლის მეშვეობით, და ის პესიმისტი ეკონომიკური განვითარების თაობაზე, რომელიც გაერცყულა იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარების თითქმის ნაგარდნის დროს, რამდენიმე აზიური ეკონომიკის სწრაფი განვითარებით ნიხში მოექცა.
7. მაღალმწარმოებლური აზიური ეკონომიკა განვითარდა არა იმპორტის შეცვლით, არამედ გადაამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმის ექსპორტის მეშვეობით. ეს ქვეყნები ხასიათდებიან ქვეყნის შემოსავალში ვაჭრობის ძალიან მაღალი კოეფიციენტით და განვითარების სწრაფი ტემპებით. წარმატების მიზეზი საკამათოა. სოფი მისომხილეველი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სანამ ისინი პრაქტიკულად არ ახორციელებენ თავისუფალ ვაჭრობას, მათ ექნებათ პროტექციონიზმის დაბალი დონე, ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყნებს. სოფი მთავარ როლს ანიჭებს წარმომადგენელი სამრეწველო პოლიტიკას, რომელსაც მაღალმწარმოებლური აზიური ეკონომიკა ატარებს. ბოლო გამოკვლევებით მინწეულია, რომ წარმატების ძირები ადგილობრივი მიწესებში უნდა ექებოთ. განსაკუთრებით დანასოფის მაღალ ნორმასა და განათლების სწრაფ გაუმჯობესებაში.

ძირითადი ტერმინები

შესაბამისობა

ორმაგი ეკონომიკა

მაღალგანვითარებული აზიური ეკონომიკა

იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება

განვითარებადი ქვეყნები

ეკონომიკური დუალიზმი

კაპიტალის არასრულყოფილი ბაზრები

ხელფასების სხვაობის არგუმენტი

პითხვები

1. „იაპონიის გამოცდილებამ ყველა თეორიაზე უკეთ დაამტკიცა ახალგაზრდა მრეწველობის ფაქტის სისწორე პროტექციონიზმის სასარგებლოდ. ადრეულ, 1950-იან წლებში იაპონია ღარიბი ქვეყანა იყო, რომელიც გადარჩა საფეიქრო ნაწარმისა და სათამაშოების ექსპორტით. იაპონიის მთავრობა დასაწყისში თითქოს არაეფექტურად მფარველობდა ძვირადღირებულ ფოლადისა და მანქანათმშენებელ მრეწველობებს; ამ მრეწველობებმა კი დაიპყრეს მსოფლიო ბაზრები“. ციტატა განიხილეთ კრიტიკულად.
2. ქვეყანას ამჟამად შემოაქვს მანქანები, თითოეული 8 000 დოლარად. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი მწარმოებლები შეძლებენ გამოუშვან 6 000 დოლარად ერთი მანქანა მოცემულ დროში, მაგრამ დასაწყისში იქნება ჩაყარდნის პერიოდი და მანქანის წარმოება ადგილობრივ დაჯდება 10 000 დოლარი:
 - ა) დაეუშვათ, მანქანის მწარმოებელმა თითოეულმა ფირმამ გაიარა ჩაყარდნის პერიოდი. რა პირობებში გაამართლებს საწყის სიძვირეს ახალგაზრდა მრეწველობის დაცვა?
 - ბ) ახლა დაეუშვათ – პირიქით, ერთმა საწარმომ შეძლო მანქანის 6 000 დოლარად წარმოება, სხვა საწარმოებიც მას ბაძავენ და ამასვე ახერხებენ. ახსენით, როგორ შეაჩერებს ეს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და როგორ შეძლებს ახალგაზრდა მრეწველობის პროტექციონიზმი მის დახმარებას.
3. რატომაა შესაძლებელი, რომ იმპორტის შემცველი მრეწველობის განვითარება იყოს უფრო წარმატებული დიდ განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად, ბრაზილიაში, ვიდრე ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორცაა განა?
4. პატარა ქვეყანას ჰყავს სამუშაო ძალად სულ 20 მუშა. ეს მუშები აწარმოებენ გადამამუშავებელი მრეწველობის ნაწარმსა და საკვებს. პირველის წარმოების დრო, სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი დამოკიდებულია დასაქმებაზე შემდეგნაირად:

მუშათა რაოდენობა	ბოლო მუშის ზღვრული პროდუქტი
1	20
2	18
3	16
4	14
5	12
6	11
7	10
8	9
9	8
10	7

- საკვების სექტორში სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი დამოუკიდებელია დასაქმებისაგან და არის 9. გადამამუშავებელი სექტორის ნაწარმის ერთეულის მსოფლიო ფასი არის 10 დოლარი, ასევე სხვებისაც.
- ა) დაეუშვათ, სამუშაო ძალის ბაზარზე არ იყო დარღვევები; იპოვეთ ხელფასის განაკვეთი, სამუშაო ძალის გადანაწილება გადამამუშავებელ და საკვების მრეწველობებს შორის და თითოეული საქონლის გამოშვება.
 - ბ) ახლა დაეუშვათ, გარკვეული მიზეზების გამო გადამამუშავებელ მრეწველობაში მინიმალური ხელფასი 150 დოლარია. სრული დასაქმება მაინც შენარჩუნებულია. იპოვეთ ეკონომიკის გამოშვების დონე ამ შემთხვევაში. რა ოდენობისაა დარღვევების ღირებულება?
 - გ) და ბოლოს, დაეუშვათ, მუშების მიგრაცია ხდება სოფლიდან ქალაქში მანამდე, სანამ ქალაქის მუშათა ხელფასები, გამრავლებული დასაქმებულობის შესაძლებლობასზე, არ გაეტირდება სოფლის მუშების ხელფასებს. იპოვეთ გამოშვების დონე და უმუშევრობა.
5. დაეუშვათ, ქვეყანა განიცდის პარის-ტოდაროს პრობლემას. ე.ი. გარკვეული მიზეზის გამო ქალაქის ხელფასები სოფლისაზე გაცილებით დიდია და იწვევს ძალიან დაბალ სამრეწველო წარმოებას, მაგრამ ამავე დროს გვაქვს მაღალი უმუშევრობა ქალაქად, რადგან სოფლის მუშები მიდიან მაღალხელფასიანი სამუშაოს საძებნელად. რომელ პოლიტიკას და რომელ კომბინაციას დაუჭერდით მხარს ამ პრობლემის გადასაწყვეტად?
 6. „კაპიტალიზმის სიმრეწველო საქონელზე საიმპორტო ქუბუკები და სუბსიდიები ძირითადი შეიარაღების იმპორტისათვის ნიშნავდა სამრეწველო სამუშაო ადგილების შექმნას ბევრ განვითარებად ქვეყანაში. სამწუხაროდ, ისინი, ალბათ, იმასაც დაეხმარნენ, რომ ქალაქში შექმნილიყო უმუშევრობის პრობლემა“. ახსენით ეს შენიშვნა.

სტრატეგიული ვაჭრობის პოლიტიკა მოწინავე ქვეყნებში

'სოციერთი განვითარებადი ქვეყნის სწრაფი ზრდის მიუხედავად, მსოფლიოს შემოსავლის უდიდეს წილს ქმნიან მოწინავე ქვეყნები: დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოები, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია, რომელთა ცხოვრების დონე მსოფლიოს დანარჩენი ნაწილის შურს იწვევს. მიუხედავად ამისა, მოწინავე ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება გარკვეულწილად არადამაკმაყოფილებელი იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში – მთლიანი ზრდა შენედა 1970-იანი წლების დასაწყისის შემდეგ. აშშ-ში ბევრი მეშის ხელფასი შეუცვლელი იყო და შემცირდა კიდევ რეალურ გამოსახულებაში; ევროპაში უმუშევრობის დონე მყარად იზრდებოდა დროთა განმავლობაში. იაპონიის ეკონომიკამაც კი, რომელსაც თითქოს იმუნიტეტი ჰქონდა იმ „ავადმყოფობის“ მიმართ, რითაც დაავადებული იყვნენ სხვა მოწინავე ქვეყნები 1970–1980-იან წლებში, განიცადა უძრობის ხანგრძლივი პერიოდი 1990-იანი წლების პირველ ნახევარში.

რით შეუძლია ქვეყანას თავისი ეკონომიკური ფუნქციონირების გაუმჯობესება? ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხია – *სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკით*, რომელიც ხელს უწყობს ექსპორტის განვითარებას ან იმპორტის შეფერხებას განსაზღვრულ დარგებში. ამ თავში განხილულია ასეთი პოლიტიკის სათანადო ფორმები და მისი სარგებლიანობა მოწინავე ქვეყნებისათვის. ამ თავის პირველ ნაწილში განხილულია პოპულარული შეხედულება, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის „კონკურენტუნარიანობაზე“ მსოფლიო ბაზარზე. მეორე ნაწილში მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ არგუმენტებს, რომლებიც გამოიყენეს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სასარგებლოდ. მესამე ნაწილში გამოკვლეულია ასეთი პოლიტიკის მნიშვნელოვანი მაგალითები მოქმედებაში.

1992 წელს ლესთერ თეროუმი, მასანსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტის ეკონომისტმა, გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით: „მოთავალი ეკონომიკური ომი იაპონიას, ევროპასა და ამერიკას შორის“. წიგნში, რომელმაც უდიდესი საერთაშორისო წარმატება მოიპოვა, მოცემული იყო შეხედულება, რომ მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებს მომგებიან-წამგებიანი კონკურენცია, როცა ნებისმიერი ერთი ქვეყანა წარმატებას მიაღწევს მეორე ქვეყნის ხარჯზე. თეროუს წიგნის გამოსვლამდე პოლიტიკოსებს. ეკონომისტებსა და ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე სხვა გავლენიან კომენტატორებს შორის თითქმის აქსიომად იქცა შეხედულება, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის კონკურენტუნარიანობაზე ან ფართო გაგებით – მის უნარზე კონკურენტ ქვეყნებზე მეტი გაყიდოს მსოფლიო ბაზრებზე. რასაკვირველია, 1990-იანი წლების დასაწყისში კონკურენტუნარიანობის რიტორიკა და თეროუს წიგნის სახელწოდებაც ავითარებდა იმ აზრს, რომ ქვეყნები ჩართულნი არიან ეკონომიკურ სამარ ურთიერთობაში – რამაც შეაღწია სახელმწიფო ოფიციალურ წრებშიც: აშშ-ს პრეზიდენტს კონსულტაციას უწევდა საბჭო კონკურენციის საკითხებზე; ქვეყნები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოუთმენლად ელოდნენ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ მოხსენებას, სადაც ქვეყნების დაყოფა ხდებოდა მათი კონკურენტუნარიანობის მიხედვით.

მაშინ, როდესაც კონკურენტუნარიანობის რიტორიკა ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა პოლიტიკოსებისა და საქმიანი ხალხისთვის, კონცეფციის ანალიტიკური ბაზისი საკმაოდ ბუნდოვანი დარჩა. როგორც ვინახეთ მე-2 და მე-3 თავებში, ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ჩვეულებრივ ზრდის ორივეს რეალურ შემოსავალს; რაიმე მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ ერთი უფრო კონკურენტუნარიანია მეორეზე? მე-5 თავში ვინახეთ, რომ შესაძლებელია, მოვაჭრე ქვეყანა დაზარალებს, თუ სხვა ქვეყნების განვითარება მის ექსპორტზე კონკურენტუნარიანობას გაზრდის; მაგრამ ასევე დემონსტრირებულია არსებობს იმისა, რომ აღნიშნულმა ზრდამ იმ სხვა ქვეყნებში გაადიდოს ადგილობრივი რეალური შემოსავალი. თუნდაც აშშ-თვის ასეთი შედეგი რაოდენობრივად უმნიშვნელოა ნებისმიერი მიმართულებით. რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნების კონკურენციას?!

ეკონომიკის სფეროში მოღვაწენი, ცდილობდნენ რა კონკურენტუნარიანობის კონცეფციიდან აზრის გამოტანას, კამათობდნენ, რომ მრეწველობის ერთი რომელიმე დარგი სჯობია სხვებს, რომ ქვეყნები, რომლებიც სასურველი დარგების ხელშეწყობის პოლიტიკას ატარებენ, მოიგებენ იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებიც ამას არ აკეთებენ. ეს არგუმენტი იმ იდეას ეყრდნობა, რომ შესაძლებელია მრეწველობის სასურველი დარგების იდენტიფიცირება მრეწველობის იმ დარგებთან, სადაც ქვეყანა არასაკმარის რესურსებს გამოიყენებს თავის სასარგებლოდ ოდონდ, ზუსტად განსაზღვრული სამთავრობო პოლიტიკის გარეშე. რა ხდის მრეწველობას სასურველს? სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის დამცველებს შორის ამ კითხვაზე პასუხისათვის განსაკუთრებით პოპულარული იყო სამი კრიტერიუმი: მრეწველობის დარგი სასურველია, თუ მას აქვს მაღალი დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე, თუ მაღალ ხელფასებს უხდის მეშებს; თუ მაღალ ტექნოლოგიებს იყენებს. განვიხილოთ ეს კრიტერიუმები რიგრიგობით.

მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე მრეწველობის დარგები სასურველია თუ არა?

ქვეყანაში მიღებული მთლიანი შემოსავალი, განსაზღვრების შესაბამისად, ტოლია ამ ქვეყნის მრეწველობის თითოეული დარგის დამატებით ღირებულებათა ჯამისა; ეროვნული შემოსავალი კი, ერთი დასაქმებულის მიხედვით, ტოლია საშუალო დამატებითი ღირებულებისა ერთ მუშაზე. მაგრამ რეალურად დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგი პოლიტიკოსის შეხედულებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს კარგად მოფიქრებული პოლიტიკით – რესურსების გადაანაწილებით მრეწველობის იმ დარგებში, სადაც მაღალი დამატებითი ღირებულებაა ერთ მუშაზე.

კომუნისტები – მეტად სექტარულად განწყობილი ამ საკითხის მიმართ – სვამენ შემდეგ კითხვას: თუ მრეწველობის დარგები მაღალი დამატებითი ღირებულებით ასე სასურველია, მაშ რატომ არ გადააქვთ რესურსები მრეწველობის ამ დარგებში ისე, რომ მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული წახალისება არ დაჭირდეთ? ეკონომისტების პასუხი ასეთია: ერთ მუშაზე დამატებითი ღირებულების მქონე მრეწველობის დარგები მეტად კაპიტალიზმისიურია, ანუ მათ ძალიან დაბალი დამატებითი ღირებულება აქვთ კაპიტალის ერთ ერთეულზე; ამასთან, ვინაიდან კაპიტალი ზუსტად ისეთივე მწირი რესურსია, როგორც სამუშაო ძალა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან ხელშეწყობით მრეწველობის დარგები მაღალი დამატებითი ღირებულებით ერთ მუშაზე გაზრდიან ეროვნულ შემოსავალს. რასაკვირველია, ნებისმიერი საბაზრო წარუმატებლობის არარსებობისას. მოველით, რომ ბაზრები მაქსიმუმამდე აიყვანენ ეროვნული გამოშვების ღირებულებას. ასე რომ, რესურსების ნებისმიერი გადაადგილება უფრო შეამცირებდა, ვიდრე – გაზრდიდა ეროვნულ შემოსავალს.

ეს თითქოს წმინდა თეორიული არგუმენტია, პრაქტიკულად კი რა ხდება? 11-1 ცხრილში მოცემულია დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე აშშ-ის მრეწველობის შერჩეული დარგებისთვის. სამკურვალ მრეწველობას, სადაც მუშათა დიდი ნაწილი თითქმის მხოლოდ საკერავი მანქანებით არის აღჭურვილი, ძალიან დაბალი დამატებითი ღირებულება აქვს ერთ მუშაზე. მეორე უკიდურესობაა ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, სადაც ძალიან მაღალი დამატებითი ღირებულება აღინიშნება ერთ მუშაზე. გასაოცარია, რომ მრეწველობის ისეთ „მოწინავე“ დარგებს, როგორიცაა ელექტრონიკა და ავიაცია, დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე იმაზე მეტი არა აქვთ, ვიდრე ეს საშუალოდ არის გადამამუშავებელ მრეწველობაში და ისეთი ტრადიციული კაპიტალიზმისიური დარგების ნაკლებობა შეინიშნება, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. (მაღალი ღირებულების მქონე მრეწველობის დარგების განვიხილავთ პოლიტიკის დამკვეთების აზრით, ეს იგივეა, რაც მაღალი ტექნოლოგიების მქონე მრეწველობის დარგები, მაგრამ ეს ასე არ არის!). უფრო ზუსტად, მონაცემები გეთავაზობენ, რომ მაღალი დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე არის კაპიტალიზმისიურობის ფუნქცია და რომ ეს საეკონომიკური კრიტერიუმია მრეწველობის დარგების სასურველობის დასამტკიცებლად.

კონკურენცია კარგი სამუშაოს მისაღებად

ზოგი დარგის ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტია შემდეგი: ერთი დარგი ეკეთესია სხვებს. ვინაიდან იქ უფრო მაღალ ხელფასებს უხდებიან. ამ არგუმენტს ხშირად იშუქლიებენ იმის ასახსნელად, რომ აშშ-ის ეკონომიკური სიძნელეები ძირითადად გამოწვეულია დეინდუსტრიალიზაციით, კარგი სამუშაო ადგილების დაკარგვით მრეწველობის სექტორში. წარმოიდგინეთ მუშები, რომლებიც საშუალო კლასის წარმომადგენელი ადამიანების ხელფასის ოდენ გასამრჯელოს იღებდნენ ფოლადის ან მანქანების წარმოებაში.

მე-10 თავში გაგაცანით ის შეხედულება, რომ მრეწველობის განსაზღვრული დარგები ხელშეწყობას ან დაცვას თხოულობენ, რადგან მაღალი ხელფასების გადახდა უწევთ. ეს იგივე ხელფასის დიფერენციალური განაკვეთის არგუმენტია, რომელიც გამოიყენება წარმოების ხელშეწყობის მიზნით განვითარებად ქვეყნებში. ეს არის იმ აზრის განვითარება, რომ თავისუფალი ვაჭრობიდან გადახრა შეიძლება სასარგებლო გამოდგეს იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ხელს უშლის შიდა დამახინჯებები. ესეც იმავე საკითხს განეკუთვნება, რასაც ხელფასის დიფერენციალური განაკვეთი, ოღონდ სხვა კონტექსტში; რატომ არის ხელფასის დიფერენციალური განაკვეთი მდგრადი? მაღალი ხელფასის მქონე დარგების ხელისშეწყობას რაიმე სხვა უკუშედეგები მოჰყვება თუ არა?

ეს არ არის წმინდა თეორიული დისკუსია. შეხედულება, რომ დეინდუსტრიალიზაცია იყო აშშ-ის ეკონომიკური სიძნელეების ძირითადი წყარო, ემპირიული ანალიზის საგნად იქცა. ვარაუდი დამაჯერებელი ნაწი – აშშ-ს მრეწველობაში დასაქმებული მუშები ნამდვილად უფრო მაღალ ხელფასებს გამოიმუშავენ, ვიდრე – მომსახურების სფეროში მომუშავენი. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნის მრეწველობაში სამუშაო ძალის წილი მყარად შემცირდა: ის გაიჭრა 27%-ს 1970 წელს, ხოლო – 16%-ს 1995 წელს. ნათევი ამ ცვლილებამ არ დაამტკიცებდა ხელფასები და მოველი ეროვნული შემოსავალი?!

მრეწველობის დარგები	დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე (ათასობით დოლარი)
სამოსელი	34.8
ელექტრონიკა	74.8
ავიაცია	86.3
ავტომანქანები	112.3
ნავთობნაფთობგადამამუშავებელი	267.5
ყველა სახის გადამამუშავებელი	72.7

ფაქტიურად, მცდელობამ – რაოდენობრივად განესაზღვრათ დეინდუსტრალიზაციის გავლენა ხელფასებზე, დიდი შედეგი არ გამოიღო ორი მიზეზის გამო: პირველი, გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული სამუშაო ძალის წილის შემცირება არ უნდა იყოს გამოწვეული საერთაშორისო ვაჭრობით. 1970 წლიდან აღნიშნული მრეწველობის შემცირების 11%-დან 1% თუ შეიძლება მივაწეროთ საერთაშორისო ვაჭრობას, დანარჩენი მოდის – შიდა ძალებზე. რის გამოც ყველა სამრეწველო ქვეყანა ხდება მომსახურებითი. ტექნოლოგიის პროგრესი უფრო სწრაფი იყო მწარმოებელ (მაგ. გადამამუშავებელი მრეწველობა), ვიდრე მომსახურების სექტორში (საცალო ვაჭრობა). ახლა 1 ტონა ფოლადის საწარმოებლად იმ მუშების ოდენობის ნახევარზე ნაკლებია საჭირო, რაც 1970 წელს და ეს მაშინ, როდესაც თმის შემტრელთა ან ხორცის მიმტანთა საჭირო რაოდენობა არ შეცვლილა. მომხმარებლების მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე ერთნაირი დონით გაიზარდა. ე.ი. სამუშაო ძალის წილის ზრდა საბოლოოდ დაგვირგვინდება მომსახურების სექტორში დასაქმებულთა ხარჯზე.

მეორე, ფართოდ გავრცელებული შეხედულება – რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში საშუალოდ უფრო მაღალ ხელფასებს უხდია მომსახურების სფეროსთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მეფოლადეები ერთ საათში იღებენ 20 დოლარს, სწრაფი კვების ობიექტების მუშაკები კი 4 დოლარს – გადაჭარბებულად არის შეფასებული. გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა უმეტეს ნაწილს არ უხდია ისეთ ხელფასებს, რის დანიშნავსაც აძიებდნენ ერთ დროს ძლუყამოსილი პროფკავშირები უმაღლესი პროფილის მრეწველობის რამდენიმე დარგში. მომსახურების სფეროში ბევრი თანამდებობაა, რაშიც საკმაოდ კარგად უხდია. ხელფასის რეალური დოფერენციალური განაკვეთის ტიპური შეფასება 10%-ზე მეტი არ არის.

რაკი გადამამუშავებელ მრეწველობაში საერთაშორისო ვაჭრობის 'სემიქმედება' შესაძლებელი იყო დასაქმებასა და ხელფასის დიფერენციალურ განაკვეთს, დეინდუსტრალიზაციის შედეგები აშშ-ის ეკონომიკისთვის გაცილებით უფრო მცირედ გამოიყურება, ვიდრე ამას ხშირად ამტკიცებენ. 1990-იანი წლების შუა პერიოდი შემდგენიარად უნდა შეეფასოთ: აშშ-ის გადამამუშავებელ მრეწველობაში არსებული სავაჭრო დეფიციტის გამო დაახლოებით ერთი მილიონი მუშა აღნიშნული მრეწველობიდან გადავიდა მომსახურების სექტორში, სადაც მათი საშუალო გამომუშავება დაახლოებით 4000 აშშ დოლარით ნაკლებია წელიწადში. ეს ნიშნავს 4 მილიარდი დოლარის წმინდა ზარალს, რაც ერთი შეხედვით ბევრია, მაგრამ სინამდვილეში აშშ-ის ეროვნული შემოსავლის 0.1%-ზე ნაკლებია.

წუხილი კონკურენციის თაობაზე მაღალხელფასიანი სამუშაოს მისაღებად, კონცეპტუალურად მისაღებია. იგი გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია რაოდენობრივად, ვიდრე ეს კონკურენტუნარიანობის რიტორიკამ შეიძლება გვაფიქრებინოს.

მაღალტექნოლოგიური დარგების კონკურენცია

კონკურენტუნარიანობის შესახებ კამათისას მთავარი ყურადღება დაეციოთ მაღალი დამატებითი ღირებულების ან ხელფასის მაღალი განაკვეთების მქონე მრეწველობის დარგების კონკურენციას; დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კონკურენციას მაღალი ტექნოლოგიის მქონე მრეწველობაში, რომელიც, ფართო გაგებით, არის მრეწველობა, სადაც წარმატება მეტწილად დამოკიდებულია კომპანიების უნარზე, სწრაფად დაუჭირონ მხარი პროდუქციის, საწარმოს პროცესის, ან ერთად ორივეს სიახლეებს. მაღალი ტექნოლოგიის მქონე მრეწველობის სტატისტიკური კლასიფიკაცია ეყრდნობა ისეთ მანიფესტებს, როგორცაა კვლევისა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების 'შეფარდება' სავაჭრო გარიგებებთან, ან სამუშაო ძალაში მეცნიერებისა და ინჟინრების წილი. თავის წიგნში თეროუმ ჩამოთვალა მაღალი ტექნოლოგიის მქონე მრეწველობის 7 გადამამუშავებელი სექტორი: მიკროელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, მასალებისა და ნახეუარფაბრიკატების გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი დარგები, ტელეკომუნიკაციები, სამოქალაქო ავიაცია, რობოტები, შრომის ავტომატიზირებული იარაღები და კომპიუტერებს დამატებული პროგრამული უზრუნველყოფა. მან განაცხადა: „კვლასთვის მისაღები ვერ იქნება მრეწველობის შეიდივე ძირითადი დარგი: სოფი ისარგებლებს; სოფი კი იზარალებს“.

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ დარგების „მოპოვება?“ ზოგი მეცნიერის აზრით, მაღალი ტექნოლოგიის მქონე მრეწველობის დარგები ალბათ გადამწყვეტ როლს თამაშობენ, ვინაიდან ისინი მაღალი ღირებულებითა და მაღალი ხელფასებით ხასიათდებიან. როგორც უკვე დაერწმუნდით, ეს არცთუ მისაღები აზრია. ფაქტიურად, მაღალი დამატებითი ღირებულება არ არის კარგი კრიტერიუმი მრეწველობის ხელშესაწყობად, ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში ტექნიკურად პროგრესულ დარგებს – აუცილებელი არ არის ჰქონდეთ მაღალი დამატებითი ღირებულება ერთ მუშასე. მაღალი ხელფასის კრიტერიუმი ცოტა უკეთესია. ჭეშმარიტებაა, რომ ტექნიკურად პროგრესული დარგები საშუალოდ უხდებიან მუშებს უფრო მეტს, ვიდრე სხვა დარგები, თუნდაც მაშინ, როდესაც ხელფასები წესრიგდება მეტად განათლებული მუშა-მოსამსახურეების უჩვეულო წილის გათვალისწინებით. მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობის პოტენციური შემოქმედების შეფასება მუშების მიერ გამომუშავებულ ამ „იჯარასე“ ტექნიკურად პროგრესულ დარგებში, გვაფიქრებინებს, რომ ის საკმაოდ მცირეა – თუ აქცენტი მასზეა გაკეთებული, მაშინ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მოიგებს, თუ არა ქვეყანა 7 ძირითადი დარგის კონკურენციიდან.

არსებობს არგუმენტი, რომლის უგულებელყოფა უფრო ძნელია: კერძოდ, ამა თუ იმ წარმატებულ დარგში მყარი პოზიცია გადამწყვეტია ეკონომიკის, როგორც მთელის, ტექნოლოგიური პროგრესისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის ეს დარგები იწვევენ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გადაღწას. ეს არგუმენტი, ხელფასის დიფერენციალური განსხვავების მსგავსად, სინამდვილეში ამართლებს სტრატეგიული ვაჭრობის პოლიტიკას შიდა ბაზრის წარუმატებლობის პირობებში. თავიდან შეიძლება არ იყოს ნათელი, თუ რატომ იწვევს ტექნოლოგიური გადაღწა ბაზრის წარუმატებლობას. მაგრამ აქ არ შეუდგებით ამის ახსნას. სჯობს, დავაკვირდეთ ტექნოლოგიური გადაღწის როლს, როცა სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სასარგებლოდ მოტანილ არგუმენტებს უფრო ფართოდ განვიხილავთ.

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სასარგებლო კოკულარული არგუმენტები

მე-8 და მე-9 თავებში წარმოდგინდ ანალიტიკურ სტრუქტურაში არაფერია ისეთი, რაც გამორიცხავს სამრეწველო პოლიტიკის სასურველობას. ეს სტრუქტურა არ გვიჩვენებს, რომ აქტიური სამთავრობო პოლიტიკა საჭიროებს სპეციალურ მხარდაჭერას; კერძოდ, მან უნდა აანაზღაუროს მანამდე არსებული შიდა ბაზრის წარუმატებლობა: სტრატეგიული პოლიტიკის მხარდამჭერი ბევრი არგუმენტის პრობლემა ის არის, რომ ისინი მთავრობის ჩარევას არ უკავშირებენ თავისუფალი ვაჭრობის წარუმატებლობის რაიმე განსაკუთრებულ ვარაუდს.

ბაზრის წარუმატებლობის დროს ჩარევის არგუმენტების პრობლემა ის არის, თუ როგორ შევიცნოთ ბაზრის წარუმატებლობა, როდესაც იგი უკვე სახეზეა. ეკონომისტებმა, რომლებიც სწავლობდნენ განვითარებულ ქვეყნებს, დაადგინეს საბაზრო წარუმატებლობის ორი სახეობა, რაც ამჟამად არსებობს და დასახელებული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკას მიესადაგება. ერთ-ერთი მათგანი არის ტექნიკურად პროგრესული დარგის წარმომადგენელი ფირმის უუნარობა, ხელიდან არ გაუშვას იმ ცოდნისა თუ ინფორმაციის სარგებელი, რის მოპოვებაშიაც საკუთარი წვლილი აქვს ჩადებული და რომელიც გადაედინება სხვა ფირმებში. მეორე არის მრეწველობის უმაღლესად კონცენტრირებულ ოლიგოპოლისტურ დარგებში მონოპოლიური მოვების არსებობა.

ტექნოლოგია და გარე ეფექტები

მე-10 თავში, მრეწველობის ახალი დარგების განხილვისას, აღვნიშნეთ, რომ ბაზრის პოტენციური წარუმატებლობა მომდინარეობს ცოდნა-ინფორმაციის შექმნით გამოწვეული სიძნელეებიდან. თუ მრეწველობის რომელიმე დარგის ფირმა მოიპოვებს ცოდნას ან ინფორმაციას, რაც სხვა ფირმამ შეიძლება გამოიყენოს ანაზღაურების გარეშე, მრეწველობა სინამდვილეში აწარმოებს დამატებით გამოშვებას – ცოდნის „სდგრულ სოციალურ სარგებელს“ – რაც არ არის ასახული ფირმების მასტიმულირებულ მოტივებში. ასეთი გარე ეფექტები (სარგებელი, რომელიც დაერიცხება მხარეებს და არა მის მწარმოებელ ფირმებს) შეიძლება მნიშვნელოვანი, კარგი არგუმენტი იყოს მრეწველობის სუბსიდირებისათვის.

განზოგადებისას ეს არგუმენტი იგივე იქნება განვითარებადი ქვეყნების ახალი დარგებისათვის, რაც – მოწინავე ქვეყნების აღიარებული მრეწველობის სექტორებისთვის. ამ არგუმენტს განსაკუთრებული უპირატესობა აქვს, რადგან მაღალი ტექნოლოგიის მქონე ქვეყნებში, სადაც ცოდნის მოპოვება საწარმოს მუშაობის ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს. ფირმები თავიანთი რესურსების დიდ ნაწილს ხარჯავენ ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის კვლევასა და განვითარებაზე. ამით ისინი თავდაპირველად ზარალდებიან კიდევ ახალი ნაწარმისა თუ პროცესის გამოცდის დროს. ასეთი საქმიანობა ხორციელდება მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. და აღარც არსებობს მეკეთრი განსხვავება ტექნიკურად პროგრესულსა და ეკონომიკის დანარსენ ნაწილს შორის. აშკარა განსხვავებაა ხარისხში და აზრი აქვს, ტექნიკურად პროგრესულ სექტორსე ვილაპარაკოთ, სადაც ინვესტიცია ცოდნის მოპოვება-გაფართოებაში არის ბისნესის მთავარი ნაწილი.

სტრატეგიული ვაჭრობის არსი ის არის, რომ ფირმებს შეუძლიათ ცოდნისათვის ჩადებული საკუთარი ინვესტიციიდან სარგებელი სრულად მიიღონ (წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არც მოახდენდნენ ინვესტირებას).

ამ სარგებლის ნაწილი გადავა სხვა ფორმებში, რომლებიც შეძლებენ წამყვანი ფორმების ტექნოლოგიისა და იდეების მიბაძვა-გამოყენებას. ელექტრონიკაში, მაგალითად, ფორმებისათვის დამახასიათებელია „სწრაფად შეაცვლევინონ ინჟინერს“ კონკურენტების დიზაინი: აიღონ მათი ნაწარმი განყენებულად, რათა გამოითვალონ თუ როგორ არის იგი დამსაიდებელი და როგორ მუშაობენ კონკურენტები. ვინაიდან პატენტთან დაკავშირებული კანონები მხოლოდ სუსტად იცავენ გამოგონებლებს, შეიძლება დაეუშვათ, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში არ არსებობს ძლიერი სტიმული გამოგონებისათვის.

ტექნიკურად პროგრესული დარგების მიმართ მთავრობის მხარდაჭერა. უნდა დააფინანსოს თუ არა აშშ-ს მთავრობამ ტექნიკურად პროგრესული დარგები? სანამ ხელისუფლებას ექნება კარგი არგუმენტი ასეთი სუბსიდირებისათვის, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. ორი კითხვა იბადება: პირველი, სამთავრობო პოლიტიკას რამდენად შესწევს უნარი, სწორი მიზანი დაისახოს; მეორე, როგორია არგუმენტის რაოდენობრივი მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად პროგრესული დარგები შესაძლოა ქმნიან დამატებით სოციალურ სარგებელს იმ ცოდნის საფუძველზე, რომლის უმეტესი ნაწილი მოდის მაღალი ტექნოლოგიის მქონე მრეწველობაში, ამას არაფერი აქვს საერთო ცოდნის დაგროვებასთან. არ არსებობს მიზეზი კაპიტალის გამოყენებისა ან უბრალო მუშების სუბსიდირებისა ტექნიკურად პროგრესულ დარგებში; მეორე მხრივ, გამოგონებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გადადინება გარკვეულ დონემდე ხდება მრეწველობის ისეთ დარგებშიც, რომლებიც ძირითადად არ არიან დაწინაურებულნი. მთავარი პრინციპი ის არის, რომ სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკა უნდა შეირჩეს იმ დარგის შესაბამისად, რაშიაც იგი წარუმატებელია ბაზარზე. პოლიტიკის მიზანს კი უნდა წარმოადგენდეს იმ ცოდნის შექმნის სუბსიდირება, რისი მიღწევაც ფირმას არ შეუძლია. ზოგადი სუბსიდია მრეწველობის დარგებისათვის, სადაც ამის საჭიროება არ არის ცოდნის ან ინფორმაციის მისაღებად, საკმაოდ უხეში იარაღი აღმოჩნდება ამ მიზნის მისაღწევად.

იქნებ სჯობდა, მთავრობას დაეფინანსებინა კვლევა და განვითარება მრეწველობის ნებისმიერ დარგში, სადაც ამას მდგომარეობა მოითხოვდა. პრობლემა აქ შეჩერებაშია. როგორ დაეადგინოთ, თუ როდის არის დაკავებული ფირმა ცოდნის გამოყენება-გამოგონებით. ამის არაზუსტი განსაზღვრა გამოიწვევს არამიზნობრივ ხარჯვას: ვინ გექტყვის, ფურცლის სამაგრები და კომპანიის მანქანები მართლა გამოიყენეს თუ არა ცოდნის შესაძენად ან გამოგონებისათვის, თუ ეს თანხა სუბსიდიის გასაბერად დაიხარჯა. მეორე მხრივ, ზუსტი განსაზღვრება საეჭვოს გახდის დიდი ბიუროკრატიული წარმონაქმნების მხრიდან კვლევაში ხელის შეწყობის საშიშროებას. ამ უკანასკნელში ფონდების განთავსება შეიძლება ზუსტად იყოს აღრიცხული მცირე, არაფორმალურ ორგანიზაციებთან შედარებით, სადაც უმეტესწილად ხდება ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება.

აშშ რეალურად აფინანსებს კვლევითს სამუშაოებსა და განვითარებას სხვა სახის ინვესტიციებთან შედარებით. აღნიშნული სამუშაოსთვის დახარჯული სახსრები ფორმებში შეიძლება მიიჩნიონ მიმოქცევის ხარჯებად და ამდენად დაუკონტროლებელი გამოიყოს კორპორაციის მოგების გადასახადიდან. პირიქით, ინვესტიცია ქარხანასა და აღჭურვილობაში არ შეიძლება მიეიწინოთ როგორც უშუალო ხარჯები და იგი შეიძლება ჩამოეწეროს მხოლოდ თანდათანობითი გაუფასურება-გაცვეთის დროს. საგადასახადო ისტორიაში ეს ხელსაყრელი დამოკიდებულება ცოდნის მიმართ უბრალოდ შემთხვევითია და არა ზუსტად მოფიქრებული პოლიტიკის შედეგი. სანამ დასკვნას გაეკეთებდეთ, უნდა აღნიშნოს, რომ ან აშშ მეტისმეტად ცოტას ხარჯავს განვითარებასა და კვლევაზე, ან ტექნიკურად პროგრესული დარგები საჭიროებენ მომავალ მხარდაჭერას. ასეთი დასკვნის მისაღებად უნდა ვიცოდეთ, თუ რა ოდენობის სუბსიდია არის გამართლებული აღნიშნული მიზნებისათვის.

რამდენად მნიშვნელოვანია გარე ეფექტები? მაღალი ტექნოლოგიის მქონე დარგების შესატყვისი სუბსიდირების საკითხი დამოკიდებულია რთული ემპირიული პრობლემის პასუხზე: რამდენად მნიშვნელოვანია რაოდენობრივი ტექნოლოგიური გადადენის არგუმენტი ტექნიკურად პროგრესული დარგების არჩევისათვის? რამდენია ოპტიმალური სუბსიდია – 10%, 20% თუ 100%? პირუთენელი პასუხი ამ კითხვაზე არაფერს იცის. გარე ეფექტების ბუნება ის არის, რომ სარგებელი, რომელსაც საბაზრო ფასი არ დაედება, ძნელი შესაფასებელია.

შემდგომ, ტექნიკურად პროგრესული დარგის მიერ მიღებული გარე ეფექტები დიდია რომ აღმოჩნდეს, ნებისმიერ ქვეყანას არ ექნება ძლიერი სტიმული ამ დარგის მხარდასაჭერად. მიზეზი ის არის, რომ ამ ცოდნიდან მიღებული დიდი სარგებელი, რომელიც ერთ ქვეყანაში შეიძინეს, შეიძლება ფაქტიურად დაუგროვდეს სხვა ქვეყნის ფირმებსაც. ეთქვას, ბელგიის ფირმა შეიმუშავებს ახალ მეთოდს ფოლადის საწარმოებლად. ფირმების უმეტესობა, რომლებსაც ამ მეთოდის გადაღება შეუძლიათ, განლაგებული იქნება ევროპის სხვა ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში და არა – ბელგიაში. მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის მთავრობებმა შეიძლება ჩათვალონ ღირებულად ამ გამოგონების დააფინანსება, ბელგიის მთავრობამ კი არა. *ქვეყნის* (ფირმასთან შედარებით) დონეზე ასეთი პრობლემის არსებობა ნაკლებ მტკივნეულია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია თუ რადაც ისეთი დიდი სახელმწიფოსათვისაც კი, როგორც აშშ-ია.

კრიტიკის მიუხედავად, ტექნოლოგიური გადადინების არგუმენტი ალბათ საუკეთესოა მათ შორის, რაც ადამიანმა შეიძლება დაიმოწმოს აქტიური სამრეწველო პოლიტიკის სასარგებლოდ.

არასრულყოფილი (მონოპოლისტური) კონკურენცია და სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა

1980-იან წლებში სამრეწველო დარგის ამორჩევის სასარგებლოდ დასახელებულმა ახალმა არგუმენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიქცია. იგი პირველად ჩამოაყალიბეს ბრიტანელი კოლეუმბიის უნივერსიტეტის ეკონომისტებმა: ბარბარა სპენსერმა და ჯეიმს ბრენდერმა. მასში განსაზღვრულია ბაზრის წარუმატებლობა და გამართლებულია მთავრობის ჩარევა არასრულყოფილი კონკურენციის დროს. მრეწველობის ზოგ დარგში, მათი აზრით, მხოლოდ ცოტაოდენი ფირმები რეალურად კონკურენციაში ჩართული, რის გამოც სრულყოფილი კონკურენციის ვარაუდი არ გამოდგება. აუცილებლად იქნება ჭარბი უკუგება, ანუ ფირმები მიიღებენ იმაზე მეტ მოგებას, რაც შეუძლიათ მიუღოთ თანაბრად სარისკო ინვესტიციებიდან ქვეყნის ნებისმიერ სხვა დარგში. სახეზე იქნება საერთაშორისო კონკურენცია იმის წინააღმდეგ, ვინც ამ მოგებას მიიღებს.

სპენსერმა და ბრენდერმა აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მთავრობამ შეცვალოს თამაშის წესები, რათა ეს ჭარბი მოგება უცხოურიდან გადამოიტანოს შიდა ფირმებში. უმარტივეს შემთხვევაში მთავრობის მხრიდან სუბსიდირებამ, უცხოელი კონკურენტების ინვესტიციებისა და პროდუქციის დაშვების შესაზღვევით, შეიძლება გასარდოს შიდა ფირმების მოგება სუბსიდიის ოდენობაზე მეტად. მომხმარებლებისათვის შედეგებს თუ არ განვიხილავთ (როდესაც ფირმები პროდუქციას მხოლოდ უცხოურ ბაზრებზე ყიდნიან), უცხოელი კონკურენტებისაგან მოგების ასეთი ჩაგდება ხელთ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ სუბსიდირება ზრდის ეროვნულ შემოსავალს სხვა ქვეყნების ხარჯზე.

ბრენდერ-სპენსერის ანალიზი. ბრენდერ-სპენსერის ანალიზი შეიძლება აეხსნათ მარტივი მაგალითით – ერთმანეთის კონკურენტია მხოლოდ ორი სხვადასხვა ქვეყნის ფირმა (მხედველობაში იქონიეთ, რომ რაიმე მსგავსება რეალურ მოვლენებთან შეიძლება მხოლოდ დამოხვევა იყოს), ეთქვათ, ბონგი და ვარბასი; ქვეყნები: ევროპა და აშშ. დაეუშვათ, ორივე ფირმას შეუძლია ახალი ნაწარმის გამოშვება და უნდა მიიღოს მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება: გამოუშვას თუ არა 150 ადგილიანი თვითმფრინავი.

11-2 ცხრილი გვიჩვენებს, ორი ფირმის მიერ მიღებული მოგება როგორ არის დამოკიდებული საკუთარ გადაწყვეტილებებზე. თითოეული რიგი შეესაბამება ბონგის განსაზღვრულ გადაწყვეტილებებს, ხოლო სვეტი – ვარბასისას. თითოეულ მართკუთხედში ორი შესასვლელია: შესასვლელი ქვედა მარცხენა მხარეს გვიჩვენებს ბონგის მოგებას, ზედა მარჯვენა მხარეს – ვარბასისას.

ცხრილში მოცემულია შემდეგი ვარაუდი: ნებისმიერ ფირმას შეუძლია ცალ-ცალკე მიიღოს მოგება 150 ადგილიანი თვითმფრინავის გამოშვებით, მაგრამ თუ ორივე შეეცდება ამის გაკეთებას, ორივე იზარალებს. რომელი მათგანი მიიღებს მოგებას? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი შეუდგება საქმიანობას პირველი. დაეუშვათ, ბონგს შეუძლია მანამდე მიაღწიოს მცირე უპირატესობას და კაპიტალი ჩაღოს 150 ადგილიანი თვითმფრინავის გამოსაშვებად, სანამ ვარბასი ააწყობს საქმეს. ვარბასი აღმოაჩენს, რომ მას არა აქვს თავის მართკუთხედში (იხ. ცხრილი) შესვლის სტიმული. გამოშვება აღინიშნება ცხრილის ზედა მარჯვენა მხარეს, სანამ ბონგი მოგებას ნახავს.

ახლა განვიხილოთ ბრენდერ-სპენსერის თეალსაზრისი: ევროპის მთავრობას შეუძლია შეცვალოს ეს მდგომარეობა. დაეუშვათ, მან ივალდებულოს, რომ ვარბასის ფირმას სუბსიდიის სახით გადაუხდის 25-ს შესვლის შემთხვევაში. შედეგად 11-3 ცხრილში ასახული მოგება შეიცვლება. ახლა ვარბასისთვის მომგებიანია 150 ადგილიანი თვითმფრინავის გამოშვება განურჩევლად იმისა, თუ როგორ მოიქცევა ბონგი.

ცხრილი 11-2 ორი ფირმის კონკურენცია

		ვარბასი	
	ბონგი	აწარმოებს	არ აწარმოებს
აწარმოებს		-5	100
არ აწარმოებს		0	0

ცხრილი 11-3 ვარბასის სუბსიდირების შედეგი

		ვარბასი	
	ბონგი	აწარმოებს	არ აწარმოებს
აწარმოებს		-5	100
არ აწარმოებს		0	0

დაეფიქრდეთ ამ ცვლილებების შედეგებზე. ბონგმა ახლა იცის: თუ აირჩევს წარმატებას, რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც მოუწევს ვარბასთან კონკურენცია და დაკარგავს ფულს. ახლა ბონგი იქნება შესაძლებელი

შევიდეს თავისი გადაწყვეტილების მართკუთხედში (იხ. ცხრილი). ფაქტიურად, სახელმწიფო სუბსიდირებამ აღკვეთა ის საწყისი უპირატესობა, რასაც ბონინგმა მიაღწია. ახლა ეარბასია წარმატებული.

საბოლოო შედეგი ის არის, რომ წონასწორობა გადაინაცვლებს 11-2 ცხრილის ზედა მარცხენა კუთხიდან 11-3 ცხრილის ქვედა მარცხენა კუთხისკენ. ეარბასი დაამთავრებს 125-იანი მოგებით, 0-ის ნაცვლად, ანუ იმ მოგებით, რაც გამოიწვია მთავრობის მხრიდან მხოლოდ 25-ით დაფინანსებამ. ამდენად, სუბსიდია ზრდის მოგებას თავად სუბსიდიასზე მეტი ოდენობითაც, მისი უცხოურ დაშვების შეზღუდვის ეფექტის გამო. სუბსიდიას ეს ეფექტი აქვს, ვინაიდან იგი ეარბასს უქმნის უპირატესობას (და არა ბონინგს) იმ სტრატეგიულ უპირატესობასთან შედარებით, რომელიც მას ექნებოდა, თავიდანვე რომ დაწინაურებულიყო წარმოებაში.

ბრენდერ-სპენსერის ანალიზთან დაკავშირებული პრობლემები. ეს პიპოტესური მაგალითი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის არგუმენტი სტიმულს იძლევა მთავრობის აქტიურობისთვის. ევროპის წამყვანი ქვეყნების მთავრობების მიერ სუბსიდირება მკვეთრად ზრდის ევროპული ფირმების მოგებას უცხოელი კონკურენტის ხარჯზე. მომხმარებლების ინტერესი რომ გამოერიცხოთ, ეს აშკარად ზრდის ევროპელების კეთილდღეობას (და ამცირებს ამერიკელებისას). ხომ არ უნდა გამოიყენოს აშშ-ს მთავრობამ ეს არგუმენტი?

სავაჭრო პოლიტიკის ამ სტრატეგიულმა არგუმენტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ კრიტიკის ქარცეცხლში მაინც მოხვდა. კრიტიკოსებმა განაცხადეს, რომ თეორიიდან პრაქტიკული სარგებლის მისაღებად საჭიროა მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს ხელმისაწვდომია; რომ ასეთი პოლიტიკა სარისკოს ხდის უცხოურ საპასუხო ღონისძიებებს; რომ ნებისმიერ შემთხვევაში სავაჭრო და სამრეწველო შიდა პოლიტიკამ უნდა აიცილოს თავიდან ასეთი მგრძობიარე პოლიტიკური იარაღი.

არასაკმარისი ინფორმაციის პრობლემას ორი ასპექტი აქვს: პირველი, თუნდაც იზოლირებული იყოს მრეწველობა, მაინც ძნელი იქნება 11-2-ის მსგავს ცხრილში მისი მონაცემები სანდოდ შევაფასოთ. თუ მთავრობა არასწორ ინფორმაციას მიიღებს, სუბსიდირების პოლიტიკა შეიძლება ძალიან ძვირადღირებული აღმოჩნდეს. ამის საჩვენებლად დავეუშვათ, რომ რეალობა წარმოდგენილია არა 11-2 ცხრილში, არამედ თითქოს მსგავსი მოგების აღმნიშვნელ 11-4 ცხრილში. რიცხვები დიდად არ განსხვავდება, მაგრამ სხვაობა მაინც გადამწყვეტია. 11-4 ცხრილში ბონინგს აშკარად ისეთი უპირატესობა აქვს – შესაძლოა უკეთესი ტექნოლოგიის წყალობით – რომ მართკუთხედში ეარბასის შეღწევის შემთხვევაშიც კი ბონინგისთვის მაინც მომგებიანი იქნება წარმოება.

სუბსიდირება თუ არ მოხდება, 11-4 ცხრილში გამოშვება ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება; ე.ი. ბონინგი აწარმოებს, ეარბასი კი არა. ახლა დავეუშვათ (როგორც ეს წინა შემთხვევაში იყო), ევროპის მთავრობა უზრუნველყოფს 25-ის სუბსიდიას, რაც საკმარისი სტიმული იქნება ეარბასის წარმოებისათვის. მოგების ახალი მაჩვენებლები მოცემულია 11-5 ცხრილში. შედეგად ორივე ფირმა მუშაობს: გამოშვება ზედა მარცხენა კუთხეშია. ამ შემთხვევაში ეარბასი, რომელიც იღებს 25-იან სუბსიდიას, გამოიმუშავებს 5-ის მოგებას. ამდენად ჩვენ გვაქვს შეცვლილი შედეგი, რაკი სუბსიდიამ გაზარდა მოგება თავად სუბსიდიის ოდენობაზე მეტი თანხით. გამოშვებაში განსხვავების მიზეზი ის არის, რომ ამჯერად სუბსიდიამ იმოქმედა, როგორც ბონინგის შემზღუდავმა.

ერთი შეხედვით ორი მაგალითი თითქოს ძალიან მსგავსი ჩანს, თუმცა ერთ შემთხვევაში სუბსიდირების იდეა კარგია, მეორეში – ცუდი. გამოდის, თითქოს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სასურველობა დამოკიდებულია მდგომარეობის ზუსტ შეფასებაზე. ამის გამო ზოგი ეკონომისტი შემდეგ კითხვას სვამს: შეეძლებოდა კი ოდესმე საკმარისი ინფორმაციის მიღებას, თეორია ეფექტიანად რომ გამოვიყენოთ?

ინფორმაციის მოპოვება იმ ფაქტითაა გართულებული, რომ მრეწველობა იზოლირებული არ არის. თუ მრეწველობის ერთი დარგი სუბსიდირებულია, ის მიიზიდავს რესურსებს მრეწველობის სხვა დარგებიდან და გამოიწვევს მათი ხარჯების ზრდას. ამდენად, თუ პოლიტიკა წარმატებულია აშშ-ს ფირმების მრეწველობის ერთი დარგისათვის სტრატეგიული უპირატესობის მიცემაში, ეს სტრატეგიულ წარუმატებლობას გამოიწვევს რომელიმე სხვა დარგში. აშშ-ს მთავრობა თუ დაინტერესდება იმით, გამართლებულია თუ არა პოლიტიკა, მაშინ მან უნდა აწონოდაწონოს ეს დამაბაღანსებელი ეფექტები. მთავრობის მიერ მრეწველობის ერთი დარგის ზედმიწევით შესწავლა არ არის საკმარისი, იგი ასევე კარგად უნდა იცნობდეს მრეწველობის იმ დარგებს, რომელთაგან მოსალოდნელია კონკურენცია.

ცხრილი 11-4 ორი ფირმის კონკურენცია: ალტერნატიული საკითხი

		ეარბასი	
	ბონინგი	აწარმოებს	არ აწარმოებს
აწარმოებს	აწარმოებს	-20	0
	არ აწარმოებს	125	0
არ აწარმოებს	აწარმოებს	0	0
	არ აწარმოებს	100	0

თუ შემოთავაზებულ სტრატეგიულ სავაჭრო პოლიტიკას შეუძლია დაძლიოს ეს კრიტიკა, ის მაინც აღმოჩნდება

უცხოური საპასუხო დარტყმის პირისპირ. ეს არსებითად იგივე პრობლემა იყო, როდესაც განიხილავდნენ ტარიფების გამოყენებას ვაჭრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით (იხ. თავი 9). სტრატეგიული პოლიტიკა მეზობლების გამაღარიბებელი პოლიტიკაა, რომელიც ზრდის ჩვენს კეთილდღეობას სხვა ქვეყნების ხარჯზე. ასეთი პოლიტიკა ქმნის საეკონომიკურ ომის საშიშროებას, რომელიც ყველას აღარაბობს. მცირედენი ეკონომისტებისა მიუძღობდა იმ აზრს, რომ აშშ იქნება ასეთი პოლიტიკის ინიციატორი, სხვები კი კამათობენ იმაზე, რომ აშშ თავად მიაყენებს საპასუხო დარტყმას, თუ სხვა ქვეყნები სტრატეგიულ პოლიტიკას გამოიყენებენ აგრესიულად. და ბოლოს, შეიძლება კი ამგვარი თეორიები ოდესმე იქნეს გამოყენებული პოლიტიკურ კონტექსტში? ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი მე-9 თავში, სადაც მიზეზები განვიხილეთ იქნა პოლიტიკური სეკპტიციზმის შემთხვევაში, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას იცავდა.

ცხრილი 11-5 ეარბასის სუბსიდირების შედეგი

	ეარბასი		
	ბონგი	აწარმოებს	არ აწარმოებს
აწარმოებს		5	125
არ აწარმოებს		0	0

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა პრაქტიკაში

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის შესახებ თეორიას შიდა ბაზრის წარმატებლობის ანალიზისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაც აისახა მე-9 თავში. პრინციპები მეტად მარტივია, თუმცა დეტალები შეიძლება რთულიც გამოდგეს. ეს სიმარტივე ვერ შეაფერხებს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკას იგი დიდად განსხვავდება თუნდაც იმისგან, რის მიღწევასაც უმეტესი ქვეყნები ცდილობდნენ სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის გატარებით, თავი რომ დავენებოთ იმას, თუ რა წარმატებას მიაღწიეს ამით. შემდეგ მოგაწვდით ზოგ უცნობ ფაქტს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის შესახებ, რასაც მოსყვება რამდენიმე ცნობილი შემთხვევის განხილვა.

იაპონიის სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა

წამყვან განვითარებულ სამეაროში თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იაპონია, რომელმაც ომის შემდგომი სიღუბლიდან და სუსტი ეკონომიკიდან ათწლეულების მანძილზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. განვითარებული ქვეყნებიდან იაპონია ასევე ყველაზე ხილულ სტრატეგიულ სავაჭრო პოლიტიკას ატარებდა. მაგრამ რა იყო იმ პოლიტიკის არსი?

იაპონიის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ იაპონიის სავაჭრო სტრატეგიაში ორი განსხვავებული ფაზა გამოიყოფა. 1950 წლიდან 1970 წლის დასაწყისამდე იაპონიის ეკონომიკა ისე იმართებოდა, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებს უშუალოდ აკონტროლებდნენ რესურსების განთავსებასთან კავშირში. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მთავრობის როლი უფრო რბილი და ბუნდოვანი გახდა. შეცდომა იქნებოდა ელექტრონიკისა და კომპიუტერების წარმოებაში იაპონიის მთავრობის ამჟამინდელი როლის იმავე კონტექსტში განხილვა, რა როლიც მას ეკისრებოდა ფოლადის, გემთმშენებლობისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებში.

იაპონიის წარსული სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. II მსოფლიო ომის დასასრულიდან 1970-იან წლებამდე იაპონია იმართებოდა როგორც „დეფიციტის მქონე“ ეკონომიკა. მაგრამ როგორც უცხოური ვალუტის ფასს, ასევე საპროცენტო განაკვეთსაც იმ დონეზე დაბლა ინარჩუნებდნენ, რა დონეზეც მიწოდება უტოლდებოდა მოთხოვნას. ამდენად, უცხოური ვალუტა და კრედიტი ნორმირებული იყო. ამ მწირი რესურსების განთავსება არსებითად კონტროლდებოდა მთავრობის მიერ, განსაკუთრებით ფინანსთა და ცნობილი საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროთა მიერ. არსებით რესურსებზე კონტროლის უფლებამ ამ სამინისტროებს უდიდესი შესაძლებლობა მისცა, განესაზღვრა ეკონომიკის ზრდის მიმართულება. ეს ძალაუფლება შემდგომ გაძლიერდა ტარიფებისა და იმპორტის შესაზღვრავი მრეწველობის შერჩეული დარგების დასაცავად.

1950-იანი და 1960-იანი წლების განმავლობაში სამინისტროები იყენებდნენ ამ ძალაუფლებას და აგრძელებდნენ განვითარების სტრატეგიას, რომელიც მსგავსი იყო იმისა, რასაც აღბათ ადრე განხილული „კოპულარული“ კრიტერიუმის დამკვეთები შემოგვთავაზებდნენ. მთავრობამ ფონდები წარმართა მძიმე მრეწველობაში ერთ მუშასზე მაღალი დამატებითი ღირებულებით და არ გააკარა ისინი ისეთ ტრადიციულ, შრომინტენსიურ დარგებს, როგორცაა საფეხქრო მრეწველობა. ცდილობდნენ მრეწველობის იმ დარგების მხარდაჭერას, რომლებიც, მათი რწმენით, ასახავდა იაპონიის მომავალ შედარებით უპირატესობას და არა მის დღევანდელ სავაჭრო სტრუქტურას. მრეწველობის შუალედური საქონლის მწარმოებელი დარგები, როგორცაა ფოლადი, განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა.

შედეგი ისტორიის კუთვნილებად იქცა: იაპონია განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა, რასაკვირველია,

სწორედ იაპონიის წარმატება ანიჭებს დამაჯერებლობას ჩვენს მიერ განხილულ პოპულარულ არგუმენტებს.

გადაწყვეტი კითხვაა: აიხსნებოდა თუ არა იაპონიის სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკით ამ ქვეყნის ნამდვილად სწრაფი ზრდა. შეძლებდა თუ არა მისი ეკონომიკა ასევე სწრაფად განვითარებას პოლიტიკის გარეშე? სანამ წარმატებას ძირითადად მივაწერდეთ სტრატეგიულ სავაჭრო პოლიტიკას სიფროსილუ გეგმარობებს. საამისოდ სულ ცოტა ორი მიზეზი არსებობს:

პირველი. არა ვართ დარწმუნებულნი, იაპონიის მთავრობის საქმიანობა ნამდვილად თუ წაიკვანდა ამ ქვეყანას მძიმე მრეწველობისკენ უფრო სწრაფი ტემპით. ვიდრე ეს მოხდებოდა თავისუფალი კონკურენციის პირობებში. იაპონიის სავაჭრო პოლიტიკის სტრატეგია არ ყოფილა გამოყენებული სხვაგვარად დარეგულირებულ ქვეყანაში. მთავრობამ ჯერ განაცალკევა განთავსების ნორმალური არხები (უცხოური ვალუტისა და კრედიტის რაციონალური ნორმირებით), რათა შემდეგ აენახა დაურებიან ბაზრის დეფიციტი ამ რესურსების უშუალო განაწილებით. ზოგი ეკონომისტი ამტკიცებდა, რომ საბოლოოდ იაპონიას იგივე გამოშვება აქონდა, რაც მას ექნებოდა მთავრობის „თამაშგარე“ მდგომარეობაში დარჩენით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრობა შეიძლება იღებდა კიდევ კარგ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, მაგრამ ბაზარიც შეძლებდა მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას, თუ მას თავის ნებაზე მიუშვებდნენ. დამამტკიცებელი საბუთები არსებობს იმისა, რითაც ეს შეხედულება (იაპონიის 1970-იანი წლების სავაჭრო სტრუქტურასთან კავშირში) მართლდება; მაგრამ მდგომარეობა დიდად განსხვავებული არ იქნებოდა სამრეწველო პოლიტიკის გატარების გარეშეც კი, თუ მისი რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების ღონიდან გამომდინარე პროგრესს გააკეთებდით.

მეორე, არსებობს ალბათობა იმისა, რომ იაპონიის მრეწველობის განვითარება მომდინარეობდა ფაქტორებიდან, რომლებიც განსხვავდებოდნენ სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკისაგან და რომ იაპონია ნებისმიერ შემთხვევაში კარგად მოახერხებდა წინსვლას. იაპონიის წარმატების ბევრი მიზეზი არსებობს: მას აქონდა დანახვების უმაღლესი განაკვეთი მსოფლიოში. ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა, სამუშაო ძალისა და წარმოების მმართველობას შორის კარგი ურთიერთობები და ბიზნესზე ორიენტირებული კულტურა. სადაც ეველაზე ამბიციური და ნიჭიერი ადამიანები მთელს ენერჯიას ხარჯავდნენ სააქციონერო საზოგადოების, კორპორაციის ხელმძღვანელობაში. შესაძლებელია, რომ სავაჭრო სტრატეგია მცირე პოზიტიური ფაქტორი ან თუნდაც ეკონომიკური ზრდის მიხრევი იყოს. იაპონიის ეველაზე წარმატებული მრეწველობის დარგების ნაწილი, (კერძოდ, მანქანათმშენებლობა და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა) არ იყო მინიწული მაღალპროდუქტულ დარგებად.

1950-იანი და 1960-იანი წლების იაპონიის პოლიტიკა იმ ქვეყნის სურათს ასახავს, რაც ბევრ ადამიანს შემორჩა მეხსიერებაში. ასეთი ხატი დღეს უკვე მოსვენდა. 1970-იანი წლებიდან იაპონიის სავაჭრო სტრატეგიის ტრადიციულმა ბერკეტებმა ძალა დაკარგა. უცხოური ვალუტა და კრედიტი უკვე აღარ არის მწირი და ნორმირებული მაშინ, როდესაც ვაჭრობის შესაძლებელს გამოყენება სხვა ქვეყნების მოთხოვნით იაპონიამ შეწყვიტა (იაპონიის მიერ ბაზრების გახსნა). სავაჭრო სტრატეგიამ 1975 წლიდან უფრო განსხვავებული და დახვეწილი ფორმა მიიღო.

იაპონიის ამჟამინდელი პოლიტიკა. იაპონიის პოლიტიკა 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან გამიზნული იყო მრეწველობის ახალი დარგების ქსელის „ცოდნა-ინტენსიური“ – ან მაღალი ტექნოლოგიის მქონე დარგების მხარდაჭერისათვის. სტრატეგიული პოლიტიკის იარაღს წარმოადგენდა კვლევისა და განვითარებაზე გაწეული მოკრძალებული სუბსიდიებისა და სახელმწიფო სამრეწველო ერთობლივი კვლევის პროექტების წახალისების კომბინაცია, რომელიც გამიზნული იყო იმედისმოცემი. ახალი ტექნოლოგიების მქონე დარგების განვითარებისთვის. მთელი კომპანია-გაყიდვებით უფრო მცირე მასშტაბის იყო ქვეყნის მთელ ეკონომიკასთან შეფარდებით, ვიდრე ძველი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა.

მაღალი ტექნოლოგიის შერჩევის დასაბუთება მთლად ნათელი არ არის. თავად იაპონელებს არა აქვთ გარკვეული, მაღალ ტექნოლოგიებს ირჩევენ: იმიტომ, რომ ეს არის მომავლის განვითარების სექტორი, თუ იმიტომ, რომ იგი ტექნოლოგიურ გადაღინებას იწვევს. იაპონიის ახალი პოლიტიკის გამართლება უფრო ადვილია ბაზრის წარუმატებლობით, ვიდრე ძველი არგუმენტით.

რა შედეგი მოჰყვება ახალ პოლიტიკას? 1975 წლიდან მრეწველობის არჩეული დარგები იაპონიის ეკონომიკის მცირე ნაწილად რჩება. არც მანქანათმშენებლობა და არც საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა (ტელევიზორები, სტერეოები და ა.შ.) არ წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების ნაწილს, რაც შეიძლება ერთობლივი კვლევის მთავარ საგნად იქცეს. ამდენად იაპონიის სამომხმარებლო პროდუქცია, რამაც აქაური ექსპორტის წარმატება ასე ხილული გახდა, არ ასახავს ახალი ტექნოლოგიის პოლიტიკას. იაპონია გახდა ზოგი ისეთი სახის ნაწარმის მნიშვნელოვანი მწარმოებელი, სადაც სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ამასთან ეველაზე (კნობილი და მნიშვნელოვანია ნახევარგამტარი ნივთები (კომპიუტერის დეტალი), რასაც დაწვრილებით განვიხილავთ.

ეს მოკლე მიმოხილვა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იაპონიის პოლიტიკის რეალობის შესახებ. იაპონია ხშირად მინიწულია ეველაზე ორგანიზებულ ქვეყნად მილიტარიზმის თვალსაზრისით, რომელიც ცენტრიდან იმართება ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ამ შეხედულებამ გადაჭარბებულად წარმოაჩინა იაპონიის

მთავრობის როლი, თუნდაც მისი ყველაზე დიდი ზეგავლენის პერიოდის დროს და დღეს კიდევ უფრო გადაჭარბებულად აფასებს მას.

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა სსსრ კმეყნებში

ომის შემდგომ პერიოდში სხვა ქვეყნებში მოქმედებდნენ სტრატეგიულ სავაჭრო პოლიტიკას გარკვეულ დონეზე. თუმცა არც ერთს არ ახასიათებდა მთავრობის მხრიდან კონტროლი, ან ისეთი წარმატება, რასაც მიაღწია იაპონიამ. საფრანგეთმა გაატარა სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა ენერჯიულობის სხვადასხვა ხარისხით. აშშ-ც მისდევს ამ პოლიტიკას, თუმცა ზუსტი სავაჭრო სტრატეგიის გარეშე (აღსანიშნავია სოფლის მეურნეობისა და სამხედრო შესყიდვების მხარდაჭერა), რაც ზოგიერთი დამკვერვების შეხედულებით, სტრატეგიულ სავაჭრო პოლიტიკას ჩამოკავს.

საფრანგეთის სამრეწველო პოლიტიკა. საფრანგეთი უკვე დიდი ხანია ატარებს მრეწველობის განსაზღვრული დარგების ხელშეწყობის პოლიტიკას. მისი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის ასპექტი, რომელმაც დიდი ყურადღება დაიმსახურა, წარმოადგენდა მთავრობის მხრიდან ძალისხმევას მხარი დაეჭირა ფრანგული ფირმებისთვის უცხოურ ფირმებთან ტექნოლოგიურ კონკურენციაში. 1960-იანი წლებიდან მთავრობა წახდია, რომ მსოფლიო ტექნოლოგიაში გაბატონდებოდნენ აშშ-სა და იაპონიის კომპანიები. ამ მდგომარეობის აღსაქვეთად მთავრობა შეეცადა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ არსებობენ მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის გამწევი ფრანგული ფირმები, რომლებსაც „ეროვნულ ჩემპიონებს“ ეძახიან. ეროვნული ჩემპიონების შესაქმნელად მთავრობამ მხარი დაუჭირა უფრო მცირე ფირმების შერწყმას დიდ ერთეულებთან. მან ასევე გამოიყენა თავისი ზეგავლენა პრივილეგირებული ბაზრების შესაქმნელად; მაგალითად, სახელმწიფოს მმართველობაში არსებულ სატელეფო კომპანიას მოსთხოვა, რომ თავისი ტელეკომუნიკაციები და კომპიუტერული მოწყობილობანი შეესყიდა მხოლოდ საფრანგეთის ფირმებიდან. რამდენიმე შემთხვევაში (მაგალითად, თვითმფრინავების) ექსტენსიური სამთავრობო სუბსიდიები გამოიყენებული იყო მრეწველობის ძირითადი დარგების ხელშესაწყობად.

საფრანგეთის სამრეწველო პოლიტიკა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა 1970-იანი წლების ბოლოს, მიაღწია რა ზრდის დონეს, რომელიც ოდნავ აღემატებოდა გერმანიისას და გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ბრიტანეთისა. მას შემდეგ საფრანგეთში იყო დიდი უმრავლესობა, მაგრამ ეს პრობლემა საერთო იყო ევროპის თითქმის ყველა ქვეყნისათვის. საფრანგეთთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ეკონომიკამ, როგორც მთელმა, კარგად იმოქმედა, მთავრობის მიერ ამორჩეული დარგებმა – არა. საფრანგეთის კომპიუტერული მრეწველობა დაცული რჩება ბაზრებზე და სააეიაციო მრეწველობის განვითარების მცდელობამ ტექნოლოგიურ წარმატებას მიაღწია მხოლოდ დიდი სავალუტო დანაკარგების ხარჯზე.

აშშ-ს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. აშშ-მ ყალღებულება აიღო, რომ მისი ბაზრის იდეოლოგია თავისუფალი იქნებოდა და არ დაუშვებდა მთავრობის მხრიდან ეკონომიკის წარმართვას მისი ნებისამებრ, რაც შეინიშნებოდა იაპონიის განვითარების აღრეულ ფაზაში. მიუხედავად ამისა, არის სფეროები, სადაც აშშ-ს მთავრობა მრეწველობის დარგების სტიმულირებაში მთავარ როლს თამაშობდა.

ამ დარგებიდან ყველაზე ღირსშესანიშნავია სოფლის მეურნეობა. აშშ-ს მთავრობა აქ ყველაზე მეტად მიუახლოვდა იმ სახის სტრატეგიულ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ გაეუწვედით რეკომენდაციას აღრე განხილულ პოპულარულ კრიტერიუმზე დაყრდნობით. გაიხსენეთ, რომ ცოდნის შესაბამისობის პრობლემაში შეიძლება გამოიწვიოს მრეწველობის საქმიანობაში ჩარევა. სოფლის მეურნეობაში, რომელიც ძირითადად საოჯახო ფერმების საქმიანობად რჩება, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვევა: ფერმების გამოგონებას შეიძლება ათასობით ადამიანმა მიჰბადოს, რომლებიც სარგებელს მიიღებენ რისკის გარეშე. ამ პრობლემის შესამცირებლად აშშ-ს მთავრობა დიდი ხანია ჩაერთო სოფლის მეურნეობის კვლევისა და გაუმჯობესებული ტექნიკის გავრცელებაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის სერვისის მეშვეობით. ასევე, მთავრობამ წამყვანი როლი იკისრა ისეთ ფართომასშტაბიან პროექტებში, როგორიცაა საირიგაციო ნაგებობანი, რომლებიც მოითხოვენ კოლექტიურ შრომას. ასეთი ჩარევა მშენიერად ესადაგება ბაზრის წარუმატებლობის სტრუქტურას და რეკომენდირებულია თავად ეკონომისტების მიერ, რომლებიც სექტიკურად ეკიდებოდნენ მთავრობის ჩარევას.

აშშ-ს მთავრობის მეორე მთავარი როლი არის თავდაცვა. მას უფრო დიდი ეროვნული შემოსავალი აქვს, ვიდრე სხვა სამრეწველო ქვეყნებს და ის შეფარდებით მეტსაც ხარჯავს თავდაცვაზე აშშ-ის მთავრობა დაცილებულია მსოფლიოს სამხედრო ტექნიკისა და იარაღის უდიდეს ბაზრებს. გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ისეთი სამხედრო საქონლის წარმოებით, როგორიც არის სამხედრო თვითმფრინავები, რომელთა გამოშვებასაც დიდი მასშტაბის ეკონომია სჭირდებათ. სოგ შემთხვევაში საუარაუდოა, რომ ამ ქვეყნის დანახარჯები სამხედრო საქონელზე დაეხმარება აშშ-ის ფირმებს უპირატესობის მიღებაში სამოქალაქო ბაზრებზეც. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამოქალაქო თვითმფრინავი, ბოინგი 707 (პირველი ცალი აიგო 1960 წელს) თავის წარმატებას უნდა უმაღლოდეს მანამდე გამოგონილ სამხედრო თვითმფრინავს (B-52 ბომბდამშენი). სამხედრო ბაზარი, რასაკვირველია, სოგჯერ ეხმარება აშშ-ის ფირმებს, მიიღონ მასშტაბის ეკონომია, რაც ეხმარება მათ საქმიანობას სამოქალაქო ბაზრებზე – ბოინგ 707-ის წარმოება კვლავაც გრძელდება მისი სამოქალაქო რეალიზაციის დამთავრებიდან დიდი ხნის შემდეგ.

როგორც AWACS-ის მსგავსი თვითმფრინავისა. სამხედრო კვლევა და განვითარება აშშ-ის ფირმებს ამდღევანდებს ცოდნით, რომლის გამოყენებაც მათ ეველგან შეუძლიათ. ნეულებრივ, სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის საკითხებში ამ ეფექტების რაოდენობრივი მნიშვნელობა საკამათო საკითხია. ევროპელმა კონკრეტორებმა, რომლებიც სოფჯერ გრძნობენ, რომ აგებენ შეჯიბრებას აშშ-თან და იაპონიასთან, აღიარებენ, რომ სინამდვილეში აშშ-ს ისეთივე ეფექტური სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა აქვს, როგორც იაპონიას.

HDTV-ის (მაღალი კლასის ტელევიზიის აპარატურა) შესახებ კამათი

1988 და 1989 წლებში აშშ-ის ტექნოლოგიის შეფერხებასთან დამოკიდებულება ევროპელის ცენტრში მოექცა იმიტომ, რომ აშშ-ის ელექტრონიკის ფირმებმა მიიღეს გადაწყვეტილება, კონკურენცია არ გაეწიათ აღმოცენებად ბაზრებში HDTV-ისთვის.

HDTV რეალურად გზავსაყარი იქნება ტელევიზორსა და კომპიუტერს შორის. ის მიიღებს ციფრობრივ სიგნალს, დაამუშავებს მას და შექმნის გამოსახულებას, რომელიც დაახლოებით ორჯერ უფრო მაღალი ხარისხის იქნება, ვიდრე არსებული ტელევიზორისა. ენთუსიატები ამტკიცებენ, რომ ახალი ტექნოლოგია მოახდენს როგორც სამომხმარებლო, ასევე კომერციული მიზნებისთვის გამოყენებულ ელექტრონიკის ტრანსფორმირებას. მაგალითად, მაშინ როდესაც HDTV-ის შემოქმედება მხოლოდ უმნიშვნელო იქნება არსებული სიდიდის ტელევიზორების გამოსახულებაზე, ეს დიდი განსხვავებით აღინიშნება უფრო დიდი ზომის ტელევიზორებისთვის; თუ ახალი ტექნოლოგიები ფართო, ბრტყელკრანიაანი ტელევიზორებისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით პრაქტიკული გახდება, მაშინ ისინი მითხოვენ და მხარს დაუჭერენ HDTV ტექნოლოგიის გამოყენებას. მსგავსად ამისა, HDTV მნიშვნელოვანი იქნება საქმიანი კომპიუტერის გამოყენებულ ისეთ დარგებში, სადაც წარმოსახვის ხარისხი გადამწყვეტია.

1989 წელს, როდესაც იაპონიისა და ევროპის ფირმები მნიშვნელოვან თანხებს აბანდებდნენ HDTV-ის განვითარებაში, აშშ-ის ფირმები ასე არ იქცოდნენ. ამან გამოიწვია იმ შეხედულების ფართოდ გაერცვლება, რომ აშშ კიდევ ერთხელ წააგებდა ტექნოლოგიურ სრბოლას და საჭირო გახდებოდა მთავრობის მიერ პროგრამის სუბსიდირება აშშ-ის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად HDTV-ში.

HDTV წარმოადგენს ნათელ ილუსტრაციას იმისა, თუ რა რთულია სავაჭრო პოლიტიკის გატარება. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის კარგი მაგალითია HDTV, რომელსაც, ერთი შეხედვით, მქონდა მრეწველობის ყველა მახასიათებელი, რაც გამოადგებოდა მიზნის შერჩევისათვის. საკამათო არ არის, რომ იგი მრეწველობის მაღალი ტექნოლოგიების მქონე ისეთი დარგი იყო, რაც ადგილობრივად ბაზრების შექმნით, ალბათ, ქმნიდა გარე ეფექტებს იმ ტექნოლოგიით, რომელსაც თავად ავითარებდა და ასევე სხვა მაღალი ტექნოლოგიების პროდუქციისთვის, როგორცაა ნახევარგამტარები. ეს თითქოს წმინდა კონცენტრირებული მრეწველობა იყო; ასე რომ, სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის არგუმენტი შეიძლება გამოყენებინათ HDTV-ის სასარგებლოდ. კონგრესის მრავალი წევრისთვის აშშ-ის მიერ HDTV-ის წარმოების განვითარების სუბსიდირება ყოველსმომცველი ჩანდა.

და მაინც, სერიოზული ეჭვები გაჩნდა. სკეპტიკოსები – აღნიშნავდა კონგრესის ბიუჯეტის უწყება – ეჭობდნენ HDTV-ის ბაზრის შესაძლო სიდიდის შესახებ.

უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ თუნდაც HDTV-ის ბაზარი ისე დიდი აღმოჩნდეს, როგორც ნეულებრივი ტელევიზორებისთვის, ის მაინც იქნება ჯერ კიდევ მაღალი ტექნოლოგიების საქონლის სახეობათა ბაზრის მცირე ნაწილი, ძირითადად ნახევარგამტარებისა, რომლისთვისაც მისი განვითარება დამატებითი აღმოჩნდება. HDTV-ის პროგრამის დამცველები თვლიდნენ, რომ HDTV-ი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა განსაზღვრული სპეციალიზებული გამოყენებისთვის, რაც შემდგომ წარმოქმნიდა მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ განსაზღვრული ტექნოლოგიური დარგების გარე ეფექტებს.

კამათის ერთი განსაკუთრებული ასპექტი იყო ამერიკული ნაწარმის საკითხი. თუ არ შემუშავდებოდა აშშ-ს მთავრობის პროგრამა HDTV-ის მხარდასაჭერად იაპონიისა და ევროპის ფირმებს მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება შეუძლიათ. ამ ფირმების პროდუქციის დიდი ოდენობის დამზადება მოხდებოდა აშშ-ში, სადაც გაყიდული ფერადი ტელევიზორების უმეტესობა გამოშვებული იქნებოდა უცხოური ფირმების მიერ. აქ მთავარი გამოწვევისაა აშშ-ის ფირმა „უნიტის“ მიერ მექსიკაში გამოშვებული ტელევიზორები. HDTV-ის პროგრამის როგორც დამცველები, ასევე ოპონენტები შეთანხმდნენ, რომ HDTV-ის წარმოება აშშ-ის ბაზრისთვის ამავე ქვეყანაში უნდა მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოიგებდა ტექნოლოგიურ შეჯიბრებას. ამდენად HDTV-თან დაკავშირებული კამათი რეალურად ეხებოდა როგორც დავას უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, ასევე სამრეწველო პოლიტიკის შესახებ.

ტექნოლოგიის საოცარმა განვითარებამ HDTV-ის სისტემები, რომელსედაც იაპონია და ევროპა მოეშობდნენ, მოძველებული გახადა მის დანერგვამდე. მონაცემების შეკრმვის ახალმა მეთოდებმა

სრულიად შეცვალა თამაშის წესები. დაეუშვათ, ქსელი გადასცემს სატელევიზიო შოუს, სადაც მსახიობები რამდენიმე წუთს ჩანან ლაჟვარდი ცის ფონზე. ძველი მეთოდით რამდენიმე ათასი სიგნალი იგზავნებოდა თითოეული წამის განმავლობაში, რათა ეკრანის ერთი ციკქნა ფართობი ცისფრად შეღებულიყო. ახალი მეთოდი „ტკვიან“ ტელევიზორს ინფორმაციას უგზავნის: „ეკრანის მთელი სუდა მარცხენა ნაწილი უნდა გაცისფერდეს მომავალ შენიშვნამდე“. ინფორმაციისა და დროის ასეთი შეკუმშვით აღმოჩნდა, რომ HDTV-ის შემოღება. აღრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო იაფი დაჯდება და ნაკლები დასჭირდება მაუწყებლობის არსებულ სისტემას.

ბუდის ორმაგი ირონია: ამჟამად (წიგნის წერის პროცესში) აშშ-ის ფირმები მოწინავენი არიან მონაცემების შეკუმშვის მეთოდის განვითარებაში, რამაც დიდი გამოყენება ჰპოვა პრესაში, მულტიმედიაში, ვიდეოკონფერენციების მოწყობასა და ინტერნეტში. ამჟამად, ტელევიზიის მეშვეობით ხელახლა განიხილავენ HDTV-ის აუ-კარგს. ისე კი, მაყურებლები ამჯობინებენ გამოსახულების არსებული დონის შენარჩუნებას, მაგრამ პროგრამების უფრო დიდი არჩევანს.

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა: საკითხის შესასწავლისათვის

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა გამოიყენებოდა მრეწველობის მრავალ დარგში. ევოლუციის გზაზე თუ რა სიძნელეები ხედება ამ პოლიტიკის გატარებას, შევისწავლეთ სამი მაგალითი: იაპონიის მიერ ფოლადის მრეწველობის შერწყვა 1960-იან და 1970-იანი წლების დასაწყისში, ევროპელების მიერ თეთმფრინავების წარმოებისათვის მხარდაჭერა და იაპონიის მიერ ყურადღების გადატანა ნახევარგამტარების წარმოებაზე 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლებში.

საკითხის შესასწავლისათვის

იაპონიის მიერ ფოლადის მრეწველობის პრიორიტეტულ დარგად არჩევა

იაპონიის მთავრობამ ფოლადის წარმოება, როგორც პრიორიტეტული განვითარებადი დარგი, შეარჩია 1950-იანი წლების დასაწყისში. ეს წარმოება გასამრავლა 1963 წლიდან 1970 წლამდე არა მარტო ადგილობრივი ეკონომიკის სწრაფად მსარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ ქვეყნის გადასაქცევად მსოფლიოს უდიდეს ექსპორტიორად. ეს განვითარება განსაკუთრებული იყო, თუ გაეითვალისწინებთ, რომ რესურსებით ღარიბ იაპონიაში ფოლადის საწარმოებლად ყველა ნელეული იმპორტირებული უნდა ყოფილიყო სხვა ქვეყნიდან. როდესაც 1973 წლის ენერგოკრიზისის შემდეგ ადგილი ჰქონდა მსოფლიო ფოლადის ჭარბწარმოებას, იაპონიის მრეწველობა ყველაზე თანამედროვე ქარხნებს ამუშავებდა, ყველაზე დაბალი წარმოების ხარჯები ახასიათებდა და ამდენად შეეძლო გაეგრძელებინა წარმატებული საქმიანობა ისეთ გარემოში, სადაც ადგილობრივი ქვეყნის ფოლადის მრეწველობა ან მკვეთრად მცირდებოდა (როგორც აშშ-ში) ან იარსებებდა სახელმწიფო სუბსიდიის მხარდაჭერით (როგორც ევროპაში).

ეს გამოცდილება ორ კითხვას ბადებს: წარმოადგენდა თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა ფოლადის მრეწველობის სწარფი ზრდის მიზეზს და იყო კი ეს პოლიტიკა კეთილსიმყოფელი იაპონიის ეკონომიკისათვის? ადრე აღწერილი იაპონიის სავაჭრო სტრატეგიიდან გამომდინარე უნდა ვეკითხოთ: მთავრობის მიერ ფოლადის მრეწველობის არჩევამ წაიყვანა თუ არა ეკონომიკა იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც საბაზრო ძალები წაიყვანდნ მას ნებისმიერ შემთხვევაში. იაპონია, ალბათ, ძიადქვედა შედარებით უპირატესობას ფოლადის წარმოებაში თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაშიც კი. ერთი მხრივ, დასოკვის მაღალმა ნორმამ იაპონიას მისცა მსარდი შედარებითი უპირატესობა მრეწველობის ისეთ კაპიტალიზტენსიურ დარგში, როგორც იყო ფოლადის წარმოება. მეორე მხრივ, ტრანსპორტზე კლებადმა ხარჯებმა და ქვანახშირისა და რკინის ახალი საბადოების აღმოჩენამ ნაკლებად საჭირო გახადა ფოლადის მრეწველობის ახლოს განლაგება აღნიშნულ საბადოებთან. ამდენად, იაპონიას შეეძლო ჰქონოდა ფოლადის მსარდი წარმოება მთავრობის ჩაურევლადაც. მაგრამ მაინც მისასალმებელი იყო, რომ იაპონიის მთავრობამ მხარი დაუჭირა ფოლადის წარმოების უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს ასრი დასტურდება იმ დაკვირვებით, რომ იაპონიის ფოლადის წარმოება სწრაფად წავიდა წინ მოუხედავად მოგების ნორმისა, რომელიც არსებითად საშუალოზე დაბალი იყო ამ ქვეყნის გადამამუშავებელი წარმოების ნორმასთან შედარებით.

უფრო მნიშვნელოვანი საკითხია: დააჩქარა თუ არა სავაჭრო პოლიტიკამ იაპონიის ეკონომიკური ზრდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, მნიშვნელოვანია, სიფრთხილე გამოვიჩინოთ. აღვნიშნავთ, რომ პოლიტიკა წარმატებული იყო, რადგან განავითარა ფოლადის წარმოება, ეს არ იქნება პასუხი შეკითხვის არსის გათვალისწინებით. კითხვა სხვა რამესაც გულისხმობს: გამოიწვია თუ არა მან იაპონიის ეკონომიკის, როგორც მთელის, ზრდის დაჩქარება ან ფოლადის მრეწველობაში გამოყენებულმა

რესურსებმა მოუტანა თუ არა უფრო მაღალი მოგება საზოგადოებას, ვიდრე ამას მრეწველობის ნებისმიერი სხვა დარგი შეძლებდა?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფოლადის წარმოებაში გამოყენებული რესურსებით მიღებული უკუგება არ იყო ისე მაღალი, როგორც უკუგება იმავე რესურსებიდან, რომელიც ნებისმიერ სხვა დარგს სჭირდებოდა. თუნდაც 1960-იან წარმატებულ წლებში ფოლადის წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალი გამოიმუშავებდა უკუგების ნორმას, რომელიც მხოლოდ ცოტა მეტი იყო, ვიდრე მოგების საშუალო ნორმა იაპონიის გადაამუშავებულ მრეწველობაში, ხოლო მოგება უფრო დაბალი იყო 1970-იან წლებში. იაპონიის მთავრობის მიერ ფოლადის წარმოების ხელშეწყობა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, თუ იარსებებდა ზღვრული სოციალური სარგებელი, რომელიც არ იყო ჩართული ბაზრის ამონაგებში.

ეკონომისტებმა, რომლებმაც ეს საკითხი შეისწავლეს, ვერ გამოიყვეს მნიშვნელოვანი ზღვრული სოციალური სარგებელი. ფოლადი არის მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგი, რომელმაც შეიძლება მიიღოს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გარე ეფექტები. აქ ასევე არ ჩანს მაღალი ამონაგები, რომელიც უნდა გამოსტაცონ უცხოელ კონკურენტებს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის მეშვეობით. სამუშაო ადგილების შექმნას არ მოსყვება დამატებითი სარგებელი იაპონიაში, რადგან ეკონომიკაში მანამდე უკვე იყო სრული დასაქმება. სოციალური სარგებელის საფუძვლიანი წყაროს განსაზღვრამდე ფოლადის წარმოების განვითარების მიზნად დასახვა, მრეწველობის ზრდის მიუხედავად, შეცდომა იყო, რაკი მან გადაიტანა რესურსები ისეთ სფეროებში, სადაც მათი ამოგება უფრო დაბალი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას და ამდენად მოქმედებდა, როგორც იაპონიის ეკონომიკის წინსვლის მუხრუჭი.

იაპონიის ფოლადის წარმოება ჭკუის სასწავლებელი მაგალითია. იგი შეგვახსენებს, რომ სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკით გამოწვეული ეკონომიკური წარმატება არ შეიძლება გაიზომოს უბრალოდ მის ზრდას ან მრეწველობის შერჩეული დარგების საბაზრო წილზე დაკვირვებით.

საკითხის შესწავლისათვის

ევროპის მხარდაჭერა ავიაციის განვითარების მიმართ

თვითმფრინავების წარმოებაში აშშ-ს გაბატონება მისი ტექნოლოგიური წარმატების სიმბოლოა, რომელიც განსაკუთრებით ხელშესახებია პოლიტიკის შემქმნელებისათვის, რადგან ისინი დროის უმეტეს ნაწილს ფრენაში ატარებენ. გასაკვირი არ არის, რომ ევროპული სახელმწიფოები დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ, განეითარებინათ თვითმფრინავების წარმოება, რომელიც კონკურენციას გაუწევდა აშშ-ს ფირმებს. 1950–1960-იან წლებში ასეთი მცდელობა ქვეყნის დონეზე განხორციელდა მცირეოდენი წარმატებით. 1960-იანი წლების ბოლო პერიოდიდან ორჯერ იყო ერთობლივი მცდელობა მთავრობების მიერ დაფინანსებული ავიაციის განვითარებისა ევროპაში.

ევროპის სახელმწიფოთაგან ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეკავშირება მიზნად ისახავდა ზებეკრითი სამგზავრო თვითმფრინავის ერთობლივ შექმნას, რაც ტექნოლოგიურად შესაძლებელი გახდა 1960-იანი წლების ბოლოს, მაგრამ კერძო თვითმფრინავების მწარმოებლები დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ ამ საქმიანობის გაგრძელება მომგებიანი იქნებოდა. პოლიტიკური კამპანია, მიმართული იქით, რომ ამერიკის მთავრობას დაეფინანსებინა ამ თვითმფრინავის გაუმჯობესებასე მუშაობა, წარმატებული აღმოჩნდა. ევროპაში საფრანგეთი და ბრიტანეთი შეთანხმდნენ საკმაოდ მძიმე სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე. გარკვეულ დრომდე მხარეებს ტექნიკური გადადენის იმედი ჰქონდათ. ამაზე მნიშვნელოვანი კი იყო ამ პროექტის წარმატება და ასევე „კონკორდის“, როგორც ევროპული თანამშრომლობის სიმბოლოს, გამარჯვება.

კომერციული თვალსაზრისით შედეგები დამღუპული გამოდგა. „კონკორდი“ ძალიან ძვირადღირებული თვითმფრინავია და ფრენის დროს რამდენიმე საათის დასოგვა ვერ ფარავს ხარჯებს. მხოლოდ რამდენიმე „კონკორდი“ გაიყიდა და ისიც ბრიტანეთისა და საფრანგეთის („ბრიტიშ ეარვეის“, „ეარფრანსი“) სახელწიფო ავიაკომპანიებმა შეიძინეს. ამ თვითმფრინავთან დაკავშირებით კარგი რაც შეიძლება ეთქვას, ის არის, რომ მის განვითარებას ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების გადადინება მოსყვება ევროპის მომავალი თვითმფრინავის, „ეარბასის“, წარმოებაში.

„ეარბასი“ არის ევროპის ქვეყნების მთავრობების კონსორციუმი. იგი ქმნის დიდი ზომის სამგზავრო თვითმფრინავებს, რომლებიც კონკურენციას უწევენ აშშ-ს ფირმების პროდუქციას. კაპიტალისა და სხვა სახის დანახარჯები სეზონირებული იყო წვერი ქვეყნების მიერ. მაშინ, როდესაც მთავრობათა მხარდაჭერის დიაპაზონი მნიშვნელოვანი კამათის საგანი იყო (ევროპული სახელმწიფოები ამტკიცებენ, რომ იგი გაცილებით უფრო მცირე იყო აშშ-ს მანქანებზე, ცოტა ეინმე თუ დატყუდებოდა, რომ „ეარბასი“ მხოლოდ სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის მაგალითად იქცეოდა. ამ პროგრამამ „კონკორდის“ პროექტისაგან განსხვავებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, თუმც თავად „ეარბასი“ არ არის გოლიათი ბონინგ – 747-ის ასლი. უფრო მცირე ზომის ეარბასის კლასის სამგზავრო რეაქტიული

თვითმფრინავები, რომელთაც ბაზრის მნიშვნელოვანი წილი აიღეს, ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემებითა და საექსპლუატაციო ხარჯებით შეიძლება შეედაროთ აშშ-ს თვითმფრინავებს. მომგებიანობა მეორე საკითხია. „ეარბასის“ ანგარიშსწორება განზრახ არ არის გამჭვირვალე, მაგრამ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იგი დამოკიდებული იყო სამთავრობო სუბსიდებზე და ევროპული სახელმწიფოების მიერ ხესხად მიცემულ კაპიტალზე, რაც მხოლოდ მცირედ ანაზღაურდა.

„ეარბასის“ პროგრამის წარმატებულობის ახსნა ბრენდერ-სპენსერის ანალიზით არ გამოდგება, რადგან კომპანიამ ეერ მიიღო ჭარბი მოგება და ფაქტიურად იმაზე ნაკლები გამოიმუშავა, ვიდრე ბაზრის ამოგება იყო კაპიტალის მიმართ. ასევე უსარგებლოა იმ არგუმენტის მოშველიება, რომ სხვა სექტორებში ძლიერ ტექნიკურ გადაღინებას ჰქონდა ადგილი. ავიაციის მრეწველობაში გამოყენებული ტექნოლოგია იმდენად სპეციფიკურია, რომ მას ეერ გამოიყენებენ მრეწველობის ნებისმიერ დარგებში. მიუხედავად ამისა, სოფი ანალიტიკოსი ამტკიცებდა, რომ „ეარბასმა“ წმინდა მოგება მოუტანა ევროპის ეკონომიკას ორი მიზეზის გამო: პირველი, მას რომ არ შეექმნა კოკურენტული ბაზარი ავიაციაში, „ბოინგი“ ეერ შექნიდა მონოპოლიურ მდგომარეობას. მეორე, ავიაციაში მომუშავეებს მაღალ ხელფასებს უხდიან, ამდენად ხელფასის დიფერენციალური განაკვეთის არგუმენტი ამ დარგის სასარგებლოდ მეტყველებს. ასეთი შეფასებითაც კი, ეარბასის პროგრამიდან მიღებული მოგება ძალიან მცირე იყო ევროპული ეკონომიკის მასშტაბთან შედარებით.

დაბოლოს: „ეარბასით“ დაინტერესებამ და არსებული მდგომარეობის მოჩვენებითა სიმარტივემ – შეზღუდული დიაპაზონის ორ მთავარ მწარმოებელს უბიძგა, რომ შეექმნათ ავიაციის მრეწველობის რენტაბელური თეორიული მოდელები. ეს მოდელები მეტად არადამაკმაყოფილებელი იყო მრეწველობის ისეთი ძირითადი მახასიათებლების ახნის დროს, როგორცაა: ფასდადგენის პოლიტიკა და საინვესტიციო გადაწყვეტილებები. მთელი ამ ეპიზოდის შემდეგ გასაგები უნდა გახდეს, თუ რა რთულია მრეწველობის არსში ჩაწვდომა.

საკითხის შესავლისათვის

იაპონიის მიერ ნახევარგამტარების წარმოების არჩევან (1970-იანი წლების შუა პერიოდიდან)

როგორც ადრე აღვნიშნეთ, 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან იაპონიის მიერ სამრეწველო პოლიტიკის შეცვლის შედეგად მისი ყურადღების ცენტრში მოექცა მაღალი ტექნოლოგიების მქონე დარგები. ყველაზე ცნობილი და საკამათო იყო ნახევარგამტარების წარმოების არჩევანის საკითხი. ნახევარგამტარები (ჩიპსები) წარმოადგენენ ახალი ნაწარმის მრავალი სახეობისათვის ძირითად კომპონენტს. 1970-იანი წლების შუა ხანებამდე ასეთი ჩიპსების წარმოების ტექნოლოგია აშშ-ს მონოპოლია იყო. იაპონიამ განიზრახა ამ დარგში შეჭრა მთავრობის მიერ ერთობლივი საკელევი პროექტების დაფინანსებით და საწყის ეტაპზე მიანიჭა შიდა ბაზრის დაცვის უზრუნველყოფით. 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში იაპონელმა მწარმოებლებმა ერთობ განაცვიფრეს ამერიკელი კონკურენტები, რადგან ბაზრის დომინანტური წილი დაიკავეს ერთი სახის ჩიპსების წარმოებით.

ფაქტია, იაპონიამ აირჩია ნახევარგამტარები და მრეწველობამ გაინაღდა დიდი საბაზრო წილი. მწვავე კამათი გამოიწვია იმან, თუ რა ოდენობის მხარდაჭერა მიიღო რეალურად იაპონიის მთავრობისაგან მრეწველობამ, რამდენად გადამწყვეტი გამოდგა იგი და დაეხმარა თუ არა იაპონიას ან ზიანი მიაყენა თუ არა აშშ-ს.

ვიცი, რომ მთავრობამ იგი დიდი ოდენობის ფულით არ უზრუნველყო. მიზნის არჩევის დროს სუბსიდირების კომპონენტი რეალურად ძალიან მცირე იყო და შიდა ბაზრის დაცვა ტარიფებითა და ქვოტებით აღკვეთილ იქნა მხოლოდ 1970-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ. ფაქტიურად, იაპონიის ნახევარგამტარების მრეწველობამ წარმატებას მიაღწია მთავრობის მხრიდან მცირე დახმარებით, თუმცა, სოფის აზრით, ეს დახმარება გადამწყვეტი იყო. ამ შეხედულების დამცველები იმასაც ამტკიცებენ, რომ ერთობლივი საკელევი პროექტები, რომელთა ბლოკირებაც შეიძლებოდა, აშშ-ში ანტიტრესტული კანონებით, მეტრისმეტად ეფექტიანი გზა იყო ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის. იაპონიის ბაზარი მთავრობის მხარდაჭერით გონიერულად იყო დახურული ჩემი პოლიტიკის – „იყიდეთ იაპონური!“ – მეშვეობით. დამამტკიცებელ საბუთად მათ ის ფაქტი მოსკავთ, რომ აშშ-ს ფირმებს გაცილებით მცირე საბაზრო წილი ჰქონდათ იაპონიაში, ვიდრე აშშ-ში ან ევროპაში.

ეკონომისტებმა არ იციან, ამ შეხედულებათაგან რომელია სწორი. თუ დაეუწყებთ, რომ სამთავრობო პოლიტიკა ფაქტიურად დამღუპველი იყო, იქვე ჩნდება კითხვა – ნუთუ ეს მართლა ასეა?

როგორც ეს ყოვლადის წარმოების შემთხვევაში აღვნიშნეთ, იაპონიის ინვესტიციების პირდაპირი

მოგება ნახევარგამტარების წარმოებიდან საკმაოდ დაბალი იყო. 'სუსტ ციფრებს' ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ სარწმუნოა, რომ იაპონურმა ფირმებმა მოგების მცირე ნორმა მიიღეს ნახევარგამტარებიდან 1970-იანი წლების ბოლოს.

მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლისათვის გავრცელებული იყო 'შეხედულება', რომ იაპონიამ დიდ წარმატებას მიაღწია ნახევარგამტარების არჩევით. ეს აზრი ემყარებოდა ორ შეხედულებას: პირველი, ეგონათ რომ იაპონიის ღრმადი ბაზარზე მეხსიერების ჩიპებით მქარა იყო. ნახევარგამტარები ერთ-ერთი იმ სუპერმენტოვანი იყო, რაშიც მასშტაბის ეკონომია სტაბილურად იხრდებოდა ბაზრის 'სომასთან' შეფარდებით და სადაც კონკურენტთა რაოდენობა მცირდებოდა თითოეულ წარმატებულ ტექნოლოგიურ თაობაში. დამკვირვებლები მოელოდნენ, რომ 1990 წლისთვის ბაზარზე გაბატონებული იაპონიის ფირმები კვლავაც შეინარჩუნებდნენ პირველობას. მეორე, მეხსიერების ჩიპების უდიდესი მოცულობით წარმოება (რომ არ დაეკარგა საწარმოო ტექნოლოგიის უპირატესობა) დამლუქველი გამოდგებოდა ქვეყნისათვის – ანუ მიღწეული წარმატება მალე გადაიქცეოდა მთელი ნახევარგამტარების მრეწველობის გაბატონებად იაპონიის მრეწველობაში.

ყველას გასაოცრად, იაპონიის საბაზრო წილი შემცირდა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. ერთი მხრივ, აღმოჩნდა, რომ შედარებით მარტივი, მასიურად წარმოებული ჩიპების გამოშვება შესაძლებელი იყო განვითარებად ქვეყნებშიც (სამხრეთ კორეის ფირმებმა იაპონიას ბაზრის მნიშვნელოვანი წილი წაართვეს). მეორე მხრივ, მეხსიერების ჩიპების წარმოება სხვა სახეობის ნახევარგამტარების დასამზადებლად ნაკლებმნიშვნელოვანი გამოდგა, ვიდრე ეს ეგონათ. აშშ-ს ფირმები, რომლებიც არ აწარმოებდნენ ჩიპებს, აძლიერებდნენ და აფართოებდნენ ტექნოლოგიურ უპირატესობას სხვა სახის პროდუქციის წარმოებაში, როგორცაა ე.წ. ASIC-ის მოდიფიკაციების მიკროპროცესორები.

ნახევარგამტარების გაკვეთილი ყურადსაღები აღმოჩნდა. 1990-იან წლებში იაპონიის მრეწველობას განიხილავდნენ, როგორც წარმატებულს და სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის მაგალითს. მაგრამ ეს შეფასება საკმაოდ გაზვიადებული იყო.

სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის ეს მოკლე მიმოხილვა ყოველს მომცველი არ არის. თითოეული მაგალითი შემდეგი მნიშვნელოვანი შეხედულებების ილუსტრირებას ახდენს: სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა არ შეიძლება განსჯათ იმის საფუძველზე – გაიზარდა თუ არა მრეწველობის არსებული დარგი. ყველა მოყვანილ სამ შემთხვევაში (სადაც აღწერილი იყო მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მიღება და ამ დარგების გაფართოება) წარმატების მიზეზი არ ყოფილა დასახელებული პოლიტიკა, ვინაიდან ჩარევა ვერ დაანქარებს მთელ ზრდას, სანამ ბაზრის წარუმატებლობა არ იქნება აღმოფხვრილი. ფოლადის წარმოების შემთხვევაში ძნელია ბაზრის წარუმატებლობის განსაზღვრა. იაპონიის მთავრობის მიერ ფოლადის წარმოების ხელშეწყობამ ეკონომიკური ზრდა შეანელა, რადგან რესურსები გადაიტანა ამოგების დაბალი განაკვეთის დარგებში. ავიაციის შემთხვევაში ევროპის სუბსიდიები დაეხმარა „ეარბასს“ სტრატეგიული უპირატესობის მიღწევაში, მაგრამ ეს მაინც სადაო საკითხია. ნახევარგამტარების შემთხვევაში იაპონიის მიერ მიხნის 'შერწყმის' გამართლება დაფუძნებულია ნაეარაუდევ გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკებსზე, რაც ისე მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, როგორც ეგონათ.

ზოგ ექსპერტს თავისებური შეხედულება აქვს სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ. ასეთი პოლიტიკა ყოველთვის არ იყო ქმედითი და მისი შეფასება მოითხოვს უფრო საგულდაგულო ანალიზს, ვიდრე ეს დამკვირვებლების უმეტესობამ გააკეთა.

რეზიუმე

1. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელიც გამოიხსნება ეკონომიკური მწარმოებლების გასაუმჯობესებლად განსაზღვრული ექსპორტის ხელშეწყობით ან განსაზღვრული სახეობის იმპორტის შეფერხებით. ასეთი პოლიტიკა ფართოდ გამოიყენეს ისეთმა წარმატებულმა ქვეყნებმა, როგორცაა იაპონია და კორეა.
2. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის დამკველები ამტკიცებენ, რომ ქვეყნები ჩაბმული არიან კონკურენტულ, მძიმე მომგებიან-წამგებიან ომში მსოფლიო ბაზრებისათვის. სადაც ჯილდოს წარმოადგენს მრეწველობის განსაკუთრებით სასურველი დარგების განვითარება. პოპულარული კრიტერიუმი, რაც მრეწველობას სასურველს ხდის, მოიცავს მაღალ დამატებით ღირებულებას მიმატებულს ერთ მუშაზე. მაღალ ხელფასებსა და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას. მაღალი დამატებითი ღირებულება არის ხარვეზიანი კრიტერიუმი ეკონომიკური თვალსაზრისით. მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების დაკარგვაზე წუხილი ჩვეულებრივ დაკავშირებულია დეინდუსტრიალიზაციის შიშთან, რაც, ექსპერტების აზრით, გაუმართლებელია. მაღალი ტექნოლოგიების მქონე მრეწველობის დარგებს სხვა დარგებთან შედარებით უფრო ახასიათებთ მიდრეკილება, რომ გამოიწვიონ ღირებულ ტექნოლოგიური გადაადინება. მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ბაზრის წარუმატებლობის მისესი სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის სასარგებლოდ, რასედაც წინა თავებში იყო ლაპარაკი.
3. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სასარგებლოდ არსებობს ორი არგუმენტი, რამაც ეკონომისტების

ყურადღება მიიქცია. ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც გამოიმუშაებენ ტექნოლოგიურ გარე ეფექტებს. მეორე არის ბრენდერ-სპენსერის ანალიზი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს აქტიური სამთავრობო პოლიტიკა ეროვნულ ფირმებს, გასარდონ თავიანთი მოგება უცხოური კონკურენტების ხარჯზე. ეს არგუმენტები თეორიული თეალსაზრისით დამაჯერებელია.

- სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა რეალურად გაცილებით განსხვავებულია და დაუსაბუთებელი. ვიდრე ეს ჩანს პოპულარული მონაცემებიდან. 1950-1960-იან წლებში იაპონიის პოლიტიკა (მთავრობის ძლიერი კონტროლი ეკონომიკაზე) შემსებუქდა. სხვა ქვეყნების პოლიტიკა გაცილებით ნაკლებად თანმიმდევრული იყო; მაგ., აშშ ატარებს ფართოდ აღიარებულ საწარმოო სტრატეგიულ პოლიტიკას სოფლის მეურნეობაში; სოფი უცხოელი ამტკიცებს, რომ აშშ-ის თაღდაცვის ბიუჯეტი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის მსგავსად მოქმედებს მაღალი ტექნოლოგიების მქონე მრეწველობის დარგებისათვის.
- ასეთი პოლიტიკის შედეგის შეფასება არ არის ადვილი. საკმარისი არ არის, დაუუკვირდეთ ბაზრის წილს ან მრეწველობის განვითარებას. საჭიროა ხარჯებისა და მოგების ანალიზი. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის მთავარი მაგალითების შემოწმების დროს ვლინდება, რომ მთავრობის მიერ მიზნის არსევა ყოველთვის არ არის გამართლებული.

პირითადი ტერმინები

მეზობელი ქვეყნების გამაღარბებელი პოლიტიკა
დენიდუსტრიალიზაცია
გარე ეფექტები
მაღალი დამატებითი ღირებულება ერთ მუშაზე
ტექნოლოგიური გადაღინება

ბრენდერ-სპენსერის ანალიზი
ჭარბი უკუგება
მაღალი ტექნოლოგიები
სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა

პითხვები

- დაეუშვათ, აშშ-ის მთავრობამ შექლო განესაზღვრა, თუ მრეწველობის რომელი დარგები განვითარდება სწრაფად მომავალი 20 წლის მანძილზე. რატომ არ გულისხმობს ეს ავტომატურად იმას, რომ ერს უნდა აქონდეს ამ მრეწველობის დარგების სრლის მხარდამჭერი პოლიტიკა?
- აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტი დაენებით ამტკიცებდა, რომ მისი მთავრობა უზრუნველყოფს განსაკუთრებულ მხარდაჭერას ადგილობრივი მაღალი ტექნოლოგიების მქონე დარგებისთვის. მან განაცხადა, რომ მრეწველობის სწრაფად განვითარებად ამ დარგებს აქვთ პერსპექტივა, უზრუნველყონ დანახარჯები მრეწველობის ბევრ სხვა დარგში და შექმნან ტექნოლოგია, რომელიც სარგებლობას მოუტანს მთელს ეკონომიკას. უფრო მეტიც, აშშ-ის მაღალი ტექნოლოგიების მქონე ბევრი დარგი, როგორც არის ავიაცია და მიკროელექტრონიკა, პირისპირ დგას იმ უცხოელი კონკურენტების წინაშე, რომელთაც მხარს უჭერს მათი მთავრობა. ამ არგუმენტებიდან რომელი შეიძლება გახდეს საფუძელიანი მიზეზი, რათა აშშ-მ განახორციელოს მრეწველობის ამ დარგების არსევის პოლიტიკა?
- აშშ თავის გზას რომ დასდგომოდა, უნდა მოეთხოვა, რომ იაპონიას უფრო მეტი დაეხარჯა ფუნდამენტურ კვლევაზე მეცნიერებაში და ნაკლები – გამოყენებითს მეცნიერებაზე მრეწველობაში. ახსენით, რატომ არის ეს ასე შესაბამისობის ანალიზის თვალსაზრისით.
- 11-1 და 11-2 ცხრილებში ასახულია ვითარება, როცა ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ სუბსიდიის გამოყოფა სტრატეგიული უპირატესობის მისაღწევად. 11-3 და 11-4 ცხრილები კი ასახავენ მდგომარეობას, სადაც მათ ეს არ შეუძლიათ. რა არის გადაწყვეტი განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის? ე.ი. როდის არის ქმედითი სუბსიდია?
- „ახალი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის არგუმენტი პოლიტიკის სიბრძნეს აჩვენებს. მაგალითად, სამხრეთ კორეა ახდენს თავისი ექსპორტის სუბსიდირებას საზღვრებს მიღმა. სუბსიდია კი მრეწველობის თითოეულ დარგს ახალი სტრატეგიულ უპირატესობას აძლევს, რაც მას სჭირდება მსოფლიო კონკურენციის სამყაროში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად“. განიხილეთ ეს აბზაცი.
- ეხმარება თუ ზიანს აყენებს აშშ-ს მაღალი ტექნოლოგიების მქონე მრეწველობის დარგებს ამ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი? მოიყანეთ მაგალითები ორივე თვალსაზრისის შესასწავლად.
- ჩანს, რომ იაპონიამ გამოიმუშაეა მოგების დაბალი საბაზრო ნორმა ორივე ინვესტიციაზე ყოლადის წარმოებაში – 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში – და მისი ინვესტიცია ნახევარგამტარებში – 1970-იანი წლების დასასრულსა და 1980-იანი წლებში. რა შესაძლებელი ახსნა შეიძლება მოიძებნოს ამ ინვესტიციებისთვის? რატომ არის უფრო მისაღები ის შესაძლებლობა, რომ ნახევარგამტარების არსევა უფრო კარგი პოლიტიკაა, ვიდრე – ყოლადისა?
- საფრანგეთი ატარებს აქტიურ ნაციონალურ კულტურულ პოლიტიკას, ეხმარება რა ფრანგული მხატვრობის, მუსიკის, მოდის, სამხარეულოს და ა.შ. განვითარებას. ეს ძირითადად შეიძლება იყოს გამოწვეული ეროვნული სრულფასოვნების დაცვის მცდელობით სულ უფრო და უფრო ერთგვაროვან სამყაროში. მაგრამ სოფი ფრანგი ოფიციალური პირი ამ პოლიტიკას იცავს ეკონომიკური მოსაზრებებით. რა აზრით შეიძლება ასეთი პოლიტიკის სოფი მახასიათებელი იყოს დაცული, როგორც ახალი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკის სახეობა?

ეროვნული შემოსავლის აღრიცხვა და საბაღამდლო ბალანსი

1990-იანი წლების შუა პერიოდში ამერიკის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა; ამავდროულად, ამერიკის მესობელი მექსიკა განიცდიდა ძლიერ ეკონომიკურ დაცემასა და უმუშევრობის დონის მკვეთრ ზრდას. შეიძლება თუ არა ეკონომიკური ანალიზით აიხსნას, თუ რატომ არის ქვეყნების ერთი ნაწილი წარმატებული, როდესაც მეორე ნაწილი ინერტულია; ვეცდებით ამ უკანასკნელთ შევთავაზოთ გზები, რითაც თავიდან აიცილებენ მომავალ ეკონომიკურ დაცემას.

წინა თავებში ძირითადად განვიხილავდით მსოფლიოს მწირი რესურსების საუკეთესოდ გამოყენების პრობლემას. ეკონომიკის დარგი, რომელსაც მიკროეკონომიკა ეწოდება, სწავლობს ამ პრობლემას ინდივიდუალური ფირმებისა და მომხმარებლების პერსპექტივის გათვალისწინებით. მიკროეკონომიკაში მთელი მუშაობა წარიმართება იქით, რომ ეკონომიკის ინდივიდუალურმა მონაწილეებმა, საკუთარი ინტერესების საფუძველზე, კოლექტიურად განსაზღვრონ რესურსების გამოყენების საკითხი. საერთაშორისო მიკროეკონომიკის კვლევის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ, თუ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები წარმოებისა და მოხმარების შესახებ როგორ ქმნიან საერთაშორისო ვაჭრობისა და სპეციალიზაციის სტრუქტურებს. დაერწმუნდით, რომ როდესაც თავისუფალი ვაჭრობა ჩვეულებრივ ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მთავრობის ჩარევამ ან ბაზრის წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საზარელი, თუნდაც წარმოების ყველა ფაქტორი სრულად იყოს გამოყენებული.

ამ თავში უკვე სხვაგვარად დავსვამთ კითხვას: რა გზით დაგვარწმუნებს ეკონომიკური პოლიტიკა, რომ საწარმოო ფაქტორები სრულად არის გამოყენებული? და რა განსაზღვრავს ეკონომიკის სიმძლავრის (საქონლის წარმოება და მომსახურება) შეცვლას დროთა განმავლობაში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა გავერკვეთ მაკროეკონომიკის არსში; ეკონომიკის ეს დარგი სწავლობს, თუ როგორ განისაზღვრება ეკონომიკის დასაქმების, წარმოებისა და ზრდის დონები. მიკროეკონომიკის მსგავსად, მაკროეკონომიკის საგანია მწირი რესურსების ეფექტური გამოყენება. და როდესაც მიკროეკონომიკის ყურადღების ცენტრშია ინდივიდების მიერ მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებები, მაკროეკონომიკა აანალიზებს ეკონომიკის, როგორც მთელის, ქცევას. საერთაშორისო მაკროეკონომიკის კვლევის დროს ჩვენ შევისწავლეთ, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთქმედება მაკროეკონომიკის მსოფლიო მოდელზე.

მაკროეკონომიკის ანალიზში მთავარი ყურადღება ექცევა ეკონომიკის 4 ასპექტს:

1. **უმუშევრობა.** ვიცით, რომ რეალურ სამყაროში მუშები შეიძლება უმუშევრები იყვნენ და ფაბრიკა-ქარხნები გაჩერებული. მაკროეკონომიკა შეისწავლის უმუშევრობის გამომწვევ ფაქტორებს და იმ დონისძიებებს, რაც მთავრობამ უნდა განახორციელოს ამის თავიდან ასაცილებლად. საერთაშორისო მაკროეკონომიკა ძირითადად ეხება სრული დასაქმების უზრუნველყოფის პრობლემას ისეთ ეკონომიკებში, რომლებიც ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის.
2. **დაზოგვა.** წინა თავებში დავუშვით, რომ ყოველი ქვეყანა მიიხმარს თავისი შემოსავლის ტოლფას ოდენობას – არც მეტსა და არც ნაკლებს. ოჯახებს შეუძლიათ, გადაინახონ თავიანთი შემოსავალი, რათა უზრუნველყონ მომავალი, ან შეუძლიათ დროებით იხსიონ, რათა იმაზე მეტი დახარჯონ, რასაც შოულობენ. ქვეყნის დამზოგავი ან მსესხებელი ქცევა ზემოქმედებას ახდენს შიდა დასაქმებასა და ეროვნული კეთილდღეობის მომავალ დონეზე. საერთაშორისო ეკონომიკის თვალსაზრისით, მსოფლიო დაზოგვის ნორმა განსაზღვრავს იმას, თუ რა სისწრაფით შეიძლება გაიზარდოს საწარმოო კაპიტალის მსოფლიო მარაგი.
3. **საეჭრო შეუსაბამობა (დისბალანსი).** წინა თავების მიხედვით, ქვეყნის იმპორტის ღირებულება უტოლდება მისი ექსპორტის ღირებულებას, როდესაც დანახარჯები შემოსავლის ტოლია. ეკონომიკა ვაჭრობის დაბალანსებულ მდგომარეობას რეალურად იშვიათად აღწევს. საეჭრო დისბალანსს განვიხილავთ მომდევნო თავებში. იგი არის ქვეყნებს შორის კეთილდღეობის გადანაწილების ძირითადი არხი, რომლის მეშვეობითაც ერთი ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა ზემოქმედებას ახდენს თავის საეჭრო პარტნიორებზე. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დიდი და უცვლელი საეჭრო შეუსაბამობა ანუ დისბალანსი სწრაფად შეიძლება იქცეს საერთაშორისო უთანხმოების წყაროდ.
4. **ფული და ფასების დონე.** ვაჭრობის თეორია იგივე ბარტერის თეორიაა, რადგან ერთი სახის საქონელი უშუალოდ იცვლება მეორეში მათი შესადარი ფასების საფუძველზე. უფრო მოსახერხებელია ფულის, როგორც ფართოდ გაერთიანებული გაცვლის საშუალების გამოყენება ხელშეკრულებების დადების დროს. აგრეთვე, ფასების დაწესება ფულადი სახით. ვინაიდან ყველა ხელშეკრულების დადებისას ფული

ცვლის საქონლის ხელიდან ხელში გადასვლას, ფულის მიწოდებისა ან მასზე მოთხოვნის მერყეობას შეუქცევია მოახდინოს შემოქმედება როგორც პროდუქციის გამოშვებაზე, ასევე დასაქმებაზე. საერთაშორისო მაკროეკონომიკა მხედველობაში იღებს იმას, რომ ყოველი ქვეყანა იყენებს ვალუტას, რომლის ცვლილება ერთ ქვეყანაში (მაგ. ფულის მისი შეცვლა) გაცვიფრება მის საზღვრებს და გადავა სხვა ქვეყნებში. ფულის ფასების დონეების სტაბილურობა საერთაშორისო მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

წინამდებარე თავით დაიწყოთ საერთაშორისო მაკროეკონომიკის კვლევას და აეხსნით ანგარიშწარმოების იმ კონცეფციებს, რომლებსაც ეკონომისტები იყენებენ ქვეყნის საწარმოო დონისა და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების აღწერისას. საერთაშორისო ვაჭრობაში ნართელ ქვეყნებს შორის არსებული მაკროეკონომიკური კავშირების შესახებ სრული სურათის შესაქმნელად უნდა შევისწავლოთ ორი ერთმანეთთან დაკავშირებული და არსებითი იარაღი. მათგან პირველი, **ეროვნული შემოსავლის აღრიცხვით**, ხორციელდება ყველა იმ ხარჯის რეგისტრირება, რასაც წვლილი შეაქვს ქვეყნის შემოსავალსა და გასავალში. მეორე, საგადასახადო ბალანსის აღრიცხვა, გვეხმარება დავაკვირდეთ ცვლილებებს როგორც უცხოელების მიმართ ქვეყნის დაგვიანებაში, ასევე მის ექსპორტ-იმპორტსა და უცხოელების მიმართ საქონლის მიწოდების ანგარიშში ასევე გვინყენებს უცხოურ სავალუტო ოპერაციებსა და ეროვნული ფულის მასას შორის არსებულ კავშირს.

ეროვნული შემოსავლის ანგარიშგება

მაკროეკონომიკურ ანალიზში ცენტრალურ ადგილი უკავია ქვეყნის **ერთობლივი ეროვნულ პროდუქტს (ეპ)**, საწარმოო ფაქტორებით შექმნილ ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, რომლებიც დროის მოცემულ პერიოდში გაიყიდა ბაზრებზე. ეპ, რომელიც მაკროეკონომისტების მიერ შესწავლილი ქვეყნის გამოშვების ძირითადი საზომია, გამოიანგარიშება მსა პროდუქციაზე გაწეულ ყველა ხარჯს საბაზრო ღირებულების დამატებით. ეპ მოიცავს ისეთი საქონლის ღირებულებას, როგორცაა სუპერმარკეტებში გაყიდული პური და წიგნების მაღაზიაში გაყიდული სახელმძღვანელოები, ასევე მომსახურების ფასს, რომელსაც უზრუნველყოფენ სუპერმარკეტის მეშვეობით და უნივერსიტეტის პროფესორები. ვინაიდან გამოშვება არ შეიძლება საწარმოო ფაქტორების ხარჯების გარეშე, ეპ-ის შემადგენელი დანახარჯები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამუშაო ძალის, კაპიტალისა და სხვა საწარმოო ფაქტორების გამოყენებასთან.

ქვეყნის ეპ-ის შემადგენელი სხვადასხვა სახის დანახარჯის გარჩევის მიზნით სახელმწიფო სექტორის ეკონომისტები და სტატისტიკოსები, რომლებიც ამუშავენ ეროვნული შემოსავლის ანგარიშებს, გამოყენების თვალსაზრისით ეპ-ს ყოფენ 4 შესაძლებელ ჯგუფად: **მოხმარება** (ოღუნობა, რომელიც შეიძინეს კერძო ადგილობრივმა მომხმარებლებმა), **ინვესტიცია** (ოღუნობა თანხისა, რომელიც კერძო ფირმამ გადადო სამომავლოდ ახალი ქარხნის ასაშენებლად და მოწყობილობების შესაძენად), **სახელმწიფო შესყიდვები** (თანხის ოღუნობა, რომელიც მთავრობამ გადადო ახალი ქარხნის ასაშენებლად და მოწყობილობების შესაძენად) და **მიმდინარე ანგარიშის ბალანსი** (მომსახურებისა და საქონლის წმინდა ექსპორტის ოღუნობა უცხოელებისთვის).


ტერმინი – **ეროვნული შემოსავლის ანგარიში** – და არა **ეროვნული გამოშვების ანგარიში**, გამოიყენება ამ ოთხივე ცნების აღწერისათვის, რადგან ქვეყნის შემოსავალი ტოლია მისი დანახარჯებისა. ამდენად, მინიშნულია, რომ შემოსავლის ანგარიშები წარმოადგენენ თითოეული ოპერაციის დახასიათებას, რომელსაც წვლილი შეაქვს ქვეყნის შემოსავალში იმ სახის დანახარჯების შესაბამისად, რაც ქმნის ეროვნულ შემოსავალს. 12-1 გრაფიკი გვჩვენებს, თუ როგორ დაეყვას აშშ-ის ეპ ოთხ კომპონენტად 1994 წელს. რატომ არის სასარგებლო ეპ-ის დაყოფა მოხმარებად, ინვესტიციად, სამთავრობო შესყიდვებად და მიმდინარე ანგარიშად? მთავარი შემდგენელი – ჩვენ არ უნდა გვეჩინდეს იმის იმედი, რომ გავიგებთ განსაზღვრული რეცესიის ან ბუმის მიზეზს, თუ არ გვეცოდინება – როგორ შეიცვალა დანახარჯების ძირითადი კატეგორიები; ამის გარეშე კი ვერ შევიძინებთ სად პოლიტიკას. ამას გარდა, ეროვნული შემოსავლის ანგარიშები უზრუნველყოფენ არსებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რატომ არის ზოგი ქვეყანა მდიდარი – ანუ ეპ-ს მაღალი დონე აქვს მოსახლეობის სიმრავლესთან შედარებით – და ზოგი ღარიბი.

ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი

იმის გასაგებად, თუ როგორ აანალიზებენ ეკონომისტები ეპ-ს, უპირველესად დეტალურად უნდა აეხსნათ, თუ ქვეყნის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში შექმნილი ეპ რატომ უნდა უტოლდებოდეს **ეროვნულ შემოსავალს**, ანუ იმ შემოსავალს, რომელიც იმავე პერიოდშია მიღებული საწარმოო ფაქტორებით.

ამ ტოლობის მიზეზი ის არის, რომ საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე დახარჯული ყოველი დოლარი ავტომატურად ვიღაცის ჯიბეში ხვდება. ექიმთან ვიზიტი კარგ მაგალითს იძლევა იმისა, თუ ეროვნული გამოშვების ზრდა როგორ აღიღებს ეროვნულ შემოსავალს იმავე ოღუნობით. ექიმისთვის გადახდილი 75 აშშ დოლარი არის მის მიერ გაწეული მომსახურების საბაზრო ღირებულება, ასე რომ, თქვენი ვიზიტით ეპ იზრდება 75 აშშ დოლარით. მაგრამ თქვენს მიერ გადახდილი ეს თანხა ასევე აღიღებს ექიმის შემოსავალსაც. ამდენად, ეროვნული შემოსავალი იზრდება 75 დოლარით.

ამერიკის 1994 წლის 6.7 ტრილიონი დოლარის ეროვნული პროდუქტი შეიძლება დაიყოს ოთხ კომპონენტად.



პრინციპი, რომ გამოშვება და შემოსავალი ერთი და იგივეა, ისეთ საქონელსაც ეხება, რომელიც დამსაღებელია მრავალი საწარმოო ფაქტორის გამოყენებით. დაეკვირდეთ ეკონომიკის სახელმძღვანელოს ყიდვის მაგალითს. ახალ წიგნში გადახდილი ღირებულება შედის ეკპ-ში. მაგრამ ამავე დროს იგი შედის იმ საწარმოო ფაქტორების შემოსავალში, რომლებიც მონაწილეობდნენ წიგნის გამოშვებაში – წიგნის გაყიდვის შემდეგ გამომცემელმა ხომ უნდა გადაუხადოს მომსახურებისათვის ავტორს, რედაქტორს, მხატვარს და მბეჭდავეებს, რომლებმაც გაიღეს წიგნის გამოცემისთვის აუცილებელი შრომის დანახარჯები. ამასთან, არიან საგანმცემლო კომპანიის აქციების მფლობელები, რომლებმაც დივიდენდები უნდა მიიღონ, რადგან დააფინანსეს წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის შექმნა. და ბოლოს, ანაზრაურება მიეცემათ ქაღალდისა და საღებავის მიწოდებლებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წიგნის დასაბეჭდად საჭირო შედეგად მასალებს.

გამომცემლობის მიერ წიგნის გამოსაცემად შესყიდული ქაღალდი და საღებავი განცალკევებით არ არის გამოანგარიშებული ეკპ-ში, რადგან მათი წვლილი ეროვნული გამოშვების ღირებულებაში უკვე შედის წიგნის ფასით. ამით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ორმაგი ანგარიში და ეკპ-ის განსასწვრვაში უნდა შევიდეს მზა პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა. შუალედური საქონლის – გამომცემლის მიერ შესყიდული ქაღალდისა და საღებავის ღირებულება არ იანგარიშება. მიაქციეთ ყურადღება, რომ უკვე გაყიდული და გამოყენებული სახელმძღვანელოს ხელმოწერა გაყიდვა აღარ შედის ეკპ-ში. ჩვენი განსასწვრება მოიცავს მხოლოდ წარმოებულ მზა საქონელსა და მომსახურებას და არა გამოყენებულ სახელმძღვანელოს, რადგან ის შევიდა ეკპ-ში პირველი გაყიდვისთანავე. შესაბამისად, გამოყენებული სახელმძღვანელოს გაყიდვა არ აძლევს შემოსავალს მისი გამომცემელი წარმოების ნებისმიერ ფაქტორს.

კაპიტალის გაუფასურება, საერთაშორისო ტრანსფერტი და მეწარმის არაკირდაპირი გადასახადები

რადგან განვსაზღვრეთ, რომ ეკპ და ქვეყნის შემოსავალი აუცილებლად ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, მათი ეს ტოლობა უტყუარი იქნება. ქვემოთ მოგაწვდით ეკპ-ის განსასწვრვის რეკულაციების რამდენიმე პუნქტს:

1. ეკპ-ში არ იგულისხმება ეკონომიკური ზარალი, რომელიც გამოწვეულია მანქანებისა და სტრუქტურების გამოყენების ცვეთით ანუ ამორტიზაციით, რაც ამცირებს კაპიტალის ეკპ-ით შექმნილ ღირებულებას. დროის მოცემული პერიოდისთვის ეროვნული შემოსავლის გამოსაანგარიშებლად ეკპ-ს უნდა გამოეკლით კაპიტალის გაუფასურება. როცა ასეთი გაუფასურება მცირეა, ეკპ-ს ეწოდება წმინდა ეროვნული პროდუქტი.
2. ეროვნული შემოსავალი შეიძლება მოიცავდეს უცხო ქვეყნებიდან გამოგზავნილ სანქციებს თუ დახმარებას, რასაც ცალმხრივი გზავნილებები ეწოდება. ცალმხრივი გზავნილებების ნიმუშებია სასწვრვარეო მცხოვრებ თანამემამულე პენსიონერებისთვის უცხო ქვეყნების მიერ პენსიის გადახდა, სარეპარაციო გადასახადები, დახმარების ფონდიდან გადარიცხული სახსრები გველევისგან დაზარალებულ ქვეყნებში და ა.შ. აშშ-ში 1994 წელს ასეთმა დახმარებამ – გადასახადების ბალანსმა დაახლოებით მიაღწია 34 მლრდ დოლარს, რაც წარმოადგენდა ეკპ-ის 0.5%-ის წმინდა ტრანსფერტს უცხოელებისთვის. წმინდა ცალმხრივი გზავნილებები არის ქვეყნის შემოსავლის და არა მისი პროდუქტის ნაწილი. ისინი უნდა დაემატოს წმინდა ეროვნულ პროდუქტს ეროვნული შემოსავლის გამოთვლისას.
3. ეროვნული შემოსავალი დამოკიდებულია იმ ფასებზე, რასაც მწარმოებლები იღებენ თავიანთ საქონელში, ხოლო ეკპ კი იმ ფასებზე, რასაც მყიდველები იხდიან. ფასების ეს ორი სახეობა აუცილებელი არ არის, ერთნაირი იყოს. მაგალითად, ბრუნვის გადასახადი აძლევს მყიდველებს, იმაზე მეტი გადასახადი,

ვიდრე გამყოფელები იღებენ, რაც იმას გამოიწვევს, რომ ეკ-თი გადაჭარბებულად იქნება შეფასებული ეროვნულ შემოსავალი. ამ გადასახადის მოცულობა, რომელსაც მეწარმის არაპირდაპირი გადასახადი ეწოდება, უნდა გამოაკლდეს ეკ-ს რეალური ეროვნული შემოსავლის გამოთვლისას.

ეროვნული შემოსავალი ტოლია ეკ-ს გამოკლებული გაუფასურება, დამატებული წმინდა ცალმხრივი გასაწილებები, გამოკლებული მეწარმის არაპირდაპირი გადასახადი. ეკ-სა და ეროვნულ შემოსავალს შორის განსხვავების დასახელება არ არის უმნიშვნელო, მაგრამ მაკროეკონომიკას ცოტა რამ აქვს სათქმელი ამის შესახებ, და თავადაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს მაკროეკონომიკის ანალიზისთვის. ამ წიგნში ნვენ ნუვულებრივ ტერმინებს: ეკ და ეროვნული შემოსავალი მონაცვლეობით გამოიყენებთ და მათ შორის განსხვავებასუ ეურადღებებს გაეამახვილებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი იქნება.

ერთობლივი შიდა პროდუქტი

აშშ-საგან განსხვავებით, ქვეყნების უმეტესობა უკვე დიდი ხნის მანძილზე აღრიცხავს მთლიან შიდა პროდუქტს (ეშპ) და არა ეკ-ს, როგორც თავისი ეროვნული ეკონომიკური საქმიანობის ძირითად საზომს. 1991 წლიდან კი აშშ-ც ასევე იქცევა. ეშპ ზომავს წარმოების მოცულობას ქვეყნის საზღვრებში. ეკ ტოლია ეშპ-ს მიმატებული მხოფლიოს დანარჩენი ნაწილიდან მიღებული ფაქტორების წმინდა შემოსავალი; ეს წმინდა შემოსავალი ის შემოსავალია, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები გამოიმუშავენ სხვა ქვეყნებში განთავსებული ქანებიდან – გამოკლებული ის გადასახადები, რასაც ადგილობრივი მცხოვრებნი უხდიან უცხოელ მუკატრონებს იმ ქანებაში, რომელიც ადგილობრივად არის განთავსებული.

ეშპ, ეკ-ს მსგავსად, არ რეკლდირდება ქვეყნების წარმოების იმ წილით, რომელიც ხორციელდება უცხოური კაპიტალით უსრუნველყოფილი მომსახურების გამოყენებით. განვიხილოთ მაგალითი: ესპანეთში მომუშავე ქარხნის გამომუშაება, რომლის ეკატრონები ბრიტანელები არიან, გამოითულება ესპანეთის ეშპ-ით, მაგრამ წარმოადგენს ბრიტანეთის ეკ-ს ნაწილს. ბრიტანეთის კაპიტალით უსრუნველყოფილი მომსახურება ესპანეთში მომსახურების ექსპორტია ბრიტანეთიდან და ემატება ბრიტანეთის ეშპ-ს ბრიტანული ეკ-ს გამოთვლისას. ამავე დროს ესპანეთის ეკ-ის გამოსაანგარიშებლად მის ეშპ-ს უნდა გამოეკლათ შესაბამისი მომსახურების ექსპორტი ბრიტანეთიდან.

ცვლილებები ეკ-სა და ეშპ-ში დიდად არ არის განსხვავებული. ამ წიგნში ეურადღებებს გაეამახვილებთ ეკ-სუ, რადგან იგი უფრო ახლოსაა ეროვნულ შემოსავალთან, ვიდრე ეშპ და ეროვნული კეთილდღეობაც უფრო უშეალოდ არის დამოკიდებული ეროვნულ შემოსავალსუ, ვიდრე შიდა პროდუქტსუ.

ეროვნული შემოსავლის აღრიცხვა ღია ეკონომიკისათვის

ამ ნაწილში ღია ეკონომიკას განემარტაეთ დახურული ეკონომიკის ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის სტრუქტურით. დავიწყებთ დისკუსიით ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის შესახებ, რადგან იგი ნათელს აყენს საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად როლს ღია ეკონომიკის – მაკროეკონომიკის – თეორიაში. ვინაიდან დახურული ეკონომიკის მქონე ქვეყნის მცხოვრებლები ვერ შეისყიდიან უცხოურ საქანელს ან თავისას ვერ მაქიდიან უცხოელებს, მთელი ეროვნული შემოსავალი უნდა შექმნას ადგილობრივმა მოხმარებამ, ინვესტიციამ ან სახელმწაფო შესყიდვებმა. საერთაშორისო ვაჭრობისათვის ღია ეკონომიკაში ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის ვერსია (დამახასიათებელი დახურული ეკონომიკისთვის) უნდა შეიცვალოს, რადგან ადგილობრივი გამოშვების ნაწილი უცხოელებსუ ექსპორტირებული მაშინ, როდესაც ადგილობრივი შემოსავალი იხარჯება იმპორტირებულ უცხოურ პროდუქციასუ.

ამ ნაწილის ძირითადი თემა ეხება ურთიერთობას ეროვნულ დაზოგვას, ინვესტიციასა და სავაჭრო უთანაბრობას შორის. დავინახავთ, რომ აუცილებელი არ არის ღია ეკონომიკაში დაზოგვა და ინვესტიცია ერთმანეთის ტოლი იყოს, როგორც ეს ახასიათებს დახურულ ეკონომიკას. ეს იმიტომ ხდება, რომ ქვეყნებს შეუძლიათ დაზოგონ უფრო მეტი ნაკლები ექსპორტით და ხარჯონ დანაზოგა – ანუ შეამცირონ თავიანთი კეთილდღეობა, რადგან ექსპორტი იმპორტსუ ნაკლები იქნება.

მონმარება

ეკ-ის წილი, შეხვიდული კერძო სექტორის მიერ არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ცნობილია მონმარების სახელწოდებით. კინოს ბილეთების, საკვების, კბილის მკურნალობისა და ხარუცხი მანქანების შესყიდვა ამ კატეგორიას ეკუთვნის. აშშ-ში, მაგალითად, ეკ-ის წილი მონმარებაში მერეეობს 62%-იდან 69 %-მდე (კორეის ომის შემდგომ).

ინვესტიცია

გამომშვების ნაწილს, რომელსაც კერძო ფირმები იყენებენ მომავალი გამოშვების საწარმოებლად, ეწოდება ინვესტიცია. ინვესტიციის დანახარჯი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკ-ის წილი, რომელიც გამოყენებულია

ერის სააქციონერო კაპიტალის გასაზრდელად. ქარხნის ასაშენებლად გამოყენებული ფოლადი და აკური საინვესტიციო დანახარჯების ნაწილია ისევე, როგორც კომპიუტერის შექმნაში მონაწილე ტექნიკოსის მიერ გაწეული სამსახური. ფირმების მიერ ინვენტარის შესყიდვა ასევე მიჩნეულია საინვესტიციო ხარჯებად, რადგან ინვენტარის საშუალებით ფირმები გამოშვებას არსებული გამოყენებიდან მომავალ გამოყენებაში გადაიყვანენ. ინვესტიცია სექტორებში უფრო ცვალებადია, ვიდრე მოხმარება. აშშ-ში ბოლო წლებში (მთლიანი) ინვესტიცია მერყეობდა ეკპ-ის 12%-19%-ს შორის. ხშირად ვიყენებთ სიტყვა *ინვესტიციას* ინდივიდუალური ოჯახების მიერ ფონდების, ნედლეულის, ობლიგაციების ან უძრავი ქონების შესყიდვის აღსანიშნავად; აქ სიფრთხილე გვმართებს, რათა სიტყვის ეს გაერცხლებული მნიშვნელობა არ აკურთხოს ინვესტიციის, როგორც ეკპ-ის, ეკონომიკურ განსახლერებაში. როდესაც თქვენ ყიდულობთ „მაიკროსოფტის“ პროგრამის წილს, თქვენ არც საქონელს ყიდულობთ და არც მომსახურებას. აქედან გამომდინარე თქვენი შენაძენი არ ვლინდება ეკპ-ში.

სახელმწიფო შესყიდვები

ყვედრალური შტატის ან ადგილობრივი მთავრობის მიერ შესყიდული ნებისმიერი საქონელი და მომსახურება ეროვნული შემოსავლის ანგარიშებში კლასიფიცირდება, როგორც *სახელმწიფო შესყიდვები* სახელმწიფო შესყიდვებში შედის ყვედრალური სამხედრო დანახარჯები, სიმსივნურ დაავადებათა კვლევის მიმართ საქმთავრობო მხარდაჭერა, სამთავრობო ფონდები განათლებასა და ავტომაგისტრალის შეკეთებაზე. სახელმწიფო ტრანსპორტული გადასახადები, როგორცაა სოციალური უზრუნველყოფისა და უმუშევრობის დახმარება, არ მოითხოვენ, რომ მიმღებმა დაუბრუნოს მთავრობას ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება თავის მხრივ. ამდენად, ტრანსპორტული გადასახადები არ არის ჩართული სახელმწიფო შესყიდვებში, რაც ამჟამად შეადგენს ეკპ-ის დაახლოებით 18%-ს და ეს წილი ღიდად არ შეცვლილა 1950-იანი წლების ბოლოდან (შესაბამისი მონაცემები 1959 წლისათვის დაახლოებით 20%-ს შეადგენდა). 1929 წელს სახელმწიფო შესყიდვები შეადგენდა აშშ-ს ეკპ-ს მხოლოდ 8.5 %-ს.

ეროვნული შემოსავლის ტოლფასოვნება ღია ეკონომიკისათვის

დახურულ ეკონომიკაში ნებისმიერი მზა პროდუქცია ან მომსახურება, რომელიც არ არის შესყიდული ოჯახების ან მთავრობის მიერ, უნდა გამოიყენონ ფირმებმა ახალი ქარხნების, მოწყობილობებისა და ინვენტარის შესაქმნელად. თუ საყოფაცხოვრებო საქონელი დაუყოვნებლივ არ მიეყიდება მომხმარებლებს ან მთავრობას, ფირმები მიუმატებენ მას არსებულ ინვენტარს, რითაც გაზრდიან ინვესტიციას.

ამ ინფორმაციას მიეყვართ ფუნდამენტური ტოლფასოვნებისაკენ დახურული ეკონომიკისთვის. დაეუშვათ, Y არის ეკპ, I ინვესტიცია, C მოხმარება, G სახელმწიფო შესყიდვები. ვინაიდან დახურული ეკონომიკის დროს მთელი გამოშვება უნდა იყოს მოხმარებული, შესყიდული ან ინვესტირებული მთავრობის მიერ, ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ:

$$Y = C + I + G.$$

ჩვენ მივიღეთ ეროვნული შემოსავლის ტოლობა დახურული ეკონომიკისათვის იმის დაშვებით, რომ მთელი გამოშვებული პროდუქცია მოხმარებული ან ინვესტირებული იყო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ან შეისყიდა მთავრობამ. როდესაც საგარეო ვაჭრობა სახეზეა, ადგილობრივი მომხმარებლების მიერ შეისყიდება ადგილობრივი გამოშვების ნაწილი და სასღვარგარეთ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ნაწილი. ეკპ-ს ოდენობა ღია ეკონომიკისათვის გვიჩვენებს იმას, თუ ქვეყნის მიერ თავისი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული ეროვნული შემოსავალი როგორ არის განაწილებული ადგილობრივ მცხოვრებლებსა და უცხოეთში მცხოვრებლებზე მიყიდვას შორის.

ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის მცხოვრებლებმა შეიძლება დახარჯონ შემოსავლის ნაწილი იმპორტზე ანუ სასღვარგარეთიდან შესყიდულ საქონელსა და მომსახურებაზე, მათი დანახარჯების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც არ დახარჯულა იმპორტზე, შეადგენს ადგილობრივი ეკპ-ის ნაწილს. იმპორტის ღირებულება, რაც IM -ით არის აღნიშნული, უნდა გამოაკლდეს მთლიან შიდა მოხმარებას (C + I + G), რათა დადგინდეს ადგილობრივი დანახარჯების წილი, რომელიც ქმნის მთლიან შიდა პროდუქტს. იმპორტის ღირებულება სასღვარგარეთიდან ემატება უცხო ქვეყნების ეკპ-ს, მაგრამ არა ადგილობრივ ეკპ-ს.

მსგავსად ამისა, უცხოელებისათვის მიყიდული საქონლითა და მომსახურებით იქმნება ქვეყნის ექსპორტი. ექსპორტი აღნიშნულია EX-ით. უცხოელი მცხოვრებლების მიერ შესყიდული ოდენობა ემატება ადგილობრივი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს.

ღია ეკონომიკის ეროვნული შემოსავალი არის შიდა და უცხოური ხარჯების ოდენობა – ჩადებული შიდა საწარმოო ფაქტორებით წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაში. ამდენად, ეროვნული შემოსავლის ტოლობა ღია ეკონომიკისათვის არის

$$Y = C + I + G + EX - IM \tag{12-1}$$

წარმოსახვითი ღია ეკონომიკა

რათა (12-1) ტოლობა კონკრეტული გაეხადოთ, განვიხილოთ წარმოსახვითი დახურული ეკონომიკა. აგრარია, რომლის ერთადერთ გამოსაქვებას წარმოადგენს ხორბალი. აგრარიას ყოველი მოქალაქე ხორბლის მოსხმარებელია. ამავე დროს ყოველი მათგანი ყვერმერიცაა და ამდენად მისი შეურნეობა შეიძლება მივიჩნიოთ ყირმად. ყვერმერები ახდენენ ინვესტირებას ყოველი წლის მოსავლის გადადებით (მომავალი წლის დასათვის მარცვლეულის სახით). არსებობს მთავრობაც, რომელიც იძენს ხორბლის ნაწილს აგრარიის არმიის გამოსაქვებად. აგრარიის მთელი წლიური მოსავალი არის 100 ბუშელი ხორბალი. აგრარიას შეუძლია რისი იმპორტირება მსოფლიოს სხვა კუთხეებიდან ხორბლის ექსპორტის ხანაცვლოდ. ჩვენ არ შეგვიძლია აგრარიას ეროვნული შემოსავლის საბუღალტრო ანგარიში ვაწარმოოთ, თუ არ გვეცოდინება რისი ფასი ხორბალში გამოსახული, რადგან ეკონომიკის (12-1) ტოლობის ყველა კომპონენტი უნდა გაიხომოს ერთი და იმავე ერთეულით თუ დავექვებთ, რომ რისი ფასი ერთ გალონზე 0.5 ბუშელი ხორბალია და რომ ამ ფასად აგრარიელებს სერთ 40 გალონი რისი მოხმარება, მაშინ აგრარიას იმპორტი ღირებულებით 20 ბუშელი ხორბლის ტოლია.

12-1 ცხრილში ჩვენ ვხედავთ, რომ აგრარიას მთელი გამოშვება არის 100 ბუშელი ხორბალი. მოხმარება დაყოფილია წლის მანძილზე მოხმარებულ ხორბალსა და რძეს შორის - 55 ბუშელი ხორბალი და 40 გალონი რძე (იგი ღირებულებით 20 ბუშელი ხორბლის ტოლია). მოხმარების ღირებულება ხორბლის სახით არის $55 + (0.5 \times 40) = 55 + 20 = 75$.

აგრარიას მიერ წარმოებელი 100 ბუშელი ხორბალი შემდეგნაირად არის გამოყენებული: 55 მოხმარებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, 25 ინვესტირებულია, 10 მთავრობის მიერ არის შესყიდული და 10 ექსპორტირებულია სასაღვარჯაროთ. ეროვნული შემოსავალი ($Y = 100$) ტოლია ადგილობრივი დანახარჯისა ($C + I + G = 110$) მიმართული ექსპორტი ($EX = 10$) გამოკლებული იმპორტი ($IM = 20$).

მიმდინარე ანგარიში და საბარეო დაგალიანება

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დაბალანსება ხდება სუბსტად, თღონდ იშეითად. განსხვავება საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და საქონლისა და მომსახურების იმპორტს შორის ცნობილია მიმდინარე ანგარიშის ბალანსის (ან მიმდინარე ანგარიშის) სახელწოდებით. თუ აღვნიშნავთ მიმდინარე ანგარიშს CA-ით, მაშინ ამ განსახლერებას შემდეგი ტოლობით გამოვსახავთ:

$$CA = EX - IM.$$

როდესაც ქვეყნის იმპორტი აჭარბებს მის ექსპორტს, ქვეყანას აქვს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. როდესაც ექსპორტი აჭარბებს იმპორტს, მაშინ ქვეყანას აქვს მიმდინარე ანგარიშის დადებითი საღლო.

გუბის არსს გამოხატავს ტოლობა (12-1), რაც გვნიყენებს ერთ-ერთ მიზეზს იმისა, თუ მიმდინარე ანგარიში რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მაკროეკონომიკისათვის. ვინაიდან ტოლობის (12-1) მარჯვენა მხარე არის ადგილობრივი გამოსაქვების მთლიანი დანახარჯი, ცვლილებები მიმდინარე ანგარიშში შეიძლება დავეუკავშიროთ გამოსაქვებაში ცვლილებებს და აქედან გამომდინარე დასაქმებას.

მიმდინარე ანგარიში მნიშვნელოვანია, რადგან იგი ზომავს საერთაშორისო სუხსების სიდიდესა და მიმართულებას. როდესაც ქვეყნის იმპორტი აჭარბებს მის ექსპორტს და მეტს ყიდულობს უცხოელებისგან და ნაკლებს ყიდის მათზე, მაშინ მან როგორღაც უნდა დააფინანსოს მიმდინარე ანგარიშის ეს დეფიციტი. როგორ ანაწლავურებს ის დამატებით იმპორტს მას შემდეგ, რაც დახარჯავს ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალს? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსხვავების დასაფარავად სახსრებს ისუხსებს უცხოელებისგან. ამიტომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მქონე ქვეყანამ თავისი წმინდა უცხოური ვალები დეფიციტის ოდენობის შესაბამისად უნდა გაწარღოს.

ცხრილი 12-1 ეროვნული შემოსავლის აღრიცხვა აგრარიელებისათვის, ღია ეკონომიკა (ხორბალი ბუშელებით)

ეროვნული შემოსავლის აღრიცხვა აგრარიელებისათვის, ღია ეკონომიკა (ხორბალი ბუშელებით)						
გუპ (მთელი გამოსაქვება)	=	მოხმარება	+	ინვესტიცია	+	სახელმწიფო შესყიდვები
ექსპორტი	-	იმპორტი				
100	=	75	+	25	+	10
						- 20 ^a

^a55 ბუშელი ხორბალი + (0.5 ბუშელი/ერთ გალონი) x (40 გალონი რძე).
^b0.5 ბუშელი/გალონი x 40 გალონი რძე.

მსგავსად ამისა, ქვეყანა მიმდინარე ანგარიშის დადებითი საღვდოს პირობებში უფრო მეტს შიშვლობს ექსპორტით, ვიდრე ხარჯავს იმპორტზე. ასეთი ქვეყანა აფინანსებს თავისი საგარეო პარტნიორების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მათთვის სესხის მიცემით. დადებითი საღვდოს მქონე ქვეყნის საგარეო კეთილდღეობა იზრდება, რადგან უცხოელები იხდიან ნებისმიერი იმპორტისათვის, რასაც ვერ ფარავენ საკუთარი ექსპორტით. რჩება ფრაზა - „*მე თქვენი მოვალე ვარ*“, თუ დაფარვა ვერ მოახერხებს. სქემო ჩაიქცამიდას ჩათვლია, რომ ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ტოლია მისი წმინდა საგარეო ქონების ცვლილებისა.

მიმდინარე ანგარიში განვსაზღვრეთ, როგორც განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის. ტოლობა (12-1) გვინებებს, რომ მიმდინარე ანგარიში ასევე უდრის განსხვავებას Y კროუნულ შემოსავლსა და C + I + G ადგილობრივი მომხმარებლების დანახარჯებს შორის:


$$Y - (C + I + G) = CA.$$

ქვეყანას შეიძლება აქონდეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთიდან სესხს აიღებს და იმაზე მეტს გამოიყენებს, ვიდრე აწარმოებს. თუ იგი იმაზე ნაკლებს იყენებს, ვიდრე აწარმოებს, მაშინ მას ექნება მიმდინარე ანგარიშის დადებითი საღვდო და ჩამეტს გასესხებს უცხოელებზე. საერთაშორისო სესხება და გასესხება ჩვენ განსაზღვრეთ მე-7 თავში როგორც *დროთაშორისი ვაჭრობა*. მიმდინარე დეფიციტის მქონე ქვეყანა ახდენს მიმდინარე მოხმარების იმპორტს და მომავალი მოხმარების ექსპორტს. ქვეყანა, რომელსაც აქვს მიმდინარე ანგარიშის დადებითი საღვდო, მიმართავს მიმდინარე მოხმარების ექსპორტს და მომავალი მოხმარების იმპორტს.

მაგალითისთვის კვლავ განიხილოთ 12-1 ცხრილში აღწერილი აგრარიას წარმოსახვითი ეკონომიკა. მისი ინვესტიციის, სახელმწიფო შესყიდვების, მოხმარების მთელი ღირებულება (110 ბუშელი ხორბალი) უფრო დიდია, ვიდრე გამოშვება (100 ბუშელი). ასეთ უთანაბრობას ადგილი არ ექნებოდა დახერხულ ეკონომიკაში. ეს შესაძლებელია ღია ეკონომიკაში, რადგან აგრარიას ახლა შემოაქვს 40 გადანი რძე, რაც 20 ბუშელი ხორბლის ტოლია, მაგრამ ახდენს 10 ბუშელი ხორბლის ექსპორტირებას. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, 10 ბუშელი, არის აგრარიას მიერ უცხოელებიდან ადგილები სესხის ღირებულება, რისი ანაზღაურებაც ქვეყანას მოუწევს მომავალში.

გრაფიკი 12-2 აშშ-ის მიმდინარე ანგარიში და წმინდა საგარეო კეთილდღეობის პოზიცია, 1977 - 1993 წწ.

მიმდინარე ანგარიში, წმინდა საგარეო კეთილდღეობა (მლრდ. დოლარებში)



1980-იანი წლების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გამო შემცირდა ამერიკის წმინდა უცხოური ქონება რის გამოც ათწლეულის ბოლოსთვის, ქვეყანას დაუგროვდა მნიშვნელოვანი წმინდა უცხოური ვალი.

გრაფიკი 12-2 ნათლად წარმოაჩენს, თუ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ნაკადი როგორ შეიძლება დაემატოს დიდ საგარეო ვალს. ციფრებით მოცემულია 1970-იანი წლების ბოლოდან აშშ-ის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, როგორც ქვეყნის წმინდა საგარეო კეთილდღეობის მარაგის საზომი. ჩანს, აშშ-ს საგარეო კეთილდღეობა მეტად მნიშვნელოვანი იყო 1980-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ისეთი შეფარდება გამოუღიჩდა, რაც უპრეცედენტო იყო მე-20 საუკუნეში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1987 წელს, ეს ქვეყანა პირველად გახდა უცხოელების წმინდა მოვალე.

საკითხის შესწავლაში - „არის კი აშშ მსოფლიოს უდიდესი მოვალე?“ - მეტიმეტად ძნელია ძირისძირობა მდე გაიზომოს ქვეყნის წმინდა უცხოური კეთილდღეობა. სოფ ეკონომისტ-ანალიტიკოსის 12-2 გრაფიკის მონაცემები საეკონომიკურ მითანია: განა როდის გახდა აშშ დებიტორი ქვეყანა და რეალურად რამდენად დიდია მისი საგარეო ვალი. ერთი რამ უდავოა, რომ 1980-იან წლებში მიხდა აშშ-ის უცხოური აქტივების შემცირება.

დაზოგვა და მიმდინარე ანგარიში

თემცა ეკ-ს არის მარტივია, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანის ასახსნულად განვსაზღვრავთ ერთგუნული დაზოგვის კონცეფციას, რაც არის Y გამოშვების ნაწილი და არ ეხება C

ინდივიდუალურ მოთხოვნებს, ან **G** სახელმწიფო შესყიდვებს. დახურულ ეკონომიკაში ეროვნული დაზოგვა ყოველთვის ტოლია ინვესტიციისა. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკაში, როგორც მოუღმა, შეიძლება გასარდოს თავისი კეთილდღეობა მხოლოდ ახალი კაპიტალის დაგროვებით.

S-ით აღნიშნოთ ეროვნული დაზოგვა. მისი განსაზღვრება გვეუბნება, რომ

$$S = Y - C - G$$

რადგან დახურული ეკონომიკის დროს ემ გულისხმობს,

$$Y = C + I + G$$

შეიძლება ეს ტოლობა გამოვსახოთ როგორც $I = Y - C - G$, მაშინ

$$S = I,$$

ე.ი. ეროვნული დაზოგვა ინვესტიციის ტოლია დახურულ ეკონომიკაში. დახურულ ეკონომიკაში დაზოგვაცა და ინვესტიციაც ყოველთვის ნულის ტოლი უნდა იყოს, ღია ეკონომიკაში კი ისინი შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. თუ გავიხსენებთ, რომ S დაზოგვა ტოლია $Y - C - G$ -სა და რომ $CA = EX - IM$, ნვენ შეგვიძლია ხელახლა შევადგინოთ ეკ-ს ტოლობა (I2-1)

$$S = I + CA.$$

ტოლობა გვიჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებას ღია და დახურულ ეკონომიკებს შორის: ღია ეკონომიკაში შეიძლება დაზოგოს თავისი აქციონერული კაპიტალის შექმნით ან საგარეო კეთილდღეობის დაგროვებით, მაგრამ დახურულმა ეკონომიკამ შეიძლება დაზოგოს მხოლოდ თავისი სააქციონერო კაპიტალის შექმნით.

დახურული ეკონომიკისაგან განსხვავებით, ღია ეკონომიკას, რომელსაც მომგებიანი საინვესტიციო შესაძლებლობები აქვს, არ მოუწევს თავისი დანაზოგების გაზრდა მათი გამოყენების მიზნით. წინა ტოლობა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ინვესტიციისა და საგარეო სესხის ერთდროული გაზრდა დანაზოგის შეუცვლელად. მაგალითად, თუ ახალმა ზელანდიამ გადაწყვიტა ახალი პიდროელექტრო ქარხნის აშენება, მას შეუძლია ყველა საჭირო მასალის იმპორტირება აშშ-დან და ამერიკული ფონდებიდან სესხის აღება, რათა იმპორტისთვის გადაიხადოს. ეს გარიგება ზრდის ახალი ზელანდიის შიდა ინვესტიციას, რადგან იმპორტირებულ მასალას წელიწადი შეაქვს ქვეყნის სააქციონერო კაპიტალის ზრდაში. გარიგება ასევე ზრდის ახალი ზელანდიის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს იმ ოდენობით, რომელიც ინვესტიციის ზრდის ტოლია. მის დანაზოგს აღარ მოუწევს შეცვლა მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიცია დიდდება. ეს რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის საჭიროა აშშ-ს მცხოვრებლებმა მეტის დაზოგვა მოისურვეთ, რათა ქარხნის ასაშენებლად საჭირო რესურსები გამოათავისუფლონ ახალი ზელანდიისათვის. შედეგად ეიღებო საერთაშორისო ვაჭრობის სხვა მაგალითს, რომლის მიხედვით ახალი ზელანდია მიმართავს მიმდინარე მოხმარების იმპორტსა (როდესაც სესხულობს აშშ-დან) და მომავალი მოხმარების ექსპორტს (როდესაც იხდის სესხს).

ერთი ქვეყნის დანაზოგი შეიძლება მეორემ ისესხოს თავისი სააქციონერო კაპიტალის გასაზრდელად: ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დადებით სალდოს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მის წმინდა საგარეო ინვესტიციებს. რასაკვირველია, როდესაც ერთი ქვეყანა ასესხებს მეორეს ინვესტიციის დასაფინანსებლად, ასეთი შემოსავალი მომავალ წლებში გამოყენებული უნდა იყოს ვალის გადასახდელად. შიდა და უცხოური ინვესტიციები ორ სხვადასხვა საშუალებას წარმოადგენს. ორივეს გამოყენებით ქვეყანას შეუძლია მიმდინარე დანაზოგების გამოყენება მომავალი შემოსავლის გასაზრდელად.

კერძო და სამთავრობო დანაზოგები

ჩვენ მსჯელობაში დანაზოგების შესახებ არ არის ხაზგასმული განსხვავება იმ შესაბამის გადაწყვეტილებათა შორის, რომლებსაც იღებს კერძო სექტორი და მთავრობა. სამთავრობო გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება დასაქმებასა და გამოშვებაზე დანაზოგების ზემოქმედების განხილვის შემდეგ. ეროვნული შემოსავლის არსი შეიძლება დაგვეხმაროს იმ არხების გამოძებნაში, რომელთა მეშვეობითაც სამთავრობო გადაწყვეტილებები დანაზოგების შესახებ ზემოქმედებას მოახდენენ მაკროეკონომიკაზე. აღნიშნული მიზნით ეროვნული შემოსავლის არსის გამოსაყენებლად ჩვენ ჯერ ეროვნული დანაზოგი უნდა დავეოთ მის კერძო და სამთავრობო კომპონენტებად.

კერძო დანაზოგი განისაზღვრება როგორც შემოსავალი გადასახადის გადახდის შემდეგ, რომელიც დასოვილია და არა – მოხმარებული. ასეთი შემოსავალი უდრის Y ეროვნულ შემოსავალს, გამოკლებული მთავრობის მიერ ოჯახებისა და ფირმებისაგან აკრეფილი T წმინდა გადასახადები. S^{*} კერძო დანაზოგია და შეიძლება გამოეხატოს შემდეგნაირად:

$$S^* = Y - T - C$$

სამთავრობო დანახარჯი განხორციელება ისევე, როგორც კერძო დანახარჯი. მთავრობის „შემოსაველი“ არის მისი T წმინდა საგადასახადო შემოსავლები, მაშინ როდესაც „დონორები“ არის G სახელმწიფო მესხედველი თუ ხეის S^* -ით აღწინასწარი სამთავრობო დანახარჯებს, მაშინ

$$S^* = T - G.$$

ხევის მიერ განხორციელებული დანახარჯის ორი ტიპი. კერძო და სამთავრობო, ემატება ეროვნულ დანახარჯს. თუ რატომ არის ასე. გავეხსენოთ S ეროვნული დანახარჯის განხორციელება, როგორც $Y - C - G$. მაშინ

$$S = Y - C - G = (Y - T - C) + (T - G) = S^* + S^*.$$

ხევის შევეიძლება გამოვიყენოთ კერძო და სამთავრობო დანახარჯის დანახარჯის განხორციელებები, რათა ხელახლა ჩავეწყოთ ეროვნული შემოსავლის ცოდნა იმ ფორმით, რომელიც სასარგებლო იქნება სამთავრობო დანახარჯების შესახებ გადაწყვეტილებების შეგეიძლება ანალიზისათვის ღია ეკონომიკაში, რადგან $S = S^* + S^* = I + CA$

$$S^* = I + CA - S^* = I + CA - (T - G) = I + CA + (G - T). \quad (12-2)$$

ტოლობა (12-2) კერძო დანახარჯი აკუმულირებს შიდა მოხმარებასთან, მიმდინარე ანგარიშის დადებით ხელდასაცხად და სამთავრობო დანახარჯის (12-2) ტოლობის ასახსნელად განხორციელებული სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტს. როგორც $G - T$ -ს, ასე როგორც სამთავრობო დანახარჯი მინუს ნიშნით. სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი გვეხსნება, რა დონეზე იღებს მთავრობა სესხს თავისი დანახარჯების დასაფინანსებლად. ტოლობა (12-2) გვეხსნება, რომ ქვეყნის კერძო დანახარჯმა შეიძლება მიიღოს სამი ფორმა: (I) ინვესტიცია ადგილობრივ კაპიტალში, (CA) კეთილდღეობის შესხედვა უცხოელებიდან და ($G - T$) ადგილობრივი მთავრობის მიერ სხვა სახელად ვალდებულებების შესხედვა თუ რამდენად სასარგებლოა (12-2) ტოლობა, ილუსტრირებული იქნება საკითხის შესახებ.

საკითხის შესახებ

აუარესებს თუ არა სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი მიმდინარე ანგარიშს?

1980-იან წლებში უხვეულოდ დიდი დიხბალანსი გაჩნდა აშშ-სა და იაპონიის მიმდინარე ანგარიშები. კერძოდ, ამერიკის მიმდინარე ანგარიშმა რეკორდულ დეფიციტს, ხოლო იაპონიის მიმდინარე ანგარიშმა რეკორდულ დადებით ხელდასაცხად მიაღწია. ეინაიდან იაპონიის ექსპორტის დადებითი ხელდასაცხად დიდი ხნის გადვიდა აშშ-ში, ხოლო იაპონიის იმპორტი მცირე იყო აშშ-დან, ამიტომ ეს ქვეყანა მიზანში მოიხდეს უცხოური იმპორტისგან დასარალბებულმა და განაწვეილებულმა ქვეყნებმა. 1995 წლისათვის სხვატრო დაძაბულობამ აშშ-სა და იაპონიას შორის სხვა სეკრორებისა და დაძაბა ერთეურობები და გამოიწვია სხვატრო ომი.

საერთაშორისო პოლიტიკის აეტორებს მიმდინარე ანგარიშის დიხბალანსის წყაროდ მიანდათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა აშშ-ში და შემცირება იაპონიაში. პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ, რომლის პოლიტიკამაც გამოიწვია დეფიციტი გადასახადების შემცირებითა და სახელმწიფო შესხედვების გაზრდით, პირველად ცდილობდა, თავიდან აეტყლებინა სავეელები აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის გაუარესების გამო.

ტოლობა (12-2) შეიძლება შემდეგნაირად ჩავეწყოთ:

$$CA = S^* - I - (G - T),$$

რომელიც იძლევა სტრუქტურას 1980-იანი წლების აშშ-სა და იაპონიის მიმდინარე ანგარიშების ანალიზისათვის. რადგან კერძო დანახარჯი, ინვესტიცია, მიმდინარე ანგარიშში და სახელმწიფო დეფიციტი ცველადები. რომელიც ერთობლივად უნდა განხორციელებული იქნება, არ შევეიძლება სრულად დავადგინოთ მიმდინარე ანგარიშის ცველილებების მიზეზი მხოლოდ ზემოთ მოვეანილი ტოლობის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, ტოლობამ შეიძლება მოგვეცეს რამდენიმე სასარგებლო მიხიშება.

ქვეყნის მოცემული ცხროლი ასახავს აშშ-ს მონაცემებს ოთხი ცველადის შესახებ, რომლებიც დაკვეშირებული არიან (12-2) ტოლობით (ცველადები გამოხატულია როგორც ეგვიპის პროცენტული

მანუქნებლები, რათა მათი ღირებულებები სხვადასხვა წლის მიხედვით უფრო ადევილად შეედაროთ ერთიერთს. ისინი არ მოითხოვენ უბრალოდ ზუსტ მიმართებას 12-2 ტოლობის მიხედვით, მონაცემების შეკრებივაში დაშვებული შეცდომების გამო). ჩვენ შევამოწმებთ ერთობლივი დასოგებისა და ერთობლივი ინვესტირების ნორმის და არა წმინდა დასოგებისა და წმინდა ინვესტირების ნორმებს, რადგან გავუყავსურების შესახებ გამოყენებული მონაცემები წმინდა ღირებების გამოსათვლელად არასანდოა.

ცხრილი აშშ (ეპ-ის % მანუენებლები)

წელი	CA	S ^o	I	G-T
1981	0.3	19.1	18.2	1.0
1982	-0.1	19.4	15.8	3.4
1983	-1.0	18.7	15.9	4.1
1984	-2.5	19.5	18.9	2.9
1985	-2.9	18.1	17.6	3.1
1986	-3.3	16.9	16.8	3.4
1987	-3.4	16.1	16.5	2.5
1988	-2.4	16.3	16.2	2.0
1989	-1.7	15.6	15.8	1.5
1990	-1.4	16.5	14.5	2.5
1991	0.1	16.3	13.0	3.2
1992	-0.9	16.3	13.1	4.3
1993	-1.5	15.8	13.9	3.4
1994	-2.1	15.7	15.4	2.0

(12-2) ტოლობის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, კერძო დასოგების ზრდამ უნდა გაადიდოს მიმდინარე ანგარიშის დადებითი საღღლო. ინვესტიციის ზრდამ ან სამთაურობო ბიუჯეტის დეფიციტმა უნდა შეამციროს იგი. სემით მოცემული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აშშ 1981-83 წლებს შორის ეპ-ის 0.3%-ის მცირე დადებითი საღღლოდან გადავიდა ეპ-ის 1.0%-ის დეფიციტში, სამთაურობო დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა ეპ-ის 1%-დან 4.1%-მდე. ინვესტიციის დიდ კლებას (ეპ-ის 18.2%-დან 15.8%-მდე) თან ახღდა 1981-82 წლებში აშშ-ის ეკონომიკის მკაცრი რეცესია.

ამერიკის ეკონომიკა სწრაფად იზრდებოდა 1984 წელს და ინვესტირებაც სწრაფად გაუმჯობესდა ამავე წელს, გაიზარდა რა ეპ-ის 18.9%-მდე. კერძო დასოგვა გადიღდა 1983 წელთან შედარებით და სამთაურობო დეფიციტმა დაიკლო ეპ-ის 4.1%-დან 2.9%-მდე, რადგან სამთაურობო საგაღასახაღლო შემოსავლები აეტომარტურად გაიზარდა ეკონომიკის განვითარებასთან ერთად; 1984 წელს ინვესტიციის ტაღღა ისე ძლიერი იყო, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (როგორც ეპ-ის ნაწილი) გაფართოვდა ეპ-ის 2.5%-მდე.

1984 წლის მოვლენებმა დაამტკიცა, რომ რეიგანის ადმინისტრაციის დროს მაღაღმა ინვესტიციებმა გამოიწვია აშშ-ის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაფართოება. ამას თუ ჩვენ 1985-1986 წლებს შევადარებთ, როდესაც რეცესიიდან გამოსვლა გაუთანაბრდა 1981 წელს, დაეინახათ, რომ სხვაოღა კერძო დანახოგებსა და ინვესტიციას შორის მომდევნო წლებში ოღნაე მცირე იყო, მაგრამ ორივე სახის – ე.წ. „ტუეპი დეფიციტი“ გაციღლებით მაღაღი. სამთაურობო ბიუჯეტის დიდ დეფიციტს შედეგად მოჰქევა გაციღლებით დიდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 1982 და 1983 წლებში, ინვესტიციას რომ არ გადაეწონა რეცესიაში. ინვესტიციის ამ კლებამ დროებით შენიღბა უფრო მაღაღი სამთაურობო ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე შემოქმედება, რაც მიანიც გამოამკარავდა 1985 წელს, როდესაც ინვესტირება ეკვღასე მეტრად მოეახღოვღა ნორმაღურ დონეს.

1987-1989 წლებში სახელმწიფო სექტორის მიერ ე.წ. „ქამრის შემოჭურამ“ შეამცირა საკუთარი დეფიციტი. ასავდროეღად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი საბოღლოდ დაეცა ეპ-ის 2%-ზე დაბღა. 1993 წელს, რამდენაღაც აშშ ახაღ რეცესიაში აღმოწნდა, საგაღასახაღლო შემოსავლები შემცირდა და სამთაურობო დეფიციტი კვღაე გაიბღრა. კერძო დანახოგების თანხღლებ კლებასთან ერთად, გარე დეფიციტი აგრძელებღა ვარდნას, ხოლო აშშ-მ 1991 წელს მაღღწია მიმდინარე ანგარიშის მაიხღლებით ბაღანსს. ამის მისზე იყო: ინვესტიციების თაებრეღამხევე კლება იმ დონემდე, რაც 1981-82 წლების რეცესიის შემღვევ არ ენახათ. რადგან კერძო დანახოგებმა დაიკლო, ხოლო ინვესტიციების მატება მოქევა ეკონომიკურ აღმაღლობას, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 1994 წელს ეპ-ის 2%-ზე შემოთ აღმოწნდა – ემნიშვნეღოდ შეიცვაღა და დონით სამთაურობო დეფიციტს გაუთანაბრდა.

განვიხიღლოთ იაღონის შემღვევი შეფარდებითი მანუენებლები, რათა გავაანაღოსოთ მისი ანგარიშის დადებითი საღღლო:

ცხრილი იაპონია (ევპ-ის პროცენტული მაჩვენებლები)

წელი	CA	S ^o	I	G-T
1981	0.4	27.6	23.4	3.8
1982	0.6	26.7	22.5	3.6
1983	1.8	24.9	19.6	3.6
1984	2.8	24.8	20.0	2.1
1985	3.6	25.1	20.6	0.8
1986	4.3	25.8	20.6	0.9
1987	3.6	24.6	21.6	-0.5
1988	2.7	24.3	23.1	-1.5
1989	2.0	24.1	24.6	-2.5
1990	1.2	24.1	25.8	-2.9
1991	2.2	24.6	25.4	-3.0
1992	3.2	25.1	23.7	-1.8

იაპონიის მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო გადიდდა 1981 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ კერძო დანაშოგები შემცირდა (იაპონიის მთლიანი ერთობლივი დასოგვის ნორმა გაცილებით მაღალი იყო აშშ-თან შედარებით). დადებითი სალდოს ასეთი ზრდა ასახავდა როგორც ინვესტიციის ნორმის, ასევე სამთაფრობო ბიუჯეტის დეფიციტის კლებას.

მხოლოდ 1986 წლიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე ანგარიშის დადებითმა სალდომ, როგორც ევპ-ის წილმა, შეამცირა სტაბილურად მზარდი სამთაფრობო დადებითი სალდო. ამ ცვლილებას თან ახლდა კერძო დანაშოგების კლება და ინვესტირების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ნაწილობრივ გამოიწვია გაზრდილმა სახელმწიფო ინვესტიციებმა. რადგან იაპონიის ეკონომიკაში დაიწყო ხანგრძლივი დაცემა 1990-იანი წლების დასაწყისში, დანაშოგების გაზრდასა და ინვესტიციების შემცირებას კელავ მოაკვია მიმდინარე ანგარიშზე დიდი დადებითი სალდო.

როგორც ეს აშშ-ს მაგალითის განხილვის შემთხვევაში, აქაც ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის განხორციელებისათვის იაპონიის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტში ცვლილებები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მონაცემებით მტკიცდება ის ტენდენცია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდით მცირდება მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება ზრდის მას. მონაცემები ასევე გვიჩვენებენ, რომ ეს ურთიერთობა არ არის მარტივი.

საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშები

წინა ნაწილში ჩვენ გავაანალიზეთ ეროვნული შემოსავლის ანგარიშის კომპონენტები: მოხმარება, ინვესტიცია, სახელმწიფო შესყიდვები და მიმდინარე ანგარიში (ქვეყნის წმინდა უცხოური ინვესტიციის შესაბამისად, ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის განსხვავებების სახით). ეროვნული შემოსავლის ანგარიშის გარდა, სახელმწიფო სექტორის ეკონომისტები და სტატისტიკოსები ასევე აწარმოებენ საგადაამხდლო ბალანსის, მიმდინარე ანგარიშის ბალანსისა და სხვა ბუერი ოპერაციის დეტალურ ანგარიშებს. საგადაამხდლო ბალანსის მონაცემები დიდად აინტერესებთ საზოგადოებას და მედიის წარმომადგენლებს. მაგრამ არესაში გამოქვეყნებული სტატიები ხშირად ერთმანეთში ურევენ საერთაშორისო ოპერაციების გადახდათა ნაკადების სახომებს. ჩვენ უნდა შევფოთოდეთ თუ გავმხნევეთ, „*უოლ სტრიტ ჯორნალში*“ მსგავს სათაურებს თუ წავეითხათ: „*აშშ მაღლა სწევს საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის რეგისტრს?*“

საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშწარმოების ზედმიწევნით გაგებაა საჭირო, რაც დაგვეხმარება ქვეყნის საერთაშორისო ოპერაციების გამოყენების შეფასებაში.

ქვეყნის საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშწარმოება თვალს ადევნებს უცხოელებისათვის გადახდასა და ასევე უცხოელებიდან მიღებულ მოგებას. ნებისმიერი ოპერაცია, რომლის შედეგია უცხოელებისათვის გადახდა, საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშებში შედის როგორც *დებიტი* და მოცემულია უარყოფითი (-) ნიშნით. ნებისმიერი ოპერაცია, რომლის შედეგია უცხოელებიდან მოგება, შედის როგორც *კრედიტი* და მოცემულია დადებითი (+) ნიშნით.

საგადაამხდლო ბალანსში შედის საერთაშორისო ოპერაციების ორი სახეობა:

1. საერთაშორისო ოპერაციები, რომლებიც საქონლის ან მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს მოიცავენ და პირდაპირ შედიან მიმდინარე ანგარიშში. მაგალითად, როდესაც ფრანგ მომხმარებელს ამერიკიდან ჯინსები შემოაქვს, ოპერაცია აშშ-ის საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშებში შედის როგორც კრედიტი

მიმდინარე ანგარიშზე.

2. ოპერაციები, რომლებიც მოიცავენ აქტივების გაყიდვას ან ყიდვას. **აქტივი** რომელიმე ფორმით, რაც კეთილდღეობას განაპირობებს (მაგალითად, ფული, კაპიტალი, ფაბრიკები, სახელმწიფოს ვალი, მიწა ან იშვიათი საფოსტო მარკები . . .), საგადასახდლო ბალანსის **კაპიტალის მოძრაობის ანგარიში** აღრიცხავს აქტივების ყველა საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვას. როდესაც ამერიკელი საფრანგეთში ყიდულობს სასახლეს, გარიგება შევა აშშ-ს საგადასახდლო ბალანსში, როგორც **დებიტი** კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე. უცნაური ჩანს ნუგატიური ნიშნის დაწერა აქტივის შესყიდვისა და პოზიტიური ნიშნის დაწერა აქტივის გაყიდვისათვის. ეს ასე არ მოგეწონებათ, თუ ამას იმ თვალსაზრისით განიხილავთ, რომ აშშ ახდენს აქტივების „იმპორტირებას“ (შესყიდვას) და ასევე ახდენს აქტივების „ექსპორტირებას“ (გაყიდვას). ოპერაციას იგივე ნიშანი უნდა დაეწეროთ, რასაც დაეწესებადით მიმდინარე ანგარიშზე აღრიცხულ იმპორტის (-) ან ექსპორტის (+) ოპერაციას. განსხვავებას ქვეყნის აქტივების იმპორტსა და ექსპორტს შორის ეწოდება კაპიტალის მოძრაობის ბალანსი, ან მოკლედ – კაპიტალის ანგარიში.

საგადასახდლო ბალანსის ანგარიშების სირთულე ნაკლებ შემამფოთებლად მოგვეყენება. თუ არ დავეიწკვებოთ ორმაგი ბუღალტერიის შემდეგ მარტივ წესს: **ყოველი საერთაშორისო ოპერაცია ავტომატურად შედის საგადასახდლო ბალანსზე ორჯერ – ერთხელ როგორც კრედიტი და ერთხელ როგორც დებიტი**. საგადასახდლო ბალანსის ანგარიშის ეს პრინციპი მართალი ჩანს, რადგან ყოველ ოპერაციას აქვს ორი მხარე: თუ თქვენ ყიდულობთ რაღაცას უცხოელიდან, თქვენ უნდა გადაუხადოთ მას ამა თუ იმ გზით, და უცხოელმა შემდეგ უნდა როგორღაც დახარჯოს ან შეინახოს თქვენს მიერ გადახდილი თანხა.

დაწყვილებული ოპერაციების მაგალითები

ზოგი მაგალითი გვიჩვენებს, თუ სინამდვილეში როგორ მოქმედებს ორმაგი ბუღალტერიის პრინციპი. დავეუშვათ, აშშ-ში იყიდეთ იტალიური ფორმა **ოლივეტ**-დან საბუკლი მანქანა და შენაძენში გადაიხადეთ 1 000 აშშ დოლარი ჩეკით. თქვენი გადახდა, რითაც უცხოელისაგან საქონელს (საბუკდ მანქანას) ყიდულობთ, შედის აშშ-ს მიმდინარე ანგარიშზე უარყოფითი ნიშნით. მაგრამ სად არის საგადასახდლო ბალანსის დასაყარაუი კრედიტი? ფორმა **ოლივეტში** მომუშავე გამყიდველმა ხომ რაღაც უნდა მოუხერხოს თქვენს ჩეკს – ვთქვათ, მან **ოლივეტის** ანგარიშზე ანაბრის სახით შეინახა ჩიუ-აორკის **ჩეიზ მანჰეტენის** ბანკში. ამ შემთხვევაში, **ოლივეტმა** შეისყიდა და **ჩეიზ მანჰეტენმა** გაყიდა აშშ-ს აქტივი – 1 000 დოლარად ღირებული საბანკო ანაბარი. ოპერაცია გვიჩვენებს 1 000 დოლარიან კრედიტს აშშ-ის კაპიტალის ანგარიშზე. ოპერაციით იქმნება შემდეგი ორი ამანახლავრებული საბუღალტრო ჩანაწერი აშშ-ის საგადასახდლო ბალანსზე.

	კრედიტი	დებიტი
საბუკლი მანქანის შესყიდვა (მიმდინარე ანგარიში, აშშ-ის საქონლის იმპორტი)		-\$1000
საბანკო დეპოზიტის გაყიდვა ჩეიზ მანჰეტენის მიერ (კაპიტალის მოძრაობის ანგარიში)	+\$1000	

ახლა სხვა მაგალითი განვიხილოთ. დავეუშვათ, საფრანგეთში მოგზაურობისას რესტორან „**დე ლესკარგო დ'ორში**“ მშვენიერი სადილისათვის გადაიხადეთ 200 დოლარი. ჩეკის არქონისას თქვენ ათავსებთ ხარჯს თქვენი ვიზის საკრედიტო ბარათზე. ეს გადახდა, რომელიც ტურისტული ხარჯია, შეიძლება წაითუალაოს მომსახურების იმპორტად აშშ-თვის და აქედან გამოიძინარე, მიმდინარე ანგარიშის დებიტად. სად არის დასაფარაუი კრედიტი? თქვენი ხელმოწერა ვიზის ბარათზე უფლებას აძლევს რესტორანს, მიიღოს 200 დოლარი (რეალურად მისი ექვივალენტი ადგილობრივი ვალუტით) **პირველი ბარათიდან** – კომპანიიდან, რომელმაც გასცა თქვენი ვიზის ბარათი. ეს არის აქტივი, მოთხოვნა იმისა, რომ **პირველი ბარათიდან** განხორციელდეს მომავალი გადახდა. როდესაც ანახლავრებთ სასტუმარგარეთ სადილს თქვენი საკრედიტო ბარათით, აქტივს ყიდით საფრანგეთზე და იღებთ 200 დოლარიან კრედიტს აშშ-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე. დებიტისა და კრედიტის დაფარვის მოლეული ამ შემთხვევაში არის

	კრედიტი	დებიტი
სადილის ყიდვა (მიმდინარე ანგარიში, აშშ-ს მომსახურების იმპორტი)		-\$200
პირველ ბარათზე მოთხოვნის შესყიდვა (კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, აშშ-ის აქტივის ექსპორტი)	+\$200	

და ბოლოს, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ახლობელი ღოს-ანკელესში ყიდულობს დიდი ბრიტანეთის ნაყოთბიგანტ „**ბრიტიშ პეტროლეუმის**“ ახლად გამოშვებული აქციების წილს. ის აძლევს დაკუთხას თავისი ბირჟის ბროკერს, უხდის რა 95 დოლარს ჩეკით (რაც მიღებული ანახლავრებაა ფულის ბაზრის ანგარიშზე მისი საბროკერო საქმიანობისთვის). თავის მხრივ „**ბრიტიშ პეტროლეუმი**“ იმ 95 დოლარის დეპონირებას ახდენს, რაც თქვენმა ახლობელმა გადაიხადა თავის საკუთარ, აშშ საბანკო ანგარიშზე (მან შეიძინა აქტივი უცხოელისაგან, „**ბრიტიშ პეტროლეუმიდან**“) მაშინ, როდესაც „**ბრიტიშ პეტროლეუმის**“ 95 დოლარის ანაბარი ჩიკაგოს ბანკში ითვლება ანახლავრებული კაპიტალის მოძრაობის კრედიტად („**ბრიტიშ პეტროლეუმმა**“ გააფართოვა აშშ-ის აქტივები). ეს არის სარკისებური გამოსახელების ექვიპტი: (ყვლილება აშშ-ის საგადასახდლო ბალანსში აისახება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე:

თქვენი ახლობლისაგან „ბრიტიშ პეტროლეუმის“ წილის შესყიდვა	კრედიტი	დებიტი
„ბრიტიშ პეტროლეუმისაგან“ თქვენი ახლობლის გადახდის დეპოზიტი მეორე ბანკში	+ \$95	- \$95

ეს მაგალითები გვინგებენ, რომ ბევრმა სხვადასხვა ვითარებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს იმ გზაზე, რითაც ოპერაცია იღებს საგადასახდელ ბალანსის ამნაზღაურებელ ჩანაწერს. ვერასოდეს ვიქნებით დარწმუნებულნი, სად გამოძლეაუნდება განსაზღვრული ოპერაციის ცვალებადი მხარე, მაგრამ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ეს სადღაც მოხდება.

საგადასახდლო ბალანსის ფუნდამენტური შინაარსი

თუ საერთაშორისო ოპერაცია ავტომატურად იწვევს ორ ჩანაწერს საპირისპირო ნიშნით საგადასახადო ბალანსში, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და კაპიტალის მოძრაობის ბალანსი ავტომატურად უტოლდება ნულს:

$$\text{მიმდინარე ანგარიში} + \text{კაპიტალის მოძრაობის ანგარიში} = 0 \quad (12-3)$$

ეს ტოლობა შეიძლება გაეიგოს, თუ გავიხსენებთ ურთიერთობას, რაც ერთმანეთთან აკავშირებს მიმდინარე ანგარიშსა და საერთაშორისო სესხება-გასესხებას. რადგან მიმდინარე ანგარიში არის ცვლილება ქვეყნის წმინდა უცხოურ აქტივებში, იგი აუცილებლად ტოლი იქნება იმ განსხვავებისა, რაც აღინიშნება უცხოელებიდან ქვეყნის მიერ აქტივების შესყიდვასა და მათზე აქტივების გაყიდვას შორის, ანუ ტოლი იქნება კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსისა მიწის ნიშნით.

ცხრილი 12-2 აშშ-ს საგადასახდლო ბალანსის ანგარიშები 1994 წლისთვის (მლრდ დოლარით)

	კრედიტი	დებიტი
მიმდინარე ანგარიში		
(1) ექსპორტი	+832.9	
მათ შორის:		
საქონელი	+502.7	
მიღებული საინვესტიციო შემოსავალი	+134.9	
სხვა მომსახურებები	+195.3	
(2) იმპორტი		-954.4
მათ შორის:		
საქონელი		-669.1
გადახდილი საინვესტიციო შემოსავალი		-135.3
სხვა მომსახურებები		-150.0
(3) წმინდა ერთმხრივი ტრანსფერტები		-34.1
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი		-155.7
[(1) + (2) = (3)]		
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში		
(4) აშშ-ს საზღვარგარეთული აქტივები		-125.7
(ზრდა -)		
მათ შორის:		
ოფიციალური სარეზერვო აქტივები	+5.3	
სხვა აქტივები		-131.0
(5) აშშ-ში შენახული უცხოური აქტივები	+314.6	
(ზრდა +)		
მათ შორის:		
ოფიციალური სარეზერვო აქტივები	+38.9	
სხვა აქტივები	+275.7	
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი	+188.9	
[(4) + (5)]		
სტატისტიკური შეუსაბამობა		-33.3
[(1)დან (5) ჯამი საწინააღმდეგო ნიშნით]		

ახლა დაეუბრუნებოდეთ საგადასახადო ბალანსის ანგარიშის უფრო დეტალურ აღწერას და თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენოთ აშშ-ს 1994 წლის ანგარიშები. 12-2 ცხრილი წარმოადგენს ამ წლისთვის ამერიკის საერთაშორისო ოპერაციების შესახებ ჩანაწერებს.

კიდევ ერთხელ მიმდინარე ანგარიშების შესახებ

ეცით, რომ ანგარიშის ბალანსი ზომავს ქვეყნის საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტს. 12-2 ცხრილი გვიჩვენებს, რომ აშშ-ში 1994 წელს ექსპორტი იყო 832.9 მლრდ დოლარი, იმპორტი 954.4 მლრდ დოლარი. რადგან იმპორტი გულისხმობს უცხოელებისათვის გადახდას, როგორც ნაწილებია, ჩანაწერებს უკეთდება უარყოფითი ნიშანი.

ექსპორტისა და იმპორტის საგადასახადო ბალანსის ანგარიში სამ კატეგორიად იყოფა; პირველი: *საქონლით* ვაჭრობა, ანუ საქონლის იმპორტი და ექსპორტი. მეორე კატეგორია: *საინვესტიციო შემოსავალი*, რაც შედგება საერთაშორისო საპროცენტო და დივიდენდების გადასახადებისა და იმ შემოსავლებისაგან, რასაც საზღვარგარეთ მოქმედი ადგილობრივი ფირმებისაგან იღებენ. თუ თქვენ ფლობთ გერმანული ფირმის აქციების წილს და დივიდენდის სახით 55 დოლარს იღებთ, ეს გადახდა ელინდება ანგარიშებში როგორც აშშ-ს საინვესტიციო შემოსავალი – 55 დოლარი. ბოლო, მესამე კატეგორია: *სხვა სახის მომსახურება*, მოიცავს ისეთ მუხლებს, როგორცაა საკანონმდებლო თანამშრომლობა, ტურიზმის დანახარჯები და გადაზიდვის საფასური.

მიმდინარე ანგარიშში ჩაერთავთ შემოსავალს უცხოური ინვესტიციებიდან, როგორც *მომსახურების* კომპენსაციას. ეს ასრულებს და ეშვს გულისხმობს. როდესაც აშშ-ს კორპორაცია ქარხანას აგებს კანადაში, ქარხნისათვის გაწეული მომსახურება განიხილება როგორც მომსახურების ექსპორტი აშშ-დან კანადაში, რაც ღირებულებით იმ მოგების ტოლი იქნება, რასაც ქარხანა მისცემს თავის ამერიკელ ევატრონეს. ეს მოგება აუცილებლად უნდა ჩაირთოს ამერიკის ექვში და არა კანადურ ექვში. გაიხსენეთ, რომ ექვსის განსაზღვრება ეხება საქონელსა და მომსახურებას, მიღებულს ქვეყნის საწარმოო ფაქტორებით, მაგრამ არა იმას, რომ ფაქტორებმა იმ ქვეყნის საზღვრებში უნდა იმუშაონ, რომელიც მათ ფლობს.

მიმდინარე ანგარიშის გამოთვლამდე უნდა განვიხილოთ საერთაშორისო ოპერაციის ერთი დამატებითი ტიპი. ექვს-სა და ეროვნულ შემოსავალს შორის ურთიერთობის განხილვისას ჩვენ განვსაზღვრეთ ქვეყნებს შორის ერთმხრივი ტრანსფერტი, ანუ საერთაშორისო საჩუქრები ანუ გადახდები, რაც არ შეესაბამება რაიმე საქონლის, მომსახურების ან აქტივის შესყიდვას. წმინდა ერთმხრივი ტრანსფერტი მიჩნეულია მიმდინარე ანგარიშის ნაწილად ისევე, როგორც ეროვნული შემოსავლის ნაწილი. ამ შემთხვევაშიც ტოლობა $Y = C + I + G + CA$ ზუსტად ასეთივე იქნება, თუ Y-ს განვმარტავთ, როგორც ექვს და მატებული წმინდა ტრანსფერტი. 1994 წელს აშშ-ს ერთმხრივი ტრანსფერტის ბალანსი იყო 34.1 მლრდ დოლარი.

ცხრილი გვიჩვენებს 1994 წლის მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ანუ 832.9 მლრდ. – 954.4 მლრდ. – 34.1 მლრდ. = 155.7 მლრდ. დეფიციტს. უარყოფითი ნიშანი იმას ნიშნავს რომ, მიმდინარე გადახდამ გადააჭარბა მიმდინარე შემოსავალს და აშშ-ს მოქალაქენი უფრო მეტ გამოშვებას იყენებდნენ, ვიდრე თავად აწარმოებდნენ. რადგან მიმდინარე ანგარიშის ეს ოპერაციები რაღაცა გზით ანაზღაურდებოდა, ეს ნეგატიური 155.7 მლრდ-ის ჩანაწერიც უნდა ანაზღაურებულიყო პოზიტიური 155.7 მლრდ. ჩანაწერით – საგადასახადო ბალანსის სხვა ნაწილით კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

ზუსტად ისევე, როგორც მიმდინარე ანგარიშის შემთხვევაში არის სხვაობა უცხოელებისათვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვასა და მათგან ამ უკანასკნელის შესყიდვას შორის. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში ზომავს სწორედ ამ განსხვავებას უცხოელებისათვის აქტივების მიყიდვასა და საზღვარგარეთ განთავსებული აქტივების შესყიდვას შორის. როდესაც აშშ სესხულობს ერთ დოლარს უცხოელისაგან აქტივის ანუ იმ დაპირების სანაცვლოდ, რომ მას გადაუხდინან მომავალში ერთ დოლარს პროცენტით. ასეთი ოპერაცია შედის კაპიტალის ანგარიშზე პოზიტიური ნიშნით, რადგან სესხი თავისთავად არის აშშ-სთვის *კაპიტალის შედინება*. როდესაც აშშ საზღვარგარეთ იღებს სესხს, უხდის უცხოელებს და კაპიტალის მოძრაობის ანგარიში დებეტირებულია. ეს ოპერაცია მოიცავს უცხოელებიდან აქტივების შესყიდვას და მას ეწოდება *კაპიტალის გადინება*.

1994 წლის 155.7 მლრდ. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დასაფარად აშშ-ს დასჭირდა 155.7 მლრდ. წმინდა კაპიტალის შედინება. სხვა სიტყვებით, უცხოელებზე აქტივების გაყიდვამ ან წმინდა სესხებამ შეადგინა 155.7 მლრდ. დოლარი. კიდევ ერთხელ შევხედოთ 12-2 ცხრილს და დავინახავთ, თუ როგორ მოხდა წმინდა კაპიტალის ასეთი შედინება.

ცხრილში განცალკევებითაა ჩაწერილი საზღვარგარეთ განლაგებული აშშ-ს აქტივების ზრდა (რაც არის კაპიტალის გადინება უარყოფითი ნიშნით) და აშშ-ში განლაგებული უცხოური აქტივების ზრდა (რაც არის კაპიტალის შედინება დადებითი ნიშნით).

12-2 ცხრილის შესაბამისად, საზღვარგარეთ განთავსებული აქტივები გაიზარდა 125.7 მლრდ-ით 1994 წელს, რამაც შეიტანა 125.7 მლრდ. აშშ-ს საგადასახადო ბალანსში. აშშ-ში უცხოური აქტივები გაიზარდა 314.6 მლრდ-ით წელიწადში და ეს შესყიდვები ნაწილებია პოზიტიური ნიშნით. ჩვენ შემდეგნაირად გამოთვლით

ბალანსს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე: 314.6 მლრდ. დოლარი - 125.7 მლრდ დოლარი = 188.9 მლრდ. დოლარის დადებით სალდოს.

სტატისტიკური შეუსაბამობა

ჩვენ მივიღებთ 188.9 მლრდ დოლარის კაპიტალის ანგარიშის ნამატს და არა უფრო მცირე, 155.7 მლრდ-ს, რასაც მოუვლოდით, ანუ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებით სალდოს. თუ ყოველი საგადაამხდელი ბალანსის კრედიტი ავტომატურად ქმნის თანაბარ დებიტს და პირიქით, მაშინ როგორ არის შემოთ აღნიშნული განსხვავება შესაძლებელი? პასუხი - მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (ამანაზღაურებელი კრედიტისა და დებიტის მუხლების შესახებ) შეიძლება სხვადასხვა წყაროდან იქნეს მიღებული. მაგალითად, იმპორტის დებიტის შესახებ ინფორმაცია იაპონიიდან საქონლის მიღების თაობაზე შეიძლება მოდიოდეს აშშ-ს საბაჟოს მოხელის მოხსენებიდან, შესაბამისი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის კრედიტის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოდიოდეს აშშ-ს ბანკში მომუშავე მოხელის მოხსენებითი ბარათიდან, სადაც ჩვეი არის დეპონირებული. რადგან სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები შეიძლება განსხვავდებოდეს სიზუსტითა და დროში ნორმირებით, საგადაამხდელი ბალანსის ანგარიშები იშვიათად წონასწორდება რეალურად, რაც თეორიის შესაბამისად უნდა მომხდარიყო. აღმრიცხველები აიძულებენ ორივე მხარეს, რომ მათ ანგარიშებს დაბალანსების მიზნით დაუმატონ სტატისტიკური შეუსაბამობა. 1994 წლისათვის აღურიცხავმა (ან შეცდომით აღრიცხულმა) ოპერაციებმა შეადგინა 33.3 მლრდ-ის დაბალანსებული დებიტი (არ ხერხდება რიცხვების დამატება დამრგვალებაში შეცდომის გამო).

არ არსებობს სხვა გზა, რითაც ზუსტად განვსაზღვრავთ, სად განეთავსოთ ეს შეუსაბამობა - მიმდინარე ანგარიშსა თუ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს შორის (ასე რომ მოექცეულიყავით, ეს არც შეუსაბამობა იქნებოდა!). ამაში დამნაშავეა კაპიტალის მოძრაობის ანგარიში, რადგან ჩვენთვის საოცრად ძნელია, გავსდიოთ რთულ ფინანსურ ვაჭრობას სხვადასხვა ქვეყნების მცხოვრებლებს შორის. მაგრამ მაინც არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმინდა კაპიტალის გადინება 33.3 მლრდ-ით მეტი იყო აღრიცხულზე, რადგან მიმდინარე ანგარიში ასევე საეჭვოა. საგადასახადო ბალანსის ანალიტიკოსები შედარებით სარწმუნოდ მიიჩნევენ მონაცემებს საქონლით ვაჭრობის შესახებ, მაგრამ მონაცემებს მომსახურების შესახებ ასეთად არ თვლიან. მომსახურებითი ოპერაციები, როგორცაა კონსულტაცია ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე და თანამშრომლობა კომპიუტერულ პროგრამებში, შეიძლება გადაურჩეს გამჟღავნებას. საერთაშორისო პროცენტისა და დივიდენდის გამოთვლა განსაკუთრებით ძნელია.

ოფიციალური სარეზერვო ოპერაციები

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ოპერაციების მრავალი სახეობა არსებობს, ერთი მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ღირს განსახილველად. ამ სახის ოპერაცია მოიცავს ოფიციალური სარეზერვო აქტივების გაყიდვას ან შესყიდვას ცენტრალური ბანკის მიერ.

ქვეყნის ცენტრალური ბანკი არის ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნისათვის ფულის მიწოდებაზე. აშშ-ში ცენტრალური ბანკი არის ფედერალური რეზერვო სისტემა. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები უცხოური აქტივებია და ცენტრალური ბანკი მათ იყენებს, როგორც სარეზერვო მარაგს ეროვნული ეკონომიკის დაცემისას. ერთ დროს ოფიციალური რეზერვები უმეტესად ოქროსგან შედგებოდა, მაგრამ დღეს ცენტრალური ბანკის რეზერვები მოიცავენ ძირითადად ისეთ უცხოურ ფინანსურ აქტივებს, განსაკუთრებით აშშ დოლარით, როგორცაა სახაზინო თამასუქები. ფედერალური რეზერვი თავისთავად ფლობს ოფიციალური სარეზერვო აქტივების მხოლოდ მცირე ოდენობას და არა ოქროს; მისი საკუთარი აქტივები (დოლარით) არ მიიჩნევა საერთაშორისო აქტივებად.

ცენტრალური ბანკი ხშირად ყიდის ან ყიდულობს საერთაშორისო რეზერვებს კერძო აქტივების ბაზრებზე, რათა შემოქმედება მოახდინოს თავისი ქვეყნების მაკროეკონომიკურ ვითარებაზე. ამ ტიპის ოფიციალურ ოპერაციებს ეწოდება უცხოური ვალუტის ოფიციალური ინტერვენცია. უცხოური ვალუტის ოფიციალური ინტერვენციის მიერ მაკროეკონომიკის შეცვლა წარმოადგენს საშუალებას ცენტრალური ბანკისათვის, რათა ფული „შეუშხაქუნოს“ ეკონომიკას ან ამოიღოს იგი მიმოქცევიდან.

ცენტრალური ბანკის გარდა სახელმწიფო სააგენტოები შეიძლება ფლობდნენ უცხოურ რეზერვებს და ოფიციალურად ერეოდნენ სავალუტო ბაზრების საქმიანობაში. აშშ-ს ხაზინა, მაგალითად, იყენებს ვალუტის სტაბილიზაციის ფონდს, რომელიც სოფტერ აქტიურ რილს თამაშობს ბაზრის ვაჭრობაში. რადგან ასეთი სააგენტოების მიერ განხორციელებულ ოპერაციებს ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი გავლენა არა აქვს ფულის მიწოდებაზე, ჩვენი დისკუსიის გამარტივებისათვის მომავალში აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ცენტრალური ბანკი ფლობს უცხოურ რეზერვებს და ერევა სავალუტო ბაზრის საქმიანობაში.

დაკარგული დაღვებითი სალდოს საიდუმლო

რადგან მსოფლიო, როგორც მთელი, დახურული ეკონომიკაა, მსოფლიო დანახვები გოლი უნდა იყოს მსოფლიო ინვესტიციისა და მსოფლიო დანახვები გოლი უნდა იყოს მსოფლიო გამოშვებისა. ცალკეულ ქვეყნებს შეიძლება ქონდეთ მიმდინარე ანგარიშის დაღვებითი სალდო ან დეფიციტი, რათა ინვესტირება მოახდინონ ან გაახსნონ სასღვარგარეთ. რადგან ერთი ქვეყნის მიერ სესხის აღება ნიშნავს მეორისაგან გასესხებას, ყველა ამ ინდივიდუალური მიმდინარე ანგარიშის ჯამის შეუსაბამობა აუცილებლად ნულის ტოლია.

ეს მართლაც ასეა? მონაცემები ეროვნული მიმდინარე ანგარიშის შესახებ გვჩვენებენ, რომ მსოფლიოში, როგორც მთელში, მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი დეფიციტია, რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გაიზარდა და მაღალ დონეზე დარჩა. ქვემოთ მოტანილი მონაცემები გვჩვენებენ ყველა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის მთელი ბალანსის ჯამს 1980 წლიდან.

ცხრილში მოცემული გლობალური შეუსაბამობა გაცილებით დიდია თავისი ზომით, ვიდრე აღრიცხული ეროვნული მიმდინარე ანგარიშების უმეტესობა. რადგან პოზიტიური და ნეგატიური შეცდომები გამოირიცხებიან შეჯამებისას, რასაც გლობალური მონაცემებისკენ მიუყვართ, ამ ზომის შეუსაბამობის გამო ეროვნული მიმდინარე ანგარიშის სტატისტიკა (რის საფუძველზედაც პოლიტიკის შემქმნელები იღებენ გადაწყვეტილებებს) სერიოზული არაკურატულობით გამოირჩევა.

რით აიხსნება თეორიულად შეუძლებელი დეფიციტი, რაც ნაჩვენებია მთელი მსოფლიოს მიმდინარე ანგარიშის მონაცემებით? პირველად თქვენ შეგიძლიათ დაადანაშაულოთ სტატისტიკური შეუსაბამობა, რაც ცალკეულ ქვეყნებს თავგზას უბნევს საგადასახადო ბალანსის ანგარიშებისა და ეროვნული შემოსავლის გამოთვლისას. დამატებით გართულებას იწვევს დროის ნორმირების ფაქტორი. მაგალითად, საქონელმა, რომელიც ერთი ქვეყნის პორტს ტოვებს საბუნებრივად წლის ბოლოსათვის, შეიძლება ვერ მიაღწიოს დანიშნულების ადგილს დროულად, რაც მიმდების მიერ აღრიცხული უნდა იყოს იმავე წლის იმპორტის სტატისტიკაში.

პრეტენსიით საბუნებრივად ანომალიების მიმართ ძირითადად ვერ აიხსნება ის, თუ მსოფლიოს, როგორც მთელს, რატომ უნდა ახასიათებდეს მუდმივი დეფიციტი (და არა დაღვებითი სალდო), ან რატომ უნდა გასაზრდადებელი დეფიციტი 1980-იანი წლების დასაწყისში. ყველაზე მისაღები პიპოტეზა დაკარგულ დაღვებით სალდოს უკავშირებს საბუნებრივ შეუსაბამობის (საერთაშორისო საპროცენტო შემოსავლის დინებების შესახებ სისტემურად არასწორი ცნობების მიწოდების) ერთ სპეციფიკურ მიზეზს ეროვნულ დონეზე. სასღვარგარეთ გამოშვებულ საპროცენტო გადასახადებს ხშირად არ ასახავენ სამთავრობო ოფიციალური პირები მიმღებ ქვეყანაში. ბევრ შემთხვევაში ასეთი პროცენტის გადახდა უშუალოდ მიწერილია უცხოურ საბანკო ანგარიშზე და ეროვნულ სასღვარებს არც კი გადაეკეთს. არსებობს საერთაშორისო საპროცენტო დინებების გლობალური ნეგატიური ბალანსი.

ცხრილი: მსოფლიო მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 1980-1993 წლებში (მლრდ აშშ დოლარით)

1980	1981	1982	1983	1984	1985	1986	1987	1988	1989	1990	1991	1992	1993
-38.5	-68.3	-100.2	-61.2	-73.4	-80.8	-76.7	-62.3	-78.9	-108.1	-143.8	-122.4	-122.4	-88.8

მსოფლიო საპროცენტო განაკვეთები მკვეთრად გაიზარდა 1980 წლის შემდეგ და ამ საპროცენტო გადასახადის შეუსაბამობის სიდიდე მათთან ერთად გადიდდა. პროცენტის გადახდის პიპოტეზა გუთავაზობს გლობალური დეფიციტის პოტენციურ ახსნას. მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების შემცირება 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ნაწილობრივ ამტკიცებს პიპოტეზას, რადგან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა დაიწია საპროცენტო განაკვეთის კლებასთან ერთად. მონაცემები შესაბამისობაშია იმ რთლთან, რასაც ასრულებს პროცენტის გადახდა. მთავარი განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 1987 წლის შემდეგ და ამან გააორმაგა მსოფლიო საგადასახადო ბალანსის დეფიციტი. ამ სემოქმედების დრამატული სიდიდე უფრო შეუსაბამოც კი იყო, ვიდრე 1982 წლის პიკის დროს, რაც აიხსნებოდა ერთობლივი საერთაშორისო აქტივების უფრო დიდი მოცულობითა და 1980-იანი წლების ბოლოს არსებული პასივებით. 1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთების გაუმჯობესების პროცესი, რომელიც კიდევ უფრო დაჩქარდა 1993 წელს, როდესაც ევროპა გაერთიანდა (იხ. თავი 20), აშკარად დაკავშირებული იყო მსოფლიო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კიდევ ერთ შემცირებასთან.

ყოველივე ამის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების კვლევაც ისევე ქმედითია, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მიმდინარე ანგარიშის შეუსაბამობასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღმოაჩინა, რომ მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთით აიხსნება შეუსაბამობის დიდი ნაწილი, აქ სხვა დამატებითი ფაქტორებიცაა ჩარეული. მაგალითად, მსოფლიოს საეკონომიკური გაშვების ფლოტი რეგისტრირებულია იმ ქვეყნებში, რომლებიც

საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ მოახსენებენ საზღვაო ტვირთის გადაზიდვიდან მიღებული მოგების შესახებ. ეს აღუწერაყი შემოსავალი მსოფლიოს დაკარგული დადებითი სალდოს მნიშვნელოვან წილს შეადგენს.

როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს ან ყიდის უცხოურ აქტივებს, ოპერაცია აისახება მისი ქვეყნის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე ისევე, როგორც კერძო მოქალაქის მიერ განხორციელებული ოპერაცია. ოპერაცია, როცა კერძო ან ცენტრალური ბანკი (ბუნდესბანკი) იღებს აქტივებს დოლარით. შემდეგანადად შეიძლება განხორციელდეს აშშ-ის მანქანებით მოვაჭრეს გერმანიიდან შემოაქვს ფოლსვაგენი და ავტომანქანის კომპანიას უხდის წევით 15.000 დოლარს. ფოლსვაგენის მწარმოებელს არ სურს ფულის ინვესტირება დოლარით აქტივებში, მაგრამ ბუნდესბანკს სურს ფოლსვაგენს მისცეს გერმანული ფული 15.000 დოლარის წევის სანაცვლოდ. ოპერაციის შედეგად ბუნდესბანკის საერთაშორისო რესურსები გაიზარდა 15.000 დოლარით. რადგან ბუნდესბანკის რესურსები დოლარით აშშ-ში განთავსებული მთლიანი გერმანული აქტივების ნაწილია, გერმანული აქტივებიც გაიზარდა იმავე ოდენობით. ამ ოპერაციის, ანუ მანქანის შეძენის შედეგი იქნება 15.000 დოლარის პოზიტიური შესვლა აშშ-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე.

12-2 ცხრილი გვიჩვენებს აშშ-ში ოფიციალური სარესურსო ოპერაციების მასშტაბს და მიმართულებას. სარესურსო აქტივები – ანუ ფედერალური რესურსის მფლობელობაში არსებული საერთაშორისო რესურსები შემცირდა – 53 მლრდ დოლარით (გაიხსენეთ, რომ პოზიტიური ნიშანი ნიშნავს აშშ-ს აქტივების შემცირებას საზღვარგარეთ, ანუ უცხოელებისთვის აქტივების „ექსპორტს“). უცხოურმა ცენტრალურმა ბანკებმა შეისყიდეს 38.9 მლრდ დოლარი თავისი რესურსებისათვის დასამატებლად. წმინდა უცხოური ოფიციალური რესურსების მოთხოვნებს გამოკლებული აშშ-ს ოფიციალური რესურსების წმინდა ზრდა არის ოფიციალური სარესურსო ოპერაციების ბალანსი, რომელმაც შეადგინა 44.2 მლრდ დოლარი 1991 წელს (38.9 მლრდ დოლარს – (- 5.3 მლრდ აშშ დოლარი).

44.2 მილიარდი დოლარის ეს ბალანსი შეიძლება განიხილოთ იმ დონის მაჩვენებლად, რა დონეზეც აშშ-სა და საზღვარგარეთის ფულად-საქრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები გაერთიანდნენ სხვა მსუსხებლებთან, რათა დაეფარათ აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, 15.000 დოლარის მიღებით აშშ-ს საბანკო დეპოზიტზე ბუნდესბანკმა არაპირდაპირ დააფინანსა 15.000 დოლარის ღირებულების მქონე გერმანული მანქანის იმპორტი ამერიკაში. ოფიციალური სარესურსო ოპერაციების ბალანსის საბუღალტრო აღრიცხვას ეწოდება ოფიციალური ანგარიშსწორების ბალანსი ან (ნაკლებ ოფიციალურად) საგადამხდლო ბალანსი. ეს ბალანსი არის მიმდინარე ანგარიშის ბალანსის, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსის, არასარესურსო წილის და სტატისტიკური შეუსაბამობის ჯამი და აღნიშნავს საგადასახადო დეფიციტს, რომელიც უნდა დაიფაროს ოფიციალური სარესურსო ოპერაციებით. ამდენად, აშშ-ს საგადამხდლო ბალანსი 1994 წელს იყო 44.2 მლრდ დოლარი ანუ ოფიციალური სარესურსო ოპერაციების ბალანსი მინუს ნიშნით.

12-3 ცხრილში ხელახლა არის დალაგებული მთავარი კატეგორიები, რათა უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი ოფიციალური სარესურსო ოპერაციების როლი იმ სხვაობის გასათანაბრებლად, რომელიც არსებობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსა და კაპიტალის მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდოს არასარესურსო წილს შორის. საგადამხდლო ბალანსმა მნიშვნელოვანი ისტორიული როლი ითამაშა, როგორც საერთაშორისო გადასახადების არათანაფარდობის საზომმა და მრავალი ქვეყნისთვის მას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ნუგატიური საგადასახადო ბალანსი (დეფიციტი) შეიძლება იყოს კრიზისის ნიშანი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ამცირებს საერთაშორისო რესურსების აქტივებს ან იმას, რომ უცხოური ფულად-საქრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელები ვალებში არიან ჩაფლულნი.

საგადამხდლო ბალანსი დიდი სიფრთხილით უნდა განვმარტოთ. ჩვენს მაგალითს დაეუბრუნდეთ – ბუნდესბანკის გადაწყვეტილებას, გაეფართოებინა აშშ-ს ბანკის დეპოზიტი 15.000 დოლარით, აღიდებს აშშ-ს საგადამხდლო ბალანსის დეფიციტს იმავე ოდენობით. დაეუშვათ, ბუნდესბანკმა ამის მაგივრად თავისი 15.000 დოლარი მოათავსა ლონდონის ბარკლეი ბანკში, რომელიც თავის მხრივ ფულის დეპონირებას ახდენს ნიუ-იორკის ბანკერს ტრასტთან. ამ შემთხვევაშიც აშშ-ს არასარესურსო კაპიტალის შედინება დიდდება 15.000 დოლარით და მისი საგადამხდლო ბალანსის დეფიციტი არ მატულობს. საგადამხდლო ბალანსის ამგვარ „გაუმჯობესებას“ მცირე ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან აშშ-თვის სულ ერთია, – იგი ფულს ლონდონის ბანკის მეშვეობით მიიღებს თუ ბუნდესბანკისა.

საკითხის შესწავლისათვის

არის თუ არა აშშ მსოფლიოს უდიდესი მშპალი?

აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზის ბიურო შედამხედველობას უწევს კოელისმომცემი მონაცემების შეგროვებას, აშშ-ს ეროვნული შემოსავლის, საქონლის აღრიცხვის და საგადამხდლო ბალანსის სტატისტიკის მონაცემების გარდა. ამასთან, ეკონომიკური ანალიზის ბიურო საგადამხდლო ბალანსის სტატისტიკის მონაცემების გარდა, აშშ-ს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის მიერ მოცემულ ყოველწლიურ აღრიცხვას „აშშ-ს საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის“ მიერ მოცემულ ყოველწლიურ

შეფასებებს ქვეყნის წმინდა უცხოური ქონების შესახებ. ამ შეფასებებმა გვიჩვენეს, რომ 1993 წლის ბოლოს აშშ-ს წმინდა უცხოური ქონების მანევრებელი ნეგატიური იყო, რაც გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ნებისმიერი ცალკე აღებული ქვეყნისა.

ადრე ვნახეთ, რომ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი აფასებს ახალი მოთხოვნების დინებას უცხოური კეთილდღეობისკენ, რასაც ქვეყანა იღებს უფრო მეტი საქონლის მომსახურების ექსპორტით და არა – იმპორტით. ეს დინება არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც იწვევს ქვეყნის წმინდა უცხოური კეთილდღეობის შეცვლას. გარდა ამისა, ადრე შექმნილი კეთილდღეობის საბაზრო ფასში ცვლილებებმა შეიძლება შეცვალოს ქვეყნის წმინდა უცხოური კეთილდღეობა. როდესაც იაპონიის საფონდო ბირჟამ დაკარგა თავისი ღირებულების ნახევარზე მეტი 1990-92 წლებს შორის, ამის შედეგად იაპონიის წმინდა უცხოური კეთილდღეობა გაიზარდა. ეკონომიკური ანალიზის ბიურომ უნდა დაარეგულიროს არსებული მოთხოვნების ღირებულება კაპიტალის ასეთი მოგებისა და ზარალის მიმართ, სანამ აშშ-ს წმინდა უცხოურ კეთილდღეობას შეაფასებს.

ცხრილი 12-3 აშშ-ს ოფიციალური ოპერაციების ბალანსის აღრიცხვა 1994 წლისათვის (მლრდ დოლარი)

	კრედიტები	დებეტები
მიმდინარე ანგარიში		
(1) ექსპორტი	+832	
(2) იმპორტი		-954.4
(3) წმინდა ერთმხრივი ტრანსფერტები		-34.1
(4) მიმდინარე ანგარიშის ბალანსი		-155.7
[(1) + (2) + (3)]		
არასარეზერვო კაპიტალის მოძრაობის ანგარიში		
(5) აშშ-ს საზრეარგარეთული აქტივები (აშშ-ს ოფიციალური რეზერვის გამოკლებით) (ზრდა -)		-131.0
(6) აშშ-ში შენახული უცხოური აქტივები (უცხოური ოფიციალური რეზერვის გამოკლებით) (ზრდა +)	+275.7	
(7) არასარეზერვო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსი [(5) + (6)]	+144.7	
(8) სტატისტიკური შეუსაბამობა		-33.3
(9) ოფიციალური რეგულირების ბალანსი [(4) + (7) + (8)]		-44.2
ოფიციალური სარეზერვო ოპერაციები		
(10) აშშ-ს საზღვარგარეთული ოფიციალური სარეზერვო აქტივები (ზრდა -)	+5.3	
მათ შორის:		
ოქრო	-	
კრედიტის ნახევრადავტომატურად მიღების უფლება		-0.4
რეზერვის მდგომარეობა საერთაშორისო მონეტარულ ფონდში	+0.5	
უცხოური ვალუტა	+5.3	
(11) აშშ-ში შენახული უცხოური ოფიციალური რეზერვების აქტივები (ზრდა +)	+38.9	
მათ შორის:		
აშშ-ს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	+36.4	
აშშ-ს მთავრობის სხვა პასივები	+2.5	
პასივები, წარდგენილი აშშ-ს ბანკების მიერ, რომლებიც არ შედიან სხვაგან სხვა	+2.3	-2.3
(12) ოფიციალური სარეზერვო ოპერაციების ბალანსი	+44.2	

ეკონომიკური ანალიზის ბიურო ახლა იძლევა აშშ-ს წმინდა უცხოური კეთილდღეობის ორნაირ შეფასებას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციის დამუშავების მიხედვით. 1991 წლამდე უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შეფასდა მათი საწყისი შესყიდვის ფასებით. ახლა ეკონომიკური ანალიზის ბიურო იყენებს ორ განსხვავებულ მეთოდს, რათა განათავსოს არსებული ღირებულება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, არსებული ფასების მიხედვით ღირებულების მეთოდი განიხილავს პირდაპირ ინვესტიციას მისი დღევანდელი ფასის მიხედვით და საბაზრო ღირებულების მიხედვით ინვესტიციის გასაყიდ ფასს. ამ მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს სხვადასხვა შეფასებამდე, რადგან პირდაპირი ინვესტიციის შენაცვლების განსასაზღვრელი ხარჯი და მისი გაყიდვის ფასი (თუ ეს ბაზარზე მოხდება), შეიძლება ძნელი შესაფასებელი იყოს (12-2 გრაფიკში ასახული წმინდა უცხოური

კეთილდღეობის მონაცემები წარმოადგენს ღირებულების შეფასებას მიმდინარე ფასებით).

ეკონომიკური ანალიზის ბიურომ აშშ-ს წმინდა საგარეო ქონება 1993 წლისთვის შეაფასა – 555.7 მლრდ. დოლარად. საბაზრო ღირებულების მონაცემების საფუძველზე ბიურომ იმავე წელს უცხოურ ქონებას უფრო მეტი შეფასება მისცა – 507.7 მლრდ. დოლარი.

აშშ-ს ვალმა, რომელიც მოელ უცხოურ ვალზე უფრო დიდია, შეადგინა 490.7 მლრდ. დოლარი 1993 წელს. ამ ციფრებიდან მნიშვნელოვანია გაიგოს, რომ აშშ-ს წმინდა უცხოურმა ვალმა (ღირებულება არსებული ფასებში) შეადგინა მისი ეკპ-ის 10%-ზე ნაკლები, მაშინ როდესაც არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, ვენესუელის და დასავლეთის ქვეყნების მოვალეობისათვის ვალი მთლიანად იყო მათი ერთობლივი ეკპ-ს 35%. ამდენად, აშშ-ს საგარეო ვალი გეოგრაფიულად, რომ ის გაცილებით ნაკლებად იყენებდა თავის შემოსავალს სამხრეთელ მეზობლებთან შედარებით.

აშშ ნამდვილად არის მსოფლიოს უდიდესი მოვალე. არანაირი მიზეზი განგაშისა არ არსებობს, რადგან აშშ-ს ეკპ-ც უდიდესია მსოფლიოში და მას არ ეშინება ის საფრთხე, რომ თავის ვალს ვერ გადაიხდის. გაიხსენოთ, რომ სასღვარგარეთ სესხის აღება სულაც არ არის ცუდი: ქვეყანა, რომელიც სესხელობს სასღვარგარეთ და მომგებიანი შიდა ინვესტიციების გარანტია აქვს, შეძლებს კრედიტორებისთვის ვალის დაბრუნებას და ფულსაც გადაინახვს (თავი 7). სამწუხაროდ, 1980-იან წლებში აშშ-ს ნასესხები თანხებით დაფინანსდა სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი და არა ინვესტიციები, რაშიც დაერწმუნდით ბოლო საკითხის შესწავლით. აშშ-ს მოქალაქეთა მიმავალი თაობები ვალების გადახდის პრობლემის წინაშე დადგებიან.

წიგნი 11

1. საერთაშორისო მაკროეკონომიკა დაკავშირებულია მოელ მსოფლიო ეკონომიკაში მწირი ეკონომიკური რესურსებისა და ფასების დონის სტაბილურობასთან, რადგან ეს უკანასკნელი ასახავენ ეროვნული დანახარჯების სტრუქტურას და მათ საერთაშორისო გაყიდვას. *ეროვნული შემოსავლის ანგარიშები* და *საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშები* არსებით იარაღს წარმოადგენენ ურთიერთდაპირისმართული, ღია ეკონომიკების შესწავლისათვის.
2. ქვეყნის *ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეკპ)* ტოლია საწარმოო ფაქტორებით მიღებული შემოსავლისა. ეროვნული შემოსავლის ანგარიშგება ყოფს ეროვნულ შემოსავალს იმ სახის დანახარჯების შესაბამისად, რომლებიც მას ქმნიან: *მოხმარება, ინვესტიცია, სამთავრობო შესყიდვა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი*. შიდა ერთობლივი პროდუქტი, რომელიც ტოლია ეკპ-ს გამოკლებული საწარმოო ფაქტორის წმინდა შემოსავლისა სასღვარგარეთიდან, სომავს ქვეყნის სასღვარებში წარმოებულ გამოშვებას.
3. საერთაშორისო ვაჭრობისათვის დახურულ ეკონომიკაში ეკპ უნდა იყოს მოხმარებული, ინვესტირებული ან შესყიდული მთავრობის მიერ. არსებული გამოშვების გამოყენებით ქარხნის ასაშენებლად, მოწყობილობისა და ინვენტარის საყიდლად, ინვესტიცია ახდენს ამჟამინდელი გამოშვების ტრანსფორმირებას მომავალ გამოშვებაში. დახურული ეკონომიკისათვის ინვესტიცია ერთობლივი დაზოგვის ერთადერთ გზას წარმოადგენს და ამდენად კერძო და სახელმწიფო სექტორების მიერ განხორციელებული დაზოგვის მთელი ოდენობა, ანუ *ეროვნული დაზოგვა*, უნდა იყოს ინვესტიციის ტოლი. ღია ეკონომიკაში ეკპ ტოლია მოხმარების ინვესტიციის, სახელმწიფო შესყიდვებისა და საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტის ჯამისა. ვაჭრობის დაბალანსების აუცილებლობა არ არის, როდესაც ქვეყანას შეუძლია სესხის გასცეს და ისესხოს მსოფლიოს დანარჩენი ნაწილიდან: ეკონომიკის ექსპორტსა და იმპორტს და მიმდინარე ანგარიშის ბალანსს შორის არსებული განსხვავება ტოლია ეკონომიკის გამოშვებასა და მის მიერ საქონლისა და მომსახურების მთლიან გამოყენებას შორის განსხვავებისა.
4. მიმდინარე ანგარიშში ასევე ტოლია ქვეყნის მიერ უცხოელებისათვის წმინდა სესხის გაცემისა. დახურული ეკონომიკისაგან განსხვავებით, ღია ეკონომიკა შეიძლება დაზოგოს შიდა და უცხოური ინვესტიციის მეშვეობით. ეროვნული დაზოგვა ტოლია შიდა ინვესტიციას პლუს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი.
5. საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშში უზრუნველყოფს მიმდინარე ანგარიშის დაფინანსებისა და შემადგენლობის დეტალურ სურათს. ყველა ოპერაცია ქვეყანასა და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს შორის აღრიცხულია საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშში. ანგარიშები დაფუძნებულია იმ პირობაზე, რომ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც მოკვება გადაიხდა უცხოელებისათვის, აღინიშნება მინუსით. მაშინ როდესაც, ნებისმიერი ოპერაცია, რომლის შედეგია მოკვება უცხოელებიდან – პლიუს ნიშნით.
6. ოპერაციები, რომლებიც მოიცავენ საქონელსა და მომსახურებას, აისახება საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშზე, მაშინ როდესაც *აქტივების* საერთაშორისო გაყიდვა ან შესყიდვა აისახება *კაპიტალის მოძრაობის ანგარიშზე*. ნებისმიერი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უნდა იყოს ტოლფასი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დადებითი სალდოსი და ნებისმიერი ანგარიშის დადებითი სალდო – კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტისა. ანგარიშების ეს თვისება ასახავს ფაქტს, რომ შეესაბამება ექსპორტით მიღებულ შემოსავალსა და იმპორტის დანახარჯებს შორის, უნდა შეიცავდეს იმ დაპირებას, რომ განსხვავებას (ჩვეულებრივ პროცენტით) მომავალში გადაიხდიან.
7. საერთაშორისო აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციები, რომლებსაც ახორციელებს *ცენტრალური ბანკი*, შეტანილია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშში. ცენტრალური ბანკის ნებისმიერ ოპერაციას

უცხოური ვალუტის აქტივების კერძო ბაზრებზე ეწოდება **ოფიციალური უცხოური სავალუტო ჩარევა**. ერთ-ერთი მიზეზი ამგვარი ჩარევის მნიშვნელოვნებისა ის არის, რომ ცენტრალური ბანკი იყენებს მას, როგორც მიმოქცევაში არსებული ფულის ოდენობის შეცვლის საშუალებას. ქვეყანას თავის საგადაამხდლო ბალანსში დეფიციტი აქვს, თუკი მიმართავს თავის **ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს** ან სესხს იღებს უცხოური ცენტრალური ბანკებიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში მას დადებითი სალდო აქვს.

პირითადი ტერმინები

აქტივი	საგადაამხდლო ბალანსის ანგარიში
კაპიტალის ანგარიში	კაპიტალის შედინება
კაპიტალის გადინება	ცენტრალური ბანკი
მოხმარება	მიმდინარე ანგარიშის ბალანსი
სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი	სახელმწიფო შესყიდვები
ერთობლივი შიდა პროდუქტი (ეშპ)	ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ)
ინვესტიცია	მაკროეკონომიკა
მიკროეკონომიკა	ეროვნული შემოსავალი
ეროვნული შემოსავლის გამომანგარიშება	ეროვნული დაზოგვა
უცხოური ვალუტის ოფიციალური ჩარევა	საერთაშორისო ოფიციალური რეზერვები
ოფიციალური ბალანსის შეთანხმება (ან საგადაამხდლო ბალანსი)	კერძო დაზოგვა

პითხვები

- ამ თავში დაეადგინეთ, რომ ეეპ-ის გამომანგარიშება თავიდან აგეარიდებს ორმაგ ანგარიშს, მხოლოდ ბაზარზე გაყიდული მზა პროდუქციისა და მომსახურების ღირებულების ჩართვით. შეიძლება თუ არა ეეპ-ის ანგარიშებში გამოყენებული იმპორტის საზომი განისაზღვროს ისე, რომ მან მოიცვაოს მხოლოდ სასაღირსაგარეთიდან მიღებული მზა პროდუქციისა და მომსახურების იმპორტი?
- ტოლობა (12-2) გეინვენებს, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესამცირებლად ქვეყანამ უნდა გაზარდოს თავისი კერძო დაზოგვა, შეამციროს შიდა ინვესტიცია ან შეამციროს თავისი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. ჩვენ ვნახეთ 1980-იანი წლების ამერიკისა და იაპონიის მიმდინარე ანგარიშების საკითხის შესწავლისას, რომ ბევრი ადამიანი უწევდა რეკომენდაციას იაპონიიდან (და სხვა ქვეყნებიდან) იმპორტის შესწავლას ამერიკის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესამცირებლად. როგორ შეეძლო აშშ-ს მიერ აღმართულ ბარიერებს გაზრდილი იმპორტის წინააღმდეგ სუგაველენა მოეხდინა მისსავე კერძო დაზოგვაზე, შიდა ინვესტიციებსა და სამთავრობო დეფიციტზე? ეთანხმებით, რომ იმპორტის შესწავლა აუცილებლად შეამცირებს აშშ-ის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს?
- ახსენით, შემდეგი ოპერაციებიდან თითოეული როგორ ახდენს ორ ჩანაწერს – კრედიტსა და დებუტს – საბუღალტრო წიგნში ამერიკის საგადასახადო ბალანსის ანგარიშზე და აღწერეთ, როგორ შეიძლება თითოეული ჩანაწერის კლასიფიკაცია:
 - ამერიკელი ყიდულობს გერმანული აქციის წილს, იხდის რა ჩეკით, რომელიც გამოწერილია შვეიცარიის ბანკის ანგარიშზე.
 - ამერიკელი ყიდულობს გერმანული აქციის წილს, უხდის რა ჩეკით, რომელიც გამოწერილია ამერიკის ბანკის ანგარიშზე.
 - საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს ოფიციალურ უცხოურ სავალუტო ინტერვენციას და იყენებს ამერიკის ბანკში არსებულ დოლარებს თავისი მოქალაქეებისაგან ფრანგული ვალუტის საყიდლად.
 - დეტროიტელი ტურისტი ყიდულობს სადილს ლიონის (საფრანგეთი) კისრადღირებულ რესტორანში და იხდის მოგზაურის ჩეკით.
 - კალიფორნიელ მეყენებეს თავისი წვლილი შეაქვს „კაბერნე სოვინონის“ წარდგენით ლონდონში ღვინის დეგუსტაციაზე.
 - ბრიტანეთში განთავსებული ამერიკელი ქარხანა იყენებს ადგილობრივ შემოსავალს დამატებითი მანქანა-მოწყობილობების შესაძენად.
- ნიუ-იორკელი მიემგზავრება ნიუ ჯერსიში 100 დოლარიანი მოპასუხე ტელეფონის აპარატის შესაძენად. ნიუ-ჯერსის კომპანია, რომელიც ყიდულობს აპარატს, შემდეგ 100 დოლარიანი ჩეკის დეპონირებას ახდენს თავის ანგარიშზე ნიუ-იორკის ბანკში. როგორ აირეკლება ეს ოპერაცია ნიუ-იორკისა და ნიუ-ჯერსის საგადასახადო ბალანსის ანგარიშებში? რა მოხდება, თუ ნიუ-იორკელი ნაღდი ფულით გადაიხდის?
- 1998 წელს პეკუნიას სახელმწიფოს 1 მლრდ დოლარის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი პქონდა და არასარესურვო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის 500 მლნ დოლარის დადებითი სალდო.
 - როგორი იყო პეკუნია საგადაამხდლო ბალანსი იმ წელს? რა მოვეიდა ქვეყნის წმინდა უცხოურ აქტივებს?
 - დაეუშვათ, უცხოური ცენტრალური ბანკები არც ყოფიან და არც ყიდულობენ პეკუნიას აქტივებს. როგორ შეიცვალა პეკუნია ცენტრალური ბანკის უცხოური რეზერვები 1998 წელს? როგორ გამოვლინდა ეს ოფიციალური ჩარევა პეკუნია საგადაამხდლო ბალანსის ანგარიშებში?
 - თქვენი პასუხი (ბ კითხვაზე) როგორ შეიცვლება, თუ გაიგებთ, რომ უცხოურმა ცენტრალურმა ბანკებმა შეისყიდეს პეკუნია 600 მლნ. დოლარის აქტივები 1998 წელს? როგორ შეეცა ეს ოფიციალური შესყიდვები

უცხოური საგადამხდელო ბალანსის ანგარიშებში?

- დ) შეადგინეთ პეკუნიას საგადამხდელო ბალანსის საბუღალტრო ანგარიშები 1998 წლისათვის იმ დაშვებით, რომ იმ წელს ადგილი ჰქონდა (გ საკითხში) აღწერილ მოვლენას.
6. შეგიძლიათ წარმოადგინოთ მიზეზები იმისა, თუ რატომ უნდა იყოს მთავრობა დაინტერესებული მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტით ან დადებითი სალდოთი? რატომ უნდა ზრუნავდეს მთავრობა საგადამხდელო ბალანსზე?
 7. გეძლევა თუ არააშშ-ს ოფიციალური საგადამხდელო ბალანსის მონაცემები იმ სიდიდის აკურატულ სურათს, თუ რა მასშტაბით ყიდულობენ და ყიდიან დოლარებს უცხოური ცენტრალური ბანკები საეკონომიკურ ბაზრებზე?
 8. შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ამავდროულად დადებითი სალდო საგადამხდელო ბალანსზე? განმარტეთ პასუხი. ამისთვის გამოიყენეთ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ჰიპოთეტური ციფრები – მიმდინარე და არასარეზერვო. განიხილეთ ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ნაკადები.

გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის ბაზარი: აქტივების ბანხილვა

1985 წელს ამერიკელი სტუდენტების სარეკორდო ოდენობა გაეშურა ლუარის ხეობაში განლაგებული ციხე-კოშკების, ტოსკანის სამხარეულოსა და ლონდონის თეატრის სანახავად. 1990-იან წლებში, მათი დებისა და ძმების აზრით, საფხულის არდადეგების გატარება ევროპაში ძვირადღირებულ ფუფუნებად იქცა. რა ეკონომიკურმა ძალებმა გაზარდა საზღვარგარეთ მოგზაურობის ფასები? ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო უცხოური ვალუტის მკვეთრი ზრდა დოლარის ფასებით, რამაც უცხოური საჭმელი, საცხოვრებელი ხარჯები და ტრანსპორტი ამერიკელებისათვის გააძვირა.

ვალუტის ფასს სხვა ვალუტის გამოსახულებით გაცვლითი კურსი ეწოდება. 1995 წლის 19 ივნისს დღის სამ საათზე თქვენ დაგვირდებოდათ 71.56 ცენტი გერმანული მარკის (DM) 1 ერთეულის საყიდლად; აქედან გამომდინარე 1 გერმანული მარკის ფასი იყო 0.7156 დოლარი. მიმდინარე საბანკო ანგარიშსა და სხვა ეკონომიკურ ცვლადებზე ძლიერი ზემოქმედების გამო გაცვლითი კურსები ღია ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვან ფასებს წარმოადგენს.

რადგან გაცვლითი კურსი, როგორც ერთი ქვეყნის ფულის ფასი მეორის გამოსახულებით, ასევე აქტივის ფასიც არის, პრინციპები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვა აქტივების ფასების ცვლას, ასევე მართავენ გაცვლითი კურსის ცვლასაც. როგორც მე-12 თავიდან გახსოვთ, აქტივის განმსაზღვრელი დამახასიათებელი თვისებაა, რომ ის არის ქონების ფორმა, ამჟამინდელი მსყიდველობითი უნარის გადატანის საშუალება მომავალში. ფასი უშუალოდ არის დაკავშირებული მომხმარებლის მსყიდველობით უნართან საქონელსა და მომსახურებასთან მიმართებაში, რისი ყიდვის იმედიც აქვთ; ჩყიდველებს მომავალში ამის მსგავსად, დოლარ/მარკის დღევანდელი გაცვლითი კურსი მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანების მოლოდინთან – როგორი იქნება იგი მომავალში. ზუსტად ისევე, როგორც „მაიკროსოფტის“ პროგრამის ფასი უეცრად აიწვეს ხოლმე, როდესაც გავრცელდება ინფორმაცია მისი მომავალი კეთილისმყოფელი მონაცემების შესახებ, ასევე გაცვლითი კურსი დაუყოვნებლივ პასუხობს ნებისმიერ ახალ ამბავს ვალუტის მომავალ ღირებულებასთან დაკავშირებით.

ამ თავში ჩვენი ძირითადი მიზანია გაგება იმისა, თუ როგორ დგინდება გაცვლითი კურსი და რა როლი აკისრია საერთაშორისო ვაჭრობაში. ჯერ შევისწავლით, თუ გაცვლითი კურსი როგორ გვაძლევს საშუალებას, სხვადასხვა ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ფასები შევადაროთ ერთმანეთს; შემდეგ აღეწერთ საერთაშორისო აქტივის ბაზარს, სადაც ვალუტით ვაჭრობენ, და გიჩვენებთ, თუ როგორ დგინდება წონასწორული გაცვლითი კურსი ბაზარზე. ბოლოს ხაზგასმით აღვნიშნავთ აქტივების ბაზრისადმი ჩვენს მიდგომას და გიჩვენებთ, თუ როგორ პასუხობს დღევანდელი გაცვლითი კურსი თავისი ღირებულების მოსალოდნელ ცვლილებებს.

გაცვლითი კურსი და საერთაშორისო ვაჭრობა

ყოველი ქვეყანა ფლობს ვალუტას, რითაც განისაზღვრება მისი საქონლისა და მომსახურების ფასები – დოლარი აშშ-ში, გერმანული მარკა გერმანიაში, გირვანქა სტერლინგი ბრიტანეთში, იენი იაპონიაში, პესო მექსიკაში და ა.შ. გაცვლითი კურსი ცენტრალურ როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობაში; იგი საშუალებას გვაძლევს, სხვადასხვა ქვეყნის მომსახურებისა და საქონლის ფასები შევადაროთ ერთმანეთს. თუ მომხმარებელი ყოყმანობს, ორი ამერიკელი მანქანიდან რომელი იყიდოს, ერთმანეთს უნდა შეადაროს მათი ფასები დოლარით, მაგ. 33,000 დოლარი (ლინკოლნ კონტინენტალი) ან 19,000 დოლარი (ფორდ ტაურუსი). ეს იოლი საქმეა, მაგრამ როგორ შეადაროს იმავე მომხმარებელმა ამ ფასებიდან რომელიმე 2,000,000 იენას, რაც ჯდება მანქანა იაპონიიდან (საბარუს იმპორტი). ამ ოპერაციისათვის მან უნდა იცოდეს დოლარისა და იენის შესადარი ფასი.

ოჯახები და ფირმები იყენებენ გაცვლით კურსს უცხოური ფასების გადმოსაყვანად ადგილობრივ ვალუტაში. როდესაც ადგილობრივი საქონლისა და იმპორტის ფულადი ფასი გამოხატულია ერთი და იმავე ვალუტით, ოჯახებსა და ფირმებს შეუძლიათ გამოიანგარიშონ ის შესადარი ფასები, რომლებიც ზეგაკლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობის მიმოქცევაზე.

ადგილობრივი და უცხოური ფასები

თუ ჩვენ ვიცით, როგორია გაცვლითი კურსი ორი ქვეყნის ვალუტებს შორის, შეგვიძლია გამოვითვალოთ ერთი ქვეყნის ექსპორტის ფასი მეორე ქვეყნის ფულადი გამოსახულებით. მაგალითად, რამდენი დოლარი დაჯდება ედინბურგის შალის სეიტრი, რომელიც 50 ბრიტანული გირვანქა სტერლინგი ღირს? პასუხს

მივიღებთ, თუ სვიტრის აღნიშნულ ფასს გავამრავლებთ გირვანქა სტერლინგის ფასზე დოლარის გამოსახულებით (დოლარის გაცვლითი კურსი გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში). როდესაც გაცვლითი კურსი არის 1.50 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგზე, სვიტრის ფასი დოლარით იქნება:

$$(1.50\$/\text{£}) \times (\text{£ } 50) = \$ 75.$$

განსხვავება დოლარ/გირვანქა სტერლინგის გაცვლით კურსში შეცვლის სვიტრის ფასს დოლარით. \$1.25/? გაცვლითი კურსის დროს სვიტრი ელირება

$$(1.25\$/\text{£}) \times (\text{£ } 50) = \$ 62.50.$$

თანაც მისი ფასი გირვანქა სტერლინგით იგივე დარჩა. \$1.75/? გაცვლითი კურსის დროს სვიტრის ფასი დოლარებში უფრო მაღალი იქნება და გაუტოლდება

$$(1.75\$/\text{£}) \times (\text{£ } 50) = \$ 87.50.$$

ცვლილებები გაცვლის კურსში აღწერილია როგორც გაუფასურება. გირვანქა სტერლინგის გაუფასურება დოლართან მიმართებაში არის დოლარით გირვანქა სტერლინგის ფასის შემცირება, მაგალითად, გაცვლითი კურსის შეცვლა ერთ გირვანქაზე \$1.50-დან \$1.25-მდე. წინა მაგალითი გეისვენებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ვალუტის გაუფასურება იწვევს მისი საქონლის გაიფასურებას უცხოელებისათვის. მაგალითად, ერთ გირვანქა სტერლინგზე \$1.50-დან \$1.75-მდე შეცვლა არის გირვანქა სტერლინგის კურსის ზრდა დოლართან მიმართებაში. სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ვალუტის კურსის ზრდა იწვევს საქონლის გაძვირებას უცხოელებისათვის.

იმავე მაგალითით, გაცვლითი კურსის ცვლილება იმ ფასებსაც ცვლის, რომელსაც ბრიტანელები იხდიან ამერიკულ საქონელში. როდესაც გაცვლითი კურსი ერთ გირვანქა სტერლინგზე არის \$1.50, 45 დოლარიანი ამერიკული ჯინსის ფასი გირვანქა სტერლინგებით იქნება $(\$45)/(\$1.50/?) = ?30$. გაცვლითი კურსის ცვლილება ერთ გირვანქა სტერლინგზე \$1.50-დან \$1.25-მდე, როდესაც გირვანქა სტერლინგის კურსი უფასურდება დოლართან მიმართებაში, არის აგრეთვე გირვანქა სტერლინგით გამოსახული დოლარის ფასის ზრდა, ანუ ხდება დოლარის კურსის ზრდა გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში, რის გამოც ამერიკული ჯინსი ძვირდება ბრიტანელებისათვის, რაც იწვევს გირვანქა სტერლინგის რევალუაციასაც:

$$(\$45)/ (1.25\$/\text{£}) = \text{£ } 36.$$

გაცვლითი კურსი ერთ გირვანქა სტერლინგზე \$1.50-დან \$1.75-მდე იზრდება. გირვანქა სტერლინგის კურსის ზრდა დოლართან მიმართებაში და დოლარის კურსის გაუფასურება გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში – ამცირებს ჯინსის ფასს გირვანქა სტერლინგით:

$$(\$45)/(1.75\$/\text{£}) = \text{£ } 25.71.$$

როგორც ხედავთ, გაცვლითი კურსის ცვლილების აღწერა, როგორც გაუფასურების ან კურსის ზრდისა, შეიძლება იყოს თავის ამბნევი, რადგან როგორც კი ერთი ვალუტა უფასურდება მეორესთან მიმართებაში, მეორე ვალუტის კურსი დაუყოვნებლივ უნდა გაიზარდოს პირველთან მიმართებაში. გაცვლითი კურსის განხილვისას გაუკებრობის თავიდან ასაცილებლად უურადლება უნდა მივაქციოთ, თუ ამ ორი ვალუტიდან რომელი გაუფასურდა ან რომლის კურსი გაიზარდა მეორესთან მიმართებაში.

თუ გავიხსენებთ, რომ დოლარის გაუფასურება გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში არის იმავედროულად გირვანქა სტერლინგის კურსის ზრდა დოლართან მიმართებაში, შემდეგ დაკენას მივიღებთ: როდესაც ქვეყნის ვალუტა უფასურდება, უცხოელები აღმოაჩენენ, რომ მისი ექსპორტი უფრო იაფია; ადგილობრივი მცხოვრებლები კი აღმოაჩენენ, რომ იმპორტი საზღვარგარეთიდან უფრო ძვირადღირებულია. კურსის ზრდას მოჰყვება საწინააღმდეგო შედეგი: უცხოელები უფრო მეტს იხდიან მოცემული ქვეყნის პროდუქციაში და ადგილობრივი მომხმარებლები უფრო ნაკლებს – უცხოურ საქონელში.

გაცვლითი კურსი და შესადარი ფასები

მოთხოვნა იმპორტსა და ექსპორტზე, ისევე როგორც მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, სუბსტიტუტის განიკადის შესადარი ფასების მხრიდან – როგორცაა სვიტრების ფასი ჯინსის გამოსახულებით. ჩვენ გინეყნეთ, გაცვლითი კურსი თუ როგორ აძლევს ინდივიდებს საშუალებას, შეადარონ ადგილობრივი და უცხოური ფასები, თუ მათ გამოსახვევს ერთიანი ვალუტით. ამ ანალიზის მომდევნო ნაბიჯია ის, რომ გაცვლითი კურსი ასევე აძლევს საშუალებას ინდივიდებს, გამოიანგარიშონ საქონლისა და მომსახურების შესადარი ფასები, გამოთვლილი სხვადასხვა ვალუტით. ამერიკელმა, რომელიც ცდილობს გამოთვალოს, თუ რამდენი დახარჯოს ამერიკულ ჯინსსა და რამდენი – ბრიტანულ სვიტრზე, მათი ფასები უნდა გადაიყვანოს ერთიან ვალუტაში, რათა გამოთვალოს სვიტრის ფასი ჯინსის სახით. როგორც დავინახეთ, \$1.50/£ გაცვლითი

კურსი ნიშნავს იმას, რომ ამერიკელი იხდის 75 დოლარს სეიტრში, რომელიც ბრიტანეთში შეფასებულია 50 გირვანქა სტერლინგად. რადგან ამერიკული ჯინსის ფასი არის 45 დოლარი, სეიტრის ფასი ჯინსის სახით იქნება $(\$75/1 \text{ სეიტრი})/(\$45/1 \text{ ჯინსი}) = 1.67 \text{ ჯინსი}/1 \text{ სეიტრი}$. ბუნებრივია, ბრიტანელიც პირისპირ დგას იმავე შესადარ ფასთან $(£ 50/1 \text{ სეიტრი})/(£ 30/1 \text{ ჯინსი})=1.67 \text{ ჯინსი}/1 \text{ სეიტრი}$.

13-1 ცხრილი გვიჩვენებს შესადარ ფასებს, რაც მოცემულია \$125/£-ის, \$1.50/£-ის, \$1.75/£-ის გაცვლითი კურსებით, იმ ვარაუდით, რომ ჯინსის ფასი დოლარით და სეიტრის ფასი გარვანქა სტერლინგით არ განიცდის გაცვლითი კურსის ცვლადობის გავლენას. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად კარგად გაიგეთ ნათქვამი, გამოიანგარიშეთ ეს შესადარი ფასები და დაადასტურეთ, რომ გამოთვლის შედეგი ბრიტანელისათვის იგივეა, რაც ამერიკელისათვის.

ცხრილი 13-1 \$/£-ის გაცვლითი კურსი; ამერიკული ჯინსისა და ბრიტანული სეიტრის შესადარი ფასები

გაცვლითი კურსი (\$/£)	125	150	175
შესადარი ფასი (წყვილი ჯინსი/სეიტრი)	139	167	194

ცხრილი გვიჩვენებს, რომ თუ საქონლის ფულადი ფასი არ იცვლება, დოლარის რეკალევაცია გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში აიაფებს სეიტრს ჯინსის სახით (ყოველი ერთი ჯინსი უფრო მეტ სეიტრს ყიდულობს). დოლარის გაუფასურება კი გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში სეიტრებს აძვირებს ჯინსის სახით (ყოველი ჯინსი უფრო ნაკლებ სეიტრს ყიდულობს). გამოთვლით შეიძლება ძირითადი პრინციპის ჩამოყალიბება: *სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ვალუტის კურსის ზრდის ექსპორტის შესადარ ფასს და ამცირებს იმპორტის შესადარ ფასს. პირიქით, გაუფასურება ამცირებს ქვეყნის ექსპორტის შესადარ ფასს და ზრდის იმპორტის შესადარ ფასს.*

უცხოური ვალუტის ბაზარი

ეკონომიკაში როგორც სხვა ფასები განისაზღვრება მუდგეგმვებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობით, ასევე გაცვლითი კურსი განისაზღვრება ურთიერთობით ოჯახს, ფირმებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ყიდულობენ და ყიდიან უცხოურ ვალუტას საერთაშორისო გადახდისათვის. ბაზარს, სადაც საერთაშორისო ვალუტით ვაჭრობენ, *უცხოური ვალუტის ბაზარი* ეწოდება.

მოქმედი პირები

უცხოური ვალუტის ბაზარზე მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, კორპორაციები (რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო ვაჭრობაში), არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები (როგორცაა აქტივების წარმართველი ფირმები, სადაზღვევო კომპანიები) და ცენტრალური ბანკები. ინდივიდი შეიძლება ჩაერთოს უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში – მაგალითად, ტურისტი, რომელიც უცხოურ ვალუტას ყიდულობს სასტუმროში მოხელისაგან მაგრამ ასეთი სახის ოპერაციები უცხოური ვალუტით (ნაღდი ფულით) წარმოადგენს მთელი ვაჭრობის უმნიშვნელო წილს.

ახლა წარმოვადგინოთ ბაზრის მთავარი მოქმედი პირნი და მათი როლები.

- 1. კომერციული ბანკები.** კომერციული ბანკები ცენტრალურ როლს თამაშობენ უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში, რადგან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ოპერაცია მოიცავს ანგარიშების დებეტირებას და კრედიტირებას სხვადასხვა ფინანსური ცენტრების კომერციულ ბანკებში. ამდენად, ოპერაციების დიდი უმეტესობა უცხოური ვალუტით ხდება ბანკის დეპოზიტების გაცვლით, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტით.

განვიხილოთ მაგალითი. დაეუშვათ, „ექსონ კორპორეშენზს“ სურს, გადაუხადოს 160.000 გერმანული მარკა მიმწოდებელს. იგი ჯერ მოახდენს გაცვლითი კურსის კოტირებას თავისი საკუთარი კომერციული მესამე ნაციონალური ბანკიდან. შემდეგ მისცემს ინტრუქციას მესამე ნაციონალურ ბანკს, რათა მან მოახდინოს ექსონის ანგარიშის დებეტირება დოლარით და გადაიხადოს 160.000 გერმანული მარკა მიმწოდებლის ანგარიშზე გერმანულ ბანკში. თუ *მესამე ნაციონალურის* მიერ ექსონისათვის კოტირებული გაცვლითი კურსი არის \$0.35 ერთ გერმანულ მარკაზე, მაშინ ექსონის ანგარიშიდან დებეტირებული იქნება – \$56.000 (= \$0.35/DM x DM160.000). ოპერაციის საბოლოო შედეგი არის \$56.000-ის დეპონირება *მესამე ნაციონალურ* ბანკში (ახლა მას ფლობს მარკების მიმწოდებელი გერმანული ბანკი) DM160.000 დეპოზიტისათვის, რომელიც გამოიყენა *მესამე ნაციონალურმა* ბანკმა ექსონის გერმანული მიმწოდებლისათვის გადასახდელად.

როგორც ამას მაგალითი გვიჩვენებს, შემოდებული წესების შესაბამისად, ბანკები შედიან უცხოური ვალუტის ბაზარზე, რათა დააკმაყოფილონ თავიანთი მომხმარებლების, ძირითადად კორპორაციების,

მთხოვნები. გარდა ამისა, ბანკი ასევე ახდენს სხვა ბანკის გაცვლითი კურსის კორექტებას იმ კურსით, რომლითაც მას სურს ვალუტის გაყიდვა ან ყიდვა ამ ბანკისაგან. ბანკებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობას ეწოდება *ბანკთა შორისი ვაჭრობა* და ამ ვაჭრობით აიხსნება უმეტესობა საქმიანობისა უცხოური ვალუტის ბაზარზე. გაცვლითი კურსი არის ბანკთა შორისი ნორმა, რასაც ბანკები ერთიმეორეს ურიცხავენ. ამ ნორმებით ერთ მილიონ დოლარზე ნაკლებით ვაჭრობა არ ხორციელდება. აქციონერი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომ ნორმებს ეწოდება „საცალო“, რაც ჩვეულებრივ ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე „საბითუმო“ ბანკთა შორისი ნორმები. განსხვავება საცალო და საბითუმო ნორმებს შორის არის ბანკის კომპენსაცია ჩატარებული ოპერაციებისათვის.

დიდი კომერციული ბანკების საერთაშორისო ოპერაციები ერთობ ფართოა, რის გამოც კარგად ახერხებენ ვალუტის გამყიდველებისა და მყიდველების ერთად თავმოყრას. მრავალეროვანი კორპორაციისათვის, რომელსაც სურს 100 000 დოლარის გადაყვანა შვედურ კრონებში, ძნელი პროცესია სხვა იმ კორპორაციების ძებნა, რომლებსაც სურთ სურსად ამავე რაოდენობის კრონების გაყიდვა. ბევრი კლიენტის ერთდროული მომსახურებით, რაც მდგომარეობს კრონის დიდი რაოდენობით ერჯერადად შესყიდვაში, ბანკს შეუძლია დაზოგოს კრონის ძებნის ხარჯები.

2. **კორპორაციები.** კორპორაციები, რომლებიც ოპერაციებს რამდენიმე ქვეყანაში აწარმოებენ, ხშირად იხდიან ან იღებენ გადახდებს ნებისმიერი ვალუტით. მაგალითად, ქარხნის მუშებს რომ გადაუხადოს მექსიკაში, IBM-ს დასჭირდება მექსიკური პესო. თუ IBM-ს აქვს მხოლოდ აშშ-ში კომპიუტერების გაყიდვიდან მიღებული დოლარები, საჭიროების შემთხვევაში იგი იყიდის პესოს დოლარით უცხოური ვალუტის ბაზარზე.
3. **არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები.** ბოლო წლებში აშშ-ს, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ფინანსური ბაზრების დერეგულაციამ სტიმული მისცა არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს, რომ შეეთავაზებინათ თავიანთი კლიენტებისათვის მომსახურების უფრო ფართო დიაპაზონი, რომელთაგან ბევრი არ განსხვავდება ბანკების მიერ შემოთავაზებული მომსახურებიდან; მათ შორის იყო ოპერაციები უცხოური ვალუტით. ისეთი საინსტიტუციო ინვესტორები, როგორიცაა საპენსიო ფონდი, ხშირად ვაჭრობენ უცხოური ვალუტით.
4. **ცენტრალური ბანკები.** წინა თავში შევისწავლეთ, რომ ცენტრალური ბანკები ზოგჯერ ერევიან უცხოური ვალუტის ბაზრების საქმიანობაში. როდესაც ცენტრალური ბანკის ოპერაციების მოცულობა არ არის დიდი, ამ მხრივ მისი შემოქმედება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ამის მიუხედავად ის არის, რომ უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები დიდი ყურადღებით უთვალთვალებენ ცენტრალური ბანკის საქმიანობას, რათა შეიმუშაონ ისეთი სამომავლო მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს გაცვლით კურსზე. სამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება ასევე იეაჭრონ უცხოური ვალუტის ბაზარზე, მაგრამ ცენტრალური ბანკები მაინც ყველაზე რეგულარულ ოფიციალურ მონაწილეებად რჩებიან.

იაფი დოლარის მსხვერპლი

1995 წელს დოლარს დაბალი შიხვენიბელი აქონდა იაპონურ იენთან, გერმანულ მარკასთან, ფრანგულ და შვეიცარიულ ფრანკებსა და ეუროპის სხვა ვალუტებთან შედარებით. მაგალითად, 1994 წლის დეკემბერსა და 1995 წლის მაისს შორის დოლარმა დაკარგა თავისი ღირებულების 14% გერმანულ მარკასთან შეფარდებით. დოლარის გასაოცარ ვარდნას დაუყოვნებლივ და მკვეთრი ზეგავლენა აქონდა ამერიკელების ორ ჯგუფზე, რომლებიც უშუალოდ მოიხმარენ უცხოურ საქონელსა და მომსახურებას: ტურისტები და აშშ-ს სამთავრობო სააგენტოები (ძირითადად სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტები), რომელთა პერსონალიც სასლვარგარეთ იმყოფება.

ამერიკელი ტურისტებისა და სასლვარგარეთ საქმიანი ხალხის ხარჯები დოლარებში გაიზარდა საცხოვრებელზე, კვებაზე, ტრანსპორტსა და გართობაზე. ერთი ფინჯანი ყავის დაღვევა პარიზში, რაც ადრე 4 დოლარი ღირდა, ახლა 5 დოლარამდე ავიდა. ათწუთიანი მგზავრობა ტაქსით ტოკიოში, რაც უწინაც საქმოდ ძვირი (24 დოლარი) იყო, ახლა ტურისტს 32 დოლარი უჯდება. იმავედროულად, იაპონელი და ფრანგი ტურისტებისათვის აშშ-ს ფასები უფრო დაბალი იყო მათ მშობლიურ ვალუტასთან შედარებით. დამსვენებლებმა, რომლებსაც შეეძლოთ თავისუფლად შეეკვიალათ თავიანთი გეგმები, დაუყოვნებლივ უპასუხეს ფასების ამ ცვლილებებს. მათ, ეუროპის ნაცვლად, ახლა იმ ქვეყნებში გასწიეს, რომელთა ვალუტა დაეცა ან მყარი დარჩა დოლართან მიმართებაში. ავსტრალიამ, მექსიკამ და კანადამ ისევე ისარგებლეს, როგორც აშშ-ს კურორტებმა.

სასლვარგარეთ მცხოვრები ამერიკის სახელმწიფო მოხელეები განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: დიპლომატს ბრიუსელში ან ჯარისკაცს გერმანიაში არ შეეძლო მიეტოვებინა სამსახური და გაფრენილიყო მექსიკაში, სადაც ხელფასი დოლარებით უფრო მაღალი ექნებოდა. მაგრამ მათ დაეხმარა სასლვარგარეთ ცხოვრების საჭიროებებზე დახმარების გაზრდა, რომელიც ავტომატურად რეგულირდებოდა საცხოვრებელი ხარჯების ასანასლაურებლად. ამგვარი დახმარება გერმანიაში განთავსებულ საპაურო ძალების ჰერკანტისათვის, რომლის ოჯახი 4 სულისაგან შედგებოდა, 1995 წლის იანვარ-აპრილში 427 დოლარიდან 580 დოლარამდე გაიზარდა. ამავე წლის აპრილში აშშ-ს საელჩოს სახელმწიფო მოხელის თვიური დახმარება ბონში (500 დოლარი) გაორმაგდა.

1995 წლის თახაწვისში პენსიონის შეფასება შექმნილი მისი მარცხი და დასვენება დოლარის გაუფასურება

წლის განმავლობაში გაზრდიდა მის ხარჯებს სასწავლო გარემო 700 მილიონი დოლარით. სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის მთლიანი ბიუჯეტი თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტზე 1%-ით ნაკლები იყო, 20 მილიონით მეტის მიღება დასჭირდებოდა, რათა საელჩოებს იმავე დონეზე გაეგრძელებინათ მუშაობა.

როგორ აპირებდნენ ეს სააგენტოები გაზრდილი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვას ფიქსირებული ბიუჯეტული კონგრესის მიერ გამოყოფილი დოლარის შესწავლული ოდენობით? სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელმაც ახლახანს 29 საელჩო გახსნა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში და მრავალ სხვა ადგილას, განსაკუთრებით მკაცრად შეიზღუდა: გააუქმა ხელმოწერა ეურნალებზე, შეაჩერა მატერიალურ-ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დადგენილი წესები, უბრძანა თავის დიპლომატებს, შეემცირებინათ ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებული მოგზაურობები და აღარ აქონოდათ იმ მრავალმილიონიანი პროექტის იმედი, რომლის მიზანი იყო მოხვედრული კომპიუტერული სისტემის მოდერნიზება.

პენტაგონმაც ასევე შეამცირა ხარჯები, მაგრამ ორი მიზეზის გამო აღარ დასჭირდა ისეთივე აღმკვეთი ზომების მიღება, რაც სახელმწიფო დეპარტამენტს: (1) საეარაულო იყო, რომ თავდაცვა უფრო მიიღებდა დამატებით ასიგნებას კონგრესიდან, ვიდრე მთავრობა, როცა გაცვლითი კურსი მის საწინააღმდეგოდ შეიცვლებოდა; (2) გერმანიამ და იაპონიამ მნიშვნელოვანი ფულადი წელიწადი შეიტანეს ამერიკული ჯარების ხარჯების ასანაზღაურებლად.

ბაზრის მახასიათებლები

უცხოური ვალუტით ვაჭრობა ბევრ ფინანსურ ცენტრში ხორციელდება, განსაკუთრებით დიდი მოცულობით კი ისეთ ქალაქებში, როგორცაა ლონდონი (უდიდესი ბაზარი), ნიუ-იორკი, ტოკიო, ფრანკფურტი და სინგაპური. უცხოური ვალუტით ვაჭრობის მოცულობა მთელ მსოფლიოში უზარმაზარია და ბოლო წლებში კიდევ საკმაოდ გაიზარდა. 1989 წელს უცხოური ვალუტით გლობალური ვაჭრობის მთელი საშუალო ღირებულება იყო 500 მლრდ. დოლარზე მეტი დღეში, საიდანაც 187 მლარდით ვაჭრობდნენ ყოველდღიურად ლონდონში, 129 მლრდ-ით აშშ-ში და 115 მლრდ-ით ტოკიოში. 6 წლის შემდეგ, 1995 წლის აპრილში, უცხოური ვალუტით გლობალური ვაჭრობის დღიური ღირებულება 13 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, საიდანაც 464 მლრდ-ით ყოველდღიურად ვაჭრობდნენ ლონდონში, 244 მლრდ-ით ნიუ-იორკსა და 161 მლრდ-ით ტოკიოში.

პირდაპირი ტელეფონით, ფაქსითა და კომპიუტერით კავშირი უცხოური ვალუტით მოვაჭრე მთავარ ცენტრებს შორის თითოეულ მათგანს ერთიანი სამყაროს ნაწილად ხდის და ეს პროცესი არ შეწყდება. ნებისმიერ დროს გამოშვებული ეკონომიკური ახალი ამბები დაუყოვნებლივ გადაიცემა მთელს მსოფლიოში და შეიძლება გამოიწვიოს დიდი გამოცოცხლება ბაზრის მონაწილეებში. მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა ნიუ-იორკში მთავრდება, ბანკები და კორპორაციები, რომელთა მმართველობითი აპარატი იქვე იმყოფება, ხოლო ფილიალები დროის სხვადასხვა ზონაში, ისინი მაინც აქტიურად ერევიან ბაზრის საქმიანობაში. უცხოულ ვალუტით მოვაჭრეებს სახლიდანვე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებანი, როდესაც კომუნიკაციების საშუალებით გვირ ღამით იგებენ მეორე კონტინენტზე არსებულ ცენტრში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ. ისეთი საშუალებები, როგორცაა რეიტერის ჯიბის საათი, ხელის პორტატული მონიტორი, საშუალებას აძლევს მოვაჭრეებს პონგ-კონგში, ტორონტოში, ლონდონსა და სხვა ქალაქებში შეუწყვეტილად ადევნონ თვალყური ძირითადი ვალუტების კურსს.

ფინანსური ცენტრების ინტეგრაცია ნიშნავს იმას, რომ არ არის შესაძლებელი არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება S/DM-ის გაცვლის კურსსა (რომელიც კოტირებულია ნიუ-იორკში დილის 9 საათზე) და S/DM-ის გაცვლით კურსს შორის (რომელიც კოტირებულია ლონდონში ამავე დროის შესატყვის 15 საათზე). თუ მარკას გაყიდვიან 0.70 დოლარად ნიუ-იორკში და 0.75-ად ლონდონში, მოგების მიღება შესაძლებელია სარბიტრაჟო ოპერაციიდან, ანუ ვალუტის იაფად ყიდვით და ძვირად გაყიდვით. მაგალითად, სუქსათ მოცემული ფასით მოვაჭრემ შეიძლება იყიდოს 1 მილიონი მარკა ნიუ-იორკში 700.000 დოლარად და დაუყონებლივ გაყიდოს მარკა ლონდონში 750.000-ად, საიდანაც ღარსება წმინდა მოგება, 50.000 დოლარი. თუ ვეკლა მოვაჭრე შეეცდება ფულის მიღებას შემთხვევისთანავე, მათი მოთხოვნა მარკაზე ნიუ-იორკში გაზრდის ამავე ვალუტის ფასს დოლარით იქვე, და მათ მიერ მარკის მიწოდება ლონდონში დასწევს მარკის ფასს დოლარით იქ განსხვავება ნიუ-იორკისა და ლონდონის გაცვლის კურსებს შორის ძალიან სწრაფად გაქრება. რადგან უცხოური ვალუტით მოვაჭრეები გულდასმით ადევნებენ თვალს კომპიუტერის ეკრანებს საარბიტრაჟო შემთხვევებისთვის, ამიტომ ამ უკანასკნელთა რაოდენობა მცირეა და ხანმოკლე.

მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით ოპერაციებმა შეიძლება მოიცვაოს ნებისმიერი ორი ვალუტა, ბანკთაშორის ოპერაციების უმეტესობა ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლას ამერიკული დოლარის საწინააღმდეგოდ. ეს ახეა, როდესაც ბანკის მიზანია ერთი ვალუტის (დოლარის გარდა) გაყიდვა სხვა ვალუტის საყიდლად! მაგალითად, ბანკს სურს პოლანდიური გულდენის გაყიდვა და ავსტრიული შილინგის ყიდვა; მოხალისდნენია, რომ იგი გაყიდოს გულდენებს დოლარებზე, რომელთაც შემდეგ გაყიდოს შილინგების საყიდლად. ეს პროცედურა შეიძლება არაპირდაპირია, მაგრამ უფრო იაფი უჯდება ბანკს, ვიდრე შილინგის მყიდობლის მოძებნა, რომელსაც სურს გულდენების ყიდვა. დოლარის მეშვეობით ვაჭრობის უპირატესობა შედეგია იმ მნიშვნელოვანი

როლისა, რასაც აწმთამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. რადგან საერთაშორისო ოპერაციების რაოდენობა, რომლებიც დოლარს მოიცავენ, ასე დიდია, ძნელი არ არის იმ მხარეების მოძებნა, რომელთაც სურთ დოლარით ვაჭრობა გულდენის ან შილინგის სანაცვლოდ. შილინგში გულდენის პირდაპირ გაცვლას კი შედარებით მცირე ოპერაციები სჭირდება.

იმის გამო, რომ დოლარი პირველ ადგილზეა უცხოური ვალუტით ვაჭრობაში, მას სოფჯერ უწოდებენ მთავარ ვალუტას. მთავარი ვალუტა ფართოდ გამოიყენება იმ მხარეების მიერ საერთაშორისო კონტრაქტების დენომინირებისათვის, რომლებიც არ არიან მისი გამომშევი ქვეყნის მცხოვრებნი.

დოლარის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ვალუტის ბაზარზე თამაშობს გერმანული მარკა, შემდეგ იენი. გირვანქა სტერლინგის საერთაშორისო მნიშვნელობამ – ერთ დროს მეორე ვალუტის პრესტიჟით დოლარის შემდეგ – დაიკლო.

საკასო და ფორვარდული გარიგების კურსები

უცხოური ვალუტით ოპერაციები ხდება ადგილზე: ორი მხარე თანხმდება საბანკო დეპოზიტების გაცვლისა და გარიგების დაუყოვნებლივ გაფორმებაზე. გაცვლითი კურსი, რითაც ხელმძღვანელობენ ასეთ „ადგილზე“ ვაჭრობისას, არის საკასო გარიგებათა კურსი და ასეთ გარიგებას ეწოდება საკასო გარიგებები.

ტერმინი საკასო ცოტაოდენ შეცდომაში შემყვანი შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან საკასო გაცვლებიც კი ძალაში შედის გარიგების დადებიდან ორი დღის ვადაში. დაუყოვნებამდე ხდება, რომ უმეტეს შემთხვევებში გადახდის ინსტრუქციებს (როგორც არის ჩეკები) სჭირდება ორი დღის ვადა, რათა დარეგულირდეს საბანკო სისტემის მეშვეობით. დაეუშვათ, კომპიუტერების ფორმას აქვს გირვანქა სტერლინგები ლონდონის ვესტმინსტერის ეროვნულ ბანკში, მაგრამ ყიდის მათ ამერიკის ბანკზე სან-ფრანცისკოში, რომელმაც ფორმას შესთავაზა უფრო ხელსაყრელი საკასო გაცვლითი კურსი გირვანქის სანაცვლოდ, ვიდრე ბანკმა ველს ფარგომ, რომელშიაც მას გახსნილი აქვს თავისი ანგარიში დოლარით. ორშაბათს, 20 ივნისს, ფორმა უხდის ამერიკის ბანკს გირვანქა სტერლინგებს ჩეკით, რომელიც მიღებულია ვესტმინსტერის ბანკიდან, ამერიკის ბანკი კი, ფორმას რომ გადაუხადოს, მის ანგარიშზე ტელეგრაფით უგზავნის დოლარებს ველს ფარგოს. გასაგებია, რომ ფორმა ვერ გამოიყენებს მის მიერ შესყიდულ დოლარებს და ვერც ამერიკის ბანკი გამოიყენებს თავის გირვანქა სტერლინგებს 22 ივნისის ოთხშაბათამდე, ანუ ორი სამუშაო დღის გასვლამდე. უცხოური ვალუტის ბაზრის ვარგონით რომ ვთქვათ, ფულის ჩარიცხვის ვადა არსებულ საქონელზე გარიგებისათვის და მხარეების მიერ შესყიდული ფონდების რეალურად მიღებას შორის ორი დღის ინტერვალია.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ ოპერაციებში ფულის ჩარიცხვის ვადა სოფჯერ განსაზღვრულია გაცილებით მეტი დროით – 30, 90, 180 დღით და რამდენიმე წლითაც კი. ასეთ ოპერაციებში კოტირებულ გაცვლით კურსს ეწოდება ფორვარდული გაცვლითი კურსი. მაგალითად, ფორვარდული ოპერაცია გრძელდება 30 დღეს. 1 აპრილს ორი მხარე შეიძლება შეთანხმდეს, რომ საკასო გარიგებით £100,000 გაიცვლება \$155,000-ში 1 მაისს. ამგვარი ფორვარდული გაცვლითი კურსი არის 1.55 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგზე და ძირითადად განსხვავდება საკასო და ფორვარდული კურსებისაგან, რომელსაც მიმართავენ ფულის ჩარიცხვის სხვადასხვა ვადისთვის. როდესაც დღეს სამომავლოდ შეთანხმდებით გირვანქა სტერლინგის გაყიდვაზე დოლარის სანაცვლოდ ფორვარდული კურსით, თქვენ „წინასწარ ყიდით გირვანქა სტერლინგებს“ და „წინასწარ ყიდულობთ დოლარებს“.

ფორვარდული და საკასო გარიგებები აუცილებელი არ არის ტოლი იყოს, მაგრამ ისინი ერთმანეთის ახლოს მოძრაობენ. ამ თავის დამატებაში ახსნილია, თუ როგორ განისაზღვრება ფორვარდული ოპერაციების კურსი და საკასო და ფორვარდული ოპერაციების კურსებს შორის ახლო ურთიერობა.

მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რა ქმნის მხარეების სურვილს – ჩაებან ფორვარდული გაცვლითი კურსის გარიგებებში. დაეუშვათ, ამერიკელს შემოაქვს რადიო იაპონიიდან და იცის, რომ იაპონელ მიმწოდებელს 30 დღეში უნდა გადაუხადოს იენი იმპორტიორს შეუძლია თითოეული რადიო გაყიდოს 100 დოლარად და მიმწოდებელს გადაუხადოს 9000 იენი ერთ რადიოში. მისი მოგება დამოკიდებულია დოლარ/იენის გაცვლის კურსზე. მიმდინარე საკასო გარიგებათა გაცვლითი კურსი არის 0.0105 დოლარი ერთ იენთან მიმართებაში და ამიტომ იმპორტიორმა უნდა გადაიხადოს (0.0105 დოლარი ერთ იენში) x (9,000 იენი ერთ რადიოში) = 94.50 დოლარს ერთ რადიოში და მიიღებს მოგებას – 5.50 დოლარს თითო იმპორტირებულ რადიოზე. მაგრამ იმპორტიორს არ ექნება ფონდები, რათა გადაუხადოს მიმწოდებელს მანამ, სანამ რადიოს არ მიიღებს და არ გაყიდის. თუ 30 დღეზე მეტ პერიოდში დოლარი მოულოდნელად გაუყვასურდება (0.0115 დოლარი ერთ იენში) x (9,000 იენი ერთ რადიოში) = 103.50 დოლარს ერთ რადიოში და მაშინ იგი იზარალებს 3.50 დოლარს ყოველ რადიოზე.

ამ რისკის თავიდან ასაცილებლად იმპორტიორმა შეიძლება 30 დღიანი ფორვარდული კურსის გარიგება დალოს თავის ბანკთან. თუ ბანკი შეთანხმდება, მიჰყიდოს იენი იმპორტიორს 30 დღეში \$0.0107-ის კურსით, მაშინ იმპორტიორი გარანტირებულია, რომ არ გადაუხადის მიმწოდებელს (\$0.0107 ერთ იენში) x (9,000 იენი ერთ რადიოში) = \$96.30-ზე მეტს ერთ რადიოში. ფორვარდული გარიგებით იენის გაყიდვითა და დოლარის

ყიდვით იმპორტიორს გარანტირებული აქვს \$3.70-ის მოგება ერთ რადიოზე და რომ გაცვლითი კურსის შეცვარი ცვლილება მომგებიან გარიგებას არ გადააქცევს წამგებიანად.

ამერიიდან, როდესაც ვახსენებთ გაცვლის კურსს და არ განვსაზღვრავთ – ეს საკასო გარიგების კურსია თუ ფორვარდული, მხედველობაში გვექნება საკასო გარიგებათა კურსი.

უცხოური ვალუტის სეოპი (უცხოური ვალუტის შესყიდვა ეროვნული ფულით მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით)

უცხოური ვალუტის სეოპი არის ვალუტის საკასო გაყიდვა, რომელიც კომბინირებულია ვალუტის ფორვარდულ ხელახალ შესყიდვასთან. მაგალითად, მრავალეროვნულმა კომპანიამ ეს-ესაა მიიღო ერთი მილიონი დოლარი პროდუქციის რეალიზაციიდან და იცის, რომ სამ თვეში მოუწევს ამ თანხის გადახდა კალიფორნიელი მიმწოდებლისათვის. კომპანიის აქტივების მართვის დეპარტამენტი მოინდომებს ერთი მილიონი დოლარის ინვესტირებას შეედურ ფანკში. შეედურ ფრანკში დოლარის სამთვიანმა სეოპმა შეიძლება გამოიწვიოს ბროკერების ანაზღაურების შემცირება იმასთან შედარებით, რასაც ისინი აიღებდნენ ორ ცალკეულ გარიგებაში: დოლარის გაყიდვა შეედურ ფრანკზე საკასო გარიგებით და შეედური ფრანკის გაყიდვა დოლარზე ვაღიან გარიგებათა ბაზარზე. სეოპი შეადგენს მთელი უცხოური ვალუტით ვაჭრობის მნიშვნელოვან წილს.

ფიუჩერსები და ოფციონები

რამდენიმე ფინანსური იარაღი, რითაც სარგებლობენ უცხოური ვალუტის ბაზარზე, არის ფორვარდული გარიგებები, რომლებიც მოიცავენ ვალუტის მომავალ გაცვლას. გაცვლის პირობები და დროის დადგენა შეიძლება განსხვავდებოდეს იმათგან, რაც განსაზღვრულია ფორვარდულ გარიგებებში. ეს დამატებით ვლასტიურობას ანიჭებს მოვაჭრებს, რააა მათ თავიდან აიცილონ უცხოური ვალუტის გაცვლის რისკი.

როცა თქვენ ყიდულობთ *ფიუჩერსულ კონტრაქტს*, ყიდულობთ დაპირებას, რომ უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობა მოწოდებული იქნება განსაზღვრულ ვადაში. ფორვარდული კონტრაქტი თქვენსა და ზოგ სხვა კერძო მხარეს შორის არის გარანტია, რომ თქვენ ვალუტის იმავე ოდენობას მიიღებთ ნაგარაუდვე ვადაში. მაგრამ, რადგან თქვენ არ გაქვთ არჩევანი, რომ თვითონ განსაზღვროთ ვაღიანი კონტრაქტის დასრულების თარიღი, შეგიძლიათ გაყიდოთ იგი ვაღიანი ხელშეკრულების ბირჟაზე, რითაც დაუყოვნებლივ მიიღებთ მოგებას ან ზარალს. მაგალითად, ასეთი გაყიდვა შეიძლება ხელსაყრელი იყოს, თუ, თქვენი შეხედულებით, საკასო გარიგებათა კურსი მომავალში შეიცვლება.

უცხოური ვალუტის ოფციონი მის მფლობელს საშუალებას აძლევს, იყიდოს ან გაყიდოს უცხოური ვალუტის განსაზღვრული ოდენობა დადგენილ ფასად ნებისმიერ დროს მისი ვაღის ამოწურვამდე. გარიგების მეორე მხარეს, ოფციონის გამყიდველს, მოუთხოვება, იყიდოს ან გაყიდოს უცხოური ვალუტა მოქმედების თავისუფლების მქონე ოფციონის მფლობელისგან, რომელსაც არ გააჩნია შესაძლებლობა თავისი საკუთარი უფლებების გამოყენებისა.

დაეუშვათ, თქვენ არა ხართ დარწმუნებული, მომავალ თვეში როდის მოგივათ უცხოური ვალუტით გადასახადი. ზარალის თავიდან ასაცილებლად თქვენ შეიძლება გსურდეთ იყიდოთ გარიგება *გამყიდველის ოფციონით*, რაც მოგცემთ უფლებას, გაყიდოთ უცხოური ვალუტა არსებული გაცვლითი კურსით თვის ნებისმიერ პერიოდში. თუ ამის ნაცვლად მოელოთ, რომ გადაიხდით სასღვარგარეთ თვის რომელიმე პერიოდში, *გარიგება მყიდველის ოფციონით* უფლებას გაძლევთ, უცხოური ვალუტა იყიდოთ, რათა შემდგომ გადახდა არსებული ფასით სასურველი გახდეს. ოფციონი შეიძლება იყოს ჩართული აქტივებში (უცხოური ვალუტის ფიუჩერსების ჩათვლით), და ფიუჩერსების მსგავსად, შესაძლებელია მათი თავისუფლად ყიდვა და გაყიდვა.

მოთხოვნა უცხოური ვალუტის აქტივებზე

ჩვენ უკვე ვნახეთ, ბანკები, კორპორაციები და სხვა დაწესებულებები როგორ ვაჭრობენ უცხოური ვალუტით, რომელსაც ბანკი ინახავს 24 საათის მანძილზე მოქმედ მსოფლიო უცხოური ვალუტის ბაზარზე. იმის გასაგებად, თუ როგორ ღვინდება უცხოური ვალუტის ბაზარზე გაცვლითი კურსი, ჯერ უნდა გავიგოთ, თუ როგორ განისაზღვრება მთავარი მოქმედი პირების მოთხოვნები სხვადასხვა ტიპის უცხოური ვალუტის დემონიტებზე.

უცხოური ვალუტის საბანკო დემონიტების მოთხოვნაზე ისეთსავე გავლენას ახდენენ გარკვეული მოსაზრებები, როგორსაც ნებისმიერი სხვა სახის აქტივებზე. ამ მოსაზრებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, თუ რა ეღირება დემონიტის მომავალში. უცხოური ვალუტის დემონიტის მომავალი ღირებულება თავის მხრივ ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: მის მიერ შემოთავაზებულ სპროცენტოს განაკვეთსა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში ამ ვალუტის გაცვლითი კურსის მოსალოდნელ ცვლილებაზე.

აქტივები და აქტივებიდან მიღებული უკუგება

როგორც იცით, ადამიანები შეიძლება ფლობდნენ სიმდიდრეს მრავალი სახით – აქციებით, ობლიგაციებით, ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით, იშვიათი მარკის ღვინოებით, ბრილიანტებით და ა.შ. სიმდიდრის შექმნის მიზანი – დაზოგვა – არის მსყიდველობითი უნარის გადატანა მომავალში. შეგვიძლია ასე მოვიქცეთ, რათა უსრუნველყოფილი ვიყოთ პენსიასე გასვლის შემდეგ. ვიზრუნოთ მემკვიდრეებსე ან უბრალოდ იმიტომ, რომ იმაზე მეტს ვშოულობთ, ვიდრე გვეკირდება დასახარჯად განსაზღვრულ წელს; ამიტომ ვამჯობინებთ, დავესოვათ სახსრები მძიმე დღეებისათვის.

აქტივის უკუგების განსაზღვრა. რადგან დაზოგვის მიზანია მომავალი მოხმარების უსრუნველყოფა, ჩვენ განვსჯით აქტივის სასურველობას მისი უკუგების ნორმის ანუ ღირებულების პროცენტული ზრდის საფუძველზე. რომელსაც ის იძლევა გარკვეული დროის შემდეგ. მაგალითად, დაეუშვათ, რომ 1998 წლის დასაწყისში თქვენ იხდით 100 დოლარს აქციის წილში, რომელიც გამოშვებულია გარკვეული ფინანსური კორპორაციის მიერ. თუ 1999 წლის დასაწყისში აქციიდან მიიღებთ დივიდენდს (1 დოლარს) და თუ ერთი წლის შემდეგ ერთ აქციაზე ფასი 100 დოლარიდან 109 დოლარამდე აიწევს, მაშინ 1998 წლის უკუგება აქციიდან იქნება 10%. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი საწყისი ინვესტიციის ღირებულება გაიზარდა 110 დოლარამდე (1 დოლარის დივიდენდის და თქვენი წილის გაყიდვიდან მიღებული 109 დოლარის ჯამი). თუ ეს ფინანსური კომპანია გადაიხდით დივიდენდს (1 დოლარს), მაგრამ მისი ფასი ერთ წილზე დაეცემა 89 დოლარამდე, თქვენი ინვესტიცია (100 დოლარი) წლის ბოლოს ეღირება მხოლოდ 90 დოლარი, რაც მოცემთ 10%-იან უარყოფით უკუგებას.

თქვენ ხშირად არ შეიძლება იყოთ დარწმუნებული, რეალურად ანაზღაურდება თუ არა აქტივი მისი შესყიდვის შემდეგ. დივიდენდი, რომელსაც მიიღებთ აქციის წილიდან, და წილის ხელახალი გაყიდვიდან მიღებული ფასიც შეიძლება ძნელი გამოსაცნობი იყოს. თქვენი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს უკუგების მოსალოდნელ ნორმას. დროის გარკვეული პერიოდისათვის უკუგების მოსალოდნელი ნორმის გამოსაანგარიშებლად უნდა გააკეთოთ აქტივის მთლიანი ღირებულების ზუსტი პროგნოზი პერიოდის ბოლოსათვის. პროცენტული განსხვავება მოსალოდნელ მომავალ ღირებულებასა და იმ ფასს შორის, რომელსაც დღეს გადაიხდით აქტივში, ტოლია აქტივის უკუგების მოსალოდნელი ნორმისა დროის განსაზღვრულ პერიოდში.

როდესაც ვაფასებთ აქტივის უკუგების ნორმას, ერთმანეთს ვადარებთ, თუ მთლიანობაში როგორ ცვლის ინვესტიცია აქტივის ღირებულებას დროის ამ ორ პერიოდს შორის. წინა მაგალითში ჩვენ ვნახეთ, რომ ინვესტიციის ღირებულება გარკვეული კომპანიის აქციისა როგორ შეიცვალა 1998 წლის დასაწყისსა (100 დოლარი) და 1998 წლის ბოლოს შორის (110 დოლარი) და გავაკეთეთ დასკვნა, რომ უკუგების ნორმა აქციიდან 10% იყო წელიწადში. ამას ჩვენ ვუწოდებთ უკუგების ნორმას **დოლარით**, რადგან ჩვენს მიერ შედარებული ორი ვალუტა დოლარით არის გამოსახული. ასევე შესაძლებელია უკუგების სხვადასხვა ნორმის გამოანგარიშება, ორ ვალუტას თუ გამოვხატავთ უცხოური ვალუტის სახით ან ისეთი საქონლით, როგორცაა ოქრო.

როგორ ახერხებენ სართაშორისო კორპორაციები რისკის გაფხვას

კორპორაციები, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ ბევრ ქვეყანაში, ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან უცხოური ვალუტის ბაზარზე. რადგან როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯებიც დენომინირებულია მრავალ სხვადასხვა ვალუტაში, გაცვლითი კურსის მოულოდნელ შეცვლას შედეგად შეიძლება მოჰყვეს უსარმაზარი მოგება ან ზარალი. სართაშორისო კორპორაციები ვალუტის მოულოდნელი მერყეობის რისკს გამოირიცხავენ ფორვარდული ვაჭრობით, სეაპით ან უფრო რთული ფინანსური ოპერაციებით. მაგალითად, ამერიკელების მიერ დაფუძნებულ კომპანიას, სადაც ანაზღაურება იქნებით ხორციელდება, შეუძლია იყიდოს იენი ოფციონით, რაც მთლიანად დაიცავს სარაღისაგან (დოლარით) იმ შემთხვევაში, თუ იენი უეცრად გაუფასურდება. მაგრამ საშუალებას მისცემს, რომ დოლარისგან მიღებული მოგება დაიცვას იენის გაუფასურებით გამოწვეული მოულოდნელობისაგან. რადგან უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობა გართულდა და გაიზარდა, ყველაზე დიდი კორპორაციების ფინანსური დარგის მოხელეები სულ უფრო და უფრო დახვეწილად მოქმედებენ.

ისტორიულ კონტაქტს, რომლის შტაბბინა რომესტერში, ნიუ-იორკში, მდებარეობს ამ თეაღსაზრისით დიდერია. კომპანიამ დააარსა თავისი საკუთარი უცხოური ვალუტით ვაჭრობის ადგილი 1980-იანი წლების ბოლოს იმ იმედით, რომ მოგებას ბრუნვაში გაუშვებდნენ კონტაქტის წმინდა აქტივის მდგომარეობის მართვით უცხოურ ვალუტაში. ამის მსგავსად **მობილ ქორფორეიშენმა** საეაჭრო ადგილი გახსნა ლონდონში. ნაყოობი, რომელსაც მობილი ყიდის, დოლარითაა შეფასებული, მაგრამ კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებენ როგორც დოლარით, ასევე სხვა ვალუტით.

ახეთი სარისკო წარმოება შეიძლება მომგებიანი იყოს, მაგრამ იგი არ ხმობს კომპანიის რისკს ვალუტასთან

დაკავშირებით. ფორვარდული კონტრაქტები და ოფციონები, რომელთა ხანგრძლიობა რამდენიმე წელსზე მეტს მოიცავს, ჯერ კიდევ შედარებით ძნელი მოსაწესრიგებელია (მოითხოვს ხარჯებს); ასე რომ, სავალუტო ბაზრის სხვადასხვა საქმიანობა ეფექტურია მოკლევადიანი რისკის გამოთვლისას, მაგრამ ნაკლებ ეფექტურია გრძელვადიანი რისკის გამოანგარიშების დროს. უფრო მეტიც, რაც უფრო შესწავლულია ევლდასუ მოკლევადიანი რისკი, მით უფრო იოლია კომპანიის დაცვა, ვიდრე გრძელვადიანი რისკის პირობებში.

გრძელვადიანი რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სხვა ვალუტებთან მიმართებაში. დოლარის კურსის უკუკარმა აქვეამ 1980-იანი წლების პირველ ნახევარში კოდაკის პროდუქცია უფრო ძვირადღირებული გახდა სხვა უცხოური ფირმების ნაწარმთან შედარებით. აქედან გამომდინარე, კოდაკს უნდა დაეთმო თავისი მხოლოდ ბაზრის დიდი წილი უცხოელი კონკურენტებისათვის, როგორცაა, მაგალითად, იაპონიის „ფუჯი ფოტო ფირი“. როდესაც დოლარმა დაიწყო გაუფასურება, კოდაკი (ბევრი სხვა ამერიკული კომპანიის მსგავსად) ეძებდა გზებს, რათა თავიდან აეცილებინა ვალუტის კურსის რყევით გამოწვეული მომავალი ზარალი.

კოდაკი ახლა უფრო დიდ სიფრთხილეს იჩენს იმ გრძელვადიანი ვალდებულებების აღებისას, რაც შეიძლება მოუხერხებელი გახდეს გაცვლითი კურსის არახელსაყრელი შეცვლისას. როდესაც კოდაკი ხელს აწერს გრძელვადიანი მომარაგების კონტრაქტს, მან შეიძლება დაუინებოთ მოითხოვოს, რომ შესყიდულის ოდენობა, ან ფასი დაუკავშირდეს არსებული ვალუტის კურსს. კომპანია მანამ მიიღებს მხედველობაში გაცვლითი კურსის შესაძლებელ ცვლილებას, სანამ გადაწყვეტს, გახსნას თუ არა უცხო ქვეყნებში სამრეწველო საწარმოები.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთი ფაბრიკის აშენება თავისთავად არის საშუალება თავის დაცვისა ვალუტის კურსის ცვალებადობის საშიშროებისაგან. თუ კოდაკი ააშენებდა ქარხანას იაპონიაში, მისი შესაძლებლობა იაპონიის საწარმოო ხარჯებიდან უპირატესობის მიღებისა ნაწილობრივ აანაზღაურებდა კონკურენტუნარიანობის დაკარგვას იმ შემთხვევაში, თუ დოლარის კურსის უკუკარი აწვეა გაზრდიდა ამერიკის ხარჯებს იაპონიასთან შედარებით. ეს იყო ერთი მოსაზრება, რამაც აიძულა იაპონელი მანქანათმშენებლები (მაგალითად, „ჰონდა“), რომ აშშ-ში აეგო ქარხნები 1980-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც იენი შედარებით სუსტი იყო დოლართან შეფარდებით.

კოდაკი თავისი შემოსავლების თითქმის ნახევარს იღებს უცხოური რეალიზაციიდან, ასე რომ, გაცვლითი კურსის შემცირების რისკიდან მისი პოტენციური მოგება დიდია. კომპანია სიფრთხილეს იჩენს, მაგრამ მას სრულ იმუნიტეტს ვერ უქმნის ვალუტის კურსის ცვალებადობის საშიშროების მიმართ. 1989 წელს ეს ფოტოგრაფიკული იმუნიტეტი იყო, დაუთხოვა თავისი მუშების 3% აშშ-ში, რადგან დოლარი გაუფასურების ნაცვლად, რაც კომპანიამ თავისი ხარჯების დაგეგმვის დროს ივარაუდა, გამყარდა. როგორც ეს 1980-იანი წლების დროს მოხდა, ვალუტის ამ მოულოდნელმა მოძრაობამ ზიანი მიაყენა კოდაკს, რომლის ნაწარმი გაცვლითი გაძვირდა მისი უცხოელი კონკურენტების პროდუქციასთან შედარებით.

უკუგების რეალური ნორმა. დამზოგველები იმის გადაწყვეტისას, თუ რომელი აქტივების ფლობა ამჯობინონ, მხედველობაში იღებენ უკუგების მოსალოდნელ ნორმას, რომელიც გამოიანგარიშება აქტივის ღირებულების გაზომვით პროდუქციის ფართო კალათის სახით, რომელსაც დამზოგველები რეგულარულად ყიდულობენ. სწორედ უკუგების ნორმა არის მნიშვნელოვანი დაზოგვის საბოლოო მიზნის, ანუ სამომავლო მოხმარების განსახორციელებლად. მხოლოდ რეალური უკუგება ზომავს საქონელსა და მომსახურებას, რის ყიდვაც შეუძლია დამზოგველს მომავალში თავის მხრივ დღეს განსაზღვრული მოხმარების დათმობით (ანუ დაზოგვით).

ჩვენი მაგალითი კვლავ გაეანალიზოთ. დაეუშვათ, **ფაინენშიალ სუთსიერის** სააქციონერო კაპიტალში ინვესტიციის ღირებულება დოლარით 10%-ით გაიზარდა 1998-1999 წლებში და რომ დოლარის ფასმა ყველა საქონელსა და მომსახურებაზე ასევე მოიმატა 10%-ით. შემდეგ გამოშვების გამოსახულებით – ანუ რეალური გამოსახულებით – ინვესტიციის ღირებულება 1999 წელს არ გადაატარებებს იმას, რაც იყო 1998 წელს. **ფაინენშიალ სუთსიერის** სააქციონერო კაპიტალი, რომლის რეალური უკუგების ნორმა ნულის ტოლია, არ იქნება ძალიან სასურველი აქტივი.

დამზოგველების მთავარი დაინტერესება მოდის უკუგების მოსალოდნელ ნორმაზე, რომელიც გამოსატულია ვალუტით, მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე გამოიყენოთ სხვადასხვა აქტივის რეალური უკუგების შესადარებლად, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც დოლარით ყველა ფასი 10%-ით იზრდება 1998-1999 წლებში. თუ ერთი ბოთლი იშვიათი მარკის ლეინის ფასი დოლარით 25%-ით იზრდება, ეს უფრო კარგი ინვესტიციაა, ვიდრე ობლიგაცია, რომლის ფასი დოლარით 20%-ით იზრდება. უკუგების რეალური ნორმა, რომელსაც მოგვეცემს ლეინო, არის 15% (= 25% - 10%) მაშინ, როდესაც ობლიგაციის მიერ შემოთავაზებული ნორმა არის მხოლოდ 10% (= 20% - 10%). აღსანიშნავია, რომ ამ ორი აქტივიდან დოლარით მიღებულ უკუგებას შორის არსებული განსხვავება (25% - 20%) უნდა იყოს ტოლი განსხვავებისა მათ რეალურ უკუგებას შორის (15% - 10%). ამ ტოლობის მიზეზია ის, რომ როდესაც ორი აქტივის უკუგება დოლარითაა გამოსახული, ხარისხი, რის მიხედვითაც საქონელზე დოლარით ფასები იზრდება, ცვლის ორივე აქტივის – ლეინისა და ობლიგაციის – რეალურ უკუგებას ერთდროულად ოდენობით.

განსხვავება უკუგების რეალურ ნორმასა და დოლარით უკუგების ნორმას შორის ხსნის მნიშვნელოვან საკლავო კონცეფციას, თუ როგორ აფასებენ დამზოგველები სხვადასხვა აქტივს: ორი აქტივიდან უკუგება არ შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს, სანამ მათ არ გაეზომავთ ერთი და იმავე ერთეულით. მაგალითად, აზრი არა აქვს პირდაპირ შევადაროთ ბოთლი ღვინიდან მიღებული დოლარით გამოსახული რეალური უკუგება (ჩვენს მაგალითში 15%) ობლიგაციის რეალურ უკუგებას (20%), ან შევადაროთ ანტიკვარული სურათიდან დოლარით უკუგება DM-ით უკუგებას ოქროდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკუგება გამოხატულია შეფასების საერთო ერთეულით – მაგალითად; ყველა მათგანისა დოლარის გამოსახულებით – შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელი აქტივი გეთავაზობს მოსალოდნელ რეალურ უკუგებას.

რისკი და ლიკვიდობა

სხვა თანაბარ პირობებში ინდივიდები ამჯობინებენ იმ აქტივების ფლობას, რომლებსაც ახლავთ უკუგების ყველაზე მაღალი მოსალოდნელი ნორმა. განსაზღვრული აქტივების განხილვისას, მოგვიანებით, დავინახავთ, რომ „სხვა დეპოზიტი“ ხშირად არ არის ტოლის აღმნიშვნელი. ზოგი აქტივი დამზოგველების მიერ შეიძლება შეფასდეს იმ თვისებების მიხედვით, რომლებიც განსხვავდებიან მათ მიერ შემოთავაზებული მოსალოდნელი უკუგების რეალური ნორმიდან. დამზოგველები უფრო არიან დანტერესებულნი აქტივის ორი მახასიათებელი თვისებით, ვიდრე მისი უკუგებით: რისკი – ცვალებადობა, რაც ხელს უწყობს დამზოგველების კეთილდღეობას, და მისი ლიკვიდობა – სიადვილე, რითაც აქტივი შეიძლება გაიყიდოს ან გაიცვალოს საქონელში.

1. რისკი. აქტივის რეალური უკუგება ჩვეულებრივ არაპროგნოზირებადია და შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც დამზოგველები მოელიან აქტივის შესყიდვისას. ჩვენს მიერ მოყვანილ ბოლო მაგალითში დამზოგველებმა უკუგების რეალური შესაძლებელი ნორმა ობლიგაციით ინვესტიციიდან (10%) მიიღეს იქიდან, რომ დოლარით ინვესტიციის ღირებულების ზრდის მოსალოდნელ ნორმას (20%) გამოაკლეს ზრდის მოსალოდნელი ნორმა დოლარის ფასებით (10%). მაგრამ თუ მოლოდინი არ არის მართებული და ობლიგაციების ღირებულება დოლარით მუდმივი რჩება, 20%-ით ზრდის ნაცვლად, დამზოგველს ექნება უარყოფითი, 10%, რეალური უკუგება (= 0% – 10%). დამზოგველებს არ უყვართ გაურკვევლობა და თავს ბედნიერად გრძობენ იმ მყარი აქტივების ფლობით, რომელთა მეშვეობითაც შეუძლიათ დადებითად ცვალონ ქონება. დამზოგველებმა უკუგების მაღალი მოსალოდნელი ნორმის მქონე აქტივი შეიძლება მიიჩნიონ არასასურველად, თუ თავად უკუგების რეალიზებული ნორმა იქნება არამყარი და ხშირად შეიცვლება.
2. ლიკვიდობა. აქტივები განსხვავდებიან იმ ხარჯისა და დროის მიხედვით, რომელსაც დამზოგველები ფლობენ. მაგალითად, სახლი არ არის ძალიან ლიკვიდური, რადგან მის გაყიდვას სჭირდება არა მარტო დრო, არამედ ბროკერების, ინსპექტორებისა და იურისტების მომსახურება. და პირიქით, აქტივებიდან ყველაზე ლიკვიდურია ნაღდი ფული: ის ყოველთვის მისაღებია როგორც საქონლის ან სხვა აქტივების ანგარიშსწორების ნომინალური ღირებულება. დამზოგველები ამჯობინებენ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა თავი დაიზღვიონ მოულოდნელი ხარჯებისაგან, რამაც შეიძლება აიძულოს ისინი, ნაკლებლიკვიდური აქტივები გაიყიდონ და იზარალონ. ისინი მხედველობაში იღებენ აქტივების ლიკვიდობას და რისკს იმ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რამდენი აქტივის ფლობა არის მათთვის სასურველი.

საპროცენტო განაკვეთები

უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები ისევე, როგორც ეს სხვა აქტივების ბაზრის შემთხვევაშია, სხვადასხვა ვალუტით დეპოზიტების მიმართ თავიანთ მოთხოვნებს აფუძნებენ ამ აქტივების უკუგების მოსალოდნელი ნორმის ურთიერთშედარებაზე. სხვადასხვა დეპოზიტების უკუგების ერთმანეთთა შესადარებლად ბაზრის მონაწილეებს ორი სახის ინფორმაცია სჭირდებათ: პირველი, მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ შეიცვლება დეპოზიტების ფულადი ღირებულება. მეორე, მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ შეიცვლება გაცვლითი კურსი, რათა შეძლონ სხვადასხვა ვალუტით შეფასებული უკუგების ნორმის გადაყვანა შესადარ პირობებში.

პირველი სახის ინფორმაციას, რომელიც საჭიროა განსაზღვრული ვალუტით დეპოზიტების უკუგების გამოსაანგარიშებლად, ეწოდება საპროცენტო განაკვეთი, ანუ ეს არის ვალუტის ოდენობა, რომლის გამომუშავებაც ინდივიდს შეუძლია ვალუტის ერთი ერთეულის გასესხებით წელიწადში. როდესაც ერთი დოლარის საპროცენტო განაკვეთი არის 0.10 დოლარი (რაც კოტირებულია, როგორც 10% წელიწადში), ერთი დოლარის გამსესხებელი წლის ბოლოს 1 დოლარზე მიიღებს 1.10 დოლარს, საიდანაც ერთი დოლარი არის ვალის თანხა, ხოლო 10 ცენტი – პროცენტი. გარიგებას მეორე მხრიდან თუ შეეხედავთ, დოლარიდან მიღებული საპროცენტო განაკვეთი არის ის თანხა, რომელიც უნდა გადაეხადათ ერთი დოლარის ერთი წლით სესხებისათვის. როდესაც თქვენ ყიდულობთ აშშ-ს სახაზინო თამასუქს, შოულობთ საპროცენტო განაკვეთს დოლარიდან, რადგან დოლარებს ასესხებთ აშშ-ს მთავრობას.

საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოური ვალუტის ბაზარზე, რადგან იქ ნაკლები დიდი ოდენობის დეპოზიტები იძლევიან პროცენტს თითოეული იმ განაკვეთით, რაც ასახავს ამ ვალუტის დენომინაციას. მაგალითად, როდესაც დოლარის საპროცენტო განაკვეთი არის 10% წელიწადში, 100, 000 დოლარის დეპოზიტი ეღირება 110, 000 ერთი წლის შემდეგ; როდესაც DM-ის საპროცენტო განაკვეთი არის

5% წელიწადში, ეს 100,000 დეპოზიტი DM-ით ერთი წლის შემდეგ ეღირება 105,000. დეპოზიტები იძლევიან პროცენტს, რადგან რეალურად ეს არის მედეპოზიტის ვალი ბანკისათვის. როდესაც კორპორაცია ან ფინანსური ინსტიტუტი ვალუტის დეპონირებას ახდენს ბანკში, იგი მიმდინარე დანახარჯისათვის ამ ვალუტას სესხად აძლევს ბანკს. იგი კი არ იყენებს მას, არამედ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მენაბრე იძენს აქტივს, რომელიც იმავე ვალუტითაა დენომინირებული.

დოლარის საპროცენტო განაკვეთი უბრალოდ არის ამავე ვალუტის დეპოზიტიდან მიღებული უკუგება დოლარის კურსით. თქვენ „ყიდულობთ“ დეპოზიტს, როდესაც ბანკს ასესხებთ 100,000 დოლარს და უკან გიხდიათ 10%, რადგან აქტივის ღირებულება არის 110,000 დოლარი. ეს გაძლევთ $(110,000 - 100,000)/100,000 = 0.10$ ანუ 10%-ს წელიწადში. უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი იზომება მოცემული დეპოზიტის უკუგებით, რომელიც გამოხატულია უცხოური ვალუტით.

გაცვლითი კურსი და აქტივიდან უკუგება

დოლარითა და გერმანული მარკით დეპოზიტების მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთები გვიჩვენებენ, თუ როგორ იცვლება მათი ღირებულება დასახელებული ვალუტებით წლის განმავლობაში. მეორე სახის ინფორმაცია, რომელიც გვჭირდება, რათა დოლარით ან მარკით გამოსახული დეპოზიტები შევადაროთ ერთმანეთს, არის დოლარ/მარკის გაცვლითი კურსის მოსალოდნელი ცვლილება წლის მანძილზე. იმის დასაწახად, თუ ამ ორი დეპოზიტიდან რომელი გეთავაზობს უკუგების უფრო მაღალ მოსალოდნელ ნორმას, უნდა დავესვათ შემდეგი კითხვა: თუ გამოვიყენებთ დოლარს გერმანული მარკის დეპოზიტის საყიდლად, რამდენ დოლარს მივიღებთ უკან ერთი წლის შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ვანგარიშობთ მარკის დეპოზიტის უკუგების ნორმას დოლარით, რადგან მისი დღევანდელი ფასი დოლარით უნდა შევადაროთ მის ღირებულებას დოლარით დღეიდან ერთი წლის ვადაში.

თუ როგორ შეიძლება ასეთი გამოთვლის გამოყენება, შევხედოთ შემდეგ სიტუაციას: დავესვათ, დღევანდელი გაცვლითი კურსი (კოტირებული ამერიკული მარკებით) არის \$0.700/DM, მაგრამ თქვენ მოელოთ, რომ ერთ წელიწადში იქნება \$0.760/DM (აღბათ ვარაუდობთ აშშ-ს ეკონომიკაში არახელსაყრელი მოვლენების განვითარებას). ასევე დავესვათ, რომ დოლარის საპროცენტო განაკვეთი 10%-ია წელიწადში, გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთი კი წელიწადში არის 5%. ეს იმას ნიშნავს, რომ 1.00 დოლარის დეპოზიტი ერთი წლის შემდეგ მოგცემთ 1.10 დოლარს, მაშინ როდესაც 1 მარკით დეპოზიტიდან ერთი წლის შემდეგ მიიღებთ 1.05 მარკას. ამ დეპოზიტებიდან რომელი გეთავაზობს უფრო მაღალ უკუგებას?

პასუხი შეიძლება ავაგოთ ხუთ ეტაპად:

I ეტაპი. გამოიყენეთ \$/DM-ის გაცვლითი კურსი, რათა გამოთვალოთ 1 გერმანული მარკის დეპოზიტის ფასი დოლარით; თუ გაცვლითი კურსი დღეს არის \$0.700/DM, 1 DM-ის დეპოზიტის ფასი დოლარით იქნება \$0.700.

II ეტაპი. გამოიყენეთ მარკის საპროცენტო განაკვეთი, რათა მისი ის ოდენობა დაადგინოთ, რასაც ერთ წელიწადში მიიღებთ, თუ 1 მარკის ანაბარს იყიდით, რომლის საპროცენტო განაკვეთი მარკებით იქნება 1.05.

III ეტაპი. გამოიყენეთ გაცვლითი კურსი (თქვენი ვარაუდით ფიქსირებული ერთ წელიწადში), რათა გამოიანგარიშოთ გერმანული მარკის მოსალოდნელი ღირებულება დოლარით იმ ოდენობისათვის, რაც მეორე ეტაპზე იყო განსაზღვრული. რადგან მომავალ წელს მოელოთ დოლარის გაუფასურებას გერმანულ მარკასთან შეფარდებით, გაცვლითი კურსი დღეიდან 12 თვეში იქნება \$0.760/DM. მაშინ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენი მარკის დეპოზიტის ღირებულება დოლარით იქნება $\$0.760/DM \times DM 1.05 = \$ 0.798$.

IV ეტაპი. ახლა როდესაც თქვენ იცით, რომ მარკის დეპოზიტის დღევანდელი ფასი დოლარით არის 0.700 და შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, რომ მისი ღირებულება ერთ წელიწადში გახდება 0.798 დოლარი, შეგიძლიათ გამოიანგარიშოთ მარკით დეპოზიტის უკუგების მოსალოდნელი ნორმა დოლარით, რაც ტოლია $(0.798 - 0.700)/0.700 = 0.14$, ანუ 14%-სა წელიწადში.

V ეტაპი. რადგან დოლარის დეპოზიტის უკუგების ნორმა (დოლარის საპროცენტო განაკვეთი) მხოლოდ 10%-ია წელიწადში, თქვენ მოელოთ გამდიდრებას იმ შემთხვევაში, თუ ქონებას ყლობთ გერმანული მარკით დეპოზიტის სახით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დოლარის საპროცენტო განაკვეთი 5%-ით აჭარბებს გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთს წელიწადში, ამ უკანასკნელის კურსის მოსალოდნელი აწევა დოლართან შედარებით მარკის მფლობელებს კაპიტალის ზრდის თანხმლებ პერსპექტიულ მოგებას აძლევს. ეს კი საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ მარკით დეპოზიტი უფრო მომგებიანი აქტივი გახადოს.

მარტივი ფუნქციონირება

არსებობს მარტივი წესი, რომელიც აიოლებს ამ გამოანგარიშებას. პირველი, განსაზღვრეთ დოლარის გაუფასურების ხარისხი მარკასთან შედარებით, როგორც დოლარ/DM-ის გაცვლითი კურსის ზრდა წელიწადში.

ბოლო მაგალითში, დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხი არის $(0.760 - 0.700)/0.700 = 0.086$, ანუ 9% წელიწადში. გერმანულ მარკასთან შედარებით დოლარის გაუფასურების ხარისხის გამოანგარიშების შემდეგ ჩვენი წესი შემდეგნაირად უნდა ჩამოვაყალიბოთ:

დოლარის უკუგების ნორმა გერმანული მარკის დეპოზიტთან დაახლოებით არის ამ უკანასკნელის საპროცენტო განაკვეთი პლიუს დოლარის გაუფასურების ხარისხი მარკასთან შედარებით. სხვა სიტყვებით, მარკის უკუგება რომ გადაეყვანოთ ამავე ვალუტის დეპოზიტზე დოლარის სახით, უნდა დაეუმატოთ ხარისხი, რითაც მარკის ფასი დოლარით აიწევს წლის განმავლობაში მარკის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით.

სხვა მაგალითით, მარკის საპროცენტო განაკვეთის (5%) და დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხის (დაახლოებით 9%) ჯამი არის ის, რაც ჩვენი მოლოდინით უნდა იყოს მარკის დეპოზიტის მოსალოდნელი უკუგება დოლარით პირველ გამოთვლაში.

ვაჯამებთ დისკუსიას შემდეგი ჩანაწერით:

- R = დღევანდელი საპროცენტო განაკვეთი გერმანული მარკის ერთწლიან ანაბარზე
- $E_{\$DM}^{DM}$ = გერმანული მარკის დღევანდელი გაცვლითი კურსი (დოლარის ოდენობა 1 გერმანულ მარკასთან შეფარდებით)
- $E_{\$DM}^*$ = დოლარ/DM-ის გაცვლითი კურსი (დოლარის ოდენობა 1 გერმანულ მარკასთან შეფარდებით, რაც იქნება დღეიდან ერთ წელიწადში)

(ნიშანი * რომელიც ერთევის ამ ბოლო გაცვლის კურსს, მიგვანიშნებს, რომ ეს არის მომავალი გაცვლის კურსთან დაკავშირებული დღევანდელი მონაცემების ბაზაზე გაკეთებული პროგნოზი.)

ამ სიმბოლოების გამოყენებით ჩაწერთ მარკის დეპოზიტის უკუგების მოსალოდნელ ნორმას, რომელიც შეფასებულია დოლარის გამოსახულებით, (1) გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთისა და (2) დოლარის კურსის მოსალოდნელი გაუფასურების ჯამის შეფარდებით გერმანულ მარკასთან.

$$R_{DM} + (E_{\$DM}^* - E_{\$DM}) / E_{\$DM}$$

ეს მოსალოდნელი უკუგება სწორედ ის არის, რაც უნდა შეეადაროთ დოლარით ერთწლიანი დეპოზიტის საპროცენტო R განაკვეთს, როდესაც გადასაწყვეტი გექნება, თუ რომელი დეპოზიტი - დოლარით თუ მარკით - გეთაჯობს უკუგების უფრო მაღალ მოსალოდნელ ნორმას. უკუგების მოსალოდნელი ნორმა დოლარით და მარკით დეპოზიტებს შორის R_f -ის ტოლია, რაც ნაკლებია მოცემულ გამოსახულებაზე.

ცხრილი 13-2 დოლარის ან გერმანული მარკის დეპოზიტების შედარება დოლარის უკუგების ნორმასთან

	დოლარის საპროცენტო განაკვეთი	DM-ის საპროცენტო განაკვეთი	დოლარის მოსალოდნელი გაუფასურება DM- თან მიმართებაში	დოლარისა და გერმანული მარკის დეპოზიტებიდან მოგების ნორმებს შორის განსხვავება
			$\frac{E_{\$DM}^* - E_{\$DM}}{E_{\$DM}}$	
შემთხვევა	R_f	R_{DM}	$E_{\$DM}$	
1	0.10	0.06	0.00	0.04
2	0.10	0.06	0.04	0.00
3	0.10	0.06	0.08	- 0.40
4	0.10	0.12	- 0.04	0.02

$$R_f - [R_{DM} + (E_{\$DM}^* - E_{\$DM}) / E_{\$DM}] = R_f - R_{DM} - (E_{\$DM}^* - E_{\$DM}) / E_{\$DM} \quad (13-1)$$

როდესაც ზემოთ მოყვანილი განსხვავება პოზიტიურია, დოლარის დეპოზიტის უკუგების უფრო მაღალი ნორმაა მოსალოდნელი; როდესაც ის ნეგატიურია, მარკის დეპოზიტებს ექნებათ უკუგების უფრო მაღალი მოსალოდნელი ნორმა.

13-2 ცხრილში მოცემულია ზოგი თვალსაჩინო შედარება. პირველ შემთხვევაში პროცენტული განსხვავება დოლარით დეპოზიტის სასარგებლოდ 4%-ია წელიწადში ($R_f - R_{DM} = 0.10 - 0.06 = 0.04$) და არ არის მოსალოდნელი გაცვლითი კურსის შეცვლა $[(E_{\$DM}^* - E_{\$DM}) / E_{\$DM} = 0.00]$. ეს ნიშნავს იმას, რომ უკუგების მოსალოდნელი წლიური

რეალური ნორმა დოლარით დეპოზიტიდან არის 4%-ით უფრო მაღალი მარკასთან შედარებით; ამიტომ სხვა თანაბარ პირობებში თქვენ ამჯობინებთ ქონების ფლობას დოლარის და არა მარკის დეპოზიტთან.

მეორე შემთხვევაში პროცენტული განსხვავება (4%) იგივეა, მაგრამ ეს არის მხოლოდ დოლარის მოსალოდნელი 4%-ით გაუფასურების ხარისხის ანაზღაურება: ორივე აქტივს უკუგების იგივე მოსალოდნელი ნორმა აქვს.

მესამე შემთხვევა ადრე განხილულის მსგავსია: 4%-ით განსხვავება დოლარის დეპოზიტის სასარგებლოდ უფრო მეტია, ვიდრე დოლარის 8%-ით მოსალოდნელი გაუფასურების ანაზღაურება, ასე რომ, ბაზრის მონაწილეები მარკების დეპოზიტს მისცემენ უპირატესობას.

მეოთხე შემთხვევაში პროცენტული განსხვავება არის 2% მარკების დეპოზიტის სასარგებლოდ, მაგრამ მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში დოლარის 4%-ით რევალუაცია მარკასთან შედარებით. დეპოზიტის უკუგების მოსალოდნელი ნორმა დოლარით 2%-ით მაღალია, ვიდრე მარკისა ამევე პერიოდში.

ამდენად, ჩვენ გადავიყვანეთ ყველა უკუგება დოლარის გამოსახულებაში. უკუგების ლიფერენციალების ნორმა, რომელიც დავიანგარიშეთ, იგივე იქნებოდა, მოგებას თუ გამოეხატავდით მარკის, ან რომელიმე მესამე ვალუტის სახით. დაეუშვათ, გესურს დეპოზიტიდან უკუგების გაზომვა მარკით; მარტივ წესს თუ გამოვიყენებთ, დოლარის R საპროცენტო განაკვეთს უნდა დაემატოთ მარკასთან შედარებით დოლარის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი. მაგრამ მარკის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი დოლართან შეფარდებით არის დაახლოებით მარკასთან მიმართებაში დოლარის რევალუაციის ხარისხი. ანუ დოლარის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი მარკასთან შედარებით აღინიშნება ამ უკანასკნელის წინ მიწის ნიშნის დასმით. ე.ი. მარკის სახით უკუგება დოლარის დეპოზიტიდან არის

$$R_s - (E_{SDM}^* - E_{SDM}) / E_{SDM}$$

განსხვავება ზემოთ მოცემულ გამოსახულებასა და R -ს შორის იდენტურია (13-1) ტოლობისა. ამდენად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი შედარებისათვის, მოგებას დოლარით შევაფასებთ თუ მარკით, რადგან ჩვენ მაჩვენებლად ვიღებთ ერთიან ვალუტას.

უკუგება, რისკი და ლიკვიდობა უცხოური ვალუტის ბაზარზე

ადრე ჩვენ ვნახეთ, რომ დამზოგველმა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი აქტივი შეინახოს, გარდა უკუგების მოსალოდნელი რეალური ნორმისა, უნდა გაითვალისწინოს მათი რისკიანობა და ლიკვიდობა, რადგან მოთხოვნა უცხოური ვალუტის აქტივებზე დამოკიდებულია არა მხოლოდ უკუგებაზე, არამედ რისკსა და ლიკვიდობაზე. მაშინაც კი, თუ მოსალოდნელი მოგება (დოლარით) მარკის დეპოზიტებიდან უფრო მაღალია, ვიდრე დოლარის დეპოზიტები, ადამიანებმა შეიძლება აღარ მოინდომონ მარკის დეპოზიტების ფლობა, თუ მათი ანაზღაურება ქაოტურად შეიცვლება ხოლმე. ეკონომისტები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რისკი უცხოური ვალუტის ბაზარზე. თვით განსაზღვრება – „უცხოური ვალუტის რისკი“ – საკამათოა. ამჯერად ჩვენ თავიდან ავიცილებთ რთულ კითხვებს, რომლებიც განჩნდა იმის დაშვებით, რომ რეალურ მოგებას ყველა დეპოზიტიდან ახლავს დეპოზიტის რისკი, მიუხედავად ვალუტის დენომინაციისა. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვუშვებთ, რომ რისკის ხარისხობრივი განსხვავება არ ახდენს ზეგავლენას უცხოური ვალუტით აქტივების მოთხოვნაზე. მე-17 და 21-ე თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკის როლს.

ლიკვიდობის ფაქტორებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ბაზრის ზოგი მონაწილის გადაწყვეტილებაზე, თუ რომელ ვალუტას მისცეს უპირატესობა. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეთა უმეტესობა ფირმები და ინდივიდებია. ფრანგული საქონლის ამერიკელი იმპორტიორისათვის, მაგალითად, მოსახერხებელია ფრანგული ფრანკის ფლობა ყოველდღიური გადახდისათვის, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ამ ვალუტით მოსალოდნელი მოგების ნორმა უფრო მცირეა, ვიდრე – დოლარით. რადგან საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული გადახდა ქმნის მოთხოვნი უცხოური ვალუტით ოპერაციების ძალიან მცირე წილს, ყურადღებას არ მივაქცევთ ლიკვიდობის მოტივს უცხოური ვალუტის ფლობის საკითხში.

ამჯერად დავასკვნით, რომ უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილენი უცხოური ვალუტის აქტივებზე მოთხოვნებს აფუძნებენ ამ აქტივებიდან უკუგების მოსალოდნელი ნორმის გათვალისწინებით. მთავარი მიზეზი ამ ვარაუდის დაშვებისას ის არის, რომ იგი ამარტივებს ჩვენს ანალიზს იმის თაობაზე, თუ როგორ განისაზღვრება გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის ბაზარზე. გარდა ამისა, რისკისა და ლიკვიდობის მოტივები უცხოური ვალუტის ფლობის დროს მეორეხარისხოვან როლს თამაშობს ბევრ საერთაშორისო მაკროეკონომიკურ საკითხთან მიმართებაში, რომლებსაც შემდგომ რამდენიმე თავში განვიხილავთ.

ახლა გამოვიყენოთ უკვე განხილული მოთხოვნა აქტივებზე უცხოური ვალუტით, რათა აღვწეროთ, თუ როგორ განისაზღვრება გაცვლითი კურსი. ვინეებთ იმას, რომ გაცვლითი კურსი, რაზედაც ბაზარი შეთანხმდება, ის არის, რაც დამაკმაყოფილებელი იქნება ბაზრის მონაწილეთათვის, რათა მათ პირობით დეპოზიტების არსებული მარაგი ყველა ვალუტით. როდესაც ბაზრის მონაწილეები თავიანთი სურვილისამებრ ფლობენ დეპოზიტების არსებულ მარაგს ყველა ვალუტით, ვამბობთ, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია.

ამ თავში მოცემული განსაზღვრა გაცვლითი კურსისა მხოლოდ პირველი ნაბიჯია; გაცვლითი კურსის არსებული დონის სრული ახსნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განვიხილავთ, თუ როგორ აყალიბებენ უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები თავიანთ დამოკიდებულებას მოსალოდნელი მომავალი კურსის შესახებ. შემდეგ ორ თავში განვიხილავთ ფაქტორებს, რომლებიც სეგავდენას ახდენენ მომავალ მოსალოდნელ გაცვლით კურსზე. ამიერიდან ჩვენ განვიხილავთ მოცემულ მოსალოდნელ გაცვლით კურსს.

საპროცენტო პარიტეტი: თანასწორობის პირითაღი პირობა

უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია, როდესაც ყველა ვალუტის დეპოზიტები გეთავაზობენ მოგების მოსალოდნელ ნორმას. მდგომარეობა, როდესაც ნებისმიერი ორი ვალუტის დეპოზიტიდან მიღებული მოგება ერთმანეთის ტოლია ერთდამათვე ვალუტით შეფასებისას, არის საპროცენტო პარიტეტის პირობა. ეს ნიშნავს იმას, რომ უცხოური ვალუტით დეპოზიტების პოტენციური მფლობელები ყოველ მათგანს განიხილავენ, როგორც თანაბრად სასურველ აქტივს.

ენახოთ, თუ რატომ არის ვალუტის ბაზარი გაწონასწორებული მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა საპროცენტო პარიტეტის პირობა. დაეუშვათ, დოლარის საპროცენტო განაკვეთი არის 10% და გერმანული მარკისა 6%; მოსალოდნელია, რომ დოლარი გაუფასურდება მარკასთან შედარებით წლიურად 8%-ით (ეს არის მე-3 საკითხი 13-2 ცხრილში). აღწერილ ვითარებაში დეპოზიტების მოგების ნორმა იქნებოდა 4%-ით მაღალი წლიურად დოლარის დეპოზიტებთან შედარებით. ჩვენ დავასკვნით ბოლო ნაწილის დასასრულს, რომ ინდივიდები ყოველთვის ამჯობინებენ დეპოზიტების ფლობას იმ ვალუტით, რომელიც მათ სთავაზობს უმაღლეს მოსალოდნელ მოგებას. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ მოსალოდნელი მოგება მარკის დეპოზიტებიდან არის 4%-ით მეტი, ვიდრე დოლარის დეპოზიტებიდან, არაეინ მოისურვებს ამ უკანასკნელს და მისი მფლობელები შეეცდებიან მათ გაცვლას მარკის დეპოზიტებში. უცხოური ვალუტის ბაზარზე წარმოიქმნება დოლარის დეპოზიტების ჭარბი მიწოდება და ჭარბი მოთხოვნა მარკის დეპოზიტებზე.

ამის საპირისპირო მაგალითია შემდეგი: დაეუშვათ, დოლარის დეპოზიტი გეთავაზობს კელავ 10%-იან საპროცენტო განაკვეთს, მარკის დეპოზიტი 12%-იან განაკვეთს; მოსალოდნელია დოლარზე ფასის მომატება 4%-ით მარკასთან შედარებით მომავალი წლისათვის (ეს არის მე-4 საკითხი 13-2 ცხრილში). ახლა დოლარის დეპოზიტებიდან მოგება 2%-ით მაღალია. ამ შემთხვევაში არაეინ მოითხოვს მარკის ანაბრებს, ამდენად სახეზე იქნება მათი ჭარბი მიწოდება და დოლარის დეპოზიტებზე ჭარბი მოთხოვნა.

როდესაც დოლარის საპროცენტო განაკვეთი 10%-ია, ხოლო მარკისა 6%, და დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხი მარკასთან შედარებით არის 4%, ორივე ვალუტის დეპოზიტები გეთავაზობენ მოგების ერთნაირ ნორმას და უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილენი ნებისმიერი მათგანის ფლობას მოინდომებენ (ეს არის მე-2 საკითხი 13-2 ცხრილში). მხოლოდ მაშინ, როდესაც მოგების ყველა მოსალოდნელი ნორმა ტოლია – ანუ, როდესაც შენარჩუნებულია საპროცენტო პარიტეტის პირობა – გამოირიცხება ერთი დეპოზიტის ჭარბი მიწოდება და მეორის ჭარბი მოთხოვნა. უცხოური ვალუტის ასეთი ბაზარი გაწონასწორებულად ითვლება, რაკი მასში შენარჩუნებულია საპროცენტო პარიტეტის პირობა.

წარმოვადგინოთ ორივე სახის დეპოზიტის საპროცენტო პარიტეტი და გამოვიყენოთ ტოლობა (13-1), რომელიც გვიჩვენებს განსხვავებას დოლარით შეფასებული აქტივების მოგების მოსალოდნელ ნორმებს შორის. მოგების მოსალოდნელი ნორმები ტოლია, როდესაც

$$R_s = R_{DM} + (E^e_{sDM} - E_{sDM}) / E_{sDM} \tag{13-2}$$

თქვენ აღბათ მთელით, რომ როდესაც დოლარის დეპოზიტი გთავაზობთ უფრო მაღალ უკუგებას მარკის დეპოზიტთან შედარებით, დოლარზე ფასი მომატებას გერმანული მარკასთან შედარებით, რადგან ინვესტორები შეეცდებიან, რომ თავიანთი ფონდები გადაიყვანონ დოლარებში. პირიქით, დოლარი გაუფასურდება გერმანულ მარკასთან შედარებით, როცა მარკის დეპოზიტები თავდაპირველად უფრო მაღალ უკუგებას შესთავაზებენ დოლართან შედარებით. თქვენი ინტუიცია არ გლალატობთ! ამ მექანიზმის გასაგებად გუფლდასმით უნდა დააკვირდეთ, თუ როგორ ეხმარება გაცვლითი კურსის ამგვარი ცვლილება წონასწორობის გამყარებას უცხოური ვალუტის ბაზარზე.

როგორ ზემოქმედებს არსებული გაცვლითი კურსის ცვლილებები მოსალოდნელ მოგებაზე

პირველი ნაბიჯი იმის გასაგებად – როგორ აღწევს ვალუტის ბაზარი თავის წონასწორობას, არის იმის შემოწმება, თუ დღევანდელი გაცვლითი კურსის ცვლილება როგორ ზემოქმედებს უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე, როდესაც საპროცენტო განაკვეთები და მოლოდინი მომავალი გაცვლითი კურსის შესახებ არ იცვლება. ჩვენი ანალიზი გიჩვენებთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ვალუტის დღევანდელი გაუფასურება ამცირებს ადგილობრივი ვალუტით მოსალოდნელ მოგებას უცხოური ვალუტის დეპოზიტებიდან. პირიქით, ადგილობრივი ვალუტის დღევანდელი რევალვაცია, სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის ადგილობრივი ვალუტის მოსალოდნელ მოგებას უცხოური ვალუტის დეპოზიტებიდან.

უფრო იოლია, დავინახოთ ეს ურთიერთობები შემდეგი მაგალითის განხილვით: დღევანდელი დოლარ/მარკის გაცვლითი კურსის ცვლილება, როდესაც სხვა ყველაფერი უცვლელია, როგორ ახდენს გავლენას მარკის დეპოზიტებიდან მოსალოდნელ მოგებაზე, რომელიც დოლარის გამოსახულებით არის გასომილი? დაეუშვათ, დღევანდელი $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსი არის $\$0.712/DM$ და თქვენ მოელთ, იგი ერთ წელიწადში (დღეიდან) იქნება $\$0.747/DM$. მაშინ დოლარის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი მარკასთან შედარებით იქნება $(0.747 - 0.712)/0.712 = 0.05$, ანუ 5% წელიწადში. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც ყიდულობთ მარკის დეპოზიტს, თქვენ მხოლოდ გამოიმუშაებთ R პროცენტს, მაგრამ ასევე მიიღებთ 5%-იან „პრემიას“ დოლარის გამოსახულებით. ახლა დაეუშვათ, რომ დღევანდელი გაცვლითი კურსი უეცრად აეარდება $\$0.722$ -მდე მარკასთან შედარებით (დოლარის გაუფასურება და მარკის რევალვაცია), მაგრამ მოსალოდნელი მომავალი კურსი ჯერ კიდევ არის $\$0.747/DM$. რა დამართა „პრემიას“, რომლის მიღებასაც მოელოდით მარკის რევალვაციისგან დოლარის გამოსახულებით? დოლარის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი ახლა მხოლოდ $(0.747 - 0.722)/0.722 = 0.035$, ანუ 3.5%-ია ნაცვლად 5%-ისა. რადგან R არ შეცვლილა, დოლარით მოგება მარკის დეპოზიტიდან, რაც არის R ისა და დოლარის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხის ჯამი, დაეცა 1.5%-ით წელიწადში $(5\% - 3.5\%)$.

13-3 ცხრილში ჩვენ გამოვთვლით დოლარით მოგებას მარკის დეპოზიტიდან $\$/DM$, E დღეს არსებული გაცვლითი კურსის ყველა დონისათვის. ყოველთვის ეუშვებთ, რომ მოსალოდნელი გაცვლითი კურსი ფიქსირებული იქნება – $\$0.747/DM$ და მარკის საპროცენტო განაკვეთი 5%-ი იქნება წელიწადში. როგორც ხედავთ, $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსის დღევანდელი ზრდა (დოლარის გაუფასურება მარკასთან შედარებით) ყოველთვის ამცირებს დოლარით მოსალოდნელ მოგებას მარკის დეპოზიტებიდან (როგორც ეს ჩვენს მაგალითში იყო), $\$/DM$ -ის კურსის დღევანდელი კლება (დოლარის რევალვაცია მარკასთან შედარებით) კი ყოველთვის ზრდის ამ მონაცემებს.

ცხრილი 13-3 $\$/DM$ -ის დღევანდელი გაცვლითი კურსი და მოსალოდნელი უკუგება მარკის დეპოზიტებიდან, როდესაც $E_{SDM} = \$0.747$ ერთ მარკაზე

$\$/DM$ დღევანდელი გაცვლითი კურსი	DM-ზე საპროცენტო განაკვეთები	დოლარის მოსალოდნელი გაუფასურება DM-თან მიმართებაში	დოლარის მოსალოდნელი მოგება DM-ის დეპოზიტზე
E_{SDM}	R_{DM}	$\frac{0.747 - E_{SDM}}{E_{SDM}}$	$RDM + \frac{0.747 - E_{SDM}}{E_{SDM}}$
0.771	0.05	- 0.03	0.02
0.47	0.05	0.00	0.05
0.732	0.05	0.02	0.07
0.722	0.05	0.035	0.085
0.712	0.05	0.05	0.10

შეიძლება ეჭვი შეგვაპართ თქვენს ინტუიციაში, როდესაც დოლარის გაუფასურება მარკის დეპოზიტებს ნაკლებ მომხიბლავს ხდის დოლარის დეპოზიტებთან შედარებით (დოლარის მოსალოდნელი მოგების შემცირებით მარკის დეპოზიტებიდან) მაშინ, როდესაც დოლარის რევალვაცია მარკის ანაბრებს ხდის უფრო მიმზიდველს. ეს შედეგი ნაკლებად გაგაოცებთ, თუ გაიხსენებთ, ჩვენს დაშვებას, რომ $\$/DM$ -ის მოსალოდნელი გაცვლითი კურსი და საპროცენტო განაკვეთი არ შეიცვლება. მაგალითად, დოლარის სადღესო გაუფასურება ნიშნავს იმას, რომ მას ახლა უფრო მცირე ოდენობით გაუფასურება დაჭირდება, რათა მიაღწიოს ნებისმიერ მოსალოდნელ დონეს. თუ მოსალოდნელი $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსი არ იცვლება დღეს დოლარის გაუფასურებასთან ერთად, დოლარის მოსალოდნელი გაუფასურება მარკასთან შედარებით შემცირდება, ან პირიქით – დოლარის მოსალოდნელი ღირებულება გაიზრდება. რადგან საპროცენტო განაკვეთები ასევე უცვლელია, დოლარის დღევანდელი გაუფასურება მარკის დეპოზიტებს ნაკლებ მიმზიდველს


ხდის დოლარის დეპოზიტებთან შედარებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დოლარის მიმდინარე გაუფასურება, რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს არც გაცვლითი კურსის მოლოდინზე და არც საპროცენტო განაკვეთზე. მარკის დეპოზიტის მოსალოდნელ ანაზღაურებას დოლარით იმავეს ტოვებს, მაგრამ ზრდის დეპოზიტის არსებულ ფასს დოლარით. ეს ცვლილება, ბუნებრივია, მარკის ანაზღაურებას ნაკლებ მიმზიდველს ხდის დოლართან შედარებით.

იქნებ ინტუიციით ვერ გაეითვალისწინოთ, რომ გაცვლითი კურსი, რომელიც იცვლება დღეს, *მომავალში* – არ შეიცვლება. ამ საკითხებს შეეისწავლით მოგვიანებით, როდესაც ორივე ვალუტის კურსი ერთად შეიცვლება. ჩვენს ამჟამინდელ განხილვაში მოსალოდნელი გაცვლითი კურსის მუდმივად შენარჩუნების პირობებში, ყველაზე ადვილი იქნება, გიჩვენოთ დღევანდელი გაცვლითი კურსის ზემოქმედება მოსალოდნელ მოგებაზე. თუ ეს დაგეხმარებათ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ხვეწ მთხვეწი ვართ *დროებითი* ცვლილების ზემოქმედებისა, რომელიც ხანმოკლეა და არანაირ ზეგავლენას არ ახდენს მომავალი წლის მოსალოდნელ კურსზე.

13-1 გრაფიკი გამოსახავს 13-3 ცხრილის გამოთვლებს, რაც ხასრგებლო იქნება გაცვლითი კურსის განსაზღვრის ანალიზისათვის. ვერტიკალური ღერძით გაზომილია S/DM -ის დღევანდელი გაცვლითი კურსი და პორიზონტალური ღერძით – დოლარით მოსალოდნელი უკუგება მარკის დეპოზიტიდან. S/DM -ის მოსალოდნელი გაცვლითი კურსისა და მარკის საპროცენტო განაკვეთის *ფიქსირებული* ღირებულებისათვის ურთიერთობა S/DM -ის გაცვლის დღევანდელ კურსსა და მარკის დეპოზიტების მოსალოდნელ უკუგებას შორის დოლარით, წარმოდგენილია დაღმავალი მრუდით.

გრაფიკი 13-1 ურთიერთობა S/DM -ის მიმდინარე გაცვლით კურსსა და მარკის დეპოზიტებიდან დოლარით მოსალოდნელ უკუგებას შორის




როცა $E^t = 0.747$ -ს და $R = 0.05$ -ს დოლარის კურსის ზრდა გერმანულ მარკასთან მიმართებაში ზრდის მოსალოდნელ მოგებას გერმანული მარკის დეპოზიტებზე, დოლარის კურსის გათვალისწინებით.

წონასწორული გაცვლითი კურსი

ახლა როდესაც ვხედებით, საპროცენტო პარიტეტის პირობა რატომ უნდა იყოს შენარჩუნებული, თუკი უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია და დღევანდელი გაცვლითი კურსი როგორ გაუდენას ახდენს უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოსალოდნელ უკუგებაზე, ვხედავთ, თუ როგორ განისაზღვრება წონასწორული გაცვლითი კურსი. ჩვენ დავასკვნით, რომ გაცვლითი კურსი ყოველთვის რეგულირდება საპროცენტო პარიტეტის განსამტკიცებლად, და რომ დოლარის საპროცენტო განაკვეთი R , მარკის საპროცენტო განაკვეთი R_{DM} და S/DM -ის მოსალოდნელი $E^t_{S/DM}$ გაცვლითი კურსი ყველა *მოცემულ*ა.

13-2 გრაფიკში მოცემულია, თუ როგორ განისაზღვრება S/DM -ის წონასწორული გაცვლითი კურსი ამ ვარაუდით. ვერტიკალური ღერძი გრაფიკზე მიგვიანიშნებს R -ის მოცემულ დონეზე დოლარით უკუგებას დეპოზიტიდან, რომელიც გაზომილია დოლარის გაშოსახელებით. დაღმავალი მრუდი გვიჩვენებს, თუ მარკის დეპოზიტიდან მოსალოდნელი უკუგება – დოლარის გამოსახელებით – როგორაა დამოკიდებული S/DM -ის არსებულ გაცვლით კურსზე. ეს მეორე მრუდი იმავე გზითაა აგებული, როგორც 13-1 გრაფიკში მოცემული პირველი მრუდი.

გრაფიკი 13-2 S/DM-ის წონასწორული გაცვლითი კურსის განსაზღვრა



წონასწორობა უცხოური ვალუტის ბაზარზე არის (1) წერტილში, სადაც დოლარისა და გერმანული მარკის დეპოზიტებზე დოლარის მოსალოდნელი უკუგება თანაბარია.

S/DM-ის წონასწორული გაცვლითი კურსი მოცემულია ორი მრუდის გადაკვეთის (1) წერტილში, $E^1_{S/DM}$. ამ გაცვლითი კურსის დროს დოლარისა და მარკის დეპოზიტების უკუგებები ტოლია, ამდენად საპროცენტო პარიტეტის (13-2) პირობა დაკმაყოფილებულია.

$$R = R_{DM} + (E^2_{S/DM} - E^1_{S/DM}) / E^1_{S/DM}$$

ენახსოვს, რატომ გადაადგილდება გაცვლითი კურსი (1) წერტილში 13-2 გრაფიკზე, თუ თავდაპირველად ის მდებარეობდა (2) ან (3) წერტილში. პირველად დაეუშვათ, რომ ვართ (2) წერტილში, სადაც გაცვლითი კურსი ტოლია $E^2_{S/DM}$ -ისა. ქვემოთ მიმართული მრუდი, რომელიც ზომავს მარკით მიღებულ უკუგებას დოლარით, გეიჩვენებს რომ გაცვლითი კურსი $E^2_{S/DM}$ არის მარკის დეპოზიტების უკუგების ნორმა, რომელიც ნაკლებია დოლარით დეპოზიტის უკუგების ნორმაზე R_1 . ასეთ ვითარებაში ვინც კი ფლობს მარკის ანაბრებს, მოისურვებს მათ გაყიდვას დოლარის დეპოზიტის საყიდლად. ე.ი. უცხოური ვალუტის ბაზარი სცილდება წონასწორულ მდგომარეობას, რადგან მონაწილეებს არ სურთ მარკის დეპოზიტების ფლობა.

როგორ რეგულირდება გაცვლითი კურსი? მარკის დეპოზიტების მქონე უიღბლო მფლობელები შეეცდებიან მათ გაყიდვას დოლარის დეპოზიტების სანაცვლოდ, მაგრამ რადგან ამ უკანასკნელთაგან უკუგება უფრო მაღალია, ვიდრე მარკის დეპოზიტებიდან, $E^2_{S/DM}$ -ის გაცვლითი კურსის დროს დოლარის დეპოზიტების არც ერთი მფლობელი არ მოისურვებს მათ გაყიდვას მეორე ვალუტის დეპოზიტის სანაცვლოდ. რადგან მარკის მფლობელები ცდილობენ, აცდუნონ დოლარის მქონენი და ჩააბან ვაჭრობაში, რისთვისაც მათ სთავაზობენ უფრო კარგ ფასს დოლარში, S/DM-ის გაცვლითი კურსი დაეცემა $E^1_{S/DM}$ -თან შედარებით; ანუ მარკაგაიაფდება დოლარის გამოსახულებით. როდესაც გაცვლითი კურსი მიაღწევს $E^1_{S/DM}$ -ს, ორივე ვალუტის დეპოზიტები თანაბარ უკუგებას იძლევიან და ამიტომ მარკის დეპოზიტების მფლობელებს აღარ აქვთ სტიმული მათი გაყიდვისა დოლარის სანაცვლოდ. უცხოური ბაზარი გაწონასწორებულია. $E^2_{S/DM}$ -დან $E^1_{S/DM}$ -მდე დაცემით გაცვლითი კურსი მოსალოდნელ უკუგებას ათანაბრებს ამ სახის დეპოზიტებზე, რადგან ზრდის ხარისხს, რითაც მოსალოდნელია დოლარის გაუფასურება მომავალში, და აქედან გამომდინარე მარკის დეპოზიტები უფრო მიმსიდეველი ხდება.

იგივე პროცესი პირიქით მოქმედებს, თუ თავდაპირველად (3) წერტილში აღმოჩნდებით, სადაც გაცვლითი კურსი $E^3_{S/DM}$ -ია. აქ მარკის დეპოზიტებიდან უკუგება აჭარბებს დოლარის დეპოზიტებიდან მიღებულ უკუგებას. ასე რომ, სახეზეა ამ უკანასკნელის ჭარბი მიწოდება. დოლარის დეპოზიტების უიღბლო მფლობელები ახლა ვაჭრობენ უფრო მომხიბლავი მარკის დეპოზიტების შესაძენად. მარკის ფასი დოლარის გამოსახულებით მატულობს; ანუ დოლარი უფასურდება მარკასთან შედარებით. როდესაც გაცვლითი კურსი გადაინაცვლებს $E^1_{S/DM}$ -ქვე, უკუგების ნორმა ვალუტებს შორის თანაბრდება და ბაზარი გაწონასწორებულია. დოლარის გაუფასურება $E^3_{S/DM}$ -დან $E^1_{S/DM}$ -მდე მარკის ანაბრებს ნაკლებ მიმსიდეველს ხდის დოლარის დეპოზიტებთან შედარებით, რადგან ამცირებს ხარისხს, რითაც მოსალოდნელია დოლარის გაუფასურება მომავალში.


საპროცენტო ბანაკვითები, მოლოდინი და წონასწორობა

ჩვენ უკვე გინყენეთ, თუ როგორ განისაზღვრება გაცვლითი კურსი საპროცენტო პარიტეტით. ახლა დავეყირდეთ, რა ზეგავლენას ახდენს მიმდინარე გაცვლითი კურსზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და მომავალთან დაკავშირებული მოლოდინი. ეს არის ის ორი ფაქტორი, რომელთაც მუდმივად ევხებოდით წინა განხილვაში. დაგინახავთ, რომ გაცვლითი კურსი (ანუ ორი აქტივის შესადარი ფასი) პასუხობს ფაქტორებს, რომლებიც უკუგების მოსალოდნელ ნორმებს ცვლიან ამ ორ აქტივში.

საპროცენტო განაკვეთების შემცვლის ეფექტი არსებული გაცვლის კურსზე

ხშირად წაგვიკითხავენ გაზეთებში, რომ დოლარი ძლიერი ვალუტაა, რადგან აშშ-ს საპროცენტო განაკვეთები მაღალია, ან რომ მისი სიმდიერე კლებულობს, რადგან აშშ-ს საპროცენტო განაკვეთები მცირდება. შეიძლება თუ არა ამ შეხედულებების ახსნა უცხოური ვალუტის ბაზრის ანალიზის გამოყენებით?


გრაფიკი 13-3 დოლარის საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტი



საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რასაც გეოგრაფიკის დოლარის დემოზიტები R^1 -დან R^2 -მდე, იწვევს დოლარის კურსის ზრდას E^1 -დან (წერტილი 1) E^2 -მდე (წერტილი 2).

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლავ დაეუბრუნდებით ნახაზს. 13-3 გრაფიკი გეჩვენებს დოლარის საპროცენტო განაკვეთის ზრდას R^1 -დან R^2 -მდე, რაც ასახულია დოლარის დემოზიტის ვერტიკალური მრუდის გადანაცვლებით მარჯვნივ. E^1 -ის საწყისი ცვლილებები დროს მოსალოდნელი უკუგება დოლარის დემოზიტიდან ახლა უფრო მაღალია, ვიდრე მარკის დემოზიტიდან და იმ ოდენობით, რომელიც ტოლია მანძილისა (1) და (1') წერტილებს შორის. როგორც დავინახეთ, ეს განსხვავება იწვევს დოლარის რევალვაციას E^2 -მდე (2) წერტილი. რადგან უცვლელია მარკის საპროცენტო განაკვეთი ან მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსი, დოლარის რევალვაცია დღეს ზრდის მარკის დემოზიტების მოსალოდნელ უკუგებას დოლარით, რადგან აღიღებს იმ ხარისხს, რითაც მოსალოდნელია დოლარის გაუფასურება მომავალში.

გრაფიკი 13-4 გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტი



საპროცენტო განაკვეთის ზრდა რაც გადაიხდება გერმანული მარკებით, იწვევს დოლარის კურსის დაცემას E^1 -დან (წერტილი 1) E^2 -მდე (წერტილი 2). (გრაფიკი აგრეთვე გეჩვენებს $\$/DM$ -ის მომავალი მოსალოდნელი გაცვლითი კურსის ზრდის ეფექტს). საპროცენტო განაკვეთის ზრდა რაც გადაიხდება გერმანული მარკებით, იწვევს დოლარის კურსის დაცემას E^1 -დან (წერტილი 1) E^2 -მდე (წერტილი 2). (გრაფიკი აგრეთვე გეჩვენებს $\$/DM$ -ის მომავალი მოსალოდნელი გაცვლითი კურსის ზრდის ეფექტს).

13-4 გრაფიკი გეჩვენებს გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთის, R_{DM} -ის, ზრდის ეფექტს. ეს ცვლილება იწვევს დადებით მრუდის (რომელიც ზომავს მარკის დემოზიტების მოსალოდნელ უკუგებას დოლარით) გადაადგილებას მარჯვნივ (მიზეზის დასადგენად დაუკვირდით, თუ როგორ ცვლის მარკის საპროცენტო განაკვეთის ზრდა იმავე ვალუტის დემოზიტების უკუგებას დოლარით, მიმდინარე გაცვლითი კურსითა და მოსალოდნელი მომავალი კურსის გათვალისწინებით).

E^1_{USD} -ის საწყისი გაცვლითი კურსის დროს დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხი იგივეა, რაც იყო R_{DM} -ის ზრდამდე. ასე რომ, მარკის დემოზიტების მოსალოდნელი უკუგება ახლა აჭარბებს ანაბრებს დოლარით. $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსი იზრდება (E^1_{USD} -დან E^2_{USD} -მდე), რათა აღკვეთოს აქტივების ტარბი

მიწოდება დოლარით (1) წერტილში. როგორც ადრე, დოლარის გაუფასურება მარკასთან შედარებით აუქმებს აქტივების ჭარბ მიწოდებას დოლარით, მარკის დეპოზიტებიდან უკუგების მოსალოდნელი ნორმის შემცირების მიწვევით. გერმანულ საპროცენტო განაკვეთებს მიყვავართ დოლარის გაუფასურებისკენ მარკასთან შედარებით ან, გერმანული პერსპექტივიდან თუ შევხვდებით ამ ვითარებას, მარკის რევალუაციისაკენ დოლართან შედარებით.

განხილვა გვინუნებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, პროცენტის ზრდა, რომელსაც იხდიან ვალუტის დეპოზიტებზე, იწვევს ამ ვალუტის რევალუაციას უცხოურთან შედარებით.

სანამ დაეასკენით, რომ გასეთში მოცემული ანგარიში საპროცენტო განაკვეთის გადუნაზე გაცვლით კურსზე სწორია, უნდა გვახსოვდეს, რომ წვენი ვარაუდი გაცვლითი კურსის მოსალოდნელ მუდმივ სიდიდეზე არარეალურია. ბევრ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოპყვება გაცვლითი კურსის მოსალოდნელ მომავალ ცვლილებას და დამოკიდებული იქნება იმ ეკონომიკურ მიზეზებზე, რომლებიც გამოიწვევენ საპროცენტო განაკვეთის შეცვლას. ჩვენ შევადარებთ სხვადასხვა შესაძლებელ ურთიერთობას საპროცენტო განაკვეთებსა და მოსალოდნელ მომავალ გაცვლის კურსს შორის. მიაქციეთ ყურადღება, რომ რეალურ სამყაროში არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ მოცემული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა როგორ იმოქმედებს გაცვლით კურსზე. სანამ არ გვეცოდინება, თუ რატომ იცვლება საპროცენტო განაკვეთი.

ბაცვლითი კურსის პროგნოზირების რისკი

თუ გაცვლითი კურსი აქტივის ფასია, რომელიც დაუყოვნებლივ პასუხობს მოლოდინისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს, მას უნდა ჰქონდეს თვისებები – მსგავსი სხვა აქტივების ფასებისა (მაგალითად, აქციის კურსისა). ამ უკანასკნელივით გაცვლითმა კურსმა მძაფრად უნდა უპასუხო „სიახლეებს“, ან მოულოდნელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებს და ამასთან ძალიან ძნელი უნდა იყოს მათი პროგნოზირება.

აქციის კურსის პროგნოზირებაში არსებული ცნობილი სირთულეების მიუხედავად, იმ სატელევიზიო პროგრამებისა და საინფორმაციო ბიულეტენების ნაკლებობას არ განვიცდით, რომლებიც საფონდო ბირჟის პროგნოზს ეძღვნება. მსგავსად ამისა, მთელი რიგი ფირმები დაკავებული არიან უცხოური ვალუტის ბაზარზე გაცვლითი კურსის პროგნოზების მიყიდვით (ფინანსური პროცენტით) ინდივიდუალურ ინვესტორებს, საერთაშორისო კორპორაციებსა და სხვებზე. რიჩარდ მ. ლევისმა (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი) თავის ცნობილ ნაშრომში გამოიყვლია 1982 წელს კომპანიებისათვის გაკეთებული 12 ვალუტის კურსის პროგნოზის ჩანაწერი.

შედეგები ერთობ შემაწფოთებელი აღმოჩნდა გაცვლითი კურსის ეგრეთ წოდებული წინასწარმეტყველებისთვის, მაგრამ გამამხნეველები – გაცვლითი კურსის მიმართ აქტივის დამოკიდებულებისათვის. ლევისმა მცირეოდენი დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინა საკლდე პერიოდში, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ პროფესიონალი პროგნოზისტები სისტემატურად უფრო ზუსტ კარაუდს გამოთქვამდნენ, ვიდრე მაგალითად, ინდივიდი, რომელიც, როგორც საკასო გარბგების პროგნოზს, იყენებდა 3 თვის ფორვარდულ გაცვლით კურსს, რომელიც მატერიალურ სახეს 3 თვეში მიიღებდა. ეს აღმოჩენა არ ნიშნავს იმას, რომ ფორვარდული კურსით შესაძლებელია ზუსტი ვარაუდი: პირიქით, ფორვარდული კურსი დამამტკიცებელი საბუთებისთვის წვეულებრივ მცირე ინფორმაციას მოიცავს, რაც სასარგებლო იქნება მომავალი საკასო გარბგებათა პროგნოზირებისთვის (რამაც დავრწმუნდებით 21-ე თავში). ლევისის შედეგები გეინეუენენ, რომ ნიშანდობლივად არაპროგნოზირებადი „ახალი ამბები“ ისეთ ძლევამოსილ როლს თამაშობენ გაცვლითი კურსის განსაზღვრაში, რომ ამ უკანასკნელის ცვლილებების (როგორიცაა აქციის კურსის ცვლილებები) პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია.

მოლოდინის შემცვლის მშვეტი მიმდინარე ბაცვლით კურსზე

13-4 გრაფიკი შეიძლება ასევე გამოვიყენოთ, რათა შევისწავლოთ დღევანდელი გაცვლითი კურსის ზრდის სეგავლენა S/DM -ის მოსალოდნელ მომავალ E^e_{DM} გაცვლით კურსზე.

მოცემულია რა დღევანდელი გაცვლითი კურსი, მარკის მოსალოდნელი მომავალი რევალუაცია დოლარის გამოსახულებით ზრდის დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხს. მაგალითად, თუ დღევანდელი გაცვლითი კურსი არის $\$0.712/DM$ და მოსალოდნელია, რომ იგი ერთ წელიწადში იქნება $\$0.747/DM$, დოლარის სამომავლო გაუფასურების ხარისხი მარკასთან შედარებით ასეთ სახეს მიიღებს – $(0.747 - 0.712)/0.712 = 0.05$. თუ მოსალოდნელი გაცვლითი კურსი გაიზრდება $\$0.755/DM$ -მდე, გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი ასევე მოიმატებს $(0.755 - 0.712)/0.712 = 0.06$ -მდე.

რადგან დოლარის გაუფასურების ხარისხის ზრდა მარკის დეპოზიტების მოსალოდნელ უკუგებას დოლარით ზრდის, დადამავალი მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, როგორც ეს 13-4 გრაფიკშია მოცემული. თავდაპირველი E^e_{DM} გაცვლითი კურსის დროს სახესე იქნება დოლარის დეპოზიტების ჭარბი მიწოდება: მარკის დეპოზიტები გუთავისობენ უკუგების უფრო მაღალ მოსალოდნელ ნორმას (გაწომილს დოლარის გამოსახულებით) დოლარის

დეპოზიტებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, დოლარი გაუფასურდება მარკასთან შედარებით მანამ, სანამ წონასწორობა არ მიაღწევს (2) წერტილს.

დასკვნა – სხვა თანაბარ პირობებში მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსის ზრდა გამოიწვევს არსებული გაცვლითი კურსის ზრდას.

რეზიუმე

1. გაცვლითი კურსი არის ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი მეორე ქვეყნის ვალუტის გამოსახულებით. იგი გარკვეულ როლს თამაშობს ხარჯვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, რადგან საშუალებას გვაძლევს. გადავიყვანოთ სხვადასხვა ქვეყნის ფასები შესადარ გამოსახულებაში. სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან შედარებით (უცხოური ვალუტის რეველვაცია ადგილობრივი ვალუტის გამოსახულებით) აიაფებს მის ექსპორტს და აძვირებს მის იმპორტს. მისი ვალუტის კურსის ზრდა (უცხოური ვალუტის ფასების დაცემა ადგილობრივი ვალუტით) აძვირებს მის ექსპორტს და აიაფებს იმპორტს.
2. გაცვლითი კურსი განისაზღვრება უცხოური ვალუტის ბაზარზე. ძირითადი მონაწილეები ამ ბაზარზე არიან კომერციული ბანკები, საერთაშორისო კორპორაციები, არასაბანკო ფინანსური დაწესებულებები და ეროვნული ცენტრალური ბანკები. კომერციული ბანკები მთავარ როლს თამაშობენ ბაზარზე, რადგან ისინი ქმნიან პროცენტის მომტანი საბანკო დეპოზიტების ბირჟას, რაც თავის მხრივ შეადგენს უცხოური ვალუტით ვაჭრობის ბირთვს. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით ვაჭრობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბევრ ფინანსურ ცენტრში ხორციელდება, თანამედროვე ტელეკომუნიკაციების ტექნოლოგიის მეშვეობით ეს ცენტრები ერთმანეთს უმაღლესი უკავშირდებიან და იქცევიან ერთიან ბაზრად, რომელიც 24 საათის მანძილზე მოქმედებს. უცხოური ვალუტით ვაჭრობის მნიშვნელოვანი კატეგორია არის ფორვარდული ვაჭრობა, სადაც მხარეები თანხმდებიან ვალუტის გაცვლაზე მომავალში დროის გარკვეული პერიოდისათვის ხელშეკრულებით წინასწარ გათვალისწინებული გაცვლითი კურსით. ნაღდი ვაჭრობა კი (პრაქტიკული მიზნებისათვის) დაუყოვნებლივ რეგულირდება.
3. რადგან გაცვლითი კურსი ორი აქტივის შესადარი ფასია, მას თავად მიიჩნევენ აქტივის ფასად. აქტივის შემფასებელი ძირითადი პრინციპი ის არის, რომ აქტივის არსებული ღირებულება დამოკიდებულია მის მომავალ მოსალოდნელ მსყიდველობით უნარზე. აქტივის შეფასებისას დასწოგველები აკვირდებიან უკუგების მოსალოდნელ ნორმას, იმას, რასაც ის სთავაზობს – ანუ ნორმას, რითაც აქტივში ინვესტიციის ღირებულება უნდა გაიზარდოს დროთა განმავლობაში. აქტივის უკუგების მოსალოდნელი ნორმის გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. თითოეული დამოკიდებულია იმ ერთეულებზე, რითაც ვალუტა არის შეფასებული. დამსოგველები ზრუნავენ აქტივის უკუგების იმ რეალურ ნორმაზე, რა ნორმითაც მისი ღირებულება, გამოსახული ტიპური გამოშვების კალათის შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს.
4. როდესაც აქტივის შეფარდებითი უკუგება მისაღებია, როგორც ეს უცხოური ვალუტის ბაზრის შემთხვევაშია, კარგი იქნება აქტივების ღირებულებების (ვალუტით) მოსალოდნელი ცვლილებების ერთმანეთთან შედარება იმ პირობით, თუ ეს ღირებულებები გამოხატული იქნება იმავე ვალუტით. თუ რისკისა და ლიკვიდობის ფაქტორები ძლიერ ზეგავლენას არ ახდენენ აქტივების მოთხოვნაზე უცხოური ვალუტით, უცხოური ვალუტის ბაზრების მონაწილეები ყოველთვის ამჯობინებენ იმ აქტივების ფლობას, რომელთა უკუგების ნორმაც უმაღლესია.
5. უცხოური ვალუტის ბაზარზე ნაეჭარი დეპოზიტებიდან უკუგება დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთებსა და გაცვლითი კურსის მოსალოდნელ ცვლილებებზე. დოლარისა და მარკის დეპოზიტებით შემოთავაზებული მოსალოდნელი უკუგების ნორმების ურთიერთშესადარებლად (მაგალითად, მარკის დეპოზიტების) უკუგება უნდა იყოს გამოსახული დოლარით, რისთვისაც მარკის საპროცენტო განაკვეთს უნდა დაემატოს დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების ხარისხი მარკასთან მიმართებაში (ან პირიქით, დოლართან შედარებით მარკის რეველვაციის ხარისხი). ეს ყოველივე იგულისხმება დეპოზიტის ფლობის პერიოდში.
6. უცხოური ვალუტის ბაზრის წინასწორება მოითხოვს საპროცენტო პარიტეტს, ანუ ყველა ვალუტის ბაზარს დეპოზიტებმა უნდა შესთავაზონ უკუგების ერთიდაიგივე მოსალოდნელი ნორმა, როდესაც უკუგება ფასდება შესადარი გამოსახულებით.
7. როდესაც საპროცენტო განაკვეთები და მომავალ გაცვლით კურსთან დაკავშირებული მოლოდინი სახეზეა, საპროცენტო პარიტეტის პირობა გეინვენებს არსებულ წინასწორულ გაცვლით კურსს. როდესაც მარკის დეპოზიტებიდან მოსალოდნელი უკუგება (დოლარით) აჭარბებს დოლარის დეპოზიტებიდან უკუგებას დოლარი დაუყოვნებლივ უფასურდება მარკასთან შედარებით. სხვა თანაბარ პირობებში, დოლარის დღევანდელი გაუფასურება ამცირებს მარკის დეპოზიტებიდან მოსალოდნელ უკუგებას (დოლარით). სხვა თანაბარ პირობებში, დოლარის რეველვაცია მიმდინარე მარკის დეპოზიტებს უფრო მიმზიდველს ხდის, რადგან ზრდის დოლარის კურსის მოსალოდნელ მომავალ გაუფასურებას გერმანულ ვალუტასთან შედარებით.
8. სხვა თანაბარ პირობებში, დოლარის საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოიწვევს დოლარის კურსის რეველვაციას მარკასთან შედარებით მაშინ, როდესაც გერმანული ვალუტის საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოიწვევს დოლარის გაუფასურებას მარკასთან შედარებით. დღევანდელი გაცვლითი კურსი ასევე შეიცვლება მისი მოსალოდნელი დონის შეცვლით. S/DM-ის მომავალი კურსი გაიზარდება, თუ მოცემული კურსის საპროცენტო განაკვეთი არ შეიცვლება.

პირითადი ტერმინები

კურსის 'ზრდა
გაუფასურება
უცხოური ვალუტის ბასარი
ბანკთაშორისი ვაჭრობა
ლიკვიდურობა
გაუფასურების ხარისხი
უკუგების რეალური ნორმა
საკასო გარიგებათა კურსი

არბიტრაჟი
გაცვლითი კურსი
ფორვარდული გაცვლითი კურსი
საპროცენტო პარიტეტის პირობა
კურსის ზრდის ხარისხი
უკუგების ნორმა
რისკი
მოავარი ვალეტა

პითხვები

1. შემწვარი ძეხვი 2 მარკა ღირს მიუნხენში, ბუტერბროდი – „მოთ დოგი“ – 1 დოლარი ბოსტონის ერთ-ერთ პარკში. როდესაც გაცვლითი კურსი არის \$0.5 ერთ მარკაზე, რა ვლირება შემწვარი ძეხვი „მოთ დოგის“ გამოსახულებით? სხვა თანაბარ პირობებში როგორ შეიცვლება ეს შესადარი ფასი, თუ დოლარის ღირებულება გაიზრდება 0.4-მდე ერთ მარკაზე? საწყისს მდგომარეობას თუ შევადარებთ, გაძვირდა თუ გაიაფდა „მოთ დოგი“ შემწვარ ძეხვთან შედარებით?
2. ერთი აშშ დოლარი 5 ფრანგული ფრანკი ღირს, მაგრამ ამავე რაოდენობის დოლარის ყიდვა შეიძლება 125 შვეიცარიულ ფრანკად. როგორია ფრანგული და შვეიცარიული ფრანკის ურთიერთგაცვლითი კურსი?
3. გამოიანგარიშეთ უკუგების ნორმა შემდეგი აქტივებიდან:
 - ა) ნახატი, რომლის ფასი 200 000 დოლარიდან 250 000 დოლარამდე იზრდება წელიწადში;
 - ბ) იშვიათი მარკის 1978 წლის ბურგუნდიული ბოთლი ღვინის ფასი, რომელიც 180 დოლარიდან 216 დოლარამდე გაიზრდება 1999-2000 წლებში.
 - გ) 10 000 გირვანქა სტერლინგის დეპოზიტი ლონდონის ბანკში 1 წელიწადში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი ბრიტანული ვალუტით 10%-ია და \$/? გაცვლითი კურსი შეიცვლება \$1.50-დან (ერთ გირვანქა სტერლინგში) \$1.38-მდე (ერთ გირვანქა სტერლინგში).
4. როგორი იქნება უკუგების რეალური ნორმა აქტივებიდან (წინა შეკითხვიდან), თუ აღწერილი ფასის შეცვლას ახლავს დოლარით გამოსახული ყველა ფასის 10%-იანი იმავდროული ზრდა?
5. დაუეშვათ, დოლარის და გირვანქა სტერლინგის საპროცენტო განაკვეთები ერთნაირია – 5% წელიწადში. როგორი ურთიერთობა იქნება \$/?-ის მიმდინარე წონასწორულ გაცვლის კურსსა და მის მოსალოდნელ მომავალ დონეებს შორის? დაუეშვათ, \$/?-ის მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსი – \$1.52 ერთ გირვანქა სტერლინგზე, მუდმივი რჩება, რადგან ბრიტანეთის საპროცენტო განაკვეთი იზრდება 10%-მდე წელიწადში. თუ აშშ-ს საპროცენტო განაკვეთი მუდმივი დარჩება, როგორი იქნება \$/? გაცვლითი კურსი?
6. აქტივების ბაზრებზე მოვაჭრეები უეცრად იგებენ, რომ საპროცენტო განაკვეთი შემცირდება უახლოეს მომავალში. ამ თავის გრაფიკული გამოსახულების ანალიზი გამოიყენეთ \$/DM-ის მიმდინარე გაცვლის კურსზე შემოქმედების განსაზღვრისათვის იმ დაშვებით, რომ დეპოზიტების არსებული მარკის და დოლარის საპროცენტო განაკვეთები არ შეიცვლება.
7. წევნ აღენიშნეთ, რომ შეგვეძლო დაგვეშვა შეგვიანა უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობის გრაფიკული ანალიზი გერმანიის პერსპექტივის მიხედვით, სადაც DM/\$ გაცვლითი კურსი აღინიშნება $E_{DM/\$}$ ($= 1/E_{\$/DM}$) ვერტიკალურ ღერძზე, სახესუა მრუდი, რომელიც ვერტიკალურია R_{DM} წერტილზე, მარკის დეპოზიტებზე ამავე ვალუტით უკუგების საწყებებლად. და დადგინდეთ მრუდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ცვლის მარკის უკუგება დოლარის ანაზრებს $E_{DM/\$}$ -ით. დააკვირდით წონასწორობის ამ ალტერნატიულ სურათს და გამოიყენეთ ის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შეგავლენისა და მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსის შესაძლო შემთავად. თქვენი პასუხი შეესაბამება თუ არა ადრე მითითებულ მონაცემებს?
8. 1989 წლის 7 აგვისტოს „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა სტატია შემდეგი სათაურით: „მყარი დოლარი – სიურპრიზი“; გთავაზობთ ციტატას ამ სტატიიდან:

„ახლა ეკონომიკა ცდილობს „ნარჩარად დაშვებას“, რადგან ეკონომიკა თანდათანობით ეცემა და ინფლაცია ფინანსდება, ოღონდ რეცესიის გარეშე“.

ეს თვალსაზრისი კარგია დოლარისათვის ორი მიზეზის გამო: „ნარჩარი დაშვება“ არ არის ისეთივე შემაფრხველებელი, როგორც რეცესია, ამიტომ უცხოეთიდან ინვესტირება, რის მუშევრებითაც დოლარი მყარდება, მოსალოდნელია გაგრძელდეს.

ამასთანავე, „ნარჩარი დაშვება“ ვერ აიძულებს ყველგარეშე რეზერვებს, მკვეთრად შეამცირონ საპროცენტო განაკვეთები ზრდის სტიმულირებისათვის. კლებადმა საპროცენტო განაკვეთებმა შეიძლება შეანელოს სეწოლა დოლარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დოლარით დენომინირებულ ფასიან ქაღალდებში უცხოელებისათვის უფრო ნაკლებ მიმსიდეველს ხდიან ინვესტიციებს. ეს უბიძგებს ინვესტირებს გაყიდონ დოლარები. გარდა ამისა ოპტიმიზმმა, რომელიც განიდა „ნარჩარი დაშვების“ მოლოდინით, შეიძლება ნაწილობრივ აანაწილაუროს კიდევ დოლარზე სეწოლა უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებით.

- ა) გვიჩვენეთ, როგორ ახსნიდით ამ სტატიიდან ციტირებული მონაკვეთის მესამე აბზაცს, თუ გამოიყენებდით ამ თავში მოცემული გაცვლითი კურსის განსაზღვრების მოდელს.
 - ბ) გაცვლითი კურსის განსაზღვრების რომელი დამატებითი ფაქტორები დაგეხმარებათ ციტირებული ნაწილის მეორე აბზაცის ახსნაში?
9. დაეუშვათ, გერმანული მარკისა და გირვანქა სტერლინგის გაცვლითი კურსები დოლართან მიმართებაში თანაბრად ცვლიდა. მარკის კურსი შესაძლოა მოულოდნელად შემცირდეს დოლართან შეფარდებით (როდესაც თქვენი ქონების დანარჩენი ნაწილის უკუგების ნორმა მოსალოდნელზე მაღალია) მაშინ, როდესაც გირვანქა სტერლინგის კურსი მატულობს მოულოდნელად იმავე ვითარებაში. თქვენ რომ აშშ-ს მოქალაქე იყოთ, რომელ ვალუტას – მარკას, თუ გირვანქა სტერლინგს, მიიჩნევთ უფრო სარისკოდ?
 10. ამ თავში მოცემული განხილვიდან რამ შეიძლება გაფიქრებინოთ, რომ დოლარის დეპოზიტებს ექნებათ ლიკვიდობის ის მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდებიან სხვა ვალუტის დეპოზიტებისაგან? თუ ეს ასეა, როგორ მოახდენდა განსხვავება ზეგავლენას საპროცენტო სხვაობაზე, დაეუშვათ, დოლარისა და ფრანგული ფრანკის დეპოზიტებს შორის? შეგიძლიათ თუ არა, გამოიცნოთ, როგორ შეიცვლება მარკით, გირვანქა სტერლინგითა და იენით დეპოზიტების ლიკვიდობა დროთა განმავლობაში?
 11. 1979 წლის ოქტომბერში აშშ-ს ცენტრალურმა ბანკმა (ფედერალური რეზერვების სისტემა) გამოაცხადა, რომ ის ნაკლებ აქტიურ როლს ითამაშებდა დოლარის საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვაში. როდესაც ეს ახალი პოლიტიკა ცხოვრებაში გაატარეს, დოლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან შედარებით გაცილებით უფრო ცვალებადი გახდა. გეთავაზობს თუ არა უცხოური ვალუტის ბაზრის ანალიზი რაიმე კავშირს ამ ორ მოვლენას შორის?
 12. წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიოში ყველა იხდის τ პროცენტის მომტან გადასახადს ნებისმიერი კაპიტალის მოგებიდან, რომელიც ახლავს გაცვლითი კურსის ცვლილებებს. როგორ შეცვლის ასეთი გადასახადი საპროცენტო პარიტეტის პირობის შესახებ ანალიზს? როგორ შეიცვლება პასუხი, თუ გადასახადი ეხება საპროცენტო მოგებას და არა კაპიტალის ზრდით მიღებულ მოგებას, რომელიც დაუბეგრავია?
 13. დაეუშვათ, S/DM -ის ერთწლიანი ფორვარდული გაცვლითი კურსი არის 0.73 და საკასო გარიგების კურსი არის \$0.695 ერთ მარკაზე. როგორია ფორვარდული პრემია გერმანულ ვალუტაზე? (ფორვარდული დისკონტირება დოლარებზე)? რა განსხვავებაა დოლარისა და მარკის ერთწლიან ანაბრებს შორის (თუ დაეუშვებთ, რომ პოლიტიკური რისკი გამორიცხულია)?

მე-13 თავის დანართი

ფორვარდული გაცვლითი კურსი და დაზღვეული საპროცენტო პარიტეტი

დანართში ახსნილია, თუ როგორ განისაზღვრება ფორვარდული გაცვლითი კურსი. ვთქვათ, საპროცენტო პარიტეტის პირობა ყოველთვის ძალაშია, ფორვარდული გაცვლითი კურსი ტოლი იქნება იმ საკასო გარიგების კურსისა, რომელიც, მოლოდინის შესაბამისად, გადააჭარბებს ფორვარდული კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულის ჩარიცხვის ვადას.

ამ განხილვისას პირველი ნაბიჯი იქნება ის, რომ აღვნიშნოთ ახლო ურთიერთობა ორ ვალუტას შორის არსებულ ფორვარდულ სავალუტო კურსში, მათ საკასო გარიგებათა სავალუტო კურსსა და ამ ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის. ეს კავშირი მოცემულია დაზღვეული საპროცენტო პარიტეტის მდგომარეობით, რომელიც მსგავსია იმ (აუნაზღაურებელი) საპროცენტო პარიტეტის მდგომარეობისა, რაც განსაზღვრავს უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობას, მაგრამ მოიცავს ფორვარდული გარიგების კურსს და არა მოსალოდნელი მომავალი საკასო სავალუტო გარიგების კურსს.

კვლავ განვიხილოთ დოლარისა და გერმანული მარკის დეპოზიტები. დაეუშვათ, თქვენ გაქვთ დოლარები და გსურთ იყიდოთ მარკის დეპოზიტი, ამასთან დარწმუნებით უნდა იცოდეთ, თუ რა ელირება იგი (დოლარით) წლის ბოლოს. შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ გაცვლითი კურსით გამოწვეული რისკი, თუ იყიდით მარკის დეპოზიტს და ამავედროულად წინასწარ გაყიდით თქვენი ინვესტიციის შემოსავალს. როდესაც დოლარებით ყიდულობთ მარკის დეპოზიტს და ამავედროულად ყიდით კაპიტალსა და პროცენტს დოლარზე, ჩვენ ვიტყვით, რომ თქვენ „დააზღვიეთ“ საკუთარი თავი, ანუ თავიდან აიცილეთ მარკის გაუფასურების ალბათობა.

დაზღვეული საპროცენტო პარიტეტის პირობის მიხედვით, დოლარის დეპოზიტების უკუგების ნორმა და „დაზღვეული“ უცხოური დეპოზიტები იგივე უნდა იყოს. მაგალითი დაგეხმარებათ, გაერკვეთ ამ მდგომარეობის შინაარსსა და იმაში, თუ რატომ უნდა იყოს იგი ყოველთვის შენარჩუნებული. დაეუშვათ, F -ით აღვნიშნეთ გერმანული მარკის ვადაიანი გარიგების კურსი დოლარის გამოსახულებით ერთი წლის პერიოდისთვის და ვთქვათ, ამავედროულად საკასო გარიგების სავალუტო კურსია $F_{spot} = \$0.742$ ერთ მარკაზე. საკასო გარიგებათა

სავალუტო კურსი არის $E_{\$/DM} = \0.700 ერთ მარკაზე $R_f = 0.10$, და $R_{DM} = 0.05$. უკუგების ნორმა (დოლარის) დოლარით დემოზიტებიდან აშკარად 0.10-ია ანუ 10% წელიწადში. როგორია უკუგების ნორმა გერმანული მარკის ანაზღაურებულ ანაბარზე?

ამ კითხვაზე ვუპასუხებთ ამავე თავის შესაბამისად. ერთი მარკის დემოზიტი ღირს \$0.700 დღეს, ხოლო ერთ წელიწადში იგი ეღირება 1.05 მარკა. თუ თქვენ დღეს გაყიდით 1.05 მარკას სამომავლო \$0.742 ფორვარდული გაცვლითი კურსით ერთ მარკაზე, თქვენი ინვესტიციის ღირებულება დოლარით წლის ბოლოს იქნება (\$0.742 ერთ მარკაზე) ? $DM 1.05 = \$0.779$. უკუგების ნორმა მარკის დემოზიტის ანაზღაურებულ შესყიდვაზე არის $(0.779 - 0.700)/0.700 = 0.113$. უკუგების ნორმის ეს 11.3% წელიწადში აჭარბებს დოლარის დემოზიტების მიერ შემოთავაზებულ 10%-ს, ამდენად, ანაზღაურებული საპროცენტო პარიტეტი აღარ არის შენარჩუნებული. ასეთ ვითარებაში არაფერია მოსურვეებს დოლარის დემოზიტების ფლობას; ყველას ყურადღება გადავა მარკის ანაზღაურებულ დემოზიტებზე.

სხვაგვარად მარკის დემოზიტის ანაზღაურებული ნორმა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად

$$\frac{F_{\$/DM} (1 + R_{DM}) - E_{\$/DM}}{E_{\$/DM}}$$

რაც დაახლოებით ტოლია

$$R_{DM} + \frac{F_{\$/DM} - E_{\$/DM}}{E_{\$/DM}}$$

როდესაც $R_{DM} \times (F_{\$/DM} - E_{\$/DM})/E_{\$/DM}$ არის მცირე; ანაზღაურებული საპროცენტო პარიტეტის პირობა შეიძლება

გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$R = R_{DM} + (F_{\$/DM} - E_{\$/DM})/E_{\$/DM}$$

ამ ოდენობას

$$(F_{\$/DM} - E_{\$/DM})/E_{\$/DM}$$

ეწოდება ფორვარდული პრემია გერმანული მარკით დოლართან მიმართებაში (მას ასევე ეწოდება ფორვარდული ფასდაკლება დოლარზე მარკასთან მიმართებაში). ამ ტერმინოლოგიის გამოყენება შეგვიძლია საპროცენტო პარიტეტის პირობის მიმართაც: დოლარით დემოზიტებიდან საპროცენტო განაკვეთი ტოლია მარკის დემოზიტებიდან საპროცენტო განაკვეთისა პლიუს ამ უკანასკნელის ფორვარდული პრემია დოლართან მიმართებაში (ფორვარდული ფასდაკლება დოლარზე მარკასთან მიმართებაში).

არსებობს ემპირიული დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ანაზღაურებული საპროცენტო პარიტეტის პირობა ეხება სხვადასხვა უცხოური ვალუტის დემოზიტებს, რაც გამოშვებულია ერთიანი ფინანსური ცენტრის მიერ. რასაკვირველია, ვალუტით მოვაჭრენი ხშირად ადგენენ ფორვარდული გაცვლის კურსს, რომლის კოტირებასაც ახდენენ არსებული საპროცენტო განაკვეთის და საკასო გარიგებათა კურსის მიხედვით, ამასთან იყენებენ უსრუენველყოფილი საპროცენტო პარიტეტის ფორმულას. უსრუენველყოფილი საპროცენტო განაკვეთიდან გადახვევა შესაძლოა, თუ შედარებული დემოზიტები სხვადასხვა ქვეყანაშია განთავსებული. ამ გადახრებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აქტივის მფლობელებს ეშინიათ, რომ მთავრობამ შეიძლება დააწესოს განკარგულებები, რომლებიც ხელს შეუშლიან უცხოური ფონდების თავისუფალ მოძრაობას ეროვნულ საზღვრებს მიღმა. ჩვენს მიერ მიღებულ ანაზღაურებულ საპროცენტო პირობებში დავეუშეით, რომ ამ სახის პოლიტიკური რისკი არ არსებობს.

აუნაზღაურებელი საპროცენტო პარიტეტის პირობას თუ შეადარებთ ანაზღაურებულ საპროცენტო პარიტეტის პირობას,

$$R = R_{DM} + (E'_{\$/DM} - E_{\$/DM})/E_{\$/DM}$$

აღმოვანინოთ, რომ ერთდროულად ორივე მდგომარეობა შეიძლება მართალი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დღეს არსებული $\$/DM$ -ის ერთწლიანი ფორვარდული კურსი ტოლია საკასო გაცვლითი კურსისა, რომლის განხორციელებასაც ხალხი ეცდება დღეიდან ერთ წელიწადში:

$$F_{\$/DM} = E'_{\$/DM}$$

აქ ინტუიციური აზრი მოქმედებს – როდესაც დღეს ორი მხარე ერთანხმება, ივაჭროს უცხოური ვალუტით მომავალში, გაცვლითი კურსი – რაზედაც შეთანხმდებიან – საკასო გარიგების ის კურსი იქნება, რომელიც მათი მოლოდინით მომავალში დაფიქსირდება. მნიშვნელოვანი განსხვავება ანაზღაურებულ და აუნაზღაურებულ გარიგებებს შორის მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. ანაზღაურებული გარიგებები არ მოიცავენ გაცვლით

კურსთან დაკავშირებულ რისკს, აუნაზღაურებელი კი პირიქით – რისკთან არის დაკავშირებული.

თვორია ანაზღაურებელი საპროცენტო პარიტეტის შესახებ გვეხმარება იმაში, რათა ავხსნათ მკიდრო ერთიერთობა საკასო და ფორვარდულ გაცვლით კურსებს შორის. ეს ერთიერთობა ტიპურია ყველა მთავარი ვალუტისათვის. მოულოდნელ ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქტივებიდან მოსალოდნელ უკუგებაზე, ხშირად შედარებით მცირედ ზემოქმედებენ მცირევადიან დეპოზიტებს (მაგალითად, სამი თვე) შორის არსებულ საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთების განსხვავებაზე. ანაზღაურებელი საპროცენტო პარიტეტის განსამტკიცებლად საკასო და ფორვარდული განაკვეთები, შესაბამისი ვადით, უნდა შეიცვალოს სუსტად ერთმეორის პროპორციულად.

ამ დანართის ბოლოს მოგაწვდით ცნობებს ანაზღაურებელი საპროცენტო პარიტეტის მდგომარეობის მომავალი გამოყენების შესახებ. ფორვარდული გაცვლითი კურსის როლის საილუსტრაციოდ ამ თავში გამოყენებული იყო ამერიკელი იმპორტიორის მაგალითი, რომელსაც გასაყიდად რადიო შექმნდა იაპონიიდან. იგი დაინტერესებული იყო, თუ როგორი იქნებოდა 30 დღეში დოლარ-იენის გაცვლითი კურსი, როდესაც მას დასჭირდებოდა მიმწოდებლისთვის პროდუქციის ღირებულების გადახდა. ამ მაგალითით, იმპორტიორმა პრობლემა გადაწვეტა შემდეგნაირად: სასწრაფოდ გაყიდა დოლარები იენების სანაცვლოდ, რათა დაეფარა რადიოს ხარჯები. მაგრამ მას ასევე შეეძლო გადაეწვეტა ეს პრობლემა განსხვავებული, უფრო რთული გზით: (1) ესესხა დოლარები ბანკიდან; (2) ეს დოლარები გაეყიდა იენების სანაცვლოდ საკასო გარიგების კურსით და იენები მოეთავსებინა ბანკში 30-დღიან დეპოზიტზე; (3) 30 დღის შემდეგ გამოეყენებინა იენის ვადიანი დეპოზიტიდან მიღებული შემოსავალი იაპონელი მიმწოდებლისათვის გადასახდელად; (4) გამოეყენებინა აშშ-ში იაპონური რადიოს რეალიზაციიდან მიღებული მოგება (გამოკლებული საკუთარი მოგება) დოლარით თავდაპირველი სესხის გადასახდელად.

რომელი სახის მოქმედება – იენის ფორვარდული შესყიდვა თუ აღწერილი ოთხი ოპერაციის თანამიმდევრობა – არის უფრო მომგებიანი იმპორტიორისათვის? შეიძლება გამოითვალოს, რათა დარწმუნდეთ, რომ ამ ორ სტრატეგიას მოაქვს ერთიდაიგივე მოგება, როდესაც ანაზღაურებელი საპროცენტო პარიტეტის პირობა შენარჩუნებულია.

ფული, საპროცენტო განაკვეთები და გაცვლითი კურსი

მე-13 თავში გინვენტო, ვალუტებს შორის გაცვლითი კურსი როგორ არის დამოკიდებული ორ ფაქტორზე: პროცენტზე (რომელიც შეიძლება იყოს გამომუშავებული ამ ვალუტების დეპოზიტებიდან) და მოსალოდნელ გაცვლით კურსზე. გაცვლითი კურსის არსი ბოლომდე რომ გაეიგოთ, უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ განისაზღვრება თავად საპროცენტო განაკვეთები და როგორ ყალიბდება მოლოდინი მომავალი გაცვლითი კურსის მიმართ. ამ საკითხებს მომდევნო სამ თავში გავაანალიზებთ, ავადგებთ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს გაცვლით კურსს, საპროცენტო განაკვეთსა და მაკროეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან ცვლადებს, როგორცაა ინფლაციის დონე და გამოშვება.

პირველი ნაბიჯი ამ მოდელის ასაგებად იქნება ის, რომ ავხსნით ქვეყნის ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის გაელენას საპროცენტო განაკვეთსა და გაცვლით კურსზე. რადგან გაცვლითი კურსი ეროვნული ფულის შესადარი ფასია, ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ფულის მიწოდებასა და მოთხოვნაზე, ეველაზე ძლიერ განსაზღვრავენ, უცხოურ ვალუტებთან შედარებით, საკუთარი ვალუტის გაცვლით კურსს. ბუნებრივია, გაცვლითი კურსის ღრმა ანალიზს დავიწევთ ფულის მიწოდებისა და ფულზე მოთხოვნის განხილვით.

ფულად-საკრედიტო მოვლენები ზეგავლენას ახდენენ გაცვლით კურსზე როგორც საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, ასევე მომავალ გაცვლით კურსთან დაკავშირებით ადამიანების მოლოდინის შეცვლით. ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის პროდუქციაზე მომავალი ფულადი ფასების მოლოდინთან; ფასების ცვლილება, თავის მხრივ, დამოკიდებულია ცვლილებებზე ფულის მიწოდებასა და მოთხოვნაში. გაცვლით კურსზე ფულად-საკრედიტო ზეგავლენის შესწავლისთვის საჭიროა დაკვირვება, თუ ფულად-საკრედიტო ფაქტორები როგორ ახდენენ ზემოქმედებას გამოშვების ფასებზე საპროცენტო განაკვეთებთან ერთად. მოლოდინის ჩამოყალიბება მომავალი გაცვლითი კურსების შესახებ დამოკიდებულია ფულისგან განსხვავებულ ბევრ ფაქტორზე. ამ არაფულად-საკრედიტო ფაქტორებს მომდევნო თავში განვიხილავთ.

ფულზე მოთხოვნასა და მიწოდებას, მათი განმსაზღვრელებისა და მათ შესახებ თეორიების განხილვის შემდგომ, გამოვიყენებთ იმის შესამოწმებლად, მათი ტოლობით როგორ დგინდება საპროცენტო განაკვეთი, რასაც შემდეგ საპროცენტო განაკვეთს შევუხამებთ ჩვენს მიერ მოცემულ საპროცენტო პარიტეტის პირობის განსაზღვრებას. ამ გზით შევისწავლით ფულად-საკრედიტო ცვლილების ზემოქმედებას გაცვლით კურსზე (როდესაც საქონელისა და მომსახურების ფასები მოცემულია), გამოშვების დონესა და მომავალთან დაკავშირებულ ბაზრის მოლოდინზე. და ბოლოს, პირველად შევხვებით ფულად-საკრედიტო ცვლილებების ხანგრძლივ ზემოქმედებას გამოშვების ფასებსა და მომავალ გაცვლით კურსზე.

ფულის განსაზღვრა: მოკლე მიმოხილვა

ჩვენ ისე მივიწყებთ ფულის გამოყენებას, რომ იშვიათად ვამჩნევთ იმ როლს, რასაც ის თამაშობს ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა ოპერაციაში: ბევრ სხვა თანამედროვე საშუალებასთან ერთად, ფულიც თავისთავად არსებულად მიგვჩანია, ხანამ რაღაც არ გართულდება! ფაქტიურად, ყველაზე იოლი გზა ფულის მნიშვნელობის შესაფასებლად იქნება ის, რომ წარმოვიდგინოთ – როგორი იქნებოდა ეკონომიკური ცხოვრება მის გარეშე.

ჩვენც სწორედ ასე მოვიქცევით – ამ „მოფიქრებული ექსპერიმენტის“ განხორციელებისას ფულს გამოვარჩევთ სხვა აქტივებიდან და მის იმ მახასიათებლებს აღვწერთ, რაც სტიმულს აძლევს ადამიანებს, აქონდეთ ფული. ამ მახასიათებლებს ცენტრალური ადგილი უკავია ჩვენს ანალიზში ფულზე მოთხოვნის შესახებ.

ფული, როგორც გაცვლის საშუალება

ფულის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის, იყოს გადახდის საყოველთაოდ მოღებული გაცვლის საშუალება, რომლის აუცილებლობის გასაგებად წარმოიდგინეთ – რამდენი დრო დასჭირდებოდათ ადამიანებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის ისეთ სამყაროში, სადაც შესაძლებელია ვაჭრობის მხოლოდ ერთი სახეობა, ბარტერული ვაჭრობა, ანუ საქონლისა და მომსახურების გაცვლა სხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

ფული საყოველთაოდ გამოიყენება და აუქმებს ბარტერულ სისტემასთან დაკავშირებულ ძიების უსარმაზარ

ხარჯებს, რადგან ინდივიდს საშუალებას აძლევს, სხვას მიჰყიდოს საკუთარი წარმოებული მომსახურება და საქონელი იმ მწარმოებლებისგან განსხვავებით, რომელთაც თავადვე სურთ მოიხმარონ თავიანთი წარმოების პროდუქცია. რთული თანამედროვე ეკონომიკა ხომ საერთოდ შეწყვეტდა ფუნქციონირებას გადახდის სტანდარტული და მოსახერხებელი საშუალებების გარეშე.

ფული, როგორც ანგარიშის ერთეული

ფული ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ანგარიშის ერთეული, ანუ როგორც ღირებულების ფართოდ აღიარებული საზომი. ეს სწორედ ის მეორე ფუნქციაა ფულისა, რომელსაც გავეცანით მე-13 თავში: საქონლის, მომსახურებისა და აქტივების ფასები ფულის სახით არის მოცემული. გაცვლითი კურსი საშუალებას გვაძლევს, სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ფასები გადავიყვანოთ შესაძარ ფულად გამოსახულებაში.

ფასების კორტირება ფულადი გამოსახულებით ამარტივებს ეკონომიკურ გამოთვლებს, რადგან აიოლებს სხვადასხვა საქონელზე ფასების ურთიერთშედარებას. მე-13 თავში საერთაშორისო ფასების ერთმანეთთან შედარება, სხვადასხვა ქვეყნის გამოშვების ფასების შესადარისი გაცვლითი კურსის გამოყენებით, იმ გამოთვლების მსგავსია, რის გაკეთებაც მოგიხდებოდათ დღეში რამდენჯერმე, თუ სხვადასხვა საქონლის ფასები არ იქნებოდა გამოსახული გაანგარიშების სტანდარტული ერთეულით. თუ მე-13 თავში მოცემულმა გამოთვლებმა თავი აგატიკეთა, წარმოიდგინეთ, რა მოგივიდოდათ, თუ ყოველი საქონლისა და მომსახურების შესადარი ფასების გამოანგარიშება მოგიხდებოდათ რამდენიმე სხვა საქონლისა და მომსახურების გამოსახულებით. ამ მცირე ექსპერიმენტის წყალობით ფულს, როგორც გამოანგარიშების ერთეულს, ძალიან მაღალ შეფასებას მისცემთ!..

ფული, როგორც ღირებულების შენახვის საშუალება

რადგან ფულის გამოყენება შესაძლებელია ამჟამინდელი მსყიდველობითი უნარის გადასაყვანად მომავალში, ის აქტივიც, ან დაზოგვის წყაროც, არის. ეს თვისება მნიშვნელოვანია გაცვლის ნებისმიერი პროცესისათვის, რადგან არაფერს მოსურვებს აიღოს ფული ახლა, თუ მისი ღირებულება საქონლისა და მომსახურების გამოსახულებით მომენტალურად აორთქლდება.

ფულის, როგორც გაცვლითი საშუალების, სარგებლიანობა აეტომატურად ხდის მას აქტივებიდან ყველაზე ლიკვიდურს. წინა თავიდან თუ გაიხსენებთ, აქტივი ლიკვიდურია, როდესაც შეიძლება მისი გადაყვანა საქონელსა და მომსახურებაზე სწრაფად და ამ ოპერაციის საწარმოებლად ისეთი დიდი ხარჯები არ არის საჭირო, როგორცაა ბროკერის საკომისიო. ფულს ხალისით იღებენ, როგორც გადახდის საშუალებას, ამიტომ იგი იქცევა სტანდარტად, რომელთან მიმართებაშიაც სხვა აქტივების ლიკვიდობას ადგენენ.

რა არის ფული?

ვალუტა და საბანკო დეპოზიტები, რის საფუძველზეც ხდება ჩეკის გამოწერა, უეჭველად კლასიფიცირდება როგორც ფული. გადახდის ამ ფართოდ მიღებული საშუალების გადაყვანა მყლობულებზე შესაძლებელია დაბალი ხარჯით. ოჯახები და ფირმები ფლობენ ვალუტას და სადეპოზიტო ჩეკებს, როგორც მოსახერხებელ საშუალებას ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. ისეთი აქტივები, როგორცაა უძრავი ქონება, არ კლასიფიცირდება როგორც ფული, რადგან, ვალუტისა და სადეპოზიტო ჩეკებისაგან განსხვავებით, მათ აკლიათ არსებითი თვისება – ლიკვიდობა.

როდესაც ვსაუბრობთ ფულის მასაზე, ვგულისხმობთ იმას, რასაც ფედერალური რეზერვი უწოდებს M1-ს ანუ ვალუტისა და შესამოწმებელი დეპოზიტების მთელ ოდენობას. რასაც ფლობენ ოჯახები და ფირმები. აშშ-ში 1994 წლის ბოლოს ფულის მთლიანმა მიწოდებამ შეადგინა 1.148 ტრილიონი დოლარი, რაც ტოლი იყო იმ წლის ექვ-ის 17.1%-სა.

უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეთა მიერ ნაფაჭრი დიდი ოდენობის დეპოზიტები არ მიიჩნევა ფულის მასის ნაწილად. ეს დეპოზიტები ნაკლებ ლიკვიდურია, ვიდრე ფული, და არ გამოიყენება ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად.

რით განისაზღვრება ფულის მასა?

ქვეყნის ფულის მასა კონტროლდება ცენტრალური ბანკის მიერ, რომელიც უშუალოდ არეგულირებს არსებული ვალუტის ოდენობას და ასევე უზღავსებულობას უწევს კერძო ბანკების მიერ გაცემულ სადეპოზიტო ჩეკებს. ამ კონტროლთან დაკავშირებული პროცედურები ერთობ რთულია და გადავიღების მიზნით ამჯერად დავეშვებით, რომ ცენტრალური ბანკი უბრალოდ ადგენს ფულის მასის მასშტაბს მისთვის ხელსაყრელ დონეზე. ფულის მასის მიწოდების პროცესს უფრო დეტალურად განვიხილავთ მე-17 და 21-ე თავებში.

ინდივიდუალური მოთხოვნა ფულზე

ფულის ფუნქციებისა და ფულის მასის განხილვის შემდგომ შევისწავლით ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფულის მიწოდების იმ ოდენობას, რისი ფლობაც ინდივიდს სურს. ფულზე ინდივიდუალური მოთხოვნის განმსაზღვრელად შეიძლება მივიღოთ აქტივზე მოთხოვნის თეორია, რომელიც წინა თავში განვიხილეთ. იქვე ვნახეთ, რომ ინდივიდები აქტივზე თავის მოთხოვნას აყუძნებენ სამ დამახასიათებელ თვისებაზე:

1. მოსალოდნელი უკუგება, რომელსაც აქტივი გთავაზობს, სხვა აქტივების თანმხლებ მოგებასთან შედარებით.
2. აქტივის მოსალოდნელი უკუგების რისკის ხარისხი.
3. აქტივის ლიკვიდობა.

მაშინ, როდესაც ლიკვიდობა არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს უცხოური ვალუტის ბაზრებზე (ნავაჭრ აქტივებზე) შეფარდებითი მოთხოვნის განსაზღვრაში, ოჯახები და ფირმები ფლობენ ფულს მხოლოდ მისი ლიკვიდობის გამო. იმის გასაგებად, თუ ეს უკანასკნელნი როგორ წყვეტენ იმ ფულის ოდენობის საკითხს, რომლის ფლობასაც ისურვებდნენ, უფრო დეტალურად უნდა გაეაანალიზოთ შემოთ მოცემული სამი თვისება და მათი ზეგავლენა ფულის მოთხოვნაზე.

მოსალოდნელი უკუგება

ვალუტა არ იძლევა პროცენტს. სანეკო დემოზიტებს ხშირად ახლავთ განსაზღვრული პროცენტი, მაგრამ ისინი გთავაზობენ უკუგების ნორმას, რომელიც ჩვეულებრივ ვერ მიჰყვება ფეხდაფეხ ქონების ნაკლებ ლიკვიდური ფორმების მიერ შემოთავაზებულ უფრო მაღალ მოგებას. როდესაც ფლობთ ფულს, თქვენ მსხვერპლად წირავთ მაღალ საპროცენტო განაკვეთს, რომლის მიღებასაც შეძლებდით, ქონებას თუ შეინახავდით სახელმწიფო ობლიგაციის, გრძელვადიანი ანაბრის ან სხვა აქტივის სახით. სწორედ ამ საპროცენტო განაკვეთს ვიგულისხმებთ საპროცენტო განაკვეთის ხსენებისას. რადგან ვალუტის პროცენტი ნულის ტოლია, „ჩემით“ დემოზიტებიდან მიღებული პროცენტი კი შედარებით მუდმივი, უკუგების ნორმებს შორის განსხვავება ანუ სოგადად სხვაობა ფულსა და ნაკლებ ლიკვიდურ ალტერნატიულ აქტივებს შორის აისახება ბაზრის საპროცენტო განაკვეთით: რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მეტად გიხდებათ თქვენი ქონების გაწირვა, თუ ოჯახში შეინახავთ ფულს.

მაგალითად, დაეუშვათ, საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიღებაც შეგიძლიათ აშშ-ს სახაზინო თამასუქიდან, 10%-ია წელიწადში. თუ თქვენ იყენებთ ქონების \$10,000-ს სახაზინო თამასუქის საყიდლად, წლის ბოლოს „ბიძია სემი“ გადაგიხდით \$11,000-ს; მაგრამ ამის ნაცვლად თუ არჩევთ \$10,000-ის შენახვას ზანდუქში ნაღდი ფულის სახით, \$1000-ს უნდა შეეღიოს, რომლის მიღებასაც შეძლებდით სახაზინო თამასუქის ყიდვით. ამდენად, თქვენ გიწევთ უკუგების 10%-ის გაწირვა, რადგან \$10,000-ს ინახავთ ფულად.

აქტივზე მოთხოვნის თეორია, რომელიც გაეაანალიზეთ წინა თავში, ეხება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შემოქმედებას ფულის მოთხოვნაზე. თეორიის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, აღამიანები ამჯობინებენ აქტივებს, რომლებიც მათ უფრო მაღალ მოსალოდნელ უკუგებას აპირდებიან. რადგან საპროცენტო განაკვეთის ზრდა უკუგების ნორმის ზრდაც არის (ნაკლებ ლიკვიდური აქტივებიდან ფულის უკუგების ნორმასთან შედარებით), ინდივიდები მოინდომებენ, ქონების უმეტესი წილი აქტივად არაფულადი აქტივების სახით, რომლებსაც მოაქვთ საბაზრო საპროცენტო განაკვეთი და ქონების ნაკლებ წილს – ფულადი სახით, თუ საპროცენტო განაკვეთი იზრდება. დასკვნა – სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ფულზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს.

ჩვენ ასევე შეგვიძლია აღვწეროთ საპროცენტო განაკვეთის შემოქმედება ფულის მოთხოვნაზე ალტერნატიული ხარჯების ეკონომიკური კონცეფციის სახით – ოდენობა, რომელსაც კარგადაც ერთი სახის მოქმედების არჩევისას მეორის ნაცვლად, საპროცენტო განაკვეთი სომავს ფულის და არა პროცენტის მომტანი ობლიგაციების ფლობის ალტერნატიულ ხარჯებს. საპროცენტო განაკვეთის ზრდა ადიდებს ფულის ფლობის ხარჯს და იწვევს ფულზე მოთხოვნის შემცირებას.

რისკი

რისკი არ არის ფულზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ფაქტორი. სარისკოა ფულის ფლობა, რადგან საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მოულოდნელი ზრდა შეამცირებს თქვენი ფულის ღირებულებას იმ საქონლის გამოსახულებით, რასაც მოიხმართ. ვინაიდან პროცენტის მომტანი აქტივებს, როგორცაა სამთავრობო ობლიგაციები, ფულადი გამოსახულებით ფიქსირებული ნომინალური ღირებულება აქვთ, ფასების ისეთივე გაყოფილიწინებელი ზრდა ამ აქტივების რეალურ ღირებულებას იმდენივე პროცენტით შეამცირებს. ნებისმიერი ცვლილება ფულის რისკის ხარისხში იწვევს ობლიგაციების რისკის ხარისხის თანაბარ ცვლას, რამაც არ უნდა აიძულოს ინდივიდები, შეამცირონ თავიანთი მოთხოვნა ფულზე და გაზარდონ იგი პროცენტის მომტანი აქტივებზე.

ლიკვიდობა

მოაგარი სარგებელი მოდის ფულის ლიკვიდობაზე. ოჯახები და ფირმები ფლობენ ფულს. რადგან ეს არის ექველასე იოლი გზა ყოველდღიური შესყიდვების დაფინანსებისა. ზოგი დიდი მოცულობის შესყიდვა შეიძლება დაფინანსდეს არსებითი, არალიკვიდური აქტივის გაყიდვით. მაგალითად, სურათების კოლექციონერს შეუძლია თავისი კოლექციიდან პიკასოს ერთ-ერთი ნახატი გაყიდოს სახლის საყიდლად. ოჯახები და ფირმები უნდა ფლობდნენ რაღაც ოდენობის ფულს, რათა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ოდენობით მოახერხონ მცირე დანახარჯების უწყვეტი ნაკადის დაფინანსება.

ინდივიდის მოთხოვნილება ლიკვიდობაზე იზრდება, როდესაც მისი ყოველდღიური ოპერაციების ღირებულება მატულობს. მაგალითად, სტუდენტს, რომელიც ყოველდღე მგზავრობს ავტობუსით, არ სჭირდება იმაზე მეტი ნაღდი ფული, რაც ხელმძღვანელ მუშაკს, რომელიც პიკის საათში ტაქსს ქირაობს. ჩვენ ვასკვნით, რომ ოჯახის ან ფირმის მიერ ოპერაციის შესრულების საშუალო ღირებულების ზრდა იწვევს ფულზე მოთხოვნის მატებას.

ფულზე ერთობლივი მოთხოვნა

ჩვენი დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ განსაზღვრავენ ინდივიდუალური ოჯახები და ფირმები თავიანთ მოთხოვნებს ფულზე, ახლა შეიძლება გამოვიყენოთ, რათა დავადგინოთ ფულზე ერთობლივი მოთხოვნა, ანუ ყველა ოჯახისა და ფირმის მიერ ფულზე მოთხოვნა ეკონომიკაში. ფულზე ერთობლივი მოთხოვნა მოელი ქვეყნის ფულზე ინდივიდუალურ მოთხოვნათა ჯამის ტოლია.

ფულზე ერთობლივ მოთხოვნას სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს:

1. **საპროცენტო განაკვეთი.** ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთის ზრდა აიძულებს ყოველ ინდივიდს, შეამციროს მოთხოვნა ფულზე. სხვა თანაბარ პირობებში, ფულზე ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მატულობს.

2. **ფასების დონე.** ეკონომიკის ფასების დონე არის საქონლისა და მომსახურების გაფართოებული კალათის ფასი ვალუტის გამოსახულებით. თუ ფასების დონე იზრდება, ინდივიდუალურმა ოჯახებმა და ფირმებმა უფრო მეტი ფული უნდა დახარჯონ წინანდელთან შედარებით, რათა ჩვეული ყოველკვირეული საქონელი და მომსახურება შეიძინონ. ფასების მომატებამდე არსებული ლიკვიდობის იმავე დონის შესანარჩუნებლად მათ უნდა ჰქონდეთ მეტი ფული.

3. **რეალური ეროვნული შემოსავალი.** როდესაც რეალური ეროვნული შემოსავალი (ეპ) იზრდება, ეკონომიკაში უფრო მეტი ოდენობის საქონელი და მომსახურება იყიდება. ოპერაციების რეალური ღირებულების ზრდა აიძულებს მოთხოვნას ფულზე, მოცემული ფასების დონით.

თუ P არის ფასის დონე, R არის საპროცენტო განაკვეთი და Y არის რეალური ეპ, M^d ერთობლივი მოთხოვნა ფულზე შეიძლება გამოვხატოთ ტოლობით:

$$M^d = P \times L(R, Y) \tag{14-1}$$

სადაც L(R, Y)-ის ღირებულება მცირდება, როდესაც R მატულობს და იზრდება, როდესაც Y დიდდება. თუ რატომ გავამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ ერთობლივ ფულზე მოთხოვნა ფასების დონის პროპორციულია, დავუშვათ, ყველა ფასი გაორმაგდა, მაგრამ საპროცენტო განაკვეთი და თითოეული ადამიანის რეალური შემოსავალი უცვლელი დარჩა – ასეთ დროს ყოველი ინდივიდის საშუალო ყოველდღიური ოპერაციების ფულადი ღირებულება უბრალოდ გაორმაგდება, ისევე როგორც ფულის ის ოდენობა, რომლის ფლობასაც ყველა ისურვებდა.

ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ერთიერთობას გამოვსახავთ (14-1)-ის ექვივალენტური ტოლობით:

$$M^d/P = L(R, Y), \tag{14-2}$$


და ეწოდება L(R, Y)-ს – ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნას. ფულზე მოთხოვნის გამოსახვის ეს გზა კვინენებს, რომ ერთობლივი მოთხოვნა ლიკვიდობაზე – L(R, Y) არ არის მოთხოვნა ვალუტის ერთეულის განსაზღვრულ ოდენობაზე. პირიქით, ეს არის მოთხოვნა მსყიდველობითი უნარის განსაზღვრულ ოდენობაზე ლიკვიდური ფორმით. M^d/P შეფარდება – ანუ სამომხმარებლო საქონლის ტიპური კალათის გამოსახულებით ფულის ხასურველი რეზერვები – ტოლია ამ მსყიდველობითი უნარის ოდენობისა, რის ფლობასაც ადამიანები ისურვებდნენ ლიკვიდური ფორმით. მაგალითად, თუ ადამიანებს სურთ \$1000-ის ფლობა ნაღდი ფულით, როდესაც სამომხმარებლო კალათის ფასების დონე \$100-ია, მათი რეალური ფულის რეზერვი \$1000/(\$100 ერთ კალათაზე) = 10 კალათის ექვივალენტური იქნება. თუ ფასების დონე გაორმაგდა (\$200-მდე ერთ კალათაზე),

51000-ის მსყიდველობითი უნარი ნაღდი ფულით განახევრდება, რადგან იგი ახლა მხოლოდ 5 კალათის ფასი იქნება.

14-1 გრაფიკი გვსჩვენებს, თუ ერთობლივი მოთხოვნა როგორ ახდენს ზეგავლენას რეალურ ფულზე საპროცენტო განაკვეთით Y რეალური შემოსავლის ფიქსირებული დონისათვის. $L(R, Y)$ რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ქვემოთ მიემართება, რადგან საპროცენტო განაკვეთის შემცირება ზრდის ეკონომიკაში ყოველი ოჯახისა და ფირმის რეალური ფულის სასურველ რესურსებს.


რეალური ეკ.ის მოცემული დონისათვის ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში იწვევს მოძრაობას $L(R, Y)$ მრუდის გასწვრივ. რეალური ეკ.ის ცვლილება გამოიწვევს თავად მრუდის გადაადგილებას. გრაფიკი 14-2 გვჩვენებს, თუ რეალური ეკ.ის Y^1 -დან Y^2 -მდე ზრდა როგორ ზეგავლენას მოახდენს რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის აღმნიშვნელი მრუდის მდებარეობაზე. რადგან რეალური ეკ.ის ზრდა ადიდებს ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნას მოცემული საპროცენტო განაკვეთისათვის, $L(R, Y^2)$ მრუდი გაიყვანის $L(R, Y^1)$ მრუდის მარჯვნივ, როდესაც Y^2 უფრო დიდია, ვიდრე Y^1 .

გრაფიკი 14-1 ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნა და საპროცენტო განაკვეთი



ქვემოთ დაქანებული ფულის რეალური მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს, რომ მოცემული შემოსავლის რეალური დონისათვის Y , ფულზე რეალური მოთხოვნა გაიზარდა, როცა საპროცენტო განაკვეთი შემცირდება.

გრაფიკი 14-2 რეალური შემოსავლის ზრდის ეფექტი ერთობლივი რეალური ფულის მოთხოვნის მრუდზე



რეალური შემოსავლის ზრდა Y^1 -დან Y^2 -მდე გაზრდის ფულის რეალური მოთხოვნის ბაზანსს საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერ დონეზე და გამოიწვევს მთლიანი მოთხოვნის მრუდის ზემოთკენ გადაადგილებას.

წონასწორული საპროცენტო განაკვეთი: ფულის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის ურთიერთქმედება

ეკონომიკის სხვა სახელმძღვანელოებიდან იცით, რომ ფულის ბაზარი გაწონასწორებულია, თუ ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ფულის მიწოდება ტოლია ფულზე ერთობლივი მოთხოვნისა. ამ ნაწილში ჩვენ ვნახავეთ, თუ როგორ განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზრის წონასწორობით, მოცემული ფასების დონითა და გამოშვებით. ამასთან, დაეუშვათ, რომ ორივეზე ზეგავლენას არ ახდენს ფულად-საქრედიტო ცვლილებები.

წონასწორობა ფულის ბაზარზე

თუ M^s არის ფულის მიწოდება, ფულის ბაზარზე წონასწორობის მდგომარეობა გამოისახება ტოლობით:

$$M^s = M^d \quad (14-3)$$

ამ ტოლობის ორივე მხარეს თუ გაეყოფთ ფასების დონეზე, მაშინ ფულის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობა

შეგვიძლია გამოვხატოთ რეალური ფულის ერთობლივი მოთხოვნის დახმარებით, როგორც

$$M^s/P = L(R, Y). \quad (14-4)$$

როდესაც მოცემულია, რომ P არის ფასების დონე და Y გამოშვება, წონასწორული საპროცენტო განაკვეთი ის არის, სადაც რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნა ტოლია რეალური ფულის მიწოდებისა.


14-3 გრაფიკში რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდი კვეთს რეალური ფულის მიწოდების მრუდს (1) წერტილში, სადაც აღინიშნება R^1 -ის წონასწორული საპროცენტო განაკვეთი. ფულის მიწოდების მრუდი ევრტიკალურია M^s/P -ის დროს, რადგან M^s დადგენილია ცენტრალური ბანკის მიერ მაშინ, როდესაც P სახესუა.

თუ იოლად რატომ რეგულირდება საპროცენტო განაკვეთი წონასწორობის დონეზე, განვიხილოთ, რა ხდება მაშინ, როდესაც ბაზარი თავდაპირველად (2) წერტილშია R^2 საპროცენტო განაკვეთით, რომელიც R^1 -ის ზევით მდებარეობს.

(2) წერტილში რეალური ფულის ნაშთებზე მოთხოვნა $Q^1 - Q^2$ -ით ნაკლებია მიწოდებაზე; ასე რომ, სახესუა ფულის ჭარბი მიწოდება. თუ ინდივიდები ფლობენ იმაზე მეტ ფულს, რისი სურვილიც აქვთ, R^2 საპროცენტო განაკვეთის პირობებში ისინი შეეცდებიან მისი ლიკვიდობის შექცობას, რისთვისაც განსაზღვრულ ოდენობას გამოიყენებენ პროცენტის მომგანი აქტივების შესასყიდად. სხვა სიტყვებით, ინდივიდები შეეცდებიან ფულის გასესხებას და ამით ჭარბი ფულის თავიდან მოცილებას. რადგან R^2 წერტილში ფულის ერთობლივი ჭარბი მიწოდებაა, ყველას არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს: უფრო მეტი ოდენობის ადამიანებს სურთ ფულის გასესხება ლიკვიდობის შესამცირებლად იმ ხალხთან შედარებით, ვისაც სურს ფულის სესხება მისი ლიკვიდობის გასაზრდელად. ისინი, რომლებიც ვერ შეძლებენ ზედმეტი ფულის მოშორებას, შეეცდებიან პოტენციური მსესხებლების ცდუნებას იმით, რომ იმ საპროცენტო განაკვეთს შეამცირებენ, რასაც ისინი ითხოვენ სესხში R^2 წერტილის ქვევით. დადამავალი ზეწოლა საპროცენტო განაკვეთზე მანამდე გრძელდება, სანამ განაკვეთი R^1 წერტილს არ მიაღწევს. ნებისმიერი ადამიანი, ვინც კი ამ საპროცენტო განაკვეთზე მოსურვებს ფულის გასესხებას, შეძლებს ამას, რადგან ფულის ერთობლივი ჭარბი მიწოდება ქრება; ანუ მიწოდება კიდევ ერთხელ უტოლდება მოთხოვნას და ბაზარი მიაღწევს (1) წერტილს, რის შემდეგაც აღარ იქნება საპროცენტო განაკვეთის დაცემის ტენდენცია.

მსგავსად ამისა, თუ საპროცენტო განაკვეთი თავდაპირველად არის R^3 წერტილში, R^1 -ის ქვევით, მაშინ მას ექნება გადიდების ტენდენცია. 14-3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ჭარბი მოთხოვნა ფულზე ტოლია $Q^3 - Q^1$ -ისა (3) წერტილში.

გრაფიკი 14-3 წონასწორული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა



როდესაც მოცემულია P და Y და M^s/P -ის ფულის რეალური მასა, ფულის ბაზრის წონასწორობა არის (1) წერტილში. ამ წერტილში რეალური ფულის ერთობლივი მოთხოვნა და ფულის რეალური მასა თანაბარია და წონასწორული საპროცენტო განაკვეთი არის R^1 .

ინდივიდები ცდილობენ, გაეიღონ პროცენტის მომგანი აქტივები, ობლიგაციები, რათა გაზარდონ რეალური ფულადი ნაშთი (ანუ ისინი ეიდიან ობლიგაციებს ნაღდ ფულად). (3) წერტილში ყველას არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს საკმარისი პროცენტის მომგანი აქტივების გაყიდვით, რათა დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ფულზე. ამდენად, ადამიანები ვაჭრობენ ფულისთვის, რისთვისაც სთავაზობენ სესხს პროგრესულად მაღალი საპროცენტო განაკვეთით და საპროცენტო განაკვეთს უბიძგებენ 'ხევით' - R^1 წერტილის მიმართულებით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაზარი მიაღწევს (1) წერტილს და ჭარბი მოთხოვნა ფულზე გაუქმდება, საპროცენტო განაკვეთი შეწყვეტს სრდას.


ჩვენი აღმონიშნები შექმდებოდა რად შეგვიძლია შევავჯამოთ: ბაზარი ყოველთვის მოძრაობს საპროცენტო განაკვეთისკენ, სადაც რეალური ფულის მიწოდება ტოლია რეალური ფულის ერთობლივი მოთხოვნისა. თუ თავდაპირველად ჭარბი მოთხოვნაა ფულზე, მიწოდება მატულობს.

საპროცენტო განაკვეთები და ფულის მასა

ფულის მიწოდების ზრდის ეფექტი მოცემული ფასების დონის პირობებში მოცემულია 14-4 გრაფიკში. თავდაპირველად ფულის ბაზარი გაწონასწორებულია (1) წერტილში, ფულის მიწოდება არის M^1 და საპროცენტო განაკვეთი R^1 წერტილებში. რადგან P წერტილს ვინარსებებთ როგორც მუდმივს, M^2 წერტილამდე ფულის მიწოდების ზრდა რეალური ფულის მიწოდებას M^1/P წერტილიდან გააძლიერებს M^2/P წერტილამდე. (2) წერტილი, ანუ M^2/P რეალური ფულის მიწოდება, არის ახალი წონასწორობა და R^2 არის ახალი, უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სტიმულს აძლევს ხალხს, ფლობდნენ რეალური ფულის ხელმისაწვდომ, გაზრდილ მასას.

პროცესს, რომლის მეშვეობითაც საპროცენტო განაკვეთი მცირდება, უკვე გაეცანით. თუ ცენტრალური ბანკი M^2 -ს გაზრდის, პირველად სახეზე იქნება რეალური ფულის ჭარბი მიწოდება R^1 ძველი წონასწორული საპროცენტო განაკვეთით, რომელმაც მანამდე დააბალანსა ბაზარი. რადგან ადამიანები ფლობენ იმაზე მეტ ფულს, რისი სურვილიც აქვთ, ისინი იყენებენ თავიანთ ამ ჭარბ ფონდებს, რათა ფასი მოუმატონ პროცენტის მომტან აქტივებს. ეკონომიკა, როგორც მთელი, ვერ შეამცირებს თავისი ფულის რეზერვებს და ამდენად საპროცენტო განაკვეთები მცირდება, რადგან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ფულის რეზერვების ქონა, კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ჭარბი ნაღდი ფულის მარაგის გასესხებაში. 14-4 გრაფიკზე (2) წერტილში აღინიშნა საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი დაცემა, რამაც გამოიწვია ის, რომ რეალურ ფულზე მოთხოვნისა და რეალური ფულის მიწოდების ზრდა ერთმანეთს გაუტოლდა.

გრაფიკი 14-4 ფულადი მასის ზრდის გაელენა საპროცენტო განაკვეთზე



მოცემული P ფასის დონის და რეალური შემოსავლის Y დონის დროს ფულის მასის ზრდა M^1 -დან M^2 -მდე ამცირებს საპროცენტო განაკვეთს R^1 -დან (1 წერტილი) R^2 -მდე (2 წერტილი).

თუ სემით მოცემულ პოლიტიკურ ექსპერიმენტს პირიქით განვიხილავთ, დაეინახავთ, თუ როგორ მოსვენება ფულის მიწოდების შემცირებას საპროცენტო განაკვეთის გადიდება. M^2 -ის შემცირება იწვევს ფულზე ჭარბ მოთხოვნას იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მანამდე აბალანსებდა მიწოდებასა და მოთხოვნას. ადამიანები ცდილობენ პროცენტის მომტანი აქტივების გაყიდვას – ანუ გასესხებას – რათა ხელახლა დააგროვონ თავისი რეალური ფულის შემცირებული რეზერვები. რადგან ყველამ შეიძლება ვერ მიაღწიოს წარმატებას, ფულზე ჭარბი მოთხოვნის დროს საპროცენტო განაკვეთი ზემოთ ავარდება, ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ ყველა არ იგრძნობს კმაყოფილებას რეალური ფულის უფრო მცირე მარაგის ფლობით.

ვასკენით – ფულის მასის ზრდა ამცირებს და ფულის მასის შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, როდესაც ფასების დონე და გამოშვება დადგენილია.

გამოშვება და საპროცენტო განაკვეთი

14-5 გრაფიკი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგებს გამოშვების დონეზე Y^1 წერტილიდან Y^2 წერტილამდე მოცემული ფულის მიწოდებისა და ფასების დონის გათვალისწინებით. როგორც ადრე ვნახეთ, გამოშვების ზრდა გამოიწვევს მთლიან ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ, რითაც წონასწორობა დასცილდება (1) წერტილს. R^1 ძველი საპროცენტო განაკვეთის პირობებში არსებობს ჭარბი მოთხოვნა ფულზე, რომელიც ტოლია $Q^2 - Q^1$ -ისა (Q^1 წერტილი). რადგან რეალური ფულის მიწოდება სახეზეა, საპროცენტო განაკვეთი იზრდება, სანამ არ მიაღწევს უფრო მაღალ ახალ წონასწორობას R^2 დონეს (2) წერტილში. გამოშვების შემცირებას საპირისპირო შედეგი აქვს, რაც იწვევს რეალური ერთობლივი ფულის მიწოდების მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარცხნივ, რაც თავის მხრივ გამოიწვევს წონასწორული საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.


ვასკენით – რეალური გამოშვების ზრდა ადიდება და რეალური გამოშვების შემცირება ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, მოცემული ფასების დონისა და ფულის მიწოდების დროს.

ფულადი მასა და გაცვლითი კურსი ხანმოკლე პერიოდში

მე-13 თავში შევისწავლეთ საპროცენტო პარიტეტის პირობა, რომელიც წინასწარმეტყველებს, თუ როგორ შემოქმედებას მოახდენენ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არაფულადი აქტივების საპროცენტო განაკვეთებზე. გაცვლითი კურსის მომავალი განაკვეთის გათვალისწინებით. ახლა, როდესაც შეგვიძლია დავინახოთ, თუ სავალუტო ცვლილებები როგორ შემოქმედებას ახდენენ გაცვლით კურსზე, აღმოვაჩინოთ, რომ ფულის მიწოდების ზრდა იწვევს საკუთარი ვალუტის გაუფასურებას უცხოური ვალუტის ბაზარზე. ხოლო ფულის მიწოდების შემცირება – იმავე ვალუტის რევალუაციას.

ამ ნაწილში ანალიზისათვის კვლავაც ავიღებთ ფასების მოცემულ დონეს (რეალურ გამოშვებასთან ერთად) და ამ ანალიზს საფუძვლად დავუდებთ ხანმოკლე ვადას. ეკონომიკის მოვლენების ხანგრძლივადიანი ანალიზი ფასების დონის სრული რეგულირებისა (რამაც შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი მოიცვას) და ყველა საწარმოო ფაქტორის სრული დასაქმების საშუალებას იძლევა. მოგვიანებით ამ თავში გავაანალიზებთ ფულის მიწოდების ცვლილებების ხანგრძლივადიან შეგავლენას ფასების დონეზე, გაცვლის კურსსა და სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. ხანგრძლივი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ შემოქმედებს ფულის მიწოდება გაცვლის კურსთან დაკავშირებულ მოლოდინზე, რომელსაც ამიერიდან ასევე მივიჩნევთ როგორც წინასწარ მოცემულს.

გრაფიკი 14-5 საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტი რეალურ შემოსავალზე



მოცემული $M^2/P (= Q^2)$ რეალური ფულის მასის პირობებში, რეალური შემოსავლის ზრდა Y^1 -დან Y^2 -მდე ზრდის საპროცენტო განაკვეთს R^1 -დან (1 წერტილი) R^2 -მდე (2 წერტილი).

ფულის, საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის ურთიერთკავშირი

14-6 გრაფიკში ფულსა და გაცვლით კურსს შორის ხანმოკლე ურთიერთობის გასაანალიზებლად გავაერთიანებთ 2 დიაგრამას, რომლებიც ცალ-ცალკე უკვე შევისწავლეთ. დაუშვათ კიდევ ერთხელ, რომ ვაანალიზებთ S/DM -ის გაცვლით კურსს, ანუ გერმანული მარკის ფასს დოლარის გამოსახულებით.

პირველი დიაგრამა (რომელიც მე-13 თავში შემოვიტანეთ როგორც 13-4 გრაფიკი) გვჩვენებს წინასწარობას უცხოური ვალუტის ბაზარზე და იმას, თუ როგორ არის იგი განსაზღვრული, როდესაც საპროცენტო განაკვეთი და მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ სახეზეა. დიაგრამა 14-6 გრაფიკის ზედა ნაწილშია მოცემული. R^1 დოლარის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფულის ბაზარზე ყალიბდება, ეპრტიკალურ მრუდს განსაზღვრავს.

როგორც გახსოვთ მე-13 თავიდან, უკუგების დადამყარებული მრუდი აღნიშნავს მარკით დეპოზიტების მოსალოდნელ უკუგებას, გასომილს დოლარით. გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მრუდი ქვევით ეშეება მომავალ გაუფასურებასთან დაკავშირებულ მოლოდინთან მიმართებაში: დოლარის კურსის გამყარება დღეს (E/DM -ის დაკვირა), მის მოცემულ მოსალოდნელ დონესთან შეყვარდებით, მარკის დეპოზიტებს უფრო მიმზიდველს ხდის, რადგან გამოიწვევს იმას, რომ ადამიანები გაითვალისწინებენ დოლარის მკვეთრ გაუფასურებას მომავალში.

ორი მრუდის გადაკვეთისას (1' წერტილში) დოლარითა და მარკით დეპოზიტებიდან უკუგების მოსალოდნელი ნორმები ტოლია და საპროცენტო პარიტეტი შენარჩუნებულია. E^1 არის წინასწარული გაცვლითი კურსი.

მეორე დიაგრამა, რომელიც გვჭირდება ფულსა და გაცვლით კურსს შორის ურთიერთობის გასაანალიზებლად, გაგაცანით როგორც 14-3 გრაფიკი. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ განისაზღვრება ქვეყნის ფულის ბაზარზე


წონასწორული პროცენტი და იგი მოცემულია 14-6 გრაფიკის ქვედა ნაწილში. უფრო მეტი მოხერხებულობისათვის, გრაფიკი მოძრაობს საათის ისრის მიმართულებით (90 გრადუსით) ისე, რომ შესაძლებელი იყოს დოლარის საპროცენტო განაკვეთის გაზომვა პორისონტალური ღერძის (0) წერტილიდან და აშშ-ს რეალური ფულის მიწოდება - ქვევით დადგეხილი ვერტიკალური ღერძის (0) წერტილიდან. ფულის ბაზრის წონასწორობა ნაჩვენებია (1) წერტილში, სადაც R^1 დოლარის საპროცენტო განაკვეთი სტიმულს მისცემს ადამიანებს, მოითხოვონ რეალური ნაშთი, რომელზეც ტოლია აშშ-ს M^s/P_{us} რეალური ფულის მიწოდებისა.

14-6 გრაფიკში განსაკუთრებითაა გამოკვეთილი აშშ-ს ფულის ბაზრის (ქვედა ნაწილი) და უცხოური ვალუტის ბაზრის (ზედა ნაწილი) შორის კავშირი - აშშ-ს ფულის ბაზარი განსასწავლავს დოლარის საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს საპროცენტო პარიტეტის გამამყარებელ გაცვლით კურსზე (რასაკვირველია, მსგავსი კავშირი არსებობს გერმანული ფულის ბაზრისა და უცხოური ვალუტის ბაზრის შორის, რომელიც მოქმედებს DM-ის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების მეშვეობით).

ეს კავშირი ახსნილია 14-7 გრაფიკში. აშშ-სა და გერმანიის ცენტრალური ბანკები, *ფედერალური რეზერვი* და *ბუნდესბანკი*, განსასწავლავენ აშშ-სა და გერმანიის ფულის მიწოდებას, M^s და M^s ორი ქვეყნის ფასების დონისა და ეროვნული შემოსავლების პირობებში წონასწორობას ფულის ბაზრებზე შეყვართ, R და R დოლარისა და მარკის საპროცენტო განაკვეთებისკენ. ეს საპროცენტო განაკვეთები ერწყმიან უცხოურ ვალუტის ბაზრს, სადაც (S/DM -ის მომავალი გაცვლითი კურსების შესახებ მოლოდინი გამოკვეთილია) არსებული E_{usm} კურსი განსასწავლავს საპროცენტო პარიტეტის პირობით.

აშშ-ს ფულის მასა და S/DM -ის გაცვლითი კურსი

გრაფიკი 14-6 აშშ-ს ფულადი ბაზრისა და უცხოური ვალუტის ბაზრის ერთდროული წონასწორობა




აქტივის ორივე ბაზრები წონასწორობაშია R^1 საპროცენტო განაკვეთისა და E^1 გაცვლითი კურსის დროს; ამ ღირებულებების დროს ფულის მასა უტოლდება ფულზე მოთხოვნას (1 წერტილი) და საპროცენტო პარიტეტის პირობა იქნება (1) წერტილი.

ახლა გამოვიყენებთ წყენს მიერ შემუშავებულ მოდელს აქტივის ბაზრის კავშირების შესახებ (კავშირებს ფულსა და უცხოური ვალუტის ბაზრებს შორის) იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლება S/DM -ის გაცვლითი კურსი, როდესაც *ფედერალური რეზერვები* ცვლიან აშშ-ს M^s_{us} ფულის მასას. ამ ცვლილებების შედეგები შეჯამებულია 14-8 გრაფიკში.

საწყის დონეზე ფულის M^1 მასის დროს ფულის ბაზარი გაწონასწორებულია (1) წერტილში R^1 საპროცენტო განაკვეთით. DM საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი მომავალის გაცვლითი კურსი მოცემულია, სადაც R^1 საპროცენტო განაკვეთი ნიშნავს იმას, რომ უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილში, გაცვლითი კურსი ტოლია E^1_{usm} -ისა.


გრაფიკი 14-7 ფულისა და ბაზრის დამოკიდებულება გაცვლით კურსთან

მონეტარული პოლიტიკის ქმედებები, განხორციელებული ფედერალურის მიერ გადუნებას ახდენს აშშ-ს საპროცენტო განაკვეთზე. ცვლის რა დოლარ-გერმანულ მარკასთან გაცვლით კურსს, რაც აწინასწორებს უცხოური ვალუტის ბაზარს. ბუნდესბანკს შეუძლია გადუნება მოახდინოს გაცვლით კურსზე გერმანული ფულის მასისა და საპროცენტო განაკვეთის შეცვლით.



რა ხდება მაშინ, როდესაც ფედერალური რეზერვი M^1 -იდან ზრდის ფულის მასას M^1 -მდე. ეს ზრდა ჯაჭვად აქცევს მოვლენების შემდეგ თანმიმდევრობას: (1) R^1 -ის საწიხის საპროცენტო განაკვეთი მცირდება R^2 -მდე, რადგან ფულის ბაზარი მიადრეკს თავისი წინასწარობის ახალ პოზიციას (2) წერტილში. (2) საწიხის გაცვლით კურსსა E^1 მოცემული ახალი, უფრო მცირე R^2 საპროცენტო განაკვეთი დოლარით და მოსალოდნელი უკეგება ანაბრუნებლად გერმანული მარკით უფრო დიდი, ვიდრე დემონსტრირებულ დოლარით. დოლარით დემონსტრირების მუდობრულები ცდილობენ, გაედიონ ისინი მარკით დემონსტრირების სანაცვლოდ, რომელიც უცერად უფრო მიმსიდველი ხდება. (3) დოლარი უფასურდება E^2 -მდე, რადგან დოლარით დემონსტრირების მუდობრულები ვაჭრობენ მარკით დემონსტრირების სანაცვლოდ. უცხოური ვალუტის ბაზარი გაწინასწორებულია (2) წერტილში, რადგან გაცვლითი კურსის მოძრაობა E^2 კენ იწვევს დოლარის კურსის მოსალოდნელ მომავალ გაუფასურებას, რაც საკმარისია დოლარის საპროცენტო განაკვეთის შემცირების ასანაზღაურებლად.

ვასკენით - ქვეყნის ფულის მასის ზრდა იწვევს მისი ვალუტის გაუფასურებას უცხოური ვალუტის ბაზარზე. და პირიქით, ქვეყნის ფულის მასის შემცირება იწვევს მისი ვალუტის კურსის ზრდას უცხოური ვალუტის ბაზარზე (იხ. გრაფიკი 14-8).



გრაფიკი 14-8 აშშ-ს ფულის მასის ზრდის ეფექტი S/DM-ის გაცვლით კურსსა და დოლარის საპროცენტო განაკვეთზე

მოცემული P_{US} -ისა და Y_{US} -ის პირობებში, როდესაც ფულის მასა იზრდება M^1_{US} -დან M^2_{US} -მდე დოლარის საპროცენტო განაკვეთი მცირდება (რადგან ფულის ბაზრის წინასწარობა აღდგენილი იქნება 2 წერტილში) და დოლარის კურსი ეცემა გერმანული მარკის მიმართ (რადგან გაცვლითი კურსის ბაზრის წინასწარობა იხვე იქნება 2 წერტილი).

გერმანიის ფულის მასა და \$/DM-ის გაცვლითი კურსი

მიღებული დასკვნები გამოსადეგია, როდესაც ბუნდესბანკი ცვლის ფულის მასას. M^s_c -ს ზრდა იწვევს გერმანული მარკის გაუფასურებას (ანუ დოლარის კურსის ზრდა ან $E_{\$DM}$ -ის შემცირებას) მაშინ, როდესაც M^s_c -ს შემცირება იწვევს გერმანული მარკის კურსის ზრდას (ანუ, დოლარის გაუფასურებას ან $E_{\$DM}$ -ის ზრდას.)

მექანიზმი, რომელიც მართავს გერმანული საპროცენტო განაკვეთიდან დაწყებული გაცვლითი კურსით დამთავრებულ პროცესს, იგივეა, რაც ის, რომელიც ახლახანს გააანალიზეთ. ეს კარგ საეარჯიშოდ გამოდგება ამ მტკიცებების გადასამოწმებლად, თუ 14-6 და 14-8 გრაფიკების მსგავს სხვა გრაფიკებს დაეხაზა, სადაც ილუსტრირებული იქნება კავშირი გერმანიის ფულისა და უცხოური ვალუტის ბაზრებს შორის.

აქ გამოიყენებთ სხვადასხვა მიდგომას იმის სანჩვენებლად, თუ ცვლილებები გერმანიის ფულის მასაში როგორ ზეგავლენას ახდენს \$/DM-ის გაცვლით კურსზე. მე-13 თავში შევისწავლეთ, რომ გერმანული მარკის, R_{DM} საპროცენტო განაკვეთის შემცირება დადრეკილ მრუდს (14-6) გრაფიკში გადაადგილებს ზედა ნაწილისკენ მარცხნივ. მიზეზი ის არის, რომ გაცვლის ნებისმიერი დონისთვის R_{DM} -ის შემცირება ამცირებს გერმანული მარკის დეპოზიტების უკუგების მოსალოდნელ ნორმას. რადგან გერმანული ფულის მიწოდების, M^s_c , ზრდა ამცირებს R_{DM} -ს, ჩვენ შევძლებთ გაცვლით კურსზე ეფექტის დანახვას მაშინ, როდესაც მარკის მოსალოდნელ უკუგებას გადავადგილებთ მარცხნივ 14-8 გრაფიკის ზედა ნაწილში.

გერმანიის ფულის მასის ზრდის შედეგი ნაჩვენებია 14-9 გრაფიკში. თავდაპირველად აშშ-ს ფულის ბაზარი გაწონასწორებულია (1) წერტილში და უცხოური ვალუტის ბაზარი – (1') წერტილში, $E^1_{\$DM}$ -ის გაცვლითი კურსის დროს. გერმანიის ფულის მასის ზრდა ამცირებს R -ს და მარცხნივ გადაანაცვლებს მრუდს, უკავშირებს რა მარკით დეპოზიტების მოსალოდნელ უკუგებას გაცვლით კურსს. უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა აღდგენილია (2') წერტილში, $E^2_{\$DM}$ -ის გაცვლითი კურსით. ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის ფულის მასის ზრდა იწვევს მარკის გაუფასურებას დოლართან შედარებით (ანუ, ეს იწვევს მის შემცირებას დოლარის ფასით). მსგავსად ამისა, გერმანიის ფულის მასის შემცირება გამოიწვევდა მარკის კურსის ზრდას დოლართან შედარებით ($E_{\$DM}$ გაიზარდა). მაგრამ მისი შეცვლა არ იმოქმედებს აშშ-ს ფულის ბაზრის წონასწორობაზე, რომელიც (1) წერტილში რჩება.

ფული, ფასების დონე და გაცვლითი კურსი ბრექლვადიან პერიოდში

ფულის ბაზრებსა და უცხოურ ბაზრებს შორის არსებული ხანმოკლე პერიოდის კავშირის ანალიზი ეფუძნებოდა იმ გამარტივებულ მდგომარეობას, რომ ფასების დონე და გაცვლითი კურსის შესახებ ვარაუდები მოცემული იყო. უფრო კარგად რომ გავიგოთ, თუ ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა როგორ ზეგავლენას ახდენს გაცვლით კურსზე, უნდა გაეანალიზოთ ფულად-საკრედიტო ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი ქვეყნის ფასების დონეზე ხანგრძლივ პერიოდში.

ეკონომიკის გრძელვადიანი წონასწორობა არის მდგომარეობა, რომელსაც იგი საბოლოოდ მიაღწევს, თუ არ ექნება ადგილი ეკონომიკურ შოკს სრული დასაქმების მისაღწევად საჭირო რეგულირების დროს. თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ გრძელვადიანი წონასწორობა, რომელიც განმტკიცდება მას შემდეგ, რაც ყველა ხელფასსა და ფასს დრო ექნება ბაზრის მარეგულირებელ დონეებთან შესაგუებლად. ექვივალენტური შეხედულება იქნება მისი მიხედვით წონასწორობად, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ფასები სრულიად ელასტიურია და დაუყოვნებლივ რეგულირდება სრული დასაქმების შესანარჩუნებლად.

იმის შესასწავლად, თუ ფულად-საკრედიტო ცვლილებები როგორ აყალიბებენ ერთმანეთს ხანგრძლივ პერიოდში საჭიროა შემოწმდეს, თუ ასეთი ცვლილებები როგორ გადაადგილებენ ეკონომიკის გრძელვადიან წონასწორობას. ჩვენი ძირითადი იარაღი კიდევ ერთხელ იქნება ფულზე ერთობლივი მოთხოვნის თეორია.

ფული და ფულადი ფასები

თუ ფასების დონე და გამოშვება ფიქსირებულია ხანმოკლე ვადაში, ფულის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობა

$$M^s/P = L(R, Y)$$


ეს ტოლობა განსაზღვრავს შიდა საპროცენტო R განაკვეთს. ფულის ბაზარი ყოველთვის მოძრაობს წონასწორობისკენ, თუნდაც შევამციროთ ჩვენი „ხანმოკლე ვადიანი“ ვარაუდი და ყერადრებას მივაპყროთ დროის პერიოდებს, სადაც P და Y ისევე, როგორც R , შეიძლება შეიცვალოს. ზემოთ მოცემული წონასწორობის მდგომარეობა შეიძლება ხელახლა შეიცვალოს, რათა მივიღოთ

$$P = M^S/L(R, Y),$$

(14-5)

რაც გვინებენ იმას, თუ ფასების დონე როგორ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, რეალურ გამოშვებასა და ადგილობრივი ფულის მიწოდებაზე.

გრაფიკი 14-9 გერმანიის ფულადი მასის ზრდის გავლენა S/DM-ის გაცვლით კურსზე.



გერმანული მარკის დეპრეზიაციაზე დოლარის უკუგების კლება (ნახევრები გერმანული მარკის მოხალოდნელი უკუგების მრუდის მარცხნივ გადაადგილებით). გერმანული ფულის მასის ზრდა იწვევს დოლარის კურსის ზრდას გერმანული მარკის მიმართ. უცხოური ვალუტის ბაზრის წინასწრობა გადაადგილებს 1' წერტილიდან 2' წერტილისაკენ, ხოლო წინასწრობა აშშ-ს ფულის ბაზარზე რჩება (1) წერტილში.

გრძელვადიანი წინასწორული ფასების დონე უბრალოდ არის P-ს ღირებულება, რომელიც აკმაყოფილებს 14-5 ტოლობის პირობას, როდესაც საპროცენტო განაკვეთი და გამოშვება არის თავის გრძელვადიან დონეზე, ანუ დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია სრულ დასაქმებასთან. როდესაც ფულის ბაზარი გაწონასწორებულია და ყველა საწარმოო ფაქტორი სრულად არის გამოყენებული, ფასების დონე უცვლელი დარჩება, თუ ფულის მიწოდება, ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია და R-ისა და Y-ის გრძელვადიანი ღირებულებები უცვლელი იქნება.

P-თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ვარაუდი, ზემოთ მოცემული ტოლობიდან, ეხება ურთიერთობას ქვეყნის ფასების დონესა და მისი ფულის მასას, M^S , შორის: სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ფულის მასის ზრდა იწვევს მისი ფასების დონის პროპორციულ გადიდებას. თუ, მაგალითად, ფულის მიწოდება ორმაგდება ($2M^S$ -მდე), მაგრამ გამოშვება და საპროცენტო განაკვეთი არ იცვლება, ფასების დონე ასევე უნდა გაორმაგდეს ($2P$ -მდე), რათა შენარჩუნებულ იქნას წინასწორობა ფულის ბაზარზე.

ეკონომიკური არგუმენტაცია, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სუსტ პროგნოზს, მომდინარეობს ზემოთ მოცემული დაკვირვებიდან იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნა ფულზე არის მოთხოვნა რეალური ფულის რეზერვებზე: რეალურ ფულზე მოთხოვნა არ იცვლება M^S -ში ცვლილებებით და R და Y (და ამდენად L/R) რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნა(ც) რჩება შეუცვლელი. ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნა არ იცვლება და ფულის ბაზარი გაწონასწორებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ რეალური ფულის მასა ყოველთვის უცვლელი დარჩება. M^S/P , რეალური ფულის მასა უცვლელად რომ შევინარჩუნოთ, P უნდა გადიდდეს M^S -თან შეფარდებით.

ფულის მასაში ცვლილებების ბრკელვადიანი ზემოქმედება

ჩვენი თეორია იმის შესახებ, თუ ფულის მასა რა ზეგავლენას მოახდენს ფასების დონეზე მოცემული საპროცენტო განაკვეთისა და გამოშვების დროს, ჯერ კიდევ არ ქმნის თეორიას, ფულის მასაში ცვლილებები როგორ ზეგავლენას მოახდენენ ფასების დონეზე ხანგრძლივ პერიოდში. ასეთი თეორია რომ შევიქმნათ, უნდა განვიხილოთ ფულის მასაში ცვლილებების გრძელვადიანი ზემოქმედება საპროცენტო განაკვეთისა და გამოშვებაზე. ეს ერთობ იოლია. დასკვნა - ფულის მასაში არსებული ცვლილებები გავლენას არ

ახდენენ საპროცენტო განაკვეთის ან რეალური გამოშვების გრძელვადიან ღირებულებაზე.

საუკეთესო გზა, რათა გავეცნოთ ფულის მიწოდების გრძელვადიანი ზემოქმედება საპროცენტო განაკვეთსა და გამოშვებას, შემდეგია: პირველად უნდა განვიხილოთ **სავალუტო რეფორმა**, რითაც ქვეყნის მთავრობა ხელახლა განსაზღვრავს ეროვნული ვალუტის ერთეულს. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ რეფორმა ჩაუტარა თავის ვალუტას 1960 წლის 1 იანვარს, რისთვისაც უბრალოდ გამოსცა „ახალი“ ფრანგული ფრანკები, რომელთაგან თითოეული ტოლი იყო 100 „ძველი“ ფრანკისა. ამ რეფორმის შედეგად ბრუნვაში არსებული ვალუტის ერთეულების ოდენობა და ფასები უნდა შემცირებულიყო ძველი ფრანკის ღირებულების 1/100-მდე. მაგრამ სავალუტო ერთეულის ხელახალმა დეფინიციამ არ მოახდინა რეალური ზემოქმედება გამოშვებაზე, საპროცენტო განაკვეთზე ან საქონლის შესადარ ფასებზე. ის რაც მოხდა, უბრალოდ იყო ერთჯერადი ცვლილება ფრანკით გასომილ ყველა ღირებულებაში. ეს იგივე იქნებოდა, ვინმეს რომ მიეღო გადაწყვეტილება – მანძილი გაეხსნა ნახევარი მილით ერთის მაგიერ. ეს ისეთივე მცირე გავლენას მოახდენს რეალურ ეკონომიკურ ცვლადებზე, რაც საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებამ შეძლო – ჩამოეცილებინათ ორი ნული ყველა სიდიდისათვის, რაც იზომებოდა ფულადი გამოსახულებით.

ქვეყნის ვალუტის მასის ზრდა იმავე შედეგებით ხასიათდება ხანგრძლივ პერიოდში, რითაც სავალუტო რეფორმა. მაგალითად, ფულის მასის გაორმაგებასაც ისეთივე გრძელვადიანი შედეგი მოსდევს, რაც სავალუტო რეფორმას, სადაც ყოველი სავალუტო ერთეული, შენაცვლებულია „ახალი“ ვალუტის ორი ერთეულით. თუ ეკონომიკა თავდაპირველად სრულად არის დასაქმებული, ყველა ფულადი ფასი ეკონომიკაში ორმაგდება, მაგრამ რეალური ეკონომიკა, საპროცენტო განაკვეთი და ყველა შესადარი ფასი უბრუნდება თავის გრძელვადიან ან სრული დასაქმების დონეებს.

რატომ არის ფულის მიწოდების ცვლილების ზეგავლენა სავალუტო რეფორმის მსგავსი ეკონომიკის გრძელვადიან მდგომარეობაზე? სრული დასაქმების დროს გამოშვების დონე განისაზღვრება ეკონომიკის წელიწადით კაპიტალსა და სამუშაო ძალაში, ამდენად ხანგრძლივ პერიოდში რეალური გამოშვება არ არის დამოკიდებული ფულის მასაზე. მსგავსად ამისა, საპროცენტო განაკვეთი არ არის დამოკიდებული ფულის მასაზე ხანგრძლივ პერიოდში. თუ ფულის მასა და ყველა ფასი პერმანენტულად ორმაგდება, ადამიანებმა, რომელთაც სურვილი აქვთ დღევანდელი \$1 გაცვალონ \$1.10-ში ერთი წლის შემდეგ, შემდგომ რატომ არ უნდა მოისურვონ დღევანდელი \$2 გაცვალონ ერთი წლის შემდგომ \$2.20-ში. ამდენად, საპროცენტო განაკვეთი – 10% რჩება წელიწადში. შესადარი ფასებიც იგივე იქნება, თუ ფულადი ფასები ორმაგდება, რადგან შესადარი ფასები არის უბრალოდ ფულადი ფასების შეფარდებითი მაჩვენებელი. ამდენად, ფულის მასის ცვლილება არ ცვლის რესურსების გრძელვადიან განთავსებას. მხოლოდ ფულადი ფასების აბსოლუტური დონე იცვლება.

ხანგრძლივ პერიოდებში ფულის მასის ზრდის ზეგავლენის შესწავლისას ჩვენ ვუშვებთ, რომ R-ისა და Y-ის გრძელვადიანი ღირებულებები არ შეიცვლება ფულის მასის შეცვლით. ამდენად, შეგვიძლია (14-5) ტოლობიდან დავასკვნათ: **ფულის მასის პერმანენტული ზრდა იწვევს ფასების დონის ღირებულების პროპორციულ მატებას ხანგრძლივი ვადაში. კერძოდ, თუ ეკონომიკაში თავდაპირველად არის სრული დასაქმება, ფულის მასის პერმანენტულ ზრდას მოჰყვება ფასების დონის პროპორციული გადიდება.**

დამამტკიცებელი საბუთები ფულის მასასა და ფასების დონესთან დაკავშირებით

ფულსა და ფასებთან დაკავშირებული რეალური მონაცემების განხილვისას ჩვენ ვერ დავადგენთ მათ შორის ზუსტ პროპორციულ ურთიერთობას ხანგრძლივ პერიოდებში. ეს ნაწილობრივ იმიტომ, რომ გამოშვების, საპროცენტო განაკვეთის და რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია შეიძლება შეიცვალოს იმ მიზეზების გამო, რასაც არაფერი ესაქმება ფულის მასასთან. მაგალითად, კაპიტალის დაგროვებითა და ტექნოლოგიური პროცესით გამოწვეული ცვლილებები გამოშვებაში და ფულზე მოთხოვნის ქცევა შეიძლება შეიცვალოს ფინანსური ინოვაციის (ელექტრო-მოწოდებლობები ფულადი გზავნილებისთვის) ან დემოგრაფიული ტენდენციის შედეგად. მაინც უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მონაცემები გვიჩვენებენ აშკარად გამოკვეთილ პოზიტიურ კავშირს ფულის მიწოდებასა და ფასების დონეებს შორის. რეალური სამყაროს მონაცემები თუ არ მოგვცემენ უტყუარ დამამტკიცებელ საბუთებს იმის შესახებ, რომ ფულის მასა და ფასების დონეები ერთად ფუნქციონირებენ ხანგრძლივ პერიოდში, ჩვენს მიერ უკვე განხილული ფულზე მოთხოვნის თეორიის ხარგებლიანობა დიდი ეჭვის ქვეშ დადგება.

დამამტკიცებელი საბუთები ფულის მასასა და ფასების დონის კვშირის შესახებ მსოფლიოს უდიდესი სამრეწველო ქვეყნებისათვის ნაჩვენებია 14-10 გრაფიკში. პორტოგალიური ღერძი ზომავს ფულის მასის პროცენტულ ზრდას 1973-1994 წლებს შორის, კერძოდ, ღერძი – ფასების დონის პროცენტულ ზრდას. აშკარაა, არსებობს ძლიერი პოზიტიური ურთიერთობა ქვეყნების ამ ჯგუფის ფულის მასასა და ფასების დონეს შორის. 45-იან მრუდთან ახლოს განლაგებულ ქვეყნებში ფულის მასა და ფასების დონეები მეტ-ნაკლები პროპორციულობით გაიზარდა 1973-1994 წლებში. კანადაში, მაგალითად, ეს მაჩვენებლები გადიოდა დაახლოებით 3.5 ფაქტორით. სოფ შემოთხვევაში დაკვირვებები ასცდა 45%-იან ხაზს, რომლის გასწვრივაც

არსებული ფულის მასა და ფასების ზრდა პროპორციულია. გერმანიაში ფასების დონე, მაგალითად, გაიზარდა გაცილებით ნაკლები პროცენტით, ვიდრე მისი ფულის მასა, რაც ნაჩვენებია 45°-იანი მრუდის გაცილებით ქვევით მდებარე ქვეყნების მიხედვით.



როგორც ზემოთ ენახეთ, უნდა გექონოდა ამ შეუსაბამობის მოლოდინი, რადგან ფულზე მოთხოვნის თეორია შეუმცდარად ვარაუდობს ზუსტ პროპორციულ ზრდას ფულის მასასა და ფასების დონეში მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა ფაქტორები (როგორცაა, რეალური შემოსავალი ერთ სულზე) არ ახდენენ გავლენას ფულის ბაზრის ცვლილებაზე. ეს სხვა ფაქტორები მუდმივი არ იყო გრაფიკზე მითითებულ ქვეყნებში. 45%-იან ხაზთან ახლოს განლაგებული ქვეყნები 14-10 გრაფიკში ის ქვეყნებია, სადაც საწარმოო ფაქტორების ფულის ბაზრის წონასწორობაზე გავლენა, ფულადი მასის გარდა, ანაზღაურებს ერთმეორეს. 14-10 გრაფიკის მონაცემები ადასტურებენ გრძელვადიან კავშირს ეროვნულ ფულის მასასა და ეროვნული ფასების დონეებს შორის, რაც იწინასწარმეტყველა ეკონომიკურმა თეორიამ.

ინფლაცია და ფულის მასის ზრდა ლათინურ ამერიკაში

ბოლო წლებში ინფლაციის დონის მერყეობის გამო ლათინური ამერიკა იდეალურ მაგალითად იქცა ფულის მასისა და ფასების დონეებს შორის არსებული ურთიერთობების შესასწავლად. ინფლაციის დონე მაღალი და ცვლადი იყო ამ რეგიონში ათწლეულზე მეტი პერიოდისთვის (ამ საკითხს განვიხილავთ 22-ე თავში), როდესაც მაკროეკონომიკის რეფორმის შედეგად ინფლაციის დონე შემცირდა 1990-იანი წლების შუა პერიოდში. ჩვენი თეორიების ბაზისზე დაყრდნობით უნდა მოველოდეთ, რომ აღმოვაჩინოთ ინფლაციის დონის მკვეთრი მერყეობა, რომლის თანხლებები იქნება ფულის მასის ზრდის მერყეობა. ეს მოლოდინი დადასტურებულია ქვემოთ მოცემული ცხრილით, სადაც ნაჩვენებია ფულის მასის წლიური საშუალო ზრდის ტემპი ინფლაციის წლიურ დონესთან შედარებით; ამრიგად, საშუალოდ, ფულის მასის ზრდის უფრო მაღალი ტემპის დროს ინფლაციის დონეც მაღალია.

ცხრილი – ინფლაციისა და ფულის მასის ზრდის საშუალო ტემპი დასავლეთ ნახევარსფეროს განვითარებად ქვეყნებში, 1987 – 1995 წლები

ყოველ წელს არის დადებითი ურთიერთობა ლათინური ამერიკის ფულის მასის საშუალო ზრდასა და ინფლაციას შორის.



გრაფიკი 14-10 ფულად-საკრედიტო ზრდა და ფასების დონის შეცვლა შეიდ მთავარ სამრეწველო ქვეყანაში, 1973-1994 წლები

ურთიერთმომიჯნავე ქვეყნებში ფულის მასის და ფასის დონეების გრძელვადიანი ცვლილება გეინვენებს დადებით ურთიერთობას. (დიაგონალური ხაზი გეინვენებს ფულის მასისა და ფასის დონეების ზუსტ პროპორციულ ცვლილებებს).

ფული და გაცვლითი კურსი ხანგრძლივ ვადაში

უცხოური ვალუტის ფასი ადგილობრივი ვალუტის გამოსახულებით ერთ-ერთია იმ ბევრი ფასიდან ეკონომიკაში, რომელიც იზრდება ხანგრძლივ პერიოდში ფულის მასის პერმანენტული ზრდის შემდეგ. თუ კვლავაც იყიქრებთ ფულად-საკრედიტო რეფორმის შედეგებს, ნახავთ, თუ როგორ მოძრაობს გაცვლითი კურსი ხანგრძლივ პერიოდში. დავექმეთ, მაგალითად, რომ აშშ-ს მთავრობამ „ძველი“ დოლარის ყოველი წვეილი ერთი „ახალი“ დოლარით შეცვალა. მაშინ, თუ $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსი 0.30 ძველი დოლარი იყო ერთ გერმანულ მარკასზე რეფორმამდე, ის დაუყოვნებლივ რეფორმის შემდეგ შეიცვლებოდა 0.15 ახალი დოლარით ერთ მარკასთან მიმართებაში. სუსტად ამავე გზით, აშშ-ს ფულის მასა არსებითად გამოიწვევდა დოლარის კურსის ზრდა 0.30 $\$/DM$ -იდან 0.15 $\$/DM$ -მდე. რადგან აშშ-ს საქონლისა და მომსახურების ყველა ფასი დოლარით ასევე განახევრდება, დოლარის 50%-იანი კურსის ზრდა აშშ-სა და უცხოეთის ყველა შესადარ ფასებს შეუცვლელს დატოვებს.

დავასკინოთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში ქვეყნის ფულის მასის პერმანენტული ზრდა იწვევს თავისი ვალუტის პროპორციულ გაუფასურებას ხანგრძლივ პერიოდში უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. ამის მსგავსად, ქვეყნის ფულის მასის პერმანენტული შემცირება იწვევს საკუთარი ვალუტის პროპორციულ კურსის ზრდას ხანგრძლივ ვადაში უცხოურ ვალუტასთან შედარებით.

ინფლაცია და გაცვლითი კურსის დინამიკა

ამ ნაწილში ერთმანეთს დავეკავშირებთ საყალბე ცვლილებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან აღმოჩენებს, თუ იმ პროცესს განვიხილავთ, რომლის მეშვეობითაც ფასების დონე ეგუება გრძელვადიან პოზიციას. ეკონომიკა განიცდის ინფლაციას, როდესაც ფასების დონე იზრდება და დეფლაციას, როდესაც მისი ფასების დონე მცირდება. ჩვენს მიერ ინფლაციის განხილვის შემდეგ უფრო ღრმად ჩაწვდებით, თუ როგორ ეგუება გაცვლითი კურსი საყალბე დარღვევებს ეკონომიკაში.

ხანმოკლე ვადაში ფასების მოუქნელობის შედარება ხანგრძლივ პერიოდში ფასების მოქნელობასთან

ფულად-საკრედიტო ცვლილებების მოკლევადიანი შედეგების განხილვისას, ანალიზიდან გამომდინარე, დავუშვიტ, რომ ქვეყნის ფასების დონე, მისი გაცვლითი კურსისგან განსხვავებით, სწრაფად არ აიწევს. ეს ვარაუდი შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს, რადგან ბევრი საქონელით, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ისეთ ბაზრებზე ვაჭრობენ, სადაც ფასები ყოველდღე რეგულირდება მიწოდებასა და მოთხოვნაში ცვლილებების გამო. გარდა ამისა, გაცვლითი კურსის ცვლილებამ თავისთავად შეიძლება გააღებინა მოახდინოს გასაველიანი საქონლისა და მომსახურების ფასებზე, რაც ფასების განმსაზღვრელ სამომხმარებლო კალათაში შედის.


ეკონომიკაში ბევრი ფასი ფიქსირდება გრძელვადიან კონტრაქტებში და არ შეიძლება მათი დაუყოვნებლივ შეცვლა ფულად-საკრედიტო ცვლილებების პარალელურად. ამ კატეგორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფასებია მუშების ხელფასები, რის შესახებაც მოლაპარაკებები მხოლოდ პერიოდულად მიმდინარეობს მრეწველობის დარგებში. ხელფასები უშუალოდ არ შედის ფასების დონის მანიქნებლებში, მაგრამ შეადგენს საქონლისა და მომსახურების წარმოების ხარჯის დიდ წილს. რადგან გამოიქვების ფასები დიდად არის დამოკიდებული საწარმოო ხარჯებზე, ფასების დონის მთელ ქვედაზე ნელ-ნელა შემოქმედებს ხელფასები. ფასების დონეების მოკლევადიანი „სიმყარე“ ილუსტრირებულია 14-11 გრაფიკით, სადაც $E_{\text{შფ}}$, $\$/DM$ -ის გაცვლითი კურსის ყოველთვიური პროცენტული ცვლილებები შედარებულია აშშ-ისა და გერმანიის, P/P ფულადი ფასების დონის წილში ყოველთვიურ პროცენტულ ცვლილებებთან. როგორც ხედავთ, გაცვლითი კურსი გაცილებით უფრო ცვლადია, ვიდრე შესადარი ფასების დონეები. ეს კი ფაქტურად შეესაბამება იმ შეხედულებას, რომ ფასების დონე შედარებით მოუქნელია ხანმოკლე პერიოდში. გრაფიკი მოიცავს ყველა ძირითად განვითარებულ ქვეყანას. ბოლო წლების ამ და სხვა მონაცემების შექსე დავექმებთ, რომ ფასების დონე მყარია ხანმოკლე ვადაში და მნიშვნელოვანი ნახტომით არ ქახიხობს პოლიტიკის შეცვლას.

ვარაუდი მისაღები არ უნდა იყოს ყველა დროისა და ყველა ქვეყნისთვის. ყველაზე უკიდურესი ინფლაციის ვითარებაშიც კი, რისი მომსწრნიც გახდნენ 1980-იანი წლების ლათინური ამერიკის სოციალურ ქვეყანაში, ადგილობრივი ფულის გადახდის გამსაზღვრელი გრძელვადიანი კონტრაქტები შეიძლება უსარგებლოც გახდეს. ხელფასების გადახდის დროს ფასების ავტომატური ინდექსაცია შეიძლება ფართოდ იყოს გავრცელებული მაღალი ინფლაციის დროს. ასეთი ტენდენციის გამო ფასები გაცილებით ნაკლებ მოუქნელია, ვიდრე ეს უფრო ზომიერი ინფლაციის დროს იქნებოდა და შესაძლებელი ხდება ფასების დონის დიდი ნახტომები (იხ. ჩანართები ლათინური ამერიკისა და ბოლივიის ინფლაციის შესახებ).

ჩვენი ანალიზი, რითაც დავექმეთ ხანმოკლე ვადაში ფასების მოუქნელობა, ყველაზე მეტად გამოგადგებათ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებსაც ახასიათებთ შესადარი ფასების დონის სტაბილურობა. ასეთია, მაგალითად აშშ. აკადემიური კამათი იმართება იმის თაობაზე, თითქოს თუნდაც დაბალი დონის ინფლაციის

მქონე ქვეყნების შემთხვევაში მყარი სკელფასები და ფასები საკმაოდ მოქნილია.

გრაფიკი 14-11 S/DM-ის გაცვლითი კურსის ცვალებადობა და აშშ-გერმანიის ფასების დონის შეფარდება



გაცვლითი კურსის ცვალებადობა თვიდან თვიმდე გვინკენებს, რომ ფასის დონეები არის შედარებით შეუთანხმებელი ხანმოკლე პერიოდში.

თუმცა ბევრ ქვეყანაში ფასების დონე ხანმოკლე ვადაში მყარია, ფულის მასის ცვლილება დაუყოვნებლივ ქმნის მოთხოვნასა და ხარჯების სეწოლას, რაც არსებითად იწვევს ფასების დონის მომავალ ზრდას. ეს სეწოლა მომდინარეობს სამი ძირითადი წყაროდან:

1. ჭარბი მოთხოვნა გამოშვებასა და სამუშაო ძალაზე. ფულის მასის ზრდა ეფექტურად მოქმედებს ეკონომიკაზე, ზრდის რა მთლიან მოთხოვნას მზა პროდუქციასა და მომსახურებაზე. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებმა უნდა დაასაქმონ მუშები გარკვეული დროით და შემდგომ კვლავ დაიჭირონ ახალი მუშები. თუნდაც მაშინ, როდესაც ხელფასები დადგენილია ხანმოკლე ვადაში, დამატებითი მოთხოვნა მუშა-ხელსე საშუალებას აძლევს მუშებს, მომავალ მოლაპარაკებებში მოითხოვონ უფრო მაღალი ხელფასები. მწარმოებლები უარს ვერ ეტყვიან გაზრდილი ხელფასების გადახდაზე, რადგან იციან, რომ მზარდ ეკონომიკაში ძნელი არ იქნება მაღალი ხელფასებით გამოწვეული ხარჯების გადანაწილება მომხმარებლებზე ნაწარმზე უფრო მაღალი ფასების დაწესებით.
2. ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინი. თუ ყველა მოელის, რომ მომავალში ფასების დონე გაიზრდება, ინფლაციის ზრდის არსებული ტემპი მოიმატებს. მუშები, რომლებიც მონაწილეობენ ხელფასებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, უფრო მაღალ ნომინალურ ანაზღაურებას მოითხოვენ, რათა დაუპირისპირდნენ ფასების ზრდის ნავარაუდევ სოგად ეფექტს თავიანთ რეალურ ხელფასზე. მწარმოებლები კიდევ ერთხელ დათმობაზე წაუღენ, რადგან იმედი აქვთ, საწარმოო ფასები გაიზრდება და ამით დაფარვენ გადიდებული ხელფასით გამოწვეულ დამატებით ხარჯებს.
3. ნედლეულის ფასები. მზა პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული ბევრი ნედლეული, როგორცაა, ნავთობპროდუქტები და მეტალები, იყიდება ბაზრებზე, სადაც ფასები დაუყოვნებლივ რეგულირდება ხანმოკლე ვადაში. ფულის მიწოდების ზრდა, იწვევს რა ასეთ ნედლეულზე ფასების აეარდნას, აღიდებს საწარმოო ხარჯებს ნედლეულის გამოყენებულ მრეწველობაში; შესაბამისად ამისა მრეწველობის ამ დარგების მწარმოებლები ზრდიან საწარმოო ფასებს თავისი უფრო მაღალი ხარჯების დასაფარავად.

ფულის მასის ზრდა და კიპერინფლაცია ბოლივიაში

1984-1985 წლებში ბოლივიაში, ლათინური ამერიკის პატარა ქვეყანაში, აღვილი კიპერინფლაციას – უკონტროლებად, ზრდად ინფლაციას, როცა ფული სწრაფად კარგავდა ღირებულებას და შეიძლება უსარგებლოდაც კი ქცეულიყო. კიპერინფლაციის დროს ფულადი სიდიდეები იმდენად უზარმაზარია, რომ ფულის შემოქმედება ფასების დონეზე შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს. ეს მოვლენები უსრუნველყოფენ ეწ. ლაბორატორიული კვლევის პირობებს, რის საშუალებითაც შეიძლება ხანგრძლივ პერიოდში ფასებზე ფულის მასის შემოქმედების შესახებ თეორიების გამოცდა.

ქვემოთ მოგაწვდით მონაცემებს ბოლივიაში კიპერინფლაციის დროს არსებული ფულის მასისა და ფასების დონის შესახებ. ბოლივიის მთავრობა აკონტროლებდა ოფიციალურ გაცვლით კურსს ბოლივიურ პესოსა და აშშ დოლარს შორის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. ასე რომ, ვალუტების სიას იმ გაცვლითი კურსით მოგაწვდით (დოლარის ფასს პესოს გამოსახულებით და პლასის შავ ბაზარზე), რამაც უკეთ ასახა საბაზრო ძალები.

მონაცემები გვინკენებს, რომ ფულის მასა, ფასების დონე და გაცვლითი კურსი ავლენენ შეწობილად მოქმედების ტენდენციას, რასაც წინასწარმეტყველებდა ტექსტში მოცემული თეორია. უფრო მეტიც,

ფასების დონესა და გაცვლით კურსს სიდიდის მხრივ ერთი თანმიმდევრობის ტენდენცია ახასიათებთ – ფასების დონე 22,908%-ით გაიზარდა 1984 წლის აპრილსა და 1985 წლის იულისს შორის და დოლარის ფასი პესოთი 24,662%-ით გადიდა იმავე პერიოდში. ეს პროცენტული ცვლილებები რეალურად უფრო დიდია, ვიდრე ფულის ფასის შესაბამისი პროცენტული ზრდა (რომელიც „მხოლოდ“ 17,433%-ია), მაგრამ ეს განსხვავება მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო. თავის ნებაზე მიშვებული ინფლაცია იწვევდა რეალურ ფულზე მოთხოვნის კლებას დროთა განმავლობაში და ამ დამატებითი სავალუტო ცვლილების შედეგია ფულადი ფასების უფრო სწრაფი ზრდაც კი ფულის მასის მატებასთან შედარებით.

1985 წლის იულისს შევარსით, როგორც ბოლო წერტილი შედარების გასაკეთებლად, რადგან ბოლივიის მთავრობამ ამ წლის აგვისტოს ბოლოს შემოიღო სტაბილიზაციის დრამატული გეგმა. შეგიძლიათ შეხედოთ მონაცემებს და დარწმუნდეთ, თუ ფულის მასამ და უფრო დრამატულად, ფასების დონემ და გაცვლითმა კურსმა – ყველამ, როგორ დაიწყო გათანაბრება აგვისტოდან მოყოლებული ორ თვეში. 22-ე თავში უფრო ვრცლად შეეხებით, თუ როგორ დააღწია თავი ბოლივიამ ამ პიპერინფლაციას.

**ცხრილი მაკროეკონომიკური მონაცემები ბოლივიის შესახებ,
1984 წლის აპრილი – 1985 წლის ოქტომბერი**

თვე	ფულის მასა (მლრდ პესო)	ფასის დონე (1982 წლის საშუალო =1 შესაბამისი)	გაცვლითი კურსი (პესო დოლარზე)
1984			
აპრილი	270	21.1	3,576
მაისი	330	31.1	3,512
ივნისი	440	32.3	3,342
იულისი	599	34.0	3,570
აგვისტო	718	39.1	7,038
სექტემბერი	898	53.7	13,685
ოქტომბერი	1,194	85.5	15,205
ნოემბერი	1,495	112.4	18,469
დეკემბერი	3,296	180.9	24,515
1985			
იანვარი	4,630	305.3	73,016
თებერვალი	6,455	863.3	141,101
მარტი	9,089	1,078.6	128,137
აპრილი	12,885	1,205.7	167,428
მაისი	21,309	1,635.7	272,375
ივნისი	27,778	2,919.1	481,756
იულისი	47,341	4,854.6	885,476
აგვისტო	74,306	8,081.0	1,182,300
სექტემბერი	103,272	12,647.6	1,087,440
ოქტომბერი	132,550	12,411.8	1,120,210

ფულის მასის პერმანენტული ცვლილებები და გაცვლითი კურსი


ახლა ინფლაციის ანალიზს გამოვიყენებთ S/DM -ის გაცვლითი კურსის რეგულირების შესასწავლად, რომელიც მოკლეა აშშ-ს ფულის მასის პერმანენტულ ზრდას. 14-12 გრაფიკი გვჩვენებს ამ დარღვევის როგორც მოკლევადიან (გრაფიკი 14-12ა), ასევე გრძელვადიან (14-12ბ) უფექტებს. ჩვენ ვუშვებთ, რომ ეკონომიკა იწყებს ყველა გრძელვადიანი ცვლილებით და რომ გამოსუვება მედმივი რჩება, რადგან ეკონომიკა რეგულირდება ფულის მასის ცვლილებით.

14-12ა გრაფიკში აშშ-ს ფასების დონე თავდაპირველად მოცემულია P^1_{us} -ზე. ნომინალური ფულის მასის ზრდა M^1_{us} -დან M^2_{us} -მდე აღიღებს ფულის მასას M^1_{us}/P^1_{us} -დან M^2_{us}/P^1_{us} -მდე ხანმოკლე ვადაში, რითაც საპროცენტო განაკვეთი მცირდება R^1_{us} -ის (1) წერტილიდან R^2_{us} -ის (2) წერტილამდე.

ჩვენს ანალიზში პირველი შეკითხვა შეეხება იმას, თუ როგორ უემოქმედებს ამერიკის ფულის მასის ცვლილება (რომელიც ნაჩვენებია (ა) ნაწილის ქვედა მხარეს) უცხოური ვალუტის ბაზარზე (რაც ნაჩვენებია (ა) ნაწილის

ზედა მხარეს). როგორც ეს ადრე იყო, აშშ-ს საპროცენტო განაკვეთის შემცირება ნაჩვენებია ვერტიკალური მრუდის გადაადგილებით მარცხნივ, რაც დოლარის დემოზიტებს უკუგებას აძლევს დოლართვე. მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი: ფულის მასის ზრდა ახლა შემოქმედებას ახდენს **გაცვლითი კურსის მოლოდინზე**. ადამიანები უფრო ფასის (დოლარით) გრძელვადიან მატებას, რადგან აშშ-ს ფულის მასის ცვლა პერმანენტულად ხდება გაცვლითი კურსის ნათვლით, რომელიც არის გერმანული მარკის ფასი დოლარით. როგორც ეს მე-13 თავში იყო ნაჩვენები, აღნიშნული გაცვლითი კურსის მოსალოდნელი ზრდა (დოლარის მომავალი გაუფასურება) ადიდებს დოლარით უკუგებას გერმანული მარკის ანაბრებზე; ამგვარად, იგი გადაადგილებს დადმავალ მრუდს მარჯვნივ 14-12ა გრაფიკის ზედა მხარეს. დოლარი უფასურდება მარკასთან შედარებით და მისი მოძრაობა აღინიშნება E^1_{USD} (1' წერტილი) გაცვლითი კურსიდან E^2_{USD} (2' წერტილი) გაცვლით კურსამდე. საკურადღებოა, რომ დოლარის გაუფასურება უფრო დიდია, ვიდრე ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი S/DM-ის გაცვლითი კურსი ფიქსირებული დარჩებოდა (რაც ასე უნდა ყოფილიყო, თუ ფულის მასის ზრდა დროებითი უფრო იქნებოდა, ვიდრე პერმანენტული). თუ E^3_{USD} -ის მოლოდინი არ შეიცვლება, ახალი მოკლევადიანი წონასწორობა (3) წერტილში უფრო აღინიშნება, ვიდრე (2') წერტილში.

გრაფიკი 14-12 ზრდის მოკლე და გრძელვადიანი ეფექტები აშშ-ს ფულის მასაზე (როდესაც Y რეალური გამოშვება სახეზეა)



(ა) აქტივების ბაზრების მოკლევადიანი რეგულირება. (ბ) როგორ მოძრაობს საპროცენტო განაკვეთი, ფასის დონე და გაცვლითი კურსი დროის პერიოდში, როდესაც ეკონომიკა უახლოვდება თავის გრძელვადიან წონასწორობას.

14-12ბ გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ იქცევა საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი, როდესაც ფასების დონე იზრდება გრძელვადიან წონასწორობასთან ეკონომიკის შეგუების დროს. ფასების დონე, როდესაც P^1_{US} მოცემულია, თავდაპირველად იზრდება, მიღწევს რა საბოლოოდ P^2_{US} დონეს. რადგან ფასების ზრდა ხანგრძლივ ვადაში ფულის მასის პროპორციული უნდა იყოს, რეალური ფულის საბოლოო მასა, M^2_{US}/P^2_{US} , ნაჩვენებია როგორც რეალური M^1_{US}/P^1_{US} თავდაპირველი მასის ტოლი. რადგან გამოშვება სახეზეა Y^2_{US} რეალური ფულის მასა დაუბრუნდა თავის საწყის დონეს, წინასწორული საპროცენტო განაკვეთი კვლავაც უნდა იყოს R^1_{US} -ის ტოლი ხანგრძლივ ვადაში (წერტილი 4). საპროცენტო განაკვეთი იზრდება R^2_{US} -დან (2' წერტილი) R^1_{US} -მდე (4' წერტილი), რადგან ფასების დონე P^1_{US} -დან დიდდება P^2_{US} -მდე.

აშშ-ს მზარდი საპროცენტო განაკვეთი განიცდის გაცვლითი კურსის გაველენას, რაც ასევე წარმოადგენილია 14-12ბ გრაფიკში: რეგულირების პროცესში დოლარის კურსი იზრდება გერმანულ მარკასთან შედარებით. თუ მომავალ გაცვლით კურსთან დაკავშირებული მოლოდინი არ იცვლება რეგულირების პროცესში, უცხოური ვალუტის ბაზრის მოძრაობის მრუდი გრძელვადიანი პოზიციისკენ იხრება, რაც განსაზღვრავს მარკის დემოზიტებიდან დოლარით უკუგებას. ბაზრის ბილიკი მიხედვს დოლარის საპროცენტო განაკვეთის ვერტიკალურ მრუდს, რადგან ფასების დონის თანმიმდევრული ზრდის გამო მისი მოძრაობა მარჯვნივ იხრება. ხანგრძლივ ვადაში (4' წერტილი) წინასწორული E^1_{USD} გაცვლითი კურსი უფრო მაღალია, ვიდრე საწყისი წინასწორობა, (1' წერტილი). ფასების დონის მსგავსად, S/DM-ის გაცვლითი კურსი გაიზარდა ფულის მასის გადიდების პროპორციულად.


14-13 გრაფიკზე გამოსახულია დროის ტრაექტორიები, რომელთა მსგავსი მრუდები აღწერენ აშშ-ს ფულის მასასთან, დოლარის საპროცენტო განაკვეთთან, აშშ-ს ფასების დონესა და S/DM-ის გაცვლით კურსთან დაკავშირებით. გრაფიკი ისეა აგებული, რომ ფასების დონის გრძელვადიანი ზრდა (14-13გ გრაფიკი) და გაცვლითი კურსი (გრაფიკი 14-13დ) ფულის მასის (14-13ა გრაფიკი) ზრდის პროპორციულია.

გაცვლითი კურსის ჭარბი ზრდა

საწყისი გაუფასურების შემთხვევაში ფულის მასის ზრდის გამო გაცვლითი კურსი E'_{USD} -დან ავარდება E^2_{USD} -მდე (იხ. 14-13დ გრაფიკი). ეს ზრდა მეტისმეტად დიდია მაშინ, როდესაც დარღვევაზე მისი დაუყოვნებლივი პასუხი უფრო დიდია, ვიდრე მისი გრძელვადიანი პასუხი. ეს პროცესი მნიშვნელოვანი უენომენია და გვეხმარება, ავხსნათ, რატომ ხდება გაცვლითი კურსის მოძრაობა დღითიდღე ასე მკვეთრი.

ჭარბი ზრდის ეკონომიკური ახსნა ემყარება საპროცენტო პარიტეტის პირობას და ამას ადვილად გავიგებთ, თუ დავეუშვებთ, რომ ფულის მასის პირველ გადადებამდე მოსალოდნელი არ არის S/DM -ის გაცვლითი კურსის შეცვლა; ე.ი. R^1 ტოლია R -ისა, ანუ მოცემული გერმანული მარკის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთისა. აშშ-ს ფულის მასის პერმანენტული ზრდა არ ახდენს გავლენას R -ზე, იწვევს R^1 -ის შემცირებას R -ზე მეტად და რჩება საპროცენტო განაკვეთის ქვეით (14-13გ გრაფიკი), სანამ აშშ-ს ფასების დონე არ დაასრულებს გრძელვადიან შეგუებას P^2_{US} -თან (14-13გ გრაფიკი). უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებული რომ იყოს რეგულირების ამ პროცესის დროს, საპროცენტო განაკვეთი გერმანული მარკის დეპოზიტების სასარგებლოდ უნდა ანაზღაურდეს ამავე ვალუტასთან მიმართებაში დოლარის მოსალოდნელი კურსის ზრდის მეშვეობით, ანუ E -ის მოსალოდნელი შემცირებით. ხოლო თუ S/DM -ის კურსი გადააჭარბებს E^2_{USD} -ს, თავდაპირველად ბაზრის მონაწილეებს მოლოდინი ექნებათ, რომ მარკასთან შედარებით დოლარის კურსი შესაბამისად გაიზრდება.

გრაფიკი 14-13 აშშ-ს ეკონომიკის ცვლადების დროის ტრაექტორიები ამავე ქვეყნის ფულის მასის პერმანენტული ზრდის შემდეგ



როდესაც ფულის მასა იზრდება t -ის პირობებში (ა) გრაფიკზე, საპროცენტო განაკვეთი (ბ) ფასის დონე (გ) და გაცვლითი კურსი (დ) მოძრაობს ისე, როგორც ნახევრებია თავიანთი გრძელვადიანი დონეებისკენ. როგორც (დ) გრაფიკზეა ნახევრები საწყისი გადასვლითი E^1 -დან E^2_{USD} -დან, გაცვლითი კურსი გადააჭარბებს სასურველ დონეს ხანმოკლე პერიოდში სანამ იგი არ მივა თავის გრძელვადიან E^1_{USD} დონემდე.

ვალუტის კურსის მეტისმეტი გაზრდა ფასების დონის მოუქნელობის პირდაპირი შედეგია. პიპოტეტურ სამეაროში, სადაც ფასების დონე შეიძლება შეეგუოს თავის ახალ გრძელვადიან დონეს ფულის მასის ზრდის შემდგომ, დოლარის საპროცენტო განაკვეთი არ დაეცემა, რადგან ფასები დაუყოვნებლივ დარეგულირდება და რეალური ფულის მასის ზრდა თავიდან იქნება აცილებული. ამდენად, უცხოური ვალუტის ბაზარზე აღარ იქნება ჭარბი ზრდის აცვილებლობა წონასწორობის შესანარჩუნებლად. გაცვლითმა კურსმა უნდა განამტკიცოს ბაზრის წონასწორობა უბრალოდ ხანგრძლივი პერიოდისათვის დამახასიათებელ დონეზე ავარდნით.

რეზიუმე

1. ფულს ფლობენ მისი ლიკვიდობის გამო. ერთობლივი მოთხოვნა ფულზე, როდესაც იგი რეალურ გამოხატულებაში განიხილება, არის არა მოთხოვნა ვალუტის ერთეულების განსასღერულ დონეზე, არამედ მოთხოვნა მსყიდველობითი უნარის განსასღერულ ოდენობაზე. ერთობლივი რეალური მოთხოვნა ნეგატიურად არის დამოკიდებული ფულის ფლობის ალტერნატიული ხარჯებზე (გაწონილი ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთით) და პოზიტიურად – ოპერაციების მოცულობაზე ეკონომიკაში (გაწონილი რეალური ეკპ-ით).
2. ფულის ბაზარი გაწონასწორებულია, როდესაც ფულის რეალური მიწოდება ტოლია მასზე ერთობლივი მოთხოვნისა. როდესაც ფასების დონე და რეალური გამოშვება მოცემულია, ფულის მიწოდების ზრდა ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, ფულის მიწოდების შემცირების შედეგი ამის საწინააღმდეგოა. ფასების დონეზე მოცემული რეალური გამოშვების ზრდა ადიდება საპროცენტო განაკვეთს, რეალური გამოშვების შემცირებას კი საპირისპირო ეფექტი ახლავს.

- ფულის მასის ზრდა, ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის შემცირებით, იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას უცხოური ვალუტის ბაზარზე (თუნდაც მაშინ, როდესაც მომავალი გაცვლითი კურსის შესახებ მოლოდინი არ იცვლება). მსგავსად ამისა, ადგილობრივი ფულის მასის შემცირება იწვევს ადგილობრივი ვალუტის რეკალვაციას უცხოურ ვალუტასთან შედარებით.
- ვარაუდი (როცა ფასების დონე მოცემულია ხანმოკლე ვადაში) ერთგვარი მოახლოებაა რეალბაზთან იმ ქვეყნებისათვის, სადაც ინფლაციის დონე სომიერია, მაგრამ იგივე ვარაუდი შეიძლება მცდარი გამოდგეს ხანგრძლივ პერიოდთან დაკავშირებით. პერმანენტული ცვლილებები ფულის მასაში ხანგრძლივადიან წონასწორულ ფასებს უბიძგებს პროპორციული გადაადგილებისაკენ იმავე მიმართულებით, მაგრამ არ მოახდენს სემოქმედებას გამოშვების გრძელვადიან ღირებულებებზე. საპროცენტო განაკვეთზე ან რაიმე შესაძარ ფასებზე ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ფასი, რომლის წონასწორული დონე ხანგრძლივ პერიოდში იზრდება ფულის მასის პერმანენტული მატების პროპორციულად, არის გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის ფასი ადგილობრივი ვალუტით.
- ფულის მასის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ გაცვლითი კურსი ხანმოკლე ვადაში გადააკარბებს თავის გრძელვადიან დონეს. მაგალითად, თუ გამოშვება მოცემულია, ფულის მასის პერმანენტული ზრდა გამოიწვევს ვალუტის პროპორციულზე მეტ ხანმოკლე ვადიან გაუფასურებას. ამას მოაქვება ვალუტის რეკალვაცია მის ხანგრძლივი პერიოდის გაცვლით კურსთან მიმართებაში. გაცვლითი კურსის მეტისმეტი ზრდა, რომელიც აღიღებს გაცვლითი კურსის ცვალებადობას, არის ფასების დონის მოკლევადიანი ნული რეკულირებისა და საპროცენტო პარიტეტის შედეგი.

პირითადი ტერმინები

ერთობლივი მოთხოვნა ფულზე	დეფლაცია
გაცვლითი კურსის ჭარბი ზრდა	ინფლაცია
ფულის მიწოდება	ხანგრძლივი ვადა
ხანმოკლე ვადა	ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობა
ფულის მასა	ფასების დონე

პითხვები

- დაეუშვათ, ერთობლივი მოთხოვნა ფულზე შემცირდა, ანუ ერთობლივი რეალური ფულის მოთხოვნის ფუნქციის გადაადგილება ნეგატიურია. დაადგინეთ მოკლე და გრძელვადიანი შედეგები გაცვლით კურსსა და ფასების დონეზე.
- თქვენი აზრით, ქვეყნის მოსახლეობის შემცირება როგორ შეცვლის ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციას. მნიშვნელოვანი იქნება თუ არა ეს იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის კლება გამოწვეული იყო ოჯახების ოდენობის ან ოჯახების საშუალო სიდიდის შემცირებით?
- ფულის სინქარე V განისაზღვრება, როგორც რეალური ეკ-ის წილი რეალური ფულის რეზერვებთან მიმართებაში, $V = Y/(M/P)$. გამოიყენეთ ამ თავის (14-4) ტოლობა, რათა მიიღოთ სინქარის გამოსახულება და ახსნათ, თუ როგორ იცვლება სინქარე R და Y -ში ცვლილების გამო. V -ზე გამოშვების ცვლილების ეფექტი დამოკიდებულია ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ელასტიურობაზე რეალური გამოშვების გათვალისწინებით, რომელსაც ეკონომისტები ერთეულზე ნაკლებად მიიჩნევენ. როგორია ერთიერთობა სინქარესა და გაცვლით კურსს შორის?
- როგორია ადგილობრივი რეალური ეკ-ის ზრდის მოკლევადიანი ეფექტი გაცვლით კურსზე, როდესაც მოლოდინი მომავალი გაცვლითი კურსის შესახებ გამოკვეთილია?
- გვაძლევს თუ არა ფულის, როგორც ანგარიშის ერთეულისა და გაცვლის საშუალების, სარგებლიანობის შესახებ დისკუსია იმის საფუძველზე, რომ გაეიგოთ, სოგი ვალუტა რატომ არის მთავარი უცხოური ვალუტით ოპერაციებში (მთავარი ვალუტის კონცეფცია მე-13 თავში განვიხილეთ).
- თუ სავალუტო რეფორმა არ სემოქმედებს ეკონომიკის რეალურ ცვლილებებზე, მაშინ რატომ აწესებენ მთავრობები რეფორმებს, რომელთა მიზანია სწრაფად მზარდი ინფლაციის შეჩერება (ბევრი მაგალითი არსებობს ამისა ტექსტში ნახსენები საფრანგეთის გარდა. თუნდაც ისრაელის გადართვა გირვანჯა სტერლინგიდან შეკვლზე; არგენტინისა – პესოდან ასტრალზე და უკან პესოსკენ; ბრაზილიისა – კრუსეიროდან კრუსადამდე, კრუსადიდან კვლავ კრუსეირომდე, აქედან კრუსეირო რეალადამდე და კრუსეირო რეალიდან რეალადამდე. ბოლო ვალუტადამდე, რომელიც 1994 წელს შემოიღეს).
- წარმოიდგინეთ, რომ ქვეყნის (სადაც უმუშევრობაა) ცენტრალური ბანკი აორმაგებს ფულის მასას. ხანგრძლივ პერიოდში სრული დასაქმება აღდგება და გამოშვება დაეზრუნება თავისი სრული დასაქმების დონეს. იმ ვარაუდის (რაც ნაკლებ დასაშვებია) შესაბამისად, რომ საპროცენტო განაკვეთი, ხანამ ფულის მასის ზრდა გაუტოლდება გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთს, არის თუ არა გრძელვადიანი ფასების დონის ზრდა პროპორციულზე მეტი ან ნაკლები ფულის მიწოდების ცვლილების მიმართ?
- 1984-1985 წლებში, ფულის მასა აშშ-ში გაიზარდა \$570.3 ტრილიონიდან \$641.0 ტრილიონამდე, მაშინ როდესაც ბრაზილიისა გაიზარდა 24.4 მილიარდი კრუსადიდან 106.1 მილიარდ კრუსადამდე იმავე პერიოდისთვის; აშშ-ს საიმპორტო ფასების ინდექსი გადიდა 96.6 დანიდან 100-მდე; მაშინ როდესაც ბრაზილიის შესაბამისი ინდექსი გადიდა 31 იყო, გაიზარდა 100-მდე; გამოთვალეთ 1984-1985 წლების ფულის მასის ზრდის ტემპი და ინფლაციის დონე აშშ-ს და ბრაზილიისათვის. დაუქვითი,

რომ სხვა ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფულის ბაზრებზე, მეტისმეტად არ შეცვლილა. როგორ შეეხამება ეს მონაცემები ამ თავში მოცემულ მოდელს? როგორ ახსნიდით აშშ-ს აშკარა განსხვავებულ რეაგირებას ბრაზილიის ფასებთან შედარებით?

9. წინა შეკითხვას თუ განვივარდობთ, აღვნიშნავთ, რომ გამოშვების სავალუტო ღირებულება 1985 წელს იყო \$4010 მილიარდი აშშ-ში, 1418 მილიარდი კრუსადო ბრაზილიაში. დაუბრუნდით მე-3 კითხვას და გამოიანგარიშეთ ფულის სინქარე ორი ქვეყნის 1985 წლის მონაცემების მიხედვით. თქვენი აზრით, რატომ იყო სინქარე ასე მაღალი ბრაზილიაში? ხანმოკლე ვადის გაცვლითი კურსის მეტისმეტი ზრდის განხილვისას სექს დაეუშეით, რომ რეალური გამოშვება მოცემულია. ეთქვათ, ფულის მასის ზრდა ადიდებს რეალურ გამოშვებას ხანმოკლე ვადაში (ამ ვარაუდის გამართლება მოცემულია მე-16 თავში). როგორ ზეგავლენას ახდენს ეს გაცვლითი კურსი მეტისმეტად მზარდ მასშტაბზე, როდესაც ფულის მასა თავდაპირველად იზრდება? შესაძლებელია თუ არა გაცვლითი კურსი მეტისმეტად გაიზარდოს? (მინიშნება: 14-12ა გრაფიკში ნება მიეცით რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს, გამოშვების ზრდის საპასუხოდ გადაადგილდეს).

ფასების დონე და გაცვლითი კურსი ხანგრძლივ პერიოდში

1970 წლის ბოლოს 358 იაპონური იენის ყიდვა შეიძლებოდა ერთ ამერიკულ დოლარად, ხოლო 1980 წელს საშობაოდ იმავე ოდენობის დოლარად 203 იენი ღირდა. მიუხედავად 1980-იანი წლების დროებითი „გაჯანსაღებისა“. დოლარის ფასი იენის გამოსახულებით 1985 წლის გაზაფხულზე მკვეთრად, დაახლოებით 80-მდე დაეცა. ბევრი ინვესტორისათვის ძნელი იყო ფასების ასეთი ცვლილების პროგნოზირება, რასაც მოჰყვა უცხოური ვალუტის ბაზარზე ქონების დაკარგვა-შეძენის გაუთვალისწინებელი შედეგები. რომელი ეკონომიკური ძალები იდგა გაცვლითი კურსის ასეთი დრამატული გრძელვადიანი მოძრაობის უკან?

გაცვლითი კურსი დგინდება საპროცენტო განაკვეთისა და მომავლის მოლოდინის მიუხედავად; ამ უკანასკნელზე კი, თავის მხრივ, სეგაყენებას ახდენს ეროვნული ფულის ბაზრების მდგომარეობა. გრძელვადიანი გაცვლითი კურსის ცვლილებათა ღრმად გასაგებად ჩვენი მოდელი უნდა განვიმარტოთ ორი მიმართულებით: პირველი, უნდა დაეასრულოთ სავალუტო პოლიტიკას, საპროცენტო განაკვეთებსა და გაცვლით კურსებს შორის კავშირის განხილვა; მეორე, უნდა გავიანალიზოთ ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნისგან განსხვავებული ფაქტორები – მაგალითად, მოთხოვნის გადაადგილება საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე – რაც ასევე შეიძლება მდგრად გავლენას ახდენდეს გაცვლით კურსზე.

ამ თავში განხილული გრძელვადიანი გაცვლითი კურსის მოდელის მოქმედება ქმნის იმ სტრუქტურას, რომელსაც აქტივის ბაზრის მონაწილენი იყენებენ მომავალი გაცვლითი კურსის პროგნოზისათვის. რადგან სამომავლო მოლოდინი უმალვე ახდენს გავლენას გაცვლით კურსზე, ამიტომ ამ უკანასკნელის შესახებ გრძელვადიანი მოძრაობის პროგნოზირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხანმოკლე პერიოდშიც კი. ამ თავში მიღებულ დასკვნებს გამოვიყენებთ, როდესაც გაცვლით კურსსა და გამოშვებას შორის არსებულ ხანმოკლე ერთიერთქმედებას განვიხილავთ მე-16 თავში.

ხანგრძლივ პერიოდში ეროვნული ფასების დონე მთავარ როლს თამაშობს როგორც საპროცენტო განაკვეთის, ასევე იმ შესაღარი ფასების განსაზღვრაში, რითაც ქვეყანაში გამოშვებული ქვეყნის პროდუქციით ვაჭრობენ. თეორია გაცვლითი კურსისა და ეროვნული ფასების დონეების ერთიერთქმედების შესახებ ცენტრალურ როლს თამაშობს იმის გაგებაში, თუ გაცვლითი კურსი როგორ შეიძლება დრამატულად შეიცვალოს რამდენიმე წლის განმავლობაში. ანალიზს დავიწყებთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის განხილვით, რომელიც ქვეყნების ვალუტებს შორის არსებული გაცვლითი კურსის ცვლილებებს უკავშირებს ეროვნული ფასების დონის შეცვლას. შემდეგ განვიხილავთ მიზეზს იმისა, თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი რატომ ვერ მოგვეცემს ზუსტ გრძელვადიან პროგნოზს; ამასთან გინეწყებთ, თუ სოგჯერ როგორ უნდა ხდებოდეს თეორიის მოდიფიცირება ქვეყნის გამოშვების ბაზრებში მიწოდების ან მოთხოვნის შეცვლის ასახსნელად. და ბოლოს დაეფიქრდეთ, რას იწინასწარმეტყველებს ჩვენს მიერ გაანალიზებული მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია იმის შესახებ, თუ ფულისა და გამოშვების ბაზრების ცვლილებები როგორ სეგაყენებს მოახდენენ გაცვლით კურსსა და საპროცენტო განაკვეთზე.

ერთი ფასის კანონი

იმ საბაზრო ძალების თეორიის გასაგებად, რომლებმაც შეიძლება დასაბამი მისცენ მსყიდველობითი უნარის პარიტეტით ნაწინასწარმეტყველედ შედეგებს, პირველად განვიხილავთ მასთან დაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ თეორიას – ცნობილს ერთი ფასის კანონის სახელით. ამ კანონის მიხედვით, კონკურენტულ ბაზრებზე (რომლებიც განთავისუფლებულნი არიან ტრანსპორტირების ხარჯებისა და ისეთი ოფიციალური საეკონომიკური შეზღუდვებისგან, როგორც არის ტარიფები) სხვადასხვა ქვეყანაში გაყიდული იდენტური საქონლის რეალიზაცია ერთსადაიმევე ფასად უნდა ხდებოდეს, როდესაც საქონლის ფასები ერთი ვალუტით არის გამოსახული. მაგალითად, თუ დოლარ/გირვანქა სტერლინგის გაცვლითი კურსი არის 1.50 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგზე, სეიტრი, რომელიც ნიუ-იორკში იყიდება 45 დოლარად, ლონდონში უნდა გაიყიდოს 30 გირვანქა სტერლინგად. სეიტრის ფასი დოლარით ლონდონში იქნება (1.50 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგში) ? (30 გირვანქა სტერლინგი ერთ სეიტრში) = 45 დოლარი ერთ სეიტრში, ანუ იგივე ფასი, რაც ნიუ-იორკში.

განვიხილოთ ეს მაგალითი, რათა დაინახოთ, თუ ერთი ფასის კანონი რატომ უნდა დაეცვათ, როდესაც ვაჭრობა თავისუფალია და გამოიცხადება ტრანსპორტის ხარჯები ან სხვა სავაჭრო ბარიერები. დოლარ/ გირვანქა სტერლინგის გაცვლითი კურსი თუ არის 1.45 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგში, თქვენ ლონდონში

სვიტრს იყიდით, თუ 43.50 დოლარს გადაიყვანთ 30 გირვანქა სტერლინგში (= 1.45 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგში ? 30 გირვანქა სტერლინგზე) უცხოური ვალუტის ბაზარზე. ამდენად, სვიტრი დოლარით ლონდონში უნდა ღირდეს მხოლოდ 43.50. იგივე სვიტრი რომ გაყიდულიყო 45 დოლარად ნიუ-იორკში, აშშ-ს იმპორტიორებსა და ბრიტანეთის ექსპორტიორებს სტიმული ექნებოდათ, იქამდე ეყიდათ სვიტრები ლონდონში და გადაეტანათ ნიუ-იორკში (რითაც აწვედნენ ფასს ლონდონში და შეამცირებდნენ ნიუ-იორკში), სანამ ორივე ფასი არ გათანაბრდებოდა. მსგავსად ამისა, როდესაც გაცვლითი კურსი არის 1.55 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგში, სვიტრები (დოლარით) ლონდონში ეღირება 46.50 დოლარი (=1.55 დოლარი ერთ გირვანქა სტერლინგში ? დოლარი 30 გირვანქა სტერლინგზე), ანუ 1.50 დოლარით მეტი, ვიდრე ნიუ-იორკში. დაიწყებოდა სვიტრების გადაზიდვა დასავლეთიდან აღმოსავლეთში, სანამ ერთიანი ფასი არ გაბატონდებოდა ორივე ბაზარზე.

ერთი ფასის კანონი არის იმ პრინციპის გადასინჯვა, ვალუტების გამოსახულებით, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ამ წიგნის იმ ნაწილში, რაც ეხებოდა ვაჭრობას: როდესაც ვაჭრობა ღიაა და თავისუფალია ტრანსპორტირებისა და სატარიფო ხარჯებისაგან, ერთნაირი საქონლით უნდა ვაჭრობდნენ ერთი და იმავე შესაძარი ფასებით, მიუხედავად იმისა, თუ სად იყიდება ეს საქონელი. ეს პრინციპი იმიტომ შეგახსენეო, რომ იგი უზრუნველყოფს კაშპირს საქონლის ადგილობრივ ფასებსა და გაცვლით კურსებს შორის. ფორმალურად ასე შეგვიძლია დავადგინოთ ერთი ფასის კანონი: დაეუშვათ, P^i არის საქონლის ფასი დოლარით, როდესაც მას ყიდიან აშშ-ში; P^i შეასაბამისი ფასი გერმანული მარკით გერმანიაში. ერთი ფასის კანონი ნიშნავს იმას, რომ საქონლის ღირებულება დოლარით, i , ერთნაირია ყველგან, სადაც უნდა იყიდებოდეს იგი:

$$P^i_{us} = (E_{usm}) \times (P^i_c).$$

შესაბამისად, დოლარ/მარკის გაცვლითი კურსი არის აშშ-სა და გერმანიის i საქონლის ფულადი ფასების შეფარდება:

$$E_{usm} = P^i_{us} / P^i_c.$$

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიით ორი ქვეყნის ვალუტებს შორის გაცვლითი კურსი მათივე ფასების დონის შეფარდების ტოლია. მე-14 თავის მიხედვით, ქვეყნის ვალუტის ადგილობრივი მსყიდველობითი უნარი ასახულია ფასების დონეში, საქონლისა და მომსახურების ტიპიური კალათის ფულად ფასში. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია გეთავაზობს აზრს იმის შესახებ, რომ ქვეყნის ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობითი უნარის შემცირება (რაც აღინიშნება ადგილობრივი ფასების დონის გაუფასურებით) გამოძახილია ვალუტის პროპორციული გაუფასურებისა უცხოური ვალუტის ბაზარზე. ასევე, მსყიდველობითი უნარის გადიდება პროპორციულად დაკავშირებული იქნება ვალუტის კურსის ზრდასთან.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი განიხილეს მე-19 საუკუნის ბრიტანელმა ეკონომისტებმა, რომელთა შორის იყო დევიდ რიკარდო (თეორია ფარდობითი უპირატესობის შესახებ) და შეუდმა გუსტავე კასელმა, რომელიც მოდელაწიობდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მათ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი პოპულარული გახადეს, რადგან ცენტრალური ადგილი მიუჩინეს თეორიაში გაცვლითი კურსის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის საფუძვლიანობის საკითხს, თეორია გაცვლითი კურსის შესახებ ნათელს ჰყენებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც აღნიშნული საკითხის უკან მოქმედებენ.

თეორია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესახებ სიმბოლოებით გამოვხატოთ. დაეუშვათ, P არის იმ ტიპიური საქონლის კალათის ფასი დოლარით, რომელიც აშშ-ში იყიდება, და P იმავე კალათის ფასი გერმანიაში (ამიერიდან დაეუშვათ, რომ ერთიანი კალათა ზუსტად ზომავს ფულის მსყიდველობით უნარს ორივე ქვეყანაში). მაშინ, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ვარაუდით,

$$E_{usm} = P_{us} / P_c \tag{15-1}$$

თუ, მაგალითად, საქონლის ტიპიური კალათა ღირს 200 დოლარი აშშ-ში და 600 მარკა გერმანიაში, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პროგნოზის შესაბამისად, დოლარ/გერმანული მარკის გაცვლითი კურსის დროს, როდესაც 1 მარკა ღირს 0.33 დოლარი, მივიღებთ შემდეგს (= 200 დოლარი ერთ კალათაში/600 მარკა ერთ კალათაში). თუ აშშ-ს ფასების დონე გასამაგლებია (ე.ი. გვექნება: 600 დოლარი ერთ კალათაში), იგივე მოუვა გერმანულ მარკასაც დოლარის ფასით: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გულისხმობს, რომ 1 დოლარი უდრის 1 გერმანულ მარკას (= 600 დოლარი ერთ კალათაში/600 გერმანული მარკა ერთ კალათაში).

(15-1) ტოლობას თუ გადავაკეთებთ, მაშინ

$$P_{us} = (E_{usm}) \times (P_c),$$

მივიღებთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ალტერნატიულ ახსნას. ამ ტოლობის მარცხენა მხარე არის

საქონლის ტიპური კალათის ფასი დოლარის გამოსახულებით აშშ-ში; მარჯვენა მხარე არის გერმანიაში შესყიდული ტიპური საქონლის ფასი დოლარით (ანუ, მისი ფასი გერმანული მარკით, რომელიც გასამშავებელია დოლარის ამ გასამშავების შესაბამისად). ეს ორივე ფასი იდენტურია, თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნებული იქნება. ამდენად მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ადგენს, რომ ყველა ქვეყნის ფასების დონე ტოლია, როდესაც იგი შეფასებულია ერთი და იმავე ვალუტის გამოსახულებით.

შესაბამისად, ბოლო ტოლობის მარჯვენა მხარე წარმოადგენს დოლარის მსყიდველობით უნარს, როდესაც იგი იცვლება გერმანული მარკაზე და იხარჯება გერმანიის სახლებში. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შენარჩუნება ხდება, როდესაც, არსებული გაცვლითი კურსით, ყოველი ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობითი უნარი ყოველთვის ტოლია მისი მსყიდველობითი უნარისა სახლგარეგანეთ.

ურთიერთობა მსყიდველობითი უნარის პარიტეტსა და ერთი ფასის შესახებ კანონს შორის

მსყიდველობითი უნარის მტკიცება, მოკმეულია (15-1) ტოლობით, ჰგავს ერთი ფასის კანონს, რომელიც გეომეტრიკულად, რომ $E = P^i$ არის ნებისმიერი i საქონლისათვის. მაგრამ არსებობს განსხვავება მსყიდველობითი უნარის პარიტეტსა და ქრტი ფასის კანონს შორის. ეს უკანასკნელი ეხება ერთეულ საქონელს (როგორცაა i საქონელი). მსყიდველობითი უნარის პარიტეტი კი - სოციალად იმ დონეს, რაც ახასიათებს სტანდარტულ კალათას ყველა სახის საქონელზე ფასების ნარევის სახით. მაშინაც კი, როდესაც ერთი ფასის კანონი არ არის ძალაში ყოველი სახის საქონლისათვის, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ავტომატურად უნდა შენარჩუნდეს, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის საქონლის სტანდარტული კალათა. რომელიც გეომეტრიკულად შესაბამის ფასების დონეს, ერთი და იგივეა. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის დამცველები მოითხოვენ, რომ მისი სანდობა (განსაკუთრებით მისი, როგორც ხანგრძლივი პერიოდისათვის გამოსადეგი თეორიის სანდობა) არ საჭიროებს ერთი ფასის კანონის სუსტად დაცვას.

მაშინაც კი, როდესაც ერთი ფასის კანონი ვერ მოიცავს ყოველ ერთეულ საქონელს, ფასები და გაცვლითი კურსი მეტისმეტად არ უნდა დასცილდეს იმ ურთიერთობას, რომელიც ივარაუდა მსყიდველობითი უნარის პარიტეტში. როდესაც საქონელი და მომსახურება დროებით ერთ ქვეყანაში უფრო ძვირდება სხვა ქვეყნებთან შედარებით, მოთხოვნა მის ვალუტასა და პროდუქტისაზე ეცემა და მისი გაცვლითი კურსი და ადგილობრივი ფასები იხევს უკან, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად. თუ ადგილობრივი პროდუქტის შედარებით იაფია, ანალოგიურად ხდება ვალუტის კურსის გაზრდა და ფასების დონის ინფლაცია.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ადგენს, რომ მაშინაც კი, თუ ერთი ფასის კანონი ბოლომდე არ მოქმედებს, მის უკან არსებული ძალები დაგვეხმარება ყველა ქვეყნის ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათანაბრებაში.

აბსოლუტური და შედარებითი მსყიდველობითი უნარი

მტკიცებას იმის თაობაზე, რომ გაცვლითი კურსი ათანაბრებს შესადარი ფასების დონეებს (ტოლობა 15-1), სოგჯერ უწოდებენ აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტს. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი, რომლის მიხედვით, გაცვლის ნებისმიერი პერიოდისათვის, ორ ვალუტას შორის კურსის პროცენტული ცვლილება ტოლი უნდა იყოს ეროვნული ფასების დონეთა პროცენტულ ცვლილებებს შორის სხვაობისა. ამდენად, შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტს აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გადაჰყავს ფასებისა და ვალუტის კურსის დონეებიდან ფასისა და გაცვლითი კურსის ცვლილებათა სფეროში. ამასთან ადგენს, რომ ფასები და გაცვლის კურსები იცვლება იმგვარად, რომ ყოველი ვალუტის ადგილობრივი და უცხოური მსყიდველობითი უნარის შეფარდება შენარჩუნებული იყოს.

თუ აშშ-ს ფასების დონე აიწევს 10%-ით წელიწადში, გერმანიისა კი მხოლოდ 5%-ით, შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პროგნოზის შესაბამისად, დოლარის გაუფასურება მოხდება 5%-ით მარკასთან შედარებით, რაც უბრალოდ აუქმებს იმ 5%-ს, ე.ი. აშშ-ს ინფლაცია აჭარბებს გერმანიისას და ორივე ვალუტის ადგილობრივი თუ უცხოური შეფარდებითი მსყიდველობითი უნარი შეუცვლელი რჩება.

შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი აშშ-სა და გერმანიას შორის შემდეგნაირად უნდა ჩაუწეროთ:

$$\frac{(E_{\$DM,t} - E_{\$DM,t-1})/E_{\$DM,t-1}}{E_{\$US,t} - E_{\$US,t-1}} = \pi_{US,t} - \pi_{G,t} \quad (15-2)$$

სადაც $\pi = \pi$ აღნიშნავს ინფლაციის ტემპს (ანუ $\pi = (P - P')/P$), ფასების დონის პროცენტულ ცვლილებას t და $t-1$ თარიღებს შორის). აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტისგან განსხვავებით, შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დროის ინტერვალის გათვალისწინებით, რომლის განსაზღვრებაშიც ფასების დონე და გაცვლითი კურსი იცვლება.

რეალურად, ეროვნული მთავრობა თავს არ იწეებს ფასების დონის იმ მაჩვენებლების გამოთვლით, რომელსაც იგი აქვეყნებს საქონლის საერთაშორისო სტანდარტული კალათის გამოყენების საფუძველზე. აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტს აზრი არა აქვს, სანამ ორი კალათა, რომელთა ფასები ერთმანეთს ედრება (15-1) ტოლობით, ერთი და იგივეა. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ცნება მოსახერხებელია, როდესაც უნდა დავეყრდნოთ მთავრობის ფასების დონის სტატისტიკურ მონაცემებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაფასებლად. ლოგიკური აზრი აქვს გაცვლითი კურსების პროცენტული მაჩვენებლის შედარებას ინფლაციის დონეში არსებულ განსხვავებებთან (როგორც ეს ხედავთ იყო ნაჩვენები), თუნდაც მაშინ, როდესაც ქვეყნები იმ საქონლის კალათათა ფასების დონეს განიხილავენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დაფარვისა და მოხმარების ხარისხით.

შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შეიძლება სანდო იყოს მაშინ, როდესაც აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ნდობას არ იმსახურებს. თუ ფაქტორები, რომლებიც აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან გადახრას მეტ-ნაკლებად იწვევენ, მყარია დროთა განმავლობაში, პროცენტულმა ცვლილებებმა შესადარი ფასების დონეებში შეიძლება მიახლოებით ასახოს პროცენტული ცვლილებები გაცვლით კურსში.

ხანგრძლივი პერიოდში გაცვლითი კურსის მოდელი, დაფუძნებული მსყიდველობითი უნარის პარიტეტზე

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიას, როდესაც იგი შეხამებულია ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურასთან (რაც მე-14 თავში განვიხილეთ), მიყვარათ შემდეგი პროცესის გარკვევისაკენ – გაცვლითი კურსი და ფულად-საკრედიტო ფაქტორები როგორ ურთიერთმოქმედებენ ხანგრძლივ პერიოდში. ის ფაქტორები, რომლებიც სუბაქსტრუქტურულად არ ახდენენ ფულის მასაზე ან მოთხოვნაზე, მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ ამ თეორიაში. მათი გამოყენება ცნობილია, როგორც *ფულად-საკრედიტო მიდგომა გაცვლითი კურსის მიმართ*. ასეთი მიდგომა იქნება პირველი ნაბიჯი ამ თავში გაცვლითი კურსების გრძელვადიანი თეორიის განხილვის პროცესში.

ჩვენი შეხედულებით, ფულად-საკრედიტო მიდგომა ხანგრძლივ და არა ხანმოკლე პერიოდზე გათვლილი თეორიაა, რადგან იგი არ ითვალისწინებს ფასების არაელასტიურობას, რაც მნიშვნელოვანია მოკლევადიანი მაკროეკონომიკური განვითარების (ეკონომიკური დასაქმებისა და დასაქმების) ასახვად. ფულად-საკრედიტო მიდგომა ისე წარმართება, თითქოს ფასებს შეეძლოთ დაუყოვნებლივ რეგულირება როგორც სრული დასაქმების, ასევე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესანარჩუნებლად. აქ, ისევე როგორც წინა თავში, სადაც ევხებოდით ცვლადის „გრძელვადიან“ ღირებულებას, მხედველობაში გვაქვს ცვლადის წონასწორული ღირებულება სრულყოფილად ელასტიური გამოშვებისა და ფაქტორული საბაზრო ფასების მქონე პიპოთეტურ სამყაროში. ეკონომისტებს შორის სერიოზული უთანხმოებას იწვევენ ფასების დონის სტაბილურობის წყაროები, რომელთაგან, ზოგის შეხედულებით, ფასები და ხელფასები არაელასტიურია და დაუყოვნებლივ ეკუთვნის ბაზრების დამახასიათებელ რეგულირებას. ხედავთ ნახსენები სკოლის ეკონომისტის აზრით, ამ თავში მოცემული მოდელები ასახავენ ეკონომიკის მოკლევადიან ქცევას, როცა ფასების დონის შეგუება სინქარე ისე სწრაფად ხდება, რომ ოდესმე არანაირ მნიშვნელოვან უმუშევრობას არ ექნება ადგილი.

ფულად-საკრედიტო მიდგომის ძირითადი ტოლობა

დოლარ/მარკის გაცვლით კურსთან დაკავშირებული ფულად-საკრედიტო მიდგომის პროგნოზების განსახილველად დავეუშვებთ, რომ ხანგრძლივ პერიოდში უცხოური ვალუტის ბაზარი ამ კურსს ადგენს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შენარჩუნების პირობით (იხ. 15-1 ტოლობა):

$$E_{\$/DM} = P_{US} / P_G$$

სხვა სიტყვებით: დავეუშვებთ, რომ სემოთ მოცემული ტოლობა ქმედითია ისეთ სამყაროში, სადაც გამორიცხულია ბაზრის არაელასტიურობა, რომელიც ხელს შეუშლის გაცვლით კურსსა და სხვა ფასებს, რათა ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ შეეგუონ სრული დასაქმების შესატყვის დონეებს. წინა თავში (14-5) ტოლობამ გვიჩვენა, თუ როგორ შეგვიძლია ავსნათ ადგილობრივი ფასების დონე ადგილობრივ ფულზე მოთხოვნითა და მიწოდებით. აშშ-ში:

$$P_{US} = M_{US}^s / L(R, Y)_{US} \quad (15-3)$$

გერმანიაში:

$$P_G = M_G^s / L(R, Y)_G \quad (15-4)$$

როგორც აღრე, აქაც გამოვიყენებთ M^s სიმბოლო ქვეყანაში ფულის მასისა და $L(R, Y)$ ერთობლივ რეალურ ფულზე მოთხოვნის აღსანიშნავად; ეს მოთხოვნა მცირდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მატულობს

და იზრდება. როდესაც რეალური გამოშვება ფართოვდება.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მტკიცების შესაბამისად, (15-1) ტოლობაში გერმანული მარკის ფასი (დოლარით) უბრალოდ არის აშშ-ს გამოშვების ფასი (დოლარით). რომელიც გაყოფილია გერმანული გამოშვების ფასზე – მარკით. ფასების ეს ორი დონე, თავის მხრივ, სრულად განისაზღვრება თითოეული ქვეყნის ფულის მიწოდებითა და მასზე მოთხოვნით: აშშ-ს ფასების დონე არის აშშ-ს ფულის მიწოდება შეფარდებული აშშ-ს რეალურ ფულზე მოთხოვნასთან (რაც ნაჩვენებია (15-3) ტოლობით) და შესაბამისად, გერმანიის ფასების დონე არის გერმანული ფულის მასა – შეფარდებული გერმანულ რეალურ ფულზე მოთხოვნასთან (რაც ნაჩვენებია (15-4) ტოლობით). ფულად-საკრედიტო მიდგომა ახდენს ძირითად პროგნოსტიკურას იმის შესახებ, რომ გაცვლითი კურსი, რომელიც არის ამერიკული და გერმანული ფულის ურთიერთშესადარი ფასი, სრულად განისაზღვრება ხანგრძლივ პერიოდში ფულის შედარებითი მასითა და შედარებითი რეალური მოთხოვნით. საპროცენტო განაკვეთებისა და გამოშვების დონეების გადაადგილებები ზემოქმედებენ გაცვლით კურსზე მხოლოდ თავიანთი გავლენის მეშვეობით ფულის მოთხოვნაზე.

გარდა ამისა, ფულად-საკრედიტო მიდგომას გაცვლით კურსზე ფულის მასის, საპროცენტო განაკვეთებისა და გამოშვების დონის ცვლილებების გრძელვადიანი შედეგების შესახებ შემდეგი სპეციფიკური ვარაუდებიც აქვს შემოქმედებული:

1. **ფულის მასა.** სხვა თანაბარ პირობებში, აშშ-ს M^s ფულის მასის მუდმივი ზრდა იწვევს ადგილობრივი ფასების დონის P -ის პროპორციულ ზრდას ხანგრძლივ პერიოდში (იხ. (15-3) ტოლობა). რადგან მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში $E = P/P^*$, E მაინც მატულობს ხანგრძლივ პერიოდში აშშ-ს ფულის მასის ზრდის პროპორციულად (მაგალითად, თუ M^s იზრდება 10%-ით, P და E – ორივე, ასევე მატულობს 10%-ით, ამდენად, აშშ-ს ფულის მასის ზრდა იწვევს დოლარის ხანგრძლივ პროპორციულ გაუფასურებას გერმანულ მარკასთან შედარებით. სამაგიეროდ, (15-4) ტოლობა გვიჩვენებს, რომ გერმანული ფულის მასის გადიდება იწვევს გერმანული ფასების დონის ხანგრძლივ პროპორციულ ზრდას. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში ფასების ეს დონე ფულის მასის დოლარის კურსის გაზრდას ხანგრძლივ პერიოდში მარკასთან შედარებით (რაც იგივეა, რაც გერმანული მარკის პროპორციული გაუფასურება დოლართან შედარებით).
2. **საპროცენტო განაკვეთები.** დოლარით დენომინირებული აქტივების R საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს აშშ-ს რეალურ ფულზე მოთხოვნას $L(R, Y)$. ხანგრძლივ პერიოდში აშშ-ს ფასების დონე მატულობს (იხ. (15-3) ტოლობა), რომლის პროპორციულად მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში დოლარი უფასურდება მარკასთან შედარებით. გერმანული მარკით დენომინირებული აქტივების R საპროცენტო განაკვეთის ზრდა საპირისპიროდ მოქმედებს გრძელვადიან გაცვლით კურსზე. რადგან რეალურ გერმანულ ფულზე მოთხოვნა $L(R^*, Y^*)$ ეცემა, გერმანიის ფასების დონე იზრდება (15-4 ტოლობით). მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში, დოლარის კურსი უნდა გაიზარდოს გერმანულ მარკასთან შედარებით ადგილობრივი ფასების დონის ზრდის პროპორციულად.
3. **გამოშვების დონეები.** აშშ-ს გამოშვების ზრდა ადიდებს მის რეალურ ფულზე მოთხოვნას $L(R, Y)$, რასაც მიყვავართ (15-3) ტოლობის შესაბამისად) ადგილობრივი ფასების დონის გრძელვადიანი შემცირებისაკენ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად, დოლარის კურსი იმატებს გერმანულ მარკასთან შედარებით. გერმანული გამოშვების ზრდა სიმეტრიულად ადიდებს $L(R, Y)$ -ს და (15-4 ტოლობით) იწვევს გერმანიის გრძელვადიანი ფასების დონის შემცირებას მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ვარაუდობს, რომ ასეთი პროცესი გააუფასურებს დოლარს გერმანულ მარკასთან შედარებით.

ამ პროგნოზებს რომ ნაქველდო, გაიხსენოთ ფულად-საკრედიტო მიდგომა, რომელიც ნებისმიერი ხანგრძლივი პერიოდის თეორიის მსგავსად, არსებითად უშუალოდ ფასების დონის ისევე სწრაფად რეგულირებას, როგორც გაცვლითი კურსი. მაგალითად, აშშ-ს რეალური გამოშვების ზრდა ადიდებს ოპერაციების მოთხოვნას ამავე ქვეყნის რეალური ფულის ნაშთზე. ფულად-საკრედიტო მიდგომის შესაბამისად, აშშ-ს ფულის დონე დაუყოვნებლივ ეცემა, რასაც უნდა მოჰყვეს ბაზრის მარკულირებული ზრდა რეალური ბალანსის მიწოდებაში. მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ნიშნავს იმას, რომ ამერიკული ფასის უცვლელ დეფლაციას ახლავს დოლარის კურსის გააძვირება უცხოური ვალუტის ბაზრებზე.

ფულად-საკრედიტო მიდგომას მიყვავართ შედეგთან (მე-14 თავი): ქვეყნის ვალუტის ღირებულება გამოხატული უცხოური ვალუტით ხანგრძლივ პერიოდში მოძრაობს ადგილობრივი ფულის მასის პროპორციულად (ზემოთ მოცემული 1 პროგნოზი). აღნიშნულ მიდგომაში ასევე წარმოიხილია ერთგვარი პარადოქსი (11 პროგნოზი). ჩვენს ადრეულ მაგალითებში ეოკლეტოვის ეხედავდით, რომ ვალუტის კურსი იწვევს მაშინ, როდესაც მისი საპროცენტო განაკვეთი იზრდება უცხოურ საპროცენტო განაკვეთებთან შეფარდებით. ახლა კი სრულიად საწინააღმდეგო დასკვნა მივიღეთ – ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის ზრდა აუფასურებს ამ ქვეყნის ვალუტას მის ფულზე რეალური მოთხოვნის შემცირებით.

მე-13 თავის ბოლოს გააფართოვდით, რომ არცერთი ანგარიში იმის შესახებ, თუ საპროცენტო განაკვეთების შეცვლა როგორ ზემოქმედებს გაცვლით კურსზე, არ იქნება სრულყოფილი მანამ, სანამ სუსტად არ განესაზღვრავთ, თუ რატომ შეიცვალა ეს საპროცენტო განაკვეთები. ეს განსაზღვრა ახლის ჩვენი აღმოჩენების ახლახან ხაზგასმულ აშკარა წინააღმდეგობას საპროცენტო განაკვეთებთან და გაცვლით კურსთან

დაკავშირებით. ამ ამოცანის ამოსახსნელად უფრო დეტალურად უნდა შევამოწმოთ, თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და საპროცენტო განაკვეთები როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ხანგრძლივ პერიოდში.

მიმდინარე ინფლაცია, საპროცენტო პარიტეტი და მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

ბოლო თავში ჩვენ ვნახეთ, რომ ქვეყნის ფულის მიწოდების ტემპის მუდმივი ზრდის საბოლოო შედეგია ფასების დონის პროპორციული მატება. მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს საპროცენტო განაკვეთის ან რეალური გამოშვების ღირებულებებზე ხანგრძლივ პერიოდში. ფულის ერთჯერადი მიწოდების მოფიქრებული შეცვლა სასარგებლოდ მოქმედებს ხანგრძლივ პერიოდში ფულის ეფექტებზეც, მაგრამ ეს პროცესი არ იქნება ისე რეალური, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. უფრო ხშირად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები არჩევენ ფულის მასის ზრდის ტემპს, ვთქვათ 5, 10 ან 15 პროცენტს წელიწადში და შემდეგ ფულის მასას აძლევენ თანდათანობით, მცირე, მაგრამ ხშირი მატების საშუალებას. როგორია ხანგრძლივი პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები, რაც ფულის მასის თანდათანობითი პოზიტიური ზრდის საშუალებას იძლევა?

მე-14 თავში მოყვანილი დასაბუთების შესაბამისად, ფულის მასის უწყვეტი ზრდა მოითხოვს ფასების დონის უწყვეტ მატებას – ანუ, სახესუა მიმდინარე ინფლაცია. რადგან ფირმები და მეშეები ებღაუჭებიან იმ ფაქტს, რომ ფულის მასა მეარად იზრდება (ვთქვათ, არსებული 10%-ით წლიური განაკვეთით), ისინი შეეგუებიან ფასებისა და ხელფასების იმავე 10%-იან მომატებას ყოველ წელს, რითაც მუდმივად შეინარჩუნებენ რეალურ შემოსავალს. სრულდასაქმებელი გამოშვება დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორების მიწოდებაზე. ადვილად დასაშვებია, რომ ფულის მასის მუდმივი ზრდის ნორმასთან დაკავშირებული სხედასხვა არჩევანი გავლენას არ ახდენს ხანგრძლივ პერიოდში ფაქტორის მიწოდებასა და ამდენად, გამოშვებაზე. სხვა თანაბარ პირობებში, ფულის მასის მუდმივი ზრდის შედეგია ფასების დონის მიმდინარე ინფლაცია, მაგრამ გაცვლითი კურსი ხანგრძლივი პერიოდის ინფლაციის დროს შემოქმედებას არ ახდენს სრული დასაქმების პირობებში გამოშვების დონეზე ან საქონლისა და მომსახურების შესადარ ფასებზე.

საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულად მაინც დამოკიდებულია ფულის მასის ზრდაზე ხანგრძლივ პერიოდში, საპროცენტო განაკვეთი კი ამავე ვადაში არ არის დამოკიდებული ფულის მასის აბსოლუტურ დონეზე; ფულის მასის მუდმივი ზრდა საბოლოოდ ზეგავლენას მოახდენს საპროცენტო განაკვეთზე. უადვილესი გზა იმის დასაჩვენებლად, თუ ინფლაციის მუდმივი ზრდა როგორ ახდენს შემოქმედებას საპროცენტო განაკვეთზე ხანგრძლივ პერიოდში, არის მსყიდველობითი უნარის პარიტეტისა და საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის ერთიერთობა, რასევე ავაგეთ გაცვლითი კურსის განსაზღვრების წინა ანალიზი.

როგორც ეს წინა ორ თავში იყო ნაჩვენები, აქტივებს შორის საპროცენტო პარიტეტის პირობა დოლარით და გერმანული მარკით აქტივებს შორის არის:

$$R_s = R_{DM} + (E'_{SDM} - E_{SDM}) E / E_{SDM}$$

გაეისხნოთ ტოლობა (13-2) და ვიკითხოთ, თუ პარიტეტის ეს უნარი, რომელიც ერთნაირი უნდა იყოს ხანგრძლივ და ხანმოკლე პერიოდში, როგორ ესადაგება მსყიდველობითი უნარის პარიტეტს, რომელსაც დაეუძვებთ ხანგრძლივი პერიოდის მოდელში. შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად, დოლარ/გერმანული მარკის კურსის პროცენტული ცვლილება მომავალი წლისათვის, ვთქვათ, ტოლი იქნება იმ წელს აშშ-სა და გერმანიის ინფლაციის დონეებს შორის არსებული განსხვავებისა (იხ. ტოლობა 15-2). რადგან ადამიანებს გააზრებული აქვთ ეს ერთიერთობა, ისინი ნამდვილად მოელოან, რომ პროცენტით გამოსახული გაცვლითი კურსის შეცვლის დონე უნდა გაუტოლდეს აშშ-გერმანიის ინფლაციის დონეებს შორის არსებულ განსხვავებას. საპროცენტო პარიტეტის პირობა ახლა მიგვანიშნებს შემდეგზე: თუ ადამიანები მოელოან შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შენარჩუნებას, მაშინ განსხვავება დოლარითა და გერმანული მარკით გამოსახული დეპოზიტების მიერ შემოთავაზებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის ტოლი იქნება აშშ-სა და გერმანიაში ინფლაციის მომავალ დონეებს შორის განსხვავებისა.

დამატებითი ფორმალური გამოსახველობა დაგვცხმარება, ეს დასკვნა ნათლად გაეგოს. თუ P^* არის ქვეყანაში ფასების მოსალოდნელი დონე დღეიდან ერთი წლის მანძილზე იმ ქვეყანაში, ინფლაციის საყარაულო დონე – π , იქნება ფასების დონის პროცენტული ზრდის ტოლი მომავალი წლის მანძილზე, ანუ

$$\pi = (P^* - P)/P.$$

თუ შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნდება, ბაზრის მონაწილეების იმედი შეიძლება შემდეგნაირად გამოესახოს: (15-2) ტოლობაში შევანაცვლოთ რეალური გაუფასურებისა და ინფლაციის დონეები იმ ღირებულებებით, რომელთა განხორციელებასაც მოულის ბაზარი საპროცენტო პარიტეტის პირობასთან ერთიერთობაში:

$$(E_{DM}^* - E_{DM}) \cdot E_{DM} = \pi_{US}^* - \pi_G$$

შედარებითი მსყიდველობითი უნარის „მოსალოდნელი“ კურსის კომბინირებით გვექნება:

$$R_s = R_{DM} + (E_{DM}^* - E_{DM}) \cdot E_{DM}$$

ე.ი. ნუნ მსყიდველთ ფორმულას, რომელიც გამოხატავს საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის განსხვავებას მოსალოდნელი კრიზისული ინფლაციის დონეებს შორის:

$$R_s - R_{DM} = \pi_{US}^* - \pi_G \quad (15-5)$$

თუ, როგორც ამას მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გვიჩინავს წარმეტყველებს, ვალუტის გაუფასურებამ უნდა აანაზღაუროს საერთაშორისო ინფლაციის დონეებს შორის განსხვავება (დოლარის მოსალოდნელი გაუფასურების დონე იქნება $\pi^* - \pi$), საპროცენტო განაკვეთში განსხვავება მოსალოდნელი ინფლაციის დონეებში განსხვავების ტოლი უნდა იყოს.

ფიშერის ეფექტი

(15-5) ტოლობა გვიჩვენებს ხანგრძლივი პერიოდის ურთიერთობას მიმდინარე ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის, რაც გვეჩვენებს სავალუტო მიდგომის ვარაუდის ასახსნელად იმის შესახებ, თუ საპროცენტო განაკვეთები როგორ უმოქმედებს ხდენენ გაცვლით კურსზე. ტოლობიდან ჩანს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ინფლაციის დონის მოსალოდნელი ზრდა გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის ტოლფას ზრდას, რასაც დეპოზიტები გეათვაზობენ თავიანთი ვალუტით. მსგავსად ამისა, ინფლაციის მოსალოდნელი დონის შემცირება არსებითად გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებასაც.

ხანგრძლივი ურთიერთობას ინფლაციასა და საპროცენტო განაკვეთებს შორის ეწოდება *ფიშერის ეფექტი*. რას ნიშნავს ეს უკანასკნელი? მაგალითად, აშშ-ს ინფლაციის დონე წელიწადში თანდათანობით უნდა გაზრდილიყო 5%-დან 10%-მდე, დოლარის საპროცენტო განაკვეთი მიჰყვებოდა ინფლაციის უფრო და უფრო მატებას და 5%-ით გაზრდიდა თავის საწყის დონეს წელიწადში. ეს ცვლილებები არ შეეხებოდა დოლარის დეპოზიტების უკუგების რეალურ ნორმას, გამოსახულს აშშ-ს საქონლითა და მომსახურებით. ფიშერის ეფექტი არის ზოგადი თეორიის მეორე მანქანებელი, რომ ხანგრძლივი პერიოდში წმინდა ფულად-საქრედიტო განვითარება არ მოახდენს რაიმე გაუქმებას ეკონომიკის შესადარ ფასებზე.

ფიშერის ეფექტი, ალბათ, მოიაზრება პარადოქსული ფულად-საქრედიტო მიდგომის პროგნოზის უკან – რომელიმე ვალუტა უფასურდება უცხოური ვალუტის ბაზარზე, როდესაც მისი საპროცენტო განაკვეთი მატიულობს უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. ხანგრძლივი პერიოდში ფულად-საქრედიტო მიდგომით წონასწორობა – ადგილობრივი და უცხოურ საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული განსხვავების ზრდა, მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილობრივი ინფლაციის მოსალოდნელი დონე იზრდება უცხოური ინფლაციის სავარაუდო მანქანებელთან შეფარდებით. ეს, რასაკვირველია, არ ხდება ხანმოკლე ვადაში, როდესაც ადგილობრივი ფასები მყარია. ხანმოკლე ვადაში (იხ. მე-14 თავი) საპროცენტო განაკვეთი შეიძლება გაიზარდოს, თუ ადგილობრივი ფულის მასა მცირდება, რადგან ადგილობრივი ფასების მყარი დონე იწვევს ჭარბ მოთხოვნას რეალური ფულის ბალანსზე დაწესებული საწყისი საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ფულად-საქრედიტო მიდგომის პირობებში, ელასტიური ფასების დონე დაუყოვნებლივ მცირდება და ამიტომ საპროცენტო განაკვეთის დონის შეცვლაც საჭირო აღარ არის.

ფულად-საქრედიტო მიდგომის დროს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის ურთიერთქმედებას უკეთ გავიგებთ, თუ განვიხილავთ მაგალითს, რომელშიც ილუსტრირებულია შემდეგი – ეს მიდგომა მდგრადი საპროცენტო განაკვეთების სწრაფ ზრდას რატიმ უკავშირებს ვალუტის როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ გაუფასურებას, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთის მკვეთრ დაცემას – კურსის გაზრდას.


წარმოიდგინეთ, t -ს დროს ფედერალური რეზერვი უეცრად ადრდება აშშ-ს ფულის მასას π -დან $\pi + \Delta\pi$ დონემდე. 15-1 გრაფიკი გვიჩვენებს, ეს ცვლილება როგორ უმოქმედებს ახდენს E_{DM} გაცვლით კურსზე, აგრეთვე აშშ-ს სხვა ცვლილებებზე ფულად-საქრედიტო მიდგომის განსხვავებული დამსახურების პირობებში. გრაფიკების გასამარტივებლად დაუშვებთ, რომ ინფლაციის დონე გერმანიაში მუდმივად ნულის ტოლია.

15-1ა გრაფიკი გვიჩვენებს აშშ-ს ფულის მასის უეცარ აქსელერაციას t დროში (პორიზონტალური ღერძები ისეა დახასხული, რომ მათი უწყვეტი დახრილობა გამოხატავს ცვლილების მუდმივ პროპორციულ ზრდას). პოლიტიკის შეცვლა მომავალში გამოიწვევს ვალუტის უფრო სწრაფ გაუფასურებას: მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში დოლარი გაუფასურდება $\pi + \Delta\pi$ ტემპით და არა უფრო დაბალი π ტემპით. საპროცენტო პარიტეტი მითითებს დოლარის საპროცენტო განაკვეთის მომატებას, რაც ნახევრებია 15-1ბ გრაფიკში). საწყისი R^1 დონიდან ახალ დონემდე რასაც მოჰყვება დოლარის მოსალოდნელი ჭარბი გაუფასურება, $R^2 = R^1 + \Delta\pi$ (იხ. ტოლობა 15-5). აღსანიშნავია, რომ ეს რეგულირება გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთზე $\Delta\pi$ (იხ. ტოლობა 15-5). აღსანიშნავია, რომ ეს რეგულირება გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთზე შეუცვლელს ტოვებს: მაგრამ რადგან გერმანიის ფულის მასა და გამოშვება არ შეცვლილა, მისი მარკის

საწყისი საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივი ფულის ბაზარზე წონასწორობას შეინარჩუნებს.

15-1ა გრაფიკზე ჩანს, რომ ფულის რეალური მასის ოდენობა რეალურად არ ადის t დონემდე, იცვლება მხოლოდ მომავალი ზრდის ტემპი. რადგან ფულის მასა უშუალოდ არ იზრდება, სამაგბეროდ საპროცენტო განაკვეთი მატულობს და ფულზე მოთხოვნა მცირდება, სახეზე უნდა იყოს რეალური ფულის ნაშთის გაზრდილი მასა იმ ფასების დონეზე, რომელიც ჭარბობდა t -მდე. პოტენციური ჭარბი მიწოდების დროს აშშ-ს ფასების დონე აყარდება t -მდე (იხ. 15-1გ გრაფიკი), რაც შუამცირებს რეალური ფულის მასას ისე, რომ იგი კვლავ გააქტივდება რეალურ ფულზე მოთხოვნას (იხ. ტოლობა 15-3). P -ის მომატებასთან ერთად t დროის წერტილში 15-1დ გრაფიკი გვიჩვენებს იმავდროულ პროპორციულ ნახტომს ზევით E_{DM} -ში, რაც იგულისხმება მსყიდველობითი უნარის პარიტეტით.

გრაფიკი 15-1 აშშ-ს ეკონომიკური ცვლადების გრძელვადიანი დროის ტრაექტორიები აშშ-ს ფულადი მასის მუდმივი ზრდის შემდგომ



როცა ფულის მასის ზრდის ტემპი იზრდება t დროის მანძილზე (რაც გამოსახულია ა გრაფიკზე), საპროცენტო განაკვეთი (ბ გრაფიკზე), ფასის დონე (გ გრაფიკზე), გაცვლითი კურსი (დ გრაფიკზე) გადაინაცვლებს ახალი გრძელვადიანი წონასწორობისაკენ (ფულის მასა, ფასის დონე და გაცვლითი კურსი იზომება ლოგარითმული მასშტაბით, რაც ცვლადებს, რომლებიც იცვლებიან მუდმივი პროპორციული ტემპით, გადააქცევს სწორ ხაზებად, როცა გრაფიკები დამოკიდებულნი არიან დროზე. ხაზის დაქანება უტოლდება ცვლადის პროპორციული ზრდის ტემპს).

როგორ შეგვიძლია გამოვსახოთ უცხოური ვალუტის ბაზრის რეაქცია t დროში? მოტანილ მაგალითში დოლარის საპროცენტო განაკვეთი იზრდება არა ფულის მასის ან მასზე მოთხოვნის არსებული დონის შეცვლის გამო, არამედ იმიტომ, რომ ადამიანები მოელიან ფულის მასის გადოდებას და დოლარის გაუფასურებას მომავალში, რადგან ინვესტორები ამ პროცესს, პასუხობენ უცხოური დემოზიტების არჩევანით, რომლებიც სთავაზობენ უფრო მაღალ მოსალოდნელ უკუგებას; ამით დოლარი მეკეთრად უფასურდება უცხოური ვალუტის ბაზარზე. იგი იწვევს მოძრაობას ახალი მიმართულებით, რომლის გასწვრივაც გაუფასურება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ეს იყო t დროში.

აღსანიშნავია ფასების დონის რეგულირების სისწრაფის შესახებ არსებული სხვადასხვა ვარაუდი, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ურთიერთქმედების საპირისპირო პოროგნოზამდე. ფულის მასის შემცირების შესახებ მაგალითში (მეორე ფასების დროს) ნაჩვენებია, რომ საპროცენტო განაკვეთის გაზრდა საჭიროა ფულის ბაზრის წონასწორობის დასაცავად, რაკი ფასები მალე კვლავ შეინარჩუნებენ თავიანთ დონეს, რაც დაუყოვნებლივ დაეცემა ფულის მასის შემცირების საპასუხოდ. მეორე ფასების ამ მაგალითში საპროცენტო განაკვეთის ზრდა დაკავშირებულია ვალუტის კურსის ზრდის ხანგრძლივ პერიოდთან და მის შესაბამის უფრო დაბალ საპროცენტო განაკვეთთან. ასე რომ, საჭიროა ვალუტის კურსის დაუყოვნებლივი გაძვირება. ფულად-საკრედიტო მიდგომის ჩვენებულ მაგალითში (ფულის მასის გადოდება) საპროცენტო განაკვეთის მომატება დაკავშირებულია უფრო მაღალ მოსალოდნელ ინფლაციასთან და ვალუტასთან, რომელიც მომავალში კიდევ უფრო დასუსტდება. ამის შედეგი იქნება ვალუტის კურსის გაძვირება.

საპროცენტო განაკვეთის ეს ურთიერთსაპირისპირო ცვლილებები იძლევა ადრეულ გაფრთხილებას, რომ საპროცენტო განაკვეთზე დაფუძნებული გაცვლითი კურსის მდგომარეობით უნდა აიხსნას ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები. ამ ფაქტორებს შეეძლიათ იმავდროულად სემოქმედება მოახდინონ მოსალოდნელ გაცვლით კურსზე და გადამწყვეტი როლი შეასრულონ უცხოური ვალუტის ბაზრის საპასუხო მოქმედებაზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ.

15-2 გრაფიკში მოცემულია ფიშერის ეფექტის მთავარი, გრძელვადიანი პროგნოზი. იგი წარმოგვიდგენს სამი ქვეყნის: შვეიცარიის, იტალიისა და აშშ-ს (1970-იანი წლების შემდგომ განსხვავებული ინფლაციის

გამოცდილების მქონეთა) ინფლაციის დონეს და საპროცენტო განაკვეთებს. თითოეულ ამ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის დონის ზრდის კვალდაკვალ მიდრეკილია გადიდებისკენ, რადგან ფასები რეგულირდება და ხალხი ემზადება მომავალში ინფლაციის უფრო მაღალ დონესთან შესახვედრად. ინფლაციის დონის შემცირება არსებითად ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს; მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების საშუალო დონე ყველაზე დაბალია შეიციარიაში (სადაც ინფლაცია სუსტია) და ყველაზე მაღალია იტალიაში (სადაც ინფლაცია ძლიერია).


ფიშერის ეფექტი შეიძლება მართებული იყოს 'სოგადად, ხოლო მსყიდველობითი უნარის პარიტეტი – არა. ამიტომ 15-2 გრაფიკში მოტანილ მტკიცებებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დასტურად ვერ მივიჩნევთ.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ემპირიული დაგამტკიცებელი საბუთები და კანონი ერთი ფასის შესახებ

როგორ ხსნის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია რეალურ მონაცემებს გაცვლითი კურსისა და ეროვნული ფასების დონეების შესახებ? მოკლე პასუხი ის არის, რომ ყველა ვერსია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის შესახებ ცუდად ხსნის ფაქტებს. კერძოდ, ეროვნული ფასების დონის ცვლილებები ხშირად ცოტას ან არაფერს გვეუბნება გაცვლითი კურსის მოძრაობაზე.

ამოდ მაინც არ გვიცდია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესწავლა. როგორც ამას მოგვიანებით დავინახავთ, მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არის გაცვლითი კურსის მოდელის ძირითადი ბირთვი; იგი უფრო რეალურია, ვიდრე ფულად-საკრედიტო მიდგომა. რასაკვირველია, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ემპირიული წარუმატებლობა მნიშვნელოვან გასაღებს გვაძლევს იმის სასარგებლოდ, თუ როგორ უნდა დადგინდეს უფრო გამოსადეგი მოდელები.

გრაფიკი 15-2 ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები შეიციარიაში, აშშ-სა და იტალიაში, 1970-1994



ინფლაცია და საპროცენტო განაკვეთები წარმოგვიდგენენ ერთად მოძრაობის გრძელვადიან ტენდენციას, როგორც ამას ფიშერის ეფექტი გვიჩვენებს.


აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გამოსაცდელად ეკონომიკის მკვლევარებმა ურთიერთს შეადარეს საქონლის გაფართოებული სტანდარტული კალათის საერთაშორისო ფასები, ფრთხილად არეგულირებდნენ რა ერთნაირი საქონლის სავარაუდო ხარისხობრივ განსხვავებებს ქვეყნებს შორის. ამ შედარებების საფუძველზე დაასკვნეს, რომ აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შორს დგას ფასების დაწესებისაგან; ერთნაირი საქონლის კალათის ერთიან ვადეუტაში გადაყვანილი ფასები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი ფასის კანონიც კი კარგად არ მოერგება ბოლო გამოკვლევათა მონაცემებს, რომლებიც უხება ფასებს საქონლის სახეების მიხედვით. 1970-იანი წლების დასაწყისიდან

ერთნაირი სამრეწველო საქონელი მეტად განსხვავებული ფასებით იყიდება სხვადასხვა ბაზრებზე. რადგან არგუმენტი, რომელსაც მიჟეკაროთ აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტისკენ, ემყარება ერთი ფასის კანონს, გასაკვირი არ არის, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი კარგად არ ეხადაგებოდეს აღნიშნულ მონაცემებს.

შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ერთგვარად ახლოა ამ მონაცემებთან. მაგრამ ეს ერთიერთობაც ნეულებრივ ცუდად ხორციელდება. 15-3 გრაფიკში ილუსტრირებულია შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის სისუსტე. გრაფიკზე თავმოყრილია როგორც E_{US} გაცვლითი კურსი, ასევე P_{US}/P_G აშშ-სა და გერმანიის ფასების დონის შეფარდება. ფასების დონე გასომილია ამ ორი ქვეყნის მთავრობების მიერ დადგენილი ინდექსებით. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პროგნოზის შესაბამისად, E_{US} და P_{US}/P_G პროპორციულად უნდა მოძრაობდეს და, როგორც გრაფიკიდან ჩანს, ეს ასეც ხდებოდა მეტნაკლებად 1970-იან წლებში. მაგრამ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი მთლიანად დაიყო 1970-იანი წლების შემდეგ, როდესაც 1970-73 წლებში დოლარი მკვეთრად გაუფასურდა. ამ პროცესში აშშ-ს ფასებმა მკვირვალენ დაიკლო გერმანიის ფასებთან შედარებით. 1970-1979 წლებში მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ოდნავ უფრო წარმატებული იყო. რამდენადაც აშშ-ს ფასები გაიზარდა გერმანიის ფასებთან შეფარდებით, დოლარიც (ყველა ამ წლის განმავლობაში ერთის გარდა) უფრო გაუფასურდა, ვიდრე გერმანული მარკა. დოლარის გაუფასურების ხარისხი 1973-79 წლებში გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ამას წინასწარმეტყველებდა შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი.

შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დრამატულ დარღვევებს ადგილი ჰქონდა 1979 წლის შემდეგ. იმ წლებში დოლარმა პირველად გაუძლო მასიურ გაუფასურებას გერმანულ მარკასთან შეფარდებით, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ფასების დონე კვლავაც იზრდებოდა, ვიდრე გერმანიის ფასები. დოლარი გაუფასურდა გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ამას მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ეარაუდებდა. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი მოიცავს 1964-83 წლების მთლიან პერიოდს. ამ ორი ათწლეულის პერიოდში, დოლარ/გერმანული მარკის გაცვლითი კურსის პროცენტული ზრდა ძალიან ახლოს იყო აშშ-ს ფასების დონის პროცენტულ მატებასთან გერმანიის ფასების დონესთან მიმართებაში. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან ფართო გადახვევას ადგილი ჰქონდა 1964-83 წლების ხანგრძლივი ქვეპერიოდების დროს, როცა მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შესულუდულად გამოიყენებოდა. ეს პროცესი შეიძლება გამოდგეს გაცვლითი კურსის ხანგრძლივი მოძრაობის ასახსნელად.

გრაფიკი 15-3 დოლარ/გერმანული მარკის გაცვლითი კურსი და აშშ /გერმანიის ფასის შეფარდებითი დონეები, 1964-1994



გრაფიკი გვჩვენებს, რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არ ხსნის დოლარ/გერმანული მარკის გაცვლით კურსს 1970 წლის შემდეგ.

სხვა ვალუტების მოძრაობის კვლევები ფართოდ ადასტურებენ 15-3 გრაფიკის შედეგების სისწორეს. 1970-იანი წლებიდან შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ფუნქცია დასუსტებულია, მაგრამ 1960-იანი წლებიდან ის უკვე სარწმუნო მანველებელია გაცვლით კურსსა და ეროვნული ფასების დონეებს შორის. ამ წიგნში ნახვენები იქნება, რომ 1945 წლის II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდსა და 1970-იან წლებს შორის გაცვლითი კურსი ფიქსირებული იყო საერთაშორისო შეთანხმებულ ვიწრო სასღვრებში ცენტრალური ბანკების ინტერვენციის მეშვეობით უცხოური ვალუტის ბაზარზე. 1920-იანი წლების I ნახევარში გაცვლითი კურსი ხშირად ბასრით იყო განსაზღვრული, ისევე როგორც 1970-იან, 1980-იან და 1990-იან წლებში, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადახვევებს შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტისად.

რით აიხსნება წინა ნაწილში აღწერილი ნეგატიური ემპირიული შედეგები? არსებობს რამდენიმე პრობლემა, რომლებსაც ნათელყოფთ გაცვლითი კურსის მსყიდველობითი უნარის კარიტეტის თეორიასთან დაკავშირებული ჩვენი ახსნა-განმარტებით – ეს ახსნა ეფუძნება ერთი ფასის კანონს:

1. ერთი ფასის კანონის დაშვების მიუხედავად, ტრანსპორტის ხარჯები და ვაჭრობის შესვლედები ნამდვილად არსებობს. ეს საეჭრო ბარიერები შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს, რაც ხელს შეუშლის სოგიერთი სახის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას ქვეყნებს შორის.

ხორცილ ვაჭრობასთან დაკავშირებული საბუთები ერთი ფასის კანონთან მიმართებაში

1986 წლის ჩაყხულში გაზეთმა „ეკონომისტმა“ დიდი კვლევა ჩაატარა მაკონალდსის „ბიგ მაკის“ ქამბურგერების ფასების შესასწავლად მთელს მსოფლიოში. ეს აშკარად ახიერებული საქმიანობა არ იყო რელაქტორის თაქარიანობის შედეგი. გაზეთს უნდოდა, გამოეაშკარაებინა ეკონომისტების დარწმუნებით განცხადება, რომ გაცვლითი კურსი უნდა „მეტად“ ან „ნაკლებად“ შეფასდეს“ მსყიდველობითი უნარის კარიტეტის შედარების საფუძველზე. რადგან ბიგ მაკი (უმნიშვნელო რეცეპტის უმნიშვნელო ცვლილებებით) 41 ქვეყანაში იყიდება, წერდა გაზეთი, ქამბურგერზე ფასების შედარება გამოგვადგება, როგორც „იშუათი საორიენტაციო საშუალება, რათა დაეადგინოთ – ვალუტით ვაჭრობა ხორციელდება თუ არა სათანადო გაცვლითი კურსით“. 1986 წლიდან მოყოლებული „ეკონომისტი“ პერიოდულად ხვეწდა თავის გამოთვლებს.

„ეკონომისტის“ კვლევის ერთ-ერთი გზა არის ერთი ფასის კანონის ტესტირება, რომლის საწყისი შედეგები საკმაოდ გასაოცარია. ბიგ მაკზე ფასები (დოლარით) ძლიერ განსხვავებული აღმონდა სხვადასხვა ქვეყანაში. ნიუ-იორკში იგი უფრო მაღალი იყო, ვიდრე აესტრალიაში 50%-ით და ვიდრე პონგ კონგში 64%-ით. პარიზში ბიგ მაკი ღირდა 54%-ით მეტი ნიუ-იორკთან შედარებით; მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში იყო ქამბურგერების ფასები დაახლოებული ნიუ-იორკის დონესთან.

რით შეიძლება აიხსნას ერთი ფასის კანონის ასეთი დრამატული დარღვევა? როგორც „ეკონომისტმა“ აღნიშნა, ეს ნაწილობრივ აიხსნება ტრანსპორტის ხარჯებითა და სამთავრობო კანონებით. პროდუქციის ინდივიდუალისაც, ალბათ, ფასთა სხვადასხვაობის დამატებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რადგან ბიგ მაკის რეცეპტებში შედარებით მცირე შენაცვლებები ხელმისაწვდომია სოგიერთ ქვეყანაში. პროდუქციის ამგვარმა სახეცვლილებამ შეიძლება ერთგვარი უფლება მისცეს მაკონალდსს, ფასები მოარგოს ადგილობრივ ბაზარს. აქვე შეგახსენებთ, რომ ბიგ მაკის ფასები ფარავენ არა მხოლოდ გატარებული ხორცისა და ფუნთუშის, არამედ მოსამსახურეთა ხელფასების, იჯარის, ელექტრობისა და სხვა ხარჯებს. ეს არასაკეები დანახარჯებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანაში.

რა შეიძლება ითქვას ხანგრძლივ პერიოდზე? ბიგ მაკის შესაბამისმა კვლევებმა უჩვენა, რომ 1986 წლიდან არ შეიჩინება რაიმე უნივერსალური ტენდენცია ფასების დიფერენციალის შემცირებისა. 1989 წლის აპრილის გამოკვლევაში ცხადყო, რომ ბიგ მაკი იყიდებოდა მხოლოდ 12%-ით მეტ ფასად პარიზში, მანჩეტერთან შედარებით, მაგრამ 153%-ით მეტად მანჩეტერში, პონგ-კონგთან შედარებით. როგორც გაზეთმა აღნიშნა, ატლანტის, ნიკაგოს, ნიუ-იორკისა და სანფრანცისკოს, ანუ ოთხი ამერიკული ქალაქის, ფასებს შორის განსხვავება ბევრ შემთხვევაში უფრო დიდი იყო, ვიდრე საერთაშორისო შეუსაბამობა! ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი ფაქტორებიდან, ამ დარღვევის გამომწვევი მთავრობების მხრიდან საერთაშორისო ვაჭრობის უშუალო შესვლედვა არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

ჩვენ წარმოვიდგინოთ ცხრილს, სადაც „ეკონომისტის“ 1995 წლის აპრილის კვლევის მონაცემებია შეჯამებული. პირველ სვეტში მოცემულია ბიგ მაკის ფასები ადგილობრივი ვალუტით, მეორეში გამოთვლილია ფასები დოლარით – რისთვისაც პირველი სვეტის მონაცემები გაიყო მეოთხე სვეტის მონაცემებით (ანუ აშშ დოლარის ფასი ადგილობრივი ვალუტით). მესამე სვეტში წარმოვდგინოთ ბიგ მაკის ადგილობრივი ფასი გაყოფილი შემთხვევით ჩამოთვლილ აშშ-ს ოთხ ქალაქში არსებულ საშუალო ფასზე, \$2.32. აქ იგულისხმება მსყიდველობითი უნარის კარიტეტი ანუ გაცვლითი კურსი, რაც არაპირდაპირ შეიძლება გამოვსახოთ, როგორც უცხოური ვალუტის ერთეული ერთ დოლარზე, რომელიც გაბატონდება იმ შემთხვევაში, თუ ერთი ფასის კანონი განსაზღვრავს ფასებს ქამბურგერზე.

ბოლო სვეტი გვაძლევს პროცენტულ მანქვებებს, რთაც ქამბურგერის მსყიდველობითი უნარის კარიტეტის ნორმა მესამე სვეტში აჭარბებს მეოთხე სვეტში წარმოვდგინოთ აშშ-ს ფასებს დოლარით (ხშირად აღნიშნავენ, რომ ვალუტა არის „სუდმეტად შეფასებული“, როდესაც მისი გაცვლითი კურსის გამო საქონელი უფრო ძვირადღირებულია საზღვარგარეთ გაყიდულ მხვავს საქონელთან შედარებით

და „ნაკლებად შეფასებული“ საპროსპირო შემოსევებით. ამდენად, ფრანგული ფრანკის 66%-იანი სედსმეტი შეფასება დოლართან შეფარდებით იმას გულისხმობს, რომ პარიზში გაყიდული ბიგ მაკო აშშ-ში გაყიდულ ბიგ მაკთან შედარებით 1,2/3-ჯერ მეტი ღირს. მსგავსად ამისა, ტოკიოში მიხი ფასი 2-ჯერ მეტია აშშ-ში გაყიდულ ბიგ მაკთან შედარებით.

ცხრილი ჰამბურგერის სტანდარტი

აშშ	ბიგ მაკის ფასები		დოლარის	დოლარის	აღვ. ვალუტა
	აღვ. ვალუტით	\$	ნაგულისხმევი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი	რეალური გაცვლითი კურსი 7/4/95	(-)/(+) შეფასებით, %
აშშ	\$ 2.32	2.32	-	-	-
არგენტინა	პესო 3.00	3.00	1.29	1.00	+29
ავსტრალია	ა. \$2.45	1.82	1.06	1.35	-22
ავსტრია	შილ 39.0	4.01	16.8	9.72	+73
ბელგია	ბფრ. 109	3.84	47.0	28.4	+66
ბრაზილია	რელი 2.42	2.69	1.04	0.90	+16
ბრიტანეთი	? 1.74	2.80	1.33 ??	1.61??	+21
კანადა	კ. \$2.77	1.99	1.19	1.39	-14
ჩილე	პესო 950	2.40	409	395	+4
ჩინეთი	იენი 9.00	1.05	3.88	8.54	-55
ჩეხეთი	კრონი 50.0	1.91	21.6	26.2	-18
დანია	დ.კრ. 26.75	4.92	11.5	54.3	+112
საფრანგეთი	ფ.ფრ. 18.5	3.85	7.97	4.80	+66
გერმანია	მ.მარკა 80	3.48	2.07	1.38	+50
პოლანდია	ფრ 15.45	3.53	2.35	1.55	+52
პორტუგალია	პ.კ. \$9.50	1.23	4.09	7.73	-47
უნგრეთი	ფორინ 191	1.58	82.3	121	-32
ინდონეზია	რუპია 3,900	1.75	1,681	2,231	-25
ისრაელი	ჩეკ. \$90	3.01	3.84	2.95	+30
იტალია	ლირა 4,500	2.64	1,940	1,702	+14
იაპონია	იენი 391	4.65	169	84.2	+100
მალაიზია	მ. \$ 3.76	1.51	1.62	2.49	-35
მექსიკა	პესო 109	1.71	4.70	6.37	-26
ახალი ზელანდია	ახ. ზ. \$2.95	1.96	1.27	1.51	-16
პოლონეთი	ზლოტ. 3.40	1.45	1.47	2.34	-37
რუსეთი	რუბლ. 8,100	1.62	3,491	4,985	-30
სინგაპური	ს. \$2.95	2.10	1.27	1.40	-9
სამხრეთ კორეა	ვონ 2,300	2.99	991	769	+29
ესპანეთი	პესეტა 355	2.86	153	124	+23
შვედეთი	კრ. 26.0	3.54	11.2	7.34	+53
შვეიცარია	ფრ. 5.90	5.20	2.54	1.13	+124
ტაივანი	ტ. \$ 65.0	2.53	28.0	25.7	+9
ტილანდი	ბატ. 48.0	1.95	20.0	24.6	-16

აღსანიშნავია, რომ ბიგ მაკი მსოფლიოში ყველაზე იაფია ჩინეთში. საეჭვოა, რომ მაკ დონალდი დიდ ფულს აკეთებდეს ამ ბაზარზე, მიუხედავად იმ დაბალი ხელფასებისა, რასაც ჩინელი მუშები იღებენ. მთავარია, რომ ამ ოპერაციამ გაცილებით დიდი რეკლამა გაუკეთა კომპანიას და მაკ დონალდის ფირმის ეროვნულ პლაკატარმად იქცა ჩინეთში, რამაც მას სტრატეგიული პოზიცია მოუპოვა. ეს შეიძლება ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდეს მომავალში, როდესაც ქვეყნის ცხოვრების სტანდარტი გაიზრდება.

2. ოლიგოპოლისტური ან მონოპოლისტური პრაქტიკა საქონლის ბაზრებზე შეიძლება ურთიერთქმედებდეს სატრანსპორტო ხარჯებთან და სხვა საეკონომიკურ ბარიერებთან, რათა მომავალში შესუსტდეს კაეშირი სხვადასხვა ქვეყანაში გაყიდული მსგავსი საქონლის ფასებს შორის.
3. რადგან სხვადასხვა ქვეყანაში ინფლაციის დონე დაფუძნებულია მათთვის დამახასიათებელ სამომხმარებლო კალათაზე, ამიტომ გაცვლითი კურსის შეცვლა კერძო ანაზღაურებს ინფლაციის დონეებს შორის არსებულ ოფიციალურ სხვაობებს თუნდაც მაშინ, როდესაც მოხსნილია საეკონომიკური ბარიერები და ყველა სახის პროდუქცია გასავლადიანი.

სავაჭრო ბარიერები და არასავაჭრო საქონელი

სატრანსპორტო ხარჯები და ვაჭრობის შეზღუდვა ძვირადღირებულს ხდის საქონლის გადატანას სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ ბაზრებს და ასუსტებს ერთი ფასის კანონის მექანიზმს, რომელიც საფუძვლად უდევს მსყიდველობითი უნარის პარიტეტს. კიდევ ერთხელ დაუვშვათ, რომ ერთი სახის სეიტრი 45 დოლარად იყიდება ნიუ-იორკში და 30 გირვანქა სტერლინგად ლონდონში. ამ სეიტრის გატანა სხვა ქვეყანაში 2 დოლარი ღირს. როდესაც გაცვლითი კურსი არის \$1.45 ერთ გირვანქა სტერლინგზე, ლონდონში სეიტრის ფასი დოლარით იქნება (\$1.45 ერთ გირვანქა სტერლინგზე) ? ($30 \times 1.45 = 43.50$), მაგრამ ამერიკელ იმპორტიორს მოუწევს $43.50 + 2 = 45.50$ -ის გადახდა ლონდონში სეიტრის საყიდლად და ნიუ-იორკში ჩასატანად. როდესაც გაცვლითი კურსია \$1.45 ერთ გირვანქა სტერლინგზე, ეს არ აანაზღაურებს სეიტრის გატანას ლონდონიდან ნიუ-იორკში, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მისი ფასი დოლარით უფრო მაღალი იქნება მეორე ქალაქში. მსგავსად ამისა, როდესაც გაცვლითი კურსია \$1.55 ერთ გირვანქა სტერლინგზე, ამერიკელი ექსპორტიორი იზარალებს სეიტრის გატანით ნიუ-იორკიდან ლონდონში თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ნიუ-იორკის ფასი, \$45, უფრო დაბალი იქნება ლონდონში გაყიდულ სეიტრის, \$46.50, ფასზე.

ამ მაგალითის გაკეთილი ის არის, რომ ტრანსპორტის ხარჯები გაცვლით კურსსა და საქონლის ფასებს შორის წვეტს მჭიდრო კავშირს, რაც ნაგულისხმევა ერთი ფასის კანონით. რაც უფრო ღიძია ტრანსპორტის ხარჯები, მით უფრო ღიძია დიაპაზონი, რომლის საზღვრებშიაც გაცვლით კურსს შეეძლება მოძრაობა. სხვადასხვა ქვეყნის ფასები მოცემულ საქონელზე, მებაჟეებისთვის გადახდილი გასამრჯელო, როგორც გადაზიდვის შესაბამისი გადასახადი, სემოქმედებს ახლენს იმპორტიორის სარგებელზე. ვაჭრობის ნებისმიერი შეფერხება ასუსტებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის საფუძველს, რადგან ეს შეფერხება მოცემული ვალუტის მსყიდველობით უნარს ფართოდ განსხვავების საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყანაში.

მეორე თავიდან გემახსოვრებათ, რომ ტრანსპორტის ხარჯები შეიძლება ისე ღიძი იყოს 'სოგიერთი საქონლის წარმოებასა და მომსახურებასთან შედარებით, რომ შეუძლებელია ამ უკანასკნელთ მომგებიანი საერთაშორისო ვაჭრობა. ასეთ საქონელსა და მომსახურებას ეწოდება არასავაჭრო საქონელი და მომსახურება. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თმის შეჭრა. ფრანგი, რომელსაც სურს ამერიკელ ხელოსანთან თმის შეჭრა, ან უნდა გაემგზავროს ამერიკაში, ან ჩამოიყვანოს პარიკმახერი ამ ქვეყნიდან საფრანგეთში; ნებისმიერ შემთხვევაში ტრანსპორტის ხარჯი ისე ღიძია მომსახურების ფასთან შედარებით, რომ (ტურისტების გარდა) საფრანგეთშივე ფრანგ პარიკმახერთან იჭრიან თმას. ამერიკაშიც ამ პროცედურას იმავე მიზეზით მიმართავენ ამერიკელები.

არასავაჭრო საქონლისა და მომსახურების არსებობა ყველა ქვეყანაში, სადაც ფასები არ არის ურთიერთდაკავშირებული საერთაშორისო დონეზე, სისტემატურად იძლევა გადახრის საშუალებას მსყიდველობითი უნარის პარიტეტისაგან. რადგან არასავაჭრო საქონლის ფასი განისაზღვრება მისი ადგილობრივი მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებით, ამ მრუდების გადაადგილება გამოიწვევს იმას, რომ გაფართოებული სამომხმარებლო კალათის ადგილობრივი ფასი შეიცვლება ამავე კალათის უცხოურ ფასთან შეფარდებით. სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის არასავაჭრო საქონელზე ფასის ზრდა გააღიძებს მისი ფასების დონეს სასღერგარეთის ფასების დონესთან შედარებით (თუ ყველა ქვეყნის ფასების დონე გაიზომება ერთიანი ვალუტის სახით). თუ სხვა კუთხით შევხედავთ, ნებისმიერი მოცემული ვალუტის მსყიდველობითი უნარი შემცირდება იმ ქვეყნებში, სადაც არასავაჭრო საქონლის ფასები გაიზრდება.

ყოველი ქვეყნის ფასების დონე მოიცავს არასავაჭრო საქონლის დიდ მრავალფეროვნებას: თმის შეჭრას, ყოველდღიურ სამედიცინო მომსახურებას, აერობიკის სწავლებას, ბინათმშენებლობას და ა.შ. უფრო ფართოდ ყველა საქონელი, რითაც ვაჭრობენ, შეგვიძლია გავაიგიოთ მზა პროდუქციასთან, ნედლეულთან და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან. არასავაჭრო საქონელი ძირითადად არის მომსახურება და სამშენებლო მრეწველობის გამოშვება. რასაკვირველია, გამონაკლისიც არსებობს ამ წესიდან. მაგალითად, ბანკებისა და საბროკერო ფირმების მიერ გაწეული ფინანსური მომსახურებით შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობა. გარდა ამისა, საკმარისად მკაცრმა სავაჭრო შეზღუდვებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჩვეულებრივი სავაჭრო საქონელი არასავაჭრო გახდეს. ამდენად, უმეტეს ქვეყანაში გადამამუშავებელი მრეწველობის 'სოგიერთი სახის ნაწარმი არასავაჭრო საქონლად ითვლება.

წყენ შეგვიძლია გამოვთქვათ ძალიან მიახლოებითი შეხედულება არასავაჭრო საქონელის მნიშვნელობაზე აშშ-ს ეკონომიკაში, თუ შევხედავთ მომსახურებისა და სამშენებლო მრეწველობის წილს ამ ქვეყნის მკ-ში. 1994 წელს ამ მრეწველობის გამოშვებამ დაახლოებით შეადგინა აშშ-ს საერთო მრეწველობის დაახლოებით 6%.

მსგავსი მონაცემები ამცირებს არასავაჭრო საქონელის მნიშვნელობას ეროვნული ფასების დონის განსაზღვრაში. იმ საქონლის ფასებიც კი, რითაც ვაჭრობენ, ჩვეულებრივ მოიცავს არასავაჭრო საქონლის – განაწილებისა და მარკეტინგის მომსახურების ხარჯებს, რის მეშვეობითაც საქონელი მწარმოებელთან მიდის მომხმარებელამდე (იხ. საკითხის შესწავლისათვის „ხორცის წარმოებასთან დაკავშირებული მამტიციკლები საბუთები ერთი ფასის კანონთან მიმართებაში“). არასავაჭრო საქონელი გვეხმარება 15-3 გრაფიკში ილუსტრირებული შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან ღიძი გადახრის ახსნაში.

თავისუფალი კონკურენციიდან გაღასრა

როდესაც ვაჭრობის ბარიერები და არასრულყოფილად კონკურენტული ბაზრის სექტორები ერთად მოიყრის თავს, ქვეყნების ფასების დონეებს შორის კავშირის მომავალში დასუსტება მოელის. განსაკუთრებულ შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც ცალკეული ფირმა ერთსა და იმავე საქონელს ყიდის სხვადასხვა ფასში სხვადასხვა ბაზარზე (გაიხსენეთ მე-6 თავში მოცემული დემკინგის ანალიზი). 1990-იანი წლების დასაწყისში, მაგალითად, იაპონური კომპანიის მიერ ჩრდილოეთ ინგლისის სანდერლანდის ქარხანაში გამოშვებული ავტომანქანა ნისანის ყიდვა შეიძლებოდა დილერიდან, ქარხანასთან ახლო მდებარე ტერიტორიაზე, 16,215 გირვანქა სტერლინგად. იგივე მოდელი იაპონიაში იყიდებოდა მხოლოდ 13,315 გირვანქად მიუხედავად იმისა, რომ მანქანის გადაზიდვა ხდებოდა სანდერლანდიდან 10,600 მილით დაცილებულ ტოკიოში.

ასეთი დისკრიმინაციული ფასწარმოქმნის გატარება ცხოვრებაში ძნელი იქნებოდა, იაპონიაში მანქანის შექმნა და შემდეგ მისი გადატანა ინგლისში ძვირადღირებული რომ არ ყოფილიყო მყიდველისათვის. მსგავსად ამისა, თუ მომხმარებლები ფოლკსვაგენს მიიჩნევენ ფიატისა და ნისანის კარგ შემნაცველებლებად, მწარმოებლებს შორის არსებული კონკურენციის გამო, იაპონური მანქანის ფასები მეტისმეტად არ გადააჭარბებს მის საწარმოო ხარჯებს. პროდუქციის ინდივიდუალიზაციის და ბაზრის სეგმენტაციის კომბინაციას მიეყვართ ერთი ფასის კანონისა და აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დიდი დარღვევებისკენ. ბაზრის სტრუქტურისა და მოთხოვნის გადაადგილებამ დროთა განმავლობაში შეიძლება ძალა დააკარგინოს შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტს.

ფასების დონის გაზომვის საერთაშორისო განსხვავებები

ფასების დონის გაზომვა მთავრობის მხრიდან ცალკეულ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად ხდება. ამ განსხვავებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ადამიანები სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ და შემოსავალსაც სხვადასხვაგვარად ხარჯავენ. საშუალო იტალიელი უფრო მეტი ოდენობის ზეთუნის ზეთს მოიხმარს, ვიდრე ამერიკელი; იაპონელი უფრო მეტ სუშის, ხოლო საშუალო ფრანგი უფრო მეტ კრუასანს ამჯობინებს. ტიპური საქონლის კალათის შესაქმნელად და მსყიდველობითი უნარის გასაზომად, ბუნებრივია, იტალიის მთავრობა შედარებით დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს ზეთუნის ზეთს, იაპონიის მთავრობა – სუშის და საფრანგეთის მთავრობა – კრუასანს.

მნიშვნელოვანი კონცეფციაა, რომ შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შეიმუშავეს ეარაულებს ფასების ცვლილებების და არა ფასების დონეების შესახებ, მიუხედავად იმ კალათებისა, რომლებიც გამოიყენება ერომანეთთან შედარებული ქვეყნების ფასების დონის განსაზღვრისათვის. თუ აშშ-ს ყველა ფასი 10%-ით გაიზრდება და დოლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან შედარებით 10%-ით გაუფასურდება, მაშინ შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი დააკმაყოფილებს (თუ გამოვიტყვავთ საზღვარგარეთ მოსალოდნელ ცვლილებებს) ნებისმიერი ადგილობრივი საზღვარგარეთული ფასების დონის მანიქნებლებს.

კალათის შემადგენელი ნაწილების შესადარი ფასების შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი წარუმატებელი აღმოჩნდეს ტესტირების დროს, რაც დაუქონებელი იქნება ფასების ოფიციალურ მანიქნებულზე. მაგალითად, თევზზე შესადარი ფასების ზრდა გამოიწვევს იაპონიის მთავრობის მხრიდან ტიპურ საქონელზე ფასის მომატებას (დოლარით) აშშ-ს მთავრობის მიერ გადიდებულ ფასთან შედარებით და ეს უბრალოდ იმიტომ, რომ იაპონური საქონლის დიდ წილს თევზი შეადგენს. შესადარი ფასების შეცვლა გამოიწვევს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დარღვევას (ეს ნაჩვენებია 15-3 გრაფიკში) თუნდაც მაშინ, როდესაც ვაჭრობა თავისუფალი და ხარჯების გარეშეა.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ხანგრძლივ და ხანმოკლე პერიოდში

ვაჭრობა, რომლებიც განვიხილეთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის ცუდი ემპირიული ფუნქციონირების ასახსნელად, შეიძლება გამოიწვიონ ქვეყნის ფასების დონეების გადახრა ხანგრძლივ პერიოდშიც კი, როდესაც ყველა ფასს ექნება დრო, შეეგუოს ბაზრის მარეგულირებელ დონეებს. როგორც ეს მე-14 თავში განვიხილეთ, სოფჯერ ეკონომიკური ფასები მოუგვარებელია და მას დრო სჭირდება სრული მოწესრიგებისათვის. მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან გადახრა შეიძლება უფრო დიდ (იყოს ხანმოკლე, ვიდრე ხანგრძლივ პერიოდში).

მაგალითად, დოლარის მოულოდნელი გაუფასურება, უცხოურ ვალუტასთან შედარებით, ათაყვებს აშშ-ში წარმოებულ ფერმის მოწყობილობას საზღვარგარეთელ მსგავს მოწყობილობასთან შედარებით. რამდენადაც ფერმერები მოკლს მსოფლიოში გაზრდიან მოთხოვნას ტრაქტორებსა და სამკელ მანქანებს. ამერიკელი მწარმოებლების მიერ (ფერმისთვის) გამოშვებული მოწყობილობის ფასიც მოიმატებს დოლარის გაუფასურებით გამოწვეული ერთი ფასის კანონის გადახრის შესამცირებლად. დრო დასჭირდება ფასების ზრდის დასრულებას და შესაძლოა, ფასები აშშ-ში და საზღვარგარეთ წარმოებული ფერმების მოწყობილობებს მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს მაშინაც, როდესაც ბაზრები შეგუებული არიან გაცვლითი კურსის შეცვლას.

ჰონგ-კონგის ინფლაციის მემისმეტად მაღალი დონე

თუ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი სწორია, ქვეყნებში, რომელთა ვალუტები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან უცვლელი გაცვლითი კურსით, ფასების დონის ინფლაციაც ტოლი უნდა იყოს. ჰონგ კონგის ამჟამინდელი გამოცდილება აშკარად საპირისპირო მაგალითს იძლევა: მიუხედავად ფიქსირებული გაცვლითი კურსისა (1983 წლის ოქტომბრიდან 7.73 ჰონგ-კონგის დოლარი ტოლია ერთი აშშ დოლარისა), ჰონგ კონგის ინფლაციის დონე საშუალოდ 3-ჯერ დიდია აშშ-ს ინფლაციის დონეზე. მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს ორი ქვეყნის ფასები როგორ შეიცვალა 1983 წლიდან.


ინფლაციის ეს მაღალი დონე გაცვლას იწვევს, რადგან ჰონგ კონგმა არსებითად არ აღუშარტა ბარიერები საერთაშორისო ვაჭრობას და ამდენად ერთ-ერთ ყველაზე ღია ეკონომიკად დარჩა მსოფლიოში.

1970-იანი წლების დასაწყისიდან ჰონგ კონგის ვალუტა ებმოდა გირვანქა სტერლინგს და ამ პერიოდისათვის მსყიდველობითი უნარის პარიტეტიც უკვე სახეზე იყო. 1965-1972 წლებში, მაგალითად, ინფლაციის საშუალო დონე ჰონგ-კონგში 5.7% იყო წელიწადში, ბრიტანეთში კი 5.9%.

რა იყო მიზეზი 1980-იანი წლების დასაწყისის მოვლენებისა? მოკლე პასუხია: ჩინეთი. 1978 წელს ჩინეთმა დაიწყო თავისი ეკონომიკის განათავისუფლება ცენტრალური დაგეგმვის ყველაზე მახინჯი მხარეებისაგან, ამასთანავე აძლიერებდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ მონოპოლიას. ეკონომიკური თვალსაზრისით რეფორმებს საოცარი წარმატება მოჰყვა - გამოშვების ზრდა გასამმაგდა და ამის მეშვეობით ჩინეთი გადაიქცა მთავარ „მოთამაშედ“ მსოფლიო ექსპორტის ბაზრებზე. ამ ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჰონგ-კონგის ეკონომიკაზე. ჩინეთმა შექმნა განსაკუთრებული თავისუფალი მეწარმეობის ზონები სამხრეთ რეგიონში, ჰონგ კონგიდან არც თუ ისე შორს, რაც მისი ეკონომიკის სტრატეგიის ნაწილი იყო. თავისუფალი ზონები მაგნიტივით იზიდავდა ინვესტიციებს, რომელთა უმეტესობა ჰონგკონგიდან მოედინებოდა და რომელთა მეშვეობითაც ბევრი ჰონგ-კონგელი გამდიდრდა. მათი დანახარჯები ჰონგკონგში წარმოებულ მომსახურებასა და სხვა არასავაჭრო საქონელზე გაიზარდა, რის გამოც ამ უკანასკნელზე ფასებმა მოიმატა, რამაც ხელი შეუწყო ინფლაციის მაღალ დონეს.

გრაფიკი აშშ-სა და ჰონგკონგის ფასების ინდექსი, 1983-1994

ჰონგ-კონგის ფასის დონე გაიზარდა გაცილებით სწრაფად, ვიდრე აშშ-ს ფასების დონე, ფიქსირებული გაცვლითი კურსისა და სავაჭრო ბარიერების არარსებობის მიუხედავად.



ჰონგკონგში ინფლაციის გამომწვევე მეორე მიზეზს წარმოადგენდა მიწაზე ფასებისა და იჯარის წარმოდგენელი ზრდა. აქაური მიწა ყოველთვის მწირი იყო. მოსახლეობა (6 მილიონი) განთავსებულია 400 კვ. მილის ტერიტორიაზე. მიწის უდიდესი ნაწილი მშენებლობისათვისაც უფარგისია, მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობის გაფართოების გამო (ჩინეთის ბაზართან ახლომდებარე საოფისე ფართზე მსოფლიო ბიზნესის მზარდ მოთხოვნასთან ერთად) ფასებმა უძრავ ქონებაზე იმატა. ამჟამად იჯარა ჰონგკონგში თითქმის ყველაზე მაღალია მთელს მსოფლიოში, რის გამოც მომხმარებლისათვის ფასების საიჯარო კომპონენტი გაიზარდა ისევე, როგორც ფასები ყველა სახის არასავაჭრო საქონელზე, განსაკუთრებით ოფისებზე, როგორც საწარმოო ფაქტორზე.

შეიძლება დაეუშუათ, რომ ხანმოკლე პერიოდის ფასების სიმკარე და გაცვლითი კურსის ცვალებადობა დაგვეხმარება იმ ფენომენის განმარტებაში, რაც აღვნიშნეთ 15-პ გრაფიკის ახსნისას; კერძოდ, შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ცვალებადობა გაცილებით უფრო მისაღები იყო იმ პერიოდებში, როდესაც გაცვლითი კურსი მცოცავი იყო. ამ განმარტებას ადასტურებს ემპირიული კვლევის მონაცემები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა, მაიკლ მასსამ, გუდალასმით გამოიკვლია ბევრი ქვეყანა და მათი ისტორიის საჭირო პერიოდები, რის საფუძველზეც ხანმოკლე ვადის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გადახრის დონე შეადარა მცოცავი და ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს. მან აღმოაჩინა, რომ მცოცავი კურსი სისტემატურად იწვევს უფრო ხშირ და დიდ გადახრებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან.

ამ კვლევის შესაბამისად, მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან ხანმოკლე პერიოდის გადახრა, გამოწვეული მერყევი გაცვლითი კურსის გაუქმებით, ქრება დროთა განმავლობაში. ამას მოსყვება მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან დროებითი გადახვევის მხოლოდ სანახევრო შემოქმედება – ოთხი წლის შემდეგ შემორჩენილი. თუნდაც მაშინ, როდესაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან დროებითი გადახვევები ამოღებულია მონაცემებიდან, მაინც აშკარაა, რომ ბევრ ქვეყანაში განსასდერული ტენდენციის დაგროვება იწვევს პროგნოსტიკად გადახვევას მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან. საკითხის შესწავლისას – რატომ არის ფასების დონე უფრო დაბალი ღარიბ ქვეყნებში – განხილულია ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი, რომელიც ასეთი ტენდენციის საფუძველს წარმოადგენს.

საკითხის შესწავლისათვის


რატომ არის ფასების დონე უფრო დაბალი ღარიბ ქვეყნებში?

საერთაშორისო ფასების დონის განსხვავების კვლევის გარეთ დარჩა საოცარი ემპირიული კანონისომიერება: ქვეყნების ფასების დონე, როდესაც გამოხატულია ერთიანი ვალუტით, პოზიტიურად არის დაკავშირებული რეალური შემოსავლის დონესთან ერთ სულ მოსახლეზე. 15-4 გრაფიკი გვჩვენებს ურთიერთობას ფასების დონესა და შემოსავალს შორის, სადაც თითოეული წერტილი აღნიშნავს სხვადასხვა ქვეყანას.

წინა ნაწილში, არასავაჭრო საქონლის როლის განხილვისას, ეროვნული ფასების დონის განსასდერაში ჩვენ ვივარაუდეთ, რომ არასავაჭრო საქონლის ფასების საერთაშორისო ცვლილებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ფასების დონის შეუსაბამობას მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. ხელმისაწვდომი მონაცემები გვჩვენებენ, რომ შედარებით მდიდარ ქვეყნებში არასავაჭრო საქონელი (სავაჭრო საქონელთან შედარებით) უფრო ძვირადღირებულია საბაზრო საქონელთან შედარებით.

ბელა ბალასამ და პოლ სამუელსონმა შემოგოთავაზეს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის არასავაჭრო საქონლის შეფარდებითი ფასები უფრო დაბალი ღარიბ ქვეყნებში. ბალასა-სამუელსონის თეორიით დაშვებულია, რომ ღარიბი ქვეყნების სამუშაო ძალა ნაკლებ მწარმოებლურია მდიდარ ქვეყნებთან შედარებით გასაღებიანი საქონლის სექტორში. მაგრამ საერთაშორისო მწარმოებლურობის განსხვავებები არასავაჭრო საქონლის მიხედვით ძალიან მცირეა. თუ სავაჭრო საქონელზე ფასები ყველა ქვეყანაში ტოლია, სამუშაო ძალის დაბალმწარმოებლურობა გულისხმობს სასდერგარეთზე უფრო დაბალ ხელფასებს, უფრო დაბალ საწარმოო ხარჯებს არასავაჭრო საქონელში და აქედან გამომდინარე, უფრო დაბალ ფასებსაც. მდიდარ ქვეყნებს, სადაც შრომის მწარმოებლურობა უფრო მაღალია სავაჭრო საქონლის სექტორში, არასავაჭრო საქონელზე უფრო მაღალი ფასები ექნებათ და ფასების უფრო მაღალი დონეც. სტატისტიკა მწარმოებლურობის შესახებ ემპირიულ მხარდაჭერას უწევს ბალასა-სამუელსონის მიერ მოცემულ განსხვავებას შრომის ნაყოფიერებაში, თუმცა შესაძლებელია, რომ განსხვავება საერთაშორისო მწარმოებლურობაში უფრო მკვეთრია სავაჭრო საქონელში არასავაჭრო საქონელთან შედარებით. განურჩევლად იმისა, ქვეყანა მდიდარია თუ ღარიბი, დალაქს შეუძლია ერთი დაიმავე ოდენობის ადამიანებს შეაჭრას თმა ერთი კვირის მანძილზე. მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვანი განსხვავება შეიძლება იყოს შრომის მწარმოებლურობის მიხედვით ისეთი სავაჭრო საქონლის წარმოებაში, როგორცაა მაგალითად, პერსონალური კომპიუტერი.

15-4 გრაფიკი ფასების დონეები და რეალური შემოსავლები, 1992 წელი



ქვეყნის ფასის დონეები იზრდება, როცა მათი რეალური შემოსავლები დიდდება. სწორი ხაზი აღნიშნავს სტატისტიკის მიერ აშშ-ის ფასის დონესთან მიმართებაში ქვეყნის ფასის დონეების საუკეთესო ვარაუდს, რაც ემყარება ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ცოდნას.

ჯაგდის ბაკვატიმ და ირვინგ კრევისმა (პენსილვანიის უნივერსიტეტიდან) და რობერტ ლიფსიმ (ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან) შეიმუშავეს ალტერნატიული თეორია და სცადეს, აეხსნათ ღარიბ ქვეყნებში

ფასების შედარებით დაბალი დონე. სამივეს შეხედულება ეყრდნობა უფრო მეტად ქვეყნებს შორის შრომისა და კაპიტალის მოცულობის სხვაობას და არა მწარმოებლურობას შორის განსხვავებას; მაგრამ იგი ასევე ვარაუდობს, რომ არასავაჭრო საქონლის შეფარდებითი ფასი იზრდება, რადგან შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მატულობს. მდიდარ ქვეყნებს აქვთ კაპიტალის ღირებულების მაღალი შეფარდება მეშაბათა რაოდენობასთან, მაშინ როდესაც ღარიბ ქვეყნებს აქვთ უფრო მეტი მეშა და ფლობენ უფრო ნაკლებ კაპიტალის ღირებულებას. აღნიშნულის გამო მდიდარ ქვეყნებში მეშის ზღვრული მწარმოებლურობა და შესაბამისად ხელფასის განაკვეთებიც უფრო დიდია ღარიბ ქვეყნებთან შედარებით. არასავაჭრო საქონელი, რომელიც ძირითადად შედგება მომსახურებისაგან, ბუნებრივია, უფრო შრომაინტენსიურია სავაჭრო საქონელთან შედარებით. რადგან სამუშაო ძალა იაფია ღარიბ ქვეყნებში და იგი ინტენსიურად გამოიყენება არასავაჭრო საქონლის საწარმოებლად, ეს უკანასკნელიც იაფი იქნება. ვიდრე უფრო მაღალი ხელფასების მქონე მდიდარ ქვეყნებში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არასავაჭრო საქონლის შესადარი ფასების საერთაშორისო განსხვავება გეიჟენებს იმას, რომ როდესაც ყოველისმომცველი ფასების დონე ერთიანი ვალუტით იზომება, იგი მდიდარ ქვეყნებში უფრო მაღალი უნდა იყოს ღარიბ ქვეყნებთან შედარებით.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიღმა: ხანგრძლივი პერიოდის ბაცვლითი კურსის ზოგადი მოდელი

რატომ კუთმობთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიას ასეთ ყურადღებას მაშინ, როდესაც იგი ხანგრძლივი პერიოდის ბაცვლითი კურსის განსაზღვრისთვის გამოიყენება? პასუხი ასეთია – იმიტომ განვიხილეთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მნიშვნელობა გულდასმით, რომ ხანგრძლივი პერიოდის ბაცვლითი კურსთან დაკავშირებული ძირითადი დებულება კარგ საწყის წერტილს წარმოადგენს შემდგომი კვლევისათვის. ზემოთ მოცემული ფულად-საკრედიტო მიდგომა, რომელიც უშეუბამებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტს, მეტისმეტად მარტივია და ამის გამო ვერ მოგვეცემს ზუსტ პროგნოზს რეალური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ შეგვიძლია მისი განზოგადება, თუ გავარკვევთ, რატომ იძლევა ასეთ არაზუსტ პროგნოზს მსყიდველობითი უნარის პარიტეტი. ამ ნაწილში განვიხილავთ ხანგრძლივი პერიოდის ბაცვლითი კურსის განსაზღვრის განზოგადებულ მეთოდს, რომელიც ფულად-საკრედიტო მიდგომაზე უფრო რთულია, სამაგიეროდ უფრო საიმედოა იმის ასახსნელად თუ რეალურად როგორ მოქმედებს ბაცვლითი კურსი.

ჩვენი განზოგადებული მოდელი გვაძლევს მეორე მიზეზს, რითაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია ხანგრძლივი პერიოდის ბაცვლითი კურსის განსაზღვრისთვის გამოიყენება, რადგან მოდელი გეიჟენებს, რომ ისეთ მნიშვნელოვან ვითარებაში, სადაც ფულად-საკრედიტო ცვლილებები ეკონომიკური ცვლილებების მთავარ მიზეზს წარმოადგენს, მისი პროგნოზი ზუსტი არის ხანგრძლივი პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემული ხანგრძლივი პერიოდის ანალიზში კვლავაც არ იქნება გათვალისწინებული მყარი ფასებით გამოწვეული ხანმოკლე პერიოდის პრობლემები. მომდევნო თავში გავაანალიზებთ თუ როგორ მოქმედებს ბაცვლითი კურსი ხანგრძლივი პერიოდში, რაც ხანმოკლე პერიოდის უფრო რთული ანალიზის წინა პირობა იქნება.

რეალური ბაცვლითი კურსი

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის გასაგებად ჯერ რეალური ბაცვლითი კურსის კონცეფციას განვსაზღვრავთ. ორი ქვეყნის ვალუტას შორის არსებული რეალური ბაცვლითი კურსი არის ერთი ქვეყნის საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მაჩვენებლების გაფართოებული ჩამონათვალის შეფარდება მეორე ქვეყნის იმავე მაჩვენებლებთან. ბუნებრივია, რეალური ბაცვლითი კურსის კონცეფცია ჩვენც ამ თვალსაზრისით გაგაცანიო: მთავარი, რაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტმა ივარაუდა, ის არის, რომ რეალური ბაცვლითი კურსი ძალიან იშვიათად იცვლება (მუდმივად მაინც). რათა ჩვენი მოდელი ისე განვავრცოთ, რომ მისი საშუალებით მსოფლიო ზუსტად აღვწეროთ, საჭიროა იმ ძალების სისტემატური შემოწმება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ დრამატული და მუდმივი ცვლილებები რეალურ ბაცვლით კურსში.

რეალური ბაცვლითი კურსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან გადახრის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, არამედ ღია ეკონომიკაში მაკროეკონომიკის მოთხოვნისა და მიწოდების პარამეტრების გაანალიზებისთვისაც. როდესაც გვესურს განვსაზღვროთ რეალური ბაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ორი გამოწვევის კალათების შესადარ ფასს, ორი ვალუტის შესადარი ფასისაგან, ამ უკანასკნელს მოვიხსენიებთ როგორც ნომინალურ ბაცვლით კურსს. უფრო მოკლედ გამოვიყენებთ ტერმინს – ბაცვლითი კურსი (იგულისხმება ნომინალური).

რეალური ბაცვლითი კურსი განისაზღვრება ნომინალური ბაცვლითი კურსითა და ფასების დონით. ასე რომ, ხანამ დეტალურად განვსაზღვრავთ რეალურ ბაცვლით კურსს, ნათელი უნდა მოეფინოთ გამოყენებული ფასების დონეს. დავეშვათ, ფასების დონე არის P¹ აშშ-ში და P² გერმანიაში. რადგან აღარ გავითვალისწინებთ აბსოლუტურ მსყიდველობით უნარს (რაც გაჭკეპთ ფულად-საკრედიტო მიდგომის განხილვისას), არ

დაეუშეებთ, რომ ფასების დონე აშშ-ში და გერმანიაში გაიზომოს ერთი და იმავე სამომხმარებლო კალათით. ჩვენს ანალიზს მალე დაეუკავშირებთ ფულად-საკრედიტო ფაქტორებს და მოვითხოვთ, რომ თითოეული ქვეყნის ფასების მანევრებელმა კარგად გამოსახოს ის შესყიდვის უნარიანობა, რაც სტიმულს აძლევს ქვეყნის მაცხოვრებლებს, მოითხოვონ ფულის მასა.

ფასების დონის ვერანაირი სასომი ვერ განახორციელებს ამას სრულყოფილად, მაგრამ მაინც ხომ უნდა შევთანხმდეთ რაღაც სასომზე, სანამ რეალურ გაცვლით კურსს არ განესაზღვრავთ. უფრო მეტი სიზუსტისათვის P მიუიჩნიოთ ეცვლელი კალათის ფასად (დოლარით), რომელიც მოიცავს ოჯახებისა და ფირმების ტიპიურ ყოველკვირეულ შესყიდვას აშშ-ში; P მოიცავს გერმანიის ოჯახებისა და ფირმების ტიპიურ ყოველკვირეულ შესყიდვას. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ფასები შედარებით მაღალი იქნება ადგილობრივ წარმოებულ და მოხმარებულ საქონელზე, ხოლო გერმანიაში – ადგილობრივ წარმოებულ და მოხმარებულ საქონელზე.

სტანდარტული სამომხმარებლო კალათის აღწერის შემდეგ, რომელიც გამოიყენება ფასების დონის შესაფასებლად, შეგვიძლია ფორმალურად განესაზღვროთ დოლარ/გერმანული მარკის რეალური გაცვლითი კურსი q_{USD} -ით, როგორც გერმანიის კალათის ფასი დოლარით ამერიკულ კალათასთან შედარებით. რეალური გაცვლითი კურსი იქნება გერმანიის ფასების დონის ღირებულება (დოლარით) გაყოფილი ამერიკის ფასების დონეზე ან სიმბოლურად თუ გამოვსახავთ,

$$q_{USD} = (E_{USD} \times P_G) / P_{US} \quad (15-6)$$

(ვიფრული მაგალითი დაგეხმარებათ რეალური გაცვლითი კურსის გაგებაში. წარმოიდგინეთ, რომ გერმანიის ტიპიური სამომხმარებლო კალათის ღირებულება არის 100 მარკა (ამდენად, $P = 100$ მარკას ერთ გერმანულ კალათაზე), ხოლო ამერიკული კალათის ღირებულება არის 50 დოლარი (ამდენად, $P = 50$ დოლარს ერთ აშშ კალათაზე), და რომ ნომინალური გაცვლითი კურსი არის $E_{USD} = \$0.50$ ერთ გერმანულ კალათაზე. მაშინ დოლარ/გერმანული მარკის გაცვლითი კურსი იქნება

$$q_{USD} = \frac{(\$0.50 \text{ ერთ } DM - \text{ზე}) \times (\text{ერთი } DM \text{ } 100 \text{ გერმანულ კალათაზე})}{(\$50 \text{ ერთ აშშ კალათაზე})}$$

$$= (\$50 \text{ ერთ გერმანულ კალათაზე}) / (\$50 \text{ ერთ აშშ კალათაზე})$$

$$= 1 \text{ აშშ კალათა ერთ გერმანულ კალათაზე.}$$

დოლარ/გერმანული მარკის რეალური გაცვლითი კურსის ზრდა, q_{USD} (რომელსაც ვუწოდებთ დოლარის რეალურ გაუფასურებას გერმანული მარკასთან შედარებით), შეიძლება განვიხილოთ მრავალმხრივ. (15-6) ტოლობა გვიჩვენებს დოლარის მსყიდველობითი უნარის შემცირებას გერმანიის საზღვრებში მის მსყიდველობით უნართან შედარებით აშშ-ში. მსყიდველობითი უნარის ეს ცვლილება ხდება იმიტომ, რომ გერმანიის საქონელზე ფასები (დოლარით) იზრდება ($E_{USD} \times P_G$) აშშ-ს საქონელზე ფასებთან შედარებით (P_{US}).

სქემატური მაგალითის შესაბამისად, დოლარის 10%-ით ნომინალური გაუფასურება ($E_{USD} = 0.55$) ერთ გერმანულ მარკამდე იწვევს q_{USD} -ის ზრდას 1.1 აშშ კალათამდე ერთ გერმანულ კალათასთან შეფარდებით. ეს არის დოლარის 10%-ით რეალური გაუფასურება გერმანულ მარკასთან შეფარდებით (q_{USD} -ის იგივე პროცესი შეიძლება მომხდარიყო P -ს 10%-იანი ზრდის ან P_{US} -ს 10%-იანი შემცირების შედეგად). რეალური გაუფასურება იმას ნიშნავს, რომ დოლარის მსყიდველობითი უნარი გერმანულ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში 10%-ით ეცემა მის მსყიდველობით უნართან შედარებით აშშ-ს საქონელსა და მომსახურებაზე.

რაკი ეროვნული ფასების დონეში შემავალი ბევრი პუნქტი არასავაჭროა, კარგი იქნებოდა, გეუფიქრა q_{USD} -ზე. როგორც რეალურ გაცვლით კურსზე, ანუ გერმანული პროდუქციის შესადარ ფასზე ზოგადად ამერიკული პროდუქციის გამოსახულებით, ანუ იმ ფასზე, რა ფასადაც ამერიკულ სამომხმარებლო კალათაზე წარიმართებოდა პიპოთეტური ეაჭრობა გერმანული სამომხმარებლო კალათის სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი თუ იქნებოდა ეაჭრობა ადგილობრივ ფასებში. დოლარი შეგვიძლია მიუიჩნიოთ გაუფასურებულად, როცა q_{USD} იზრდება, რადგან ამერიკის საქონლის პიპოთეტური მსყიდველობითი უნარი ზოგადად გერმანულ პროდუქციასთან შედარებით მცირდება. ე.ი. ამერიკული საქონელი და მომსახურება უფრო იაფი ხდება გერმანულთან შედარებით.

დოლარის რეალური გაძვირება გერმანულ მარკასთან შედარებით არის q_{USD} -ის შემცირება, რაც მიგვანიშნებს გერმანიაში გაყიდული საქონლის შესადარი ფასების შემცირებაზე ან გერმანიაში დოლარის მსყიდველობითი უნარის ზრდაზე მის მსყიდველობით უნართან შედარებით ამერიკაში.

გერმანულ მარკასთან შედარებით დოლარის კურსის რეალური გაუფასურებისა და გაძვირების პირობა იგივეა, რაც იყო ნომინალური გაცვლითი კურსისათვის (ანუ E_{USD} -ის სვეით აღინიშნება დოლარის გაუფასურება, E_{USD} -ის ქვეით გაძვირება). (15-6) ტოლობა მიგვანიშნებს, რომ როდესაც გამოშვების ფასები უცვლელია,

ნომინალური გაუფასურება (გაძვირება) გულისხმობს რეალურ გაუფასურებას (გაძვირებას). ჩვენი კამათი რეალური გაცვლის კურსის ცვლილებების შესახებ მოიცავს, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევას, მე-13 თავში გაკეთებულ დასკვნას: როდესაც საქონელზე ადგილობრივი ფულადი ფასები მუდმივად არის შენარჩუნებული, დოლარის ნომინალური გაუფასურება აშშ-ს საქონელს აიაყებს საზღვარგარეთულ საქონელთან შედარებით მაშინ, როდესაც დოლარის გაძვირება საქონელსაც აძვირებს.

(15-6) ტოლობა აიოლებს იმის დანახვას, თუ რეალური გაცვლითი კურსი რატომ არ შეიძლება იდენტურად იყოს, თუ შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნებულია. მაგალითად, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პირობებში E -ის 10%-იანი ზრდა ეოველთვის სუსტად იქნება ანაზღაურებული P/P_{us} -ის ფასების დონის შეფარდებით შემცირებით, რითაც q_{us} შეუცვლელი დარჩება.

მოთხოვნა, მიწოდება და ხანგრძლივი პერიოდის რეალური გაცვლითი კურსი

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ სამყაროში, სადაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არ არის შენარჩუნებული, ხანგრძლივ პერიოდში რეალური გაცვლითი კურსის ღირებულებები, ბაზრების მარეგულირებელი სხვა შესადარი ფასების მსგავსად, დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების პირობებზე. რადგან გაცვლითი კურსი გულისხმობს ცვლილებებს ორი ქვეყნის დანახარჯების შესადარ ფასებში, მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის პირობებს. ცვლილებები ქვეყნების გამოშვების ბაზრებზე შეიძლება კომპლექსური იყოს და არ გეინდა დიდი ძალა დაუხარჯოთ უამრავი შესაძლებლობის განხილვას. ამიტომ ჩვენ შევჩერდებით ორ სპეციფიკურ საკითხზე: ჯერ ერთი, მათი გაგება ადვილია და მეორეც, მნიშვნელოვანნი არიან იმის ასახსნელად, თუ რატომ შეიძლება შეიცვალოს ხანგრძლივი პერიოდის რეალური გაცვლითი კურსი.

1. ამერიკულ პროდუქტიაზე მსოფლიოს შეფარდებითი მოთხოვნის შეცვლა. ვთქვათ, ამერიკულ საქონელსა და მომსახურებაზე მოლიანი მსოფლიო დანახარჯები იზრდება რამდენიმე შემდეგი მიზეზის გამო: აშშ-ს კერძო მოთხოვნის გადაადგილება გერმანული საქონლიდან ამერიკული საქონლის მიმართულებით, კერძო საზღვარგარეთული მოთხოვნის გადაანაცვლება ამერიკული საქონლის მიმართულებით, ან აშშ-ს სახელმწიფო მოთხოვნის ზრდა ძირითადად ადგილობრივ გამოშვებაზე. აშშ-ს პროდუქტიაზე მსოფლიო შეფარდებითი მოთხოვნის გადაადგილება გამოიწვევს ჭარბ მოთხოვნას მათზე წინა რეალური გაცვლითი კურსით. წინასწარობის აღსადგენად ამერიკული გამოშვების შესადარი ფასები გერმანული გამოშვების გამოსახულებით უნდა გაიზარდოს. აშშ-ს არასაეაჯრო საქონლისა და წარმოებული საქონლის ფასებიც გადიდება და ადგილობრივ ინტენსიურად მოხმარებული საეაჯრო საქონლის ფასებიც მოიმატებს გერმანიაში დამსაღებულ მსგავსი პროდუქციის ფასებთან შედარებით. ყველა ეს ცვლილება მოქმედებს q_{us} -ის, ანუ გერმანიის ტიპური ხარჯების შესამცირებლად აშშ-ს ხარჯების გამოსახულებით. ჩვენ დავასკვნით, რომ აშშ-ს გამოშვებაზე მსოფლიო მოთხოვნის შეფარდებითი ზრდა გამოიწვევს დოლარის კურსის გაძვირებას ხანგრძლივ პერიოდში გერმანულ მარკასთან მიმართებით (q_{us} -ის შემცირება). ამის მსგავსად, აშშ-ს გამოშვებაზე მსოფლიო რეალური მოთხოვნის შემცირებას მოჰყვება დოლარის რეალური გაუფასურება გერმანულ მარკასთან შედარებით (q_{us} -ის ზრდა), ხანგრძლივ პერიოდში.
2. შეფარდებითი გამოშვების მიწოდების შეცვლა. დაუშვათ, აშშ-ს სამუშაო ძალისა და კაპიტალის მწარმოებლურობის ეფექტურობა იზრდება. რადგან ამერიკელები თავისი გაზრდილი შემოსავლის ნაწილს საზღვარგარეთულ საქონელზე ხარჯავენ, მათთვის აშშ-ს ყველა ტიპის საქონლისა და მომსახურების მიწოდება მათივე მოთხოვნისთან შედარებით იზრდება, რის შედეგადაც ეილებოთ ამერიკული გამოშვების შეფარდებით სიჭარბეს (წინა რეალური გაცვლითი კურსით). ამერიკული პროდუქციის შესადარი ფასების შემცირება როგორც საეაჯრო, ასევე არასაეაჯრო საქონელზე, გააიძულებს მათზე მოთხოვნას, რითაც გამოიწვევს ჭარბ მიწოდებას. ფასების ასეთი ცვლილება არის დოლარის რეალური გაუფასურება მარკასთან შედარებით, ანუ q_{us} -ის გაზრდა. აშშ-ს გამოშვების შეფარდებითი ექსპანსია იწვევს ხანგრძლივ პერიოდში დოლარის რეალურ გაუფასურებას მარკასთან მიმართებაში (q_{us} იზრდება). გერმანული გამოშვების ექსპანსია კი გამოიწვევს დოლარის კურსის ზრდას ხანგრძლივ პერიოდში მარკასთან შედარებით (q_{us} -ის შემცირება).

ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსი ხანგრძლივი პერიოდის ფონასწორებაში

ახლა შევაჯამოთ ამ და წინა თავებში განხილული მასალა და ვხახოთ, როგორ განისაზღვრება ხანგრძლივი პერიოდის ნომინალური გაცვლითი კურსი. მთავარი, რაც წინა თავებიდან მომდინარეობს, ის არის, რომ ეროვნულ ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებები იწვევენ ნომინალური გაცვლითი კურსისა და საერთაშორისო ფასების დონის პროპორციულ მოძრაობას ხანგრძლივ პერიოდში, რაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიით არის ნაყარაულები. ცვლილებები ეროვნული გამოშვების ბაზრებზე სემოქმედებენ და ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლასაც განაპირობებენ, რაც არ შეესაბამება მსყიდველობითი უნარის პარიტეტს.

გავიხსენოთ დოლარ/მარკის რეალური გაცვლითი კურსის განსაზღვრება – გამოსახული (15-6) ტოლობით:

$$q_{USD} = (E_{USD} \times P_G) / P_{US}$$

ნომინალური გაცვლითი კურსის ამ ტოლობიდან შეგვიძლია მივიღოთ ტოლობა, რომელიც წარმოადგენს დოლარ/მარკის ნომინალური გაცვლითი კურსის (როგორც დოლარ/მარკის რეალური გაცვლითი კურსის) ნამრავლს აშშ – გერმანიის ფასების შეფარდებაზე:

$$E_{USD} = q_{USD} \times (P_{US} / P_G) \quad (15-7)$$

ერთადერთი განსხვავება (15-7) და (15-1) ტოლობებს შორის, რაზედაც დაგაფიქსირებთ გაცვლითი კურსის მიმართ ფულად-საკრედიტო მიდგომის ახსნა-განმარტება, შემდეგია: (15-7) ტოლობაში მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან გადახრის ასახსნელად დამატებულია მანვენებული – რეალური გაცვლითი კურსი, როგორც ნომინალური გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი. ტოლობა გულისხმობს იმას, გერმანიაში ან აშშ-ში დოლარ/გერმანული მარკის მოცემულ, რეალურ, გაცვლით კურსში ფულზე მოთხოვნის ან მიწოდების ცვლილება შემოქმედებას მოახდენს იმავე გაცვლით კურსზე ხანგრძლივ პერიოდში: ეს გააღწევა შეეხება ფულად-საკრედიტო მიდგომასაც. აღნიშნული ცვლილებები ხანგრძლივ პერიოდში ახდენენ ზეგავლენას ასეთივე პერიოდში ნომინალურ გაცვლით კურსზე, რომლის განსაზღვრება გამოსახულია (15-7) ტოლობით; ამდენად იგი მოიცავს ფულად-საკრედიტო მიდგომის საფუძვლიან ელემენტებს, ამასთან შესწორება შეაქვს ამ მიდგომაში იმით, რომ ითვალისწინებს არაფულად-საკრედიტო ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მდგრადი გადახრა მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან.

თუ დაუქმდებით, რომ ყველა ზემონახსენები მანვენებული განიხილება ხანგრძლივი პერიოდის დონეზე, მაშინ გავარკვევთ, რა არის აღნიშნულ პერიოდში ნომინალური გაცვლითი კურსის მკვეთრი შეცვლის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი:

1. **ფულის მასის შეფარდებითი დონის ცვლილება.** განიხილოთ აშშ-ს ფულის მასის ზრდა. მე-14 თავის მიხედვით, ფულის მასის პერმანენტული ერთჯერადი ზრდა არ შემოქმედებს გამოშვების დონეზე, საპროცენტო განაკვეთს ან ნებისმიერ შესადარ ფასზე (რეალური გაცვლითი კურსის ჩათვლით). ამდენად, (15-3) ტოლობა გულისხმობს იმას, რომ P იზრდება M -თან შედარებ მაშინ, როდესაც (15-7) ტოლობა გვიჩვენებს, რომ აშშ-ს ფასების დონე ერთადერთი მანვენებულია, რომელიც იცვლება ხანგრძლივ პერიოდში E გაცვლითი კურსის ცვლასთან ერთად. რადგან რეალური გაცვლითი q_{USD} კურსი უცვლელი რჩება, ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება შესაბამისობაშია შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტთან. ხანგრძლივ პერიოდში აშშ-ს ფულის მასის ზრდის ერთადერთი შესაბამისი ეფექტი არის დოლარით ყველა ფასის მომატება, გერმანული მარკის ფასის (დოლარით) ჩათვლით. ეს შედეგი ბუნებით უკავს ფულად-საკრედიტო მიდგომის გამოყენების შედეგს, რადგან ეს მიდგომა იმისთვისაა გამიზნული, რომ ახსნას ფულად-საკრედიტო ეფექტი ხანგრძლივ პერიოდში.
2. **ფულის მასის შეფარდებითი ზრდის ტემპის ცვლილება.** აშშ-ს ფულის მასის მედმივი ზრდის ტემპი ადიდება აშშ-ს ინფლაციის დონეს ხანგრძლივ პერიოდში და ფიშერის ეფექტის მეშვეობით ზრდის დოლარის საპროცენტო განაკვეთს გერმანული მარკის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. რადგან აშშ-ს რეალურ ფულზე შეფარდებითი მოთხოვნა იკლებს, (15-3) ტოლობა გულისხმობს იმას, რომ P იზრდება (რაც ნაჩვენებია 15-1 გრაფიკში). რადგან ცვლილება, რომელსაც ეს გამოშვება (P_G) მოკლებს, წმინდა ფულად-საკრედიტოა, მისი შედეგი ნეიტრალურია ხანგრძლივ პერიოდში; ის არ ცვლის მარკა/დოლარის რეალურ გაცვლით კურსს ხანგრძლივ პერიოდში. (15-7) ტოლობის მიხედვით, E იზრდება P -ის გადიდების პროპორციულად (დოლარის გაუფასურება გერმანულ მარკასთან შედარებით). კიდევ ერთხელ – წმინდა ფულად-საკრედიტო ცვლილებას მოსდევს ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებები ხანგრძლივ პერიოდში მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად ზუსტად ისე, როგორც ეს ფულად-საკრედიტო მიდგომამ ივარაუდა.
3. **გამოშვებაზე შედარებითი მოთხოვნის შეცვლა.** ცვლილების ეს ტიპი არ ექვემდებარება ფულად-საკრედიტო მიდგომას. ასე რომ, ახლა წყნის მიერ განხილული სოციალური პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც რეალური გაცვლითი კურსი შეიძლება შეიცვალოს, არსებითია. რადგან გამოშვებაზე შეფარდებითი მოთხოვნის შეცვლა არ ახდენს გააღწევას ეროვნული ფასების დონეზე ხანგრძლივ პერიოდში – ეს ძირითადად დამოკიდებულია (15-3) და (15-4) ტოლობებში ასახულ ფაქტორებზე – ნომინალური გაცვლითი კურსი (15-7) ტოლობაში მხოლოდ იმდენად შეიცვლება, რამდენადაც შეიცვლება გაცვლითი კურსი. განიხილოთ აშშ-ს საქონელზე მსოფლიო შეფარდებითი მოთხოვნის ზრდა. ამ ნაწილში ვნახეთ, რომ აშშ-ს პროდუქციასზე მოთხოვნის ზრდა იწვევს მარკასთან შეფარდებით დოლარის რეალურ გაუფასურებას ხანგრძლივ პერიოდში (q_{USD} -ის შემცირებას). ეს ცვლილება უბრალოდ არის აშშ-ს გამოშვების შესადარი ფასების ზრდა. როდესაც ხანგრძლივ პერიოდში ეროვნული ფასების დონე შეუცვლელია, (15-7) ტოლობა მიგვანიშნებს, რომ მარკასთან შედარებით შეიძლება ადგილი აქონდეს დოლარის ნომინალურ გაუფასურებას ხანგრძლივ პერიოდში (E_{USD} -ის შემცირება).
4. **გამოშვების შედარებითი მიწოდების ცვლილება.** როგორც ამ ნაწილის დასაწყისში ვნახეთ, აშშ-ს გამოშვების შეფარდებითი მიწოდების გაზრდა გამოიწვევს დოლარის გაუფასურებას რეალური გამოსახულებით

გერმანულ მარკასთან შედარებით, რაც ამცირებს აშშ-ს გამოშვების შესადარ ფასს. (15-7) ტოლობაში q -ის ეს ზრდა არ არის ერთადერთი ცვლილება, რაც უნდა მოჰყოლიდა აშშ-ს გამოშვების შეფარდებითს ზრდას. გარდა ამისა, აშშ-ს გამოშვების ზრდა აღიღებს ოპერაციების მოთხოვნას აშშ-ს ფულის რეალურ ბალანსზე, ე.ი. იზარდება აშშ-ს რეალურ ფულზე რეალური მოთხოვნა და, (15-3) ტოლობის მიხედვით, ეს ქვეით სწევს აშშ-ს ფასების დონეს ხანგრძლივ პერიოდში. თუ დაეუბრუნდებით (15-7) ტოლობას, დავისახაოთ შემდეგ: რადგან q იზრდება, ხოლო P მცირდება, გამოშვების მიწოდებაში თვით გამოშვებისა და ფულის ბაზრის ცვლილებათა ეფექტები საპირისპირო მიმართულებებით მოქმედებენ. ასე რომ, ამ E -ის წმინდა ეფექტი ბუნდოვანია. გამოშვება-მიწოდების ცვლის ანალიზი გვჩვენებს, რომ თუნდაც მაშინ, როდესაც ფულად-საკრედიტო დარღვევა მოქმედებს ერთიანი ბაზრიდან (ამ შემთხვევაში გამოშვების ბაზრიდან), მისი შემოქმედება გაცვლით კურსზე შეიძლება იყოს დამოკიდებული იმ შედეგზე, რაც ექნება გამოცხადებს სხვა ბაზრებიდან.

დასკვნა: როდესაც ყველა დარღვევა ფულად-საკრედიტო თავისი ბუნებით, გაცვლითი კურსი ემორჩილება შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტს ხანგრძლივ პერიოდში. ფულად-საკრედიტო დარღვევა ხანგრძლივ პერიოდში შემოქმედებას ახდენს ვალუტის მხოლოდ ზოგად მსყიდველობით უნარზე, იწვევს მის ცვლილებას, რაც თანაბრად ცვლის ვალუტის ღირებულებას ადგილობრივი და უცხოური საქონლის სახით. როდესაც ადგილი აქვს დარღვევას გამოშვების ბაზარზე, გაცვლითი კურსი არ დემორჩილება შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტს ხანგრძლივ პერიოდშიც კი. 15-1 ცხრილი აჯამებს მონაცემებს, რაც ეხება ფულად-საკრედიტო და გამოშვების ბაზრის ცვლილებების გავლენას ნომინალურ გაცვლით კურსზე ხანგრძლივ პერიოდში.

ცხრილი 15-1 ფულადი ბაზრისა და გამოშვების ბაზრის ცვლილებების გავლენა ხანგრძლივი პერიოდის დოლარ/გერმანული მარკის ნომინალურ გაცვლით კურსზე, E თმ

ცვლილება	გავლენა გრძელვადიან დოლარ/გერმანული მარკის ნომინალურ გაცვლით კურსზე, E <small>თმ</small>
ფულის ბაზარი	
1. აშშ ფულის მასის ზრდა	პროპორციული ზრდა (\$-ის ნომინალური გაუფასურება)
2. გერმანიის ფულის მასის ზრდა	პროპორციული ზრდა (DM-ის ნომინალური გაუფასურება)
3. აშშ ფულის მასის ზრდის ტემპის მატება	ზრდა (\$-ის ნომინალური გაუფასურება)
4. გერმანული ფულის მასის ზრდის ტემპის მატება	კლება (DM-ის ნომინალური გაუფასურება)
გამოშვების ბაზარი	
1. აშშ-ს გამოშვებაზე მოთხოვნის ზრდა	კლება (\$-ის ნომინალური კურსის ზრდა)
2. გერმანიის გამოშვებაზე მოთხოვნის ზრდა	ზრდა (DM-ის ნომინალური კურსის ზრდა)
3. გამოშვების ზრდა აშშ-ში	გაურკვეველი
4. გამოშვების ზრდა გერმანიაში	გაურკვეველი

მომდევნო თავში გამოვიყენებთ ამ ნაწილში შემუშავებული ხანგრძლივი პერიოდის გაცვლითი კურსის მოდელს, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავთ ხანმოკლე პერიოდის მაკროეკონომიკურ მოვლენებს. ხანგრძლივი პერიოდის ფაქტორები მნიშვნელოვანია ხანმოკლე პერიოდის ანალიზისათვისაც, რადგან მომავლის მოლოდინი მთავარ როლს თამაშობს გაცვლითი კურსის ყოველდღიურ განსაზღვრაში. თავში აღნიშნული მოდელი ხანგრძლივ პერიოდში უზრუნველყოფს ბაზრის მოლოდინის სტრუქტურას, რომელსაც ბაზრის მონაწილენი იყენებენ მომავალი გაცვლითი კურსის პროგნოზირებისათვის, არსებული ხელმისაწვდომი ინფორმაციის დახმარებით.

საკითხის შესწავლისათვის

გამუდგებით რატომ იზრდება იენის კურსი?

1950 და 1970 წლებს შორის იაპონური იენი მიბმული იყო აშშ დოლარზე ნომინალური გაცვლითი კურსით, რომელიც შეიძლება შეცვლილიყო $\pm 1\%$ -ით 360 იენიდან ერთ დოლარზე. 1970-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც დოლარ/იენის გაცვლით კურსს ნება დართეს მტოცავი ყოფილიყო, ან შეცვლილიყო საბაზრო ძალების საპასუხოდ, იენის კურსის ზრდადი გაძვირება დოლართან შედარებით უსარმაზარი აღმოჩნდა. 1995 წლის გაზაფხულზე დოლარის ფასმა პირველად მიაღწია 80 იენის ნიშნულს: 25 წელზე ნაკლებ პერიოდში დოლარმა დაკარგა თავისი კურსის 80% იენთან შედარებით!


ამ პროცესთან დაკავშირებით პირველ გადაწყვეტ პასუხს მივიღებთ მაშინ, როდესაც დაეკვირდებით

დოლარის რეალური გაცვლითი კურსის ქვევას იენთან შედარებით, ($q_{\$/\text{Y}}$). 15-5 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ იაპონური საქონლის ფასი აშშ-ს საქონლის სახით მყარად იწედა მაღლა 1950 წლიდან. ავიღოთ იენის კურსის სრლის ეს ტენდენცია, როგორც მოცემული მაჩვენებელი ამ მომენტისათვის და განვიხილოთ მისი მნიშვნელობა დოლარ/იენის ნომინალური გაცვლითი კურსისათვის ($E_{\$/\text{Y}}$). შემდეგ დაუბრუნდეთ ფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც $q_{\$/\text{Y}}$ -ს ახასიათებს აღმავალი ტენდენცია.

თუნდაც მაშინ, როდესაც $E_{\$/\text{Y}}$ (ნომინალური კურსი) დაახლოებით იყო ფიქსირებული $1/(360 \text{ \$/Y}) = 0.2778$ (ცენტრი ერთ იენზე, $q_{\$/\text{Y}}$ (რეალურ კურსს) შეედლო მომატება 1950-71 წლების პერიოდში, რადგან იაპონიაში ინფლაციის უფრო მაღალი დონე აღინიშნა, ვიდრე აშშ-ში. 1950-60 წლებში იაპონიის ინფლაციის საშუალო დონე გახდა 5.3% წელიწადში, აშშ-ს ინფლაციის დონემ კი საშუალოდ მიაღწია 2.6%-ს. ეს უკანასკნელი უფრო მაღალი იყო - 3.4% წელიწადში 1960-71 წლებში, რასაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა იაპონიის ინფლაციის საშუალო დონე, 5.5%. იმავე პერიოდისათვის გაცვლითი კურსი ასე გამოისახებოდა: $q_{\$/\text{Y}} = (E_{\$/\text{Y}} \times P_J) / P_{US}$, რადგან P იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე P_{US} . სრლის ტენდენცია, რაც ნაჩვენებია 15-5 გრაფიკში, შეიძლება გატრიალებულიყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ $E_{\$/\text{Y}}$ ფიქსირებული იქნებოდა.

ვითარება შეიცვალა მცოცავი გაცვლითი კურსის შემოდებით 1970-იან წლებში. 1973-74 წლებში მაღალი ინფლაციით გატანჯულმა იაპონიის ლიდერებმა უპირატესობა მიანიჭეს მის დაბალ დონეს აშშ-თან შედარებით. ამიტომ იყო, რომ ამერიკაში ინფლაციის დონემ მიაღწია საშუალოდ 4.7%-ს წელიწადში, იაპონიაში კი, საშუალოდ, 2.3%-ს. თუ კვლავ დაეკვირდებით $q_{\$/\text{Y}} = (E_{\$/\text{Y}} \times P_J) / P_{US}$ განსახილველბას, დაინახავთ, რომ ერთადერთი გზა (რითაც $q_{\$/\text{Y}}$ კვლავაც მზარდი იქნება, როდესაც P_J უფრო ნელა მოიმატებს ვიდრე P_{US}) ის არის, რომ $E_{\$/\text{Y}}$ უფრო მკვეთრად გაიზარდოს.

გრაფიკი 15-5 დოლარ/იენის რეალური გაცვლითი კურსი, 1950-92 წლები



აშშ დოლარი სტაბილურად გაუფასურდა იაპონურ იენთან მიმართებაში. (სწორი ხაზი აღნიშნავს საშუალო მიმართულებას დროის პერიოდში რეალური გაცვლითი კურსით)

ამ პროცესმა მიგვიყვანა შეკითხვამდე: რატომ იზრდებოდა $q_{\$/\text{Y}}$ ანუ რით აიხსნება იენის კურსის გამყარებული რეალური გაძვირება დოლართან მიმართებაში გასული 50 წლის მანძილზე? პასუხი შემოგვთავაზა ბალასა-სამუელსონის ფუნქციის ანალიზმა, რომელიც გადმოვეცით ნაწილში - „საკითხის შესწავლისათვის: რატომ არის ფასები უფრო დაბალი ღარიბ ქვეყნებში“. იაპონიაში იყო სავაჭრო საქონლის მწარმოებლობის სრლის მაღალი ტემპი. არასავაჭრო საქონლის (როგორცაა მომსახურება) წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების მწარმოებლობა კი გაცილებით ნელა იზრდებოდა. სავაჭრო საქონლის მწარმოებლობის გაზრდის ტენდენციამ გამოიწვია ხელფასების გაზრდა მთელს ეკონომიკაში, მაგრამ რადგან არასავაჭრო საქონლის პროდუქტიულობა ჩამორჩებოდა, ამ სექტორის მწარმოებლებს შეუძლოთ გადაეხადათ უფრო მაღალი ხელფასები პროდუქციაზე ფასების აწევით. ამდენად, დროთა განმავლობაში იაპონიაში არასავაჭრო საქონლის შესადარი ფასები სავაჭრო საქონლის სახით გაიზარდა და ეს უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე აშშ-ში, სადაც განსხვავება სავაჭრო საქონლის სახით გაიზარდა და ეს უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე აშშ-ში, სადაც განსხვავება სავაჭრო საქონლის სახით გაიზარდა მწარმოებლობაში უფრო მცირეა. ამ ფუნქციის თეორიულად დროთა განმავლობაში შეუძლო გაეზარდა იაპონიის სტანდარტული სამომხმარებლო კალათის ფასი აშშ-ს კალათის გამოსახილებით $q_{\$/\text{Y}}$ საფუძველზე.

დასტურდება თუ არა მონაცემებით ეს ახსნა? იაპონიის გაწონასწორებული აღმასვლა ან სასწრაფო გარეო მისი მწარმოებლობის სრდა, რომელიც თანაბარ სარგებელს განაპირობებდა როგორც სავაჭრო, ისე არასავაჭრო საქონლის წარმოებიდან, იწვევდა იენის რეალურ გაუფასურებას. მაგრამ დაბალანსებული მწარმოებლობის სრდა არ არის ის, რაც განიცადა იაპონიაში. სავაჭრო საქონლის აღმავალი წარმოების კონკრეტირება გაწონასწორებული გამოშვების სრდისგან განსხვავებულ გაცვლენას ახდენდა რეალურ გაცვლით კურსზე. მრეწველობის მონაცემების გულმოდგინე კვლევისას პელსინგანის უნივერსიტეტის ეკონომისტმა, რინარდ მერსტონმა, აღმოაჩინა, რომ სამუშაო ძალის მწარმოებლობის სრდამ აშშ-ს სავაჭრო საქონელში 13.2 %-ით გადააჭარბა აშშ-ს იმავე ძალის მწარმოებლობის სრდამ აშშ-ს სავაჭრო საქონელში. ეს ტენდენცია 1983 წლის შემდეგაც გაგრძელდა. 1993 წელს მაკკენისის სამეცნიერო საკონსულტაციო ფირმის მიერ სატარებული კვლევის აღმოსნდა, რომ იაპონელი მეშენები აშშ-ს მუშებზე

გაცილებით მწარმოებლურები იყვნენ გადაამამუშავებელი მრეწველობის ისეთ რამდენიმე ძირითად დარგში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, მანქანის ნაწილები, ფოლადის წარმოება და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა. პირიქით, იაპონიის მუშები ნაკლებ ნაყოფიერნი აღმოჩნდნენ ამერიკულ მექანიკულ მუშებთან შედარებით არასავაჭრო საქონლის წარმოებაში.


აქედან გამომდინარე, არასავაჭრო საქონლის ფასი სავაჭრო საქონლის გამოსახულებით უნდა გაზრდილიყო ორივე ქვეყანაში, მაგრამ მატემა გაცილებით მაღალი უნდა ყოფილიყო იაპონიაში. ეს დასაბუთება საკმაოდ კარგად ესადაგება ფაქტებს: მერსტონმა აღმოაჩინა, რომ 1973-83 წლებში არასავაჭრო საქონლის შესადარი ფასები გაიზარდა 12.4%-ით აშშ-ში, იაპონიაში 56.9%-ით. სამაგიეროდ, სავაჭრო საქონლის ფასები მკვეთრად დაეცა იაპონიაში აშშ-ს ამავე სახის საქონელთან შედარებით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რეალურ გაცვლით კურსზე იაპონიის არასავაჭრო საქონელზე სწრაფად მზარდი ფასებისგან გამოწვეული შედეგის ასანახადურებლად. არასავაჭრო საქონელზე სწრაფად მზარდი ფასები გვინჟენებს, თუ q_{nr} რატომ იზრდებოდა სტაბილურად.

15-6 გრაფიკი გვინჟენებს, რომ მწარმოებლურობის გაქონანსწორებელი ზრდის ეფექტი არასავაჭრო საქონლის ფასებზე შენარჩუნდა განვითარებულ ქვეყნებში 1970-85 წლებში. რაც უფრო დიდი იყო განსხვავება საწარმოო ფაქტორების მწარმოებლურობის ზრდის მიხედვით სავაჭრო და არასავაჭრო საქონელს შორის, მით უფრო მაღალი იყო არასავაჭრო საქონლის შესადარისი ფასები საშუალოდ. იგივე შეგიძლიათ დაინახოთ გრაფიკიდან: იაპონიას წამყვანი ადგილი უკავია განვითარებულ ქვეყნებში არასავაჭრო საქონლის ფასების ზრდის ნორმის მიხედვით და ასევე წამყვანი ადგილი უჭირავს სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის მწარმოებლურობიდან მიღებულ მოგებებს შორის არსებულ განსხვავებათა მიხედვით. სწორედ მწარმოებლურობის შეცვლის ეს მოდელი, ინფლაციასთან ერთად, რომელიც აშშ-ს ინფლაციის დონეზე ნაკლებია, ინარჩუნებს იაპონური იენის კურსის ზრდას დოლართან შეფარდებით.

განსხვავებები სამართაშორისო სავაჭრო ბანაკებში და რეალური გაცვლითი კურსი

ამ თავის წინა ნაწილში ვნახეთ, რომ, როდესაც შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი კომბინირებულია საპროცენტო განაკვეთთან, განსხვავებული საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთები ათანაბრებენ მოსალოდნელი ინფლაციის დონეთა განსხვავებებს ქვეყნებს შორის. რადგან შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ზოგადად საიმედო არ არის, ურთიერთობა საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთებსა და ქვეყნების ინფლაციის დონეებს შორის უფრო რთულია, ვიდრე ეს მარტივი ფორმულით ჩანს. მიუხედავად ამ სირთულისა, ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ზემოქმედებას მოახდენენ გაცვლით კურსზე, აგრეთვე კერძო ინდივიდები, დაინტერესებულნი კურსის პროგნოზირებით. ეერ მოაღწევენ წარმატებას იმ ფაქტორების გაგების გარეშე, რომლებიც იწვევენ განსხვავებას ქვეყნების საპროცენტო განაკვეთებში.

გრაფიკი 15-6 განსხვავებები მრეწველობის დარგების მწარმოებლურობის ზრდის მიხედვით და არასავაჭრო საქონლის შესადარი ფასების ცვლა 1970-1985 წლებში.



უფრო მაღალი სავაჭრო და არასავაჭრო მწარმოებლურობის ზრდაში განსხვავება დაკავშირებულია არასავაჭრო საქონლის შესადარ ფასების მატების ტემპთან.

ამ ნაწილში განკარგავთ ადრე განხილულ ფიშერის ეფექტს, რათა მოვიცვათ რეალური გაცვლითი კურსის მოძრაობები, რისთვისაც გინჟენებთ ზოგადად საპროცენტო განაკვეთების განსხვავებებს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არა მხოლოდ მოსალოდნელი ინფლაციის დონეთა სხვადასხვაობაზე არიან დამოკიდებულნი (როგორც ამას ყველაფერი-საპროცენტო მიდგომა ამტკიცებს), არამედ რეალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელ ცვლილებებზეც.

გაეიხსენოთ, რომ დოლარ/გერმანული მარკის რეალური გაცვლითი კურსის, $q_{\$DM}$ -ის, შეცვლა განვიხილეთ, როგორც გადახრა შეფარდებითი მსყიდველობით. უნარის პარიტეტიდან, ანუ $q_{\$DM}$ არის პროცენტული ცვლილება დოლარ/მარკის გაცვლით კურსში, რომელიც ნაკლებია აშშ-სა და გერმანიის ინფლაციის დონეთა შორის არსებულ საერთაშორისო განსხვავებაზე. აქედან მიიღება შესაბამისი ურთიერთობა რეალურ გაცვლით კურსს, ნომინალური კურსის მოსალოდნელ ცვლილებასა და მოსალოდნელ ინფლაციას შორის:

$$(q_{\$DM}^e - q_{\$DM})/q_{\$DM} = [(E_{\$DM}^e - E_{\$DM})/E_{\$DM}] - (\pi_{US}^e - \pi_G^e), \quad (15-8)$$

სადაც $q_{\$DM}^e$ არის მოსალოდნელი რეალური გაცვლითი კურსი დღეიდან ერთ წელიწადში.

საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის პირობა დოლარისა და გერმანული მარკის დეპოზიტებს შორის გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$R_{\$DM} - R_{DM} = (E_{\$DM}^e - E_{\$DM})/E_{\$DM}$$

(15-8) ტოლობაში თუ შევიტანთ ცვლილებებს, ენახავთ, რომ დოლარ/მარკის ნომინალურ გაცვლით კურსში მოსალოდნელი ვალუტის კურსი იგივეა, რაც რეალურ გაცვლით კურსში მოსალოდნელი ვალუტის კურსი, რასაც ემატება აშშ-სა და გერმანიაში არსებული ინფლაციის დონეებს შორის განსხვავება. საპროცენტო პარიტეტის პირობასთან (15-8) ტოლობის კომბინირებით მივიღებთ საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის შემდეგ განსხვავებებს:

$$R_{\$DM} - R_{DM} = [(q_{\$DM}^e - q_{\$DM})/q_{\$DM}] + (\pi_{US}^e - \pi_G^e). \quad (15-9)$$

მიაქციეთ ყურადღება, რომ როდესაც ბაზარი მოელის შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ფართოდ გაურცხლებას, მაშინ $q_{\$DM}^e = q_{\$DM}$ და მარჯვენა მხარის პირველი შესაკრები ამოვარდება. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში (15-9) ტოლობა მარტივდება (15-5) ტოლობამდე, რომელიც მივიღეთ შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის დაშვებით.

ზოგადად დოლარ/მარკის საპროცენტო განსხვავება ორი კომპონენტის ჯამს წარმოადგენს: (1) მარკასთან შედარებით დოლარის რეალური გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი და (2) აშშ-სა და გერმანიას შორის არსებული განსხვავება ინფლაციის მოსალოდნელი დონის მიხედვით. მაგალითად, თუ აშშ-ს ინფლაციის დონე მუდმივად 5% იქნება წელიწადში, ხოლო გერმანიისა ნულის ტოლი, არ არის აუცილებელი, ხანგრძლივ პერიოდში დოლართა და მარკის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 5% იყოს, რასაც შემოგვთავაზებდა მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (და საპროცენტო პარიტეტიც). გარდა ამისა, გამოშვებაზე მოთხოვნისა და მიწოდების ტენდენციები გამოიწვევენ დოლარის დაცემას მარკასთან შედარებით, 1%-იანი რეალური განაკვეთით წელიწადში, რის გამოც საერთაშორისო პროცენტული სხვაობა 6% იქნება.

რეალური საპროცენტო პარიტეტი

ეკონომიკა მნიშვნელოვან განსხვავებას იწვევს ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებსა (უკუგების ნორმა – გაზომილი ფულად-საკრედიტო გამოსახულებით) და რეალურ საპროცენტო განაკვეთებს (უკუგების ნორმა – გაზომილი რეალური გამოსახულებით) შორის. რადგან უკუგების რეალური ნორმა ხშირად არასარწმუნოა, ჩვეულებრივ მიემართავენ მოსალოდნელ რეალურ საპროცენტო განაკვეთებს. საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც განვიხილეთ საპროცენტო პარიტეტის პირობასთან კავშირში, და ფულზე მოთხოვნის გამსახლეურელები წარმოადგენდნენ ნომინალურ განაკვეთებს, მაგალითად: დოლარის უკუგებას დოლარის დეპოზიტიდან. მრავალი სხვა მიზეზის გამო ეკონომისტებმა უნდა გააანალიზონ ეს პროცესი უკუგების რეალური განაკვეთის სახით. ფულის ინფესტირების მსურველი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ იმის ცოდნის საფუძველზე, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არის 15%. ინფესტირება საკმაოდ მიმსიდეული იქნება ნელოვანი ინფლაციის დროს, მაგრამ სრულიად მიუღებელი, თუ ინფლაციის დონე წელიწადში 100%-ია.

ამ თავს დავასრულებთ იმის ჩვენებით, რომ ნომინალური საპროცენტო პარიტეტის პირობა საპროცენტო განაკვეთის განსხვავებას ვალუტებს შორის ათანაბრებს ნომინალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელ ცვლილებებთან, ხოლო რეალური საპროცენტო პარიტეტის პირობა მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთის განსხვავებებს ათანაბრებს რეალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელ ცვლილებებთან. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შენარჩუნება (ე.ი. რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებები არა არის მოსალოდნელი), საყარაუდოა, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთი ერთი და იგივე იქნება ყველა ქვეყანაში.

მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც აღნიშნულია r^e -ით, ტოლია ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა R გამოკლებული მოსალოდნელი ინფლაციის π^e ტემპი:

$$r = R - \pi.$$

სხვა სიტყვებით, ქვეყნის რეალური საპროცენტო განაკვეთი უბრალოდ არის უკუგების რეალური ნორმა, რომლის მიღებასაც მოელის ადგილობრივი მოქალაქე თავისი ვალუტის გასესხებით. მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ნათელს კჟენს იმ მანიქენებლების ბუნდოვანებას, რომლებიც ფიშერის ეფექტის საფუძველს წარმოადგენენ. მოსალოდნელი ინფლაციის ტემპი ნებისმიერი სრდა, რომელიც არ ცვლის მოსალოდნელ საპროცენტო განაკვეთს, უნდა იყოს ასახული ნომინალურ საპროცენტო განაკვეთში.

მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განსხვავების ფორმულა ორ ისეთ ქვეყანას შორის, როგორცაა აშშ და გერმანია, შემდეგი სახისაა:

$$r_{US} - r_G = (R_s - \pi_s) - (R_{GM} - \pi_G).$$

რომელსაც თუ შეუხამებთ გადაკეთებულ (15-9) ტოლობას, მივიღებთ რეალური საპროცენტო პარიტეტის სასურველი პირობის ტოლობას:

$$r_{US} - r_G = (q_{SDM}^* - q_{SDM}) / q_{SDM} \quad (15-10)$$

(15-10) ტოლობა აგებულია ნომინალური საპროცენტო პარიტეტის პირობის მიხედვით და ძალიან ჰგავს მის ფორმულას. იგი აშშ-სა და გერმანიას შორის მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთების განსხვავებებს ხსნის დოლარ/მარკის რეალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელი მოძრაობით.

მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირია, თუ შეყარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი შენარჩუნებულია, სადაც (15-10) ტოლობა იმას ნიშნავს, რომ $r = r$ უფრო ზოგადად: მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთები სხვადასხვა ქვეყანაში არ არის აუცილებელი ტოლი იყოს ხანგრძლივ პერიოდშიაც კი, თუ მოსალოდნელია გამუდმებული ცვლილება გამოშვების ბაზარზე. მაგალითად, დაეუშვათ, მწარმოებლურობა სამხრეთ კორეის სავაჭრო საქონლის სექტორში მოსალოდნელია გაიზარდოს მომავალ ორ ათწლეულში მაშინ, როდესაც მწარმოებლურობა ინერტულია სამხრეთ კორეის არასავაჭრო საქონლისა და აშშ-ს მრეწველობის ყველა დარგში. თუ ბალანს-სამუყელსონის პიპოტეზა საფუძვლიანია, ადამიანები უნდა მოელოდნენ აშშ დოლარის რეალურ გაუფასურებას სამხრეთ კორეის ვალუტასთან შედარებით, რადგან კორეის არასავაჭრო საქონლის ფასების იზრდება. (15-10) ტოლობა გულისხმობს იმას, რომ მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალი უნდა იყოს აშშ-ში, ვიდრე სამხრეთ კორეაში.

ნუთუ ასეთ რეალური საპროცენტო განაკვეთების განსხვავებაში ინვესტორები ვერ ამჩნევენ საერთაშორისო მოგების შესაძლებლობებს? პასუხი ასეთია: ქვეყნის საზღვრებს მიღმა მოქმედ რეალურ საპროცენტო განაკვეთებში განსხვავება არ ნიშნავს იმას, რომ ორი ქვეყნის მოქალაქენი თავიანთი ქონებიდან მიიღებენ უკუგების სხვადასხვა რეალურ ნორმას. ნომინალური საპროცენტო პარიტეტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნებისმიერი ინვესტორი მოელის ერთნაირ რეალურ უკუგებას ადგილობრივი თუ უცხოური სავალუტო აქტივებიდან. სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ორ ინვესტორს არ სჭირდება უკუგების ამ ერთადერთი რეალური ნორმის გამოანგარიშება ერთი და იმავე გზით, თუ მათი სამომხმარებლო კალათების ფასები ერთმანეთს არ უკავშირდება შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტით. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ისარგებლებს ამ უთანხმოებიდან, ფონდებს თუ გადაიყვანს ვალუტიდან ვალუტაში.

რეზიუმე

1. თეორია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესახებ ადგენს, რომ ქვეყნების ვალუტებს შორის არსებული გაცვლითი კურსი ტოლია ფასების დონეების თანაფარდობისა, რაც გაზომილია ტიპიური სამომხმარებლო კალათის ფულადი ღირებულებით. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისი მტკიცება ის არის, რომ ნებისმიერი ვალუტის მსყიდველობითი უნარი ნებისმიერ ქვეყანაში ერთი და იგივეა. აბსოლუტური მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გულისხმობს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის მეორე ვერსიას – შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტს. ეს უკანასკნელი არ ვარაუდობს იმას, რომ პროცენტული ცვლილებები გაცვლით კურსში ტოლია განსხვავებებისა ქვეყნების ინფლაციის დონეებში.
2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის ძირითად ღერძს წარმოადგენს კანონი ერთი ფასის შესახებ, რომელიც ადგენს, რომ თავისუფალი კონკურენციისა და სავაჭრო წინააღმდეგობების არარსებობისას საქონელი უნდა გაიყიდოს ცალკეული პროდუქციის ფასით, მიუხედავად იმისა, თუ მსოფლიოს რომელ ნაწილში მოხდება მისი გაყიდვა. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის დამკვეთები ხშირად ამტკიცებენ, რომ მისი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად სულაც არ არის საჭირო, რომ ერთი ფასის კანონმა მოიცვას ყოველი საქონელი.
3. ფულად-საერედიტო მიდგომა გაცვლითი კურსის მიმართ მსყიდველობითი უნარის პარიტეტს იყენებს ხანგრძლივ პერიოდში გაცვლითი კურსის ქცევის ასახსნელად, ძირითადად ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის სახით. ამ თეორიის მიხედვით, ხანგრძლივი პერიოდის საერთაშორისო საპროცენტო

განსხვავებები მომდინარეობს არსებული ინფლაციის სხვადასხვა ეროვნული განაკვეთიდან. ეს ვარაუდი ფიშერის ეფექტის სახელითაა ცნობილი. ზღვრადი საერთაშორისო განსხვავებები ფულად-საკრედიტო სრდის ნორმაში ემყარება უწყვეტი ინფლაციის სხვადასხვა დონეს ხანგრძლივ პერიოდში. ამდენად, ფულად-საკრედიტო მიდგომით გაირკვა, რომ ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის ზრდა დაკავშირებულია მისი ვალუტის გაუფასურებასთან. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი გულისხმობს იმას, რომ საერთაშორისო საპროცენტო განსხვავებები, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საპროცენტო ცვლილებებისა გაცვლით კურსში, ასევე ტოლია მოსალოდნელი საერთაშორისო ინფლაციის დონეთა სხვაობისა.

4. მსყიდველობითი უნარის პარიტეტისა და ერთი ფასის კანონის დამამტკიცებელი საბუთები სუსტად არის მოცემული ამ მონაცემებში რეალურ სამყაროში არსებული საკაპრო ბარიერებისა და თავისუფალი კონკურენციიდან გადახრების მიმართ. გარდა ამისა, ფასების დონის სხვადასხვაობა სხვადასხვა ქვეყანაში თავგზას უზნევს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შემოწმების მსურველთ, როდესაც მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ფასების ინდექსებს იყენებენ. მრავალი სახის მომსახურებასთან ერთად, საერთაშორისო ხარჯები ტრანსპორტზე ისე წარმოუდგენლად გაიზარდა, რომ სოფი პროდუქცია არასაეაჭრო გახდა.
5. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტიდან გადახრა შეიძლება განვიხილოთ როგორც ცვლილებები ქვეყნის რეალურ გაცვლით კურსში. ანუ უცხოური დანახარჯების სტანდარტული კალათის ფასი გამოსახული ადგილობრივი დანახარჯების ტიპური კალათის ფასით. სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ვალუტა რეალურად ძვირდება ხანგრძლივ პერიოდში სასაღვარგარეთულ ვალუტასთან შედარებით, როდესაც მსოფლიო შეფარდებითი მოთხოვნა მის გამოშვებაზე იზრდება. ამ შემთხვევაში ქვეყნის რეალური გაცვლითი კურსი ეცემა. ადგილობრივი ვალუტა განიცდის რეალურ გაუფასურებას ხანგრძლივ პერიოდში უცხოურ ვალუტასთან შედარებით, როდესაც ადგილობრივი გამოშვება უფრო ფართოვდება, ვიდრე უცხოური გამოშვება. ამ შემთხვევაში რეალური გაცვლითი კურსი იზრდება.
6. ნომინალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის გასაანალიზებლად ხანგრძლივ პერიოდში დაგვიტრდა ორი კომბინირებული თეორია: ხანგრძლივი პერიოდის რეალური გაცვლითი კურსის თეორია და თეორია იმის შესახებ, თუ ადგილობრივი ფულად-საკრედიტო ფაქტორები როგორ ადგენენ ფასების დონეს ხანგრძლივ პერიოდში. ქვეყნის ფულის მარაგის თანდათანობითი ზრდა საბოლოოდ გამოიწვევს ადგილობრივი ფასების დონის მომატებას და საკუთარი ვალუტის უცხოური გაცვლითი კურსის ღირებულების პროპორციულ შემცირებას. ეს მოხდება სუსტად ისე, როგორც ამას შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი ვარაუდობდა. ფულის მასის ზრდის ცვლილებებს ასევე აქვს ხანგრძლივი ეფექტები, რაც შესაბამისობაშია მსყიდველობითი უნარის პარიტეტთან. მიწოდების ან მოთხოვნის შეცვლა გამოშვების ბაზარზე იწვევს გაცვლითი კურსის ცვლას, რომელიც არ შეესაბამება მსყიდველობითი უნარის პარიტეტს.
7. საპროცენტო პარიტეტის პირობა ნომინალური საპროცენტო განაკვეთის საერთაშორისო განსხვავებებს ათანაბრებს ნომინალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელ პროცენტულ ცვლილებებთან. სამაგიეროდ რეალური საპროცენტო პარიტეტის პირობა მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო განსხვავებებს ათანაბრებს რეალური გაცვლითი კურსის მოსალოდნელ პროცენტულ ცვლილებებთან. რეალური საპროცენტო პარიტეტი ასევე გულისხმობს იმას, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის საერთაშორისო განსხვავებები ათანაბრებს განსხვავებებს ინფლაციის მოსალოდნელ დონესა და მოსალოდნელ პროცენტულ ცვლილებას შორის რეალურ გაცვლით კურსში.

პირითაღი ტერმინები

ფიშერის ეფექტი

ფულად-საკრედიტო მიდგომა გაცვლითი კურსის მიმართ რეალური გაცვლითი კურსი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი რეალური კურსის ზრდა შედარებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი

კანონი ერთი ფასის შესახებ ნომინალური გაცვლითი კურსი რეალური საპროცენტო განაკვეთი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი რეალური გაუფასურება

პითხვები

1. დაეუშვათ, ბრაზილიაში ერთი წლის მანძილზე ინფლაციის დონე 100%-ია, ხოლო კოლანდიაში 5%. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად, რა მიუევა კოლანდიური გულდენის გაცვლით კურსს ბრაზილიურ კრუზეიროსთან შედარებით?
2. განიხილეთ, რატომ ამტკიცებენ ხშირად, რომ ექსპორტიორები სარაღლებიან, როდესაც ხდება მათი ადგილობრივი ვალუტის გაძვირება რეალური გამოსახულებით სასაღვარგარეთულ ვალუტასთან შედარებით და იგებენ, როდესაც მათი ადგილობრივი ვალუტა უფასურდება რეალური გამოსახულებით.
3. სხვა თანაბარ პირობებში, თქვენი აზრით, როგორ უქმსოქმედებას მოახდენენ ვალუტის რეალურ გაცვლით კურსზე სასაღვარგარეთულ ვალუტასთან შედარებით შემდეგი გადაადგილებები:
 - ა) დანახარჯების მთლიანი დონე არ იცვლება, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი გადაწვევიან, რომ შემოსავლიდან უფრო მეტი დახარჯონ არასაეაჭრო საქონელზე და ნაკლები საეაჭრო საქონელზე.

ბ) ერთი ქვეყნის მცხოვრებნი შეცვლიან მოთხოვნას საკუთარ საქონელზე და გადაიტანენ მას სხვა ქვეყნის ექსპორტზე.

4. ფართომასშტაბიანი ომებს მოსდევს საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსური საქმიანობის შესწრაფვა. ასეთ პირობებში გაცვლითი კურსი კარგავს მნიშვნელობას. ომი მთავრდება და მთავრობა, რომელსაც სურს გაცვლითი კურსის დაფიქსირება, ვერ წყვეტს, რა სახის ახალი კურსი დააწესოს. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიას ხშირად გამოსადეგად მიიჩნევენ ომის შემდგომი გაცვლითი კურსის რეგულირების ამ პრობლემის მოსაგვარებლად. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი, პირველი მსოფლიო ომი ეს-ესაა დამთავრდა – როგორ გამოიანიგარიშებთ დოლარ/გირვანქა სტერლინგის გაცვლით კურსს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. როდის იქნება გაუმართლებელი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის გამოყენება ამ გზით?
5. 1970-იანი წლების ბოლოს ეს პრობლემა ბრიტანეთს ძალიან აწუხებდა. მან ადრეულ წლებში განაუთარა ჩრდილოეთი ზღვის ნავთობის მწარმოებელი დარგები და უეცრად აღმოაჩინა, რომ მისი რეალური შემოსავალი გაიზარდა 1979-80 წლებში ნავთობზე მსოფლიო ფასების დრამატული ზრდის შედეგად. 1980-იანი წლების დასაწყისში კი ნავთობზე ფასებმა დაიკლო, რადგან მსოფლიო ეკონომიკაში ღრმა რეცესია დაიწყო და საერთაშორისო მოთხოვნა ნავთობზე შეირყა.

ქვემოთ გიწვევებთ გირვანქა სტერლინგის საშუალო გაცვლითი კურსის მანქნებლებს რამდენიმე უცხოურ ვალუტასთან შედარებით (ასეთ საშუალო მანქნებლებს ეწოდება რეალური *ეფექტური* გაცვლითი კურსი). ამ მანქნებლებიდან ერთ-ერთის ზრდა მიგვანიშნებს გირვანქა სტერლინგის ფასის რეალურ გაძვირებაზე ანუ ბრიტანეთის ფასების დონის ზრდაზე სასაღვარგაო არსებული ფასების საშუალო დონესთან შედარებით. სტერლინგის გაიაცვება არის მისი რეალური გაუფასურება.

ცხრილი: გირვანქა სტერლინგის ეფექტური რეალური გაცვლითი კურსი 1976-84 წლებში (1980 = 100)

1976	1977	1978	1979	1980	1981	1982	1983	1984
68.3	66.5	72.2	81.4	100.0	102.8	100.0	92.5	89.8

გამოიყენეთ ის შეხედულება, რომელიც მოგაწოდეთ ბრიტანეთის ეკონომიკის შესახებ 1978-84 წლებში გირვანქა სტერლინგის ფაქტობრივი ნორმის გაზრდისა და შემცირების ახსნისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ არასავაჭრო საქონლის როლს.

6. ყოველ კვირას ფედერალური რეზერვები აცხადებენ, თუ რა ტემპით გაიზარდა ფულის მასა იმ კვირის მანძილზე, რომელიც 10 დღის წინ დასრულდა (10 დღით დაყოვნება იმიტომ ხდება, რომ საკმაოდ დიდი დრო სჭირდება მონაცემების შეგროვებას ბანკის დეპოზიტების შესახებ). ეკონომისტებმა შეამჩნიეს, რომ როდესაც ფულის მასის გამოცხადებული ზრდის ტემპი მოსალოდნელზე უფრო დიდია, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი იზრდება; იგი ეცემა, როდესაც ბაზარი გაიგებს, რომ ფულის მასა უფრო ნელი ტემპით იზრდება. ამ ფენომენს ორი სხვადასხვა ახსნა აქვს: (1) ფულადი მასის მოულოდნელი მაღალი ზრდის ტემპი ადიდება მოსალოდნელი ინფლაციის დონეს და ამდენად ზრდის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს ფიშერის ეფექტის მეშვეობით; და (2) ფულადი მასის მოულოდნელი მაღალი ზრდის ტემპის გამო ბაზარს იმედი ექნება, რომ ფედერალური ბანკის მომავალი ქმედება შეამცირებს ფულის მასა, რითაც გამოიწვევს დეპოზიტების ოდენობის შემცირებას, რომელსაც ბანკი აწევის სასოგადოებას; მაგრამ ამ დროს არ არის მოსალოდნელი ინფლაციის დონის ზრდა. როგორ გამოიყენებდით უცხოური ვალუტის ბაზრიდან მიღებულ მონაცემებს ამ ორი ახსნიდან ერთ-ერთის ამოსარჩევად?
7. ახსენით, თუ როგორ შეგაუღონას ახდენს რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსებზე ხანგრძლივ პერიოდში ეროვნულ რეალურ ფულზე მოთხოვნის ფუნქციის მექანიზმი გადაადგილება.
8. მე-5 თავში განვიხილეთ ტრანსფერტის ეფექტი ქვეყნებს შორის (მაგალითად, სარალის კომპენსაცია, რომელიც დააკისრეს გერმანიას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ). გამოიყენეთ ამ თავში მოცემული თეორია, რათა განიხილოთ მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მექანიზმი ტრანსფერტი გერმანიიდან საფრანგეთში გაეღვენას მოახდენდა ფრანგული ფრანკის/გერმანული მარკის რეალურ გაცვლით კურსზე ხანგრძლივ პერიოდში.
9. წინა პრობლემიდან გამომდინარე განვიხილეთ როგორ შეგაუღონას მოახდენდა ამ ორი ვალუტის ნომინალურ გაცვლით კურსზე ტრანსფერტი ხანგრძლივ პერიოდში.
10. ქვეყანა აწესებს ტარიფს სასაღვარგაოთიდან შემოტანილ იმპორტზე. როგორ შეცვლის მისი ქმედება გაცვლით კურსს ადგილობრივ და უცხოურ ვალუტას შორის ხანგრძლივ პერიოდში? რა ახდენს შეგაუღონას ნომინალურ გაცვლით კურსზე ხანგრძლივ პერიოდში?
11. წარმოიდგინეთ, რომ ორმა ერთნაირმა ქვეყანამ ერთნაირად შესძულა იმპორტი; ერთმა მათგანმა ეს გააკეთა ტარიფის გამოყენებით, ხოლო მეორემ – ქვოტებისა. ამ ორი პოლიტიკის გატარების შემდეგ ორივე ქვეყანაში ხორციელდება ადგილობრივი ხარჯების გაწონასწორებული გაფართოება. სად უნდა გამოიწვიოს მოთხოვნის გაზრდამ რეალური ვალუტის გაძვირება – ტარიფის თუ ქვოტების შემოღებამ ქვეყანაში?
12. ახსენით, დოლარ/მარკის ნომინალურ გაცვლით კურსზე რა გაეღვენას მოახდენდა, სხვა თანაბარ პირობებში, დოლარის რეალური გაუფასურების მოსალოდნელი კურსის მექანიზმი ცვლილებები მარკასთან შედარებით.

13. რომელი ქმედება გამოიწვევდა ერთდროულად ქვეყნის ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას და მისი ვალუტის გაძვირებას სრულყოფილი ელასტიური ფასების მქონე სამყაროში?
14. დაეუშვათ, მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი აშშ-ში არის 9% წელიწადში, ხოლო გერმანიაში 3%. თქვენი აზრით, როგორი იქნება დოლარ/ მარკის გაცვლითი კურსი ერთ წელიწადში?
15. ხანმოკლე პერიოდის მყარი ფასების მოდელში ფულის მიწოდების შემცირება ზრდის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს და იწვევს ვალუტის გაძვირებას (იხ. თავი 14). რა ემართება მოსალოდნელ რეალურ საპროცენტო განაკვეთს? ახსენით, რეალური გაცვლითი კურსის შესაბამისი მიმართულება რატომ აკმაყოფილებს რეალური საპროცენტო პარიტეტის პირობას.
16. განიხილეთ შემდეგი მოსაზრება: „როდესაც ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის შეცვლა გამოწვეულია მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთის ზრდით, სახეზეა ადგილობრივი ვალუტის გაძვირება. როდესაც ცვლილებები გამოწვეულია მოსალოდნელი ინფლაციის დონის გაზრდით, ვალუტა 'უფასურდება'“.
17. 15-2 გრაფიკი გვიჩვენებს რომ 1976-80 წლებში რეალური საპროცენტო განაკვეთი შეეცარიაში ცვეულებრივ პოზიტიური იყო მაშინ, როდესაც აშშ-ში იგი ჩვეულებრივ ნეგატიურობით ხასიათდებოდა. დაეუშვათ, ამ წლებში ადამიანებმა შეძლეს ინფლაციის დონის ზუსტი პროგნოზირება. შეგიძლიათ თუ არა გამოიყენოთ, რამდენად ძლიერი იყო დოლარი შეეცარიულ ფრანკთან შედარებით უცხოური ვალუტის ბაზარზე 1976-80 წლებში? გადახედეთ გაცვლითი კურსის ისტორიას და შეამოწმეთ პასუხი.

გამოშვება და გაცვლითი კურსი ხანმოკლე პერიოდში

1990-იან წლებში ევროპული ვალუტების უმეტესობა გაძვირდა ამერიკულ დოლართან შედარებით, მაგრამ სანამ გერმანია განიცდიდა ინფლაციურ ზეწოლას, მისი ევროპელი მეზობლები იტანჯებოდნენ რეცესიის გამო. ეს თავი და წინა ორ თავში განხილული მაკროეკონომიკური მოდელის განხილვა დაგეხმარებათ იმ რთული ფაქტორების გაგებაში, რომლებიც იწვევენ გამოშვების, გაცვლითი კურსისა და ინფლაციის ღონეების ცვლილებას.

მე-14-15 თავებში გავარკვეთ ურთიერთობა გაცვლით კურსს, საპროცენტო განაკვეთსა და ფასების დონეს შორის, მაგრამ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ გამოშვების დონე განისაზღვრებოდა ზემოთ ნახსენები მოდელის გარეშე. აღნიშნულ თავებში მხოლოდ არასრული სურათი იყო მოცემული. თუ მაკროეკონომიკური ცვლილებები როგორ გავლენას ახდენენ ღია ეკონომიკაზე, რადგან მოვლენები, რომელთა გამოც გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთი და ფასების დონეც შესაძლოა შეიცვალოს, ზემოქმედებენ გამოშვებაზე. ახლა დავასრულებთ სურათს იმის გაანალიზებით, თუ გამოშვება და გაცვლითი კურსი როგორ დგინდება ხანმოკლე პერიოდში.

ჩვენს დისკუსიაში ის, რაც შევისწავლეთ აქტივის ბაზრებისა და ხანგრძლივ პერიოდში გაცვლითი კურსის ქცევის შესახებ, კომბინირებულია ახალ ელემენტთან, ანუ თეორიასთან იმის შესახებ, თუ გამოშვება როგორ ეგუება მოთხოვნის შეცვლას, როდესაც ეკონომიკაში საქონლის ფასები ნელა რეგულირდება. მე-14 თავის მიხედვით ისეთმა ინსტიტუციურმა ფაქტორებმა, როგორცაა ხანგრძლივი პერიოდის კონტრაქტები, შეიძლება დასაბამი მისცეს „არაელასტიურ“ ან გამოშვების ბაზრის ნელა შემგუებელ ფასებს. მოდელი ავაგეთ უცხოური ვალუტისა და ფულის ბაზრებთან (აქტივის ბაზრებთან) გამოშვების ბაზრის ხანმოკლე პერიოდის მოდელის შეხამებით, სადაც ყველა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ცვლადის ქცევა ახსნილია ხანმოკლე პერიოდის ღია ეკონომიკაში. წინა თავში მოცემული ხანგრძლივი პერიოდის გაცვლითი კურსის მოდელი ისეთი სტრუქტურით ხასიათდება, რომელსაც აქტივის ბაზრების მონაწილეები იყენებენ თავიანთი მოლოდინის ჩამოსაყალიბებლად მომავალ გაცვლით კურსთან დაკავშირებით.

ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელების დიდი ყურადღება ეთმობა კავშირს გამოშვებასა და სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის (როგორც არის საქონლით ვაჭრობის ბალანსი და მიმდინარე ანგარიში), რადგან გამოშვების ცვლილებების გამო ეკონომიკამ შეიძლება ვერ შეინარჩუნოს სრული დასაქმება. ამ თავის ბოლო ნაწილში გამოვიყენებთ ხანმოკლე პერიოდის მოდელს იმის შესამოწმებლად, თუ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმები როგორ ზემოქმედებას ახდენენ გამოშვებასა და მიმდინარე ანგარიშზე და როგორ არის შესაძლებელი ამ მექანიზმების გამოყენება სრული დასაქმების შესანარჩუნებლად.

ერთობლივი მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორები ღია ეკონომიკაში

იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ განისაზღვრება გამოშვება ხანმოკლე პერიოდში, როდესაც პროდუქციის მყარი ფასები, ქვეყნის გამოშვებაზე ერთობლივი მოთხოვნის კონცეფციას გაგაცნობთ. ერთობლივი მოთხოვნა არის საქონლისა და მომსახურების ოდენობა, რომელსაც ითხოვენ ცალკეული ქვეყნის ოჯახები და ფირმები მთელს მსოფლიოში. როგორც ცალკეული საქონლისა ან მომსახურების გამოშვება ნაწილობრივ არის დამოკიდებული მათს მოთხოვნაზე, ქვეყნის ხანმოკლე პერიოდის გამოშვების დონეც დამოკიდებულია მისი პროდუქციის ერთობლივ მოთხოვნაზე. განსაზღვრების შესაბამისად ეკონომიკაში სრული დასაქმება ხანგრძლივ პერიოდში, რადგან ხელფასებიცა და ფასების დონეც არსებითად რეგულირდება სრული დასაქმების შენარჩუნებისთვის. ხანგრძლივ პერიოდში ადგილობრივი გამოშვება დამოკიდებულია მხოლოდ ისეთი ხელმისაწვდომი ადგილობრივი საწარმოო ფაქტორების მიწოდებაზე, როგორცაა სამუშაო ძალა და კაპიტალი. როგორც ვნახავთ, ეს საწარმოო ფაქტორები მეტ-ნაკლებად გამოიყენება ხანმოკლე პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილების შედეგად; ეს ხანგრძლივ ზემოქმედებას არ ახდენს ფასებზე.

მე-12 თავში შევისწავლეთ, რომ ეკონომიკის გამოშვება ოთხი სახის დანახარჯების (რის საფუძველზეც აღგენენ ეროვნულ შემოსავალს) ჯამია: მოხმარება, ინვესტიცია, სახელმწიფო შესყიდვები და მიმდინარე ანგარიში. შესაბამისად, ღია ეკონომიკის გამოშვებაზე ერთობლივი მოთხოვნის ჯამი აერთიანებს (C) სამომხმარებლო მოთხოვნას, (I) ხაინკესტიციო მოთხოვნას, (G) სამთავრობო მოთხოვნასა და წმინდა ექსპორტზე მოთხოვნას, ანუ მიმდინარე ანგარიშს (CA). თითოეული ეს კომპონენტი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე.

ამ ნაწილში გაეანალიზებთ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამომხმარებლო მოთხოვნას და მიმდინარე ანგარიშს. სამთავრობო მოთხოვნას მოგვიანებით განვიხილავთ ამ თავში, როდესაც გაეანალიზებთ ფისკალური პოლიტიკის შედეგებს; ამჯერად დავეუშვათ, რომ G მოცემულია. ჩვენი მოდელი რომ არ გაეართულოს, დავეუშვებთ, რომ სახეზეა სამთავრობო საინვესტიციო მოთხოვნა. ინვესტიციაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორები შეტანილია ამ თავის I დანართის მოდელში.

სამომხმარებლო მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორები

განვიხილავთ ოდენობას, რომლის მოხმარებაც სურთ ქვეყნის მცხოვრებთ, Y^d წმინდა შემოსავალზე დაყრდნობით ანუ, ეროვნულ შემოსავალს გამოკლებული გადასახადი $Y - T$. (C , Y და T გაზომილია ადგილობრივი გამოშვების ერთეულით). ქვეყნის სასურველი მოხმარების დონე შეიძლება ჩაეწეროს, როგორც წმინდა შემოსავლის ფუნქცია:

$$C = C(Y^d).$$

რეალური შემოსავლის გაზრდის დროს, ბუნებრივია, ყოველი მოხმარებელი უფრო მეტ საქონელსა და მომსახურებას მოითხოვს; ჩვენც მოველოთ, რომ მოხმარება გაიზრდება წმინდა შემოსავლის ზრდის შესაბამისად. ამდენად, სამომხმარებლო მოთხოვნა და წმინდა შემოსავალი პოზიტიურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. როდესაც წმინდა შემოსავალი მატულობს, სამომხმარებლო მოთხოვნა შედარებით ნაკლებად იზრდება, რადგან გაზრდილი შემოსავალი ნაწილობრივ იზოგება.

მიმდინარე ანგარიშის განმსაზღვრელი ფაქტორები

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (რაც მიჩნეულია ქვეყნის ექსპორტზე მოთხოვნად), რომელიც ნაკლებია იმპორტზე ქვეყნის მოთხოვნისა, ორი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება: ადგილობრივი ვალუტის რეალური გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტასთან შედარებით (ანუ უცხოური დანახარჯების სტანდარტული კალათის ფასით ადგილობრივი დანახარჯების კალათის სახით) და ადგილობრივი წმინდა შემოსავლით (რეალურად, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშში ბევრ ისეთ სხვა ფაქტორზეც არის დამოკიდებული, როგორცაა უცხოური დანახარჯების დონე, მაგრამ ახლა ამ სხვა ფაქტორებს მოვიჩვენებთ, როგორც მუდმივ მჩვენებელს).

ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსს გამოეხატავენ, როგორც მისი ვალუტის რეალური გაცვლითი კურსის ფუნქციას, $q = EP^*/P$, და Y^d -ს ანუ ადგილობრივ წმინდა შემოსავალს:

$$CA = CA(EP^*/P, Y^d).$$

წინა თავში განხილული საკითხების შესახებ აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი და საზღვარგარეთული სტანდარტული დანახარჯების კალათების ფასები ადგილობრივი ვალუტით არის EP^* და P , სადაც E (ნომინალური გაცვლითი კურსი) არის უცხოური ვალუტის ფასი ადგილობრივი ვალუტის სახით, P^* არის უცხოური ფასების და P შიდა ფასების დონე. q რეალური გაცვლითი კურსი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც უცხოური კალათის ფასი ადგილობრივი კალათის სახით, არის EP^*/P ; თუ, მაგალითად, გერმანიის საქონლისა და მომსახურების სტანდარტული კალათა ღირს 100 გერმანული მარკა (P^*), აშშ-ს სტანდარტული კალათა ღირს 50 დოლარი (P) და დოლარ/მარკის გაცვლითი კურსია 0.40 დოლარი ერთ გერმანულ მარკაზე (E), მაშინ, გერმანული კალათის ფასი აშშ კალათის გამოსახულებით იქნება

$$\begin{aligned} EP^*/P &= \frac{(0.40\$/DM) \times (100 DM/\text{გერმანული კალათა})}{(50 \$/\text{აშშ კალათა})} \\ &= 0.8 \text{ აშშ კალათა/გერმანული კალათა.} \end{aligned}$$

რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებები ზემოქმედებას ახდენენ მიმდინარე ანგარიშზე, რადგან ისინი ასახავენ ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების ფასებში ცვლილებებს უცხოურთან შედარებით. წმინდა შემოსავალი ზემოქმედებას ახდენს მიმდინარე ანგარიშზე ადგილობრივი მომხმარებლების მთლიანი დანახარჯების ზემოქმედების მეშვეობით. იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს ეს რეალური გაცვლითი კურსი და წმინდა შემოსავლის ეფექტები, სასარგებლო იქნება განცალკევებით დაეაკვირდეთ ექსპორტზე ქვეყნის მოთხოვნას – EX და ქვეყნის მცხოვრებთა მოთხოვნას იმპორტზე – IM . მე-12 თავში ენახეთ, რომ მიმდინარე ანგარიში დაკავშირებულია ექსპორტთან და იმპორტთან შემდეგი ტოლობით

$$CA = EX - IM$$

სადაც CA , EX და IM გაზომილია ადგილობრივი გამოშვების ერთეულებით.

რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება როგორ ზემოქმედებას ახდენს მიმდინარე ანგარიშზე

შეგახსენებთ, რომ ადგილობრივი დანახარჯების სტანდარტული კალათა მოიცავს იმპორტირებულ პროდუქციასაც, მაგრამ შედარებით დიდი წილი მოდის ადგილობრივ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე; ამავდროულად, უცხოურ სტანდარტულ კალათაში სჭარბობს სასწრაფო წარმოებული საქონელი და მომსახურება. ამდენად, უცხოური კალათის ფასების ზრდა, ადგილობრივი კალათის გამოსახელებით, დაკავშირებული იქნება უცხოეთის გამოშვების შესადარი ფასების ზრდასთან ადგილობრივთან შეუარდებით.

იმის გასაგებად, თუ ეროვნული გამოშვების შესადარი ფასების ასეთი შეცვლა, სხვა თანაბარ პირობებში, როგორ ზემოქმედებას ახდენს მიმდინარე ანგარიშზე, უნდა დაეინტერესდეთ მისი გავლენით როგორც ექსპორტზე, ასევე იმპორტზე. მაგალითად, თუ EP*/P გაიზარდა, უცხოეთის პროდუქცია უფრო გაძვირდება ადგილობრივ პროდუქციასთან შედარებით: ადგილობრივი გამოშვების ყოველი ერთეული ახლა შეისყიდის უცხოური გამოშვების უფრო ნაკლებ ერთეულს. უცხოელი მომხმარებლები ფასების ასეთ გადახრას უპასუხებენ ადგილობრივ ექსპორტზე უფრო დიდი მოთხოვნით. უცხოელების ეს პასუხი გაზრდის ექსპორტს და გააუმჯობესებს ადგილობრივი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშს.

IM-ით აღნიშნულია იმპორტის ღირებულება, რომელიც გაზომილია ადგილობრივი გამოშვებისა და არა იმპორტირებული უცხოური საქონლის გამოსახელებით, რადგან EP*/P-ის ზრდა იწვევს იმპორტის ყოველი ერთეულის ღირებულების ზრდას ადგილობრივი გამოშვების ერთეულის სახით, ამ უკანასკნელით გაზომილი იმპორტი შეიძლება გაიზარდოს EP*/P-ის მომატების შედეგად, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ იმპორტი დაიკლებს უცხოური გამოშვების ერთეულის შემცირების გამო. იმპორტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს, როდესაც EP*/P იზრდება; ამდენად რეალური გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი CA მიმდინარე ანგარიშზე ბუნდოვანია.

მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება ან გაუარესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რეალური გაცვლითი კურსის ცვლილების რომელი ეფექტია გაბატონებული – მომხმარებლის დანახარჯების მოცულობის ეფექტის გადაადგილება ექსპორტისა და იმპორტის ოდენობისკენ, თუ ღირებულების ეფექტისა, რომელიც ცვლის ადგილობრივ გამოშვებას და უცხოური იმპორტის მოცემული მოცულობის ტოლია. დაუშვებთ, რომ რეალური გაცვლითი კურსის შეცვლის ეფექტის მოცულობა ყოველთვის გადაწონის ღირებულების ეფექტს, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, ვალუტის რეალური გაუმჯობესება აუმჯობესებს, ხოლო ვალუტის რეალური კურსის ღირებულების გაზრდა აუარესებს მიმდინარე ანგარიშს.

წმინდა შემოსავლის შეცვლა როგორ ახდენს ზემოქმედებას მიმდინარე ანგარიშზე

მეორე ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მიმდინარე ანგარიშზე, არის ადგილობრივი წმინდა შემოსავალი (მომხმარებლის შემოსავალი გადასახადის შემდეგ). Y^d ზრდა აიძულებს ადგილობრივ მომხმარებლებს, გაზარდონ თავიანთი დანახარჯები ყველა საქონელზე, იმპორტის ჩათვლით; ამასთან აუარესებს მიმდინარე ანგარიშს სხვა თანაბარ პირობებში (Y^d ზრდა ვერ ახდენს გავლენას ექსპორტის მოთხოვნაზე, რადგან ხდება უცხოური შემოსავლის უცვლელად შენარჩუნება და Y^d-ს არ ეძლევა მასზე ზემოქმედების საშუალება).

ცხრილი 16-1 მიმდინარე ანგარიშის განმსაზღვრელი ფაქტორები

ცვლილება	გავლენა მიმდინარე ანგარიშზე, CA
რეალური გაცვლითი კურსი, EP*/P↑	CA↑
რეალური გაცვლითი კურსი, EP*/P↓	CA↓
განკარგულებაში არსებული შემოსავალი, Y ^d ↑	CA↓
განკარგულებაში არსებული შემოსავალი, Y ^d ↓	CA↑

ცხრილი 16-1 აჯამებს ჩვენს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რეალური გაცვლითი კურსი და წმინდა შემოსავლის ცვლილებები როგორ ზემოქმედებენ ადგილობრივ მიმდინარე ანგარიშზე.

ერთობლივი მოთხოვნის ტოლობა

ახლა შევაჯამოთ ერთობლივი მოთხოვნის ოთხი კომპონენტი, რათა მივიღოთ მოკლე ერთობლივი მოთხოვნის (D) გამოსახელება:

$$D = C(Y - T) + I + G + CA (EP^*/P, Y - T),$$

სადაც წმინდა შემოსავალი აღნიშნულია როგორც Y , გამოშვება - Y , რომელსაც აკლდება T გადასახადები. ეს ტოლობა გვიჩვენებს, რომ შიდა გამოშვების ერთობლივი მოთხოვნა შეიძლება ჩაეწეროს როგორც რეალური გაცვლითი კურსის ფუნქცია, წმინდა შემოსავალი, ინვესტიციაზე მოთხოვნა და სამთაერობო დანახარჯები:

$$D = D(EP^*/P, Y - T, I, G).$$

ახლა ვნახოთ, ერთობლივი მოთხოვნა როგორ არის დამოკიდებული რეალურ გაცვლით კურსსა და შიდა ადგილობრივ ეკ-ზე, როდესაც (T) გადასახადების დონე, (I) ინვესტიციაზე მოთხოვნა და (G) სამთაერობო შესყიდვები სახეზეა.


რეალური გაცვლითი კურსი და ერთობლივი მოთხოვნა

EP^*/P -ს ზრდა ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას აიაფებს უცხოურ საქონელთან შედარებით და როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთულ დანახარჯებს გადაადგილებს ადგილობრივი საქონლისაკენ. შედეგად, მიმდინარე ანგარიში CA იზრდება (რაც წინა ნაწილში დაეუშვით) და D ერთობლივი მოთხოვნაც მატულა. ადგილობრივი ვალუტის რეალური გაუფასურება ზრდის ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე, სხვა თანაბარ პირობებში; ხოლო რეალური გაძვირება ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე.

რეალური შემოსავალი და ერთობლივი მოთხოვნა

ადგილობრივი რეალური შემოსავლის შემოქმედება ერთობლივ მოთხოვნასზე ცოტა უფრო რთულია. თუ გადასახადები მოცემულ დონეზეა ფიქსირებული, Y -ის ზრდა იწვევს Y წმინდა შემოსავლის თანაბარ მატებას, ეს უკანასკნელი კი ადიდება მოხმარებას და აუარესებს მიმდინარე ანგარიშს, რადგან ზრდის იმპორტზე გაღებულ ადგილობრივ დანახარჯებს. ამ ეფექტებიდან პირველი ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ხოლო მეორე ამცირებს მას. რადგან მოხმარების ზრდა დაყოფილია ადგილობრივ პროდუქციასა და იმპორტზე გაწეულ უფრო მაღალ დანახარჯებს შორის, ამიტომ პირველი მათგანი (წმინდა შემოსავლის ეფექტი ადგილობრივი პროდუქციის მთელს მოხმარებაზე) უფრო დიდია მეორეზე (წმინდა შემოსავლის ეფექტი მხოლოდ იმპორტის დანახარჯებზე). ადგილობრივი რეალური შემოსავლის ზრდა ადიდება ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე, სხვა თანაბარ პირობებში, და კლება ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე.

გრაფიკი 16-1 ერთობლივი მოთხოვნა, როგორც გამოშვების ფუნქცია



ერთობლივი მოთხოვნა არის რეალური გაცვლითი კურსის ფუნქცია (EP^*/P). განკარგულებაში არსებული შემოსავალი ($Y - T$), მოთხოვნა ინვესტიციაზე (I), სამთაერობო დანახარჯები (G). თუ სხვა დანარჩენი ფაქტორები უცვლელი დარჩება, გამოშვების ზრდა (რეალური შემოსავალი), Y , გაადიდებს ერთობლივ მოთხოვნას. იმის გამო, რომ ერთობლივი მოთხოვნის ზრდა ნაკლებია, ვიდრე გამოშვების ზრდა, ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის დაქანება ერთზე ნაკლებია.

16-1 გრაფიკი გვიჩვენებს ურთიერთობას ერთობლივ მოთხოვნასა და რეალურ შემოსავალს შორის. Y არის რეალური შემოსავალი რეალური გაცვლითი კურსის, გადასახადების, საინვესტიციო მოთხოვნისა და სამთაერობო დანახარჯების ფიქსირებული ღირებულებებისათვის.

როგორ განისაზღვრება გამოშვება ხანმოკლე პერიოდში

იმ ფაქტორების განხილვის შემდგომ, რომლებიც სეგაგვლენას ახდენენ ღია ეკონომიკის გამოშვების მოთხოვნასზე. შევისწავლით, თუ როგორ განისაზღვრება გამოშვება ხანმოკლე პერიოდში. ამ ნაწილში გიჩვენებთ, რომ


გამოშვების ბაზარი გაწონასწორებულია, როდესაც Y რეალური გამოშვება ადგილობრივ გამოშვებაზე ერთობლივი მოთხოვნის ტოლია:

$$Y = D(EP^*/P, Y - T, I, G) \quad (16-1)$$

ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობა განსაზღვრავს ხანმოკლე პერიოდის წონასწორული გამოშვების დონეს.

რეალური გამოშვების განსაზღვრის ჩვენეული ანალიზი ეხება ხანმოკლე პერიოდს, რადგან დაკეშივით, რომ საქონლისა და მომსახურების ფულადი ფასები დროებით არის ფიქსირებული. როგორც ენახაყთ მოგვიანებით ამ თავში, ხანმოკლე პერიოდის რეალური გამოშვების ცვლილებები, რასაც ადგილი აქვს დროებითი ფასების შემთხვევაში, იწვევენ ფასების დონის ცვლილებებს და ეკონომიკას გადაადგილებენ ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობისაკენ. ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობის დროს საწარმოო ფაქტორები სრულად არის დასაქმებული, რეალური გამოშვების დონე უზრუნველყოფილია ფაქტორების საერთო მიწოდებით და რეალური გაცვლითი კურსიც რეგულირდება, რათა ხანგრძლივი პერიოდის რეალური გამოშვება გაუტოლდეს ერთობლივ მოთხოვნას.

გრაფიკი 16-2 გამოშვების განსაზღვრა ხანმოკლე პერიოდში



ხანმოკლე პერიოდში გამოშვება იქნება Y' -ზე (1 წერტილი). სადაც ერთობლივი მოთხოვნა, D' , უტოლდება ერთობლივ გამოშვებას, Y' .

ხანმოკლე პერიოდში ეროვნული გამოშვების განსაზღვრება მოცემულია 16-2 გრაფიკში, სადაც ეროვნულ მოთხოვნას კვლავ გამოვსახაყთ როგორც გამოშვების ფუნქციას რეალური გაცვლითი კურსის, გადასახადების, ინვესტიციებზე მოთხოვნისა და სამთაერობო დანახარჯების ფიქსირებული დონეებისთვის. ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა და ფუძიდან აგებული 45° -იანი მრუდის ($D = Y$ ტოლობა) ურთიერთგადაკვეთა (1) წერტილში გვაძლევს გამოშვების უნიკალურ დონეს Y' , სადაც ერთობლივი მოთხოვნა ტოლია გამოშვებისა.

16-2 გრაფიკით გავარკვიოთ, თუ რატომ აქვს გამოშვებას გაჩერების ტენდენცია Y' წერტილზე ხანმოკლე პერიოდში. Y' გამოშვების დროს ერთობლივი მოთხოვნა - (2 წერტილზე), გამოშვებაზე უფრო მაღალია. ფირმები ზრდიან წარმოებას, რათა დააკამყოფილონ ეს გადაჭარბებული მოთხოვნა. სხვა შემთხვევაში ამ მიზნით მათ მოუხდებოდათ რეზერვების გამოყენება - ანუ ინვესტიციის 1 სასურველ დონეზე დაბლა შემცირება. ასე რომ, გამოშვება ფართოვდება მანამ, სანამ ეროვნული გამოშვება Y' -ს არ მიაღწევს.

(3) წერტილში აღინიშნება ადგილობრივი გამოშვების ჭარბი მიწოდება და ფირმები იძულებულნი იქნებიან, დააგროვონ რეზერვები (ან გაზარდონ თავისი ინვესტიციების ხარჯები სასურველ დონეზე მაღლა). რეზერვის დაგროვების პირობებში კი ფირმები კვლავაც ამცირებენ წარმოებას. როდესაც გამოშვება დაეცემა Y' -მდე, ფირმები მხოლოდ მაშინ დარჩებიან კმაყოფილნი თავიანთი წარმოების დონით. კიდევ ერთხელ - გამოშვება ფიქსირდება (1) წერტილში, სადაც იგი ერთობლივი მოთხოვნის ტოლია. ამ ხანმოკლე პერიოდის წონასწორობაში მომხმარებლებს, მთაერობას და ადგილობრივი პროდუქციის უცხოელ მყიდველებს შეუძლიათ, გააცნობიერონ სასურველი დანახარჯები გადასახდელი გამოშვების გარეშე.

გამოშვების ბაზრის წონასწორობა ხანმოკლე პერიოდში: DD მრუდი

ვიციტ, თუ როგორ განისაზღვრება გამოშვება მოცემული რეალური EP^*/P გაცვლითი კურსისთვის. ახლა განესაზღვროთ გამოშვება და გაცვლითი კურსი ერთდროულად ხანმოკლე პერიოდში. ამ პროცესის გასაგებად ორი ელემენტი გვჭირდება. პირველი არის ურთიერთობა გამოშვებასა და გაცვლით კურსს (DD მრუდი) შორის, რაც უნდა შენარჩუნდეს, როდესაც გამოშვების ბაზარი წონასწორობაშია (ეს განხილულია ამ ნაწილში). მეორე ელემენტი (განვიხილათ მომდევნო ნაწილში) არის ურთიერთობა გამოშვებასა და გაცვლით კურსს შორის, რაც უნდა შენარჩუნდეს, როდესაც ადგილობრივი ფულის ბაზარი და ხალკვარგარეთული

ვალუტის ბაზარი (აქტივის ბაზარი) გაწონასწორებულია. ორივე ელემენტი მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკა, როგორც მთელი, წონასწორობას აღწევს მხოლოდ მაშინ, როდესაც როგორც გამოშვება, ასევე აქტივის ბაზრები გაწონასწორებულია.


გამოშვება, გაცვლითი კურსი და გამოშვების ბაზრის წონასწორობა

16-3 გრაფიკი გვჩვენებს ურთიერთობას გაცვლით კურსსა და გამოშვებას შორის, რაც ნაგულისხმევია გამოშვების ბაზრის წონასწორობით. კერძოდ, გრაფიკში მოცემულია ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების ეფექტი საზღვარგარეთის ვალუტასთან შედარებით (ანუ E-ის ზრდა E'-დან E'-მდე) ადგილობრივი P და საზღვარგარეთის P* ფასების ფიქსირებული ღირებულებების დროს. ფასების ფიქსირებული დონის დროს როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთ ნომინალური გაცვლითი კურსის ზრდა აძვირებს საზღვარგარეთულ საქონელსა და მომსახურებას ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებასთან შედარებით.

შესაძარბი ფასების კლება ზევით გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს, რადგან ადგილობრივი გამოშვების ყოველ დონეზე მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზე ახლა უფრო მაღალია. გამოშვება Y'-დან Y'-მდე ფართოვდება, რადგან ფირმები აღმოაჩენენ, რომ პირისპირ დგანან ჭარბ მოთხოვნასთან საწყის საწარმოო დონეზე.

E-ს შეცვლის ეფექტი უკვე განვიხილეთ, სადაც P და P* ფიქსირებულია; კარგი იქნებოდა გამოშვებაზე P-სა და P*-ის შეცვლის ეფექტის გაანალიზება. ნებისმიერი ზრდა EP*/P-ის რეალურ გაცვლით კურსში (მიუხედავად იმისა, გამოწვეულია თუ არა იგი E-ის ზრდით, P*-ს ზრდით ან P-ს შემცირებით) გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციისა და გამოშვების ზევით გადაადგილებას, სხვა თანაბარ პირობებში (მაგალითად, P*-ს ზრდას აქვს ხარისხით E-ს ზრდის მსგავსი შედეგები).

გრაფიკი 16-3 ვალუტის გაუფასურების (გამოშვებაზე ფიქსირებული ფასებით) გავლენა გამოშვებაზე



გაცვლითი კურსის ზრდა E'-დან E'-მდე (ვალუტის გაუფასურება) ზრდის (E') ერთობლივ მოთხოვნას Y'-სა ერთობლივ მოთხოვნამდე, ხოლო გამოშვებას Y'-მდე, სხვა თანაბარ პირობებში.

ამის მსგავსად, EP*/P-ს ნებისმიერი შემცირება (მიუხედავად მიზეზებისა – E-ს შემცირება, P*-ს შემცირება ან P-ს გაზრდა) გამოიწვევს გამოშვების შემცირებას, სხვა თანაბარ პირობებში (მაგალითისთვის, P-ს ზრდა, სადაც E და P* ფიქსირებულია, აძვირებს ადგილობრივ პროდუქციას საზღვარგარეთის პროდუქციასთან შედარებით, ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე და იწვევს გამოშვების კლებას).


DD მრუდის აგება

თუ დავეუშვებთ, რომ P და P* ფიქსირებულია ხანმოკლე პერიოდში, მაშინ ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება (E-ს ზრდა) დაკავშირებული იქნება ადგილობრივი გამოშვების მატებასთან, კურსის ზრდა კი (E-ს შემცირება) Y-ის შემცირებასთან. ეს კავშირი E-სა და Y-ს შორის არსებული ორი ურთიერთობიდან ერთ-ერთით უზრუნველყოფს ხანმოკლე პერიოდის ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკურ ქცევას. ამ ურთიერთობას DD მრუდით შევაჯამებთ, რომელიც გვჩვენებს გამოშვებისა და გაცვლითი კურსის ექველა კომბინაციას, როდესაც გამოშვების ბაზარი გაწონასწორებულია ხანმოკლე პერიოდში (ერთობლივი მოთხოვნა ტოლია ერთობლივი გამოშვებისა).

16-4 გრაფიკი გვჩვენებს, როგორ ავაგოთ DD მრუდი, რომელიც E-ს უკავშირებს Y-ს, როდესაც P და P* ფიქსირებულია. გრაფიკის სველა ნაწილზე წარმოდგენილია 16-3 გრაფიკის შედეგი (ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის გადაადგილებას ზევით, რაც იწვევს გამოშვების გაზრდას). DD მრუდი გრაფიკის ქველა ნაწილში გამოხატავს შემთავსებულ ურთიერთობას გაცვლით კურსსა და გამოშვებას შორის (როდესაც P და P* მუდმივია). (1) წერტილი DD მრუდზე Y¹ გამოშვების დონის მანიწვნებელია, სადაც


ერთობლივი მოთხოვნა ტოლია ერთობლივი მიწოდებისა, როდესაც გაცვლითი კურსი არის E^1 . ვალუტის E^2 -მდე გაუფასურება იწვევს Y^2 უფრო მაღალ გამოშვებას გრაფიკის ზედა ნაწილის შესაბამისად; ეს ინფორმაცია გეაძლევს საშუალებას (2) წერტილი DD -ზე მოვათავსოთ.

გრაფიკი 16-4 DD მრუდის აგება



DD მრუდი (რაც ნაჩვენებია ქვემოთ გრაფიკზე) მიმართულია ზემოთ, რადგან გაცვლითი კურსის ცვლილება E^1 -დან E^2 -მდე, სხვა თანაბარ პირობებში, იწვევს გამოშვების ზრდას Y^1 -დან Y^2 -მდე.

გრაფიკი 16-5 სამთავრობო მოთხოვნა და DD მრუდის მდებარეობა



მთავრობის მოთხოვნის ზრდა G^1 -დან G^0 -მდე ზრდის გამოშვებას გაცვლითი კურსის ყოველი დონის დროს. ეს ცვლილება გადაადგილებს DD მრუდს მარჯვნივ.

ზატორები, რომლებიც იწვევენ DD მრუდის D გადაადგილებას

DD მრუდის მდგომარეობაზე შემოქმედებას ახდენს მთელი რიგი ფაქტორებისა: სამთავრობო მოთხოვნის დონე და ინვესტიცია; ადგილობრივი და სასაზღვარგარეთის ფასების დონე; ადგილობრივი მოხმარების მიმართულების შეცვლა და სასაზღვარგარეთის მოთხოვნა ადგილობრივ გამოშვებაზე. ყველა ამ ფაქტორის ცვლილებათა ყოველთვის გასაგებად უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ გადაადგილება DD მრუდი შეცვლის შემდეგ. ქვემოთ მოცემულ მსჯელობაში ეუბნება, რომ ყველა სხვა ფაქტორი უცვლელი დარჩება.

1. **G-ს შეცვლა.** 16-5 გრაფიკი გვიჩვენებს სამთავრობო შესყიდვების, DD, ზრდის ყველგან G'-დან G'-მდე, როდესაც E-ის გაცვლითი ფაქტორები კურსი სახესუა. როგორც ეს ნაჩვენებია გრაფიკის ზედა ნაწილში, E გაცვლით კურსს მიჰყავს Y' გამოშვების წონასწორობისკენ სამთავრობო მოთხოვნის საწყის დონეზე; ამდენად (1) წერტილი ერთი ნიშნულია DD'-ზე.

G-ს ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას გრაფიკის ზედა ნაწილში. ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება, ხოლო გამოშვება იზრდება Y'-დან Y'-მდე. (2) წერტილი ქვედა ნაწილში გვიჩვენებს Y' გამოშვების ყველაზე მაღალ დონეს, სადაც ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება ტოლია, თუ მოცემულია, რომ E-ის გაცვლითი კურსი უცვლელია. (2) წერტილი ახალ, DD ანუ DD' მრუდზე აღინიშნება.

ნებისმიერი მოცემული გაცვლითი კურსის დროს გამოშვების დონე, რომელიც ტოლია ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდებისა, უფრო მაღალია G-ს ზრდის შემდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ G-ს ზრდა იწვევს DD მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ, რაც ნაჩვენებია 16-5 გრაფიკში. მსგავსად ამისა, G-ს შემცირება იწვევს DD მრუდის გადაადგილებას მარცხნივ.

ახლა ხანს გამოყენებული მეთოდი და დასაბუთება იმის შესასწავლად, თუ G-ს ზრდა როგორ გადაადგილებს DD მრუდს, შეიძლება მივუხადოთ ქვემოთ მოყვანილ ყველა შემთხვევას. ახლა შევაჯამოთ შედეგები. იმის შესამოწმებლად, კარგად გაიგეთ თუ არა მასალა, გამოიყენეთ 16-5-ის მსგავსი გრაფიკი და დააკვირდით, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები როგორ ცვლიან მრუდების მიმართულებებს.

2. **T-ს შეცვლა.** T გადასახადების შეცვლა შემოქმედებას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე წმინდა შემოსავლის და ამდენად, მოხმარების შეცვლით Y-ის ნებისმიერი დონისთვის. აქედან გამომდინარე, გადასახადების გაზრდა იწვევს 16-1 გრაფიკზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის გადაადგილებას ქვევით, როდესაც მოცემული გაცვლითი კურსი არის E. რადგან ეს ფუნქციები G-ს გადიდების საპირისპიროა, T-ს ზრდამ უნდა გამოიწვიოს DD მრუდის გადაადგილება მარცხნივ. მსგავსად ამისა, T-ს შემცირებას მოჰყვება DD მრუდის მარჯვნივ გადაადგილება.
3. **I-ს შეცვლა.** ინვესტიციასზე მოთხოვნის გადიდება იგივე ყველგან აქვს, რაც G-ს გაზრდას: ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება ზევით და DD მრუდი – მარჯვნივ. ინვესტიციის მოთხოვნის შემცირება DD მრუდს გადასწევს მარცხნივ.
4. **P-ს შეცვლა.** როდესაც P* და E მოცემულია, P-ს ზრდა ადგილობრივ გამოშვებას აძვირებს სასაზღვარგარეთულ გამოშვებასთან შედარებით და ამცირებს წმინდა ექსპორტზე მოთხოვნას. DD მრუდი მარცხნივ გადაადგილდება, რადგან ერთობლივი მოთხოვნა მცირდება. P-ს შემცირება აიაფებს ადგილობრივ საქონელს და იწვევს DD-ს გადაადგილებას მარჯვნივ.
5. **P*-ს შეცვლა.** როდესაც E და P მოცემულია, P*-ს ზრდა შედარებით აძვირებს სასაზღვარგარეთის საქონელსა და მომსახურებას. ერთობლივი მოთხოვნა ადგილობრივ გამოშვებაზე იზრდება და P-ს შემცირება იწვევს DD-ს გადაადგილებას მარცხნივ.
6. **მოხმარების ფუნქციის შეცვლა.** დაეუშვათ, ადგილობრივი ქვეყნის მცხოვრებნი უფროდ გადაწვეტენ, რომ სურთ უფრო მეტი მოიხმარონ და ნაკლები დასოვონ წმინდა შემოსავლის ყოველ დონეზე. თუ სამომხმარებლო დანახარჯების ზრდა მთლიანად არ დაემო იმპორტს, ერთობლივი მოთხოვნა ადგილობრივ გამოშვებაზე იზრდება და ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება ზევით E-ს ნებისმიერი გაცვლითი კურსისთვის. ეს ნიშნავს DD მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ. მოხმარების ავტონომიური შემცირება (თუ იგი მთლიანად არ არის გამოწვეული იმპორტზე მოთხოვნის შემცირებით) DD მრუდს მარცხნივ გადასწევს.
7. **მოთხოვნის მრუდი სასაზღვარგარეთულ და ადგილობრივ საქონელს შორის.** დაეუშვათ, ადგილობრივი მოხმარების ფუნქცია არ იცვლება, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა და უცხოელები უკვე გადაწვეტენ უფრო მეტი დანახარჯონ ადგილობრივი ქვეყნის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე; თუ ადგილობრივი წმინდა შემოსავალი და რეალური გაცვლითი კურსი იგივე რჩება, მოთხოვნის გადაადგილება აუზღობებს მიმდინარე ანგარიშს ექსპორტის გაზრდით და იმპორტის შემცირებით. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება ზევით და DD მარჯვნივ. იმავე მიზეზის გამო მსოფლიო მოთხოვნის გადაადგილება ადგილობრივი წარმოებიდან სასაზღვარგარეთული წარმოებისკენ DD მრუდს გადასწევს მარცხნივ.

თქვენ უკვე შენიშნეთ, რომ მარტივი წესი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რა შედეგი ექნება DD აღნიშნულ მრუდზე უკვე განვიხილულ ნებისმიერ დარღვევას: ნებისმიერი დარღვევა, რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას ადგილობრივ გამოშვებაზე, DD მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს; ნებისმიერი დარღვევა, რაც

აქტივის ბაზრის წონასწორობა ხანმოკლე პერიოდში: AA მრუდი

მივიღეთ ხანმოკლე პერიოდის გაცვლითი კურსისა და შემოსავლის განსაზღვრების პირველი ელემენტი, ურთიერთობა გაცვლით კურსსა და გამოშვებას შორის, რაც შესაბამისობაშია ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობასთან. ურთიერთობა შეჯამებულია DD მრუდით, რომელიც გვეჩვენებს გაცვლითი კურსისა და გამოშვების ყველა დონეს, სადაც გამოშვების ბაზარი გაწონასწორებულია. როგორც აღვნიშნეთ წინა ნაწილის დასაწყისში, ეკონომიკის, როგორც მთელის, წონასწორობა, მოითხოვს წონასწორობას ერთნაირ აქტივებსა და გამოშვების ბაზრებზე. ზოგადად არ არსებობს მიხედავით იმისთვის, რომ DD მრუდზე განლაგებულმა წერტილებმა გამოიწვიოს აქტივის ბაზრის წონასწორობა.

ხანმოკლე პერიოდის წონასწორობის შესახებ სურათი რომ დაგვასრულოთ, მეორე ელემენტი შემოვიტანოთ, რათა გაცვლითი კურსი და გამოშვების დონე შეესაბამებოდეს როგორც გამოშვების ბაზრის, ასევე აქტივის ბაზრის წონასწორობას. გაცვლითი კურსისა და გამოშვების კომბინაციებს, რომლებიც შესაბამისობაშია ადგილობრივი ფულის ბაზარსა და უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობასთან, AA მრუდი ეწოდება.

გამოშვება, გაცვლითი კურსი და აქტივის ბაზრის წონასწორობა

საპროცენტო პარიტეტის პირობა ადგენს, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი წონასწორობაშია მხოლოდ მაშინ, როდესაც უკუგების მოსალოდნელი ნორმა, ადგილობრივი და უცხოური ვალუტის დეპოზიტებიდან ერთმანეთის ტოლია (იხ. მე-13 თავი). მე-14 თავში შევისწავლეთ საპროცენტო განაკვეთის (რომელსაც მოიცავს საპროცენტო პარიტეტის ურთიერთობა) განსაზღვრა რეალური ფულის მიწოდებისა და რეალურ ფულზე მოთხოვნის ტოლობით ეროვნული ფულის ბაზრებზე. ახლა ერთმანეთს შევკუთავებთ აქტივის ბაზრის წონასწორობის ამ პირობებს იმის ნათელსაყოფად, თუ გაცვლითი კურსი და გამოშვება როგორ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, როდესაც ყველა აქტივის ბაზარი ერთდროულად რეგულირდება. რადგან ყურადღების ცენტრში ახლა არის ადგილობრივი ეკონომიკა, საზღვარგარეთის საპროცენტო განაკვეთი მიიღება მოცემული სახით.

მოცემული მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსისთვის, E^* , საზღვარგარეთის ვალუტის ბაზრის წონასწორობის აღმნიშვნელი საპროცენტო პარიტეტის პირობა არის შემდეგი ტოლობა (13-2),

$$R = R^* + (E^* - E)/E.$$

R -ის საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივი ვალუტის დეპოზიტებიდან და R^* არის საპროცენტო განაკვეთი საზღვარგარეთის ვალუტის დეპოზიტებიდან. მე-14 თავის მიხედვით, ადგილობრივმა საპროცენტო განაკვეთმა, რომელიც აკმაყოფილებს საპროცენტო პარიტეტის პირობას, რეალური ადგილობრივი ფულის მიწოდება (M^*/P) უნდა გაუტოლოს რეალურ ფულზე ერთობლივ მოთხოვნას (იხ. ტოლობა (14-4)):


$$M^*/P = L(R, Y).$$

გაიხსენეთ, რომ რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნა $L(R, Y)$ იზრდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთი იკლებს, რადგან R -ის შემცირება პროცენტის მომტანი არაფულადი აქტივების ფლობას ნაკლებ მომხიბვლელს ხდის (პირიქით, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს რეალურ ფულზე მოთხოვნას). რეალური გამოშვების ზრდა Y ადიდებს რეალურ ფულზე მოთხოვნას ფულადი ოპერაციების მოცულობის გაზრდით, რომლებიც ადამიანებმა უნდა განახორციელონ (და რეალური გამოშვების შემცირება ამცირებს რეალურ ფულზე მოთხოვნას აღნიშნული ოპერაციების მოთხოვნის შემცირებით).

ახლა გამოვიყენებთ მე-14 თავში განხილულ სქემატურ მექანიზმებს, რათა შევისწავლოთ გამოშვების ცვლილებების თანხლები გაცვლითი კურსის ცვლილებები ისე, რომ აქტივის ბაზრებმა წონასწორობა შეინარჩუნონ. 16-6 გრაფიკი გვიჩვენებს გაწონასწორებულ ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთსა და გაცვლით კურსს, რომლებიც დაკავშირებული არიან მოცემულ: Y^1 გამოშვების დონესთან ნომინალური ფულის მასისთვის M^1 , ადგილობრივი ფასების დონესთან P , საპროცენტო განაკვეთთან R^* და გაცვლითი კურსის მოსალოდნელ, მომავალ ღირებულებასთან E^* . გრაფიკის ქვედა ნაწილში ვხედავთ, რომ რეალური გამოშვება აღინიშნება Y^1 -ით და რეალური ფულის მიწოდება M^1/P -ით; R^1 საპროცენტო განაკვეთი არეგულირებს ადგილობრივი ფულის ბაზარს (1) წერტილი მაშინ, როდესაც E^1 გაცვლითი კურსი არეგულირებს უცხოური ვალუტის ბაზარს (1') წერტილი. ეს კი საზღვარგარეთული ანაბრების უკუგების მოსალოდნელ ნორმას, რომელიც გასომილია ადგილობრივი ვალუტით, ადეპოზიტებს R^1 -თან.

გამოშვების გაზრდა Y^1 -დან Y^2 -მდე ადიდებს რეალურ ფულზე ერთობლივ მოთხოვნას $L(R, Y^1)$ -დან $L(R, Y^2)$ -მდე, გადაადგილებს რა მთელს ფულზე მოთხოვნის მრუდს 16-6 გრაფიკის ქვედა მხარეს.


გრაფიკი 16-6 გამოშვება და გაცვლითი კურსი აქტივის ბაზრის წონასწორობის დროს



იმისათვის, რომ აქტივების (უცხოური ვალუტა და ფული) ბაზრები დარჩეს წონასწორობაში, გამოშვების ზრდას უნდა ახლდეს ვალუტის კურსის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში.

ეს გადაადგილება, თავის მხრივ, ზრდის წონასწორულ ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს R^2 -მდე (2 წერტილი). როდესაც E^* და R^* მუდმივია, ადგილობრივი ვალუტის ღირებულება უნდა გადიდეს E^1 -დან E^2 -მდე, რათა უცხოური ვალუტის ბაზარს დაუბრუნოს წონასწორობა (2⁰ წერტილი). ადგილობრივი ვალუტის კურსი იზრდება იმდენით, რომ იმ განაკვეთის ზრდა, რომლის გაუფასურებაც ნაგარაუდევია მომავალში, ანაზღაურებს ადგილობრივი ვალუტის ანაბრის გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის უპირატესობას. აქტივის ბაზრებმა წონასწორობა რომ შეინარჩუნონ, ადგილობრივი გამოშვების ზრდას უნდა ახლდეს ადგილობრივი ვალუტის ღირებულების მატება, სხვა თანაბარ პირობებში, და ადგილობრივი გამოშვების შემცირებას უნდა მოჰყვეს მისი გაუფასურება.

გრაფიკი 16-7 AA მრული



აქტივების ბაზრის წონასწორობის მრული AA დაქანებულია ქვემოთ, რადგან გამოშვების ზრდა Y^1 -დან Y^2 -მდე, სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს და ადგილობრივი ვალუტის კურსს E^1 -დან E^2 -მდე.

მაშინ, როდესაც DD მრული აღნიშნავს გაცვლით კურსსა და გამოშვების დონეს, სადაც გამოშვების ბაზარი გაწონასწორებულია, AA მრული დაკავშირებულია გაცვლით კურსთან და გამოშვების დონესთან, რომლის მეშვეობითაც ფულადი და უცხოური გაცვლითი ბაზრები გაწონასწორებულია. 16-7 გრაფიკი გამოსახავს AA მრულს. 16-6 გრაფიკიდან ჩანს, რომ ნებისმიერი Y გამოშვების დონისათვის არსებობს ერთადერთი E გაცვლითი კურსი, რომელიც აკმაყოფილებს საპროცენტო პარიტეტის პირობას (როდესაც რეალური ფულის მასა, უცხოური საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსი ფიქსირებულია). ჩვენი წინა დასაბუთება მიგვიჩვენებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, Y^1 -ისა და Y^2 -ის ზრდა გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის ღირებულების გადიდებას, ანუ გაცვლითი კურსის დაცემას E^1 -დან E^2 -მდე. AA მრუდის დახრანეგატიურია, როგორც ეს გრაფიკზე არის მოცემული.

ფაქტორები, რომლებიც AA მრუდს გადაადგილებენ

AA მრუდის გადაადგილებას იწვევს ხუთი ფაქტორი: M⁵ ადგილობრივი ფულის მასის ცვლილებები; P ადგილობრივი ფასების დონეში ცვლილებები; E^c მოსალოდნელი გაცვლითი კურსის ცვლილებები; უცხოური საპროცენტო განაკვეთის R* ცვლილებები და რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება.

1. M⁵-ის ცვლილება. გამოშვების მუდმივ დონეზე M⁵-ის ზრდა იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას უცხოური ვალუტის ბაზარზე, სხვა თანაბარ პირობებში (ანუ E^c იზრდება). რადგან გამოშვების ყოველ დონეზე E^c გაცვლითი კურსი უფრო მაღალია M⁵-ის ზრდის გამო, M⁵-ის ზრდა იწვევს AA მრუდის გადაადგილებას ზევით. მსგავსად ამისა, M⁵-ის შემცირება AA მრუდს ქვევით გადაანაცვლებს.
2. P-ის ცვლილება. P-ს გაზრდა ამცირებს რეალური ფულის მასას და საპროცენტო განაკვეთს ზრდისაკენ უბიძგებს. სხვა თანაბარ პირობებში (Y-ის ჩათვლით), საპროცენტო განაკვეთის მატება იწვევს E-ს შემცირებას. P-ს ზრდის ეფექტი არის AA მრუდის გადაადგილება ქვევით, P-ს შემცირებისა კი AA მრუდის ზევით გადაწევა.
3. E^c-ის ცვლილება. დაეუშვათ, უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილენი უეცრად გადასინჯავენ თავიანთ მოლოდინს გაცვლითი კურსის მომავალი ღირებულების შესახებ, რის გამოც E^c იწვევს. ასეთი ცვლილება გადაადგილებს მრუდს 16-6 გრაფიკის ზედა ნაწილში (რომელიც ზომავს უცხოური სავალუტო დეპოზიტებიდან უკუგებას ადგილობრივი ვალუტით) მარჯვნივ. E^c-ს ზრდა იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, სხვა თანაბარ პირობებში, რადგან გაცვლითი კურსი, რომელიც ქმნის წონასწორობას უცხოური ვალუტის ბაზარზე, უფრო მაღალია E^c-ს ზრდის შემდეგ. AA მრუდი გადაადგილდება ზევით, როდესაც ადგილი ექნება მოსალოდნელი მომავალი კურსის ზრდას, ხოლო ქვევით დაიწევს, როდესაც მომავალი გაცვლითი კურსი შემცირდება.
4. R*-ის ცვლილება. R*-ის ზრდა ადიდებს მოსალოდნელ უკუგებას უცხოური სავალუტო დეპოზიტებიდან და გადაადგილებს დადმავალ მრუდს 16-6 გრაფიკის ზედა ნაწილში მარჯვნივ. როდესაც გამოშვება სახეზეა, ადგილობრივი ვალუტა უნდა გაუფასურდეს, რათა აღდგეს საპროცენტო პარიტეტი. R*-ის ზრდას იგივე ეფექტი აქვს AA მრუდზე, რაც E^c-ის გაზრდას: ის იწვევს მრუდის ზევით გადაადგილებას. R*-ის შემცირების შედეგია იმავე მრუდის გადაადგილება ქვევით.
5. რეალურ ფულზე მოთხოვნის ცვლილება. დაეუშვათ, ადგილობრივი მცხოვრებნი ამჯობინებენ, მფლობელობაში ჰქონდეთ რეალური ფულის უფრო ნაკლები ნაშთი გამოშვების ყველა დონესა და საპროცენტო განაკვეთზე (ასეთი ცვლილება აქტივის ფლობის უპირატესობაში არის ფულზე მოთხოვნის შემცირება). ფულზე მოთხოვნის შემცირება ნიშნავს რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის L(R,Y) შიდა გადაადგილებას Y-ის ნებისმიერი ფიქსირებული დონისათვის, ამდენად მას შედეგად მოჰყვება საპროცენტო პარიტეტის შემცირება და E-ს ზრდა. ამიტომ ფულზე მოთხოვნის შემცირებას იგივე ეფექტი აქვს, რაც ფულის მასის ზრდას, ამიტომ AA ზემოთკენ გადაადგილდება. ფულზე მოთხოვნის ზრდის საპირისპირო ტენდენცია AA მრუდს გადაადგილებს ქვევით.

ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა ღია ეკონომიკისთვის: DD და AA მრუდების მართალ გამოსახვა


თუ დაეუშვებთ, რომ გამოშვების ფასები დროებით არის ფიქსირებული, მივიღებთ გაცვლითი კურსისა და გამოშვების დონის ორ ცალკეულ მრუდს: DD მრუდს, რომლის გასწვრივ გამოშვების ბაზრის წონასწორობა აღინიშნება და AA მრუდს, რომლის გასწვრივაც აქტივის ბაზრის წონასწორობაა გამოსახული. ხანმოკლე პერიოდში ეკონომიკის, როგორც მთელის, წონასწორობა უნდა აღინიშნებოდეს ორივე მრუდზე, რადგან მათი გადაკვეთის წერტილი გააწონასწორებს ერთდროულად როგორც გამოშვების, ასევე აქტივის ბაზრებსაც. ჩვენ შეგვიძლია მივადწიოთ ეკონომიკის წონასწორობას ხანმოკლე პერიოდში, თუ DD-სა და AA მრუდების ურთიერთგადაკვეთის წერტილს ვიპოვით გრაფიკზე. კიდევ ერთხელ – ეუშვებთ, რომ გამოშვების ფასები დროებით არის ფიქსირებული, რაც ამ ორი მრუდის გადაკვეთას ხდის ხანმოკლე პერიოდის წონასწორობის აღმნიშვნელ წერტილად. ამ ანალიზის მიხედვით, R* საპროცენტო განაკვეთი და E^c მოსალოდნელი გამოშვებაც ფიქსირებულია.

16-8 გრაფიკზე წარმოდგენილი ორივე მრუდი – DD და AA – უნდა განლაგდეს ხანმოკლე პერიოდის წონასწორობაში. მათი გადაკვეთის (1) წერტილში აღინიშნება გაცვლითი კურსისა და გამოშვების კომბინაცია, რომელიც შეესაბამება როგორც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტოლობას, ასევე აქტივის ბაზრის წონასწორობას. გაცვლითი კურსისა და გამოშვების ხანმოკლე პერიოდის წონასწორული დონეები არის E^c და Y¹ წერტილებში.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ეკონომიკის საწყისი წონასწორობა ნამდვილად აღინიშნება (1) წერტილში, წარმოვიდგინოთ, რომ ამის ნაცვლად იგი 16-19 გრაფიკის (2) წერტილშია, AA და DD მრუდების ზევით, სადაც გამოშვებაც და აქტივის ბაზრებიც წონასწორობის მიღმა არიან. რადგან E^c წერტილი AA მრუდს ზევითაა, განაკვეთი, სადაც მოსალოდნელია E-ს შემცირება მომავალში, ასევე მაღალი იქნება იმ განაკვეთთან შედარებით, რომელსაც უნდა განემტკიცებინა საპროცენტო პარიტეტი. ადგილობრივი ვალუტის მოსალოდნელი ღირებულების გაზრდა გულისხმობს იმას, რომ უცხოური დეპოზიტებიდან მოსალოდნელი უკუგება ადგილობრივი ვალუტით


უფრო დაბალია, ვიდრე – ადგილობრივი დეპოზიტებიდან; ამიტომაც უცხოურ ვალუტასთან შედარებით ბაზრებზე სახესუა ჭარბი მოთხოვნა ადგილობრივ ვალუტაზე. E-ს მაღალი დონე აიაფებს ადგილობრივ საქონელს უცხოელი მიმდევლებისთვის (როდესაც საქონელზე ფასები ადგილობრივი ვალუტითაა მოცემული) და იწვევს ჭარბ მოთხოვნას გამოშვებაზე. ორივე პროცესი აღინიშნება (2) წერტილზე.

გრაფიკი 16-8 ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა: DD და AA მრუდების გადაკვეთა



ეკონომიკის მოკლევადიან წონასწორობას ადგილი აქვს (1) წერტილში, სადაც გამოშვების ბაზარი (რომელთა წონასწორობის წერტილები შეჯამებულია DD მრუდით) და აქტივების ბაზარი (რომელთა წონასწორობის წერტილები შეჯამებულია AA მრუდით) ერთდროულად გაწონასწორებულია.

გრაფიკი 16-9 როგორ აღწევს ეკონომიკა თავის წონასწორობას ხანმოკლე პერიოდში



რადგანაც აქტივების ბაზრები ძალიან სწრაფად რეგულირდება, გაცვლითი კურსი დაუყოვნებლივ გადაადგილდება (2)-დან (3) წერტილისაკენ AA მრუდზე. ეკონომიკა კი გადაადგილდება (1) წერტილისაკენ AA მრუდზე, როდესაც გამოშვება გაიზრდება, რათა იგი მიესადაგოს ერთობლივ მოთხოვნას.

ჭარბი მოთხოვნა ადგილობრივ ვალუტაზე იწვევს გაცვლითი კურსის დაუყოვნებლივ შემცირებას E^2 წერტილიდან E^3 წერტილამდე. ეს რევალუაცია ათანაბრებს მოსალოდნელ უკუგებას ადგილობრივი და საზღვარგარეთული დეპოზიტებიდან და ეკონომიკის წონასწორობა გვექნება (3) წერტილში აქტივის ბაზრის AA წონასწორულ მრუდზე. მაგრამ რადგან (3) წერტილი არის DD მრუდის ზევით, ჯერ კიდევ არსებობს ჭარბი მოთხოვნა ადგილობრივ გამოშვებაზე. რადგან ფირმები ზრდიან წარმოებას, რათა თავიდან აიცილონ თავიანთი რეზერვების შემცირება, ეკონომიკა გადაადგილდება AA მრუდის გასწვრივ (1) წერტილისაკენ, სადაც ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება ტოლია. აქტივის ფასები შეიძლება დაუყოვნებლივ გადიდდეს, საწარმოო გეგმებში ცვლილების შეტანას კი გარკვეული დრო სჭირდება, აქტივის ბაზრები მუდმივ წონასწორობაში რჩებიან გამოშვების შეცვლის შემთხვევაშიც.

გაცვლითი კურსი მცირდება, როდესაც ეკონომიკა უახლოვდება (1) წერტილს AA მრუდის გასწვრივ, რადგან ქვეყნის მზარდი გამოშვება იწვევს ფულზე მოთხოვნის გაზრდას, რითაც საპროცენტო განაკვეთს გადიდებისკენ უბიძგებს (ვალუტის ღირებულება მუდმივად უნდა იზრდებოდეს, რათა შემცირდეს ადგილობრივი ვალუტის ღირებულების მომაველი სრლის ტემპი და განმტკიცდეს საპროცენტო პარიტეტი). როცა ეკონომიკა მიაღწევს (1) წერტილს DD მრუდზე, ერთობლივი მოთხოვნა გაუტოლდება გამოშვებას და მწარმოებლები თავიდან აიცილებენ თავიანთი რეზერვების გამოფიტვას. ეკონომიკა აღინიშნება (1) წერტილში, ერთადერთ წერტილში, სადაც გამოშვება და აქტივის ბაზრები წონასწორდება.

დროებითი ცვლილებები ფულად-საპროცენტო და ფისკალურ პოლიტიკაში

ენახეთ, თუ როგორ განისაზღვრება ეკონომიკის წონასწორობა ხანმოკლე პერიოდში, ახლა შევისწავლოთ, სახელმწიფო მაკროეკონომიკის პოლიტიკის შეცვლა როგორ შემოქმედებს ახდენს გამოშვებასა და გაცვლით კურსზე. ჩვენი დაინტერესებაა იმით არის განპირობებული, რომ ამგვარი შემოქმედება დიდად სასარგებლოა.


რადგან ეწინააღმდეგება ისეთ დარღვევებს ეკონომიკაში, რომლებიც იწვევენ მერყეობას გამოშვებაში, დასაქმებასა და ინფლაციაში. ამ ნაწილში შევისწავლით, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს სამთავრობო პოლიტიკა სრული დასაქმების განსამტკიცებლად ღია ეკონომიკაში.

ეურადლებას მიუაქცევთ სამთავრობო პოლიტიკის ორ სახეს: **ფულად-საკრედიტო (მონეტარულ) პოლიტიკას**, რომელიც მოქმედებს ფულის მასის შეცვლის მეშვეობით, და **ფისკალურ პოლიტიკას**, რომელიც მოქმედებს სამთავრობო დანახარჯებში ან გადასახადებში ცვლილებების მეშვეობით. გართულებების თავიდან ასაცილებლად ისეთ სიტუაციებს არ განვიხილავთ, სადაც ფულის მასა იზრდება დროთა განმავლობაში, რაც შეიძლება მოიტანოს არსებული ინფლაციამ. ამდენად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთადერთი სახე, რომელსაც ზედმიწევნით შევისწავლით, არის ფულის მასის ერთჯერადი ზრდა ან შემცირება.

ამ ნაწილში გავანალიზებთ გარდამავალი პოლიტიკის ან ცვლილების შეცვლას. მოსალოდნელი გაცვლითი კურსი, E^* , ამჯერად მივიჩნით ხანგრძლივი პერიოდის გაცვლითი კურსის ტოლად, რომელიც მე-15 თავში განვიხილეთ, ანუ გაცვლითი კურსისა, რომელიც გაბატონდება, როდესაც სახეზე იქნება სრული დასაქმება და ადგილობრივი ფასები სრულიად შეუგუება გამოშვებისა და აქტივის ბაზრების წარსულ დარღვევებს. ამ განმარტების თანახმად, დროებითი ცვლილებები პოლიტიკაში არ ახდენს შემოქმედებას ხანგრძლივი პერიოდის, E^* , მოსალოდნელ გაცვლით კურსზე.

დავუშვათ, ჩვენს მიერ შესწავლილი ეკონომიკური მოვლენები შემოქმედებას არ ახდენენ ვალუტის R^* გაცვლით კურსზე, ან ფასების P^* დონეზე და ადგილობრივი ფასების P დონე ფიქსირებულია ხანმოკლე პერიოდში.

გრაფიკი 16-10 ფულადი მასის დროებითი ზრდის ეფექტი



AA' მრუდის ზემოთ გადაადგილებით ფულის მასის დროებითი ზრდა გამოიწვევს ვალუტის კურსის კლებას და გაზრდის გამოშვებას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა


ადგილობრივი ფულის მასის ზრდის ხანმოკლე პერიოდის ეფექტი ნაჩვენებია 16-10 გრაფიკში. ფულის გაზრდილი მასის ზევით გადაადგილება AA'-დან AA' მრუდამდე არ შემოქმედებს DD მრუდის პოზიციაზე. აქტივის ბაზრის წონასწორობის აღმნიშვნელი მრუდის გადაადგილება ზევით ეკონომიკას გადაიყვანს (1) წერტილიდან, სადაც გაცვლითი კურსი არის E' და გამოშვება Y' , (2) წერტილისაკენ, სადაც გაცვლითი კურსი არის E'' და გამოშვება – Y'' . ფულის მასის ზრდის ტემპის შეცვლა იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, გამოშვებისა და დასაქმების ზრდას.

ამ შედეგების გამომოწვევ ეკონომიკურ ძალებს ჩაეწვდებით, თუ გავიხსენებთ წინა დისკუსიებს აქტივის ბაზრის წონასწორობისა და გამოშვების განსაზღვრებასთან დაკავშირებით. Y' გამოშვების საწყისი დონისა და მოცემული ფიქსირებული ფასების პირობებში, ფულის მასის ზრდამ ქვემოთ უნდა უბიძგოს R ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს. ჩვენ დავუშვით, რომ ფულად-საკრედიტო ცვლილება დროებითია და არ ახდენს შემოქმედებას მოსალოდნელ E^* გაცვლით კურსზე. ასე რომ, საპროცენტო პარიტეტის შესანარჩუნებლად R -ის შემცირების პირობებში (იმ დაშვებით, რომ უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი R^* არ შეიცვლება) გაცვლითი კურსი დაუყოვნებლივ არ უნდა გაუფასურდეს იმ მილოდინის შესაქმნელად, რომ ადგილობრივი ვალუტის ღირებულება მიმავალში უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ეს ნაგარაუდვეი იყო R -ის შემცირებამდე. ადგილობრივი ვალუტის დაუყოვნებლივი გაუფასურება აიძვებს სოფ პროდუქციას საზღვარგარეთის პროდუქციასთან შედარებით. სახეზეა ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რომელიც შეხამებული უნდა იყოს გამოშვების გადიდებასთან.

ფისკალური პოლიტიკა

როგორც ადრე დაერწმუნდით, ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მიიღოს სამთავრობო დანახარჯების ზრდის, გადასახადების შემცირების ან ამ ორის კომბინაციის ფორმა, რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას. დროებითი ფისკალური პოლიტიკა (რომელიც არ ახდენს გაელენას მოსალოდნელ გაცვლით კურსზე) DD მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ, ხოლო AA მრუდის მდებარეობას არ შეცვლის.

გრაფიკი 16-11 დროებითი ფისკალური პოლიტიკის ექსპანსიის შედეგი



DD' მრუდის მარჯვნივ გადაადგილებისას დროებითი ფისკალური ექსპანსია გამოიწვევს ვალუტის კურსის ზრდას და გაზრდის გამოშვებას.

16-11 გრაფიკი გვჩვენებს, თუ როგორ ახდენს გაელენას ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკაზე ხანმოკლე პერიოდში. თავდაპირველად ეკონომიკა (1) წერტილშია, E^1 გაცვლითი კურსითა და Y^1 გამოშვებით. დაუშვათ, მთავრობა გადაწყვეტს 55 მილიარდი დოლარის დახარჯვას კოსმოსური ხომალდის დასამზადებლად. სამთავრობო შესყიდვის ეს ერთჯერადი ზრდა ეკონომიკას გადაადგილებს (2) წერტილისაკენ, რაც გამოიწვევს ვალუტის კურსის აწევას E^2 წერტილამდე და გამოშვების გაფართოებას Y^2 წერტილამდე. ასევე უპასუხებს ეკონომიკა გადასახადების დროებით შემცირებას.

რომელი ეკონომიკური ძალები გამოიწვევენ მოძრაობას (1)-დან (2) წერტილისკენ? გამოშვების ზრდა, რომელიც გამოწვეულია სამთავრობო დანახარჯების მატებით, ადიდებს მოთხოვნას რეალური ფულადი ნაშთების იპერაციაზე. როდესაც ფიქსირებულია ფასების დონე, ფულზე მოთხოვნის ეს ზრდა R საპროცენტო განაკვეთს ზრდისკენ უბიძგებს. რადგან E^2 გაცვლითი კურსი და უცხოური საპროცენტო განაკვეთი R^* არ შეცვლილა, ადგილობრივი ვალუტის ღირებულება უნდა გაიზარდოს და შეიქმნას შესაბამისი გაუფასურების მოლოდინი, რაც საკმარისი იქნება გადიდებული საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის განსხვავების ასანაზღაურებლად ადგილობრივი ვალუტის დეპოზიტების სასარგებლოდ.

პოლიტიკა სრული დასაქმების შესანარჩუნებლად

ამ ნაწილის ანალიზი შეიძლება მიეუსადაგოთ ღია ეკონომიკაში სრული დასაქმების შენარჩუნების პრობლემას. რადგან როგორც დროებითი ფულად-საკრედიტო, ასევე ფისკალური ექსპანსიაც ზრდიან გამოშვებასა და დასაქმებას, მათი გამოყენება შესაძლებელია რეცესიის გამომწვევი დროებითი დარღვევების შედეგების გასაბათილებლად. მსგავსად ამისა, ჭარბი დასაქმების გამომწვევი დარღვევები შეიძლება ანაზღაურდეს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით.


16-12 გრაფიკში ილუსტრირებულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ასეთი გამოყენება. დაუშვათ, ეკონომიკის საწყისი წონასწორობა არის (1) წერტილში, სადაც გამოშვება ტოლია თავისი სრული დასაქმების დონისა, რომელიც Y^1 -ით არის აღნიშნული. მოულოდნელად აღონჩდება, რომ მომხმარებლების გემოვნებას დროებით არ შეესაბამება ადგილობრივი პროდუქცია (როგორც დაერწმუნდით ამ თავის წინა ნაწილში, გემოვნების ასეთი შეცვლა ადგილობრივ საქონელთან მიმართებაში ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას ნიშნავს), რაც გამოიწვევს DD' მრუდის გადაადგილებას მარცხნივ, DD'' მრუდისაკენ. (2) წერტილში ახალი მოკლევადიანი წონასწორობა (ვალუტა გაუფასურდა E^2 წერტილამდე და Y^2 გამოშვებამდე) თავისი სრული დასაქმების დონეზე დაბლაა და ეკონომიკა რეცესიაშია. რადგან დაუშვათ, რომ გემოვნების შეცვლა დროებითია, ის არ მოახდენს სეგავლენას E^2 წერტილზე, ასე რომ, AA' არ შეიცვლის პოზიციას.

სრული დასაქმების აღსადგენად მთავრობამ შეიძლება გამოიყენოს ფულად-საკრედიტო ან ფისკალური პოლიტიკა, ან ორივე ერთად. დროებითი ფისკალური ექსპანსია DD'' მრუდს გადასწევს უკან, თავისი საწყისი მდგომარეობისკენ და ადაღენს რა სრულ დასაქმებას, დაუბრუნდება E^1 გაცვლით კურსს. ფულის მასის დროებითი ზრდა აქტივის ბაზრის წონასწორობის მრუდს გადაადგილებს AA'' -სკენ და ეკონომიკის პოზიცია აღმოჩნდება (3) წერტილში ეს არის მოძრაობა, რომელიც ადაღენს სრულ დასაქმებას, მაგრამ მომავალშიაც კი გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას.

რეცესიის სხვა შესაძლებელი მიზეზია 16-13 გრაფიკში ნახეხები ფულზე მოთხოვნის დროებითი ზრდა, რომელიც ადიდებს ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთსა და ვალუტის ღირებულებას, რაც იწვევს


ადგილობრივი საქონლის გააძვირებასა და გამოშვების შემცირებას. 16-13 გრაფიკი გვიჩვენებს აქტივის ბაზრის დარღვევას დაღმავალი მრუდით AA^1 -დან AA^2 -მდე, ე.ი. ეკონომიკა გადაინაცვლებს საწყისი წონასწორობიდან ანუ (1) წერტილიდან (2) წერტილში.

გრაფიკი 16-12 სრული დასაქმების შენარჩუნება ადგილობრივ პროდუქციაზე მსოფლიო მოთხოვნის დროებითი შემცირების შემდეგ



მსოფლიო მოთხოვნის დროებითი დაცემა გადაადგილებს DD^1 მრუდს DD^2 მრუდისკენ, შეამცირებს გამოშვებას Y^1 -დან Y^2 -მდე და გამოიწვევს ვალუტის კურსის დაცემას E^1 -დან E^2 -მდე (2 წერტილი). დროებით ფისკალურ ექსპანსიას შეუძლია აღადგინოს სრული დასაქმება (წერტილი 1) DD მრუდის თავის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებით. დროებით მონეტარულ ექსპანსიას შეუძლია აღადგინოს სრული დასაქმება (3 წერტილი) AA^1 მრუდის AA^2 -სკენ გადაადგილებით. ეს ორი პოლიტიკა განსხვავდება გაცვლითი კურსის ეფექტებით: ფისკალური პოლიტიკა აღუდგენს ვალუტას თავის პირვანდელ ღირებულებას (E^1); მონეტარული პოლიტიკა იწვევს ვალუტის კურსის შემდგომ დაცემას E^2 -მდე.

გრაფიკი 16-13 სრული დასაქმების შენარჩუნება ფულზე მოთხოვნის ზრდის შემდეგ



ფულისა და მოთხოვნის დროებითი ზრდის შემდეგ (ნაჩვენებია AA^1 -დან AA^2 -მდე გადაადგილებით) ფულის მასის ზრდა ან ფისკალური შეზღუდვების დროებითი მოხსნა შეიძლება გამოყენებული იქნეს სრული დასაქმების შესანარჩუნებლად. ამ ორ პოლიტიკას შეიძლება აქონდეს განსხვავებული გაცვლითი კურსის ეფექტი: მონეტარული პოლიტიკა აღადგენს გაცვლით კურსს ისევე E^1 დონემდე, ხოლო ფისკალური პოლიტიკა იწვევს ვალუტის კურსის უფრო მეტ დაცემას (E^2).

ექსპანსიურმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძლება კვლავ აღადგინოს სრული დასაქმება. ფულის მასის დროებითი ზრდა AA მრუდს გადასწევს უკან, AA^1 -სკენ, ე.ი. ეკონომიკაც ბრუნდება უკან, თავისი საწყისი წონასწორობისკენ (1) წერტილში. ფულის მასის დროებითი მატება სრულად ანაზღაურებს ფულზე მოთხოვნის ზრდას იმით, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ აძლევს იმ დამატებითი ოდენობის ფულს, რისი ფლობაც მათ სურთ. დროებითი ფისკალური ექსპანსია DD^1 მრუდს გადაადგილებს DD^2 მრუდისკენ და აღადგენს სრულ დასაქმებას (3) წერტილში; ეს გადაადგილება გულისხმობს ვალუტის კურსის გადიდებას.

ინფლაციის ტენდენციასა და პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები

სრული დასაქმების შენარჩუნების პროცესის სიმარტივეს შეცდომაში შევყავართ; არ უნდა გაეუქვთ პოლიტიკის განხილვას იმ აზრით, რომ მაკროეკონომიკის შენარჩუნება მყარი კურსით ადვილია. ქვემოთ ჩამოთვლილია აღნიშნული პოლიტიკის განხილვისათვის აუცილებელი რამდენიმე პრობლემა:

1. არაელასტიური ნომინალური ფასები მთავრობას არა მხოლოდ საშუალებას აძლევს, გაზარდოს გამოშვება, თუ იგი მეტისმეტად დაბალია, არამედ შეიძლება აცდუნოს კიდევ, რათა აღნიშნულმა მთავრობამ პოლიტიკური თვალსაზრისით სასარგებლო ეკონომიკური ბუმი შექმნას, ვთქვათ, მოახლოებული არჩევნების წინ. ეს ყოველივე პრობლემებს შექმნის, თუ მუშები და ფირმები წინასწარ განტყუდებენ ამას და ექსპანსიური პოლიტიკის მილოდინში გაზრდიან მოთხოვნას ხელფასსა და ფასებზე. ამის შედეგად მთავრობა ჩათულის, რომ ექსპანსიური პოლიტიკა უნდა გამოიყენოს უბრალოდ იმ რეცესიის ასაცილებლად, რასაც სხვაგვარად ადგილობრივი გაზრდილი ფასები გამოიწვევს! ამის შედეგად, მაკროეკონომიკის პოლიტიკა გამოაყენებს


ინფლაციის ტენდენციას, რასაც ინფლაციის გაძლიერება მოჰყვება, ოღონდ გამოშვების ზრდა უცვლელი დარჩება. ინფლაციის ტენდენციის პრობლემამ გამოიწვია ისეთი ინსტიტუტების ქებნა, მაგალითად, ცენტრალური ბანკები, რომლებიც მთავრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და შეუძლიათ დაარწმუნონ ბაზრის მონაწილენი, რომ მთავრობა არ გაატარებს არაშორსმჭერტელურ პოლიტიკას ხანგრძლივი პერიოდის სტაბილურობის ხარჯზე. ამ მექანიზმებს ნაწილობრივ განვიხილავთ მე-20 და 22-ე თავებში.

- რეალურად ძნელია, ვირწმუნოთ – საიდან მომდინარეობს დარღვევა ეკონომიკაში: გამოშვებიდან თუ აქტივის ბაზრებიდან. როდესაც მთავრობას აწუხებს, თუ რა შედეგს გამოიღებს გაცვლითი კურსის მიმართ მისი საპასუხო პოლიტიკა, საჭიროა ამ დარღვევათა ცოდნა, რათა გააკეთოს არჩევანი ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას შორის.
- ხშირად რეალურ ცხოვრებაში პოლიტიკის არჩევანი ბიუროკრატიულ საფუძველზე უფრო კეთდება, ვიდრე ეკონომიკური შოკის გათვალისწინებით (რეალურია იგი, თუ არა, ანუ მომდინარეობს თუ არა გამოშვების ბაზრიდან). ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლა ხშირად შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი, დეტალური საკანონმდებლო განხილვით და ისიც მაშინ, თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკი ატარებს. მთავრობამ, რათა თავიდან აიცილოს პროცედურული დაყოვნება, მოსალოდნელია, დარღვევას უპასუხოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლით იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ფისკალური პოლიტიკის შეცვლა უფრო მისაღებია.
- ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა პრობლემა არის მისი ზემოქმედება სამთავრობო გადაწყვეტილებებზე. გადასახადის შემცირებამ ან დანახარჯის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა აღიკვეთოს ფისკალური ცვლილებებით. სამწუხაროდ, არ არის გარანტია იმისა, რომ მთავრობა გამოაველენს პოლიტიკური ნებას – ეს ქმედებები შეუსაბამოს ეკონომიკურ ციკლს. მისთვის არჩევნების ჩატარების მიზანი უფრო მნიშვნელოვანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, რაშიაც უკვე დაერწმუნდით.
- პოლიტიკა, რომელიც თითქოს სწრაფად მოქმედებს, რეალურად, ჩენი მარტივი მოდელის მიხედვით, ცვლადი ხანგრძლივი დაყოვნებით ხასიათდება. ამავდროულად, არსებული შოკის მასშტაბისა და მდგრადობის შეფასების სიძნელე ართულებს იმის განსაზღვრას, თუ რა მნიშვნელობის ფულად-საკრედიტო ან ფისკალური პოლიტიკა უნდა იყოს გამოყენებული. ეს გაურკვეველობა აძულებს პოლიტიკის შემქმნელებს, ზოგჯერ თავიანთი ქმედება დააფუძნონ რეალობიდან მეტად დაცილებულ პროგნოზებსა და წინათგონებებზე.

ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის მუდმივი ცვლა

ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის მუდმივი ცვლა ზემოქმედებს არა მხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილებების მექანიზმებზე, კერძოდ მიმდინარე პროცესებზე – ფულის მიწოდება, სამთავრობო დანახარჯები ან გადასახადები, არამედ ხანგრძლივი პერიოდის გაცვლით კურსზე. ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს მოლოდინზე მომავალი გაცვლითი კურსის შესახებ. მოლოდინის ცვლა ღიდად მოქმედებს ხანმოკლე პერიოდში გაბატონებულ გაცვლით კურსზე; პოლიტიკის მუდმივი ცვლა მოქმედებს ფულად და ფისკალურ პოლიტიკაზე. ამ ნაწილში განვიხილავთ ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის მუდმივ ცვლილებებს როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერიოდში.

გრაფიკი 16-14 ფულადი მასის მუდმივი ზრდის მოკლევადიანი შედეგები



ფულის მასის მუდმივ ზრდას, რომელიც გადაადგილებს AA^1 მრუდს AA^2 -საკენ, ხოლო ეკონომიკას (1)-დან (2) წერტილისაკენ, უფრო მეტი გავლენა აქვს გაცვლით კურსზე და გამოშვებაზე, ვიდრე თანაბარ დროებით ზრდას, რომელიც გადაადგილებს ეკონომიკას მხოლოდ (3) წერტილისაკენ.

იმისათვის, რომ ადვილად ჩავწედეთ პოლიტიკის შედეგს ხანგრძლივი პერიოდისათვის, დაუშვათ, რომ ეკონომიკა თავდაპირველად ხანგრძლივ წონასწორობაშია, ხოლო ჩვენს მიერ გაანალიზებული პოლიტიკის

ცვლილებები ერთადერთი მომხდარი ეკონომიკური ცვლილებაა (ჩვენი ჩვეულებრივი გამოთქმით – „სხვა თანაბარ პირობებში“). ეს ვარაუდები გულისხმობენ იმას, რომ ეკონომიკა იწყებს სრული დასაქმებით, როცა გაცვლით კურსი ხანგრძლივი პერიოდში მუდმივია და ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. ე.ი. თავდაპირველად ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი, უნდა უდრიდეს R^* უცხოური ვალუტის კურსს.

ფულადი მასის მუდმივი ზრდა


16-14 გრაფიკი გვიჩვენებს ხანმოკლე პერიოდში ფულის მასის მუდმივი ზრდის შედეგს ეკონომიკაზე, რომლის თავდაპირველი წონასწორობა აღნიშნება Y^1 სრული დასაქმების (1) წერტილში გამოშვების დონეზე. ადრე დაერწმუნდით, რომ M^s -ის დროებითი ზრდა გამოიწვევს აქტივის ბაზრის წონასწორობის მრუდის გადაადგილებას ზევით, AA^1 მრუდიდან AA^2 მრუდისკენ. რადგან M^s -ის ზრდა ახლა მუდმივია, ის შემოქმედებას ახდენს მოსალოდნელ გაცვლით კურსზე E^1 . მე-14 თავი გვიჩვენებს, ფულის მასის მუდმივი ზრდის გაყვანას ხანგრძლივ-პერიოდში გაცვლით კურსზე. M^s -ის მუდმივმა გადიდებამ უნდა გამოიწვიოს E -სა და მოსალოდნელი გაცვლითი კურსის, E^1 -ის პროპორციული ზრდა.

რადგან E^1 -ის მატებას ახლავს ფულის მასის მუდმივი ზრდა AA^2 მრუდისკენ, AA^1 მრუდის გადაადგილების მანევრებული უფრო დიდია იმ მანევრებელზე, რომელიც შედეგი იყო თანაბარი, თუმცა დროებითი ზრდისა. (2) წერტილში ეკონომიკაში მიღწეული ახალი ხანმოკლე პერიოდის წონასწორობის მიხედვით, Y და E – ორივე მანევრებული უფრო მაღალია ვიდრე ფულის მასის დროებითი ცვლის პირობებში. ((3) წერტილი გვიჩვენებს წონასწორობას, რაც შეიძლება მომდინარეობდეს M^s -ის დროებითი ზრდიდან).

ფულადი მასის მუდმივ ზრდასთან შეგუება

16-14 გრაფიკში ნაჩვენებ ფულის მასის ზრდას არ ეწინააღმდეგება ცენტრალური ბანკი. ბუნებრივია, ვიკითხოთ, თუ რა გაყვანას ახდენს იგი ეკონომიკაზე დროთა განმავლობაში. აღნიშნულ გრაფიკში (2) წერტილზე ხანმოკლე პერიოდის წონასწორობის დროს გამოშვება არის სრული დასაქმების დონეზე მაღლა, ხოლო მუშა-ძალა და მანქანა-დანადგარები ზედმეტ დროს მუშაობენ. სახეზეა ზეწოლა ფასების დონის ასამაღლებლად – მუშები მოითხოვენ უფრო მაღალ ხელფასებს და მწარმოებლებიც ზრდიან ფასებს მზარდი საწარმოო ხარჯების დასაფარავლად. მე-14 თავში ნაჩვენებია, რომ ფულის მასის ზრდა არსებითად იწვევს საერთოდ ფულადი მასის ღირებულების პროპორციულ ზრდას და ხანგრძლივ შემოქმედებას არ ახდენს გამოშვებაზე, შესაძარ ფასებზე ან საპროცენტო განაკვეთზე. დროთა განმავლობაში ზეწოლა ინფლაციისა, რომელიც მოსდევს ფულის მასის მუდმივ ექსპანსიას, ფასებს უბიძგებს ახალი ღირებულებებისკენ ხანგრძლივ პერიოდში და ეკონომიკას აბრუნებს სრული დასაქმებისაკენ.

გრაფიკი 16-15 ხანგრძლივი შეგუება ფულადი მასის მუდმივ ზრდასთან



ფულისა და მოწოდების მუდმივი ზრდის შემდეგ სტაბილურად მზარდი ფასის დონე გადაადგილებს DD და AA მრუდებს მარცხნივ, სანამ არ იქნება მიღწეული გრძელვადიანი წონასწორობა (3 წერტილი).

16-15 გრაფიკის მიხედვით ჩანს, როგორ რეგულირდება სრული დასაქმება. როდესაც გამოშვება უფრო დიდია, ვიდრე სრული დასაქმების Y^1 დონე. საწარმოო ფაქტორები მუშაობენ ზედმეტ დროს, ფასების P დონე იზრდება, რათა ანაზღაურდეს მზარდი საწარმოო ხარჯები. თუმცა DD და AA მრუდები აკეტილია P მუდმივი ფასისათვის, ამ უკანასკნელის ზრდა იწვევს მათ გადაადგილებას და აძვირებს ადგილობრივ საქონელს უცხოურთან შედარებით, რითაც ხელს უწყობს ექსპორტს და აბრკოლებს იმპორტს. ადგილობრივი ფასების მზარდი დონე დროთა განმავლობაში გამოიწვევს DD^1 მრუდის გადაადგილებას მარცხნივ. რადგან ფასების ზრდა მყარად ამცირებს რეალური ფულის მასას, იმავე მიზეზით დროთა განმავლობაში AA^2 მრუდი ასევე გადაადგილდება მარცხნივ.

DD და AA მრუდები შეწყვეტენ გადაადგილებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთს გადაკვეთენ

სრული დასაქმების Y' დონეზე. როცა გამოშვება განსხვავდება Y' -საგან, ფასების დონე შეიცვლება და ორივე მრუდი გააგრძელებს გადაანაცვლებას. მათი საბოლოო პოზიცია ნაჩვენებია 16-15 გრაფიკში DD' და AA' მრუდების განლაგების სახით. (3) წერტილში, მათს ურთიერთგადაკვეთაზე, E გაცვლითი კურსი და P ფასების დონე გაიზრდება ფულის მასის ზრდის პროპორციულად (AA' არ დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას, რადგან E' მუდმივად უფრო მაღალია ფულის მასის მუდმივი ზრდის შედეგად: იგი იმავე პროცენტით იზრდება, რითაც M^S).

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ხანმოკლე ვადის წონასწორობის (2) წერტილსა და ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობის (3) წერტილს შორის გამავალი რეგულირების მრუდის გასწვრივ ადგილობრივი ვალუტის კურსი რეალურად იზრდება (E' -დან E'' -მდე), მიუხედავად იმისა, რომ თავის თავდაპირველ მკვეთრ გაუფასურებას (E' -დან E'' -მდე). გაცვლითი კურსის ქცევა მე-14 თავშია განხილული ჭარბწარმოების ფენომენის მაგალითით, სადაც გაცვლითი კურსის თავდაპირველი რეაგირება სოც ცვლილებაზე უფრო მკვეთრია, ვიდრე შემდგომ ხანგრძლივ პერიოდში.


ახლა გამოვიყენოთ ჩვენი დასკვნები და ადვილად, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკის შესაბამისი რეაგირება მუდმივ ფულად-საკრედიტო დარღვევაზე. ფულზე მოთხოვნის მუდმივი ზრდა შეუძლებელია დაკმაყოფილდეს ფულის მასის მუდმივი, ტოლფასი ზრდით. ასეთი პოლიტიკა ინარჩუნებს სრულ დასაქმებას. ფასების დონის შემცირების შემთხვევაში აღნიშნული პოლიტიკის გაუტარებლობას არ მოჰყვება ინფლაციური შედეგები. სამაგიეროდ, ფულად-საკრედიტო ექსპანსიამ შეიძლება გადაადგილოს ეკონომიკა ხანგრძლივი პერიოდის სრული დასაქმების პოზიციამდე. გაითვალისწინოთ, რომ რეალურად მაინც ძნელია დიაგნოზი დაუესვათ ეკონომიკის განსაზღვრული შოკის შედეგობას ან წყაროს.

მუდმივი ფისკალური ექსპანსია

მუდმივი ფისკალურა ექსპანსია არა მარტო მყისიერად ზემოქმედებს გამოშვების ბაზარზე, არამედ ზეგავლენას ახდენს აქტივის ბაზარზეც, რადგან ხანგრძლივ პერიოდში განსაზღვრავს მოსალოდნელ გაცვლით კურსს. 16-16 გრაფიკი გვიჩვენებს სამთავრობო გადაწყვეტილებების – დახარჯოს 5 მლრდ დოლარი წელიწადში კოსმოსის ათვისების პროგრამაზე – ხანმოკლე პერიოდის შედეგს. როგორც ადრე ვაჩვენეთ, G -ს ზრდის უშუალო ეფექტი ერთობლივ მოთხოვნაზე იწვევს DD' -ის გადაადგილებას მარჯვნივ, DD'' -კენ. რადგან ადგილობრივ მომსახურებასა და საქონელზე სამთავრობო მოთხოვნის ზრდა ამ შემთხვევაში მუდმივია, ვალუტის კურსი იწვევს (იხ. მე-15 თავი). ამას მოჰყვება E' -ს შემცირება, რაც აქტივის ბაზრის წონასწორობის AA' მრუდს გადაანაცვლებს ქვევით, AA'' -ის გადაკვეთისაკენ. (2) წერტილი, სადაც DD'' და AA'' მრუდები ურთიერთს გადაკვეთენ, არის ეკონომიკის ხანმოკლე წონასწორობა და ამ წერტილში აღინიშნება ვალუტის კურსის გაზრდა საწყისი დონიდან E'' -მდე, გამოშვება კი უცვლელი რჩება Y' წერტილში.

16-16 გრაფიკში ილუსტრირებული მნიშვნელოვანი შედეგი ყოველივე ამ პროცესისა ის არის, რომ როდესაც ფისკალური ექსპანსია მუდმივია, გაცვლითი კურსის მოლოდინის შეცვლით გამოწვეული ვალუტის ღირებულების დამატებითი გაზრდა ამცირებს პოლიტიკის ზემოქმედებას გამოშვებაზე. რომ არა დამატებითი ზრდის ეს ეფექტი, რომელიც გამოწვეულია მუდმივი ფისკალური ექსპანსიით, წონასწორობა თავდაპირველად იქნებოდა (3) წერტილში, უფრო დიდი გამოშვებითა და კურსის უფრო მცირე აწევით. რაც უფრო დიდია აქტივის ბაზრის წონასწორობის მრუდის დაღმავალი გადაადგილება, მით უფრო მაღლა იწვევს ვალუტის კურსი, რაც აანაზღაურებს ადგილობრივ პროდუქციაზე ერთობლივ მოთხოვნას, რადგან გააძვირებს მას სასწრაფოგარეთის პროდუქციასთან შედარებით.

გრაფიკი 16-16 მუდმივი ფისკალური ექსპანსიის შედეგები



იმის გამო, რომ მუდმივი ფისკალური ექსპანსია გააღწევს ახდენს გაცვლითი კურსის მოსალოდნელობაზე, ის გადაადგილებს AA' მრუდს მარცხნივ, ხოლო DD' -ს მარჯვნივ.

16-16 გრაფიკი წარმოგიდგინებს ფისკალურ ექსპანსიას, რომელიც ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, ახდენს წმინდა ზემოქმედებას გამოშვებაზე. ეს არ არის შემთხვევითობა, ეს გარდაუვალია ფაქტობრივად ჩვენი დაშვებიდან გამომდინარე. ამ შეხედულების ჩამოყალიბება ხუთ არგუმენტირებულ ეტაპს მოითხოვს:

1. პირველი ეტაპი. დავრწმუნდით, რომ (აჯობებს, იხ. მე-14 თავი) რადგან ფისკალური ექსპანსია არ ახდენს ზეგავლენას ფულის M^5 მასაზე, ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის ხანგრძლივი პერიოდის ოდენობასა (რაც ტოლია უცხოური საპროცენტო განაკვეთისა) და გამოშვებაზე (Y^1), დასაშვებია, არ ზემოქმედებდეს ხანგრძლივი პერიოდის ფასების დონეზე;
2. ჩვენ დავუშვით, რომ ეკონომიკა იწყებს ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობას ადგილობრივი R საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ტოლია უცხოური R^* კურსისა, ხოლო გამოშვება უდრის Y^1 -ს. ასეთი დაშვების პირობებშიც ფისკალური ექსპანსია რეალური ფულის მასას M^5/P -ს შეუცვლელს ტოვებს ხანმოკლე პერიოდში.
3. წარმოვიდგინოთ (საპირისპიროდ 16-16 გრაფიკისა), რომ გამოშვება გაიზარდა Y^1 -ზე მეტად. რადგან M^5/P არ იცვლება ხანმოკლე ვადაში (2 ეტაპი), ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი, R , უნდა გაიზარდოს საწყისი R^* დონის ზევით, რათა ბაზარმა შეინარჩუნოს წონასწორობა. რადგან უცხოური საპროცენტო განაკვეთი რჩება R^* -ზე, Y -ის ზრდა Y^1 -ის დონეზე მეტად, ნიშნავს ადგილობრივი ვალუტის (საპროცენტო პარიტეტის მიხედვით) მოსალოდნელ გაუფასურებას.
4. რაღაც არასწორია ამ დასკვნაში: ჩვენ უკვე ვიცით, (1 ეტაპი) რომ ხანგრძლივი პერიოდის დონეს ცვლის ფისკალური ექსპანსია, ასე რომ, ადამიანებმა უნდა ივარაუდონ ადგილობრივი ვალუტის ნომინალური გაუფასურება პოლიტიკის შეცვლისთანავე, ოღონდ ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ვალუტა გაუფასურდება რეალურ გამოსახულებაში და ეკონომიკა დაუბრუნდება ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობას. ასეთი რეალური გაუფასურება, რომელიც შედარებით აიაფებს ადგილობრივ პროდუქციას, მხოლოდ აუარესებს ჭარბი დასაქმების საწყის მდგომარეობას (რომლის არსებობაც წარმოვიდგინეთ) და ამდენად ხელს უშლის გამოშვების მიბრუნებას რეალურ Y^1 -კენ.
5. და ბოლოს, დავასკვნათ – ასეთი წინააღმდეგობანი მოგვარდება იმ შემთხვევაში, გამოშვება საერთოდ თუ არ გაიზრდება ფისკალური პოლიტიკის ცვლილების შემდეგ. ერთადერთი ლოგიკური შესაძლებლობა ის არის, რომ ვალუტის კურსი დაუყოვნებლივ იზრდება იმ ღირებულებამდე, რაც ხანგრძლივი პერიოდის დროს ჰქონდა. ეს გადიდება გაუთანაბრდება ზუსტად იმ ოდენობის წმინდა ექსპორტზე მოთხოვნას, რაც საკმარისია, რათა გამოშვება დარჩეს სრული დასაქმების დონეზე, მიუხედავად G წერტილის უფრო მაღალი დონისა.

აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის ეს შეცვლა, რომელიც საშუალებას აძლევს გამოშვების ბაზარს – გაწონასწორდეს სრული დასაქმებით, აქტივის ბაზრის წონასწორობასაც განაპირობებს. რადგან გაცვლითი კურსი ავარდა ახალი ხანგრძლივი პერიოდის ღირებულებამდე, R დარჩა R^* -თან. როდესაც გამოშვება Y^1 არის, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ფულადი ბაზრის ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობის პირობა $M^5/P = L(R^*, Y^1)$, რაც იყო ფისკალურ პოლიტიკამდე. ასე რომ, ჩვენს დასკვნაში ერთმანეთთან დაკავშირებულია აქტივის ბაზრებისა და გამოშვების ბაზრების დაუყოვნებლივ მიყვანა ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობამდე, როცა ფისკალური ექსპანსიის შედეგად ვალუტის კურსი იზრდება.

დასკვნა – თუ კი ეკონომიკა იწყებს მოქმედებას ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობით, ფისკალური პოლიტიკის მუდმივი შეცვლა არ იმოქმედებს გამოშვებაზე. პირიქით, ეს გამოიწვევს ვალუტის კურსის მუდმივ ზრდას, რაც აანაზღაურებს ფისკალური პოლიტიკის უშუალო ზემოქმედებას ერთობლივ მოთხოვნაზე.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მიმდინარე ანგარიში

ხშირად, პოლიტიკის შემქმნელების ზრუნვის საგანია მიმდინარე ანგარიშის დონე. მე-18 თავში დაწვრილებით განვიხილავთ მიმდინარე ანგარიშის ჭარბ შესაბამობას – დადებით სალდოს ან დეფიციტს – რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ხანგრძლივი პერიოდის არასასურველი ზემოქმედება ეროვნულ კეთილდღეობაზე. დიდ საგარეო შესაბამობას შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ზეწოლა, რომლის მიზანია მთავრობის მხრიდან ვაჭრობის შეზღუდვა. მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ადგილობრივი მიზნებით მოქმედი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკები როგორ ახდენენ ზემოქმედებას მიმდინარე ანგარიშზე.


16-17 გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება $DD-AA$ მრუდების ურთიერთობის მოდელის გავრცობა მიმდინარე ანგარიშზე მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგების საილუსტრაციოდ. DD და AA მრუდების გარდა, გრაფიკი მოიცავს ახალ, XX მრუდს, რომელიც გვიჩვენებს გაცვლითი კურსისა და გამოშვების კომბინაციას, სადაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ტოლი უნდა იყოს ზოგი სასურველი დონისა, ეთქვას, $CA(EP^*/P, Y - T) = X$. ასეთ დროს მრუდი ზევით აინაცვლებს, სხვა თანაბარ პირობებში, რადგან გამოშვების ზრდა ხელს უწყობს იმპორტის შექმნას და აუარესებს მიმდინარე ანგარიშს, თუ მას თან არ ახლავს ვალუტის გაუფასურება. რადგან CA -ს რეალური დონე შეიძლება განსხვავდებოდეს X -საგან, ეკონომიკის

ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა, აუცილებელი არ არის, XX მრუდზე დაფიქსირდეს.

16-17 გრაფიკის ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ XX მრუდი DD მრუდზე უფრო ბრტყელია. მიზეზს ამის გავიგებთ, თუ ვიკითხავთ: როგორ იცვლება მიმდინარე ანგარიში (1) წერტილიდან ზევით მოძრაობისას, სადაც სამივე მრუდი ერთმანეთს კვეთს (ეთქვას, თავდაპირველად $CA=X$). როდესაც Y-ის ზრდა ზევით მიმართულ მოძრაობას გეჩვენებს DD მრუდის ასწვრივ, ადგილობრივ გამოშვებაზე ადგილობრივი მოთხოვნის ზრდა თავად გამოშვების მატებაზე ნაკლები იქნება (რადგან შემოსავლის ნაწილი დაიზოგება და ნაწილი დაიხარჯება იმპორტზე). მთლიანი ერთობლივი მოთხოვნა მიწოდების ტოლი უნდა იყოს DD მრუდის გასწვრივ, ადგილობრივი გამოშვების ჭარბი მიწოდების აღსაკვეთად E-ს მკვეთრი გადიდება უნდა აღინიშნოს DD-ს გასწვრივ, რათა ექსპორტზე მოთხოვნა უფრო სწრაფად გაიზარდოს, ვიდრე – იმპორტზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან გამოშვება დიდდება, წმინდა უცხოური მოთხოვნა – მიმდინარე ანგარიში – შესაბამისად უნდა გაიზარდოს DD მრუდის გასწვრივ, რათა ადგილობრივი დაზოგვით მორჩენილი ჭარბი სიმძლავრეები აითვისოს. ამდენად, (1) წერტილის მარჯვნივ DD მრუდის პოზიცია არის XX მრუდის ზევით (სადაც $CA > X$); მსგავსი დასაბუთება გეჩვენებს, რომ (1) წერტილის მარცხნივ DD მოექცევა XX მრუდის ქვევით (სადაც $CA < X$).

ახლა შეგვიძლია, შევისწავლოთ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარე ანგარიშის შედეგები. როგორც ადრე ვნახეთ, მაგალითად, ფულის მასის ზრდა ეკონომიკას გადაადგილებს (2) წერტილისკენ, აღიღებს რა გამოშვებას და აუფასურებს ვალუტას. რადგან (2) წერტილი ძვეს XX მრუდის ზევით, მიმდინარე ანგარიში მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად უმჯობესდება. ე.ი. ფულად-საკრედიტო ექსპანსიამ გამოიწვია მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ზრდა ხანმოკლე პერიოდში.

გრაფიკი 16-17 მაკროეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედება მიმდინარე ანგარიშზე



XX მრუდის გასწვრივ მიმდინარე ანგარიში არის მუდმივი $CA=X$ დონეზე. მონეტარული ექსპანსია გადაადგილებს ეკონომიკას (2) წერტილისაკენ და გაზრდის მიმდინარე ანგარიშის ბალანსს. დროებითი ფისკალური ექსპანსია გადაწევს ეკონომიკას (3) წერტილისაკენ, ხოლო მუდმივი ფისკალური ექსპანსია გადაადგილებს მას (4) წერტილისაკენ; სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ეცემა.

აგრეთვე, განიხილეთ დროებითი ფისკალური ექსპანსია. ეს ქმედება DD მრუდს მარჯვნივ და ეკონომიკას (3) წერტილისაკენ გადაადგილებს გრაფიკში. ვალუტის კურსის გაზრდისა და შემოსავლის გადიდების გამო მიმდინარე ანგარიშში აღინიშნება დარღვევა. მუდმივი ფისკალური ექსპანსია დამატებით ზეგაყვანებს ახდენს AA-ს მარცხნივ გადაანაცვლებით, ქმნის რა წონასწორობას (4) წერტილში. (3) წერტილის მსგავსად, (4) წერტილი XX მრუდის ქვევით აღმოჩნდება და მიმდინარე ანგარიშიც კიდევ ერთხელ გაუარესდება. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ამცირებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

ვაჭრობის ნაკადის თანდათანობითი რეზულირება და მიმდინარე ანგარიშის დინამიკა

DD-AA მრუდების ურთიერთობის მოდელის საფუძველია მნიშვნელოვანი ვარაუდი, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ადგილობრივი ვალუტის რეალური გაუფასურება დაუყოვნებლივ აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს, რეალური კურსის აწევა კი მიმდინარე ანგარიშის მეისიერ გაუარესებას იწვევს. რეალურად, სავაჭრო დინებების გამომწვევი ქცევა შეიძლება გაცილებით უფრო რთული იყოს, ვიდრე განხილვა, რაც ჩვენ შემოგთავაზებთ. იგი მოიცავს დინამიურ ელემენტებს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრივ, რასაც მიმდინარე ანგარიში მხოლოდ თანდათანობით მოჰყავს შესაბამისობაში გაცვლითი კურსის ცვლილებებთან. ამ ნაწილში განვიხილავთ სოფ დინამიურ ფაქტორს, რომლებიც ერთგვარ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიმდინარე ანგარიშის რეგულირების მოდელის ახსნაში და იმის განმარტებაში, თუ თავად როგორ შეცვლიდნენ ჩვენი მოდელით დაშვებულ ვარაუდს.


J მრუდი

სოგჯერ შენიშნავენ ხოლმე, რომ ქვეყნის მიმდინარე ანგარიშში დაუყოვნებლივ უარესდება ვალუტის რეალური გაუფასურების გამო და გაუმჯობესებას იწყებს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს

მიერ DD მრუდის აგებისას დაშვებულ ვარაუდს. თუ მიმდინარე ანგარიში უარესდება ვალუტის გაუფასურების გამო, 16-18 გრაფიკში ნაჩვენებ ამ პროცესის დროის ტრაექტორიას აქვს მოხასულობა, რომელიც მოგვაგონებს J-ს და ამიტომაც მას ეწოდება J მრუდი.

გრაფიკი 16-18 J მრუდი

J მრუდი გვჩვენებს დროის მონაკვეთს, რომლის დროსაც ვალუტის რეალური კურსის დაცემა აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს.



ადგილობრივი გამოშვებით გაზომილი მიმდინარე ანგარიში შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს რეალური ვალუტის გაუფასურებისთანავე (მოძრაობა 1-დან 2 წერტილისკენ გრაფიკში), რადგან შეკვეთების უმეტესობა იმპორტსა და ექსპორტზე რამდენიმე თვით ადრე ეთდება. გაუფასურებიდან პირველ რამდენიმე თვეში ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებამ შეიძლება ასახოს ძველი რეალური კურსის ბაზისზე მიღებული გადაწვეტილებები შესყიდვის შესახებ; გაუფასურების ძირითადი შედეგი იქნება იმპორტის კონტრაქტამდე ვალუტის ღირებულების გაზრდა ადგილობრივი საქონლის სახით. ადგილობრივი გამოშვებით გაზომილი ექსპორტი არ იცვლება მაშინ, როდესაც ადგილობრივი გამოშვებით გაზომილი იმპორტი იზრდება, ე.ი. სახეზეა მიმდინარე ანგარიშის თავდაპირველი შემცირება.

მას შემდეგაც კი, როდესაც ექსპორტისა და იმპორტის ძველი კონტრაქტები შესასრულებელია, დროა საჭირო, რათა ახალი გადასიდეები სრულ შესაბამისობაში მოვიდეს შესადარი ფასების ცვლილებასთან. ექსპორტის მწარმოებლებს შეიძლება მოუწიოთ დამატებითი ქარხნების ამუშავება, მათში ახალი მოწყობილობების განთავსება და საჭირო მუშების აყვანა. რამდენადაც იმპორტი შედგება ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობაში გამოყენებული შეალეღური მასალისაგან, მისი რეგულირება თანდათანობით მოხდება, რადგან იმპორტიორები გადაერთვებიან ახალ საწარმოო ტექნოლოგიებზე, რომელთა მეშვეობითაც ეკონომია ეთდება შუალედურ დანახარჯებზე. მოხმარებაც ჩამორჩება. მაგალითად, ადგილობრივი ექსპორტის მოხმარება მნიშვნელოვნად რომ გაფართოვდეს, საჭიროა ახალი საცალო ბაზრების შექმნა საზღვარგარეთ, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს.

ამგვარი შეყოვნების რეგულირების შედეგია მიმდინარე ანგარიშის თანდათანობითი გაუმჯობესება, რაც 16-18 გრაფიკშია მოცემული, როგორც მოძრაობა (2)-დან (3) წერტილამდე. მხოლოდ (3) წერტილის შემდგომ აჭარბებს მიმდინარე ანგარიში ნაუარაუდევ ღონეს. მიმდინარე ანგარიშის ზრდის შეყოვნებას აღარა აქვს ადგილი, რადგან რეალურ გაუფასურებასთან შეგუება დასრულებულია.

ემპირიული დამამტკიცებელი საბუთები მიგვანიშნებს, რომ განვითარებული ქვეყნების უმეტესობისათვის J მრუდის ხანგრძლიობა 6 თვეზე მეტი და 1 წელზე ნაკლებია. მაგალითად, ფულად-საკრედიტო ექსპანსიამ შეიძლება შეამციროს გამოშვება თავდაპირველად ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებით. ამ შემთხვევაში მას შეიძლება დასტირდეს გარკვეული დრო, სანამ ფულის მასის ზრდის შედეგად გაუმჯობესდება მიმდინარე ანგარიში და ერთობლივი მოთხოვნა.

თუ ექსპანსიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დღეს ამცირებს გამოშვებას, ადგილობრივი საპროცენტო განაკეთი მომავალში შემცირდება უფრო, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პოლიტიკა გააწონასწორებს ადგილობრივი ფულის ბაზარს. შესაბამისად, გაცვლითი კურსის ზრდა გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის ღირებულების დიდ მატებას, რომელიც საჭიროა ვალუტის ბაზრის წონასწორობისათვის. J მრუდის შედეგები ზრდის დამატებით წყაროსთან ერთად აფართოებს გაცვლითი კურსის ცვალებადობას.

გაცვლითი კურსის შეცვლის ხარისხი და ინფლაცია

ჩვენს მსჯელობაში იმის თაობაზე, თუ როგორ განისაზღვრება მიმდინარე ანგარიში DD-AA მრუდების ურთიერთობის მიხედვით, დაუეშვით, რომ ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება გამოიწვევს ვალუტის

რეალური კურსის შეცვლას ხანმოკლე პერიოდში. რადგან აღნიშნული მოდელის მიხედვით, ნომინალური გამომშვების P და P^* ფასები არ შეიძლება უეცრად აეარდეს, რეალური გაცვლით კურსის მოძრაობა $q = EP^*/P$ სრულიად შეესაბამება ნომინალური კურსის, E , ცვლილებას ხანმოკლე პერიოდში. მიუხედავად ამგვარი შესაბამისობისა ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებებს შორის მაინც არ არის სრული სიახლოვე. კარგად რომ გაეიგოს, თუ როგორ შემოქმედებას ახდენს მიმდინარე ანგარიშზე ხანმოკლე პერიოდში ნომინალური გაცვლითი კურსის მოძრაობა, დეტალურად უნდა გაეანალიზოს მასსა და ექსპორტი-იმპორტის ფასებს შორის არსებული კავშირი.

უცხოური გამომშვების ფასი ადგილობრივი ვალუტით არის გაცვლითი კურსისა და უცხოური ვალუტის ფასის ურთიერთობის შედეგი, ანუ EP^* . მაგალითად, ჩვენ უკვე დაეუშეთ, რომ როდესაც გაცვლითი კურსი E იზრდება, P^* ფიქსირებული რჩება, ე.ი. სასიღვარგარეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასი ადგილობრივი ვალუტის ღირებულების პროპორციულად იზრდება. პროცენტული მანქანებლები, რითაც იმპორტის ფასები იზრდება, როდესაც ადგილობრივი ვალუტა უფასურდება 1%-ით, ცნობილია როგორც **შეცვლის ხარისხი** გაცვლითი კურსიდან იმპორტის ფასებზე. შემთხვევითი $DD-AA$ მრუდების მოდელის კურსის მიხედვით, გადასვლის ხარისხი არის 1; ნებისმიერი გაცვლითი კურსის შეცვლა მთლიანად ცვლის იმპორტის ფასებს. ამ ვარაუდის საპირისპიროდ, გაცვლითი კურსის ე.წ. გადასვლა შეიძლება არასრულყოფილი გამოდგეს. ერთი შესაძლო ვერსია ამგვარი გადასვლის შესახებ არის საერთაშორისო ბაზრის სეგმენტიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს არასრულყოფილად კონკურენტულ ფირმებს, რომ ერთსა და იმავე პროდუქციას სხვადასხვა ფასი დაადონ სხვადასხვა ქვეყანაში. დიდი უცხოური ფირმა, რომელიც ავტომანქანებს აწოდებს აშშ-ს, შეიძლება ისე იყოს შემოფარებული ბაზრის წილის დაკარგვის შიშით, რომ 10%-ით დაუყოვნებლივ არ აწიოს ფასები თავის შეტანილ საქონელზე. როდესაც დოლარი 10%-ით გაუფასურდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოსავალი, გასომილი საკუთარი ვალუტით, ამერიკაში მისი პროდუქციის რეალიზაციიდან შემცირდება. მსგავსად ამისა, ფირმაში შეიძლება არც გადაწყვიტოს აშშ-ში თავისი საქონლის ფასების შემცირება 10%-ით დოლარის გაუფასურების შემდეგ, რადგან მას შეუძლია უფრო მაღალი მოგება ნახოს დასახელებულ ქვეყანაში გადასიდვების გაფართოებაში რესურსების დაუყოვნებლივი ინვესტირების გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში ფირმა მოიცდის, რათა, სანამ ფასებსა და პროდუქციაზე ვალდებულებებს აიღებს, რისი გაკეთებაც ხარჯებს მოითხოვს, დარწმუნდეს – რა ტენდენციას ავლენს ვალუტის ცვლილება.

ამდენად, როდესაც გაცვლითი კურსის მუდმივი შეცვლა შეიძლება სრულად იყოს ასახული იმპორტის ფასებით ხანგრძლივ პერიოდში, გადასვლის ხარისხი 1-ზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება ხანმოკლე პერიოდში. დაუსრულებელი გადასვლა როდესაც იმოქმედებს დროის ნორმირებაზე მიმდინარე ანგარიშის რეგულირებისას. ერთი მხრივ, ხანმოკლე პერიოდში ნომინალური გაცვლითი კურსის, J მრუდის, შემოქმედებას შეაჩერებს მის მიმართ იმპორტის ფასების მცირე რეაგირება; მეორე მხრივ, არასრული გადასვლა გულისხმობს იმას, რომ ვალუტის მოძრაობა არ იწვევს პროპორციულ ცვლას შესადარი ფასებისა, რომლებიც ვაჭრობის მოცულობას განსაზღვრავენ. შესადარი ფასების წარუმატებლობას თავის მხრივ ახლავს ვაჭრობის მოცულობის ნელი რეგულირება.

აღსანიშნავია, თუ როგორ შეიძლება შეასუსტოს კავშირი ნომინალურ და რეალურ გაცვლით კურსებს შორის მომავალში ადგილობრივმა ფასებმა. მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დონე მაღალია, ძნელია რეალური გაცვლითი კურსის EP^*/P -ს შეცვლა უბრალოდ E ნომინალური განაკვეთის შეცვლით, რადგან შედეგად მიღებული ერთობლივი მოთხოვნის ზრდა სწრაფად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ინფლაციის აღმოცენებას, რომელიც თავის მხრივ გაზრდის P -ს. რამდენადაც ქვეყანაში ექსპორტის ფასები იზრდება საკუთარი ვალუტის გაუფასურებისას, მსოფლიო ბაზრებში მისი კონკურენტული მდგომარეობის რაიმე ხელსაყრელი ეფექტი გაუქმდება. ფასების ისეთმა ზრდამ, როგორც არის ნაწილობრივი გადასვლის ხარისხი, შეიძლება შეასუსტოს J მრუდი.

მექსიკის სავაჭრო ბალანსი და კოსოს გაცვლითი კურსი

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონი მოერია ძლიერ ადგილობრივ ოპოზიციას, დაარწმუნა კონგრესი ჩრდ. ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (NAFTA) უპირატესობაში და 1993 წლის ნოემბერში დაამტკიცებინა იგი. ამ პროცესში გამოყენებული ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი იყო მექსიკის მოთხოვნა ჩრდილოეთიდან ექსპორტზე. თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1994 წლის დეკემბერში, მექსიკის პესოს ღირებულება მკვეთრად დაეცა დოლართან მიმართებაში (მე-17 და 22-ე თავებში ენახავთ, თუ რატომ მოხდა ეს). რადგან მექსიკური საქონელი გაიფუდა აშშ-ს საქონელთან შედარებით, მექსიკის იმპორტი აშშ-დან მომგებიანი გახდა, რის გამოც მისი მოცულობა ძალიან გაიზარდა. NAFTA-ის ოპოზიციონერებმა განაახლეს თავიანთი კრიტიკა. რესპუბლიკელებმა კონგრესში დაადასტურეს დემოკრატიის ადმინისტრაცია იმაში, რომ მათ დამალეს მექსიკის პრობლემების შესახებ არსებული ინფორმაცია.

ქვემოთ მოცემულია ყოველთვიური მონაცემები პესო-დოლარის გაცვლით კურსზე და ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებთან მექსიკის საქონლით ვაჭრობის დადებითი სალდო. როგორც ხედავთ, პესოს მკვეთრი გაუფასურება დოლართან მიმართებაში დაიწყო 1994 წლის დეკემბერში, რამაც დაუყოვნებლივ გააუმჯობესა მისი წმინდა ექსპორტი.


ამ პროცესს არ ახლავს ის გართულებები, რაც შემოთავაზებული იყო J მრუდის შესახებ მსჯელობაში. ამის ასახსნელად წარმოგიდგენთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ოთხ ფაქტორს: პირველი, პესოს გაუფასურება მასიური იყო – დოლარის ფასი პესოთი 60%-ზე მეტით გაიზარდა ორიოდე თვეში – დეკემბერ-იანვარში. მეორე, ფინანსური კრიზისი, რომელიც ახლდა პესოს შემცირებას, არ ტოყებდა ეჭვს იმის თაობაზე, რომ გაუფასურება მუდმივი იქნებოდა. ეს ვითარება კი სწრაფი რეგულირების სტიმულს აძლევდა ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს. მესამე, კრიზისის ახლდა მექსიკის ადგილობრივი დანახარჯებისა და გამოშვების მკვეთრი შემცირება, რასაც მოჰყვა პირდაპირი ნეგატიური შუადეგი ქვეყნის იმპორტის მოთხოვნაზე. და ბოლო, მეოთხე ფაქტორი იყო, ალბათ, თავად NAFTA. ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად მგრძობიარე გახდა შესადარი ფასების ცვლილებებისადმი, ვიდრე სავაჭრო ბარიერების არსებობის პირობებში.

გრაფიკი მექსიკის სავაჭრო ბალანსი აშშ-თან და პესო-დოლარის გაცვლითი კურსი, 1994-1995 წწ.

პესოს მკვეთრმა გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში 1994 წლის დეკემბერში, გამოიწვია აშშ-სთან მექსიკის სავაჭრო საბალანსის დაუყოვნებლივ ზრდა.

მექსიკის სავაჭრო ბალანსი აშშ-სთან (ბილიონ აშშ-ს დოლარებში)

პესო/დოლარის გაცვლითი კურსი



რეზიუმე

- ერთობლივი მოთხოვნა ღია ეკონომიკის გამოშვებაზე ოთხ მაჩვენებელს მოიცავს, რაც შეესაბამება მეკ-ის ოთხ კომპონენტს: მოხმარებაზე მოთხოვნა, საინვესტიციო მოთხოვნა, სამთავრობო მოთხოვნა და მიმდინარე ანგარიში (ექსპორტზე წმინდა მოთხოვნა). მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია რეალური გაცვლითი კურსი, ანუ უცხოური ფასების დონის შეფარდება (რომელიც გაზომილია ადგილობრივი ვალუტით) ადგილობრივი ფასების დონესთან.
- გამოშვება განისაზღვრება ხანმოკლე პერიოდში ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტოლობით. როდესაც ერთობლივი მოთხოვნა ღია გამოშვებაზე, ფირმები ზრდიან წარმოებას, რათა თავიდან აიცილონ რეზერვების გაუთვალისწინებელი ამოწურვა. როდესაც ერთობლივი მოთხოვნა გამოშვებაზე ნაკლებია, მაშინ ფირმები ამცირებენ წარმოებას, რათა თავიდან აიცილონ რეზერვების დაგროვება.
- ეკონომიკის ხანმოკლე წონასწორობას ადგილი აქვს ისეთი გაცვლითი კურსისა და გამოშვების დროს (ფასების დონე, მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსი და უცხოური ეკონომიკის პირობები მოცემულია), სადაც ერთობლივი მოთხოვნა ერთობლივი მიწოდების ტოლია და აქტივის ბაზარი გაწონასწორებულია. გრაფიკში ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძებზე მოცემული გაცვლითი კურსითა და რეალური გამოშვებით, ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა გამოისახება ზეაღმართული DD მრუდით, რომლის გასწვრივაც გამოშვების ბაზარი რეგულირდება, და AA დადმავალი მრუდით, რომლის გასწვრივაც რეგულირდება აქტივის ბაზრები.
- ფულის მასის დროებითი ზრდა, რომელიც არ ცვლის ხანგრძლივი პერიოდის გაცვლით კურსს, იწვევს ვალუტის გაუფასურებას და გამოშვების გადიდებას. დროებითი ფისკალური ექსპანსიის შედეგია გამოშვების გაზრდაც, რაც თავის მხრივ იწვევს ვალუტის კურსის აწევას. მთავრობამ შეიძლება გამოიყენოს ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკები გამოშვებასა და დასაქმებაში დარღვევების

5. ფულის მასის მუდმივი ცვლილებები, რაც არ მოქმედებს ხანგრძლივი პერიოდის მოსალოდნელ გაცვლით კურსზე, გამოიწვევს ვალუტის კურსის მკვეთრ მოძრაობებს და ამიტომ უფრო ძლიერ ხანმოკლე გავლენას მოახდენს გამოშვებაზე. თუ ეკონომიკაში სრული დასაქმება აღინიშნება, ფულის მასის მუდმივი გადიდება გამოიწვევს ფასების გაზრდას, რაც საბოლოოდ გააუქმებს რეალურ გაცვლით კურსზე ნომინალური გაცვლითი კურსის ზემოქმედებით გამოწვეულ საწყისი გაუფასურების შედეგს. ხანგრძლივ პერიოდში გამოშვება უბრუნდება თავის საწყის დონეს და ყველა ფულადი ფასი იზრდება ფულის მასის ზრდის პროპორციულად.
6. მუდმივი ფისკალური ექსპანსია ცვლის ხანგრძლივ პერიოდში მოსალოდნელ გაცვლით კურსს, რაც იწვევს ვალუტის კურსის უფრო მკვეთრ აწევას ტოლფას დროებით ექსპანსიასთან შედარებით. თუ ეკონომიკა იწვევს ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობით, ფასების დამატებითი აწევა ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას ისე აძვირებს, რომ შედეგად მიღებული წმინდა ექსპორტის „გადავსება“ აუქმებს პოლიტიკის შედეგს გამოშვებასა და დასაქმებაზე. ამ შემთხვევაში მუდმივ ფისკალურ პოლიტიკას საერთოდ არა ახასიათებს ექსპანსიური ზემოქმედება.
7. ძირითადი პრაქტიკული პრობლემა იმის გარანტიას, რომ მთავრობამ არ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობა ეკონომიკის სტიმულირებისა ხანმოკლე პოლიტიკური მიზნებისათვის, რითაც შექმნის ინფლაციის ტენდენციას. სხვა პრობლემებს ახასიათებთ ეკონომიკური ცვლილებების საფუძველის ან ხანგრძლიობის განსაზღვრის სირთულე და პოლიტიკის გატარების დაყოვნება.
8. თუ ექსპორტი და იმპორტი თანდათანობით ეგუება რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებებს, მიმდინარე ანგარიშმა ვალუტის რეალური გაუფასურების შემდეგ შეიძლება აირჩიოს *J მრუდის* მოდელი ჯერ გაუარესებით და შემდეგ გაუმჯობესებით. თუ ასეთი *J მრუდი* არსებობს, ვალუტის გაუფასურებამ თავდაპირველად შეიძლება მოახდინოს საწინააღმდეგო ზემოქმედება გამოშვებაზე და გაცვლითი კურსის შეზღუდულმა ე.წ. გადასვლამ, ადგილობრივი ფასების ზრდასთან ერთად, შეიძლება შეამციროს ნომინალური გაცვლითი კურსის შეცვლის გავლენა რეალურ ნომინალურ გაცვლით კურსზე.

ძირითადი ტერმინები

AA მრუდი

DD მრუდი

ფისკალური პოლიტიკა

ინფლაციის ტენდენცია

J მრუდი

ერთობლივი მოთხოვნა

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

„შეცვლა“

კითხვები

1. როგორი იქნება DD მრუდის გადაადგილების მიმართულება, თუ საინვესტიციო მოთხოვნა მცირდება?
2. დაეუშვათ, მთავრობამ შემოიღო ტარიფები ყველა სახის იმპორტზე. გამოიყენეთ DD-AA მრუდების მოდელი და გაარკვიეთ, რა ეფექტი ექნება ამ ღონისძიებას ეკონომიკაზე. გააანალიზეთ როგორც დროებითი, ისე უცვლელი ტარიფები.
3. წარმოიდგინეთ, რომ კონგრესმა მიიღო კონსტიტუციური შესწორება და აშშ-ს მთავრობისაგან მოითხოვა დაბალანსებული ბიუჯეტის მუდმივად განმტკიცება. ამისათვის კი, თუ მთავრობას სურს სამთავრობო დანახარჯების შეცვლა, გადასახადებიც იმავე ოდენობით უნდა შეცვალოს, ანუ, ყოველთვის $\Delta G = \Delta T$. ეს კონსტიტუციური შესწორება გულისხმობს თუ არა იმას, რომ მთავრობას მეტად ადარ შეუძლია ფისკალური პოლიტიკის გამოყენება გამოშვებასა და დასაქმებაზე? (შენიშვნა: გააანალიზეთ დაბალანსებული ბიუჯეტის ზრდა სამთავრობო დანახარჯებში, რასაც ახლავს გადასახადის თანაბარი მატება).
4. დაეუშვათ, სახეზეა ქვეყნის გამოშვებაზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდის დადამაკლები გადაადგილება, კერძოდ ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. რა შედეგი აქვს ამას გამოშვებაზე? რომელ სამთავრობო პოლიტიკას გაუწევთ რეკომენდაციას?
5. როგორ ზეგავლენას მოახდენს გადასახადების მუდმივი შემცირება მიმდინარე ანგარიშზე? რას იტყვით სამთავრობო დანახარჯების მუდმივ ზრდაზე? ხელახლა წაიკითხეთ პირველი საკითხის შესწავლა მე-12 თავში და დარწმუნდით, რომ თქვენი პასუხი ზუსტად ასახავს აშშ-ს 1980-იანი წლების დასაწყისის გამოცდილებას.
6. თუ მთავრობას თავდაპირველად აქვს დაბალანსებული ბიუჯეტი, მაგრამ შემდეგ ამცირებს გადასახადებს,

მას ექნება დეფიციტი, რომლის დაფინანსებაც მოუწევს. დაეუშვათ, მოსახლეობა ფიქრობს, რომ მთავრობა დააფინანსებს თავის დეფიციტს სუბსიდური ფულის ბეჭდვით. რომელიც მას ახლა სჭირდება დანახარჯების დასაფარავად. ამის შემდეგ კიდევ მოელით, რომ გადასახადების შემცირება გამოიწვევს ვალუტის კურსის აწევას?!

7. ალბათ შეამჩნიეთ, რომ ქვეყნის ვალუტის კურსი უფასურდება და მისი მიმდინარე ანგარიში ამავდროულად უარესდება. რა მონაცემებია საჭირო იმის გადასაწყვეტად, ხართ თუ არა J მრეულის ეფექტის მოწმე? რომელმა სხვა მაკროცვლილებამ შეიძლება წარმოშვას ვალუტის გაუფასურება მიმდინარე შემცირებასთან ერთად, თუნდაც მაშინ, როდესაც არ არსებობს J მრეუდი?
8. ახალი მთავრობა არჩეულია და აცხადებს, რომ რადგან მოხდება მისი ინაუგურაცია, იგი გაზრდის ფულის მასას. DD-AA მოდელი გამოიყენეთ, რათა გამოიკვლიოთ ეკონომიკის პასუხი ამ განცხადებაზე.
9. 1980-იანი წლების ბოლოს ბევრმა ეკონომისტმა აშშ-ს მიმდინარე ანგარიშში მუდმივი დეფიციტის გამო ნაწილობრივ ბრალი დასდო აშშ-ს შესადარი ფასების შეცვლის აშკარად მცირე მასშტაბის იმპორტსა და ექსპორტს შორის. მე-12 თავში მოცემული ანალიზის მიხედვით, პირველი საკითხის შესწავლაში მიმდინარე ანგარიშის ნელი შეგუება დაკავშირებულია კერძო და სამთავრობო დასაჯების პროცედურასთან. ეცადეთ, მიმდინარე ანგარიშის მონაცემები ერთიანად შეაფასოთ და შესაბამისობაში მოიყვანოთ ფასები და დანახარჯები.
10. როგორ დახაზავთ DD-AA გრაფიკს, როდესაც მიმდინარე ანგარიშის პასუხი გაცვლითი კურსის ცვლილებაზე უკავშირდება J მრეუდს? გამოიყენეთ მოდიფიცირებული გრაფიკი ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკაში დროებითი და მუდმივი ცვლილებების შედეგების შესამოწმებლად.
11. როგორი იქნება მარშალ-ლერნერის პირობა, თუ ქვეყანა, რომლის რეალური გაცვლითი კურსი იცვლება, არ იწყებს ნულოვანი მიმდინარე ანგარიშით? (მარშალ-ლერნერის პირობა მივიღეთ მე-3 დანართში – თავდაპირველად დაბალანსებული მიმდინარე ანგარიშის „სტანდარტული“ დაშვების პირობებში).
12. ჩვენი მოდელი იღებს P ფასების ღონეს ხანმოკლე პერიოდში, როგორც მოცემულს, მაგრამ მუდმივი ფისკალური ექსპანსიით გამოიწვეულმა ვალუტის კურსის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს P-ს ცოტაოდენი შემცირება იმპორტის ზოგი ფასის შემცირებით. თუ P შეიძლება ოდნავ შემცირდეს მუდმივი ფისკალური ექსპანსიის შედეგად, იგივე ექსპანსია იმოქმედებს თუ არა გამოშვებაზე? (როგორც ზემოთ დაეუშვით, სახეზეა თავდაპირველი ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობა).
13. დაეუშვათ, საპროცენტო პარიტეტი არ არის ზუსტი, მაგრამ ნამდვილი ურთიერთობა ასეთია: $R = R^* + (E^* - E)/E + p$, სადაც p არის პირობა, რომელიც ზომავს, თუ რამდენად სარისკოა მომავალი სამთავრობო დეფიციტის შექმნის პერსპექტივით გამოწვეული ადგილობრივი სამთავრობო დანახარჯის მუდმივი ზრდა, რაც P-საც ადიდებს, ანუ ადგილობრივი ვალუტით დეპოზიტების ფლობას უფრო სარისკოს ხდის. შეაფასეთ ასეთ ვითარებაში პოლიტიკის შედეგები გამოშვებაზე.
14. თუ ეკონომიკა არ დაიწყებს სრული დასაქმებით, ფისკალური პოლიტიკის მუდმივი შეცვლა მოახდენს თუ არა ზეგავლენას გამოშვებაზე?
15. შეგიძლიათ ხელახლა განიხილოთ 5 ეტაპიანი არგუმენტები, რათა უწევნოთ, რომ მუდმივი ფისკალური ექსპანსია ვერ გამოიწვევს გამოშვების შემცირებას.

მე-16 თავის I დანართი

IS-LM და DD-AA მოდელები

ამ დანართში გავეანალიზებთ ურთიერთობას DD-AA მოდელსა და IS-LM მოდელს შორის, რომელიც ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. IS-LM მოდელი განაზოგადებს DD-AA მოდელს იმით, რომ რეალურ ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს უფლებას აძლევს, შემოქმედება მოახდინოს ერთობლივ მოთხოვნაზე.

გრაფიკში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება IS-LM მოდელის გასაანალიზებლად, ღერძებზე აღინიშნება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გამოშვება და არა ნომინალური გაცვლითი კურსი და გამოშვება. DD-AA მოდელის მსგავსად, IS-LM მოდელი განსაზღვრავს ეკონომიკის ხანმოკლე პერიოდის წონასწორობას

როგორც ორი ინდივიდუალური ბაზრის წონასწორობის IS და LM მრუდების ურთიერთგადაკვეთას; IS მრუდი არის ნომინალური საპროცენტო განაკვეთისა და გამოშვების დონის მაჩვენებელი, სადაც გამოშვება და უცხოური ვალუტის ბაზრები წონასწორობაშია, LM მრუდზე კი განლაგებულია წერტილები, რაც ფულის ბაზრის წონასწორობას ასახავს.

IS-LM მოდელი უშვებს, რომ ინვესტიცია და სამომხმარებლო საქონლის შესყიდვის ზოგიერთი სახეობა (ისეთი ხანგრძლივი მოხმარების საქონლისა, როგორცაა მანქანები და სხვა) ნეგატიურად არის დაკავშირებული რეალურ საპროცენტო განაკვეთთან. როდესაც მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი დაბალია, ფირმები მომგებიანად ჩათვლიან სესხის აღებას და საინვესტიციო გეგმების გახსორციელებას (მე-7 თავის დანართში მოცემული იყო ამ მოდელი ინვესტიციასა და რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის კავშირის შესახებ). მოსალოდნელი დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთი ასევე უფრო მომგებიანს ხდის რეზერვის ფლობას გაყიდვისათვის, ვიდრე ალტერნატიული ხარჯებისათვის. ორივე მიზეზის გამო ინვესტიცია გაიზრდება, როდესაც მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი შემცირდება. ამის მსგავსად, რადგან მომხმარებელი თვლის, რომ სესხის აღება იაფია, ხოლო დაზოგვა არ არის მიმზიდველი, დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთის პირობებში, პროცენტის მიმართ მგრძობიარე სამომხმარებლო საქონლის შესყიდვაც იზრდება, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მცირდება. მაგრამ, როგორც შემდეგი დანართიდან უიკებთ, თეორიული არგუმენტები და დამამტკიცებელი საბუთები გვიჩვენებენ, რომ სამომხმარებლო რეაგირება საპროცენტო განაკვეთზე უფრო სუსტია, ვიდრე საინვესტიციო რეაგირება.

IS-LM მოდელში ერთობლივი მოთხოვნა ჩაწერილია, როგორც რეალური გაცვლითი კურსის განკარგულებაში არსებული შემოსავლისა და რეალური საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია,

$$D(EP^*/P, Y - T, R - \pi) = C(Y - T, R - \pi) + I(R - \pi) + G + CA(EP^*/P, Y - T, R - \pi),$$

სადაც π არის ინფლაციის მოსალოდნელი დონე და $R - \pi$ მოსალოდნელი რეალური საპროცენტო განაკვეთი. მოდელი უშვებს, რომ P, P^*, G, T, R^* და E^* – ყველა მონაცემი სახეზეა – (გასამარტივებლად G -ს მოვაცალეთ ერთობლივი მოთხოვნის D ფუნქცია).

R და Y კომბინაციით აიგება IS მრუდი, რომელიც გამოსახავს ერთობლივი მოთხოვნისა და გამოშვების ტოლობას

$$Y = D(EP^*/P, Y - T, R - \pi).$$

გამოშვების ბაზრის წონასწორობის ეს პირობა ჯერ ისე უნდა ჩაწეროთ. რომ იგი არ იყოს დამოკიდებული E -ზე.

E -ს ავსხნით საპროცენტო პარიტეტის პირობით – $R = R^* + (E^* - E)/E$ და მივიღებთ

$$E = E^*/(1 + R - R^*).$$

ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციით ამ გამოსახულების შენაცვლების შემდეგ გამოშვების ბაზრის წონასწორობის პირობა შეგვიძლია გამოვხატოთ, როგორც

$$Y = D[E^*P^*/P(1 + R - R^*), Y - T, R - \pi].$$

მივიღებთ იმის სრულ სურათს, თუ გამოშვების ცვლილებები როგორ ახდენს ზეგავლენას საქონლის ბაზრის წონასწორობაზე. გაიხსენოთ, რომ ინფლაციის დონე ეკონომიკაში პოზიტიურად არის დამოკიდებული განსხვავებაზე Y რეალურ გამოშვებასა და Y' სრულ დასაქმებას შორის. ჩვენ ჩაწერთ π -ს როგორც განსხვავების მსარდ ფუნქციას:

$$\pi = \pi(Y - Y').$$

მოლოდინის ამ დაშვების პირობებში საქონლის ბაზარი წონასწორობაშია:

$$Y = D[E^*P^*/P(1 + R - R^*), Y - T, R - \pi(Y - Y')].$$


ეს პირობა გვჩვენებს, რომ R ნომინალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება სრდის ერთობლივ მოთხოვნას ორი გზით: (1) როდესაც მოსალოდნელი გაცვლითი კურსის, R -ის, შემცირება გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, რომელიც გააუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს, (2) როდესაც მოსალოდნელი ინფლაციის დონე მოცემულია, R -ის შემცირება პირდაპირ შეუწყოფს ხელს მოხმარებასა და საინვესტიციო დანახარჯებს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ ეხება იმპორტს. ამ ორი გზიდან უკანასკნელი – საპროცენტო განაკვეთის ეფექტი დანახარჯებზე – დახერხულ ეკონომიკაში იარსებებს IS-LM მოდელის სახით.

IS მრუდს ვიპოვიით, თუ დავირტერესდებით – როგორ უნდა უპასუხოს გამოშვებამ საპროცენტო განაკვეთის

შემცირებას, რათა განამტკიცოს გამოშვების ბაზრის წონასწორობა. რადგან R -ის შემცირება ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, გამოშვების ბაზარი წონასწორობაში დარჩება R -ის შემცირებისა და Y -ის გაზრდის შემდეგ. 16დI-1 გრაფიკში ნაჩვენებია, რომ თუმცა IS და DD მრუდები ასახავენ გამოშვების ბაზრის წონასწორობას, IS ქვევით ეშვება მაშინ, როდესაც DD ზევით არის მიმართული. ამ განსხვავების მიზეზი ის არის, რომ საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი პროპორციულად უკავშირდებიან ერთმანეთს საპროცენტო პარიტეტის პირობით, როდესაც მომავალი გაცვლითი კურსი მოცემულია.

LM-ის (ან ფულის ბაზრის წონასწორობის) დაქანებული მრუდის აგება გაცილებით იოლია. ფულის ბაზრის წონასწორობა სახეზეა, როდესაც $M^s/P = L(R, Y)$, რადგან საპროცენტო განაკვეთის ზრდა ამცირებს ფულზე მოთხოვნას, მისი შედეგი იქნება ფულის ჭარბი მიწოდება მოცემული დონის გამოშვებისათვის.

გრაფიკი 16დI-1 ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა IS-LM მოდელში



წონასწორობა არის (1) წერტილში, სადაც გამოშვება და აქტივების ბაზრები ერთდროულადაა გაწონასწორებული.

ფულის ბაზარზე წონასწორობის განსამტკიცებლად R -ის გადიდების შემდეგ Y -ც უნდა გადიდდეს (რადგან გამოშვების გაზრდა სტიმულს აძლევს გარიგებების მოთხოვნას ფულზე). LM მრუდს აქვს პოზიტიური დახრა, რაც ნაჩვენებია 16დI-1 გრაფიკში. IS და LM მრუდების გადაკვეთა (1) წერტილში განსაზღვრავს ხანმოკლე პერიოდში Y' გამოშვების წონასწორულ ღირებულებას და R' ნომინალურ წონასწორულ საპროცენტო განაკვეთს; ეს უკანასკნელი თავის მხრივ ადგენს ხანმოკლე პერიოდის წონასწორულ გაცვლით კურსს საპროცენტო პარიტეტის პირობის მეშვეობით.


IS-LM მოდელის გამოყენება შეიძლება ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ეფექტების გასაანალიზებლად. ფულის მასის დროებითი ზრდა გადაადგილებს LM-ს მარჯვნივ, რითაც ამცირებს საპროცენტო განაკვეთს და აფართოებს გამოშვებას. ფულის მასის მუდმივი ზრდა გადაადგილებს LM მრუდს მარჯვნივ, ხოლო ასევე IS-ს მარჯვნივ, რადგან ღია ეკონომიკაში ეს მრუდი დამოკიდებულია E^* -ზე, რომელიც ახლა იზრდება. 16დI-2 გრაფიკის მარჯვენა მხარე გვიჩვენებს ამ გადაადგილებას. ხანმოკლე პერიოდის ახალი წონასწორობის დროს, რომელიც მოჰყვება ფულის მასის მუდმივ ზრდას, (2 წერტილი), გამოშვება და საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე ხანმოკლე-პერიოდის წონასწორობა (3 წერტილი), რომელიც მოჰყვება ტოლფას დროებით ზრდას. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეიძლება უფრო მაღალიც კი იყოს (2 წერტილში - 1 წერტილთან შედარებით). ამით ვიღებთ მეორე მაგალითს იმის ნათელსაყოფად, თუ მე-15 თავში მოცემული ფიშერის მოსალოდნელი ინფლაციის ეფექტს ფულად-საკრედიტო ექსპანსიის შემდგომ როგორ შეუძლია ზრდისაკენ უბიძგოს ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს.

16დI-2 გრაფიკის მარცხენა მხარე გვიჩვენებს, თუ ფულად-საკრედიტო ცვლილებები როგორ ზემოქმედებს ახდენენ გაცვლით კურსზე. ეს არის უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობისთვის დამახასიათებელი სურათი. იგი საათის ისრის მიმართულებით ისე დაეხაზეთ, რომ პორიზონტალურ ღერძზე მარცხნივ გადაადგილება ყოფილიყო E -ს ზრდა (ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება). საპროცენტო განაკვეთი R^1 , რომელიც მოსდევს ფულის მასის მუდმივ ზრდას, გულისხმობს, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია (2') წერტილში, რადგან E^* -ს თანმხლები ზრდა გადაადგილებს იმ მრუდს, რომელიც გამოსახავს უცხოური აქტივებიდან უკუგებას ადგილობრივი ვალუტით. მრუდი არ გადაადგილდება, თუ ფულის მასის ზრდა დროებითია. აქედან გამომდინარე, წონასწორული საპროცენტო განაკვეთი, R^1 , რომელიც მივიღებთ ამ შემთხვევაში, განაპირობებს უცხოური ვალუტის წონასწორულ კურსს (3') წერტილში.

ფისკალური პოლიტიკა გაანალიზებულია 16დI-3 გრაფიკში, სადაც აღნიშნულია ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობის საწყისი წერტილი. სამთავრობო დანახარჯების დროებითი ზრდა გადაადგილებს IS მრუდს მარჯვნივ, მაგრამ ზემოქმედებას არ მოახდენს LM-ზე. ახალი ხანმოკლე პერიოდის წონასწორობა (2) წერტილში გვიჩვენებს გამოშვებისა და ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდას მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა (2') წერტილში აღინიშნება ვალუტის კურსის დროებითი დაწვეით. სამთავრობო დანახარჯების მუდმივი ცვლა გამოიწვევს წონასწორული გაცვლითი კურსის შემცირებას ხანგრძლივ პერიოდში და აქედან გამომდინარე, E^* -ს კლებასაც. IS მრუდი არ გადაადგილდება ისე ძლიერ, როგორც ეს დროებითი პოლიტიკის შემთხვევაში იყო. ფაქტობრივად, ის საერთოდ არ გადაადგილდება (როგორც ეს DD-AA მოდელშია ნაჩვენები), რადგან მუდმივი ფისკალური ექსპანსია არ ზემოქმედებს გამოშვებაზე ან ადგილობრივ საპროცენტო


განაკვეთზე. მიზეზი იმისა, თუ მუდმივი ფისკალური პოლიტიკის გადაადგილება რატომ არის უფრო სუსტი შუალედურთან შედარებით, შეიძლება დაეინახოს გრაფიკის მარცხენა ნაწილში – (3') წერტილში. გაცვლითი კურსის მოლოდინის თანხლები შეცვლა ვალუტის კურსს მკვეთრად ასწევს და საპასუხოდ წმინდა ექსპორტი იწვევს ერთობლივი მოთხოვნის „გადავსების“.

გრაფიკი 16ლ-2 ფულის მასის დროებითი და მუდმივი ზრდის შედეგი IS-LM მოდელში



ფულის მასის დროებითი ზრდა გადაადგილებს მხოლოდ LM მრუდს მარჯვნივ, ხოლო მუდმივი ზრდის დროს იგი გადაადგილებს არა მარტო IS მრუდს, არამედ LM მრუდსაც იმავე მიმართულებით.

გრაფიკი 16 ლ-3 ფისკალური ექსპანსიის დროებითი და მუდმივი შედეგი IS-LM მოდელში



დროებით ფისკალურ ექსპანსიას აქვს დადებითი ეფექტი გამოშვებაზე, ხოლო მუდმივი ფისკალურ ექსპანსიას – არა.

მე-16 თავის II ღანართი

დროთაშორისი (ინტერტემპორალური) ვაჭრობა და სამომხმარებლო მოთხოვნა

ამ თავში დავეუშეოთ, რომ კერძო სამომხმარებლო მოთხოვნა არის წმინდა შემოსავლის ფუნქცია $C = C(Y^d)$, იმ თავისებურებით რომ, როდესაც Y^d იზრდება, მოხმარება ნაკლებად მატულობს (ამდენად დანახოვი $Y - C(Y^d)$ ასევე დიდდება). ეს დანართი ხსნის ამ ვარაუდს მე-7 თავის დანართში განხილული მოხმარების დინამიკის დროთაშორისი მოდელით.


მე-7 თავის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მოხმარებლის კეთილდღეობა დამოკიდებულია D -ს არსებულ და D მომავალ სამომხმარებლო მოხმარების მოთხოვნაზე. თუ ამჟამინდელი შემოსავალი არის Q და მომავალი შემოსავალი – Q' , მაშინ მოხმარებლებს შეუძლიათ ისეცხონ ან და'ხოგონ, რათა თავიანთი მოხმარების მანევრებული ნებისმიერად განათავსონ დროის მანძილზე, რომელიც შეესაბამება ბიუჯეტის დროთაშორის შეზღუდვას:

$$D_t + D_t / (1 + r) = Q_t, Q_t / (1 + r),$$

სადაც r არის რეალური საპროცენტო განაკვეთი.

გრაფიკი 16 დII-1 შეგახსენებთ იმას, თუ როგორ განესაზღვრეთ მოხმარება და დანაზოგი მე-7 თავში. არსებული და მომავალი გამოშვება გრაფიკში თავდაპირველად მოცემულია (1) წერტილით, მაგრამ მომხმარებელს სურს, რომ უმაღლესი რენტაბელობის მქონე გულგრილობის მრუდი შეარჩიოს, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის შეზღუდულ ბიუჯეტთან (ამას მიეყვართ მოხმარებისაკენ (1) წერტილში).

გრაფიკი 16 დII-1 გამოშვებისა და დაზოგვის შეცვლა



გამოშვების ერთპერიოდიანი გადიდება ზრდის დანაზოგს

ვთქვათ, ნულოვანი დაზოგვა (1) წერტილშია მოცემული, რაც ნათლად უჩვენებს არსებული გამოშვების ზრდის შედეგს. დაეუშვათ, ამჟამინდელი გამოშვება იზრდება, ხოლო მომავალი გამოშვება არაა, რის გამოც შემოსავლის ოდენობის მაჩვენებელი გადაადგილდება (2) წერტილისაკენ, პორიზონტალურად (1) წერტილის მარჯვნივ. ე.ი. მომხმარებელს სურს ამ ზრდის გაერცობა მოხმარებაზე, რისი საშუალებაც მას აქვს მთელი ცხოვრების მანძილზე. მას შეუძლია ეს გააკეთოს ამჟამად გადიდებული შემოსავლის ნაწილის დაზოგვით, $Q^2 - Q^1$ და ბიუჯეტის ხაზის გასწვრივ მარცხნივ, მომხმარებლის წელიწადის (2) წერტილიდან (1) წერტილისკენ გადაადგილებით.

თუ ახლა კვლავ ავხსნით ჩანაწერს, რომ ამჟამინდელი გამოშვება, Q შეესაბამებოდა წმინდა შემოსავალს Y^1 -ს და ამჟამინდელი სამომხმარებლო მოთხოვნა შეესაბამებოდა წმინდა მოხმარება უეჭველად დამოკიდებული იქნება წმინდა არსებული შემოსავლისგან განსხვავებულ ფაქტორებზე: მომავალ შემოსავალსა და რეალურ საპროცენტო განაკვეთზე. მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგროვებული შემოსავალი რეალურად გამოიწვევს მოხმარების ზრდას, რაც უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე მიმდინარე შემოსავლის მატება. რადგან ამ თავში განხილული გამოშვების ყველა ცვლილება დროებითია, რაც გამოწვეულია ხანმოკლე პერიოდის ადგილობრივი ფულადი ფასების არაელასტიურობით, სამომხმარებლო ქცევა ემორჩილება დროთაშორის ფაქტორს, რაც არსებითია $DD-AA$ მოდელისათვის.

ჩვენ შეგვეძლოს 16 დII-1 გრაფიკის გამოყენებაც, რათა ვნახოთ რეალური საპროცენტო განაკვეთის სამომხმარებლო ეფექტები, რომლებიც I დანართში გაგაცანით. თუ ეკონომიკა თავდაპირველად არის (1) წერტილში, რეალური საპროცენტო განაკვეთის, r შემცირება გამოიწვევს ბიუჯეტის აღმნიშვნელი მრუდის მოძრაობას საათის საწინააღმდეგო მიმართულებით (1) წერტილის გარშემო, რასაც მოჰყვება არსებული მოხმარების ზრდა. თუ ეკონომიკა თავდაპირველად დაზოგავდა საკმარის ოდენობას, როგორც ეს (2) წერტილშია აღნიშნული, მისი ეფექტი ბუნდოვანი იქნებოდა, ასახავდა რა შემოსავლისა და შენაცვლების ეფექტების საპირისპირო დაძაბულობას (რაც გაგაცანით მე-7 თავში). ეს ყოველივე მიგვანიშნებს იმაზე, რომ უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთის პოზიტიური ეფექტი მოხმარებაზე, ალბათ, სუსტია.

წინა სტრუქტურის გამოყენება ფისკალური პოლიტიკის დროთაშორისი ასპექტების გასაანალიზებლად მეტისმეტად შორს წაგვიყვანს, თუმცა ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემაა მაკროეკონომიკაში.

მარშალ-ლერნერის პირობა და ვაჭრობის ელასტიურობის ემპირიული შეფასება

ამ თავში დაშვებულია, რომ ქვეყნის ვალუტის გაუფასურება აუმჯობესებს მის მიმდინარე ანგარიშს. როგორც აღვნიშნეთ, ამ ვარაუდის სარწმუნოობა დამოკიდებულია ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის დამოკიდებულებაზე რეალური გაცვლითი კურსის მიმართ. ამ დანართში მივიღეთ მარშალ-ლერნერის პირობა, რომელიც ადგენს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, რეალური გაუფასურება აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს, თუ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა საკმაოდ ელასტიურია რეალური გაცვლითი კურსის გათვალისწინებით (პირობას ასე უწოდეს ორი ეკონომისტის, ალფრედ მარშალისა და აბა ლერნერის, პატივსაცემად). ამ პირობის მიღების შემდეგ დავაკვირდეთ ვაჭრობის ელასტიურობის ემპირიულ შეფასებებს და გაეანალიზოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ მიმდინარე ანგარიშის რეაგირებაში რეალური გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ.

დასაწყისისთვის ადგილობრივი გამოშვების ერთეულებში გაზომილი მიმდინარე ანგარიში, როგორც განსხვავება საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის, ჩაიწერება ტოლობით:

$$CA(EP^*/P, Y^*) = EX(EP^*/P) - IM(EP^*/P, Y^*)$$

ექსპორტის მოთხოვნა, როგორც EP^*/P -ის ფუნქცია, ტოლობაში შევიდა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოური შემოსავალი მუდმივად არის შენარჩუნებული.

q-თი აღვნიშნოთ EP^*/P რეალური გაცვლითი კურსი და EX^* -ით ადგილობრივი იმპორტი, გაზომილი უცხოური და არა ადგილობრივი გამოშვების სახით. EX^* ჩანაწერი იმიტომ არის გამოყენებული, რომ უცხოური გამოშვებით შეფასებული ადგილობრივი იმპორტი საზღვარგარეთიდან ტოლია ადგილობრივი ქვეყნიდან უცხოეთში გასატანი ექსპორტის მოცულობისა. თუ q-თი განესაზღვრაეთ უცხოური პროდუქციის ფასს ადგილობრივი პროდუქციის გამოსახულებით, მაშინ IM და EX^* ურთიერთს უკავშირდებიან შემდეგი მარტენბლით:

$$IM = q \times EX^*$$

ანუ, ადგილობრივი გამოშვებით გაზომილი იმპორტი = (ადგილობრივი გამოშვების ერთეული/უცხოური გამოშვების ერთეული) ? (უცხოური გამოშვების ერთეული გაზომილი იმპორტი). მიმდინარე ანგარიში შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$CA(q, Y^*) = EX(q) - q \times EX^*(q, Y^*)$$

ახლა დავუშვათ, რომ EX აღვნიშნავს q-ს ზრდის ეფექტს (რეალურ გაუფასურებას) ექსპორტის მოთხოვნაზე და EX^* , q-ს ზრდის ეფექტს იმპორტის მოცულობაზე. ამდენად,

$$EX_q = \Delta EX / \Delta q, EX^*_q = \Delta EX^* / \Delta q$$

როგორც ვნახეთ ამ თავში, EX_q პოზიტიურია (რეალური გაუფასურება შედარებით აიაფებს ადგილობრივ პროდუქციას და სტიმულს აძლევს ექსპორტს) მაშინ, როდესაც EX^*_q ნეგატიურია (ადგილობრივი პროდუქციის შეფარდებითი გაიაფება ამცირებს მოთხოვნას ადგილობრივ იმპორტზე). ამ განსაზღვრებების გამოყენების შედეგად შეიძლება დაეინტერესდეთ, თუ q-ს ზრდა როგორ ზრდავენას მოახდენს მიმდინარე ანგარიშზე, სხვა თანაბარ პირობებში.

თუ ინდექსი 1 მიგვანიშნებს ცვლადის საწყის ღირებულებაზე, როდესაც 2 აღვნიშნავს მის ღირებულებას მას შემდეგ, რაც q იცვლება $\Delta q = q^2 - q^1$ -ით, მაშინ რეალური გაცვლითი კურსის შეცვლით გამოწვეული მიმდინარე ანგარიშის ცვლილება ΔCA იქნება:

$$\begin{aligned} \Delta CA &= CA^2 - CA^1 = (EX^2 - q^2 \times EX^{*2}) - (EX^1 - q^1 \times EX^{*1}) \\ &= \Delta EX - (q^2 \times \Delta EX^*) - (\Delta q \times EX^{*1}). \end{aligned}$$

ΔCA -ის მეშვეობით თუ მოვახდენთ გაყოფას, მივიღებთ მიმდინარე ანგარიშის პასუხს q-ს ცვლილებაზე,

$$\Delta CA / \Delta q = EX_q - (q^2 \times EX^*_q) - EX^{*1}$$

ეს ტოლობა აჯამებს ტექსტში განხილული რეალური გაუფასურების მიმდინარე ანგარიშის ორ ეფექტს: მოცულობისა და ღირებულების ეფექტებს. პირობები, რომლებიც მოიცავენ EX და EX^*_q -ს, გამოსახავენ მოცულობის ეფექტს - იმპორტირებული და ექსპორტირებული გამოშვების ოდენობაზე q-ს შეცვლის ეფექტს.

ეს პირობები ყოველთვის პოზიტიურია, რადგან $EX > 0$ და $EX^* < 0$. ტოლობის ბოლო პირობა EX^* გამოსახავს ღირებულების ეფექტს და მას წინ უწერია მინუსი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ q -ს გადიდება აუარესებს მიმდინარე ანგარიშს იმ დონემდე, საიდანაც იზრდება იმპორტის საწყისი მოცულობის ღირებულება ადგილობრივი გამოშვების სახით.

უნდა გავიგოთ, როდის არის სემოთ მოცემული ტოლობის მარჯვენა მხარე პოზიტიური, რამდენადაც რეალური გაუფასურება იწვევს მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ზრდას. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ განვსაზღვროთ ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიურობა q -ს გათვალისწინებით:

$$\eta = (q'/EX') EX$$

და იმპორტზე მოთხოვნის ელასტიურობა კვლავ q -ს გათვალისწინებით:

$$\eta^* = - (q'/EX^*) EX^*$$

ამ ტოლობაში η^* -ის განსაზღვრება მინუსით არის წარმოდგენილი, რადგან EX^* ნაკლებია ნულზე და ვაჭრობის ელასტიურობას განვსაზღვრავთ, როგორც პოზიტიურ ცვლადს. როდესაც დავებრუნდებით $\Delta CA/\Delta q$ -ს განმსაზღვრელ ტოლობას, მის მარჯვენა მხარეს გაყვამრავლებთ (q'/EX') -ზე, რათა გამოვსახოთ იგი ვაჭრობის ელასტიურობის მანქენებლით. თუ მიმდინარე ანგარიშში თავდაპირველად ნულის ტოლია (ანუ $EX' = q' ? EX^*$), ეს ბოლო ოპერაცია გვიჩვენებს, რომ $\Delta CA/\Delta q$ პოზიტიური იქნება, როდესაც

$$\eta + (q'/q)\eta^* - 1 > 0.$$

თუ აღინიშნება q -ს მცირე ცვლა - $q' = q'$, მიმდინარე ანგარიშის გასაუმჯობესებლად q -ს გადიდების პირობა არის

$$\eta + \eta^* > 1.$$

ეს არის მარშალ-ლერნერის პირობა, რომლის მიხედვითაც, თუ მიმდინარე ანგარიშში თავდაპირველად ნულის ტოლია, მაშინ ვალუტის რეალური გაუფასურება გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის დადებით საღლოს, ოღონდ, თუ ექსპორტსა და იმპორტზე მოთხოვნის შესაღარი ფასების ელასტიურობის ჯამი აჭარბებს 1-ს (თუ მიმდინარე ანგარიშში თავდაპირველად არ არის ნულის ტოლი, პირობა არსებითად უფრო რთულდება). მარშალ - ლერნერის თეორიის გამოყენებისას უსათუოდ ვუშვებთ, რომ წმინდა შემოსავალი შენარჩუნებულია მუდმივად, როდესაც q იცვლება.

ცხრილი 16დIII-1 ფასების ელასტიურობა საერთაშორისო ვაჭრობისათვის მზა საქონელთან მიმართებაში

ქვეყანა	შედები	η მოკლევადიანი	გრძელვადიანი	შედები	η^* მოკლევადიანი	
გრძელვადიანი						
აესტრია	0.39	0.71	1.37	0.03	0.36	0.80
ბელგია	0.18	0.59	1.55	-	-	0.70
ბრიტანეთი	-	-	0.31	0.60	0.75	0.75
კანადა	0.08	0.40	0.71	0.72	0.72	0.72
დანია	0.82	1.13	1.13	0.55	0.93	1.14
საფრანგეთი	0.20	0.48	1.25	-	0.49	0.60
გერმანია	-	-	1.41	0.57	0.77	0.77
იტალია	-	0.56	0.64	0.94	0.94	0.94
იაპონია	0.59	1.01	1.61	0.16	0.72	0.97
ნიდერლანდები	0.24	0.49	0.89	0.71	1.22	1.22
ნორვეგია	0.40	0.74	1.49	-	0.01	0.71
შვედეთი	0.27	0.73	1.59	-	-	0.94
შვეიცარია	0.28	0.42	0.73	0.25	0.25	0.25
აშშ	0.18	0.48	1.67	-	1.06	1.06

ახლა, როდესაც მარშალ-ლერნერის პირობა გვაქვს, შეგვიძლია ვიკითხოთ: ვაჭრობის გამომსახველი ტოლობების ემპირიული შეფასებები გულისხმობს თუ არა ფასების ელასტიურობას, რაც უნდა შეესაბამებოდეს ამ თავში მოცემულ შემდეგ დაშვებას: რეალური გაცვლითი კერძის გაუფასურება აუმჯობესებს გამოშვებას. 16დIII-1 ცხრილში ასახულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასება სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ელასტიურობის შესახებ. ცხრილში ასევე ასახულია სამი წარმატებული, ხანგრძლივი პერიოდისთვის გასომილი ფასების ელასტიურობა ექსპორტსა და იმპორტზე; ამით საშუალება იქნება იმისა, რომ ექსპორტსა და

იმპორტზე მოთხოვნა თანდათანობით შეეგუოს შესადარი ფასების ცვლილებებს. ელასტიურობის „ზემოქმედება“ სომაცის ეაჭრობის დინამიკის რეაქციას შესადარი ფასების ცვლილებების მიმართ პირველ 6 თვეში. „ხანმოკლე პერიოდის“ ელასტიურობა ერთწლიანი შეგუების პერიოდს მოიცავს და „ხანგრძლივი პერიოდის“ ელასტიურობა კი ეაჭრობის დინამიკის დამოკიდებულებას ფასების იმ ცვლილებათა მიმართ, რაც ხდება პოზიტიურ, ექსპანსიურ შეგუებით პერიოდში.

მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ელასტიურობის ზემოქმედება იმდენად მცირეა, რომ ექსპორტისა და იმპორტის ელასტიურობის ურთიერთგავლენის ჯამი 1-ზე ნაკლებია. რადგან ზემოქმედების ელასტიურობა ჩვეულებრივ ეკონომიკურ აქტივობებს მარშალ-ლერნერის პირობას, თავდაპირველი მრეწველობის ეფექტი იწვევს რეალური მიმდინარე ანგარიშის გაზარდვას, რომელიც დაუეკონებლივ მოსდევს რეალურ გაუფასურებას.

ცხრილში მოცემული ქვეყნების უმეტესობა აქტივობებს მარშალ-ლერნერის პირობას ხანმოკლე პერიოდში და შესაძლებელია, რომ ყველა მათგანმა ასე განაგრძოს ხანგრძლივი პერიოდში. ეს შეესაბამება ამ თავში გაკეთებულ შემდეგ ვარაუდს: გარდა ხანმოკლე პერიოდისა, რეალური გაუფასურება აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშს, მაშინ, როდესაც რეალურმა გაძვირებამ შესაძლოა გააზარდოს იგი.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის ინტერვენცია

წინა რამდენიმე თავში განვიხილეთ მოდელი, რომლის მეშვეობითაც გასაგები ხდება, თუ როგორ განისაზღვრება ქვეყნის გაცვლითი კურსი და ეროვნული შემოსავალი აქტივისა და გამოშვების ბაზრის ურთიერთქმედებით. ამ მოდელის გამოყენებით დავრწმუნდით, თუ როგორ შეიძლება იყოს გამოყენებული ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა სრული დასაქმებისა და ფასების მყარი დონის შესანარჩუნებლად.

დისკუსიის გასამარტივებლად დავეუშვით, რომ გაცვლითი კურსი სრულიად ელასტიურია, ანუ ადგილობრივი ფულად-საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელები უცხოური ვალუტის ბაზრებზე თავად არ ვაჭრობენ გაცვლით კურსზე ზეგავლენის მოსახდენად. რეალურად, გაცვლითი კურსის სრული ელასტიურობის დაშვება იშვიათად არის ზუსტი. როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკონომიკა მოქმედებდა დოლარის ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის საზღვრებში II მსოფლიო ომის ბოლო პერიოდსა და 1973 წელს შორის, როდესაც ცენტრალური ბანკები ვაჭრობდნენ უცხოური ვალუტით, რათა თავიანთი გაცვლითი კურსი შეენარჩუნებინათ საერთაშორისოდ შეთანხმებულ დონეზე. განვითარებული ქვეყნები ახლა მოქმედებენ მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის პირობილული სისტემის პირობებში – სისტემისა, სადაც მთავრობამ შეიძლება სცადოს, რომ გაცვლითი კურსი ზომიერი გახადოს და ამავე დროს იგი მყარად ფიქსირებულად არ შეინარჩუნოს. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ შეინარჩუნა მთავრობის მიერ ფიქსირებული გაცვლითი კურსის ერთგვარი ფორმა (22-ე თავში განხილული მიზეზების გამო). ამ თავში შევისწავლით, თუ როგორ ერევიან უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში ცენტრალური ბანკები (კურსის დასაფიქსირებლად) და როგორ მოქმედებს მაკროეკონომიკის პოლიტიკა (როდესაც გაცვლითი კურსი ფიქსირებულია). ეს მსჯელობა დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რა როლი ეკისრება ცენტრალურ ბანკს გაცვლითი კურსის განსაზღვრაში უცხოური ვალუტით ინტერვენციის დროს და რეგულირებადი მცოცავი სისტემის პირობებში.

რატომ არის საჭირო გაცვლითი კურსის შესწავლა?

დისკუსია ფიქსირებული გაცვლითი კურსის შესახებ შეიძლება მოდიდან გადასულიც ჩანდეს იმ ეპოქაში, როცა გაზეთების სათაურები განუწყვეტლივ ასახავენ მთავარი ინდუსტრიული ქვეყნების ვალუტის გაცვლითი კურსის მკვეთრ ცვლილებებს. დაინტერესება არ არის უბრალო აკვირება. სანამ არსებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებს გაეაანალიზებთ, განვიხილოთ ფიქსირებულ გაცვლით კურსში გარკვევის ოთხი აუცილებლობა:

1. **მართვადი მცურავი:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრალური ბანკები ხშირად ერევიან ვალუტის ბაზრებში და გავლენას ახდენენ გაცვლით კურსზე. რადგან განვითარებული ქვეყნების მთავრობათა მიერ ვალუტების გაცვლითი კურსის ფიქსირება არ ხორციელდება თავის დროზე, მას თავისუფალი ცურვის საშუალებასაც არ აძლევენ. დოლარის მცურავი გაცვლითი კურსის სისტემა ხშირად მოიხსენიება, როგორც „მანკიერი“ (მართვადი) მცურავი, რათა განასხვაონ იგი „წმინდა“ მცურავისაგან (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა პირდაპირ არ ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს უცხოური ვალუტის ღირებულებაზე). წინა თავებში გაანალიზებული გაცვლითი კურსის მოდელში დაშვებული იყო წმინდა ცურვა ან გაცვლითი კურსის სრული ელასტიურობა. რადგან არსებული ფულად-საკრედიტო სისტემა არის ფიქსირებული და წმინდა მცურავი გაცვლითი კურსის სისტემების ნაჯვარი, ფიქსირებული გაცვლითი კურსის გაგება გაგვარკვევს უცხოური ვალუტის ინტერვენციის ეფექტებში მცოცავი გაცვლითი კურსის დროს.
2. **ვალუტის რეგიონალური რეგულირება.** ზოგი ქვეყანა წევრია გაცვლითი კურსის კავშირებისა. ისინი თანახმანი არიან, რომ საერთო გაცვლითი კურსები გაამყარონ მაშინ, როდესაც თავიანთ ვალუტებს ღირებულების შეცვლის საშუალებას აძლევენ არაწევრი ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი კავშირია „ევროპის მონეტარული სისტემა“, რომელიც 1979 წლიდან მოქმედებს და რომლის წევრებიც არიან საფრანგეთი და გერმანია. 1993 წლის აგვისტომდე გერმანულ მარკასა და ფრანგულ ფრანკს კქონდათ შესადარი ფიქსირებული ფასი, რაც დღითიდღე შეიძლება შეცვლილიყო დოლარის გამოსახულებით. როგორც ეს ამ წიგნშია მოცემული, „ევროპის მონეტარული სისტემა“ კვლავაც ინარჩუნებს გარდამავალ მართვად მცურავ კურსს, მაგრამ მისი წევრები იმედოვნებენ, რომ ფიქსირებულ გაცვლით კურსს დაუბრუნდებიან.

3. განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები. განვითარებული ქვეყნები ცურვის უფლებას აძლევენ თავიანთ ვალუტებს დოლართან მიმართებაში, მაგრამ ისინი მსოფლიოს ქვეყნების მეექვსედზე ნაკლებნი არიან. ხშირად ბევრი განვითარებადი და ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყანა ცდილობს, თავისი ვალუტის ღირებულება ხან დოლარს მიაბას, ხან კი სხვა ვალუტას ან ვალუტების „კალათას“. ასეთ პროცესში მსოფლიოს ქვეყნების თითქმის ნახევარია ჩართული. მაგალითად, ტაილანდმა თავისი ვალუტა ე.წ. ვალუტების „კალათას“ მიაბა, არგენტინამ კი აშშ-ს დოლარს, სენეგალმა – ფრანგულ ფრანკს . . . განვითარებადი ქვეყნების პრობლემების გაანალიზება ბევრს არაფერს მოგეცემს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ფიქსირებული გაცვლითი კურსის მნიშვნელობას.
4. სამომავლოდ წარსულის გაკეთილებების გათვალისწინება. ფიქსირებული გაცვლითი კურსი ნორმა იყო გარკვეულ პერიოდებში, მაგალითად, I მსოფლიო ომის წინა ათწლეულში, 1920-1931 წლებსა და 1945-1973 წლებში. დღეს ბევრი ეკონომისტი და პოლიტიკის შემქმნელი, რომელიც უკმაყოფილოა მცურავი გაცვლითი კურსით, გეთაყვაზობს ახალ საერთაშორისო გარიგებებს, სადაც აღდგენილია ფიქსირებული გაცვლითი კურსის განსაზღვრული ფორმა. მოუტანს კი ეს სარგებელს მსოფლიოს? ვინ მოიგებს ან იზარალებს ასეთი სისტემიდან? მცოცავ გაცვლით კურსთან შესადარებლად უნდა ჩავეწყვეთ ფიქსირებული კურსის ფუნქციონირების პროცესს.

ცენტრალური ბანკის ჩარევა და ფულის მასა

მე-14 თავში განვსაზღვრეთ ეკონომიკის ფულის მასა, როგორც ვალუტის მთელი ოდენობა და საჩეკო დეპოზიტები (რომლებსაც ფლობენ ფირმები და ოჯახები) და დაეუშვიით, რომ ცენტრალური ბანკები განსაზღვრავენ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ოდენობას. უცხოური ვალუტის ბაზარზე ცენტრალური ბანკის ინტერვენციის გასაგებად უნდა გავარკვიოთ, თუ ამ ბანკის ფინანსური ოპერაციები როგორ ახდენენ ზეგავლენას ფულის მასაზე.

ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგება და ფულის მასა

მთავარი მექანიზმი, რასაც ვიყენებთ აქტივის ბაზრებზე ცენტრალური ბანკის ოპერაციების შესწავლისთვის, არის ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშები, სადაც აღრიცხულია მის მფლობელობაში არსებული აქტივები და პასივები. ნებისმიერი სხვა საბალანსო ანგარიშების მსგავსად, ცენტრალური ბანკის ანგარიშგება ხორციელდება ორმაგი ბუღალტერიის (საბუღალტრო აღრიცხვის ორმაგი ჩაწერის მეოთხედი) პრინციპების შესაბამისად. ცენტრალური ბანკის მიერ აქტივების ნებისმიერი შექმნა იწვევს ბალანსის აქტივების პოზიტიურ ცვლილებას, ხოლო ბანკის პასივების ნებისმიერი ზრდა იწვევს ბალანსის პასივების პოზიტიურ ცვლილებას.

ქვემოთ მოცემულია გამოგონილი ქვეყნის, პეკუნის, ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგება.

ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგება

	აქტივები	პასივები
უცხოური ადგილობრივი	1 000 დოლარი 1 500 დოლარი	კერძო ბანკების დეპოზიტები ბრუნვაში არსებული ვალუტა
		500 დოლარი 2 000 დოლარი

პეკუნის ბანკის საბალანსო ანგარიშგების აქტივების მხარე ორ ტიპს მოიცავს: უცხოურ და ადგილობრივ აქტივებს. უცხოური აქტივები ძირითადად შედგება ფასიანი ქაღალდებისაგან უცხოური ვალუტით, რომელსაც ფლობს ცენტრალური ბანკი. ეს უცხოური აქტივები ქმნის ცენტრალური ბანკის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს, რომელთა დონე იცვლება აღნიშნული ვალუტის ყიდვით ან გაყიდვით, ე.ი. როდესაც ცენტრალური ბანკი ერევა უცხოური ვალუტის ბაზარზე. ისტორიული მიზეზების გამო, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ ამ თავში, ცენტრალური ბანკის საერთაშორისო რეზერვი არის მის მფლობელობაში არსებული ოქრო. საერთაშორისო რეზერვების განმსაზღვრელი მაჩასიათებელი არის ვალდებულებები უცხოელების მიმართ ან საერთაშორისო გადახდების საყოველთაოდ მისაღები საშუალებები (მაგალითად, ოქრო). ამ მაგალითში ცენტრალური ბანკი ფლობს 1000 აშშ დოლარის უცხოურ აქტივებს.

ადგილობრივი აქტივები არის ცენტრალური ბანკის მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც ქვეყნის მოქალაქეებმა და ადგილობრივმა ინსტიტუტებმა მომავალში უნდა გადაიხადონ. ეს მოთხოვნები ჩვეულებრივ ადგილობრივი სახელმწიფო ობლიგაციებისა და ადგილობრივი ბანკებისათვის სესხის სახეს იღებს. პეკუნის ბანკი ფლობს 1500 დოლარის ადგილობრივ აქტივებს. მისი მთლიანი აქტივები ტოლია 2500 დოლარისა, ანუ უცხოური და ადგილობრივი აქტივების რეზერვების ჯამისა.

საგადახდებლო ბალანსის პასივის მხარე აღრიცხავს კერძო ბანკების დეპოზიტებს და მიმოქცევაში არსებულ ვალუტას როგორც ბანკოტყების, ასევე მონეტების სახით (არასაბანკო ფირმები და ოჯახები ვერ შეძლებენ ფულის დეპონირებას ცენტრალურ ბანკში მაშინ, როდესაც ბანკებს კანონით მოეთხოვებათ, რომ ფლობდნენ

ცენტრალური ბანკის დეპოზიტებს, როგორც საკუთარი პასივების ნაწილობრივ რეესურსებს). კერძო ბანკების დეპოზიტები ცენტრალური ბანკების პასივებია, რადგან ფული შეიძლება იყოს ამოღებული, თუ იგი კერძო ბანკებს დასჭირდებათ. მიმოქცევაში არსებული ფული მიჩნეულია ცენტრალური ბანკის პასივად ძირითადად ისტორიული მიზეზების გამო: ცენტრალური ბანკები ვალდებული იყვნენ, მიეცათ ოქროს ან ვერცხლის განსაზღვრული ოდენობა ნებისმიერი პირისათვის, რომელსაც სურდა ადგილობრივი ვალუტის გაცემა ამ ძვირფასი მეტალებიდან რომელიმეში. ზემოთ მოცემული საბაზანსო ანგარიშგება გვიჩვენებს, რომ პეკუნის კერძო ბანკებმა მოახდინეს 500 დოლარის დეპონირება ცენტრალურ ბანკში. მიმოქცევაში არსებული ვალუტა ტოლია 2 000 დოლარისა, ამდენად, ცენტრალური ბანკის მთელი პასივები ტოლია 2 500 დოლარისა.

ცენტრალური ბანკის მთელი აქტივი უტოლდება მისივე მთელ პასივს, რასაც ემატება მისი ქონების ღირებულება, რაც ამჟამინდელ მაგალითში ნულის ტოლად მივიჩნით. რადგან ცვლილებები ცენტრალური ბანკის ქონების ღირებულებაში, ვალდებულებების გამოკლებით, მნიშვნელოვანი არ არის ჩვენი ანალიზისათვის, მათაც ავეულოთ გვერდს.

დამატებითი ვარაუდი ქონების ღირებულების (პასივების გამოკლებით) მუდმივობის შესახებ ნიშნავს იმას, რომ ცენტრალური ბანკის აქტივებში ცვლილებები ავტომატურად იწვევენ ტოლფას ცვლილებებს ცენტრალური ბანკის პასივებშიც. მაგალითად, როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს აქტივს, მას შეუძლია ამის ანაზღაურება ორიდან ერთ-ერთი გზით: ნაღდი ფულით, რაც ადიდება მიმოქცევაში არსებული ფულის მასას ბანკის მიერ შესყიდული აქტივის ოდენობით, და ჩეკით, რაც ჩეკის მფლობელს საკუთრებად ჰპირდება ცენტრალური ბანკის დეპოზიტს, რომელიც ღირებულებით აქტივის ფასის ტოლია. როდესაც ჩეკის მიმღები ამ თანხას თავის ანგარიშზე დებს შესანახად კერძო ბანკში, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ცენტრალური ბანკის მიმართ (და ამდენად ცენტრალური ბანკის ვალდებულებებისა კერძო ბანკის მიმართ) იმავე ოდენობით იზრდება. ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის მიერ აქტივების შესყიდვა ავტომატურად გამოიწვევს მისი პასივების ზრდას. ამის მსგავსად, ცენტრალური ბანკის მიერ აქტივის რეალიზაცია მოიცავს ან ვალუტის ამოღებას მიმოქცევიდან ან კერძო ბანკის მოთხოვნების შემცირებას ცენტრალური ბანკის მიმართ და ამით ცენტრალური ბანკის ვალდებულებების შემცირებას კერძო სექტორის წინაშე.

ცენტრალური ბანკის საბაზანსო ანგარიშგების გაგება მნიშვნელოვანია, რადგან ცვლილებები ცენტრალური ბანკის აქტივებში გამოიწვევს ცვლილებებს ადგილობრივი ფულის მასაშიც. ცენტრალური ბანკის აქტივებისა და პასივების ცვლილებებს შორის ტოლობის განხილვა ხსნის მექანიზმის მოქმედებას.

მაგალითად, როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს აქტივს საზოგადოებიდან, გადახდა – განურჩევლად იმისა, ჩეკით იქნება თუ ნაღდი ფულით – უშუალოდ გულისხმობს ფულის მასას. აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებული ცენტრალური ბანკის პასივების ზრდა გამოიწვევს ფულის მასის გაფართოებას. ფულის მასა იღვევს, როდესაც ცენტრალური ბანკი აქტივებს მიჰყიდის მოსახლეობას, რადგან ნაღდი ფული ან ჩეკი, რასაც ცენტრალური ბანკი იღებს ანაზღაურების სახით, გამოდის მიმოქცევიდან, რაც ამცირებს საზოგადოების მიმართ ბანკის ვალდებულებებს. ამრიგად, ცენტრალური ბანკის აქტივებში მიმდინარე ცვლილებებს მოჰყვება ფულის მასის შეცვლა იმავე მიმართულებით, რადგან ეს მოითხოვს ტოლფას ცვლილებებს ცენტრალური ბანკის ვალდებულებებში.

აღწერილი პროცესი შეიძლება ნაცნობი იყოს თქვენთვის ქვეყნის ცენტრალური ბანკის ღია ბაზრების ოპერაციების შესწავლიდან. განსაზღვრების შესაბამისად, ოპერაციები ღია ბაზარზე მოიცავენ ადგილობრივი აქტივების შესყიდვას ან გაყიდვას; უცხოური აქტივების ოფიციალური ოპერაციებიც ისეთსავე პირდაპირ შემოქმედებას ახდენენ ფულის მასაზე. გაიხსენეთ მაგალითი, როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს აქტივებს, ფულის მასის თანმხლები ზრდა ძირითადად უფრო დიდია, ვიდრე აქტივის თავდაპირველი შესყიდვისა კერძო საბანკო სისტემაში არაერთმნიშვნელოვანი დეპოზიტის შექმნის გამო. **ფულის მულტიპლიკატორის** ეს ეფექტი, რაც ზრდის ცენტრალური ბანკის ოპერაციების შემოქმედებას ფულის მასაზე, ადასტურებს ჩვენს ძირითად დასკვნას: **ცენტრალური ბანკის მიერ აქტივების ნებისმიერი შესყიდვის ავტომატური შედეგია ადგილობრივი ფულის მასის ზრდა, მაშინ როდესაც ცენტრალური ბანკის მიერ აქტივების გაყიდვა ავტომატურად გამოიწვევს ფულის მასის შემცირებას.**

ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის მიერ აქტივის შესყიდვა ავტომატურად გამოიწვევს მისი პასივების თანაბარ ზრდას, ცენტრალური ბანკის მიერ აქტივის გაყიდვა მოიცავს ვალუტის ამოღებას მიმოქცევიდან ან კერძო ბანკის მოთხოვნების შემცირებას ცენტრალური ბანკის მიმართ და ამდენად ცენტრალური ბანკის პასივების საპასუხო შემცირებას კერძო სექტორის მიმართ.

უცხოური ვალუტის ინტერვენცია და ფულის მასა

რათა დეტალურად დაეინახოთ, თუ როგორ ახდენს შემოქმედებას უცხოური ვალუტის ინტერვენცია ფულის მასაზე, განვიხილოთ მაგალითი: დაეუშვათ, პეკუნის ცენტრალური ბანკი მიდის უცხოური ვალუტის ბაზარზე და ყიდის 100 აშშ დოლარის ღირებულების უცხოურ ობლიგაციას პეკუნის ფულის სანაცვლოდ. რეალიზაცია ამცირებს უცხოური აქტივების ოფიციალურ რეზერვებს 1000 დოლარიდან 900 დოლარამდე, რითაც გამოიწვევს ცენტრალური ბანკის საბაზანსო ანგარიშგების შემცირებას 2500 დოლარიდან 2400 დოლარამდე.

გადახდა, რასაც პეკუნის ბანკი იღებს ამ უცხოური აქტივების სანაცვლოდ, ავტომატურად ამცირებს მის პასივებსაც 100 დოლარით. თუ პეკუნის ბანკს უხდინა ადგილობრივი ვალუტით, მაშინ ვალუტა გადადის მის საცავში და ამოიღება მიმოქცევიდან. მიმოქცევაში არსებული ვალუტა მცირდება 100 დოლარით. უცხოური აქტივების რეალიზაციის შემდეგ ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშები შემდეგნაირად იცვლება:

ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიში 100 დოლარის უცხოური აქტივის გაყიდვის შემდეგ (მყიდველი იხდის ნაღდ ფულს)

აქტივები		პასივები	
უცხოური	900 დოლარი	კერძო ბანკების დეპოზიტები	500 დოლარი
ადგილობრივი	1 500 დოლარი	ბრუნვაში არსებული ვალუტა	1 900 დოლარი

რეალიზაციის შემდგომ აქტივები კელავაც ტოლია პასივებისა, მაგრამ ორივე მათგანი 100 დოლარით შემცირდა, რაც ვალუტის იმ ოდენობის ტოლია, რაც პეკუნის ბანკმა ამოიღო მიმოქცევიდან უცხოური ვალუტის ბაზარზე თავისი ინტერვენციის მეშვეობით. ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშის შეცვლა გულისხმობს პეკუნის ფულის მასის შემცირებას.

რა მოხდება, თუ უცხოური აქტივების მყიდველი პეკუნის ბანკს გადაუხდის 100 დოლარიანი ჩეკით, რომელიც ამოღებულია პეკუნიაკორფის, კერძო ადგილობრივი ბანკის, ანგარიშიდან? პეკუნის ბანკი სადებეტო ანგარიშზე გადაიტანს 100 დოლარს მყიდველის საჩეკო ანგარიშიდან, რის შემდეგაც კერძო ბანკის დეპოზიტები, ცენტრალური ბანკის ანაბრებთან ერთად, 100 დოლარით შემცირდება და პეკუნის საბალანსო ანგარიში შემდეგ სახეს მიიღებს:

ცენტრალური ბანკის საგადასახადო ანგარიში 100 დოლარის უცხოური აქტივის გაყიდვის შემდგომ (მყიდველი იხდის ჩეკით)

აქტივები		პასივები	
უცხოური	900 დოლარი	კერძო ბანკების დეპოზიტები	400 დოლარი
ადგილობრივი	1 500 დოლარი	ბრუნვაში არსებული ვალუტა	2 000 დოლარი

კიდევ ერთხელ – პეკუნის ბანკის პასივები შემცირდა 100 დოლარით და ფულის მასამაც იკლო.

პეკუნის ბანკის მიერ 100 დოლარის უცხოური აქტივების შექმნა გამოიწვევს მისი პასივების გაზრდას ამდენივე დოლარით. თუ ცენტრალურ ბანკს მისი შესყიდვისათვის გადაუხდინა ნაღდი ფულით, მიმოქცევაში არსებული ვალუტის მასა 100 დოლარით გაიზრდება. თუ მისი გადახდა განხორციელდება ჩეკის საშუალებით, პეკუნის ბანკში კერძო ბანკის დეპოზიტები საბოლოოდ 100 დოლარით მოიმატებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივი ფულის მასა იზრდება.

სტერილიზაცია

ცენტრალური ბანკი ზოგჯერ თანაბრად ახორციელებს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი აქტივებით ოპერაციებს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით, რათა გააუქმოს უცხოური ვალუტით ოპერაციების სემოქმედება ადგილობრივი ფულის მასაზე. ამ სახის პოლიტიკას ეწოდება უცხოური ვალუტის სტერილიზებული ინტერვენცია. იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს ეს უკანასკნელი, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

კიდევ ერთხელ დაეუშვათ, რომ პეკუნის ბანკი თავისი უცხოური აქტივებიდან ყიდის 100 დოლარს და გადახდის სახით იღებს 100 დოლარიან ჩეკს კერძო ბანკის – პეკუნიაკორფის – სახელზე. ეს ოპერაცია იმედროულად გამოიწვევს, ერთი მხრივ, ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივებისა და მისი პასივების შემცირებას 100 დოლარით და, მეორე მხრივ, ადგილობრივი ფულის მასის კლებას. თუ ცენტრალურ ბანკს სურს ფულის მასაზე თავისი უცხოური აქტივის რეალიზაციიდან მიღებული შედეგის გაუქმება, მას შეუძლია იყიდოს ისეთი ადგილობრივი აქტივები (100 დოლარი), როგორცაა სახელმწიფო ობლიგაციები. ეს მეორე ქმედება ზრდის პეკუნის ცენტრალური ბანკის აქტივებს და პასივებს 100 დოლარით და ამდენად სრულად ანაზღაურებს უცხოური აქტივის გაყიდვიდან (100 დოლარი) მიღებულ შედეგს ფულის მასაზე. მაგალითად, თუ ცენტრალური ბანკი ჩეკით ყიდულობს სახელმწიფო ობლიგაციებს, ორ ოპერაციას – უცხოური აქტივის (100 დოლარი) რეალიზაციასა და ადგილობრივი აქტივის (100 დოლარი) შესყიდვას – შემდეგი წმინდა ეფექტი ექნება მის საბალანსო ანგარიშზე.

ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიში უცხოური აქტივის (100 დოლარი) გაყიდვის სტერილიზაციამდე

აქტივები		პასივები	
უცხოური ადგილობრივი	1 000 დოლარი 1 500 დოლარი	კერძო ბანკების დეპოზიტები ბრუნვაში არსებული ვალუტა	500 დოლარი 2 000 დოლარი

ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიში უცხოური აქტივის (100 დოლარი), გაყიდვის სტერილიზაციის შემდეგ

აქტივები		პასივები	
უცხოური ადგილობრივი	900 დოლარი 1 600 დოლარი	კერძო ბანკების დეპოზიტები ბრუნვაში არსებული ვალუტა	500 დოლარი 2 000 დოლარი

ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივების შემცირება (100 დოლარით) შეხამებულია ადგილობრივი აქტივების გადიდებასთან (100 დოლარით) და საბალანსო ანგარიშის პასივების მხარე არ იცვლება. უცხოური ვალუტის სტერილიზაცია არ ახდენს გაელენას ფულის მასაზე.

17-1 ცხრილში შეჯამებული და შედარებულია სტერილიზებული და არასტერილიზებული უცხოური ვალუტის ინტერვენციის შედეგები.

საბალანსო ბალანსი და ფულის მასის მიწოდება

მე-12 თავში საგადასახდლო ბალანსის ანგარიშგების განხილვის დროს ქვეყნის საგადასახდლო ბალანსი (ან ოფიციალური შეთანხმებების ბალანსი) განვსახილვეთ, როგორც ადგილობრივი ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური აქტივების წმინდა შესყიდვა – გამოკლებული უცხოური ცენტრალური ბანკების მიერ ადგილობრივი აქტივების წმინდა შესყიდვა. სხვაგვარად, საგადასახდლო ბალანსი არის მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის არასარეზერვო კომპონენტების ჯამი, ანუ საერთაშორისო საგადასახდლო დეფიციტი, რაც ცენტრალურმა ბანკმა უნდა დააფინანსოს თავისი სარეზერვო ოპერაციების მეშვეობით. მაგალითად, საგადასახდლო დეფიციტის ადგილობრივი ბალანსი ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის წმინდა უცხოური სარეზერვო პასივები იზრდება: ადგილობრივი ცენტრალური ბანკის მიერ რეზერვის რეალიზაციისა და უცხოური ცენტრალური ბანკის მიერ რეზერვის შესყიდვის კომბინაცია ფარავს ადგილობრივი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. ეს უკანასკნელი მთლიანად არ შეესაბამება წმინდა სარეზერვო კაპიტალის შედინებას ან მიმდინარე ანგარიშსწორების მიხედვით აქტიურ სალდოს, რაც არასაკმარისია წმინდა არასარეზერვო კაპიტალის გადინებისთვის.

ის, რაც ამ ნაწილში შეეიტყვეთ, ხსნის მნიშვნელოვან კავშირს საგადასახდლო ბალანსის ზრდასა და ფულის მასის ზრდას შორის როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთ. თუ ცენტრალური ბანკები არ ახდენენ სტერილიზაციას და ადგილობრივ ქვეყანას აქვს საგადასახდლო ბალანსის დადებითი სალდო, ადგილობრივი ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივების ზრდა გულისხმობს ადგილობრივი ფულის მასის გადიდებას. ასევე, უცხოური ცენტრალური ბანკის მოთხოვნების შემცირება გულისხმობს ადგილობრივი ქვეყანაში უცხოური ფულის მასის შემცირებას.

ცხრილი 17-1. 100 დოლარით (უცხოური ვალუტით) ინტერვენციის შედეგი: რეზიუმე

ადგილობრივი ცენტრალური ბანკის ქმედება	ეფექტი ადგილობრივ ფულის მასაზე	ეფექტი ცენტრალური ბანკის ადგილობრივ აქტივებზე	ეფექტი ცენტრალური ბანკის უცხოურ აქტივებზე
უცხოური ვალუტის ეფექტური შესყიდვა	+ 100 დოლარი	0	+ 100 დოლარი
უცხოური ვალუტის არაეფექტური გაყიდვა	0	- 100 დოლარი	+ 100 დოლარი
უცხოური ვალუტის ეფექტური შესყიდვა	- 100 დოლარი	0	- 100 დოლარი
უცხოური ვალუტის არაეფექტური გაყიდვა	0	+ 100 დოლარი	-100 დოლარი

ფაქტობრივად, საკმაოდ გაუგებარია – რა დონემდე მოახდენს ზემოქმედებას საგადამხდელო ბალანსის გასომილი შეუსაბამობა ადგილობრივი და უცხოური ფულის მასაზე. უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ნაწილდება დეფიციტის სუდამხედველობა ცენტრალურ ბანკებს შორის, ანუ საგადასახადო დეფიციტი რა დონემდე ფინანსდება ადგილობრივი ოფიციალური ინტერვენციისა და რა დონემდე – უცხოურის მეშვეობით. ეს დაყოფა ისეთ სხედასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორცაა ცენტრალური ბანკის მაკროეკონომიკური მიზნები და ინსტიტუციური ღონისძიებები, რითაც იმართება ინტერვენცია (ამას მოგვიანებით განვიხილავთ ამავე თავში). მეორე, ცენტრალურმა ბანკებმა შეიძლება მიმართონ სტერილიზაციას, რათა გამოითვალონ სარესერვო ცვლილებების ფულად-საკრედიტო ეფექტები. და ბოლოს, როგორც მე-12 თავში აღვნიშნეთ, ცენტრალური ბანკის სოგიერთი ოპერაცია არაპირდაპირ ეხმარება უცხო ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაფინანსებას, მაგრამ ეს არ გამოისახება ამ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გამოქვეყნებულ მონაცემებში. ასეთმა ოპერაციებმა შეიძლება მოახდინოს ზემოქმედება იმ ბანკის ფულად-საკრედიტო ვალდებულებებზე, რომელიც მათ განახორციელებს.

როგორ აწიქსირებს ცენტრალური ბანკი გაცვლით კურსს

მას შემდეგ, რაც გავანალიზეთ ფულის მასაზე ცენტრალური ბანკის სავალუტო ოპერაციების ზემოქმედება, ენახოთ, როგორ ადგენს ცენტრალური ბანკი ადგილობრივი ვალუტის გაცვლით კურსს უცხოური ვალუტის ინტერვენციის მეშვეობით.

გაცვლითი კურსის მუდმივად შესანარჩუნებლად ცენტრალური ბანკი ყოველთვის მზად უნდა იყოს ვალუტით (ფიქსირებული გაცვლითი კურსით) ვაჭრობისათვის (კერძო მოქმედი პირებით უცხოური ვალუტის ბაზარზე). მაგალითად, გერმანული მარკა/დოლარის კურსი ფიქსირებულია 2 გერმანული მარკა/1 დოლარზე. გერმანიის ბუნდესბანკს უნდა სურდეს მარკის ყიდვა თავისი დოლარის რესერვებით, იმ ნებისმიერი ოდენობით, რისი სურვილიც ბაზარს ექნება იმავე კურსით. ბანკი ასევე უნდა ცდილობდეს დოლარის აქტივების ნებისმიერი ოდენობის ყიდვას, რისი გაყიდვაც ბაზარს სურს გერმანული მარკის სანაცვლოდ ამ გაცვლით კურსზე. თუ ბუნდესბანკი არ შეცვლის ასეთ ჭარბ მიწოდებას ან მოთხოვნას მარკაზე ბაზრის საქმიანობაში ჩარევით, მაშინ გაცვლითი კურსი უნდა შეიცვალოს წონასწორობის აღსადგენად.

ცენტრალური ბანკი წარმატებას მიადწევს ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებაში მხოლოდ მაშინ, თუ მისი ფინანსური ოპერაციები აქტივის ბაზრების წონასწორობის შენარჩუნების გარანტიას იძლევიან, როდესაც გაცვლითი კურსი თავის ფიქსირებულ დონეზე იქნება. პროცესი, რომლის მეშვეობითაც აქტივის წონასწორობა შენარჩუნებულია, ილუსტრირებულია წინა თავებში გამოყენებული უცხოური გაცვლითი კურსისა და ფულის ბაზრის ერთდროული წონასწორობის მოდელით.

უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს

დასაწყისისათვის განვიხილავთ იმას, თუ უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა როგორ შეიძლება განმტკიცდეს, როდესაც ცენტრალური ბანკი მუდმივად აფიქსირებს გაცვლით კურსს E^0 დონეზე. უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია, როდესაც საპროცენტო პარიტეტი შენარჩუნებულია, ანუ R ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი ტოლია R^* უცხოური საპროცენტო განაკვეთისა, რასაც ემატება $(E^* - E)/E$, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი უცხოურ ვალუტასთან შედარებით. როდესაც გაცვლითი კურსი ფიქსირებულია E^0 დონეზე და ბაზრის მონაწილენი მოედიან ამ დონის შენარჩუნებას, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი ხარისხი ნულის ტოლია. საპროცენტო პარიტეტის პირობა გულისხმობს იმას, რომ E^0 არის დღევანდელი გაცვლითი კურსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

$$R = R^*$$

რადგან უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები გაცვლითი კურსის შეცვლას არ მოედიან, ისინი კმაყოფილნი იქნებიან ადგილობრივი და უცხოური დეპოზიტების ხელმისაწვდამი მარაგით მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მათ ერთნაირ საპროცენტო განაკვეთებს შესთავაზებენ.

უცხოური ვალუტის ბაზარზე წონასწორობის განსამტკიცებლად, როდესაც გაცვლითი კურსი მუდმივად არის ფიქსირებული E^0 -ზე, ცენტრალურმა ბანკმა R უნდა შეინარჩუნოს R^* -ის ტოლად. რადგან ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია რეალურ ფულზე მოთხოვნისა და რეალური ფულის მიწოდების ურთიერთქმედებით, ამ მხრივაც, უნდა შეუცხოს ფულის ბაზარს, რათა დაეასრულოს ანალიზი გაცვლითი კურსის ფიქსირების შესახებ.

ფულის ბაზრის წონასწორობა ფიქსირებული ბაცვლითი კურსის დროს

ადგილობრივი გაცვლითი კურსის R^* -ზე შესანარჩუნებლად ცენტრალური ბანკის უცხოური ვალუტის ინტერვენციამ უნდა დაარეგულიროს ფულის მასა ისე, რომ R^* ტოლი იყოს ადგილობრივ რეალურ ფულზე ერთობლივი მოთხოვნისა და რეალური ფულის მიწოდებისა:

$$M^s/P = L(R^*, Y).$$

P და Y -ის მოცემულობით, ზემოთ ჩაწერილი ტოლობით წარმოდგენილი წონასწორობის მდგომარეობა მიგვანიშნებს, როგორი უნდა იყოს ფულის მასა, თუ მუდმივად ფიქსირებული გაცვლითი კურსი შეესაბამება აქტივის ბაზრის წონასწორობას R^* უცხოურ საპროცენტო განაკვეთზე.

როდესაც ცენტრალური ბანკი ერევა, რათა გაცვლითი კურსი ფიქსირებულად შეინარჩუნოს, ის ავტომატურად დაარეგულირებს ადგილობრივი ფულის მასას ისე, რომ ფულის ბაზრის წონასწორობა განმტკიცდეს $R = R^*$ -ით. განვიხილოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. დაუშვათ, ცენტრალური ბანკი ახდენს E -ს დაფიქსირებას E^0 -ზე და აქტივის ბაზრები თავდაპირველად გაწონასწორებულია. მოულოდნელად გამოშვება იზრდება. აუცილებელი პირობა იმისა, რომ გაცვლითი კურსი მუდმივად ფიქსირებული იყოს E^0 -ზე, შემდეგია: ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს არსებული აქტივის ბაზრის წონასწორობა ამ განაკვეთზე იმ პირობით, რომ ადამიანებს ექნებათ E^0 -ის გაბატონების იმედი მომავალში. ჩვენ შემდეგნაირად ჩამოვყალიბებთ კითხვას: რა ფულად-საკრედიტო მექანიზმები შეინარჩუნებენ არსებულ გაცვლით კურსს მუდმივად, როდესაც მოლოდინი მომავალი კურსის შესახებ უცვლელია?

გამოშვების გაზრდა ადიდებს ადგილობრივ ფულზე მოთხოვნას, რაც, ჩვეულებრივ, უბიძგებს ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს მატებისაკენ. ადგილობრივი ვალუტის ღირებულების გაზრდის აღსაკვეთად, რაკი ადამიანები მოელიან, რომ გაცვლითი კურსი მომავალში იქნება E^0 , ცენტრალური ბანკი უნდა ჩაერიოს უცხოური ვალუტის ბაზარზე უცხოური აქტივების შესყიდვით. უცხოური აქტივების ეს შესყიდვა აუქმებს ჭარბ მოთხოვნას ადგილობრივ ფულზე, რადგან ცენტრალური ბანკი ახდენს ფულის ემისიას მის მიერ უცხოური აქტივის შესყიდვისათვის. ბანკი ამ გზით ავტომატურად ზრდის ფულის მასას, სანამ აქტივის ბაზრები კვლავ დარეგულირდებიან $E = E^0$ -ით და $R = R^*$ -ით.

თუ ცენტრალური ბანკი არ შეისყიდის უცხოურ აქტივებს, როდესაც გამოშვება იზრდება, მაგრამ სანაცვლოდ ფულის მარაგს მუდმივად ინარჩუნებს, იგი კვლავაც მოახერხებს თუ არა, რომ გაცვლითი კურსი ფიქსირებული იყოს E^0 -ზე? პასუხი უარყოფითი იქნება. თუ ცენტრალური ბანკი გამოშვების ზრდის პარალელურად არ დააკმაყოფილებს ჭარბ მოთხოვნას ფულზე, ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი აიწევს R^* უცხოური განაკვეთის ზევით, რათა დააბალანსოს ადგილობრივი ფულის ბაზარი. უცხოური ვალუტის ბაზრის მოვაჭრეები აღიქვამენ რა, რომ ადგილობრივი ვალუტის დემოზიტები სთავაზობენ უკუგების უფრო მაღალ ნორმას (მოლოდინი სახეზეა), დაიწყებენ ადგილობრივ ვალუტაზე ფასის აწევას უცხოური ვალუტის გამოსახულებით. თუ ცენტრალური ბანკის მხრიდან არ მოხდება ინტერვენცია, გაცვლითი კურსი დაეცემა E^0 -ის ქვევით. ვალუტის კურსის ზრდის აღსაკვეთად ბანკმა უნდა გაყიდოს ადგილობრივი ვალუტა და იყიდოს უცხოური აქტივები, რის მეშვეობითაც გაზრდის ფულის მასას და ხელს შეუშლის ფულზე ნებისმიერი ჭარბი მოთხოვნით გამოწვეულ ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის R^* -ის ზევით აყარდნას.

სქემატური ანალიზი


გაცვლითი კურსის დამდგენი ეს პროცესი შეიძლება გამოვსახოთ ადრე გაანალიზებული სქემატური მექანიზმის მეშვეობით. 17-1 გრაფიკი გვიჩვენებს უცხოური გაცვლითი კურსისა და ადგილობრივი ბაზრების ერთდროულ წონასწორობას, როდესაც გაცვლითი კურსი ფიქსირებულია E^0 -ზე და მოსალოდნელია, რომ იგი მომავალშიაც ასე დარჩება.

ფულის ბაზრების წონასწორობა თავდაპირველად აღინიშნება (1) წერტილში გრაფიკის ქვედა ნაწილში. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ P ფასებისა და Y^1 ეროვნული შემოსავლის დონეების მოცემულობით, ფულის მასა უნდა გაუტოლდეს M^1 -ს, როდესაც ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი ტოლია R^* უცხოური განაკვეთისა. გრაფიკის ზედა მხარე გვიჩვენებს უცხოური ვალუტის ბაზრების წონასწორობას (1') წერტილში. თუ მოსალოდნელი მომავალი გაცვლითი კურსი იქნება E^0 , საპროცენტო პარიტეტის პირობა შენარჩუნებული აღმოჩნდება $R = R^*$ შემთხვევაში, ოღონდ არსებული გაცვლითი კურსი ასევე ტოლი უნდა იყოს E^0 -ისა.

იმის გასაგებად, ცენტრალური ბანკი როგორ უნდა რეაგირებდეს მაკროეკონომიკურ ცვლილებებზე, რათა გაცვლითი კურსი მუდმივად შეინარჩუნოს E^0 -ზე, კვლავ გაეანალიზოთ შემოსავლის ზრდის მაგალითი. შემოსავლის ზრდა (Y^1 -დან Y^2 -მდე) ყოველ საპროცენტო განაკვეთზე ადიდებს მოთხოვნას რეალური ფულის რეზერვებზე, გადაადგილებს რა ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ქვევით (17-1 გრაფიკში). როგორც 'სერეუკებზე', გადაადგილებს რა ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ქვევით (17-1 გრაფიკში). როგორც 'სერეუკებზე', გადაადგილებს რა ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ქვევით (17-1 გრაფიკში). როგორც 'სერეუკებზე', გადაადგილებს რა ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ქვევით (17-1 გრაფიკში). როგორც 'სერეუკებზე', გადაადგილებს რა ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდს ქვევით (17-1 გრაფიკში).

არსებული წონასწორობის E^0 აღდგენა მომავალი გაცვლითი კურსის მოცემულობით. ე.ი. შეგვიძლია დაეუშვათ, რომ დაღმავალი მრუდი გრაფიკის ზედა ნაწილში არ მოძრაობს.

გრაფიკი 17-1 აქტივის ბაზრის წონასწორობა ფიქსირებული გაცვლითი კურსით, E^0



ვალუტის კურსის ფიქსირებულად შესანარჩუნებლად E^0 წერტილზე, როდესაც გამო შეება იზრდება Y^1 -დან Y^2 -მდე, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეისყიდოს უცხოური აქტივები და ამისათვის ზრდის ფულის მასას M^1 -დან M^2 -მდე.

თუ ცენტრალური ბანკი იძულებული იქნება, რომ არ იმოქმედოს, ფულის ბაზრის წონასწორობა (3) წერტილში აღმოჩნდება. რადგან ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი R^* -ის ზევით არის, ვალუტას მოუწევს რევალუაცია უცხოური ვალუტის ბაზრის გასაწონასწორებლად და (3) წერტილში დასაბრუნებლად.

ცენტრალურმა ბანკმა, თუ ის აფიქსირებს გაცვლით კურსს, არ შეიძლება დაუშვას ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება, ამდენად და ამიტომ იყიდის უცხოურ აქტივებს. როგორც ვნახეთ, ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივების გადიდებას ახლავს ადგილობრივი ფულის მასის ექსპანსია; იგი გააგრძელებს უცხოური აქტივების შესყიდვას მანამ, სანამ ადგილობრივი ფულის მასა M^2 -მდე გაიზრდება. შედეგად მიღებული ფულის ბაზრის წონასწორობის დროს (2 წერტილი გრაფიკზე) ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი R^* -ის ტოლია. როდესაც ეს ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი სახეზეა, უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა 1 წერტილში რჩება, სადაც წონასწორული გაცვლითი კურსი ჯერ კიდევ E^0 -ის ტოლია.


ფიქსირებული გაცვლითი კურსის მეშვეობით სტაბილიზაციის პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც ვნახეთ, თუ როგორ იყენებს ცენტრალური ბანკი უცხოური ბანკების ინტერვენციას გაცვლითი კურსის დადგენისათვის, შეგვიძლია გავანალიზოთ სხვადასხვა მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგები. ამ ნაწილში განვიხილავთ სამ შესაძლებელ პოლიტიკას: ფულად-საკრედიტო, ფისკალურსა და რეკეთორ, მოულოდნელ ცვლილებებს E^0 გაცვლითი კურსის ფიქსირებულ დონეში.

ჩვენს მიერ წინა თავში შესწავლილ სტაბილიზაციის პოლიტიკას ერთობ სხვადასხვა შედეგი მოსდევს – როდესაც ცენტრალური ბანკი უმალ თავად აფიქსირებს გაცვლით კურსს, ვიდრე საშუალებას მისცემდეს უცხოური ვალუტის ბაზარს, განსაზღვროს იგი. გაცვლითი კურსის დაფიქსირებით ცენტრალური ბანკი უარს ამბობს თავის უფლებას – ეკონომიკასე მოახდინოს ზეგავლენა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. ფისკალური პოლიტიკა უფრო ძლიერ იარაღად იქცევა გამოშვებასა და დასაქმებაზე სემოქმედებისათვის.

როგორც წინა თავში, DD-AA მოდელს გამოიყენებთ ეკონომიკის ხანმოკლე პერიოდის აღსაწერად. გაიხსენეთ, რომ გრაფიკზე DD მრუდი გეიხევენებს გაცვლითი კურსისა და გამოშვების კომბინაციებს, რის გამოც გამოშვების ბაზრები გაწონასწორებულია AA მრუდი გეიხევენებს გაცვლითი კურსისა და გამოშვების კომბინაციებს, რის გამოც აქტივის ბაზარი გაწონასწორებულია, და მოლიანად ეკონომიკის ხანმოკლე პერიოდის წონასწორობის წერტილი ხდება DD-სა და AA-ს გადაკვეთაზე. რათა მოდელი მიუხედავად მუდმივად ფიქსირებული გაცვლითი კურსის შემთხვევას, დაეუშვათ ვარაუდს, რომ E^0 მოსალოდნელი გაცვლითი კურსი E^0 -ის ტოლია, როცა ცენტრალური ბანკი ახდენს ფასების ფიქსირებას განსაზღვრულ დონეზე.

გრაფიკი 17-2 ფულად-საკრედიტო ექსპანსია არაეფექტურია ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს



საწყისი წონასწორობა ნაჩვენებია (1) წერტილზე, სადაც გამოშვებისა და აქტივის ბაზარი ერთდროულად რეგულირდება ფიქსირებული E^0 ვალუტის კურსისა და Y^1 გამოშვების დონის დროს. იმისათვის, რომ გაზარდოთ გამოშვება Y^2 -მდე ცენტრალურ ბანკს გადაწყვეტილი აქვს გაზარდოს ფულის მასა ადგილობრივი აქტივების შესყიდვით და AA^1 -დან AA^2 -კენ გადაწვეით. რადგან ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს E^0 , მან უნდა გაყიდოს უცხოური აქტივები ადგილობრივი ვალუტის შესაძენად. ესაა ქმედება, რაც სწრაფად ამცირებს ფულის მასას და აბრუნებს AA^2 -ს AA^1 -ში. ამიტომ ეკონომიკის წონასწორობა რჩება (1) წერტილზე უცვლელი გამოშვებით Y^1 ში.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

17-2 გრაფიკი გვჩვენებს ეკონომიკის ხანმოკლე პერიოდის წონასწორულ მდგომარეობას (1) წერტილში, როდესაც ცენტრალური ბანკი E^0 დონეზე ადგენს გაცვლით კურსს. ამავე წერტილში გამოშვება ტოლია Y^1 -ისა და ფულის მასა არის იმ დონეზე, სადაც ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი (რომელიც ტოლია R^* უცხოური განაკვეთისა) არეგულირებს ადგილობრივ ფულის ბაზარს. დაეუშვათ, ცენტრალური ბანკი, გამოშვების გაზრდის იმედით, გადაწყვეტს, გაზარდოს ფულის მასა ადგილობრივი აქტივების შესყიდვის მეშვეობით.

მცოცავი გაცვლითი კურსის პირობებში ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივების ზრდა უბიძგებს აქტივის ბაზრის საწყის AA^1 წონასწორობის მრუდს მარჯვნივ - AA^2 -სკენ, რის შედეგად მივიღებთ წონასწორობას (2) წერტილში და ვალუტის გაუფასურებას. ამ გაუფასურების თავიდან ასაცილებლად და E^0 გაცვლითი კურსის შესანარჩუნებლად ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის ბაზარზე გაყიდის უცხოურ აქტივებს ადგილობრივი ფულის სანაცვლოდ. ბანკის მიერ მიღებული ფული ამოიღება მიმოქცევიდან და აქტივის წონასწორობის მრუდი გადაიწევს უკან, საწყისი პოზიციისაკენ, რადგან ადგილობრივი ფულის მასა შემცირდება. როდესაც ფულის მასა დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას და აქტივის ბაზრის მრუდი კვლავ იქნება AA^1 , გაცვლითი კურსი აღარ იქნება ზეწოლის ქვეშ. ფულის მასის გაზრდის მცდელობა ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ეკონომიკას უნარჩუნებს საწყის წონასწორობას (1) წერტილზე. **ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მექანიზმები უძლეურია, რათა შემოქმედება მოახდინოს ეკონომიკის ფულის მასაზე ან გამოშვებაზე.**

ეს შედეგი ძალიან განსხვავდება მე-16 თავის იმ აღმონიანიდან, რომ ცენტრალურ ბანკს მცოცავი გაცვლითი კურსის დროს შეუძლია გამოიყენოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რათა გაზარდოს ფულის მასა და გამოშვება. დაეინტერესდეთ ამ განსხვავების მიზეზით. ადგილობრივი შესყიდვით, მცოცავი გაცვლითი კურსის დროს, ცენტრალური ბანკი მიმართავს ადგილობრივი ფულის თავდაპირველ ჭარბ მიწოდებას, რომელიც იმავდროულად უბიძგებს ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს ქვევით და ასუსტებს ვალუტას. ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს კი ცენტრალური ბანკი წინაღუდგება ვალუტის გაუფასურების ნებისმიერ ტენდენციას უცხოური აქტივების გაყიდვით (ადგილობრივი ფულის სანაცვლოდ) და პოლიტიკის ასე შეცვლით გამოწვეული ფულის საწყისი ჭარბი მასის განდევნას მოახდენს. რადგან ადგილობრივი ფულის მასის ნებისმიერი ზრდა (მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მცირეა იგი) გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას, ცენტრალურმა ბანკმა უნდა გააგრძელოს უცხოური აქტივების გაყიდვა მანამ, სანამ ფულის მასა არ დაუბრუნდება თავის საწყის დონეს. და ბოლოს, ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივების გაზრდა ზუსტად ანაზღაურდება ბანკის საერთაშორისო ოფიციალური რეზერვების შემცირებით (ზრდის ტოლად). ამის მსგავსად, მცდელობა იმისა, რომ ფულის მასა შემცირდეს ადგილობრივი აქტივების მეშვეობით, გამოიწვევს რეზერვების ზრდას (შემცირების ტოლად), რაც საბოლოოდ დაიცავს ფულის მასას შეცვლისაგან. ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შეიძლება იმოქმედოს მხოლოდ საერთაშორისო რეზერვებზე.


გაცვლითი კურსის ფიქსირების შემდეგ ცენტრალური ბანკი კარგავს თავის უფლებას, გამოიყენოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით. მთავრობის მეორე, ძირითად იარაღს, სტაბილიზაციის საქმეში წამოადგენს ფისკალური პოლიტიკა, რომელიც უფრო ეფექტურია ფიქსირებული გაცვლითი კურსის (ყიდრე მცოცავი კურსის) დროს.

ფისკალური პოლიტიკა

17-3 გრაფიკი გამოსახავს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის ეფექტს, როდესაც ეკონომიკის საწყისი წონასწორობა არის (1) წერტილში. როგორც ვნახეთ მე-16 თავში, ფისკალური ექსპანსია გადაადგილებს გამოშვების ბაზრის წონასწორობის მრუდს მარჯვნივ. DD^1 გადაინაცვლებს DD^2 -სკენ. ცენტრალური ბანკი თავს თუ შეიკავებს

უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში ჩარევისაგან, ამიტომ გამოშვება გაიზრდება Y^2 -მდე და გაცვლითი კურსი შემცირდება E^2 -მდე (ვალუტის რევალუაცია) ადგილობრივი საპროცენტო განაკეთის ზრდის შედეგად.

გრაფიკი 17-3 ფისკალური ექსპანსია ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს



ფისკალური ექსპანსია (რომელიც ნახევრებია DD^1 -დან DD^2 -სკენ გადახრით) და ინტერვენცია, რომელიც თან ხდევს მას (გადახრა AA^1 -დან AA^2 -სკენ) გადაადგილებს ეკონომიკას (1) წერტილიდან (3) წერტილში.


როგორ ახდენს ცენტრალური ბანკის ინტერვენცია გაცვლითი კურსის შენარჩუნებას ფისკალური პოლიტიკის გატარების შემდეგ? ეს ის პროცესია, რომელიც 17-1 გრაფიკშია წარმოდგენილი. თავდაპირველად არსებობს ჭარბი მოთხოვნა ფულზე გამოშვების ზრდის გამო. რათა ჭარბმა მოთხოვნამ ფულზე ადგილობრივ საპროცენტო განაკეთს სევიტ არ უბეძგოს და ვალუტის კურსის აწევა არ გამოიწვიოს, ცენტრალურმა ბანკმა ყველათ უნდა იყიდოს უცხოური აქტივები, რის გამოც ფულის მასას ზრდის. 17-3 გრაფიკის შესაბამისად, ინტერვენცია ინარჩუნებს E^0 გაცვლით კურსს AA^1 მრუდის გადაადგილებით მარჯვნივ AA^2 -სკენ. ახალი წონასწორობის დროს (3 წერტილი) გამოშვება თავდაპირველზე უფრო მაღალია, გაცვლითი კურსი შეუცვლელია და ოფიციალური საერთაშორისო რეზერვებიც (და ფულის მასაც) უფრო დიდია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან განსხვავებით, ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება გამოშვებაზე ზეგავლენის მოსახდენად ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს. იგი უფრო ეფექტურიც კი არის, ვიდრე მცოცავი გაცვლითი კურსის დროს! ამ დროს კი, ფისკალურ ექსპანსიას ახლავს ადგილობრივი ვალუტის კურსის ზრდა, რაც აძვირებს ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას; ამდენად აქვს ტენდენცია, რომ გააბათილოს პოლიტიკით გამოწვეული პირდაპირი პოზიტიური ეფექტი ერთობლივ მოთხოვნაზე. ამ რევალუაციის თავიდან ასაცილებლად ცენტრალური ბანკი, რომელიც აფიქსირებს გაცვლით კურსს, იძულებულია, გააფართოს ფულის მასა უცხოური ვალუტის შესასყიდად. ფულის მასის ამ იძულებითი ზრდის დამატებითი ექსპანსიური შედეგით აიხსნება, თუ რატომ არის ფისკალური პოლიტიკა უფრო ძლიერ მცოცავი გაცვლითი კურსის დროს.

ცვლილებები გაცვლით კურსში

ქვეყანა, რომელიც ადგენს გაცვლით კურსს, სოგჯერ უეცრად ცვლის ადგილობრივი ვალუტის ღირებულებას უცხოური ვალუტის გამოსახულებით. დევალუაცია სახეზეა, როდესაც ცენტრალური ბანკი ზრდის უცხოური ვალუტის ფასს E -ს ადგილობრივი ვალუტით და რევალუაცია სახეზეა, როდესაც ცენტრალური ბანკი ამცირებს E -ს. ერთადერთი, რაც კი ცენტრალურ ბანკს დარჩენია რევალუაციის ან დევალუაციის მისაღებად, ის არის, რომ გამოაცხადოს თავისი ნება – ახალი გაცვლითი კურსით ივაჭროს შეუსწავლელი ოდენობის ადგილობრივი ვალუტით უცხოურთან მიმართებაში.

გრაფიკი 17-4 ვალუტის დევალუაციის ეფექტი



როდესაც ვალუტა გაუფასურებულა E^0 -დან E^1 -მდე, ეკონომიკის წონასწორობა გადაადგილდება (1) წერტილიდან (2) წერტილისაკენ, რადგან გამოშვებაცა და ფულის მასაც ფართოვდება

17-4 გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ შემოქმედებას ახდენს დეველვაცია ეკონომიკაზე. ფიქსირებული გაცვლითი კურსის გაზრდა E'-დან E'-მდე აიანებს ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას უცხოურთან შედარებით (როდესაც მოცემულია, რომ P და P* ფიქსირებულია ხანმოკლე პერიოდში). გამოშვება მოძრაობს უფრო მაღალი, Y², დონისაკენ, რაც (2) წერტილით არის აღნიშნული DD მრუდზე. (2) წერტილი გამოსახავს თავდაპირველ ჭარბ მოთხოვნას ფულზე, რაც გამოწვეულია გამოშვების ზრდის თანხლები ოპერაციების გაფართოებით. ფულზე ეს ჭარბი მოთხოვნა ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს უბიძგებს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის ზევით იმ შემთხვევაში, ცენტრალური ბანკი თუ არ ჩაერევა უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში. გაცვლითი კურსის ახალ, E', ფიქსირებულ დონეზე შესანარჩუნებლად ცენტრალურმა ბანკმა უცხოური აქტივები უნდა იყიდოს და გააფართოოს ფულის მასა მანამ, სანამ აქტივის ბაზრის მრუდი AA'-მდე არ გადაინაცვლებს და გადაკვეთს (2) წერტილს. დეველვაცია გამოიწვევს გამოშვების ზრდას, ოფიციალური რეზერვების გადიდებას და ფულის მასის ექსპანსიას. კერძო კაპიტალის შედინება შეესაბამება ცენტრალური ბანკის რეზერვის მოგებას (ოფიციალურ გადინებას) საგადასახადო ბალანსის ანგარიშებში.

მთავრობა უნდა ირჩევს თავისი ვალუტის დეველვაციას, აიხსნება სამი მიზეზით: პირველი, დეველვაცია უფლებას აძლევს მთავრობას, რომ შეეზღუდოს ადგილობრივ უმუშევრობას ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არარსებობის მიუხედავად. მაგალითად, თუ საკანონმდებლო პროცესი არ უწყობს ხელს, მთავრობამ შეიძლება აირჩიოს დეველვაცია, როგორც ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი გზა. მეორეა მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება, რაც მთავრობისათვის შესაძლოა სასურველიც იყოს. მესამე – მისი შემოქმედება ცენტრალური ბანკის უცხოურ რეზერვებზე. თუ ცენტრალური ბანკი ამცირებს რეზერვებს, მაშინ უეცარი, ერთჯერადი დეველვაციის გამოყენება შეიძლება უფრო მეტი შემცირებისათვის.

ფისკალური პოლიტიკისა და გაცვლითი კურსის ცვლილებებთან შეხება

თუ ადგილი ექნება ცვლილებებს ფისკალურ პოლიტიკასა და გაცვლით კურსში, მაშინ ისინი საბოლოოდ გამოიწვევენ ადგილობრივი ფასების დონის გადაადგილებას და სრული დასაქმება აღდგება. ამ დინამიური პროცესის გასაგებად რიგ-რიგობით განვიხილოთ ეკონომიკის შეგუება ფისკალურ ექსპანსიასა და დეველვაციასთან.

თუ ეკონომიკა თავდაპირველად სრული დასაქმებით ხასიათდება, ფისკალური ექსპანსია ზრდის გამოშვებას სრული დასაქმების დონის ზევით და იწვევს ადგილობრივი ფასების, P, დონის ზრდას. ადგილობრივი გამოშვება უფრო ძვირდება P-ს ზრდის გამო, ამდენად ერთობლივი მოთხოვნა თანდათან კლებულობს, აბრუნებს რა გამოშვებას თავდაპირველი, სრული დასაქმების დონისკენ. მიაღწევს რა ამ საწყის წერტილს, ფასების დონეზე აღმავალი ზეწოლა მთავრდება. ხანმოკლე პერიოდში იგი აღარ ქმნის რეალურ რეველვაციას, როგორც ეს არის მცოცავი კურსის დროს; მაგრამ განურჩევლად იმისა, კურსი მცოცავია თუ ფიქსირებული, რეალურ გაცვლით კურსში იმავე ოდენობით შეინიშნება რეველვაცია ხანგრძლივ პერიოდშიც. ამჟამინდელ შემთხვევაში რეალური რეველვაცია (EP*/P-ს შემცირება) იღებს P-ს ზრდის და არა E-ს შემცირების ფორმას.

ფისკალური ექსპანსიით გამოწვეული ფასების ზრდა, ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს, ხანგრძლივ პერიოდში, ერთი შეხედვით შეუსაბამო ჩანს მე-14 თავის შემდეგ დასკვნასთან: მოცემული გამოშვებისა და საპროცენტო განაკვეთის დროს ფასები და ფულის მასა ერთმანეთის პროპორციულად მოძრაობენ ხანგრძლივ პერიოდში. აქ არ არის შეუსაბამობა: ფისკალური ექსპანსია ნამდვილად გამოიწვევს ფულის მასის ზრდას, რადგან აიძულებს ცენტრალურ ბანკს, ჩაერიოს უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობაში. ცენტრალურმა ბანკმა კურსის დაფიქსირების ინტერვენციით საბოლოოდ უნდა გაზარდოს ფულის მასა P-ს ზრდის პროპორციულად ხანგრძლივ პერიოდში.


დეველვაციასთან შეგუება ამ პროცესის მსგავსია; რადგან დეველვაცია არ ცვლის მოთხოვნის ან მიწოდების პირობებს გამოშვების ბაზარზე ხანგრძლივ პერიოდში, დეველვაციით გამოწვეული ფასების დონის ზრდა ამავე პერიოდში პროპორციულია ფულის მასის ზრდისა მცოცავი კურსის დროს. იგი ნეიტრალურია ხანგრძლივ პერიოდში იმ აზრით, რომ მას ექნება ერთადერთი შედეგი – ეკონომიკის ხანგრძლივი პერიოდის წონასწორობის მიმართ ყველა ნომინალური ფასისა და ადგილობრივი ფულის მასის პროპორციული ზრდა.

საგადასახდლო ბალანსის კრიზისი და კაპიტალის დინება

აქამდე დაეუშეთ, რომ უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები დარწმუნებულნი არიან, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსი არსებულ დონეზე შენარჩუნდება სამუდამოდ. ცენტრალურმა ბანკმა კი არასასურველად ან განუხორციელებლად შეიძლება მიიჩნიოს არსებული ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნება. მაგალითად, ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება შეამციროს უცხოური რეზერვები ან წინ აღუდგეს მაღალ უმუშევრობას. რადგან ბაზრის მონაწილეებმა იციან, რომ ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება დეველვაციით უპასუხოს ასეთ ვითარებას, მათ აღარ უნდა დაუშვან, რომ არსებული გაცვლითი კურსი სამუდამოდ იქნება შენარჩუნებული.

კრიზისს, ოფიციალური უცხოური რეზერვების მკვეთრ შეცვლას, რაც თავს იჩენს მომავალ გაცვლით კურსთან დაკავშირებული მოლოდინის სიმტკიცეში. ამ ნაწილში გამოვიყენებთ აქტივის ბაზრის წონასწორობის ჩვენებულ მოდელს, რათა გავაანალიზოთ, თუ საგადასახადო ბალანსის კრიზისი როგორ შეიძლება აღმოცენდეს ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს.

გრაფიკი 17-5 კაპიტალის დინება, ფულის მასა და საპროცენტო განაკვეთი



ვალუტის კურსის ფიქსირებულად შესანარჩუნებლად E^0 წერტილზე, მას შემდეგ, რაც ბაზარი გადაწყვეტს მის გაუფასურებას E' -მდე, ცენტრალურმა ბანკმა უნდა გამოიყენოს თავისი რეზერვი საკუთარი კაპიტალის იმ გადინების დასაფინანსებლად, რომელიც ამცირებს ფულის მასას და ზრდის ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთს.

17-5 გრაფიკი გვიჩვენებს აქტივის ბაზრებს, რომელთა წონასწორობა აღინიშნება (1) წერტილში (ფულის ბაზარი) და (1') წერტილში (უცხოური ვალუტის ბაზარი), სადაც გაცვლითი კურსი ფიქსირებულია E^0 -ზე და მოსალოდნელია, რომ იგი აქ დარჩეს განუსაზღვრელად. M^1 არის ფულის წონასწორობა, რომელიც შეესაბამება ამ წერტილზე აღნიშნულ საწყის წონასწორობას. დაეუშვათ, მიმდინარე ანგარიშის უეცარი გაუარესება გამოიწვევს უცხოური ვალუტის ბაზრის ვარაუდს, რომ მომავალში მთაერობამ შესაძლოა მოახდინოს დეველუაცია და მიიღოს ახალი ფიქსირებული გაცვლითი კურსი, E' , რომელიც E^0 მიმდინარე კურსზე უფრო მაღალი იქნება. გრაფიკის ზედა ნაწილზე მოლოდინის შეცვლა ნაჩვენებია მრუდის გადაადგილებით მარჯვნივ; ეს მრუდი ზომავს უცხოური ვალუტის დემოზიტებიდან მოსალოდნელ უკუგებას ადგილობრივი ვალუტით. რადგან მიმდინარე გაცვლითი კურსი ჯერ კიდევ E^0 -ია (2') წერტილში, წონასწორული უცხოური გაცვლითი კურსი მოითხოვს ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის გაზრდას $R^* + (E' - E^0)/E^0$ -მდე, რაც ახლა ტოლია უცხოური ვალუტის დემოზიტებიდან მოსალოდნელი უკუგებისა ადგილობრივი ვალუტით.

თავდაპირველად, ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი რჩება R^* -ზე, რომელიც უცხოური აქტივებიდან ახალი მოსალოდნელი უკუგების ნიშნულის ქვევით არის. ეს დიფერენციალი გამოიწვევს უცხოური ვალუტის აქტივებზე ჭარბ მოთხოვნას უცხოური ვალუტის ბაზარზე; იმისათვის, რომ გაცვლითი კურსი კვლავაც E^0 -ზე შეინარჩუნოს, ცენტრალურმა ბანკმა უცხოური რეზერვები უნდა გაყიდოს და შეამციროს ადგილობრივი ფულის მასა. ბანკის ინტერვენციას ბოლო ედება, რადგან ფულის მასა კლებულობს M^2 -მდე; ამდენად, ფულის ბაზარი გაწონასწორებულია $R^* + (E' - E^0)/E^0$ საპროცენტო განაკვეთზე, რაც არეგულირებს უცხოური ვალუტის ბაზარს (2) წერტილში. მომავალი დეველუაციის მოლოდინი იწვევს საგადასახდლო ბალანსის კრიზისს (რაც ნიშანდებულია რეზერვების მკვეთრი შემცირებით) და ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის ზრდას მსოფლიოს საპროცენტო განაკვეთის ზევით. ამის მსგავსად, მოსალოდნელი რეველუაცია გამოიწვევს უცხოური რეზერვების მკვეთრ ზრდას ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის ქვევით.

რეზერვის დაკარგვას, რომელსაც ახლავს დეველუაციის შიში, ხშირად უწოდებენ კაპიტალის დინებას, რადგან საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებული დებუტი არის კერძო კაპიტალის გადინება. მოსახლეობა ცდილობს, თავი დააღწიოს ამ სიტუაციას და ამიტომ ადგილობრივ ვალუტას მიჰყიდის ცენტრალურ ბანკს უცხოური ვალუტის სანაცვლოდ; შემდეგ ბანკი ახდენს შემოსავლის ინვესტირებას სასლავარგარეთ. მთაერობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კაპიტალის დინებას, დეველუაციის შიშით გამოწვეულს, რადგან ცენტრალური ბანკის რეზერვი მცირეა საქმის დასაწყებად. კაპიტალის გადინებამ, გამოიწვევს რა რეზერვების შემცირებას, შეიძლება აიძულოს ცენტრალური ბანკი, რომ დაეგემილზე ადრე და უფრო დიდი მოცულობით მოახდინოს დეველუაცია.

ამ თავის დანარჩენ ნაწილში კვლავაც დაეუშვებთ შემდეგს: მოსალოდნელია ბაზარმა რაიმე ცვლილებები გამოიწვიოს გაცვლით კურსში, როდესაც ეს უკანასკნელი ფიქსირებულია.

წინა თავებში ვასახულებდით, რომ ცენტრალური ბანკი ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებისას აღარ იყენებს თავის უნარს – შემოქმედება მოახდინოს გამოშვებაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. მართვადი მცურავი კურსის დროს გაცვლითი კურსის ცვლილებები ზეგავლენას ახდენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე (ფიქსირებული გაცვლითი კურსის მოთხოვნებზე სრული დაქვემდებარების გარეშე). ამის გამო ცენტრალური ბანკი დგება ისეთი ადგილობრივი მიზნების ალტერნატივათა პირისპირ, როგორცაა უმუშევრობა, ინფლაციის დონე ან გაცვლითი კურსის სტაბილურობა. დაეუშვათ, ცენტრალური ბანკი ცდილობს ადგილობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ფულის მასის გაზრდას, მაგრამ ამავე დროს ახდენს უცხოური აქტივების რეალიზაციას, რათა შესწდოს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება, რაც შედეგად მოჰყვება აღნიშნულ ზრდას. უცხოური ვალუტის ინტერვენციას ექნება ტენდენცია, შეამციროს ფულის მასა, რითაც ხელს შეუშლის, მაგრამ არ აღკვეთს, ცენტრალური ბანკის მცდელობას – შეამციროს უმუშევრობა.

პოლიტიკურ ფორუმებსა და გაზეთებში ასახულ დისკუსიებში უცხოური გაცვლითი კურსის ინტერვენციის შესახებ ხშირად არის უკუგადაბრუნებული მჭიდრო კავშირი ინტერვენციასა და ფულის მასას შორის. რეალურად, ეს დისკუსიები უშვებენ, რომ უცხოური ვალუტის ინტერვენციის სტერილიზაცია არსებულ მომენტში ხდება და ამდენად, ადგილობრივი აქტივების ოპერაციები ხელს უშლიან მას ფულის მასაზე შემოქმედებაში. ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ემპირიული კვლევები განამტკიცებენ ამ ვარაუდს და თანმიმდევრულად უჩვენებენ, რომ ცენტრალური ბანკები იყენებდნენ სტერილიზებულ ინტერვენციას მე-20 საუკუნესა და უფრო ადრინდელ პერიოდებში.


სტერილიზებული ინტერვენციის ფართოდ გაერცვლების მიუხედავად, ეკონომისტებში მაინც მნიშვნელოვან უთანხმოებას იწვევს მისი შედეგები. ამ ნაწილში გამოვიკვლევთ სტერილიზებული ინტერვენციის როლს გაცვლითი კურსის მენეჯმენტის დროს.

მექსიკის 1994 წლის საბაღამდელო ბალანსის კრიზისი

მოკლევნები, რომლებმაც გამოიწვიეს მექსიკური პესოს დევალვაცია 1994 წელს, თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება დაიწყოს და განვითარდეს საგადასახადო ბალანსის კრიზისი. მექსიკამ დაიწყო პესოს მიმოქცევის შეზღუდვა აშშ-ს დოლართან მიმართებაში, რადგან ეს შეადგენდა ფართო დიაპაზონის ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის ნაწილს. ძირითად მოტივაციას გაცვლითი კურსის სტაბილიზაციისთვის წარმოადგენდა ინფლაციის ტენდენციის შეზღუდვა მექსიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რამაც წინა წლებში ინფლაციის ძალიან მაღალი დონე გამოიწვია (მექსიკის შესახებ უფრო დეტალურ ანგარიშს 22-ე თავში განვიხილავთ).

სტაბილიზაციის პროგრამის პირველმა წარმატებამ მექსიკის ლიდერებს მსოფლიო დონის აღიარება მოუტანა, მაგრამ 1994 წლის მარტში ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემამ, რასაც მოჰყვა მმართველი პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის მეკლელობა, გაამძაფრა ინვესტირების შიში: ეს ბუნებრივიც იყო, რაკი მთავრობას შეეძლო მოეხდინა მკვეთრი დევალვაცია მის მიერვე მიცემული სიტყვის საპირისპიროდ. ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ ავარდა პესოს საპროცენტო განაკვეთი მაშინ, როდესაც უცხოურმა რეზერვებმა დრამატულად იკლო (როგორც ეს იყო ნავარაუდები 17-5 გრაფიკის განხილვისას). ნოემბერში მოხდა მეორე პოლიტიკური მეკლელობა და 1 დეკემბერი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა თუ არა, ჭორებიც დევალვაციის შესახებ ავორდა. ამან გამოიწვია საპროცენტო განაკვეთის გაზრდა და უცხოური რეზერვები მთლიანად ამოწურა. 20 დეკემბერს მექსიკის მთავრობამ საბოლოოდ მოახდინა პესოს დევალვაცია.

გრაფიკი მექსიკის უცხოური რეზერვები და საპროცენტო განაკვეთები, იანვარ-დეკემბერი 1994 წელი



რადგან გაუფასურების შიში გაძლიერდა, 1994 წელს მექსიკის რეზერვები შემცირდა და მისი საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა.

აქტივიზის სრულყოფილი შენაცვლევადობა და სტერილიზებული ინტერვენციის არაეფექტურობა

როდესაც ცენტრალური ბანკი ახორციელებს უცხოური ვალუტით სტერილიზებულ ინტერვენციას, მისი ოპერაცია შეუცვლელს ტოვებს ადგილობრივ ვალუტას. ძირითადი მიზეზი ასეთი პოლიტიკის გატარებისა ქნელი მოსაძებნია ზემოთ დამუშავებული გაცვლითი კურსის მოდელის გამოყენებით, რადგან მოდელის შესაბამისად – ცენტრალური ბანკის ინტერვენცია ზეგავლენას არ ახდენს ადგილობრივ საპროცენტო განაკეთზე და აქედან გამომდინარე გაცვლით კურსზე ფულის მასის თანმხლები ცვლილების გარეშე.

ჩვენი მოდელით ასევე ნაგარაუდევია, რომ სტერილიზაცია უნაყოფო იქნება ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს. ფისკალური ექსპანსიის მაგალითი ხსნის, თუ რატომ უნდა ესწრაფოდეს ცენტრალური ბანკი სტერილიზაციას ფიქსირებული კურსის დროს და რატომ მიგვანიშნებს ჩვენი მოდელი, რომ ეს პოლიტიკა წარუმატებელი იქნება. გაიხსენეთ: გაცვლითი კურსის უცვლელად შესანარჩუნებლად (ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის დროს) ცენტრალურმა ბანკმა უნდა იყიდოს უცხოური აქტივები და გააფართოოს ადგილობრივი ფულის მასა. ასეთი პოლიტიკის მეშვეობით გაიზრდება გამოშვება, მაგრამ ეს ასევე გამოიწვევს ინფლაციას, რადგან სტერილიზაციით მის თავიდან აცილებას ეცდება ცენტრალური ბანკი (მის მიერვე გატარებული ფისკალური პოლიტიკით გამოწვეული ფულის მასის ზრდის საშუალებით). მაგრამ რაც უფრო სწრაფად გაიყიდოს იგი ადგილობრივ აქტივებს ფულის მასის შესამცირებლად, მით უფრო მეტი უცხოური აქტივების ყიდვა მოუწევს გაცვლითი კურსი მუდმივად შესანარჩუნებლად. ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაეფექტურობა გულისხმობს სტერილიზაციის თვითდამამარცხებელ შინაარსს.

ასეთი შედეგების გამომწვევი მოდელი ძირითადად ვარაუდობს იმას, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი გაწონასწორებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილობრივი და უცხოური ობლიგაციებიდან მოსალოდნელი უკუგება ერთნაირი იქნება. ამ ვარაუდს ხშირად უწოდებენ *აქტივების სრულყოფილ შენაცვლევადობას*. ორი აქტივი სრულყოფილად შენაცვლევადია, როდესაც ინვესტორებს სულაც არ აინტერესებთ, როგორ გაიყოფენ თავიანთ პორტფელს, რაკი ორივემ ერთნაირი უკუგება უნდა მოუტანოს მათ. უცხოური ვალუტის ბაზარზე აქტივების სრულყოფილი შენაცვლევადობისას გაცვლითი კურსისათვის საპროცენტო პარიტეტის პირობა შენარჩუნებული უნდა იყოს. ასეთ პირობებში ცენტრალური ბანკი, უცხოური ვალუტის ინტერვენციის მეშვეობით, ვეღარაფერს აკეთებს ისეთს, რასაც ვერ გააკეთებდა ადგილობრივი ღია ბაზრის ოპერაციების საშუალებით.

აქტივის სრულყოფილი შენაცვლევადობის საპირისპიროდ არსებობს *აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობა*, როდესაც მოსალოდნელი უკუგება აქტივიდან შეიძლება არ იყოს ერთნაირი. როგორც მე-13 თავში ვნახეთ, მთავარი ფაქტორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობა უცხოური ვალუტის ბაზარზე, არის *რისკი*. თუ სხვადასხვა ვალუტით გამოსახულ ობლიგაციებს რისკის სხვადასხვა ხარისხი აქვთ, ინვესტორებმა შეიძლება აირჩიონ ნაკლებრისკიანი ობლიგაციებიდან უფრო დაბალი უკუგების მიღება. შესაბამისად, ისინი ამჯობინებენ მეტად სარისკო აქტივის ყიდვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი უკუგება შედარებით მაღალი იქნება.

აქტივის სრულყოფილი შენაცვლევადობის დროს უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეები დაინტერესებულნი არიან მხოლოდ მოსალოდნელი უკუგებით. რადგან უკუგების ნორმები განისაზღვრება ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, სტერილიზებული ინტერვენციაც ზეგავლენას არ ახდენს ფულის მასაზე და გაცვლით კურსზე. აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობის დროს როგორც რისკი, ასევე უკუგებაც მეტად მნიშვნელოვანია; ამდენად, ცენტრალური ბანკის საქმიანობამ, რამაც შეიძლება შეცვალოს ადგილობრივი ვალუტით აქტივების რისკის ხარისხი, შეიძლება აამოძრავოს გაცვლითი კურსი მაშინაც კი, როდესაც ფულის მასა არ იცვლება. რათა ჩაეწვდეთ, თუ სტერილურ ინტერვენციას როგორ შეუძლია ადგილობრივი ვალუტით გამოსახული აქტივების რისკის ხარისხის შეცვლა, უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობის ჩვენეული მოდელი უნდა შეეცვალოს.

უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობა აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობის დროს

როდესაც ადგილობრივი და უცხოური ვალუტით გამოსახული ობლიგაციები აქტივის არასრულყოფილად შენაცვლევადია, უცხოური ვალუტის ბაზარი მხოლოდ მაშინ გაწონასწორდება, საპროცენტო პარიტეტის პირობა თუ იქნება შენარჩუნებული:

$$R = R^* + (E^* - E)/E. \quad (17-1)$$

როდესაც ადგილობრივი და უცხოური ვალუტით გამოსახული ობლიგაციები აქტივის არასრულყოფილად შენაცვლევადობით ხასიათდებიან, ზემოთ მოცემული პირობა არ არის სოციალურად დაკელი. ამის ნაცვლად

წონასწორობა უცხოური ვალუტის ბაზარზე მოითხოვს იმას, რომ ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი ტოლი იყოს უცხოური ობლიგაციებიდან ადგილობრივი ვალუტის მოსალოდნელი უკუგებისა რასაც ემატება, p , რისკის პრემია. ანუ განსხვავება ადგილობრივი და უცხოური ობლიგაციების რისკის შორის:

$$R = R^* + (E^* - E)/E + p. \quad (17-2)$$


ამ თავის პირველ დანართში დეტალურად დავამუშავეთ უცხოური ვალუტის ბაზრის (აქტივის არასრულყოფილი შენაცვლებადობით) წონასწორობის მოდელი. ამ მოდელის მთავარი არსი ის არის, რომ ადგილობრივი აქტივების რისკის პრემია იზრდება მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ადგილობრივი სამთავრობო ობლიგაციების მარაგის ზრდასთან ერთად და მცირდება, როდესაც ცენტრალური ბანკის აქტივები იმატებს. მნელი არ არის, ამ შედეგს მიუყვანდავთ ეკონომიკური დასაბუთება. კერძო ინვესტორების სუსტი ადგილია ადგილობრივი გაცვლითი კურსის მოულოდნელი ცვლილებები, რადგან ამის გამო მყლობელობაში არსებული ადგილობრივი სახელმწიფო ობლიგაციების მარაგი იზრდება. ინვესტორები მანამ არ დაუქვრენ მხარს ადგილობრივი სახელმწიფო ობლიგაციების ფლობით გამოწვეული რისკის ზრდას, სანამ ეს არ აუნაზღაურდებათ ადგილობრივი ვალუტით აქტივების უფრო მაღალი მოსალოდნელი ნორმით. ადგილობრივი სამთავრობო ვალის გაზრდილი თანხა გააღრმავებს განსხვავებას ადგილობრივი და უცხოური ვალუტის გამოსახული ობლიგაციებიდან მიღებულ მოსალოდნელ უკუგებათა შორის. ამის მსგავსად, როდესაც ცენტრალური ბანკი ყიდულობს ადგილობრივ აქტივებს, ბაზარს აღარ სჭირდება მათი ფლობა; ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის რისკით გამოწვეული შესაძლებელი ზარალი უფრო მცირეა და რისკის პრემია ადგილობრივი ვალუტის აქტივებიდან მცირდება.

უცხოური ვალუტის ბაზრის წონასწორობის ალტერნატიული მოდელი გულისხმობს იმას, რომ რისკის პრემია პოზიტიურად არის დამოკიდებული ადგილობრივი სამთავრობო ვალის ოდენობაზე (რომელიც B -თია გამოსახული) გამოკლებული ცენტრალური ბანკის A -თი გამოსახული აქტივები:

$$p = p(B - A). \quad (17-3)$$

ადგილობრივი ობლიგაციებიდან რისკის პრემია იზრდება, როდესაც $B - A$ მატულობს. ეს ურთიერთობა რისკის პრემიასა და ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივის რეზერვებს შორის უფლებას აძლევს ბანკს, შემოქმედება მოახდინოს გაცვლით კურსზე უცხოური ვალუტის სტერილიზებული ინტერვენციის მეშვეობით. ეს იმასაც გულისხმობს, რომ ოფიციალურმა ოპერაციებმა, ადგილობრივი და უცხოური ვალუტით, სხვადასხვაგვარი შემოქმედება შეიძლება მოახდინოს აქტივის ბაზარზე.

გრაფიკი 17-6 ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური აქტივების შესყიდვის სტერილიზების ეფექტი აქტივის არასრულყოფილი შენაცვლებადობის დროს



უცხოური აქტივის არაეფექტური შესყიდვით ფულის მასა რჩება უცვლელი, მაგრამ იზრდება რისკთან შეგუებული მოგება, რაც უნდა შესთავაზოს ადგილობრივი ვალუტის დეპოზიტმა წონასწორობის დროს. ამის შედეგად მოგების მრუდი გრაფიკის ზდა მხარეს გადაიხრება ზემოთ და მარჯვნივ. სხვა თანაბარ პირობებში ეს აუფასურებს ადგილობრივ ვალუტას E^1 -დან E^2 -მდე.

სტერილიზებული ინტერვენციის ეფექტი აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობით

17-6 გრაფიკი ცვლის ჩვენს მიერ აქამდე შექმნილ სურათს აქტივის ბაზრის წონასწორობის შესახებ; აქ დამატებულია აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეუძლია სტერილიზებულ ინტერვენციას, ზემოქმედება მოახდინოს გაცვლით კურსზე. გრაფიკის ქვედა ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს ფულის ბაზრის წონასწორობას (1) წერტილში, არ იცვლება. გრაფიკის ზედა ნაწილი იგივეა, რაც ადრე იყო, გარდა იმისა, რომ დადამავალი მრუდი ახლა გვიჩვენებს, როგორაა დამოკიდებული უცხოური აქტივებიდან ადგილობრივი ვალუტით მოსალოდნელი უკუგების თანხა და რისკის პრემია გაცვლით კურსზე (მრუდი აგრძელებს დაძმა სვლას, რადგან რისკის პრემია, დაშვების თანახმად, არ უნდა იყოს დამოკიდებული გაცვლით კურსზე). წონასწორობა უცხოური ვალუტის ბაზარზე აღინიშნება 1 წერტილში, რაც შეესაბამება B სამთავრობო ვალს და ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივის რეზერვებს A'. ამ წერტილში ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი ტოლია რისკთან შეგუებული უცხოური დეპოსიტებიდან ადგილობრივი ვალუტით უკუგებისა (როგორც ეს ნაჩვენებია იყო 17-2 ტოლობაში).

გამოიყენეთ გრაფიკი და გაეანალიზოთ ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური აქტივების სტერილიზებული შესყიდვის ეფექტი. ცენტრალური ბანკი ფულის მასას მუდმივად ინარჩუნებს M^s წერტილზე (რასაც ადწევს უცხოური აქტივების შესყიდვის შესაბამისობაში მოყვანით ადგილობრივი აქტივის რეალიზაციასთან) და თავიდან იცილებს ნებისმიერ ცვლილებას 17-6 გრაფიკის ქვედა ნაწილში. ადგილობრივი აქტივის გაყიდვის შედეგად ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივების ოდენობა უფრო დაბალია (A^1 -მდე ექვია) და მისი მარაგი, რომელსაც ბაზარი უნდა ფლობდეს, $B - A^1$, უფრო მაღალია, ვიდრე თავდაპირველი მარაგი $B - A$. ეს ზრდა უბიძგებს რისკის p პრემიას ზევით და გადაადგილებს ნეგატიურ დადამავალ მრუდს მარჯვნივ გრაფიკის ზედა ნაწილში. უცხოური ვალუტის ბაზრის ნიშნული ახლა თავსდება (2) წერტილში და ადგილობრივი ვალუტა უფასურდება E^1 -მდე.

აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობის დროსაც კი უცხოური ვალუტის სტერილიზებული შესყიდვა გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას. ამის მსგავსად, უცხოური ვალუტის სტერილიზებული რეალიზაცია გამოიწვევს ადგილობრივი ვალუტის რეველვაციას. ჩვენი ანალიზის ცოტათუდენი შეცვლა გვიჩვენებს, რომ ცენტრალურ ბანკს შეუძლია გამოიყენოს სტერილიზებული ინტერვენცია და მკარად შეინარჩუნოს ფიქსირებული გაცვლითი კურსი, როდესაც ცვლის ფულის მასას ისეთი ადგილობრივი მიზნების მისაღწევად, როგორცაა სრული დასაქმება. გაცვლითი კურსი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, შეიძლება იმართოს ხანმოკლე პერიოდში, როდესაც სტერილიზებული ინტერვენცია ეფექტურია.

სტერილიზებული ინტერვენციის ეფექტების დამამტკიცებელი საბუთები

1980-იანი წლების დასაწყისში ქვეყნებმა სთხოვეს აშშ-ს, რომ სისტემატურად ჩარეულიყო უცხოური ვალუტის ბაზარზე და წინააღმდეგობა გაეწია დოლარის მკვეთრი მიმოქცევისათვის სხვა ვალუტებთან მიმართებაში. შვიდი უდიდესი განვითარებული ქვეყნის ლიდერმა განიხილა ინტერვენციის საკითხი ეკონომიკური სამიტის შეხვედრაზე, რომელიც 1982 წლის ივნისში შედგა ევრსალში. დისკუსიის შემდეგ სამიტში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო სექტორის ეკონომისტებს სთხოვეს ალტერნატიული ინტერვენციის პრაქტიკის ეფექტების შესწავლა.

კვლევის დასკვნები დაიბეჭდა 1983 წელს შემდეგი სათაურით: „სამუშაო ჯგუფის მოხსენება ვალუტის ბაზრის ინტერვენციის შესახებ“. მოხსენებაში დასმული იყო შემდეგი კითხვა: მისცემს თუ არა სტერილიზებული ინტერვენცია გაცვლითი კურსის მართვის საშუალებას ცენტრალურ ბანკს ადგილობრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისი რეგულირების გარეშე. მცირეოდენი დამამტკიცებელი საბუთები აღმოაჩინეს იმ შეხედულებათა დასამტკიცებლად, რომ სტერილიზებული ინტერვენცია ის ძირითადი, დამოუკიდებელი ფაქტორი იყო, რაც უკავალენას ახდენდა გაცვლით კურსებზე.

ეს დასკვნა შესაბამისობაშია სტერილიზებული ინტერვენციის შესახებ აკადემიურ კვლევებთან. 21-ე თავში დეტალურად განვიხილავთ მნიშვნელოვან დამამტკიცებელ საბუთებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ სხვადასხვა ვალუტით გამოსახული ობლიგაციები სრულყოფილი შემნაცვლევადობის არიან. სოჯი ეკონომისტის დასკვნით, ამ რისკის პრემია მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ცენტრალური ბანკის აქტივების ოპერაციებზე ისე მარტივად არ არის დამოკიდებული, როგორც ეს ჩვენმა მოდელმა დაუშვა. სოჯიც ამტკიცებს, რომ ტესტები, რომლებიც გამოიყენებოდა სტერილიზებული ინტერვენციის ეფექტების გამოსაკვლევეად, არ არის უნაკლო. მწირი მონაცემების (რომ სტერილიზებულ ინტერვენციას ხარჭმუნო ეფექტი აქვს გაცვლით კურსზე) გამო ასეთი სექტიკური მიდგომა ალბათ გამართლებული უნდა იყოს.

ინტერვენციის სიგნალიზის ეფექტი

ფენომენი. რომელსაც ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც უცხოური ვალუტის ინტერვენციის სიგნალიზის ეფექტს, მეტად მნიშვნელოვანია, რთული ფაქტორია სტერილიზებული ეფექტის ეკონომეტრიული შესწავლის დროს. სტერილიზებული ინტერვენციის განხილვისას დაეუშვით, რომ ის არ ცვლის ბაზრის გაცვლით კურსთან დაკავშირებულ მოლოდინს. თუ ბაზრის მონაწილეები არ არიან დარწმუნებულნი, მაკროეკონომიკის პოლიტიკას რა მიმართულება ექნება სამომავლოდ, სტერილიზებულმა ინტერვენციამ შეიძლება მიანიშნოს, თუ როდის მოელის ცენტრალური ბანკი (ან როდის სურს) გაცვლითი კურსის ამოქმედებას. ამ სიგნალს, თავის მხრივ, შეუძლია შეცვალოს ბაზრის შეხედულება მომავალზე და გამოიწვიოს კურსის დაეუფლებლივი შეცვლა თუნდაც მაშინ, როდესაც სხვადასხვა ვალუტით გამოსახული ობლიგაციები სრულყოფილი შემნაცვლებლები არიან.

სიგნალიზის ეფექტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მთავრობა არ არის კმაყოფილი გაცვლითი კურსით და აცხადებს, რომ შეცვლის ფულად-საკრედიტო ან ფისკალურ პოლიტიკას აღნიშნული კურსის შესაცვლელად. ცენტრალური ბანკი ზოგჯერ მხარს უბამს ამ განცხადებას სტერილიზებულ ბაზარზე იმპედირიული წარევით. მაგალითად, უცხოური აქტივების სტერილიზებულმა შესყიდვამ შეიძლება დაარწმუნოს ბაზარი, რომ ცენტრალურ ბანკს გამიზნული აქვს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება, რაკი ბანკი ფულს დაკარგავს რევალვაციის შემთხვევაში. ცენტრალურმა ბანკმაც უნდა ადვენოს თვალყური თავის ბიუჯეტს! მთავრობას შეიძლება გაუნდეს ცდუნება, რომ გამოიყენოს სიგნალიზის ეფექტი დროებითი მოგების მიზნით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას არა აქვს განზრახული ფულად-საკრედიტო ან ფისკალური პოლიტიკის შეცვლა ხანგრძლივ ვადაში განსხვავებული კურსის მისაღებად. რა ეფექტიც აქვს ხშირად ყვირილს – „მგელი, მგელიო!“ იგივე ეფექტი ექნება ვალუტის ბაზარზე, თუ მთავრობა ყურად არ იღებს გაცვლითი კურსის სიგნალებს და არ პასუხობს კონკრეტული პოლიტიკური ქმედებით; ბუნებრივია, ასეთ დროს სიგნალები მალე არაეფექტური გახდება. ამდენად, ინტერვენციის სიგნალიზი არ შეიძლება ჩავთვალოთ იმ პოლიტიკურ იარაღად, რომლის გამოყენება ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკისგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს.

სარეზერვო ვალუტები მსოფლიო სავალუტო სისტემაში

ჩვენ შევისწავლეთ ერთი ქვეყანა, რომელიც აფიქსირებს თავისი გაცვლით კურსს ჰიპოტეტური ცალკეული უცხოური ვალუტის გამოსახულებით და, საჭიროებისამებრ, ვაჭრობს ადგილობრივი აქტივებით უცხოურის სანაცვლოდ. მაგრამ რეალურ სამყაროში ბევრი ვალუტაა და ქვეყანა ადგილობრივი ვალუტის გაცვლით კურსს მხოლოდ ზოგიერთ უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში აფიქსირებს, ხოლო ცოცვის უფლებას აძლევს სხვა ვალუტებთან მიმართებაში. ეს იყო განხილვის საგანი ევროპის მონეტარული სისტემისა, რომლის წევრებმაც შეინარჩუნეს თავიანთი საზიარო გაცვლითი კურსები ფიქსირებულად, საკუთარი ვალუტების ფასებს კი, დოლარის გამოსახულებით, ცოცვის უფლება მისცეს.

წიგნის ამ და შემდეგ ნაწილებში დაშვებულია გლობალური პერსპექტივა და გამოკვლეულია მსოფლიო ეკონომიკის მაკროეკონომიკური ქცევა ორი შესაძლებელი სისტემის პირობებში, რათა ერთიმეორის მიმართ ყველა ვალუტის გაცვლითი კურსი დაფიქსირდეს.

ასეთი ფიქსირებული კურსის პირველი სისტემა ძალიან ჰგავს ჩვენს მიერ უკვე შესწავლილს. აქ ერთი ვალუტა გამოცალკევებულია როგორც რეზერვის ვალუტა, ანუ ვალუტა, რომელსაც ცენტრალური ბანკი ფლობს საერთაშორისო რეზერვების სახით და ყოველი სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი აფიქსირებს თავისი ვალუტის გაცვლით კურსს სარეზერვო ვალუტასთან მიმართებაში; ამასთან მზად არის იეაჭროს ამ კურსით ადგილობრივი ვალუტით სარეზერვო აქტივის სანაცვლოდ. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსა და 1973 წელს შორის აშშ-ს დოლარი მთავარი სარეზერვო ვალუტა იყო და ყველა ქვეყანამ თავისი ვალუტა მიაბა დოლარის გაცვლით კურსს.

ფიქსირებული კურსის მეორე სისტემა (რასაც შემდეგ ნაწილში გაეანალიზებთ) არის ოქროს სტანდარტი. ოქროს სტანდარტის პირობებში ცენტრალური ბანკები თავიანთი ვალუტების ფასებს ხელოვნურად აფიქსირებენ ოქროს გამოსახულებით და ფლობენ ოქროს, როგორც ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. ოქროს სტანდარტმა დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა 1870-1914 წლებში; ბევრმა ქვეყანამ წარუმატებლად სცადა მისი აღდგენა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ – 1918 წელს.

ორივე სარეზერვო ვალუტა, როგორც სტანდარტი განაპირობებს ფიქსირებულ გაცვლით კურსს ვალუტების ყველა წევრს შორის მსოფლიოში. მაგრამ შემთხვევით დასახელებული ორი სისტემის მიმდევრებს განსხვავებული შეხედულებანი აქვთ იმის შესახებ, თუ ქვეყნები როგორ ინაწილებენ საგადასახადო ბალანსის დაფინანსების უღელის ხიმძიმეს; ასევე განსხვავებულად უდგებიან ეროვნული ფულის მასის კონტროლისა და ზრდის საკითხებს.

სარეზერვო ვალუტის სტანდარტის მქაანობა

სარეზერვო ვალუტის სისტემის მოქმედება ილუსტრირებას ახდენს II მსოფლიო ომის ბოლოს დაწესებული აშშ დოლარის სისტემის საფუძველზე. ამ უკანასკნელის პირობებში, ყველა ცენტრალურმა ბანკმა უცხოური ვალუტის ბაზარზე, დოლარის აქტივების სანაცვლოდ დააფიქსირა თავისი ვალუტის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში ადგილობრივი ვალუტით ვაჭრობის მეშვეობით. ხშირი ინტერვენციის საჭიროება იმას გულისხმობდა, რომ ნებისმიერი ცენტრალური ბანკი იძულებული იყო, აკონდა საკმარისი ოდენობის დოლარის რეზერვები, რათა დაეკმაყოფილებინა თავისი ვალუტის ნებისმიერი ჭარბი მიწოდება, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვდა. ცენტრალური ბანკები ფლობენ თავიანთი საერთაშორისო რეზერვების დიდ წილს აშშ-ს სარეზერვო თამასუქებისა და მოკლევადიანი პროცენტის მომტანი დოლარის დეპოზიტების სახით, რომელთა გადაყენა ნაღდ ფულზე შესაძლებელია შედარებით დაბალი ხარჯით.

რადგან ყოველი ვალუტის ფასი დოლარით ფიქსირებული იყო მისი ცენტრალური ბანკით, ნებისმიერი ორი ვალუტის გაცვლითი კურსიც ავტომატურად იყო ფიქსირებული საარბიტრაჟო ოპერაციის მეშვეობით უცხოური ვალუტის ბაზარზე. როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი? დაეუშვათ, დოლარის ფასი ფრანკული ფრანკის გამოსახელებით ფიქსირებული იყო 5 ფრანკი/დოლარზე მაშინ, როდესაც დოლარის კურსი გერმანული მარკით შეადგენდა 4 გერმანულ მარკას/დოლართან. გაცვლითი კურსი ფრანკსა და გერმანულ მარკას შორის უნდა დარსენილიყო მუდმივი - $0.80 \text{ მარკა/ფრანკზე} = (4 \text{ გერმანული მარკა/დოლარზე}) + (5 \text{ ფრანკი/დოლარზე})$, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ცენტრალური ბანკი უშუალოდ არ ვაჭრობდა ფრანკებით გერმანული მარკის სანაცვლოდ, რათა შეენარჩუნებინა ამ ორი ვალუტის შესადარი ფასი. მარკა/ფრანკის კურსით, სადაც ერთი მარკა ტოლია 0.85 ფრანკისა, მაგალითად, თქვენ უეჭველად მიიღებდით 6.25 დოლარ მოგებას, თუ 100 დოლარს მიჰყიდით საფრანგეთის ცენტრალურ ბანკს, ანუ საფრანგეთის ბანკს, 500 ფრანკად ($(100 \text{ დოლარი}) \times (5 \text{ ფრანკი/დოლარზე}) = 500 \text{ ფრანკი}$). თუ ამ 500 ფრანკს გაყიდით უცხოური ვალუტის ბაზარზე 425 გერმანულ მარკად ($(500 \text{ ფრანკი}) + (0.85 \text{ გერმანული მარკა/ფრანკზე}) = 425 \text{ გერმანული მარკა}$), რასაც შემდეგ მიჰყიდით ბუნდესბანკს 106.25 დოლარად ($(425 \text{ გერმანული მარკა}) + (4 \text{ გერმანული მარკა/დოლართან}) = 106.25 \text{ დოლარი}$). ეცდებოდა კი ყველა ამ ხელსაყრელი შესაძლებლობის გამოყენებას, თუ ფრანკების გაყიდვით მარკების სანაცვლოდ უცხოური ვალუტის ბაზარზე ადგილი ექნებოდა მარკის რეველაციას ფრანკული ფრანკის მიმართ, სანამ მათი გაცვლითი კურსი არ მიაღწევდა ერთ ფრანკზე 0.80 მარკას. ამის მსგავსად, როცა გაცვლითი კურსი 0.75 მარკაა ერთ ფრანკზე, ზეწოლა უცხოური ვალუტის ბაზარზე გამოიწვევს მარკის გაუფასურებას ფრანკის მიმართ, სანამ არ მიაღწევს კურსს - ერთ ფრანკზე 0.80 მარკა.

იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ყოველი ცენტრალური ბანკი მხოლოდ დოლარს მიაბამს თავისი ვალუტის გაცვლით კურსს, ბაზრის ძალები ავტომატურად და მუდმივად შეინარჩუნებენ ყველა სხვა გაცვლით კურსს (რასაც კროს-კურსი ეწოდება) იმ ღირებულებით, რაც დოლარის კურსით არის ნაგულისხმევი. ამდენად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გაცვლითი კურსის სისტემა ერთადერთი იყო, როდესაც გაცვლითი კურსი ნებისმიერ ორ ვალუტას შორის ფიქსირდებოდა.

სარეზერვო ცენტრის ასიმეტრიული მდგომარეობა

სარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყანას, ანუ სარეზერვო ცენტრს, რომლის ვალუტასაც სხვა ქვეყნები როგორც რეზერვს, ისე ფლობენ, განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია, რადგან მას არასოდეს უწევს უცხოური ვალუტის ბაზარზე წარევა. ამის მიუხედავად ის არის, რომ თუ მსოფლიოში N ქვეყნებს აქვთ N ვალუტა, მხოლოდ N-1 გაცვლითი კურსი იქნება სახეზე სარეზერვო ვალუტასთან მიმართებაში. თუ N-1 არასარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყნები აფიქსირებენ თავიანთ გაცვლით კურსს სარეზერვო ვალუტასთან მიმართებაში, მაშინ სარეზერვო ცენტრს აღარ მოუწევს გაცვლითი კურსის დაფიქსირება, არასოდეს დასჭირდება ვალუტის ბაზარზე წარევა და საგადასახადო ბალანსის დაფინანსების უღელიც არ დააწევს.

ასეთი ღინისძიებები სარეზერვო ვალუტის ქვეყანას პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის, რადგან მას შეუძლია გამოიყენოს თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მაკროეკონომიკის სტაბილიზაციისთვის თუნდაც მაშინ, როდესაც ფიქსირებული გაცვლითი კურსი აქვს. ამ თავის წინა ნაწილში ენახეთ, რომ როდესაც ქვეყანამ უნდა მოახდინოს ინტერვენცია თავისი გაცვლითი კურსის მუდმივად შენარჩუნებისათვის, მისი ფულის მასის გაფართოების მცდელობა განწირული იქნება საერთაშორისო რეზერვებში სარაღისათვის. მაგრამ რადგან სარეზერვო ცენტრი სისტემაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს ფიქსირებული გაცვლითი კურსით ბაზარში წარევის აუცილებლობის გარეშე, იგი შეიძლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებას სტაბილიზაციის მიზნებისათვის.

ენახათ, როგორ ხდება არასარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ ადგილობრივი ვალუტის შესყიდვა და რა შედეგები ახლავს მას? ამგვარი შესყიდვით გამოწვეული ფულის მასის ექსპანსია დაუყოვნებლივ უბიძგებს თავის საპროცენტო განაკვეთს, რომ სახლვარგარეთ გაბატონებულ განაკვეთზე ნაკლები გახდეს, რითაც გამოიწვევს უცხოური ვალუტის ბაზარზე ჭარბ მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე. რათა თავიდან აიცილონ ვალუტების რეველაცია სარეზერვო ვალუტასთან მიმართებაში, სისტემის ყველა

სხვა ცენტრალური ბანკი იძულებული იქნება, რომ საკუთარი ვალუტით იყიდოს სარეზერვო აქტივები და გაზარდოს თავისი ფულის მასა. ამით იგი საკუთარ საპროცენტო განაკვეთებს უბიძგებს სარეზერვო ცენტრის მიერ დაწესებულ განაკვეთზე დაბლა დაიწიოს. გამოშვება მთელ მსოფლიოში, ისევე როგორც ადგილობრივ, გაფართოვდება სარეზერვო ქვეყნის მიერ ადგილობრივი აქტივების შესყიდვით.

ჩვენი შეხედულება ფულად-საკრედიტო მიდგომის შესახებ, სარეზერვო ვალუტის სისტემის პირობებში, მიგვანიშნებს მთავარ ასიმეტრიაზე. სარეზერვო ქვეყანას აქვს როგორც საკუთარ, ასევე უცხოურ ეკონომიკაზე ზემოქმედების უნარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით. სხვა ცენტრალური ბანკები იძულებულნი არიან, რომ თავი მიანებონ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, როგორც სტაბილიზაციის იარაღს, და ამის ნაცვლად მიმართონ სარეზერვო ცენტრის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პასიურ „იმპორტს“, რადგან აღებული აქვთ ვალდებულება, რომ თავიანთი ვალუტები მიაბან სარეზერვო ვალუტას.

სარეზერვო სისტემის ეს აშკარა ასიმეტრია უზარმაზარ ძალაუფლებას აძლევს სარეზერვო ქვეყანას და მოსალოდნელია, რომ ეს გამოიწვევს პოლიტიკურ დისპუტებს სისტემის საზღვრებში. ასეთმა პრობლემებმა გამოიწვია ომის შემდგომი „დოლარის სტანდარტის“ გაუქმება 1973 წელს, რასაც დეტალურად განვიხილავთ მე-18 თავში.

ოქროს სტანდარტი

ოქროს საერთაშორისო სტანდარტს არ ახასიათებს სარეზერვო ვალუტის სტანდარტის ნიშანი – ასიმეტრია, რადგან აქ მოხსნილია „N ვალუტის“ პრობლემა. ოქროს სისტემის პირობებში ყოველი ქვეყანა აფიქსირებს თავისი ვალუტის ფასს ოქროს გამოსახულებით; მზად არის, ივაჭროს ადგილობრივი ვალუტით ოქროს სანაცვლოდ, როდესაც ოფიციალური ფასების დაცვა არის საჭირო. რადგან არსებობს N ვალუტები და ოქროს N ფასები ამ ვალუტების გამოსახულებით, არც ერთ ცალკეულ ქვეყანას არ უჭირავს პრივილეგიებული მდგომარეობა სისტემაში: ყოველი მათგანი პასუხისმგებელია თავისი ვალუტის ფასის მიბმაზე ოფიციალურ საერთაშორისო სარეზერვო აქტივზე – ოქროს გამოსახულებით.

ოქროს სტანდარტის მქანნიკა

რადგან ქვეყნები თავიანთ ვალუტებს აბამენ ოფიციალურ საერთაშორისო აქტივებს ოქროს სტანდარტის პირობებში, ეს საერთაშორისო რეზერვები ოქროს სახეს იღებენ. ოქროს სტანდარტის წესები მოითხოვს ყოველი ქვეყნისგან ოქროს შეუზღუდავ იმპორტსა და ექსპორტს მის საზღვრებს გარეთ. ასეთ პირობებში ოქროს სტანდარტი, სარეზერვო ვალუტის სისტემის მსგავსად, შედეგია ფიქსირებული გაცვლითი კურსისა ყველა ვალუტას შორის. მაგალითად, თუ გირვანქა ოქროს ფასი დოლარით ფედერალური რეზერვის მიერ მიბმულია (ხელოვნურად არის უზრუნველყოფილი) 35 დოლარი/უნცია ოქროზე, როდესაც უნცია ოქროს ფასი მიბმულია 14.58 გირვანქა სტერლინგი/უნცია ოქროზე ბრიტანეთის ცენტრალური ბანკის მიერ, დოლარ/გირვანქა სტერლინგის გაცვლითი კურსი მუდმივი იქნება (35 დოლარი/უნცია ოქროზე) ? (14.58 გირვანქა სტერლინგი/უნცია ოქროზე) = 2.40 დოლარი/უნცია ოქროსთან. იგივე საპრობლემატო პროცესი, რომელიც ოქროს-კურსს ფიქსირებულად ინარჩუნებს სარეზერვო ვალუტის სისტემის პირობებში, ასევე ინარჩუნებს მას ოქროს სტანდარტის პირობებშიც.

სიმეტრიული ფულად-საკრედიტო რეზერვები ოქროს სტანდარტის პირობებში

ოქროს სტანდარტისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამო სარეზერვო სისტემის არც ერთ ქვეყანას არ ეჭირა პრივილეგიებული მდგომარეობა, რადგან განთავისუფლებული იყო ვალუტის ბაზარში ჩარევის ვალდებულებისაგან. ერთი ცენტრალური ბანკის მიერ ადგილობრივი აქტივების შესყიდვით გამოწვეული საერთაშორისო შედეგების მიხედვით შეგვიძლია უფრო დეტალურად განვიხილოთ, თუ როგორ მოქმედებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ოქროს სტანდარტის პირობებში.

დაეუშვათ, ინგლისის ბანკი გადაწყვეტს, გაზარდოს ფულის მასა ადგილობრივი აქტივების შესყიდვით. ბრიტანეთის ფულის მასის საწყისი სრდა შეამცირებს ზეწოლას ბრიტანეთის საპროცენტო განაკვეთზე და უცხოური ვალუტის აქტივებს უფრო მიმზიდველს გახდის ბრიტანულ აქტივებთან შედარებით. გირვანქა სტერლინგის დემონიტების მფლობელი ბანკები ეცდებიან მათ გაყიდვას უცხოური დემონიტების სანაცვლოდ, მაგრამ არც ერთი კერძო მყიდველი არ გამოეხმაურება ამას. მცოცავე გაცვლითი კურსის პირობებში გირვანქა სტერლინგი გაუფასურდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, სანამ საპროცენტო პარიტეტი არ აღდგება. ამ გაუფასურებას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც ყველა ვალუტა ოქროზეა მიბმული. რატომ? პასუხი: ცენტრალური ბანკი ვალდებულია, ივაჭროს თავისი ვალუტით ოქროს სანაცვლოდ (ფიქსირებული გაცვლითი კურსით), ამის გამო გირვანქა სტერლინგის უიღბლო მფლობელები მიჰყიდიან მას ინგლისის ბანკს ოქროს სანაცვლოდ, შემდეგ ოქროს მიჰყიდიან სხვა ცენტრალურ ბანკებს მათი ვალუტების სანაცვლოდ, და ამ ვალუტებს გამოიყენებენ იმ დემონიტების საყიდლად, რომლებიც სთავაზობენ გირვანქა სტერლინგზე უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს. ასეთ პროცესში ბრიტანეთში შეინიშნება კერძო კაპიტალის გადინება, ხოლო უცხოურ ქვეყნებში – შედინება.

ეს პროცესი ხელახლა აღადგენს წონასწორობას უცხოური ვალუტის ბაზარზე. ინგლისის ბანკი კარგავს უცხოურ რესურსებს, რადგან იძულებულია, იყიდოს გირვანქა სტერლინგი და გაყიდოს ოქრო, რათა ოქროს ფასი გირვანქა სტერლინგის გამოსახულებით ფიქსირებულად შეინარჩუნოს. უცხოური ცენტრალური ბანკები იღებენ რესურსებს, რადგან ყიდულობენ ოქროს საკუთარი ვალუტით. ქვეყნები თანაბრად ინაწილებენ საგადასახადო ბალანსის რეგულირების უღელს. რადგან ოფიციალური უცხოური რესურსები ბრიტანეთში მცირდება და სასწრაფო გარეთ იწოდება, ბრიტანეთის ფულის მასაც მცირდება, რითაც ბრიტანეთის საპროცენტო განაკვეთი დიდდება და უცხოური ფულის მასა იმატებს, რაც უცხოურ საპროცენტო განაკვეთს ამცირებს. როდესაც საპროცენტო განაკვეთები კვლავ ტოლია ქვეყნებში, აქტივის ბაზრები გაწონასწორებულია და აღარ არის იმის ტენდენცია, რომ ბრიტანეთის ბანკმა დაკარგოს ოქრო ან უცხოურმა ბანკებმა შეიმატონ იგი.

ჩვენს მაგალითში ახსნილია საერთაშორისო ფულად-საკრედიტო რეგულირების სიმეტრიული ბუნება ოქროს სტანდარტის პირობებში. განურჩევლად იმისა, ცალკეული ქვეყანა კარგავს თუ არა რესურსებს და მიიწინებს თუ არა თავისი ფულადი მასის შემცირებას, როგორც შედეგს, უცხოური ქვეყნები იმატებენ რესურსს და აფართოებენ თავიანთ ფულად მასას. ფულად-საკრედიტო რეგულირება, სარესურსო ვალუტის სტანდარტის პირობებში, მეტად ასიმეტრიულია. ქვეყნებს შეუძლიათ მოიპოვონ ან დაკარგონ რესურსები სარესურსო ვალუტის ქვეყნის ფულად მასაში რაიმე ცვლილების გარეშე და მხოლოდ სარესურსო ვალუტის მქონე ქვეყანას შეუძლია, რომ მოახდინოს შემოქმედება ადგილობრივ და მსოფლიო ფულად-საკრედიტო ვითარებაზე.

ოქროს სტანდარტის დადებითი და უარყოფითი ეკონომიკური მხარეები

ოქროს სტანდარტის დამკვეთები ამტკიცებენ, რომ სიმეტრიის გარდა მას სხვა კარგი მახასიათებლებიც აქვს. რადგან ცენტრალური ბანკები მთელს მსოფლიოში ვალდებულნი არიან, დააფიქსირონ ოქროს ფულადი ფასი, მათ არ შეუძლიათ, რომ თავიანთ ფულის მასას (რეალურ ფულზე მოთხოვნასთან შედარებით) უფრო სწრაფი ზრდის უფლება მისცენ; ეს იმიტომ, რომ ფულადი მასის ასეთი სწრაფი ზრდა არსებითად გააღიძვრებს ყველა სახის საქონლისა და მომსახურების, ოქროს ჩათვლით, ფულად ფასებს. ოქროს სტანდარტი ავტომატურად სძლევს იმ დონეს, სადამდეც ცენტრალურ ბანკს შეუძლია გამოიწვიოს ეროვნული ფასების ზრდა ექსპანსიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო. ამ შეზღუდვებით სხვადასხვა ქვეყნის ფულის რეალური ღირებულება უფრო მყარი და პროგნოზირებადი ხდება, რაც აფართოებს ფულის გამოყენებით გამოწვეულ ეკონომიკურ ოპერაციებს (იხ. მე-14 თავი). ფულადი ემისიის მიმართ არც ერთი ასეთი შეზღუდვა არ არსებობს სარესურსო ვალუტის სისტემის პირობებში; სარესურსო ვალუტის ქვეყანა არანაირი ავტომატური ბარიერის პირისპირ არ დგას შეუზღუდავი ფულადი ემისიის მიმართ.

ოქროს სტანდარტის შემდეგი ზოგიერთი ნაკლი აბათილებს ამ ეკონომიკურ სარგებელს:

1. ოქროს სტანდარტი არასასურველ შეზღუდვებს აწესებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებაში უმუშევრობასთან საბრძოლველად. მსოფლიო დონის რეცესიაში ყველა ქვეყნისათვის სასურველი უნდა იყოს საკუთარი ფულადი მასის ერთობლივი გაფართოება თუნდაც მაშინ, როდესაც ეს იმისთვის კეთდება, რომ ოქროს ფასი გაიზარდოს ეროვნული ვალუტების გამოსახულებით.
2. ვალუტის ღირებულებების მიხედვით ოქროს მხოლოდ მაშინ იძლევა მთლიანად ფასების მყარ დონეს, როდესაც ოქროსა და სხვა საქონლისა თუ მომსახურების შესადარი ფასი მტკიცე იქნება. მაგალითად, დაეუშვათ, ოქროს დოლარის ფასი არის 35 დოლარი ერთ უნციაზე, მაშინ, როდესაც ოქროს ფასი სტანდარტული გამოშვების კალათის გამოსახულებით არის კალათის ერთი მესამედი ერთ უნციაზე. ეს ნიშნავს 105 დოლარის ფასების დონეს ერთი გამოშვების კალათაზე. ახლა დაეუშვათ, რომ ოქროს აღმოჩენა სამხრეთ ამერიკაში და ოქროს შესადარი ფასი გამოშვების გამოსახულებით ეცემა კალათის ერთი მეოთხედით ერთ უნციაზე. როდესაც ოქროს ფასი დოლარით შეუცვლელია (35 დოლარი/უნციაზე), ფასების დონეს მოუწევს ერთ კალათაზე გაზრდა 105 დოლარიდან 140 დოლარამდე. ფაქტობრივად, ოქროს სტანდარტის კვლევებმა გამოაველინა ფასების დონის გასაოცრად დიდი მერყეობა, რამაც გამოიწვია ოქროს შესადარ ფასებშიც ასეთივე ცვლილებები.
3. ოქროს დაფუძნებული საერთაშორისო გადახდის სისტემა პრობლემატურია, რადგან ცენტრალურ ბანკებს არ შეუძლიათ საერთაშორისო რესურსების გაზრდა თავიანთი ეკონომიკების ზრდის შესაბამისად მანამდე, სანამ ახალ ოქროს საბადოებს არ აღმოაჩენენ. ყოველ ცენტრალურ ბანკს დასჭირდება გარკვეული ოდენობის ოქროს რესურსების ფლობა, რათა დააფიქსიროს თავისი ვალუტის ფასი ოქროთი და დაძაბულობის შემანელებლის როლი შეასრულოს ეკონომიკური წარუმატებლობის დროს. ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ გამოიწვიონ მსოფლიო უმუშევრობა ერთმანეთთან კონკურენციით რესურსების გამო; სწორედ ამიტომ ყოველნი იმის ადგილობრივ აქტივებს და ამცირებენ თავიანთ ფულად მასას.
4. ოქროს ისეთ დიდ პოტენციურ მწარმოებელ ქვეყნებს, როგორიცაა რუსეთი და სამხრეთ აფრიკა, ოქროს სტანდარტის მეშვეობით შეიძლება მიჩივდებოდნენ მაკროეკონომიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მთელს მსოფლიოში.

ინტერვენციის ღონისძიებები ევროპის ფულად-საკრედიტო სისტემაში

1979 წლის მარტში ევროკავშირის რეაქცია – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, დანია, ირლანდია, ლიუქსემბურგი და ნიდერლანდები – შეთანხმდა, რომ დაეფიქსირებინა საერთო გაცვლითი კურსი და ერთობლივი მცოცავი კურსი გამოეყენებინა (აშშ-ს დოლართან მიმართებაში) ევროპის ფულად-საკრედიტო სისტემის საზღვრებში. ესპანეთი შეუერთდა ევროპის მონეტარული სისტემის გაცვლითი კურსის მექანიზმს 1989 წლის ივნისში, ბრიტანეთი 1990 წლის ოქტომბერში, პორტუგალია 1992 წლის აპრილში, ხოლო ავსტრია 1995 წლის იანვარში. ბრიტანეთი ამოყარდა ამ კავშირიდან მხოლოდ 23 კვირის შემდეგ, როდესაც სპეკულაციურმა კრიზისმა გააუქმა რამდენიმე პარიტეტი 1992 წლის სექტემბერში. ამჟამად დროს, იტალიამ ღირას მცოცავი კურსი დაუწესა. ევროკავშირში შემავალი ქვეყნები იმედოვნებდნენ, რომ ევროპის მონეტარული სისტემა განვითარდებოდა და იქცეოდა ერთიან სივრცულ ერთიანი ცენტრალური ბანკითა და ევროკავშირის ერთიანი ვალუტით. ვალუტის კრიზისისა და სხვა ფაქტორების შედეგად დღეს ევროპის მონეტარული სისტემის მომავალი გაურკვეველია. ევროპის მონეტარული სისტემის გამოცდილებას დეტალურად განვიხილავთ მე-20 თავში.

ორმხრივი გაცვლითი კურსი ევროპის მონეტარული სისტემის ფარგლებში არასდროს ყოფილა შესტად ფიქსირებული; მის მოქმედებას გარკვეული ზღვარი ახასიათებდა, 1993 წლის აგვისტოს შემდგომ ორმხრივი გაცვლითი კურსის ზღვარი იყო $\pm 15\%$, ანუ უფრო მცირე იყო, ვიდრე მანამდე არსებული. ყოველი მონაწილე ვალუტა მიზნულია „ცენტრალურ“ გაცვლით კურსად ევროპის საკრედიტო ერთეულთან, „ეკიუსთან“, ანუ იმ კალათასთან, მიმართებაში, რომელიც შეიცავს ევროკავშირის ვალუტების შესტად განსაზღვრულ ოდენობას (უბრალოდ დამთხვევაა, რომ კალათის სახელი *ეკიუ* არის ძველი ფრანგული მონეტის სახელწოდება). როდესაც ვალუტის ბაზრის გაცვლითი კურსი, ეკიუსთან მიმართებაში, საკმაოდ გადაიხრება თავისი ძირითადი კურსიდან, მაშინ ცენტრალური ბანკისაგან (რომელიც ახდენს ვალუტის ემისიას) მოელოდნენ ჩარევას; შესაძლებელია, რომ მან მიმართოს სხვა ქმედებებსაც მდგომარეობის გამოსწორებლად.

ევროპის მონეტარულ ინსტიტუტში ოქროსა და დოლარის რეზერვების 20%-იანი შენატანების სანაცვლოდ, ევროპის მონეტარულ სისტემაში გაწვერიანებული ცენტრალური ბანკები იღებენ „ეკიუს“ ექვივალენტურ რეზერვებს. „ეკიუ“ შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა საერთაშორისო რეზერვებთან ერთად ადგილობრივი ვალუტის შესასყიდად იმ გაწვერიანებული ცენტრალური ბანკებიდან, რომლებიც აგროვებენ მას ინტერვენციის ოპერაციებიდან, მაგრამ არ სურთ მისი ფლობა.

ინტერვენციის უღელი შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული ევროპის მონეტარული სისტემის საზღვრებში, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. მაგალითად, ფრანგული ფრანკი თუ გაუფასურდება თავის ყველაზე დაბალ ზღვრამდე გერმანულ მარკასთან შედარებით, საფრანგეთის ცენტრალურმა ბანკმა უნდა გამოასწოროს მდგომარეობა ამ მარკების რეზერვების გაყიდვით. ამავე დროს გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა უნდა ასესხოს საჭირო ოდენობის მარკები საფრანგეთის ბანკს. ევროპის მონეტარული სისტემა ასე იყენებს მოთხოვნას სიმეტრიული ინტერვენციის პროცედურაზე – როდესაც გაცვლითი კურსი მიაღწევს თავისი დიაპაზონის ზღვარს, სუსტი ვალუტის მქონე ერთი ქვეყანა დაკარგავს რეზერვებს, ხოლო მეორე შეიმატებს მათ.

ღიდი ინტერვენცია ხდება ხოლმე ევროპის მონეტარული სისტემის გაცვლითი კურსის საზღვრების ფარგლებში და ასეთი ინტერვენცია არ ავალდებულებს სხვა ცენტრალურ ბანკებს რაიმე ქმედებას. მაგალითად, თუ საფრანგეთის ბანკი ყიდულობს აქტივებს გერმანული მარკით და უმატებს მათ რეზერვებს, ბუნდესბანკს არ დასჭირდება ჩარევა, რადგან ფრანკი თავის საზღვრებში დარჩება.

ამჯერად ცოტა რამ დაუშლის ცენტრალურ ბანკს, რომ გადაიტანოს ფულად-საკრედიტო რეგულირების უღელი თავის ევროპის მონეტარული სისტემის პარტნიორებზე უცხოური ვალუტის ინტერვენციის სტერილიზაციით.

ამ დაბრკოლების გამო ამჟამად ეკონომისტთა მცირე ნაწილი ემხრობა ოქროს სტანდარტს. 1923 წელს ბრიტანულმა ეკონომისტმა ჯონ მუინარდ კეინსმა ოქრო დაახასიათა, როგორც ადრეული საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემის „ბარბაროსული რელიქვია“. 1981 წელს პრეზიდენტმა რეიგანმა შექმნა სპეციალური კომისია ფულად-საკრედიტო დარგის მეცნიერის – ანა ჯაკობსონ შეარცის ხელმძღვანელობით, რათა შეესწავლა – დაუბრუნდებოდა თუ არა აშშ ოქროს სტანდარტს. კომისიამ რეკომენდაცია მისცა ოქროს სტანდარტისკენ მიბრუნებას. ცენტრალური ბანკები კი კვლავაც ინახავენ ოქროს, როგორც საერთაშორისო რეზერვების საკუთარ ნაწილს; ახლა მისი ფასი უკვე აღარ თამაშობს განსაკუთრებულ როლს ქვეყნების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სუბიექტურად.

ოქროს კურსის სტანდარტი

ოქროს სტანდარტსა და წმინდა სარეზერვო ვალუტის სტანდარტს შორის არის *ოქროს კურსის სტანდარტი*.
ოქროს კურსის სტანდარტის პირობებში ცენტრალური ბანკის რეზერვები შედგება ოქროსა და ვალუტებისაგან, რომელთა ფასები ოქროს გამოსახულებით არის ფიქსირებული და ყოველი ცენტრალური ბანკი ადგენს თავის გაცვლით კურსს ამ ვალუტის შესაბამისად. ოქროს კურსის სტანდარტმა შეიძლება იმოქმედოს ოქროს სტანდარტის მსგავსად და შეაფერხოს ფულად-საკრედიტო მასის ჭარბი ზრდა მოვლს მსოფლიოში, მაგრამ გასარდოს საერთაშორისო რეზერვების (რომლებიც შეიძლება შედგებოდეს აქტივებისაგან, ოქროს გარდა) მოქნილობა. ოქროს კურსის სტანდარტი ექვემდებარება ზემოთ ნამოთვლილ სხვა შესწავლებებსაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სარეზერვო ვალუტის სისტემა, სადაც ყურადღების ცენტრში დოლარი იყო, ფაქტობრივად, თავდაპირველად დადგინდა ოქროს კურსის სტანდარტი; ცენტრალურმა ბანკებმა კი დიდი მუშაობა გასწიეს გაცვლითი კურსების გადაბმისათვის. აშშ-ს ფედერალური რეზერვი პასუხისმგებელი იყო იმაზე, რომ დოლარის ფასი ოქროს შენარჩუნებინა – 35 დოლარი/უნციაზე. 1960-იანი წლების შუა პერიოდში სისტემა, რეალურად, მოქმედებდა უფრო როგორც წმინდა სარეზერვო ვალუტის სისტემა, ვიდრე ოქროს სტანდარტი. მომდევნო თავში განვიხილავთ მიზეზებს, რომელთა გამოც პრეზიდენტმა ნიქსონმა 1971 წლის აგვისტოში, დოლარის ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, გააკრიტიკა ოქროზე მიბმის პრაქტიკა.

რეზიუმე

1. ცენტრალური ბანკის მხრიდან უცხოური ვალუტის ბაზარსა და ადგილობრივი ფულის მასაში წარუქვას შორის უშუალო კავშირი არსებობს. როდესაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი უცხოურ აქტივებს შესყიდის, ქვეყნის ფულადი მასა ავტომატურად იზრდება. ამის მსგავსად, ცენტრალური ბანკის მიერ უცხოური აქტივების შესყიდვა ავტომატურად ამცირებს ფულის მასას. *ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგება* გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს სეგავლენას უცხოური ვალუტის ინტერვენცია ფულის მასაზე, რადგან ცენტრალური ბანკის პასივების გადიდება ან შემცირება (აქტივების ზრდის ან კლების გამო) ადგილობრივი ფულადი მასის ბაზისს წარმოადგენს. ცენტრალურ ბანკს შეუძლია გააქვას ინტერვენციით გამოწვეული ფულის მასის ეფექტი *სტერილიზაციის* მეშვეობით. როდესაც არ არის *სტერილიზაცია*, მაშინ არსებობს კავშირი საგადასახადო ბალანსსა და ეროვნული ფულის მასას შორის, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ინაწილებენ ცენტრალური ბანკები დეფიციტის დაფინანსების ტვირთს.
2. ცენტრალურ ბანკს შეუძლია დააფიქსიროს თავისი გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, თუ მას სურს ივაჭროს ამ კურსით შეუზღუდავი ოდენობის ადგილობრივი ვალუტით, უცხოურ აქტივებთან მიმართებაში. ცენტრალური ბანკი უნდა წაერიოს უცხოური ვალუტის ბაზარზე გაცვლითი კურსის დასადგენად, როდესაც ამას მოითხოვს ადგილობრივი ვალუტით აქტივებზე ჭარბი მოთხოვნის ან მიწოდების აღკვეთა. ფაქტობრივად, ცენტრალური ბანკი არეგულირებს თავის უცხოურ აქტივებს – და ამგვარად ადგილობრივი ვალუტის მასას – რათა იყოს იმის გარანტი, რომ აქტივის ბაზრები ყოველთვის გაწონასწორებული იქნება გაცვლითი კურსის პირობებში.
3. გაცვლითი კურსის ფიქსირების ვალდებულება აიძულებს ცენტრალურ ბანკს, რომ სტაბილიზებას შესწიროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენება. ცენტრალური ბანკის მიერ ადგილობრივი აქტივების შესყიდვა გამოიწვევს მისი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ტოლფას შემცირებას, რაც ფულად მასას და გამოიწვევს უცვლელს დატოვებს. ამის მსგავსად, ბანკის მიერ ადგილობრივი აქტივების შესყიდვა გამოიწვევს უცხოური რეზერვების იმავე ოდენობით გაზრდას, მაგრამ ამას სხვა ეფექტები არ ექნება.
4. ფისკალურ პოლიტიკას, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან განსხვავებით, უფრო ძლიერი შემოქმედება აქვს გამოიწვევას გაცვლითი კურსის პირობებში, ვიდრე მცოცავი კურსის დროს. ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს მოკლევადიანი ფისკალური ექსპანსია არ გამოიწვევს კურსის რეალურ გადიდებას, რაც „გააჯერებს“ ერთობლივ მოთხოვნას. ამის ნაცვლად, ეს აიძულებს ცენტრალურ ბანკს უცხოური აქტივების შესყიდვას და ფულის მასის ექსპანსიას. *დევალეაცია* გაზრდის ერთობლივ მოთხოვნასა და ფულის მასასაც ხანმოკლე ვადაში (რეველაცია საპირისპირო შედეგი აქვს). ხანგრძლივ პერიოდში ფისკალური ექსპანსია გამოიწვევს კურსის რეალურ გადიდებას, ფულის მასის ზრდას და ადგილობრივი ფასების დონის ამაღლებას მაშინ, როდესაც რეველაცია გამოიწვევს ფულის მასისა და ფასების ზრდას ხანგრძლივ პერიოდში გაცვლითი კურსის ცვლილების პროპორციულად.
5. *საგადამხდელი ბალანსის კრიზისის* ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბაზრის მონაწილეები მოვლიან, რომ ცენტრალური ბანკი შეცვლის საწყის გაცვლითი კურსს. თუ ბაზარი გადაწყვეტს, რომ მოსალოდნელია დეველაცია, მაშინ ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი გადააჭარბებს მსოფლიო საპროცენტო განაკვეთს და უცხოური რეზერვები მკვეთრად შემცირდება, რადგან კურსი კაპიტალი სახელმწიფოთა გაედინება.
6. *რეგულირებადი მცოცავი* სისტემა საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკს, რომ შეინარჩუნოს ადგილობრივი ფულადი მასის სუბამხედველობის უფლება, ოდესაც გაცვლითი კურსის უფრო დიდი არასტაბილურობის ხარჯზე. თუ ადგილობრივი და უცხოური ობლიგაციები არასრულყოფილი შემნაცვლებელი არიან, ცენტრალურ ბანკს შეუძლია კონტროლი გაწვიოს როგორც ფულად მასას, ასევე გაცვლითი კურსს – უცხოური ვალუტის კურსის სტერილიზებული ინტერვენციის მეშვეობით. ემპირიული დამამტკიცებელი

საბუთები მხარს უჭერენ იმ იდეას, რომ სტერილიზებული ინტერვენცია მცირეოდენ უშუალო შემოქმედებას ახდენს გაცვლით კურსზე. თუნდაც მაშინ, როდესაც ადგილობრივი და უცხოური ობლიგაციები სრულყოფილი შემნაცველებლებია და არ არსებობს რისკის პრემია, სტერილიზებული ინტერვენცია შეიძლება არ მოქმედებდეს პირდაპირ სიგნალიზის ეფექტის მეშვეობით, რაც შეცვლის ბაზრის შეხედულებას მომავალი პოლიტიკის შესახებ.

7. ფიქსირებული გაცვლითი კურსის მსოფლიო სისტემა, სადაც ქვეყნები ახდენენ თავიანთი ვალუტების განსაზღვრულ დონეზე ფიქსირებას სარეზერვო ვალუტის გამოსახულებით, მოიცავს გასაოცარ ასიმეტრიას. სარეზერვო ვალუტის ქვეყანას, რომელიც არ არის იძულებული რაიმე კურსი დააფიქსიროს, შეუძლია თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით მოახდინოს სეგავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთ. პირიქით, სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ, რომ სეგავლენა მოახდინონ თავის ან უცხოურ გამოშვებაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. პოლიტიკის ასეთი ასიმეტრია ასახავს იმ ფაქტს, რომ რეზერვის ცენტრს არ უწევს თავისი საგადასახადო ბალანსის დაფინანსების ხარჯების გაწვევის უღელის ტარება.
8. ოქროს სტანდარტის დროს ყველა ქვეყანა აფიქსირებს თავის ფასს ოქროს გამოსახულებით. რითაც თავიდან იცილებს ასიმეტრიას – ნიშანდობლივს სარეზერვო ვალუტის სტანდარტისათვის – და ზღუდავს ქვეყნების ფულადი მასის ზრდას. მაგრამ ოქროს სტანდარტს სერიოზული ნაკლი აქვს, რომლის გამო მისი გამოყენება დღევანდელი ფულად-საკრედიტო სისტემის ორგანიზებისთვის არაპრაქტიკულია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწესებული, დოლარზე დაფუძნებული, ოქროს გაცვლითი სტანდარტიც კი სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

პირითაღი ტერმინები

საგადასახადო ბალანსის კრიზისი
ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგება
ევროპის მონეტარული სისტემა
ოქროს სტანდარტი
აქტივის სრულყოფილი შენაცვლებადობა
სარეზერვო ვალუტა
რისკის პრემია
ინტერვენცია

კაპიტალის გადინება
დეველუაცია
ოქროს კურსის სტანდარტი
აქტივის არასრულყოფილი შენაცვლებადობა
მართვადი მცურავი გაცვლითი კურსი
რეველუაცია
უცხოური ვალუტის სიგნალიზის ეფექტი
უცხოური ვალუტის სტერილიზებული ინტერვენცია

კითხვები

1. გვიხვენეთ, როგორ ზეგავლენას მოახდენს ცენტრალური ბანკის ადგილობრივი აქტივების ექსპანსია საბალანსო ანგარიშგებაზე ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს. როგორ აისახება ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციები უცხოური ვალუტის ბაზარზე საგადასახადო ბალანსის ანგარიშგებაში?
2. პირველ კითხვაში მოცემული მოთხოვნები შეასრულეთ სამთავრობო დანახარჯების ზრდასთან მიმართებაში.
3. აღწერეთ მოულოდნელი დეველუაციის შედეგი ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშგებასა და საგადასახადო ბალანსის ანგარიშგებაზე.
4. ამ თავში მოცემული მოდელის შესაბამისად ახსენით, რატომ აუმჯობესებს დეველუაცია მიმდინარე ანგარიშს (მინიშნება: გაითვალისწინეთ მე-16 თავში განხილული XX მრუდი).
5. „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 1986 წლის სექტემბერში დაიბეჭდა სტატია, სადაც ნათქვამია შემდეგი:

„ევროპის ცენტრალურ ბანკებს მოუწევთ მარკის გაყიდვა და დოლარის ყიდვა, რათა დოლარი დაიცვან დაცემისაგან დასავლეთ გერმანულ მარკასთან მიმართებაში, ანუ იმ პროცედურის განხორციელება მოუხდებათ, რომელიც ინტერვენციის სახელწოდებითაა ცნობილი. მაგრამ ბაზარზე ვალუტების კალათა მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე ყველა ქვეყნის მარაგი.“

მილიარდობით დოლარის ღირებულების ვალუტებით ვაჭრობენ ყოველდღე. აშშ-სა და იაპონიის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია, რომ ბაზრის ინტერვენციას, ევროგაერთიანების ორი, ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ძლიერად მოსილი წევრის, ბრიტანეთისა და დასავლეთ გერმანიის მხარდაჭერის გარეშე, დიდი შემოქმედება კქონდეს ბაზრებზე. ევროგაერთიანების ცენტრალური ბანკების ჩარევის განზრახვა გახლენდა ბასარს თავისი ფსიქოლოგიური შემოქმედების გამო.

ეკონომისტები ამბობენ, რომ ინტერვენცია მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ბაზრები არაჩვეულებრივად არასტაბილური ხდებიან, რაც შეინიშნებოდა პრეზიდენტის მკვლევლობასთან დაკავშირებულ მოხსენებებში, ან მაშინ, როდესაც ინტერვენცია გამოიყენება იმისათვის, რომ ბაზარს იმ მიმართულებით უბიძგოს, რომელსაც იგი უკვე მიჰყვება“.

- a) ეთანხმებით თუ არა სტატიაში მოცემულ შეხედულებას, რომ გერმანიას დიდი შემოქმედების მოხდენა არ შეუძლია გერმანული მარკის გაცვლით კურსზე?

- ბ) ეთანხმებით თუ არა სტატიის ბოლოს მოცემულ შეხედულებას ინტერვენციის ეფექტურობის შეფასებასთან დაკავშირებით?
- გ) განიხილეთ – „უბრალო განზრახვას“ როგორ შეუძლია ჰქონდეს „ფსიქოლოგიური ზემოქმედება“ უცხოური ვალუტის ბაზარზე.
- დ) სცადეთ, სემოსთ მოცემული ციტატი ისე გადმოსცეთ, რომ ამ თავში განიხილული მოსაზრებები ასახოს.
6. შეგიძლიათ თუ არა განიხილოთ მიზეზები იმისა, რატომ უნდა სურდეს მთავრობას, რომ თავისი უფლებები ნაწილობრივ შესწიროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებას გაცვლითი კურსის გამყარების მიზნით?
 7. ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს როგორ ახდენს ფისკალური ექსპანსია ზემოქმედებას ქვეყნის მიმდინარე ანგარიშზე?
 8. ახსენით, დროებით და მუდმივ ფისკალურ ექსპანსიას რატომ არა აქვს სხვადასხვა შედეგი ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს, როგორც ეს ხდება მცოცავი კურსის შემთხვევაში.
 9. დევალვაცია ხშირად გამოიყენება ქვეყნების მიერ სავალუტო ანგარიშების გასაუმჯობესებლად. რადგან მიმდინარე ანგარიშში უდრის ეროვნულ დანაზოგს გამოკლებული ადგილობრივი ინვესტიცია (იხ. თავი 12), ამ გაუმჯობესებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ ინვესტიცია შემცირდება, დანაზოგი გაიზრდება ან ორივე ერთად თუ მოხდება. როგორ ზეგაუქმებს მოახდენს დევალვაცია ეროვნულ დანაზოგსა ან ადგილობრივ ინვესტიციასზე?
 10. DD-AA მოდელის გამოყენებით გააანალიზეთ იმპორტის ტარიფის ზემოქმედება საგადასახადო ბალანსსა და გამოშვებაზე ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს. რა მოხდებოდა, თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთდროულად ეცდებოდა დასაქმებისა და საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებას ტარიფების დაწესებით?
 11. როდესაც ცენტრალური ბანკი ახდენს დევალვაციას საგადასახადო ბალანსის კრიზისის შემდეგ, ის ჩვეულებრივ იღებს უცხოურ რეზერვებს. შესაძლებელია კაპიტალის ასეთი შედინება აიხსნას ჩვენი მოდელის გამოყენებით? რა მოხდებოდა, ბაზარი თუ დაიჯერებდა, რომ სხვა დევალვაციას ადგილი ექნება უახლოეს მომავალში?
 12. დაეუქმეთ, ომის შემდგომი „დოლარის სტანდარტის“ სისტემის პირობებში უცხოური ცენტრალური ბანკები ფლობდნენ რეზერვებს საცალებში შენახული „მწვანე“ დოლარის და არა აშშ-ს სახაზინო თამასუქების სახით. სიმეტრიული იქნებოდა თუ ასიმეტრიული საერთაშორისო ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმი? (მინიშნება: განიხილეთ, რა მოუვა აშშ-ს გერმანული ფულის მასას, მაგალითად, როდესაც გერმანიის ბუნდესბანკი გაყიდის მარკით დოლარის ბანკნოტებს, რომელსაც ის ფლობს).
 13. ოქროს არასაკმარისი მარაგით გამოწვეული დევალვაციის თავიდან ასაცილებლად ქვეყნები ზოგჯერ იღებენ „ბიმეტალურ“ სავალუტო სტანდარტს, სადაც ვალუტაზე ფასები ფიქსირებულია როგორც ოქროთი, ასევე ვერცხლით (აშშ-ში ბიმეტალური სტანდარტი მოქმედებდა 1873 წლამდე). შეგიძლიათ დაინახოთ რაიმე განსაკუთრებული პრობლემა, რაც შეეძლო გამოეწვია ბიმეტალიზმს?
 14. „როდესაც ადგილობრივი და უცხოური ობლიგაციები სრულყოფილი შემნაცვლებლებია, ცენტრალური ბანკისთვის სულერთი უნდა იყოს, ადგილობრივ აქტივებს გამოიყენებენ, თუ უცხოურს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გასატარებლად“. განიხილეთ ეს.
 15. ზოგჯერ უცხოური ვალუტის ინტერვენცია აშშ-ს მიერ ხორციელდება ვალუტის კურსის სტაბილიზაციის ფონდის ან ფინანსთა სამინისტროს ფილიალის მიერ, რომელიც მართავს აშშ-ს მთავრობისა და უცხოური ვალუტით ობლიგაციების პორტფელს. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ფილიალის ინტერვენცია იენის მხარდასაჭერად გამოიწვევს პორტფელის შეცვლას (დოლარის აქტივებიდან იენის აქტივებში). უნეკნეთ, რომ ფინანსთა სამინისტროს ფილიალის ინტერვენცია ავტომატურად არის სტერილიზებული და ამდენად არ ცვლის ფულის მასას. როგორ ახდენს ზემოქმედებას ფინანსთა სამინისტროს ფილიალის ოპერაციები უცხოური ვალუტის კურსის რისკის პრემიაზე?
 16. 17-6 გრაფიკი გამოიყენეთ იმის ასახსნელად, თუ როგორ შეუძლია ცენტრალურ ბანკს ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მაშინ, როდესაც გაცვლითი კურსის ფიქსირებულად ინარჩუნებს არასრულყოფილი შენაცვლებადობის პირობებში.

წონასწორობა უცხოური ვალუტის ბაზარზე აქტივის არასრულყოფილი შენაცვლევადობით

ამ დანართში განხილულია უცხოური ვალუტის ბაზრის მოდელი, სადაც რისკის ფაქტორების გამო ადგილობრივი ვალუტა და აქტივები (უცხოური ვალუტით) არასრულყოფილი შემნაცვლევები შეიძლება გახდნენ. მოდელში მოცემულია რისკის პრემია, რამაც შეიძლება ერთმანეთისგან განაცალკეოს მოსალოდნელი უკუგება ადგილობრივი და უცხოური აქტივებიდან.

მოთხოვნა

რადგან ინდივიდებს არ მოსწონთ სარისკო სიტუაციები, რაც მათ ქონებას დღითიდღე არასასურველი შეცვლით ემუქრება, ისინი ეცდებიან, განათავსონ იგი სხვადასხვა აქტივებში იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სარისკოა პორტფელი და მის მიერ შემოთავაზებული მოსალოდნელი უკუგება. მაგალითად, პირმა, რომელიც თავის ქონებას მთლიანად ბრიტანულ გირვანქად აქცევს, შეიძლება ივარაუდოს მაღალი უკუგება, მაგრამ სურათი სრულიად საპირისპირო იქნება, გირვანქა სტერლინგი თუ გაუფასურდება. უფრო აზრიანი სტრატეგია იქნებოდა ინვესტირება სხვადასხვა ვალუტით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთ ვალუტას უფრო დაბალი მოსალოდნელი უკუგება ექნება, ვიდრე გირვანქა სტერლინგს; ამით შემცირდება არასასურველი ზეგავლენა ქონებაზე. გამოწვეული ნებისმიერი ერთი ვალუტის კურსის შეცვლით; ინდივიდს შეუძლია შეამციროს თავისი ქონების მერყეობა, რამდენიმე ვალუტას შორის თუ გაანაწილებს რისკს.

მოსაზრებები რისკის შესახებ აზრიანს ხდის იმის დაშვებას, რომ ინდივიდის მოთხოვნა პროცენტის მომტან აქტივებზე (ადგილობრივი ვალუტით) იზრდება, როდესაც მათ მიერ შემოთავაზებული R საპროცენტო განაკვეთი მატულობს უცხოური ვალუტის აქტივებიდან, ადგილობრივი ვალუტით მიღებულ უკუგებასთან შედარებით $[R^* + (E^* - E)/E]$. სხვა გზით, ინდივიდი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოისურვებს, რომ გაზარდოს თავისი პორტფელის რისკის ხარისხი ადგილობრივი ვალუტის აქტივებში უფრო მეტი ინვესტიციების ჩადებით, თუ შეფარდებითი მოსალოდნელი უკუგების ზრდა კომპენსირებული იქნება ორივე აქტივიდან.

ამ ვარაუდს შევაჯამებთ, თუ i -თი აღვნიშნავთ ინდივიდის მოთხოვნას ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციებზე, B^d -თი უკუგების ნორმის ზრდის ფუნქციის განსხვავებას ადგილობრივ და უცხოურ ობლიგაციებს შორის; გვექნება ტოლობა:

$$B^d = B^d [R - R^* - (E^* - E)/E].$$

რასაკვირველია, B^d ასევე დამოკიდებულია ინდივიდისათვის დამახასიათებელ სხვა ისეთ სპეციფიკურ ფაქტორებზე, როგორც არის მისი ქონება და შემოსავალი. ადგილობრივი ვალუტით ობლიგაციებზე მოთხოვნა შეიძლება იყოს ნეგატიური ან პოზიტიური და პირველ შემთხვევაში i ინდივიდი არის ადგილობრივი ვალუტის წმინდა მსესხებელი, ან ფასიანი ქაღალდების მიმწოდებელი ადგილობრივი ვალუტით.

ფასიან ქაღალდებზე ერთობლივი კერძო მოთხოვნის საპოვნელად საჭიროა, B^d ინდივიდუალური მოთხოვნა დაეუმატოთ მსოფლიოს ყველა i ინდივიდის მოთხოვნას. ეს შეჯამება გვაძლევს B^d ადგილობრივი ვალუტით ობლიგაციებზე ერთობლივ მოთხოვნას, რომელიც უკუგების მოსალოდნელი ნორმის მზარდი ფუნქციის განსხვავებაც არის ადგილობრივი ვალუტით აქტივების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე:

$$\begin{aligned} \text{მოთხოვნა} &= B^d [R - R^* - (E^* - E)/E] \\ &= \text{ყველა } i\text{-ისათვის შემდეგი ჯამისა } B^d_i [R - R^* - (E^* - E)/E]. \end{aligned}$$

რადგან კერძო ინდივიდების ნაწილმა შეიძლება ისესხოს, ამიტომ B^d ობლიგაციების მიწოდება უნდა აიხსნას, როგორც კერძო სექტორის წმინდა მოთხოვნა აქტივებზე ადგილობრივი ვალუტით.

მიწოდება

რადგან B^d ავხსენით, როგორც კერძო სექტორის წმინდა მოთხოვნა ობლიგაციებზე ადგილობრივი ვალუტით, მიწოდების შესაბამისი ცვლადი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ბაზრის წონასწორობა, არის ადგილობრივი ვალუტით ობლიგაციების წმინდა მიწოდება, ანუ ობლიგაციების მიწოდება, რაც წარმოადგენს ნებისმიერი კერძო ინდივიდის ვალდებულებას. წმინდა მიწოდება ტოლია სამთავრობო ობლიგაციების იმ ღირებულებისა ადგილობრივი ვალუტით, რომელთაც ფლობს მოსახლეობა - B . ეს კი ნაკლებია ადგილობრივი ვალუტით აქტივების ღირებულებისა, რომელთაც ფლობს ცენტრალური ბანკი, A :

$$\text{მიწოდება} = B - A.$$

A უნდა გამოაკლდეს B-ს, რათა მივიღოთ ობლიგაციების წმინდა მიწოდება, რადგან ცენტრალური ბანკის მიერ ობლიგაციების შესყიდვა ამცირებს კერძო ინვესტორებისათვის ხელმისაწვდომ ფულის მასას (უფრო სოგადად, B-ს უნდა გამოვაკლოთ უცხოური ცენტრალური ბანკების მფლობელობაში არსებული აქტივები ადგილობრივი ვალუტით).

წონასწორობა


რისკის პრემია, p , განისაზღვრება მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთქმედებით. მისი ფორმულაა:

$$p = R - R^* - (E^* - E)/E,$$

აქ ნაჩვენებია განსხვავება ადგილობრივ და უცხოურ ობლიგაციებში მოსალოდნელი უკუგების მიხედვით. ჩვენ შეგვიძლია ჩაეწეროთ კერძო სექტორის ობლიგაციები ვალუტით, როგორც p -ს მსარდი ფუნქცია. 17დI-1 გრაფიკი გვიჩვენებს ამ ურთიერთობას ადგილობრივი ვალუტით ობლიგაციების მოთხოვნის მრუდის პოზიტიური დაქანებით.

ობლიგაციების მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, როდესაც $B - A^1$, რადგან ბაზრებისათვის ობლიგაციების მიწოდება განისაზღვრება მთაწრობისა და ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებით და დამოუკიდებელია რისკის პრემიისაგან. წონასწორობა სახეზეა (1) წერტილში (p^1 რისკის პრემიით), სადაც კერძო სექტორის წმინდა მოთხოვნა (ადგილობრივი ვალუტით) ობლიგაციებზე ტოლია წმინდა მიწოდებისა. აღსანიშნავია, რომ R, R^* და E^* ღირებულებებისათვის გრაფიკში მოცემული წონასწორობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გაცვლითი კურსის განმსაზღვრელი, რადგან $E = E^*/(1 + R - R^* - P)$.

გრაფიკი 17დI-1 ადგილობრივი ობლიგაციების მიწოდება და უცხოური ვალუტის რისკის პრემია აქტივის არასრულყოფილი შენაცვლებადობის დროს



ადგილობრივი ვალუტის ობლიგაციების მასის ზრდა, რაც უნდა გააჩნდეს კერძო სექტორს, ზრდის რისკის პრემიას ადგილობრივი ვალუტის აქტივებზე.

17დI-1 გრაფიკი გვიჩვენებს ცენტრალური ბანკის მიერ ადგილობრივი აქტივების გაყიდვას, რაც ამცირებს მისი ადგილობრივი აქტივების რეზერვებს ($A^2 < A^1$). ეს რეალიზაცია ზრდის ადგილობრივი ვალუტით ობლიგაციების წმინდა მიწოდებას ($B - A^2$) და მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. ახალი წონასწორობა სახეზეა (2) წერტილში, ხოლო რისკის პრემია $p^2 > p^1$. ამის მსგავსად, ადგილობრივი ვალუტით სამთაწრობო ვალის ზრდა, B , გაზრდის რისკის პრემიას.

მოდელი ადგენს, რომ რისკის პრემია არის სტერილიზებული ინტერვენციის განხილვისას დაშვებული $B - A$ -ს მსარდი ფუნქცია, რამაც მიგვიყვანა (17-3) ტოლობამდე.

მე-17 თავის II დანართი

ფულად-საკრედიტო მიღბომა საბაღამხდლო ბალანსის მიმართ

ზემოთ განხილული მკიდრო კავშირი ქვეყნის საგადასახადო ბალანსსა და მისი ფულის მასას შორის გეთაყვასობს იმას, რომ ცენტრალური ბანკის რეზერვების მერყეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ცვლილებების შედეგი ფულის ბაზარში. საგადასახდლო ბალანსის გაანალიზების ამ მეთოდს ეწოდება **ფულად-საკრედიტო მიღბომა საგადასახდლო ბალანსის მიმართ**. ეს მიდგომა დამუშავდა 1950-1960-იან წლებში საერთაშორისო საეკონომიკო ფონდის კვლევის დეპარტამენტის, კერძოდ ჯეკ ჯ. პოლაკის, რობერტ ა. მანდელის და მათი სტუდენტების მიერ ჩიკაგოს უნივერსიტეტში.

ფულად-საკრედიტო მიდგომა შეიძლება ავსნათ მარტივი მოდელით, რომელიც საგადახდელო ბალანსს ფულის ბაზართან აკავშირებს. დასაწყისისათვის გაიხსენეთ, რომ ფულის ბაზარი გაწონასწორებულია, როდესაც რეალური ფულის მასა ტოლია რეალურ ფულზე მოთხოვნისა, ანუ როდესაც

$$M^s/P = L(R, Y). \quad (17\text{დII-1})$$

ახლა F^* -ით აღვნიშნოთ ადგილობრივი ეალეკით გასომილი ცენტრალური ბანკის აქტივები, ხოლო A -ით მისი ადგილობრივი აქტივები, ადგილობრივი კრედიტი. თუ p არის ფულის მულტიპლიკატორი, რომელიც განასაზღვრავს ურთიერთობას ცენტრალური ბანკის მთელ აქტივებსა ($F^* + A$) და ფულის მასას შორის, მაშინ

$$M^s = \mu(F^* + A). \quad (17\text{დII-2})$$

ცენტრალური ბანკის უცხოურ აქტივებში ცვლილება დროის ნებისმიერი პერიოდისთვის, ΔF^* , ტოლია საგადასახადო ბალანსისა (არასარეზერვო ვალუტის ქვეყნისთვის). ტოლობების: (17დII-1) და (17დII-2) კომბინირებით შევსლებთ ცენტრალური ბანკის უცხოური აქტივების გამოსახვას შემდეგნაირად:

$$\Delta F^* = (1/\mu)\Delta[PL(R, Y)] - \Delta A. \quad (17\text{დII-3})$$

ბოლო ტოლობა აჯამებს ფულად-საკრედიტო მიდგომას. ტოლობის მარჯვენა მხარე ასახავს ცვლილებებს ნომინალური ფულის მოთხოვნაში და მიგვანიშნებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ფულზე მოთხოვნის ზრდა მოიტანს საგადახდელო ბალანსის დადებით სალდოს და ფულის მასის თანმხლებ ზრდას, რაც განამტკიცებს ფულის ბაზრის წონასწორობას. საგადახდელო ბალანსის ტოლობის მეორე ნაწილი ასახავს ფულის ბაზრის მიწოდების ფაქტორებს. სხვა თანაბარ პირობებში ადგილობრივი კრედიტის ზრდა ადიდებს ფულის მასას მოთხოვნასთან შედარებით; ამდენად, საგადახდელო ბალანსში დეფიციტი უნდა იყოს ფულის მასის შესამცივებლად და ფულის ბაზრის წონასწორობის აღსადგენად.

რადგან საგადასახადო ბალანსი ტოლია მიმდინარე და (არასარეზერვო) კაპიტალის ანგარიშის დადებითი სალდოსი (იხ. თავი 12), ფულად-საკრედიტო მიდგომამდე არსებული ეკონომიკური ლიტერატურის უდიდეს ნაწილში მოცემული იყო საგადახდელო ბალანსის მოძრაობა, როგორც მიმდინარე კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ცვლილების შედეგი. ფულად-საკრედიტო მიდგომის მნიშვნელოვანი წვლილი იყო იმის ხაზგასმა, რომ ბევრ ვითარებაში საგადახდელო ბალანსის პრობლემები მომდინარეობდა უშუალოდ ფულის ბაზრის დისბალანსისაგან და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილება ყველაზე უფრო სათანადო იყო. მაგალითად, საგადახდელო ბალანსის დეფიციტი შეიძლება იყოს გამოწვეული ტარბი ადგილობრივი კრედიტებით. მიუხედავად იმისა, რომ საგადახდელო ბალანსის ასეთი დეფიციტი გამოიწვევს როგორც მიმდინარე, ასევე კერძო კაპიტალის ანგარიშებში დეფიციტს, შეცდომა იქნებოდა, იგი არსებითად მიგვეჩინა, როგორც ეგზოგენური შემცირების შედეგად მიღებული შემცირება ადგილობრივ საქონელსა და აქტივებზე მსოფლიოს მოთხოვნაში.

მრავალი რეალური შემთხვევა არსებობს, სადაც საგადახდელო ბალანსის ანალიზი, დაფუძნებული ფულად-საკრედიტო მიდგომაზე, არაპირდაპირია და ალბათ შეცდომაში შემყვანი პოლიტიკური მიმართულება. მაგალითად, დავეუშვათ, რომ სახეზეა ადგილობრივ პროდუქციაზე უცხოური მოთხოვნის შემცირება. ეს ცვლილება გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშისა და საგადახდელო ბალანსის შემცირებას, მაგრამ ეს სემოქმედება შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს (როდესაც კაპიტალის ანგარიშის მკაცრი შესღუდვები შეუსაბამოა) დროებით ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკასთან.

რადგან გამოშვებაც და ფულზე მოთხოვნაც მცირდება, ფულად-საკრედიტო მიდგომა გეთავაზობს იმას, რომ საგადახდელო ბალანსის დეფიციტი ექსპორტზე მოთხოვნის შემცირების გამო წარმოიქმნება. არასწორი იქნებოდა პოლიტიკის შემქმნელების შემდეგი დასკვნა: რადგან საგადახდელო ბალანსის დეფიციტი ასოცირებულია ფულზე მოთხოვნის შემცირებასთან, ადგილობრივი აქტივის შემცირება საუკეთესო პასუხს წარმოადგენს. ცენტრალური ბანკი იძულებული რომ ყოფილიყო, შეემცირებინა ადგილობრივი კრედიტები საგადახდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად, უმუშევრობის დონე მაღალი დარჩებოდა და გაიზრდებოდა კიდევ.

მაშინ, როდესაც ფულად-საკრედიტო მიდგომა მეტად სასარგებლო ანალიტიკურ იარაღს წარმოადგენს, ის სიფრთხილით უნდა იყოს გამოყენებული მაკროეკონომიკური პრობლემების კვლევის დროს. პოლიტიკურ პრობლემებზე, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების შეცვლის უშუალო შედეგს, გადაწყვეტილებების ფორმულირება მეტად სასარგებლოა.

საგადასდელი ბალანსის კრიზისის დროის ნორმირება

სემით აუაგეთ საგადასდელი ბალანსის კრიზისის მოდელი, როგორც ცენტრალური ბანკის დაპირების – ფიქსირებულად შეინარჩუნოს გაცვლითი კურსი მომავალში – მიმართ რწმენის უეცარი დაკარგვა. ჩვენს ანალიზში არაფერია ნათქვამი იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ რწმენის ასე დაკარგვას. ალბათ, საოცარია, რომ ფულად-საკრედიტო კრიზისი ხშირად არ არის ბაზრის „განწყობის“ ნებაყოფლობითი შეცვლის შედეგი, როგორც ამასე კრიზისით დაბნეული, გაღიზიანებული პოლიტიკის შემქმნალები კამათობენ ხოლმე. ამის ნაცვლად, მარტივი ეკონომიკური თეორიის მეშვეობით შესაძლებელია დაეადგინოთ კრიზისის აღმკვეთი მექანიზმები სამთავრობო პოლიტიკისა და მის მიმართ ბაზრის რაციონალური პასუხის გულდასმითი ანალიზის მეშვეობით.

ყველაზე ადვილია, შევიჩუქოთ ძირითადი შეხედულებები საგადასდელი ბალანსის მიმართ არაფულად-საკრედიტო მიდგომის ნაწარმებისა თუ ვარაუდების (რაც განხილულია ამ თავის მე-2 დანართში) და ფულად-საკრედიტო მიდგომის გამოყენებით გაცვლითი კურსის მიმართ (თავი 15). გასამარტივებლად დაეუშვათ, რომ გამოშვების ფასები სრულყოფილად მოქნილია და თვით გამოშვება მედმივია სრული დასაქმების დონეზე. ასევე დაეუშვათ, რომ ბაზრის მონაწილეები სუსტად ივარაუდებენ მომავალს; ეს იქნება დაშვება, რაც გამორიცხავს მოლოდინის ნებაყოფლობით შეცვლას.

ანალოგიების კრიზისის დროის სუსტი ნორმირება არ შეიძლება სამთავრობო პოლიტიკისგან დამოუკიდებლად. კერძოდ, უნდა გავერკვეთ არა მხოლოდ იმაში, თუ როგორ იქცევა მთავრობა დღეს, არამედ – როგორ აპირებს იგი მომავალ ეკონომიკურ მოვლენებზე რეაგირებას. ოფიციალური ღონისძიებების შესახებ ორი რამ შეიძლება დაეუშვათ: (1) ცენტრალური ბანკი A ადგილობრივი კრედიტის მარაგს სტაბილურად გაფართოების უფლებას მისცემს და ამას მედმივად გააკეთებს; (2) ცენტრალური ბანკი გაცვლით კურსს ამჟამად აფიქსირებს E° დონეზე, მაგრამ გაცვლით კურსს მედმივი თავისუფალი ცოცვის უფლებას მისცემს, თუ მისი ცენტრალური რეზერვები, F*, ოდესმე ნულამდე დაეცემა. უფრო მეტიც, უფლებამოსილი პირები დაიცავენ E° დონეს პრინციპულად უცხოური რეზერვების ამ ფასად გაყიდვით, რადგან მათ ამის შესაძლებლობა ექნებათ.

ეს ვარაუდები მთლად რეალური არ არის, მაგრამ გარკვეულ სირთულეებს შეუძლიათ მსგავს დასკვნებამდე მიგვიყვანონ. შეგვიძლია I ვარაუდი მივიჩნიოთ სამთავრობო მოთხოვნის – ცენტრალური ბანკიდან ფულის პირდაპირი სესხებით დააფინანსოს თავისი ბიუჯეტის დეფიციტი – ამსახველად. ასეთი პოლიტიკური კურსი გაზრდის A-ს დროთა განმავლობაში მთავრობის მიმართ ცენტრალური ბანკის მოთხოვნების გადიდებით, რაც იგივეა, რაც ადგილობრივი აქტივები. მეორე ვარაუდი შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალური ბანკის უნარის – ისესხოს უცხოური რეზერვები თავისი ვალუტის სპეკულაციური შეტევისაგან დასაცავად – შესდევდვის ამსახველად. რაკი ცენტრალურმა ბანკმა გამოიყენა თავისი რეზერვები და უცხოური ვალუტის საკრედიტო ხაზები მას აღარ რჩება სხვა არჩევანი იმის გარდა, რომ თავი მიანებოს თამაშს და ჩამოსცილდეს უცხოური ვალუტის ბაზარს.


ცენტრალური ბანკის პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ იგი არ შეესაბამება ფიქსირებული გაცვლითი კურსის განუსაზღვრელ განმტკიცებას. ფულად-საკრედიტო მიდგომა გეთავაზობს იმას, რომ უცხოური რეზერვები მყარად შემცირდება ადგილობრივი აქტივების მედმივი ზრდის გამო. რეზერვებიც ბოლოს და ბოლოს ამოიწურება და აუცილებელი გახდება E° გაცვლით კურსზე უარის თქმა. ფაქტობრივად, სპეკულანტები აიძულებენ ცენტრალურ ბანკს, მიმართოს ემისიას; ამას ახორციელებენ სპეკულანტურ შეტევაზე გადასვლითა და ცენტრალური ბანკის ყველა რეზერვის შესყიდვით მანამ, სანამ რეზერვები ჯერ კიდევ პოზიტიურ დონეზეა.

ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ ამ კრიზისის დროის ნორმირება განსაზღვრებისა და გრაფიკის მეშვეობით. მცოცავი გაცვლითი კურსი t დროში აღნიშნული E°-ით, არის გაცვლითი კურსი, რომელიც დროთა განმავლობაში გადააჭარბებს t-ს, თუ ცენტრალური ბანკი არ ფლობს უცხოურ რეზერვებს; ეს უკანასკნელი ცოცვის უფლებას აძლევს ადგილობრივ ვალუტას, მაგრამ დროთა განმავლობაში ადგილობრივ კრედიტს კვლავაც ზრდის საშუალებას უტოვებენ. გაცვლითი კურსის მიმართ ფულად-საკრედიტო მიდგომიდან ვიცით, რომ შედეგად მივიღებთ მიმდინარე ინფლაციას, სადაც E° დროთა განმავლობაში სუეით აიწეეს, ადგილობრივი კრედიტის ზრდის ნორმის პროპორციულად. 17III-1 გრაფიკის სედა ნაწილში ნაჩვენებია სედადართული მრუდი მცოცავი კურსით, E° დონესთან ერთად, სადაც გაცვლითი კურსი თაყდაპირველად მიბმულია. T დრო, რომელიც პორისონტალურ დერაშეა აღნიშნული, წარმოადგენილია როგორც თარიღი, რომლის დროსაც წრდილსეანი გაცვლითი კურსი მიაღწევს 0 წერტილს.

გრაფიკის ქვედა მხარე გვიჩვენებს, თუ რა მოხდით რეზერვებს დროთა განმავლობაში, როდესაც ადგილობრივი კრედიტი მყარად იზრდება (რეზერვების ზრდა ნაჩვენებია ქვეით გადაადგილებით ევრტიკალური მრუდის ნაყოლებასე). რეზერვების მიმართულებას გამოსახავს მრუდის მიერ შეკრული წრე, რომელიც თანდათანობით მცირდება T დრომდე, სადაც დროის რეზერვები აღინიშნებიან სედადართული მრუდსე. რეზერვების

ასეთი ზარალი ($F \cdot T$) სპეკულატიური შეტევაა, რაც აჩქარებს ფიქსირებული გაცვლითი კურსის დასასრულს; ახლა დავასკვნით, რომ ასეთ შეტევა აღინიშნება T დროში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ბაზრების რეკულირებას მიუღმიყავდ ექნება ადგილი.

გრაფიკი 17დIII-1 საგადასახადო ბალანსის დროის ნორმირების განსაზღვრა



ბაზარი სპეკულატურად უტეკს და ყიდულობს დარჩენილ უცხოურ F სარეზერვო მარაგს T დროში, როდესაც მუქი, მცოცავი E^1 ვალუტის კურსის მრუდი უდრის კრახამდელ E^2 ვალუტის ფიქსირებულ კურსს.

დაეუშვათ, გამოშვება ფიქსირებულია, მაშინ ტოლობა (17დIII-3) მიგვანიშნებს, რომ რეზერვები შემცირდება იმავე ნორმით დროთა განმავლობაში, რითაც ადგილობრივი კრედიტი გაიზრდება, რადგან ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი R არ შეიცვლება. რა ვიცით საპროცენტო განაკვეთის ქცევის შესახებ? ჩვენთვის ცნობილია, რომ როდესაც გაცვლითი კურსი ფიქსირებულია, R ტოლი იქნება R^* უცხოური საპროცენტო განაკვეთისა, რაკი მოსალოდნელი არ არის არანაირი გაუფასურება. ამდენად, რეზერვები თანდათანობით გამოილეკა დროთა განმავლობაში (რაც მოცემულია 17დIII-1 გრაფიკში), რადგან გაცვლითი კურსი ფიქსირებული რჩება E^2 -ზე.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რეზერვების თავდაპირველი მოქმედება აღინიშნება ნულზე T' -ის მსგავს დროის პერიოდში, რომელიც უფრო გვიანია, ვიდრე T დრო. ჩვენი გაცვლითი კურსი E^2 განსაზღვრულია, როგორც წონასწორული გაცვლითი კურსი, რომელიც მაშინ იძენს გაბატონებულ მდგომარეობას, როდესაც უცხოური რეზერვები ნულის ტოლია. ასე რომ, თუ რეზერვები პირველად იმოქმედებს ნულის დონეზე T' პერიოდში, უფლებამოსილი პირები სამუდამოდ იტყვიან უარს E^2 -ზე და გაცვლითი კურსი დაუყოვნებლივ აეზარდება უფრო მაღალ E^3 დონეზე. რაღაც არასწორია ამ „წონასწორობაში“. ბაზრის ყოველმა მონაწილემ იცის, რომ ადგილობრივი ვალუტა შეკეთრად გაუფასურდება T' დროში და ეცდება, რომ სარგებელი ნახოს უცხოური რეზერვების ყიდვით ცენტრალური ბანკისაგან უფრო დაბალ E^0 ფასად, ზუსტად T' დრომდე. ამდენად, ცენტრალური ბანკი დაკარგავს მთელ თავის რეზერვებს T' -მდე; ეს უკვე ჩვენი ვარაუდის საპირისპიროა – რეზერვების პირველი ზეგავლენა აღინიშნება ნულზე T' -ის დროს. ე.ი. ზემოთ მოცემული მდგომარეობა რეალურად არც ყოფილა წონასწორობა.

შეძლებთ კი წონასწორობამდე მისვლას, თუ ამის ნაცვლად დაეუშვებთ, რომ სპეკულანტები გამოისყიდონ ოფიციალური რეზერვის მარაგს T'' -ის მსგავს დროის პერიოდში, რაც T' -ზე უფრო ადრინდელია? პასუხი კვლავ უარყოფითი იქნება, რაშიც შეგიძლიათ დარწმუნდეთ შემდეგით: რა არჩევანის წინაშე დგას აქტივის ინდივიდუალური მფლობელი? მან იცის, რომ თუ ცენტრალური ბანკის რეზერვები ნულამდე დაეცა T'' დროში, ვალუტის კურსი აიწეოს E^2 -დან E^3 -მდე, რადგან ცენტრალური ბანკი დატოვებს უცხოური ვალუტის ბაზარს. ეს აუცილებელს გახდის იმას, რომ ინდივიდი არ მიემხროს რაიმე სპეკულაციურ შეტევას, რაც რეზერვებს ნულისკენ უბიძგებს T'' დროის პერიოდში. ფაქტობრივად ის ამჯობინებს, რომ ცენტრალურ ბანკს იმდენი უცხოური ვალუტა მიჰყიდოს, რაც კი შესაძლებელია T'' დროის პერიოდამდე და კრიზისის შემდეგ ისევ უკან შეისყიდოს ბაზრით განსაზღვრულ უფრო დაბალ ფასად. რადგან ბაზრის ყოველი მონაწილე ჩათვლის, რომ ეს გ'ზა მის ინტერესებში შედის, სპეკულაციური შეტევა უბრალოდ არ შეიძლება მოხდეს T დრომდე. არც ერთი სპეკულანტი არ მოინდომებს ცენტრალური ბანკის რეზერვების ყიდვას E^0 ფასით, იცის რა, რომ კაპიტალის უეცარი დაკარგვა მოახლოებულია.

მხოლოდ თუ უცხოური რეზერვები იმოქმედებენ ნულზე T დროის პერიოდში, აქტივის ბაზრები მუდმივად იქნებიან წონასწორობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ T დროის პერიოდი განისაზღვრება შემდეგი პირობით

$$E^s = E^o,$$

რაც ადგენს, რომ თუ რეზერვები უეცრად ნულამდე დაეცემა T დროის პერიოდში, გაცვლითი კურსი დარჩება თავდაპირველ დონეზე და მხოლოდ შემდგომ იცოცებს ზევითკენ. გაცვლითი კურსის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საწყისი ნახტომის არარსებობისას, განურჩევლად იმისა, ზევით იქნება ეს თუ ქვევით (ზემოთ აღწერილი) არბიტრაჟის შესაძლებლობებს შეცვლის, რაც ხელს შეუშლის სპეკულაციურ შეტევას T' ან T'' დროის მსგავს პერიოდებში. გარდა ამისა ფულის ბაზარი წონასწორობაში რჩება T დროში თუნდაც მაშინ, როდესაც გაცვლითი კურსი არ იცვლება, რადგან ორი ფაქტორი ზუსტად აბათილებს ერთიმეორეს – რადგან რეზერვები მკვეთრად ეცემა ნულამდე, ფულის მასაც მცირდება (იხ. ტოლობა (17დII-2)). ჩვენ ასევე ვიცით, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც ფიქსირებული გაცვლითი კურსი გაუქმებულია, ხალხი მოელის ვალუტის გაუფასურებას დროთა განმავლობაში. ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი R ზემოთ აიწევს საპროცენტო პარიტეტის განსამტკიცებლად და ეს ცვლილება შეამცირებს რეალურ ფულზე მოთხოვნას რეალური ფულის მიწოდების შესაბამისად.

ჩვენ განვსაზღვრეთ ზუსტი თარიღი, როდესაც საგადასახადო ბალანსის კრიზისი აიძულებს ხელისუფლებას, უარი თქვას ფიქსირებულ გაცვლით კურსზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მაგალითში კრიზისს კიდევ ერთხელ ექნება ადგილი რაღაც წერტილში, რადგან უყაირათო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კრიზისს გარდაუვალს ხდის. იმ ფაქტის შესაბამისად, რომ კრიზისს ადგილი ექნება მაშინ, როდესაც ცენტრალური ბანკის რეზერვები ჯერ კიდევ პოზიტიური იქნება, ზერელე დამკვირვებლები შემგვთავაზებენ, რომ არასწორად დაფუძნებული ბაზრის „განწყობა“ გამოიწვევს წინასწარ პანიკას. ეს ასე არ უნდა იყოს. ჩვენს მიერ გაანალიზებული სპეკულაციური შეტევა ერთადერთი შედეგია, რაც არ უპირისპირდება ბაზრის მონაწილეებს საარბიტრაჟო შესაძლებლობებით. არსებობს კრიზისის ალტერნატიული მოდელებიც, სადაც შეტევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც კი, თუ შეტევის არარსებობის დროს გაცვლითი კურსი მდგრადია.

IV ნაწილი

საერთაშორისო მაცროეკონომიკური პოლიტიკა

თავი 18

საერთაშორისო სავალუტო სისტემა 1870–1973 წწ.

წინა ორ თავში დავინახეთ, თუ როგორ შეუძლია ცალკეულ ქვეყანას თავის საზღვრებში გამოიყენოს ფულადი, ფისკალური და სავალუტო კურსის პოლიტიკა დასაქმებისა და წარმოების დონეების შესაცვლელად. იქვე მითითებული იყო ასეთი მოსაზრება, რომ მსოფლიოს დანარჩენი ნაწილის მაცროეკონომიკური პირობები არ განიცდიდნენ აღნიშნული ქვეყნის გავლენას. ეს მტკიცება საერთოდ არ არის საფუძვლიანი: რეალური ვალუტის კურსის ნებისმიერი ცვლილება ერთ რომელიმე ქვეყანაში ავტომატურად იწვევს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასაც, და მთლიან ადგილობრივ ხარჯებში ნებისმიერი ცვლილება იწვევს უცხოურ საქონელზე ადგილობრივი მოთხოვნის ცვლილებას. რაც არ უნდა პატარა იყოს ქვეყანა, მისი მიღწევები გავლენას ახდენენ მაცროეკონომიკურ პირობებზე მის საზღვრებს გარეთ. ეს ურთულებს საქმეს უცხოელ პოლიტიკის შემქმნელებს.

ღია ეროვნული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის გამო ხანდახან უჭირთ მთავრობებს, განახორციელონ ისეთი მიზნები, როგორცაა სრული დასაქმება და ფასების სტაბილურობა. დამოუკიდებლობის არხები, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფულად და სავალუტო კურსის იმ მექანიზმზე, რასაც ქვეყნები მიმართავენ – ესაა საერთაშორისო მონეტარული სისტემა. ეს თავი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორი გავლენა იქონია საერთაშორისო მონეტარულმა სისტემამ მაცროეკონომიკური პოლიტიკის შექმნასა და წარმართვაზე სამი პერიოდის განმავლობაში: ოქროს სტანდარტის ერა (1870-1914), ომთაშორისი პერიოდი (1918-1939) და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როცა სავალუტო კურსი დაფიქსირდა ბრეტონ ვუდსის შეთანხმების მიხედვით (1945-1973).

ღია ეკონომიკაში მაცროეკონომიკურ პოლიტიკას ორი მიზანი აქვს: შიდა ბალანსი (სრული დასაქმება ფასების სტაბილურობით) და გარე ბალანსი (საერთაშორისო გადასახადებში მეტისმეტი შეუსაბამობის თავიდან აცილება). რადგან ქვეყანას არ შეუძლია შეცვალოს თავისი საერთაშორისო გადასახადების მდგომარეობა ისე, რომ დანარჩენი მსოფლიოს გადასახადების მდგომარეობაც ავტომატურად არ შეცვალოს, ერთი ქვეყნის სწრაფვა მაცროეკონომიკური მიზნების განსახორციელებლად აუცილებლად ახდენს გავლენას სხვა ქვეყნების მიზნების მიღწევაზეც. ამიტომაც გარე ბალანსის მიზანი ნათელ სურათს იძლევა, თუ როგორ ცვლის საზღვარგარეთის პოლიტიკა ეკონომიკის მდგომარეობას იმ მდგომარეობასთან მიმართებაში, რომელსაც ადგილობრივი მთავრობა აძლევს უპირატესობას.

1870-1973 წლებში სხვადასხვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ღონისძიებებით როგორ ცდილობდნენ ქვეყნები, მიეღწიათ შიდა და გარე ბალანსისათვის და როგორ განახორციელეს ეს? აფიქრებდათ თუ არა პოლიტიკის შემქმნელებს თავიანთი ქმედებების როლი საზღვარგარეთ ან ატარებდა თუ არა თითოეული მათგანი ეროვნულ საფუძველზე შემუშავებულ ღონისძიებებს, რაც დამანგრეველი იყო მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის? ამ კითხვებზე პასუხი დამოკიდებულია საერთაშორისო სავალუტო სისტემის განხილვაზე.

მაცროეკონომიკური პოლიტიკის მიზნები ღია ეკონომიკის პირობებში

ღია ეკონომიკის პოლიტიკის შემქმნელებს ამოძრავებთ შიდა და გარე ბალანსის მიზნები. მარტივად: შიდა ბალანსი მოითხოვს ქვეყნის რესურსების გამოყენებასა და ადგილობრივი ფასის სტაბილურობას; გარე ბალანსი მიიღწევა მაშინ, როდესაც ქვეყნის მიმდინარე ანგარიში არ არის იმდენად დეფიციტური, რომ მან ვერ შეძლოს თავისი უცხოური ვალუტის გასტუმრება, და არც იმდენად ჭარბია, რომ უცხოელებმა ვერ გადაიხადონ იგი.

პრაქტიკულად, არც ერთი ეს განსაზღვრა არ მოიცავს მთლიან პოტენციურ პოლიტიკას. სრულ დასაქმებასა და მთლიანი ფასის სტაბილურობასთან ერთად, პოლიტიკის შემქმნელებს შეიძლება აინტერესებდეთ გარკვეული შემოსავლის შინაური განაწილება, როგორც დამატებითი გარე მიზანი, მაგრამ რაკი დამოკიდებულნი არიან ვალუტის კურსზე, ისინი შეიძლება შეაწუხოს უფრო საგადამხდელი ბალანსის ანგარიშების მერყეობამ, ვიდრე მიმდინარე ანგარიშისა. საქმეს უფრო ართულებს გარე და შიდა მიზნებს შორის ზღვარის გაურკვეველობა. როგორ შეიძლება ვინმემ განსაზღვროს საექსპორტო მრეწველობის დასაქმების სამომავლო გეგმა, როცა ექსპორტის ზრდა გავლენას ახდენს ეკონომიკის შესაძლებლობაზე გადაიხადოს თავისი საგარეო ვალები.

ზემოთ მოცემული გარე და შიდა ბალანსის მარტივი განმარტება გულისხმობს იმ მიზნებს, რასაც პოლიტიკის შემქმნელები იხიარებენ გარკვეული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად. ამ ანალიზის შეჯამებით განვიხილავთ შიდა და გარე ბალანსის შესაძლო დამატებით მხარეებს.

შიდა ბალანსი: სრული დასაქმება და ფასის სტაბილურობა

როდესაც საწარმოო რესურსები მთლიანადაა გამოყენებული და ფასი სტაბილურია, ქვეყანა შიდა წონასწორობის დონეზეა. როდესაც რესურსების ათვისება არასრულყოფილია, ზარალი და გაჭირვება გასაგებია. თუ ქვეყნის ეკონომიკა „გადახურებულია“ და რესურსები გადაჭარბებითაა მოხმარებული, მაშინ სხვა სახის ზარალი იჩენს თავს (თუმც ნაკლებ მტკივნეული). მაგალითად, ზედმეტ საათს მომუშავეთ ალბათ ურჩევნიათ ნაკლები იმუშაონ და ისარგებლონ თავისუფალი დროით, მაგრამ გაზრდილი მოთხოვნის პერიოდებში შეთანხმების საფუძველზე მათ მეტ საათს უნდა იმუშაონ. დიდხანს ინტენსიურად მომუშავე მექანიზმიც ხშირად გამოდის მწიბრიდან და სწრაფად უფასურდება, რომ არაფერი ეთქვამთ მუშაზე.

ნაკლები და ზედმეტი დასაქმება იწვევს საერთო ფასის ცვლილებას, რაც ეკონომიკის ეფექტურობას ამცირებს; იგი ფულადი ერთეულის რეალურ ღირებულებას ნაკლებ სარწმუნოს ხდის და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას დაბრკოლებას უქმნის. რადგან ადგილობრივი ხელფასები და ფასები მაშინ იზრდება, როცა სამუშაო ძალასა და გამოშვებაზე მოთხოვნა აჭარბებს სრული დასაქმების დონეს, და მცირდება საწინააღმდეგო შემთხვევაში, მთავრობამ უნდა აიცილოს არსებითი ცვლილებები ერთობლივ მოთხოვნაში სრული დასაქმების დონის მიმართ სტაბილური, ნაგარაუდები ფასის შესანარჩუნებლად.

ინფლაცია და დეფლაცია შეიძლება სრული დასაქმების დროსაც მოხდეს, თუ მუშებისა და ფირმების ვარაუდი მომავალი ფულადი პოლიტიკის შესახებ გამართლდება ხელფას-ფასის აღმავალი ან დაღმავალი სპირალური ცვლით, რაც შესაძლოა გაგრძელდეს მხოლოდ მაშინ, თუ ცენტრალური ბანკი უპასუხებს მათ მოლოდინს ფულის მუდმივი შეტანით (ინექციით) ან გამოტანით (თავი 14).

არამყარი ფასის ერთ-ერთი დამანგრეველი შედეგია მისი გავლენა სესხის ხელშეკრულებების რეალურ ღირებულებაზე. რადგან სესხებს ახასიათებთ დენომინირება ფულად ერთეულში, ფასის მოულოდნელი ცვლილება იწვევს შემოსავლის გადანაწილებას კრედიტორებსა და მოვალეებს შორის. მაგალითად, აშშ-ს ფასის დონის უცაბედი ზრდა აუმჯობესებს დოლარის სესხის ამღებთა მდგომარეობას, რადგან ის ფული, რაც მათ მართებთ, ახლა უფრო ნაკლები ღირს საქონლისა და მომსახურების გათვალისწინებით. ამავე დროს უუარესდება მდგომარეობა კრედიტორებს, რომელთაც შემოსავლის ასეთი შემთხვევითი განაწილებით შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეთ. მთავრობამ სხვა მიზეზის გამოც უნდა შეინარჩუნოს ფასის სტაბილურობა (ეითარება იცვლება, როდესაც თვითონ მთავრობა ადგილობრივი ვალუტის მთავარი მოვალეა. ასეთ შემთხვევაში მოულოდნელი ინფლაცია, რაც ამცირებს მთავრობის ვალის რეალურ ღირებულებას, შესაძლოა საზოგადოების დაბეგერის ხელსაყრელ საშუალებად იქცეს).

თორიულად, ფასების სრულყოფილად ნაგარაუდები ზრდა ან შემცირება არ იქნება ძნელად ასატანი, რადგან ყველას მიეცემა შესაძლებლობა, ადვილად გამოიანგარიშოს ფულის რეალური ღირებულება ნებისმიერ შემთხვევაში. მაგრამ სამყაროში ინფლაციის ნაგარაუდები ტემპი რეალურად არ ემორჩილება ვარაუდს. მართლაც, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საერთო ფასის დონის გაუთვალისწინებლობა უფრო ხშირია ფასის სწრაფი ცვლილების დროს. ეს ნათლად გამოჩნდა არგენტინასა და ბრაზილიაში, სადაც ფასის ასტრონომიულმა ზრდამ, ინფლაციამ, გამოიწვია ადგილობრივი ვალუტის, როგორც აღრიცხვის ერთეულის, მოქმედების პრაქტიკულად შეწყვეტა.

ფასის არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ არ უნდა დაუშვას გამოშვების დიდი მერყეობა; უნდა შეძლოს მიმდინარე ინფლაციისა და დეფლაციის აღკვეთა იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ფულის მასა არც სწრაფად გაიზარდოს და არც ნელა.

გარე ბალანსი: მიმდინარე ანგარიშის ოპტიმალური დონე

გარე ბალანსის ცნების განსაზღვრა უფრო ძნელია, ვიდრე შიდა ბალანსისა, რადგან არ არსებობს „სრული დასაქმების“ ან „სტაბილური ფასების“ მსგავსი ბუნებრივი ბაზა ეკონომიკის გარე გარემოებებში გამოხატულებლად. წარმოაჩენს თუ არა ეკონომიკურ პრობლემებს გარე საშეაროსთან ვაჭრობა, დამოკიდებულია რამდენიმე

ისეთ ფაქტორზე, როგორცაა ეკონომიკის გარკვეული ვითარება, გარე სამყაროს პირობები და საინსტიტუციო ღონისძიებანი (ეს უკანასკნელი მართავს ეკონომიკურ ურთიერთობებს უცხოეთთან). ქვეყანას, რომელიც იძულებულია დაადგინოს თავისი ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, ასევე შეუძლია მიიღოს გარე ბალანსის სხვადასხვა პირობა, ვიდრე იმ ქვეყანას, რომლის ვალუტა მცურავია.

საერთაშორისო ეკონომიკური სახელმძღვანელოები ხშირად აიგივებენ გარე ბალანსს ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსთან. თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს გაიგივება მისაღებია, ის ზოგად წესად მაინც არ გამოდგება. მე-12 თავში აღვნიშნეთ, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მქონე ქვეყანა სხვა ქვეყნებიდან სესხად იღებს რესურსებს, რომლის გადახდა მას მომავალში მოუხდება. ეს მდგომარეობა არასასურველი სულაც არ არის. მაგალითად, ქვეყნის შესაძლებლობა – დააბანდოს სესხად აღებული რესურსები – შესაძლოა მიმზიდველიც კი იყოს დანარჩენ მსოფლიოში არსებულ შესაძლებლობებთან შედარებით. ამ შემთხვევაში უცხოელებისაგან აღებული სესხის გასტუმრებით ქვეყანაში არ იქმნება პრობლემები, რადგან მომგებიანი დაბანდებით მიიღება საკმაოდ მაღალი მოგება ამ სესხების პროცენტისა და ძირითადი თანხის დასაფარად. ასევე, მიმდინარე ანგარიშის ნამეტიც არ ქმნის პრობლემას, თუ ქვეყნის დანაზოგი უფრო მოიგებიანადა დაბანდებული უცხოეთში, ვიდრე ადგილობრივ.

უფრო ზოგადად – მიმდინარე ანგარიშის უთანაბრობას ახლავს მეორე პრობლემა – როგორ მოგებას იღებენ იმ ვაჭრობიდან, რომელსაც ვუწოდებთ *დროთაშორის ვაჭრობას (ინტერტემპორალურს)*, ესაა სამომხმარებლო ვაჭრობა დროის გარკვეული ინტერვალებით (მე-7 თავი). საქონლის წარმოების სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ მოგება საუკეთესო წარმოებაზე კონცენტრირებითა და ვაჭრობით, იგივე შეუძლიათ მსოფლიო ინვესტიციების თავმოყრით იმ ეკონომიკაში, რომელიც კარგად ახერხებს მიმდინარე გამოშვების გარდაქმნას მომავალ გამოშვებად. სუსტი საინვესტიციო შესაძლებლობების ქვეყნებმა ადგილობრივ ცოტა უნდა დააბანდონ და თავიანთი დანაზოგი გადაიტანონ უფრო მწარმოებლურ საინვესტიციო საქმიანობაში საზღვარგარეთ. შედარებით არამომგებიანი ინვესტიციების გამო ქვეყნები უნდა იყვნენ ამჟამად არსებული გამოშვების წმინდა ექსპორტიორები (და ამით უნდა აღწევდნენ მიმდინარე ანგარიშის სიჭარბეს), შედარებით მომგებიანი ინვესტიციების მქონე ქვეყნები კი – მიმდინარე ანგარიშის წმინდა იმპორტიორები (და ამ გზით ჰქონდეთ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი). ეს უკანასკნელი თავიანთი საგარეო ვალუტის გადასახდელი ვადის დადგომისთანავე პროდუქციას გაიტანენ ექსპორტიორ ქვეყნებში და ამით დაასრულებენ არსებული გამოშვების გადაქცევას მომავალ გამოშვებად.

სხვა თვალსაზრისიც ამართლებს გაუწონასწორებელ მიმდინარე ანგარიშს. ქვეყანამ, სადაც გამოშვება დროებით ჩერდება (დაეუშეათ, უჩვეულოდ ცუდი მოსავალი), შესაძლოა უცხოეთიდან სესხი აიღოს მოხმარების დროებითი დაცემის თავიდან ასაცილებლად. ამ სესხის გარეშე არსებული გამოშვების ფასი (მომავალი გამოშვების გათვალისწინებით) უფრო მაღალი იქნება აღნიშნულ ქვეყანაში, ვიდრე საზღვარგარეთ. ასე რომ, დროთაშორის ვაჭრობას, რომელიც ფასთა ამგვარ სხვაობას გამოიწვია, მიყვავართ ურთიერთმოგებად.

ის, ვინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ საჭიროა ყველა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის წონასწორობა, მხედველობაში არ იღებს იმ მნიშვნელოვან მოგებას, რაც მიიღება დროთაშორისი ვაჭრობიდან. არც ერთი საღად მოაზროვნე თეორეტიკოსი არ ჩათვლის გაწონასწორებულ მიმდინარე ანგარიშს პოლიტიკისათვის მისაღებ განსახორციელებელ მიზნად.

მოცემული მომენტისათვის პოლიტიკის შემქმნელები მიმდინარე ანგარიშის რამდენიმე საბოლოო მიზანს გამოყოფენ და ამით განსაზღვრავენ გარე ბალანსის ამოცანას. რადგან მიმდინარე ანგარიშის მიზნის მაჩვენებელი არ არის ნული, მთავრობა ცდილობს, თავიდან აიცილოს მეტისმეტად დიდი გარე სიჭარბე ან დეფიციტი მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ მკვეთრი უთანაბრობა გამართლებულია პოტენციური დროთაშორისი ვაჭრობიდან მიღებული მოგებით (ნავთობის ფასების მკვეთრი მატების შემდეგ 1970-იან წლებში ნორვეგიის მთავრობამ დაუშვა, ავიღო დიდი საგარეო სესხი ქვეყნის ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის მარაგის გამოყენების დასაფინანსებლად). მთავრობა ფრთხილობს, რადგან მიმდინარე ანგარიშის სუსტი ბალანსის (რომელსაც მაქსიმუმამდე აძუებს მოგება დროთაშორისი ვაჭრობით) გამოსახვა ძნელია, თუ არა შეუძლებელი. ამასთან, მიმდინარე ანგარიშის ეს ოპტიმალური ბალანსი შესაძლოა შეიცვალოს დროთა განმავლობაში, რადგან ეკონომიკაში ცვლილებები ხდება. მიმდინარე ანგარიშის ბალანსმა, რომელიც მიზანს დაცილებულია, შესაძლოა მაინც გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები.

მიმდინარე ანგარიშის ჭარბი დეფიციტის პრობლემები. რატომ ურჩევნიათ მთავრობებს, თავი აარიდონ მიმდინარე ანგარიშის დიდ დეფიციტს? როგორც აღნიშნული იყო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (რაც ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა იღებს საგარეო სესხებს) არ წარმოქმნის პრობლემებს, თუ ნასესხები ფინანსები გამოიყენება მომგებიან ადგილობრივ საინვესტიციო პროექტებში, რაც თავის თავს აანაზღაურებს მომავალში მიღებული მოგებიდან. ზოგჯერ მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი დროებით წარმოშობს მაღალ მოხმარებას, რომელიც თავის მხრივ შედეგია არასწორი სამთავრობო პოლიტიკისა ან სხვა მცდარი ფუნქციონირებისა ეკონომიკაში. ზოგჯერ საინვესტიციო პროგრამები – მიღებული საგარეო ფონდებიდან – შესაძლოა ცუდად იყოს დაგეგმილი და ეყრდნობოდეს ზედმეტად ოპტიმისტურ ვარაუდს მომავალი მომგებიანობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ეცდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაუყოვნებლივ შემცირებას, ვიდრე მოგვიანებით წააწყდეს საგარეო ვალუტის გასტუმრების პრობლემას. კერძოდ, ფისკალური

პოლიტიკის გაფართოებით გამოწვეული მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი, რომელიც მაშინვე ვერ აქცევს მომგებიანად ადგილობრივ საინვესტიციო შესაძლებლობებს, მთავრობისათვის იქნება იმის მანიშნებელი, რომ მან ალაღვინოს გარე წინასწარობა ეკონომიკური კერძის შეცვლით.

'სოფჯერ გარე მიზანი ადგილობრივი მთავრობის არსებული კი არ არის, არამედ გარედანაა თავსმოხვეული. როდესაც ქვეყნებს უჭირთ ძველი საგარეო ვალის დაფარვა, უცხოელი კრედიტორები აღარ იძლევიან ახალ სესხს და აღრეული ვალების სწრაფ გადახდასაც სთხოვენ. 1982 წლიდან ბევრი განვითარებადი ქვეყანა დადგა საგარეო სესხის აღების შეზღუდული შესაძლებლობის პრობლემის წინაშე (მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნები). ასეთ დროს ადგილობრივმა მთავრობამ გონიერულად უნდა იმოქმედოს, რათა შესაძლო ღონემდე შეამციროს საჭირო საგარეო სესხის აღება.

მიმდინარე ანგარიშის ზედმეტი სიჭარბის პრობლემები. მიმდინარე ანგარიშის ზედმეტი სიჭარბე ქმნის პრობლემებს – განსხვავებულს დეფიციტით წარმოშობილი პრობლემებისაგან. მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე ნიშნავს, რომ ქვეყანა აგროუებს სასღვარგარეთ მოთაყსებულ აქტივებს. რატომ ითვლება პრობლემად მსარდი ადგილობრივი მოთხოვნა უცხოურ სიმდიდრეზე? პასუხი, ერთი მხრივ, მიიღება იმ ფაქტიდან, რომ ეროვნული დანახარჯის მოცემული დონისათვის მიმდინარე ანგარიშის მსარდი სიჭარბე ნიშნავს უფრო მცირე ინვესტიციას ადგილობრივ ქარხანასა და აღჭურვილობაში (ეს გამოიმდინარეობს ეროვნული შემოსავლის იდენტურობიდან: $S = CA + I$, სადაც S მთლიანი ადგილობრივი დანახარჯია და ნაწილდება CA საგარეო აქტივების დაგროვებასა და I ადგილობრივ ინვესტიციას შორის). რამდენიმე ფაქტორის გამო პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ ადგილობრივი დანახარჯი მიაკუთვნონ ადგილობრივი ინვესტიციის უფრო მაღალსა და საგარეო ინვესტიციის უფრო დაბალ დონეს. ჯერ ერთი, ადგილობრივი კაპიტალის მოგების დაბეგვრა უფრო ადვილია, ვიდრე სასღვარგარეთ არსებული აქტივებისა; მეორე, ადგილობრივ ძირითად კაპიტალზე დამატებამ შესაძლოა შეამციროს ადგილობრივი უმუშევრობა და ამით მიგვიყვანოს მაღალ ეროვნულ შემოსავლამდე, ვიდრე ეს მოხდება საგარეო აქტივებზე დამატებით. და ბოლოს, ერთი ფირმის მიერ ადგილობრივ ინვესტიციას შესაძლოა აქონდეს სასარგებლო ტექნოლოგიური გაელენა სხვა ადგილობრივ მწარმოებლებზე, რასაც მაინვესტირებელი ფირმა ვერ მოახერხებს.

თუ ადგილობრივი მიმდინარე ანგარიშის დიდი სიჭარბე ასახავს ზედმეტ გარე სესხს – უცხოელების მიერ აღებული, გამსესხებულმა ქვეყანამ შესაძლოა მომავალში ვერ მოახერხოს გასესხებული ფულის დაბრუნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვეყანამ შესაძლოა დაკარგოს თავისი საგარეო სიმდიდრე, თუ აღმოჩნდება, რომ უცხოელებს იმაზე მეტი აქვთ ნახესხები, ვიდრე გადახდა შეუძლიათ. ამგვარი სესხის გადაუხდელობა ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის იწვევს ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებას, მაგრამ არ ცვლის ქვეყნის კეთილდღეობის დონეს.

მიმდინარე ანგარიშის ზედმეტი სიჭარბე შესაძლოა პოლიტიკურადაც სახიფათო გამოდგეს, რაკი დიდი სიჭარბის მქონე ქვეყნები სამიზნედ იქცევიან ხოლმე საგარეო დეფიციტის მქონე სავაჭრო პარტნიორების დისკრიმინაციულ-პროტექციონისტული ღონისძიებებისათვის. ასეთი მოსალოდნელი უხერხულობების თავიდან ასაცილებლად ქვეყნები შეეცდებიან, ისედაც ჭარბი ანგარიში ზედმეტად არ გაზარდონ.

მიუხედავად იმისა, რომ, დეფიციტის მსგავსად, დიდ სიჭარბეს ახლავს გარკვეული პრობლემები, დეფიციტური ეკონომიკის პირობებში მთავრობა, ჩვეულებრივ, განიცდის გაცილებით მეტ ზეწოლას გარე ბალანსის აღსადგენად. ასეთი დამოკიდებულება პრობლემების მიმართ ქმნის ასიმეტრიას. სესხის ამღები ქვეყანა დამოკიდებულა თავის კრედიტორებზე, რომელთაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ კრედიტის ამოღება. ამის საპირისპიროდ, გამსესხებელი ქვეყანა არ აწყდება ამგვარ შეზღუდვას. მის მთავრობას შეუძლია ნებისმიერ დროს გადადოს საგარეო მოწესრიგება განუსაზღვრელი ვადით მაშინაც, როდესაც სიჭარბე საზიანოც კია ეროვნული კეთილდღეობისათვის.

ამრიგად, გარე ბალანსის მიზანია, მიმდინარე ანგარიშს აქონდეს ის დონე, რომლითაც დროთაშორისი ვაჭრობით მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი მოგება რეალიზებულ იქნება ზემოთ აღნიშნული პრობლემების რისკის გარეშე. რადგან მთავრობამ სუსტად არ იცის ეს მიმდინარე ანგარიში, ის ჩვეულებრივ თავს არიდებს დიდ დეფიციტს ან სიჭარბეს, ვიდრე არ დარწმუნდება დროთაშორისი ვაჭრობიდან მიღებული დიდი მოგების რეალობაში.

საერთაშორისო მაკროეკონომიკური პოლიტიკა ოძროს სტანდარტის დროს – 1870-1914 წწ.

1870-1914 წლების ოძროს სტანდარტი ემყარებოდა საერთაშორისო მაკროეკონომიკური პოლიტიკის იდეებს; ისინი დიდად განსხვავდებოდნენ იმ იდეებისაგან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს საერთაშორისო ფულადი შუთანხმებების ბასისი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. ეს პერიოდი დამსახურებულად იქცეოდა ყურადღებას. შესაბამისი ცდა – გარდაქმნან საერთაშორისო ფულადი სისტემა მყარი სავალუტო კერძის საფუძველზე, შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ცდა, თავიდან აიცილონ ოძროს სტანდარტის დასუსტება და დაეუბნონ მის სიძლიერეს (სოვი სიმსილე ამგვარი ძლიერების მიღწევისა განხილული იყო მე-17 თავში). ეს ნაწილი

ეხება ოქროს სტანდარტის მოქმედებას პირველი მსოფლიო ომის წინ და განიხილავს, თუ რა დიდი როლი შეასრულა მან ქვეყნის შიდა და გარე ბალანსის მიზნების განხორციელებაში.

ოქროს სტანდარტის წარმოშობა

ოქროს სტანდარტი წარმოიშვა ოქროს მონეტების, როგორც გაცვლის საშუალების, აღრიცხვის ერთეულისა და ღირებულების შენახვა-გამოყენების შედეგი. ოქროს სტანდარტი, როგორც ლეგალური საშუალება, მიმოქცევაში შემოდის 1819 წლიდან, როცა ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო „განახლების კანონი“. სახელწოდება „განახლება“ გულისხმობს ინგლისის ბანკის მიერ იმ პრაქტიკის განახლებას, რომელიც შეწყვეტილი იყო ოთხი წლის განმავლობაში – ნაპოლეონის ომების დროს (1793-1815). აღნიშნული პრაქტიკა გულისხმობდა ფულადი ნიშნების გაცვლას ოქროზე ფიქსირებული კურსით. განახლების კანონით მიიღეს პირველი ნამდვილი ოქროს სტანდარტი და იმავდროულად გააუქმეს ხანგრძლივი შეზღუდვები ოქროს მონეტებისა და ზოდების ექსპორტზე დიდი ბრიტანეთიდან.

მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში, გერმანიამ, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმაც მიიღეს ოქროს სტანდარტი. ამ დროისათვის დიდი ბრიტანეთი იყო მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ძალა და მისი მიზანმიმართულ სხვა ქვეყნებზე ცდილობდნენ, მიეღწიათ მსგავსი ეკონომიკური წარმატებისათვის. აშშ-მ ხალხის მიიღო ოქროს სტანდარტს 1879 წელს, როცა მან ოქროთი-გაამყარა სამოქალაქო ომის დროს გამოშვებული ბანკნოტები. 1900 წლის ოქროს სტანდარტის კანონით აშშ-ში დამტკიცდა დოლარისა და ოქროს კავშირი. საერთაშორისო ვაჭრობაში ბრიტანეთის უპირატესობამ და მისი საფინანსო ინსტიტუტების განვითარებამ ლონდონი გადააქცია ოქროს სტანდარტზე აგებული საერთაშორისო ფულადი სისტემის ცენტრად.

საბარემო ბალანსი ოქროს სტანდარტის დროს

ოქროს სტანდარტის დამკვიდრების დროს ცენტრალური ბანკის უპირველესი პასუხისმგებლობა იყო, შეენარჩუნებინა ოფიციალური თანასწორობა (პარიტეტი) ვალუტასა და ოქროს შორის, რისთვისაც მას ესაჭიროებოდა შესაბამისი ოქროს მარაგი. ამიტომ პოლიტიკის შემქმნელები ბალანსს განიხილავდნენ არა მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობის გათვალისწინებით, არამედ შემდეგი ვითარების მიხედვით: ცენტრალური ბანკი არც იღებდა ოქროს უცხოეთიდან და არც (რაც უფრო მნიშვნელოვანია) იოლად აძლევდა ოქროს უცხოელებს.

მე-12 თავში მოცემული თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ცენტრალური ბანკი ცდილობდა, თავი აერიდებინა საგადამხდელო ბალანსის, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის თანხისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის (ბალანსის) არასარეზერვო შემადგენელი ნაწილის მკვეთრი მერყეობისათვის. რადგან საერთაშორისო რეზერვმა მიიღო ოქროს სახე, ამ პერიოდში საგადამხდელო ბალანსის სიჭარბე ან დეფიციტი უნდა დაფინანსებულიყო ოქროს გადაგზავნით ცენტრალურ ბანკებს შორის. ოქროს ფართო მიმოქცევის თავიდან ასაცილებლად ცენტრალურმა ბანკებმა აირჩიეს პოლიტიკა, რომლითაც მიუახლოვეს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სიჭარბის (ან დეფიციტის) არასარეზერვო შემადგენელი ნაწილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს (ან სიჭარბეს). ქვეყანას ახასიათებს საგადასახადო ბალანსის წონასწორობა, როცა მისი მიმდინარე და არასარეზერვო კაპიტალის მოძრაობის თანხა ნულის ტოლია; ასე რომ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მთლიანად ფინანსდება სარეზერვო ფონდის მიმოქცევის გარეშე.

ბევრმა მთავრობამ აირჩია არ ჩარეულიყო მიმდინარე ანგარშებთან დაკავშირებულ პროცესებში. ბრიტანეთის მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე 1870-იან წლებში და პირველი მსოფლიო ომის დროს საშუალოდ იყო მისი მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) 5.2%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია 1945 წლის შემდგომი სტანდარტებისათვის. სესხის ამღებმა რამდენიმე ქვეყანამ გარკვეულ დროს გადაიტანა საგარეო ვალდებულების გასტუმრების სიძნელე. შესაძლოა იმიტომ, რომ აღნიშნულ წლებში ბრიტანეთი იყო მსოფლიო საერთაშორისო ეკონომიკური თეორიის შემქმნელებელი და კაპიტალის წამყვანი ექსპორტიორი, ოქროს სტანდარტის ეპოქის აღმწერი ეკონომიკური ლიტერატურა ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას მიმდინარე ანგარიშის მოწესრიგების პრობლემებზე.

ფასის, ხურდა ფულისა და დინების მქანისში

ოქროს სტანდარტს გააჩნია რამდენადმე ძლიერი ავტომატური მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის ერთდროულ მიღწევას ყველა ქვეყანაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი – ფასი, ხურდა ფული, დინება – აღიარებულ იქნა მე-18 ს. (როცა ძვირფასი ლითონი ითვლებოდა ხურდა ფულად). აეხსნათ ეს მექანიზმი. დაეუშეათ, დიდი ბრიტანეთის მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე უფრო მეტია, ვიდრე მისი არასარეზერვო კაპიტალის მოძრაობის ბალანსის დეფიციტი. რადგან უცხოელების წმინდა იმპორტი დიდი ბრიტანეთიდან არ ფინანსდება მთლიანად ბრიტანეთის სესხებით, ბალანსი უნდა მიესადაგოს საერთაშორისო სარეზერვო ფონდების ე. ოქროს, ნაკადს ბრიტანეთში. ოქროს ეს ნაკადი ავტომატურად ამცირებს უცხოეთის ფულის მასასა და ფასებს ამასთან ზრდის ბრიტანეთისას.

ბრიტანეთის ფასების ზრდისა და უცხო ქვეყნის ფასების შემცირების თანხედრა ამცირებს უცხოეთის მოთხოვნას ბრიტანეთის საქონელსა და მომსახურებაზე და იმავდროულად ზრდის ბრიტანეთის მოთხოვნას უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე. მოთხოვნის ეს მრუდები განაპირობებენ ბრიტანეთის მიმდინარე ანგარიშის მატებასა და უცხოეთის მიმდინარე ანგარიშის შემცირებას. ამიტომ სარეზერვო ფონდების მიმოქცევა ჩერდება და ორივე ქვეყანა აღწევს საგადამხდელო ბალანსის წონასწორობას.

ოქროს სტანდარტის „თამაშის წესები“: მითი და რეალობა

ფასების, ხურდა ფულის, ნაკადის მექანიზმს შეუძლია იმოქმედოს ავტომატურად, ოქროს სტანდარტის მეშვეობით, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს ქვეყნის მიმდინარე და ძირითადი ანგარიში და შეაჩეროს ოქროს საერთაშორისო მიმოქცევა. მაგრამ ცენტრალურმა ბანკებმა თავიანთი დამოკიდებულება საკუთარი საზღვრების გავლით ოქროს დინების მიმართ დაუკაფშირეს სხვა პოტენციურ მექანიზმს საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის აღსადგენად. ცენტრალური ბანკები, რომლებიც მუდმივად კარგავდნენ ოქროს, აღმოჩნდნენ რისკის წინაშე – ისინი ვერ შეძლებდნენ დაეფარათ ვალდებულებები ვალუტის ბანკნოტების გასანაღდეზღად. ამიტომ, რაკი ოქრო იკარგებოდა, იძულებულნი გახდნენ, შეემცირებინათ თავიანთი შინა აქციები, ზრდიდნენ რა ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთებს და იზიდავდნენ კაპიტალს უცხოეთიდან. ოქროს შექმნით ცენტრალურ ბანკებს ნაკლები სტიმული აქვთ შეაჩერონ საკუთარი ლითონის იმპორტი. მთავარი მამოძრავებელი იმპულსი იყო პროცენტის მომტანი ადგილობრივი აქტივების მეტი მოშვებიანობა „უნაყოფო“ ოქროსთან შედარებით. ცენტრალური ბანკი, რომელიც აგროვებდა ოქროს, შესაძლოა ცდუნებას აწყობოდა და შეესყიდა ადგილობრივი აქტივები, რითაც გაზრდიდა კაპიტალის გადინებას და ოქროს საზღვარგარეთ გატანას.

ადგილობრივი კრედიტის მიმართ ეს ღონისძიებანი, თუკი ამას ცენტრალური ბანკი მიმართავდა, აძლიერებდა ფასის – ხურდა ფულის – ნაკადის მექანიზმს და ყველა ქვეყანას აქეზებდა, რათა ყურადღება მიემართა საგადამხდელო ბალანსის წონასწორობისაკენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ადგილობრივი აქტივების გაყიდვის პრაქტიკა, დეფიციტის მიუხედავად, და მათი ყიდვა, სიჭარბის მიუხედავად, ცნობილი გახდა, როგორც ოქროს სტანდარტის „თამაშის წესები“ – ფრაზა, წარმოთქმული კენისის მიერ. რადგან ასეთი ღონისძიებები აჩქარებდა ყველა ქვეყნის სწრაფვას გარე ბალანსის მიზნებისაკენ, ისინი ზრდიდნენ ოქროს სტანდარტისათვის დამახასიათებელი ავტომატური მოწესრიგების პროცესების ეფექტურობას.

შემდგომმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ოქროს სტანდარტის ნავარაუდები „თამაშის წესები“ 1914 წლამდე ხშირად განიცდიდა ზეწოლას. როგორც აღინიშნა, წესების დამორჩილების სტიმულები მეტი ძალისხმევით გამოიყენებოდა დეფიციტის მქონე ქვეყნებში, ვიდრე სიჭარბის მქონე ქვეყნებში. ასე რომ, პრაქტიკულად, დეფიციტის მქონე ქვეყნებმა იკისრეს ყველა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორების ტვირთი. რადგან სიჭარბის მქონე ქვეყნები ყოველთვის არ მოქმედებდნენ ისე, რომ შეემცირებინათ ოქროს ნაკადი, ართულებდნენ ამ სისტემისთვის დამახასიათებელი საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემას: დეფიციტის მქონე ქვეყნებს, რომლებიც იბრძოდნენ ოქროს მარაგის განსაზღვრული მიწოდებისათვის, შესაძლოა შეემუშაებინათ საწინააღმდეგო მონეტარული პოლიტიკა, რაც ავნებდა დასაქმებას და ღიდს ვერაფერს შემატებდა საკუთარი სარეზერვო ფონდის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ფაქტობრივად, ქვეყნები ხშირად ცვლიდნენ „თამაშის წესებს“ და უშედეგოს ხდიდნენ ოქროს ნაკადს, ე.ი. ყიდდნენ ადგილობრივ აქტივებს, როცა საგარეო რეზერვი იზრდებოდა, და ყიდულობდნენ, როცა საგარეო რეზერვი მცირდებოდა. მთავრობის ჩარევაც ოქროს კერძო ექსპორტში ძირს უთხრიდა ამ სისტემას. ამიტომაც არ შეესაბამება სინამდვილეს პირველი მსოფლიო ომის დროს საგადამხდელო ბალანსის მოწესრიგების სურათი. მთავრობა ზოგჯერ უარყოფდა „თამაშის წესებსაც“ და სხვა ქვეყნებზე მათი ქმედების შედეგებსაც.

შიდა ბალანსი ოქროს სტანდარტის დროს

ვალუტის ფასების დაფიქსირებით ოქროსთან მიმართებაში ოქროს სტანდარტის მიზანია ფულის ზრდის შესლუდევა მსოფლიო ეკონომიკაში და ამით სტაბილურობის მიღწევა საერთაშორისო ფასებში. რადგან ფასი ოქროს სტანდარტის მქონე ქვეყნებში 1870-1914 წლებში ისე ღიდად არ გაიზარდა, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ქვეყანაში ფასის ღონე შეუსლუდავად მოძრაობდა მოკლე ეკონომიკურ სიერცეებში, რადგან ინფლაციისა და დეფლაციის პერიოდები ერთმანეთს ცვლიდა.

აღნიშნულ პერიოდში ოქროს სტანდარტმა ღიდი ვერაფერი შეძლო სრული დასაქმების საგარანტიოდ; მაგალითად, აშშ-ს უმუშევრობის ღონე საშუალოდ იყო 6,8%; იგივე მანევრებელი 5,7% გახდა 1946-1992 წლებში.

ხანმოკლე შინა არასტაბილურობის ძირითადი მიზეზი 1914 წლის წინა ოქროს სტანდარტის დროს იყო ის რომ ეკონომიკური პოლიტიკა ექვემდებარებოდა საგარეო მიზეზებს. პირველი მსოფლიო ომის წინ მთავრობა თავის თავსე არ იღებდა პასუხისმგებლობას, რათა შეენარსუნებინა შიდა ბალანსი ისე

სრულად, როგორც ეს გაკეთდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შიდა პოლიტიკის მიზნების მნიშვნელობა გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. 1918-1939 ომთაშორისი წლების მსოფლიო ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად. ამგვარი მიუღებელი შედეგების გამო ცდა, 1918 წლიდან აღდგინათ ოქროს სტანდარტი, დაეხმარა მთავრობებს, 1945 წლის შემდეგ განეხორციელებინათ ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემის შემქმნელების ჩანაფიქრი. ომის გასაგებად, თუ როგორ ცდილობდნენ საერთაშორისო ფულად სისტემაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღდგინათ შიდა და საგარეო ბალანსის მიზნები, უნდა განვიხილოთ ეკონომიკური მოვლენები ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში.

1918-1939 ომთაშორისი წლები

მთავრობებმა ეფექტურად შეაჩერეს ოქროს სტანდარტი პირველი მსოფლიო ომის დროს და დააფინანსეს თავიანთი სამხედრო ხარჯები ფულის ბეჭდვით. მოგვიანებით სამუშაო ძალა და წარმოების მოცულობა მკვეთრად შემცირდა; 1918 წლის ომის დასასრულს ფასები ყველგან მაღალი იყო. ბევრმა ქვეყანამ გამოცადა შეუქმნებელი ინფლაცია, რადგან მაიმა მთავრობებმა სცადეს, დახმარებოდნენ აღდგენით პროცესს სახელმწიფო დანახარჯების მეშვეობით. ისინი აფინანსებდნენ თავიანთ შესყიდვებს უბრალოდ ფულის ბეჭდვით (როგორც ომის დროს), რასაც შედეგად მოჰყვა ფულის მასისა და ფასის მკვეთრი ზრდა.

პიუმი მერკანტილისტების წინააღმდეგ

დღეიდ პიუმის მიერ ფასის - ხურდა ფულის - ნაკადის მექანიზმის ახსნა ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად ეკონომიკური თეორიის ოსტატური გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია. მერკანტილისტებად წოდებულ ეკონომიკის თეორეტიკოსთა გაკლენიანი სკოლა აცხადებდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობასა და გადასახადებზე მკაცრი შეზღუდვების გარეშე ბრიტანეთი გადარბობდა და საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის შედეგად დარჩებოდა ბრუნვაში არსებული ფულის შესაბამისი ოქროს მასის გარეშე. პიუმი აბათილებდა მათ არგუმენტებს იმის ნეგებით, რომ ქვეყანაში საგადაამხდლო ბალანსი თავისთავად მოწესრიგდებოდა მიმოქცევადი ფულის ადექვატური ოქროს მასის საგარანტიოდ.

მერკანტილისტების სკოლა მე-17 საუკუნეში შეიქმნა. მათი თეორიის თანახმად, ვერცხლი და ოქრო ეროვნული სიმდიდრის ბურჯია და არსებითი მნიშვნელობისაა ენერჯული ვაჭრობისათვის. ამიტომ ისინი თვლიდნენ, რომ ხურდა ფულის გადინება საგანგაშო იყო და პოლიტიკის მთავარ მიზნად მიაჩნდათ საგადაამხდლო ბალანსში დაეცვათ მუდმივი სიჭარბე (ე.ი. ძვირფასი ლითონების მუდმივი შემოდინება).

პიუმის აზრით, მუდმივი სიჭარბე შეუძლებელია, რადგან ხურდა ფულის შემოდინება ზრდის ადგილობრივ ფასებს და აღადგენს წონასწორობას საგადაამხდლო ბალანსში; ნებისმიერი სიჭარბე თავის თავს გამოირიცხავს. ასევე, ვალუტის ნაკლებობა იწვევს ადგილობრივი ფასების შემცირებას და საგარეო გადასახადების სიჭარბეს, რითაც ქვეყანაში შემოდის საჭირო რაოდენობის ფული. პიუმის მტკიცებით, მთავრობის ჩარევა საერთაშორისო ვაჭრობებში ავნებს ეკონომიკას და მუდმივად ვერ გაზრდის, მერკანტილისტების გამოთქმით, „უპირატეს სიმდიდრესა და განძს“.

პიუმი მიუთითებდა, რომ მერკანტილისტები გადაჭარბებით უხვამდნენ ხაზს ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ, შედარებით მცირე შემადგენელ ნაწილს - ძვირფას ლითონს - და უარყოფდნენ ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს - მწარმოებლურ სიმძლავრეს. პიუმი წინ წამოწევდა შეხედულებას, რომელიც თანამედროვე ეკონომიკაშიც ფიგურირებს - მე-20 საუკუნეში საგარეო ბალანსით დაინტერესებული პოლიტიკის შემქმნელები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ოქროს საერთაშორისო ნაკადზე და არა ქვეყნის სიმდიდრეში ცვლილებების უფრო ფართო მანქვენებლზე. რადგან მერკანტილისტების შეხედულებებს უტყვევდა პიუმი (სხვებთან ერთად), ამდენად გაუგებარია მისგან მიმდინარე ანგარიშის შეფარდებითი უარყოფა და მისი დამოკიდებულება ადგილობრივ დაბანდებასა და მწარმოებლურობასთან. შესაძლოა მერკანტილისტური ინსტინქტები შემორჩენილია წამყვანი ბანკირების ცნობიერებაში.

პიპერინფლაცია გერმანიაში

ომთაშორის ინფლაციის ყველაზე ცნობილი მაგალითია გერმანიის პიპერინფლაცია, როცა ფასთა ინდექსი 1919 წლის იანვრის 262-დან გაიზარდა 1923 წლის დეკემბრის 126, 160, 000, 000, 000-მდე - 481,5 მილიარდი კოეფიციენტით!

ვერსალის შეთანხმებით დაშთავრდა პირველი მსოფლიო ომი, რის შემდეგაც გერმანიას მძიმე ტვირთი დაეკისრა - აენაზღაურებინა რეპარაციული გადასახადები მოკავშირეებისათვის. იმის მაგიერად, რომ გერმანიის მთავრობას გაეზარდა ბეგარა ამ გადასახადების დასაფარად, დაიწყო ფულის ბეჭდვა. ინფლაცია ყველაზე დრამატული იყო 1923 წლის იანვარში, როცა საფრანგეთმა თავისი ჯარები გადააგზავნა გერმანიის სამრეწველო ცენტრში - რურში (ვერსალის შეთანხმებით). გერმანელი მუშები გაიფიცნენ ამგვარი ოკუპაციის წინააღმდეგ და მთავრობამაც მხარი დაუჭირა მათ უფრო მეტი ფულის გამოშვებით. ერთ წელიწადში ფასის დონემ აიწია 452, 998, 200 კოეფიციენტით.

პიპერინფლაცია დამთავრდა 1923 წლისათვის, როცა გერმანიამ გაატარა ფელის რეფორმა; ოდნავ განთავისუფლდა ანაზღაურების ტვირთისაგან და დაიწყო სახელმწიფო გაწონასწორებული ბიუჯეტისკენ სვლა.

ომროსკენ სწრაფი მიბრუნება

აშშ ოქროს 1919 წელს მიუბრუნდა. ადრეულ 1920-იან წლებში ბევრი სხვა ქვეყანა იცნებოდა ოქროს სტანდარტის ეპოქის ფინანსების შედარებით სტაბილურობას. 1922 წელს იტალიაში, გენუის კონფერენციაზე, ბრიტანეთი, საფრანგეთი და იაპონია შეთანხმდნენ პროგრამაზე, რომლითაც უნდა დაბრუნებოდნენ ოქროს სტანდარტს და ცენტრალურ ბანკებს შორის თანამშრომლობას გარე და შიდა მიზნების მისაღწევად. რაკი მიხვდნენ, რომ ოქროს მასა შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რესურსების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (მე-17 თავში აღნიშნული ოქროს სტანდარტის პრობლემა), გენუის კონფერენციამ მოიწონა ოქროს ნაწილობრივ საყალბო სტანდარტი, როცა მკირე ქვეყნებს შეუძლოთ მარაგად შეენახათ იმ რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ვალუტა, რომელთა საკუთარი საერთაშორისო რესურსები მთლიანად ოქროსგან შედგებოდა.

1925 წელს დიდი ბრიტანეთი მიუბრუნდა ოქროს სტანდარტის ომამდელ ფასს, რათა გაემაგრებინა გირვანქა სტერლინგი ოქროთი. ფინანსთა მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ ომამდელი ფასები და მათი ნებისმიერი გადახრა ძირს გამოუთხრიდა მსოფლიო რწმენას დიდი ბრიტანეთის ფინანსური ინსტიტუტების სტაბილურობის შესახებ, რაც წამყვან როლს თამაშობდა საერთაშორისო ფინანსებში ოქროს სტანდარტის ეპოქის დროიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში ფასები პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მკირდებოდა, 1925 წელს ის უფრო მაღალი იყო, ვიდრე ომამდელი ოქროს სტანდარტის დროს. გირვანქა სტერლინგის ოქროს ფასის ომამდელ დონეზე დასაბრუნებლად ინგლისის ბანკი იძულებული იყო, მიჰყოლოდა წინააღმდეგობრივ მონეტარულ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა მკაცრ უმუშევრობას.

კეინსმა და სხვებმაც იწინასწარმეტყველეს დეპრესია ბრიტანეთში, რომელიც მოჰყვა ოქროსკენ მიბრუნებას, მაგრამ ეს არ იყო უპრეცედენტო პროცესი. ერთი საუკუნით ადრე, ნაპოლეონის ომების წინ ბრიტანეთის მიბრუნებამ ოქროს სტანდარტისაკენ გამოიწვია ღრმა დეპრესია. ორივე შემთხვევაში იმ საყალბო კურსისკენ მიბრუნებამ, რაც ომის პერიოდში ფასის ზრდის გამო იგნორირებული იყო, მიგვიყვანა გირვანქა სტერლინგის კურსის ზრდა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, რაც იყო მსოფლიო გადახრა დიდი ბრიტანეთის პროდუქციაზე მოთხოვნისაგან.

1920-იან წლებში უძრავობის პერიოდმა ლონდონს დააკარგვინა მსოფლიო ფინანსური ცენტრის წამყვანი ადგილი. ბრიტანეთის ეკონომიკურმა დასუსტებამ პრობლემატური გახადა აღდგენილი ოქროს სტანდარტის მდგრადობა. გენუის კონფერენციის თანახმად, ბევრ ქვეყანას გააჩნდა საერთაშორისო რესურსები გირვანქა სტერლინგის ანაბრების სახით ლონდონში. ბრიტანეთის ოქროს მარაგი შესულუდელი იყო, ქვეყნის მუდმივი უძრავობა საეკონომიკური ხელიდან მის შესაძლებლობებს – დაეფარა საგარეო ვალდებულებები. 1929 წელს დიდი დეპრესიის დაწყებას მალევე მოჰყვა საბანკო საქმის წარუმატებლობა მთელ მსოფლიოში. 1931 წელს, როცა გირვანქა სტერლინგის უცხოელმა მფლობელებმა (რამდენიმე ცენტრალური ბანკის ჩათვლით) რწმენა დაკარგეს, რომ ბრიტანეთი შეინარჩუნებდა თავისი ვალუტის ღირებულებას, გაიტანეს ოქრო და დაიწყეს თავიანთი გირვანქა სტერლინგების მარაგის ოქროდ კონვერტირება.

საერთაშორისო ეკონომიკური დეზინტეგრაცია

დეპრესია გრძელდებოდა; ბევრმა ქვეყანამ თავისი ოქროს სტანდარტის ვალდებულებებზე უარი თქვა და საკუთარი ვალუტა მიმოქცევაში გაეშვა უცხოური ვალუტის ბასარზე. 1933 წელს აშშ-მ ოქროს სტანდარტს თავი ანება, მაგრამ 1934 წელს კვლავ მიუბრუნდა და ფასი ოქროს 1 უნციაზე 20,67-დან 35 დოლარამდე გაზარდა. იმ ქვეყნებმა, რომლებიც მიუჯაჭვნენ ოქროს სტანდარტს საკუთარი ფელის დეფლაცის გარეშე, ყველაზე მეტად ისარაღეს დიდი დეპრესიის დროს. ბოლოდროინდელი გამოკვლევები ამ პროცესში ყველაზე დიდ ბრალს თვით ოქროს სტანდარტს სდებენ.

უდიდესი ეკონომიკური ზიანი მოიტანა შესლუდებმა საერთაშორისო ვაჭრობასა და გადასახადებზე, რომელიც უფრო იზრდებოდა, რადგან ქვეყნები ცდილობდნენ იმპორტზე უარის თქმას და ერობლივი მოთხოვნის შინ გამოეკეტათ. 1930 წელს აშშ-ს მიერ თავსმოხვეულმა სმუტ-პოელის ტარიფმა დამანგრეველად იმოქმედა უმუშევრობაზე სასლვარგარეთ, რასედაც უცხოეთის რეაქცია იყო საპასუხო საეკონომიკური შესლუდებები და ეპირატესი საეკონომიკური შეთანხმებები ქვეყნებს შორის.

პოლიტიკას, რომელიც ზრდის აღვილობრივ კეთილდღეობას, უწოდება „გააღრიბე შენი მეზობელი“. ეს უკანასკნელი ეხმარება აღვილობრივ ქვეყანას მხოლოდ იმით, რომ სასლვარგარეთ აკარესებს ეკონომიკურ პირობებს (თავი II). მსოფლიო დეპრესიის დროს ტარიფები და გააღრიბების დასახელებული პოლიტიკა აუკოლებლად იწვევდა უცხოეთის საპასუხო რეაქციას და ბოლოს და ბოლოს ყველა ქვეყნის მდგომარეობას აუარესებდა.

სამთავრობო პოლიტიკის გაურკვეველობა იწვევდა რეზერვების მკვეთრ მიმოქცევას უცვლელი ვალუტის კურსის მქონე ქვეყნებში და ვალუტის კურსის მკვეთრ მოძრაობას მცოცავი კურსის მქონე ქვეყნებში. კერძო კაპიტალის გარიგებების აკრძალვა ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა უცხოური ვალუტის ბაზრის განვითარების შედეგების შესაზღვრად. სოფი მთავრობა მიმართავდა ადმინისტრაციულ მეთოდსაც, იყენებდა მრავალჯერად ვალუტის კურსს, რათა განეთავსებინა შეზღუდული უცხოური ვალუტის რეზერვები კონკურენტული გამოყენებისათვის. სავაჭრო ბარიერები დეფლაცია ამერიკისა და ევროპის მოწინავე ეკონომიკაში იწვევდა საერთაშორისო ვალების ფართო ანულირებას, განსაკუთრებით ლათინური ამერიკის ქვეყნების მხრიდან, რომელთა ექსპორტის ბაზარი თანდათან უჩინარდებოდა. მოკლედ, ადრეულ 1930-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკა დაიყო დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულებად.

მსოფლიო ბაზრებში მნიშვნელოვანი უწესრიგობა გრძელდებოდა 1939 წლამდე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, მიუხედავად იმისა, რომ გვიან 1930-იან წლებში საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისაკენ, თუმცა შეზღუდული, მაგრამ მისწრაფება მაინც სახეზე იყო. დიდი დეპრესიის პირისპირ ბევრმა ქვეყანამ გააკეთა გარე და შიდა ბალანსს შორის არჩევანი, რაც გულისხმობდა დანარჩენ მსოფლიოსთან თავისი სავაჭრო კავშირების შემცირებასა და მთავრობის მითითებით მნიშვნელოვანი გარე ბალანსის შესაძლებლობის მოშორებას. ვაჭრობიდან მიღებული მოგების შემცირების წყალობით ამ ნაბიჯმა მსოფლიო ეკონომიკაში დიდი დანახარჯები გამოიწვია და დაეხმარა ნელ-ნელა გამოსულიყო დეპრესიიდან, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში 1939 წლისათვის ჯერ არ იყო დასრულებული. ყველა ქვეყანა გაიუმჯობესებდა მდგომარეობას თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობით, თუ საერთაშორისო თანამშრომლობა დაეხმარებოდა თითოეულ ქვეყანას, შეენარჩუნებინა სავაჭრო ბალანსი და ფინანსური მდგრადობა ისე, რომ არ გაეწირა შიდა პოლიტიკის მიზნები. ამ რწმენით იყო შთაგონებული ომისშემდგომი საერთაშორისო ფულადი სისტემის პროექტი – ბრეტონ ვუდის შეთანხმება.

საკითხის შესწავლისათვის

საერთაშორისო ოქროს სტანდარტი და დიდი დეპრესია

თითქმის ათწლიანი დიდი დეპრესიის ყველაზე განსაცვიფრებელი მხარე იყო მისი გლობალური ხასიათი. იმის ნაცვლად, რომ შემოფარგლულიყო აშშ-ითა და მისი სავაჭრო პარტნიორებით, დაპრესია სწრაფად გავრცელდა ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და სხვაგანაც. რა განსაზღვრავდა დიდი დეპრესიის ასეთ საყოველთაო ხასიათს? გვიანდელი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ოქროს სტანდარტმა ცენტრალური როლი ითამაშა მეოცე საუკუნის უდიდესი ეკონომიკური კრიზისის დაწყებაში, გაღრმავებასა და გავრცელებაში.


1929 წელს საბაზრო ეკონომიკის დიდი ნაწილი ისევ ოქროს სტანდარტზე იყო დამყარებული. იმ დროს აშშ (რომელიც ცდილობდა, შეენელებინა თავისი დანქარებული ეკონომიკა ფულის შემცირებით) და საფრანგეთი (რომელმაც ეს-ეს იყო, დაამთავრა ინფლაციის პერიოდი და მიუბრუნდა ოქროს) დადგნენ დიდი კაპიტალის შემოდინების ფაქტის წინაშე. ორივე ქვეყანა შთანთქამდა განსაცვიფრებელი ოდენობის მსოფლიოს ფულად ოქროს, როგორც საგადამხდელი ბალანსის სიჭარბის შედეგს (1932 წლისათვის ორივე ქვეყანა ფლობდა 70%-ზე მეტს). ოქროს სტანდარტის მქონე სხვა ქვეყნებს არჩევანიც აღარ ჰქონდათ და უნდა ჩართულიყვნენ ადგილობრივი აქტივების გაყიდვაში, თუკი მათ სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ოქროს შეზღუდული მარაგი. შედეგად მიღებულმა მსოფლიო ფულადმა შემცირებამ, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის 1929 წლის გაკოტრების ტალღასთან ერთად, მსოფლიო ჩააგდო ღრმა რეცესიაში.

საბანკო წარუმატებლობის ტალღამ, რომელიც დაიწყო 1930 წელს აშშ-ში, მხოლოდ დააჩქარა მსოფლიოს დაღმავალი ეკონომიკური სპირალი. ოქროს სტანდარტი აქაც კელავე მთავარი დამნაშავე აღმოჩნდა. ბევრმა ქვეყანამ ისურვა თავისი ოქროს რეზერვის დაცვა, რათა შექცებოდა ოქროს სტანდარტის შენარჩუნება. ეს სურვილი მათ ხშირად უარს ათქმევინებდა ხოლმე, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოთ ბანკები, რასაც შეეძლო მათი დატოვება ბიზნესში. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი ნაღდი ფული – ადგილობრივი მთავრობის მიერ ბანკებისათვის მიცემული – გაზრდიდა პოტენციურ კერძო მოთხოვნებს მთავრობისაგან ოქროს ფლობაზე.

ოქროს სტანდარტის როლის ყველაზე ნათელი მაჩვენებელია გამოშვებისა და ფასების დონეების კონტრასტული ქცევა იმ ქვეყნებში, რომლებმაც შედარებით ადრე დატოვეს ოქროს სტანდარტი (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი), და იქ, სადაც მას ჯიუტად ეჭიდებოდნენ. ქვეყნები, რომლებმაც მიატოვეს ოქროს სტანდარტი, გათავისუფლდნენ გაფართოებადი ფულადი პოლიტიკის გატარებისაგან, რაც ზღუდავდა შინა დეფლაციასაც და გამოშვების შემცირებასაც. უდიდესი დეფლაციისა და შემცირებული გამოშვების მქონე ქვეყნებში შედიოდნენ საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია, პოლონეთი, რომლებიც 1936 წლამდე ოქროს სტანდარტის ერთგულნი რჩებოდნენ.

**გრაფიკი 18-1 სამრეწველო წარმოება და საბითუმო ფასების
მაჩვენებლის ცვლილებები - 1929-1935 წწ.**

ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ავსტრალია და დიდი ბრიტანეთი, რომლებმაც დასწისშივე დაკარგეს ოქროს სტანდარტი და მიიღეს დეფლაციურის საწინააღმდეგო მონეტარული პოლიტიკა, გამოშვება ნაკლებად შეუმცირდათ დიდი რეცესიის პერიოდში. ქვეყნებს, როგორცაა საფრანგეთი და შვეიცარია რომლებმაც დიდხანს შეინარჩუნეს ოქროს სტანდარტი, გამოშვება უფრო მეტად შეუმცირდათ.



ბრეტონ ვუდსის სისტემა და საერთაშორისო სავალუტო ფონდი

1944 წელს 44 ქვეყნის წარმომადგენელი შეხვდა ბრეტონ ვუდსში, ნიუ-ჰემპშირში, სადაც ჩამოაყალიბეს და ხელი მოაწერეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების პუნქტებს. მიუხედავად იმისა, რომ ომი მიმდინარეობდა, მოკავშირე ქვეყნების საზოგადო მოღვაწეები ითვალისწინებდნენ ომის შემდგომი მსოფლიოს ეკონომიკურ საჭიროებებს. მათ ახსოვდათ ომთაშორისი პერიოდის დამანგრეველი ეკონომიკური მოვლენები და იმედოვნებდნენ, დაეგეგმათ ისეთი საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომელიც წაახალისებდა სრულ დასაქმებასა და ფასის სტაბილურობას, თან საშუალებას მისცემდა ცალკეულ ქვეყნებს, მიეღწიათ გარე ბალანსისათვის საერთაშორისო ვაჭრობაზე შეზღუდვების გარეშე.

ბრეტონ ვუდსის შეთანხმებით ჩამოყალიბებული სისტემა მოითხოვდა ფიქსირებული ვალუტის კურსს აშშ-ს დოლარის საპირისპიროდ და ოქროს უცვლელ ფასს დოლარით - 35 დოლარი უნციაში. წევრ-ქვეყნებს გააჩნდათ თავიანთი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები ოქროთი ან დოლარის აქტივებით და უფლება ჰქონდათ მიეყიდათ იგი ფედერალური სარეზერვო ფონდისათვის ოქროს შესასყიდად ოფიციალურ ფასად. ამგვარად, სისტემა წარმოადგენდა ოქროს ვალუტურ სტანდარტს, რომლის მთავარი სარეზერვო ფული იყო დოლარი. მე-17 თავის ტერმინოლოგიის მიხედვით, დოლარი იყო „N ვალუტა“, რომელთან მიმართებაში სისტემის N - 1 ვალუტის კურსი იყო განსაზღვრული. აშშ იშვიათად ერეოდა უცხოური ვალუტის ბაზარზე. ჩვეულებრივ N - 1 უცხოური ცენტრალური ბანკები საჭიროების მიხედვით ერეოდნენ, რათა პრაქტიკულად დაეფიქსირებინათ სისტემის N - 1 ვალუტის კურსი მაშინ, როცა აშშ თეორიულად იყო პასუხისმგებელი დოლარის ფასით ოქროს დაფიქსირებაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნები და სტრუქტურა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საკითხებზე დიდი გავლენა იქონია ომისდროინდელმა ფინანსურმა და ფასის დონის არასტაბილურობამ, უმუშევრობამ და საერთაშორისო ეკონომიკურმა დანაწევრებამ. შეთანხმების მიხედვებში მოქნილად არიდებდნენ თავს ამ მოვლენების განმეორებით აღნიშვნას.

უწლად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი მოთხოვნა იყო, რომ სავალუტო კურსი ფიქსირებული ყოფილიყო დოლარზე, რომელიც თავის მხრივ მიბმული იყო ოქროსზე. თუ ცენტრალური ბანკი, როგორც ფედერალური სარეზერვო ფონდი, ისწრაფვის ვალუტის მეტისმეტი გაფართოებისაკენ, იგი დაკარგავს საერთაშორისო რეზერვებს და ვერ შეძლებს შეინარჩუნოს თავისი ფულის ფიქსირებული დოლარის გაცვლითი კურსი. რადგან აშშ-ის ვალუტის დიდი ზრდა გამოიწვევს დოლარის დაგროვებას უცხოური ცენტრალური ბანკების მიერ, თვითონ ფედერალური სარეზერვო ფონდი შეზღუდული იქნება სავალუტო პოლიტიკით ანუ ოქროთი დოლარების ანაზღაურების ვალდებულებებით. ოფიციალური ოქროს ფასი, 35 დოლარი ერთ უნციაში, ნიშნავდა შემდგომ მიხრუჭს ამერიკის სავალუტო პოლიტიკაში, რადგან ეს ფასი ზეით ავარდებოდა, თუკი დოლარის სიჭარბე წარმოიშობოდა. ფიქსირებული ვალუტის კურსი ნიშნავდა უფრო მეტს, ვიდრე სისტემაზე უწლადი დისციპლინის თავსმოხვევის საშუალება. აქედან თუ კარგად, ომისდროინდელმა გამოცდილებამ

დაარწმუნა ფონდის შემქმნელები იმაში, რომ მცოცავი ვალუტის კურსი, როგორც სპეკულატიური არამდგრადობის მიზეზი, საერთაშორისო ვაჭრობისათვის საზიანო იყო.

ომისდროინდელმა გამოცდილებამ გვიჩვენა აგრეთვე, რომ ეროვნული მთავრობა არ ისურვებს, შეინარჩუნოს თავისუფალი ვაჭრობაცა და ფიქსირებული ვალუტის კურსიც ხანგრძლივი ადგილობრივი უმუშევრობის ფასად. დიდი დეპრესიის გამოცდილების შემდეგ მიჩნეული იყო, რომ მთავრობას უნდა ექისრა პასუხისმგებლობა სრული დასაქმების შენარჩუნებაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმებამ სცადა, საკმარისად მოქნილი ყოფილიყო, რათა შესაძლებლობა მიეცა ქვეყნისათვის, წესიერი გზით მიეღწიათ გარე ბალანსისათვის, შიდა ამოცანებისა და ფიქსირებული ვალუტის კურსის გაწირვის გარეშე.

ამ მოქნილობას გარე რეგულირების წახალისებაში დაეხმარა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ძირითადი ნიშანი:

1. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის სასესხო საშუალებები.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზად იყო, ესესხებინა უცხოური ვალუტა თავისი წვერი ქვეყნებისათვის, რათა მათ გადაელახათ მიმდინარე დეფიციტური ანგარიშის პერიოდები; მაგრამ სავალუტო ან ფისკალური პოლიტიკის შევიწროებას საწინააღმდეგო შედეგი ექნებოდა ადგილობრივ დასაქმებაზე. წვერი-ქვეყნებიდან შემოსული ოქროსა და ვალუტის მასა უზრუნველყოფდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს ამ სასესხო ოპერაციებისათვის საჭირო რესურსებით.

როგორ ხდება გასესხება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან? ფონდში შესვლისას ახალ წევრს შეაქვს გარკვეული რაოდენობის რესურსი, რომლითაც განისაზღვრება მისი წილი მარაგში და მისი უფლებაც – გამოიყენოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები. თითოეულ წევრს ფონდში შეაქვს თავისი წილის 1/4 ღირებულების ოქრო. დანარჩენი 3/4 იღებს საკუთარი ეროვნული ვალუტის შენატანის სახეს. წევრს ეძლევა უფლება, გამოიყენოს საკუთარი ვალუტა, რათა ფონდიდან დროებით შეისყიდოს საკუთარი წილის ღირებულების ოქრო ან უცხოური ვალუტა, რომელიც შემდგომ შეიძლება ისესხონ ფონდიდან, ოღონდ მხოლოდ მსესხებლის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე ფონდის მკაცრი ზედამხედველობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეპირობება ეწოდება იმ წვერი-ქვეყნების პოლიტიკაზე მეთვალყურეობას, რომლებიც ფონდის რესურსების დიდი მსესხებლები არიან.

2. **თანასწორობა (პარიტეტი):** მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ქვეყნის ვალუტის კურსი ფიქსირებული იყო, შესაძლოა იგი მაინც შეცვლილიყო – დაეკლო ან გაზრდილიყო დოლართან მიმართებაში. ეს მაშინ, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დათანხმდებოდა, რომ ქვეყნის საგადასახადო ბალანსი ყოფილიყო თანაფარდობის ფუნდამენტური დარღვევის მდგომარეობაში. ტერმინი **თანაფარდობის ფუნდამენტური დარღვევა** (რომელიც არ იყო განსაზღვრული „შეთანხმებაში“) მოიცავს ქვეყნებს, რომლებმაც განიცადეს მუდმივი ურთიერთსაწინააღმდეგო საერთაშორისო ცვლილებები თავიანთი პროდუქტების მოთხოვნაში. დეველვაციის გარეშე ასეთი ქვეყნები განიცდიან უფრო დიდ უმუშევრობას და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მანამ, სანამ ადგილობრივი ფასი არ შემცირდება იმდენად, რომ აღდგეს შიდა და გარე ბალანსი. მეორე მხრივ, დეველვაციას შეუძლია იმედგეროულად შეამციროს უმუშევრობა და მიმდინარე ანგარიში, რითაც გაექცევა ხანგრძლივ და მტკივნეულ რეგულირების პროცესს, რომლის დროსაც საერთაშორისო რეზერვები შესაძლოა ამოწუროს. ახსოვდათ რა ბრიტანეთის ვალუტის გადაჭარბებული კურსის გამოცდილება 1925 წლის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამფუძნებლებმა მიაგნეს სავალუტო კურსის ცვლილებების მოქნილობას. ეს მოქნილობა არ იყო ხელმისაწვდომი ბრეტონ ვუდსის სისტემის N ვალუტისათვის (აშშ დოლარისათვის).

კონვერტუნარიანობა

ეროვნული ვალუტის გამოყენება აღმოფხვრის ბარტერის ხარჯებს ცალკეულ ეკონომიკაში, ეროვნული ფულის საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენება კი მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებას უფრო ეფექტურს ხდის. მრავალმხრივი ვაჭრობის წასახალისებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდი არწმუნებდა თავის წევრებს, რაც შეიძლება სწრაფად გადაექციათ თავიანთი ფული კონვერტირებადად. **კონვერტირებადი ვალუტა** თავისუფლად იცვლება უცხო ქვეყნების ვალუტაში. აშშ-სა და კანადის დოლარი კონვერტირებადი 1945 წელს გახდა. ეს ნიშნავს, რომ კანადის მაცხოვრებელს, რომელმაც აშშ-ს დოლარი შეიძინა, შეუძლია იგი აშშ-შივე გაცვალოს უცხოური ვალუტის ბაზარზე კანადის დოლარებზე ან მიჰყიდოს კანადის ბანკს, რომელსაც თავის მხრივ აქვს უფლება, იგი ოქროდ მიჰყიდოს ფედერალურ სარეზერვო ფონდს (ფიქსირებული დოლარ/ოქროს გაცვლის კურსით). არაკონვერტუნარიანობა ძალიან გაართულებდა საერთაშორისო ვაჭრობას. ფრანგ მოქალაქეს იქნებ არ უნდა საქონელი მიჰყიდოს გერმანელს არაკონვერტირებად გერმანულ მარკებზე, რადგან ამ მარკების გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გერმანიის მთავრობის მიერ თავსმოხვეული შეზღუდვების თანახმად. თუ არ არსებობს არაკონვერტირებადი ფრანკების ბაზარი, გერმანელი ვერ შეიძენს ფრანგულ ფულს ფრანგული საქონლის საყიდლად. ასეთ შემთხვევაში ვაჭრობის ერთადერთი საშუალება იქნება ბარტერი – საქონლის პირდაპირი გაცვლა საქონელზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულება მოითხოვდა კონვერტუნარიანობას მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის გარიგებებზე: ქვეყნებს ნება ეძლეოდათ, შეზღუდვით კაპიტალის ანგარიშის ოპერაციები იმ

პირობით, რომ ისინი დაუშვებდნენ თავიანთი ფულის თავისუფალ გამოყენებას ამ ოპერაციებში მიმდინარე ანგარიშის ძალაში შესვლით. 1918-1939 წლების გამოცდილებამ პოლიტიკის შემქმნელები აიძულა, განეხილათ კერძო კაპიტალის მოძრაობა, როგორც ეკონომიკური არასტაბილურობისაკენ მიმართული ფაქტორი; ამასთან მათ ეშინოდათ, რომ „ცხელი ფულის“ სპეკულატიური მიმოქცევა ეროვნული სასაქონლო საბოტაჟით დაემქრობოდა დადგენილ სახალკეთო კურსზე დაფუძნებული თავისუფალი ვაჭრობის იმ მიზანს, რომლის განხორციელება მათი ინტერესის საგანი იყო. ბრეტონ ეუდსის სისტემის შემდგენლები, როცა დაიხრებოთ მოითხოვდნენ კონვერტუზიანობას მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის ოპერაციებზე, იმპლიმენტდნენ, რომ ხელს შეეწყობდნენ თავისუფალ ვაჭრობას და აიცლებდნენ კაპიტალის ნაკადის მხრიდან გარე დაძაბულობის შესლუღვას, თუკი ასეთს წააწყდებოდნენ.

ევროპის ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო კონვერტუზიანობის აღდგენა 1958 წლამდე, იაპონიამ კი 1964 წლამდე. გერმანიამაც დაეშვა კაპიტალის მოძრაობის არსებითი კონვერტუზიანობა, თუმცა ამას საერთაშორისო სახალკეთო ფონდი არ მოითხოვდა. ამ დრომდე ევროპის საგადასხდლო კავშირი შექმნილია, როგორც საანგარიშსწორებო პლატა ევროპის არაკონვერტირებადი ვალუტისათვის, ზოგჯერ ასრულებდა უცხოური ვალუტის ბაზრის ზოგიერთ ფუნქციას და ამით ხელს უწყობდა შიდაევროპულ ვაჭრობას. დიდმა ბრიტანეთმა პირველად 1947 წელს სცადა ვალუტის კონვერტირება, მაგრამ უკან დაიხია დიდი საგარეო რესურსების დაკარგვის შიშით.

აშშ დოლარი თავისმა ადრეულმა კონვერტუზიანობამ და ბრეტონ ეუდსის სისტემაში განსაკუთრებულმა მდგომარეობამ გადააქცია ძირითად ვალუტად ომისშემდგომ მსოფლიოში. რაკი დოლარი თავისუფლად კონვერტირებადი იყო, საერთაშორისო ვაჭრობა მისკენ იხრებოდა და ექსპორტიორებიცა და იმპორტიორებიც მას იყენებდნენ გარიგებებში. ფაქტობრივად დოლარი გადაიქცა საერთაშორისო ფულად – გაცვლის უნივერსალურ საშუალებად, აღრიცხვის ერთეულად და ღირებულების შენახვის გზად. დოლარი მიმზიდველი იყო, რადგან გამოიყენებოდა იმ ერთობ აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელიც მხოლოდ აშშ-ს შეეძლო მიეწოდებინა ბაზრისათვის. ცენტრალური ბანკები, ბუნებრივია, უმჯობესად თვლიდნენ, რომ თავიანთი საერთაშორისო რესურსები პროცენტის მომტანი დოლარის აქტივების სახით აქონოდათ.

შიდა და გარე ბალანსი ბრეტონ ვუდსის სისტემით

ბრეტონ ეუდსში შექმნილმა საერთაშორისო სახალკეთო სისტემამ როგორ შეაძლებინა თავის წევრებს, რომ მათ შეეთანხმებინათ თავიანთი გარე ვალდებულებები სრული დასაქმებისა და ფასის სტაბილურობის შიდა ამოცანებთან? რადგან მსოფლიო ეკონომიკა განვითარდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, „გარე ბალანსის“ მნიშვნელობა შეიცვალა და საშინაო და საგარეო მიხნებს შორის კონფლიქტი უფრო და უფრო დაემქრა ფიქსირებული ვალუტის კურსის სისტემას. გარე ბალანსი იყო აშშ-ს მთავარი საზრუნავი პრობლემა, რის გამოც ქვეყანამ წამოგრა წინადადებები სისტემის რეფორმის შესახებ.

გარე ბალანსის ცვლადი მნიშვნელობა

ბრეტონ ეუდსის სისტემის პირველ ათწლეულში ბევრმა ქვეყანამ განიცადა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც დაკავშირებული იყო ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის აღდგენასთან. რადგან ამ ქვეყნების ძირითადი გარე პრობლემა იყო, მოეპოვებინათ საკმარის რაოდენობით დოლარი აშშ-დან საჭირო შესყიდვების დასაფინანსებლად, ამ წლებს ხშირად უწოდებდნენ „დოლარის ნაკლებობის“ პერიოდს. აშშ აღნიშნულ მთავრობებს ეხმარებოდა ამ დეფიციტის შესლუღვით, მარშალის გეგმის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენდა აშშ-დან ევროპის ქვეყნებისათვის დოლარის გრანტის პროგრამას, რომლის განხორციელება 1948 წელს დაიწყო.

თითოეული ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს სიმძიმეებს უქმნიდა უცხოური ვალუტის სესხად აღება მკაცრად ლიმიტირებული კაპიტალის მიმოქცევის ოპერაციების პირობებში. არსებითად, კერძო კაპიტალის მიმოქცევის გარეშე, მიმდინარე ანგარიშის უწონასწორობა თითქმის მთლიანად უნდა დაფინანსებულიყო ოფიციალური სარესურსო ოპერაციებით და სამთავრობო სესხებით (მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უდრის კერძო და სახელმწიფო კაპიტალის მოძრაობის სიჭარბეს). უცხოური კრედიტების დასყიდვის გარეშე ქვეყნები განიცდიდნენ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მხოლოდ მაშინ, როცა ცენტრალური ბანკები ამცირებდნენ თავიანთი საგარეო ვალუტის რესურსებს. ცენტრალური ბანკები კი ურიდებოდნენ რესურსების შემცირებას ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ შესაძლებლობას, დაეფიქსირებინათ სახალკეთო კურსი, საფრთხე შეექმნებოდა.

1958 წლის კონვერტუზიანობის აღდგენამ თანდათანობით შეანელა პოლიტიკის შემქმნელთა დაძაბულობა. რადგან უცხოური ვალუტით ვაჭრობა ფართოვდებოდა, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ბაზრები ერთმანეთს უფრო მჭიდროდ გადაეჯაჭვნენ (მნიშვნელოვანი ნაბიჯი დღევანდელი უცხოური ვალუტის ბაზრის შესაქმნელად). ფონდების სასაღვარგო ვაჭრის მხარდა შესაძლებლობებით ეროვნული სამროცენტო განაკვეთი უფრო მეტი გახდა და გაიზარდა ის სიჩქარე, რომლითაც მთავრობის პოლიტიკის შეცვლას შეუძლია ქვეყანას დააკარგოს ან მოაგებინოს საერთაშორისო რესურსები. 1958 წლის შემდეგ, 15 წლის განმავლობაში, ცენტრალური ბანკები უკარადლებით აღევენდნენ თვალს ფინანსურ მდგომარეობას უცხოეთში და როცა

რეზერვების უცაბელი დაკარგვის საფრთხე იწინადა თავს, ვეღარ რისკავდნენ, რადგან აღნიშნული მოვლენა მათ დატოვებდა ვალუტის კურსის გამყარებისათვის საჭირო რეზერვების გარეშე. როცა ცენტრალური ბანკი აწყდებოდა უცხოეთის საპროცენტო განაკვეთების უცაბედ მატებას, იგი იძულებული ხდებოდა, გაეყიდა ადგილობრივი აქტივები და გაეზარდა ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთი საერთაშორისო რეზერვების სიმყარის შესანარჩუნებლად.

კონვერტენარიანობის აღდგენას არ გამოუწვევია სწრაფი და სრული საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია, როგორც ეს მოცემულია მე-17 თავში ფიქსირებული ვალუტის კურსის მოდელში. პირიქით, ქვეყნების უმეტესობაში რჩებოდა კაპიტალის მოძრაობის ოპერაციებზე შეზღუდვები, მაგრამ „მალული“ კაპიტალის ნაკადის შესაძლებლობა დრამატულად იზრდებოდა. მაგალითად, ქვეყნის იმპორტიორებს შეუძლოთ ეფექტურად შეეძინათ უცხოური აქტივები უცხოელი მიმწოდებლებისათვის საქონლის დაბეგერის გადიდებით რეალურ გადაზიდვასთან მიმართებაში; მათ შეუძლოთ ეფექტურად ესესხათ უცხოელი მიმწოდებლებისაგან გადასახადების დაყოვნების პირობით. ვაჭრობის ასეთი პრაქტიკა – ცნობილი, როგორც „გასწრება“ და „ჩამორჩენა“ – უზრუნველყოფდა ორ გზას, რომლითაც კერძო კაპიტალის მიმოქცევის ოფიციალური ბარიერების აცილება შესაძლებელი ხდებოდა. თუმცა საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის წონასწორობის პირობა ზუსტად არ სრულდებოდა, ცალკეული ქვეყნების საპროცენტო განაკვეთებს შორის კავშირი მჭიდროვდებოდა ბრეტონ ვუდსის სისტემის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.

კაპიტალის სემკულატური ნაკადი და კრიზისი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა და სიჭარბემ მეტი მნიშვნელობა შეიძინა კერძო კაპიტალის გაზრდილი მიმოქცევის პირობებში. მიმდინარე ანგარიშის დიდი და მუდმივი დეფიციტის მქონე ქვეყნები, საეჭვოა, „თანაფარდობის ფუნდამენტური დარღვევის“ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მიხედვით და ამგვარად, მზად აღმოჩენილიყვნენ ვალუტის დევალვაციისათვის. მოსალოდნელი დევალვაციის ეჭვი, თავის მხრივ, გამოიწვევდა საგადაამხდლო ბალანსის კრიზისს.

მას, ვისაც გირვანქა სტერლინგის სახით ჰქონდა ანაბრები, მისი გაუფასურება დიდ ზარალს მიაყენებდა, რამდენადაც გირვანქა სტერლინგის აქციის ღირებულება უცხოური ვალუტით შემცირდებოდა სავალუტო კურსის ცვლილების გამო. თუ დიდი ბრიტანეთის მიმდინარე ანგარიშში დეფიციტური იყო, სტერლინგის მფლობელები დელავდნენ და გადააქონდათ თავიანთი სიმდიდრე სხვა ვალუტებში. დოლართან მიმართებაში სტერლინგის კურსის სიმყარის შესანარჩუნებლად ინგლისის ბანკს უნდა შეეძინა სტერლინგები და მოემარაგებინა ის უცხოური აქტივები, რაც ბაზრის მონაწილეებს სურდათ ჰქონოდათ. თუ საგარეო რეზერვების დანაკარგი დიდი იქნებოდა, მას შეუძლო გამოეწვია გაუფასურება და ინგლისის ბანკს დატოვებდა საკმარისი რეზერვების გარეშე ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად.

პოლიტიკის არჩევანის ანალიზი ბრეტონ ვუდსის სისტემის ვიხედვით

იმ პრობლემის აღწერისათვის, რომელსაც ცალკეული ქვეყანა (აშშ-ს გარდა) აწყდებდა ფიქსირებული სავალუტო კურსის შიდა და გარე ბალანსზე ყურადღების გამახვილებისას, ბრეტონ ვუდსის სისტემის დროს, მიუზღებრუნდეთ მე-17 თავში გამოყენებულ სტრუქტურას. დაეუშვათ, შიდა (R) და უცხოური (R*) საპროცენტო განაკვეთები ყოველთვის ტოლია,

$$R = R^*$$

ეს ტოლობა, ვიცით, ზუსტად არ ესადაგება ბრეტონ ვუდსის მონაცემებს (განსაკუთრებით 1958 წლიდან), მაგრამ იმ ვალდებულებათა ზუსტ სურათს იძლევა, რასაც პოლიტიკის შემქმნელები შემდგომში წააწყდნენ მაკროეკონომიკური საშუალებების გამოყენებისას. სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ როგორ არის ქვეყნის მდგომარეობა დამოკიდებული, საგარეო და შიდა მიზნების გათვალისწინებით, თავის ფიქსირებულ E ვალუტის კურსსა და ფისკალურ პოლიტიკაზე. E არის დოლარის ადგილობრივი ფასი. ანალიზი ეხება ხანმოკლე პერიოდს; შიდა და უცხოური ფასები (P და P*) ფიქსირებულია.

საგარეო ბალანსის შენარჩუნება

პირველად განვიხილოთ შიდა ბალანსი. თუ P* და E მუდმივად ფიქსირებულია, ადგილობრივი ინფლაცია უპირველესად დამოკიდებული იქნება ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის ზეწოლის ოდენობაზე და არა მოსალოდნელ ინფლაციაზე. ამიტომ, შიდა ინფლაცია მოითხოვს მხოლოდ სრულ დასაქმებას, ე.ი. ერთობლივი მოთხოვნა უდრის Y' გამოშვების სრული დასაქმების დონეს.

გაეხსენოთ, რომ ერთობლივი მოთხოვნა ადგილობრივ გამოშვებაზე არის C მოხმარების, I ინვესტიციის, G სამთავრობო შესყიდვებისა და CA მიმდინარე ანგარიშის ჯამი, სადაც ფიგურირებს T გადასახადი. მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე არის რეალური შემოსავლის შემცირებადი და რეალური ვალუტის კურსის მზარდი

ფუნქცია, EP^*/P (იხ. მე-16 თავი). დაბოლოს, ინვესტიცია მიჩნეულია მუდმივად. ამიტომ შიდა ბალანსის პირობა არის


$$Y' = C(Y' - T) + I + G + CA(EP^*/P, Y' - T) \quad (18-1)$$

18-1 ტოლობა გეიჩვენებს პოლიტიკის იმ საშუალებას, რომელიც გაელენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე და ამიტომ გაელენას ახდენს გამოშვებაზეც ხანმოკლე პერიოდში. ფისკალური გაფართოება (G-ს ზრდა ან T-ს შემცირება) იწვევს ერთობლივ მოთხოვნას და ამით გამოშვების ზრდას. ასევე ფულის დეველუაცია (E-ს ზრდა) აიაფებს ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას საზღვარგარეთ გაყიდვულთან შედარებით და, აგრეთვე, ზრდის მოთხოვნასა და გამოშვებას. პოლიტიკის შემქმნელს შეუძლია დაუშვას გამოშვება სრული დასაქმების მყარ Y' დონეზე ფისკალური პოლიტიკის ან ვალუტის კურსის ცვლილებების მეშვეობით.

შენიშნეთ, რომ მონეტარული პოლიტიკა არ წარმოადგენს იარაღს ფიქსირებული ვალუტის კურსის დროს. ეს იმიტომ, რომ ცენტრალური ბანკის ცდა – შეცვალოს ფულის მასა ადგილობრივი აქტივების ყიდვა-გაყიდვით – გამოიწვევს კონტრასტულ ცვლილებას საგარეო რეზერვებში, ადგილობრივ ფულის მასას კი უცვლელად დატოვებს. ადგილობრივი აქტივების ოპერაციები ცენტრალური ბანკის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საგარეო რეზერვების დონის შესაცვლელად, მაგრამ არა იმისათვის, რომ გაელენა მოახდინოს დასაქმებისა და გამოშვების მდგომარეობაზე.

გრაფიკი 18-2 შიდა ბალანსი (II), საგარეო ბალანსი (XX) და „ეკონომიკური დისკომფორტის ოთხი ზონა“

გრაფიკი გეიჩვენებს, რომ გაცვლითი კურსის სხვადასხვა დონეები და ფისკალური შეზღუდვა გულისხმობს დასაქმებას და მიმდინარე ანგარიშს. გამოშვება II-ის გასწვრივ არის თავისი სრული დასაქმების Y' დონეზე. XX – ს გასწვრივ მიმდინარე ანგარიშში არის მის ნაეარაუდეუ X დონეზე.



18-2 გრაფიკის II მრუდი გეიჩვენებს სავალუტო კურსისა და ფისკალური პოლიტიკის შერწყმას, რაც აკავებს გამოშვების მუდმივ მანქენებელს Y' -ზე და ამით ინარჩუნებს შიდა ბალანსს. ეს მრუდი ზემოთაა მიმართული, რადგან ფულის დეველუაცია (S ზრდა) და ფისკალური გაფართოება (G-ს ზრდა ან T-ს შემცირება) ადიდებს გამოშვებას. გამოშვება რომ მუდმივი იყოს, ფულის რეველუაცია (რაც ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს) უნდა გაწონასწორდეს ფისკალური გაფართოებით (რაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას). II მრუდი ზუსტად გეიჩვენებს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ფისკალური მდგომარეობა, როცა E იცვლება სრული დასაქმების შესანარჩუნებლად. II მრუდის მარჯვნივ ფისკალური პოლიტიკა უფრო გაფართოებადია, ეიდრე სრული დასაქმებისთვისაა საჭირო; ასე რომ, ეკონომიკის საწარმოო ფაქტორები ზედმეტად დასაქმებულია. II მრუდის მარცხნივ ფისკალური პოლიტიკა ძალიან შემზღუდავია და სახეზეა უმუშევრობა.

საგარეო ბალანსის შენარჩუნება

ენახეთ, თუ როგორ გამოიყენება ფისკალური პოლიტიკისა და ვალუტის კურსის ცვლილებები გამოშვებაზე გაელენის მოსახდენად და ეს ყოველივე როგორ ეხმარება მთავრობას, მიაღწიოს თავის შიდა მიზანს – სრულ დასაქმებას. როგორ მოქმედებს პოლიტიკა ეკონომიკის საგარეო ბალანსზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაეუშვათ შემდეგი: მთავრობას აქვს X მიზნობრივი ღირებულება მიმდინარე ანგარიშის სიჭარბისათვის. საგარეო ბალანსის მიზანი მოითხოვს – მთავრობამ მართოს ფისკალური პოლიტიკა და ვალუტის კურსი ისე, რომ დაკმაყოფილდეს ტოლობა:

$$CA(EP^*/P, Y - T) = X \quad (18 - 2)$$

P და P*-ით E-ს ზრდა ადგილობრივ საქონელს აიაფებს და აუჩუბებს მიმდინარე ანგარიშს. ფისკალურ

გაფართოებას კი უკუეფექტი აქვს მიმდინარე ანგარიშზე. T-ს შემცირება ზრდის Y გამოშვებას; არსებული შემოსავლის მატება აღიღებს შიდა ხარჯებს უცხოურ საქონელზე და აუარესებს მიმდინარე ანგარიშს. ასევე, G-ს ზრდა იწვევს CA-ს შემცირებას და Y-ის მატებას.


იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მიმდინარე ანგარიში X-ზე, რადგან ფისკალური გაფართოება აუფასურებს ფულს (ე.ი. ზრდის E), მთავრობამ უნდა გაზარდოს შესყიდვები ან შეამციროს გადასახადები. 18-2 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ XX მრუდი, რომლის გარშემოც საგარეო ბალანსი იყრის თავს, დადებითად დახრილია. იგი გვიჩვენებს, თუ ფისკალური გაფართოების რა დონეა საჭირო, რათა შენარჩუნებულ იქნას მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე X წერტილზე. რაკი ფული გაუფასურებულია მოცემული რაოდენობით. რამდენადაც E-ს მატება ზრდის წმინდა ექსპორტს, მიმდინარე ანგარიში ჭარბია და X დონესთან მიმართებაშია XX-ზე ზევით. ასევე, XX-ის ქვევით მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია თავის მიზანთან შეფარდებით.

დანახარჯების შემცველი და დანახარჯების წარმართველი პოლიტიკა

II და XX მრუდები გრაფიკს ყოფენ ოთხ ნაწილად, რასაც ზოგჯერ უწოდებენ „ეკონომიკური დისკომფორტის ოთხ ზონას“. თითოეული ეს ზონა წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკის პირობების შედეგს. პირველ ზონაში დასაქმების დონე ძალიან მაღალია და მიმდინარე ანგარიში მეტისმეტად ჭარბი; მეორე ზონაში დასაქმების სიჭარბე ძალიან მაღალია, მაგრამ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი – ძალიან დიდი; მესამე ზონაში ზედმეტი დასაქმებაა და ზედმეტი დეფიციტი; მეოთხე ზონაში გადამეტებული დასაქმება მიმდინარე ანგარიშის სიჭარბესთან ერთად უფრო მეტია, ვიდრე მიზნის დონე. ორივეს, ერთად გამოყენებულს, ფისკალურ და ვალუტის კურსის პოლიტიკას შეუძლია მოათავსოს ეკონომიკა II და XX მრუდების გადაკვეთის წერტილზე (1), სადაც აღინიშნება შიდა და გარე ბალანსი. წერტილი (1) გვიჩვენებს პოლიტიკის პირობებს, რომლითაც ეკონომიკა იმ მდგომარეობაშია, როგორსაც პოლიტიკის შემქმნელები აძლევენ უპირატესობას. თუ ეკონომიკა თავიდანვეა (1) წერტილიდან დაშორებული, საჭიროა შესატყვისი შესწორება ფისკალურ პოლიტიკასა და სავალუტო კურსში გარე და შიდა ბალანსის განსახორციელებლად. ცვლილებებს ფისკალურ პოლიტიკაში, რასაც ეკონომიკა მიჰყავს (1) წერტილმდე, ეწოდება დანახარჯების შემცველი პოლიტიკა, რადგან იგი ცვლის საქონელსა და მომსახურებაზე ეკონომიკის მოთხოვნის მთლიან დონეს. ვალუტის კურსის თანამდევ მოწესრიგებას ეწოდება დანახარჯების წარმართველი პოლიტიკა, რადგან იგი ცვლის მოთხოვნის მიმართულებას, გადაადგილებს რა მას ადგილობრივ გამოშვებასა და იმპორტს შორის. საერთოდ, ორივე პოლიტიკა აუცილებელია შიდა და გარე წონასწორობის მისაღწევად.

ბრეტონ ვუდსის წესების თანახმად, ვალუტის კურსის ცვლილება (დანახარჯების წარმართველი პოლიტიკა) არ უნდა იყოს ხშირი. ეს აქცევს ფისკალურ პოლიტიკას მთავარ იარაღად ეკონომიკის წინსვლისათვის შიდა და გარე წონასწორობისაკენ, რისთვისაც, როგორც 18-2 გრაფიკი გვიჩვენებს, ფისკალური პოლიტიკა საერთოდ არაა საკმარისი. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ფისკალური პოლიტიკა მარტომ შეასრულოს ეს სამუშაო, თუ ეკონომიკა გადაადგილდება პორიზონტალურად (1) წერტილიდან. თანაც, ფისკალური პოლიტიკა მოუქნელია – კანონით დამტკიცების გარეშე არ შეიძლება მისი განხორციელება. შემდეგი წინააღმდეგობა არის ის, რომ ფისკალური გაფართოება შეცვლილ უნდა იქნას რამდენიმე ხნის შემდეგ, თუკი ის იწვევს სამთავრობო ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს.

გრაფიკი 18-3 საშინაო და საგარეო ბალანსის პოლიტიკა



სანამ ვალუტა არ გაუფასურდება და ფისკალური შეზღუდვის ხარისხი არ გაიზარდება გარე და შიდა ბალანსი (წერტილი 1) ვერ მიიღწევა. ცალკე, მხოლოდ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მიაღწიოს ან შიდა ბალანსს (წერტილი 3) ან გარე ბალანსს (წერტილი 4), მაგრამ საბოლოო მიზნიდან ეკონომიკის დაშორების ხარჯზე.

ვალუტის კურსის მოუქნელობის შედეგად პოლიტიკის შემქმნელები ზოგჯერ დილემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე. ფისკალური პოლიტიკა და ვალუტის კურსი, რომელიც 18-3 გრაფიკის (2) წერტილზეა ნაჩვენები, არ იწვევს ჭარბ დაუესაქმებლობასა და მიმდინარე ანგარიშის ჭარბ დეფიციტს. მხოლოდ დეველუაციისა და

ფისკალური გაფართოების გაერთიანება მიიყვანს ეკონომიკას შიდა და გარე წონასწორობამდე (წერტილი 1). გაფართოებად ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ცალკე მოქმედებს, შეუძლია გააუქმოს უმუშევრობა ეკონომიკის გადაადგილებით (3) წერტილამდე, მაგრამ შემცირებული უმუშევრობის ხარჯი არის დიდი გარე დეფიციტი. სანამ ამ წინააღმდეგობრივ ფისკალურ პოლიტიკას მარტოს შეუძლია გარე ბალანსის მოწესრიგება (წერტილი 4), გამოშვება მცირდება და ეკონომიკა შორდება შიდა ბალანსს. დასაძინია, რომ პოლიტიკის ისეთმა ღილემამ, რომელიც (2) წერტილზეა აღნიშნული, წარმოშვა ფულის თითქმის გაუფასურების ეჭვი. დეკლარაცია აუტომატურად მიმდინარე ანგარიშს და ერთობლივ მოთხოვნას EP*/P რეალური ვალუტის კურსით. ალტერნატივა იქნება უმუშევრობის ხანგრძლივი და პოლიტიკურად უსიამოვნო პერიოდი რეალური ვალუტის კურსის თანაბარი ზრდის მოსაწესრიგებლად P-ს შემცირებით.

ქვეყნები სოგჯერ, მართლაც, იყენებენ ვალუტის კურსის ცვლილებებს შიდა და გარე ბალანსთან მისაახლოებლად, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებს აუცილებლად მოჰყვება საგადაამხდლო ბალანსის კრიზისი. ბევრმა ქვეყანამ გაამყარა კონტროლი კაპიტალის მიმოქცევის ოპერაციებზე, რათა გაეწყვიტა კავშირი ადგილობრივ და უცხოურ საპროცენტო განაკვეთებს შორის და მონეტარული პოლიტიკა უფრო ეფექტური გაეხადა. ამ საქმეში მათ ნაწილობრივ მიაღწიეს წარმატებას.

აშშ-ს საგარეო ბალანსის პრობლემები

ბრეტონ ვუდსის სისტემაში აშშ-ს საგარეო ბალანსის პრობლემა განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების პრობლემებისაგან. როგორც N ვალუტის გამომშვები, აშშ არ იყო დოლარის ვალუტის კურსის ხელოვნურად გამაგრების ინიციატორი. მისი ძირითადი პასუხისმგებლობა იყო, შეენარჩუნებინა ოქროს ფასი დოლარით (35 დოლარი უნციაზე) და უზრუნველყო, რომ ცენტრალურ ბანკებს შესძლებოდათ თავიანთი დოლარების ოქროდ კონვერტირება ამ ფასად. ამ მიზნით მათ უნდა ჰქონოდათ ოქროს საკმაო მარაგი. რადგან აშშ-ს მოეთხოვებოდა, გაეყიდა ოქრო დოლარებით სხვა უცხოურ ბანკებში, სხვა ქვეყნების შესაძლებლობანი თავიანთი დოლარის მარაგის ოქროდ კონვერტირებისა მოსალოდნელ გარე გართულებას წარმოადგენდა აშშ-ს მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის. უცხოური ცენტრალური ბანკები ეჭიდებოდნენ დაგროვილ დოლარებს, რადგან ამით იხდიდნენ პროცენტს. ოქროს ვალუტის სტანდარტის ლოგიკა კარნახობდა უცხოურ ცენტრალურ ბანკებს, რომ უნდა გაეგრძელებინათ დოლარების დაგროვება. მსოფლიო ოქროს მარაგი ისე სწრაფად არ იზრდებოდა, რომ კვალში მიჰყოლოდა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებას. ასე რომ, ერთადერთი გზა, რითაც ცენტრალური ბანკები შეინარჩუნებდნენ რეზერვების შესაბამის საერთაშორისო დონეს (დეფლაციის გარეშე), იყო დოლარის აქტივების დაგროვება. ოქროს ოფიციალური კონვერტირება შემთხვევით ხდებოდა; ამით იწურებოდა ამერიკული ოქროს მარაგი, რაც იწვევდა წუხილს. მაგრამ რამდენადაც ცენტრალურ ბანკებს სურდათ, მიემატებინათ დოლარები თავიანთი მარაგისათვის და უარი ეთქვათ იმ დოლარების კანონიერად გამოსყიდვაზე ამერიკული ოქროთი, აშშ-ს გარე შეზღუდვა უფრო შესუსტდა, ვიდრე სისტემაში მყოფი სხვა ქვეყნებისა.

1960-იან წლებში იელის უნივერსიტეტის ეკონომისტმა რობერტ ტრიფინმა ყურადღება გაამახვილა ბრეტონ ვუდსის სისტემის ფისკალური პოლიტიკის ძირეული ხანგრძლივი სანდობის პრობლემაზე. ამ პერიოდში აშშ ოქროს მარაგი აჭარბებდა დოლარის პასივებს უცხოეთის ცენტრალურ ბანკებში, მაგრამ ტრიფინს ესმოდა, რომ რადგან ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვი უნდა გაზრდილიყო დროთა განმავლობაში, მათ მფლობელობაში არსებული დოლარები აუცილებლად მოიმატებდა, ვიდრე არ გადააჭარბებდა აშშ-ს ოქროს მარაგს. აშშ ვეღარ შეძლებდა შეესრულებინა დაპირება და გამოეყიდა დოლარები (35 დოლარად უნცია), ყველა მფლობელს რომ ერთდროულად ეცადა თავიანთი დოლარების ოქროდ კონვერტირება. ეს მიგვიყვანდა სანდობის პრობლემამდე: ცენტრალურ ბანკებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ მათი დოლარები აღარ იყო „ისე კარგი, როგორც ოქრო“, შესაძლოა აღარ მოენდომებინათ დოლარის დაგროვება და დაემხოთ კიდევ სისტემა. ამას მოახერხებდნენ იმის ცდით, რომ ნაღდ ფულად გადაიყვანდნენ თავიანთ მფლობელობაში არსებულ დოლარებს. ისტორიაში არსებობდა ტრიფინის წინასწარმეტყველების მაგალითი. გაეიხსენოთ, რომ 1931 წელს გირვანქა სტერლინგის მფლობელები, იცოდნენ, რა მცირე იყო ბრიტანეთის ოქროს მარაგი, დაეხმარნენ, დაემხოთ ოქროს მარაგის სისტემა იმით, რომ უცებ სცადეს თავიანთი გირვანქა სტერლინგების ოქროთი ანაწლავება.

ერთადერთი შესაძლო გადაწყვეტილება იმ დროისათვის იყო ოქროს ოფიციალური ფასის ზრდა დოლართან და სხვა ვალუტასთან მიმართებაში. მაგრამ ასეთი ზრდა ინფლაციური გამოდგებოდა (პოლიტიკურად არამიმსიდველელი შედეგით) ოქროს მწარმოებელი მთავარი ქვეყნების გამდიდრებისათვის. შემდეგ ოქროს ფასის ზრდა გამოიწვევდა იმას, რომ ცენტრალური ბანკები იმის მოლოდინში იქნებოდნენ, რიდის შემცირებულად მათი დოლარის მარაგის ოქროს ღირებულება; ამით მხოლოდ გაუარესდებოდა და არა გადაწყდებოდა სანდობის პრობლემა!

თვით ტრიფინმა წამოაყენა გეგმა, რის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოეშვებდა საკუთარ ვალუტას, რომელიც ცენტრალურ ბანკებს ექნებოდათ საერთაშორისო ვალუტად დოლარის ნაცვლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი გარანტიას იძლეოდა, რომ შესაბამისად გაზრდიდა საერთაშორისო რეზერვების მარაგს იმავე გზით, როგორც ცენტრალური ბანკი იძლეოდა გარანტიას, რომ შესაბამისად გაზრდიდა ადგილობრივი ფულის მასას. რეალურად, ტრიფინის გეგმა გადააქცევდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს მსოფლიო ცენტრალურ ბანკად.

1967 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები შეთანხმდნენ, შეექმნათ სესხების სპეციალური უფლება, – ხელოვნური სარესურსო აქტივი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალუტის მსგავსი, რაც ტრიფინმა ჩაიფიქრა. სესხების სპეციალური უფლება გამოიყენებოდა ცენტრალურ ბანკებს შორის ოპერაციებში, მაგრამ აღნიშნულ უფლებებს შედარებით ნაკლები გავლენა ექნებოდა საერთაშორისო სავალუტო სისტემის ფუნქციონირებაზე. მათი შედეგიც შესაძლებელი იყო ნაწილობრივ იმით, რომ 1960-იან წლებში ფიქსირებული ვალუტის კურსის სისტემა უკვე ავლენდა დაძაბულობის ნიშნებს, რაც მალე მიგვიყვანდა ნგრევამდე. ეს დაძაბულობა მჭიდროდ უკავშირდებოდა აშშ-ს განსაკუთრებულ მდგომარეობას.

საკითხის შესწავლისათვის

ბრიტონ ვულსის სისტემის დაქვეითება და ღაცემა

ფიქსირებული თანაბრობის სისტემით ქვეყნებს გაუძენდლათ შიდა და გარე ბალანსის ერთდროული მიღწევა დანაწევრებული ვალუტის კურსის მოწესრიგების გარეშე. რადგან გაადვილდა სასაღვარჯარო ფონდების გადარიცხვა, ვალუტის კურსის შეცვლის შესაძლებლობამ აანაზღაურა კაპიტალის სპეკულატორი მიმოქცევა, რამაც პოლიტიკის შემქმნელების წინაშე მდგარი ამოცანა გაართულა. ბრიტონ ვულსის სისტემის დაცემა გამოძახილი იყო ქვეყნების წარუმატებელი ცდისა, აღელვინათ შიდა და გარე ბალანსი წესების მიხედვით.

სიმშვიდე ქარიშხლის წინ: 1958-65 წლები

1958 წელს, როცა ევროპაში აღდგა ვალუტის კონვერტუბარიანობა, აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე სწრაფად შემცირდა და 1959 წელს უკვე დეფიციტში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წელს ქვეყნის ეკონომიკაში მოთხოვნის შემცირების წყალობით მიმდინარე ანგარიში გაუმჯობესდა, უცხოურმა ცენტრალურმა ბანკებმა თავიანთი დაახლოებით 2 მლრდ დოლარის ოქროდ კონვერტირება შეძლეს 1 წელიწადში, 1958-59 წლებში კი მათ დაახლოებით 3 მლრდ დოლარის კონვერტირება მოახერხეს. 1960 წელი აღინიშნა „დოლარის ნაკლებობის პერიოდის“ დასასრულად და იმ „შიშის პერიოდის“ დასაწყისად, რომ აშშ-მ შესაძლოა გააუფასუროს დოლარი ოქროსთან მიმართებაში.

1961-65 წლებში აშშ-სათვის მშვიდი პერიოდი იყო, სხვა ქვეყნები კი, მაგალითად, ბრიტანეთი, გარე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. აშშ მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე გაფართოვდა და ცენტრალური ბანკების მიერ დოლარის ოქროდ დიდმასშტაბიანი კონვერტირების შიში განელდა. ამ ქვეყნიდან კერძო კაპიტალის მუდმივი გადინება, რომელიც უცხოურ ოფიციალურ მარაგში დოლარის შემცველობას ზრდიდა, იყო კენედისა და ჯონსონის მთავრობების ზრუნვის საგანი, რის გამოც უკვე 1963 წლიდან დაიწყო კაპიტალის გადინების შეზღუდვა გადასახადების დაკისრებით ამერიკელების მიერ უცხოური აქტივების შესყიდვებზე და სხვა ღონისძიებებით.

ამ პერიოდის დასაწყისში გერმანია შიდა და გარე ბალანსის დილემის წინაშე აღმოჩნდა, რაც ათწლეულის ბოლოს დრამატულად წარიმართა. 1960 წელს გერმანიაში, საერთაშორისო რეზერვების შემოადინებასთან ერთად, დასაქმების დიდი ბუმი აღინიშნა. 18-2 გრაფიკის მიხედვით, გერმანიის მთავრობა აღმოჩნდა გრაფიკზე პირველ მითითებულ ზონაში. მისი ცდა, შეესაღწა ბუმი მონეტარული პოლიტიკის შევიწროებით, წარმატებული იყო მხოლოდ ბუნდესბანკის საერთაშორისო რეზერვების უფრო სწრაფი ზრდის სფეროში; ცენტრალური ბანკი იძულებული იყო, გაეყიდა გერმანული მარკა დოლარებად. რათა საკუთარი ვალუტა დაეცვა ფასის მატებისაგან. გერმანული მარკის კურსის ზრდამ (5%-იანი) 1961 წლის მარტში ეკონომიკა დაახლოვა შიდა და გარე ბალანსთან, რადგან გამოშვების ზრდა შენელდა და მიმდინარე ანგარიშის სიჭარბემ იკლო. ამ შემთხვევაში სისტემამ წარმატებით აირიდა მთავარი კრიზისი; ეს ნაწილობრივ მოხდა უცხოური ვალუტის ბაზრის გაახრებით, რომ გერმანული მარკის რეველაცია უფრო ასახავდა გერმანიის, ვიდრე ამერიკის მაკროეკონომიკურ პრობლემას. ეს გაახრება შეიცვლებოდა შემდეგ ათწლეულში.


ვიეტნამის სამხედრო აღმშენებლობა და „ღიადი საზოგადოება“: 1965-68 წლები

ბევრი ეკონომისტი აშშ-ს მაკროეკონომიკურ პოლიტიკას 1965-68 წლებში განიხილავდა, როგორც მთავარ შეცდომას, რომელმაც ხელი შეუწყო ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემის ამოცნობას. სამთავრობო სამხედრო შესყიდვებმა იმატა, როცა 1965 წ. პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ამერიკა ფართოდ ჩართო ვიეტნამის კონფლიქტში. იმავე დროს სამთავრობო დანახარჯების სხვა კატეგორიებმაც დრამატულად იწვეს ზრდა, როცა ძალაში შევიდა პრეზიდენტის ე.წ. „ღიადი საზოგადოების“ პროგრამა, რომელიც შეიცავდა ფონდებს სახალხო განათლებისა და ქალაქის განვითარებისათვის. 18-4ა გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ დაიწყო ზრდა მთავრობის ნომინალური შესყიდვების ტემპმა: ჯერ ნელა (1965 წ.), მომდევნო წელს კი საკმაოდ იმატა. ამ მატებას სამთავრობო დანახარჯებში გადასახადების ზრდა მაშინვე არ მოჰყოლია: 1966 იყო არსებების წელი და პრეზიდენტ ჯონსონს არ სურდა, კონგრესს

ყურადღება გაემახვილებინა მის დანახარჯებზე გადასახადების გაზრდით.

შედგება მივიღეთ ის ფისკალური გაფართოება, რის დახმარებითაც დადგინდა აშშ-ს ფასების ზრდა და გამოიწვია მკვეთრი შემცირება მიმდინარე ანგარიშის სიჭარბეში (18-4b და 18-4c გრაფიკები). თუმცა მონეტარული პოლიტიკა თავდაპირველად, როცა გამოშვება ფართოვდებოდა, შესლულული იყო, მიღებული მაღალი საპროცენტო განაკვეთების უარყოფითმა შედეგმა სამშენებლო მრეწველობაში გამოიწვია ის, რომ ფედერალურ სარეზერვო ფონდს უნდა აერჩია გაცილებით გაფართოებადი მონეტარული კურსი 1967-1968 წლებში (18-4d გრაფიკი). როგორც 18-4b გრაფიკი გვიჩვენებს, ამ შემდგომმა ნაბიჯმა, გადაადგომულმა ადგილობრივი ფასების დონის მოწესრიგებისაკენ, აშშ-ს დაუტოვა ინფლაციის ის ტემპი – კერძოდ, 6% წლიურად, რაც დამახასიათებელი იყო ათწლეულის ბოლოს.

გრაფიკი 18-4 აშშ-ს მაკროეკონომიკური მონაცემები – 1964-72 წლები



ოქროს კრიზისიდან ჩაეარდნამდე: 1968-1973 წლები

მომავალი პრობლემების მაუწყებელი ადრეული ნიშანი გამოჩნდა ლონდონის ოქროს ბაზრიდან 1967 წლის ბოლოსა და 1968 წლის დასაწყისში. კერძო გადაწყვეტილებმა დაიწვეს ოქროს შესყიდვა დოლარის ფასის ზრდის მოლოდინში. მაშინ ფიქრობდნენ, რომ სპეკულაცია შეჩერებული იყო ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის დევალუაციით 1967 წლის ნოემბერში. მაგრამ იმავე წელს აშშ-ს ფულადმა ექსპანსიამ და მსარდმა ინფლაციამ შესაძლოა გაეღენა მოახდინა სპეკულატურ მიდრეკილებებზეც. ფედერალური სარეზერვო ფონდისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ ოქროს დიდი რაოდენობით გაყიდვის შემდეგ, 1968 წლის 15 მარტს, ინგლისის ბანკმა დახურა ოქროს ბაზარი. ორი დღეც და ცენტრალურმა ბანკმა გამოაცხადა *ორიარუსიანი* ოქროს ბაზრის შექმნა: ერთი იქნებოდა კერძო, მეორე – სახელმწიფო. ოქროთი კერძო მოვაჭრენი (კერძო იარუსი) გააგრძელებდნენ ვაჭრობას ლონდონის ოქროს ბაზარზე, მაგრამ იქ დადგენილ ოქროს ფასს მერყეობის შესაძლებლობა ექნებოდა. ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო იარუსში ცენტრალური ბანკი არ შეწყვეტდა ოპერაციებს ოქროს ოფიციალური ფასით, 35 დოლარი უნციანზე.

ორიარუსიანი ბაზრის შექმნა შემობრუნების წერტილი იყო ბრეტონ ეუდსის სისტემის პრაქტიკაში. აქ შექმნილი ოქროს ვალუტის სტანდარტის უპირველესი მიზანი იყო, აეცილებინა ინფლაცია ოქროს მიბმით დოლარის ფასზე. დოლარის მასასა და ოქროს ფიქსირებულ საბაზრო ფასს შორის კავშირის გაწვევით ცენტრალურმა ბანკმა უარი თქვა ინფლაციის წინააღმდეგ დასახელებული სისტემის დაცვის საჭიროებაზე. ახალმა ღონისძიებებმა კი ვერ მოაშორეს გარე წინააღმდეგობანი, რადგან უცხოური ცენტრალური ბანკები ინარჩუნებდნენ უფლებას, ეყიდათ ოქრო დოლარით ფედერალური სარეზერვო ფონდიდან; ამასთან, ცენტრალურ ბანკებთან ანგარიშის გასასწორებლად საჭირო ოქროს ოფიციალური ფასი შემცირდა ფიქტიურ მაჩვენებლამდე, რის გამოც იგი ვეღარ უქმნიდა ავტომატურ წინააღმდეგობას მსოფლიო მონეტარულ ზრდას.

როგორც 18-4b გრაფიკი გვიჩვენებს, აშშ-ში ინფლაცია გაიზარდა 1970 წლის რეცესიის შეტევის მიუხედავად. იმ დროისათვის ინფლაციის მოლოდინის ვარაუდი განმტკიცდა ეკონომიკაში და გაეღენა

იქონია ხელფასის რეგულირებაზე; შემცირებადი ერთობლივი მოთხოვნა ხელს უწყობდა აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას 1970 წელს, თუმცა ეს პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა. საგადაამხდელს ბალანსის არახელსაყრელი ციფრები (1971-იან წლებში გამოქვეყნებული) დაეხმარა აშშ-ს უცხოური ვალუტის ბაზრებში დიდი რაოდენობით გერმანული მარკების კერძო შესყიდვების ანაზღაურებაში, იმ ვარაუდით, რომ გერმანული მარკა გაუფასურდებოდა დოლართან მიმართებაში. 1971 წლის 4 მაისს ბუნდესბანკი იძულებული იყო, ეყიდა 1 მლრდ დოლარი, რათა შეენარჩუნებინა დოლარის ფიქსირებული ვალუტის კურსი, როცა მისი ვალუტის მოთხოვნა გაიზარდებოდა. მეორე დღესვე – 5 მაისს მან შეიძინა 1 მლრდ დოლარი უცხოური ვალუტით მხოლოდ ერთი საათის ვაჭრობის შემდეგ! ამ დროისათვის ბუნდესბანკმა ამჯობინა თავისი ვალუტის მცოცაობა, ვიდრე გერმანული ფულის მასა უფრო მეტად გაბერილიყო ბუნდესბანკის მიერ დოლარების შესყიდვის შედეგად.

ამ დღეების ჩაველის შემდეგ ბაზრები დარწმუნდნენ, რომ დოლარი გაუფასურდებოდა ევროპის ყველა მთავარი ვალუტის მიმართ. 1971 წლისათვის აშშ-ში უმუშევრობა კვლავ დიდი იყო და ფასები მომატებული წინა წლებში. სრული დასაქმების აღსადგენად და მიმდინარე ანგარიშის გასაწონასწორებლად აშშ-ს მოუხდა, განეხორციელებინა დოლარის რეალური გაუფასურება. ეს უკანასკნელი ორი გზით ხორციელდებოდა: პირველი იყო ადგილობრივი უმუშევრობის პირობებში აშშ-ს ფასების შემცირება უცხოური ფასების სრლის პარალელურად, უცხოური ცენტრალური ბანკების მიერ დოლარის გამუდმებული შესყიდვის საპასუხოდ. მეორე, დოლარის ნომინალური ღირებულების შემცირება უცხოური ვალუტის გათვალისწინებით. პირველი მტკივნეულ გზად ეჭვენებოდათ პოლიტიკის შემქმნელებს. ბაზარი აშკარად ხედებოდა, რომ დოლარის ღირებულების ცელა გარდუვალი იყო. მათი რეალიზაცია იწვევდა დოლარების განახლებულ გაყიდვას უცხოური ვალუტის ბაზარზე, რამაც უმაღლეს წერტილს 1971 წლის აგვისტოში მიაღწია.

დეველუაცია არ იყო ადვილი გადასატანი აშშ-სათვის. ყველა ქვეყანას შეეძლო თავისი ვალუტის კურსის შეცვლა სხვა ვალუტასთან მიმართებაში, თავისი დოლარის კურსის უბრალოდ დაფიქსირებით ახალ დონეზე. N ვალუტა – დოლარი შეიძლება გაუფასურებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყნების მთავრობები შეთანხმდებოდნენ, გაემყარებინათ თავიანთი ვალუტა დოლარის მიმართ ახალი კურსით. ფაქტობრივად, ყველა ქვეყანა ერთდროულად უნდა დათანხმებოდა თავიანთი ვალუტის რეველუაციაზე დოლართან მიმართებაში. ამიტომ, დოლარის გაუფასურება დასრულდებოდა მხოლოდ მოლაპარაკებების შედეგად. სოგიერთი ქვეყანა რეველუაციის დიდი მომხრე არ იყო, რადგან ეს მათ საქონელს უფრო გააძვირებდა აშშ-ს საქონელთან შედარებით და ზიანს მიაყენებდა მათ საექსპორტო თუ საიმპორტო მრეწველობას.

პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ძალით გადაწყვიტა საკითხი 1971 წლის 15 აგვისტოს. ჯერ ერთი, მან ბოლო მოუდო ოქროს დანაკარგს იმის განცხადებით, რომ აშშ უკვე ავტომატურად აღარ გაყიდდა ოქროს დოლარით უცხოურ ცენტრალურ ბანკებს. ამ ქმედებამ ეფექტურად გაწყვიტა კავშირი დოლარსა და ოქროს შორის. მეორე, პრეზიდენტმა გამოაცხადა 10%-იანი გადასახადი ყველა იმპორტზე აშშ-ში. ეს გადაწყვეტილება ძალაში იქნებოდა, სანამ ამერიკის სავაჭრო პარტნიორები შეთანხმდებოდნენ, ხელახლა შეეფასებინათ თავიანთი ვალუტები დოლართან მიმართებაში.

საეალუტო კურსის გარდაქმნის საერთაშორისო ხელშეკრულება მიღწეულ იქნა ვაშინგტონში 1971 წლის დეკემბერში. უცხო ვალუტებთან მიმართებით საშუალოდ დოლარი გაუფასურდა დაახლოებით 8%-ით და იმპორტის 10%-იანი დანამატი, რაც აშშ შემოიღო გარდაქმნის დასაჩქარებლად, გაუქმდა. ოქროს ოფიციალური ფასი გაიზარდა 38 დოლარამდე 1 უნციაზე; მაგრამ ამას ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან აშშ არ დათანხმდა, განეხლებინა ოქროს გაყიდვა უცხოურ ცენტრალურ ბანკებს. სმიტსონის შეთანხმებამ (ვაშინგტონი) ნათელყო, რომ ოქროს სტანდარტი საბოლოოდ გაუქმდა.

სმიტსონის გარდაქმნა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ნიქსონის დროს მიჩნეული იყო „ყველაზე მნიშვნელოვან მონეტარულ შეთანხმებად მსოფლიო ისტორიაში“, ფეხს ითრევდა 15 თვის განმავლობაში. აშშ-ს მიმდინარე ანგარიშის მკვეთრმა გაუარესებამ 1972 წელს, აშშ-ს მკვეთრ მონეტარულ ზრდასთან ერთად, იმ წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, დაარწმუნა ბაზრები, რომ სმიტსონის ხელშეკრულებით დოლარის დეველუაცია არასაკმარისი იყო. 1972 წლის განმავლობაში კიდევ იყო კაპიტალის სპექულატიური ნაკადი დოლარიდან სხვა ვალუტებში, კერძოდ, გერმანულ მარკებსა და იაპონურ იენებში. გერმანიამ გაამკაცრა კონტროლი კაპიტალის შემოდინებაზე, რათა შეეჩერებინა რეზერვის მიმოქცევა, რაც ადგილობრივ ფულად მასას ბერავდა.

1973 წლის თებერვალში მეორე დიდი შეტევა დაიწყო დოლარზე და ვიდრე აშშ და მისი სავაჭრო პარტნიორები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ დოლარის დამცავ ღონისძიებებზე, უცხოური ვალუტის ბაზარი დაიკეტა. დოლარის შემდგომი, 10%-იანი დეველუაცია გამოცხადდა 12 თებერვალს, სპექულაცია დოლარის წინააღმდეგ მაშინვე შეწყდა, როგორც კი მთავრობამ ნება მისცა გაეხსნათ უცხოური ვალუტის ბაზარი. მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრალურმა ბანკებმა შეისყიდეს 3.6 მლრდ დოლარი 1 მარტს თავიანთი ვალუტის სუდემეტი შეფასებისაგან დასაცავად, უცხოური ვალუტის ბაზარი კვლავ დაიკეტა.

როცა ის კვლავ გაიხსნა 19 მარტს, იაპონიისა და ევროპის ქვეყნების ვალუტა მცურავი იყო დოლართან მიმართებაში. განვითარებადი ქვეყნების მცურავი დოლარის ვალუტის კურსი განხილული იყო, როგორც დროებითი პასუხი კაპიტალის უმართავი სპეკულატიური მოძრაობის მიმართ. მაგრამ 1973 წელს მიღებული შუალედური ღონისძიებები მუდმივი აღმოჩნდა, რამაც დაადასტურა, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსი დასრულდა და დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ახალი შფოთიანი პერიოდი.

მსოფლიო ინფლაცია და გადასვლა მცურავ კურსზე


1960-იან წლებში აშშ ინფლაციის დაჩქარება (18-4ხ გრაფიკი) მსოფლიო მოელენა იყო. 18-1 ცხრილი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული წლების ბოლოს ინფლაციის ტემპმა იმატა ევროპის ეკონომიკაშიც. მე-17 თავში მოცემულმა თეორიამ იწინასწარმეტყველა, რომ როცა სარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყანა დააჩქარებს ფულის მასის ზრდას, როგორც ეს აშშ-ში გააკეთა 1960 წლის მეორე ნახევარში, მას მოჰყვება მონეტარული ზრდის ტემპის გადიდება და ინფლაცია საზღვარგარეთ. ეს შედეგი იქნება იმისა, რომ უცხოური ცენტრალური ბანკები ყიდულობენ სარეზერვო ვალუტას, რათა შეინარსონ ვალუტის კურსი და ჩართონ ფულადი მასა ამ პროცესში. ბრეტონ ვუდსის სისტემის ჩავარდნის ერთი ინტერპრეტაცია არის ის, რომ უცხო ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, შემოეტანათ ინფლაცია აშშ-დან (მე-17 თავში აღნიშნული მექანიზმით): ფასების სტაბილიზაციისა და შიდა ბალანსის კვლავ მისაღწევად მათ უარი უნდა ეთქვათ ფიქსირებულ ვალუტის კურსზე და დაეშვათ თავიანთი ვალუტის მცოცაობა. რამდენად ედება ბრალი აშშ-ს მაკროეკონომიკური პოლიტიკის სისტემის დაცემაში?

ცხრილი 18-1 ინფლაციის ტემპი ევროპის ქვეყნებში 1966-72 წლებში (წლიური პროცენტი)

ქვეყნები	1966	1967	1968	1969	1970	1971	1972
ბრიტანეთი	3.6	2.6	4.6	5.2	6.5	9.7	6.9
საფრანგეთი	2.8	2.8	4.4	6.5	5.3	5.5	6.2
გერმანია	3.4	1.4	2.9	1.9	3.4	5.3	5.5
იტალია	2.1	2.1	1.2	2.8	5.1	5.2	5.3

იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ინფლაციის შემოტანა საზღვარგარეთიდან, სანამ ვალუტის კურსი მოწესრიგებულია, დაეკვირდეთ შიდა და გარე ბალანსის გამოსახულებას 18-2 გრაფიკში. სადაც დაეუშვით, რომ E^* უცხოური ფასის დონეა. ეთქვათ, ადგილობრივი ქვეყანა წააწყდა უცხოურ ინფლაციას. რის შედეგადაც P^* გაიზარდება. 18-5 გრაფიკი გვიჩვენებს უცხოური ინფლაციის გადმოტანის შედეგს ადგილობრივ ქვეყანაში.

გრაფიკი 18-5 უცხოური ფასის დონის ზრდის შედეგი შიდა და გარე ბალანსზე



P^* წერტილის გაზრდის შემდეგ (1) წერტილი იმოფება (1) ზონაში. (ჭარბი დასაქმება და ჭარბი ნაშატი). რეველაცია (E წერტილის შემცირება) სწრაფად აღადგენს წონასწორობას (2) წერტილისკენ არსებული პოლიტიკის გადანაცვლებით.

გრაფიკზე ჩანს, თუ როგორ იხრება ორივე მრუდი იმის მიხედვით, თუ რა მოხდება ნომინალური ვალუტის კურსის შემცირებით P^* -ის ზრდის პროპორციულად. ამ შემთხვევაში EP^*/P რეალური ვალუტის კურსზე გაელენა არ ექნებოდა (მოცემულია P) და ეკონომიკა დარჩებოდა შიდა ან გარე წონასწორობაში, თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დასაწყისშივე იქნებოდა შენარჩუნებული. 18-5 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ საწყისი ვალუტის კურსისათვის P^* -ის ზრდა II' და XX' მრუდებს დახრის ქვევით ერთი და იმავე მანძილით (რომელიც უფროს P^* -ის პროპორციულ ზრდას გამრავლებულს ვალუტის საწყისს კურსზე). ამ ახალი II' და XX'

მრუდების გადაკვეთა (წერტილი 2) ძვეს სწორედ წერტილის (1) ქვევით.

თუ ეკონომიკა აღნიშნულია წერტილში (1), მაშინ P*-ის ზრდა მოცემული ფიქსირებული ვალუტის კურსით ეკონომიკას ათავსებს პირველ სონაში – გადაჭარბებული დასაქმებითა და არასასურველად მაღალი სიჭარბით მიმდინარე ანგარიშში. ამ გამოშვების გამომწვევი ფაქტორი არის ვალუტის რეალური გაუფასურება, რაც გადააანაცვლებს მსოფლიო მოთხოვნის მანქანებელს ადგილობრივი ქვეყნისაკენ (EP*/P იზრდება P*-ის ზრდის გამო).

თუ მთავრობამ არაფერი იღონა, გადაჭარბებული დასაქმება გაზრდის სეწოლას ადგილობრივ ფასებზე; ეს კი თანდათანობით გადაწვეს ამ ორ მრუდს საწყის მდგომარეობამდე. მრუდი წყვეტს მოძრაობას, რადგან P იზრდება P*-ის პროპორციულად. ამ სტადიაზე რეალური ვალუტის კურსი, უმუშევრობა და მიმდინარე ანგარიში საწყის დონეებზეა; ასე რომ, წერტილი (1) კიდევ ერთხელ წარმოადგენს შიდა და გარე ბალანსის მდებარეობის ნიშნულს.

გადმოტანილი ინფლაციის თავიდან აცილების საშუალებაა ვალუტის ხელახალი შეფასება (ე.ი. დაბალი E) და წერტილისკენ (2) მოძრაობა. რეველვაცია შიდა და გარე ბალანსს მაშინვე აღადგენს, რათა უზრუნველყოს რეალურ ვალუტის კურსზე P*-ის ზრდის ეფექტი ადგილობრივი ინფლაციის გარეშე, ნომინალური ვალუტის კურსის გამოყენებით. მხოლოდ დანახარჯების წარმართველი პოლიტიკაა საჭირო უცხოური ფასების წმინდა ზრდის საპასუხოდ.

ადგილობრივი ფასების ზრდა, რომელიც ვალუტის კურსის ზრდის არარსებობის დროს ხდება, მოითხოვს ადგილობრივი ფულის მასის ზრდას, რადგან ფასები და ფულის მასა ხანგრძლივ პერიოდში პროპორციულად მიმოიქცევა. ამ ზრდის მექანიზმია უცხოური ვალუტის შემოჭრა ცენტრალური ბანკების მეშვეობით. რადგან ადგილობრივი გამოშვება და ფასები დიდდება P* ზრდის შემდეგ, რეალური ფულის მასა მცირდება და ამიტომ მასზე მოთხოვნა იზრდება.

ადგილობრივი ვალუტის ზედმეტი შეფასების შედეგად გამოწვეული სეწოლისაგან ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთების დასაცავად, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეისყიდოს საერთაშორისო რეზერვები და გაზარდოს ადგილობრივი ფულის მასა. ამგვარად, სარეზერვო ცენტრის მიერ გატარებული ინფლაციური პოლიტიკა უზრუნველყოფს ფულის მასას.

18-4 გრაფიკსა და 18-1 ცხრილში აღნიშნული ახლო ურთიერთობა აშშ-სა და უცხოურ ინფლაციას შორის ნათელყოფს იმას, რომ ევროპაში ინფლაცია შემოტანილია აშშ-დან. მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში ინფლაციის ძლიერი ტალღების მოთოკვა გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულ პროცესში ცალკეული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორებიც თამაშობდნენ გარკვეულ როლს. მაგალითად, ბრიტანეთში ინფლაცია მნიშვნელოვნად დაჩქარდა 1968 წელს, სტერლინგის დეველვაციიდან ერთი წლის შემდეგ. რადგან ხანგრძლივ პერიოდში დეველვაცია ნეიტრალურია, მან პროპორციულად უნდა გაზარდოს ხანგრძლივი ადგილობრივი ფასის დონე დეველვაცია, ალბათ, ბრიტანეთის ინფლაციის ზრდას ნაწილობრივ ხსნის. 1968 წელს საფრანგეთში გაფიცებმა გამოიწვია ხელფასების დიდი ზრდა, საფრანგეთ-გერმანიის ვალუტების კრიზისი და ფრანკის გაუფასურება 1969 წელს. ეს მოვლენები ნაწილობრივ ხსნიან საფრანგეთში მომხდარ ინფლაციას 1968-69 წლებში. შემოტანილმა ინფლაციამ ყველაზე დიდი როლი გერმანიაში ითამაშა, სადაც ადრეულმა მტკივნეულმა პიპერიინფლაციურმა გამოცდილებამ გადააწვევტინა პოლიტიკის შემქმნელებს წინააღმდეგობა გაეწიათ ფასის ღონის ზრდისათვის.

ფულის მასის შესახებ არსებული მონაცემი ამტკიცებს, რომ ევროპისა და იაპონიის მონეტარულმა ზრდამ 1960-იან წლებში იმატა (ჩვენი თეორიის თანახმად). 18-2 ცხრილი გვიჩვენებს დასავლეთ გერმანიის, აგრეთვე საერთაშორისო რეზერვებისა და ფულის მასის ევოლუციას 1968-72 წლებში; თუ როგორ დრამატულად მოიმატა ფულის ზრდამ 1969 წლის შემდეგ, როცა ბუნდესბანკის საერთაშორისო რეზერვები გაფართოვდა. ნათქვამი ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ ამერიკული ინფლაცია შემოვიდა გერმანიაში ბუნდესბანკის მიერ დოლარის შესყიდვის შედეგად უცხოური ვალუტის ბაზარში.

ცხრილი 18-2 ცვლილებები გერმანიის ფულის მასასა და საერთაშორისო რეზერვებში 1968-1972 წწ. (პროცენტი წელიწადში)

ზრდის ტემპი	1968	1969	1970	1971	1972
ფულის მასისა	6.4	- 6.3	8.9	12.3	14.7
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვებისა	37.8	- 43.6	215.7	36.1	35.8

ძნელია გერმანიის ფულის ზრდის ახსნა, როგორც პირდაპირი შედეგისა, აშშ ფულის მასის ზრდასთან ერთად. 18-4 გრაფიკისა და 18-2 ცხრილის შედარება გვიჩვენებს, რომ გერმანიის ფულის მასის ზრდა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე აშშ-ში 1969 წლის შემდეგ. განსხვავება გულისხმობს, რომ გერმანიის საერთაშორისო

რეზერვის ზრდის უმეტესობა ასახავდა სპეკულაციას დოლარის შესაძლო დეველუაციაზე ადრეულ 1970-იან წლებში და შედეგად მიღებულ ბაზრის მონაწილეობის გადახრას დოლარის აქტივებიდან გერმანული მარკის აქტივებში.

აშშ-ს ფულადი მასის პოლიტიკას აუცილებლად მიუძღვის დეაწლი საზღვარგარეთ ინფლაციის პროცესში თავისი პირდაპირი შედეგით ფასებსა და ფულის მასაზე. მან დიდი როლი შეასრულა ფიქსირებული საგანაკვეთო სისტემის დანგრევაში, როცა უცხოელ პოლიტიკის თეორეტიკოსებს წინააღმდეგობა გაუწია – მათ ხომ წამოაყენეს მოთხოვნა, არჩევანი გაკეთებულიყო ფიქსირებულ ტარიფებსა და შემოტანილ ინფლაციას შორის. მაგრამ აშშ-ს ფისკალური პოლიტიკა, რომელმაც დოლარის დეველუაცია აუცილებელი გახადა, დაეხმარა უცხოურ ინფლაციას დოლარებიდან კაპიტალის სპეკულატიური გადინების შემდგომი წახალისებით. აშშ-ს გვიანი 60-იანი წლების ფისკალური პოლიტიკა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ბრეტონ ვუდსის სისტემის უარყოფის დამატებითი მიზეზი.

ამგვარად, ბრეტონ ვუდსის სისტემის ჩაყარდა ნაწილობრივ მოხდა ცალმხრივი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. მაგრამ გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ ძირითადად ხარჯების წარმმართველმა იარაღმა – ვალუტის კურსის რეგულირება – რომელიც საჭირო იყო შიდა და გარე ბალანსისათვის, გამოიწვია სპეკულატიური შეტევა. ამან კი სულ უფრო გააძნელა შიდა და გარე ბალანსის მიღწევა. ბრეტონ ვუდსის სისტემის შემქმნელები იმედოვნებდნენ, რომ მათი უძლიერესი წევრი – აშშ გაატარებდა მსოფლიო ეკონომიკის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ პოლიტიკას. როდესაც აშშ-მ არ მოისურვა აედო ეს პასუხისმგებლობა, 1960-იან წლებში ფიქსირებული სავალუტო სისტემა დაიშალა.

ჩეხიუმი

1. ღია ეკონომიკის პირობებში პოლიტიკის შემქმნელები ცდილობენ შიდა ბალანსის (სრული დასაქმება და მყარი ფასი) და გარე ბალანსის (მიმდინარე ანგარიში, რაც არც ისე უარყოფითია, რომ ქვეყანამ ვერ შეძლოს საგარეო ვალდებულების გადახდა, და არც ისე დადებითი, რომ უცხოელები ჩააყენოს ამ მდგომარეობაში) შენარჩუნებას. გარე ბალანსის განმარტება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, რომელთა შორისაა ვალუტის კურსის რეჟიმი და მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა. რადგან თითოეული ქვეყნის მაკროეკონომიკა გავლენას ახდენს უცხოეთზე, ქვეყნის უნარი – მიადწიოს შიდა და გარე წონასწორობას, დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რასაც სხვა ქვეყნები ატარებენ.
2. ოქროს სტანდარტის სისტემა შეიცავს მძლავრ ავტომატურ მექანიზმს გარე ბალანსის საგარანტიოდ – ფასი - ხურდა ფული - ნაკადის მექანიზმი. ოქროს ნაკადი, რომელსაც დეფიციტი და სიჭარბე მოსდევს, იწვევს ფასის ცვლილებას, რაც ამცირებს მიმდინარე ანგარიშის არათანაბრობას და იწვევს ყველა ქვეყნის მიბრუნებას გარე ბალანსისაკენ. სისტემის მუშაობა შიდა ბალანსის შესანარჩუნებლად მაინც შერეული იყო. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ოქროს სტანდარტიც გაუქმდა.
3. 1918 წლის შემდეგ ომამდელი ოქროს სტანდარტის დაბრუნების ცდა წარუმატებელი გამოდგა. როცა საერთაშორისო ეკონომიკა მსოფლიო დეპრესიამ მოიცვა 1929 წლის შემდეგ, აღდგენილი ოქროს სტანდარტი ცალკე დარჩა და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია შესუსტდა. იმ დროის მშფოთვარე ეკონომიკურ პირობებში მთავრობისათვის შიდა ბალანსი გადაიქცა მთავარ საზრუნავად და ეცადა, თავი აერიდებინა გარე ბალანსის პრობლემისათვის თავისი ეკონომიკის ნაწილობრივი იზოლირებით დანარჩენი მსოფლიოსაგან. შედეგად მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკა, რომელშიც ყველა ქვეყნის მდგომარეობა შესაძლოა გაუარესებულიყო საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით.
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემქმნელები იმედოვნებდნენ, რომ შეადგენდნენ ფიქსირებული ვალუტის კურსის სისტემას, რომელიც წახალისებდა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას და თან გარე ბალანსის მოთხოვნებს საკმაოდ მოქნილს გახდიდა, თანაც ისე, რომ არ გაეწირა შიდა ბალანსი. დასასრულს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დებულება ფინანსებით უზრუნველყოფდა დეფიციტის მქონე ქვეყნებს და უშეებდა სავალუტო კურსის შესწორებებს „თანაფარდობის ფუნდამენტური დარღვევის“ პირობებში. ყველა ქვეყანა ამაგრებდა თავის ვალუტას დოლარით. აშშ აფიქსირებდა ოქროს და უცხოეთის ცენტრალურ ბანკებს უთანხმდებოდა, გადაეცვალებათ ოქრო დოლარზე – ერთი უნცია 35 დოლარი.
5. მას შემდეგ, რაც აღადგინეს ვალუტის კონვერტუზიანობა ევროპაში 1958 წელს, ქვეყნების ფინანსური ბაზრები უფრო დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მონეტარული პოლიტიკა ნაკლებ ეფექტური გახდა (აშშ გარდა) და საერთაშორისო რეზერვების მიმოქცევა უფრო ცვალებადი: ეს ცვლილებები ამხელდნენ სისტემის სისუსტეს. შიდა და გარე ბალანსის მისაღწევად ერთდროულად ხარჯების შემცველი და ხარჯების წარმმართველი პოლიტიკა გახდა აუცილებელი. მაგრამ ხარჯების წარმმართველ პოლიტიკას (სავალუტო კურსის ცვლილება) შეიძლება მოჰყოლოდა კაპიტალის სპეკულატიური დინება, რაც ძირს გამოუთხრიდა ფიქსირებულ სავალუტო კურსს. როგორც მთავარი ვალუტის მარაგის მქონე ქვეყანა, აშშ წააწყდა გარე ბალანსის ერთადერთ პრობლემას: სანდოობის პრობლემას, რომელიც მაშინ წარმოიშობოდა ხოლმე, როცა უცხოური ოფიციალური დოლარის მარაგი იზრდებოდა და გადაჭარბებით ემუქრებოდა აშშ-ს ოქროს მარაგს.
6. გვიანი 1960-იანი წლების აშშ-ს მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ბრეტონ ვუდსის სისტემის დამხობა ადრეულ 1973 წლებში. აღნიშნული ქვეყნის ზედმეტად გაფართოებულ ფისკალურ პოლიტიკას ბარკეული წვლილი მიუძღვის დოლარის დეველუაციის გარდევადობაში ადრეულ 1970-იან წლებში და

იმის შიშით, რომ ეს კელაე მოხდება, ცდილობს, სასწრაფოდ აღკვეთოს დოლარის კაპიტალის სპეკულატიური გადინება, რამაც გამოიწვია უცხოური ფულის მასის გაბერვა. აშშ-ს ფულის მასის ღირება ზრდამ გაანადგურა ინფლაცია შინ და გარეო, რითაც უცხოეთის მთავრობებს სურვილი გაუქრო, გაეგრძელებინათ აშშ-დან ინფლაციის შემოტანა ფიქსირებული ვალუტის კურსის მეშვეობით. საერთაშორისო კრიზისების სერიამ 1971 წლის გაზაფხულზე გამოიწვია დოლართან ოქროს კავშირისა და დოლარის ფიქსირებული ვალუტის კურსზე უარის თქმა განვითარებულ ქვეყნებში.

პირითადი ტერმინები

საგადასახდლო ბალანსის წონასწორობა
საინფლაციო პრობლემა
ხარჯების შემცველი პოლიტიკა
გარე ბალანსი
შიდა ბალანსი
ფასი - ხურდა ფული - ნაკადის მექანიზმი

ბრეტონ ეუდსის შეთანხმება
კონვერტირებადი ვალუტა
ხარჯების წარმართველი პოლიტიკა
საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობითობა
საერთაშორისო სავალუტო ფონდი
სესხების სპეციალური უფლება (SDR)

პითხვები

1. თუ თქვენ განაგებთ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მცირე ღია ეკონომიკაში, რა ხარისხობრივი შედეგები ექნება გარე ბალანსის თქვენს მიზანზე თითოეულ შემთხვევას:
 - ა. ურანის დიდი საბადო აღმოჩნდა თქვენ ქვეყანაში.
 - ბ. თქვენი ძირითადი საექსპორტო საქონლის - სპილენძის ფასი განიწვეტლივ იზრდება.
 - გ. სპილენძის მსოფლიო ფასი დროებით იზრდება.
 - ბ. ნავთობის ფასი მსოფლიოში დროებით იზრდება.
2. ოქროს სტანდარტის პირობებში აღწერეთ, როგორ შეიძლება აღდგეს საგადასახდლო ბალანსის წონასწორობა ორ ქვეყანას (A და B) შორის, თუ შემოსავალს გადაიტანთ B-დან A-ში?
3. ოქროს სტანდარტის სუსტი მხარეების მიუხედავად, ვალუტის კურსის ცვლილებები 1914 წლამდე იშვიათი იყო და პირიქით, ასეთი ცვლილებები ძალიან გახშირდა ომთაშორის პერიოდში. შეგიძლიათ დაასახელოთ ამ წინააღმდეგობის მიზეზი?
4. ოქროს სტანდარტის პირობებში ქვეყნებმა შესაძლოა, აირჩიონ უაღრესად წინააღმდეგობრივი პოლიტიკა, რადგან ყველა იბრძვის უფრო დიდი წილის მისაღებად მსოფლიო ოქროს მარაგის შესღებულ რაოდენობიდან. წარმოიშობა თუ არა იგივე პრობლემა სარეზერვო ვალუტის სტანდარტის დროს, როცა სხვადასხვა ვალუტით დენომინირებული ობლიგაციები ერთმანეთის სრულყოფილ შემცველებს წარმოადგენენ.
5. ცენტრალურ ბანკს, რომელიც იღებს ფიქსირებულ ვალუტის კურსს, შეუძლია დათმოს თავისი ავტონომია ადგილობრივი მონეტარული პოლიტიკის დასადგენად. ზოგჯერ ეს საკამათოა. ცენტრალური ბანკი უარს ამბობს მონეტარული პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობაზე ხელფასისა და ფასის სპირალთან შესაბამისობადად. ეს არგუმენტი ასე უყურს: „დაეუშვათ, მუშები მოითხოვენ უფრო მაღალ ხელფასს და დამპირაებლებიც თანხმდებიან, მაგრამ შემდეგ ზრდიან გამოშვების ფასს მაღალი ხარჯების დასაფარავად. ახლა ფასი მაღალია და რეალური ბალანსი მაშინვე მცირდება; ასე რომ, საპროცენტო განაკვეთის ზრდის თავიდან ასაცილებლად, რაც ზედმეტად შეაფასებდა ვალუტას, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეისყიდოს უცხოური ვალუტა და გაზარდოს ფულის მასა. ეს ქმდება უზრუნველყოფს ხელფასის საწყისს მოთხოვნას ფულის ზრდით და ეკონომიკა მიემართება ხელფასისა და ფასების მაღალი დონეებისაკენ. ფიქსირებული ვალუტის კურსის დროს აღარ არსებობს ხელფასებისა და ფასების დაბალი დონის შენარჩუნების გზა“. რა არის არასწორი ამ არგუმენტში?
6. ეკონომისტები დიდი ხნის განმავლობაში კამათობდნენ, რომ ბრეტონ ეუდსის სისტემის მოქმედების წლებში დოლარის მარაგის ზრდა იყო „მოთხოვნა-განსასწორებელი“ (ე.ი. განპირობებული ცენტრალური ბანკების სურვილით, დოლარი დამატებოდა თავიანთ საერთაშორისო რეზერვებს) ან „მიწოდება-განსასწორებელი“ (ე.ი. განპირობებული აშშ-ს ფულადი ზრდის სინქარით). რას უპასუხებდით? რა შედეგი ექნება საერთაშორისო რეზერვების მსოფლიო მარაგის ზრდასა და ინფლაციას შორის ურთიერთობას?
7. დაეუშვათ, მცირე ქვეყნის ცენტრალური ბანკი დგება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის P*-ის ზრდის წინაშე. ამას რა შედეგი ექნება ქვეყნის საგარეო რეზერვებზე? მისი ფულის მასაზე? შეუძლია თუ არა, უზრუნველყოს ერთ-ერთი ამ შედეგთაგანი ადგილობრივი ღია ბაზრის ოპერაციებით?
8. კერძო კაპიტალის მოძრაობის გარიგებების შესღებდით, როგორ შეიცვლება ფიქსირებული ვალუტის კურსით მიღწეული შიდა და გარე ბალანსის პრობლემა? რა ხარჯებს გამოიწვევს ასეთი შესღებები?

მაკროეკონომიკური პოლიტიკა და კოორდინაცია მცურავი სავალუტო კურსის დროს

1960-იან წლებში, როდესაც ფიქსირებული სავალუტო კურსის ბრეტონ ვუდსის სისტემა დასაბუთების ნიშნები გამოავლინა, ბევრმა ეკონომისტმა ურჩია ქვეყნებს, რომ ვალუტის ღირებულება თავისუფლად დადგენილიყო უცხოური ვალუტის ბაზარში. განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა 1973 წელს მირეს მცურავი სავალუტო კურსი, ოღონდ როგორც დროებითი სასწრაფო ღონისძიება და არ უგდებდნენ ეურს ეკონომისტების რჩევას მუდმივი მცურავი კურსის სისტემის შემოღების თაობაზე. ამდენად, შექმნილი გახდა ერთიანი ფიქსირებული კურსის სისტემის დამკვიდრება. განვითარებული ქვეყნების დოლარის გაცვლის კურსი 1973 წლიდან კვლავ მცურავი იყო. ამ უკანასკნელის დამცველები ამაში ხედავდნენ გამოსავალს შიდა და გარე ბალანსს შორის კონფლიქტიდან, რაც ხშირად ხდებოდა ბრეტონ ვუდსის მკაცრი სავალუტო კურსის დროს. 1980-იან წლებში ეკონომისტები და პოლიტიკის შემქმნელები უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ მცურავი კურსზე დაფუძნებულ საერთაშორისო მონეტარული სისტემის მომგებიანობას. სოგეერთი კრიტიკოსი 1973 წლის სავალუტო ღონისძიებებს უწოდებდა საერთაშორისო მონეტარულ „არასისტემას“, ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხშირი უთანხმოებით. ბევრი მიმომხილველი ახლა უკვე აღიარებს, რომ არსებული სავალუტო კურსის სისტემა დიდად საჭიროებს რეფორმებს.

რატომ იყო მცურავი კურსის შედეგები ასეთი იმედგამაცრუებელი და რა მიმართულებით უნდა მივლეთ და მცურავი სახელეუბლო სისტემა? ამ თავში ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის ჩვეულებრივი მოდელებია გამოყენებული მცურავი კურსის ბოლოდროინდელი დინამიკის შესამოწმებლად და სხვადასხვა სავალუტო კურსის რეჟიმების მაკროეკონომიკურ პოლიტიკათა შესადარებლად.

მცურავი სავალუტო კურსის მავალითი

როცა 1960-იან წლებში მზარდი საერთაშორისო ვალუტის კრიზისი დაიწყო, ბევრმა ეკონომისტმა იცისრა სავალუტო კურსის მოქნილობის დაცვა. ისინი ბჭობდნენ, რომ მცურავი სავალუტო კურსის სისტემა (რომელშიც ცენტრალური ბანკები ვერ ერეოდნენ უცხოური ვალუტის ბაზარში კურსის დასაფიქსირებლად) არამარტო ავტომატურად უზრუნველყოფდა სავალუტო კურსის მოქნილობას, არამედ სხვა სარგებლობასაც მოუტანდა თვით მსოფლიო ეკონომიკას. მცურავი სავალუტო კურსის შემთხვევა ემყარება სამ ძირითად მოთხოვნას:

1. **მონეტარული პოლიტიკის ავტონომია.** ცენტრალური ბანკები რაკი აღარ ერეოდნენ ვალუტის ბაზრებში გაცვლის კურსის დასაფიქსირებლად, მთავრობა შეძლებდა, გამოეყენებინა მონეტარული პოლიტიკა შიდა და გარე ბალანსის მისაღწევად. შემდგომში არც ერთი ქვეყანა აღარ იქნებოდა იძულებული, კარი გაეღო საზღვარგარეთიდან შემოსული ინფლაციის ან დეფლაციისათვის.
2. **სიმეტრია.** მცურავი სავალუტო კურსის დროს ბრეტონ ვუდსის თანდაყოლილი ასიმეტრიები გაქრებოდა და აშშ ვეღარ შეძლებდა მხოლოდ თვითონ დაედგინა მსოფლიო მონეტარული პირობები. იმავე დროს, აშშ-ს იგივე შესაძლებლობა ექნებოდა, რაც სხვა ქვეყნებს, რათა გაეღენა მოეხდინა თავის სავალუტო კურსზე უცხოურ ვალუტასთან მიმართებით.
3. **ვალუტის კურსი, როგორც ავტომატური სტაბილიზატორი.** აქტიური მონეტარული პოლიტიკის არარსებობის დროს ბაზრით განსაზღვრული სავალუტო კურსის სწრაფი მოწესრიგება დაეხმარებოდა ქვეყნებს შიდა და გარე ბალანსის შენარჩუნებაში ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებების პირობებში.

მონეტარული პოლიტიკის ავტონომია

ბრეტონ ვუდსის ფიქსირებული კურსის სისტემის დროს ქვეყნებს, აშშ-ს გარდა, მცირე გასაქანი ჰქონდათ მონეტარული პოლიტიკის გამოსაყენებლად შიდა და გარე ბალანსის მისაღწევად. მონეტარული პოლიტიკა დასუსტებული იყო კაპიტალის ნაკადის ანაზღაურების მექანიზმით (მე-17 თავი). ადგილობრივი აქტივების შესყიდვით ცენტრალური ბანკი განახორციელებდა დროებით დადმავალ დაწოლას ადგილობრივ საპროცენტო განაკვეთზე და დაასუსტებდა ადგილობრივ ვალუტას უცხოური ვალუტის ბაზარზე. მაშინ სავალუტო კურსი უნდა გამაგრებულიყო ოფიციალური უცხოური რეზერვების გაყიდვით ცენტრალური ბანკის მიერ. სეწოლა საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო კურსზე გაქრა მხოლოდ მაშინ, როცა ოფიციალურმა სარეზერვო დანაკარგებმა ადგილობრივი ფულის მასა დაიყვანა თავის საწყისს დონემდე. ამგვარად, ფიქსირებული სავალუტო კურსის მოქმედების ბოლო წლებში ცენტრალურმა ბანკებმა საერთაშორისო გადასახადებს თავს მოახვიეს აუცილებელი მზარდი შესღუდვები, რათა გაეკონტროლებინათ თავიანთი ფულადი მასა. ამას

მხოლოდ ნაწილობრივ მოჰყვა წარმატება მონეტარული პოლიტიკის განმტკიცების საქმეში, სამაგიეროდ არასახარბიელო გვედითი შედეგები აღმოაჩნდა საერთაშორისო ვაჭრობას.

მცურავი სავალუტო კურსის დამცველები მიუთითებდნენ, რომ ღირებულებების ხელოვნურად გამყარების ვალდებულებების მოშორება ალადგენდა მონეტარულ კონტროლს ცენტრალური ბანკების მხრიდან. მაგალითად, თუ ცენტრალური ბანკი აწვდებოდა უმუშევრობას და თავისი ფულის მასის საპასუხო ზრდას მოისურვებდა, მაშინ უკვე აღარ შეეძენებოდა კანონიერი ბარიერი ვალუტის იმ გაუფასურების სახით, რომელსაც ეს პროცესი გამოიწვევდა. მე-16 თავის ანალიზის მიხედვით, ვალუტის გაუფასურება შეამცირებდა უმუშევრობას ადგილობრივი პროდუქციის შესადარისი ფასის შემცირებით და მათზე მსოფლიო მოთხოვნის გაზრდით. ასევე „გადახურული“ ეკონომიკის ცენტრალური ბანკი შეძლებდა „გაყვრილებინა“ თავისი საქმიანობა ფულის მასის შემცირებით ყოველგვარი წუხილის გარეშე, რომ რესურსის არასასურველი ნაკადი ძირს გამოუთხრიდა მის ძალისხმევას სტაბილიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის კონტროლი შესაძლებლობას მისცემდა ქვეყნებს, გადაეღახათ საერთაშორისო გადასახადების ბარიერები.

მცურავი სავალუტო კურსის დამცველები აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ ეს კურსი საშუალებას მისცემდა თითოეულ ქვეყანას, აერჩია თავისთვის სასურველი ხანგრძლივი ინფლაციის კურსი, ვიდრე პასიურად შემოეტანა საზღვარგარეთ ჩამოყალიბებული ინფლაცია. მე-18 თავში დავინახეთ, რომ ქვეყნის, რომელიც წააწყდა უცხოური ფასის დონის ზრდას, წინასწორება დაირღვევა და ბოლოს კარს გაუღებს უცხოურ ინფლაციას, თუ თავისი ვალუტის კურსს ფიქსირებულს დატოვებს: 1960 წლის ბოლოს ბევრმა ქვეყანამ იგრძნო, რომ ინფლაცია შემოჰქონდათ აშშ-დან. თავისი ვალუტის კურსის ზრდით – ე.ი. უცხოური ვალუტის ადგილობრივი ფასის შემცირებით – ქვეყანას შეუძლია, მთლიანად გამოეყოს უცხოური ფასების ინფლაციურ ზრდას და დარჩეს შიდა და გარე ბალანსის მდგომარეობაში. მცურავი სავალუტო კურსის სასარგებლოდ ვეელაზე უფრო გამომსახველი არგუმენტი იყო მათი უნარი, თეორიულად განეხორციელებინათ ვალუტის კურსის ავტომატური ცვლილებები, რაც გამოყოფდა ეკონომიკას მიმდინარე უცხო ინფლაციისაგან.

ამ იზოლაციის უკან დგას მსყიდველობითი უნარის პარიტეტი (მუპ) (იხ. მე-15 თავი). გაიხსენეთ, რომ როდესაც ყველა ცვლილება მსოფლიო ეკონომიკაში მონეტარულია, მუპ-ი მართლდება ხანგრძლივ პერიოდში. სავალუტო კურსი ბოლოს და ბოლოს მოძრაობს, რათა უზრუნველყოს ეროვნული განსხვავებები ინფლაციაში. თუ აშშ-ს ფულად ზრდას მიყვავართ მისივე ფასის დონის ხანგრძლივ გაორმაგებამდე, გერმანიის ფასის დონე კი მუდმივია, მუპ-ი გულიხმობს, რომ ხანგრძლივ პერიოდში დოლარის ფასი გერმანული მარკებით განახევრდება. ნომინალური სავალუტო კურსის ეს ცვლილება რეალური გაცვლის კურსს დოლარსა და გერმანულ მარკებს შორის უცვლელად ტოვებს და ამგვარად ინარჩუნებს გერმანიის შიდა და გარე ბალანსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სავალუტო კურსის მუპ-ის მიერ ნაგულისხმევი ხანგრძლივი ცვლილება არის ის ბარიერი, რაც გამოყოფს გერმანიას აშშ-ს ინფლაციისაგან.

აშშ ფასების ფულით გამოწვეული ზრდაც იწვევს უცხოური ვალუტების სწრაფ ჭარბ შეფასებას დოლართან მიმართებაში მცურავი სავალუტო კურსი დროს. ხანმოკლე პერიოდში ამ ჭარბი შეფასების ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს მუპ-ში ნაგულისხმევისაგან, მაგრამ უცხოური ვალუტის სპექულანტები, რომლებმაც შესაძლოა შეუტიონ დოლარის ფიქსირებულ სავალუტო კურსს, აჩქარებენ მცურავი სავალუტო კურსის მოწესრიგებას. მათ იციან, რომ მუპ-ის თანახმად უცხოური ვალუტა ჭარბად იქნება შეფასებული ხანგრძლივი დროით, ისინი ემყარებიან ამ ვარაუდს და მიმართავენ სავალუტო კურსს ხანგრძლივი დროის მიმართულებით.

ბრეტონ ვუდის წესებით მოქმედი ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, აერჩიათ ან აშშ-ს ინფლაციასთან შეგუება, რათა თავიანთი დოლარების სავალუტო კურსი ფიქსირებული ჰქონოდათ, ან განზრახ მოეხდინათ თავიანთი ვალუტის კურსის ზრდა აშშ-ს ფასების ზრდის პროპორციულად. მცურავი სავალუტო კურსის დროს უცხოური ვალუტის ბაზარი ავტომატურად ახორციელებს სავალუტო კურსის ცვლას, რაც იცავს ქვეყნებს აშშ-ის ინფლაციისაგან. რადგან ასეთ შედეგს არავითარი სამთავრობო პოლიტიკის გადაწყვეტილება არ სჭირდება, რეველაციის კრიზისი აცილებულია.

სიმეტრია

მცურავი კურსის დამცველების მიერ წამოყენებული მეორე არგუმენტი იყო ის, რომ ბრეტონ ვუდის სისტემაზე უარის თქმა მოიშორებდა ასიმეტრიებს, რამაც ამდენი უთანხმოება გამოიწვია 1960-70-იან წლებში. არსებობდა ორი მთავარი ასიმეტრია, ორივე საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში, როგორც დოლარის ცენტრალური როლის შედეგი: პირველი, რადგან ცენტრალური ბანკები თავიანთ ვალუტას ამყარებდნენ დოლარით და აგროვებდნენ დოლარს, როგორც საერთაშორისო რესურსს, აშშ ფედერალური სარესურსო ფონდი წამყვან როლს თამაშობდა მსოფლიო ფულის მასის განსაზღვრაში; ცენტრალურ ბანკებს საზღვარგარეთ მცირე სფეროდა რჩებოდათ თავიანთი ადგილობრივი ფულის მასის განსაზღვრისათვის. მეორე, ნებისმიერ უცხო ქვეყანას შეეძლო თავისი ვალუტის დეველაცია დოლართან მიმართებაში “ფუნდამენტური უწონასწორობის” პირობებში, მაგრამ სისტემის წესები არჩევნის საშუალებას არ აძლევდა აშშ-ს, გაეუფასურებინა თავისი ვალუტა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. ამგვარად, როცა ბოლოს ვალუტა გაუფასურდა 1971 წლის დეკემბერში, ეს მოხდა მხოლოდ მრავალჯერადი მოლაპარაკების ხანგრძლივი და ეკონომიკურად დამანგრეველი პერიოდის შემდეგ.


მცურავი კურსის სისტემა, როგორც მისი მომხრეები ამბობდნენ, გაუმკლავდებოდა ამ ასიმეტრიებს. რადგან ქვეყნები აღარ გაამყარებდნენ დოლარის სავალუტო კურსს, ან აღარ დასჭირდებოდათ დოლარის მარაგი ამ მიზნებისათვის, თითოეული შეძლებდა, გასძლოლოდა მონეტარულ პროცესებს შინ. ამავე მიზეზით აშშ აღარ წააწყდებოდა რაიმე განსაკუთრებულ წინააღმდეგობას, რათა შეეცვალა თავისი სავალუტო კურსი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით. ყველა ქვეყნის ვალუტის კურსი იქნებოდა სიმეტრიულად განსასაზღვრელი უცხოური ვალუტის ბაზრით და არა სამთავრობო გადაწყვეტილებებით.

ვალუტის კურსი, როგორც ავტომატური სტაბილიზატორი

მესამე არგუმენტი ეხება მცურავი კურსის უნარს, შემოგეთავაზოს სწრაფი და შედარებით უმტკივნეულო მოწესრიგება ეკონომიკური ცვლილებების ტიპების გათვალისწინებით. ერთი ასეთი ცვლილებაა უცხოური ინფლაცია. 19-1 გრაფიკი, რომელიც მე-16 თავში მოცემულ DD-AA მოდელს იყენებს, განიხილავს ცვლილების მეორე ტიპს; ამისათვის მიმართავს ეკონომიკის რეაგირების შედარებას ადგილობრივი ქვეყნის ექსპორტის სასაზღვარგარეთ მოთხოვნის დროებით შემცირებასთან ფიქსირებული და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში.


ადგილობრივი ქვეყნის ექსპორტის სასაზღვარგარეთ მოთხოვნის კლება ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას ვალუტის კურსის ნებისმიერ დონეზე და გადაწვეს მრუდს მარცხნივ DD'-დან DD²-მდე (გაიხსენეთ, რომ მრუდი გვიჩვენებს ვალუტის კურსსა და გამოშვებას, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა უდრის ერთობლივ გამოშვებას). 19-1 გრაფიკი გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს გაელენას ეს გადაწევა ეკონომიკის წონასწოებაზე, როცა ვალუტის კურსი მცურავია. რადგან დაშვებულია, რომ მოთხოვნის გადახრა დროებითია, იგი არ ცვლის უცხოეთის ვალუტის ხანგრძლივ მოსალოდნელ ბაზარს და არც გადახრის აქტივების ბაზრის წონასწორობის AA' მრუდს (გაიხსენეთ, რომ AA მრუდი არის ვალუტის კურსი და გამოშვება, როდესაც უცხოური ვალუტის კურსი და ადგილობრივი ფულის ბაზარი გაწონასწორებულია). ამიტომ ეკონომიკის ხანმოკლე წონასწორობა აღინიშნება წერტილ (2)-ზე; საწყის წონასწორობასთან შედარებით, წერტილ (1)-ზე ვალუტა უფასურდება (იზრდება ვალუტის კურსი E) და გამოშვება მცირდება. რატომ იზრდება ვალუტის კურსი E'-დან E²-მდე? რადგან მოთხოვნა და გამოშვება კლებულობს, რაც ამცირებს ფულზე მოთხოვნის გარიგებებს, ადგილობრივმა საპროცენტო განაკვეთებმაც უნდა დაიკლოს ფულის ბაზრის წონასწორობის შესანარჩუნებლად. ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას უცხოურ ბაზარზე და ამიტომ ვალუტის კურსი იზრდება E'-დან E²-მდე.

გრაფიკი 19-1 ექსპორტის მოთხოვნის შემცირების ეფექტი



(ა) მცურავი ვალუტის კურსი

ექსპორტის მოთხოვნის შემცირებაზე რეაქცია (სანს DD'-დან DD²-საკენ გადახრაში) განსხვავდება მცურავი და ფიქსირებული ვალუტის კურსის დროს. (ა) ვალუტის მცურავი კურსის დროს გამოშვება ეცემა მხოლოდ Y²-მდე, როდესაც ვალუტის გაუფასურება (E'-დან E² წერტილისკენ) დააბრუნებს მოთხოვნას ადგილობრივი საქონლისაკენ. (ბ) ვალუტის ფიქსირებული კურსის დროს E' წერტილზე გამოშვება მცირდება Y²-მდე, რადგან ცენტრალური ბანკი ამცირებს ფულის მასას (აისახება AA'-დან AA² მრუდისაკენ გადაადგილებით).



(ბ) ფიქსირებული ვალუტის კურსი

რადგან ცენტრალური ბანკი უნდა მოერიდოს ვალუტის გაუფასურებას, რაც მცურავი კურსის დროს ხდება, იგი ყიდულობს ადგილობრივ ფულს უცხოური ვალუტით, რითაც ამცირებს ფულის მასას და AA' მრუდს გადახრის მარცხნივ AA'-კენ. ეკონომიკის ახალი ხანმოკლე წონასწორობა ფიქსირებული ვალუტის კურსის დროს არის წერტილ (3)-ზე. სადაც გამოშვება Y' უდრის.

19-1 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივად გამოშვება მცირდება უფრო ფიქსირებული კურსის, ვიდრე მცურავი კურსის დროს და მიემართება Y'-კენ და არა Y'-კენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მცურავი ვალუტის კურსის მოძრაობის საფუძველზე ეკონომიკა ემყარება დასაქმებას შოკის ეფექტის შემცირებით ფიქსირებული კურსის დროს შოკის შედეგთან მიმართებაში. ვალუტის გაუფასურება მცურავი კურსის დროს აიძვებს ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას, რაკი მათზე მოთხოვნა მცირდება ნაწილობრივ მოთხოვნის საწყისი შემცირების ანაზღაურებით. შიდა ბალანსიდან გამოსვლის შემცირებასთან ერთად, რაც გამოწვეულია ექსპორტის მოთხოვნის კლებით, გაუფასურება ამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რაც ხდება ფიქსირებული კურსის დროს საერთაშორისო ბაზრებში ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობით.

ჩვენ განვიხილეთ ექსპორტის მოთხოვნის დროებითი შემთხვევა, მაგრამ უფრო მკაცრი დასკვნების გამოტანა შეიძლება, როცა ექსპორტის მოთხოვნა მუდმივია. ამ შემთხვევაში ვალუტის მოსალოდნელი კურსი E' იზრდება და AA' მრუდი სუკით გადაადგილდება. უფრო მუდმივი შოკი იწვევს დიდ გაუფასურებას, ვიდრე დროებითი, და ამიტომ ვალუტის კურსის მიმოქცევა ნაკლებად ამცირებს ადგილობრივ გამოშვებას მუდმივი შოკის დროს.

ბრეტონ ვუდსის სისტემის დროს ექსპორტზე მოთხოვნის შემცირება (როგორც 19-1 გრაფიკშია) მიგვიყვანს მუდმივი „თანაფარდობის ფუნდამენტურ დარღვევამდე“, რასაც მოჰყვება ვალუტის დეველუაცია ან ადგილობრივი უმუშევრობის ხანგრძლივი პერიოდი, რაკი საექსპორტო ფასები მცირდება. მთავრობის ჩანაფიქრის გაურკვეველობა ძალას შემატებს კაპიტალის საეკულატურ გადინებას, რეზერვები ამოიწურება და ადგილობრივი ფულის მასა შემცირდება უმუშევრობის გამო. ეს ყოველივე გააუარესებს ვითარებას ცენტრალურ ბანკებში. მცურავი კურსის მომხრეები მიუთითებდნენ, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი ავტომატურად მოახდენდა მოთხოვნილი ვალუტის რეალურ გაუფასურებას ნომინალური სავალუტო კურსის მიმოქცევის საშუალებით. ვალუტის კურსის ეს ცვლა შეამცირებდა ან შეწყვეტდა ფასის დონის შევიწროების საჭიროებას უმუშევრობის მეშვეობით.

მცურავი ვალუტის კურსის საწინააღმდეგო შემთხვევა

მცურავი ვალუტის კურსის გამოცდილებამ მსოფლიო ომთა შორის პერიოდში ბევრი ეჭვი დაბადა იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებდნენ ისინი პრაქტიკულად, ბრეტონ ვუდსის წესები რომ გაუქმებულიყო. ზოგიერთი ეკონომისტი სკეპტიკურად უყურებდა იმ მოთხოვნებს, რომელთაც მცურავი ვალუტის კურსის დამცველები აყენებდნენ, რაკი ვარაუდობდნენ, რომ მცოცავ კურსს მიუღებელი შედეგი ექნებოდა მსოფლიო ეკონომიკისათვის. მცურავი ვალუტის კურსის საწინააღმდეგო დებულება ხუთ ძირითად არგუმენტს ეყრდნობოდა:

1. **დისციპლინა.** ცენტრალურ ბანკებს, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ვალუტის კურსის დაფიქსირების ვალდებულებისაგან, შესაძლოა მიემართათ ინფლაციური პოლიტიკისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისციპლინა, თავსმოხვეული ცალკეულ ქვეყნებზე ფიქსირებული კურსით, დაიკარგებოდა.
2. **დესტაბილიზაციის გამოწვევი საეკულაცია და ფულის ბაზრის დარღვევები.** ვალუტის კურსის ცვლილებებზე საეკულაციას შესაძლოა უცხოური ვალუტის ბაზრებში გამოეწვიოს არასტაბილურობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებდა ქვეყნების შიდა და გარე ბალანსზე. შემდეგ, ადგილობრივი ფულის ბაზრის დარღვევებს შესაძლოა უფრო დამანგრეველი ძალა გამოეჩინათ ფიქსირებული კურსის დროს.
3. **საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციის დაზიანება.** მცურავი ვალუტის კურსი შესაძარის საერთაშორისო ფასებს უფრო გაუთვალისწინებელს გახდიდა და ამით ზიანს მოუტანდა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციას.
4. **არაკოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკა.** ბრეტონ ვუდსის წესები ვალუტის კურსის რეგულირების შესახებ რომ გაუქმებულიყო, კარი გაეხსნებოდა ვალუტის კონკურენტულ პრაქტიკას, რაც საზიანო იქნებოდა მსოფლიო ეკონომიკისათვის. როგორც ეს ომთაშორის პერიოდებში მოხდა, ქვეყნებს შეეძლოთ შეემჩმეებინათ საკუთარი პოლიტიკა და მხედველობაში არ მიიღოთ ცნობილი ფრაზა: „გაამათხოვრე შენი მეზობელი“ და მასთან დაკავშირებული ასპექტები. ასეთი ქცევის შედეგები ყველა ქვეყანას აწებდა.
5. **უფრო დიდი ავტონომიის ილუზია.** მცურავი ვალუტის კურსი რეალურად ვერ მისცემს ქვეყნებს მეტ პოლიტიკურ ავტონომიას. ვალუტის კურსის ცვლილებების გამჭოლი მაკროეკონომიკური ეფექტის გამო ცენტრალური ბანკები იძულებული იქნებიან, ჩაერიონ უცხოური ვალუტის ბაზრებში მისი გამყარების ფორმალური ვალდებულების გარეშე.

ამგვარად, მცურავი კურსის შედეგი საეჭვო გახდებოდა ეკონომიკაში, თუკი მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მეტი თავისუფლება არ მიეცემოდა.

დისციპლინა

მცურავეი კურსის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ისინი მთავრობას მეტ თავისუფლებას ანიჭებენ მონეტარული პოლიტიკის გამოყენებაში. ზოგიერთ კრიტიკოსს კი სჯერა, რომ მცურავეი ვალუტის კურსი მიგვიყვანს უფრო ლიცენზირებამდე, ვიდრე თავისუფლებამდე: უცხოური რეზერვების დაკარგვის შიშისგან თავისუფალი მთავრობები გადაჭარბებით აფართოებენ ფისკალურ ან მონეტარულ პოლიტიკას და ექცევიან ინფლაციის ხაფანგში (რაც მე-16 თავში იყო განხილული); ფაქტობრივად, რომლებიც მერყეობდნენ პოლიტიკურ ამოცანებსა (როგორცაა ეკონომიკის სტიმულირება არჩვენებში გასამარჯვებლად) და მარტივ არაკომპეტენტურობას შორის, შესაძლოა გააწონასწორონ ინფლაციის სპირალი. დისციპლინის არგუმენტის წამომყალიბებელთა აზრით, 1920-იანი წლების ჰიპერინფლაცია გერმანიაში გამოსახვედა მონეტარული არასტაბილურობის ისეთ დონეს, რისი დაშვებაც მცოცავ კურსს შეეძლო.


მცურავეი ვალუტის კურსის დამცველების პასუხი დისციპლინის კრიტიკოსებისადმი ის იყო, რომ აღნიშნული კურსი მოაქცევდა ინფლაციურ დარღვევებს იმ ქვეყნის შიგნით, რომლის მთავრობაც არასწორად იქცეოდა; ეს უბიძგებდა ამომრჩეველებს, აერჩიათ უკეთესი პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება. ბრეტონ ვუდსის შეთანხმებით დამთავრდა პროცესი - როცა შედარებით სუსტ დისციპლინას თავს ახევედნენ აშშ-ს, რომელიც ხელს უწყობდა მსოფლიო ინფლაციის აქსელერაციას 1960-იან წლებში. სანამ ვალუტასა და ოქროს შორის წმინდა თანაბრობა ფიქსირებული კურსის სისტემის ცენტრში იქნება, ადამიანის ნარკვევად ცვლილებებს გამოიწვევს მასში. როგორც მე-17 თავშია განხილული, საქონელზე დაფუძნებული მონეტარული სტანდარტები სარაღდებიან და პრაქტიკულად მიუღებელი ხდებიან ამგვარი ნარკვევით გამოწვეულ სიმწელთა გამო.

დესტაბილიზაციის გამომწვევი სპექულაცია და ფულის ბაზრის დარღვევები

ომთაშორისი პერიოდების გამოცდილებამ წარმოშვა დამატებითი საკითხი იმის შესაძლებლობისა, რომ ვალუტის ბაზრებში სპეკულაცია გააჩაღებდა ვალუტის კურსის დიდ ბრუნვას. თუ ვალუტით უცხოელი მოვაჭრენი დაინახავდნენ, რომ ვალუტა უფასურდებოდა, უდაოდ დაიწყებდნენ მის გაყიდვას მომავალი გაუფასურების მოლოდინში, მიუხედავად ვალუტის ხანგრძლივი პერსპექტივისა; რაც უფრო მეტი მოვაჭრე ჩაებმებოდა წარმატების შანსის მქონე ამგვარ სპექმში, გაუფასურების ეარაუდი უფრო და უფრო რეალური გახდებოდა. ასეთი სპეკულაცია არღვევს წონასწორობას და იწვევს ვალუტის კურსის ხანგრძლივი ღირებულების მზარდ მერყეობას, რაც მოულოდნელი ეკონომიკური დარღვევების ნორმალური შედეგია. საერთაშორისო ვაჭრობიდან გამოცალკევებით, სუსტი ვალუტის მსგავსმა დესტაბილიზაციის გამოიწვევა გაყიდვამ შესაძლოა წაახალისოს მომავალი ინფლაცია და ალაღინოს ადგილობრივი ხელფასისა და ფასის სპირალი, რაც კვლავ გამოიწვევს შემდგომ გაუფასურებას. ამ გზით ქვეყნები მოექცევიან გაუფასურებისა და ინფლაციის „მოჯადოებულ წრეში“, საიდანაც თავის დაღწევა რთული იქნება.

მცურავეი ვალუტის კურსის დამცველები კითხულობდნენ: შეეძლოთ თუ არა 'სემოხსენებულ' სპეკულანტებს დარწმინდიყვნენ ბიზნესში? ნებისმიერი, ვინც ვალუტას გაყიდდა მასი გაუფასურების შემდეგ ღირებულებაზე დაბლა, ან ვალუტას შეისყიდა მას შემდეგ, რაც მისი ფასი გაიზრდებოდა აღნიშნულ ღირებულებაზე ზევით, დაკარგავდა ფულს ხანგრძლივი დროით. მცურავეი ვალუტის კურსის დამცველები ამტკიცებდნენ: ასეთ სპეკულანტებს წამოაშორებდნენ ბაზარს და ასპარეზი დარჩებოდათ იმ სპეკულანტებს, რომლებმაც შეძლეს, თავიდან აეცილებინათ დანაკარგები ხანგრძლივი დროით, რაკი დაანქარეს ვალუტის კურსის რეგულირება პერსპექტიული ღირებულების მიმართ.

გრაფიკი 19-2 ფულის მოთხოვნის ზრდა ვალუტის მცურავეი კურსის დროს



ფულის მოთხოვნის ზრდა (AA'-დან AA'-სკენ გადახრა) მოქმედებს ზუსტად, როგორც ფულის მასის შემცირება და იწვევს ვალუტის შეფასების ზრდას E'-მდე და გამოიწვევს შემცირებას Y'-მდე. ვალუტის ფიქსირებული კურსის დროს ცენტრალური ბანკი აარიდებს AA'-ს გადახრისაგან უცხოური ვალუტის შესყიდვით და ამით, აერთმტურად მისცემს ფულად მასის ხაშვალუბას დაილიოს ფულის მოთხოვნის ზრდა.

მცურავეი ვალუტის კურსის მომხრეები მიუთითებდნენ აგრეთვე, რომ კაპიტალის ნაკადი გამოიწვევდა ფიქსირებული კურსის დესტაბილიზაციას. ცენტრალური ბანკის რეზერვის მოულოდნელ დაკარგვას და

სპეკულანტების მიერ ადგილობრივი ბანკის აქტივებში დემპინგის გამოყენებას შესაძლოა მოჰყოლოდა დეველუაცია, რომელიც მანამდე ვარაუდის სახით არსებობდა.

ყველაზე აშკარა არგუმენტი მცურავი ვალუტის კურსის წინააღმდეგ არის შემდეგი: აღნიშნული კურსის საშუალებით ეკონომიკა უფრო სწრაფად რეაგირებს იმ შოკებზე, რაც მომდინარეობს ადგილობრივი ფულის ბაზრიდან. 19-2 გრაფიკში ამის ნათელსაყოფად გამოყენებულია - მოდელი. გრაფიკი გვჩვენებს მცურავი სავალუტო კურსის დროს ადგილობრივი ფულის მოთხოვნის ზრდის უფექტს ეკონომიკაზე (ე.ი. ხალხს სურს, რეალური ბალანსის ზრდა შეინარჩუნოს საპროცენტო განაკვეთისა და შემოსავლის დონეზე). მაშინ, როცა საჭიროა შემოსავლის უფრო დაბალი დონე (მოცემულია), რათა ხალხი დაკმაყოფილდეს ხელმისაწვდომი რეალური ფულის მასის ფლობით, ¹ გადაინაცვლებს მარცხნივ ²-კენ: შემოსავალი მცირდება ¹-დან ²-მდე, რადგან ვალუტა უფასურდება ¹-დან ²-მდე. ფულზე მოთხოვნის ზრდაც ისევე მოქმედებს, როგორც ფულის მასის მუდმივი შემცირება და იწვევს ადგილობრივი ფასის დონის კლებას. ფიქსირებული ვალუტის კურსის დროს ფულის მოთხოვნის ცვლილება გავლენას სრულიადაც არ ახდენს ეკონომიკაზე, რადგან ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების თავიდან ასაცილებლად ცენტრალური ბანკი ყიდულობს უცხოურ რესურსებს ადგილობრივი ფულით მანამ, სანამ რეალური ფულის მასისა და რეალური ფულის მოთხოვნის ზრდა ერთმანეთს არ დაემთხვევა. ამ ჩარევას მოჰყვება ¹ მრუდის საწყისის მდგომარეობაში შენარჩუნების უფექტი, რითაც თავიდან იქნება აცილებული გამოშვებისა და ფასის დონეების ნებისმიერი ცვლილება.

ამიტომ ფიქსირებული ვალუტის კურსი ავტომატურად აარსებს არასტაბილურობას ადგილობრივი ფულის ბაზარს, რათა მან გაეღწეოს არ იქონიოს ეკონომიკაზე. ეს მძლავრი დადებითი არგუმენტია ფიქსირებული კურსისათვის, რაკი ეკონომიკის დამანგრეველი დარტყმები მოდის ადგილობრივი ფულის ბაზრიდან (ე.ი., თუ აღნიშნული არასასურველი დარტყმები მრუდის გადაინაცვლების შედეგად ჩნდება). სამაგიეროდ, როგორც წინა ნაწილში დავინახეთ, ვალუტის კურსის ფიქსირება გააუარესებს მაკროეკონომიკის მუშაობას, თუ გამოშვების ბაზრიდან წამოსული დარტყმები ძლიერდება (შედგავს მრუდის გადახრისა).

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინფლაციის დაზარალება

კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ მცურავი ვალუტის კურსის ბუნებრივი ცვალებადობა აენებდა საერთაშორისო ვაჭრობას და ინფლაციას. იმპორტიორები ეჭვობდნენ – ვალუტის მერყეობა გააღებდა მოახდენდა თუ არა იმ ფასებზე, რაც მათ უნდა გადაეხადათ საქონელში; ექსპორტიორებს აწუხებდათ იგივე გააღებდა იმ ფასებზე, რაც მათ უნდა მიეღოთ. ეს დაეჭვება, ბუნებრივია, უფრო შესლუდავდა და გააძვირებდა საერთაშორისო ვაჭრობაში მათს ჩართვას და ამის შედეგად ვაჭრობის მოცულობა (და მასთან ერთად ის მოგება, რასაც ქვეყნები ამ ვაჭრობით მიიღებდნენ) შემცირდებოდა. ასეთივე შედეგი მოჰყვებოდა დაეჭვებას ინფლაციიდან მოგებაზე, რაც შეაფერხებდა საერთაშორისო საწარმოო კაპიტალის დინებას.

მცურავი კურსის მხარდამკვირვებმა გამოითვალეს, რომ საერთაშორისო მოვაჭრეებმა შესაძლოა თავიდან აიცილონ ვალუტის კურსთან დაკავშირებული საფრთხე გარიგებების მეშვეობით მიმავალი ვალუტის ბაზარში (იხ. მე-13 თავი), რომელიც მოცულობითა და ფექტურობით გაიზრდებოდა მსოფლიოში ვალუტის მცურავი კურსის პირობებში. სპეკტიკოსები ყოყმანობდნენ – მომავალი ვალუტის ბაზარი გაძვირდება და საეჭვოა, შემდგომმა გარიგებებმა ვალუტის კურსის ყველა რისკი გაანეიტრალოსო.

უფრო ზოგადად, მცურავი კურსის მოწინააღმდეგენი შიშობდნენ, რომ თითოეული ქვეყნის ფულის ვარგისიანობა რაციონალური დაგეგმვისა და გამოთვლის საწარმოებლად ეჭვ ქვეშ დადგებოდა. ეს შედეგი იქნებოდა იმისა, რომ ვალუტა ნაკლებამოსილადეგი გახდებოდა, როგორც აღრიცხვის ერთეული, თუ იმპორტის საწარმოებლად მისი მსყიდველობითი უნარი წინასწარ გარკვეული არ აღმოჩნდებოდა.

კოორდინაციას მოკლებული ეკონომიკური პოლიტიკა

ბრეტონ ვუდსის სისტემის სოფიერტი დამცველის აზრით, ამ სისტემის კანონებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობას კონკურენტული ვალუტის გაუფასურების კანონგარეშე გამოცხადებით, რაც მოხდა დიდი დეპრესიის დროს. სოფიერტი ქვეყანაში, რომელსაც თავისუფლად შეეძლო შეეცვალა თავისი ვალუტის კურსი, ან კვლავ გაეგრძელებინა თვითმომსახურების მაკროეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ ისტორიის მოვლენების გამყარებით, ეს ყველა ქვეყანას აენებდა და დახმარებით კი ვერც ერთს ვერ დაეხმარებოდა.

ამის საპასუხოდ, მცურავი კურსის მომხრეები ამბობდნენ, რომ ბრეტონ ვუდსის წესები ვალუტის კურსის რეგულირების შესახებ ძალიან დაულაგებელი და მიკერძოებული იყო, რადგან მათ პრაქტიკულად დეფიციტის მქონე ქვეყნებს თავს მოახეყეს შესლუდელი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ან დეველუაცია. ფიქსირებული კურსის სისტემამ „ამოხსნა“ საერთაშორისო თანამშრომლობის მონეტარული პოლიტიკის პრობლემას მხოლოდ იმით, რომ აშშ-ს დაეთმო წარმართველი პოლიტიკა, რაც მან საბოლოოდ ბოროტად გამოიყენა.

უპრო დიდი ავტონომიის ილუზია

კრიტიკის ბოლო არგუმენტია პოლიტიკის ავტონომია, რომელიც, როგორც მცურავი კურსის დამცველები ამბობდნენ, წარმოსახვითი იყო. თეორიულად სწორია, რომ მცოცავ კურსს შეეძლო არ შემოეშვა უცხოური ინფლაცია ხანგრძლივი დროით და საშუალება მიეცა ცენტრალური ბანკებისათვის, სურვილისამებრ დაეღვინათ ფულის მასა, მაგრამ პრაქტიკულად, ვალუტის კურსი ეკონომიკურად ისე მნიშვნელოვანი ცვლადი სიდიდე იყო, რომ პოლიტიკის შემქმნელები ვერ შეძლებდნენ ადგილობრივ მონეტარულ პოლიტიკასე გაეღვნა მიუხედავად მათზე ვალუტის კურსის ეფექტის გაუთვალისწინებლად.

ამ შეხედულების სისწორის დასადასტურებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვალუტის კურსის როლს ადგილობრივი ინფლაციის პროცესში. ვალუტის გაუფასურება, რაც იმპორტის ფასებს ზრდიდა, აქეზებდა მუშებს, მოეთხოვათ მაღალი ხელფასი ცხოვრების ჩვეული დონის შესანარჩუნებლად. მაღალი ხელფასის რეგულირება ხელს შეუწყობდა საბოლოო საქონლის ფასების დადგენას, გამოიწვევდა ინფლაციას და ხელფასის შემდგომ ზრდას. ამას ემატებოდა ის, რომ ვალუტის გაუფასურება მაშინვე ასწევდა ფასებს შემოტანილ რესურსებზე, რომელიც ადგილობრივი პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენებოდა. ე.ი. მცურავი კურსი დააჩქარებდა ფულის მასის ზრდაზე ფასის დონის რეაგირების ტემპს. მცურავი კურსი ნიშნავდა ცენტრალური ბანკის მხრიდან ნომინალური ფულის მასის კონტროლს და არა იმ პოლიტიკური იარაღის შესაბამის კონტროლს, რაც გაეღვნას ახდენდა დასაქმებასა და სხვა რეალურ ეკონომიკურ ცვლად სიდიდეებზე. მაგალითად, რეალური ფულის მასაზე ადგილობრივი ფასების რეაგირება ვალუტის კურსის ცვლილებებზე სწრაფი იქნებოდა იმ ეკონომიკაში, სადაც იმპორტი შეადგენდა ადგილობრივი სამომხმარებლო კალათის დიდ წილს: ასეთ ქვეყნებში ვალუტის ცვლილებებს მნიშვნელოვანი გაეღვნა ჰქონდა მუშათა ხელფასის მსყიდველობით უნარზე.

სკეპტიკოსები კვლავ იმეორებდნენ, რომ ვალუტის მცურავი კურსი იზოლირებული და ძალიან შესწავლადი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ ვალუტის კურსი ბოლოს და ბოლოს მოწესრიგდებოდა და აანაზღაურებდა უცხოურ ინფლაციას, რაც გამოწვეული იყო ჭარბი მონეტარული ზრდით. მოქმედი ფასების პირობებში ქვეყნებს გარკვეული დარტყმა მიაყენა უცხოური მონეტარული პროცესების მოქმედებამ რეალურ საპროცენტო განაკეთებსა და რეალურ ვალუტის კურსზე ხანმოკლე ვადაში. ეს ბუნებრივი იყო, რადგან თეორიულადაც კი შეუძლებელია, ქვეყნის ფისკალურმა პოლიტიკამ გამოიხილი არ ჰპოვოს საზღვარგარეთ.

მცურავი კურსის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მისი შესაძლო მოგება გაუთანაბრდებოდა მის ხარჯს. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელები იძულებული იყვნენ, ემუშავათ ვალუტის კურსის მეტისმეტი მერყეობის თავიდან ასაცილებლად. ფიქსირებული კურსის მიტოვებით ისინი გამოთვლიდნენ მოგებას ვალუტის ნაფარადევი ღირებულებებიდან მსოფლიო ვაჭრობასა და ინვესტიციაში.

საკითხის შესწავლისათვის

ვალუტის კურსის გამოცდილება ნავთობის შოკთაშორის პერიოდში – 1978-80-იან წლებში

ვინ იყვნენ მართლანი, მცურავი კურსის დამცველები თუ კრიტიკოსები? შევეცდებით ვუქასუხოთ ამ კითხვას შემდეგ თავში, როცა განვიხილავთ მცურავი ვალუტის კურსის გამოცდილებას 1973 წლიდან. იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად ახლავე უნდა ითქვას, რომ მონაცემების სიმრავლით სწორ დასკვნას მაინც ვერ ვაკეთებთ ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსების ბევრი ვარაუდი გამყარებული იყო შესაბამისი მაგალითებით, მაინც არ იყო ნათელი, შეეძლო თუ არა ფიქსირებული ვალუტის კურსის რეჟიმს გადაეტანა ეკონომიკური ქარიშხლები, რომლებმაც მსოფლიო შეძრეს 1973 წლიდან მოყოლებული.

ნავთობის პირველი შოკი და მისი შედეგები 1973-75 წწ.

რადგან განვითარებული ქვეყნების ვალუტის კურსს შესაძლებლობა მიეცა, მცურავი გამხდარიყო, 1973 წლის მარტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლების ჯგუფი ამზადებდა მსოფლიო მონეტარული წყობის აღდგენის გეგმას. 1972 წელს ჩამოყალიბებული ეს ჯგუფი, *ოცეულის კომიტეტად* წოდებული, იწევდა ფიქსირებული ვალუტის კურსის ახალი სისტემის შედგენას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ბრეტონ ვუდსის ასიმეტრიებისაგან. 1974 წლის ივლისში, როცა კომიტეტმა გამოუშვა „რეფორმის მანაჩაის“ ბოლო ვარიანტი, ნავთობის მსოფლიო ბაზარში მოულოდნელად შეირყა ფიქსირებული ვალუტის კურსი.

ენერგომატარებლების ფასი და 1974-75 წლების რეცესია. 1973 წელს ატყდა ომი ისრაელსა და არაბეთის ქვეყნებს შორის. რაკი აშშ და ნიდერლანდები ისრაელს მხარს უჭერდნენ, პროტესტის ნიშნად „ოპეკის“ (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) წევრმა არაბეთის ქვეყნებმა, საერთაშორისო კარტელმა, რომელშიც შედიოდნენ ნავთობის დიდი მწარმოებლები, ამ ორ ქვეყანას დაუწესა ემბარგო ნავთობის

გადახიდეზე. ამ პროცესის შედეგების შიშით მყიდველებმა გაზარდეს საბაზრო ფასები ნავთობის ბაზარზე იმით, რომ ნავთობს ყიდულობდნენ დიდი რაოდენობით და ცდილობდნენ მარაგის შექმნას. ასეთი საბაზრო პროცესებით წახალისებულმა „ოპეის“ ქვეყნებმა დაიწყეს ფასების გაზრდა ძირითად მომხმარებლებისათვის – ნავთობის დიდი კომპანიებისათვის. 1974 წლის მარტისათვის ნავთობის ფასმა 4-ჯერ მოიმატა, ბარელზე პირვანდელი 3 დოლარიდან 12 დოლარამდე.

ნავთობზე ფასების მასიურმა ზრდამ ასწია ენერგომატარებლებისა და პლასტიკის ფასები მომხმარებლებისა და ფირმებისათვის. ფასების ამ ზრდით გამოწვეული შედეგების გასაგებად, დავეშვათ, რომ „ოპეის“ ნავთობის მწარმოებლების მიერ იმპორტიორებისათვის დაკისრებული სარაღი იყო ნავთობზე დიდი ბუგარა. ნავთობის შოკსაც იგივე მაკროეკონომიკური შედეგები მოჰყვა – სამომხმარებლო და ბიზნესის გადასახადების ერთდროული ზრდა ე.ი. მოხმარება და ინვესტიცია ყველგან შენედა და მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში ჩავარდა. ფასის მატებამ გაზარდა ნავთობის იმპორტიორების საიმპორტო ფასები, რამაც გააუარესა ბევრი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. განვითარებული ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის მოლიანი ბალანსი 14.1 მლრდ დოლარიდან 1973 წელს ავიდა 21.4 მლრდ დოლარამდე 1974 წელს მაშინ, როცა ნაკლებგანვითარებული ქვეყნების, რომლებიც არ იყვნენ ნავთობის მთავარი ექსპორტიორები, მოლიანი მიმდინარე ანგარიში შესაბამის დროში 3.5 მლრდ დოლარიდან გაიზარდა 21.8 მლრდ დოლარამდე. ამ ორი ჯგუფიდან გაზრდილი დეფიციტი შეესაბამებოდა ნავთობის მთავარი ექსპორტიორების მიმდინარე ანგარიშის უფრო დიდ სიჭარბეს. ამ უკანასკნელთა მოლიანი მიმდინარე ჭარბი ანგარიში გაიზარდა 6.8 მლრდ დოლარიდან 65.2 მლრდ დოლარამდე 1973-დან 1974 წლებში (იხ. ცხრილი 22-2).

ინფლაციის ზრდა. 13-17 თავებში განხილული მოდელის მიხედვით, ინფლაციას ახასიათებს ბუმი და რეცესია. როცა მსოფლიო ღრმა რეცესიაში ჩავარდა 1974 წელს, ბევრ ქვეყანაში გაიზარდა ინფლაცია. 19-1 ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ ავარდა ინფლაციის დონე 7 უდიდეს განვითარებულ ქვეყანაში აღნიშნულ წელს, რამდენიმეში კი თითქმის გაორმაგდა, თუმცა უმუშევრობა იზრდებოდა. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვით ნავთობის შოკი: ნავთობის ნაწარმზე ფასებისა და ენერგომომხმარებელი მრეწველობის ხარჯების პირდაპირი ზრდა, რასაც მოჰყვა ნავთობის ფასის მკვეთრი მატება; შემდგომ, 1960 წლიდან, მსოფლიო ინფლაციის ზეწოლამ ფეხი მოიკიდა ფასების დადგენის პროცესშიც და ხელი შეუწყო (ინფლაციას მიუხედავად) დასაქმების გაუარესებას. იგივე ინფლაციური პროცესები, რომლებიც ახალ სახელფასო ხელშეკრულებებს მართავდნენ, ზეწოლას ახდენდნენ საქონლის ფასებზე, რადგან სპექულანტები იმარაგებდნენ პროდუქციას და იმედოვნებდნენ, რომ მომავალში მათზე ფასებს გაზრდიდნენ.

და ბოლოს, ნავთობის კრიზისი, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, არ იყო ერთადერთი მიწოდებითი შოკი, რაც იმ დროს მსოფლიო ეკონომიკას აწუხებდა. 1972 წლიდან მოყოლებული, ურთიერთსაწინააღმდეგო მიწოდებითი დარღვევები ზრდიდა ყვერმერულ ფასებს და ამით ხელს უწყობდა საერთო ინფლაციას. აღნიშნული დარღვევები ეხებოდა მწირ მოსაველს აშშ-სა და სსრკ-ში; შაქრისა და კაკოს ნაკლებობას და სხვა.

სტაგფლაცია. 1974-75 წლების უჩვეულო მაკროეკონომიკური მდგომარეობის აღწერის მიზნით, ეკონომისტებმა შემოიღეს ახალი სიტყვა, რომელიც შემდეგ ყოველდღიურ ხმარებაში დამკვიდრდა – **სტაგფლაცია** – სტაგნაციური გამოშვებისა და მაღალი ინფლაციის შერწყმა. სტაგფლაცია ორი ფაქტორის შედეგი იყო:

1. საქონლის ფასების ზრდა, რაც უშუალოდ აღიღებდა ინფლაციას და ამცირებდა ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას.
2. მომავალი ინფლაციის ვარაუდი, რაც უზრუნველყოფდა ხელფასებს და სხვა ფასებს რეცესიისა და მზარდი უმუშევრობის მიუხედავად.

ნავთობის შოკის წინა პერიოდშიც კი მცურავეი კურსის არჩევანი საშუალებას აძლევდა განვითარებულ ქვეყნებს, შეემუშავებინათ უფრო შეზღუდული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, მზარდი ინფლაციის შესაკაეებლად გამიზნული. ფულის ზრდის შენელება ერთობ დრამატულად წარიმართა გერმანიაში, სადაც ბუნდესბანკმა გამოიყენა ახლად ჩამოყალიბებული კონტროლის პრაქტიკა ფულის მასაზე, რათა შეემცირებინა მისი წლიური ზრდის ტემპი 14.7%-დან 1972 წელს 2.6%-მდე 1973 წელს. მნიშვნელოვანი მონეტარული შენელება მოხდა აშშ-ში, სადაც ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა საშუალება მისცა ფულის მასას, გაზრდილიყო მხოლოდ 5.6%-ით 1973 წელს და 4.4%-ით 1974 წელს, 9.2%-თან შედარებით 1972 წელს.

შიდა და გარე ბალანსის ხელახალი მიღწევა. სასაქონლო შოკის გამო ნავთობის იმპორტიორი ბევრი ქვეყანა უფრო ჩამოშორდა შიდა და გარე ბალანსს, ვიდრე 1973 წელს, როცა მცურავეი კურსი შემოვიდა პრაქტიკაში. ქვეყნებს არ ჰქონდათ საშუალება, უარი ეთქვათ ვალუტის კურსის მოქნილობის ხარჯების წარმმართველ უპირატესობაზე და დაეკისრებინათ მონეტარული პოლიტიკისათვის ფიქსირებული კურსის დაცვა. ფიქსირებული კურსის არც ერთი ვალდებულება არ იყო სანდო იმ პერიოდში, როცა ქვეყნები განიცდიდნენ ინფლაციისა და დამანგრეველი შოკების შემოტევას, რაც მუდმივად ცვლიდა წარმოების ღირებულებას. სპექულატური დარტყმები, რამაც ფიქსირებული კურსის სისტემა დაანგრია, სწრაფადვე



ცხრილი 19-1 ინფლაციის ტემპი ძირითად განვითარებულ ქვეყნებში 1973-1980 წწ.
(პროცენტი წელიწადში)

ქვეყანა	1973	1974	1975	1976	1977	1978	1979	1980
აშშ	6.2	11.1	9.1	5.7	6.5	7.6	11.3	13.5
ბრიტანეთი	9.2	16.0	24.2	16.5	15.8	8.3	13.4	18.0
კანადა	7.6	10.9	10.8	7.5	8.0	8.9	9.2	10.2
საფრანკეთი	7.3	13.7	11.8	9.6	9.4	9.1	10.8	13.6
გერმანია	6.9	7.0	6.0	4.5	3.7	2.7	4.1	5.5
იტალია	10.8	19.1	17.0	16.8	17.0	12.1	14.8	21.2
იაპონია	11.7	24.5	11.8	9.3	8.1	3.8	3.6	8.0

როგორ იყენებდნენ ქვეყნები თავიანთ პოლიტიკას, როგორც იარაღს შიდა და გარე ბალანსის ხელახლა მისაღწევად? როცა რეცესია გაღრმავდა 1974-75 წლებში, მთავრობათა უმეტესობა გადაიხარა გაფართოებადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკასაკენ. შეიღ უძლიერეს განვითარებულ ქვეყანაში მონეტარული მატება აღინიშნა 1974-75 წლებში, როცა ცენტრალურმა ბანკებმა უმუშევრობის ზრდას ყურადღება მიაქციეს. ასეთი პოლიტიკის შედეგად გამოშვების მძლავრი აღდგენა იწყებოდა უმეტეს განვითარებულ ქვეყანაში 1975 წლის მეორე ნახევრიდან. იმავე დროს ინფლაცია მცირდებოდა (იხ. ცხრილი 19-1). სამწუხაროდ, უმუშევრობის დონე განვითარებულ ქვეყნებში ვერ აღდგა რეცესიის წინა დონეებამდე, გამოშვების აღდგენის მიუხედავად.

1974 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი განვითარებულ ქვეყნებში 1975 წელს გადაიზარდა სიჭარბეში, რადგან ხარჯები შემცირდა და თითქმის ნულამდე მივიდა 1976 წელს. „ოპეის“ ქვეყნები, რომლებმაც ვერ შეძლეს ხარჯის სწრაფი მატება შემოსავლის ზრდის თანაბრად, განიცდიდნენ მიმდინარე ანგარიშის არსებით სიჭარბეს 1975-76 წლებში, მაგრამ ეს გათანაბრებული იყო ნაეთობის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნების დეფიციტით. რადგან ნაეთობის არმქონე ქვეყნები არ ამცირებდნენ თავიანთ ხარჯებს ისე სწრაფად, როგორც განვითარებული ქვეყნები, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) განვითარებადი ქვეყნებში არ შემცირებულა 1975 წელს, როგორც ეს მოხდა ბევრ განვითარებულ ქვეყანაში. განვითარებადი ქვეყნები აფინანსებდნენ ნაეთობის დეფიციტს ნაწილობრივ იმ ფონდებისგან სესხებით, რაც „ოპეის“ ქვეყნებს ჰქონდათ შეტანილი განვითარებული ქვეყნების ფინანსურ ცენტრებში.

ეკონომისტებისა და პოლიტიკის შემქმნელების უმეტესობა განიხილავდა ნაეთობის პირველი შოკის საერთაშორისო მოწესრიგებას, როგორც მცურავი ვალუტის კურსის მოწესრიგების შედეგს. დაფიქსირებული ვალუტის კურსის დაცვისაგან თავისუფალმა თითოეულმა მთავრობამ პასუხად აირჩია მონეტარული და ფისკალური ღონისძიებები, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგებოდა მის მიზნებს. აშშ და გერმანიამ მოადუნეს კაპიტალის კონტროლი, რომელიც 1974 წლამდე იყო. ამ მოდუნებამ გააადვილა რეგულირების პროცესი განვითარებადი ქვეყნებში, რომლებსაც შეეძლოთ იოლად აეღოთ სესხი განვითარებული ქვეყნების ფინანსური ბაზრებიდან თავიანთი ხარჯების დასაფარავად და ეკონომიკური განვითარების შესანარჩუნებლად. სამაგიეროდ, განვითარებადი მსოფლიოს მიერ დაწინაურებული ქვეყნებიდან ექსპორტის მოთხოვნის შედარებითმა სიძლიერემ შეარბილა 1974-75 წლების რეცესიის სიმკაცრე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დებულების დამუშავება – 1975-76 წლები

მცურავი კურსი არახელსაყრელ პირობებშიც კარგად ფუნქციონირებდა. ამას განვითარებული ქვეყნების მთავრობები მიხედნენ და მზად იყვნენ ელიარებინათ იგი განუსაზღვრელი დროით. ამის შედეგი იყო, რომ 1975 წელს პარიზთან ახლოს, რამბუიეს სასახლეში, უმაღლესი დონის პირველ შეხვედრაზე განვითარებული ქვეყნების ლიდერებმა მოიწვიეს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რათა განეხილათ შეთანხმების მუხლები მცურავი კურსის რეალობის გათვალისწინებით. მონაწილე მთავრობებმა ივალდებულეს სავალუტო კურსში აღეკვეთათ „შემთხვევითი ხასიათის რყევები“, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს ფიქსირებული წონასწორობისკენ მიბრუნება.

რამბუიეს გადაწყვეტილებების საპასუხოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორები ერთმანეთს შეხედნენ კინგსტონში, იამაიკაზე, 1976 წლის იანვარში, რათა დაემტკიცებინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მეოთხე მუხლის შესწორება, რომელიც ეხებოდა სავალუტო კურსის მექანიზმს. ახალმა მე-4 მუხლმა უყოყმანოდ მოიწონა მცურავი კურსი, მისცა რა თითოეულ წევრ ქვეყანას ნებისმიერი სავალუტო კურსის არჩევანის უფლება. მთავრობები იძულებული იყვნენ, ხმა მიეცათ მე-4 მუხლისათვის და მიჰყოლოდნენ იმ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობდა ფასების სტაბილურობასა და განვითარებას.

მე-4 შესწორებული მუხლი მოუწოდებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, შეემოწმებინა წვერი ქვეყნების ვალუტის კურსის პოლიტიკა, რათა დარწმუნებულიყო ახალი წამყვანი დირექტივის უპირატესობაში. მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის კურსის პოლიტიკის ეს ზედამხედველობა აღემატებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის უფლებებს (ეხებოდა რა იმ ქვეყნებსაც, რომლებიც სესხს არ იღებდნენ), მექანიზმი არ შექმნილა, რათა ფონდს ეს მოთხოვნა განეხორციელებინა. პრაქტიკულად, ახალმა მუხლმა მხოლოდ დაამოწმა ის მდგომარეობა, რაც უკვე სახეზე იყო დაახლოებით სამი წელი – დეცენტრალიზებული პოლიტიკის შექმნის მონახაზი, სადაც თითოეული ქვეყანა პირადი ინტერესებით მოქმედებდა.

სუსტი დოლარი – 1976-79 წწ.


1974-75 წლების რეცესიიდან გამოსვლა შენელდა გვიან, 1976 წელს, და უმუშევრობა კვლავ მაღალი დარჩა. აშშ-ში აიძულა ორი სამრეწველო გიგანტი: გერმანია და იაპონია, შეერთებოდნენ იმ გაფართოებადი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას დეპრესიიდან გამოიყვანდა. მხოლოდ 1978 წლის ივლისში, როცა ინფლაციის შიში ნაკლებად ჰქონდათ, ვიდრე ორი წლის წინ, გერმანია და იაპონია ბონში ჩატარებულ ეკონომიკურ სამიტზე დასთანხმდნენ აშშ-თან ერთად ეკისრათ მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების „ლოკომოტივის“ როლი. მანამდე აშშ ცდილობდა, ეს მხოლოდ თვითონ გაეკეთებინა, მაგრამ მისმა პოლიტიკამ, როცა ის მკვეთრად ამცირებდა აშშ-ში უმუშევრობის დონეს (1978 წელს 6.0%-მდე 1975 წელს 8.3%-დან), ხელახლა გააჩაღა ინფლაცია და მიმდინარე ანგარიში დეფიციტური გახდა. ამის საპირისპიროდ გერმანიასა და იაპონიაში ინფლაცია გაცილებით დაბალი იყო 1978 წელს (იხ. 19-1 ცხრილი).

ამ პოლიტიკის გაუწონასწორებულობის შედეგი – უცხოეთის ექსპანსიასთან შეუსაბამო ძლიერი ექსპანსია აშშ-ში – იყო 1976 წლიდან დაწყებული დოლარის მკვეთრი გაუფასურება. ეს ნათლად ჩანს 19-3 გრაფიკიდან, რომელზეც წარმოდგენილია დოლარის ნომინალური და რეალური ვალუტის კურსის მაჩვენებელი. ამგვარი მაჩვენებლები უპირატესად გამოსახავენ დოლარის ფასს უცხოური ვალუტის გათვალისწინებით და აშშ-ს გამოშვების ფასს უცხოეთის გამოშვების გათვალისწინებით. ამგვარად, ნებისმიერი მაჩვენებლის ზრდა იწვევს დოლარის ფასის ზრდას მაშინ, როცა ამ მაჩვენებელთა შემცირებას მოსდევს დოლარის გაუფასურება.

საერთაშორისო ინვესტორებს ნაკლებად სჯეროდათ დოლარის მომავალი ღირებულებისა, რაკი აშშ-სა და უცხოური ინფლაციის ტემპებს შორის უფსკრული თანდათან ფართოვდებოდა. ამასთან, დასუსტებულმა დოლარმა გამოიწვია იმპორტზე ფასების ზრდა, რასაც მოჰყვა აშშ-ს ინფლაცია და ხელფასის დამდგენლების ვარაუდი მოსალოდნელი ინფლაციის თაობაზე.

დოლარის ნდობის აღსადგენად პრეზიდენტმა კარტერმა ფედერალური სარეზერვო ფონდის საბჭოს ახალ თავმჯდომარედ დანიშნა პაულ ვოლკერი, რომელსაც საერთაშორისო ფინანსური საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. უცხოური ვალუტის ბაზარზე 1979 წლის ოქტომბერში დოლარი კვლავ სუსტი რჩებოდა, როცა ვოლკერმა გამოაცხადა აშშ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და ფონდის მხრიდან უფრო მომთხოვნი კონტროლის დაწესება ფულის მასის ზრდაზე.

გრაფიკი 19-3 ნომინალური და რეალური დოლარის გაცვლითი კურსის ინდექსი 1975-1994 წწ.



ინდექსები არის აშშ დოლარის ნომინალური და რეალური ღირებულების 15 განვითარებული ქვეყნის ვალუტის კალათასთან მიმართებაში. ინდექსების ზრდა არის დოლარს ფასის ზრდა, შემცირება კი დოლარის ფასის შემცირება. ორივე მაჩვენებლისათვის 1990 წლის ღირებულება არის 100.

1979 წელს აშშ-ში მონეტარულმა მკვეთრმა გადატრიალებამ გვიჩვენა მცურავი კურსის კრიტიკოსების ერთი შეხედულების სიმართლე – მთავრობა არ შეიძლება გულგრილი იყოს ვალუტის კურსის ქცევის მიმართ და აუცილებლად უნდა თქვას უარი თავისი სოციალური პოლიტიკის ავტონომიაზე, რათა

სხვაგან აიცილოს ვალუტის კურსის ისეთი მოძრაობა, რომელიც მათ თავიანთი ეკონომიკისათვის მავნედ მიაჩნიათ.

ნავთობის მეორე შოკი 1979-80 წწ.

1979 წელს, ირანის შაჰის განდევნის შემდეგ, დაიწყო ნავთობის ფასის ზრდის მეორე რაუნდი ამ ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის განადგურებით. ნავთობის ფასმა აიწია ბარელის დაახლოებით 13 დოლარიდან (1978 წელს) 32 დოლარამდე (1980 წელს, როგორც ეს ადრე - 1973-74 წლების შემდეგ მოხდა). ნავთობის ექსპორტიორი ეკონომიკა წააწყდა სტაგფლაციას. 19-1 ცხრილი გვჩვენებს, რომ ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში 1978-80 წლებში. გამოშვების ზრდა შენედა და უმუშევრობამ იმატა, მაგრამ შედეგი არც დრამატული და არც ერთგვაროვანი არ ყოფილა, როგორც პირველი შოკის დროს. განვითარებულების მსგავსად, ნავთობის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნები განიცდიდნენ დიდ ინფლაციას შენელებულ წინსვლასთან ერთად.

როგორც ნავთობის ადრეული შოკის დროს, განვითარებული ქვეყნების მიმდინარე ანგარიშმაც განიცადა დეფიციტი, რომელიც შემდეგ შემცირდა. ნავთობის არამწარმოებელი განვითარებადი ქვეყნები კი განიცდიდნენ მუდმივ უფრო მაღალ დეფიციტს, ვიდრე რეგულირებული დანაშოგის შემცირებას (იხ. ცხრილი 22-2). მაგრამ იმის საწინააღმდეგოდ, რაც მოხდა ნავთობის ფასის ზრდის პირველი რაუნდის შემდეგ, განვითარებადი მსოფლიოს დეფიციტმა სერიოზული პრობლემები გამოიწვია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში გვიან, 1980 წელს.

1975 წელს მაკროეკონომიკის პოლიტიკის შემქმნელებმა განვითარებულ ქვეყნებში ნავთობის პირველ შოკს უპასუხეს გაფართოებადი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკით. მეორე შოკს კი სულ სხვა პასუხი მოუძებნეს. 1979-80 წლებში მონეტარული ზრდა რეალურად შეზღუდული იყო ბევრ მთავარ განვითარებულ ქვეყანაში იმის ცდით, რომ აენახა დაეზოგებინათ ნავთობის ფასის მატების თანმხლები ინფლაციის ზრდა.

ცნობილია, როგორ გაიბრძოლეს მაღალი ინფლაციის შესამცირებლად ადრეულ 1970 წელს ცენტრალურმა ბანკებმა, რომლებიც ახლა მხოლოდ წეხდნენ, რომ 1978-80-იანი წლების ინფლაციის ზრდას მწველად შეაჩერებდნენ, თუ ეს ზრდა შეიჭრებოდა ინფლაციურ გეგმებში და ხელფასის დადგენის პროცესში.

ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქონდა დასაქმებისა და გამოშვების გათვალისწინებით. უმუშევრობა გაიზარდა 1981 წლისათვის (იხ. ცხრილი 19-2) და შემსუდუქდებლმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ შეაჩერა გამოშვების გადამწვეტი აღდგენა. სინამდვილეში ნავთობის შოკიდან გამოსვლა, რომელიც ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო 1981 წელს, წაეარდა ყველაზე ღრმა რეცესიაში 1930 წლის დიდი დეპრესიის შემდეგ.

ცხრილი 19-2 უმუშევრობის დონე მთავარ განვითარებულ ქვეყნებში 1979-94 წლებში (სამუშაო ძალა პროცენტებით)

ქვეყნები	აშშ	ბრიტანეთი	კანადა	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	იაპონია
1979	5.8	5.0	7.4	5.8	3.2	7.6	2.1
1980	7.0	6.4	7.5	6.2	2.9	7.5	2.0
1981	7.5	9.8	7.5	7.4	4.2	7.8	2.2
1982	9.5	11.3	10.9	8.1	5.9	8.4	2.4
1983	9.5	12.4	11.9	8.3	7.7	8.8	2.6
1984	7.4	11.7	11.2	9.7	7.1	9.4	2.7
1985	7.1	11.2	10.5	10.2	7.1	9.6	2.6
1986	6.9	11.2	9.5	10.4	6.4	10.5	2.8
1987	6.1	10.3	8.8	10.5	6.2	10.9	2.8
1988	5.4	8.6	7.7	10.0	6.2	11.0	2.5
1989	5.2	7.2	7.5	9.4	5.6	10.9	2.3
1990	5.4	6.9	8.1	8.9	4.8	10.3	2.1
1991	6.6	8.8	10.3	9.4	4.2	9.9	2.1
1992	7.3	10.1	11.3	10.4	4.6	10.5	2.2
1993	6.7	10.5	11.2	11.6	6.1	10.2	2.5
1994	6.0	9.6	10.3	12.5	6.9	-	2.9

მაკროეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ორქვენიანი მოდელი მცურავი კურსით

სანამ დაეწეებდეთ მსჯელობას აშშ-სა და დანარჩენ მსოფლიოს შორის მაკროეკონომიკურ გარიგებებზე 1980-90-იან წლებში, წარმოგიდგინებ მოდელს, რათა გავაანალიზოთ იმ ქვეყნებს შორის პოლიტიკის ურთიერთგადაცემა, რომლებიც ერთმანეთთან მცურავი ვალუტის კურსით არიან დაკავშირებული. მოდელი გამოყენებულია ხანმოკლე ვადით, როცა გამოშვების ფასები ფიქსირებულია.

წარმოდგინებთ ორი ქვეყნისგან შემდგარი მსოფლიო – ჩვენი და უცხო. პირველ მოდელში ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შედგენილი იყო როგორც მისი რეალური ვალუტის კურსისა და შემოსავლის ფუნქცია. სინამდვილეში საზღვარგარეთის მეკ-ის დონე გაელენას ახდენს უცხოეთის მიერ ჩვენი ქვეყნიდან ექსპორტის მოთხოვნაზე და აქედან, მისი მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. მე-16 და მე-17 თავებში დაეუშვით, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მცირეა იმისათვის, რომ გაელენა მოახდინოს უცხო ქვეყნის ფიქსირებულ შემოსავალზე. მოდელი შესაფერისად ვერ გააშუქებს მაკროეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას ეროვნულ ეკონომიკებს შორის, სანამ ის არ გაერცელება ისეთ დიდ ქვეყნებშიც, როგორცაა აშშ.

ამ გაერცელების პირველ ნაბიჯად დაეუშვათ, რომ ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიში არის რეალური ვალუტის კურსის EP^*/P -ს ფუნქცია, მისი შემოსავალია $Y - T$ და უცხოეთისა – $Y^* - T^*$, სადაც Y^* გეიჩვენებს უცხოეთის გამოშვებას და T^* მის გადასახადებს. E არის უცხოური ვალუტის ფასი ადგილობრივ ვალუტაზე და EP^*/P არის რეალური ვალუტის კურსი, რომელიც გულისხმობს უცხოეთის გამოშვების ფასს ჩვენი ქვეყნის გამოშვების ფასის გათვალისწინებით. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიში იქნება:

$$CA = CA(EP^*/P, Y - T, Y^* - T^*)$$

ჩვენი ქვეყნის ვალუტის რეალური გაუფასურება (EP^*/P -ს ზრდა) დაშვებულია, რათა მან გამოიწვიოს თავისი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ზრდა; ჩვენი ქვეყნის შემოსავალი კი მიგვიყვანს აღნიშნული ბალანსის შემცირებამდე. წინა მოდელი უარყოფდა უცხო ქვეყნის შემოსავლის ეფექტს ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშზე. ამ ორი ურთიერთმოქმედი ეკონომიკის მოდელში უნდა ვეძიოთ, როგორ მოქმედებს $Y^* - T^*$ ზრდა CA -ზე. რადგან უცხო ქვეყნის შემოსავლის ზრდა ადიდებს უცხოურ დანახარჯებს ჩვენი ქვეყნის პროდუქციაზე. იგი ადგილობრივ ექსპორტსაც ზრდის. ამიტომ უცხო ქვეყნის შემოსავლის ზრდა იწვევს ჩვენი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მატებას.

ადგილობრივი გამოშვების ერთობლივი მოთხოვნა, როგორც ყოველთვის, არის $C + I + G$, ანუ ადგილობრივი მთლიანი დანახარჯებისა და CA მიმდინარე ანგარიშის ჯამი; ერთობლივი მიწოდება და მოთხოვნა ჩვენი ქვეყანაში თანაბარია:

$$Y = C(Y - T) + I + G + CA(EP^*/P, Y - T, Y^* - T^*) \quad (19-1)$$

უცხოეთის მიმდინარე CA^* ანგარიშიც დამოკიდებულია ჩვენი და უცხო ქვეყნის პროდუქციის EP^*/P შესადარის ფასებზე და ორივე ქვეყნის შემოსავალზე. ფაქტობრივად, ორიქვეყნიან მსოფლიოში ჩვენის მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე ზუსტად უნდა უდრიდეს უცხოეთის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, როცა ორივე ბალანსი იზომება საერთო ერთეულით. რადგან ჩვენი ქვეყნის ექსპორტი არის უცხოეთის იმპორტი და პირიქით, ჩვენი ქვეყნის ექსპორტის ნებისმიერი სიჭარბე აუცილებლად უნდა ესადაგებოდეს უცხოეთის იმპორტის სიჭარბეს. რაც შეეხება უცხოეთის გამოშვებას, მისი მიმდინარე ანგარიში არის

$$CA^* = -CA(EP^*/P, Y - T, Y^* - T^*) \div (EP^*/P)$$

$CA(\dots)$ იყოფა რეალური ვალუტის კურსზე EP^*/P (უცხოეთის გამოშვების ფასზე ჩვენი ქვეყნის გამოშვების გათვალისწინებით), რათა გადააქციოს იგი უცხოეთის გამოშვების ერთეულად CA^* -ს გასაზომად.

ნათელია, რომ ჩვენი ქვეყნის შემოსავლის ზრდა ადგილობრივი მიმდინარე CA ანგარიშის გაუარესებით აუმჯობესებს CA^* -ს. ისევე, როგორც უცხოეთის შემოსავლის ზრდა აუარესებს CA^* . თუმცა EP^*/P -ს ცვლილების ეფექტი CA^* -ზე უფრო გართულებულია. EP^*/P ზრდა (ჩვენი ქვეყნის გამოშვების შედარებით გაიარება) იწვევს CA^* -ის შემცირებას, იმავე დროს ის ზრდის CA -ს. უცხოეთის გამოშვების ბაზრის მიწოდება უტოლდება მოთხოვნას, როცა უცხოეთის გამოშვება Y^* უდრის მთლიან უცხოურ ხარჯებს $C^* + I^* + G^*$, გამოკლებული ჩვენი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ღირებულება. ეს მაჩვენებლები იზომება უცხოეთის გამოშვების გათვალისწინებით $(P/EP^*) \times CA$:

$$Y^* = C^* (Y^* - T^*) + I^* + G^* - (P/EP^*) \times CA (EP^*/P, Y - T, Y^* - T^*) \quad (19-2)$$


თუ დროებით დაეუშვებთ, რომ EP^*/P რეალური ვალუტის კურსი მუდმივია მოცემულ დონეზე, 19-4 გრაფიკი გეიჩვენებს, თუ როგორ განისაზღვრება ჩვენი და უცხო ქვეყნების გამოშვების სიდიდე. HH მრუდი გეიჩვენებს

ჩვენი და უცხო ქვეყნების გამოშვების დონეებს, როცა ერთობლივი მოთხოვნა უდრის ერთობლივ მიწოდებას ჩვენი ქვეყანაში. **HH** მრუდი გადაინაცვლებს ზევით, რადგან **Y*** ზრდა აღიძვებს ჩვენს ექსპორტსა და ერთობლივ მოთხოვნას, ამასთან განაპირობებს ადგილობრივი გამოშვების უფრო მაღალ დონეს. **FF** მრუდი გეიწვევს ჩვენსა და უცხოურ გამოშვებას, როცა ერთობლივი მოთხოვნა უდრის ერთობლივ მიწოდებას უცხოეთში. **HH** მსგავსად **FF**-საც დადებითი დაქანება აქვს იმავე მიზეზით: ზრდა აღიძვებს უცხოეთის ექსპორტზე მოთხოვნას და მისი **Y*** გამოშვება უნდა გაიზარდოს, რათა დაიძლიოს ეს ზრდა ერთობლივ მოთხოვნაში. **HH** და **FF** მრუდების გადაკვეთაზე (წერტილი I) ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება ორივე ქვეყანაში ტოლია, მოცემული რეალური ვალუტის კურსით.

შენიშნეთ, რომ **HH** მრუდი უფრო დამრეცია, ვიდრე **FF**. დაქანების ეს ხარისხი გამოწვეულია მით, რომ ქვეყნის გამოშვების ზრდა დიდ გავლენას ახდენს თავისავე გამოშვების ბაზარზე, ვიდრე უცხოეთისაზე. **HH** გასწვრივ ადგილი ექნება **Y*** დიდ ზრდას, რათა გააბათილოს ადგილობრივი გამოშვების ჭარბი მიწოდება, რაც გამოწვეულია **Y** ზრდით. ამის მსგავსად **FF** მრუდის გასწვრივ აღინიშნება **Y** დიდი ზრდა, რათა აღდგეს ბალანსი უცხოეთის გამოშვების ბაზარზე **Y*** ზრდის შემდეგ.

ფისკალური პოლიტიკის ცვლილებები შინ თუ გარეთ გამოიწვევს მრუდების გადახრის, აგრეთვე. ცვლის **G** და **G*** სამთავერობო შესყიდვებს და **T** და **T*** წმინდა გადასახადებს. ფისკალური პოლიტიკა გავლენას ახდენს **HH** და **FF** მრუდებზე, **E** ვალუტის კურსის შეცვლითაც (თავი 16). ადგილობრივი ფისკალური ექსპანსია იწვევს **E**-ს შემცირებას (ადგილობრივი ვალუტის ფასების ზრდა უცხოეთთან მიმართებაში) მაშინ, როცა უცხოური ფისკალური პოლიტიკის გაფართოებას მოსდევს **E**-ს მატება (ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება უცხოეთთან მიმართებაში). მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია, აგრეთვე, გადაადგილოს ორი მრუდი ვალუტის კურსზე შემოქმედებით. 1980 წლიდან ფისკალურიცა და მონეტარული პოლიტიკაც სავალუტო კურსის გამოცდილების ცენტრშია.

გრაფიკი 19-4 გამოშვების განსაზღვრა ორქვეყნიან მსოფლიოში



მოცემული რეალური ვალუტის კურსისათვის **HH**-ის (რომლის გასწვრივაც ჩვენი ქვეყნის გამოშვების ბაზარი რეგულირდება) და **FF**-ის (რომლის გასწვრივაც უცხოეთის გამოშვების ბაზარი რეგულირდება) გადაკვეთა განსაზღვრავს მოკლევადიანი წონასწორული გამოშვების დონეს ორ ქვეყანაში.

საკითხის შესწავლისათვის

დეფლაცია, კრიზისი და აღდგენა – 1980-95 წლები

1980-იანი წლების შემდგომი ხანა აღინიშნა დრამატული ცვლილებებით მსოფლიო ეკონომიკაში. სხვათა შორის, ინფლაციის ტემპი განვითარებულ მსოფლიოში უფრო შემცირდა, ვიდრე ბრეტონ ვუდსის წლებში (იხ. 19-3 ცხრილი). ბოლოს და ბოლოს, ფასის სტაბილურობა თითქოს აღდგა. მაგრამ უარყოფითი მოვლენები იმდენად მკაცრი იყო, რომ მათ დააშინეს შედარებით ღია მსოფლიო ეაჭრობა და ფინანსური სისტემა, რომელიც ასე მონდომებით აიგო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იმ დროისათვის საერთაშორისო გაერთიანება იყო ომთაშორისი წლების ეკონომიკური მოვლენების გამეორების საფრთხის ზღვარზე. ბევრი ეკონომისტი და პოლიტიკის შემქმნელი მსოფლიო ეკონომიკის პრობლემების სირთულის მთავარ მიზეზად მცოცავ სავალუტო კურსს თვლიდა და მოითხოვდა შეზღუდული სავალუტო კურსის მოქნილობის აღდგენას.

დეფლაცია და 1981-83 წლების რეცესია


1979 წლის ოქტომბერში ფედერალური სარეზერვო ფონდის თავმჯდომარემ ვოლკერმა გამოაცხადა – აშშ-ს მონეტარულ პოლიტიკაში დაწყებულიყო სწრაფი ცვლილება ადგილობრივი ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და დოლარის დაცემის აღმოსაფხვრელად. ვოლკერის ამ განცხადებამ აფიქრებინა უცხოეთის ვალუტის ბაზრებს, რომ ფონდის თავმჯდომარე შეასრულებდა თავის დანაპირებს – ინფლაციას განდევნიდა ამერიკის ეკონომიკიდან. 1980 წლის ნოემბერში პრეზიდენტად აირჩიეს რეიგანი, რომელიც ანტიინფლაციურ პლატფორმაზე იდგა და მალე დოლარის ღირებულება გაიზარდა. 1979-81 წლების

ბოლოს დოლარმა 23.2%-ით მოიმატა გერმანულ მარკასთან მიმართებით. აშშ საპროცენტო განაკვეთებიც სწრაფად გადიდა 1979 წლის ბოლოს; 1981 წლისათვის ხანმოკლე ვადიანი საპროცენტო განაკვეთი აშშ-ში გაორმაგდა 1972 წლის დონესთან შედარებით.

19-3 ცხრილი ინფლაციის ტემპი მთავარ განვითარებულ ქვეყნებში 1981-94 წლებში და 1961-71 წლებში საშუალოდ (წლიური პროცენტი)

წლები	აშშ	ბრიტანეთი	კანადა	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	იაპონია
1981	10.4	11.9	12.5	13.4	6.3	19.5	4.9
1982	6.1	8.6	10.8	11.8	5.3	16.5	2.7
1983	3.2	4.3	5.8	9.6	3.3	15.0	1.9
1984	4.3	5.0	4.3	7.4	2.4	10.6	2.2
1985	3.5	6.1	4.0	5.8	2.2	8.6	2.0
1986	1.9	3.4	4.2	2.7	-0.1	6.1	0.6
1987	3.7	4.1	4.4	3.1	0.2	4.6	0.1
1988	4.1	4.9	4.0	2.7	1.3	5.0	0.7
1989	4.8	7.8	5.0	3.6	2.8	6.6	2.3
1990	5.4	9.5	4.8	3.4	2.7	6.1	3.1
1991	4.2	5.9	5.6	3.2	3.5	6.4	3.3
1992	3.0	1.7	1.5	2.4	4.0	5.1	1.7
1993	3.0	1.3	1.9	2.1	4.1	4.2	1.3
1994	2.5	0.7	0.2	1.7	3.0	3.9	0.7
1961-71 საშუალო	3.1	4.6	2.9	4.3	3.0	4.2	5.9

გრაფიკი 19-5 ადგილობრივი ქვეყნის მონეტარული შემცირება



ჩვენ ქვეყანაში ფულადი შემცირება (ნაჩვენები HH¹-ის HH²-სკენ გადახრით) მისი ვალუტის მზარდი შეფასებით უცხოეთთან შედარებით (რომელიც ნაჩვენებია FF¹-ის FF²-სკენ გადახრით), იწვევს ჩვენი ქვეყნის გამოშვების შემცირებას Y¹-დან Y²-მდე და უცხოეთის გამოშვების ზრდას Y^{*1}-დან Y^{*2}-მდე.

19-5 გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს ადგილობრივი მონეტარული ეფექტის შედეგების სურათს ორქვეყნიან მოდელში, დაგეხმარებათ, გაიგოთ ვოლკერის პოლიტიკის ცვლილების შედეგი როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვარგარეთ. აშშ საპროცენტო განაკვეთის აწევით და ინვესტორებისათვის მყარი დოლარით ანაზღაურების იმედით, აშშ პოლიტიკამ გამოიწვია დოლარის ფასის იმავდროული გადიდება. ამ პროცესმა აშშ-ში საქონელი უფრო გააძვირა უცხოურთან შედარებით, რასაც Y* უცხო ქვეყნის გამოშვების დონის გაზრდა მოჰყვა; ეს კი აუცილებელი იყო ადგილობრივ გამოშვებაზე მოთხოვნის შესანარჩუნებლად Y ნებისმიერ დონეზე. 19-5 გრაფიკი გვიჩვენებს ამ ცვლილებას HH¹ მრუდის HH² მრუდამდე აღმავალი სვლით. დოლარის (ადგილობრივი ვალუტა) ფასის ზრდა გაყვანას ახდენდა უცხოეთის გამოშვების ბაზარზეც – უცხო ქვეყნის გამოშვება შედარებით იაფდებოდა, FF¹ იხრებოდა მარცხნივ FF²-სკენ.

ამ ორი გადახრის შედეგად ჩვენი ქვეყნის გამოშვება მცირდება, უცხო ქვეყნისა – იზრდება, რის გამოც მსოფლიო ეკონომიკა საწყისი მდგომარეობიდან გადაინაცვლებს წერტილი (1)-დან წერტილ (2)-ზე, ახალ წონასწორობამდე. შესაძლოა პირველად გასაკვირიც იყოს, თუ მონეტარული შემცირება შინ როგორ ზრდის გამოშვებას გარეთ, რადგან ჩვენი ქვეყნის გამოშვების შემცირება იწვევს იმპორტზე ადგილობრივი მოთხოვნის უშუალო შემცირებას. იმპორტზე ადგილობრივ მოთხოვნის ეს ბოლო შემცირება ადგილობრივიდან უცხო ქვეყნის საქონელზე მსოფლიო ხარჯების საწყისი გადასვლის მეორეადი ეფექტია.

როგორც მოდელშია ნაჩვენები, ფონდის მონეტარულმა შენელებამ, დიახაც, უარყოფითად იმოქმედა ამერიკის გამოშვებასა და დასაქმებაზე. დოლარის ფასის ზრდას საზღვარგარეთ არ მიესალმნენ,

თუმცა მას შეეძლო დადებითი სტიმული მიეცა უცხო ქვეყნის ეკონომიკებისათვის წელი განვითარების პერიოდში. მიზეზი ის იყო, რომ ძლიერმა დოლარმა ხელი შეუშალა უცხო ქვეყნებს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმპორტო ფასების ზრდითაც და მათი მუშების მხრიდან მაღალი ხელფასის მოთხოვნის წაქეზებითაც. ძლიერ დოლარს უკუეფექტი ჰქონდა აშშ-ში – იქ მან დააჩქარა ინფლაციის შემცირება. აშშ-ის მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ამართლებდა ფრა'სას – „გააღარიბე შენი მესობელი“. რაკი მან შეამცირა ინფლაცია ამერიკაში ინფლაციის ნაწილობრივი გატანით, რითაც დიდად იმოქმედა უცხო ქვეყნების ეკონომიკაზე. უცხო ქვეყნების ცენტრალური ბანკები ამ პროცესს პასუხობდნენ უცხოეთის ვალუტის ბასრებში შეტრით დოლარის ზრდის შესაჩელებლად. დოლარის მარაგის გაყიდვის გააქტიურებით და საკუთარი ვალუტის შესყიდვით, ზოგიერთი ცენტრალური ბანკი მონეტარული ზრდის ტემპს ანელებდა 1980-91 წლებში, მაგრამ საპროცენტო განაკვეთის ზრდა მიანიჭ ხდებოდა.

აშშ-ში და სასწავლოდ ერთდროულმა მონეტარულმა შემცირებამ, რაც ნათობის მეორე შოკს ფეხდაფეხ მოჰყვა, მსოფლიო ეკონომიკა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე მკაცრ რეცესიაში ჩააგდო.


19-2 ცხრილი გვიჩვენებს განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის მაჩვენებელთა მერყეობას. 1982-83 წლებში უმუშევრობა მსოფლიოში ავიდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ფიქსირებულ უმაღლეს დონემდე. ამ ცხრილით შეგიძლიათ შეადაროთ ეს საგანგაშო დონე უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელს იმავე შვიდ ქვეყანაში 1963-72 წლებში (3.2%).

როგორც 19-3 ცხრილი გვიჩვენებს, მონეტარულმა შემცირებამ და ამის შედეგად რეცესიამ სწრაფად გამოიწვია ინფლაციის ტემპის დრამატული შემცირება განვითარებულ ქვეყნებში.

ფისკალური პოლიტიკა, მიმდინარე ანგარიში და პროტექციონიზმის აღდგენა

არჩევნების კომპანიის დროს რეიგანი ამომრჩეველებს დაჰპირდა გადასახადების შემცირებასა და ფედერალური ბიუჯეტის დაბალანსებას. 1981 წელს ამ ორიდან მან პირველი პირობა შეასრულა, როცა კონგრესმა მიიღო კანონი პირადი გადასახადების შემცირებისა და ბიზნესში ფისკალური ინვესტიციის წახალისების უზრუნველყოფის შესახებ. იმავე დროს რეიგანის ადმინისტრაცია ჩქარობდა თავდაცვითი ხარჯების გადიდებას, რომელსაც მოჰყვა ადგილობრივ პროგრამებზე სამთავრობო დანახარჯების შემცირება. ყველაფერმა ამან გამოიწვია აშშ-ს სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტისა და ფისკალური სტიმულის სწრაფად გაბერვა.

გრაფიკი 19-6 ფისკალური გაფართოება ადგილობრივ ქვეყანაში



ჩვენი ქვეყნის ფისკალური ექსპანსია, რომელიც გადახრის HH'-ს HH'-სკენ, ზრდის გამოშვებას როგორც შინ, ასევე საზღვარგარეთ. FF'-დან FF'-სკენ გადახრა გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის ვალუტის გადაჭარბებული შეფასებით უცხოურთან შედარებით.

19-6 გრაფიკი გვიჩვენებს ადგილობრივი ფისკალური გაფართოების ეფექტებს ორქვეყნიან მოდელში. რადგან ფისკალური გაფართოება იწვევს ადგილობრივი ვალუტის (დოლარის) გაზრდას, უცხო ქვეყნების პარიტეტითა შედარებით იაფდება და მათზე მსოფლიო მოთხოვნა იზრდება. ამიტომ Y^* უცხო ქვეყნის გამოშვება უნდა გაიზარდოს Y ადგილობრივი გამოშვების ყველა დონეზე, როგორც ეს წარმოდგენილია FF' მრუდის ზევით FF'' -სკენ გადახრით. თუ ჩვენი ქვეყანა დიდია, მისი გამოშვების ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური გაფართოების შედეგი დადებითი იქნება, ადგილობრივი ვალუტის ზედმეტად გაზრდის მიუხედავად. ასე რომ, Y უნდა გაიზარდოს Y^* ნებისმიერი ღირებულებისათვის. ეს ზრდა ადგილობრივ ერთობლივ მოთხოვნაში ნიშნავს HH' მრუდის მარჯვნივ გადახრას HH'' -სკენ. გამოშვება იზრდება შინ და გარეთ, რადგან მსოფლიო ეკონომიკა მიემართება თავისი საწყისი წერტილი (1)-დან წერტილ (2)-სკენ.

აშშ ფისკალური მოძრაობის ანალიზი გართულებულია, რადგან 1981 წელი იყო მხოლოდ მისი შემოდების პერიოდი და დაიწყო მოქმედება 1982 წელს, რომლის გაფართოებადი შედეგი მაინც არ იგრძნობოდა სრულად 1983 წლამდე. მომავალი ფისკალური გაფართოების ლოდინი უბრალოდ გამოიწვევდა დოლარის ზედმეტად შეფასებას და მრუდს ზევით (19-6 გრაფიკში), ხოლო სხვა მრუდს უფრო მარცხნივ გადასწევდა. ეს ცვლილებები აღრმავებდა 1981-83 წლების რეკესიის ადრეულ სტადიას აშშ-ში მაშინ, როცა ნაკლებ სტიმულს აძლევდა სასღვარგარეთს, ვიდრე ეს 19-6 გრაფიკში იყო ნაჩვენები. 19-6 გრაფიკში მხოლოდ 1982-83 წლების მონაცემები ასახავენ აშშ-ს ფისკალური პოლიტიკის მსოფლიო ეფექტის სუსტ სურათს.

კარგა ხანს აშშ-ის გაფართოებადი ფისკალური მდგომარეობით ხდებოდა დოლარის კურსის ზრდა (იხ. 19-3 გრაფიკი), როგორც ეს შევიწროებადი ფისკალური პოლიტიკით ხდებოდა გერმანიასა და იაპონიაში. 1985 წლის თებერვლისათვის დოლარის ერთობლივი კურსის ზრდა, გერმანულ მარკასთან შედარებით (1979 წლის ბოლო კურსით) იყო 47.9%. რეკესია აშშ-ში დაბალ წერტილს 1982 წლის დეკემბერში გაუთანაბრდა და გამოშვებამ აღდგენა დაიწყო იქვე და სასღვარგარეთაც, რადგან აშშ-ს ფისკალური სტიმული გადატანილ იქნა უცხო ქვეყნებში დოლარის მყარი სუდმეტი შეფასებით. ამ აღორძინების ხელშეწყობი იყო თავისუფალი ფედერალური სარესურვო მონეტარული პოლიტიკა. უცხოეთის ცენტრალურ ბანკებს ეშინოდათ, საკუთარი გაფართოებადი პოლიტიკის მეშვეობით არ წახალისებინათ ინფლაცია. 1982 წლის მეორე ნახევარში აშშ-ს ფულმა საპროცენტო განაკვეთი შეამცირა; უცხოეთის სოციერთმა ცენტრალურმა ბანკმა იგრძნო, რომ მას შეეძლო გაემარტივებინა თავისი ფულადი პოლიტიკა ისე, რომ მკვეთრად არ გაუუფასურებინა თავისი ვალუტა. 1984 წლის დასაწყისში აშშ-ში უმუშევრობა შემცირდა და გამოშვება სწრაფად გაიზარდა. უმუშევრობა კვლავ მაღალი რჩებოდა სხვა განვითარებულ ქვეყნებში და გამოშვების ზრდაც ნელი იყო ისტორიული სტანდარტების მიხედვით.

იმ დროს, როცა აშშ ფისკალური გაფართოება ხელს უწყობდა მსოფლიო აღორძინებას, ფედერალური ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი იწვევდა სერიოზულ შეშფოთებას მსოფლიო ეკონომიკის მომავალი სტაბილურობის თაობაზე. მზარდი სამთავრობო დეფიციტი არ დაიფარა პირადი დანახოების ანაზღაურებით ან ინვესტიციის შემცირებით; ასე რომ, ამერიკის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი სწრაფად უარესდებოდა (გაიხსენეთ მე-12 თავის „საკითხის შესწავლისათვის“ სამთავრობო დეფიციტისა და მიმდინარე ანგარიშის კავშირის შესახებ). 1987 წლისათვის აშშ წმინდა მოვალე იყო უცხო ქვეყნებისათვის და მისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ომის შემდგომ დონეზე ეკპ-ის 3.6% იყო. ზოგი ანალიტიკოსი ფიქრობდა, რომ უცხოელი კრედიტორები დაკარგავენ ნდობას იმ დოლარის აქტივების მომავალი ღირებულებისადმი, რომელსაც აგროვებდნენ და ჰყიდდნენ. რაც იწვევდა დოლარის უცაბედ გაუფასურებას.

თანაბრად სამწუხარო იყო მძლავრი დოლარის ზემოქმედება შემოსავლის განაწილებაზე აშშ-ში. დოლარის კურსის ზრდამ შეამცირა ინფლაცია აშშ-ში და საშუალება მისცა მომხმარებლებს, შეეყვიდათ იმპორტული საქონელი უფრო იაფად. ვაჭრობაში ამ ცვლილებებით გულნატკენი დარჩნენ უფრო ორგანიზებულნი, ვიდრე ისინი, ვინც ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით. მუდმივად უნაყოფო ეკონომიკურმა ქმედებამ 1980-იან წლებში გამოიწვია მთავრობაზე ზეწოლა, რათა მას დაეცვა მრეწველობა ექსპორტისა და იმპორტის სექტორებში. რადგან აშშ-ში აღდგენა შენელდა 1984 წლის ბოლოს, პროტექციონისტული ზეწოლაც გაქრა.

რეიგანის ადმინისტრაციამ თავიდანვე მიიღო „კეთილი უარყოფის“ პოლიტიკა უცხოური ვალუტის ბაზრის მიმართ და უარი თქვა მასში ჩარეულიყო, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა (მაგალითად, რეიგანის მოსაკლავად ნასროლი ტყვია). 1985 წელს ძლიერ დოლარსა და მოახლოებულ პროტექციონისტულ ქარიშხალს შორის კავშირის უარყოფა შეუძლებელი გახდა.

პლაცადან ლუერისაკენ: ვალუტის კურსის მართვის მცდელობა

1985 წლის აშშ-ს სწრაფ მონეტარულ ზრდას მოჰყვა დოლარის გაუფასურება, მაგრამ წინ ვერ აღუდგა კონგრესის დამოკიდებულებას იმპორტის შესღუდვების სასარგებლოდ. საერთაშორისო სავაჭრო სისტემის განადგურების შიშით ხუთი ქვეყნის (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია) ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ნიუ-იორკის პლაცა პორტელიდან 1985 წლის 22 სექტემბერს განაცხადეს, რომ ისინი ერთობლივად ჩაეროვნენ უცხოური ვალუტის ბაზარზე დოლარის გაუფასურების გამოსაწვევად. დოლარის კურსი სწრაფად დაეცა მეორე დღესვე და ასე გაგრძელდა 1986-87 წლამდე. ამით აშშ შეინარჩუნა თავისუფალი მონეტარული პოლიტიკა და შეამცირა საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტასთან მიმართებით (იხ. 19-3 გრაფიკი).

ხუთი ქვეყნის აღნიშნულმა განცხადებამ განასახიერა რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის სწრაფი ცვლილება – უცხოური ვალუტის კურსში ჩარევის მიმართ წინააღმდეგობის გაუქმება. პლაცას კომუნიკე მიუთითებდა სამთავრობო წრეებში მსარდ უკმაყოფილებაზე მცურავი კურსის გამო და აღნიშნავდა იმ პერიოდის დაწყებას, როცა ქვეყნები, აშშ-ს ჩათვლით, იწყებდნენ ჩარევას ვალუტის კურსზე გაელენისათვის.

1986 წლის ბოლოს დოლარის ვალუტის კურსი გადაიქცა მთავრობებს შორის უთანხმოების ცენტრალურ პრობლემად. აშშ კვლავ მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი ჰქონდა. როდესაც იგი წააწყდა უცხოეთის წინააღმდეგობას, მიეღო ხარჯების შემცველი პოლიტიკა, ამერიკის ლიდერებმა ისალეს და აღადგინეს გარე ბალანსი დოლარის შემდგომი გაუფასურების ხარჯების წარმმართველი პოლიტიკის მეშვეობით. სხვა განვითარებული ქვეყნების ლიდერები გრძობდნენ, რომ მათი ვალუტის ზედმეტი შეფასება ძალიან შორს წაყვდა. მათი საკუთარი მრეწველობისათვის ძნელი იყო განმკლავებოდა უცხოურ კონკურენციას და აშშ ფისკალური და მონეტარული შემცირების ხარჯების შეცვლა მათთვის მისაღები აღმოჩნდა.


განახლებულ ძალისხმევას, დახმარებოდნენ ვალუტის კურსს, 1987 წლის 24 თებერვალში მოსკეა პარიზში – ლუერში შეხვედრა დასახელებული ხუთი ქვეყნისა და კანადის ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკის მმართველებისა, რომელთაც გამოუშვეს ბიულეტენი, რითაც ირწმუნებოდნენ, რომ გაამყარებდნენ ნომინალური ვალუტის კურსს იმ დონით, რაც მაშინ სახესე იყო. ლუერის შეთანხმება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე უბრალო სიტყვიერი განაცხადი ვალუტის კურსის თაობაზე. გამოუქვეყნებულ შეთანხმებაში მთავრობებმა დაადგინეს მისწობრივი ზონები ვალუტის კურსისათვის და შეთანხმდნენ, რომ დაიცავდნენ მათ უცხოურ ვალუტის ბაზრებში შეჭრით. სანამ ეს მისწობრივი ზონები გამოქვეყნდებოდა, მიმომხილველები დარწმუნებული იყვნენ, რომ ლუერის შეთანხმება მოითხოვდა პლუს-მინუს 5%-იან გადახრას კურსით – 1.8250 გერმანული მარკა ერთ დოლარში და 153.50 იენა ერთ დოლარში (შეადარეთ, ვალუტის კურსი პლაცას განცხადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ იყო დაახლოებით 2.750 გერმანული მარკა და 250 იენა ერთ დოლარში).

1987 წლის აპრილში, იენ-დოლარის კურსის მერყეობის რეგულირების შემდეგ განვითარებულმა ქვეყნებმა რამდენიმე თვით წარმატებაც მოიპოვეს ახალი ვალუტის კურსის დონის შესანარჩუნებლად. აშშ-ს გარე დეფიციტი დიდი დარჩა, დოლარი კვლავ გაყიდვის ზეწოლას განიცდიდა; დონის შესანარჩუნებლად საჭირო იყო აშშ ფულის მასის ზრდის შენელება და საპროცენტო განსხვავების მატება დოლარის აქტივების ხელშესაწყობად. ბაზრის მონაწილენი ელოდნენ, ჩავარდებოდა თუ არა აშშ ეკონომიკა რეცესიაში ნომინალური ვალუტის კურსის გასაძლიერებლად, რომელიც მხარდად შეუსაბამო იყო მიმდინარე ანგარიშის წონასწორობასთან, გამოშვების მოცემული ფასებით აშშ-სა და საზღვარგარეთ.

1987 წლის ოქტომბერში ვალუტის სტაბილურობის ხანმოკლე პერიოდი უკებ დამთავრდა, რაკი აშშ-ის მარაგის ბაზარი თანდათან შემცირდა და გაქრა. ამან გამოიწვია ამერიკელების მხრიდან გერმანიის საპროცენტო განაკვეთის ზრდის კრიტიკა. აშშ-ში უფრო ზოგადი ეკონომიკური კრიზისი გვერდზე გადასწია ფონდის ახალმა თავმჯდომარემ აღან გრინსპანმა, რომელმაც გამოაცხადა ფონდის მზადყოფნა, უსრუნველყო გაჭირვებული საფინანსო სისტემის ლიკვიდურობა. უცხოეთის ცენტრალური ბანკების მმართველებიც ასევე იქცეოდნენ. მთელ მსოფლიოში საპროცენტო განაკვეთი შემცირდა. ამ პროცესში აშშ ხელმძღვანელი ძირები ხელს უწყობდნენ დოლარის გაუფასურებას ლუერის ლიმიტებთან შედარებით.

გრაფიკი 19-7 ვალუტის კურსის ცვლილებები ლუერის შეთანხმების შემდეგ

\$/Y და \$/DM გაყვლითი კურსები



DM-ისა და იენის დოლარის ფასი ფართოდ მერყეობდა 1987 წლის თებერვლიდან ლუერის შეხვედრის შემდეგ მიუხედავად პირველადი საერთაშორისო შეთანხმებისა შეენარჩუნებინათ ეს ვალუტის კურსი 10%-იან საზღვრებში.

ვალუტის კურსის ახალი ზონები უკვე ჩამოყალიბდა, მაგრამ რამდენიმე შემთხვევის გამო შეიცვალა. 1993 წლისათვის ზონის ნებისმიერი პრეტენსია უწყურადღებოდ დარჩა. 19-7 გრაფიკი გვიჩვენებს ვალუტის

კარსის მოძრაობას ლუერის შეთანხმების შემდეგ, სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ვალუტის კურსის ბუნდოვან ზონებს არ გააჩნიათ რეალური ძალა და რომ ხელმძღვანელი პირების ნაკლები სურვილი – გამოეცხადებინათ ზონები, ძირითადად ემსახურებოდა განმეორებადი ოფიციალური წარუმატებლობის დაფარვას ბაზარზე ზეწოლის გაძლების მიზნით. ზონების შექმნის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ვალუტის კურსი ჩვეულებრივზე მეტად სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა, ზონების პრაქტიკა რომ დაენერგათ. ნათელი მხოლოდ ისაა, რომ ოფიციალური ცდა – გაეყენა მოეხდინათ ვალუტის კურსზე, წარმატებული იყო მხოლოდ მაშინ, როცა ზურგი გამაგრებული ჰქონდათ მონეტარულ ან ფისკალურ პოლიტიკაში ცვლილებით. ხელმძღვანელი პირები ზოგჯერ აწყდებოდნენ აშკარა და მტკივნეული არჩევანის აუცილებლობას შიდა ბალანსსა და ვალუტის კურსის სტაბილურობას შორის (როგორც ეს აშშ-ში 1987 წლის ოქტომბერში გააკეთა) და ვერაფერს უნევენებდა ნათლად, რომ ამ ორიდან ვალუტის სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია გადამწყვეტ მომენტში.

კიდევ ერთხელ მსოფლიო კრიზისის შესახებ

1980-იანი წლების დასასრულს მთავარ განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციური ზეწოლა კვლავ დაიწყო (იხ. ცხრილი 19-3). ინფლაცია იყო უფრო ქვეყნის განვითარების და არა გლობალური შოკის შედეგი.

აშშ-ში 1985-90 წლების სწრაფმა მონეტარულმა ზრდამ ხელი შეუწყო ინფლაციის მატებას 1987-88 წლებში. ფედერალურმა სარეზერვო ფონდმაც ამ პროცესს უპასუხა განსაკუთრებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკით, რომელმაც 1990 წლის ზაფხულში აშშ ეკონომიკა მიაბრუნა ხანგრძლივი ეკონომიკური ჩაყვრისკენ. ეკონომიკური სტაგნაცია აშშ-ში იყო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დამარცხების მთავარი მიზეზი 1992 წლის ხელმეორე არჩევნების დროს. მიუხედავად ბუშის დამარცხებისა, აშშ ეკონომიკა მაინც იწყებდა აღდგენას. ბრიტანეთში თავისუფალმა მონეტარულმა პოლიტიკამაც 1988 წელს ხელი შეუწყო მაღალ ინფლაციას მომდევნო წლისათვის (იხ. ცხრილი 19-3). ამ ინფლაციის მიუხედავად, ბრიტანეთი შეუერთდა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმს 1990 წლის ოქტომბერში და დასთანხმდა, რომ გირვანქა სტერლინგი გაემაგრებინა ევროპული ვალუტის ერთეულით ფიქსირებული კურსის მიხედვით, შესაძლოა, ამან ბრიტანული ექსპორტი გააძვირა უცხოურ საქონელთან შედარებით. ეს ისეთივე შეცდომა იყო, რაც ბრიტანეთმა დაუშვა ოქროს სტანდარტისკენ მიბრუნებით 1925 წელს და, როგორც 19-2 ცხრილი გვიჩვენებს, უმუშევრობამ აქ სწრაფად იწყო ზრდა. მხოლოდ მისი ვალუტის კურსის აშეების შემდეგ, 1992 წელს, ბრიტანეთმა იწყო აღორძინება.

1989 წელს იაპონიაში ინფლაციამ უმაღლეს დონეს მიაღწია, შესაძლოა 1986-88 წლების შედარებით თავისუფალი მონეტარული პოლიტიკის შედეგად. ამ ზეწოლის ორი ფრიად ხილული ნიშანი იყო სწრაფად აღმავალი ფასები იაპონიის უძრავ ქონებასა და მარაგზე. აქაური ბანკის ამ აქტივის გაბერილი ფასის “ბუშტების ჩაჩუტვის” სტრატეგია წარმატებით განხორციელდა შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით; ტოკიოს ნიკეი ბირჟის ფასის მანქანებელმა თავისი ფასეულობის ნახევარზე მეტი დაკარგა 1990-92 წლებში. სამწუხაროდ, აქტივის ფასების სწრაფმა შემცირებამ იაპონია საბანკო სისტემის კრიზისამდე და ეკონომიკის რეცესიამდე მიიყვანა (1992 წლის დასაწყისი). 1995 წლისათვის საბანკო კრიზისი კვლავ ძლიერდებოდა.

გერმანიის ეკონომიკა აღმოჩნდა უნიკალურ სიტუაციაში 1990 წელს. 1989 წლიდან დაწყებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის ჩათვლით, რომელიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო ოკუპირებული, მოიშორეს კომუნისტური მმართველობა და დაიწყეს მტკივნეული ღონისძიებების გატარება – ცენტრალური დაგეგმივიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (იხ. თავი 23). 1990 წლის პირველი ივლისის აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანია სახელმწიფოებრივად გაერთიანდა, რასაც ეკონომიკური გაერთიანებაც მოჰყვა. გაერთიანების შეთანხმების ერთი პუნქტი მოითხოვდა აღმოსავლეთ გერმანიის ფულის მასის დასავლეთ გერმანული მარკის კურსით კონვერტირებას მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის მარკას გაცილებით დაბალი საბაზრო ღირებულება და მსყიდველობითი უნარი ჰქონდა. ამ მოძრაობამ, რომელიც ბუნდესბანკის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მოიწონა დასავლეთ გერმანიის მთავრობამ, გამოიწვია დასავლეთ გერმანიის ფულის მასის 29.6%-ით ზრდა 1990 წელს.

ფულის მასის ზრდა ერთ-ერთია იმ მრავალ ფაქტორთაგან, რომელმაც ხელი შეუწყო ინფლაციის გერმანიაში 1990 წლის შემდეგ. ფედერაციული გერმანიის მთავრობამ ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში წამოიწყო მასობრივი ფისკალური გაფართოების პროგრამა ინფრასტრუქტურის ინვესტიციისა და ტრანსფერტული გადასახადების (დიდი უმუშევრობის ასანაზღაურებლად) დასაფინანსებლად. ამ ტერიტორიის მცხოვრებნი, რომლებსაც ენატრებოდათ მაღალხარისხიანი სამომხმარებლო საქონელი, მიეძალნენ დასავლეთის იმპორტს. გერმანიის პროფკავშირები, რომლებმაც მხედველობაში მიიღეს რა გაერთიანების შემდეგ მაღალი საგადასახდო ღირებულებანი, გააძლიერეს ხელფასებზე მოთხოვნა. შედეგი იყო ინფლაციური ზეწოლა, მზარდი სამთავრობო ვალი და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. როგორც შემდეგ დავინახავთ, ბუნდესბანკის მკაცრმა ფულადმა რეაქციამ ინფლაციური ზეწოლისადმი მისი პარტნიორისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოიწვია სირთულეები, რომელსაც

– კული შედეგები მოჰყვა ფიქსირებული ვალუტის კურსის გამყარების საქმეში.


ამ თავის ორ პირველ ნაწილში მოხასული იყო მცურავეი ვალუტის კურსის მთავარი ელემენტები. მას შემდეგ, რაც განვიხილეთ მცურავეი კურსის მოქმედების პერიოდის მოვლენები, ახლა ერთმანეთს შევადარებთ აღნიშნული კურსის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისაგან ნაგარაუდევი მონაცემებს 1973 წელს და დავსვათ კითხვას – უახლესი ისტორია მხარს უჭერს თუ არა აუცილებლობას არსებული ვალუტის კურსის სისტემის რეფორმის შესახებ.

მონეტარული პოლიტიკის ავტონომია

ნათელია, რომ მცოცავმა კურსმა შესაძლებლობა მისცა ცენტრალურ ბანკებს, შეემოწმებინათ ფულის მასა და აერჩიათ მათთვის უმჯობესი ინფლაციის ტემპი. 19-1 და 19-3 ცხრილების შედარება 18-1 ცხრილსა და 18-3 გრაფიკთან გვიჩვენებს, რომ ინფლაციის ტემპი გაცილებით დიდი საერთაშორისო გადახრების შესაძლებლობას იძლეოდა. ვალუტის გაუფასურებამ აანაზღაურა თუ არა ინფლაციის დიფერენციალები ქვეყნებს შორის მცურავეი კურსის პერიოდის განმავლობაში? 19-8 გრაფიკში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება დოლარის მიმართ შედარებულია ადგილობრივსა და აშშ ინფლაციას შორის სხვაობასთან, ექვსი უდიდესი განვითარებული ეკონომიკური ბაზრისათვის აშშ-ს გარდა. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია ვარაუდობს, რომ გრაფიკში მოცემული წერტილები უნდა მდებარეობდნენ 45°-იანი ხაზის გასწვრივ, რაც გვიჩვენებს პროპორციული ვალუტის კურსს და შესაძარი ფასების ცვლილებას; მაგრამ მთავარი ეს არ არის. 19-8 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ წონასწორობისათვის მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებს ახასიათებთ უფრო სუსტი ვალუტა, ვიდრე დაბალი ინფლაციის მქონე მათ მეზობლებს. თანაც გაუფასურების ტემპებს შორის განსხვავება გამომდინარეობს ინფლაციის სხვაობებიდან, რაც მსყიდველობითი უნარის პარიტეტს აქცევს მთავარ ფაქტორად ხანგრძლივი ნომინალური ვალუტის კურსის ცვალებადობის შემდეგ.

გრაფიკი 19-8 ვალუტის კურსის მიმართულებები და ინფლაციის დიფერენციალები 1973-1993 წწ.

მცურავეი კურსის მთელ პერიოდში, მაღალი ინფლაცია დაკავშირებული იყო ვალუტის უფრო დიდ გაუფასურებასთან. შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიერ ნაგარაუდევი ურთიერთობა ბევრი ქვეყნისათვის არ განხორციელდა. პორიზონტალურ ღერძზე ინფლაციის სხვაობა გამოითვლება როგორც $(\pi - \pi_{us}) \times (1 + \pi_{us}/100)$, გამოყენებულია რა შეფარდებითი მსყიდველობითი უნარის პარიტეტი.



მანამ, სანამ პოლიტიკის ავტონომიის არგუმენტის – ინფლაციის იზოლირების ნაწილს ფართოდ უჭერენ მხარს, როგორც ხანგრძლივ პროპორციას, ეკონომიკური ანალიზიცა და გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ხანმოკლე ვადაში მონეტარული და ფისკალური ცვლილებების ეფექტები გადალახავენ ქვეყნის საზღვრებს მცურავეი კურსის დროს. ორქვეყნიანი მაკროეკონომიკური მოდელი გვიჩვენებს, რომ მონეტარული პოლიტიკა გაელენას ახდენს გამოშვებაზე ხანმოკლე პერიოდში შინაც და გარეთაც, რამდენადაც იგი ცვლის რეალური ვალუტის კურსს. მცურავეი კურსის კრიტიკოსები მართაღნი იყვნენ, როცა აცხადებდნენ, რომ მცურავეი კურსი სრულად ვერ გამოაცალკეებდა ქვეყნებს უცხოური პოლიტიკის შოკის გაელენიდან.

დრამატულმა გამოცდილებამ ათქმევინა სკეპტიკოსებს, რომ ცენტრალური ბანკი გულგრილი აღმოჩნდებოდა თავისი ვალუტის ღირებულების მიმართ უცხოური ვალუტის ბაზარში. 1973 წლის შემდეგ ცენტრალური ბანკები ხელმეორედ იჭრებოდნენ უცხოური ვალუტის ბაზარში, რათა შეეცვაღათ ვალუტის ღირებულება; თვით რეიგანის ადმინისტრაციის სავალუტო კურსში ჩაურეველობის პილიტიკა მიტოვებულ იქნა, როცა ხუთმა სახელმწიფომ 1985 წლის სექტემბერში პლაცაში გამოთქვა თავისი შეხედულებანი. 1973 წლის შემდეგ ვალუტის კურსის მცოცავობას ხშირად ახასიათებენ, როგორც „მანკიერს“ და არა როგორც „წმინდას“, რადგან ცენტრალური ბანკები თავიანთი შეხედულებისამებრ ჩაერიყენენ და კელავ დაეპატრონენ უცხოური ვალუტის მარაგს (თავი მე-17). მცურავეი კურსის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალურ ბანკებს არ უნდა აქონდეთ უცხოური მარაგი, მაგრამ 1972 და 1994 წლებში პირიქით მოხდა – განვითარებული ქვეყნების

საერთაშორისო რეზერვები გაიზარდა 13 მლრდ დოლარიდან 461 მლრდ დოლარამდე.

რატომ აგრძელებდნენ ცენტრალური ბანკები ჩარევას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფორმალურად არაეითარი ვალდებულება არ ეკისრებოდათ ამის გასაკეთებლად? ვალუტის კურსის ფიქსირებისათვის ჩარევას შეეძლო გაემყარებინა გამოშვება და ფასის დონე მხოლოდ რაიმე დარღვევის შემთხვევაში; ზოგჯერ ცენტრალურ ბანკებს ეგონათ, რომ ვალუტის კურსის ეს ცვლილებები ასეთი დარღვევების გამო ხდებოდა და გამოშვების ბაზარში ასეთი პროცესების დროსაც კი მათ მიანიც უნდოდათ შეენელებინათ ვალუტის კურსის მოძრაობა, რათა თავიდან აეცილებინათ თავიანთი რეალიზებადი საქონლის სექტორებში სწრაფი ცვლილება საერთაშორისო კონკურენციის ფონზე. ასეთი ცვლილებები, ალბათ, წარმოქმნიდნენ სექტორული დასაქმების მერყეობას. და ბოლოს, ცენტრალურ ბანკებს აფიქრებდათ, რომ ვალუტის კურსის დროებით გადახანაცვლებას შესაძლოა მოჰყოლოდა საშუალოვადიანი ინფლაციური ეფექტები, რომლის ეკონომიკიდან ამოძიკვა ძნელი იქნებოდა.

ავტონომიის არგუმენტისადმი სკეპტიკურად განწყობილნიც ვარაუდობდნენ, რომ სანამ მცურავი კურსი საშუალებას აძლევდა ცენტრალურ ბანკებს, გაეკონტროლებინათ ნომინალური ფულის მასა, აგრეთვე, მათი შესაძლებლობა, გაეღენა მოეხდინათ გამოშვებაზე, კვლავ შეზღუდული იქნებოდა ფასის დონის იმ ტენდენციით, რომ უფრო სწრაფად მიექციათ ყურადღება მონეტარულ ცვლილებებზე მცურავი კურსის დროს. ეს ვარაუდი ნაწილობრივ გამოცდილებით დამტკიცდა. მონეტარულ ცვლილებებს გაცილებით ძლიერი ხანმოკლე ეფექტი ჰქონდათ რეალურ ვალუტის კურსზე მცურავი ნომინალური ვალუტის კურსის დროს, ვიდრე ფიქსირებული პირობებში, როცა იზრდებოდა ფულის მონეტარული გაღენა გამოშვებაზე ბევრ ქვეყანაში. ბევრ შემთხვევაში ეს გაეღენა ხანმოკლე აღმოჩნდა. ვალუტის კურსის ამ სწრაფმა რეაგირებამ ფულის მასის ცვლილებებზე გაეღენა იქონია იმპორტის ფასებსა და ხელფასზე, რაც ამოკლებდა იმ დროს, როცა ფულს შეეძლო შეეცვალა რეალური ეკონომიკური საქმიანობა გამოშვების ნომინალური ფასების შეუცვლელად. ვალუტის გაუფასურებასა და ინფლაციას შორის კავშირი ნათლად გვიჩვენა აშშ გამოცდილებამ 1976-79 წლებში და სწრაფმა ინფლაციამ, რომელიც სხვადასხვა დროს ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მცდელობის შედეგი იყო, რათა დაეჩქარებინათ გამოშვების ზრდა მონეტარული ექსპანსიით. აშშ დეფლაცია 1979 წლის შემდეგ გვიჩვენებს, რომ მცოცავ კურსსაც შეუძლია, დააჩქაროს მონეტარული შემცირების გადასვლა უფრო დაბალ ინფლაციაში.

სიმეტრია

რადგან ცენტრალური ბანკები კვლავ ფლობდნენ დოლარის მარაგს, საერთაშორისო მონეტარული სისტემა ვერ გახდა სიმეტრიული 1973 წლის შემდეგ. გერმანულმა მარკამ და იენამ მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება (ბრიტანეთის სტერლინგის შემდეგ), მაგრამ დოლარი უპირველეს შემადგენელ ნაწილად რჩებოდა ბევრი ცენტრალური ბანკის ოფიციალურ რეზერვებში.

სტენფორდის უნივერსიტეტის ეკონომისტი რონალდ მაკკინონი ამტკიცებდა, რომ არსებული მცურავი კურსის სისტემა რამდენადმე წააგავს სარეზერვო ვალუტის ასიმეტრიულ სისტემას და მიუთითებდა ბრეტონ ვუდსის მოლაპარაკებაზე. მას მიაჩნდა, რომ მსოფლიო ფულის მასის ცვლილება შენელებოდა უფრო სიმეტრიული მონეტარული მარეგულირებელი მექანიზმით. აშშ გარეთ არსებული ინტერვენცია, 1979 წლის შემდეგ დოლარის ზრდის შესაჩერებლად, იწვევდა მონეტარულ შემცირებას სახლვარგარეთ აშშ ფულის მასის ასიმეტრიული ზრდით. შედეგად მიღებული კრიზისი უფრო უხეში იყო ამ ასიმეტრიულობის გამო, რაც ხელს უწყობდა არსებული რეცესიის გაღრმავებას.

ვალუტის კურსი, როგორც ავტომატური სტაბილიზატორი

მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა დიდი სტრუქტურული ცვლილებები 1973 წლიდან. ცნობილმა გადახრებმა შეცვალეს ეროვნული გამოშვების შესადარი ფასები (19-8 გრაფიკი). საეჭვოა ფიქსირებული ვალუტის კურსის რაიმე ნიშნის სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვანი პარიტეტული ცვლილებების გარეშე. განვითარებული ეკონომიკა გააქარწყლებდა ნაეთობის ორ შოკს, როგორც ეს მოხდა ფიქსირებული ვალუტის კურსის დაცვის დროს. კაპიტალის კონტროლის გარეშე, ისეთ სპეკულაციურ შეტევებს, რომლებმაც ბრეტონ ვუდსის სისტემა დაამხეს, პერიოდულად ექნება ადგილი, როგორც ეს ევროპის მონეტარული სისტემის ბოლო გამოცდილებამ გვიჩვენა (თავი 20). მცურავი კურსის დროს ბევრმა ქვეყანამ შეძლო, შეესუსტებინა კაპიტალის კონტროლი, რამაც დააჩქარა მსოფლიო ფინანსური ინდუსტრიის სწრაფი განვითარება და შესაძლებლობა მისცა ქვეყნებს, მიეღოთ მეტი მოგება დროთაშორისი ვაჭრობიდან.

აშშ ფისკალური გაფართოების შედეგი 1981 წლის შემდეგ გვიჩვენებს მცურავი ვალუტის კურსის მასტაბილიზებელ ხასიათს. როცა დოლარის ფასი გაიზარდა, აშშ-ს ინფლაცია შენედა, ამერიკელ მომხმარებლებსაც მოსწონდათ ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება; ეკონომიკური აღდგენა სახლვარგარეთაც დაიწყო.

1981 წლის შემდეგ დოლარის ფასის ზრდამ წამოჭრა მცურავი კურსის პრობლემა – დაეცვა ეკონომიკა ისეთი რეალური დარღვევისაგან, როგორიცაა გადახრები ერთობლივ მითხივნაში. მაშინაც კი, თუ მთლიანი

გამოშვება და ფასი დაცული იქნება, ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი შეიძლება დაზარალდეს. მაგალითად, როცა დოლარის ფასის გაზრდამ ხელი შეუწყო აშშ ფისკალური გაფართოების გავრცელებას საზღვარგარეთ 1980-იან წლებში, მანვე გააუარესა ამერიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. რეალური ვალუტის კურსის ცვლილებებს, მართლაც, შეეძლოთ სიანის გამოწვევა სოგიერთ სექტორში მარეგულირებელი პრობლემებისა და პროტექციის გაძლიერებული მოთხოვნის შექმნით.

საქონლის ბაზარში მუდმივი ცვლილებები მოითხოვდა რეალური ვალუტის კურსის საბოლოო მოწესრიგებას, რომლის დაჩქარება შეიძლებოდა მცურავი კურსის სისტემით. უცხოური ვალუტის შემოჭრა ნომინალური ვალუტის კურსის ხელოვნურად გასამაგრებლად ვერ უგულბებლყოფს ამ რეგულირებას, რადგან ფული ნეიტრალურია ხანგრძლივ პერიოდში და ამგვარად უძლეურია, მუდმივად ცვალოს შესადარი ფასები. 1980-იანი წლების მოვლენები გეჩვენებს, რომ თუ ღირს წარმოების ფაქტორების გადანაცვლება ეკონომიკის სექტორებს შორის, მაშინ არსებობს ვალუტის კურსის გამყარების საშუალება გამოშვების ბაზრის დროებითი შოკის დროსაც კი. სამწუხაროდ, ის ძნელი ამოცანის წინაშე აყენებს პოლიტიკის შემქმნელებს გადაწყვეტონ, რომელი დარღვევაა დროებითი და რომელი მუდმივი.

მცურავი ვალუტის კურსის მიმართ ბრალდება ზოგჯერ ეფუძნება განვითარებული ქვეყნების მწირ ეკონომიკურ წარმატებას 1970-80-იან წლებში, 1950-60-იან წლებთან შედარებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე სწრაფად გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებში; ამას დაემატა ისიც, რომ შრომის მწარმოებლურობა და რეალური მუშის ზრდის ტემპი დაეცა. ამ წინააღმდეგობრივ განვითარებას მოჰყვა დოლარის მცურავი კურსის შემოღება; მაგრამ ეს დამთხვევა იყო და არა მცურავი კურსის, როგორც მათი მიზეზის, მანქნებელი. ეკონომისტებს ჯერ არ აუხსნიათ მთლიანად განვითარების შენელებისა და უმუშევრობის დონის ზრდის არსი. როგორც ჩანს, დამნაშავეა სტრუქტურული ცვლილებები, რომელთაც ნაკლები საერთო აქვთ მცოცავ კურსთან. მაგალითად, ნავთობის ფასის შოკები, შრომის ბაზრის შემზღუდავი პრაქტიკა და მუშების გადაადგილება, რაც გამოწვეულია რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის, როგორც სამრეწველო საქონლის მთავარი ექსპორტიორის, არენაზე გამოსვლით. ევროპის მონეტარულ სისტემაში საერთაშორისო ეჭრობის უდიდესი წილი მოდის ფიქსირებულ სავალუტო კურსის პერიოდზე, მაგრამ საერთაშორისო მონეტარული სისტემის შეთანხმება საბაზო ადგილების შექმნისა და უმუშევრობის შემცირების შესახებ ჯერ ვერ უსწრებს აშშ-სა და იაპონიის დონეს.

დისციპლინა

ავად მოიხსენიებენ თუ არა ქვეყნები მცურავი კურსის მიერ დაშვებულ ავტონომიას, ინფლაციის ტემპმა მაინც აიწია 1973 წლის შემდეგ და მაღალი დონე შეინარჩუნა ნავთობის მეორე შოკის დროს. მაგრამ შეთანხმებულმა დეფლაციამ განვითარებულ ქვეყნებში 1979 წლის შემდეგ დაამტკიცა, რომ ცენტრალურ ბანკებს შეეძლოთ, წინ აღდგომოდნენ ინფლაციის ცდუნებას მცურავი კურსის დროს. ზოგჯერ განვითარებული ქვეყნების ამომრჩეველები სუსტ ვალუტას განიხილავდნენ, როგორც ეკონომიკის არასწორი მართვის ნიშანს, ამიტომაც ვალუტის გაუფასურება ზოგჯერ სწრაფად ახდენდა ცვლილებებს მონეტარულ პოლიტიკაში ისევე, როგორც აშშ-ში 1979 წელს.

მცურავი კურსის სისტემა ნაკლებ შეზღუდვებს უქმნიდა გაუწონასწორებელ ფისკალურ პოლიტიკას, მაგალითად, ასეთი იყო აშშ სამთავრობო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი 1980-იან წლებში. სანამ 'სოკი მიმოხილველი ვარაუდობდა, რომ ფიქსირებული კურსი დააჩქარებდა ზომიერ ამერიკულ ფისკალურ მდგომარეობას, მათი არგუმენტები არ ჩანდა გადაუღებავი. გვიან, 1960-იან წლებში კი, ფისკალურმა კურსმა ვერ შესძლო შეზღუდა ჯონსონის ადმინისტრაციის ფისკალური გაფართოება – პოლიტიკის სელა, რომელიც ხელს უწყობდა ბრეტონ ვუდსის სისტემის დაშლას. ვერც საერთაშორისო სავალუტო სისტემამ შესძლო გერმანია 1990-იან წლებში.

დესტაბილიზაციის გამოწვევი საეკონომიკო

ვალუტის მცოცავმა კურსმა გამოაქვინა გაცილებით მეტი ცვალებადობა, ვიდრე ამ კურსის დამცველებმა ივარაუდეს, მაგრამ, როგორც მუ-13 თავში ვნახეთ, ვალუტის კურსი არის აქტივის ფასები, ასე რომ მნიშვნელოვანი ცვალებადობა მოსალოდნელია. ვალუტის კურსის აქტივების ფასის ბუნება კარგად ვერ გაიგეს ეკონომისტებმა 1970-იან წლებამდე.

წარსულის მიხედვით მოკლევადიანი ვალუტის კურსის მოძრაობა შესაძლოა ძნელი დასაკავშირებელი იყოს იმ რეალურ სიახლესთან ეკონომიკურ მოვლენებში, რაც გაკლენას ახდენს ვალუტის ღირებულებაზე. ნაწილობრივ ამ სიძნელეს ქმნის ის, რომ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები ხშირად ცდილობენ, გაკლენა მოახდინონ ვალუტის კურსზე – მინიშნებით პოლიტიკის დაგეგმილ ცვლილებებზე, რითაც მომავალი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ვარაუდს ცვალებადს ხდიან. კითხვაზე – ვალუტის კურსის ცვალებადობა იყო თუ არა „მეტისმეტი“ ვალუტის კურსის თეორიულ განსახლვრასთან მიმართებით, პასუხი წინააღმდეგობრივი იქნება და აკადემიური ეკონომისტების საკვლეუ საკითხად რჩება (თავი 21).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვალუტის კურსში უხეშად აისახა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ძირეული ცვლილებები; მისი ფართო მოძრაობა არ იყო დესტაბილიზაციის გამომწვევი სპექულაციის შედეგი. 1970-იან წლებში დოლარის გაუფასურება ემთხვევა აშშ თავისუფალ მონეტარულ პოლიტიკას; მისი მკვეთრი ზრდა 1980-85 წლებში მოხდა, როცა აშშ-ში დაიწყო დეფლაცია და ფისკალური გაფართოება ისეთი სომით, რომელიც მშვიდობიან პერიოდში შეუძლებელიც კია. მაშინ, როცა ბევრი ეკონომისტი აღიარებს, რომ ვალუტის კურსის მერყეობის მიმართულება სწორი იყო, მაინც მიმდინარეობს გამუდმებული კამათი მის მნიშვნელობაზე. ზოგი ფიქრობს, რომ უცხოური ვალუტის ბაზარი დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის ქმედებებზე და რომ უცხოური ვალუტის სისტემატური შემოჭრა სასარგებლო იყო.


მცურავი კურსის გამოცდილება მხარს არ უჭერდა იმ აზრს, რომ ვალუტის კურსის პირობითმა მოძრაობამ შეიძლება შეერას ინფლაციისა და გაუფასურების „ჯადოსნური წრე“. ბრიტანეთმა, იტალიამ და ნაკლებად საფრანგეთმა გამოსცადეს ინფლაციის სპირალი, რომელიც ადრე „ჯადოსნური წრის თეორიით“ ნაგარაუდევს ჰგავდა. მაგრამ ვალუტის გაუფასურებამ, რომელიც ამ სპირალს ახლდა, არ იყო დესტაბილიზაციის გამომწვევი ვალუტის კურსის სპექულაციის უნებლიე შედეგი. როგორც 14-10 გრაფიკი გვიჩვენებს, მწირი ინფლაციის ეფექტურობის მქონე განვითარებულ ქვეყნებს მცურავი კურსის პირობებში ახასიათებთ მონეტარული ზრდის შედეგებით სწრაფი ტემპი.

საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიცია

მცურავი კურსის კრიტიკოსებმა იწინასწარმეტყველეს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიცია დაზარალდებოდა მათივე არასაიმედოობის შედეგად. ეს ვარაუდი არ იყო სწორი ინვესტიციის მიმართ, რადგან საერთაშორისო ფინანსური შუამავლობა მყარად გაერცელდა 1973 წლიდან, როცა ქვეყნებმა შეასუსტეს კაპიტალის მოძრაობის ბარიერები (თავი 21).

საერთაშორისო ვაჭრობაში მცურავი კურსის ეფექტს გარკვეული წინააღმდეგობა უპირისპირდება, ვადიან გარიგებათა ბაზრების გამოყენება დრამატულად გაფართოვდა, როგორც ამას მცურავი კურსის დამცველები ვარაუდობდნენ, და ფინანსური ინსტრუმენტები განახლდა მოვაჭრეების ხელშესწვობად, რათა თავიდან აეცილებინათ ვალუტის კურსის რისკი. მაგრამ ზოგიერთი ეკონომისტი აცხადებს, რომ ვალუტის კურსის რისკის თავიდან აცილების ხარჯს ისეთივე შედეგი პქონდა, როგორც საერთაშორისო ტრანსპორტის გაზრდილ ხარჯებს ვაჭრობიდან მიღებული შესაძლო მოგების შემცირებაში. ისინი ამტკიცებენ, რომ როგორც ამ ხარჯების შედეგი, საერთაშორისო ვაჭრობა უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ეს ნაგარაუდევი ფიქსირებული ვალუტის კურსის რეჟიმის დროს იქნებოდა შესაძლებელი.

გრაფიკი 19-9 საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, როგორც მთავარი განვითარებული ქვეყნების გამოშვების შეფარდება 1956-1994 წწ.



მცურავი ვალუტის განაკვეთი ჩანს, რომ არ ამცირებს მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპის ტენდენციას.

ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოების უხეში, მაგრამ უშუალო ნიშანი არის საქონლისა და მომსახურების იმპორტისა და ექსპორტის საშუალო მაჩვენებელი – გაყოფილი მის გამოშვებაზე. 18-9 გრაფიკი გვიჩვენებს ამ რიცხვს ექვსი მთავარი განვითარებული ბაზრის მქონე ეკონომიკისათვის 1950-90-იან წლებში. ქვეყნების უმეტესობისათვის ვაჭრობა აღმავალი ხასიათს აქვს იყო მთელი პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა მცურავი კურსის ამოძრავებას შენელების არანაირი ნიშნით არ ახლდა. გრაფიკი შესაძლოა ცოტა

ჭარბად წარმოაჩენს მსოფლიო ვაჭრობის ზრდას 1973 წლის შემდეგ ათწლეულში, რადგან რამდენიმე ფაქტორმა („ოპეის“ ორმა შოკმა) გამოიწვია გასაყიდად ვარგისი საქონლის ფასის გაზრდა იმ საქონელთან მიმართებაში, რომლებიც ვაჭრობაში არ მონაწილეობენ. მიღებული გადახრის შესწორების შემდეგაც ძნელია ამტკიცო, რომ მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა მცურავი კურსის შემოდებიდან უფრო ნელა გაიზარდა მთელი პერიოდის განმავლობაში. მსოფლიო ვაჭრობის ზრდის 1970 წლის წინა და შემდგომი პერიოდის შედარება არის, წინ აღუდგე მცოცავი კურსს, რადგან, მაშინ როცა 1950-60-იანი წლები ვაჭრობის დრამატული ლიბერალიზაციის პერიოდი იყო, 1970-80-იანი წლები აღინიშნებოდა აღმავლობით არასატარიფო ბარიერებში ვაჭრობის მიმართ.

მსოფლიო ვაჭრობაზე მცურავი კურსის შედეგების შეფასება გართულებულია მრავალეროვნული ფირმების საქიანობით, რომელთაგან ბევრმა თავიანთი საერთაშორისო საწარმოო ოპერაციები გააფართოვა 1973 წლის შემდეგ. შფოთიან ეკონომიკურ გარემოში მრავალეროვნულ ფირმებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი საქმიანობა უფრო ბევრ ქვეყანაში იმ იმედით, რომ შეამცირებენ ზეწოლას რომელიმე ცალკეული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისაგან. რადგან ვაჭრობასა და კაპიტალის მიმოქცევას ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ, ვაჭრობის გადაადგილება მრავალეროვნული ფირმის უცხოური წარმოების მიერ, არ ნიშნავს, რომ ვაჭრობამ დაკარგა კეთილდღეობის გამაუმჯობესებელი მოგება.

საერთაშორისო ვაჭრობა ამ ბოლო დროს დაფრთხა პროტექციონიზმის – ნელი ეკონომიკური ზრდისა და რეალური ვალუტის კურსის ნიშნების – აღდგენით, ამ პროცესს დაერქვა დერეგულირება (დოლარის დერეგულირება 1980-იან წლებში ნაჩვენებია 19-3 გრაფიკში). შესაძლოა, რომ მსგავსი ზეწოლა ვაჭრობის შეზღუდვაზე წარმოშობილიყო ფიქსირებული ვალუტის კურსით. ამ დერეგულირებამ განსაკუთრებით მკაცრი დარტყმა მიაყენა მათ, ვინც დაკარგა სამუშაო და მწირი ფინანსური რესურსები ჰქონდა.

პოლიტიკის კოორდინაცია

თვით მცოცავი კურსს არ შეუწყია ხელი საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაციისათვის. 1980-იანი წლების დეფლაციის დროს განვითარებული ქვეყნები ახორციელებდნენ თავიანთ მაკროეკონომიკურ მიზნებს უფრო ეფექტურად, როცა საერთო ამოცანებისადმი ერთობლივ მიდგომაზე თანხმდებოდნენ. ამ თავის დანართში წარმოდგენილია მოდელი, რომელიც გვიჩვენებს როგორ შეუძლიათ ქვეყნებს მიიღონ მოგება საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაციით.

ვიდრე პოლიტიკა – „გაამათხოვრე შენი მეზობელი“ პრობლემად იდგა, მცურავი კურსის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ეს პრობლემა გაქრებოდა, თუ ალტერნატიული ვალუტის რეჟიმს შემოიღებდნენ. ფიქსირებული კურსის დროს ქვეყნები ყოველთვის შეძლებდნენ გაეუფასურებინათ თავიანთი ვალუტა ნაციონალისტური მიზნების მისაღწევად. ლუერის შეთანხმებით დადგენილი არაფორმალური მიზნობრივი ზონის ღონისძიებები ნათლად გვიჩვენებენ ღრმა უფსკრულს ვალუტის კურსსა და ნამდვილი პოლიტიკის კოორდინაციას შორის.

მთავრობასაც, ხალხს მსგავსად, საკუთარი ინტერესები უფრო ამოძრავებს, ვიდრე საზოგადოებრივი. საეჭვოა, რომ მხოლოდ ვალუტის კურსის სისტემამ შეძლოს, წინ აღუდგეს მთავრობას, როცა ეს უკანასკნელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს კერძო ინტერესებს ეყრდნობა.

რეზორმის ღირებულებები

1970 წლიდან მცურავი კურსის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კამათში მონაწილეთაგან არც ერთის ვარაუდი არ იყო ბოლომდე მართალი, რადგან მცურავი კურსის სისტემა, მართალია, არ იყო თავისუფალი სერიოზული პრობლემებისგან, მაგრამ ფიასკოც არ განუცდია, როგორც ამას მოწინააღმდეგე ვარაუდობდნენ.

ამ და წინა თავის მნიშვნელოვან გაკეთილს წარმოადგენს ის, რომ ვალუტის კურსის ვერცერთი სისტემა ვერ მიუშაობს კარგად, როცა ქვეყნები ამას „მარტონი უძლებიან“ და წერილ კერძო ინტერესებს მისდევენ. ბრეტონ ვუდსის სისტემა გონიერულად მუშაობდა, ვიდრე აშშ-მ არ მიიღო ვალუტის ზეგაფართოებადი პოლიტიკა პრეზიდენტ ჯონსონის დროს. შემდეგ თავში მოცემული საერთაშორისო სავალუტო სისტემის გამოცდილება გვიჩვენებს შემდეგს: მცურავი კურსის სისტემის ყველაზე უარესი შედეგი მაშინ განიდა, როცა ქვეყნებმა ვერ შეძლეს კოორდინირებული ზომების მიღება საერთო მაკროეკონომიკურ პრობლემაზე. გლობალურად გაწონასწორებული და მდგრადი პოლიტიკა არის წინამძღვარი ნებისმიერი საერთაშორისო მონეტარული სისტემის წარმატებით განხორციელებისა.

საერთაშორისო მონეტარული სისტემის რეფორმას ახლდა წინააღმდეგობათა მთელი რიგი – დოლარების მიზნობრივი ზონების უკეთ დამუშავებული სისტემიდან დაწყებული, ფიქსირებული კურსის აღდგენამდე ერთიანი მსოფლიო ვალუტის შემოღებისათვის. რადგან ქვეყნებს არ სურთ, თავი დაანებონ ავტონომიას, რაც მცურავი დოლარის კურსმა მიაჩინა მათ, ეს ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. 1985 წლის სექტემბერს პლატაში მიღებული განცხადებიდან მოყოლებული აშშ-მ კარგად გააცნობიერა სხვა განვითარებულ ქვეყნებთან

თავისი დამოკიდებულება, თუმცა ამან ვერ ააცილა მას სერიოზული საერთაშორისო პოლიტიკური უთანხმოებანი. ამის მიუხედავად, მისი მოქმედება მაინც დადებითი ნაბიჯი იყო არსებული სისტემის გაუმჯობესებისაკენ.

საკითხავია, მთავარ მონაწილეთა საერთაშორისო ნაყოფიერი პოლიტიკური თანამშრომლობის პირობებში, რატომ არ უნდა აქონდეს მომავალში დადებითი შედეგები მცოცავ ვალუტის კურსს. ამგვარი თანამშრომლობის მაგალითებია ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (თთ) რაუნდები, რაც გულისხმობდა ტარიფის შემცირებასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

რეზიუმე

1. ბრეტონ ვუდის სისტემის სისუსტემ ბევრი ეკონომისტი მიიყვანა ვალუტის მცურავი კურსის დაცვამდე ჯერ კიდევ 1973 წლამდე. მათ საში მთავარი არგუმენტი წარმოადგინეს ამ კურსის დასაცავად: პირველი, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მცურავი კურსი მეტ ავტონომიას მისცემდა ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებს ეკონომიკის სამართავად. მეორე, ისინი ეარაუდობდნენ, რომ მცურავი კურსი ბრეტონ ვუდის ღონისძიებების ასიმეტრიულობას დაარღვევდა: მესამე, მიუთითებდნენ, რომ მცურავი კურსი სწრაფად გამოიციხავდა „თანაფარდობის ფუნდამენტურ დარღვევებს“, რამაც პარიტეტული ცვლილები და სპეკულატური შეტევები გამოიწვია ფიქსირებული კურსის დროს.
2. მცურავი კურსის კრიტიკოსებმა წამოაყენეს რამდენიმე საწინააღმდეგო არგუმენტი: ზოგი შიშობდა, რომ მცურავი კურსი გამოიწვევდა მონეტარულ და ფისკალურ უკიდურესობებს და პოლიტიკას – „გაამათხოვრე შენი მეზობელი“. კრიტიკის სხვა ხაზი ამტკიცებდა, რომ მცურავი კურსი დაექვემდებარებოდა დესტაბილიზაციის გამომწვევ სპეკულაციას და რომ ვალუტის კურსის არასამდებორობა შეაფერხებდა საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციას. ბოლოს, ზოგიერთი ეკონომისტი კუთხულობდა: ენდომებოდა თუ არა ზოგიერთ ქვეყანას, პრაქტიკულად არ მიეღო მხედველობაში ვალუტის კურსი თავისი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. ისინი გრძნობდნენ, რომ ვალუტის კურსი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანი იქნებოდა.
3. 1973-80-იან წლებში მცურავი კურსი კარგად მუშაობდა. კერძოდ, ძნელად დასაჯერებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ ფიქსირებული ვალუტის კურსი სტაგფლაციის დროს, რაც ნავთობის ორმა შოკმა გამოიწვია. დოლარი სწრაფად გაუფასურდა 1976 წლის შემდეგ, როცა აშშ-მ შეიმუშავა უფრო ფართო მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ყიდრე სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა.
4. აშშ სწრაფმა მიბრუნებამ ნელი მონეტარული განვითარებისაკენ სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდასთან ერთად, ხელი შეუწყო დოლარის ფასის ჭარბ ზრდას 1980-85 წლებში. სხვა განვითარებული ქვეყნები აშშ-თან ერთად განიცდიდნენ დეფლაციას. აქედან გამომდინარე, მონეტარულმა შენელებამ, რაც მალევე მოჰყვა ნავთობის მეორე შოკს, გამოიწვია ყველაზე ღრმა რეცესია რაც კი დაფიქსირებულა 1930-იანი წლებიდან მოყოლებული. რადგან რეცესიიდან აღდგენა შენეელდა 1984 წელს და აშშ-ს მიმდინარე ანგარიშში გაჩნდა უმაღლესი დეფიციტი, ფართო სავაჭრო შეზღუდვებზე პოლიტიკურმა ზეწოლამ თავი მოიყარა ვაშინგტონში. პროტექციონიზმის კამპანია შენეელდა (მაგრამ არ დაამარცხებულა) 1985 წლის სექტემბრისათვის ხუთი ქვეყნის გადაწყვეტილებით – ერთად ემოქმედათ დოლარის ფასის შესამცირებლად. ბუნდოვნად განსაზღვრული ვალუტის კურსის ზონების ექსპერიმენტს, რომელიც 1987 წლის თებერვალში ლუერის შეთანხმებით წამოიწყეს, ვალუტის სტაბილურობა, როგორც პოლიტიკის პირველი მიზანი, დაკნინებული წარმატება აქონდა. ვალუტის კურსის სტაბილურობა, როგორც პოლიტიკის პირველი მიზანი, დაკნინებული იყო 1990-იანი წლების დასაწყისში. ამის ნაცვალდ მთავრობა იბრძოდა ადგილობრივი ინფლაციის შესაკავებლად ეკონომიკური განვითარების აღდგენის დროს.
5. მცურავი კურსის გამოცდილება არც მის დამცველებს და არც კრიტიკოსებს არ უჭერს მხარს. გამოცდილების ერთი აშკარა გაკვეთილი ის არის, რომ ვალუტის კურსის არც ერთი სისტემა კარგად არ მუშაობს, როცა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა ირღვევა. ძნელად დასაჯერებელია, რომ ვალუტის კურსის მოქნილობის მკაცრი შეზღუდვა ახლო მომავალში აღდგეს. მაგრამ პოლიტიკის შემქმნელებმა ერომანეთთან კონსულტაციებით უნდა გააუმჯობესონ მცურავი კურსის შედეგები განვითარებულ ქვეყნებში.

პირითადი ტარმინები

დესტაბილიზაციის გამომწვევი სპეკულაცია
ნომინალური და რეალური ეფექტური ვალუტის კურსის მაჩვენებელი
სტაგფლაცია

კითხვები

1. გამოიყენეთ DD-AA მოდელი P* უცხო ქვეყნის ფასის ერთჯერადი ზრდის შედეგის გამოსაცდელად. თუ ნავარაუდევია E* ვალუტის კურსი მაშინვე იზრდება P*-ის პროპორციულად (მსყიდველობითი უნარის პარიტეტთან ერთად), გეიხეენეთ, რომ ვალუტის კურსიც მაშინვე გაიზრდება P* ზრდის პროპორციულად. თუ ეკონომიკა თავიდანვე არის გარე წონასწორობაში, შეირყევა თუ არა მისი მდგომარეობა P*-ის ასეთი ზრდით?

2. გაანალიზეთ უცაბედი ზრდა R* უცხოურ საპროცენტო განაკვეთში. რომელი ტიპის დროს არის უფრო მცირე ეფექტი გამოშვებაში – ფიქსირებული თუ მცურავი კურსის დროს?
3. დაეუშვათ, P* იზრდება მუდმივად. რა მოუვა ეკონომიკას და რამდენადაა თქვენი პასუხი დამოკიდებული იმაზე, ასახავს თუ არა ცვლილება ზრდას უცხოურ რეალურ საპროცენტო განაკვეთში ან უცხოური ინფლაციის ვარაუდებში (ფიქსირის ეფექტი)?
4. თუ უცხო ქვეყნის ინფლაციის ტემპი მუდმივად იზრდება, გამოაცალკეებს თუ არა მცურავი კურსი ადგილობრივ ეკონომიკას ხანმოკლე პერიოდში? რა მოხდება ხანგრძლივ პერიოდში? ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ყურადღება გაამახვილეთ ადგილობრივისა და უცხო ქვეყნის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის ხანგრძლივ ურთიერთობაზე.
5. წარმოიდგინეთ, რომ ადგილობრივი და უცხოური ვალუტის ობლიგაციები ერთმანეთის არასრულყოფილი შემცვლელებია და რომ ინვესტორები უცებ გადახრიან თავიანთ მოთხოვნას უცხოური ვალუტის ობლიგაციებისკენ, რითაც ზრდიან რისკის დანამატს ადგილობრივ აქტივებზე (თავი 17). რომელი ვალუტის კურსის რეჟიმი ამცირებს გამოშვების ეფექტს – ფიქსირებული თუ მცურავი?
6. ამ თავის ორქვეყნიან მოდელში გვიჩვენეთ, რომ უცხო ქვეყნის გამოშვება უნდა გაიზარდოს მონეტარული შემცირების შედეგად ჩვენ ქვეყანაში.
7. როგორ გაანალიზებდით მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას შიდა და გარე ბალანსის შესანარჩუნებლად მცურავი კურსის დროს?
8. ამ თავში აღწერილია, როგორ ეცადა აშშ, 1985 წლიდან შეემცირებინა თავისი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მონეტარული ზრდის აქსელერაციით და დოლარის გაუფასურებით. დაეუშვათ, აშშ იყო შიდა წონასწორობაში, მაგრამ გარე წონასწორობა მოთხოვდა ხარჯების შემამცირებელ პოლიტიკას (სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება), ისევე როგორც ხარჯების წარმმართველ პოლიტიკას, რომელიც გამოწვეული იყო ვალუტის გაუფასურებით. როგორ გავლენას მოახდენს მხოლოდ მონეტარული გაფართოების გამოყენება აშშ ეკონომიკაზე ხანმოკლე და ხანგრძლივ ვადაში?
9. 1985 წლის შემდეგ აშშ სთხოვა გერმანიასა და იაპონიას, მიეღოთ ფისკალური და მონეტარული გაფართოების პრაქტიკა, როგორც აშშ გამოშვებაზე უცხოეთის მოთხოვნის გაზრდისა და ამერიკის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების საშუალება. გერმანიისა და იაპონიის ფისკალური გაფართოება დაასრულებდა თუ არა ამ ამოცანებს? რას იტყოდით მონეტარულ გაფართოებაზე? შეიცვლებოდა თქვენი პასუხი, თუ გერმანიისა და იაპონიის სხვადასხვა პოლიტიკა შეძლებდა, ხელი შეეწყო აშშ სხვა პოლიტიკისათვის?
10. 1987 წელს ეკონომიკაში მოხდა უცხოეთის ვალუტის შემოჭრა ლუერის შეთანხმებასთან დაკავშირებით. რომელი მონაცემები მოგცემთ საშუალებას, გვითხრათ, იყო თუ არა ამ შემოჭრის დიდი ნაწილი უნაყოფო?
11. დაეუშვათ, აშშ და იაპონიის მთავრობებმა მოისურვეს თავიანთი ვალუტების გაუფასურება, რათა ხელი შეუწყო საკუთარი მრეწველობისათვის, მაგრამ ეშინიათ ამით გამოწვეული ინფლაციისა. მათი არჩევანი არის: 1. გაფართოებადი მონეტარული პოლიტიკა და 2. არანაირი ცვლილება მონეტარულ პოლიტიკაში. გამოიყენეთ ჩანართში მოცემული ანალიზი სხვადასხვა პოლიტიკის არჩევის შედეგების საჩვენებლად. შეუძლია იაპონიასა და აშშ უკეთ იყენენ ერთმანეთთან თანამშრომლობით, თუ ცალ-ცალკე მოქმედებით?

მე-19 თავის დანართი

საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაციის წარუმატებლობა

ეს დანართი გვიჩვენებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობას, თუ როგორ ზარალდებიან ქვეყნები ეგოცენტრული პოლიტიკის გადაწყვეტილებებით. მთავრობებს შეუძლიათ მიადწიონ ისეთ მაკროეკონომიკურ შედეგს, რომელიც ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ ერთობლივად აირჩევენ პოლიტიკას.

მოვიტანთ მაგალითს, რომელიც ემყარება 1980-იანი წლების ადრეულ დეფლაციას. გაიხსენეთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში შევიწროებადმა მონეტარულმა პოლიტიკამ მსოფლიო ღრმა რეცესიაში ჩააგდო 1981 წელს. ქვეყნები იმედოვნებდნენ, შეემცირებინათ ინფლაცია მონეტარული ზრდის შენელებით, მაგრამ ვითარება გართულდა ვალუტის კურსის გაველენით ფასის დონეზე. მთავრობა, რომელიც ატარებს ნაკლებ შემსლულდებელ მონეტარულ პოლიტიკას, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება, სავარაუდოა, რომ წააწუდეს ვალუტის გაუფასურებას, რომელიც ნაწილობრივ გაანელებს დეფლაციის ცდას.

ბევრი მიმომხილველი აღიარებს, რომ ვალუტის გაუფასურებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, განვითარებულმა ქვეყნებმა გაატარეს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რამაც გააღრმავა რეცესია. უფრო უკეთესი გ'სა იქნებოდა, თუ მთავრობები მიმართავდნენ თავისუფალ მონეტარულ პოლიტიკას. მაგრამ მან, რაც გაატარეს, ვერ განახორციელა ვერც ერთი ცალკეული მთავრობის ინტერესი – შეეცვალათ მკაცრი მონეტარული კურსი.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი უფრო ზუსტი იქნება მარტივი მოდელის მიხედვით. არსებობს ორი ქვეყანა: ჩვენი და უცხო. თითოეულმა უნდა აირჩიოს ან ძალიან შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა, ან რამდენადმე შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა. 19დ-1 გრაფიკი, რომელიც ვაჭრობის პოლიტიკის გაანალიზების დროს გამოყენებულ გრაფიკს ჰგავს, გვიჩვენებს ჩვენი და უცხო ქვეყნების მიერ სხვადასხვა პოლიტიკის არჩევანის შედეგებს.

გრაფიკი 19დ-1 მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა კომბინაციათა სავარაუდო შედეგები ინფლაციასა და უმუშევრობაზე

ერთი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის არჩევანი გავლენას არ ახდენს საზღვარგარეთ მომხდარი მონეტარული პოლიტიკის არჩევანის შედეგზე.

ჩვენი ქვეყანა \ უცხოელი ქვეყანა	ჩვენი ქვეყანა	რამდენადმე შემზღუდავი	ძალიან შემზღუდავი
რამდენადმე შემზღუდავი	$\Delta\pi = -1\%$ $\Delta U = 1\%$	$\Delta\pi^* = -1\%$ $\Delta U^* = 1\%$	$\Delta\pi^* = 1.75\%$ $\Delta U^* = 0.5\%$
ძალიან შემზღუდავი	$\Delta\pi = -2\%$ $\Delta U = 1.75\%$	$\Delta\pi = 0\%$ $\Delta U = 0.5\%$	$\Delta\pi = -1.25\%$ $\Delta U = 1.5\%$

თითოეული რიგი შეესაბამება ადგილობრივი ქვეყნის გარკვეული მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებას და თითოეული სვეტი – უცხოეთისას. უჯრედებში მოცემულია წლიური ინფლაციის ტემპის ცვლილებები ($\Delta\pi$ და $\Delta\pi^*$) და უმუშევრობის დონე (ΔU და ΔU^*). თითოეული უჯრედის ქვედა მარცხენა მონაცემი ეხება ადგილობრივი ქვეყნის შედეგებს და ზედა მარჯვენას კი – უცხოეთისას.

19დ-1 გრაფიკის სავარაუდო მაჩვენებლები შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ორქვეყნიანი მოდელი. რამდენადმე შემზღუდავი პოლიტიკის დროს, მაგალითად, ინფლაციის ტემპი 1%-ით შემცირდა და უმუშევრობის დონე 1%-ით გაიზარდა ორივე ქვეყანაში. თუ ადგილობრივი ქვეყანა უცებ გადაიხრება შემზღუდავი პოლიტიკისაკენ, ხოლო უცხო ქვეყანა არ იცვლის პოზიციას, ადგილობრივის ვალუტის ფასი იზრდება, მისი ინფლაცია ეცემა და უმუშევრობა იზრდება. ადგილობრივი ქვეყნის ფულადი მასის დამატებით შემცირებას ორი შედეგი მოჰყვება უცხო ქვეყნისათვის. მისი უმუშევრობის დონე მცირდება, მაგრამ რაკი ადგილობრივი ქვეყნის ვალუტის ფასის ზრდა არის ვალუტის გაუფასურება უცხოეთისათვის, ამ უკანასკნელის ინფლაცია უზრუნველდება მის წინადაწინააღმდეგობრივ დონეს. უცხოეთში მაღალი უმუშევრობის დეფლაციური ეფექტი ანაზღაურდება გაუფასურებადი ვალუტის ინფლაციური შედეგით იმპორტის ფასებსა და ხელფასის მოთხოვნაზე. ადგილობრივი ქვეყნის ფულადი მასის კრიზისს უცხოეთის მიმართ მოჰყვება ეფექტი – „გაამათხოვრე შენი მეზობელი“. ამ შემთხვევაში უცხო ქვეყანა იძულებულია „შეიტანოს“ ინფლაცია ადგილობრივი ქვეყნიდან.

დაეუშვათ, თითოეულ მთავრობას სურს მიაღწიოს ინფლაციის უდიდეს შემცირებას ყველაზე ნაკლები ხარჯით და უმუშევრობის გათვალისწინებით. ეს ნიშნავს, $\Delta\pi/\Delta U$ მაქსიმუმამდე აყვანას, ანუ ინფლაციის შემცირებას გაზრდილი უმუშევრობის ერთ პუნქტთან. 19დ-1 გრაფიკში მოცემულ ციფრებს მიყვავართ საგადასახადო მატრიცისაკენ, რომელიც ნაჩვენებია 19დ-2 გრაფიკში.

გრაფიკი 19დ-2 საგადასახადო მატრიცა სხვადასხვა მონეტარული პოლიტიკის მოძრაობისათვის

თითოეული შესვლა უდრის ინფლაციის შემცირებას უმუშევრობის დონეში ერთი ერთეულით ზრდას (გამოთვლილია როგორც $-\Delta\pi/\Delta U$). თუ თითოეული ქვეყანა ამას მარტო აღწევს ორივე ისინი ირჩევენ შემზღუდავ პოლიტიკას. რამდენადმე შემზღუდავი პოლიტიკა, თუკი ამას ორივე ქვეყანა აირჩევს, მიგვიყვანს ორივესათვის უკეთეს შედეგამდე.

ჩვენი ქვეყანა \ უცხოელი ქვეყანა	ჩვენი ქვეყანა	რამდენადმე შემზღუდავი	ძალიან შემზღუდავი
რამდენადმე შემზღუდავი	1	1	0
ძალიან შემზღუდავი	8 7	0	5 6

როგორ იქცევიან ჩვენი და უცხო ქვეყნები, როცა აწყდებიან საგადასახადო მატრიცას? დაეუშვათ, თითოეული მთავრობა „მარტო აკეთებს“ ამას და ირჩევს პოლიტიკას, რომელიც მაქსიმუმამდე ზრდის მის საკუთარ მოგებას, როცა მისთვის ცნობილია, რა პოლიტიკას ირჩევს სხვა მონაწილე. თუ უცხო ქვეყანა ირჩევს რამდენადმე შემზღუდავ პოლიტიკას (მოგება = 1), ადგილობრივი უპირატესობას აძლევს ძალიან შემზღუდავ პოლიტიკას (მოგება = 8/7). თუ უცხო ქვეყანა აირჩევს ძალიან შემზღუდავს, ადგილობრივის უკეთესი

არჩევანი იქნება კელაე ძალიან შემზღუდავი პოლიტიკა (მოგება = 5/6), ვიდრე რამდენადმე შემზღუდავი (მოგება = 0). არა აქვს მნიშვნელობა, უცხო ქვეყანა რას აკეთებს, ადგილობრივის მთავერობა არჩევანს ყოველთვის შეაჩერებს ძალიან შემზღუდავ მონეტარულ პოლიტიკაზე.

უცხო ქვეყანა უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, როცა ძალიან შემზღუდავ პოლიტიკას აირჩევს, მიუხედავად იმისა, რა არჩევანი ექნება ადგილობრივ ქვეყანას. შედეგი არის ის, რომ ორივე უპირატესობას მიანიჭებს ძალიან შემზღუდავ მონეტარულ პოლიტიკას და ორივე მიაღწევს 5/6 მოგებას.

მაგრამ შენიშნეთ, რომ ორივე ქვეყანა უკეთესადაა, თუ ისინი ერთდროულად ატარებენ რამდენადმე შემზღუდავ პოლიტიკას. მიღებული მოგება ორივესათვის არის 1, რომელიც 5/6-ზე მეტია. ამ ბოლო პოლიტიკით ინფლაცია ნაკლებად მცირდება ორივე ქვეყანაში, მაგრამ უმუშევრობის ზრდა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ძალიან შემზღუდავი პოლიტიკის დროს.

რადგან ორივე ქვეყანა უკეთესადაა რამდენადმე შემზღუდავი პოლიტიკის დროს, მაშ რატომ არ მიმართავენ მის გატარებას? პასუხი პოლიტიკის კოორდინაციის საფუძველში ძვეს. ჩვენი ანალიზით ვუშვებთ, რომ თითოეული ქვეყანა „მარტო“ უძღვება ამას თავისი საკუთარი მოგების მაქსიმუმამდე გაზრდით. ამიტომაც, როცა ორივე ქვეყანა რამდენადმე შემზღუდავ პოლიტიკას ატარებს, სიტუაცია არ იქნება სტაბილური: თითოეულ ქვეყანას მოუნდება მეზობლის ხარჯზე შეამციროს თავისი ფულადი მასის ზრდა შემდგომში და გამოიყენოს თავისი ვალუტის კურსი დეფლაციის დასაჩქარებლად.

მატრიცის ზედა მარცხენა კუთხეში ფიქსირებულ უმაღლეს შედეგს ადგილობრივი და უცხო ქვეყნები მიაღწევენ გარკვეული შეთანხმების გზით, ე.ი. მათ ერთმანეთს უნდა შეუთანხმონ თავიანთი პოლიტიკის არჩევანი. ორივე ქვეყანამ უარი უნდა თქვას მოგებაზე დევიზით – „გაამათხოვე შენი მეზობელი“ (ამას კი ძალიან შემზღუდავი პოლიტიკა სთავაზობს მათ). თითოეული ქვეყანა მყარად უნდა იცავდეს ამ შეთანხმებას. ამ თანამშრომლობის წყალობით, ორივე თავს აღწევს ინფლაციასა და უმუშევრობას.

ქვეყნების თანამშრომლობა პოლიტიკის არჩევის პროცესში უფრო რთულია, ვიდრე ამ მარტივ მაგალითშია ნაჩვენები, რადგან არჩევანი და შედეგი უფრო მრავალმხრივია და საეჭვოც. ეს ზედმეტი სირთულეები სურვილს უქრობს პოლიტიკის შემქმნელებს, ერთობლივად შეთანხმდნენ, და ნაკლებად იჯერებენ, რომ მათი სასღვარგარეთელი ორეული იცხოვრებს შეთანხმების პუნქტების თანახმად

ვალუტის ოპტიმალური სივრცე და ევროპული გამოცდილება.

1973-1974 წლებსა (ნავთობის პირველი შოკი) და 1980-იანი წლების ბოლო პერიოდში ევროპის მაკროეკონომიკის განხორციელება ჩამორჩა მის სხვა სფეროებს სამუშაო ადგილების უზრუნველყოფითა და პროდუქციის ზრდით. ევროპის უფერულ რეკორდს უწოდებდნენ „ევროპის სკლეროზს“ – სახელმწიფო კანონმდებლობის არსებული მოდელი და ბაზრის სიხისტე ამუხრუჭებდნენ სამუშაო ძალისა და კაპიტალის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას. ეკონომიკის გამოცოცხლების იმედით ევროკავშირის ლიდერები 1980-იან წლებში შეთანხმდნენ სახელმწიფო რეგულირებით უკუგდოთ ხელშემშლელი სავაჭრო შეზღუდვები, რომლებიც ისევ და ისევ ზიანს აყენებდნენ ეკონომიკის ეფექტურობას, მიუხედავად ევროპის ქვეყნების მიერ 1957 წელს დაწყებული ურთიერთსავაჭრო ლიბერალიზაციისა. თავიდან ამ პროგრამის წარმატებამ და საზოგადოების აშკარა მხარდაჭერამ წაახალისა ევროკავშირის ლიდერები, 1991 წლის დეკემბერში გაერთიანებული ბაზრის შესაქმნელად გადაედგათ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი: ევროპაში ცალკეული ქვეყნის ვალუტების ნაცვლად ერთიან ფულად სისტემაზე გადასასვლელად შეექმნათ გრაფიკი. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა რომ ამ თაოსნობას ბევრი გაუგებრობა მოჰყვა. ამის მიუხედავად და ევროპული გაერთიანებისათვის ამომრჩეველთა მხადრატერის შემდგომი შესუსტების გამო, ევროკავშირის მაინც წევრები ყოველმხრივ ცდილობდნენ, ევლოთ ერთიანი ფულადი სისტემის გზით. ამასობაში – ოცი წლის წინ ბრეტონ ვუდსის სისტემის საბოლოო კრახის შემდეგ – ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ფიქსირებული კურსი ითრგუნებოდა განვითარებული ქვეყნის ფულზე სპეკულატური შეტევებით, რასაც მოჰყვა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მხოლოდ ნაწილობრივი თავისუფლება ანუ მდგომარეობა, რომელმაც ეჭვექვეშ დააყენა ევროკავშირის მიერ მონეტარული გაერთიანების მიღწევის შესაძლებლობა საუკუნის ბოლოსათვის.

ამ თავში ყურადღება გამახვილებულია ევროპის მონეტარული კავშირის ბოლოდროინდელ გეგმებზე, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ვალუტის ფიქსირებული კურსის შეთანხმებებთან დაკავშირებულ ეკონომიკურ მოგებებსა თუ დანახარჯებს და ერთიანი ვალუტის უფრო ამომწურავ სქემებს. ევროპის გამოცდილების მიხედვით, ვალუტის ფიქსირებული კურსის გაერთიანების შედეგები რთულია და დამოკიდებულია მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე. ევროპის ზემოდასახელებული პრაქტიკის შესახებ მსჯელობა ნათელს მოჰფენს არა მარტო იმ ძალებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკების უფრო მეტად გაერთიანებას უწყობს ხელს, არამედ იმ ძალებსაც, რომლებიც აიძულებენ ქვეყანას, კარგად დაფიქრდეს, სანამ მთლიანად უარს იტყოდეს შიდა მონეტარული პოლიტიკის კონტროლზე.

რატომ არჩია ევროპამ ურთიერთფიქსირებული ვალუტის კურსი?

ბრეტონ ვუდსის სისტემით (რომელმაც არსებობა 1973 წელს შეწყვიტა) დგინდებოდა თითოეული წევრი ქვეყნის ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, რის შედეგადაც, იგივე კურსი განისაზღვრებოდა დოლარისაგან განსხვავებული ვალუტის თითოეულ წევრს შორის. წინა თავში აღწერილი იყო ბრეტონ ვუდსის სისტემის კრახის მიზეზები და ისიც, თუ როგორი იმედი ჰქონდათ ქვეყნებს თავიანთი მონეტარული პოლიტიკის ლიბერალიზაციისა დოლარის ფიქსირებული გაცვლითი კურსის მცოცავი კურსზე გადაყვანით. აძლევდნენ რა საშუალებას საკუთარ ვალუტას, მცოცავი ყოფილიყო დოლართან მიმართებაში, ევროკავშირის ქვეყნები ცდილობდნენ, მნიშვნელოვნად შეემცირებინათ თავიანთი ვალუტის მერყეობა ერთმანეთის მიმართ. ამის შედეგად ევროკავშირის ბევრი ქვეყანა უკანასკნელ ხანებამდე მონაწილეობას იღებდა შეთანხმებულ მოძრაობაში დოლართან მიმართებით და ამიტომ მისი კურსი იზრდებოდა ან მცირდებოდა აშშ ვალუტასთან ურთიერთობაში მეტნაკლებად თანაბარი პროცენტით.

1973 წლამდეც კი ევროკავშირის წევრები ეძიებდნენ გზებს, უფრო შეთანხმებულად წარემართათ თავიანთი მონეტარული პოლიტიკა და შეემცირებინათ ბრეტონ ვუდსის სისტემის მიერ დაშვებული შეზღუდვები შიდა ევროპული ვალუტის კურსის მერყეობაში. ეს ინიციატივა 1973 წლიდან გრძელდება, როცა ვალუტის კურსი უფრო თავისუფლად იწყებს მოძრაობას და იქმნება ის საჭირო ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები, რომლებიც ასახრდობენ მონეტარული გაერთიანების ყველაზე უახლეს გეგმებს ევროპაში.

ევროპის ფულადი სისტემის რეფორმის ინიციატივები 1969-1978 წლებში

ევროპის ლიდერთა შეხვედრამ ჰააგაში, 1969 წლის დეკემბერს გეზი აიღო ევროპული მონეტარული გაერთიანებისაკენ. პიერ ვერნერი (ლუქსემბურგის პრემიერი და ფინანსთა მინისტრი), დაინიშნა იმ კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კონკრეტული გზები შიდაევროპული ვალუტის კურსის მოძრაობის შემცირების, ევროკავშირის მონეტარული კავშირის გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციისა და ევროპის შიგნით დარჩენილი სავაჭრო ბარიერების შემცირებისათვის. 1971 წლის მარტში ევროკავშირმა მიიღო ვერნერის მოხსენება, სამფაზიანი პროგრით, რომლის განხორციელება შეეწყვედა ევროკავშირის ვალუტის კურსს და მოახდენდა ცალკეული ქვეყნის ცენტრალური ბანკების ინტეგრირება ევროპის გაერთიანებული ბანკების სისტემაში.

სამმა მთავარმა მიზეზმა რამ უკარნახა ევროკავშირის ქვეყნებს, ეძებნათ მონეტარული პოლიტიკის უფრო საგულდაგულო კოორდინაცია და ვალუტის კურსის მეტი სტაბილურობა 1960 წლის ბოლოს: ერთი ასახავს პოლიტიკურ ძვრებს მსოფლიო ეკონომიკაში, მეორე ევროკავშირის ევოლუციაზე დამყარებულ იმედებს და მესამე იმ ადმინისტრაციულ პრობლემებს, რომელსაც ვალუტის კურსის ცვლილება იწვევდა ევროკავშირში.

ცხრილი 20-1 ევრონიმების მოკლე ლექსიკონი

CAP	ერთიანი აგრარული პოლიტიკა
ECU	ევროპის ვალუტის ერთეული
EMS	ევროპის მონეტარული სისტემა
EMU	ეკონომიკური და მონეტარული კავშირი
ERM	ვალუტის კურსის მექანიზმი
EU	ევროკავშირი

1. ევროპის როლის ზრდა მსოფლიო მონეტარულ სისტემაში. ფულის სისტემის 1969 წლის კრიზისს ახლდა ევროპის ნდობის შემცირება აშშ-ს მზადყოფნის მიმართ – დაემკვიდრებინა თავისი საერთაშორისო მონეტარული პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის (თავი 18). ფულის სისტემის საკითხებზე საერთო ენის გამონახვით ევროკავშირის ქვეყნები იმედოვნებდნენ, უკეთ დაეცვათ თავიანთი ეკონომიკური ინტერესები აშშ-ს წინააღმდეგ.
2. ევროკავშირის გადაქცევა ნამდვილ ერთიან ბაზრად. 1957 წელს ევროკავშირის ჩამოყალიბებით შეიქმნა საბაჟო კავშირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ოფიციალური ბარიერები საქონლისა და საწარმოო ფაქტორის მოძრაობისათვის ევროპის შიგნით მაინც დარჩა. ევროკავშირის წევრების მუდმივი მიზანი იყო ყველა ასეთი ბარიერის გაუქმება და მისი გარდაქმნა უზარმაზარ ერთიან ბაზრად, აშშ მოდელის მიხედვით. ევროპის ოფიციალურ წარმომადგენლებს სწამდათ, რომ ვალუტის კურსის არასაიმედოობა, ოფიციალური სავაჭრო ბარიერების მსგავსად, ევროპის შიგნით ვაჭრობის შემცირების მთავარი ფაქტორი იქნებოდა. მათი აზრით, ჭეშმარიტად ერთიანი ევროპული ბაზარი ევრ შეიქმნებოდა, სანამ ევროპის ვალუტის კურსის დაფიქსირება არ განხორციელდებოდა.
3. ერთიანი აგრარული პოლიტიკის მოშლის თავიდან აცილება. შესაძლოა ყოველივე ზემოთ თქმულის ყველაზე დამთრგუნავი მოტივი იყო დიდი სირთულე ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის მისადაგებისა ვალუტის კურსის ცვლილებასთან (გაიხსენეთ ჩვენი მსჯელობა აგროსამრეწველო პოლიტიკის ეკონომიკის არაფექტურობაზე მე-8 თავში). აგრარული პოლიტიკა უსრუნველყოფს ევროკავშირის ფერმერთა პროდუქციაზე უმცირეს მართვად ფასებს. ცდილობს რა მოუქმერას ევროკავშირის ყველა ფერმერს თანაბრად, აგრარული პოლიტიკა ნიშნავს მართვად ფასს ევროკავშირის ფულის ნიშნების კალათის გათვალისწინებით, რომელსაც 1979 წლიდან ევროპის ფულის ერთეული (ეკიუ) ეწოდება. სასოფლო-სამეურნეო მართვადი ფასების დანიშნის ამ მეთოდმა დაუყოვნებლივ წარმოშვა პრობლემა: 'სოფიერთი ქვეყნის ფერმერის აზრით როდესაც ევროპის შიგნით ვალუტის კურსი გარდაიქმნება, მათი მართვადი ფასების რეალური ღირებულება გაიზრდება; სხვების თვალსაზრისი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

მოვიტანო უბრალო მაგალითს: თუ ევროკავშირის მართვადი ფასი ხორბალზე არის 10 ეკიუ ერთ ბუშელზე და ეკიუს ღირებულება 5 ფრანგული ფრანკი, ფრანგი ხორბლის მომყვანი იღებს 50 ფრანგულ ფრანკს ერთ ბუშელში (= 5 ფრანგული ფრანკი/1 ეკიუ x 10 ეკიუ/ბუშელი). თუ ამავე დროს ეკიუს ღირებულება 3 გერმანული მარკაა, გერმანელი ფერმერები მიიღებენ 30 გერმანულ მარკას ერთ ბუშელ ხორბალში (= 3 გერმანული მარკა/1 ეკიუ x 10 ეკიუ/ბუშელი). დავუშვათ, ვალუტა შეიცვალა ისე, რომ საფრანგეთის ვალუტის კურსი შემცირდა – 6 ფრანგული ფრანკი = 1 ეკიუს, ხოლო გერმანიისა – გაიზარდა 2 გერმანულ მარკამდე 1 ეკიუში. რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება ფრანგი და გერმანელი ხორბლის მომყვანების მიერ მიღებული საქონლის. შიდა მიმდინარე ფასებზე? ფასს, რომელსაც ფრანგი მომყვანი იღებს ხორბალში, აიწევს 50-დან 60 ფრანკამდე ერთ ბუშელში (= 6 ფრანგული ფრანკი/1 ეკიუ x 10 ეკიუ/ბუშელი), იმ დროს, როცა გერმანულ

ფერმერს ფასი შეუმცირდება 30 გერმანული მარკიდან 20-მდე ერთ ბუშელში (= 2 გერმანული მარკა/1 ეკიუ ? 10 ეკიუს/ბუშელში). ნათელია, რომ კურსის გარდაქმნა ზრდის ფრანგი ფერმერის შემოსავალს და ამცირებს გერმანელისას.

ასეთი გადაწვევა ყოველთვის იწვევდა პოლიტიკურ პროტესტს და ამიტომ ევროკავშირი იძულებული იყო, მიეღო რთული და ძვირადღირებული ადმინისტრაციული ღონისძიებები მათ მოსაგვარებლად. ფინანსური დარღვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფერმერთა შემოსავალში მკვეთრი სხვაობის დაძლევა, რაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ევროკავშირის პოლიტიკის იმ შემქმნელთათვის, ვისაც არ სურს ვალუტის კურსის ცვალებადობა (რალა თქმა უნდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, საუკეთესო გზა იქნებოდა აგროსამრეწველო პოლიტიკის დაშლა, დანაწევრება).

პირობები, რომელთა გათვალისწინებით ევროკავშირის პოლიტიკის შემქმნელები უპირატესობას აძლევენ ვალუტის კურსის სტაბილურობას, ცოტა თუ შეიცვალა 1960 წლის ბოლოდან. ეკონომიკური არეულობის გამო 1971-1973 წლების დოლარის კრიზისის დროს ევროპელი ლიდერების უმრავლესობას არ უნდოდა მთლიანად გაეშვა ხელიდან შესაძლებლობა, წარემართა საშინაო მონეტარული კურსის სისტემის პოლიტიკა შიდა მიზნებისათვის.

ამის ნაცვლად გერმანია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი (გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეკავშირებულნი ევროპის სხვა ქვეყნებთან) მონაწილეობას იღებდნენ არაოფიციალურ საერთო „ცურვაში“ დოლართან შედარებით, რაც ცნობილია „გველის“ სახელით. საფრანგეთის, იტალიისა და ბრიტანეთის მონაწილეობა „გველის“ შეთანხმებაში 1970-იან წლებში იყო ხანმოკლე და სპონტანური. „გველი“ იყო პროლოგი ევროპის უფრო ძირეული მონეტარული სისტემისა.

ევროპის მონეტარული სისტემა 1979 წლიდან დღემდე

ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმის პირველმა რვა მონაწილემ (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, დანია, ირლანდია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები) 1979 წლის მარტში დაიწყო ურთიერთსტაბილური ვალუტის კურსის ოფიციალური ქსელის შემუშავება. მე-17 თავში აღწერეთ, თუ როგორ მოქმედებს ევროპის მონეტარული სისტემის საინტერვენციო შეთანხმებები მონაწილეთა ვალუტის კურსის შესაზღვრავად მერყეობის სპეციფიკური ზღვრების ფარგლებში.

როდესაც საფრანგეთისა და გერმანიის ინიციატივით დაარსდა ევროპის მონეტარული სისტემა, სექტიკოსები წინასწარმეტყველებდნენ, რომ იგი მისი წინამორბედი „გველის“ სისტემაზე უკეთესად ვერ იმუშავებდა: სპეკულანტური შეტევები მალე მოშლიდა მის პარიტეტს; ისინი აიძულებდნენ საფრანგეთს, იტალიასა და ზოგიერთ უფრო პატარა ქვეყანას სისტემიდან გამოსვლას. წარმატებული ფიქსირებული კურსის სურათი ევროპაში თითქოს მართლაც გაუფერულდა 1979 წლის დასაწყისში, როცა ინფლაციის ტემპი მერყეობდა: გერმანიისა 27%-დან იტალიის 12.1%-მდე (იხ. ცხრილი 19-1). პოლიტიკური თანამშრომლობისა და გარდაქმნის მეშვეობით ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ფიქსირებული კურსის გაერთიანება გადარჩა და გაიზარდა ედუკ, დაემატა რა მის რიგებს ესპანეთი (1989 წელს), ბრიტანეთი (1990 წელს) და პორტუგალია (1992 წლის დასაწყისში). 1992 წლის სექტემბერში კი ამ ზრდამ განიცადა მოულოდნელი მარცხი, როდესაც ბრიტანეთმა და იტალიამ უარი თქვეს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმზე ევროპის ვალუტის კურსის მოახლოებული კრიზისის გამო, რომელმაც აიძულა დარჩენილი წევრები, ერთი წლის განმავლობაში დაეხიათ უკან ვალუტის კურსის ძალიან ფართო ზღვრებისაკენ. ამ კრიზისის მიზეზებსა და შედეგებზე მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

ევროპის მონეტარულ სისტემას დახმარება გაუწია რამდენიმე ე.წ. მცველმა სარქველმა, რომელმაც თავიდანვე შეამცირა ასეთი კრიზისების სიხშირე. ევროპის მონეტარული სისტემის მიერ 1993 წლის აგვისტომდე ვალუტის ფიქსირებული კურსის უმრავლესობას სინამდვილეში მერყეობა შეეძლო 2.25%-ის ფარგლებში – ზეით ან ქვეით, განსაზღვრულ ღირებულებასთან შეფარდებით. ესპანურ პესოსა და პორტუგალიურ ესკუდოს კონდათ მერყეობის ±6%-იანი ზღვარი ისე, როგორც ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს მანამდე, სანამ მისი ბოლოდროინდელი ცურვა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტებთან შედარებით დაიწყებოდა 1992 წლის სექტემბერში. იტალიური ლირაც 6%-იან ფარგლებში ცვალებადობდა 1990 წლის იანვრამდე, როდესაც იტალიამ მიიღო მერყეობის სტანდარტული ვიწრო ზღვარი. ინფლაციური არასტაბილურობა 1970-იანი წლების იტალიაში ჩვეულებრივი იყო და მონეტარული პოლიტიკის არჩევის დროს ქვეყნის ვალუტის კურსის სპეციალური ზღვარი იძლეოდა მისი გაფართოების საშუალებას ვალუტის კურსის მექანიზმის სხვა წევრებთან შედარებით. ასევე, უფრო გვიან გაწევრიანებულებს – ესპანეთს, პორტუგალიასა და ბრიტანეთს – საწყის პერიოდში სურდათ მეტი სიერცე მანევრირებისათვის და ამისათვის არჩიეს, დაეწყოთ მერყეობის ფართო ზღვრები. 1993 წლის აგვისტოში სპეკულატური შეტევების ზეგავლენით ევროპის მონეტარული სისტემის ყველა ზღვარი (გარდა გერმანულ მარკასა და დანიურ გულდენს შორის) გაფართოვდა ±15%-მდე.

ევროპის მონეტარული სისტემამ, როგორც კიდევ ერთმა ე.წ. მცველმა სარქველმა, მყარი ვალუტის მფლობელი წევრების ხარჯზე უხვად გაზარდა კრედიტი სუსტი ვალუტის მქონე წევრებისათვის. თუ ფრანგული ფრანკი გაუფასურდება გერმანულ მარკასთან შედარებით, გერმანიის ცენტრალური ბანკი, ბუნდესბანკი, ასესხებს

და ბოლოს, სისტემის მოქმედების ადრეულ წლებში რამდენიმე წევრმა (განსაკუთრებით საფრანგეთმა და იტალიამ) შეამცირა სპეკულატიური შეტევების შესაძლებლობა თავის ვალუტაზე კონტროლის შენარჩუნებით, რაც უშუალოდ ზღუდავდა მუდმივ მცხოვრებთა ეაჭრობას უცხოურ ვალუტაზე. ფრანგული, იტალიური, დანიური და ბელგიური კონტროლი დაიყო ეტაპებად, რომელიც დასრულდა 1990 წელს. 1992 წლის სექტემბრის კრიზისის დროს, როდესაც ევროპის მონეტარული სისტემის რამდენიმე წევრმა გაამკაცრა კონტროლი თავის ვალუტაზე, ევროკავშირის შიგნით გადასახდელელებზე დარჩენილი შესწდევები რამდენიმე წელიწადში უნდა გაუქმებულიყო.


ევროპის მონეტარული სისტემა ყოველთვის მიდიოდა ვალუტის პერიოდული გარდაქმნების გზით. 1979 წლის მარტში (ევროპის მონეტარული სისტემის მოქმედების დასაწყისი) და 1987 წლის იანვარს შორის სულ 11 გარდაქმნა განხორციელდა. ამ გარდაქმნებისას ვალუტის კონტროლმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროკავშირის წევრთა რეზერვების სპეკულანტებისაგან დაცვის საქმეში.

1987 წელს დაწყებულმა ვალუტაზე კონტროლის ეტაპობრივმა მოხსნამ გააჩვირა სპეკულანტიური შეტევები და ამგვარად შეამცირა სახელმწიფოს სურვილი, აშკარად დაეშვა დეველვაცია ან კურსის ზრდა. ამავე დროს ქვეყნებში, სადაც კონტროლი დანაწევრდა, მკვეთრად შემცირდა ქვეყნის დასაქმებითა ან ინფლაციით გამოწვეულ პრობლემათა გადაწყვეტის შესაძლებლობა შიდა მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით (გაეხსენოთ მონეტარული პოლიტიკის არაეფექტურობის შედეგი მე-17 თავში). ევროკავშირის შიგნით გადასახდელეებისა და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება, ევროპის ერთიან ბაზარად გადაქცევა, ყოველთვის იყო ევროკავშირის ქვეყნების გეგმის მთავარი ელემენტი. ევროკავშირის მთავრობები მას შემდეგ, რაც შეთანხმდნენ, გაუქმებინათ ვალუტის კონტროლი, ამბობდნენ, რომ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი იყო გამოყენებინათ მონეტარული და ვალუტის კურსის პოლიტიკა ადგილობრივი მიზნებისათვის, ვიდრე ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნის პროგრესული დანქარება.

1987 წლის იანვრის შემდეგ ხუთნახევარი წლის განმავლობაში ვერც ერთმა არახელსაყრელმა ეკონომიკურმა მოვლენამ ვერ გადაახვევინა ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შექმნის გეგმიდან და ამის წყალობით ევროპის მონეტარული სისტემა თავისუფალი იყო ვალუტის სერიოზული კრიზისებისაგან. თუმცა, როგორც მოგვიანებით ენახავთ, შიდა მაკროეკონომიკური პრობლემები 1992 წლის ბოლოსათვის გადაუდებელი გახდა, რის შედეგად სისტემის ვალუტის ფიქსირებული კურსმა დათმო პოზიცია.

გრაფიკი 20-1 გვიჩვენებს ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ მოკლე ანგარიშს – ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის მდგომარეობა კვირის განმავლობაში. როგორც ჩანართში აღვნიშნავთ, ეს გრაფიკები გვაძლევს ვალუტების შედარებითი მდგომარეობის სურათს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის ორმხრივ საზღვრებში. ორი შერჩეული ანგარიში – ერთი 1992 წლის სექტემბრის დასაწყისიდან და მეორე 1995 წლის ნოემბრიდან – ასევე ასახავს იმ დაძაბულობასა და წინააღმდეგობასაც, რომელიც სისტემამ განიცადა 1992 და 1993 წლებში.

გრაფიკი 20-1 ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ქსელი



(ა) ევროპის მონეტარული სისტემა: გერმანული მარკა რჩება ქსელის თავში აშშ 1994 წლის 4 სექტემბრის დასაქმების მწირი ციფრების შემდეგ, რომელიც შეანერა მნიშვნელოვანი ინვესტიციები გერმანიის ვალუტაში. გერმანული მარკა – ყველაზე მყარი ვალუტა ევროპაში – სვეულდებრავ ცხრილის ცენტრშია და საშუალებას აძლევს სხვა ვალუტის მონეტარულ პოლიტიკასა და ვალუტის კურსს, მის მიხედვით გარდაიქმნან. მისი მყარი პოზიცია გააღვივებს ახდენს სხვა წევრთა ვალუტაზე; გირვანქა სტერლინგი ვერ ისევ ცხრილის ბოლოშია. მაგრამ დიდი ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილება, კვიდა გირვანქა სტერლინგი უცხოურ ვალუტაზე 10 მლრდ ეკიუს (14.3 მლრდ დოლარი) სესხით გასულ კვირას შეამცირა გირვანქა სტერლინგის სხეობა სისტემის ყველაზე მყარ ვალუტასთან შედარებით.

ევროპის მონეტარული 1994 წელი, 4 სექტემბერი
სისტემის ქსელი:

ცხრილი გვიჩვენებს ვალუტის კურსის მექანიზმის წვერთა ვალუტას ათელილს ყველაზე სუსტ ვალუტასთან მიმართებაში ევროპის მონეტარული სისტემის ეიწრო – 2.25%-იან ფარგლებში. პრაქტიკულად, სისტემის ამ ნაწილში ვალუტა ევროპის მონეტარული სისტემის ეიწრო ზღვარში ეერ აიწვეს 2.25%-ზე ზევით ყველაზე სუსტ ვალუტასთან მიმართებაში. სტერლინგი, ესპანური პესო და პორტუგალური ესკუდო მოქმედებს 6%-იანი მერყეობის ფარგლებში.

(ბ) ევროპის მონეტარული სისტემა: გასულ კვირას ევროპის მონეტარული სისტემის ქსელში უმყარეს და უსუსტეს ვალუტებს შორის სიერცე 1%-ზე მეტად დაიწროვდა. ფრანგული ფრანკი გამყარდა საფრანგეთის ბანკის მიერ ერთ-ერთი მისი მთავარი საპროცენტო განაკვეთის შეკვეცის მიუხედავად. ვალუტის სხვა მიმდევრობაში ცვლილება არ აღინიშნება.

ევროპის მონეტარული სისტემა: ქსელი 995 წელი, 3 ნომბერი

ცხრილი გვიჩვენებს ვალუტის კურსის მექანიზმის წვერთა ვალუტებს, ათელილს სისტემის უსუსტეს ვალუტასთან მიმართებაში. ვალუტათა უმრავლესობისათვის შესაძლებელია მექანიზმის სხვა წვერთა მიმართებით მერყეობა შეთანხმებული ცენტრალური კურსის 15%-იან ზღვარში. გამონაკლისს წარმოადგენს გერმანული მარკა და გულდენი, რომლებიც 2.25%-იან ზღვარში მოძრაობენ.

ქსელი გვიჩვენებს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტათა შესადარ მდგომარეობას დაშეებული მერყეობის ზღვარში. პირველი მათგანი ნაჩვენებია (ა) ცხრილში, თარიღდება 1992 წლის შემოდგომაზე ვალუტის კრიზისის წინა პერიოდით. 1992 წლის შუა სექტემბერში ბრიტანეთმა და იტალიამ ამოიღო თავიანთი ვალუტა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმიდან. 1993 წლის აგვისტოში ვალუტის კურსის მექანიზმის ვალუტების უმეტესობა მოძრაობდა $\pm 15\%$ -იან ვალუტის კურსის ზღვრებში. (ბ) ცხრილი გვიჩვენებს მდგომარეობას 1995 წელს, როდესაც ავსტრიული შილინგი შეუერდა ვალუტის კურსის მექანიზმს.

გერმანიის მონეტარული უპირატესობა და ევროპის მონეტარული სისტემის ნლობის თეორია

თუ რატომ ცდილობდა ევროკავშირი ვალუტის კურსის ფიქსირებას ევროპის მონეტარული სისტემის მეშვეობით, უფრო ადრე გამოეყავით სამი მთავარი მიზეზი: სურვილი – უკეთესად დაეცვა ევროპის ეკონომიკური ინტერესები მსოფლიო ასპარეზზე, მიზანი – მიეღწია მეტი შიდა ეკონომიკური ერთიანობისათვის და ერთიანი აგრარული პოლიტიკის სირთულე დაერეგულირებინა შიდაეკონომიკური ვალუტით.

ევროპის 1970-იანი წლების ინფლაციის გამოცდილება ევროპის მონეტარული სისტემის არსებობის კიდევ ერთი ახსნაა. გერმანულ მარკასთან მიმართებაში ვალუტის კურსის ფიქსირებით ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებმა დაამკვიდრეს გერმანიის ბუნდესბანკის ნლობა, როგორც ინფლაციის საწინააღმდეგო იარაღისა, და ამგავრად ნაახშეს ინფლაციური 'ხეწოლის' ზრდა შინ – სხვაგვარად ეს მდგომარეობა შეიძლება მოგვარებულიყო მონეტარული ექსპანსიის გზით. ეს თვალსაზრისი, ევროპის მონეტარული სისტემის ნლობის თეორია, „დისციპლინის“ არგუმენტია ვალუტის მცურავი კურსისთვის (თავი 19): საერთაშორისო ვალუტის კურსის შეთანხმების დარღვევით გამოწვეულმა პოლიტიკურმა ხარჯებმა შეიძლება აიძულოს მთავრობები, არ გააუფასურონ თავიანთი ვალუტა ეკონომიკური ბუმის ხანმოკლე უპირატესობის მოსაპოვებლად ხანგრძლივი და უფრო მაღალი ინფლაციის ხარჯზე.

ნლობის თეორიის შესაფასებლად უპირველესად იმის გაგებაა საჭირო, თუ როგორ მოიპოვა გერმანიის ბუნდესბანკმა დაბალინფლაციანი ბანკის რეპუტაცია. გერმანიის პიპერინფლაციის გამოცდილებამ 1929-იან და ასევე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ამომრჩეველს დაუტოვა ღრმად გამჯდარი შიში ინფლაციისა. ბუნდესბანკის დამაარსებელმა კანონმა განსაზღვრა გერმანული მარკის რეალური ღირებულების დაცვა, როგორც ცენტრალური ბანკის პირველადი მიზანი. ამით ბანკის მმართველ საბჭოს აქვს ისეთი ძალაუფლება და მანევრირების წესები, რითაც უწევს დამოუკიდებელი ხდება გერმანიის მთავრობის დანარსენი ნაწილის პოლიტიკოსებისაგან.

გზა, რომლითაც ევროპის მონეტარული სისტემის ინტერვენციის პრაქტიკა 1980-იანი შუა წლებიდან ყოთარდება, ითვალისწინებს იმ აზრს, რომ გერმანიის პარტნიორები ევროპის მონეტარული სისტემიდან ცდილობენ, შემოიტანონ მისი ანტიინფლაციური ნლობა; ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნები გერმანიისაგან განსხვავებით ინახავენ გერმანულ მარკას და იყენებენ მას, როგორც ინტერვენციის შუამავს, როცა მათი ვალუტის კურსი ძალიან შორდება გერმანული მარკის ოფიციალურ პარიტეტს (გერმანია ასევე ახორციელებს რამდენიმე ინტერვენციას ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტებში, განსაკუთრებულ არასასურველ პერიოდებში, მაგრამ მაშინვე უენებელყოფს ნებისმიერ გამოვლენას, რომელიც შეიძლება ამ ინტერვენციებს აქონდეთ გერმანიის ფულის მასაზე). ამის შედეგად სისტემა ბევრად განსხვავდება ბრეტონ ვუდსის სისტემისაგან, რომელშიც აშშ სარგებლობდა უპირატესობით. პრაქტიკულად, ევროპის მონეტარული სისტემის რომელიმე ვალუტის პრობლემა გადაწყდა იმით, რომ გერმანია წარმართავს სისტემის მონეტარულ პოლიტიკას იმ დროს, როცა სხვა ქვეყნები მერყეობისაგან იცავენ თავიანთ ვალუტას გერმანული მარკის ვალუტის კურსთან შედარებით.

პოლიტიკის შემქმნელებმა ინფლაციისკენ მიდრეკილი ევროპის მონეტარული სისტემის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იტალია, აშკარად მოიპოვეს ნდობა იმით, რომ მიანდეს მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები – გაერმანიის ცენტრალურ ბანკს. დეფლაცია ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მაგრამ მხოლოდ ევროპის მონეტარული სისტემის შესწორებებზე დაქვემდებარებით. ვინაიდან პოლიტიკოსები შიშობენ, რომ გაუფასურების შემთხვევაში ამომრჩეველები მათ არაკომპეტენტურობას დააბრალებენ, მთავრობის გადაწყვეტილება, თავისი ვალუტა მიაბას გერმანულ მარკას, ამცირებს შიდა ინფლაციის წარმოქმნის შესაძლებლობასაც და სურვილსაც.

ნდობის თეორიის კიდევ ერთი არგუმენტი ინფლაციის მახევენებლების ცვალებადობა (გერმანიასთან შედარებით) ევროპის მონეტარული სისტემის სხვა პირველი 6 წერისათვის, რაც მოცემულია 20-2 გრაფიკზე. როგორც გრაფიკი გულისხმობს, ინფლაციის ტემპი თანდათან მოეახლოვდა გერმანიის დაბალ დონეებს. საფრანგეთმაც კი მოახერხა, ჩამოეყვანა თავისი ინფლაციის ტემპი გერმანიის ტემპზე დაბლა 1990-იანი წლების დასაწყისში, რასაც დამკვირვებლების უმრავლესობა შეუძლებლად ჩათვლიდა ათეული წლების წინათ.

გერმანიის ღომინანტური პოზიციით გამოწვეული პრობლემები

მაშინ, როცა უფრო დაბალი ინფლაცია მოგებას ქმნიდა, გერმანიის მონეტარული უპირატესობა ხარჯად აწევებოდა ევროპის მონეტარული სისტემის მის პარტნიორებს. როგორც აშშ-ს მთავრობას, რომელიც ზოგჯერ ბრეტონ ვუდსის სისტემით მინიჭებულ უფრო ფართო ვალდებულებებს თავის ფართო ინტერესებს უხამებდა, გერმანიასაც ბრალი დასდეს მონეტარული პოლიტიკის წარმართვაში უმთავრესად საკუთარი ეკონომიკური საჭიროებებისათვის. როგორ მოგვიანებით დაენახავთ ამ თავში, გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა ზოგჯერ აძნელებდა ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნების ცხოვრებას ვალუტის ფიქსირებული კურსით, რამაც წააქეზა ისინი ეძებნათ ალტერნატიული ევროპული ვალუტის სისტემა, სადაც გერმანია ნაკლები უპირატესობით ისარგებლებდა.

ევროკავშირის „1992 წლის“ წამოწყება

ევროკავშირის ქვეყნები შეეცადნენ, მიეღწიათ მეტი შიდა ეკონომიკური ერთიანობისათვის არამარტო ვალუტის ერთობლივი კურსის ფიქსირებით, არამედ პირდაპირი საშუალებებით საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორთა თავისუფალი ნაკადისათვის ხელის შეწყობით. მოგვიანებით ამ თავიდან გავიგებთ, რომ ევროპის შიგნით პროდუქციისა და ეკონომიკური ფაქტორის ბაზრის ინტეგრაცია ეხმარება იმის განსახლებას, თუ როგორ მოქმედებს ვალუტის კურსი ევროპის მაკროეკონომიკის სტაბილურობაზე. ევროპის მცდელობამ, გაეზარდა მიკროეკონომიკური ეფექტურობა პირდაპირი საბაზრო ლიბერალიზაციით, გაუძლიერა აგრეთვე სურვილი ერთობლივი ფიქსირებული ვალუტის კურსისადმი მაკროეკონომიკურ საფუძველსაც. ამგვარად, ევროკავშირის ბაზრის ლიბერალიზაციის ექვლაზე ბოლო ფაზად, ანუ პატიემოქერულ გეგმად წარმოვიდგება ცნობილი „1992 წლის“ წამოწყება, რომლის ყოველმხრივი განხორციელება ჩაფიქრებული იყო 1993 წლის 1 იანვრისათვის. ეს მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს მსჯელობაში ევროპის ვალუტის კურსის პოლიტიკის შესახებ.

ბაზრის უნიფიკაციის პროცესი, დაწყებული 1957 წელს, როცა ევროკავშირის პირველმა წევრებმა შექმნეს თავიანთი საბაჟო კავშირი, 30 წლის შემდეგაც არ არის დასრულებული. რაც მრეწველობებში, როგორცაა საავტომობილო და ტელეკომუნიკაცია, ვაჭრობა ევროპის შიგნით ითრგუნება სახელმწიფოს მიერ დაწესებული სტანდარტებითა და სარეგისტრაციო მოთხოვნებით; სახელმწიფო ლოსუნების ან შექმნის პრაქტიკა აძლევდა შინა მრეწველობებს აქტიურ მონაპოლიას შიდა ბაზრებზე. ასევე ამუხრუჭებდა ვაჭრობას ქვეყნის განსხვავებული საგადასახადო სტრუქტურები და ჯანმრთელობისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესები. მაგალითად, ქვეყნებს, რომელთაც მაღალი გადასახადები ახასიათებდათ, იძულებულნი იყვნენ, დაეყენებინათ საბაჟოს მოხელეები ევროკავშირის საზღვრებზე, რათა ხელი შეეშალათ საკუთარი მოქალაქეებისათვის, ევაჭრათ დაბალი გადასახადის მქონე მესობელ ქვეყნებში. ასევე, საბაჟო კონტროლი საჭირო იყო ეროვნული ნაწარმის სტანდარტების დაწესებისათვის. შიდა ევროპაში კვლავ დარჩა მნიშვნელოვანი ბარიერები საწარმოო ფაქტორის მოძრაობისათვის.


1985 წლის ივნისში ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ, ევროპის კომისიამ, 1992 წლის ბოლოსათვის გამოსცა „თეთრი დოკუმენტი“, რომელიც შეიცავდა 300 წინადადებას „შიდა ბაზრის შექმნის დასრულებისათვის“. ეს არის ვაჭრობის ექვლა დარჩენილი ბარიერის მოშლა, კაპიტალის-ამოძრავება და სამუშაო ძალის მიგრაცია. 1986 წლის ერთიან ევროპულ აქტში (რომელმაც შესწორებები შეიტანა რომის ხელშეკრულებაში) აისახა ევროკავშირის წევრების გადაწყვეტილი პოლიტიკური ნაბიჯები 1992 წლისათვის „თეთრი დოკუმენტის“ განხორციელების მიზნით. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მათ უარი თქვეს რომის ხელშეკრულების მოთხოვნაზე ერთსულოვანი თანხმობის შესახებ ბაზრის დასრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, რათა ევროკავშირის ზოგიერთ წევრს, დაინტერესებულს საკუთარი მიზნებით, ეერ შესძლებოდა, ისევე როგორც წარსულში, ვაჭრობის ლიბერალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების ბლოკირება. ამგვარად, ერთადერთი ევროპული აქტი, რაც აძლევდა ევროკავშირის აკციონებულ სამოქმედო იარაღს თავისი პატიემოქერული მიზნის მისაღწევად, იყო შემდეგი – „შიდა ბაზარი უნდა მოიცავდეს სივრცეს შიდა საზღვრების

გარეშე, რომელშიც გარანტირებულია ინდივიდების საქონლით მომსახურება და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა”.

ამ დროისათვის 1992 წლის ბაზრის ინტეგრაციის ღონისძიებათა უმრავლესობა შესრულებულია ან ამ სტადიაში იმყოფება. საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკური ბარიერები ევროკავშირის შიგნით უფრო დაბალია, ვიდრე ათეული წლის წინ, მაგრამ 1992 წელი ერთიანად ეფექტური არ ყოფილა ყველა სფეროსათვის. მაგალითად, ფინანსურ კაპიტალს თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს არა მარტო ევროკავშირის შიგნით, არამედ მის გარე იურისდიქციათა შორისაც. ევროკავშირის უკანასკნელი კონტროლი უცხოურ სავალუტო ოპერაციებსა და კაპიტალის მოძრაობაზე, საბერძნეთის ჩათვლით, უარყოფილ იქნა 1994 წელს.

თუმცა ევროკავშირის შიგნით ხალხის თავისუფალი გადაადგილების ბარიერების პროგრესი შენედა, ევროკავშირის მუშებს, მართალია, ლეგალურად შეეძლოთ სამუშაოს ძებნა ან კავშირის ნებისმიერ ადგილას დასახლება, მაგრამ მათი გადაადგილება მაინც შეზღუდული იყო. ევროკავშირის ზოგიერთ წევრს უშინოდა არალეგალური ემიგრაციისა ევროკავშირის გარედან, რის შედეგადაც საწყისი მიზანი, გაეუქმებინათ საპასპორტო შემოწმება ევროკავშირის ქვეყნების საერთო საზღვრებზე 1993 წლის 1 იანვრისათვის, მთლიანად არ შესრულებულა.

გრაფიკი 20-2 ინფლაციური თანხვედრა ევროპის მონეტარულ სისტემაში 1978-94 წლებში



ნაჩვენებია სხვაობა ევროპის მონეტარული სისტემის პირველი ექვსი წევრის (ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია და ნიდერლანდები) შიდა ინფლაციასა და გერმანიის ინფლაციას შორის. 1994 წელს ყველა ქვეყნის ინფლაციის ტემპი, გარდა იტალიისა, იყო გერმანიის დონეზე დაბალი; იტალიის ტემპი მიუახლოვდა გერმანიისას, ე.ი. იყო ბევრად დაბალი, ვიდრე სისტემის ამოქმედებისას დასაწყისში.

ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ძსელი

ევროპის მონეტარული სისტემის რთული „ვალუტის ძსელი“. გულისხმობს იმ ძსელს, რომლის ფარგლებშიც ვალუტის კურსს შეუძლია მერყეობა ნებისმიერი ორი წევრი ქვეყნის ვალუტებს შორის. 1995 წლის შუა პერიოდში ვალუტის კურსი ფრანგულ ფრანკსა და გერმანულ მარკას შორის იყო 0.34622 გერმანული მარკა ერთ ფრანკში (გერმანული მარკის ღირებულების ზედა ზღვარი, რომელსაც შეიძლება ფრანკის შექმნა) და 0.25677 გერმანული მარკა ერთ ფრანკში (გერმანული მარკების ღირებულების ქვედა ზღვარი, რომლითაც შეიძლება ფრანკის შექმნა). ასევეა ვალუტების თითოეული წყვილი მოქცეული მერყეობის დაშვებულ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს მყარი და სუსტი ორი ვალუტის პოზიციებს ერთმანეთთან მიმართებაში.

ამ ზღვართა სიზუსტეს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მონეტარული სისტემის მოქმედებისათვის. ზღვრების ასეთი მნიშვნელობის ერთ-ერთი მიზეზია მათი ადგილი ევროპის მონეტარული სისტემის წესდებაში. მაგალითად, როდესაც ფრანგული ფრანკი უფასურდება მის ქვედა ზღვრამდე გერმანულ მარკასთან შედარებით, წესდება თხოულობს როგორც საფრანგეთის ბანკის, ასევე ბუნდესბანკის ჩარევას ფრანკის გასამყარებლად. ვალუტის კურსის ზღვრები მნიშვნელოვანია მეორე მიზეზითაც. თუ გერმანული მარკა/ფრანგული ფრანკის ვალუტის კურსი მხოლოდ 0.25677 გერმანული მარკაა ერთ ფრანკში, რაც ნიშნავს, რომ ფრანკს აქვს უდაბლესი ღირებულება გერმანულ მარკასთან შედარებით, სპეკულანტები ამით დაასკენიან, რომ საფრანგეთის ბანკსა და ბუნდესბანკს არ გააჩნიათ სათანადო რესურსი ან

გამბედაობა სესტი ვალუტის შეტევისაგან თავის დასაცავად. ასეც მოხდა 1993 წლის საფხულში, რის შედეგადაც ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებმა გააფართოეს გერმანული მარკა/ფრანგული ფრანკის მერყეობის 'სღვარი' (ასევე სხვა ორმხრივი ზღვრების უმრავლესობაც) $\pm 15\%$ -მდე.

ვინაიდან ევროპის მონეტარული სისტემის სტაბილურობა და მისი წევრებისათვის ჩარევის საჭიროება მჭიდროდ არის დაკავშირებული ორმხრივი ზღვრების ფარგლებში ვალუტების პოზიციასთან, „ფაინანსულ ტაიმის“ ყოველ ორშაბათს აქვეყნებს ევროპის მონეტარული სისტემის ქსელის სურათს, რომელიც წარმოდგენილია 20-1 გრაფიკზე. ამ სურათით შეიძლება ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმში სხვადასხვა ვალუტის შედარებითი პოზიციის თვალნათლივ დანახვა, თუმცა მის გასაცნობად პირველ რიგში უფრო დაწვრილებით უნდა გავიგოთ, თუ როგორ ადგენს ევროპის მონეტარული სისტემა თავისი ვალუტის კურსის ზღვრებს.

როგორც მე-17 თავში აღინიშნა, ევროპის მონეტარული სისტემა თითოეული ვალუტისათვის განსაზღვრავს ეკიუს ცენტრალურ კურსს, რომელიც სპეციალურად შერჩეული კურსია ევროპის ფულის ერთეულთან მიმართებაში. 1995 წლის შუაში ფრანგული ფრანკ/ეკიუს ცენტრალური კურსი იყო 6.40608 ფრანგული ფრანკი ერთ ეკიუსში იმ დროს, როცა გერმანული მარკისა – 1.91007 გერმანული მარკა ერთ ეკიუსში. თუმცა ეკიუს ეს ორი კურსი განსაზღვრავს გერმანულ მარკასა და ფრანგულ ფრანკს შორის ორმხრივ ცენტრალურ კურსს, რომელიც არის 0.029817 გერმანული მარკა ერთ ფრანკში (= 1.91007 გერმანული მარკა ერთ ეკიუსში ? 6.608 ფრანგული ფრანკი ერთ ეკიუსში). ეს ორმხრივი ცენტრალური კურსი არის გერმანული მარკა/ფრანგული ფრანკის კურსი, რის მიხედვითაც განისაზღვრება ევროპის მონეტარული სისტემის მეურვეობის 'სღვარი' ფრანკისათვის გერმანულ მარკასთან მიმართებაში. ასეთი 'სღვარის' სუდა დონე (სადაც ფრანკი ყველაზე ძლიერია) არის 0.34622 გერმანულ მარკა ერთ ფრანკში, ამავე დროს დაბალი დონე (სადაც ფრანკი ყველაზე სუსტია) არის 0.25677 გერმანულ მარკა ერთ ფრანკში. იგულისხმება, რომ ვალუტის კურსი შეიძლება შეიცვალოს მაქსიმუმ 0.08945 გერმანული მარკით ერთ ფრანკში (= 0.34622 გერმანული მარკა ერთ ფრანკში – 0.25677 გერმანული მარკა ერთ ფრანკში). ეს უდრის ერთ ფრანკში 0.298187 გერმანული მარკის ორმხრივი ცენტრალური კურსის 30%-ს. ვინაიდან 15 არის 30-ის ნახევარი, დავინახაეთ, რომ ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ზღვრები საშუალებას აძლევს ფრანკს იმოძრაოს $\pm 15\%$ -ს დაშორებით მისი ორმხრივი ცენტრალური გერმანული მარკის კურსიდან.

ახლა განვიხილოთ 20-1 გრაფიკი (ა ცხრილი), რომელიც გვიჩვენებს ევროპის მონეტარული სისტემის ქსელს ვალუტის იმ კრიზისის წინ, რომელიც 1992 წლის სექტემბერში დაიწყო. გრაფიკში დონის აღნიშვნის ვალუტად აღებულია იმ დროს ყველაზე სუსტი ვალუტა იტალიური ლირა, 2.25%-იანი 'სღვრით'. თითოეული მსხვილი ხაზი აღნიშნავს პროცენტულ სხვაობას ლირის შესატყვის ვალუტის ფასსა და ლირა/სხვა ვალუტის ცენტრალურ კურსს შორის. როგორც ეხედავთ, გერმანული მარკა, ბელგიური ფრანკი და დანიური გულდენი – ყველა იყო მათი ღირებულების დასაშვებ მაქსიმუმსე ლირასთან მიმართებით; ასე რომ, მათი ლირის ფასი 2.25%-ით აღემატებოდა ცენტრალური ლირის ფასებს. ლირაზე მყარი ვსპანური პესო ამავე დროს საკმაოდ დაბლა იყო თავის მაქსიმუმზე, რაც ცენტრალურ ლირა/პესოს კურსზე 6%-ით მაღლა უნდა ყოფილიყო. და ბოლოს, ბრიტანეთის გირეანქა სტერლინგი დიდი სპეკულატური სეზონის გამო 2%-ზე უფრო მეტით იყო დაბლა მის ცენტრალურ ლირის კურსზე და ამგვარად, 4%-ზე უფრო ქვევით მის ცენტრალურ კურსზე ევროპის მონეტარული სისტემის უმეარეს ვალუტასთან შედარებით.

ბოლო წინადადება გამოხატავს ევროპის მონეტარული სისტემის ქსელის გრაფიკის დამახასიათებელ ნიშანს. გარდა იმისა, რომ ქსელი 20-1ა გრაფიკზე გამოსახავს მხოლოდ ვალუტის კურსს ლირასთან შედარებით, მისი გამოყენებით შეგვიძლია ცენტრალურ კურსთან მიმართებაში არსებული სხვა ორმხრივი ვალუტის კურსის პოზიციათა გახატვა ციფრებით. თუ ლირა/ფრანკის კურსი 1%-ით მაღალია ცენტრალური ლირა/ფრანკის კურსზე, მაგალითად, იმ დროს, როცა სტერლინგი/ლირა კურსი 2%-ით მაღლაა ცენტრალურ გირეანქა სტერლინგი/ლირა კურსზე, მაშინ სტერლინგი/ლირას მანძილი ცენტრალურ სტერლინგი/ფრანკის კურსიდან დაახლოებით უდრის სტერლინგის მანძილს მისი ცენტრალური ლირის კურსიდან და ლირას მანძილს მისი ცენტრალური ფრანკის კურსიდან, ანუ 3%-ს (= 2+1%). ამგვარად, 20-1ა გრაფიკიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბელგიური ფრანკი, გულდენი და გერმანული მარკა 2.25%-ით მაღლაა თავის ცენტრალურ ლირა კურსზე და მათი ყიდვა-გაყიდვა ხდება ერთმანეთთან მიმართებით მათი ორმხრივი ცენტრალური ვალუტის კურსით.

20-1ბ გრაფიკი გვიჩვენებს 1995 წლის 3 ნოემბრის ქსელს. შენიშნეთ, რომ ბრიტანეთი და იტალია არ მონაწილეობენ, ვინაიდან 1992 წლის სექტემბერში მათ მცოცავი ვალუტა ჰქონდათ. ავსტრიის 'შოლინგი' შეუერთდა სისტემას. ფრანგული ფრანკი შედარებით სუსტია, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად გრძობს თავს თავისი ცენტრალური კურსის 15%-იან 'სღვარში' უძლიერეს ვალუტასთან, დანიურ გულდენთან შედარებით.

21-1ა გრაფიკი გვიჩვენებს განსაკუთრებულად მდებარე შემთხვევას ევროპის მონეტარული სისტემის ისტორიაში 1993 წლის აგვისტომდე, როცა დაიწყო 'სღვრების' გაფართოება. უფრო მშვიდ პერიოდებში ყველაზე სუსტი ვაშროსღვრიანი ვალუტა ჩვეულებრივ იქნებოდა 2.25%-ზე ნაკლებით ქვევით მის

ცენტრალურ გერმანულ მარკის ღირებულებაზე. ისტორიულად, გერმანია იყო ინფლაციისაკენ ყველაზე ნაკლებად მიდრეკილი ქვეყანა ევროპის მონეტარულ სისტემაში. ამის შედეგია, რომ გერმანული მარკა სისტემის უძლიერესი ვალუტაა. ის განლაგება, რომლითაც გერმანული მარკა უახლოვდება ქსელის დადებით ნაწილს, იქნება ოპტიმალური, სადაც ყველა ვალუტა დაცული აღმოჩნდება ევროპის მონეტარული სისტემის საკუთარ ფარგლებში.

ოპტიმალური ვალუტის სივრცის თეორია

ევროპის მონეტარულმა სისტემამ უდაოდ გაუწია დახმარება მის დამაარსებლებს პოლიტიკური მიზნების მიღწევაში იმით, რომ გაამყარა ევროკავშირის მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე. მონეტარული ექსპერიმენტის გადარჩენა და მომავალი განვითარება მეტადაა დამოკიდებული მის უნარზე დაეხმაროს ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. აქ სურათი არც თუ ისე ნათელია, ვინაიდან ქვეყნის გადაწყვეტილებამ, გაამყაროს თავისი ვალუტის კურსი, შესაძლოა მოიტანოს როგორც ეკონომიკური ზარალი, ასევე მოგება.

მე-19 თავში ვნახეთ, რომ თავისი ვალუტის კურსის ცვლილებით ქვეყანას შეუძლია სხვადასხვა ეკონომიკური შოკებით გამოწვეული გამანადგურებელი დარტყმების შესუსტება. მეორე მხრივ, ვალუტის კურსის მოქნილობას შეიძლება ჰქონდეს საზიანო შედეგები: მცირდება შედარებით ფასების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა. ფერხდება სახელმწიფოს მიერ ინფლაციის კონტროლი. ურთიერთფიქსირებული ვალუტის კურსის ქვეყნების გაერთიანებით მიღებული ეკონომიკური დანახარჯებისა და უპირატესობის შესადარებლად გვეჩვენება სტრუქტურა, რომლის საშუალებით სისტემატურად შეფასდება სახელმწიფოს მიერ გაღებული მსხვერპლი (სტაბილიზაციისათვის საჭირო ძალაუფლება) და მიღებული მოგება ეფექტიანობასა და სანდობაში.

ამ ნაწილში ჩანს, რომ ქვეყნის დანახარჯიდან მოგება ერთიანი ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრციდან, როგორცაა ევროპის მონეტარული სისტემა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგადაა ინტეგრირებული მისი ეკონომიკა პოტენციური პარტნიორების ეკონომიკასთან. ანალიზიდან გამომდინარე დასკვნა, ცნობილი ოპტიმალური ვალუტის სივრცის თეორიად, გულისხმობს, რომ ფიქსირებული ვალუტის კურსი შესაფერისია საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ფაქტორის მოძრაობის საშუალებით მჭიდროდ ინტეგრირებული სივრცეებისათვის.

ეკონომიკური ინტეგრაცია და ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცეებით მიღებული მოგება: GG გრაფიკი

განვიხილოთ, თუ როგორ იღებს ცალკეული ქვეყანა (მაგალითად, ფინეთი). ფიქსირებული ვალუტის მქონე სივრცესთან მაგალითად, ევროპის მონეტარულ სისტემასთან შეერთების გადაწყვეტილებას. ჩვენი მიზანია, მარტივი გრაფიკის საშუალებით გასაგები გახადეს ფინეთის არჩევანი.

დასაწყისისათვის დიაგრამის ორი ელემენტიდან ავაგებთ პირველს – GG-დ წოდებულ გრაფიკს, რომელიც გვიჩვენებს, თუ ევროპის მონეტარულ სისტემაში ფინეთის გაერთიანების შედეგად მიღებული პოტენციური მოგება როგორაა დამოკიდებული მის საეკონომიკურ ვაჭრობაზე ევროპის მონეტარული სისტემასთან.

ფიქსირებული ვალუტის კურსის მთავარი ეკონომიკური უპირატესობა არის ის, რომ მცურავ კურსთან შედარებით, ისინი აადვილებენ ეკონომიკურ გამოთვლებს და უზრუნველყოფენ საერთაშორისო ოპერაციების გადაწყვეტილებების სავარაუდო ბაზისს. წარმოიდგინეთ ის დრო და რესურსები, რასაც ყოველდღიურად დახარჯავდნენ ამერიკელი მომხმარებლები და ბიზნესმენები, აშშ-ს 50 შტატიდან თითოეულს რომ საკუთარი ვალუტა ჰქონოდა ფინეთიც იმავე მდგომარეობაში ვარდება ევროპის მონეტარული სისტემასთან ვაჭრობის დროს როდესაც თავის ვალუტას, მარკას, ცურვის საშუალებას აძლევს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტებთან მიმართებაში. ერთიანი ფიქსირებული ვალუტის კურსის სისტემიდან მიღებული მონეტარული ეფექტურობის მოგება უდრის წვერი ქვეყნის იმ დანახარჯებს, რომელსაც ის მიიღებს მცურავი ვალუტის კურსის დროს გაზრდილი არასაიმედოობის, დარღვევების, გამოთვლებისა და ტრანსპორტის ხარჯების სანაცვლოდ.

პრაქტიკულად, მნელა იმ მონეტარული ეფექტურობის მოგების სუბტი შეფასება, რომელსაც ფინეთი მიიღებდა ევროპის მონეტარულ სისტემაში გაწევრიანებით. მაგრამ, შეიძლება დარწმუნებული ვიყო, რომ ეს მოგება უფრო დიდი იქნება, თუ ფინეთი ბევრს ივაჭრებს ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებთან. მაგალითად, თუ ფინეთის ვაჭრობა ევროპის მონეტარულ სისტემასთან შეადგენს ეკპ-ის 60%-ს იმ დროს, როცა ვაჭრობა აშშ-თან არის ეკპ-ის მხოლოდ 5%, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, ფიქსირებული მარკა/ეკპ ვალუტის კურსი აშკარად მონეტარული ეფექტურობის მეტ მოგებას მოუტანს ფინელ ვაჭრებს, ვიდრე ფიქსირებული მარკა/დოლარის კურსი. ასევე, მარკა/ეკპ ფიქსირებული კურსიდან ეფექტურობის მოგება მეტია მაშინ, როცა ფინეთისა და ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებთან ვაჭრობა ინტენსიურია და არა, როცა იგი ნაკლებია.


მონეტარული ეფექტურობის მოგება, მიღებული მარკის მიზნით ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტებთან, უფრო გაიზრდება, თუ წარმოების ფაქტორები თავისუფლად იმოძრაევენ ფინეთსა და ევროპის მონეტარულ სისტემას შორის. ფინელები, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებში, მოგებას იღებენ, როცა მათი ინვესტიციებიდან მოგება წინასწარ უკეთაა გათვლილი. ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებში მომუშავე ფინელები მეტ სარგებელს ნახავენ, თუ ფიქსირებული ვალუტის კურსით მათი ხელფასები უფრო მყარი გახდება ფინეთის სასიცოცხლო მინიმუმთან შედარებით.

დასკვნა ასეთია, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი ხარისხი ქვეყანასა და ვალუტის ფიქსირებული კურსის სივრცეს შორის ზრდის მონეტარული ეფექტურობის მოგებას, რომელსაც ქვეყანა იღებს თავისი ვალუტის კურსის დაფიქსირებით სივრცის კურსთან მიმართებაში. რაც უფრო ინტენსიურია მომიჯნავე ქვეყნებთან ვაჭრობა და ეკონომიკურ ფაქტორთა მოძრაობა, მით უფრო მეტია მოგება მათი ვალუტების ფიქსირებული კურსიდან.

ზევით მცურავი GG მრუდი 20-3 გრაფიკზე გვიჩვენებს ურთიერთობას ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცეში ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის დონესა და ამ სივრცეში ქვეყნის გაერთიანების შედეგად მიღებული მონეტარული ეფექტურობის მოგებას შორის. გრაფიკის პორიზონტალურ ღერძზე გადაზომილია ფინეთის ეკონომიკური მონაწილეობა ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნების პროდუქციისა და საწარმოო ფაქტორების ბაზრებში. ვერტიკალურ ღერძზე იზომება მონეტარული ეფექტურობის მოგება ფინეთისათვის ევროპის მონეტარულ სისტემაში გაერთიანებით. GG მრუდის დადებითი დაქანება გამოსახავს იმ დასკვნას, რომ ერთიანი ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცისგან მიღებული მონეტარული ეფექტურობის მოგება იზრდება, როცა მისი ეკონომიკური ინტეგრაცია სივრცესთან მატულობს.

ჩვენს მაგალითში დაუშვით – რაც უფრო ფართოა ვალუტის კურსის სივრცე, მით უფრო სტაბილურია და ადვილად გამოსათვლელი ევროპის მონეტარული სისტემის ფასთა დონე. ასე რომ არა, ფინეთის ფასთა დონის დიდი ცვალებადობა, რაც მოჰყვებოდა ვალუტის სივრცესთან გაერთიანებას, ალბათ აანაზღაურებდა მონეტარული ეფექტურობის ნებისმიერ მოგებას, რომელსაც ვალუტის ფიქსირებული კურსი უზრუნველყოფდა. სხვა პრობლემა წამოიჭრება, თუ ფინეთის გადაწყვეტილებას, დააფიქსიროს მარკის ვალუტის კურსი, მოლიანად არ ენდობიან ეკონომიკური მონაწილენი. ამ შემთხვევაში, ვალუტის კურსისადმი უნდობლობა მოუტანდა ფინეთს მონეტარული ეფექტურობის ნაკლებ მოგებას. როდესაც ევროპის მონეტარული სისტემის ფასთა დონე სტაბილურია და ფინეთის ვალუტის კურსის გადაწყვეტილება მტკიცე, შეგვიძლია დავასკვნათ: თუ ფინეთი შეუერთდება ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმს, ის მოიგებს საკუთარი მარკის სტაბილურობიდან ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტებთან შედარებით და ეს მოგება მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ფინეთისა და ევროპის მონეტარული სისტემის ბაზრები ერთმანეთს.

გრაფიკი 20-3 GG მრუდი



ზევით მიმართული GG მრუდი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მონეტარული ეფექტურობის მოგება ფიქსირებული ვალუტის სივრცეში გაერთიანებით იზრდება, როცა დიდდება ამ სივრცესთან ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია.

ამ თავში ზემოთ ვისაუბრეთ, რომ ქვეყანას შეიძლება სურდეს ერთ დონეზე დატოვოს თავისი ვალუტის კურსი ფასთა სტაბილურობის სივრცესთან მიმართებაში, რათა განახორციელოს სივრცის მონეტარული ხელისუფლების ანტიინფლაციური გადაწყვეტილება. თუმცა, როდესაც ასეთი ქვეყნის ეკონომიკა კარგადაა ინტეგრირებული სესტი ინფლაციის მქონე სივრცის ეკონომიკასთან, უფრო ადვილია ადგილობრივი დაბალი ინფლაციის მიღწევა. მიზეზი ის არის, რომ მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას ახლავს საერთაშორისო ფასთა თანხედრა, რაც ამცირებს ქვეყნის ფასთა დონეების დამოუკიდებელი ცვალებადობისათვის მოქმედების სფეროს. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, თუ მაღალი ეკონომიკური ინტეგრაცია რატომ ზრდის ვალუტის ფიქსირებული კურსის სივრცესთან ქვეყნის მიერთებით მიღებულ მოგებას.

ეკონომიკური ინტეგრაცია და ვალუტის ფიქსირებული კურსის სივრცის დანახარჯები: LL მრუდი

ვალუტის კურსის სივრცეში გაწვევრიანებას შეიძლება მოჰყვეს როგორც ხარჯი, ასევე მოგება მაშინაც კი, როცა სივრცეს დაბალი ინფლაცია აქვს. ეს ხარჯები იზრდება, რადგან ქვეყანა, რომელიც უერთდება ვალუტის კურსის სივრცეს უარს ამბობს თავის შესაძლებლობაზე, გამოიყენოს ვალუტის კურსი და მონეტარული პოლიტიკა გამოშვებისა და დასაქმების სტაბილიზაციისათვის. გაწვევრიანების შედეგად ეკონომიკური სტაბილურობის დაკარგვა, ისევე როგორც ქვეყნის მონეტარული ეფექტურობის მოგება დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ვალუტის კურსის პარტნიორებთან. ამ დამოკიდებულებების საჩვენებლად შეგვიძლია ავაგოთ მეორე მრუდი LL.

მე-19 თავში ფიქსირებული და მცურავი ვალუტის კურსის შედარებით ღირსებებზე მსჯელობისას დაეასკვენით, რომ როცა ეკონომიკა პროდუქციის ბაზარზე ცვლილებების შემოქმედებას განიცდის (ეს ნაჩვენებია DD მრუდის გადაადგილებით), მცურავი ვალუტის კურსს უპირატესობა აქვს ფიქსირებულ კურსთან შედარებით, ვინაიდან ავტომატურად აგვარებს გამოშვებასა და დასაქმებას ადგილობრივი და უცხოური საქონლის შესადარ ფასების ერთდროული ცვლილებებით. ამასთან, გაიხსენეთ მე-17 თავიდან, რომ როცა ვალუტის კურსი ფიქსირებულია, მიზნობრივი სტაბილიზაცია უფრო რთულია, რადგან მონეტარული პოლიტიკა საერთოდ ვერ მოქმედებს ადგილობრივ პროდუქციაზე. ამ ორი მოცემული დასკვნის თანახმად, უნდა ველოდოთ ცვლილებებს DD მრუდში, რაც მოახდენს უფრო ძლიერ გავლენას ეკონომიკაზე, სადაც მონეტარულ ხელისუფლებას მოეთხოვება ვალუტის კურსის ფიქსირება უცხოური ვალუტის ჯგუფთან მიმართებაში. ვალუტის ფიქსირებული კურსით გამოწვეული ჭარბი არასტაბილურობა არის ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგი.

LL მრუდის ასაგებად უნდა ვიცოდეთ, რა გავლენას მოახდენს ევროპის მონეტარულ სისტემის ქვეყნებთან ეკონომიკურ ინტეგრაციაში ფინეთის წვლილი ამ ეკონომიკური სტაბილურობის დაკარგვაზე. წარმოიდგინეთ, რომ ფინეთი ევროპის მონეტარული სისტემის წევრია და ერთობლივი მოთხოვნა ფინეთის პროდუქციაზე მკვეთრად შემცირდა (ფინეთის DD მრუდის მარცხნივ გადაადგილება). თუ მოხდა ევროპის მონეტარული სისტემის სხვა ქვეყნების ერთდროული გადაადგილება მარცხნივ, ევროპის მონეტარული სისტემის ქველა ვალუტა უბრალოდ ერთად გაუფასურდება გარე ვალუტებთან მიმართებაში და უსრუნველყოფს ავტომატურ სტაბილურობას, რაც ბოლო თავში შევისწავლეთ. ფინეთს სერიოზული პრობლემა ექნება მხოლოდ მაშინ, როცა ის მარტო აწყდება მოთხოვნის შემცირებას – მაგალითად, თუ მსოფლიო მოთხოვნა ხეტიის პროდუქციაზე (ფინეთის მთავარ ექსპორტზე) მცირდება.

როგორ შეეგუება ფინეთი ამ დარტყმას? ვიდრე არ შეიცვლება ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტები, რომელთა მიმართაც ფინეთი ამჟამებს თავის ვალუტას, მისი მარკა სტაბილური დარჩება ყველა უცხოურ ვალუტასთან შედარებით. სრული დასაქმება აღდგება მხოლოდ იმ ძვირადღირებული ვარდნის პერიოდის შემდეგ, როცა ფინური საქონლის ფასები და მუშების ხელფასები მცირდება.

როგორაა დამოკიდებული ეს მკვეთრი შემცირება იმ ეკონომიკური ინტეგრაციის დონეზე, რომელიც ფინეთის ეკონომიკასა და ევროპის მონეტარული სისტემის სხვა ქვეყნების ეკონომიკას შორის არსებობს? პასუხი: დიდი ინტეგრაცია გულისხმობს უფრო სუსტ ვარდნას და ამიტომ DD-ს არახელსაყრელი გადაადგილების რეგულირებაც ნაკლებ ხარჯს მოითხოვს. არსებობს ორი მიზეზი რეგულირების ხარჯების შესამცირებლად. პირველი, თუ ფინეთს აქვს მჭიდრო საეკონომიკური კავშირი ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებთან, მისი ფასების მცირედი კლება გამოიწვევს ევროპის მონეტარული სისტემის მოთხოვნის ზრდას ფინურ საქონელზე, რაც დაკავშირებულია ფინეთის წარმოებასთან. ამგვარად, სრული დასაქმება შეიძლება აღდგეს საკმაოდ სწრაფად. მეორე, თუ ფინეთის სამუშაო ძალისა და კაპიტალის ბაზრები ევროპის მონეტარული სისტემის ბაზრების ქსელშია, უმუშევარ მუშებს თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება სასლვარგარეთ სამუშაოს საშოვნელად და ადგილობრივი კაპიტალიც შეიძლება უფრო მომგებიანად იქნეს დაბანდებული სხვა ქვეყნებში. ამგვარად, წარმოების ფაქტორების სასლვარგარეთ მიგრაციის შესაძლებლობა ფინეთში ამცირებს უმუშევრობის პრობლემას და ინვესტირებას მოგების ნორმას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დასკვნები მისაღებია იმ შემთხვევაშიც, როცა ფინეთი უპირისპირდება მის გამოშვების მიმართ გაზრდილ მოთხოვნას (DD გადაადგილება მარჯვნივ). თუ ფინეთი მჭიდროდაა ინტეგრირებული ევროპის მონეტარული სისტემის სხვა ქვეყნებთან, მისი ფასთა დონის მცირე აწევა უცხო კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილებასთან ერთად, სწრაფად ამცირებს ჭარბ მოთხოვნას ფინურ პროდუქციაზე.


ევროპის მონეტარულ სისტემაში გაერთიანებით მიღებული ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგი უფრო მცირეა, როდესაც ფინეთისა და ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებს ერთმანეთთან ფართო ვაჭრობა აქვთ. თუ ევროპის მონეტარული სისტემიდან იმპორტი შეადგენს ფინელი მუშების მოხმარების მნიშვნელოვან ნაწილს, მაშინ მარკა/ეკიუს ვალუტის კურსში ცვლილებებმა შესაძლოა სწრაფად იმოქმედოს ფინეთის ნომინალურ ხელფასებზე, რაკი შემცირდება გავლენა დასაქმებაზე. მაგალითად, ეკიუსთან შედარებით მარკის გაუფასურება იწვევს ფინელთა ცხოვრების დონის მკვეთრ შემცირებას, როცა ევროპის მონეტარული

სისტემის ქვეყნებიდან იმპორტი მნიშვნელოვანია; ზარალის ასანაზღაურებლად მუშები მოითხოვენ უფრო მაღალ ნომინალურ ხელფასს თავისი დამქირავებლებისაგან. ამ შემთხვევაში დამატებითი მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელსაც ფინეთი იღებს ვალუტის მცურავი კურსისაგან მცირეა, ასე რომ, ქვეყანას მცირე დანაკარგი ექნება ევროპის მონეტარული სისტემის სიერცესთან გაერთიანებით.

ვასკენით, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე ქვეყანასა და ვალუტის ფიქსირებული კურსის სიერცეს შორის ამცირებს ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგს, გამოწვეულს პროდუქციის ბაზარზე არსებული დარღვევებით.

20-4 გრაფიკში ნახვენებ LL მრუდით შეჯამებულია ეს დასკვნა. გრაფიკის პორიზონტალურ ღერძზე გადაზომილია გაწვერიანებული ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია ვალუტის ფიქსირებული კურსის სიერცესთან, ვერტიკალურ ღერძზე – ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგი. LL-ს აქვს უარყოფითი დაქანება, ვინაიდან ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგი სიერცის ვალუტებთან ქვეყნის ვალუტის მიბმით მცირდება, როდესაც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დონე იზრდება.

გრაფიკი 20-4 LL მრუდი




დაღმაეალი დაქანების LL მრუდი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის დანაკარგი, მიღებული ფიქსირებული ვალუტის კურსის სიერცესთან შეერთებით, მცირდება, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია ამ სიერცესთან იზრდება.

ვალუტის სიერცეში შესვლის გადაწყვეტილება: GG და LL მრუდების შეერთება

20-5 გრაფიკი აერთიანებს GG და LL მრუდებს, რათა გვიჩვენოს ფინეთის გადაწყვეტილების სისწორე, შეუერთდეს თუ არა ევროპის მონეტარულ სისტემას. გრაფიკიდან ნათელია, რომ მან უნდა გადადგას ეს ნაბიჯი, თუ კი მისი და ევროპის მონეტარული სისტემის ბაზრებს შორის ინტეგრაცია სულ მცირე θ_1 -ის ტოლია (ინტეგრაციის დონე განსაზღვრულია GG და LL მრუდების ურთიერთგადაკვეთაზე (1) წერტილში).

ენახოთ, რატომ უნდა შეუერთდეს ფინეთი ევროპის მონეტარულ სისტემას, თუ მისი ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპის მონეტარული სისტემის ბაზრებთან სულ მცირე θ_1 -ია. 20-5 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ θ_1 -ზე დაბლა არსებული ეკონომიკური ინტეგრაციის დონისათვის GG მრუდი LL მრუდზე ქვემოთ მდებარეობს. ამგვარად, ის ზარალი, რომელიც ფინეთმა შესაძლოა შეერთების შემდეგ განიცადოს, გამოშვებისა და დასაქმებას უფრო დიდი არასტაბილურობის შედეგად ატარებებს ყველაზე მონეტარულ მოგებას და ამიტომ ქვეყანას ურჩევნია თავი შეიკავოს.

გრაფიკი 20-5 გადაწყვეტილება, თუ როდის უნდა დადგინდეს ვალუტის კურსი




GG და LL მრუდების გადაკვეთა (1) წერტილში განსაზღვრავს θ_1 ეკონომიკური ინტეგრაციის კრიტიკულ დონეს ვალუტის ფიქსირებული კურსის სიერცესა და იმ ქვეყანას შორის, რომელიც ფიქრობს, შეუერთდეს თუ არა მას. ინტეგრაციის ნებისმიერი დონის დროს θ_1 -ს ზემოთ, მიერთების გადაწყვეტილება იწვევს დადებით წმინდა ეკონომიკურ სარგებელს მიერთებადი ქვეყნისათვის.

როცა ინტეგრაციის დონე არის θ_1 , ან უფრო მაღალი, GG მრუდით გაზომილი ეფექტური მონეტარული მოგება უფრო დიდია, ვიდრე LL მრუდით გაზომილი სტაბილურობა და ევროპის მონეტარულ სისტემაში გაერთიანებას ფინეთისათვის მოჰყვება წმინდა მოგება. ამგვარად, GG და LL მრუდების გადაკვეთა განსაზღვრავს ინტეგრაციის მინიმალურ დონეს (აქ θ_1), რომლის დროსაც ფინეთს სურვილი აქვს, თავისი ვალუტა მიაბას ეკუსს.

GG და LL მრუდების სტრუქტურა მნიშვნელოვან მაჩვენებელს შეიცავს, რაც გეიჩვენებს თუ როგორ გაელენას ახდენს ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ გარემოში მის სურვილზე, მიაბას თავისი ვალუტა გარე ვალუტის სივრცეს. მაგალითად, წარმოდგინეთ ქვეყნის ექსპორტის მოთხოვნაში მოცულობისა და სიხშირის უცაბედი გადახრა. როგორც 20-6 გრაფიკშია ნაჩვენები, ასეთი ცვლილება გადახრის LL¹ მრუდს LL²-სკენ: ვალუტის სივრცესთან ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერი დონის დროს ჭარბი გამოშვება და უმუშევრობის არასტაბილურობა, რასაც ქვეყანა განიცდის თავისი ვალუტის კურსის ფიქსირებით, ახლა უფრო დიდია. ამის შედეგად, ეკონომიკური ინტეგრაციის დონე, რომლის დროსაც ქვეყანას უღირს, შეუერთდეს ვალუტის კურსს, იზრდება θ_2 -მდე (რაც განისაზღვრება GG და LL² მრუდების გადაკვეთით (2) წერტილზე).

გრაფიკი 20-6 გამოშვების ბაზრის ცვალებადობის ზრდა



ქვეყნისათვის დამახასიათებელი იმ პრობლემების მოცულობისა და სიხშირის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია მიერთებადი ქვეყნის პროდუქციის ბაზრებთან, გადახრის LL მრუდს LL¹-დან LL²-სკენ, რადგან ვალუტის ფიქსირებული კურსის სივრცესთან ეკონომიკური ინტეგრაციის მოცემულ დონეზე ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის დაქვეითება იზრდება მისი ვალუტის მიბმის გამო LL-ის გადახრა ზრდის ეკონომიკური ინტეგრაციის კრიტიკულ დონეს, როდესაც ვალუტის კურსის სივრცე უერთდება θ_2 -ს.

სხვა თანაბარ პირობებში, თავიანთი საქონლის ბაზარზე გაზრდილი ცვალებადობის დროს ქვეყნებს ნაკლებად უნდათ ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცეში შესვლა – ესაა ვარაუდი, რომელიც ხსნის იმას, თუ 1973 წლის ნათობის შოკის შემდეგ რატომ აღარ სურდათ ქვეყნებს ფიქსირებული ვალუტის კურსის ბრეტონ ვუდსის სისტემის აღორძინება (თავი 19).

რა არის ვალუტის ოპტიმალური სივრცე?

ჩვენს მიერ განხილული GG და LL მრუდების მოდელი წარმოადგენს ვალუტის ოპტიმალური სივრცის თეორიას. ვალუტის ოპტიმალური სივრცე არის რეგიონების ჯგუფი, რომელთა ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან საქონლითა თუ მომსახურებით ვაჭრობითა და წარმოების ფაქტორთა მოძრაობით. ეს გამომდინარეობს იმ აღმოჩენიდან, რომ ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცე კარგ სამსახურს გაუწევს ამ ჯგუფის თითოეული წევრის ინტერესებს, თუკი გამოშვების ხარისხი და წარმოების ფაქტორით ვაჭრობა გაერთიანებულ ეკონომიკებს შორის მაღალი იქნება.

ეს პერსპექტივა გეგმარება გაეიგოთ, რატომაა გონივრული აშშ-სთვის, იაპონიისა და ევროპისათვის ცურვის საშუალება მისცენ თავთავიანთ ვალუტას. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონები ერთმანეთში ვაჭრობენ, ეს ვაჭრობა მოკრძალებულია რეგიონულ მე-თან შედარებით და შიდა რეგიონული სამუშაო ძალის მობილურობა კი – დაბალი. 1990 წელს აშშ-ს კომერციული ვაჭრობის ბალანსი დასავლეთ ევროპასთან შეადგენდა აშშ-ს ექპ-ის მხოლოდ 2%-ს; იაპონიასთან კი – უფრო მცირეს.

უფრო საინტერესო საკითხი ევროპის მონეტარული სისტემის ეკონომიკური წარმატების კრიტიკულად შესაფასებლად არის ის, შეუძლია თუ არა ევროპას თვითონ შექმნას ვალუტის ოპტიმალური სივრცე.

არის თუ არა ევროპა ვალუტის ოპტიმალური სივრცე?

ვალუტის ოპტიმალური სივრცის თეორია იძლევა სასარგებლო სტრუქტურას იმაზე და საფიქრებლად, იზარალებს თუ მოიგებს ქვეყნების ჯგუფი თავიანთი ერთობლივი ვალუტის კურსის დაფიქსირებით. ძნელია რიცხობრივად გასომო ქვეყნის მოგება და ზარალი, მიღებული მისი ვალუტის მიხედვით ვალუტის კურსის სივრცეზე, მაგრამ ჩვენი თეორიის გაერთიანებით ფაქტობრივი ეკონომიკური მანევრებლების შესახებ ინფორმაციასთან შეგვიძლია, შევაფასოთ ის განცხადება, რომ ევროპა ვალუტის ოპტიმალური სივრცეა.

შიდა ევროპული ბაზრების არეალი

ზემოთ განხილვისას იგულისხმებოდა, რომ ქვეყანა უფრო ისარგებლებდა ვალუტის სივრცესთან მიერთებით, თუკი ამ სივრცის ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკასთან მჭიდროდ იქნებოდა ინტეგრირებული. ეკონომიკური ინტეგრაციის დონეზე საუბარი შესაძლებელია სასურსათო ბაზრების ინტეგრაციასა (ე.ი. მიერთებად ქვეყანასა და ვალუტის სივრცეს შორის ვაჭრობის მოცულობა) და წარმოების ფაქტორების ინტეგრაციაზე თვალის გადავლებით (ე.ი. სიადვილე, რითაც სამუშაო ძალა და კაპიტალი გადაადგილდება მიერთებად ქვეყანასა და ვალუტის სივრცეს შორის).

ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანას ექსპორტის სახით გააქვს თავისი გამოშვების 10-დან 20%-მდე კავშირის სხვა ქვეყნებში. ამ წევრების რიცხვი მეტია, ვიდრე ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის წევრთა ოდენობა; ეს უკანასკნელი რაც დაახლოებით აშშ-ს ექსპორტის 2%-ია და უფრო ნაკლები ევროკავშირის ექსპორტისა, მაგრამ გაცილებით ნაკლები, ვიდრე აშშ რეგიონებს შორის ვაჭრობის ოდენობაა. თუ მივიჩნევთ ვაჭრობას ექსპორტთან მიმართებით ეკონომიკური ინტეგრაციის სასომად, CG და LL მრუდების მოდული ნიშნავს, რომ ევროპის სხვადასხვა ვალუტის ერთობლივი მცოცავობა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით უკეთესი სტრატეგიაა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, ვიდრე დოლარისა და ეკიუს ვალუტის კურსი იქნებოდა. შიდაევროპული ვაჭრობის არეალი არაა დიდი და ეკიუსის მომცველ მიზეზსაც ვერ მოგვეცემს იმაში დასარწმუნებლად, რომ ევროკავშირი თვითონ არის ვალუტის ოპტიმალური სივრცე.

ევროკავშირის შიდა ვაჭრობას შესაძლოა აქამდე რამდენადმე ხელსაყრად აბრკოლებდა ის სავაჭრო შეზღუდვები, რაც 1992 წლის რეფორმებმა გამოიწვია. ის ასრი, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფიქროვა ვაჭრობა, გამომდინარეობს იმ მსგავსი პროდუქტების ფასების შედარებით, რაც იყიდება ევროკავშირის ქვეყნებში. 1992 წლის ბოლოსათვის კოკა-კოლას ერთი ბოთლი 2-ჯერ მეტი ღირდა ირლანდიაში, ვიდრე საფრანგეთში მაშინ, როცა ბატი-ბუტი 2.5-ჯერ ძვირი იყო იტალიაში, ვიდრე ბრიტანეთში. ჯერ კიდევ ძალიან ადრეა იმის თქმა, თუ რამდენად შედეგადანი იქნება 1992 წლის ღონისძიებები, გადააქციოს ევროპა ვალუტის ოპტიმალურ სივრცედ.

რამდენად მობილურია ევროპის სამუშაო ძალა

ადრე აღვნიშნეთ, რომ ევროკავშირმა ვერ მოახერხა შიდა კონტროლის გაქმნება პასპორტებზე 1993 წლის 1 იანვრისათვის. მთავარი წინააღმდეგობა ევროპის შიგნით სამუშაო ძალის გადაადგილებაში არაა გამოწვეული მხოლოდ საზღვრების კონტროლით. ენისა და კულტურის სხვაობა აფერხებს სამუშაო ძალის განფენას ევროპის ქვეყნებს შორის უფრო მეტად, ვიდრე აშშ-ს რეგიონებს შორის. თავის ერთ-ერთ ეკონომიკურ გამოკვლევაში ბარი ეინენგრინმა (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი) აღმოაჩინა, რომ სხვაობა რეგიონული უმუშევრობის დონეში უფრო მცირეა და ნაკლებ მყარი აშშ-ში, ვიდრე ევროკავშირში.

თვით ევროპის ქვეყნებშიც კი სამუშაო ძალის გადაადგილება შესაძლებელია ნაწილობრივ მთავრობის ჩარევის გამო. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში მოთხოვნები, რომ მოქმედებდნენ უნდა დაადგინონ საცხოვრებელი ადგილი, სანამ უმუშევრობის დახმარებას მიიღებდნენ, ამხელს უმუშევართათვის სამუშაოს ძებნას იმ რეგიონებში, რომლებიც დაშორებულია თავიანთი ამჟამინდელი საცხოვრისიდან. 20-2 ცხრილი წარმოგვიდგენს რეგიონული სამუშაო ძალის გადაადგილებას ევროკავშირის დიდ ქვეყნებში (იაპონიასა და აშშ-სთან შედარებით). თუმცა ამ მონაცემებს ფრთხილად უნდა მოვეყვით, მათში მინც იგულისხმება, რომ ერთ ტიპიურ შესწავლილ წელს იაპონელი და ამერიკელი გაცილებით თავისუფალია, ვიდრე ევროპელი.

სხვა შეხედულებები

თუმცა CG-LL მოდული წარმოგვჩვენებს გვიქმნის ვალუტის ოპტიმალურ სივრცეზე, მაინც საკმარისი არაა, სულ მცირე ორი სხვა ელემენტი მოქმედებს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის სივრცის წარსული და მომავალი მანევრებლების წყვეტულ შეფასებაზე.

ეკონომიკური სტრუქტურის მსგავსება. GG-LL მოდელი გეიხვენებს, რომ ევროპის მონეტარულ სისტემასთან ფართო ვაჭრობა აადვილებს, წვერმა მოაწესრიგოს ბაზრის დარღვევა გამოშვების მიმართ, რაც მასზე და ევროპის მონეტარული სისტემიდან მის პარტნიორებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებდა. მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება, რა ფაქტორები შეამცირებს წვერებისათვის დამახასიათებელი პროდუქციის ბაზრის შოკების სიხშირესა და მოცულობას.

ასეთი შეფერხებების შემცირების მთავარი ტენდენცია ეკონომიკური სტრუქტურის მსგავსებაა, განსაკუთრებით წარმოებული პროდუქციის ტიპებში. ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნები დიდად არ განსხვავდებიან გადაამრეშავებელი სტრუქტურისაგან, როგორც ეს ჩანს ევროპაში შიდასამრეწველო ვაჭრობის (მსგავსი საჭონელით ვაჭრობა) მაღალი მოცულობით (იხ თავე 6). მაგრამ არსებობს დიდი განსხვავებაც: ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები უკეთ უზრუნველყოფილნი არიან კაპიტალითა და პროფესიული სამუშაო ძალით, ვიდრე ევროპის სამხრეთი, და ევროკავშირის პროდუქცია, სადაც გამოყენებულია დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა, ჩანს შემოდის პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან და სამხრეთ იტალიიდან. ჯერ კიდევ არაა გარკვეული, ერთიანი ევროპის ბაზრის ჩამოყალიბება გააუქმებს თუ არა ამ განსხვავებებს კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადანაწილებით ევროპაში, ან გაზრდის მათ რეგიონული სპეციალიზაციის წახალისებით – გამოიყენოს მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომია წარმოებაში.

ფისკალური ფედერალიზმი. ევროპის მონეტარული სისტემის შეფასების სხვა შეხედულება არის ევროკავშირის უნარი, გადაიტანოს ეკონომიკური რესურსები ჯანსაღი ეკონომიკის მქონე წევრებიდან ჩამორჩენილი ეკონომიკის მქონე წევრ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში სხვებთან შედარებით ცუდად უზრუნველყოფილი შტატები ავტომატურად იღებენ საქველმოქმედო და სხვა ფედერალურ დახმარებას ვაშინგტონიდან, რაც ძირითადად შემოდის სხვა შტატების მიერ გადახდილი გადასახადებიდან. ასეთი ფისკალური ფედერალიზმი ეხმარება ეკონომიკური სტაბილურობის ზარალის ანაზღაურებას ფიქსირებული ვალუტის კურსის მეშვეობით (როგორც ეს აშშ-შია). სამწუხაროდ, ევროკავშირის შეზღუდული საგადასხდელო უნარი დიდ გასაქანს ვერ იძლევა მისი ფისკალური ფედერალიზმის ფართო მასშტაბით გასატარებლად.

დასკვნა

როგორ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ევროპის მონეტარულ სისტემაზე ვალუტის ოპტიმალური სივრცის თეორიის შუქზე? ნაკლებ სარწმუნოა, რომ ევროპის ნაწარმისა და საწარმოო ფაქტორების ბაზარი საკმაოდ უნიფიცირებულია, რათა წარმოქმნას ვალუტის ოპტიმალური სივრცე. ევროკავშირის პარტნიორებთან ვაჭრობა ნაკლებია თითოეული წევრის ეკპ-ის მეოთხედზე და სანამ კაპიტალი მცირე შეფერხებებით მოძრაობს, სამუშაო ძალის გადაადგილება არსად არ აღწევს იმ მაღალ დონეს, რაც საჭიროა ქვეყნისათვის, რათა სამუშაო ძალის მიგრაციით მოაწესრიგოს პროდუქციის ბაზრის შეფერხებები.

„1992“-ის სწრაფვამ ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ ევროკავშირი რამდენადმე დაახლოვა ვალუტის ოპტიმალურ სივრცეს, მაგრამ მცირე რამ გააკეთა, რათა დახმარებოდა სამუშაო ძალის გადაადგილებას ევროპაში. რადგან სამუშაო ძალის შემოსავალი ევროკავშირში შეადგენს მისი ეკპ-ის 2/3 და უმუშევრობა ასე დიდია, სამუშაო ძალის დაბალი გადაადგილება ევროკავშირის ქვეყნებს შორის ნიშნავს, რომ ეკონომიკური სტაბილურობის ზარალი ევროპის მონეტარული სისტემის წევრობიდან, მაღალია. ასეთი ზარალი გამოწვეულია უმუშევრობის მუდმივად მაღალი დონით ევროპის მონეტარული სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში (იხ. ცხრილი 19-3).

ევროკავშირში კაპიტალის სწრაფი და სამუშაო ძალის მიგრაციითა არსებული კომბინაციით შესაძლოა სასურსათო ბაზრის შოკების რეგულირების ხარჯის გაზრდა ვალუტის კურსის შეუცვლელად. მაგალითად, თუ ნიდერლანდებში არახელსაყრელი გადახრაა გამოშვების მოთხოვნაში, დანიის კაპიტალი შესაძლოა საზღვარგარეთ გადადინდეს და გაცილებით მეტი დანიელი უმუშევარი დატოვოს იქამდე, ვიდრე მთავრობის ჩარევა შეაკაეებს კაპიტალს ქვეყნის საზღვრებში. ამას შესაძლოა მოჰყვეს მკაცრი და მუდმივი რეგიონული დეპრესია, რასაც გააუარესებს ის, რომ წარმატებით ემიგრირებული მუშები პროფესიონალები, უნარიანნი და ალღოიანნი არიან. რადგან სამუშაო ძალა შედარებით არამობილურია ევროპაში, ევროკავშირის წარმატებამ მისი კაპიტალის დინების ლიბერალიზაციაში შესაძლოა საწინააღმდეგოდ იმოქმედოს და გააუარესოს ეკონომიკური სტაბილურობის ზარალი ევროპის მონეტარული სისტემის ფიქსირებული სავალუტო კურსის მეშვეობით. ეს შესაძლებლობა კიდევ ერთი მაგალითია მეორე საუკეთესოს თეორიისა (თავე 9), რაც გულისხმობს, რომ ერთი ბაზრის ლიბერალიზაციას (კაპიტალის ბაზრის) შეუძლია შეამციროს ევროკავშირის ეკონომიკის მწარმოებლურობა, თუ მეორე ბაზარი (სამუშაო ძალის ბაზარი) განაგრძობს ცუდად მუშაობას.

ბევრი ევროპელი ლიდერი მაინც ასკენიდა, რომ შემდეგი ნაბიჯი ევროკავშირის შიდა ბაზრის უნიფიცირებაში უნდა ყოფილიყო თვით ევროპის მონეტარული სისტემის შეცვლა ერთიანი ევროპული ვალუტით, რომელსაც ერთიანი ევროპის ცენტრალური ბანკი გამოუშვებდა. როგორც შემდგომ აღვნიშნავთ,

ევროპის ეკონომიკური და მონეტარული კავშირი

ქვეყნებს თავიანთი ვალუტების ერთმანეთთან დაკავშირება ბევრნაირი საშუალებით შეუძლიათ. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ შეერთების რამდენიმე მოდელი ქმნის სპექტრს, რომლის ერთ ბოლოს განლაგება მოითხოვს მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობის მცირე დათმობას, მაგრამ მეორე ბოლოში ეს ღონისძიებები მოითხოვენ დამოუკიდებლობას მოლიანად.

ევროპის ადრეული მონეტარული სისტემა, რომელიც ხასიათდებოდა ვალუტის ხშირი რეგულირებით და კაპიტალის მიმოქცევის ფართოდ გაერცვლებული სამთაყობო შემოწმებით, მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლეოდა ქვეყნის მონეტარული პოლიტიკისათვის. 1989 წელს ევროკომისიის პრეზიდენტის ეაკ დელორის თავმჯდომარეობით, კომიტეტმა შემოგვთავაზა სამსაფეხურიანი გადასვლა მიზნისაკენ – ახლახანს აღწერილი პოლიტიკის სფეროს მეორე უკიდურეს ბოლოში. ეს მიზანი არის ეკონომიკური და მონეტარული კავშირი, ევროკავშირი, სადაც ქვეყნის ვალუტები შეიცვლება ევროკავშირის ერთიანი ვალუტით, რომელსაც მართავს ცენტრალური ბანკი ევროკავშირის წევრების სახელით.

დელორის გეგმის პირველ საფეხურზე ევროკავშირის ყველა წევრი შეუერთდებოდა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმს. სინამდვილეში კი საბერძნეთი არ შესულა ამ კავშირში, ბრიტანეთმა და იტალიამ კი თავიანთი წევრობა 1992 წლის სექტემბერში გააფორმეს. ფინეთმა და შვედეთმა, რომელიც ევროკავშირს 1995 წელს შეუერთდა, ჯერ კიდევ არ შესულა ვალუტის კურსის მექანიზმში. მეორე საფეხურზე ვალუტის კურსის სასლგარი შევიწროვდება და გარკვეული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებები მოექცევა ევროკავშირის უფრო მეტად ცენტრალიზებულ კონტროლში. და ბოლოს, მესამე საფეხური გულისხმობს ქვეყნის ვალუტების შეცვლას ევროპის ერთიანი ვალუტით და მონეტარული პოლიტიკის ყველა გადაწყვეტილების დაქვემდებარებას ევროსისტემის ცენტრალური ბანკებისადმი (აშშ-ს ფედერალური სარესურსო სისტემის მსგავსად); ამ პროცესს უნდა ხელმძღვანელობდეს ევროპის ცენტრალური ბანკი.

1991 წლის 10 დეკემბერს ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ დანიის უსკელეს ქალაქ მაასტრიხტში და შეთანხმდნენ, რატიფიკაციის მიზნით წარედგინათ შესწორებები რომის შეთანხმებისათვის.

ეს შესწორებები ნიშნავდა, დაეყენებინათ ევროკავშირი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის გზას. 250 გვერდიანი მაასტრიხტის ხელშეკრულება მოითხოვდა დელორის გეგმის მეორე საფეხურის დაწყებას 1994 წლის 1 იანვრიდან და მესამე საფეხურის დაწყებას არაუგვიანეს 1999 წლის 1 იანვრისა. მონეტარული პოლიტიკის დებულებასთან ერთად მაასტრიხტის ხელშეკრულება შეიცავდა ევროკავშირში სოციალური პოლიტიკის პარამონისაციისაკენ მიმართულ საფეხურებს (როგორცაა სამუშაო ადგილების უსაფრთხოება, მომხმარებლის დაცვა და საემიგრაციო კანონები) და აგრეთვე, მიმართული იყო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციისაკენ, რასაც ევროკავშირის წევრები დამოუკიდებლად ახორციელებდნენ.

აღმონდა, რომ ეს წინადადებები წინააღმდეგობრივი იყო და მძაფრ კამათს იწვევდა ევროპაში. რატომ უნდოდათ ევროკავშირის ლიდერებს, გაეტარებინათ ეკონომიკური და მონეტარული კავშირი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ევროკავშირი ვერ ასრულებდა ვალუტის ოპტიმალური სივრცის მოთხოვნებს? მათ სამი მოთავარი მიზეზი ჰქონდათ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მხარდასაჭერად:

1. მათ სწამდათ, რომ ევროკავშირის ერთიანი ვალუტას ექნება ვალუტის ფიქსირებულ კურსზე მეტი მონეტარული მოგება, ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის რეგულირების საშიშროების აღმოფხვრითა და მოვაჭრეებისათვის ამავე სისტემის ერთი ვალუტის მეორე ვალუტად კონვერტირების ხარჯის გაუქმებით.
2. ევროკავშირის სოციალური ლიდერი ფიქრობდა, რომ გერმანიის მიერ ევროპის მონეტარული სისტემის მონეტარული პოლიტიკის მართვამ ცალსახად გამოყო გერმანიის მაკროეკონომიკური მიზნები ევროპის მონეტარული სისტემაში მისი პარტნიორების ინტერესების ხარჯზე. ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც შეცვლის გერმანიის ბუნდესბანკს ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ხელმძღვანელობით, უფრო ტაქტიანი იქნება სხვა ქვეყნების პრობლემების მიმართ.
3. ევროკავშირის ქვეყნების ყველა ლიდერი იმედოვნებდა, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულების დებულებები დასავლეთ ევროპას პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას მისცემდა. მისი წმინდა ეკონომიკური ფუნქციების გარდა ევროკავშირის ერთიანი ვალუტა უნდა ყოფილიყო სიმბოლო ევროპის სურვილისა, ქვეყნების თანამშრომლობა დაეყენებინა მეტოქეობაზე წინ, რაც ხშირად ამებს იწვევდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების კრიტიკოსები უარყოფდნენ, რომ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს დადებითი შედეგები ექნებოდა და ეწინააღმდეგებოდნენ ხელშეკრულების დებულებებს, ევროკავშირისათვის დაექვემდებარებინათ უფრო ძლიერი სამთავრობო ძალაუფლება. ამ კრიტიკოსების ასრით, ეკონომიკურ და

მონეტარულ კავშირს გააჩნდა ტენდენცია, უარყო ადგილობრივი მოთხოვნები, ჩარეულიყო ქვეყნის ადგილობრივ საქმეებში და დაემცირებინა ქვეყნისათვის დამახასიათებელი სიმბოლოები.

მაასტრიხტში ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, მოლაპარაკება ჩიხში მოექცა უმეტესად იმ ეკონომიკური ტენდენციის გამო, რამაც ბევრ ევროპეულს გაუჩინა კითხვა: იქნებოდა თუ არა მათი ქვეყანა იმდენად სასრიალი, რომ ნაკლები კონტროლი გაეწია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისათვის

საკითხის შესავლისათვის

როგორ „დაეხმარა“ ევროპის მაკროეკონომიკური დაბაბულება მაასტრიხტის ხელშეკრულების ჩაშლას.

მაასტრიხტის ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა, ვიდრე მას ევროკავშირის წევრები არ დაამტკიცებდნენ ქვეყნის რეფერენდუმით ან საპარლამენტო კენჭისყრით. ევროკავშირის ლიდერები გაოგნებულნი დარჩნენ 1992 წლის ივნისში, როცა ხელშეკრულება პირველი კენჭისყრის დროს უარყოფილ იქნა დანიელი ამომრჩევლების მიერ. ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მომავალიც გაუარესდა 1992 წლის ბოლოს. სექტემბერში ევროპის მონეტარული სისტემის პარიტეტმა განიცადა სპეკულანტური შეტევა, რამაც შეარყია ევროკავშირის პროგრესი მონეტარული უნიფიკაციის საქმეში 1989 წლის დელორის გეგმის პირველი ეტაპის დასრულებაში, რასაც ემყარებოდა ეს შეთანხმება. 1993 წლის აგვისტოს სპეკულანტებმა მეორედ სცადეს, უკან დაეწიათ ეს პარიტეტი, ამჯერად ვალუტის კურსის ფართო ზღვრამდე. მაშ როგორღა წავიდოდა წინ ეკონომიკური და მონეტარული კავშირი?

ამ პერიოდში ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მომავალი ცოტა საეჭვო გახდა. ეკონომიკური დაბაბულება, რამაც გამოიწვია ევროპის მონეტარული სისტემის ყველაზე უარესი სპეკულანტური კრიზისი და შეანელა სულა ევროპული ინტეგრაციისაკენ, შემთხვევითი არ იყო. ეს დაბაბულება უშუალო შედეგი იყო ამ თავში აღრე აღწერილი ევროპის მონეტარული სისტემის ორი თვისებისა (ეკონომიკური სტაბილურობის დიდი ზარალი, რაც განიცადას წევრმა ქვეყნებმა ფიქსირებული ვალუტის კურსის გამო) და გერმანიის ბატონობისა ევროპის მონეტარული სისტემის მონეტარულ პოლიტიკაზე.

გერმანიის გაერთიანება

1970 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანება ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა იყო, რასაც ევროპის მონეტარული სისტემა ნაკლებად მართავდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ევროპის მონეტარული სისტემის წევრმა გერმანიის პარტნიორებმა სწრაფად იგრძნეს გერმანიის შიდა პოლიტიკის გადაწყვეტილებების შედეგი, რაც გაერთიანებას მოჰყვა.

1989 წელს აღმოსავლეთ ევროპის გადატრიალებამ, რაც ბერლინის კედლის დამხობით გამოიხატა, საშუალება მისცა გერმანიის ორივე ნაწილს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო გაყოფილი, კელაე ერთიანი ქვეყანა გამხდარიყო. ეკონომიკური გაერთიანება დაიწყო 1990 წლის 1 ივლისს, როცა აღმოსავლეთ გერმანიამ დაიწყო თავისი შენატანების გადაცვლა გერმანულ მარკებზე (იხ. თავი 19).

აღმოსავლეთ გერმანიაში ხელფასები, რაც დასაწყისში გაცილებით დაბალი იყო დასავლეთ გერმანიაში არსებულთან შედარებით, გაიზარდა, როცა აღმოსავლეთ გერმანიის მუშებმა მოითხოვეს თანასწორობა ქვეყნის სხვა მუშებთან. ეს ვითარება გაკვირვებას იწვევდა, რადგან აღმოსავლეთ გერმანიაში დამზადებული დაბალი ხარისხის პროდუქციაზე მოთხოვნა მცირე იყო; ბევრ აღმოსავლეთ გერმანელ მუშას აკლდა კვალიფიკაცია, მონდომება და დასავლეთის თანამედროვე აღჭურვილობა. შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის მოდერნიზაციისათვის კერძო ინვესტიციების მოზიდვის იმედი არ გამართლდა. შედეგად მივიღეთ დიდი უმუშევრობა აღმოსავლეთ გერმანიაში და გამოშვების მკვეთრი შემცირება. აღმოსავლეთ გერმანელების მდიდარმა დასავლეთელმა ნაოესავეებმა შეამჩნიეს, რომ მათ დიდი შენატანები შექონდათ აღმოსავლეთ გერმანიაში უმუშევრების დასახმარებლად და მათ ხელახლა მოსამსაღებლად, აღმოსავლეთის მოძველებული ძირითადი კაპიტალის გასაახლებლად და დაბინძურებული გარემოს მოსაველად. რადგან გერმანიის მთავრობამ ამჯობინა ესესხა ფული და არ გაეზარდა გადასახადი, სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის დეფიციტი სწრაფად გაფართოვდა. ფისკალური სტიმული დაემატა მოთხოვნის სეწოლას, რაც 1990 წლამდე დიდი ხნით აღრე წარმოიშეა.

დასავლეთის ილუზიების გაფანტვამ და აღმოსავლეთის იმედგაცრუებამ ხელი შეუწყო ხელფასის გაზრდის აგრესიულ მოთხოვნას და გაფიცვებს. დამატებით ინფლაციური სეწოლა გამოიწვია აღმოსავლეთ გერმანელების მიერ შეუსაღუდავმა ხარჯვამ, რომლებიც იყენებდნენ დასავლეთიდან მიღებულ გერმანულ მარკებს მაღალხარისხიანი ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შესაძენად, რასაც მოკლებულნი იყვნენ კომუნისტური წყობის პირობებში. მზარდი ფასების შესაწერებლად გერმანიის ბუნდესბანკმა ახსნა თავისი მონეტარული მუხრუკები 1992 წელს და უმაღლეს დონემდე ასწია საპროცენტო განაკვეთი.

მაგრამ ამ დროისათვის ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიკა, გერმანიის გარდა, სუსტდებოდა ერთი წლის განმავლობაში. ამ სისუსტის ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა ყოფილიყო გერმანიის ერთობლივი მოთხოვნის გაფართოება, რომელმაც ასწია საპროცენტო განაკვეთები გერმანიასა და მოლიანად ევროპის მონეტარულ სისტემაში (ამ თავის დანართი გეინგენებს, თუ ერთობლივი მოთხოვნის ზრდას გერმანიაში როგორ შეუძლია დააკინოს იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომლებმაც თავიანთი ვალუტა გერმანულ მარკას მიაბეს).

გერმანიის გადაწყვეტილებამ, მკვეთრად შეემჯიდროვებინა თავისი მონეტარული პოლიტიკა, საგონებელში ჩააგდო ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ევროპის მონეტარულ სისტემის სხვა პარტნიორი ქვეყნები გერმანიასთან ერთად, მათაც ხომ არ უნდა შეემჯიდროვებინათ საკუთარი მონეტარული პოლიტიკა ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად. თუ უნდა გაეუფასურებინათ თავიანთი ვალუტა გერმანულ მარკასთან შედარებით, როგორც მათ პროდუქციაზე საერთაშორისო მოთხოვნის წახალისების საშუალება? გერმანიის მკაცრი მონეტარული პოლიტიკის კრიტიკის დროს მისი პარტნიორი ქვეყნები ევროპის მონეტარულ სისტემაში ზრდიან საკუთარ საპროცენტო განაკვეთებს, რათა შეეწინააღმდეგონ გაუფასურებას.

სამწუხაროდ, ევროპის მონეტარული სისტემის პარიტეტის დაცვამ გააღრმავა ევროპის ეკონომიკური უკუსვლა (გერმანიის გარდა). გერმანიამ უარი თქვა ევროპის მაკროეკონომიკური პრობლემების პასუხისმგებლობაზე და პოლიტიკის არსებით შეცვლაზე.

საზოგადოებრივი აზრი და მაასტრიხტის ხელშეკრულება

ევროპელები, გერმანელების გარდა, შიშობდნენ, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი ბუნდესბანკზე უკეთ ვერ იმუშავებდა ცალკეული ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნილებების შესასრულებლად. ისინი აგრეთვე შიშობდნენ, რომ ძლიერ, გაერთიანებულ გაერმანიას გადამწყვეტი ხმა ექნებოდა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მართვისათვის. თვითონ გერმანელებიც ფიქრობდნენ, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი ნაკლებ გულმოდგინე იქნებოდა, ვიდრე ბუნდესბანკი ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველგან მსარდი უმუშევრობის პირობებში ევროპელებს უფრო მეტად სურდათ ერწმუნათ ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ოპონენტებისა, რომლებიც უმუშევრობას ევროკავშირის შესღულელ შიდა ვაჭრობასა და სამეგრაციო პოლიტიკას აბრალებდნენ. მაასტრიხტის ხელშეკრულებით საზოგადოების უკმაყოფილება გაიზარდა; 1992 წელს დანიამ, რომელმაც პირველმა მისცა ხმა, შემდეგში იგი უარყო; ამან წარმოშვა სერიოზული პრობლემები, რადგან რომის ხელშეკრულების შესწორებები მოითხოვდა ევროკავშირის ყველა წევრის მიერ მის ერთხმად დამტკიცებას.

იმ დროს, როცა ევროსაბჭოს მოსამართლეები და დიპლომატები ამ პრობლემიდან გამოსავალს ეძიებდნენ, ხელშეკრულება მოულოდნელ გასაჭირში ჩაყარდა საფრანგეთში, სადაც რეფერენდუმში დანიშნული იყო 20 სექტემბერს. აგვისტოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფრანგი ამომრჩევლები მთავრობის მიერ ეკონომიკის მართვით უკმაყოფილონი იყვნენ და ამიტომ დაიყენენ ამ ხელშეკრულების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. საფრანგეთის მიერ უარყოფა გაანადგურებდა ხელშეკრულებას და, ალბათ, დაასუსტებდა ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნების გადაწყვეტილებას, შეენარჩუნებინათ თავიანთი ფიქსირებული ვალუტის კურსი.

შავი ოთხშაბათი

საფრანგეთის მიერ მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარის თქმის პერსპექტივის გამო უცხოეთის ვალუტის ბაზრის მონაწილეებმა გაითამაშეს, რომ სუსტი ვალუტა გაუფასურდებოდა. გადამწყვეტი შეტყვის შედეგად დარტყმა მიიღო ფინეთის მარკა და შეედეთის კრონმა. ამ დროისათვის არც ერთი ეს ქვეყანა ევროკავშირში არ შედიოდა, მაგრამ ორივეს უნდოდა წევრობა და შესვლაზე მოადყოფნის დასამტკიცებლად მათ თავიანთი ვალუტები მიაბეს ეკიუს. ფინეთმა მაშინვე ანება თავი ბრძოლას და 8 სექტემბერს დაუშვა მარკის გაუფასურება ეკიუსთან შედარებით. შეედეთი დროებით მაინც აღწევდა წარმატებას კრონის დაცვაში, მაგრამ სპექულაცია შეჩერდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა ბანკმა, რიკსბანკმა, ერთდღიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს წლიურ 500%-მდე მიღწევის საშუალება მისცა (დაახლოებით 1,4% დღეში). იმავე დროს, ბრიტანეთისა და იტალიის მთავრობები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ვალუტა ევროპის მონეტარული სისტემის მინიმალურ სტეარზე მაღლა.

გირვანქა სტერლინგსა და ლირაზე სეწოლა ერთი კვირა გრძელდებოდა. პარასკევს, 11 სექტემბერს, ბუნდესბანკმა დახარჯა 24 მლრდ გერმანული მარკა (16 მლრდ აშშ დოლარი) ევროპის მონეტარული სისტემის ინტერვენციის წესების დაცვით და ლირას მხარდასაჭერად. ბუნდესბანკს მეტის დახარჯვის სურვილი არ აქონდა; კვირის ბოლოს ევროპის მონეტარული სისტემა დათანხმდა, რომ იტალიას 7%-ით გაუეფასურებინა თავისი ვალუტა ეკიუსთან შედარებით. ლირას პარიტეტის ცვლილება იყო ევროპის მონეტარული სისტემის მიერ პირველი რეგულირება საბაზრო სეწოლის პირობებში 1987 წლის იანვრიდან. უცხოური ვალუტის ბაზრის მონაწილეთათვის ეს იყო იმის ნიშანი, რომ ევროპის მონეტარული

სისტემის სხვა ვალუტებზე შეტევა, შესაძლოა, გაგრძელდეს.

16 სექტემბერს, იმ დღეს, რომელიც ცნობილია „შავ ოთხშაბათად“ (რაკი ევროპის მონეტარულ სისტემას ზიანი მიაყენა), გირვანქა სტერლინგს ცურვის შესაძლებლობა მიეცა მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა მილიარდობით დოლარი დააკარგა მის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ღირს სულ რაღაც ორი დღის წინ გაუფასურდა, იტალიამ ამჯობინა, ამოეღო იგი ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის მექანიზმიდან, ვიდრე მეტი ეზარალა. ესპანეთმა გააუფასურა პესეტა და ხელახლა დააწესა ვალუტის კონტროლი საკუთარი რეზერვების დაკარგვის ტემპის შესამცირებლად.

ფრანგული ფრანკიც მოხვდა შეტევის არეში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ინფლაციის დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე გერმანიაში (იხ. გრაფიკი 20-1). საფრანგეთის ბანკისა და ბუნდესბანკის მძიმე და ხანგრძლივმა ინტერვენციამ, საფრანგეთის საპროცენტო განაკვეთების სწრაფ ზრდასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს ამოწია ფრანკი გერმანულ მარკასთან შედარებით. ევროპის მონეტარული სისტემის ისტორიაში ყველაზე შფოთიანი კვირის შემდეგ, 20 სექტემბერს, ფრანგმა ამომრჩეველებმა ხმა მისცეს მასტრიხტის ხელშეკრულებას და ამით ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს შესაძლებლობა მისცეს, წინ ევლო ნელი ტემპით.

მუდმივი კრიზისი

ვალუტის შესახებ არეულობა გრძელდებოდა მთელ 1992 წელს და 1993 წლის გაზაფხულზეც. 1992 წლის ბოლოს გაუფასურდა პორტუგალიის ესკუდო. ესპანეთის პესეტასაც კვლავ იგივე დამართა, შედეგით კი კრონა კი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ფასს. 1993 წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა ირლანდიური პუნტი, ესკუდოც ხელმეორედ გაუფასურდა, ესპანეთის პესეტა კი – მესამედ. ფრანგული ფრანკი და დანიური კრონი პერიოდულ სპეკულატურ ზეწოლას განიცდიდა. ამის ფონს ქმნიდა ევროპის მონეტარული სისტემის ეკონომიკების გაღრმავებული რეცესია და ბუნდესბანკის დაქინებული მოთხოვნა თანდათანობით შემცირებულიყო გერმანიის საპროცენტო განაკვეთი.

1993 წლის გაზაფხულზე დანიაში შედგა მეორე რეფერენდუმი მასტრიხტის ხელშეკრულების თაობაზე მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ქვეყნებმა უფლება მისცეს დანიას, უარი ეთქვა მონაწილეობაზე ერთიან მონეტარულ და თავდაცვით ორგანიზაციებში, რომელსაც ეს ხელშეკრულება შექმნიდა. 1993 წლის ნოემბერში მასტრიხტის ხელშეკრულება მიღებული იქნა. ამ დროისათვის 12 ქვეყანა, რომელიც ადრე გაერთიანებულ იყო ცნობილი, ევროკავშირად გადაიქცა.

1993 წლის იელისის ბოლოს სპეკულანტებმა მძლავრად შეეტიეს ფრანგულ ფრანკსა და ევროპის მონეტარული სისტემის სხვა ვალუტებს გერმანიასა და ევროპის მონეტარული სისტემის წევრებს შორის საპროცენტო განაკვეთის შესახებ ახალი უთანხმოების შემდეგ. 31 იელისს, პარასკევს, მარტო ბუნდესბანკმა გაყიდა 50 მლრდ გერმანული მარკა (დაახლოებით 30 მლრდ დოლარი) ფრანგული ფრანკის დასახმარებლად, მაშინ როცა საფრანგეთის ფრანკმა მთლიანად გამოიყენა საკუთარი უცხოური მარაგი. მომდევნო ორშაბათს, 2 აგვისტოს, ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსი მერყეობდა საკმაოდ ფართო $\pm 15\%$ საზღვრებში არსებული ცენტრალური პარიტეტის პირობებში. ევროპის მონეტარული სისტემის წესებში ეს ცვლილება ერთადერთი სქემა იყო, რისი აღმოჩენაც ევროკავშირის მინისტრებს შეეძლოთ, რაც საშუალებას აძლევდა საფრანგეთის მთავრობას, აეცილებინა ფრანკის ოფიციალური გაუფასურება, მაშინ როცა ბუნდესბანკს თავისუფლებას აძლევდა, ნელ-ნელა შეემცირებინა თავისი საპროცენტო განაკვეთები.

1993 წლიდან საპროცენტო განაკვეთი ევროპაში შემცირდა და მისი რეცესია შემსუბუქდა, თუმცა უმუშევრობა კვლავ მაღალი იყო. 1995 წლის აგვისტოში ფინეთი და შედეგით შეუერთდნენ ევროკავშირს (ნორვეგიის ამომრჩეველებმა ადრე უარი თქვეს, მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის რეფერენდუმში). ევროკავშირის ლიდერები მოითხოვდნენ, რომ ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს გაეგრძელებინა წინსვლა და მასტრიხტის ხელშეკრულების შესაბამისად, შექმნა ევროპის მონეტარული ინსტიტუტი, ჩანასახოვანი ან გარდამავალი ცენტრალური ბანკი, რომელსაც აკლდა მონეტარული პოლიტიკის ძალაუფლება.

ბევრი მიმომხილველი სექტიკურადაა განწყობილი იმის მიმართ, რომ გაუმჯობესებული ევროპის მონეტარული სისტემა გარდაიქმნას ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირად მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში; თანაც ისეთ დიდ ქვეყნებთან ერთად როგორცაა საფრანგეთი, რომელიც თავიდანვე მიემა მთავარი ჯგუფის ვალუტას. მასტრიხტის ხელშეკრულება გულისხმობს, რომ ქვეყნებს, რომლებიც შედიან ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში, უნდა ჰქონდეთ ეშპ-ის 3%-ზე ნაკლები ფისკალური დეფიციტი და ეშპ-ის 60%-ზე ნაკლები სახელმწიფო ვალი. ამ პერიოდში ევროპის მონეტარული სისტემის წევრები თვლიდნენ, რომ მათთვის პოლიტიკურად ადვილი იქნებოდა მასტრიხტის ამოცანების მიღწევა.

ვალუტის დაძაბულობა კვლავ რჩებოდა. ესპანეთის პესეტა და პორტუგალიის ესკუდო დარეგულირდნენ ადრე, 1995 წელს; ფრანგული ფრანკიც ამვე წელს მიექცა სეწოლის ქვეშ. პოლიტიკურ ინტეგრაციას

ევროკავშირში ძირი გამოეთხარა ჯგუფის უუნარობით, ჩამოეყალიბებინათ ეფექტური ერთობლივი პოლიტიკა 1990-იანი წლების შუა ხანების ბოსნიის სამოქალაქო ომის წინააღმდეგ.

1992-1993 წლების დრამატულმა ეკონომიკურმა მოვლენებმა ბევრი ევროპელი დაარწმუნა, რომ ევროპის მონეტარული სისტემა არასრულყოფილი იყო. ბევრი სექტიკურად უყურებდა იმას, რომ ევროპის მონეტარული კავშირისკენ სვლას გაუმჯობესება მოსყვებოდა.

ახალი ვალუტის ღიზინი და სახელწოდება

მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველმომცემელი მონეტარული კავშირის მისაღწევად ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობაა ერთიანი ევროპის ახალი ვალუტის გარეგნული სახე და სახელწოდების არჩევანი.

ზოგიერთი ევროპელი ხელისუფალი ცდილობს, შეინარჩუნოს ქვეყნის სიმბოლო მათ მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულზე (მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ფული მიმოქცევა მთელ ევროპაში) ისევე, როგორც აშშ ქაღალდის დოლარი, რომელზეც ჩიკაგოს ფედერალური სარეზერვო ფედერალური ბანკის ბეჭედი დასმული, შესაძლოა მოხედეს ნიუ-იორკელების საფულეებში. ბრიტანელები მოითხოვენ, რომ მათი მონარქი აღიბეჭდოს ბანკნოტზე და მნიშვნელობა არ ანიჭებენ იმას, თუ როგორ მოიქცევა დანარჩენი ევროპა. ევროპის საერთო ბანკნოტზე შესაძლოა გამოისახოს ევროკავშირის დროშა (კისფერ ფონზე 12 ყვითელი, წრიულად განლაგებული ვარსკვლავი); მაგრამ უფრო ეგზოტიკური წინადადებებიც არსებობს – მაგალითად, მიქელანჯელოს "დავითი", ან ყინიკიელი მეფის ასული ევროპა, რომელიც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ხარად გარდასახულმა ზევსმა მოიტაცა.

ახალი ვალუტის სახელწოდება მეორე თავსატეხად იქცა, ვიდრე 1995 წლის დეკემბერში შეარჩევდნენ სახელწოდება „ევროს“. მაასტრიხტის ხელშეკრულება სთავაზობდა „ეკოეს“, მაგრამ ბევრი ევროპელი ქვეყნის ხელმძღვანელი თვლიდა, რომ მართებული არ იქნებოდა აღრუარებული ვალუტის ნაკრების სახელწოდების მიღება და თანაც ისეთის, რომელიც სწრაფად გაუფასურდა გერმანულ მარკასთან შედარებით. შემდეგი პრობლემა იყო გერმანიის კანცლერ კოლდის წინააღმდეგობა, რადგან გერმანულად „ein ECU“ ელერდა, როგორც „eine Kuh“ – ძროხა. შემთავაზებული იყო აგრეთვე სახელწოდებები: **ფრანკენი და შილინგი.**

ბევრისათვის ვალუტის ახალი სახელწოდება „ევრო“ იძულებითი კომპრომისი იყო. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ევრო ლიდ ემოციებს არ აღძრავდა მასში (ვირუანქა სტერლინგთან შედარებით). ბერძნები აღნიშნავდნენ, რომ „ევრო“ ელერს, როგორც შარდი (urine). მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც „ევრო“ დადგინდა.

რეზიუმე

1. ევროკავშირის ქვეყნები სამი მიზეზის გამო უკერუნ მხარს ფიქსირებული ვალუტის კურსს: ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მონეტარული ერთიერობა მათ უფრო მეტ წონას შესძატებს საერთაშორისო ეკონომიკურ მოვლაპარაკებებში; ისინი განიხილავენ ფიქსირებული ვალუტის კურსს, როგორც ევროკავშირის ინიციატივაზე დამატებას ერთიანი ევროპის ბაზრის შესაქმნელად; ფიქსირებული ვალუტის კურსი აადვილებს **ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის** მართვას.
2. ევროპის მონეტარული სისტემა დამტკიცდა 1979 წლის მარტში. თავდაპირველად მასში შედიოდნენ ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. 1992-1993 წლებამდე ეს ქვეყნები ინარჩუნებდნენ საკუთარი ვალუტის კურსს $\pm 2,25\%$ -ის ფარგლებში. ავსტრია, ბრიტანეთი, პორტუგალია და ესპანეთი გაცილებით გვიან შევიდნენ ევროკავშირში. რეგულირება არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო სისტემის შესანარჩუნებლად 1980-იან წლებამდე; მაგრამ მას შემდეგ ბევრი რეგულირება გაუქმდა, როგორც ბაზრის უნიფიცირების ევროკავშირის უფრო ფართო „1992“ პროგრამის ნაწილი. ვალუტის კრიზისის დროს, 1992 წლის სექტემბერში, ბრიტანეთმა და იტალიამ ცურვის საშუალება მისცეს თავიანთ ვალუტებს და რამდენიმე ქვეყანამ ხელახლა შემოიღო ან გაამკაცრა რეგულირება საერთაშორისო გადახდებზე 1993 წლის აგვისტოს ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის ფარგლები გაფართოვდა $\pm 15\%$ -მდე განუწყვერელი სპექულატიური შეტყვის დროს.
3. პრაქტიკულად, ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტები მიბმულია გერმანულ მარკასზე ამის შედეგად, გერმანიას შეუძლია დაამკვიდროს მონეტარული პოლიტიკა ევროპის მონეტარული სისტემისათვის, ისევე როგორც აშშ-მ გააკეთა ბრეტონ ვუდსის სისტემის დროს. ევროპის მონეტარული სისტემის ნდობის თეორია გულისხმობს, რომ მონაწილე მოაერობები სარგებლობენ ბუნდესბანკის რეპუტაციით, როგორც ინფლაციის წინააღმდეგ მებრძოლისა, როცა ისინი აბამენ თავიანთ ვალუტებს გერმანულ მარკებს. ფაქტობრივად, ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნების ინფლაციის ტემპი ხასიათდება

გერმანიის საერთოდ დაბალი ინფლაციის ტემპის გარშემო გაერთიანებით.

4. ვალუტის ოპტიმალური სივრცის თეორია გულისხმობს, რომ ქვეყნებს სურვილი ექნებათ მიუერთდნენ ფიქსირებული ვალუტის კურსის სივრცეს, რომელიც დაკავშირებული იქნება მათს ეკონომიკებთან ვაჭრობისა და საწარმოო ფაქტორის მობილურობის მეშვეობით. ქვეყნის გადაწყვეტილება, შეუერთდეს ვალუტის კურსის სივრცეს, განისაზღვრება იმ სხვაობით, რაც არსებობს მიერთებით მიღებულ მონეტარულ ეფექტურობის მოგებასა და ეკონომიკური სტაბილურობის დაცვას შორის. GG-LL მრუდები ერთმანეთთან აკავშირებენ ორივე ამ ფაქტორს. მიერთებად ქვეყანასა და ფიქსირებული ვალუტის კურსის უფრო დიდ სივრცეს შორის ეკონომიკური ინტეგრაციით მიერთება ხელსაყრელია მხოლოდ მაშინ, როცა ეკონომიკური ინტეგრაცია გაივლის კრიტიკულ დონეს.
5. როგორც ჩანს, ევროკავშირი არ აკმაყოფილებს ვალუტის ოპტიმალური კურსის ყველა ამ კრიტერიუმს. თუმცა 1992 წელს ევროკავშირში ბაზრის ინტეგრაციის წინაშე მდგარი ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ევროკავშირის შიდა ვაჭრობა ინტენსიური მაინც არ არის. თანაც, სამუშაო ძალის გადაადგილება ევროკავშირის ქვეყნებს შორის უფრო შესაძლებელი აღმოჩნდა, ვიდრე ვალუტის სხვა დიდ სივრცეში. როგორცაა აშშ. და ბოლოს, ფისკალური ფედერალიზმის დონე ევროკავშირში ძალიან მცირეა იმისათვის, რომ წვერი ქვეყნები დაიფაროს არახელსაყრელი ეკონომიკური შემთხვევებისაგან. 1985-1990 წლებში ევროპის მონეტარულ სისტემაში ეკონომიკის კარგმა ფუნქციონირებამ საშუალება მისცა ევროკავშირის ხელმძღვანელებს, მოეძებნათ უფრო მეტი ეკონომიკური და მონეტარული ერთიანობა მნიშვნელოვანი ოპოზიციის გარეშე.
6. ამჟამად ევროკავშირის ლიდერები იმედოვნებენ, შეცვალონ ევროპის მონეტარულ სისტემა ეკონომიკური და მონეტარული კავშირით. მას ექნება ერთიანი ევროპული ვალუტა, რომელსაც გამოუშვებს ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობით. 1991 წლის დეკემბერს ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფლებმა ხელი მოაწერეს მასტრიხტის ხელშეკრულებას; ისინი შეთანხმდნენ, რომ 1999 წლისათვის ეკონომიკური და მონეტარული კავშირი რეალობა იქნებოდა.
7. მასტრიხტის ხელშეკრულებისადმი სასოგალოებრივი წინააღმდეგობის გაზრდის შემდეგ, 1992 წლის ზაფხულში ევროპის მონეტარულმა სისტემამ განიცადა ვალუტის კრიზისი, რამაც მისი ვალუტის კურსის მექანიზმი მოუწესრიგებელი გახადა. 1993 წლის ნოემბრისათვის ევროკავშირის ყველა ქვეყანამ ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას. ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობის გაგრძელებამ ევროპაში ცხადყო, რომ უოვლისმომცველი ეკონომიკური და მონეტარული კავშირის პატივმოყვრულ მიზნებს განხორციელება არ ეწერა.

პირითადი ტერმინები

ევროპის მონეტარულ სისტემის ნდობის თეორია
ეკონომიკური და მონეტარული კავშირი
მასტრიხტის ხელშეკრულება
ვალუტის ოპტიმალური სივრცე

ეკონომიკური სტაბილურობის დაცვა
ფისკალური ფედერალიზმი
მონეტარული ეფექტურობის მოგება

პითხვები

1. რატომ შეიძლება, რომ ძლიერი ვალუტის მქონედან სუსტი ვალუტის მქონე ქვეყნებისაკენ ევროპის მონეტარული სისტემის ცენტრალური ბანკის კრედიტის რესურსების გაფართოებამ, გაზარდოს ევროპის მონეტარულ სისტემაში ვალუტის კურსის სტაბილურობა.
2. 1992 წლის სექტემბრამდე ევროპის მონეტარულ სისტემაში ლირისა და გერმანული მარკის ვალუტის კურსი შესაძლოა მერყეობდეს 2,25 %-დან 'სვეით ან ქვეით. დავეუშვათ, ლირისა და გერმანული მარკის პარიტეტი და ფარგლები წამოყალიბებულია და არ შეიცვლება. რა მაქსიმალური შესაძლო განსხვავებაა ლირისა და გერმანული მარკის ერთწლიანი (სამთვიანი, ექვსთვიანი) დეპრესიების საპროცენტო განაკვეთებს შორის? გაგაკვირვებთ პასუხმა? ახსენით.
3. ვაგრძელებთ მეორე კითხვაში დაშვებულ ვარაუდს. იტალიაში საპროცენტო განაკვეთი ხუთწლიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე წლიურად არის 11%, გერმანიაში – 8%. რა იტვლისხმება ლირა/გერმანული მარკის არსებული ვალუტის პარიტეტის სარწმუნოებაში?
4. თქვენი პასუხი ბოლო ორ კითხვაზე მოთხოვს თუ არა იმას, რომ საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის კურსის მისაღწევად ცვლილება დაკავშირებული იყოს საპროცენტო პარიტეტით? რატომ?
5. ფინეთი შედის ევროპის მონეტარულ სისტემაში მას შემდეგ, რაც ევროპის მონეტარული სისტემა ნახულობს სარგებელს ევროპის მონეტარული სისტემის ხელსაყრელი გადახრით არაფინურ ექსპორტზე მსოფლიო მოთხოვნაში. რა მოუვა ფინური მარკის ვალუტის კურსს ევროპის მონეტარულ სისტემაში არშემაჯავლი ქვეყნების ვალუტებთან შედარებით? როგორია გაელენა ფინეთის გამოშვებაზე? რამდენადაა გაელენის ეს ოდენობა დამოკიდებული ვაჭრობის მოცულობაზე ფინეთისა და ევროპის მონეტარული სისტემის სხვა ეკონომიკებს შორის?

6. გამოყენეთ **GG-LL** მრუდები, რათა გვიჩვენოთ ქვეყნის ყველის მოთხოვნის ფუნქციაში მოულოდნელი გადახრების მოცულობისა და სიხშირის სრულ რეგორ გაველენას ახდენს ეკონომიკური ინტეგრაციის დონეზე იმ სავალუტო სივრცესთან, რომელშიც ქვეყანას უნდა შესულია.
7. ვალუტის კურსის მექანიზმზე სექტორული შეტყვის დროს მალევე, როცა ბრიტანეთმა მცოცაობის საშუალება მისცა გირვანქა სტერლინგს 1992 წლის სექტემბერში, ლონდონის ყოველკვირეულ ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოთქვა შემდეგი მოსაზრება:
 “ბრიტანეთის მთავრობის კრიტიკოსებს სურთ საპროცენტო განაკვეთების შემცირება; ფიქრობენ, რომ ეს შესაძლებელი იქნება, თუ ბრიტანეთი გააუფასურებს გირვანქა სტერლინგს და მიატოვებს ვალუტის კურსის მექანიზმს. მაგრამ ისინი ცდებიან – ვალუტის კურსის მექანიზმის მიტოვება უფრო გამოიწვევს მაღალ და არა დაბალ საპროცენტო განაკვეთს, რადგან ბრიტანეთის ეკონომიკურმა მართვამ დაკარგა ნდობის ხარისხი, რომელიც მოიპოვა ვალუტის კურსის მექანიზმის წევრობით. ორი წლის წინ ბრიტანეთის სახელმწიფო ფასიანმა ქაღალდებმა მოიგო სამი პროცენტული პენქტით მეტი, ვიდრე გერმანიისამ. ახლა სხვაობა ნახევარი პენქტია, რაც ასახავს ინვესტორის იმ რწმენას, რომ ბრიტანეთის ინფლაცია ეცემა – მიუღმივად.”
- ა) რატომ ფიქრობდნენ ბრიტანეთის მთავრობის კრიტიკოსები, რომ შესაძლებელი იყო საპროცენტო განაკვეთების შემცირება მას შემდეგ, რაც გირვანქა სტერლინგი ამოვარდებოდა ვალუტის კურსის მექანიზმიდან? (იმ დროს, როცა სტატია გამოქვეყნდა, ბრიტანეთი ღრმა რეცესიაში იყო).
- ბ) რატომ თვლიდა ჟურნალი “ეკონომისტში,” რომ საწინააღმდეგო მალევე მოხდებოდა, როგორც კი ბრიტანეთი გამოვიდოდა ვალუტის კურსის მექანიზმიდან?
- ც) როგორ მოიპოვებდნენ ბრიტანეთის პოლიტიკის შემქმნელები ნდობას ვალუტის კურსის მექანიზმის წევრობით (ბრიტანეთი შეუერთდა ვალუტის კურსის მექანიზმს 1990 წლის ოქტომბერში)?
- დ) რატომ ივარაუდებოდა ბრიტანეთის ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მაღალ დონეში, გერმანიის ვალუტის კურსთან მიმართებით, ბრიტანეთის მომავალი მაღალი ინფლაციის მოლოდინი?
- ე) გადმოგვეცით ორი მიზეზი: რატომ უნდა იყოს იმ მომენტში ბრიტანეთის საპროცენტო განაკვეთი გერმანიულზე რამდენადმე მაღალი, მიუხედავად იმ რწმენისა, რომ „ბრიტანეთის ინფლაცია ეცემა – მიუღმივად”.
8. წარმოადგინეთ, რომ ვალუტის კურსის მექანიზმი გადაიქცევა მონეტარულ კავშირად ერთიანი ვალუტით, მაგრამ ვერ შექმნის ევროპის ცენტრალურ ბანკს ამ ვალუტის სამართავად. სამაგიეროდ, ეს დაეულება რჩება ქვეყნის რამდენიმე ცენტრალურ ბანკს, რომელთაგან თითოეულს შეუძლია სასურველი რაოდენობის ევროვალუტა გამოუშვას და წარმართოს ღია ბაზრის ოპერაციები. რა პრობლემები გაჩნდება ასეთ შემთხვევაში?
9. რატომ უნდა ყოფილიყო სახიანო ევროკავშირის სამუშაო ძალის ერთიანი ბაზრის შექმნის ჩაეარდნა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის სრულყოფილად ფუნქციონირების პერსპექტივისათვის?
10. რაც შეეხება ამ თავის დანართს, რა მოევა ბრიტანეთის გამოშვებასა და საპროცენტო განაკვეთს, თუ უცხოეთის ვალუტის ბაზრის მონაწილეები გადაწყვიტენ, რომ მომავალში გირვანქა სტერლინგი გაუფასურდება გერმანიულ მარკასთან შედარებით, როგორია გერმანიის ეკონომიკაზე გავლენა?

მე-20 თავის დანართი

როგორ შეიქმნა გერმანიის ბაზრისათვის ბაზრისათვის ევროპის რეცესია 1990-იანი წლების დასაწყისში.

ამ თავში აღწერილია, როგორ დააქვეითა გერმანიის ერთობლივი მოთხოვნის გაფართოებამ, რაც ქვეყნის გაერთიანებას მოჰყვა 1990 წელს, ევროპის მონეტარული სისტემის პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა. შესაძლოა გაგაოცოთ იმან, რომ ვალუტის ფიქსირებული კურსის დროს ერთი ქვეყნის ბუმმა შესაძლოა მისი სავაჭრო პარტნიორები ეკონომიკურ კრიზისში წააგდოს. ამ დანართში ახსნილია ის ეკონომიკური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ეს შედეგი მიიტანონ.

რომ გავიგოთ გერმანიის გაერთიანების შედეგები ევროპის მონეტარული სისტემაზე, უნდა გამოვიყენოთ IS-LM მოდელი, რომელიც მოცემულია მე-16 თავის I დანართში. DD-AA მოდელი სენი მოსწიებისათვის არ გამოდგება, რადგან არ ითვალისწინებს მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთების უარყოფით გავლენას მოხმარებასა და ინვესტიციაზე. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ საპროცენტო განაკვეთის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე ამ ანალიზისათვის ცენტრალურია.

სიმარტივისათვის წარმოვიდგინოთ, რომ ევროპის მონეტარული სისტემა შედგება ორი ქვეყნისაგან: გერმანიისა და დიდი ბრიტანეთისაგან. გერმანიას დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა გააჩნია, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მონეტარული პოლიტიკა მთლიანად მიმართულია გირვანქა სტერლინგისა და გერმანიული მარკის

გაცვლითი კურსის E^0 ფიქსირებულ დონეზე (გართულებების თავიდან ასაცილებლად უარს ვამბობთ ევროპის მონეტარული სისტემის ვალუტის კურსის საზღვრებზე).

ბრიტანეთის IS მრუდის ტოლობა იღებს შემდეგ სახეს:

$$Y_{UK} = D_{UK} (E^0, P_{DM}, P_G, Y_{UK}, -T_{UK}, Y_G, -T_G, R_{DM} - \pi_{UK}, G_{UK}). \quad (20დ-1)$$

ისევე როგორც მე-19 თავში მოცემულ ორქვეყნიან მოდელში (გაიხსენეთ 19-1 და 19-2 ტოლობები), გერმანიის განკარგულებაში არსებული $Y - T$ შემოსავლის ზრდა ადიდებს ერთობლივ მოთხოვნას ბრიტანეთის საქონელსა და მომსახურებაზე გერმანიის იმპორტზე მოთხოვნის გადიდებით. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს (20დ-1)-გრაფიკში დიდი ბრიტანეთის სამთავრობო შესყიდვების გაელენა ბრიტანეთის გამოშვების ერთობლივ მოთხოვნაზე. გერმანიის IS მრუდი კვავს ბრიტანეთისას:

$$Y_G = D_G (P_G / E^0, P_{DM}, P_G, Y_G, -T_G, Y_{UK}, -T_{UK}, R_{DM} - \pi_{UK}, G_G). \quad (20დ-2)$$

(20დ-1) გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ორივე ეს მრუდი ქვემოთ იხრება (გაიხსენეთ მე-16 თავის I დანართი).

დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ფულის ბაზრის წონასწორობის პირობები არის $M'_{UK} / P_{UK} = L_{UK}(Y_{UK}, R_{DM})$ და $M'_G / P_G = L_G(Y_G, R_{DM})$. LM მრუდი, რომლის გასწვრივაც ქვეყნის ფულის ბაზრები რეგულირდება, ნაჩვენებია (20დ-1) გრაფიკშიც. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს ევროპის მონეტარული სისტემის მონეტარული მოწყობის შესახებ, არის ის, რომ გერმანიას გააჩნია ძალა თავისი ფულის მასა სურვილისამებრ მართოს. რადგან დიდი ბრიტანეთი თავის ვალუტას აბამს გერმანულ მარკას, მან პასიურად უნდა არეგულიროს თავისი ფულის მასა უცხოეთის ვალუტის ბაზარზე წონასწორობის შესანარჩუნებლად.

დაეუშვათ, უცხოეთის ვალუტის ბაზრის მონაწილეები არ ელოდებიან, რომ ფიქსირებული ვალუტის კურსი E^0 შეიცვლება. მაშინ, გირვანქა სტერლინგის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი უნდა უდრიდეს გერმანული მარკის ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს

$$R_{\xi} = R_{DM}. \quad (20დ-3)$$

ტოლობა (20დ-3) არის უცხოეთის ვალუტის ბაზრის წონასწორობის პირობა. ბრიტანეთის ინტერვენციას, გირვანქა სტერლინგისა და გერმანული მარკის ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად, აქვს მისი LM მრუდის გადახრის ეფექტი, ისე რომ (20დ-3) ტოლობა ყოველთვის სწორი იქნება.

20დ-1 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ გერმანიისა და ბრიტანეთის გამოშვება, აგრეთვე ფულის ბაზარი და უცხოეთის ვალუტის ბაზრის წონასწორობა შესაბამისად ყოველთვის (1) და (1') წერტილებშია.

რა მოხდება, როცა გერმანია გაერთიანდება და მისი კერძო და სამთავრობო ხარჯები გაიზრდება? გერმანიაში IS მრუდი გადაიხრება მარჯვნივ და განსაზღვრავს ახალ წონასწორობას (წერტილი 2), სადაც გერმანიის გამოშვება და საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია. გერმანიის LM მრუდი არ გადაიხრება, რადგან გერმანიას არ შეუცვლია თავისი ფულის მასა. რაკი გერმანული მარკა პრაქტიკულად ევროპის მონეტარული სისტემის სარეზერვო ვალუტაა, გერმანიის პარტნიორებს ევროპის მონეტარული სისტემიდან მოუხდებათ მოაწესრიგონ საკუთარი ფულის მასა, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ვალუტების გერმანული მარკის სავალუტო კურსი.

ეს მოწესრიგება შეიძლება მაშინ, როცა თვალს შევაგლებთ დიდი ბრიტანეთის მდგომარეობას გერმანიის ეკონომიკური ექსპანსიის შემდეგ. როგორ გრაფიკიდან ჩანს, ორი რამ ხდება დიდ ბრიტანეთში:

1. გერმანიის შემოსავლის ზრდა ადიდებს გერმანიის მოთხოვნას ბრიტანეთის ექსპორტზე და ამიტომ, გადაწევს ბრიტანეთის IS მრუდს მარჯვნივ.
2. ბრიტანეთმა რომ შეინარჩუნოს თავისი ფიქსირებული ვალუტა, მიუხედავად გერმანიის მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა, ის უნდა შეიჭრას უცხოეთის ვალუტის ბაზარში, გერმანული მარკით შეიძინოს გირვანქა სტერლინგი. შედეგად ბრიტანეთის LM მრუდი მარჯვნივ გადაიხრება, რაც შეინარჩუნებს თანასწორობას ბრიტანეთისა და გერმანიის საპროცენტო განაკვეთებში.

ამ ორი გადახრის შედეგად ბრიტანეთის ახალი წონასწორობა (2' წერტილზე) და მისი გამოშვება მისი საწყისი დონის ქვემოთ აღმოჩნდება.


ბრიტანეთის გამოშვების შემცირება დასტურდება 20დ-1 გრაფიკით, მაგრამ შეუძლებელია, რომ Y გაიზარდოს გერმანიის ხარჯების ზრდის შედეგად. ამ ალტერნატიული შედეგის მისაღებად უბრალოდ გვეჭირდება ბრიტანეთის IS მრუდის უფრო დიდი გადახრა მარჯვნივ. გრაფიკზე ნაჩვენებია ბრიტანეთის გამოშვების შემცირება მოხდება მაშინ, როცა ვაჭრობა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიის შორის ძალიან შესღავდული იქნება იმისათვის, რომ გერმანიის შემოსავლის გადახრას ძლიერი გაელენა კქონდეს ერთობლივ მოთხოვნაზე ბრიტანეთში. ბრიტანეთსა და გერმანიას შორის შესღავდული ვაჭრობა არ შეასუსტებს გერმანიის საპროცენტო განაკვეთის გაელენას ბრიტანეთის საპროცენტო განაკვეთსა და ეკონომიკაზე. მაშინაც კი, როცა ინგლისურ-

გერმანული ვაჭრობა მცირეა, ბრიტანეთი მთლიანად უნდა შეეგუოს გერმანიის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს, რათა შეინარჩუნოს გირვანქა სტერლინგის ფიქსირებული ვალუტის კურსი გერმანულ მარკასთან შედარებით.

ბერ ეკონომისტს სჯერა, რომ ევროკავშირის შიდა ვაჭრობა ჯერ კიდევ შეზღუდულია იმისათვის, რომ გერმანიის გაერთიანებამ შექმნას დადებითი სტიმული მისი დიდი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკისათვის ევროპის მონეტარული სისტემიდან. ის არგუმენტი, რომ გერმანიის გაერთიანებას დამორგუნველი გაელენა აქონდა ევროპაზე, არაა საყოველთაოდ აღიარებული. ბუნდესბანკი ამტკიცებდა, რომ გერმანიის იმპორტზე გასრდილი მოთხოვნის დადებითი გამოშვების ეფექტები გადაწონიდნენ უარყოფით ეფექტებს უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთებში, ე.ი. გერმანიის გაერთიანებას დადებითი გაელენა ექნებოდა ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნების გამოშვებაზე.

როგორც ამ თავში განვიხილეთ, გერმანიის გაერთიანებამ მიგვიყვანა ინფლაციურ ზეწოლამდე იქ, რასაც ბუნდესბანკი 1992 წელს ეწინააღმდეგებოდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებით. ეს ნაჩვენები იყო (20დ-1) გრაფიკში, როგორც გერმანიის LM მრუდის მარცხნივ გადახრა, რასაც უნდა შეეუბოდა ბრიტანეთი თავისი გირვანქა სტერლინგისა და გერმანული მარკის ფიქსირებული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად. გერმანიაში მონეტარული გამკაცრება აუარესებს კრიზისს დიდ ბრიტანეთში და შორს თუ გაეხედათ, შესაძლოა გერმანია რეცესიაში ჩააგდოს. გერმანიის მონეტარული პოლიტიკის და ევროპის მონეტარული სისტემის ქვეყნებზე მისი გაელენის აღწერა შეესაბამება ევროკავშირის გასაჭირს 1992 წლის ბოლოს და 1993 წელს.

დანართის გრაფიკი 20დ-1



გერმანიაში ხარჯებისა და შემოსაღების ზრდა ადიღებს დიდი ბრიტანეთის ექსპორტზე მოთხოვნას და გადახრის დიდი ბრიტანეთის IS მრუდს მარჯვნივ. დიდმა ბრიტანეთმა უნდა შეამციროს თავისი ფულის მასა, რათა მიესადაგოს გერმანიის საპროცენტო განაკვეთის ზრდას და შეინარჩუნოს გირვანქა სტერლინგისა და გერმანული მარკის ვალუტის ურყევი კურსი. ფულის მასის ეს შემცირება გადახრის დიდი ბრიტანეთის LL მრუდს მარცხნივ. ბრიტანეთზე წმინდა ეფექტი იქნება მისი გამოშვების შემცირება Y¹-დან Y²-მდე.

კაპიტალის გლობალური ბაზარი: განხორციელება და პოლიტიკური პრობლემები

ფინანსისტ რიფ ვან ვინქს 1960-იანი წლების დასაწყისში რომ დაეძინა და სამი ათწლეულის შემდეგ გამოეღვიძა, გაოცებული დარჩებოდა ფინანსური საქმიანობის როგორც ბუნებით, ასევე მისი მასშტაბით. მაგალითად, 1960-იანი წლების დასაწყისში ბიზნისი წმინდა საშინაო საქმე იყო და მოიცავდა ქვეყნის შიდა ბანკების ვალუტასა და მომხმარებელს. შემდეგ ბევრმა ბანკმა დაიწყო თავისი მოგების დიდი წილის მიღება საერთაშორისო საქმიანობიდან. გაკვირვებული რიფი აღმოაჩენდა, რომ მას შეეძლო განეთავსებინა თავისი ბანკების ფილიალები სან-პაულოში, ბრაზილიაში, ხოლო ბრიტანეთის ვესტმინსტერის ეროვნული ბანკის ფილიალი ნიუ-იორკში დაფუძნდებოდა. ის აგრეთვე აღმოაჩენდა, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში ლონდონში მოქმედ ამერიკული ბანკის ფილიალს წესად ექნებოდა, მიეღო ანაბრები იაპონური იენებით შეედური კორპორაციიდან ან გაესესხებინა შეეიცარიული ფრანკები პოლანდიელ მრეწველებზე.

ბაზარი, სადაც სხვადასხვა ქვეყანა ვაჭრობს აქტივებით, ეწოდება კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი. იგი არ არის ერთი მთლიანი, არამედ აერთიანებს აქტივებით მოვაჭრე ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა ბაზრებს. საერთაშორისო ვალუტით ვაჭრობა ხორციელდება საგარეო ვალუტის ბაზარზე, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრისა, უცხოური ვალუტის ბაზრის მსგავსად მოქმედებენ (თაეი 13): კომერციული ბანკები, დიდი კორპორაციები, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, ცენტრალური ბანკები და სხვა სამთავრობო სააგენტოები. უცხოური ვალუტის ბაზრის მსგავსადვე კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების მოქმედება ხორციელდება მსოფლიო ფინანსური ცენტრების ქსელში, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან საკომუნიკაციო სისტემებით. აქტივები, რითაც კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობენ, მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის აქციებსა და ობლიგაციებს მათს ვალუტაში გამოხატულ საბანკო ანაბრებთან ერთად.

ამ თაეში განხილულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზართან დაკავშირებული სამი ძირითადი საკითხი: პირველი, როგორ ზრდიან ნაეთობის მქონე გლობალური ფინანსური ქსელები ქვეყნების მოგებას საერთაშორისო ვაჭრობიდან; მეორე, რამ გამოიწვია 1960-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ფინანსური აქტივობის სწრაფი ზრდა და მესამე, როგორ ახერხებენ პოლიტიკის შემქმნელები, მინიმუმამდე დაიყვანონ მსოფლიო კაპიტალის ბაზრის თანმხლები პრობლემები მის მიერ უზრუნველყოფილი მოგების მკვეთრად შემცირების გარეშე.

კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი და მოგება ვაჭრობიდან

წინა თავებში საერთაშორისო ვაჭრობიდან მოგების შესახებ დისკუსია ძირითადად საქონლისა და მომსახურების გაცვლას ეხებოდა. მსოფლიო გადახდის სისტემის მოწესრიგებით, რასაც მოსდევს საბანკო ოპერაციის ხარჯების შემცირება, კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე აქტიურად მოსაქმე ბანკები აღწევენ აღნიშნულ გაცვლაზე დამყარებული ვაჭრობიდან მოგებას. კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე მთავარია სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა შორის აქტივებით ვაჭრობა (მაგალითად, IBM-ის აქციების წილის გაცვლა ბრიტანულ სახელმწიფო ობლიგაციებში). მიუხედავად იმისა, რომ აქტივებით ასეთი ვაჭრობა მიიჩნევა „საქეულაციად“, იგი ფაქტობრივად იწვევს ვაჭრობიდან მოგებას, რაც ყველა ქვეყნის მომხმარებლის მდგომარეობას აუმჯობესებს.

სამი ტიპის მოგება ვაჭრობიდან

სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებლებს შორის ყველა სახის ოპერაცია თავსდება ქვემოთ ჩამოთვლილი სამიდან ერთ-ერთ კატეგორიაში: საქონლის ან მომსახურების გაყიდვა სხვა საქონელზე ან მომსახურებაზე; საქონლის ან მომსახურების გაყიდვა აქტივებზე; აქტივების გაყიდვა აქტივებზე. ქვეყანა რომელიმე დროს ამ სახის ვაჭრობათაგან ერთ-ერთს ახორციელებს. 21-1 გრაფიკი (ორი ქვეყნის დაშვებით – ჩვენი და უცხოეთი) გვიჩვენებს საერთაშორისო ოპერაციების სწორედ ამ სამ ტიპს, რომელთაგან თითოეული მოიცავს სხვადასხვა სახის შესაძლო მოგებებს ვაჭრობიდან.

ამ წიგნში ჩვენ უკვე განვიხილეთ ვაჭრობიდან მოგების ორი ტიპი. 2-6 თავებში ვნახეთ, რომ ქვეყნებს შეუძლიათ, მოიგონ იმ საწარმოს საქმიანობის განვითარებით, რომელშიც ისინი ყველაზე ეფექტურები არიან და იყენებენ თავიანთ ზოგ გამოყენებას სახელმწიფოებრივად სხვა საქონლის იმპორტის საყიდლად. ეს ვაჭრობიდან


მოგების პირველი სახეა და გულისხმობს საქონლის ან მომსახურების გაყიდვას სხვა საქონლისა და ვაჭრობის სანაცვლოდ. სედა პორიზონტალური ისარი 21-1 გრაფიკზე გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების ბაცელას ჩვენ ქვეყანასა და უცხოეთს შორის.

მეორე სახის ვაჭრობიდან მოგება ემყარება დროთაშორის ვაჭრობას, რაც გულისხმობს საქონლისა და მომსახურების გაცვლას მომავალ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, ე.ი. აქტივების სანაცვლოდ (მე-7 და მე-18 თავები). როცა განვითარებული ქვეყანა სესხულობს საზღვარგარეთ (ე.ი. მიჰყიდის ობლიგაციებს უცხოელებს) და თან აწარმოებს მასალების იმპორტს ადგილობრივი საინვესტიციო პროექტებისათვის, ეს უკვე დროთაშორისი ვაჭრობაა: მსესხებელი ქვეყანა იღებს ამ ვაჭრობიდან იმით, რომ მას შეუძლია განახორციელოს პროექტი, რასაც მხოლოდ ადგილობრივი დანახოვით ვერ დააფინანსებდა; გამსესხებელი ქვეყანა კი იღებს, რაკი იღებს იმ აქტივებს, რომელიც წარმოშობს უფრო მაღალ უკუგებას, ვიდრე ეს შესაძლებელია ქვეყნის შიგნით ვაჭრობით. დიაგონალური ისარი 21-1 გრაფიკზე გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების ყიდვას აქტივების სანაცვლოდ. მაგალითად, თუ ჩვენ ქვეყანას აქვს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ის იქნება უცხოეთისათვის აქტივების წმინდა ექსპორტიორი და უცხოეთიდან საქონლისა და მომსახურების წმინდა იმპორტიორი.

ქვედა პორიზონტალური ისარი 21-1 გრაფიკზე წარმოგვიდგენს საერთაშორისო ვაჭრობის ოპერაციების ბოლო კატეგორიას – აქტივებით აქტივების ყიდვა (მაგალითად, საფრანგეთში არსებული უძრავი ქონების სანაცვლოდ აშშ-ში გამოშვებული სახაზინო ობლიგაციების ყიდვა). 12-2 ცხრილში, რომელიც გვიჩვენებს აშშ-ს 1994 წლის საგადამხდელი ბალანსს, თქვენ ნახავეთ ძირითადი კაპიტალის ანგარიშში 125.7 მლრდ დოლარის ღირებულების უცხოური აქტივების შესყიდვას აშშ-ს მცხოვრებლების მიერ (კაპიტალის გადინება) და 314.6 მლრდ დოლარის ღირებულების აქტივების შესყიდვას უცხოელების მიერ (კაპიტალის შემოდინება). იმ დროს, როცა აშშ-ს შეეძლო, დაეფინანსებინა თავისი 155.7 მლრდ დოლარის ანგარიშის დეფიციტი 1994 წლისათვის უცხოელებისათვის ამდენივე ღირებულების აქტივების მიყიდვით, აშშ და უცხოელები დაკავებულნი იყვნენ მნიშვნელოვანი მოცულობის წმინდა აქტივების ბარტერული გაცვლით. ქვეყნებს შორის ასეთი დიდი ოდენობის აქტივებით ვაჭრობას მიმართავენ იმიტომ, რომ იგი საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის მსგავსად იწვევს მასში ჩართული ყველა ქვეყნის მოგებას.

გრაფიკი 21-1 სამი ტიპის საერთაშორისო ოპერაციები

სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიათ გაცვალონ საქონელი და მომსახურება სხვა საქონელსა და მომსახურებაში, საქონელი და მომსახურება აქტივებში (ე.ი. მომავალი საქონელი და მომსახურება) და აქტივები სხვა აქტივებში. სამივე ტიპის გაცვლა იწვევს მოგებას ვაჭრობიდან.



რისკის მოძულეობა

ინდივიდების მიერ აქტივების არჩევანის გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია ყოველი ფაქტორის უკუგების რისკიანობა (თავი 13). სხვა თანაბარ პირობებში, ადამიანებს არ უყვართ გაბედული ნაბიჯის გადადგმა. ეკონომისტები ამას რისკის მოძულეობას ეძახიან. მე-17 თავში ნაჩვენებია, რომ რისკის მოძულე ინვესტიორები უცხოური ვალუტის აქტივებზე თავიანთ მოთხოვნაში ერთნაირად ითვალისწინებენ განსაზღვრული აქტივის მოსალოდნელ უკუგებას და მის რისკიანობას.

ქვემო მაგალითი ნათელს მოჰფენს რისკის მოძულეობის მნიშვნელობას. დავუშვათ, თქვენ შემოგთავაზეს თამაში: მოიგებთ 1 000 დოლარს ან დაკარგავთ იმდენივეს ნახევარ დროში. რადგან თქვენ ან მოიგებთ ან წააგებთ 1 000 დოლარს, ამ თამაშიდან საშუალო უკუგება – მისი მოსალოდნელი ღირებულება – იქნება: $(1/2) \times (\$1\ 000) + (1/2) \times (-\$1\ 000) = 0$. თუ თქვენ რისკის მოძულე ხართ, არ ითამაშებთ, რადგან თქვენთვის 1 000 დოლარის დაკარგვის მოსალოდნელობა გადაწონის მისი მოგების შესაძლებლობას მაშინაც კი, თუ ორივე შედეგი დასაშვებია. მიუხედავად იმისა, რომ სოფ ადამიანს უყვარს რისკი (ესენი რისკის მოყვარულებად იწოდებიან) და თამაშსაც ბედავს, მაინც რისკის მოძულის ქცევა ნორმად ითვლება. მაგალითად, რისკის მოძულეობა გვეხმარება, ავხსნათ მომგებიანობა სადასლველო კომპანიებისა, რომლებიც ყიდიან პოლისებს ქურდობით, ავადმყოფობითა და სხვა უბედური შემთხვევებით გამოწვეული ფინანსური რისკისაგან ადამიანებისა და მათი ოჯახების დასაცავად.

თუ ადამიანები რისკის მოქულები არიან, ისინი აფასებენ აქტივების ნაკრებს (ანუ პორტფელს) არა მარტო მისი მოსალოდნელი უკუგების, არამედ ამ უკუგების რისკიანობის საფუძველზეც. მაგალითად, რისკის მოქულების გამო ადამიანებმა შეიძლება შეინახონ სხვადასხვა ვალუტით დენომინირებული ობლიგაციები მაშინაც კი, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთები არ არიან შეკრული პროცენტის პარიტეტის პირობით. თუ აქტივებით მიღებული პორტფელი გეთავაზობს უკუგებისა და რისკის სასურველ კომბინაციას. ზოგადად აქტივების პორტფელი, რომლის უკუგება წლიდან წლამდე ძლიერ მერყეობს, ნაკლებ სასურველია, ვიდრე ის, რომელიც გეთავაზობს იმავე საშუალო უკუგებას, ოღონდ წლიდან წლამდე ზომიერი მერყეობით. ეს ახსნა მთავარია იმის გასაგებად, თუ რატომ ყიდვიან ქვეყნები აქტივებს.

პორტფელის გამრავალფეროვნება (დივერსიფიკაცია), როგორც საერთაშორისო აქტივებით ვაჭრობის მოტივი

აქტივებით საერთაშორისო ვაჭრობა აუმჯობესებს მასში მონაწილე ორივე მხარის მდგომარეობას იმით, რომ აძლევს მათ უფლებას, შეამცირონ თავიანთი ქონებიდან მოგების რისკიანობა. ვაჭრობა რისკის შემცირებას ხელს უწყობს იმით, რომ საშუალებას აძლევს ორივე მხარეს, მიაღწიონ თავიანთი პორტფელების გამრავალფეროვნებას ე.ი. გაანაწილოს საკუთარი სიმდიდრე აქტივების ფართო სპექტრს შორის და ამით შეამცირონ ფულის რაოდენობა, რასაც ისინი მიიღებენ თითოეულ ინდივიდუალურ აქტივზე. იელის უნივერსიტეტის ეკონომისტიმა ჯეიმს ტობონმა ჩამოაყალიბა რისკის მოქულებით პორტფელის არჩევანის თეორია და პორტფელის გამრავალფეროვნების იდეა ფიგურალურად ასე გამოხატა: „ნუ ჩააწყობთ ყველა კვერცხს ერთ კალათაში“. როცა ეკონომიკა ღიაა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრისათვის, მას შეუძლია შეამციროს თავისი ქონების რისკიანობა იმით, რომ ზოგიერთ თავის „კვერცხს“ მოათავსებს დამატებით უცხოურ „კალათაში“. რისკის შემცირება მთავარი მოტივია აქტივებით ვაჭრობაში.

ორი ქვეყნის შემცველი მარტივი მაგალითი გვჩვენებს, როგორ უუმჯობესდება მდგომარეობა ორივე ქვეყანას აქტივებით ვაჭრობის შედეგად. წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მცხოვრებლები როგორ ფლობენ მხოლოდ ერთ აქტივს – ადგილობრივ მიწას, რომელზეც ყოველწლიურად მოდის კივის მოსავალი.

მიწის მოსავლიანობა ალაღებდეს და მყარდება. დროის ერთ ნახევარში ჩვენი ქვეყნის მიწასე მოდის 100 ტონა კივი მაშინ, როცა იმავე დროში უცხოეთის მიწაზე მოჰყავთ 50 ტონა. დროის მეორე ნახევარში შედეგი საწინააღმდეგოა. ე.ი. თითოეულმა ქვეყანამ მოიყვანა $(1/2) \times (100) + (1/2) \times (50) = 75$ ტონა კივი, მაგრამ არაყინ იცის, შემდეგი წელი მოსავლიანი იქნება თუ არა.

ახლა დაეუშვათ, რომ ორი ქვეყანა ვაჭრობს მათ მფლობელობაში არსებული შესაბამისი აქტივების აქციებით. მაგალითად, ჩვენი ქვეყანა, რომელიც ფლობს უცხოეთის მიწის 10%-იან წილს, იღებს უცხოეთის წლიური კივის მოსავლის 10%-ს და უცხოეთი, რომელიც ფლობს ჩვენი ქვეყნის მიწის 10%-იან წილს, ასევე იღებს მისი წლიური მოსავლის 10%-ს. რა მოხდება, თუ დაშვებული იქნება ამ ორი აქტივის საერთაშორისო ვაჭრობა? ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლები იყიდვიან უცხოეთის მიწის 50%-იან წილს და ამის საფასურად გადაუხდიან უცხოეთის მცხოვრებლებს ჩვენი ქვეყნის მიწის 50%-იან წილს.

ამ შედეგის გასაგებად ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის აქტივების პორტფელების მოგებათა შესახებ, როცა ორივე თანაბრადაა გაყოფილი ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მიწის საკუთრებაზე უფლებებს შორის. როცა კარგი დრო უდგას ჩვენს ქვეყანას (ხოლო ცუდი – უცხოეთს), თითოეულ ქვეყანას ექნება ერთნაირი მოგება თავის პორტფელში – ჩვენი ქვეყნის მოსავლის (100 ტონა კივი) ნახევარს დამატებული უცხოეთის მოსავლის (50 ტონა) ნახევარი ანუ 75 ტონა კივი. საწინააღმდეგო შემთხვევაში – ცუდი მოსავალი ჩვენ ქვეყანაში და კარგი – უცხოეთში – თითოეული ქვეყანა მაინც 75 ტონას მიიღებს. თუ ქვეყნების პორტფელები თანაბრად იქნება გაყოფილი ორ აქტივს შორის, თითოეული ქვეყანა მიიღებს 75 ტონა მოსავალს – იმავეს, რაც იყო თითოეული ქვეყნის საშუალო მოსავლის პირობებში საერთაშორისო აქტივებით ვაჭრობის დაშვებამდე.

რადგან ორ ხელმისაწვდომ აქტივს – ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მიწას – ახლავს საშუალოდ ერთნაირი მოგება, ნებისმიერი პორტფელი, რომელიც შეიცავს ამ აქტივებს, მიიღებს მოსალოდნელ (ან საშუალო) მოგებას – 75 ტონა ხილს. რადგან ადამიანები ყველგან ძირითადად რისკის მოქულები არიან, ამჯობინებენ, ფლობდნენ 50-50 პორტფელს (როგორც ეს სემით ავხსენით), რაც იძლევა უცილობელ 75 ტონა ხილს ყოველ წელს. მას შემდეგ, რაც ვაჭრობა გაიხსნება, ამ ორი ქვეყნის მცხოვრებლები გაცდილიან უფლებას მიწის საკუთრებაზე მანამ, სანამ არ მიიღწევა 50-50 შედეგი. იმის გამო, რომ ეს ვაჭრობა სპობს ორი ქვეყნის წინაშე არსებულ ოდენობას საშუალო მოგების ცვლილების გარეშე, აქტივებით ვაჭრობის შედეგად ორივე ქვეყანა გაიუმჯობესებს მდგომარეობას.

ეს მაგალითი ერთობ გაიოლებულია, რადგან ქვეყნები რეალურად ვერასოდეს მოსპობენ ყველა რისკს აქტივებით საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში. იგი მხოლოდ გვჩვენებს, რომ ქვეყნებს შეუძლიათ შეამცირონ რისკის ხარისხი თავიანთი პორტფელის საერთაშორისო გამრავალფეროვნებით. საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის მთავარი ფუნქციაა, ეს პროცესი შესაძლებელი გახადოს.

საერთაშორისო აქტივების მენიუ ვალების კაპიტალის წინააღმდეგ

აქტივებით საერთაშორისო ვაჭრობა შეიძლება მდგომარეობდეს ბევრი სხვადასხვა ტიპის აქტივის გაცვლაში. ასეთი აქტივებია: ობლიგაციები და სხვადასხვა ვალუტით დენომინირებული ანაბრები, აქციების წილი და უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა აქტივებისა და ვალუტის გაცვლის უფლება. უცხოეთში რეალური ქონების შექმნა, ან ქარხნის პირდაპირი შესყიდვა მეორე ქვეყანაში წარმოადგენს სასაღვარჯო კაპიტალის დაბანდების კიდევ ერთ გზას.

აქტივებით ვაჭრობაზე ფიქრისას ხშირად გამოსადეგია ვალის ინსტრუმენტებსა და კაპიტალის ინსტრუმენტებს შორის განსხვავების დადგენა. ობლიგაციები და საბანკო დეპოზიტები წარმოადგენენ ვალის ინსტრუმენტებს, რადგან ისინი გვირევენ, რომ მათმა გამომშვებმა ხელმოწერა უნდა გადაიხადოს ფიქსირებული ღირებულება (ვალის თანხას დამატებული პროცენტი) ეკონომიკური გარემოებების მიუხედავად. და პირიქით, აქციების წილი წარმოადგენს კაპიტალის ინსტრუმენტს: ეს არის ფირმის პრეტენზია მოგებაზე და არა ფიქსირებულ გადასახადზე, ამიტომ მისი გადახდაც განსხვავებული იქნება გარემოებების მიხედვით. ამგვარად, კივის ის წილი, რომლითაც ვაჭრობენ (ჩვენი მაგალითის მიხედვით) წარმოადგენს კაპიტალის ინსტრუმენტს. იმის არჩევისას, თუ როგორ გაანაწილონ თავიანთი პორტფელები ვალისა და კაპიტალის ინსტრუმენტებს შორის, ინდივიდები და ქვეყნები მოახერხებენ იყენენ მოხმარებისა და ინვესტირების სასურველ დონეებთან ახლოს, მიუხედავად იმ სხვადასხვა გარემოებისა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.

ვალსა და კაპიტალს შორის გამყოფი ხაზი სინამდვილეში არც ისე გამოკვეთილია. მაშინაც კი, თუ ინსტრუმენტის ფულადი გადახდა ერთნაირია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მისი რეალური გადახდა კონკურენტულ ქვეყნებში. დამოკიდებული იქნება ევროპული ფასის დონეებსა და გაცვლით კურსზე. ამასთანავე, გადახდა, რომლის პირობასაც მოცემული ინსტრუმენტი იძლევა, შეიძლება არ მოხდეს გაკოტრების შემთხვევაში, როცა მთავრობა ხელში ჩაიგდებს უცხოეთის მფლობელობაში არსებულ აქტივებს და ა.შ. დაბალფასიანი სამრეწველო ობლიგაციების მსგავსი აქტივები, რომლებსაც გარეგნულად ვალის სახე აქვთ, შეიძლება რეალურად კაპიტალს ჰგავდეს, რომელიც დამოკიდებულია გამომცემლის საეკონომიკური ფინანსურ ილბალზე. ეს გამართლდა ბევრი განვითარებადი ქვეყნის ვალებთან დაკავშირებით, რასაც 22 თავში გავეცნობით.

საერთაშორისო საბანკო საქმე და საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი

ზემოთ მოცემული კივის მაგალითი გვიჩვენებს მსოფლიოს – წარმოდგენილს მხოლოდ ორი აქტივით. რადგან ხელმისაწვდომი აქტივების რაოდენობა მსოფლიოში უამრავია, სპეციალურმა ინსტიტუტებმა ითავეს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებული აქტივების მყიდველებისა და გამყიდველების თავმოყრა.

კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის მთავარი მონაწილენი არიან კომერციული ბანკები, კორპორაციები, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები (სადასაღვარჯო კომპანიები და საპენსიო ფონდები), ცენტრალური ბანკები და სხვა სამთავრობო სააგენტოები.

1. **კომერციული ბანკები.** კომერციული ბანკები კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის ცენტრში არიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართავენ საერთაშორისო გადახდის მექანიზმს, არამედ იმ ფინანსური საქმიანობის ფართო სპექტრის გამო, რომელსაც თავად ახორციელებენ. საბანკო პასივები ძირითადად შეიცავს სხვადასხვა დაფარვის ვალის მქონე დეპოზიტებს, ხოლო მათი აქტივები – სესხებს (კორპორაციებისა და მთავრობების), დეპოზიტებს სხვა ბანკებში (ბანკთაშორის ანაბრები), და ობლიგაციებს. მრავალეროვნული ბანკები ფართოდ არიან ჩართულნი აქტივების სხვა ტიპის ოპერაციებში. მაგალითად, ბანკებმა შეიძლება გასცენ სამრეწველო აქციებისა და ობლიგაციების ბაზარზე გამომშვების მოთავსების გარანტია და თანხმდებიან, რომ იპოვიან ამ ფასიანი ქაღალდების მყიდველებს გარანტირებულ ფასად. საერთაშორისო საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის არის, რომ ბანკები ხშირად თავისუფალი არიან აწარმოონ ის საქმიანობა სასაღვარჯო, რის საშუალებაც არა აქვთ შინ. ასეთი ტიპის ნარეკულირებულმა ასიმეტრიამ გამოიწვია საერთაშორისო საბანკო საქმიანობის ზრდა ბოლო 30 წლის განმავლობაში.
2. **კორპორაციები.** კორპორაციები – ისინი, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს მრავალ ქვეყანასთან – ბარკვეული წესით აფინანსებენ თავიანთ ინვესტიციებს უცხოური რესურსების მოსაზიდად. მათ მისაღებად კორპორაციებმა შეიძლება გაყიდონ აქციების წილი, რაც მის მფლობელს სამართლიანი მოთხოვნის უფლებას აძლევს კორპორაციის აქტივებზე, ანუ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ვალის ფინანსები. ეს უქანასკნელი ხშირად იღებს საერთაშორისო ბანკებიდან და სხვა გამსესხებლებისაგან სესხების მიღების ფორმას; როცა სასურველია გრძელვადიანი სესხი, ფირმებმა შეიძლება გაყიდონ სამრეწველო ვალის ინსტრუმენტები კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე. კორპორაციები ხშირად ახდენენ თავიანთი

ობლიგაციების დენომინაციას იმ ფინანსური ცენტრების ვალუტაში, სადაც ეს ობლიგაციები გასაყიდადაა წარდგენილი. დენომინაციის სტრატეგიის გამო კორპორაციების ობლიგაციები მიმსიდევლი ხდება პოტენციური შეიდეგების ყართო სპექტრისათვის.

3. არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები. არასაბანკო ინსტიტუტები: სადასლვეყო ინსტიტუტები, საქმისო ფონდები და ერთობლივი ფონდები კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის მინშენელოვან მონაწილეებად იქცენ, რადგან მათ თავიანთი პორტფელები გამრავალფეროვნების მიწნით მიმართეს უცხოურ აქტივებში. განსაკუთრებული მნიშენელობისაა *საინვესტიციო ბანკები*; მაგალითად: *ბოსტონის პირველი კორპორაცია*, *გოლდმენ სანჩი* და *საზარდ ფრერესი*, რომლებიც საერთოდ არ არიან ბანკები, მაგრამ სპეციალდებიან აქციებისა და ობლიგაციების ბაზარზე გატანაში, რაკი მათ კორპორაციები და მთავრობები ამის გარანტიას აძლევენ. 1973 წელს აშშ-ში კომერციული ბანკები შეზღუდა საინვესტიციო საბანკო საქმიანობამ და სხვა ადგილობრივმა ოპერაციებმა (მათ შორის სამრეწველო აქციებმა და ობლიგაციებმა); მიუხედავად ამისა, აშშ-ს მთავრობა ცდილობს შეასუსტოს ზოგიერთი ეს ბარიერი. აშშ-ს ზოგიერთ კომერციულ ბანკს დიდი ხანია აქონდა უფლება, ეწარმოებინა საინვესტიციო საბანკო საქმიანობა ოკეანის გადაღმა და ისეთი ბანკები, როგორცაა *სითიკორპი*, *მორგან გრანტი* და *ბენკერს ტრასტი*, კონკურენციას უწეყდენ უფრო სპეციალიზებულ საინვესტიციო ბანკებს.
4. ცენტრალური ბანკები და სხვა სამთავრობო სააგენტოები. ცენტრალური ბანკები, წესისამებრ, ჩართული არიან საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებში უცხოური ვალუტის ინვესტიციის საშუალებით. ამასთანავე, სხვა სამთავრობო სააგენტოები ხშირად სესხულობენ საზღვარგარეთ. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები და სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები ხშირად იღებენ ვალს უცხოური კომერციული ბანკებისაგან. აღმოსავლეთ ევროპის ზოგი ქვეყანაც კი (პოლონეთი, უნგრეთი), რომელთაც კომუნისტური რეჟიმი გადაიტანეს, დასავლეთელი ბანკირების დიდი მოვალეები არიან.

საზღვარგარეთ ბანხორციელებული საბანკო საქმე და ვალუტით ვაჭრობა

კომერციულმა საბანკო მრეწველობამ 1990-იან წლებში გლობალური ხასიათი მიიღო, რადგან ბანკებმა მშობლიური ქვეყნებიდან გადაინაცვლეს უცხოეთის ფინანსურ ცენტრებში. 1960 წელს მხოლოდ 8 ამერიკულ ბანკს თუ აქონდა ფილიალი უცხოეთის ქვეყნებში, მაგრამ ახლა ასობით ბანკის ფილიალების ქსელია მოდებული მთელ მსოფლიოში. და პირიქით, უამრავი უცხოური ბანკის ოფისები გაჩნდა აშშ-ში ბოლო წლებში.

ტერმინი *საზღვარგარეთ განხორციელებული საბანკო საქმე* გამოიყენება იმ საქმიანობის აღწერისათვის, რომელსაც ბანკების უცხოური ოფისები აწარმოებენ თავიანთი ქვეყნების მიღმა. ბანკებს შეუძლიათ მართონ უცხოური ბიზნესი შემდეგი სამი ტიპის ინსტიტუტიდან ერთ-ერთის საშუალებით:

1. საზღვარგარეთ განთავსებული სააგენტო ოფისი, რომელიც აწესრიგებს სესხებს და ტრანსფერტების ფონდებს, მაგრამ არ იღებს დეპოზიტებს.
2. საზღვარგარეთ განთავსებული ბანკის ფილიალი. უცხოური ბანკის ფილიალი განსხვავდება ადგილობრივი ბანკისაგან იმით, რომ უცხოური ბანკი არის კონტროლის მფლობელი. ფილიალები კი ექვემდებარებიან იმავე წესს, რასაც ადგილობრივი ბანკები, მაგრამ არ ექვემდებარებიან სათაო ბანკის ქვეყნის წესებს.
3. უცხოური განყოფილება, რომელიც უბრალოდ წარმოადგენს რომელიმე ქვეყნის ბანკის ოფისს სხვა ქვეყანაში. ეს განყოფილებები აწარმოებენ იმავე საქმიანობას, რასაც ადგილობრივი ბანკები და ექვემდებარებიან ადგილობრივ და თავიანთი ქვეყნის წესებს.

რომელიმე ქვეყნის მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული საეალუტო ვაჭრობის ზრდა მის მიერვე საზღვარგარეთ განხორციელებულ საბანკო საქმის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს. სხვა ქვეყნების დეპოზიტი არის უბრალოდ ბანკის დეპოზიტი, რომელიც წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტით, სადაც ბანკია განთავსებული – მაგალითად, იენის დეპოზიტები ლონდონის ბანკში ან ფრანგული ფრანკების დეპოზიტები ციურხში. ბევრი დეპოზიტი, რომლითაც ვაჭრობენ უცხოური ვალუტის ბაზარზე, არის სხვა ქვეყნების კუთვნილება. უცხოური ქვეყნების საეალუტო დეპოზიტები განიხილება როგორც *ევროვალუტა*. ეს სახელი მთლად სწორად არ არის გამოყენებული, რადგან ევროვალუტა დიდი რაოდენობით გეხვდება არაევროპულ ცენტრებშიც, როგორცაა სინგაპური და ჰონკ-კონგი. აშშ-ს გარეთ განთავსებულ დოლარის დეპოზიტებს ეწოდება *ევროდოლარი*. ბანკები, რომლებიც იღებენ ევროვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებს (მათ შორის ევროდოლარით), ეწოდება *ევრობანკები*.

საზღვარგარეთ საბანკო საქმის განხორციელებისა და ვალუტით ვაჭრობის სწრაფი აღმავლობის ერთი მოტივი არის საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა და კორპორაციული საქმიანობის მზარდი მრავალეროვნული ბუნება. მაგალითად, ამერიკული ფირმები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში, საჭიროებენ სხვა ქვეყნების ფინანსურ მომსახურებას, ამიტომ ამერიკულმა ბანკებმა გააფართოვეს თავიანთი ადგილობრივი ბიზნესი ამ ფირმებთან. გადახდების სწრაფი კლირინგი (უნაღლო ანგარიშსწორება), ელასტიურობა და ნდობა, რაც შემოსთავისებულია ამერიკული ბანკების მიერ, კონკურენციას უწევს უცხოურ ბანკებს, რომლებსაც თავის მხრივ შეუძლიათ ამერიკული მომხმარებლის მომსახურება. ევროვალუტით ვაჭრობა არის კიდევ ერთი

ბუნებრივი შედეგი საქონლითა და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებისა. მაგალითად, ამერიკელი საქონლის ბრიტანელ იმპორტიორებს ხშირად სჭირდებოდათ დოლარის დეპოზიტები და ამიტომ ლონდონში დაფუძინებული ბანკებისათვის ბუნებრივია, გააუმჯობესონ თავიანთი ბიზნესი.

მხოლოდ მსოფლიო ვაჭრობის ზრდა ვერ ახსნის საერთაშორისო საბანკო საქმიანობის გაფართოებას 1960-იანი წლებიდან. რაღაც ბრიანტი (ბრუკინგის ინსტიტუტი) გამოითვალა, რომ 1964-1985 წლებში საერთაშორისო ვაჭრობა (გაიზომა ყველა ქვეყნის, გარდა საბჭოთა ბლოკის, საქონლისა და მომსახურების ექსპორტი) გაიზარდა 12.4%-ით წელიწადში. ბრიანტის გამოანგარიშებით, საერთაშორისო საბანკო ოპერაციები გადიდდა 26%-ით წელიწადში – დაახლოებით ორჯერ მეტად, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა.

საერთაშორისო საბანკო საქმიანობის სწრაფ ექსპანსიას ხსნის ორი მთავარი ფაქტორი: პირველი, ბანკების სურვილი – გაექცნენ ადგილობრივი მთავრობის მხრიდან მათს ფინანსურ საქმიანობაში ჩარევას. ამისათვის ისინი გადაადგილდნენ ზოგიერთ თავიანთ ოპერაციას საზღვარგარეთ უცხოურ ვალუტაში. მეორე ფაქტორი არის პოლიტიკური: ზოგიერთი მენაბრის სურვილი – შეინახოს თავისი ვალუტა მისი გამომშვები ქვეყნის იურისდიქციის მიღმა.

ვეროდოლარი და სხვა ვეროვალუტა

ვეროვალუტების დეპოზიტების გაერთიანება ხშირად მღელვარების მიზეზი ხდება. პოლიტიკოსები და პრესა წუხან, რომ ამ „არასახელმწიფო ფულმა“, რომელიც ქვეყნის მონეტარული ხელისუფლების კონტროლის მიღმაა, შეიძლება ჩაშალოს მთავრობის მცდელობა, შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა, და გამოიწვიოს მსოფლიო მასშტაბის ინფლაცია. როგორ შეიქმნა ვეროვალუტის დეპოზიტები და როგორ გაიზარდა ვეროვალუტით ვაჭრობა 1960-იანი წლებიდან?

ვეროვალუტის ბაზრის მოცულობა

1990-იანი წლების დასაწყისში ვეროვალუტის ბაზრის მოცულობა დაახლოებით 6 ტრილიონი დოლარი იყო. ეს არის ბანკის დეპოზიტების პასივების მთლიანი მარაგი გამოხატული უცხოურ ვალუტებით. ამ დეპოზიტების დაახლოებით 1/5 კერძო ბანკების ხელთ იყო. დანარჩენი კი იყო ბანკთაშორისი დეპოზიტები, რომელთაც ფლობდნენ ძირითადად ცენტრალური ბანკები, სხვა ბანკები ან ოფიციალური მონეტარული ინსტიტუტები. ბასარსე ვეროდოლარის წილი გაცილებით დიდია. ვეროვალუტის ბაზრის 2/3 (დაახლოებით 4 ტრილიონი დოლარი) არის დოლარით გამოხატული. შესადარებლად – ბაზრის მოცულობა 1963 წელს იყო 7 მლრდ დოლარი, რომლიდანაც 5 მლრდ იყო ვეროდოლარი.

როგორ იქმნება ვეროვალუტა?

ადვილად გაეიგებოთ ვაჭრობაში ვეროვალუტის დამკვიდრების პროცესს მას შემდეგ, რაც განვიხილავთ ვეროვალუტის დეპოზიტების შექმნის პროცესს. ვეროვალუტასთან დაკავშირებული დისკუსიები ხშირად გაურკვეველია, როცა საქმე ეხება ვეროვალუტის მიმწოდებლების განსაზღვრას. შეცდომაა, განვიხილოთ ვეროვალუტა, როგორც ეროვნული ვალუტის მასის ნაწილი, რაც როგორცაა გავიდა თავისი მშობლიური ქვეყნიდან.

ვეროვალუტის ტიპური დეპოზიტი არის არამიმოქცევადი ვადიანი დეპოზიტი – ვადის გასვლის ფიქსირებული პირობით, რომელიც მერყეობს ერთი დამიდან 5 წლამდე. პროცესი, რომლის დროსაც ეს დეპოზიტები იქმნება, ძალიან მარტივია. ზუსტად ასევე შემოვიდა ყოფაში ვეროდოლარი.

ვეროდოლარის დეპოზიტი დაიბადა! წარმოიდგინეთ გერმანული კომპანია დეიმლერ-ბენცი, რომელმაც მიიყიდა ამერიკელს მანქანა 40 000 დოლარად. ამას ამერიკელი იხდის ჩეკით სითიბანკის ანგარიშზე. ასე რომ, დეიმლერ-ბენცი აქვს ჩეკი 40 000 დოლარზე და არ იცის, რომელ ბანკში შეინახოს ფული. ეთქვას, კომპანია ეარაუდობს, რომ მას დასჭირდება ეს დოლარები ერთ თვეში აშშ-ში კომპიუტერების საყიდლად. ამ შემთხვევაში იგი გადაწყვეტს, შეინახოს დოლარები ერთი თვით პროცენტის მოგების ფორმით.

დეიმლერ-ბენციმა 40 000 დოლარი შეიძლება შეინახოს ორი გზით: იყიდოს აშშ-ს სახაზინო თამასეკები ან ამერიკის ბანკის მიერ გამოცემული ანაბრების სერტიფიკატი. მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე იყიდოს ვეროდოლარის დეპოზიტი ამერიკელი მოქალაქის მიერ მოცემული ჩეკით ბრიტანეთის ბანკში, ბერკლეის ბანკში, ლონდონში (ბერკლეის ბანკი გასცემს დოლარის ანაბრს მეტ პროცენტს, ვიდრე ეს ხელმისაწვდომია აშშ-ში). თუ დეიმლერ-ბენცი გადაწყვეტს, შეინახოს თავისი დოლარი ბრიტანეთის ბანკში, დაიბადა ვეროდოლარის დეპოზიტი.

ბანკის ბალანსის ეფექტი. თუ შეხედავთ იმ ბანკების ბალანსს, რომლებიც ჩართულნი არიან ამ საქმიანობაში, ჩვენთვის აღნიშნული პროცესი ნათელი გახდება. დავეუქვით, ბერკლეის აქვს დოლარის ანგარიში ჩეიზ მანეტენთან ნიუ-იორკში, სადაც ის განათავსებს მის განკარგულებაში არსებულ ყველა დოლარს. შემდეგ,

სემოთ აღწერილი ოპერაციების თანმიმდევრობა გავლენას ახდენს სამი ბანკის ბალანსზე: პირველი, ბერკლეის პასივები გაიზარდა დეიმლერ-ბენცის – 40 000 დოლარის დეპოზიტით, ხოლო მისი აქტივი გაიზარდა 40 000 დოლარის ოდენობით დეპოზიტის ზრდით ჩეიზში:

ბერკლეის ბანკის (ლონდონი) ბალანსი

ცვლილება აქტივში		ცვლილება პასივში	
დეპოზიტი ჩეიზში	+ \$40 000	კლიენტების დეპოზიტი (დეიმლერ-ბენცის ანგარიში)	+ \$40 000

მეორე, სითიბანკის საკონტროლო ანგარიში ნიუ-იორკის ფედერალური რეზერვების ბანკში დეპოზიტრებულია 40 000 დოლარით, როგორც ჩეი, რომელიც გამოიყენება დეიმლერ-ბენცის ვალის გადასახდელად. ფონდის კერძო საბანკო დეპოზიტები აღვილობრივ ცენტრალურ ბანკთან ერთად განიხილება როგორც კერძო ბანკის რეზერვები, რაც მისი აქტივების ნაწილს წარმოადგენს (კერძო ბანკის რეზერვები არ უნდა აეურიოს ცენტრალური ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვებში). სითიბანკის რეზერვები 40 000 დოლარით იზრდება, იგივე ემართება მის პასივს იმ შენაბრის მიმართ, ვინც მანქანა იყიდა:

სითიბანკის (ნიუ-იორკი) ბალანსი

ცვლილება აქტივში		ცვლილება პასივში	
ფედერალურის რეზერვები	- \$40 000	კლიენტების დეპოზიტი (მანქანის შეიღველის ანგარიში)	- \$40 000

მესამე, 40 000 დოლარი რეზერვში, რომელიც დეპოზიტრებული იყო სითიბანკის ანგარიშიდან, ნიუ-იორკის ფედერალურიდან დაკრედიტებულია ჩეიზის ანგარიშზე. იმავედროულად ჩეიზის პასივები გაიზრდება 40 000 დოლარით, რადგან ბერკლეი გადარიცხავს ანაბრებს ჩეიზში:

ჩეიზ მანჰეტენ ბანკის (ნიუ-იორკი) ბალანსი

ცვლილება აქტივში		ცვლილება პასივში	
ფედერალურის რეზერვები	+ \$40 000	კლიენტების დეპოზიტი (ბერკლეის ანგარიში)	+ \$40 000

„გაიქცა“ თუ არა ერთი დოლარი მაინც საზღვარგარეთ? 40 000 დოლარიანი ზრდა ბერკლეის ბანკის დოლარის პასივებში არის ევროდოლარის მსგავსი ზრდა, რაც გამოიწვია დეიმლერ-ბენცის გადაწყვეტილებამ – შეენახა დოლარები ლონდონში და არა აშშ-ში; მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ კომპანიის მოქმედებას იგივე შედეგი მოჰყვა აშშ-ს საბანკო სისტემაში, რაც ექნებოდა 40 000 დოლარის დეპოზიტის ფორმით ჩეიზში (ან სხვა რომელიმე აშშ-ს ბანკში) შენახვის გადაწყვეტილებას: დეპოზიტების ფედერალური ბანკების ანგარიშებს შორის გადანაწილება და დეპოზიტების შესაბამისი გადაადგილება ბანკიდან, რომელიც კარგავს რეზერვებს იმ ბანკისაკენ, რომელიც მოგებას დებულობს. კერძოდ, აშშ-ს მონეტარული ბაზა, ე.ი. ფედერალური საბანკო სისტემის რეზერვების ჯამი და ვალუტის მარაგი – არ იცვლება. იმის გამო, რომ აშშ-ს მონეტარული ბაზა უდრის ფედერალური ბანკის ბალანსის პასივების უცვლელ ოდენობას (თავი 17), აშშ-ს ფულადი მასა არ შემცირდება ევროდოლარის მასის ზრდის სანაცვლოდ.

ეს დაკვირვებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ევროდოლარს ხშირად განიხილავენ არასწორად, როგორც საზღვარგარეთ როგორღაც „უაქცეულ“ დოლარს. მაგალითის მიხედვით ევროდოლარის მარაგი იზრდება მაშინაც კი, როცა 40 000 დოლარი, რომელიც გადაუხადეს დეიმლერ-ბენცს, დაბრუნდა უკან აშშ-ს საბანკო სისტემაში, როგორც კი ბერკლეის ბანკმა შეინახა ეს თანხა ჩეიზში.

თქვენ შეიძლება დაინტერესდეთ, როგორ შეიცვლება სურათი, თუ ბერკლეი 40 000 დოლარს მოღიანად არ გადარიცხავს ჩეიზის ანგარიშზე. ბერკლეის შესაძლოა შეაქცევს კლიენტები, რომლებსაც სურთ დოლარის სესხად აღება; ამიტომაც პირველ რიგში იგი იღებს დოლარის დეპოზიტს დეიმლერ-ბენცისაგან. თუ ბერკლეი კლიენტებს ასესხებს 40 000 დოლარის ნაწილს, ევროდოლარის მასა შეიძლება 40 000 დოლარზე მეტად გაიზარდოს, მაგრამ მაინც არ ხდება აშშ-დან დოლარის მიგრაცია ევროპაში.

ვეროდოლარის დეპოზიტის მეორადი ექსპანსია. ენახოთ, როგორ ხორციელდება ვეროდოლარის გაერთიანების დამატებითი ექსპანსია, თუ ბერკლეი გაასესხებს თავისი ახალი 40 000 დოლარის ანაბრის ნაწილს. იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება დოლარის მოულოდნელი ლიკვიდაციის საჭიროება, ბერკლეის თავისი 40 000 დოლარის რაღაც ნაწილი – ეთქვას, 5 000 – ექნება თავის ჩეიზის ანგარიშზე. მაგრამ მას შეუძლია ბევრი მოიგოს, თუ დარჩენილ 35 000 დოლარს სესხად მისცემს პოლანდიურ კორპორაციას ფილიპსს:

ბერკლეის ბანკის (ლონდონი) ბალანსი

ცელილება აქტივში		ცელილება პასივში	
დეპოზიტი ჩეიზში	+ \$5 000	კლიენტების დეპოზიტი	+ \$40 000
ფილიპსზე გასესხებული	+ \$35 000	(დეიმლერ-ბენცის ანგარიში)	

ფილიპსზე გასესხების შემდეგ ვეროდოლარის მარაგი ისევ 40 000 დოლარია, უფრო მეტი, ვიდრე ის იყო მანამ, სანამ დეიმლერ-ბენცი გადარიცხავდა დოლარებს ბერკლეიში.

მაგრამ ეს კიდევ არ არის ამ საკითხის განხილვის დასასრული – ფილიპსს აქვს რამდენიმე არჩევანის საშუალება, გამოიყენოს ახლად ნასესხები 35 000 დოლარი, თუ გააგზავნოს ფული დაუყოვნებლივ, რათა იყიდოს საქონელი აშშ-ში. თუ ის გაგზავნის ამ ფულს ოკეანის გაღმა, მაშინ ვეროდოლარის მასის ზრდა აღარ მოხდება. 35 000 დოლარი უბრალოდ გადავა ჩეიზში ბერკლეის ანგარიშიდან სხვა ანგარიშზე აშშ-ში. თუ ფილიპსს არ სჭირდება ამ სესხის გამოყენება დაუყოვნებლივ, მას შეუძლია შეინახოს ეს 35 000 დოლარი ბერკლეიში ან სხვა რომელიმე ევროპულ ბანკში. ეთქვას, დროებით ფილიპსი ათავსებს თავის ფულს დოიჩე ბანკის ლონდონის ფილიალში, რომელიც თავის მხრივ ინახავს ფილიპსის ამ თანხის ჩეკს ბენკერს ტრასტში, ნიუ-იორკში. მაშინ დოიჩე ბანკის და ბენკერს ტრასტის ბალანსში შემდეგი ცელილება მოხდება:

დოიჩე ბანკის (ლონდონი) ბალანსი

ცელილება აქტივში		ცელილება პასივში	
დეპოზიტი ბენკერს ტრასტში	+ \$35 000	კლიენტების დეპოზიტი	+ \$35 000
		(ფილიპსის ანგარიში)	

ბენკერს ტრასტის (ნიუ-იორკი) ბალანსი

ცელილება აქტივში		ცელილება პასივში	
დეპოზიტი ფედერალურში	+ \$35 000	კლიენტების დეპოზიტი	+ \$35 000
		(დოიჩე ბანკის ანგარიში)	

ასეთ შემთხვევაში ვეროდოლარის მასა იზრდება 75 000 დოლარამდე – 40 000 დოლარი (დეპონირებული ბერკლეიში დეიმლერ-ბენცის მიერ) პლუს 35 000 დოლარი (დეპონირებული ფილიპსის მიერ დოიჩე ბანკში). როგორც ადრე, აშშ-ს მონეტარული ბაზა ხელშეუხებელია: ამ ხანგრძლივი საბანკო ოპერაციების შედეგი არის უბრალოდ რეზერვების გადაცემა სითიბანკის ფედერალურის ანგარიშიდან (რომელიც ეცემა 40 000 დოლარით) ჩეიზისა და ბენკერს ტრასტისაკენ (რომელიც იზრდება 5 000 და 35 000 დოლარით შესაბამისად). აშკარაა, რომ პროცესი განვითარდება შემდეგშიც, თუ დოიჩე ბანკი გაასესხებს თავის 35 000 დოლარს ფილიპსზე და არ შეინახავს მას ბენკერს ტრასტის ანგარიშზე ნიუ-იორკში. 40 000 დოლარი, რომელიც გადაიხადა ამერიკელმა მყიდველმა, თითქმის ყოველთვის ბრუნდება აშშ-ს საბანკო სისტემაში. ასე რომ, ვეროდოლარის ექსპანსია შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ერთი დოლარიც კი არ „გავიდეს“ აშშ-დან.

ვეროდოლარები და აშშ-ს საგადამხდელო ბალანსი. ვეროდოლართან დაკავშირებით ხშირად გამოითქმის ასეთი მოსაზრებაც, რომ თითქოს მისი მასის ზრდა იწვევს აშშ-ს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს. მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს მოსაზრება არასწორია. 40 000 დოლარი, რომელიც გადაიხადეს გერმანიიდან მანქანის იმპორტისათვის, შედის აშშ-ს მიმდინარე ანგარიშში როგორც დებეტი. ამ დებეტის ანაზღაურება არის 40 000 დოლარის ძირითადი კაპიტალის ანგარიშის კრედიტი, რაც ასახავს 5 000 დოლარის ანაბარს ჩეიზში, რამდის მყლობელია ბერკლეი და 35 000 დოლარი ბენკერს ტრასტში, რომლის მყლობელია დოიჩე ბანკი. აშშ-ს საგადამხდელო ბალანსსე წმინდა ეფექტი ნელის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ ვეროდოლარის მასა 75 000 დოლარით გაიზარდა.

ემროვალუტიმ ვაჭრობის ზრდა

ადრე წვენ უკვე გამოკვეთილ სხვა ქვეყნებში განხორციელებული საბანკო საქმიანობის ზრდის მთავარი მიზეზები: (1) მსოფლიო ვაჭრობის ზრდა; (2) მთავრობის ფინანსური რეგულირებები (მათ შორის გადასახადები); (3) პოლიტიკური მოსახერხებელი. ევროვალუტით ვაჭრობის ზრდა გვიჩვენებს ამ სამივე ფაქტორის მნიშვნელობას საბანკო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში.

ევროდოლარი გაჩნდა 1950-იანი წლების დასასრულს, როგორც რეაგირება საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდით გამოწვეულ საჭიროებებზე. ვაჭრობაში ნართულ ევროპულ ფორმებს ხშირად აქვთ სერვილი, აწარმოონ ანგარიშსწორება დოლარებით ან ისეხონ დოლარები. ბევრ შემთხვევაში აშშ-ში განთავსებულ ბანკებს შეუძლიათ აწარმოონ ეს მომსახურება, მაგრამ ევროპელები ფიქრობენ, რომ უფრო იაფი და მოსახერხებელი იქნება, თუ მათ საქმე ექნებათ ადგილობრივ ბანკებთან. რადგან 1950-იანი წლების შემდეგ ბევრი სხვა ვალუტაც კონკურტირებდა დოლარს, მათთვისაც წარმოიშვა ბაზარი სახლევარგარეთ.

მართალია, ადგილობრივ ბანკებთან ურთიერთობის მოხერხებულობა წარმოადგენდა ევროდოლარის განხვის მთავარ ფაქტორს, მაგრამ ადრეულ სტადიაზე ევროდოლარით ვაჭრობის ზრდას ხელი შეუწყო წყნის მიერ უკვე ნახსენებმა კიდევ ორმა ფაქტორმა: მთავრობის მხრიდან რეგულირებებმა და პოლიტიკურმა მნიშვნელობამ.

1957 წელს, საგადასდელ ბალანსის კრიზისის კულმინაციის დროს, ბრიტანეთის მთავრობამ აუკრძალა ადგილობრივ ბანკებს, გაესხებინათ გირფანქა სტერლინგები არაბრიტანული ვაჭრობის დასაფინანსებლად. მაგრამ, რადგან ეს გასესხებები საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი იყო, მისი დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით ბრიტანეთის ბანკებმა დაიწყეს იმავე ვაჭრობის დაფინანსება დოლარის ანაბრების მიხედვით და გირფანქა სტერლინგების ნაცვლად დოლარების გასესხებით. იმის გამო, რომ მკაცრმა ფინანსურმა წესებმა დაიცვა ბრიტანეთის ბანკების არასტერლინგით განხორციელებული ოპერაციები ბრიტანეთის აქტივების ადგილობრივი ბაზრის გაუღებისაგან, მთავრობას სურდა განეხორციელებინა თავისუფალი კონკურენცია უცხოური ვალუტის მიმართ. ამის შედეგად ღონისძიება გახდა – და კვლავაც რჩება – ევროვალუტით ვაჭრობის მთავარ ცენტრად.

პოლიტიკური ფაქტორი, რომელმაც სტიმული მისცა ევროდოლარის ბაზრის ზრდას, იყო ცივი ომი აშშ-სა და სსრკ-ს შორის. 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირმა ბევრი დოლარი შეიძინა (ოქროს და სხვა ნედლეულის გაყიდვით) და მას შეუძლო მარცვლელის ყიდვა დასაფინანსებლად. საბჭოთა კავშირს ეშინოდა, რომ ცივი ომის „გახურების“ შემთხვევაში აშშ-ს შეიძლება მოეხდინა ამერიკის ბანკში განთავსებული მისი დოლარების კონფისკაცია. ამიტომ საბჭოთა დოლარები ამერიკის ბანკების ნაცვლად მოთავსდა ევროპულ ბანკებში, რომელთაც ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ არ ემორჩილებოდნენ ამერიკის ოკრისდიქციას. ტერმინი **ევრობანკი** წარმოიშვა როგორც საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებადი პარიზის ბანკის ტელექსის კოდი.

ევროდოლარის სისტემა წარმოიშვა 1960-იან წლებში აშშ-ს მიერ კაპიტალგადინებებზე ახალი შესვლელებისა და საბანკო რეგულირებების შედეგად. იმის გამო, რომ ამერიკის საგადასახაო ბალანსი 1960-იან წლებში შესუსტდა, კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციებმა შემოიღეს მთელი რიგი ღონისძიებები სახლევარგარეთ ამერიკის სესხების ხელის შესაშლელად. პირველი იყო 1963 წელს საპროცენტო განაკვეთის გათანაბრების გადასახადი, რომელმაც ხელი შეუშალა ამერიკელებს, ეყიდათ უცხოური აქტივები, ამ აქტივებიდან უკუგების დაბეგერის საშუალებით. შემდეგ, 1965 წელს, ამას მოჰყვა „ნებაყოფლობითი“ შესვლევა იმ თანხების მოცულობაზე, რომლის გასესხებაც კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახლევარგარეთ, სამი წლის შემდეგ პრაქტიკაში შემოვიდა ფართომასშტაბიანი საფაღლებული კონტროლი. ეველა ამ ღონისძიებამ გაზარდა მოთხოვნა ევროდოლარის სესხებზე და გაამკაცრა სახლევარგარეთ მყოფი მსესხებლებისათვის იმ თანხის მიღება, რაც მათ სტირდებოდათ აშშ-ში.

აშშ-ს ბანკებში დამკვიდრებულმა ფედერალური რეზერვის წესებმა ხელი შეუწყო ევროდოლარისა და ახალი ევრობანკების შექმნას 1960-იან წლებში. ფედერალურის რეგულირებამ (რომელიც 1980 წლის შემდეგ წარმოიშვა) დააწესა საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმი იმ დროებით დეპოზიტებზე, რომლის გადახდაც შეუძლიათ აშშ-ს ბანკებს. როცა 1960-იანი წლების ბოლოს აშშ-ს მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა, რათა წინააღმდეგობა გაეწია მზარდი ინფლაციური სეწონისათვის (იხ. თავი 18), ბაზრის საპროცენტო ნორმებმა Q რეგულირების მაქსიმუმს გადააჭარბა და ამერიკის ბანკებმა შეუძლებლად ჩათვალეს დროებითი დეპოზიტების მიხედვით სულმეორედ გასესხებისათვის. ბანკებს შეეძინათ პრობლემები ფონდების სესხებასთან დაკავშირებით მათი ევროპული ფილიალებიდან, სადაც არ იყო შემსლვაფი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მათ შეუძლიათ ევროდოლარის დეპოზიტზე და სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ, მოეხიდათ დეპოზიტები იმ ინვესტირებისაგან, რომლებიც თავიანთ თანხებს ალბათ განათავსებდნენ აშშ ბანკებში Q რეგულირების არარსებობის შემთხვევაში. ბევრმა ამერიკელმა ბანკმა, რომელსაც ადრე არ ჰქონდა ფილიალები უცხოეთში, გახსნა ისინი 1960-იანი წლების ბოლოს, რათა თავი დაეღწია Q რეგულირებისათვის.

1973 წელს მკოცავი გაცვლით კურსზე გადასვლით აშშ-მ და სხვა ქვეყნებმა დაიწყეს სახლევრებს იქით კაპიტალის დინებებზე კონტროლის შემცირება: ამით თავიდან მოცილდეს ადრეულ წლებში ევროვალუტის ბაზრების განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული. მაგრამ ამ დროს ისევ გაბნინდა პოლიტიკური ფაქტორი.

რამაც დიდი როლი ითამაშა. „ოპეის“ წევრმა არაბულმა ქვეყნებმა ნავთობის აქციებით დააგროვეს უამრავი ქონება 1973-74 და 1979-80 წლებში, მაგრამ შესაძლო კონფისკაციის შიშით ისინი თავს არიდებდნენ თავიანთი ქონების ამერიკის ბანკებში შენახვას. სამაგიეროდ, მათ განათავსეს თავიანთი თანხები ევრობანკებში (1979 წელს ირანის აქტივები აშშ-ს ბანკებსა და მათ ევროპულ ფილიალებში, პრესიდენტ კარტერის ბრძანებით, გაიყინა თეირანში ამერიკის ხაელნოსე თაყდასხმის გამო). იგივე ბედი ეწია ერაყის აქტივებს აშშ-ში მას შემდეგ, რაც მან დაიპყრო მეზობელი ქუვეითი 1990 წელს).

მარეპულირებელი ასიმეტრიების მნიშვნელობა

ევროვალუტის შექმნის ისტორია გეისვენებს, როგორ დაეხმარა მსოფლიო ვაჭრობის სრდა, ფინანსური რეგულირებები და პოლიტიკური მოსაზრებები არსებული სისტემის ფორმირებას. მარეგულირებელი მანიევრებელი არის ევროვალუტით ვაჭრობის მომგებიანობის სრდის მთავარი მანიევრებელი. მთავრობები ევროვალუტის მთავარ ცენტრებში საბანკო წესების ნამოყალიბებისას ერთმანეთისაგან განასხვავებენ ადგილობრივი ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებს სხვა ვალუტით გამოსახული ვალუტისაგან: აგრეთვე, ადგილობრივ კლიენტებთან მომსახურებას უცხოელ კლიენტებთან მომსახურებისაგან. ადგილობრივი ვალუტის დეპოზიტები მკაცრად რეგულირდება ადგილობრივი ფულის მასასე კონტროლის შენარჩუნების მიწნით მაშინ, როცა ბანკებს მეტი თავისუფლება ეძლევათ, როცა საქმე უცხოურ ვალუტებს ეხება. უცხოელი კლიენტის მფლობელობაში არსებულ ადგილობრივი ვალუტის დეპოზიტებს შესაძლოა განსაკუთრებულად მოეპყრან, თუ სულამხედველი გრძნობს, რომ მათ შეუძლიათ განაცალკეონ ადგილობრივი ფინანსური სისტემა უცხოელების აქტივების მოთხოვნებში არსებული გადაადგილებისაგან.

აშშ-ს სავალდებულო რეზერვის მაგალითი გეისვენებს, როგორ სრდის მარეგულირებელი ასიმეტრიები ევროვალუტით ვაჭრობის მომგებიანობას. ყოველთვის, როცა აშშ-ს ბანკი იღებს დეპოზიტებს თავის ქვეყანაში, ამ ანაბრის ნაწილი უნდა მოათავსოს ფედერალურის უპროცენტო ანგარიშზე, როგორც მისი სავალდებულო რესურვის ნაწილი. ბრიტანეთის მთავრობა ადგენს სავალდებულო რესურვს გირვანჯა სტერლინგის დეპოზიტებზე თავის სასდერებში, მაგრამ ის არ აწესებს სავალდებულო რესურვს დოლარის რესურვებზე თავის სასდერებში. არც აშშ-ს ბანკების ლონდონის ფილიალები ექვემდებარებიან აშშ-ს ლოლარის დეპოზიტებზე სავალდებულო რესურვებს იმ პირობით, რომ ეს დეპოზიტები ანაზღაურებადია მხოლოდ აშშ-ს სასდერებს გარეთ. ლონდონის ევრობანკს აქვს უპირატესობა ნიუ-იორკის ბანკთან შედარებით დოლარით დეპოზიტების მიზიდვაში: მას შეუძლია მეტი პროცენტის გადახდა მეანაბრისათვის, ვიდრე ნიუ-იორკის ბანკს და თანაც ფარავს საბანკო ოპერაციის ხარჯებს. ევრობანკის ფარდობითი უპირატესობა გამომდინარეობს მისი უნარიდან, თავიდან აიცილოს გადასახადი (სავალდებულო რესურვი), რომელსაც ფედერალური ბანკი აწესებს ადგილობრივი ბანკების დოლარით დეპოზიტებზე.

ამ ფარდობითი უპირატესობის გასაგებად, დავეუშვათ, რომ ნიუ-იორკის ბანკს სჭირდება 10% სავალდებულო რესურვი. თუ ბანკი იღებს 100 დოლარის ანაბარს, მას შეუძლია თავიდან გაასესხოს 90 დოლარი და ვალდებულება, 10 დოლარი შეიტანოს ფედერალურის უპროცენტო ანგარიშზე. ვთქვათ, ბანკს აქვს წლიური წარმოების ხარჯები 1 დოლარი 100 დოლარიან ანაბარზე, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ბანკის სესხზე არის 10% წელიწადში. მაშინ, ნიუ-იორკის ბანკს შეუძლია შესთავაზოს თავის მეანაბრეებს საპროცენტო განაკვეთი – 8% და დაფაროს მისი ხარჯები. ანაბრების ასეთი საპროცენტო განაკვეთის პირობებში 100 დოლარიანი ანაბრის მფლობელს ბანკი უხდის $0.08 \times \$100 = \8 და ანაბრის იმ ნაწილზე, რომლის ხელმეორედ გასესხებაც მას შეუძლია, იღებს $0.10 \times \$90 = \9 . ასე რომ, ბანკს შეუძლია, დაფაროს მისი \$1 წარმოების ხარჯი იმ სხვაობიდან, რომელიც სახესხვა მსესხებლისა და მის მიერ მეანაბრისათვის გადახდილ თანხას შორის. და პირიქით, ნიუ-იორკის ბანკთან შედარებით ევრობანკს შეუძლია დალარის ანაბარზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთის შემთავაზება და რაკი არა აქვს სავალდებულო რესურვის პრობლემა, შეუძლია გაასესხოს 100 დოლარიანი ანაბარი მთლიანად და აქედან მოიგოს $0.10 \times \$100 = \10 (10%-იანი სესხის საპროცენტო განაკვეთის პირობებში). თუ ევრობანკი გადაუხდის თავის მეანაბრეებს 9%-იან განაკვეთს, 100 დოლარიანი ანაბრის მფლობელი იღებს 9 დოლარს და სხვაობა ($\$10 - \$9 = \$1$) ფარავს ბანკის წარმოების ხარჯს. როგორც ითქვა, ევრობანკს არა აქვს სავალდებულო რესურვის პრობლემა, ამიტომ მას შეუძლია მეანაბრეს შესთავაზოს საპროცენტო განაკვეთი – ნიუ-იორკის ბანკის მიერ შემთავაზებულზე მეტი. ევროდოლარის ანაბარზე საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის მაღალია, ვიდრე აშშ-ში განთავსებულ ვადიან ანაბრებზე. ბენებრივია, ბევრი მეანაბრე მიმართავს ევროვალუტის ბაზრებს აღნიშნული უპირატესობის გამო.

ევრობანკებს შეუძლიათ, კონკურენცია გაეწიონ ადგილობრივ ბანკებს მსესხებლისათვის დაბალი საპროცენტო განაკვეთის შესთავაზებით, მაგრამ სესხის ბაზარზე დამკვიდრებული კონკურენცია ბანკების სესხის პროცენტებს დაახლოებით გათანაბრებისაკენ უბიძგებს. რატომ ირსიევენ მეანაბრეები ადგილობრივ ვადიან ანაბრებს, რომლებიც უფრო დაბალ მოგებას სთავაზობენ, ვიდრე ევროვალუტის ანაბრები? ამის მიზეზია ის, რომ ადგილობრივი ბანკებისათვის დადგენილი წესების საფუძველზე ადგილობრივი ანაბრები აელენენ ბანკის გაკატრების რისკისადმი მდრეკილეებას. რისკი იმისა, რომ მეანაბრეების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, უფრო მეტია ევროვალუტის არარეგულირებად ბაზარზე და ანაბრის უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც აქ იხდიან, წარმოადგენს მეანაბრეთა რისკის საფასურს.

სავალდებულო რეზერვისაგან განთავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ფაქტორია, რომლის გამოც ევროვალუტით ვაჭრობა მიმსიდველი ხდება ბანკებისა და მათი კლიენტებისათვის; არსებობს სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ევროდოლარის ანაბრების უპირატესობაა ვალის დაფარვა უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე შესაბამისი ვადიანი ანაბრებისა, რომლის გამოშვების უფლება აქვთ აშშ-ს ბანკებს. ამის მსგავსი მარეგულირებელი ასიმეტრიები ხსნიან იმას, თუ ფინანსური ცენტრები, რომელთა მთავრობები აწესებენ შესუდევებს უცხოური ვალუტის საბანკო საქმიანობებზე, რატომ იქცნენ ევროვალუტის მთავარ ცენტრებად. ლონდონი არის ლიდერი, მას მიჰყვებიან ლუქსემბურგი, ბაჰრეინი, ჰონგ - კონგი და სხვა ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს უჯიბრებიან საერთაშორისო საბანკო ბიზნესში იმით, რომ ამცირებენ თავიანთ სასაღებო უცხოური ბანკების ოპერაციებზე გადასახადებსა და შესუდევებს.

ვერც აშშ-მ და ვერც გერმანიამ ვერ მოიხიდა მსოფლიო ევროვალუტის მნიშვნელოვანი წილი იმიტომ, რომ ორივე ქვეყანა იყენებს ერთნაირ წესებს ყველა ადგილობრივი ანაბრის მიმართ, მათი გამომსახველი ვალუტის მიუხედავად. ბოლო ხანებში აშშ-ს მთავრობამ სცადა, დახმარებოდა ამერიკის საბანკო მრეწველობას. 1981 წელს *ფედერალურმა* ნება დართო ადგილობრივ ბანკებს, შემოეღოთ *საერთაშორისო ბანკის მომსახურებები* აშშ-ში ვადიანი ანაბრების მიღებისა და უცხოელი კლიენტებისათვის მათი გაცემის მიზნით. საერთაშორისო ბანკის მომსახურება არ ექვემდებარება სავალდებულო რეზერვს ანუ პროცენტების განაკვეთის მაქსიმუმს, რის გამოც ისინი ამოღებულა შტატისა და ადგილობრივი გადასახადიდან. მაგრამ საერთაშორისო ბანკის მომსახურებას ეკრძალება, მიიღოს ანაბრები ან გაასესხოს ფული აშშ-ს მაცხოვრებლებზე. 1981 წლამდე საქმიანობა, რომელსაც ახლა მომსახურების სახით ახორციელებს საერთაშორისო ბანკი, ნაკლებ ეფექტურად მიმდინარეობდა კარიბის აუზის ქვეყნებში განთავსებული ფილიალ - ოფისების საშუალებით.

ტექნიკურად დოლარის ანაბარი საერთაშორისო ბანკის მომსახურებებში არის ევროდოლარი, რადგან საერთაშორისო ბანკი ფიზიკურად მდებარეობს აშშ-ში. აშშ-ში შემოიღეს მარეგულირებელი წესები, რითაც საერთაშორისო ბანკის მომსახურება გაემიჯნა ადგილობრივ ბანკებს ისე, თითქოს ისინი სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანობდნენ. საერთაშორისო ბანკის მომსახურების მესვეურთა ქცევა შესანიშნავი მაგალითია იმისა, როგორ მიიტყუეს მომგებიანი საერთაშორისო საბანკო ბიზნესი თავიანთ ქვეყანაში და როგორ ცდილობენ ადგილობრივი ფინანსური სისტემის ბანკების იზოლაციას საერთაშორისო საქმიანობიდან.

ევროვალუტები და მაკროეკონომიკური სტაბილურობა

ევროვალუტის ანაბრების დიდ გაერთიანებას ხშირად შიშით უყურებენ მაკროეკონომიკის პოლიტიკის შემქმნელები. ძირითადად ორი საკითხი აწუხებთ მათ: (1) ევროვალუტის შექმნის არარეგულირებადი პროცესი წარმოშობს საერთაშორისო ლიკვიდურ დიდ ანაბრებს (ფულს), რაც გამოიწვევს მსოფლიო მასშტაბის ინფლაციას. (2) ევროვალუტის სისტემა ამნელებს ქვეყნის მონეტარული ხელისუფლების კონტროლს თავიანთი ფულის მასაზე.

ევროვალუტები და მსოფლიო ინფლაცია. მე-14 თავში ქვეყნის ინფლაციის ტემპი დაეუკავშირეთ მისი ფულის მასის ზრდას. იგი განესაზღვრეთ, როგორც ვალუტის მასა და შესამოწმებელი ანაბრები. ევროვალუტის ანაბრები კარგად არ ერგება ფულის იმ განსაზღვრებას, რომელიც შესაბამება *ფედერალური რეზერვის* ფულის საზომს - M1 - იმიტომ, რომ ანაბრები შედარებით არალიკვიდურია. სამაგიეროდ, ევროვალუტის ანაბრები ძალიან ჰგავს ვადიან ანაბრებს; *ფედერალური* ბანკი *ფლობს* ევროდოლარის ანაბრებს, რომელთაც ბანკებში არ ინახავენ აშშ-ს მცხოვრებნი. მაგრამ ის ფაქტი, რომ ევროვალუტის ანაბრების უმეტესობა არის „თითქმის ფული“ და არა ფული, არ უარყოფს მათს გავლენას ქვეყნების ფასის დონეზე. ცენტრალური ბანკი თვალყურს ადევნებს ყველა მონეტარულ გაერთიანებას იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ფასის მანქანებზე. ამდენად, იმის შესაძლებლობა, რომ ევროვალუტის შექმნა გავლენას მოახდენს ინფლაციაზე, არ შეიძლება უარყოფილი იქნას.

ბუნდოვანია ევროვალუტის შექმნის ინფლაციური ეფექტის მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მნიშვნელოვანი არ გახდება მომავალში, თუ ევროვალუტის ძალიან სწრაფი ზრდა გაგრძელდება. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთობ ცოტა რამის შეცვლის უფლება აქვთ ინდივიდუალურ მთავრობებს, რათა შესუდუნონ თავიანთი ვალუტის სხვა ქვეყნებში დეპონირების ზრდა. თუ აშშ-ს მთავრობა დააწესებდა ამერიკის ბანკების ფილიალებისა და ოფისების დოლარის პასივების სავალდებულო რეზერვს, წარმატებას მიაღწევდა მხოლოდ ევროდოლარების გადატანით ბანკებში, რომელთა სათაო ბანკები სხვა ქვეყნებშია. ევროვალუტის ზრდის გაკონტროლება შესაძლებელია, თუ ყველა მთავრობა თავისი მარეგულირებელი იურისდიქციის გათვალისწინებით ერთობლივად შემოიღებდა უცხოური ვალუტის ოპერაციებზე ბანკების სავალდებულო რეზერვს. მაგრამ ასეთი ტექნიკურად და პოლიტიკურად რთული ერთობლივი მოქმედება ნაკლებ განხორციელებადია უახლოეს მომავალში. კერძოდ, სავალდებულო რეზერვსა და სხვა ფინანსურ რეგულირებებზე საჭირო იქნება საერთაშორისო შეთანხმება.

ევროვალუტის მხრიდან ინფლაციის გამომწვევი საფრთხე არ უნდა იქნას გაზვიადებული. ფინანსური რეგულირება ყოველთვის აძლევდა ბაზრებს, შექმნათ არარეგულირებადი „თითქმის ფული“ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სფეროში. თუ ასეთი ფინანსური გამოგონება წარმოშობს მონეტარული კონტროლის პრობლემებს ხანმოკლე პერიოდში, ის არასწორად იწვევს გაჭიანურებულ ინფლაციას, რისიც

ევროვალუტის სისტემის 'სოც დამკვირვებელს ეშინია. ევროვალუტის მსგავსი საერთაშორისო ფინანსური სიახლეების დამახასიათებელი ხირთულე ის არის, რომ „თითქმის ყველს“ ქმნიან უცხოური ქვეყნების ინსტიტუტები ნებისმიერი ინდივიდუალური მთავრობის კონტროლის სფეროდან.

ევროვალუტები და მონეტარული კონტროლი. იმის გამო, რომ მონეტარული ბაზა უტოლდება ცენტრალური ბანკის პასივებს, ეს უკანასკნელი თავისი საქიანობით უშუალოდ აკონტროლებს ადგილობრივი და უცხოური აქტივების მონეტარულ ბაზას (თავი 17). ერთიერთობა მთავარ და სხვა მონეტარულ გაერთიანებებს შორის ხორციელდება ფულის მულტიპლიკატორების საშუალებით, რომელიც გვინიშნებს. მონეტარული გაერთიანებისაგან რა სომის მხარდაჭერა შეუძლია მოცემულ მონეტარულ ბაზას. სხვადასხვა კატეგორიის ანაბრების საკვალდებულო რეზერვის საკითხი ცენტრალური მნიშველობისაა ფულის მულტიპლიკატორების სომის განსაზღვრისას და გულისხმობს, რომ ევროვალუტით ვაჭრობის ერთი-ერთი მიზანი არის, გახადოს მულტიპლიკატორები ნაკლებსტაბილური. როცა აღამიანები გადაადგილებენ თავიანთ ფულს საკვალდებულო რეზერვსუ დაქვემდებარებულ ადგილობრივ ანაბრებსა და ამ უკანასკნელსუ დაქვემდებარებისაგან თავისუფალ ევრობანკის პასივებს შორის, რაოდენობრივი კავშირი მონეტარულ ბაზასა და მონეტარულ გაერთიანებებს შორის აგრეთვე გადაადგილდება.

იმ თვალსაზრისით, რაკი ევროვალუტის ბაზრის არსებობა ფულის მულტიპლიკატორებს ნაკლებსტაბილურს გახდის, ცენტრალური ბანკები ევრ აკონტროლებენ მონეტარულ გაერთიანებებს ისე კარგად, როგორც ეს სურდათ ხანმოკლე პერიოდში. ეს პრობლემა არ არის ნიშანდობლივი ევროვალუტისათვის – შიდა წმინდა ფინანსური სიახლენი აგრეთვე იწვევენ მულტიპლიკატორის არასტაბილურობას, რის შედეგადაც მისი უვექტი ხანგრძლივ პერიოდში არ არის დიდი. სერთაშორისო აქტივებით ვაჭრობის ღირებულების შემცირებით ევროვალუტის სისტემა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს პორტფელის შეცვლას, რაც ხელისუფლებას, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება არასასურველად ეხეწოს. მაგრამ ნებისმიერი მაკროეკონომიკური 'სარალის შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებულნი ის ფაქტი, რომ წარმოების ხარჯების შემცირება ხდება მომხმარებლის სასარგებლოდ ისევე, როგორც ევრობანკების მიერ განხორციელებული აქტივების გაცვლა.

როგორც უემოთ აღვნიშნეთ, ევროვალუტის ბაზართან დაკავშირებული ნებისმიერი მონეტარული არასტაბილურობა არ ეხება მონეტარულ ბაზას: მონეტარული გაერთიანება ცენტრალური ბანკის მკაცრი კონტროლის ქვეშაა, რომელიც მართავს ბაზას ადგილობრივ და უცხოურ აქტივებში თავისი წარებით. როცა ინდივიდი იღებს დოლარს სითიბანკის (ნიუ-იორკი) ვაღიანი ანაბრიდან და ათავსებს მას ბერკლის ბანკის (ლონდონის) ანგარიშსზე, ფედერალური რეზერვი არ არის წართული ამ თპერაციებში. ამიტომაც მის საგადამხდელი ბალანსში ცვლილებები არ აღინიშნება. საგადამხდელი ბალანსის თვალსაზრისით, კაპიტალის გაღინება, ანუ ინდივიდის მიერ თავისი ფონდების გადატანა ნიუ-იორკიდან ლონდონში, უესტად წონასწორდება შეღინებით, ანუ, როცა ბერკლი ან დოლარის მსესხებელი იყენებს ამ ფონდებს საქონლის, მომსახურების ან აქტივის შესაძენად აშშ-ში. მაგალითად, სიმეტრიული არგუმენტი გვინიშნებს, რომ აშშ-ს მონეტარული ბაზა არ გაიბერება, თუ პოლიტიკური პანიკა ევროპაში გამოიწვევს მოთხოვნის უსარმაზარ გადახრას ევროვალუტის მქონე ქვეყნებიდან ადგილობრივი დოლარის აქტივებში. ამგვარად, იმის შიში, რომ ევროდოლარები შეიძლება „დაბრუნდეს“ აშშ-ში, ძალიან გადაჭარბებულია.

იპონიის ფინანსური ბაზრების ბასხნა

მეორე მსოფლიო ომის დასახრულიდან 1970-იანი წლების შუა ხანებამდე მკაცრად რეგულირდებოდა იპონიის ფინანსური სისტემა როგორც შიგნით, ასევე უცხოური კაპიტალის ბაზრებთან მის ერთიერთობაში. ბოლო 15 წლის განმავლობაში იპონიელმა ხელისუფლებმა ხელი შეუწვეს უფრო თავისუფალი ადგილობრივი ფინანსური ბაზრების შექმნას და ახალი ფინანსური საშუალებების შემოტანას. მათ აგრეთვე სწრაფად მთახდინეს იპონიის ფინანსური ბაზრების ინტეგრირება მსოფლიო ბაზრებთან.

1970-იანი წლების ბოლოდან იპონიამ დაიწყო ძირითადი კაპიტალის ლიბერალიზაცია ადგილობრივი აქტივების უცხოურ მესხიდებზე შესღვლელების მოხსნა. 1984 წლის მასში ამერიკის ზეწოდით აშშ-ს ხაზინა და იპონიის ფინანსთა სამინისტრო შეთანხმდნენ შესღვლადი ლიბერალიზაციის დონისიძებების თაობაზე. კერძოდ, სასქიციებელი იქნა იპონიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფართო დიაპაზონი. იპონიელებს მიეცათ თავისუფლება, შეეძინათ უცხოური აქტივები და მოიხსნა შესღვლეები იპონიაში უცხოური ობლიგაციების გამოშვებაზე. 1986 წლის თებერვალში ტოკიოს სააქციო ბირჟასუ პირველმა უცხოელებმა დაიკავეს ადგილი. იმავე წლის ბოლოს იპონიელებმა გახსნეს სხვა ქვეყნებში განხორციელებული (ოფშორული) საბანკო საქმის ბაზარი ტოკიოში, სადაც იპონიელი ბანკირები სხვა ქვეყნის ფინანსისტებთან ერთად მონაწილეობენ.

იპონიელებსა და უცხოელი ფინანსისტების სიახლეის შესღვლად შეიქმნა ზოგიერთი ტერმინოლოგიური ერთეული. იქნით განისახსნელ ობლიგაციებს, რომელიც გამოიყარა არაიპონიელების მიერ იპონიაში.

ეწოდება სამურაის ობლიგაციები. როცა ეს ობლიგაციები უცხოური ვალუტით გამოისახება და არა იენებით, ეწოდებათ შოგენის ობლიგაციები. უცხოური ვალუტის ობლიგაციები, გამოცემული იაპონელების მიერ სა'სღვარგარეთ, ცნობილია სუშის ობლიგაციების სახელით. და ბოლოს, იენის ობლიგაციებს, გამოშვებულს აშშ-ში იაპონელების მიერ, არ აქვს განსაკუთრებული იაპონური სახელი. ის პირველად 1985 წელს გამოვიდა და ეწოდება იანკის იენის ობლიგაცია.

საერთაშორისო საბანკო საქმის რეგულირება

საერთაშორისო საბანკო საქმიანობის მზარდი რეგულირება შესაძლებელია სასურველი იყოს იმ მიზეზებით, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თვიდან თვემდე მაკროეკონომიკის პოლიტიკის ეფექტურობასთან. ბევრი დამკვირვებელი დარწმუნებულია, რომ არარეგულირებადი გლობალური საბანკო საქმიანობის მსოფლიო ფინანსურ სისტემას ემუქრება ბანკების მასიური გაკოტრება. არის ეს რეალური საშიშროება? თუ ასეა, რა ღონისძიებები გაატარეს მთავრობებმა მის შესამცირებლად?

ბანკის გაკოტრების პრობლემა

ბანკი კოტრდება მაშინ, როცა ის ვეღარ ასრულებს თავის ვალდებულებებს მეანაბრების წინაშე. ბანკები იყენებენ მეანაბრების ფონდებს სესხებისათვის და სხვა აქტივების შესაძენად, მაგრამ ბანკის ზოგიერთმა მსესხებელმა შეიძლება ვეღარ გადაიხადოს ბანკის ვალი, ან ბანკის აქტივების ღირებულება რაიმე მიზეზის გამო შემცირდეს. ასეთ გარემოებათა გამო ბანკი ვერ შეძლებს, გადაუხადოს თავის მეანაბრებს.

საბანკო საქმის დამახასიათებელი ნიშანია ბანკის ფინანსური მდგომარეობის დამოკიდებულება მეანაბრების ნდობაზე. თუ ისინი დარწმუნდებიან, რომ ბანკის აქტივების ღირებულება კლებულობს, თითოეული ეცდება, გაიტანოს თავისი თანხები ამ ბანკიდან და განათავსოს ისინი სხვაგან. ბანკმა, რომელსაც ანაბრების დანაკარგები აქვს, მოქმედება უნდა შეწყვიტოს მაშინაც კი, თუ მისი ბალანსის აქტივის მხარე სრულიად დაუზიანებელია. ამის მიზეზი შემდეგია – ბევრი საბანკო აქტივი არალიკვიდურია და ვერ გაიყიდება ისე სწრაფად, რომ დაკმაყოფილდეს სადეპოზიტო ვალდებულებები ბანკისათვის დიდი დანაკარგების გარეშე. თუ ფინანსური პანიკა გაგრძელდება, ბანკის გაკოტრება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ბანკებით, რომლებმაც ვერ მართეს თავიანთი აქტივები. თითოეული მეანაბრე დაინტერესებულია, გაიტანოს თავისი ფული ბანკიდან მაშინაც კი, თუ ბანკის აქტივები დაუზიანებელია.

ბანკის გაკოტრება, რა თქმა უნდა, სერიოზული ფინანსური დარტყმაა მეანაბრისათვის, რომელიც კარგავს თავის ფულს. მაგრამ გარდა ამ ინდივიდუალური დანაკარგებისა, ბანკის გაკოტრებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ერთი ბანკის პრობლემები შესაძლოა ადვილად გაერცეოდეს და დააზიანოს ის ბანკები, რომელთაც გასაჭირში ჩაეარდნენ ბანკთან ფინანსური ურთიერთობები ჰქონდათ. ბანკებისადმი ასეთი საყოველთაო უნდობლობა ძირს გამოუთხრის საგადასახდო სისტემას, რომელზეც დამოკიდებულია ეკონომიკა. ბანკების გაკოტრება დაასუსტებს საბანკო სისტემის მხრიდან ინვესტირებისა და მომხმარებელთა ხარჯების დაფინანსების უნარს და ამით შეამცირებს ერთობლივ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ეკონომიკურ კრიზისს. ცნობილია, რომ 1930-იანი წლების აშშ-ში ბანკების დახურვამ დასაბამი მისცა დიდ დეპრესიას.

მთავრობები ცდილობენ, რეგულირების საშუალებით თავიდან აიცილონ ბანკების გაკოტრების მიუღებელი შედეგები თავიანთ ადგილობრივ საბანკო სისტემაში. კარგად ორგანიზებული ბანკები თვითონ იღებენ ზომებს გაკოტრების წინააღმდეგ, რეგულირების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მაგრამ იმის გამო, რომ გაკოტრების ხარჯები სცილდება ბანკის მფლობელის შესაძლებლობას, ზოგი ბანკი შესაძლოა, რისკზეც კი წავიდეს. ამასთანავე, კარგი საინვესტიციო სტრატეგიის მქონე ბანკებიც კი გაკოტრდებიან, თუ გაერცელება ხმები მათი ფინანსური სიძნეელების შესახებ. ბანკის ბევრი მარეგულირებელი ღონისძიება, რომელსაც დღეს მთავრობები ახორციელებენ, დიდი დეპრესიიდან მიღებული გამოცდილების შედეგია.

აშშ-ში შექმნილია უსაფრთხოების რთული ქსელი ბანკების გაკოტრების რისკის შესამცირებლად. ამავე ზომებს მიმართავენ სხვა განვითარებული ქვეყნებიც. აშშ-ს უსაფრთხოების მთავარი მაჩვენებლებია:

1. **ანაბრების დაზღვევა.** ანაბრების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია აზღვევს ბანკის მეანაბრებს 100 000 დოლარამდე ზარალის შემთხვევაში. ბანკებს მოეთხოვებათ, დახმარებები შეიტანონ აღნიშნულ კორპორაციაში, რათა დაფარონ ამ დაზღვევის ხარჯები. კორპორაცია იცავს ბანკებს, რათა მცირე ანაბრების მფლობელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მთავრობა აანაზღაურებს მათ დანაკარგებს; ცდილობენ, აღარ გაიტანონ თავიანთი ფული ბანკიდან მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს გააქვთ იგი. 1989 წლიდან კორპორაცია უზრუნველყოფს სესხებისა და დანაზოგების დაზღვევას.
2. **სავალდებულო რეზერვი.** სავალდებულო რეზერვი მინეტირული პოლიტიკის მთავარი საკითხია, რადგან

მისი, როგორც მთავარი არხის, საშუალებით ცენტრალური ბანკი გავლენას ახდენს მონეტარულ ბაზასა და მონეტარულ ერთიანობებს შორის ურთიერთობაზე. იმავდროულად სავალდებულო რეზერვი აიძულებს ბანკებს, იქონიონ თავიანთი აქტივების ნაწილი ლიკვიდური ფორმით, რომელთა მობილიზება შესაძლებელი იქნება ანაბრების უცაბედი გადინების შემთხვევაში.

3. **კაპიტალზე მოთხოვნები და აქტივების შეზღუდვები.** განსხვავებას ბანკის აქტივებსა და პასივებს შორის, რაც ბანკის წმინდა ქონების ტოლია, ეწოდება ბანკის კაპიტალი. ეს ის კაპიტალია, რომელსაც ბანკის აქციონერები ბანკის აქტივების ყიდვით იძენენ, და რადგან ის წარმოადგენს ბანკის აქტივების იმ ნაწილს, რომელიც არ არის შეანაბრების მფლობელობაში, იგი ბანკისათვის განაპირობებს დამატებით უსფრთხოებას მისი სხვა აქტივების მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. აშშ-ს ბანკის მარეგულირებლები აწესებენ ბანკის კაპიტალზე მოთხოვნის მინიმალურ დონეს, რათა შეამცირონ სისტემის გაკოტრების შესაძლებლობა; სხვა წესები იცავენ ბანკებს „ძალიან რისკიანი“ აქტივებისაგან, როგორცაა, მაგალითად, ცვალებადი ფასის ჩვეულებრივი აქტივები; წესების ნაწილი კი ეწინააღმდეგება ცალკეული კლიენტის ან ცალკეული უცხოელი სამთავრობო კრედიტორისათვის დიდი კრედიტების გაცემას.
4. **ბანკის შემოწმება.** ანაბრების დაზღვევის ფედერალურ კორპორაციას და ვალუტის მაკონტროლებელ ოფისს აქვთ უფლება, შეამოწმონ საბანკო ანგარიშის წიგნები, რათა დარწმუნდნენ ბანკის კაპიტალის სტანდარტისა და სხვა წესების არსებობაში. შესაძლოა, ბანკი აიძულდეს, გაეღოს ის აქციები, რომლებსაც შემოწმებული ძალიან რისკიანად ჩათვლის, ან დაარეგულიროს თავისი ბალანსი იმ სესხების ჩამოწერით, რომლებიც, შემოწმებლის აზრით, გადაუხდელოდ ითვლება.
5. **სახსრების უკანასკნელი გამსესხებელი.** აშშ-ს ბანკებს შეუძლიათ ისესხონ თანხები დისკონტო ფედერალურისაგან. რადგან დისკონტი არის მონეტარული მართვის იარაღი, ფედერალურს შეუძლია იგი ასევე გამოიყენოს ბანკების პანიკისაგან დასაცავად. რადგან ფედერალურს შეუძლია შექმნას ვალუტა, მასვე შეუძლია ასესხოს მიიმე მდგომარეობაში ჩაუარდნილ ბანკებს იმდენი, რამდენიც მათ სურთ შეანაბრეთ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. როცა ფედერალური ამგვარად მოქმედებს, იგი ბანკისათვის უკანასკნელ გამსესხებელად ითვლება. როცა შეანაბრებმა იციან, რომ ფედერალური დგას ბანკების გვერდით, ნდობა უბრუნდებათ და ფინანსური პრობლემების შემთხვევაში არ აფორიაქდებიან. ცენტრალური ბანკის, როგორც უკანასკნელი გამსესხებელის დახმარება რთულია და ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. თუ ბანკები ფიქრობენ, რომ ცენტრალური ბანკი ყოველთვის გამოიყვანს მათ გაჭირვებიდან, ისინი რისკზე წაელენ და თუ გაირკვევა, რომ ეს რისკი უაზრო იყო, უკანასკნელი გამსესხებელი იწყებს ბანკის შემოწმებას.

საბანკო საქმის უსაფრთხოების ზემოთ ჩამოთვლილი გარანტიები ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი – უზუსტობამ ერთ სფეროში შეიძლება გამოიწვიოს რეაგირება მეორეში. მაგალითად, იმის გამო, რომ შეანაბრებს აღარ გააქვთ ბანკებიდან თანხები, ანაბრების დაზღვევამ შეიძლება სტიმული მისცეს ბანკირებს, გასცენ რისკიანი სესხები. ახლანდელი დანაზოგებისა და სესხების ასოციაციების კრიზისი აშშ-ში ზუსტად ამის მაგალითია. 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ-მ მოახდინა დანაზოგებისა და სესხების დერეგულაცია (სახელმწიფო ჩარევა). მანამდე კი დანაზოგები და სესხები ძალიან შეზღუდული იყო ადგილობრივი გირაოთი გასესხების დროს, როცა ბანკებს ეძლეოდათ უფლება, გაეცათ უფრო სარისკო სესხები, მაგალითად, სესხები (სავაჭრო კომერციულ) უძრავ ქონებაზე. ბანკების შემოწმება ამ ახალი სიტუაციის არაადეკვატური იყო. მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევით დამშვიდებულ შეანაბრებს აღარ აუჭევდათ ის, რომ დანაზოგებისა და სესხების ასოციაციის მმართველები დააფინანსებდნენ უგუნურ სახიფათო წამოწყებას. ამან გამოიწვია დანაზოგებისა და სესხების მასიური დაზარალება, რამაც გავლენა მოახდინა გადასახადების იმ გადამხდელებზე, რომლებიც ფლობდნენ დაზღვეული ანაბრების თამასუქებს.

აშშ-ში კომერციული ბანკების უსაფრთხოების ქსელი კარგად მოქმედებდა 1980-იანი წლების ბოლომდე, მაგრამ მთავრობის ჩარევისა და კომერციული საკუთრების ღირებულების მკვეთრად დაცემის შედეგად მასიურად დაიწყო ბანკების დახურვა და ანაბრების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია გაუქმდა. აშშ-ს მთავრობა ახლა გამაღებით ცდილობს, შექმნას ბანკების უსაფრთხოების უფრო სრულყოფილი სისტემა. 1980-იანი წლების ბოლოს მსგავს პრობლემებს წააწყდნენ იაპონია, სკანდინავიის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი და შვეიცარიაც კი.

საერთაშორისო საბანკო საქმის ზედამხედველობასთან დაკავშირებული სიძნელეები

საბანკო საქმის ის წესები, რომლებიც გამოიყენება აშშ-ში და სხვა ქვეყნებში, ნაკლებეფექტური ხდება საერთაშორისო გარემოში, სადაც ბანკებს შეუძლიათ გადაანაცვლონ თავიანთი ბიზნესი სხვადასხვა მარეგულირებელ იურისდიქციებს შორის. რომ ვაჩვენოთ, რატომაა საერთაშორისო საბანკო სისტემა უფრო რთული სარეგულირებელი, ვიდრე ადგილობრივი ბანკები, ქვემოთ ავხსნით. აღვნიშნოთ ახლახანს აღწერილი აშშ-ს დაზღვევის ეფექტურობა როგორ მცირდება სხვა ქვეყნებში წარმოებული საბანკო საქმიანობით:

1. საერთაშორისო საბანკო საქმიანობაში არ არსებობს ანაბრების დაზღვევა. ადგილობრივი ანაბრების დაზღვევის სისტემას შეუძლია დაიცვას ადგილობრივი და უცხოელი შეანაბრები ერთნაირად, მაგრამ დაზღვევის მოცულობა იმდენად მცირეა, რომ მას არ შეუძლია მოიცვას ანაბრების ის რაოდენობა, რაც

- ახსიათაუბს საერთაშორისო საბანკო საქმიანობას. ე.ი. ბანკთაშორის ანაბრები დაუცველია.
- საველდებულო რესურსების არარსებობა წარმოადგენს ევროვალუტით ვაჭრობის სრდის მთავარ ფაქტორს. როცა ევრობანკები მოიპოვებენ კონკურენტულ უპირატესობას იმით, რომ თავს არიდებენ საველდებულო რესურსზე გადასახადს, იქმნება სასოგადოების ხარჯი საბანკო სისტემის სტაბილურობის შემცირების ფორმით. არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია გადატრას ეს პრობლემა თავისი ბანკების უცხოური ფილიალებისათვის საველდებულო რესურსის დაწესებით. შეთანხმებული საერთაშორისო მოქმედება განერებულია მსოფლიო რეგულირებების შესახებ შეთანხმებების პოლიტიკური და ტექნიკური ხიძველებით და იმით, რომ სოგაერთ ქვეყანას არ სურს, აწარმოოს საბანკო ბიზნესი სუდამხედველობის გამკაცრებით.
 - ბანკის შემოწმება კაპიტალზე მოთხოვნის დაწესებისა და შეხლედეების შემოღების მიზნით უფრო ძნელი ხდება საერთაშორისო მასშტაბით. მარეგულირებლები ძირითადად ამოწმებენ ხილმე თავიანთი და თავისი უცხოური ფილიალების ბალანსს. მაგრამ ისინი ნაკლებ სიმკაცრეს იხენენ ბანკების უცხოური ფილიალების მიმართ, რომლებიც უმნიშვნელოდ არიან დაკავშირებული მეთაურ ბანკთან, თუმცა მათმა ფინანსურმა მომავალმა შესაძლოა გაელენა მოახდინოს მეთაური ბანკის გადახდისუნარიანობაზე. ბანკები ხშირად სარგებლობენ ამ უზუსტობით და იმ სარისკო საქმეებს ატრიალებენ, რომელთა შესახებაც ადგილობრივი რეგულატორს შეიძლება მრავალი კითხვა გაუნენდეს იქ, სადაც რეგულატორ-იურისტს მხოლოდ რამდენიმე კითხვა თუ დაებადებოდა. შემდგომში ხშირად გაეკებარია, სუდამხედველია რომელი ჯგუფია პასუხისმგებელი მოცემული ბანკის აქტივების მონიტორინგზე. დაეუშვათ. იტალიური ბანკის ლონდონის ფილიალი აწარმოებს ოპერაციებს ძირითადად ევროვალუტებით. ამ ფილიალის აქტივები რომელ რეგულატორს აინტერესებს – ბრიტანელს, იტალიელს თუ ამერიკელს?
 - გაურკვეველია, რომელი ცენტრალური ბანკია პასუხისმგებელი უკანასკნელი გამსესხებლის უზრუნველყოფაზე. საერთაშორისო საბანკო სისტემაში ეს პრობლემა იმის მსგაესია, რომელიც ეხება ბანკზე სუდამხედველობის პასუხისმგებლობის განაწილებას. დაეუბრუნდეთ ლონდონში იტალიური ბანკის ფილიალის მაგალითს. ეკისრება თუ არა ფედერალურს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ გადაარჩინოს ეს ფილიალი დოლარის ანაბრების უცაბუდი გადინებისაგან? უნდა ჩაერიოს ამაში ინგლისის ბანკი? იქნებ იტალიის ცენტრალურ ბანკს აკისრია ეს პასუხისმგებლობა? როდესაც ცენტრალური ბანკები უზრუნველყოფენ უკანასკნელი გამსესხებლის დახმარებას, ისინი სრდიან ადგილობრივი ფულის მასას და შეიძლება დათმონ ადგილობრივი მაკროეკონომიკური მიზნები. საერთაშორისო საქმიანობის პირობებში ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მიაწოდოს რესურსები სასლვარგარეთ განთავსებულ ბანკს, რომლის საქმიანობაც არ ექვემდებარება მონიტორინგს. ცენტრალური ბანკები უერნებიან თავიანთი უკანასკნელი გამსესხებლის პასუხისმგებლობის გაფართოებას.

საერთაშორისო ზედამხედველების თანამშრომლობა

საბანკო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციამ შესასუსტა ბანკების გაკოტრებისაგან დაცვის გარანტიები, მაგრამ იმავდროულად დაანჭარა ეფექტური დაცვის გარანტიების შექმნის აუცილებლობა. სხვადასხვა ქვეყნების საბანკო საქმიანობა მოიცავს ბანკთაშორის ანაბრების უსარმაზარ მოცულობას. მაგალითად, ევროვალუტის მთელი ანაბრების დაახლოებით 80%-ს ფლობენ კერძო ბანკები. ბანკთაშორის ანაბრების განთავსების მაღალი დონე გულისხმობს, რომ პრობლემა, რაც გაელენას ახდენს ერთ ბანკზე, შესაძლოა ადვილად გაერცუდდეს სხვა ბანკებზეც, რომლებთანაც ამ ბანკს საქმიანი ურთიერთობა აქვს; ეს კი გამოიწვევს გლობალური მასშტაბის საბანკო პანიკას.

ეს კოშმარი მოსენებას არ აძლედა ცენტრალურ ბანკებსა და მთავრობებს მას შემდეგ, რაც სასლვარგარეთ საბანკო საქმიანობამ სწრაფი ტემპით დაიწყო სრდა 1960-იან წლებში. ასე გაგრძელდა 1974 წლამდე. ამ წელს რამდენიმე ბანკი გაკოტრდა უცხოური ვალუტის დაკარგვის გამო, მათ შორის **ფრენკლინის ეროვნული ბანკი** აშშ-ში და **ბენკაუზი** – გერმანიაში. ამან გაელენა მოახდინა საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე და საერთაშორისო სესხების მოცულობა მკვეთრად დაეცა.

1974 წლის საბანკო კრიზისის საპასუხოდ II განვითარებული ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა შექმნა ჯგუფი, რომელიც **ბაზელის კომიტეტის** სახელითაა ცნობილი (ეს სახელი დაერქვა შვეიცარიის ქალაქ ბაზელის გამო, სადაც ხდება ცენტრალური ბანკების შეხვედრა). მისი მიზანი იყო, მიედწია ეროვნული ხელისუფლების მიერ საერთაშორისო საბანკო სისტემაზე განხორციელებული შემოწმების უკეთესი კოორდინაციისათვის. . . . ბაზელის კომიტეტი კვლავ რჩება სხვადასხვა ქვეყნების ბანკების სუდამხედველია თანამშრომლობის მთავარ ცენტრად.

1975 წელს კომიტეტმა მიადწია შეთანხმებას – „კონკორდატი“, რომელმაც მრავალქვეყნიანი საბანკო საქმიანობის დაწესებულებების სუდამხედველობაზე პასუხისმგებლობები განაწილა სათაო და უამრავ სხვა ქვეყანას შორის (ეს შეთანხმება გამოიცა 1983 წელს). „კონკორდატი“ გულისხმობდა ბანკების ინფლაციის სიროუდეთა განაწილებას სათაო ბანკისა და სხვა ბანკების მარეგულირებლებს შორის. ბაზელის კომიტეტმა განათავსა თავისი სუდამხედველობის დაქვემდებარებული წარმომადგენლობები ყველგან და მოაქცია ისინი ქვეყნის ხელისუფალთა ყურადღების ცენტრში. მაგალითად, კომიტეტმა წამოაყენა წინადადება, რომ სუდამხედველმა სააგენტოებმა გააკონტროლონ ბანკების უცხოური განყოფილებებისა და ფილიალების აქტივები, მოიპოონ მრავალი ქვეყნისაგან შემდგარი ბანკების ბალანსის შესახებ უკეთესი მონაცემები, რაც წარმოადგენს უფრო ეფექტური სუდამხედველობის წინაპირობას

ქვეყნის ზედამხედველობის შემოწმების პრაქტიკისაკენ პირველი ნაბიჯები გადადგა იაპონიამ 1988 წელს, როცა ბაზუელის კომიტეტი დათანხმდა, დაედგინათ საერთო სტანდარტები ბანკის კაპიტალის აღქმადეობის განსაზღვრისათვის. ეს სტანდარტები მოითხოვდა, საერთაშორისო ბანკებს აქონოდათ კაპიტალი, რომელიც შეადგენდა მათი რისკიანი აქტივების 8%-ს, რასაც ემატებოდა ბალანსის გარეშე (ფარული) ვალდებულებები. ეს 8% ზოგიერთი ბანკისათვის მაღალი აღმოჩნდა (მაგ. იაპონიისათვის). მაგრამ 1987 წლის ოქტომბერში საფონდო ბირჟების მარცხის დროს წარმოშობილმა ფინანსურმა კრიზისმა აიძულა კომიტეტი, მიემართა მკაცრი სტანდარტებისათვის.

იმ დროს, როცა ბაზუელის კომიტეტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მრავალეროვნული ბანკების ზედამხედველობა, ცოტა რამ თუ გაკეთდა ქვეყნებს შორის უკანასკნელი გამსუსხებლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. 1974 წელს ბანკების გაკოტრების შემდეგ, ცენტრალურმა ბანკებმა განიხილეს საერთაშორისო უკანასკნელი გამსუსხებლის საკითხი, მაგრამ არ გამოაცხადეს, თუ რა განსაზღვრულ შეთანხმებამდე მივიდნენ. არის მოსაზრება, რომ შეთანხმებას ცენტრალური ბანკები საიდუმლოდ ინახავენ, რათა თავიდან აიცილონ იმ ბანკების ავტომატური გამოსყიდვის ვარაუდი, რომლებიც არაგონიერულ რისკზე მიდიოდნენ და გასაჭირში ვარდებოდნენ.

საერთაშორისო არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა წარმოადგენს კიდევ ერთ პრობლემას. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელებაში თანამშრომლობა ძალაში შედის 1970-იანი წლების დასაწყისიდან, მაგრამ ზედამხედველები მხოლოდ ახლა იწყებენ არასაბანკო ფინანსური ფირმების მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარებას. მათი დაეკლება ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ფირმის, ისევე როგორც ბანკების, გაკოტრება, სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ქვეყნის გადასახადებს და საკრედიტო ქსელებს. საბანკო აქტივების ფასიან ქაღალდებში გადატანის მზარდმა პროცესმა ზედამხედველთათვის გაართულა მხოლოდ ბანკის ბალანსის შემოწმების გსით გლობალური ფინანსური მიმოქცევის სრული სურათის შექმნა. ამან გამოიწვია ის, რომ საჭირო გახდა, ხელისუფლებას მოეკროებინა და გაერთიანებინა მონაცემები იმ საერთაშორისო აქტიური ბანკების შესახებ, რომლებიც არ შედიან ფედერალურის სისტემაში. 1992 წელს უერთკავშირმა დააწესა კაპიტალზე მოთხოვნა ფასიანი ქაღალდებით მოვაჭრე ფირმებისა და ბანკებისათვის, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებენ.

„ბანკო ამბროზიანოს“ გაკოტრება

1982 წლის ივნისში იტალიის ეკელაზე მნიშვნელოვანი კერძო ბანკის გაკოტრება იმის ნათელი სურათია, თუ როგორ შეუძლიათ ფინანსური ინსტიტუტების გართულებულ კავშირებს იმედი გაუცრუონ ბანკის ზედამხედველებს და გამოიწვიონ კრიზისი. ბანკო ამბროზიანოს გაკოტრება, აშკარაა, გამოიწვია ბანკის პრეზიდენტის ახლო ურთიერთობამ მავნებლურ პოლიტიკურ ჯგუფთან და ვატიკანთან. ბანკო ამბროზიანოს პრეზიდენტი რობერტო კალვი ფიგურირებდა საერთაშორისო ფინანსური ქსელის ცენტრში, რომელიც აერთიანებდა ევროპას, კარიბის ზღვრის ქვეყნებსა და სამხრეთ ამერიკას. 1981 წელს კალვი მხილებულ იქნა იტალიის უცხოური ვალუტის რეგულირების დარღვევაში. იმავედროულად მთავრობის გამომსიებლებმა დაადგინეს საიდუმლო მემარჯვენე მასონურ ორგანიზაციაში მისი წევრობის შესახებ. ამ ორგანიზაციის სახელი იყო პროპაგანდა - 2 (ანუ პ-2), რომლის წევრი იყო არამარტო კალვი, არამედ ბევრი გავლენიანი იტალიელი, მათ შორის კაბინეტის ორი მინისტრი. პრემიერ მინისტრ არნალდო ფორლანის მთავრობა იძულებული იყო, გადამდგარიყო და პ-2 კანონგარეშედ გამოცხადდა.

რადგან ბანკო ამბროზიანო მთავრობისა და პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა, მალე გაირკვა, რომ ბანკის ზოგიერთი სესხი შემცირებული იყო. ამან გამოიწვია ანაბრების გატანა ბანკიდან. იტალიის ცენტრალურმა ბანკმა - ბანკა დე იტალიამ - შექმნა მთავარი იტალიური ბანკების კონსორციუმი, რომელმაც გადაიტანა ბანკო ამბროზიანოს აქტივები და პასივები და დააარსა ახალი ბანკი „ნუაეო ბანკო ამბროზიანო“. ბანკა დე იტალიამ განახორციელა თავისი უკანასკნელი გამსუსხებლის ფუნქცია იმის გარანტიით, რომ ნუაეო ბანკო ამბროზიანო გადაუხდიდა იმ იტალიელებსა და უცხოელებს, ვინც განათავსა თავისი ანაბრები თვით ბანკო ამბროზიანოში: ცენტრალურმა ბანკმა არ გასცა გარანტიები ბანკო ამბროზიანოს უცხოური ფილიალების პასივებზე. ბანკო ამბროზიანოს და მის ფილიალებს ფართო ფინანსური კავშირები აქონდათ კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ ინსტიტუტთან (ე.ი. ვატიკანის ბანკი). ამიტომ ბანკის გაკოტრების შემდეგ დაიწყო ვატიკანის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება.

თვით კალვი 1982 წლის ივნისის შუა რიცხვებში იტალიიდან გაუჩინარდა. მოგვიანებით მისი ცხედარი იპოვეს ლონდონის ერთ-ერთ ხიდზე ჩამოკიდებული. საბოლოოდ დაუდგინელი დარსა - თავი მოიკლა თუ მოკლეს.

რამდენად კარგად მოქმედებს საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი?

საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ახლანდელი სტრუქტურა მოიცავს ფინანსური არასტაბილურობის რისკს, რაც შესაძლოა შემცირდეს მხოლოდ ბევრ ქვეყანაში ბანკების სელამხედველობის ახლო თანამშრომლობით. მაგრამ იგივე სარგებლის მოტივმა, რომელსაც მოქმედებს მრავალფეროვნული ფინანსური ინსტიტუტები ქვეყნის რეგულირების ახალი წესებისაკენ, შესაძლოა მნიშვნელოვანი მოგება მისცეს მომხმარებლებსაც. როგორც ვნახეთ, საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მცხოვრებთ, გააამრავალფეროვნონ თავიანთი აქტივების პორტფელები სარისკო აქტივებით ვაჭრობით. მას შემდეგ, რაც მსოფლიოში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სწრაფი საერთაშორისო მიმოქცევის გარანტია იქმნება, ბაზარი შეძლებს განათავსოს მსოფლიო დანახოვები ყველაზე უფრო მწარმოებელურად. როგორ მოქმედებს საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი ამ მიმართებით?

საერთაშორისო პორტფელის გამრავალფეროვნების (ლივერსიფიკაციის) ზრდა

რადგან ქვეყნის მცხოვრებთა აქტივების პორტფელების მდგომარეობის შესახებ ზუსტი მონაცემების შედარება ხშირად შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია პირდაპირი დაკვირვებით გაიზომოს საერთაშორისო პორტფელის გამრავალფეროვნების ხარისხი. მიუხედავად ამისა, აშშ-ს ზოგიერთმა მონაცემმა შესაძლოა მიახლოებითი წარმოდგენა შეგვიქმნას ბოლო წლებში აქტივების პორტფელთა საერთაშორისო გამრავალფეროვნებაში არსებული ცვლილებების შესახებ.

1970 წელს აშშ-ს მცხოვრებთა მფლობელობაში არსებული უცხოური აქტივები შეადგენდა აშშ-ს ძირითადი კაპიტალის 6.2%-ს. უცხოეთის მოთხოვნები აშშ-ს მიმართ შეადგენდა მისი ძირითადი კაპიტალის 4.0%-ს. 1993 წლისათვის აშშ სასღვარგარეთ ფლობდა თავისი კაპიტალის 13.2%-ის აქტივებს, ხოლო უცხოური აქტივები აშშ-ში გაიზარდა მისი კაპიტალის 15.7%-მდე.

ეს პროცენტები მცირე ჩანს; საერთაშორისო აქტივების პორტფელის სრული გამრავალფეროვნება, ეკარავლობთ, რომ არეკლავს აშშ-ს ეკონომიკის მოცულობას დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში. ასე რომ, სრული გამრავალფეროვნების პირობებში აშშ-ს კაპიტალის დაახლოებით 70% უცხოელების ხელში იქნება მაშინ, როცა აშშ მცხოვრებთა მოთხოვნაც უცხოელების მიმართ იქნება აშშ-ს ძირითადი კაპიტალის ღირებულების დაახლოებით 70%. საერთაშორისო პორტფელის გამრავალფეროვნების დაბალ დონეს კიდევ უფრო შემატყუანებელს ხდის მრავალი ეკონომისტის ვარაუდი, რომ ამ გამრავალფეროვნებიდან მიღებული პოტენციური მოგება დიდია. მაგალითად, ფრანგი ეკონომისტის ბრუნო სოლნიკის შეფასებით, აშშ-ს ინვესტორი, რომელიც ფლობს მხოლოდ ამერიკულ აქციებს, თითქმის ანახევრებს თავისი პორტფელის რისკიანობას ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილი აქციებით, რითაც შემდგომ ამრავალფეროვნებს თავის აქციებს.

მონაცემები გვიჩვენებს, აქტივების პორტფელი როგორ გამრავალფეროვნდა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ზრდის შედეგად 1970 წლიდან. შემდგომში საერთაშორისო აქტივების მარაგი გადიდა. მაგალითად, 1993 წლის ბოლოს აშშ-ს მოთხოვნები უცხოელებისადმი დაახლოებით 2.6 ტრილიონ დოლარს უდრიდა, ე.ი. აშშ-ს მკპ-ის 41.7%-ს, უცხოეთის მოთხოვნები კი აშშ-ს მიმართ იყო დაახლოებით 3.2 ტრილიონი დოლარი, ანუ აშშ-ს მკპ-ის 49.7%. მსოფლიო საფონდო ბირჟები უფრო ახლო ურთიერთობებს ამყარებენ და კომპანიები მზად არიან გაყიდონ თავიანთი წილი უცხოურ ვალუტაზე. იაპონიამ (როგორც ადრე აღვნიშნეთ) დაიწყო თავისი ფინანსური ბაზრების გახსნა 1970-იანი წლების ბოლოს; 1979 წელს ბრიტანეთმა მოხსნა შესღვდებები, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მის მოსახლეობას, მონაწილეობა მიეღო აქტივებით საერთაშორისო ვაჭრობაში, ხოლო 1990-იან წლებში ევროკავშირმა წამოიწყო ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც გულისხმობდა მისი ფინანსური ბაზრების უფრო სრულად ინტეგრირებას გლობალური კაპიტალის ბაზარში.

დროთაშორისი ვაჭრობის გავრცობა

მსოფლიო კაპიტალის ბაზრის მოქმედების შეფასების ალტერნატიული გზა შემოთავაზებული იქნა ეკონომისტების მარტინ ფელდსტეინისა და ჩარლზ პორიოკას მიერ. მათ აღნიშნეს, რომ გამართულად მოქმედი საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი საშუალებას იძლევა, ქვეყნების ადგილობრივი ინვესტიციების ნორმა გადაიხაროს მათი დასოვების ნორმიდან. ასეთ იდეალურ სამყაროში დანახოვები გამოყენებული იქნება ყველაზე სარგებლიანად; იმაქნებოდა ადგილობრივი ინვესტიციები არ შეიღვდება ქვეყნის დანახოვებით, რადგან ფონდების გლობალური გაერთიანება მათი ფინანსირების საშუალებას იძლევა.

ბევრი ქვეყნისათვის განსხვავება ადგილობრივ დანახოვას და ადგილობრივი ინვესტიციების ნორმებს შორის (ე.ი. მიმდინარე ბალანსის ანგარიში) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი არ ეყოფილა: ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ დანახოვის მაღალი ნორმა საზღვრისპირა პერიოდში, აღვნიშნებათ აგრეთვე ინვესტიციების მაღალი ნორმაც. ფელდსტეინისა და პორიოკას დაასკვნეს, რომ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა დაბალია იმ თვალსაზრისით.

რომ ქვეყნის დანაშოვის მდგრადი სრდა გამოიწვევს ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვების სრდას. ჩანს მსოფლიო კაპიტალის ბაზარი დიდად არ ეხმარება ქვეყნებს, მიიღონ ხანგრძლივ პერიოდსე გათვლილი მოგება საერთაშორისო ვაჭრობიდან.


ყველდსტეინ-ჰორიოკის არგუმენტის მთავარი პრობლემა შემდეგია – შეუძლებელია, გაიგო დროთაშორისი ვაჭრობის ხარისხი სრულყოფილია თუ არა, თეკი არ გეცოდინება, რომ ვაჭრობას ახლავს არაექსპლოატირებელი მოგება და რომ ამაში გარკვევა მოთხოვს რეალური ეკონომიკის უფრო მეტ ცოდნას, ვიდრე ეიცით. მაგალითად, ქვეყნის დანაშოვი და ინვესტირება შეიძლება ერთნაირ ღონესე იყოს, რადგან ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ დანაშოვის ნორმას (როგორცაა სწრაფი ეკონომიკური სრდა), განაპირობებენ ინვესტირების მაღალ ნორმასაც. ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო ვაჭრობიდან ქვეყნის მოგება შესაძლოა მცირე იყო. მეორე ახსნა – ინვესტირების კორელაცია არის ის, რომ მთავრობები ცდილობენ, მართონ მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმდინარე ანგარიშის შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად. განუთარებელი ქვეყნებისათვის ემპირიული კანონსომიერება, რომელიც შეამჩნიეს ფელდსტეინმა და ჰორიოკმა, თითქოს ამ ბოლო ხანებში შესუსტდა აშშ-ს, გერმანიისა და იაპონიის ისტორიულად მაღალი გარე ეფექტებით გამოწვეული არათანაბრობის გამო.

პროცენტის ღიფერენციალები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ

საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის მოქმედების სრულიად განსხვავებული ბარომეტრია ურთიერთობა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ერთნაირი ვალუტით დენომინირებულ მსგავს აქტივებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის. თუ მსოფლიო კაპიტალის ბაზარი ასრულებს გლობალური საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაცემის საშუაოს, მაშინ ეს საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთს უნდა მიუახლოვდნენ და დიდად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. საპროცენტო განაკვეთებს შორის დიდი განსხვავება ვაჭრობიდან არარეალიზებელი მოგების მანვენებელია.

21-2 გრაფიკი გვინვენებს 1982 წლის მონაცემებს, რაც ეხება საპროცენტო განაკვეთის განსხვავებას ორი შესადარი ბანკის დოლარის პასივებს, სამოვიან ეროდოლარის ანაბრებსა და აშშ-ში გამოცემული ანაბრების სერთიფიკატებს შორის. როგორც ადრე ვნახეთ, ეს განაკვეთები ძირითადად უნდა განსხვავდებოდნენ საეაღდებულო რესურვის „გადასახადით“ ადგილობრივ ბანკებზე, იმ პირობით, რომ ევრობანკები კონკურენტულნი და ეფექტურნი არიან. გრაფიკზე სელა მრუდი გვინვენებს სასღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით განაკვეთებს შორის განსხვავებას და ადასტურებს, რომ ევროდოლარის საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი ადგილობრივი განაკვეთი. ქვედა მრუდზე აღინიშნება შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის განსხვავებასა და საეაღდებულო რესურვის გადასახადის ანგარიშს შორის, რომ შესაბამისობაში მოყვანილი დიფერენციალი, როგორც წესი, დაბალი იყო 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან. ამ მონაცემების მიხედვით ადგილი არ ჰქონდა დიდ არაექსპლოატირებულ მოგებას.

გრაფიკი 21-2 ევროდოლარისა და ქვეყნის შიგნით საპროცენტო განაკვეთის შედარება



როდესაც დარეგულირდება საეაღდებულო რესურვზე „გადასახადი“, განსხვავება ევროდოლარის საპროცენტო განაკვეთსა და ადგილობრივ აშშ დეპოზიტის განაკვეთის სერთიფიკატს შორის ძალიან ახლოსაა ნულიდან.

გერმანიისა და ნიდერლანდების, სადაც კაპიტალის დია ბაზრებია, შესწავლამ გვინვენს ქვეყნის შიგნით და მის გარეთ საპროცენტო განაკვეთებს შორის მასშტაბითი ცოდნობა. იგივე ცოდნობა აღინიშნება იაპონიისათვის

მას შემდეგ, რაც მან განახორციელა ძირითადი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის თანდათანობითი ლიბერალიზაციის პროგრამა 1980 წლის დეკემბერში. საფრანგეთმა და იტალიამ შეინარჩუნეს კაპიტალის კონტროლი 1980-იანი წლების ბოლომდე, მაგრამ ქვეყნის შიგნით და მის გარეთ საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთს მიუახლოედნენ მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა დაიწყეს შეზღუდვების გაუქმება.

უცხოური ვალუტის ბაზრის ეფექტურობა

უცხოური ვალუტის ბაზარი წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ცენტრალურ ნაწილს და გაცვლითი კურსი, რომელსაც ის აწესებს, გეგმარება განესაზღვროთ ყველა ტიპის საერთაშორისო ოპერაციის მომგებიანობა. გაცვლითი კურსი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სიგნალს ოჯახებისა და ფირმებისათვის, რომლებიც დაკავებულნი არიან საერთაშორისო უაჭრობითა და ინვესტიციებით. თუ ეს სიგნალები არ არეკლავენ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას ბაზრის შესაძლებლობების შესახებ, მოსალოდნელია რესურსების არარაციონალური გამოყენება. უცხოური ვალუტის ბაზრების მიერ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესწავლა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად სწორ სიგნალებს იძლევა საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი სხვა ბაზრებთან შედარებით.

საპროცენტო პარიტეტზე დამყარებული გამოკვლევა. საპროცენტო პარიტეტის პრობლემა, რომელმაც წარმოადგინა გაცვლითი კურსის განსაზღვრის განხილვის საფუძველი (თავი 13), გამოიყენებოდა აგრეთვე იმის შესასწავლად – აერთიანებს თუ არა ბაზრის ვალუტის კურსი ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას. გავიხსენოთ, საპროცენტო პარიტეტი შენარჩუნებულია, როცა საპროცენტო განაკვეთის სხვაობა სხვადასხვა ვალუტით გამოსახულ ანაბრებს შორის წარმოადგენს ბაზრის მიერ პროცენტის პროგნოზს, რომლითაც გაცვლითი კურსი ამ ორ ვალუტას შორის შეიცვლება. თუ R არის t თარიღის საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივი ვალუტის ანაბრებზე, R^* საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტის ანაბრებზე, E გაცვლითი კურსი და E^* მოსალოდნელი გაცვლითი კურსი. როდესაც ანაბრის გადახდის პროცენტი R და R^* ექვემდებარება გადახდას, საპროცენტო პარიტეტის პირობა არის

$$R - R^* = (E^* - E)/E. \quad (21-1)$$

(21-1) ტოლობა გულისხმობს მარტივ გზას იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად კარგ საქმეს აკეთებს უცხოური ვალუტის ბაზარი, როდესაც იყენებს არსებულ ინფორმაციას გაცვლითი კურსის განსაზღვრისას. საპროცენტო განაკვეთის სხვაობა $R - R^*$, არის ბაზრის პროგნოზი, გაცვლითი კურსის ცვლილების ამ პროგნოზის შედარება შემდგომში მოსალოდნელ რეალური გაცვლითი კურსის ცვლილებასთან განსაზღვრავს ბაზრის პროგნოზების გაკეთების უნარს.

21-5 გრაფიკი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის ურთიერთობას გაუფასურების ნორმებთან (ოთხი სახის ვალუტისათვის 1980-88 წლებში), მაგრამ საპროცენტო განაკვეთის განსხვავება ცუდი წინასწარმეტყველი გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ ის ვერ საზღვრავდა დიდ მერყეობას გაცვლით კურსში. უფრო მეტიც, მოცემულ პერიოდში საპროცენტო განაკვეთებს შორის განსხვავება სწორად ვერ გამოკვეთდა იმ მიმართულებებს, რომლის დროსაც ნამდვილი გაცვლითი კურსი შეიცვლებოდა. თუ საპროცენტო განაკვეთის განსხვავება მკორე იქნებოდა, მაგრამ სუსტი, ჩვენ ვიტყვით, რომ ბაზარი აწესებს გაცვლით კურსს საპროცენტო პარიტეტის მიხედვით და შესაძლო საუკეთესო სამუშაოს ასრულებს სწრაფად ცვალებად სამყაროში, სადაც პროგნოზების გაკეთება საკმაოდ ძნელია.

საპროცენტო პარიტეტის პირობა აგრეთვე გვაწვდის პიპოთესას, რომ ბაზარი იყენებს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას გაცვლითი კურსის დადგენისას. ეთქვას, E არის მოსალოდნელი რეალური გაცვლითი კურსი, რომლის განსაზღვრასაც ადამიანები ცდილობენ; შემდეგ მომავალი გაუფასურების განსაზღვრისას დაშვებული შეცდომა, u , შეიძლება გამოისახოს, როგორც მინუს მოსალოდნელი გაუფასურება:

$$u = (E - E^*)/E - (R - R^*)/R. \quad (21-2)$$


თუ ბაზარი იყენებს ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მისი ნაფარადევი შეცდომა, u , სტატისტიკურად ვერ დაუკავშირდება ბაზრისათვის ცნობილ t თარიღის მონაცემებს. სხვა სიტყვებით, ბაზარი არ ექნება შესაძლებლობა, გამოიყენოს ცნობილი მონაცემები ბოლო პროგნოზში შეცდომის დაშვების თავიდან ასაცილებლად.

საპროცენტო პარიტეტის გათვალისწინებით ეს პიპოთეზა შეიძლება შემოწმდეს – თუ u , ვალუტის რეალური გაუფასურებას გამოვაკლებთ საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის შორის განსხვავებას:

$$u = (E - E^*)/E - (R - R^*). \quad (21-3)$$

სტატისტიკური მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის შესამოწმებლად, თუ u , რამდენად პროგნოზირებადია მკვლ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ბევრმა მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ პროგნოზში არსებული შეცდომები შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს. ამასი დაგვიჩვენებდა პროგნოზში არსებული

გრაფიკი 21-3 განსხვავება საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთებში და მომავალ განაკვეთებში ცვლილების პროცენტის განსაზღვრა



ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო საპროცენტო განაკვეთის განსხვავებები ვალუტის კურსის მომავალი მიმოქცევის ძალიან მცირე და მცდარი მანუენებლები გამოდგა.

რისკის პრემიის როლი. 'სემოთ აღწერილი კვლევის შედეგის ახსნა არის ის, რომ 'უცხოური ვალუტის ბაზარი უბრალოდ უარყოფს ხელმისაწვდომი ინფორმაციით გაცვლითი კურსის დაწესებას. ასეთი აღმოჩენა საეჭვოს გახდის საერთაშორისო ბაზრის შესაძლებლობას, გააერცელოს ფასების შესახებ შესაფერისი სიგნალები. სანამ დასკვნას გადაკეთებთ, გავიხსენოთ, რომ, როცა ადამიანები რისკის მოქუღენი არიან, საპროცენტო განაკვეთის პარიტეტის მდგომარეობა შეიძლება არ იყოს იმის სრული ანგარიში, თუ როგორ განისაზღვრება გაცვლითი კურსი. თუ სხვადასხვა ვალუტით დენომინირებული ობლიგაციები წარმოადგენენ ინვესტორებისათვის არასრულყოფილ შემცველებს, საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთის განსხვავება უტოლდება ვალუტის მოსალოდნელ გაუფასურებას, რომელსაც ემატება რისკის პრემია, p_i :

$$R_i - R^* = (E_{i,t+1} - E_i) / E_i + p_i \quad (21-4)$$

(იხ. თავი 17). ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი საპროცენტო განაკვეთის განსხვავება წარმოადგენდეს მომავალი გაუფასურების ბაზრის პროგნოზს. ასე რომ, ახლახანს განხილული ემპირიული შედეგები ეერ იქნება გამოყენებული ინფორმაციის დამუშავებაში 'უცხოური ვალუტის ბაზრების ეფექტურობის შესახებ დასკვნების გაკეთების დროს.

იმის გამო, რომ ადამიანთა მოლოდინი შეუმჩნეველია, ძნელია გადაწევიტო, (21-4) ტოლობასა და საპროცენტო პარიტეტის პირობებს შორის რომელია განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც p_i ეოველეთის ნულის ტოლია. 'სოგოერთმა ეკონომიკურმა გამოკვლევამ სცადა, აეხსნა საპროცენტო განაკვეთის პარიტეტიდან გადახვევა რისკის პრემიის კონკრეტული თეორიის ბაზაზე დაერდნობით, მაგრამ უშედეგოდ.

ემპირიული წანაწერები მიგვითითებენ ორ შესაძლებლობაზე: რისკის პრემიები მნიშვნელოვანია გაცვლითი კურსის განსაზღვრისას ან 'უცხოური ვალუტის ბაზარი უარყოფს ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან მოგების შესაძლებლობას. მეორე ალტერნატივა ნაკლებად სარწმუნოა, რადგან 'უცხოური ვალუტით მოეჭრეებს მოგების ძლიერი სტიმული აქეთ. პირველი ალტერნატივა კი ელოდება სოლიდურ სტატისტიკურ მტკიცებას.

ეს, რა თქმა უნდა, არ დასტურდება მე-17 თავში განხილული მტკიცებით. რომლის მიხედვითაც სტაბილური 'უცხოური ვალუტის ინექსტიცია არ წარმოადგენს ეფექტურ იარაღს გაცვლითი კურსის მართვისათვის. ეფრო გამოცდილი თეორიები გეინვენებენ, რომ სტერილური ინექსტიცია შესაძლოა სუსტი იყოს აქტივების არასრულყოფილი შეცვლის დროსაც კი. ასე რომ, აღმოჩენა სტერილური ინექსტიციის არასრულყოფილების შესახებ არ გულისხმობს იმას, რომ რისკის პრემიები არ არსებობს.

ჭარბი ცვალებადობის ტესტირება. ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული აღმოჩენაა ის, რომ გაცვლითი კერის სტატისტიკური პროგნოზის მოდლები, დაფუძნებული იხუთ სტანდარტულ „ფუნდამენტურ“ ცვლადებზე, როგორცაა ფულის მასა, სამთავრობო დეფიციტი და გამოშვება, ხორციელდება ცუდად მაშინაც კი, როცა მომავალი ძირითადი პრინციპების რეალური ღირებულებები გამოიყენება გაცვლითი კერის პროგნოზისათვის! მართლაც, მეცნიერების რინარდ ა. მიისის (კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტი) და კენეთ როგოფის (პრინსტონის უნივერსიტეტი) ცნობილმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გულუბრყვილო „აღაღებულსე სიარულის“ მოდელი, რომელიც უბრალოდ იღებს დღეუანდელ გაცვლით კერსს როგორც ხვალისდელის დამდგენელს, საუკეთესოდ მოქმედებს. ზოგიერთი თვლის, რომ გაცვლით კერსს თავისი საკუთარი გზა აქვს და დაკავშირებული არ არის მაკროეკონომიკურ განსახლერებასთან.

უცხოური ვალუტის ბაზრის დამატებითი კვლევა ადასტურებს, რომ არ არის გაცვლითი კერის მეტისმეტად ცვალებადი. თუ ეს ასეა, მაშინ უცხოური ვალუტის ბაზარი არასწორ სიგნალებს უგზავნის მოვაჭრებს და ინვესტორებს, რომლებიც თავიანთ გადაწყვეტილებებს გაცვლით კერსს უკავშირებენ. მაგრამ რამდენად ცვალებადია გაცვლითი კერის მანამ, სანამ ის მეტისმეტად ცვალებადი გახდება? როგორც მე-13 თავში ვნახეთ, გაცვლითი კერის უნდა იყოს ცვალებადი, რადგან იმისათვის, რომ გაიგზავნოს ფასის სწორი სიგნალები, გაცვლითმა კერსმა რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა ეკონომიკურ სიახლესე. შესაძლებელია, გაცვლითი კერის უფრო ცვალებადია, ვიდრე მისი მამომრავებული ფაქტორები, როგორცაა ფულის მასა, ქვეყნის გამოშვება და ფისკალური ცვლადები. მცდელობა, შეედარებინათ გაცვლითი კერის ცვალებადობა მისი გამოშვევი განსახლერელების ცვლილებასთან, უშედეგო აღმოჩნდა. მეტისმეტი ცვალებადობის შემოწმების მთავარი პრობლემაა, ზუსტად განსახლეროს ყველა ის ცვლადი, რომელიც იძლევა შესაბამის ახალ ცნობებს ეკონომიკური მომავლის შესახებ; მაგალითად, რა მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანი პოლიტიკური მკვლელობის ცდას ან მთავარი ბანკის გაკოტრებას.

ყველაზე დაბალი დონე. უცხოური ვალუტის ბაზრის მოქმედების ერთგვარი გამარტივება ხელვის გაფართოების გარანტიას იძლევა. ასეთი ხელვა საჭიროა იმიტომ, რომ სტატისტიკური მეთოდები, რომელიც გამოიყენება გაცვლითი კერის შესასწავლად, ერთობ არასრულყოფილია. მოხასრება ბაზრის კარგი მუშაობის შესახებ ხელს შეუწეობს ფინანსური ინტეგრაციის სრლას განვითარებულ სამყაროში. ბაზრის წარუმატებლობასე მსჯელობა კი გელისხმობს ცენტრალური ბანკების მხრიდან უცხოური ვალუტით ინტერვენციის სრდის აუცილებლობას და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ღიბერალიზაციისკენ მიმართულების შეცვლას. რისკი მაღალია და ზუსტი დასკენის გასაკეთებლად საჭიროა მეტი კვლევა და გამოცდილება.

რეზიუმე

1. როდესაც ადამიანები რისკის მოძულენი არიან, ქვეყნებს შეუძლიათ მიიგონ რისკიანი აქტივების გაცვლით. ვაჭრობიდან მოგება თითოეული ქვეყნის მოხმარებაში რისკის შემცირების ფორმას იღებს. საერთაშორისო აქტივების პორტფელის გამრავალფეროვნება შესაძლოა განხორციელდეს ვალის ინსტრუმენტებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების საშუალებით.
2. საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი არის ბაზარი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები აქტივებით ვაჭრობენ. მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია უცხოური ვალუტის ბაზარი. ბანკები დგანან საერთაშორისო კაპიტალის ბაზრის ცენტრში და ბევრიც მოქმედებს სასლვარგარეთ, ე.ი. იმ ქვეყნის გარეთ, სადაც მათი მთავარი ოფისებია დაფუძნებული.
3. მარეგულირებელმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა ხელი შეუწეო საზღვარგარეთ განხორციელებულ საბანკო საქმიანობას. აგრეთვე საზღვარგარეთ განხორციელებულ სავალუტო ოპერაციებს, ე.ი. ვაჭრობას საბანკო ანაბრებით, რომლებიც გამოსახულია არა იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც ბანკია განთავსებული. ევროვალუტით ასეთმა ვაჭრობამ დიდი გასაქანი ჰპოვა იმის გამო, რომ არ არსებობს ანაბრების სავალდებულო რეზერვი ევრობანკებში.
4. ევროვალუტის დემოზიტები იმიტომ არ წარმოიშვა, რომ ვალუტამ დატოვა თავისი მშობლიური ქვეყანა; ერთადერთი, რაც საჭიროა – ევრობანკი იღებს ამ ვალუტით დენომინირებული ანაბრების პასივს. ევროვალუტა არ აწესებს ცენტრალური ბანკის კონტროლს ადგილობრივ მონეტარულ ბაზარზე. მაგალითად, შიში, რომ ევროდოლარები ერთ მშეყნიერ დღეს „დაიპერობენ“ აშშ-ს, არასწორია. ევროვალუტის შექმნამ შესაძლოა ბევრად შეუწეოს ხელი მონეტარულ ერთიანობას, მაგრამ გაართულოს ცენტრალური ბანკის მონეტარული მენეჯმენტი ფულის მულტიპლიკატორების არაპროგნოზირებადი გადაადგილებით.
5. სასლვარგარეთ განხორციელებულ საბანკო საქმეს არა აქვს ის დამცავი მექანიზმები, რომელსაც ქვეყნების მთავრობები აწესებენ ადგილობრივი ბანკების გაკოტრებისაგან დასაცავად. დამატებით, ბანკების შესაძლებლობამ – გადაანაცვლონ თავიანთი ოპერაციები სასლვარგარეთ, ძირი გამოუთხარა ადგილობრივი ბანკების სედამხედველობის ეფექტურობას. 1974 წლიდან ბასელის კომიტეტი – განვითარებული ქვეყნების ბანკების სედამხედველი – მოქმედებდა იმისათვის, რომ ხელი შეეწეო სედამხედველთა თანამშრომლობისათვის საერთაშორისო სარბიელსე. 1975 წელს „კონკორდატმა“ გაანაწილა ქვეყნის პასუხისმგებლობა საბანკო ინსტიტუტებზე მონიტორინგისათვის და ხელი შეეწეო ინფორმაციის გაცვლას. კვლავ გაურკვეველია ცენტრალური ბანკის, როგორც უკანასკნელი გამსესხებლის, ვალდებულებები. მოძრაობამ ბანკის აქტივების ფასიან ქაღალდებში გადაყვანის მიმართულებით გასარდა არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების რეგულირებასა და მონიტორინგში საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება.

6. საერთაშორისო კაპიტალის ბაზარმა ხელი შეუწყო საერთაშორისო პორტფელის გამრავალფეროვნების 'სრდას 1970 წლიდან, მაგრამ დივერსიფიკაციის გამრავალფეროვნების მატება კვლავ მცირეა იმასთან შედარებით, რასაც ეკონომიკური თეორია წინასწარ განსაზღვრავს. ასევე, ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ დროთაშორისი ვაჭრობის სიდიდე, რომელიც იწოდება ქვეყნების არსებული ბალანსის ანგარიშით, ძალიან მცირეა. ასეთი მტკიცებების განვითარება ძნელია მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის გარეშე. ნაკლებსაჯგვო მტკიცებებია მიღებული საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთების შედარების საშუალებით და ეს მტკიცებები მიგვიბრუნებს კარგად ფუნქციონირებადი ბაზრებისაკენ. მთავარ ფინანსურ ცენტრებში არსებულ მსგავს ანაბრებს 'უკუგების ნორმები ერთმანეთთან საქმოდ ახლოა.
7. არ არის ზუსტი უცხოური ვალუტის ბაზრის ჩანაწერები საერთაშორისო მოვაჭრეებისა და ინვესტორებისათვის შესაფერისი ფასის სიგნალების მიწოდების შესახებ. შემოწმება, რომელიც ემყარება საპროცენტო პარიტეტის მდგომარეობას, ალბათ, გეოგრაფიას, რომ ბაზარი გაცვლითი კურსის დადგენისას უარყოფს მსა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მაგრამ რადგან საპროცენტო პარიტეტის თეორია ასევე უარყოფს რისკის მოძულებას და რისკის პრემიას, ეს შესაძლოა ჩაითვალოს რეალობის ძლიერ გამარტივებად. რისკის ფაქტორების ემპირიულად მოდელირების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. გაცვლითი კურსის მეტისმეტი ცვალებადობის შემცირებამ წარმოშვა სხვადასხვა თვალსაზრისი 'უცხოური ვალუტის ბაზრის საქმიანობის შესახებ.

პირითადი ტერმინები

ბაზელის კომიტეტი	ვალის ინსტრუმენტი
კაპიტალის ინსტრუმენტი	ვერობანიკი
ევროვალუტა	ევროდოლარი
საერთაშორისო ბანკის ოპერაციები	საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი
'უკანასკნელი გამსესხებელი	საზღვარგარეთ განხორციელებული საბანკო საქმე
საზღვარგარეთ განხორციელებული სავალუტო ვაჭრობა	პორტფელის გამრავალფეროვნება (დივერსიფიკაცია)
რისკის მოძულება	აქტივების გადაყვანა ფასიან ქალაქებში

კითხვები

1. რომელი პორტფელია მრავალფეროვანი – ის, რომელსაც აქვს კაპიტალი კბილის პასტის კომპანიაში და ნამცხვრის კომპანიაში, თუ ის, რომელსაც აქვს კაპიტალი კბილის პასტის კომპანიაში და რძის ნაწარმის კომპანიაში?
2. წარმოიდგინეთ ორი ქვეყნისაგან შემდგარი მსოფლიო, სადაც აქტივების ფასების მერყეობის ერთდერითი მიზეზი არის მონეტარული პოლიტიკის მოულოდნელი გადაადგილებები. როგორი გაცვლითი კურსის დროს არის მოსალოდნელი უფრო მეტი მოგება საერთაშორისო აქტივებით ვაჭრობიდან – ფიქსირებული, თუ მცოცავე?
3. ტექსტი გვიჩვენებს, რომ გადახდილი პროცენტის პარიტეტი ძალიან ახლოსაა ცალკეულ ფინანსურ ცენტრებში გამოშვებულ ვალუტით გამოსახულ ანაბრებთან. რატომაა შესაძლებელი, რომ გადახდილი პროცენტის პარიტეტი არ იქნეს შენარჩუნებული, როცა ხდება სხვადასხვა ფინანსურ ცენტრში გამოცემული ანაბრების შედარება?
4. როცა აშშ-ს ბანკი იღებს ანაბარს ერთ-ერთი თავისი 'უცხოური ფილიალიდან, ეს ანაბარი ექვემდებარება ფედერალურის სავალდებულო რეზერვს. ასევე, სავალდებულო რეზერვი წესდება აშშ-ს მცხოვრებთათვის ნებისმიერ სესხს 'უკანასკნელი აშშ-ს ბანკის ფილიალიდან, ან აშშ-ს სათაო ბანკიდან ფილიალი ბანკის მიერ აქტივის შესყიდვას. რაში მდგომარეობს, თქვენი აზრით, ამ წესის არსი?
5. ახეხეთ, რომ ევრობანკების კონკურენტული უპირატესობები ქვეყნის შიგნით ბანკებთან შედარებით დიდდება, როცა ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთები იწრდება (მიიწინება: რა მოხდება, როცა აშშ-ს სესხის პროცენტული განაკვეთი 15%-ია? თქვენ ნახაეთ, რომ თუ ევრობანკებს შეუძლიათ შეანაბრონათვის 14% საპროცენტო განაკვეთის შეთავაზება, ნიუ-იორკის ბანკებს იგივე შეუძლიათ 12.5%-ით)?
6. 21-4 გრაფიკი გვჩვენებს, რომ 1981 წელს აღინიშნებოდა სხვაობის 'სრდა ევროდოლარის საპროცენტო განაკვეთსა და აშშ-ს იმ დემოსტრების სერტიფიკატებს 'საპროცენტო განაკვეთებს შორის, რომელიც რეგულირდებოდა სავალდებულო რეზერვს გადასახადით. 1981 იყო ის წელი, როდესაც პოლონეთს პქონდა სირთულეები ევროპის ბანკების ვალუტის მომსახურებაში. შეგიძლიათ, გვჩვენოთ კავშირი ამ ორ საკითხს შორის?
7. ვთქვათ, ინგლისში მცხოვრებმა გადაწყვიტა, გადაიტანოს თავისი 10 000 დოლარის ანაბარი ლონდონის ბანკიდან ნიუ-იორკის ბანკში. როგორი იქნება ამ ნაბიჯის გავლენა ევროდოლარის მასაზე, აშშ-ს საგადასახდლო ბალანსზე, ბრიტანეთის საგადასახდლო ბალანსზე, აშშ-ს მონეტარულ ბალანსსა და ბრიტანეთის მონეტარულ ბალანსზე?
8. შეუძლია ეკონომისტი აღექვანდრე სეზობოდა ამტკიცებდა, რომ ევროდოლარის ბაზრის ჩაადრევი 'სრდა გამოწვეული იყო აშშ-ს ფარგლებს გარეთ არსებული ბანკების სერვისით, მიუთითებინათ აშშ-ს, როგორც ძირითადი სარეზერვო ვალუტის გამოაშქვების, მიერ მოპოვებული შემოსავლის ნაწილი. ეთანხმებით, თუ არა სეზობოდას აზრს?

9. მას შემდეგ, რაც 1982 წელს დაიწყო განვითარებადი ქვეყნების ვალის კრიზისი, აშშ-ს ბანკებმა შემოიღეს მკაცრი სასუბსიდარული შესაღებები ამერიკელი ბანკებისა და მათი ფილიალების მიერ სესხების გაცემას. 1980-იან წლებში აშშ-ს ბანკების წილი ლონდონის საბანკო საქმიანობაში შემცირდა. შეგიძლიათ ერომანეთთან დააკავშიროთ ეს ორი მოვლენა?
10. რატომ შეიძლება ფასიან ქაღალდებზე აქტივების მზარდმა გადაქცევამ გაუძნელოს ზედამხედველებს ფინანსური სისტემის რისკზე თვალყურის დევნება?

თავი 22

განვითარებადი ქვეყნები: ვალი, სტაბილიზაცია და რეფორმა

აქამდე ჩვენ ვსწავლობდით მაკროეკონომიკურ ურთიერთობებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ისეთ ქვეყნებს შორის, როგორცაა კანადა, აშშ, იაპონია და ევროპის სახელმწიფოები.

კაპიტალითა და კვალიფიციური მეშახელით გაჯერებულ ამ ქვეყნებს აქვთ მაღალი მეოთხედიანი მოსახლეობისათვის და მათი ბაზრები, ღარიბი ქვეყნების ბაზრებთან შედარებით, თავისუფალნი არიან მთავრობის პირდაპირი ჩარევისაგან.

1980-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიოს ღარიბი ქვეყნების მაკროეკონომიკური პრობლემები ევრადღების ცენტრში მოექცა, რადგან საქმე ეხებოდა საერთაშორისო ეკონომიკის სტაბილურობასა და მის მომაგვლს. დაახლოებით ოთხი ათეული წლის განმავლობაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ვაჭრობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის საგრძობლად გაფართოვდა. ასევე გაიზარდა მდიდარი ქვეყნიდან განვითარებადი ქვეყნების მიერ სესხების აღება. ამ ორი ჯგუფის ეკონომიკებს შორის კავშირმა თავის მხრივ გააღრმავა თითოეული ჯგუფის დამოკიდებულება მეორის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ უფრო განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობასა და პოლიტიკაზე.

ამ თავში განვიხილავთ განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკურ პრობლემებს და მათ გავლენას განვითარებულ ქვეყნებზე. საერთაშორისო ეკონომიკის ბევრი საკითხი – განხილული წინა თავებში, შეიძლება გამოვიყენოთ განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით. მდიდარი განვითარებული და ღარიბი ქვეყნების სტრუქტურებს შორის განსხვავება ცალკე განხილვას მოითხოვს. განვითარებადი ქვეყნების შემოსავლის დაბალი დონის გამო მაკროეკონომიკური მერყეობა აქ უფრო მტკივნეულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც შესაძლოა დაემუქროს ამ უკანასკნელთა შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას.

შევხებით, აგრეთვე, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ისტორიას მე-20 საუკუნეში. ამ ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია 1989 წელს, როდესაც მდიდარმა ქვეყნებმა მკვეთრად შეამცირეს სესხების გაცემა ღარიბი ქვეყნებისათვის, რასაც მოჰყვა ვალების კრისისი. ვველადუკრს განვითარებადი ქვეყნის მაკროეკონომიკის შესახებ გამოვიყენებთ იმისათვის, რათა გავიგოთ ვალების კრისისის მიზეზები და მათი შედეგები; დავადგინოთ ის ფაქტორები, რამაც განაპირობა მისი კონტროლისადმი დაქვემდებარება.

შემოსავალი და სიმდიდრე მსოფლიო ეკონომიკაში

ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით, განვითარებადი ქვეყნები ღარიბები არიან თანამედროვე მრეწველობისათვის აუცილებელი საწარმოო ფაქტორებით: კაპიტალითა და კვალიფიციური მეშახელით. ამგვარი შედარებითი სიმწირე განაპირობებს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დაბალ დონეს და ხელს უშლის მასშტაბის ზრდით მიღებული ეკონომიის განვითარებას, რომლიდანაც ბევრი მდიდარი ქვეყანა მოგებას ნახულობს. პოლიტიკური არასტაბილურობა და არასწორად წარმართული ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად უფრო აეარესებს მდგომარეობას.

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ქვეყნები შეიძლება ოთხ ძირითად კატეგორიად დაიყოს: დაბალშემოსავლიანი (ჩინეთი, ინდოეთი და საპარის აფრიკა); საშუალოდ დაბალშემოსავლიანი (ლათინური ამერიკის პატარა ქვეყნები და კარიბის აუზის ქვეყნები, ფილიპინები, ტაილანდი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და აფრიკის ქვეყნები); საშუალოდ მაღალშემოსავლიანი (ლათინური ამერიკის დიდი ქვეყნები, კორეა, მალაისია) და შედარებით ღარიბი დასავლეთ ევროპის ქვეყნები); მაღალშემოსავლიანი (დაწინაურებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები და რამდენიმე განსაკუთრებით სწრაფად განვითარებადი ქვეყანა, როგორცაა სინგაპური და ისრაელი). პირველი სამი კატეგორია ძირითადად მსოფლიოს სამხრეთში მდებარე ქვეყნებს ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით. 22-1 ცხრილი გვიჩვენებს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის საშუალო დონეს 1992 წელს (დოლარებით) ამ ქვეყანათა ჯგუფებისათვის და ცხივრების დონის ისეთ მანქნებებს, როგორცაა სიცოცხლის ხანგრძლიობა.

22-1 ცხრილიდან ჩანს მკვეთრი განსხვავება შემოსავლის საერთაშორისო დონეებს შორის. ერთ სულ მოსახლეზე

წლიური მეკ მდიდარ ქვეყნებში 57-ჯერ აღემატება ღარიბი განვითარებადი ქვეყნების მანკებულს. საშუალოდ მაღალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი წლიური მეკ ერთ სულ მოსახლეზე ინდუსტრიული ქვეყნების 1/6-ს შეადგენს. კარგად ასახავს შემოსავლის დონეებს შორის განსხვავებას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობის დაცემა სიღარიბის მატების შედეგად.

ცხრილი 22-1 ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლები ოთხი ჯგუფის ქვეყნებში 1992 წელს

ჯგუფები შემოსავლის მიხედვით	მეკ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარით)	სიცოცხლის ხანგრძლიობა (წლები)
დაბალშემოსავლიანი	390	56
დაბალ-საშუალო შემოსავლიანი	1,590	67
მაღალ-საშუალო შემოსავლიანი	4,020	69
მაღალშემოსავლიანი	22,160	77

იმ ნიშნებს შორის, რომლითაც განვითარებადი და განვითარებული ქვეყნები განსხვავდებიან, ხეივთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური ანალიზისათვის. ეს ნიშნები დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის; მათგან რამდენიმე კი 'სოგიერთ ინდუსტრიულ ქვეყანასაც' ახასიათებს. მიუხედავად ამისა, „ტიპიური“ განვითარებადი ქვეყნების სტრუქტურის ფართო აღწერა აუცილებელია განვითარებულ და განვითარებად მსოფლიო ეკონომიკებს შორის მაკროეკონომიკური ურთიერთობების გასაგებად. ეს აღწერა დაგეგმვარება, გავერკვეთ იმ რეფორმებში, რომლისკენაც მიიღწეიან განვითარებადი ქვეყნები:

1. განვითარებული ქვეყნების ფინანსური ბაზრები შეზღუდულია და ოფიციალურ კონტროლს ექვემდებარება. მთავრობა ხშირად ცდილობს, შეინარსუნოს საპროცენტო განაკვეთი იმ დონის ქვემოთ, რომლითაც ის გაათანაბრებს სესხებზე მოთხოვნასა და მიწოდებას.
2. მთავრობის პირდაპირი ჩარევა ეკონომიკაში სცილდება ფინანსურ ბაზრებს. მთავრობები ფლობენ ფირმების მნიშვნელოვან ნაწილს და მათი ხარჯები წარმოადგენს მეკ-ის დიდ პროცენტს.
3. მთავრობა აფინანსებს თავისი ხარჯების დიდ ნაწილს ფულის დაბეჭდვით. ეს თავის მხრივ იწვევს ინფლაციის ტემპის ზრდას, ზოგჯერ კი ხელფასების, სესხის კონტრაქტებისა და ფულით გამოხატული ფასების ინდექსაციას საერთო ფასების დონესთან.
4. ვალუტის კურსს აწესებს მთავრობა და მას არ განსაზღვრავს უცხოური ვალუტის ბაზარი. კერძო საერთაშორისო სესხება და გასესხება მკაცრად შეზღუდულია. მთავრობა საშუალებას აძლევს თავის მოსახლეობას, შეიძინოს უცხოური ვალუტა მხოლოდ განსაკუთრებული მიზნებისათვის. 'სოგიერთ ქვეყანაში' სხვადასხვა კატეგორიის ოპერაციებში სხვადასხვა ვალუტის კურსი გამოიყენება.
5. ბუნებრივი რესურსები ან სასოფლო-სამეურნეო საქონელი წარმოადგენს ბევრი განვითარებადი ქვეყნის ექსპორტის მთავარ ნაწილს.

განუვითარებელი ფინანსური ბაზრები

მთლიანად განვითარებადი ქვეყნები განიცდიან ნაკლებობას სწრაფადრეგულირებადი ფინანსური ბაზრებისა, რაც დამახასიათებელია მთავარი სამრეწველო ქვეყნებისათვის. საფონდო ბირჟები საჭიის სტადიაზეა ან საერთოდ არ არსებობს. ასეთივე მდგომარეობაშია გრძელვადიანი ვალის ბაზრები. ბანკების მიერ ბიზნესმენებისა და ფერმერებისათვის ფულის გასესხება მკაცრად კონტროლდება მთავრობის მხრიდან, რომელიც ხშირად ხელშეწყობს აწესებს დაბალ საპროცენტო განაკვეთს.

განვითარებადი ქვეყნების მთავრობები ზოგჯერ ახორციელებენ უშუალო კონტროლს საკრედიტო ბაზრებზე, რადგან ეს არის ეკონომიკის პრივილეგიური დარგებისაკენ დაბალი საპროცენტო განაკვეთების მქონე ფონდების მიმართვის ერთ-ერთი გზა. შერჩეული მრეწველობისათვის დახმარების ამ მეთოდთან შედარებით, მთავრობები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ აშკარა სუბსიდირებას, რადგან სუბსიდები აისახება სამთავრობო ბიუჯეტში. ასე რომ, პრივილეგიურ სექტორში კრედიტის გამოყენებასთან ერთად მთავრობა მიმართავს საკარაულო სუბსიდირებას იმ სექტორებში, რომლებიც იღებენ ხელშეწყობას გათვალისწინებულ სესხებს. იმავდროულად ეს წარმოშობს საკარაულო გადასახადს საბანკო სისტემაში, რომელსაც შეუძლია მიიღოს მაღალი მოგება ადგილობრივი კაპიტალის ნაკლებად მკაცრად რეგულირებად ბაზარზე. დაბალი ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთები ეხმარება მთავრობას, დააფინანსოს თავისი ბიუჯეტის დეფიციტი.

ინდუსტრიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მაღალმოგებიანი აქტივები, ხოლო ის ცოტაოდენი აქტივები, რომელიც ხელმისაწვდომია განვითარებადი ქვეყნების მომჭირნე ადამიანებისათვის, არც ისე მიმსდევს ქონების დასაგროვებლად. მთავრობის კონტროლი ხშირად მიზნად ისახავს, დაიცვას თავისი მოქალაქენი უცხოური აქტივების შექონა-შენარსუნებისაგან; ასე რომ, ძირითად ხელმისაწვდომ ფინანსურ აქტივებად რჩება ფული და ვადიანი ანაბრები. ამის შედეგად დაზოგვის ნორმები შესაძლოა დაბალი იყოს 'სოგიერთ განვითარებად ქვეყანაში'. ხელმისაწვდომი კერძო დანახარჯის ნაკადის დიდი ნაწილი მიმართულია სამთავრობო საქმიანობის

დასაფინანსებლად, ხოლო კაპიტალის დანაწევრებული ბაზრები ართულებენ მათს გადასროლას კერძო კორპორაციულ ინვესტირებაში.

მსიღარი ადამიანები განვითარებად ქვეყნებში თავს არიდებენ მთავრობის კონტროლს და იძენენ მაღალმოშვებთან აქტიუებს სასლვარგარეთ. უცხოეთისაკენ დანაშოგების ასეთი გადინება ართულებს ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსებას. „კაპიტალის გაქცევა“ – კერძო ფონდების გადაადინება უცხოურ აქტივებში, რაც განპირობებულია ადგილობრივი ეკონომიკური არასტაბილურობით – ხაკმოდ გაერცელებულია და იმის ნათელი მაგალითია, რომ განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებნი ხშირად ცდილობენ მთავრობისაგან დაიცვან თავიანთი ქონება მისი სასლვარგარეთ გატანით.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში არაფორმალური სესხების „საეი ბაზარი“ საკუთარი განსასლვრული საპროცენტო განაკვეთით აწარმოებს მცირემასშტაბიან გასესხებას. ამ პროცესში მიმწოდებლები არიან ფულის ინდივიდუალური გამსესხებლები, მეუბნეები და კერძო დანაშოგების ასოციაციები; მსესხებლები კი ოჯახები, პატარა ფერმერები და ბიზნესმენები. სოგიერთი განვითარებადი ქვეყანა ამ არაფორმალურ ფინანსურ ოპერაციებზე დაყრდნობით აწარმოებს ფინანსური ბაზრების გარდაქმნას.

მთავრობის როლი

განვითარებად ქვეყნებში მთავრობები უფრო აქტიურად არიან ნართული ეკონომიკური მართვის ყოველდღიურ საქმიანობაში, ვიდრე განვითარებული ქვეყნების ხელისუფალნი. უხვი სამთავრობო რეგულირებით ისინი ბევრ ფირმასა და სახელმწიფო კომპანიას უშუალოდ ხელმძღვანელობენ (მაგალითად, ბრაზილიის სახელმწიფო კომპანიები აწარმოებენ ქვეყნის მეპ-ის ნახევარს). ბოლო წლებში, განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პრივატიზაციის დროს, მთავრობები ვიდრე თაყიანთ მფლობელობაში არსებულ საწარმოებს სახელმწიფო დეფიციტის შესამცირებლად, განვითარებადი ფინანსური ბაზრების სირთულეების გამო მთავრობები ყოველთვის ვერ ასურხებენ, მსაქიღონ საწარმოები ადგილობრივ კერძო მესაკუთრეებს. წარმატებული პრივატიზაცია დამოკიდებულია კაპიტალის შემოღინებაზე სასლვარგარეთიდან. პოლიტიკური ოპოსიციონერები უწინააღმდეგებთან პრივატიზაციის პროცესს, რადგან სახელმწიფო ფირმებში მომუშავე ბევრი ადამიანი კარგავს სამუშაო ადგილს. სოგიერთ და არა ყველა განვითარებად ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესმა თვისობრივად შეცვალა მთავრობის ცენტრალური ეკონომიკური როლი.

ინფლაცია და სამთავრობო ბიუჯეტი

როცა ადგილობრივი ფინანსური ბაზრები განვითარების პროცესს გადიან, მთავრობებს უჭირთ თაყიანთ დეფიციტის დაფინანსება ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვებით. ეს იწვევს მთავრობების მიერ პირდაპირ სესხებას უცხოეთისაგან. აღნიშნული მთავრობები ეყრდნობიან, აგრეთვე, სახელმწიფო ფინანსების დამატებითი სამუქალეებს: ისინი ბეჭდავენ ფულს ახალი საქონლისა და მომსახურების შესაძენად.

რეალურ მსოგებას, რასაც მთავრობა მიიღებს ფულის დაბეჭდვით და მისი დახარჯვით, ქწოდება *სენიორაჟი*, რაც ყველგან წარმოადგენს სამთავრობო წლიური შემოსავლის ნაწილს, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშენელოვანია განვითარებადი ქვეყნების მთავრობების ფინანსებისათვის.

ფულის დაბეჭდა იწვევს ინფლაციას, რაც აკინებს ნომინალური ფულის მასის რეალურ ღირებულებას. „ინფლაციის გადასახადი“, რასაც ფულის მფლობელები იხდიან, არის მთავრობის მიერ ფულის დაბეჭდვით მოპოვებული რეალური რესურსი. ინფლაციის ტემპი სოგიერთ განვითარებად ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე ეს შეინიშნება ინდექსტრიულ ქვეყნებში. ფასის სრდის ასეთი სწრაფი ტემპი ასახავს მთავრობების მკდელობას, ამოიღონ სენიორაჟი თაყიანთი ეკონომიკიდან ფულის დაბეჭდვის გზით.

ქრონიკულად მაღალი ინფლაციის გამო ნომინალური ხელფასები სოგჯერ ინდექსტრებულია ფასის დონეზე და რეკულირდება ინფლაციის შესაბამისად შემდეგ კონტრაქტებზე. ეს პროცესურა იცავს მუშების რეალურ ხელფასებს დიდი ცვალებადობისაგან, რომელსაც შესაძლია ადგილი აქონდეს შრომითი ხელშეკრულების პირობებში.

ხელფასის ინდექსაციის აქვს ორი მთავარი ხარვესი, რამაც ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას განვითარებად ქვეყნებში. პირველი, ცელილებები რეალურ ხელფასში სოგჯერ აეცილებულია სრული დასაქმების შესანარუნებლად, მაგრამ ინდექსაცია არამარტო ართულებს ამ ცელილებებს, არამედ შეუძლებელს ხდის მის მიღწევას. მაგალითად, კაპრობის პირობების გაუარესების შემთხვევაში თუ რეალური ხელფასები არ შემცირდება, საექსპორტო მრეწველობები იძლებული იქნებიან, დახურონ თაყიანთი საწარმოები და დაითხოვონ მუშები.

ინდექსაციისათან დაკავშირებული მეორე პრობლემა ის არის, რომ ხელფასები ხშირად დაკავშირებულია წარხულის ფასების დონის სრდასთან. მაგალითად, თუ მთავრობა გადაწყვეტს, შესამციროს ინფლაციის სწრაფი ტემპი, რეალური ხელფასები შეიძლება დროებით გასწარდოს, ნომინალური ხელფასები კი გააგრძელებენ რეკულირებისადმი დაქვემდებარებას ადრინდელი ინფლაციის ანასლვარების მიხით. მსარდი

რეალური ხელფასები იწვევს დროებით დათხოვნებს და ზრდის პროდუქტის ფასებს. მთავრობას, რომელიც განტვირთვას დეფლაციას, შესაძლოა უარი თქვას ინფლაციის დაბალი ტემპის გრძელ და მტკიცებულ პროცესთან შეგუებაზე. განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა ახლახან გააერთიანეს დეფლაციის პროგრამები ხელფასების პირდაპირ კონტროლთან, მაგრამ ასეთი „შემოსავლის ღონისძიებანი“ პოლიტიკურად არაპოპულარულია და არ იქნება მდგრადი მანამ, სანამ მთავრობის პროგრამა სწრაფად არ გამოასწორებს ეკონომიკურ მდგომარეობას.

ვალუტის ხელშეწყობით შემავსებელი კურსი, ვალუტის კონტროლი და არაკონვერტირებადი ვალუტები

ბევრი განვითარებადი ქვეყანა აწესებს ვალუტის კურსს და მკაცრად აკონტროლებს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციებს. უცხოური ვალუტის კონტროლი ხელს უშლის ადამიანებს, შეისყიდონ უცხოური ვალუტა მთავრობის ნებართვის გარეშე; ხილვით იმათ, ვინც მოულოდბს უცხოურ ვალუტას სახლვარგარეთ, შესაძლოა მოსთხოვონ – მიჰყიდონ იგი მთავრობას ადგილობრივი ვალუტით. უცხოელები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ქვეყნების ვალუტა, ყოველთვის ვერ ახეხებენ. გაცივლონ იგი უცხოურ ვალუტაზე ამ ქვეყნის ცენტრალურ ბანკში. ასე რომ, განვითარებადი ქვეყნების ვალუტები ხშირად არაკონვერტირებადი.

რატომ ვერ უზრუნველყოფენ განვითარებადი ქვეყნები ვალუტის კურსს და რატომ აღეკრებენ თვალყურს უცხოური ვალუტის ოპერაციებს? ამის ერთი მთავარი მიზეზია მთავრობის სურვილი, გამოიყენოს ვალუტის კურსის ოპერაციები კომერციული პოლიტიკის იარაღად. ბევრი განვითარებადი ქვეყანა ინარჩუნებს განსხვავებულ ვალუტის კურსს სხვადასხვა ტიპის მიმდინარე ბუღალტრული ოპერაციებისათვის. მაგალითად, მთავრობებს შეუძლიათ, დააფინანსონ ინვესტიცია დოლარის იაფად გაყიდვით იმ ფირმისათვის, რომელიც აწარმოებს მანქანა-დანადგარების იმპორტს, ხოლო დაუბეგროს ფუფუნების საქონელი დოლარის ძვირად მიყიდვით იმ პირებს, რომლებსაც ლიმუზინები შემოქვთ უცხოეთიდან.

ვალუტის კურსის ასეთი მრავალრიცხოვანი სისტემები ვერ განხორციელდება მანამ, სანამ მთავრობა თვითონ უიღის და უიღებდეს უცხოურ ვალუტას მისთვის სასურველი კურსით, რათა ხელი შეუშალოს კერძო სექტორს – აწარმოოს ოპერაციები სხვა კურსით. ვალუტის კონტროლი ეხმარება ცენტრალურ ბანკს, თავიდან აიცილოს უცხოური ვალუტის რეზერვის მკვეთრი შემცირება. და ბოლოს იმით, რომ ხელს უშლის საზოგადოებას უცხოური ფულის შენახვაში; მას შეუძლია შეაგროვოს მეტი სენიორაჟი ფულის დაბეჭდვით (ემისიის გამოყენებით).

მაშინაც კი, თუ კომერციული და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მსჯელობები არ მიიყვანს განვითარებად ქვეყნებს ვალუტის ხელშეწყობით შეკავებულ კურსამდე, ფინანსური შესწავლებით კერძო უცხოური ვალუტით ვაჭრობა მათ ბევრ დროს წაართმევს და გააძვირებს კიდევ მერვეტი ვალუტის კურსის დროს. იმის გამო, რომ განვითარებადი ქვეყნების ვალუტები თითქმის არაკონვერტირებადი, განვითარებული ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტები არ იშენებ მათ მიმართ ინტერესს. ამასთანავე, განვითარებადი ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტებს აქვთ მკაცრი შესწავლებები, რაც ხელს უშლის მათს თავისუფალ ვაჭრობას. ადგილობრივი და უცხოური ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ვალუტის ბაზრის ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ, ვერ მონაწილეობენ მასში და ტოვებენ ადგილობრივი ვალუტით მოვაჭრე განვითარებადი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს. ოპერაციების ხარჯები ეკონომიკისათვის მცირდება, თუ ცენტრალური ბანკი აწესებს ვალუტის კურსს და ინარჩუნებს ამ კურსს იმათთვის, ვინც უფლებამოსილია ივაჭროს უცხოური ვალუტით.

რამდენიმე ქვეყანა შეეცადა, ბაზრის შემქმნელის ოფიციალური როლი შეეთავსებინა ვალუტის კურსის უფრო დიდ მოქნილობასთან მთავრობის მიერ მოწოდებული უცხოური ვალუტის აუქციონების მეშვეობით. ბოლივიამ, განამ და იამაიკამ გამოსცადეს უცხოური ვალუტის აუქციონები. განვითარებადი ქვეყნების მხოლოდ მცირე ჯგუფმა (მექსიკა, პერუ და ისრაელი) დაუშვა პირობითი მცურავი კურსი.

არ არის გასაკვირი, რომ უცხოური ვალუტის მკაცრი კონტროლი იწვევს უცხოური ვალუტის შავი ბაზრის წარმოშობას განვითარებად ქვეყნებში. შავ ბაზარზე არალეგალურად შემოსტანილი უცხოური ვალუტა ზრდის ადგილობრივი ვალუტის ფასს იმაზე მეტად, ვიდრე ამას ცენტრალური ბანკი აწესებს. როგორც ტურისტს, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შავი ბაზრის კურსით და მიჰყიდოთ დოლარები სასტუმროს წინ მდგარ შეამაყალს. ის კი ამ დოლარებს მიჰყიდის ადგილობრივ მცხოვრებს. რომელიც მას ოფიციალური დასტურის გარეშე გამოიყენებს საქონლის ან აქტივების შესაძენად სახლვარგარეთ.

რადგან ინფლაციის მაღალი ტემპი შეუძლებელს ხდის ვალუტის აბსოლუტურად მკაცრი კურსის შენარჩუნებას ხანგრძლივი დროით, ბევრი განვითარებადი ქვეყანა იქნება ვალუტის კურსის სისტემას, რომელსაც მცურავი მიზმა ეწოდება. მცურავი მიზმის საშუალებით ცენტრალური ბანკი ყოველთვის აფიქსირებს უცხოური ვალუტის კურსს ადგილობრივი ვალუტით, მაგრამ ნებას აძლევს, ფასმა „აიცილოს“ სემსი გარკვეული დროით, ე.ი. ადგილობრივი ვალუტა დეფლაციას განიცდის უცხოური ვალუტის მიმართ ეს მცურავი დეფლაცია თითქმის ყოველდღიურია.

1970-იანი წლების დასაწყისამდე განვითარებადი ქვეყნები აბამდნენ თავიანთ ვალუტას ერთი რომელიმე განვითარებული ქვეყნის ვალუტას – დოლარს, სოგჯერ ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს ან ფრანგულ ფრანკს. ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის დოლარის მცურავი ვალუტის კურსის საპასუხოდ სოგი ქვეყანა აბამდა თავის ვალუტას ინდუსტრიული ქვეყნების ვალუტების კალათას. ვალუტის მცურავი კურსის დროს ერთობ სარისკოა მისი მიბმა მხოლოდ ერთ უცხოურ ვალუტას, რაც გამოიწვევს მის რეველაციათს სხვა ვალუტების მიმართ, თუ დოლარის ფასი მკვეთრად აიწვეს უცხოური ვალუტის ბაზარზე. ხოლო თუ ასეთი მიბმა განხორციელდება ინდუსტრიული ქვეყნების ვალუტის კალათასთან. ქვეყანა შეძლებს შეამციროს ის შედეგი საერთაშორისო ვაჭრობაზე, რასაც გამოიწვევს ამ კალათში რომელიმე ვალუტის ღირებულების შეცვლა.

განვითარებადი ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურა

ბევრი განვითარებადი ქვეყანა ძირითადად აწარმოებს ბუნებრივი რესურსების ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტს. ნიგერია ძლიერ არის დამოკიდებული ნავთობის, ჩილე – სპილენძის, კოლუმბია – ყაყის (და კოკაინის), მალაიასია – კაუჩუკის ექსპორტზე. ექსპორტებზე მსგავსი დამოკიდებულება იწვევს მაკროეკონომიკურ პრობლემებს, რადგან ასეთი საქონლის ფასები ძალიან განსხვავდება სამრეწველო საქონლის ფასებისაგან. თავის მხრივ, ქვეყნის ექვლაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონლის ფასების მკვეთრი შეცვლა იწვევს შესაბამის ცვლილებას შემოსავალსა და მიმდინარე ანგარიშში. მაგალითად, საექსპორტო საქონელზე ფასების დაცემა იმედროულად გამოიწვევს ეკონომიკის დაცემას და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. მთავრობა ვერ შეძლებს შიდა და გარე წონასწორობის დაცვას მანამ, სანამ არ აღდგება საექსპორტო ფასები.

განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო ფასები განსაკუთრებით მგრძობიარეა ინდუსტრიული ქვეყნებიდან გადმოღებული მაკროეკონომიკური პოლიტიკისაღმ. ინდუსტრიულ ქვეყნებში ერთობლივი მოთხოვნის შემცირება სწრაფად გადაეცემა განვითარებად ქვეყნებს – საქონლის ფასები ეცემა და რეალური შემოსავლები კლებულობს.

განვითარებადი ქვეყნის სესხი და ვალი

განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკური პრობლემების გასაგებად კიდევ ერთი ნიშანთვისებაა მნიშვნელოვანი: ეს ქვეყნები ძლიერ არიან დამოკიდებული უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინებაზე ადგილობრივი ინვესტიციების დასაფინანსებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განვითარებადი ქვეყნები სესხულობდნენ მდიდარი ქვეყნებისაგან და საქმოდ დიდი ვალიც დაუგროვდათ (დაახლოებით 1.4 ტრილიონი დოლარი 1992 წლის ბოლოსათვის). ეს მთავარი ვალი იყო საერთაშორისო სესხების იმ კრიზისში, რომლითაც დაკავებულნი იყვნენ მთელი მსოფლიოს პოლიტიკის შემქმნელები ათწლეულის განმავლობაში 1982 წლის შემდეგ.

განვითარებადი ქვეყნების მიერ აღებული სესხების ეკონომიკა

ბევრ განვითარებად ქვეყანას აქვს უცხოეთის ვალი. რა ეკონომიკური ფაქტორები ძვეს ამ სესხების უკან?

გაეხსენოთ ტოლობა (თავი 12), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქვეყნის დანახოვს – S , ადგილობრივ ინვესტიციას – I და მიმდინარე ანგარიშის ბალანსს – CA : $S - I = CA$. თუ ქვეყნის დანახოვი ვერ ამართლებს ადგილობრივ ინვესტიციებს, განსხვავება უტოლდება საგადასმდელო ბალანსის მიმდინარე დეფიციტს. ქვეყნის დანახოვი, როგორც ეს ადრე ენახეთ, ხშირად დაბალია განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ქვეყნები შედარებით ღარიბები არიან, ქარხნებისა და მანქანა-დანადგარების იქ შეტანის შესაძლებლობა უფრო მეტია. ასეთი შესაძლებლობები ამართლებს ინვესტირების მაღალ დონეს. თავისი მიმდინარე ანგარიშის ბალანსში ბიუჯეტის დეფიციტამდე მიუვანას შეუძლია მიიღოს რესურსები ინვესტიციისათვის მაშინაც კი, თუ მისი ადგილობრივი დანახოვის დონე დაბალია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გულისხმობს, რომ ქვეყანა იღებს სესხს სასაღვარგარეთ იმის სანაცვლოდ, რათა დღეს აწარმოოს უცხოური საქონლის მეტი იმპორტი, ვიდრე ექსპორტი. ქვეყანამ პირობა უნდა დადოს, რომ მომავალში ის გადაიხდის უცხოური სესხის პროცენტს.

ასე რომ, განვითარებადი ქვეყნების სესხები შესაძლოა აიხსნას დროთაშორის ვაჭრობის წახალისებით (თავი 7). დაბალშემოსავლიან ქვეყნებს ძალიან მცირე საკუთარი დანახოვი აქვთ იმისათვის, რომ გამოიყენონ ყველა თავიანთი მომგებიანი ინვესტირების შესაძლებლობები, ისინი იძულებულნი არიან, ისესხონ სასაღვარგარეთ. მეორე მხრივ, კაპიტალით მდიდარ ქვეყნებში ყველაზე პროდუქტიული საინვესტიციო შესაძლებლობები უკვე გამოიყენებულია, მაგრამ დანახოვის დონეები შედარებით მაღალია. დანახოვის მქონე ადამიანებს განვითარებულ ქვეყანაში შეუძლიათ მოიპოვონ უკეთესი უფრო მამოსდეული განაკვეთი იმით, რომ გაასესხონ თანხებს განვითარებად ქვეყანაზე ინვესტიციების დასაფინანსებლად.

უკრადლება მიაქციეთ, რომ როცა განვითარებადი ქვეყანა იღებს სესხს პროდუქტიული ინვესტიციების

განსახორციელებლად, ისიც და გამსესხებელიც მოგებას ნახელობს. მსესხებლები იგებენ იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ შექმნან თავიანთი აქციონერული კაპიტალი, მიუხედავად ქვეყნის დანაშოგის შესწავლული დონისა. გამსესხებლები იღებენ მოგებას იმიტომ, რომ უფრო მაღალ უკუგებას იღებენ თავიანთ დანაშოგებზე, ვიდრე ისინი მიიღებდნენ შინ.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ განვითარებადი ქვეყნებისათვის რამდენად გამართლებულია სესხების გაცემა განვითარებული ქვეყნების მხრივ. სესხები, რომლებიც გაცივმა არამომგებიანი ინვესტიციების ან სამომხმარებლო საქონლის იმპორტის დასაფინანსებლად, შეიძლება გადაიხარდოს ვალში, რომელსაც სესხის ამლები ვერ გადაიხდის. მკდარი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სეწოლას ახდენს დანაშოგზე, იწვევს აგრეთვე უცხოეთიდან სესხების გაზრდას.

მოგება საერთაშორისო სესხებისა და გასესხებისაგან ვერ მიიღება, სანამ გამსესხებლები დარწმუნებულნი არ იქნებიან, რომ მათ გადაუხდიათ. ყართოდ გავერცელებულმა უნდობლობამ 1982 წელს გამოიწვია განვითარებადი ქვეყნების ვალების კრიზისი.

კაპიტალის შემოღინების ალტენატიული ფორმები

როდესაც განვითარებადი ქვეყანას აქვს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ის ყიდის აქტივებს უცხოელებზე, რათა დააფინანსოს სხვაობა საკუთარ ხარჯსა და შემოსავალს შორის. რაკი აქტივების გაყიდვა ექცევა ტერმინში **გასესხება**, კაპიტალის შემოღინებამ, რაც აფინანსებს განვითარებადი ქვეყნების დეფიციტს, შესაძლოა მიიღოს რამდენიმე სახე. კაპიტალის შემოღინების სხვადასხვა ტიპი აღინიშნებოდა ისტორიულ განსხვავებულ პერიოდებში. შემოღინების ასეთი ტიპები ზრდის უცხოელი გამსესხებლებისათვის სხვადასხვა ვალდებულებებს. განვითარებადი ქვეყნებში მაკროეკონომიკური გარემოს გასაგებად საჭიროა იმ ოთხი მთავარი არხის შედმიწვევითი ანალიზი, რომლის საშუალებითაც ისინი აფინანსებენ საგარეო დეფიციტს.

1. **ობლიგაციების ფინანსები.** განვითარებადი ქვეყნებს ზოგჯერ უხდებათ თავიანთი ობლიგაციების გაყიდვა კერძო უცხოელ პირებზე, რათა დააფინანსონ თავიანთი დეფიციტი. ობლიგაციებით ოპერაციების ჩატარება მნიშვნელოვანი იყო 1914 წლამდე და ომებს შორის პერიოდში (1918-1939 წლებში), მაგრამ იგი განვითარებადი ქვეყნების გარედან დაფინანსების შედარებით მცირე კომპონენტად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.
2. **ბანკის სესხები.** 1970-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებადი ქვეყნები სესხულობდნენ პირდაპირ განვითარებული ქვეყნების კომერციული ბანკებისაგან. 1970 წელს განვითარებადი ქვეყნების საგარეო დაფინანსების თითქმის მეოთხედს უზრუნველყოფდნენ ბანკები; 1981 წელს ბანკებმა სესხის სახით გასცეს 983 მლრდ დოლარი, ეს თანხა თითქმის უტოლდებოდა ნავთობის არმქონე განვითარებადი ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს იმავე წელს. ეს მონაცემები ფარავს ინდივიდუალური მსესხებლების გამოცდილებაში არსებულ დიდ სხვაობას. მაგალითად, ლათინური ამერიკის სოგვიერთი ქვეყანა უფრო მეტად გახდა დამოკიდებული ბანკის დაფინანსებაზე 1980-იანი წლებისათვის, ვიდრე ამას საშუალო მონაცემები გვიჩვენებს.
3. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროს, ფირმა, რომელსაც ფლობს უცხოელი, იძენს ან აფართოებს ადგილობრივ განთავსებულ ფილიალ ფირმას ან ქარხანას (თავი 7). მაგალითად, IBM-დან სესხის გაცემა მეხიკოს ქარხნისათვის იქნება აშშ-ს პირდაპირი ინვესტიცია მექსიკაში. ასევე, იაპონელი აქციონერები, რომლებიც აფინანსებენ ტოიოტას განვითარების ლაბორატორიას აშშ-ში, ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციას. ამ ორი პირდაპირი ინვესტიციიდან პირველი შევა მექსიკის საგადამხდელი ბალანსის ანგარიშზე, როგორც კაპიტალის შემოღინება; მეორე შევა იაპონიის საგადამხდელი ბალანსის ანგარიშზე, როგორც კაპიტალის გადინება. პირდაპირი ინვესტიცია სოგვიერთ ერთადერთი გზაა უცხოელისათვის, შეიძინოს ქარხანასა ან ადგიურვილობაზე ის პირდაპირი მოთხოვნები, რომელიც მოქმედებს განვითარებადი ქვეყნების შიგნით.

პირდაპირი ინვესტიცია წარმოადგენდა განვითარებადი ქვეყნების გარე დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 25 წლის განმავლობაში. მაგრამ 1970-იან წლებში, როდესაც ბანკების მიერ გასესხების პროცესები ისრდებოდა, პირდაპირი ინვესტიციები შემცირდა, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისში, ვალების კრიზისის დროს, მათმა შემოღინებამ უფრო მეტად იკლო – 20 მლრდ დოლარიდან (1982 წელს) 11 მლრდ დოლარამდე (1986 წელს). მხოლოდ ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ მნიშვნელოვანი გახდა განვითარებადი ქვეყნებისათვის და მან 1994 წელს 56 მლრდ დოლარს მიაღწია.

4. **ოფიციალური გასესხება.** განვითარებადი ქვეყნები ხანდახან სესხულობენ საერთაშორისო სააგენტოებისაგან, როგორცაა, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა ქვეყნების მთავრობები. ასეთ სესხებს შესაძლოა ჰქონდეს „შეღავათიანი“ საფუძველი – ე.ი. საბაზრო განაკვეთზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი, ან შესაძლოა ჰქონდეს საბაზრო საფუძველი, რაც ნებას აძლევს გამსესხებელს, მიიღოს მოგების საბაზრო ნორმა. ოფიციალური კრედიტების დინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ შემცირდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მთლიან დინებებთან შედარებით.

ფინანსირების ეს ოთხი ტიპი შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: ვალით და კაპიტალით დაფინანსება (თავი 21). ობლიგაციები, ბანკები და ოფიციალური დაფინანსება – ექვლა არის ვალით დაფინანსების სახეები.

მეველემ უნდა გადაიხადოს სესხის მოლიანი ღირებულება და ამ სესხის პროცენტი, მიუხედავად მისი ეკონომიკური მდგომარეობისა. პირდაპირი ინვესტიცია კი არის კაპიტალით დაფინანსების ფორმა. პირდაპირი ინვესტიციის უცხოელ მფლობელებს აქვთ მოთხოვნა მისი წმინდა მოგების ნაწილზე და არა ფულადი გადასახადის ფიქსირებულ ნაკადზე. არახელსაყრელი ეკონომიკური მოვლენები მასპინძელ ქვეყანაში იწვევს პირდაპირი ინვესტიციებიდან მოგებისა და უცხოელებისათვის გადასახდელი დივიდენდების კლებას.

განსხვავება ვალთა და კაპიტალით დაფინანსებას შორის საჭიროა იმის გასაანალიზებლად, თუ განვითარებადი ქვეყნების გადასახადი უცხოელებისათვის როგორ არეგულირებს ეკონომიკის გაუთვალისწინებულ გამოვლინებებს, როგორცაა, მაგალითად, რეცესია და ეაჭრობის პირობების ცვლილებები. როცა ქვეყნის პასივება ვალის ფორმას იღებს, კრედიტორისათვის მისი გრაფიკით გათვალისწინებული ანაზღაურება არ მცირდება, თუ ქვეყნის რეალური შემოსავალი ეცემა. შემდეგში ქვეყნისათვის ძალიან მტკივნეული იქნება უცხოელისადმი ვალდებულებების პატიოსნად შესრულება. ნაკლები პრობლემა კაპიტალით დაფინანსების დროს: ადგილობრივი შემოსავლის კლება ავტომატურად ამცირებს უცხოელი აქციონერის მოგებას სესხის თაობაზე ხელშეკრულების დარღვევის გარეშე. კაპიტალის შექმნისას უცხოელები თანხმდებიან, თანაბრად გაინაწილონ ეკონომიკის ცუდი და კარგი პირობების შედეგები.

ბოლო წლებში განვითარებადი ქვეყნების კაპიტალით დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური პორტფელის მფლობელი ინვესტორების მიერ ადგილობრივი კაპიტალის წილის პირდაპირი შესყიდვით. 'სოგჯერ ეს წილი იყიდება განვითარებადი ქვეყნების საფონდო ბირჟებზე. თვით განვითარებადი ქვეყნების ახლადშექმნილი საფონდო ბირჟების მიმართ უცხოური ინტერესი იზრდება. კერძოდ, აზიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში (მექსიკა, არგენტინა და ჩილე) ადგილობრივი აყვავებული საფონდო ბირჟები იზიდავენ კაპიტალს სასღვარგარეთიდან. 1994 წელს 60 მლრდ დოლარზე მეტი კაპიტალი შეემატა განვითარებადი ქვეყნებს.

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ გარანტირებული კრედიტი

მნიშვნელოვანია, გაეიგოთ – განვითარებადი ქვეყნების ვალი წარმოადგენს სახელმწიფოსა და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფირმების პირდაპირ სესხებს თუ კერძო სექტორის საჯაროდ გარანტირებულ სესხებს. ე.ი. სესხებს, რომლის გადახდის პასუხისმგებლობას იღებს მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ კერძო სექტორი ვერ გადაიხდის მას. ვალუტის კონტროლისა და განუვითარებელი ადგილობრივი ფინანსური ბაზრების პირობებში მთავრობები მეტნაკლებად ავტომატურად ერთგებიან ადგილობრივ მცხოვრებლებსა და უცხოელებს შორის ნებისმიერი კრედიტის ხელშეკრულებაში. იმის გამო, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ვალების გადახდაზე, გარე ანგარიშსწორების პრობლემები თანხედება სახელმწიფო ბიუჯეტის პრობლემებს და შესაძლოა გაელენა მოახდინოს განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალზეც.

განვითარებადი ქვეყნების კრედიტები ისტორიულ პერსპექტივაში

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ განვითარებადი ქვეყნების მაკროეკონომიკური სტრუქტურის 'სოგადი თვისებები, მიუხედავად საკითხს, თუ რა როლი ითამაშეს ამ ქვეყნებმა მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლებში. მე-19 საუკუნის ბოლოდან 1980-იანი წლების დასაწყისამდე კრედიტების გაცემა განვითარებადი ქვეყნებისათვის ჯერ ბუმს განიცდიდა, შემდეგ მცირდებოდა მსოფლიო დიდი დეპრესიის დროს, კვლავ გამოჩნდა და სწრაფად გაფართოვდა. 1982 წლის მოვლენებმა მკვეთრად შეამცირა კრედიტების გაცემა განვითარებადი ქვეყნების მოვალეებზე და გამოიწვია საერთაშორისო ვალის კრიზისი, რამაც ბევრი ქვეყნის ეკონომიკა მოიცვა ათწლეულების განმავლობაში. 1982 წლის წინა პერიოდის მოვლენები ის ისტორიული მაგალითია, რომელიც გვეხმარება ამ კრიზისის გარკვევაში.

კაპიტალის ღირებები განვითარებადი ქვეყნებისაკენ 1914 წლამდე

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგი პერიოდი აღინიშნებოდა კაპიტალის მნიშვნელოვანი გადაადინებით ევროპიდან განვითარებადი ქვეყნებისაკენ. უმეტესწილად სესხის სახით. 1870 და 1914 წლებს შორის ბრიტანეთმა მოახდინა თავისი მკპ-ის 5%-ზე მეტის ინვესტირება სასღვარგარეო, საფრანგეთმა – 2%, ხოლო გერმანიამ – 3%. ამ პერიოდში ლონდონი წარმოადგენდა მთავარ საერთაშორისო ფინანსურ ცენტრს. ბევრი განვითარებადი ქვეყანა იღებდა კრედიტებს ობლიგაციების გაყიდვით ლონდონში, ლონდონის ფინანსური ბროკერებისა და ბანკების სინდიკატების საშუალებით.

1914 წლის წინა პერიოდი ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოადგენდა სამოთხეს საერთაშორისო ინვესტიციებისათვის. ლონდონში განთავსებული საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი აყვავებას განიცდიდა 1914 წლამდე. მაგრამ პირობები არც ისე დამამწყვდებელი იყო. როგორც მე-18 თავეს ვნახეთ, ევროპაში ოქროს სტანდარტის გათვალისწინებით ეკონომიკური შერყეობა მკაცრი იყო, რამაც დიდი გავლენა მოახდინა

განვითარებადი ქვეყნების მსუსხებლების წარმატებასუ. ექსპორტიდან მოგების უცაბუდი შემცირების გამო მუქალე ქვეყნები ხანდახან იძულებულნი იყენენ. შეუნერებინათ პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდა. ამასთანავე, ადგილობრივი ეკონომიკის არასწორად ორგანიზება განაპირობებდა უცხოელი კრედიტორებისათვის გადასახადის შეწყვეტას.

მოვალეობის შეუსრულებლობას ადგილი აქვს, როდესაც მსუსხებელი ვერ იხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვაღს. განვითარებადი ქვეყნების მიერ მოვალეობის შეუსრულებლობა ხშირი იყო 1914 წლამდე. ასეთ შემთხვევაში სარაღლებოდნენ ინდივიდუალური კრედიტორები. ხანდახან მოვალეობის არშემსრულებელი მოვალეები განაახლებდნენ ხოლმე გადახდას, როგორც კი ეკონომიკური ვითარება გამოსწორდებოდა. მოვალეობის შეუსრულებლობის დაუყოვნებელი შედეგი იყო ქვეყნის მიმოქცევაში გაშვებული ობლიგაციების ფასის დაცემა და მათი მფლობელების კაპიტალის დიდი დანაკარგები. ობლიგაციის კერძო მფლობელებს ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლიათ და ხელს ვერ უშლიდნენ განვითარებადი ქვეყნების მოაერობებს ვაღების გადაუხდელობაში.

რატომ ევაოდა საერთაშორისო კაპიტალის გაღინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ 1914 წლამდე, თუ არსებობდა ვაღის გადახდის შესერების რეალური შესაძლებლობები? სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა ამას:

1. უცხოური ინვესტიციის შესაძლებლობები ძალიან მომგებიანი იყო. რესურსებით მდიდარი რეგიონები შედარებით ნაკლებ ექსპლოატაციას განიცდიდნენ და მოსალოდნელი უკუგება აშენებული ქარხნებისა და რკინიგზებისაგან ძალიან დიდი იყო.
2. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, კანადა, არგენტინა და ავსტრალია, რომლებმაც მიიღეს ევროპის მიერ გაცემული კრედიტების დიდი ნაწილი 1914 წლამდე, მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალი იყო, რამაც განაპირობა ევროპელების მიგრაციის დიდი ტალღა. მიგრანტთა შორის იყენენ კვალიფიციური მუშები და მეწარმენი. ევროპელი კრედიტორები გრძობდნენ, რომ ევროპელი მიგრანტები, გადადიოდნენ რა ახლანდელი დასახლების რეგიონებში, წარმატებით გადაიტანდნენ იქ სამრეწველო რეკოლეციის მიღწევებს. ევროპელი ქვეყნები აწარმოებდნენ ინვესტირებას ეველასუ უფრო მჭიდროდ დასახლებულ ტროპიკულ სონაშიც კი, მაგრამ ძირითადად მიმართაუდნენ პირდაპირ ინვესტიციებს მომპოვებულ მრეწველობაში, პლანტაციებში და სხვა რესურსებში. ობლიგაციების გასესხებისაგან განსხევეებით, ევროპელი მენეჯერების მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები მომგებიანი შეიძლება ყოფილიყო ადგილობრივი მეწარმეების არსებობის პირობებშიც კი.
3. ბრიტანეთის ლიდერობამ მსოფლიო ეკონომიკაში მთავარი ხელშემწეობი როლი ითამაშა საერთაშორისო ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის საქმეში. როგორც თავისუფალი ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიდერმა, ბრიტანეთმა უსრუნველყო დანაშოგების მზა რესურსი მსოფლიოს დანარსენი ნაწილისათვის და მზა ბასარი, სადაც განვითარების პროცესში მყოფ ექსპორტიორებს შეუძლიათ, მოეგოთ უცხოური ვაღების გადასახდეულად საჭირო ფული. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ინვესტირების შესაძლებლობები ბრიტანეთში შედარებით ნაკლები იყო, მისი დანაშოგის დაახლოებით 25-40% მასაც მიეღინებოდა სასღვარგარეთ 1870 და 1914 წლებში. ლონდონის ფინანსურ კომპანიებს ძლიერი სტიმული აქონდათ, ეძებნათ ინვესტირების შესაძლებლობები სღვის იქით, ამიტომაც უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა მათი საქმიანობის დიდ ნაწილს. ამასთანავე, ბრიტანეთის სესხები განვითარებადი ქვეყნებისათვის საშეაღებას აძლედა მსუსხებელს, ეწარმოებინა მანქანებისა და სხვა საქონლის იმპორტი ბრიტანეთიდან. აცნობიერებდა რა უცხოური კრედიტების ძალიან დიდ მნიშვნელობას ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის, ბრიტანეთის მთავრობა აქტიურად ცდილობდა, დაერწმუნებინა ეს ქვეყნები, რომ ვაღის გადაუხდელობა სწრაფად მოგვარდებოდა და არ გამოიწვევდა საერთაშორისო კრედიტებისა და ვაჭრობის შეფერხებას.

ომებს შორის პერიოდი და მისი შედეგები: 1918-1972 წლები

ლონდონმა, როგორც მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა ცენტრმა, დაკარგა თავისი პოზიციები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და განვითარებადი ქვეყნების მოაერ კრედიტორად აშშ იქცა. ბრიტანეთსა და საფრანგეთს ამასთან დაკავშირებით აშშ-ს დიდი ვაღი დაეღსათ. ხოლო გერმანია თავისი ადღგენით იყო დაკავებული. ვერც ერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც 1914 წლამდე განვითარებადი ქვეყნებისათვის მოაერი გამსესხებელი იყო, ვეღარ ახერხებდა ამას. სესტი საგაღამხდელო ბაღანისს გამო ბრიტანეთმა აქერძალა თავის მოქალაქეებს, უცხოური კრედიტების გაცემა ომებს შორის პერიოდში.

1920-იან წლებში ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ გადაიტანა თავისი ობლიგაციები აშშ-ში. რამაც გამოიწვია ამერიკული პირდაპირი ინვესტიციების დიდი შეღინება. 1920-იან წლებში ვაღების გადაუხდელობას ადგილი არ აქონია. პრობლემაები მხოლოდ ამ ორი ათწლეულის ბოლოს გაჩნდა. 1920-იანი წლების შუაში მსოფლიო ფასმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსუ, რაც განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიდან შემოსაღლის მოაერი წყაროს წარმოადგენდა, კლება დაიწყო. 1928 წლის შემდეგ ამერიკის მიერ სასღვარგარეთ კრედიტების გაცემა შემცირდა. რადგანაც ამერიკელებმა თავიანთი დანაშოგები ინვესტიციების სანაცვლოდ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟისაკენ მიმართეს, რისიველიც ამ დროს ბუმს განიცდიდა.

1929 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკის საფონდო ბირჟამ კრაზი განიცადა, რამაც გამოიწვია მსოფლიო მასშტაბის დეპრესია და თითქმის მთლიანად უცხოური დაფინანსებების შეწყვეტა. იმის გამო, რომ აღარ შეუძლოთ ესესხათ სასლვარგარეთ, განვითარებადი ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, შეეწყვიტათ იმპორტი, რამაც გამოიწვია მათ წინაშე არსებული ერთობლივი მოთხოვნის შემცირება. იმის გამო, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა შემოიღეს მკაცრი ბარიერები იმპორტზე, საერთაშორისო მუკალეებისათვის თითქმის შეუძლებელი გახდა ვალების გადასახდელად აუცილებელი ექსპორტიდან მოგების მიღება. ბოლივიამ შეწყვიტა ვალების გადახდა 1931 წლის 1 იანვარს და ასე გაგრძელდა 3 წლის განმავლობაში. ამასვე მდგომარეობაში იყო ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა. ამ ქვეყნების უმეტესობამ დატოვა ოქროს სტანდარტი, მიიღო მცურავი გაცვლითი კურსი და გააყვა ექსპანსიურ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას, რათა შებრძოლებოდა დეპრესიის შედეგებს.

აშშ-ს არ შეუძლო თავიდან აეშორებინა მსოფლიო მასშტაბის ფინანსური კრიზისი ისე, როგორც ამას შეეძლებოდა ბრიტანეთი 1914 წლამდე. აშშ-ს დანაშაულის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გასესხებული სასლვარგარეთ და ექსპორტებიც აშშ-ს მეპ-ის შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომაც ამერიკის მთავრობამ და ფინანსურმა გაერთიანებამ ვერ გააცნობიერეს, რამდენად გადაძველები იყო აშშ-ს ეკონომიკის სიჯანსაღისათვის კარგად მოქმედი საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსური სისტემა.

1914 წლამდე ბრიტანეთის მდგომარეობისაგან განსხვავებით, აშშ-მ ვერ მოახერხა, ეკისრა საერთაშორისო კრედიტორის პასუხისმგებლობა, რაც უზრუნველყოფდა მის ბაზარს მუდამ ექსპორტიორებისათვის. როცა ქვეყნებმა 1920-იანი წლების დასაწყისში მთელს მსოფლიოში გასარდეს ტარიფები, რათა შებრძოლებოდნენ რევესიას ან დაეცვათ პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოშობილი ახალი მრეწველობები, აშშ-მ იმის ნაცვლად, რომ მიეცა მსოფლიოსათვის თავისუფალი ვაჭრობის მაგალითი, 1922 წელს შემოიღო ფორდინ-მაქკუშბერის ტარიფი. ხოლო შემდეგ, 1930 წელს, დადგინდნენ *სმუთ-ჰულეთის* – ტარიფმა, სოციურთი ეკონომისტის ასრით, ზიანი მოუტანა მსოფლიო ეკონომიკას (თავეები 9 და 18). ამ ღონისძიებამ დაამძინა განვითარებადი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის ფასების მდგომარეობა დიდი რევესიის დასაწყისში.

ვალების გადაუხდელობა პირველად 1914 წლის წინა პერიოდში აღინიშნებოდა, ხოლო 1930-იანი წლების ერთდროული ვალების გადაუხდელობა უპრეცედენტო იყო. განვითარებადი ქვეყნების ვალების გადაუხდელობას ახლდა ისეთი განვითარებული ქვეყნების ვალების გადაუხდელობა, როგორიც იყო გერმანია მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ადოლფ ჰიტლერი მოექცა. ამ მოვლენების სეწოლის შედეგად საერთაშორისო კრედიტების ნაკადი, რომელმაც ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარებას 1920-იან წლებში, მნიშვნელოვნად შემცირდა 1930-იან წლებში. 1914 წლამდე ინდივიდუალურ ქვეყნებს, რომლებიც ვერ იხდიდნენ ვალებს, შეეძლოთ განეახლებინათ კრედიტების აღება, როგორც კი მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და მათი ძველი უცხოური ვალები დაიფარებოდა. 1930-იანი წლების ვალების გადახდის შეწყვეტის შემდეგ საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი აღარ იყო ისე ელასტიური. ომებს შორის ვალების კრისისის განსოგადებულმა ხასიათმა კიდევ უფრო გააღრმავა დიდი დეპრესია. დეპრესიამ და მის მიერ ინსპირირებულმა შესწავლებებმა ვაჭრობაზე თავის მხრივ ხელი შეუწყო ვალების გადაუხდელობას და ხელი შეუშალა ნორმალური საერთაშორისო კრედიტებისაკენ დაბრუნებას. მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო განვითარებადი ქვეყნები ისოლირებულნი აღმოჩნდნენ საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებისაგან; მათთვის გაცემული კერძო კრედიტები ისეთი მასშტაბით, როგორითაც ეს დეპრესიამდე აღინიშნებოდა, 1970-იან წლებამდე აღარ ყოფილა.

1945 წლიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე განვითარებადი ქვეყნებისკენ მიმართული კაპიტალის დინებების უმეტესობა სამიდან ერთ-ერთი ფორმით ხორციელდებოდა: ოფიციალური კრედიტები, უცხოელი კრედიტორის მიერ დაშვებული მოკლევადიანი სავაჭრო კრედიტი ან პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. განვითარებული ქვეყნების ვაჭრობასთან დაკავშირებული ბევრი სესხი გახდა ოფიციალური, როცა გამსესხებელი მთავრობები ისეთივე გარანტიას აძლევდნენ მათ, როგორც მათი ქვეყნის ექსპორტის არაპირდაპირი სუბსიდიების დროს. იმის გამო, რომ ინდივიდუალურ მსესხებლებს სოგჯერ უჭირდათ თავიანთი ვალების გადახდა, ამ პერიოდში მთავრობებმა და საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებმა 1956 წელს დააარსეს *პარიზის კლუბი* – ოფიციალური კრედიტორებისათვის ვალების გადახდის გადავადების სტრუქტურა. ვალების გადავადება ხდება მაშინ, როცა გადასახდი ვალზე გადაიდება და დებულების თანახმად პროცენტი ეკისრება გადავადებულ გადასახდას.

პირდაპირ ინვესტიციებს ემუქრებოდა მასპინძელი მთავრობის მიერ ნაციონალიზაცია (ე.ი. ექსპროპრიაცია). მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი გამოირჩეოდა ნაციონალიზმის აღმავლობით, როდესაც ყოფილი კოლონიური ტერიტორიები დამოუკიდებელნი გახდნენ. ასეთ გარემოში სოგი მთავრობა არ დაქაფოფილდა უცხოელის მფლობელობაში არსებული ფირმების მოგების დაბეგვრით, არამედ უბრალოდ დაეპატრონა მათ აქტივებს. კამათი ასეთი მითვისების ანაზღაურების თაობაზე ხელ-ნელა გადაიჭრა, მაგრამ კომპანიები, რომელთა აქტივებიც მითვისებული იქნა, შედეგებით უკმაყოფილონი იყვნენ. მიუხედავად ნაციონალიზაციის რისკისა და დაბეგვრის მიმე პირობებისა, 1950-60-იან წლებში პირდაპირი ინვესტიციების შედინებები განვითარებადი ქვეყნებისკენ კვლავ სწრაფად გაიზარდა ნაწილობრივ იმის გამო, რომ ბევრ მათგანს ჭარბი ძირფასი ნედლეულის შემოთავაზება შეუძლო.

პარიზის კლუბი

1956 წელს არგენტინის ვალებთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა ხელი შეუწყო ჩამოყალიბებინათ პარიზის კლუბი – ფორუმი, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს მთავრობის კრედიტორებთან ქვეყნების ვალებთან დაკავშირებით. კრიზისის კლუბის შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ მოვალე მთავრობა და მისი კრედიტორები, რომელთა ტრადიციულ შეხვედრას ერთმანეთთან ფრანგი ოფიციალური პირი თავმჯდომარეობს.

პარიზის კლუბის ვალების გადავადების შესახებ მოლაპარაკებების მთავარი პრინციპია ყველა კრედიტორისადმი ერთნაირი დამოკიდებულება. სანამ ხელშეკრულების დასკვნას გააფორმებენ, მევალე ქვეყნებს, რომლებიც მიმართავენ პარიზის კლუბს, მოუთხოვებთ ხელშეკრულების დადება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფონდის სესხსა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების პროგრამას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეგულირების პროგრამა მიზნად ისახავს მოვალე ქვეყნების ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას და მისი ექსპორტის გაზრდას. კრედიტორები თვლიან, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტაბილიზაციის პროგრამა (პაკეტი) აუცილებელია მიმდინარე ანგარიშის მისაღწევად, რაც საშუალებას აძლევს მევალეებს, განაახლონ თავიანთი უცხოური ვალების გადახდის პროცესი.

კომერციული ბანკები, რომლებსაც სჭირდებათ ვალების გადავადება, თანხმობისათვის მიმართავენ პარიზის კლუბს. კერძო კრედიტორები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ახალი ორგანოს, ლონდონის კლუბის, მეშეობით.

კრედიტები 1973 წლის შემდეგ: ნავთობის შოკი და მცურავი გაცვლითი კურსი

1973-1974 წლების „ოპეის“ ნავთობის შოკი იყო კერძო კომერციული ბანკების მიერ განვითარებადი ქვეყნებისკენ მიმართული კრედიტების დიდი ტალღის დასაწყისი. განვითარებული ქვეყნების ბანკები უწინ არ აქტიურობდნენ ასეთი კრედიტების გაცემაში, მაგრამ „ოპეის“ მიმდინარე ანგარიშის სიჭარბე, რაც მოჰყვა ნავთობზე ფასების გაზრდას, უნდა „დატრიალებულიყო“, რათა დაეფინანსებინა დანარჩენი ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. „ოპეის“ ქვეყნებმა გაასესხეს თავიანთი ჭარბი ფონდები განვითარებად ქვეყნებს, ხოლო ამ ქვეყნების ბანკებმა უფრო მომგებიანად ჩათვალეს, ხელმეორედ გასესხებინათ ეს ფონდები განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე.

22-2 ცხრილი გვიჩვენებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს 1973 და 1994 წლებს შორის. ნავთობის ფასის ზრდის დაუყოვნებელი რეაქცია იყო ნავთობის მთავარი ექსპორტიორების მიმდინარე ანგარიშის ნამატის გაათმაგება 1973-1974 წლებში. ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ გაედიდებინათ თავიანთი დანახარჯები ისე სწრაფად, როგორც ამის საშუალებას მათი ექსპორტიდან მეტისმეტად გაზრდილი მოგება იძლეოდა. ასე რომ, მათ ჰქონდათ ძალიან დიდი, მაგრამ კლებადი ნამატი 1978 წლამდე. სანამ მათი დანახარჯი არ გაუთანაბრდა მათ შემოსავალს. „ოპეის“ პირველი შოკის შემდეგ ინდუსტრიულ ქვეყნებს ჰქონდათ ხანმოკლე დეფიციტი. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ნავთობის არმქონე განვითარებად ქვეყნებში სწრაფად გაიზარდა 1974 წელს და საქმოდ მაღალი იყო 1978 წლამდე. რატომ ვერ მოახერხეს ნავთობის არმქონე განვითარებადმა ქვეყნებმა, ნავთობის შოკით სწრაფად დაურეგულირებინათ თავიანთი მიმდინარე ანგარიში? იმის გამო, რომ განვითარებული ქვეყნები 1974-1975 წლებში რეცესიაში აღმოჩნდნენ, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა მიიღეს და შეინარჩუნეს ისეთი ექსპანსიური პოლიტიკები, რომლებმაც ხელი შეუწვეს ინვესტიციებს და დაეხმარნენ მათ შეენარჩუნებინათ ინდუსტრიულ ქვეყნებზე უფრო მაღალი გამომშვების ზრდის ტემპი. განვითარებადი ქვეყნები სუსხულადნენ სასღეარგარეთ და აგროვებდნენ უცხოურ ვალებს, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი შემოსავლის დონეზე გადაჭარბებული ხარჯვის ოდონობა.

1974-1978 წლებში ნაჩვენებია ნავთობის არმქონე განვითარებადი ქვეყნების დეფიციტი (იხ. 22-2 ცხრილი) შეესაბამება ნავთობის მთავარ მწარმოებელთა ნამატს. ნავთობის მწარმოებლები უშუალოდ არ ასესხებდნენ განვითარებად ქვეყნებს, სამაგიეროდ მთელ თავიანთ ჭარბ მოგებას ნავთობიდან სესხად აძლევდნენ ინდუსტრიულ ქვეყნებს, რომელთა ბანკებიც თავის მხრივ ასესხებდნენ ამ თანხებს განვითარებად ქვეყნებს. რატომ იყო ეს საჭირო? ნავთობის ექსპორტიორებს არ უნდათ დაეშვათ ის რისკი, რომელიც დაკავშირებული იყო განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხების პირდაპირ მიცემასთან. არამედ ამჯობინებდნენ, შეეძინათ ინდუსტრიული ქვეყნების უსაფრთხო აქტივები. იმავედროულად, განვითარებული ქვეყნების ბანკებს ჰქონდათ დაბალი საპროცენტო განაკვეთი; ფაქტობრივად – უარყოფითი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შინ არსებული უარყოფითი რეალური საპროცენტო განაკვეთის გამო განვითარებული ქვეყნების ბანკებს სურდათ, გაესესხებინათ თანხები განვითარებადი ქვეყნების მსესხებლებზე, რომლებიც გადაუხდიდნენ ბანკების ადგილობრივ კლიენტებს უფრო მეტ განაკვეთს. განვითარებადი ქვეყნებისათვის კი ეს იყო უცხოურ სესხებზე არსებული დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთი, რაც ხტომელს აძლევდა მათ, ესესხათ სასღეარგარეთ.

ცხრილი 22-2 ნავთობის მთავარი ექსპორტიორების, სხვა განვითარებადი და ინდუსტრიული ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 1973-1974 წლებში (მლრდ დოლარებში)

წლები	ნავთობის მთავარი ექსპორტიორები	სხვა განვითარებადი ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები
1973	6.82	- 3.46	14.09
1974	65.17	- 21.77	- 21.37
1975	34.13	- 31.08	11.11
1976	31.15	- 17.87	- 8.57
1977	20.74	- 13.03	- 12.86
1978	- 4.53	- 21.20	20.33
1979	53.07	- 32.12	- 16.25
1980	92.84	- 53.21	- 45.81
1981	32.15	- 70.45	- 2.34
1982	- 17.86	- 60.07	- 26.72
1983	- 16.97	- 41.24	- 19.17
1984	- 5.23	- 27.77	- 56.61
1985	- 0.70	- 25.21	- 65.87
1986	- 36.84	- 10.09	- 34.27
1987	- 10.51	5.78	- 67.01
1988	- 29.10	4.21	- 57.01
1989	- 10.71	- 6.20	- 84.13
1990	1.13	- 12.73	- 110.10
1991	- 76.57	- 11.38	- 32.14
1992	- 46.92	- 20.19	- 43.21
1993	- 48.46	- 56.16	12.14
1994	- 47.37	- 58.84	7.79

ნავთობის მეორე შოკმა გამოიწვია ნავთობის მთავარი ექსპორტიორების მიმდინარე ანგარიშის ახალი ნამატი 1979 წელს; იმავედროულად, ამან გააუარესა სხვა ქვეყნების დეფიციტი. ნავთობის მწარმოებელთა მოგება კიდევ ერთხელ შესხად მიეცათ განვითარებად ქვეყნებს, მაგრამ მაშინ, როცა 1981 წლისათვის ინდუსტრიული ქვეყნები ახლოს იყვნენ მიმდინარე ანგარიშის ბალანსთან, ამ წელს ნავთობის არმქონე ქვეყნებმა ისესხეს 70 მლრდ დოლარზე მეტი, რათა დაეფინანსებინათ თავიანთი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. 1982 წლისათვის კი ნავთობის ექსპორტიორები უკვე თავად განიცდიდნენ დეფიციტს და აღარ აძლევდნენ ფონდებს სხვა განვითარებად ქვეყნებს დეფიციტის დასაფარავად. ამის შედეგად განვითარებადი ქვეყნების შევალეებს შეეძინათ სიმძულეები განვითარებადი ქვეყნების ბანკებიდან სესხების აღებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ვალების კრიზისამდე 1982 წლის მეორე ნახევარში.

1970-იანი წლების ბოლოს ვალების კრიზისის სიმკაცრე მკიდროდაა დაკავშირებული განვითარებადი ქვეყნებისათვის ბანკების მიერ კრედიტების მიცემის მთავარ ინსტიტუციურ მახასიათებელთან: ეს არის სესხის კონტრაქტების გამოყენება რეგულირებად საპროცენტო განაკვეთთან ერთად, რომელსაც *მცურავი კურსის მქონე სესხის კონტრაქტები* ეწოდება. ამ კონტრაქტის მიხედვით გამსესხებულს ნება უძლევა, შეცვალოს მსესხებლის გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი სესხზე, ბაზრის საპროცენტო განაკვეთის შეცვლასთან ერთად. მაგალითად, თქვენ სესხელობთ ბანკისაგან ყოველ 6 თვეში რეგულარულად აშშ-ს ხაზინის ობლიგაციებზე 5%-ით მეტი განაკვეთით, თუ ხაზინის ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი სესხის გამოტანის დროისათვის არის 5% წელიწადში. თქვენ იხდით 10%-იან საპროცენტო განაკვეთს სესხის პირველი 6 თვის განმავლობაში; მაგრამ თუ ხაზინის ობლიგაციის განაკვეთი გაიზარდა 9%-მდე პირველი 6 თვის განმავლობაში, თქვენ უნდა გადაიხადოთ 14%-იანი საპროცენტო განაკვეთი შემდეგ 6 თვეში.

მცურავი კურსის მქონე დოლარის სესხზე განვითარებადი ქვეყნებისათვის დაწესებული საპროცენტო განაკვეთი მიბმული იყო დონდონის *ინტერბანკის* მიერ შემოთავაზებულ განაკვეთზე. ეს ის საპროცენტო განაკვეთია, რომელსაც დონდონის კომერციული ბანკი აწესებს დოლარის ყოველ სესხზე.

ბანკები მხარს უჭერდნენ მცურავი კურსის მქონე კონტრაქტების გამოყენებას, რადგან რეგულირებადი საპროცენტო განაკვეთები იცავდა მათ იმისაგან, რომ არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ დაბად საპროცენტო განაკვეთიანი სესხებით იმ დროს, როცა მენაბრეებისათვის მათ მიერ გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი იზრდებოდა. 1970-იანი წლების ბოლოსათვის განვითარებადი ქვეყნების (კერძოდ ლათინური ამერიკის ქვეყნები) ვალების დიდი ნაწილი მცურავი საპროცენტო განაკვეთით ხორციელდებოდა. მცურავი კურსზე დაფუძნებულმა მისიმ პირთბუბანმა სესხებმა განვითარებად ქვეყნებს იმის საფრთხე შეუქმნა, რომ, თუ აშშ-ს საპროცენტო განაკვეთი გაიზრდებოდა, მათი მდგომარეობა გაუარესდებოდა ასეთი სრდა მთხდა 1970-იანი წლების ბოლოს

და მან თანამდევ მოვლენებთან ერთად გამოიწვია განვითარებადი ქვეყნების ვალების ფართო კრიზისი, რომელსაც მხოლოდ 1930-იანი წლების კრიზი შეედრებოდა.

1980-იანი წლების განვითარებადი ქვეყნების ვალების კრიზისი

1930-იანი წლების დიდი რეცესიის შემდეგ, 1981-1983 წლებში, მსოფლიო ეკონომიკა კვლავ რეცესიაში აღმოჩნდა და განვითარებადი ქვეყნებს კვლავ გაუძნელდათ უცხოურ ვალეზზე გადასახადის გადახდა - 1980-იანი წლების რეცესიამაც გამოიწვია განვითარებადი ქვეყნების ვალების კრიზისი.



კრიზისი

მე-19 თავში აღწერილია, 1978 წელს, როგორ მიიღო აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა მკაცრი ანტიინფლაციური მონეტარული პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის რეცესიას 1981 წელს. ჯერ კიდევ რეცესიამდე აშშ-ს მონეტარული პოლიტიკისკენ გადახრამ პირდაპირი არახელსაყრელი გაულენა მოახდინა განვითარებადი ქვეყნების რეალურ შემოსავალზე.

აღნიშნული პოლიტიკის არახელსაყრელი ეფექტი მოჰყვა ძირითადად ორ მთავარ წყაროს: აშშ-ს საპროცენტო განაკვეთებსა და დოლარის გაცვლით კურსს. ფედერალური ბანკის მონეტარულ ცვლილებებს მოჰყვა დოლარის საპროცენტო განაკვეთისა და დოლარის უცხოური ვალუტის ბაზრის ღირებულების მკვეთრი გაზრდა. ლონდონის ინტერბანკის მიერ შემოთავაზებული განაკვეთი, რომელსაც მიზნულია ბევრი განვითარებადი ქვეყნის სესხების საპროცენტო განაკვეთები, მკვეთრად გაიზარდა 1979 წელს (22-1a გრაფიკი). ამან უფრო გააძვირა ახალი სესხები და იმის გამო, რომ განვითარებადი ქვეყნების ვალეზი ძირითადად ევრდნობოდა მცოცავ საპროცენტო განაკვეთს, საპროცენტო გადასახადებმა წინა სესხებზეც მოიმატა. ასე რომ, განვითარებადი ქვეყნების უცხოური საპროცენტო განაკვეთები საგრძნობლად გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთი გამყარებული იყო დოლარით. რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყნის ვალეზი დენომინირებულია დოლარებში, დოლარის ღირებულებამ გაზარდა ვალეზის მომსახურების რეალური ღირებულება - უცხოელი კრედიტორებისათვის საპროცენტო გადასახადისა და ძირითადი თანხის შეღწევა. 22-3 ცხრილი გეისვენებს განვითარებადი ქვეყნების ვალეზის მომსახურების გადასახადს დოლარის ღირებულებით 1977-დან 1985 წლამდე. ამ ცხრილის განხილვისას გახსოვდეთ, რომ დოლარის გაძვირებამ 1980 წლის შემდეგ გამოიწვია ამ გადასახადების რეალური ღირებულების გაზრდა მათი დოლარით ღირებულებასთან შედარებით. ასე რომ, 1980 წლის შემდეგ დოლარით გადასახადების ზრდამ დააქნინა განვითარებადი ქვეყნების რეალური საპროცენტო ხარჯების მატება.

გრაფიკი 22-1 ლონდონის ინტერბანკის მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთი და განვითარებადი ქვეყნების არანათობ პროდუქტის საექსპორტო ფასები 1978-91 წლებში



საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუბის ტვირთის საწინააღმდეგო ცვლილებების მიმართ განვითარებადი ქვეყნების რეაქციამ კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი. 1978 წლის შემდეგ ნაყოფის არმქონე განვითარებადი ქვეყნების მიერ სესხების ზრდა (22-2 ცხრილი) გამოწვეული იყო არა მარტო ნაყოფის არმქონის შოკით, არამედ ვალუბის მომსახურების ხარჯების იმედროული ზრდით. განვითარებადი ქვეყნები განიხილავდნენ ამ საკითხებს, როგორც დროებითს, და იმედოვნებდნენ, რომ მათი შემოქმედება შემსუბუქდებოდა, თუ ისინი გააგრძელებდნენ კრედიტების აღებას საზღვარგარეთ და შეინარჩუნებდნენ ადგილობრივ მოთხოვნას მანამ, სანამ უკეთესი პირობები ვალუბის გადახდის საშუალებას არ მისცემდა მათ. ყოველივე ამის მიუხედავად, საპროცენტო განაკვეთი მალე არ დაუბრუნდა 1979 წლის წინა პერიოდის დონეს.

ცხრილი 22-3 განვითარებადი ქვეყნების ვალუბის მომსახურების გადასახადი 1977-1985 წლებში (მლრდ დოლარებით)

1977	1978	1979	1980	1981	1982	1983	1984	1985
39.5	57.2	83.8	102.6	124.1	135.9	132.5	124.0	129.0

როცა 1981 წელს მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში ჩავარდა, განვითარებადი ქვეყნები კქონდათ საგარეო ვალუბის უპრეცედენტო ხარჯები. აშშ-ს საპროცენტო განაკვეთმა პიკს მიაღწია, რამაც გავლენა მოახდინა არა მარტო ახალი სესხების, არამედ ძველი მცოცავეურსიანი ვალუბის გადახდაზეც (გრაფიკი 22-1a). მომდევნო წლებში უკვე გადიოდა ბევრი მოკლევადიანი სესხის ვადა და ქვეყნების წინაშე დგებოდა არჩევანი: დაეფარათ ეს სესხები, თუ ხელახლა დაეფინანსებინათ ისინი უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით. როგორც 22-2 ცხრილი გვიჩვენებს, ნაყოფის ექსპორტიორების მიმდინარე ანგარიშსწორების აქტიური სადლო როგორც გადაიქცა დეფიციტად 1981 და 1982 წლებში. ასე რომ, „პეტროდოლარების“ (ნაყოფიდან მიღებული დოლარები) მარაგი, რაც აყინანსებდა განვითარებადი ქვეყნების სესხებს ადრეულ წლებში, გაუჩინარდა. ინდუსტრიულ ქვეყნების კომერციული ბანკები, როდესაც ადგილობრივმა ინფლაციამ კლება დაიწყო (იხ. ცხრილი 19-4), მიხვდნენ, რომ ისინი მეტ მოგებას ნახავდნენ თაყიანთი თანხების შინ გასესხებით. ამის შედეგად განვითარებადი ქვეყნების მოვალეებს ძალიან გაუჭირდათ იმ ბანკებიდან კრედიტების აღება, რომლებიც ადრე მსად იყვნენ, დაეფინანსებინათ მათი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო მასშტაბის რეცესიის დროს

1981-1983 წლების განვითარების ტემპის შენელებამ ინდუსტრიულ ქვეყნებში ორგვარი გავლენა მოახდინა განვითარებადი ქვეყნების შემოსავალზე: პირველი, როცა ინდუსტრიულ ქვეყნებში განვითარება შენედა, განვითარებადი ქვეყნებში ექსპორტზე მოთხოვნამ იკლო. ერთობლივი მოთხოვნის ამ კლებაში შეამცირა გამოშვების ზრდის ტემპი განვითარებადი ქვეყნებში. მეორე, განვითარებადი ქვეყნების ექსპორტზე მოთხოვნის შემცირებამ გამოიწვია მათი ფასების კლებაც. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბევრი განვითარებადი ქვეყანა დამოკიდებული იყო სოფლის-მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ექსპორტზე, რომელთა ფასები მგრძობიარეა მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიმართ. განვითარებადი ქვეყნების რეალური შემოსავლები შემცირდა არა მარტო იმიტომ, რომ გამოშვების ზრდამ იკლო, არამედ იმიტომ, რომ მათი საექსპორტო საქონლის ფასები შემცირდა იმპორტის ფასებთან შედარებით. უარყოფითი ფაქტორი იყო აგრეთვე მზარდი პროტექციონიზმის სეწოლა ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, რამაც გააძნელა გაყიდვები განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

მსოფლიო რეცესიის გავლენა პირველადი (არანაყოფი) საქონლის ფასებზე (დოლარებით) შევიძლიათ იხილოთ 22-16 გრაფიკში. 1960-იანი წლებიდან 1980 წლამდე სტაბილური განვითარების შემდეგ საქონლის ფასებმა მკვეთრად იკლო 1981 და 1982 წლებში. ფასების ეს კლება მოლიანად არ იყო გამოწვეული მსოფლიო მასშტაბით ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით. დოლარის ღირებულების შემცირებამაც თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქონლის დოლარით გამოხატულ ფასებზე.

22-4 ცხრილი გვჩვენებს არსებული გამოშვების ზრდის ტემპს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის და ინდუსტრიული ქვეყნების ზრდის მნიშვნელოვან კლებას 1980-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ეკ-მის ზრდა რეალურად 1982 წელს უარყოფითი იყო.

აზიაში – სამხრეთ კორეასა და ტაივანში რეცესიამ ზრდაზე ნაკლები გავლენა მოახდინა. ამ ქვეყნებიდან ბევრში (გარდა ფილიპინებისა) ვალუბის შედარებით ნაკლები დონეები აღინიშნა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეთარღებოდა ექსპორტის სექტორს.

აფრიკის ქვეყნებისა და დასავლეთი ნახევარსფეროს მდგომარეობა 1970-იანი წლების დონეზე დაბლა დარჩა. განსაკუთრებით დასარაღდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომელთა გამოშვების ზრდის ტემპი მხოლოდ 0.3% იყო 1981 წელს და უარყოფითი 0.8% – 1982 წელს.

(ქართული 22-4 გამოშვების სრული ტექსტი განვითარების და შექმნილი კვანძების საშუალოდ 1971-1980 წლებში და 1981-1994 წლებში (წლიური პროცენტი))

წლები ქვეყნის მიხედვით	1971-1980	1981	1982	1983	1984	1985	1986	1987	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994
განვითარებული ქვეყნები	3.2	1.5	- 0.3	2.8	4.5	3.3	2.8	3.2	4.4	3.3	2.4	0.8	1.5	1.1	3.1
განვითარებადი ქვეყნები	5.5	1.9	2.2	2.2	4.5	4.4	3.8	5.7	5.2	4.2	4.0	4.9	5.9	6.1	6.2
აფრიკა	3.8	1.9	2.5	-0.9	1.4	4.1	1.7	1.6	3.6	3.4	2.1	1.7	0.7	0.8	2.6
აზია	5.3	5.9	5.4	7.8	8.4	6.7	6.7	8.1	9.1	6.0	5.7	6.4	8.2	8.7	8.5
დას. ნახევარსფერო	5.9	0.3	-0.8	-2.7	3.6	3.4	4.3	3.4	1.1	1.6	0.6	3.5	2.7	3.3	4.6

პრიზისის ღასაწყისი

1982 წლის აგვისტოში მექსიკამ უცხოურ ფინანსურ წარმომადგენლებს შეატყობინა, რომ მის ცენტრალურ ბანკს ამოეწურა რეზერვები და აღარ შეეძლია თავის უცხოურ ვალდებულ გრაფიკით გათვალისწინებული გადასახადების გადახდა. ამ ვალმა, რომელიც 80 მლრდ დოლარს შეადგენდა, მექსიკა გახადა მსოფლიოში ყველაზე დიდი მეკალე (ბრაზილიის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებს შორის). მექსიკამ მოითხოვა სესხი უცხოეთის მთავრობებისა და ცენტრალური ბანკებისაგან, კომერციული ბანკებისათვის ძირითად თანხასე პროცენტის გადასახადის გადავადება და იმ ვალის მთავარი თანხის გადავადება, რომლის გადახდის ვალაც რამდენიმე თვეში გადაიდა. იმავდროულად, მექსიკის ოფიციალურმა პირებმა მიმართეს საერთაშორისო ხაველტო ფონდს სესხებისა და მის მიერ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმის დაფინანსების მოთხოვნით.

იმ დროს, როცა მექსიკამ დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკებები ვალდებთან დაკავშირებით, სხვა მეკალეებმა ლათინურ ამერიკაში, მაგალითად, ბრაზილიამ (88 მლრდ დოლარი ვალი) და არგენტინამ (40 მლრდ დოლარი ვალი) ნათვალეს, რომ ეერ შეძლებდნენ დამატებითი უცხოური სესხების მიღებას. ბანკებმა შეამჩნიეს, რომ ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში ერთნაირი მდგომარეობა იყო და რომ მექსიკის მაგალითს სხეებიც მობაძავდნენ, როგორც ეს 1930-იან წლებში მოხდა და შეწყვეტდნენ ვალდების გადახდას. 1986 წლის ბოლოსათვის ლათინური ამერიკის, აფრიკისა და სხვა 40-ზე მეტ ქვეყანას ჰქონდა საგარეო ფინანსური პრობლემები. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა (გარდა ფილიპინებისა) შეინარჩუნეს სრლის მაღალი ტემპი რეცესიის პერიოდში და თავიდან აიცილეს ვალდების გადავადება (იხ. 22-4 ცხრილი).

აფრიკის ქვეყნების ვალდების უმეტესობა ეკუთვნოდა ოფიციალურ სააგენტოებსა და მთავრობებს. პარიზის კლუბმა უსრუენეულყო ფორუმი აფრიკის ვალდების საკითხის გადასაწყვეტად. კომერციული ბანკებისათვის ლათინური ამერიკის ვალდების გადავადების სისტემა ჯერ არ არსებობდა. ასობით ბანკს მსოფლიოში ჰქონდა პრეტენსია ლათინური ამერიკის მიმართ, ამერიკულ გიგანტებს, როგორიცაა სითიკორპი და ამერიკის ბანკი, დაბანდებულნი ჰქონდათ თავინთი სესხების პორტფელის დიდი ნაწილი ამ რეგიონში. ლათინური ამერიკის ვალდების გადაუხდელობა ემუქრებოდა მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ნართულ დიდი ბანკებისა და რამდენიმე პატარა ბანკის სიცოცხლისუნარიანობას. ფედერალური და ცენტრალური ბანკები თვლიდნენ, რომ ერთი ქვეყნის მიერ ვალდების გადაუხდელობის თავიდან აცილების ამოცანა გადაამწყვეტი იყო, მაგალითად, ბრაზილიის ვალდების გადახდის შენერება გამოიწყვედა ბანკების გაკოტრების ჯაჭვიერ რეაქციას. არავის უნდოდა საბანკო კრიზისის გამოწყვეა დიდი ღებრესიის დასაწყისში.

ვალდების პრიზისის მობვარება

1982 წლის ბოლოსათვის ინდეტრიული ქვეყნების ინდივიდუალურ ბანკებს უნდოდათ, არამართო თავიდან აეცილებინათ განვითარებადი ქვეყნებისთვის დამატებითი სესხების მიცემა, არამედ შეემცირებინათ ამ ქვეყნების დეპოზიტების პასივები. ცალკეულ ბანკს შეუძლია, შეამციროს განვითარებადი ქვეყნის სესხების დეპოზიტები იმით, რომ უარი თქვას არსებული სესხების განახლებაზე ან მათ მოლიანად გაიღუას; ერთდროულად ყველა ბანკს შეუძლია ასე მოიქცეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განვითარებადი ქვეყნები სწრაფად მიღწევენ მიმდინარე ანგარიშის იმხელა სიჭარბეს, რომ მან მნიშვნელოვნად შეამციროს მათი ერთობლივი საბანკო ვალი. განვითარებადი ქვეყნებს ჰქონდათ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 1982 წელს და ამჯობინებდნენ, უარი ეთქვათ ვალდების გადახდაზე, ეიდრე შეეღოთ მათთვის პოლიტიკურად მიუღებელი ფისკალური ღონისძიებები, რომელიც საჭირო გახდებოდა ბანკების მიერ მოთხოვნილი გადახდების საწარმოებლად.

1982 წლის ვალდების პანიკამ წამოჭრა იმის მსგავსი პრობლემა, როგორც ღება ხოლმე ინდივიდუალური მეანბრეების წინაშე, როცა ისინი ცდილობენ გამოიტანონ ანაბრები ბანკებიდან გაკოტრებამდე (თავი 21). თითოეული ცალკეული მეანბრე თელის, რომ ბანკიდან ფულის გამოტანა მის ინტერესებში შედის მაშინაც კი, თუ ყველა მეანბრის ასეთი ერთობლივი მოქმედების შედეგად ბანკები იხურება და ვიღაც სხვებს ხელი ეშღებათ თავიანთი ფულის გამოტანაში. ასევე ინდივიდუალურმა ბანკებმა, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, კოლექტიურად გარისკეს და არ შეასრულეს მოვალეობები, რამაც ყველა მხარის მდგომარეობა გააუარესა.

ცენტრალური ბანკების მიერ ანაბრების დასღვევამ და უკანასკნელმა გამსხსებელმა გამოიწვია პანიკა ადგილობრივ საბანკო სისტემაში, მაგრამ არც ერთმა შესაბამისმა ინსტიტუტმა მხარი არ დაუჭირა დამოუკიდებელი მეკალეების ვალდებულებებს. საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელების წინაშე იღვა ამოცანა: როგორღაც გაეცათ ახალი კრედიტები ვალდებულებების შეესრულებლობის დაუყოვნებლივ შესახერებლად.

როცა მექსიკის კრიზისი დაიწყო, მექსიკამ და აშშ-მ მოაწყეს შეხვედრა მექსიკის ფინანსური წრეებსა და იმ უამრავი ბანკის წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც ჰქონდათ მოთხოვნები ამ ქვეყნის მიმართ. დაარსდა უდიდესი ბანკების საბანკო-საკონსულტაციო კომიტეტი, რათა წარმოედგინა ყველა ბანკი და მოლაპარაკებების საჩქის კერსში მყოფოდა ისინი. საკონსულტაციო კომიტეტის ეს სისტემა გადაიქცა ვალდებთან დაკავშირებულ

იმ უამრავი პრობლემის მოგვარების მოცულობა, რომელიც წარმოიშვა მექსიკის პრობლემის შემდეგ. საკონსულტაციო კომიტეტის მიზანი იყო, დახმარებოდა კრედიტების გაცემის გაგრძელების კოორდინირებას. ბანკებს იმდენად ბევრი ჰქონდათ გასუსხებული, რომ სესხების გაცემის შეწყვეტა დაუყოვნებლივ გამოიწვევდა დავალიანების გადაუხდელობას. ამიტომ დიდმა ბანკებმა განვითარებული ქვეყნების მთავრობებთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად გასცეს ახალი კრედიტები და დაიყოლიეს მცირე ბანკებიც, მათთვის მიუბაძათ.

ბანკების მიერ კრედიტების გაცემა ასეთ გარემოებებში ცნობილია *შეთანხმებული კრედიტის* სახელით, რაც ბევრ შემთხვევაში არანებაყოფლობით იყო! შეთანხმებული კრედიტის თანახმად, ბანკები ვალდებული არიან ვალდების კრიზისის დასაწყისშივე, დაეხმარონ ახალ ფონდებს თავიანთ სესხების პროპორციულად. განვითარებადი ქვეყნებისათვის გახანგრძლივებულმა საბანკო სესხებმა ახალი ფორმა მიიღო: რესტრუქტურისაცია და გაფართოება. რესტრუქტურისაცია არის ვალდების დაფარვისათვის საჭირო ახალი დაფინანსება: თავნის გადასახადის ვადა გადაიწევეს, მაგრამ მათ დაეკისრება დამატებითი პროცენტი, ასე რომ, მოკლევადიანი ვალები იცვლება გრძელვადიანი ვალებით. მაგრამ თუ გამსესხებლები გადაავადებენ ვალების ძირითად თანხას, მევალის წმინდა უცხოური პასივები ეერ გაიზრდება. ამდენად მისი მიმდინარე ანგარიში უნდა გაწონასწორდეს ან გადაჭარბებულ იქნას და წმინდა რესურსები, რომელსაც ის გადასცემს კრედიტორს (აქტიური სავაჭრო ბალანსის საღაღო), უნდა უდრიდეს ან აჭარბებდეს მთლიან საპროცენტო თამასუქს მის ვალზე. პირველად ბანკები უსრუნველყოფდნენ დამატებით სესხებს, რათა დაეფინანსებინათ მევალების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ბანკები უხალისოდ აგრძელებდნენ კრედიტების გაცემას, მაგრამ ვალების კრიზისი მაინც გრძელდებოდა.

პოლიტიკის შემქმნელები იმედოვნებდნენ, რომ პოლიტიკის კარგი რეგულირება და ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდა ხელს შეუწყობდა კაპიტალის ნებაყოფლობით დინებას განვითარებადი ქვეყნებისაკენ. შეთანხმებული კრედიტი გამიზნული იყო როგორც დროის მოგების მიზნით განხორციელებული ღონისძიება იმ დროს, როცა ბანკებმა შეწყვიტეს განვითარებადი ქვეყნების მიმართ საყვედურები და როდესაც განვითარებადმა ქვეყნებმა შეამცირეს თავიანთი ვალისა და გამოშვების შეფარდება. ოფიციალურ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ ბოლოს და ბოლოს მოვალეები შეძლებდნენ და სურვილიც ექნებოდათ გადაეხადათ კრედიტორებისათვის მთლიანად. მაგრამ ეს იმედი დიდხანს არ მართლდებოდა.

ბრედის გეგმა ვალებთან დაკავშირებული გამუდმებული პრობლემების გამო აშშ-მ 1989 წლის მარტში წამოიწყო გაბედული ღონისძიება – ბრედის გეგმა. ეს სახელი მას ეწოდა აშშ-ს ხაზინის მდივნის ნიკოლას ბრედის გამო. გეგმა აღიარებდა, რომ ვალების მთლიანი გადახდა არაგონივრული იყო. გეგმა სეწოლას ახდენდა ბანკებზე, რათა ისინი დათანხმებოდნენ ვალების შემსუბუქებას და მოეწოდა, გაეფართოებინათ გამიზნული ვალების შესამცირებლად მეორადი საბაზრო გარიგებები, როგორცაა მევალის მიერ თავისი საკუთარი ვალების უკან შესყიდვა ძალიან დაბალ ფასად.

ბრედის გეგმა სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა:

1. კომერციულ ბანკებს უნდა „ემუშავათ მოვალე ქვეყნებთან, რათა გამოეჩახათ ფინანსური დახმარებისათვის საჭირო ვარიანტები, მიეღწიათ ვალებისა და მათი მომსახურების შემცირებისათვის და უსრუნველყოთ ახალი კრედიტები“. სინდიკატური შეთანხმება, რომელიც მართაქდა მოვალე ქვეყნისათვის კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაცემას, შეიცავდა „განაწილებას“ და „უარყოფითი გირაოს“ პირობას, რაც ხელს შეუშლიდა სინდიკატის ინდივიდუალურ წევრებს, ეწარმოებინათ ურთიერთხელსაყრელი ფინანსური გარიგებები მევალებსთან. ბრედი მოითხოვდა პირობებიდან დროებით გადახვევას, რათა მევალებსა და ინდივიდუალურ ბანკებს ვალების საკითხის მოგვარების საშუალება ჰქონოდათ.
2. საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს უნდა უსრუნველყოთ ფონდები „ვალების ან მათი მომსახურების შემცირების მიზნით“. სინამდვილეში, საერთაშორისო ინსტიტუტებს უნდა გაეცათ გარანტია არსებული ვალის სანაცვლოდ მევალის მიერ გამოცემულ ობლიგაციებზე ან უსრუნველყოთ სესხები. „რათა შეევესოთ (მევალის) რეზერვები, რომელიც მოჰყვებოდა მეორად ბაზარზე ვალების ნაღდი ფულით გამოსყიდვას“.
3. საერთაშორისო სავალუტო ფონდს უნდა განესაზღვრა მევალებისათვის მისი საკუთარი გადახდების გადავადების პრაქტიკა იჭამდე, ვიდრე კომერციული ბანკის კრედიტორები შეთანხმებოდნენ თავიანთი გასუსხებების ვალდებულებებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანი იყო, დაეძლია ბაზრის კოორდინაციის პრობლემები და დაეთანხმებინა ბანკები შეთანხმებულ გასუსხებაზე. მაგრამ 1989 წლისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადავადებები გადაიქცა საჯილდო ქყად, რომელსაც ბანკები იყენებდნენ მევალების მიმართ.

ბრედის გეგმას ჰქონდა ის ნიშნები, რომლითაც შესაძლებელი იყო ბანკების, როგორც მოლაპარაკების ჯგუფის, ერთიანობის შემცირება. მან მოქავე კამათი გამოიწვია მევალებთან დაკავშირებულ აშშ-ს მთავრობის პოლიტიკაში. რამ ითქვლა აშშ. მკაცრად მოქცეულა ბანკებს? ეველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ვალების კრიზისი ძირს უთხრიდა პოლიტიკურ სატაბილურობას ღათინურ ამერიკაში. ბანკებმა საკმაოდ გაამაგრეს თავიანთი საბალანსო ანგარიშები წინა 7 წლის განმავლობაში ისე, რომ განვითარებადი ქვეყნების ვალებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დანაკარგები ვედარ დაემქარებოდა მსოფლიოს ფინანსურ სტაბილურობას, როგორც ეს 1982 წელს მოხდა.

ბრედის გეგმის ავტორებს სჯეროდათ, რომ არაპირდაპირი მოლაპარაკებები მევალებსა და ინდივიდუალურ ბანკებს შორის, ხელს შეუწყობდა ვალების „ნებაყოფლობით“ შემცირების პროცესს, რასაც შეუძლო განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ეკონომიკური ზრდა. აშშ-მ აღნიშნა, რომ ეს გეგმა არ იქნებოდა ბანკების კოლექტიური სააგენტო: ისინი ახლა იმოქმედებდნენ თავიანთი სურვილისამებრ მოვალეებთან ურთიერთშეთანხმების მისაღწევად.

მექსიკა იყო ბრედის გეგმის პირველი საცდელი ქვეყანა, რომელმაც მიმართა თავისი კომერციული ბანკის კრედიტორს, შეემცირებინა ვალი. ამის საპასუხოდ, 1990 წლის თებერვალში მექსიკის ვალის ნომინალური ღირებულება 12%-მდე შემცირდა.

ცხრილი 22-5 ბრედის გეგმის პირველი ექვსი ღონისძიების გავლენა ვალებზე

	მექსიკა	ფილიპინები	კოსტა რიკა	ვენესუელა	ურუგვაი	ნიგერია
წმინდა ვალის ეფექტური შემცირება (როგორც სახ. სექტორის ვალის % ბანკისადმი)	11.9	4.7	47.1	9.9	18.8	100.0

მექსიკა, როგორც სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი აშშ-სათვის, წარმოადგენდა „მოდელს“, რომელიც აკამაყოფილებდა აშშ-ს გეგმებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და წინ მიდიოდა ეკონომიკურ რეფორმებში მთავრობის როლის შემცირების გზით. ერთ წელიწადში კომერციული ბანკების მიერ ვალების შემცირების ხელშეკრულებები განიხილეს ფილიპინებში, კოსტა-რიკაში, ვენესუელაში, ურუგვაიში და ნიგერიაში (22-5 ცხრილი გვიჩვენებს ვალების ეფექტურად შემცირების შეფასებებს საერთაშორისო საეკონომიკურ ფონდის მიერ). როდესაც არგენტინამ და ბრაზილიამ 1992 წელს მიაღწიეს თავიანთ კრედიტორებთან ვალების შემსუბუქებაზე წინასწარ შეთანხმებას, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ვალების კრიზისს ბოლო მოეღო.

კაპიტალის განახლებული შედინებები

1990-იანი წლების დასაწყისში ადგილი ჰქონდა კერძო კაპიტალის დინებების განახლებას იმ ქვეყნებში, რომლებსაც დიდი ვალები ჰქონდათ. როგორც 22-2 ცხრილი გვჩვენებს, განვითარებადი ქვეყნების უცხოური სესხების მკვეთრად გაფართოება შესაძლებელი გახდა 1993-1994 წლებში. როგორც 22-5 ცხრილიდან ჩანს, ვალების შემსუბუქების შესახებ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი ყველაზე მეტად შეეხო კოსტა-რიკასა და ნიგერიას. მიხედვით იმისა, რომ ბრედის გეგმამ უკვე გაუფანტა ინვესტორებს, მისი რაოდენობრივი ეფექტი ერთობ მცირე იყო და არ შეუძლო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა დიდი ვალის მქონე ქვეყნების კრედიტუნარიანობა.

უფრო მნიშვნელოვანი იყო აშშ-ში საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი შემცირება 1990 წლის შემდეგ (22-1a გრაფიკი), რომელმაც შეამცირა მევალეთა საპროცენტო ზედნაღები ხარჯები და სტიმული მისცა ამერიკის კაპიტალს, ეძებნა უფრო მაღალი მოგებები განვითარებადი ქვეყნებში.

ამასთანავე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო დერეგულაციისაკენ, პრივატიზაციისაკენ, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ინფლაციის სტაბილიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები ზოგიერთ განვითარებადი ქვეყანაში. ლათინური ამერიკის ქვეყნები (ბრაზილია, მექსიკა, ჩილე, არგენტინა, პერუ, კოლუმბია) გარდაქმნის პროცესში არიან. 1987 წელს მექსიკამ აიღო თავისუფალი ვაჭრობის ვალდებულებები, შევიდა „გატრ ში“ (ტენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე) და 1994 წელს შეეერთდა ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში გაერთიანებულ აშშ-სა და კანადას.

კაპიტალის შედინება ლათინურ ამერიკასა და განვითარებადი ქვეყნებში შეფერხდა 1994-1995 წლებში, როცა აშშ-ს საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებში დაძაბულობის ნიშნები გამოიწვია. მსოფლიო კაპიტალის ბაზრებზე შედარებით ამაღლებულობისა და მნიშვნელობის გაგება მოითხოვს განვითარებადი ქვეყნებში ინფლაციის სტაბილიზაციის უფრო ახლო გაცნობას.

განვითარებადი ქვეყნებში ინფლაციის რაბულირების მცდელობა

როგორც აღრე აღნიშნეთ, განვითარებადი ქვეყნები არ გადავიდნენ მცოცავ გაცივლით კერსზე, როგორც ეს განვითარებულმა ქვეყნებმა გააკეთეს 1973 წელს. ხშირად განვითარებადი ქვეყნების მთავრობები აუფასურებდნენ

საკუთარ ვალუტას, რათა შეეფერხებინათ ვალუტის რეალური კურსის ზრდა, რასაც სხვა შემთხვევაში ადგილობრივი ინფლაცია გამოიწვევდა.



როდესაც ჩამოერთვათ მომსახურების წესის უფლება, რომელიც უსრულებელი ბრეტონ ვუდსის სისტემის ფიქსირებულმა სავალუტო კურსმა (იხ. თავი 19), განითარებადი ქვეყნები მთელ მსოფლიოში ქრონიკულმა ინფლაციამ მოიცვა, რადგანაც ისინი აფინანსებდნენ თავიანთ სამთავრობო ბიუჯეტის მზარდ დეფიციტს ფულის მოჭრის უფლებაზე გადასახადის მეშვეობით. ინფლაცია განსაკუთრებით გაიზარდა ლათინურ ამერიკაში. ხშირად არასწორ ეკონომიკურ გადაადგილებას მოსდევდა სამხედრო დიქტატურა.

ლათინური ამერიკის ტაბლიტასი 1970-იანი წლების ბოლოს



1978 წელს ჩილე, ურუგვაი და არგენტინა გადავიდნენ სავალუტო კურსის ახალ სტრატეგიაზე ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ესპანურად ასეთ მიდგომას ეწოდებოდა **ტაბლიტასი**: წინასწარ გამოცხადებული „პატარა ცხრილი“, რომელიც გეინვენებს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას აშშ დოლართან მიმართებაში. ტაბლიტა იყო მცურავი მიზმი, სადაც მცურავი გაუფასურება დოლართან მიმართებაში დროდადრო უნდა მომხდარიყო და გამოეწვია ინფლაცია. ტაბლიტას მთავარი მოტივაცია იგივე იყო, რაც „ეკროპის სავალუტო სისტემის აღბათობის თეორია“ (თავი 20). ადგილობრივი ვალუტის მიზმი სტაბილურ უცხოურ ვალუტასთან შეამცირებდა ინფლაციის ტენდენციას პოლიტიკაში, მაგრამ პირდაპირ შეამცირებდა ინფლაციას სავაჭრო საქონელზე ფასების ზრდის შეზღუდვით. სამივე ქვეყანამ ერთდროულად განახორციელა სავაჭრო რეფორმა, მეტი თავისუფლება მისცა ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, რითაც გ'სა გაეხსნა თავიანთ ეკონომიკაში კერძო კაპიტალის შეღწევის.

ინფლაცია არ მიჰყვა ტაბლიტის გაჯანსაღების დადგენილ ტემპს. მაგალითად, ჩილეში ინფლაცია კვლავ 2,5% იყო თვეში და ქვეყანამ დააფიქსირა ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 1979 წლის ივნისში. რადგან სამივე ქვეყანაში ადგილობრივი ინფლაცია მეტი იყო, ვიდრე აშშ-ში და მათი ვალუტები უფასურდებოდა გაცილებით ნელა, ვიდრე სხვაობა, არგენტინამ, ჩილემ და ურუგვაიმ განიცადეს ვალუტის რევალვაცია. მიმდინარე ანგარიშის მზარდი დეფიციტი 1978-80 წლებში ტაბლიტის ექსპერიმენტის დროს (არგენტინისა და ჩილეს მონაცემები ნაჩვენებია 22-2 გრაფიკის (ა) და (ბ) ნაწილებში, სადაც მარცხენა ღერძის ასწვრივ აღნიშნულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოძრაობა და მარჯვენა ღერძის გასწვრივ – ადგილობრივი ვალუტის რეალური რევალვაცია აშშ დოლართან მიმართებაში).

22-2 გრაფიკი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ვალუტის რევალვაცია სტაბილიზაციისაკენ მიმავალ ოთხ ქვეყანაში 1976-1993 წლებში



ქვეყნებმა, რომლებიც ეცადნენ სტაბილური გაეხადათ ინფლაცია ნომინალური ვალუტის კურსის მიზნით, გამოსცადეს რეალური ვალუტის კურსის მკვეთრი მერყეობა, რომელიც დაკავშირებული იყო მიმდინარე ანგარიშის ბალანსის ცვლილებებთან.



--- მიმდინარე ანგარიში
— რეალური ვალუტის კურსი

1981-1982 წლებში, როდესაც ინდუსტრიულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალი იყო, ვალუტის გაზრდილი კურსი და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტების შენარჩუნება ლათინური ამერიკის „სამხრეთ ნაწილში“ შეუძლებელი გახდა. ინფლაციის სტაბილიზაციის სამივე პროგრამამ კრახი განიცადა გაცვლით კურსსა და ახლად წარმოშობილ ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებსე სპეკულატიური შერევის შედეგად. ქრონიკული ინფლაცია ახალი ძალით დაუბრუნდა განვითარებად ქვეყნებს კრიზისის დაწყებისთანავე.

ქვეყნებმა, რომლებიც ცდილობდნენ ინფლაციის სტაბილიზაციას მინიმალური გაცვლითი კურსის უზრუნველყოფით, განიცადეს ვალუტის რეალური კურსის მკვეთრი მერყეობა, რაც გამოწვეული იყო მიმდინარე ანგარიშის ბაზანსში მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

არაორთოდოქსული სტაბილიზაცია ორთოდოქსული სტაბილიზაციის წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც განვითარებული ქვეყნების კრედიტების დინება ამოიწერა, 'სოგიერთი სესხის ამღები ქვეყანა ინფლაციის მაღალი ტემპიდან მიპერინფლაციაში გადავიდა. ინფლაციის ორი სახის ინტერპრეტაციამ მის შესანერებლად წარმოშვა ორი სახის რეცეპტი: ეკონომისტების „ორთოდოქსული“ სკოლა ამტკიცებდა, რომ ინფლაცია მოდიოდა ფულის მოჭრის უფლების გადასახადიდან, რომელსაც მთავრობები იყენებდნენ, რათა აენახლაურებინათ უცხოური კრედიტების შემცირება ვალების კრიზისის დროს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათი აზრით, საჭირო იყო გადასახადების გაზრდა და სახელმწიფო ხარჯების შემცირება. ამით შეწყდებოდა ბიუჯეტის დეფიციტი და მათ დასაფინანსებლად საჭირო ფულის გადაჭარბებული სრდა. ფაქტობრივად ინფლაციის მჭონე ეკონომიკაში გადასახადიდან შემოსავალი დაეცა, რადგან გადამხდელები გადახდის ვადას გადასწყვიდნენ იმ იმედით, რომ მათი ნომინალური გადასახადის თამასუქების რეალური ღირებულება შემცირდებოდა. ამ გადავადებებმა მხოლოდ გააუარესეს სამთავრობო დეფიციტი და ორთოდოქსული სკოლის თვალსაზრისით გამოიწვიეს ინფლაციის სრდა. ორთოდოქსმა ეკონომისტებმა აღმოაჩინეს, რომ სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მცდელობა ჩავარდნის „აქილესის ქუსლი“ იყო არგენტინასა და ურუგვაიში.

„არაორთოდოქსების“ ოპოზიციური სკოლის ეკონომისტები ფასებისა და ხელფასების დაწესების „ინერციას“ მთავარ დამნაშავედ თვლიან. ფასის დონესთან ხელფასების ინდექსაცია და სწრაფი ინფლაციის მოლოდინი მათ ჩათვალეს ამ ინერციის მთავარ მიზეზად. ყველა დასახელებული ეკონომისტი არ უარყოფდა სამთავრობო ბიუჯეტის დაბალანსების მნიშვნელობას, მაგრამ ყველა აღიარებდა, რომ თვით ფისკალური სამართლიანობა არ იქნებოდა საკმარისი ინფლაციის შესანერებლად. მხოლოდ ძლიერი კონტროლი ხელფასებსა და ნომინალურ ფასებსზე შეძლებდა, შეეცვალა მოლოდინი და ინფლაციის შინაგანი მამოძრავებელი ძალა.

რომელი სკოლა იყო მართალი? 1980-იანი წლები ცნობილია ურუნული ეკონომიკური კრიზისებით, სადაც ორივე მიდგომა იქნა გამოცდილი.

ბოლივია, სადაც არ იყო ხელფასების სუსტი ინდექსაცია, მიპერინფლაციაში მოექცა 1985 წელს, როცა ახლადარჩეულმა მთავრობამ შემოიღო ორთოდოქსული სტაბილიზაციის პროგრამა, რომელმაც ბოლო მოუღო ფასების კონტროლის არსებულ სისტემებს და შეამცირა სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი. მთლიანი საგადახდელო შემოსავლები 1985 წლის მესამე კვარტალის გამოშვების 1.6-დან 113% -მდე გაიზარდა ბოლო კვარტალში. ინფლაციის შედეგები საკვალალო იყო: იგი 1985 წელს წლიური 8170%-დან 1986 წელს გახდა 66% და მხოლოდ 11% – 1987 წელს. 1980-იანი წლების ბოლოსათვის ინფლაცია წელიწადში დაახლოებით 15 % იყო.

იმ დროს, როცა ბოლივიის პროგრამა ინფლაციის შეკავებას წარმატებით ახორციელებდა, საკმარის წარუმატებელი იყო, სწრაფად აღედგინა რეალური ეკონომიკური სრდა. ბოლივიის ორთოდოქსული პროგრამის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ იგი მეტად არსად შეანერებდა ინფლაციას ლათინურ ამერიკაში.

არგენტინამ შემოიღო არაორთოდოქსული ანტიინფლაციური პროგრამა 1985 წლის ივნისში, რაც ძირითადად ეხებოდა ვალუტის რეფორმას. არგენტინის ვალუტა – პესო შეიცვალა აესტრალით. სტაბილიზაციის გეგმის მთავარ ელემენტებს შორის იყო ხელფასი, ფასის კონტროლი და შემოსავლის გაძსრდელი ფისკალური რეფორმა. პირველად გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა, რადგან არგენტინის წლიური ინფლაციის ტემპი 385%-დან 1985 წელს 82%-მდე დაეცა 1986 წელს.

არგენტინის სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი გაფართოვდა 1987 წელს. იმავე წელს ინფლაცია ისევ 175% გახდა. შემდგომში განხორციელებულმა რეფორმებმა კარგი შედეგები ვერ გამოიღო, არგენტინა მიპერინფლაციაში აღმონდა: მხოლოდ 1989 წლის ივლისში ქვეყნის ფასების დონე 197%-ით გაიზარდა. ამ თვეშივე მოხდა პრესიდენტ კარლოს მენემის ინაგურაცია მას შემდეგ, რაც მოაწყო ქენის გამოსულები, და არგენტინის ანახლაურების სისტემა საბოლოოდ დაიშალა.

ბოლოს არგენტინა მიუბრუნდა ორთოდოქსულ დონისიძებებს, რათა ბოლო მოეღო მიპერინფლაციისათვის. 1991 წლის იანვარში პრესიდენტმა მენემმა დანიშნა ეკონომიკის ახლი მინისტრი – დომინგო კავალო.

რომელმაც განახორციელა ფართო საბიუჯეტო, სავაჭრო და მონეტარული რეფორმა. „კავალის გეგმით“, იმპორტის ტარიფებმა დარტყმა მიიღეს. სახელმწიფოს მთავარი კომპანიები, მათ შორის ქვეყნის ავიახაზები, პრივატიზებული იქნა, ხოლო საგადასახდელი რეფორმამ გაზარდა სამთავრობო შემოსავლები. ასევე შემცირდა სამთავრობო ხარჯები. ისე რომ, 1992 წლისათვის სამთავრობო ბიუჯეტი წონასწორულ დონეს მიუახლოვდა.

კავალის გეგმის ყველაზე გაბედული ნაწილი იყო 1991 წლის ახალი კანონი. არგენტინული აუსტრალი სრულად კონვერტირებადი გახდა აშშ დოლართან მიმართებაში ფიქსირებული კურსით – 10 000 აუსტრალი ერთ დოლარზე. ეს კანონი მოითხოვდა მონეტარულ ბაზას, რომელიც გარანტირებული უნდა ყოფილიყო მოლიანად უცხოური რესურსებით – ოქრო ან უცხოური ვალუტა. ასე რომ, ერთი ხელის მოხმით მან მოსსო ცენტრალური ბანკის შესაძლებლობა, დაეფინანსებინა სამთავრობო დეფიციტი ფულის ემისიის საშუალებით. კანონის მეორე დებულება კრძალავდა ხელფასების ინდექსაციას ან ფინანსურ კონტრაქტებს ფასის მიმართ. 1992 წლის იანვარში ვალუტა შეიცვალა: ყოველი 10 000 აუსტრალი შეიცვალა ერთი ახალი პესოთი: ერთი პესო ერთ დოლარზე ფიქსირებული ვალუტის კურსით.

ნამდვილი ფისკალური რეფორმით გამაგრებულმა კავალის გეგმამ დრამატული გავლენა მოახდინა ინფლაციაზე, რომელიც დაეცა წელიწადში 800 %-დან 1990 წელს, 56%-მდე 1991 წელს, 5%-მდე 1995 წელს. ნომინალური საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ შემცირდა; დაიწყო კაპიტალის შემოდინება სასღვარგარეთიდან. ვალუტის ფიქსირებული კურსის მიუხედავად, გახანგრძლივებული ინფლაცია ნიშნავდა პესოს კურსის ზრდას. 1991 წლიდან 1995 წლამდე ვალუტის ღირებულება დოლართან მიმართებაში 60%-მდე გაიზარდა (იხ. (a) 22-2 გრაფიკზე).

არგენტინული პესოს ღირებულების რეალურმა ზრდამ გამოიწვია მუდმივი უმუშევრობა და მიმდინარე ანგარიშის მზარდი დეფიციტი. მას შემდეგ, რაც 1994-1995 წლებში წარმოიშვა მექსიკის ფინანსური კრიზისი, სპეკულანტებმა შეუტიეს არგენტინის ვალუტას და შიდა საპროცენტო განაკვეთი მკვეთრად გაიზარდა. სესხების ხარჯების მოულოდნელმა ზრდამ არგენტინის ბანკები ინტენსიური და ძლიერი ზეწოლის ქვეშ მოაქცია იმით, რომ არგენტინის 1991 წლის აპრილის მონეტარული კანონის მიხედვით ქვეყანაში იკრძალებოდა პესოს ბეჭდვა და მისი გასესხება ბანკებისათვის უკანასკნელი გამსესხებლის როლში. გამოშვება დაეცა, ხოლო უმუშევრობა გაიზარდა, რადგან მაღალმა საპროცენტო განაკვეთმა და საბანკო კრიზისმა შეამცირა ერთობლივი მოთხოვნა. 1996 წელს პრეზიდენტმა მენემმა დაითხოვა კავალი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ წარმატებას მიაღწია ინფლაციის შემცირებაში და მიიყვანა იგი განვითარებული ქვეყნების დონემდე, არგენტინის მომავალი გაბედული ორთოდოქსული სტაბილიზაცია მაინც საუკვო იყო.

სტაბილურობა არაორთოდოქსული ელემენტებით

1980-იანი წლების შუაში რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ისრაელმა წამოიწყო სტაბილიზაციის პროგრამა, რომელიც დაფუძნებული იყო ფისკალურ ორთოდოქსულობაზე, ვალუტის ფიქსირებულ კურსზე და არაორთოდოქსულ ხელფასისა და ფასის კონტროლზე. მალე მთავრობამ შემოიტანა გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ელასტიურობა, რომელიც მოიცავდა დევეალვაციას, ხოლო 1991 წლის ბოლოს მიიღო ვალუტის კურსის მოძრავი დიაპაზონი, სადაც ზოგჯერ შესაძლებელი იყო ვალუტის კურსის გაუფასურება. მსგავსი გაცვლითი კურსის ელასტიურობა 1980-იან წლებში ნილემაც შემოიღო. ორივე ქვეყანაში სტაბილიზაცია წარმატებულად მიმდინარეობდა, რადგან წლიური ინფლაცია ისრაელში 185%-დან (1985 წელი) 9%-მდე შემცირდა (1995 წელი), ხოლო ნილეში 27%-დან 9%-მდე იმავე წლებში. ორივე ქვეყანაში აღვიდა პქონდა რეალური ვალუტის ზომიერ გაუფასურებას, როგორც ამას გვიჩვენებს 22-2 გრაფიკის (b) და (d) ნაწილები, და მათ შეინარჩუნეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

მისდია რა ისრაელის მაგალითს, მექსიკამ დაიწყო სტაბილიზაციისა და რეფორმების ფართო პროგრამა 1987 წელს. მან მოახდინა ფისკალური დეფიციტისა და მთავრობის ვალის სწრაფი შემცირების კომბინირება – ვალუტის კურსსა და ხელფასებისა და ფასების იმ ნორმებთან, რომლებიც შეთანხმებული იყო მრეწველობისა და პროფკავშირების წარმომადგენლებთან. მექსიკამ დააფიქსირა თავისი პესოს გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1987 წლის დეკემბერში; მივიდა მცოცავ მიზმადე 1989 წლის იანვარში და მცოცავ ინტერვალთან 1991 წლის დეკემბერში. მექსიკა ინარჩუნებდა პესოს რეველვაციის შესაძლო ტაბლიტას სტილის მაქსიმალურ ტემპს, რომელიც ცხადდებოდა ყოველწლიურად 1991 წლის შემდეგ და თანდათან ზრდიდა ლიმიტს პესოს დასაშვებ გაუფასურებაზე. ასე რომ, ვალუტის კურსის დასაშვები ცვალებადობა დროთა განმავლობაში უნდა გაზრდილიყო.

მიუხედავად ამ პოტენციური მერყეობისა, მექსიკის ხელისუფლებამ შეინარჩუნა გაცვლითი კურსი მის ზედა ზღვართან ახლოს. პესოს ღირებულება რეალური გამოსახულებით საგრძნობლად გაიზარდა და წარმოიშვა მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი დეფიციტი, როგორც ამას 22-2 გრაფიკის (c) გვიჩვენებს. 1994 წელს ქვეყანაში სამოქალაქო ომმა, პრეზიდენტის გადაყენების საშიშროებამ და დევეალვაციის საფრთხემ გამოიწვია საპროცენტო განაკვეთის ზრდა და უცხოური რესურსების შემცირება. დეკემბერში მთავრობამ, იმ იმედით, რომ ხელს შეუწყობდა გამოსაშვების ზრდას და შეამცირებდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რომელიც იმ დროისათვის შეადგენდა მექსის 8 %-ს, გააუფასურა პესო 15%-ით, რაც გაუფასურების წინა წელს დაპირებულ ლიმიტს აღარბერდა.

ახალ გაუფასურებულ ვალუტის კურსს მაშინვე შეუტეოს სპეკულანტებმა და მთავრობა იძულებული გახდა, დაეხია მცურავი კურსისაკენ. უცხოელი ინვესტორები პანიკამ მოიცვა, რამაც პესოს მკვეთრი გაუფასურება გამოიწვია. მალე აღმოჩნდა, რომ მთავრობას აღარ შეეძლო ჯარიმიანი საპროცენტო განაკვეთის გარდა სხვა სესხის აღება. 1982 წელს ვალუტის დაფარვა კვლავ შენერდა. მექსიკამ ამას თავი დააღწია 50 მლრდ დოლარის სესხის დახმარებით, რომელიც მას მისცეს აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა.

ინფლაცია, რომელიც წლიური 159%-დან 1987 წელს დაეცა 7 %-მდე 1994 წელს, კვლავ გაიზარდა 1995 წელს, როცა პესოს დეველვაცია 3.5 პესო დოლარზე 7.5%-მდე გადიდა 1995 წლის მარტში. უმუშევრობას მოჰყვა ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ბანკების კრიზისი. 1995 წლის ბოლოსათვის ეკონომიკა კვლავ მოუწესრიგებელი იყო, ხოლო პესო უფრო უფასურდებოდა უცხოური ვალუტის ბაზარზე.

რატომ იზრდება ვალუტის კურსი რეალური ბაზრისა და უმუშევრობის ინფლაციის სტაბილიზაციის დროს

როგორც ვნახეთ, გაცვლით კურსზე დაფუძნებულ სტაბილიზაციას ახასიათებს ვალუტის რეალური კურსის ზრდა, რომელსაც თან სდევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გადიდება. მართლაც, მხოლოდ ისეთმა ქვეყნებმა, როგორცაა, ისრაელი და ჩილე, თავიდან აიცილეს რეალური ვალუტის კურსის რადიკალური ზრდა და შეძლეს, შემცირებინათ ინფლაცია შემდგომი კრიზისისა და პოლიტიკის ცვლილებებზე ზეწოლის გარეშე. ასე რომ, იმის გაგება, თუ რატომ ხდება რეალური რეველვაცია მას შემდეგ, რაც მთავრობა განსაზღვრავს ვალუტის კურსს, მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ რატომ განიცდის სტაბილიზაციის ბევრი მცდელობა კრახს. არსებობს სამი მთავარი თეორია, რომელიც ამას ხსნის:

- 1 მოგება მწარმოებლებიდან.** ინფლაციის სტაბილიზაცია არაპირდაპირ ზრდის მწარმოებლებს შესაძარი ფასების გაურკვეველობის შემცირებითა და ინვესტიციების ხელის შეწყობით. პრივატიზაციის, დერეგულაციისა და დაბალი საეაჯრო ბარიერების ეკონომიკური რეფორმები, რაც ხშირად ახლავს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ასევე ზრდის მწარმოებლებს, რადგან მისგან მიღებული მოგების დიდი ნაწილი თავმოყრილია საეაჯრო საქონლის სექტორში. ბალასა-სამუელსონის ეფექტი, რომელიც მე-15 თავში განვიხილეთ, გულისხმობს ვალუტის კურსის გაზრდას რეალური გამოსახულებით.
- 2 ხელფასის დაგვიანებული ინდექსაცია.** როგორც ამ თავში აღრე აღვნიშნეთ, ხელფასები ხშირად ავტომატურადაა ინდექსირებული ინფლაციის გასაზრდელად. თუ ეკონომიკის მმართველები უცბად შეანელებენ ვალუტის გაუფასურებას უცხოური ვალუტების მიმართ წარსულში ინფლაციის მაღალი დონის გამო, ხელფასების ზრდა გარკვეული დროით კვლავ გაგრძელდება. ამგვარად, ეკონომიკის ინფლაციის ტემპს დასჭირდება დრო, რათა მიუახლოვდეს ვალუტის დეველვაციის ახალ კურსს; პროცესის პირველ სტადიაზე ადგილობრივი ფასებიც უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე გაცვლითი კურსი. შეჩერებული ინდექსაცია ჩილეს ვალუტის კურსის მასიური ზრდის მთავარი მიზეზი იყო ტაბლიტას პროგრამის დროს, 1970-იანი წლების ბოლოს (იხ. 22-2 (ბ) გრაფიკი).
- 3 ოფიციალური ნდობის ნაკლებობა.** ხელფასების ამღებებსა და ფასის დამწესებლებს შეიძლება არ სჯეროდეთ მთავრობის დაპირებებისა ვალუტის კურსის მომავალი გაუმჯობესების შესახებ. ამ შემთხვევაში ისინი მოითხოვენ ხელფასებს და დაადგენენ ფასებს, რათა დაიცვან საკუთარი რეალური შემოსავალი საოცრად მაღალი დეველვაციისაგან. სანამ მთავრობა აწარმოებს ვალუტის კურსის დეველვაციას, ინფლაცია უფრო სწრაფად წარიმართება და გამოიწვევს ვალუტის რეალურ რეველვაციას. ფისკალური დეფიციტის შემცირებლობა იწვევს არასრულყოფილ ნდობას და იმის შიშს, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება, თავის გასატანად მიმართოს სენიორაჟს. მთავრობის ფისკალური საქმიანობა წერიკშიც რომ იყოს, ვალუტის კურსთან დაკავშირებულ დაპირებებს შესაძლოა აკლდეს ნდობა, თუ არის მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი ან უმუშევრობა, რომელიც შესაძლოა დეველვაციამ განკურნოს.

ეს სამი ახნა, რა თქმა უნდა, არ არის ურთიერთგამომრიცხავი. პირველი მაინც უფრო მისაღებია თავისი კეთილმოსურნეობის გამო, ხოლო ბოლო ორი პირობებს უქმნის მთავრობას ინფლაციის ჩახშობის მცდელობისათვის.

ბაკვეთილები

განვითარებადი ქვეყნების სტაბილიზაციის გამოცდილებიდან უამრავი დასკვნა გაკეთდა. პირველი ეხება გაცვლით კურსს: სახიფათოა, დაეყდრო გაცვლით კურსს, როგორც ქრონიკული მაღალი ინფლაციის შემამცირებელ მთავარ გრძელვადიან ინსტრუმენტს. ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს სტაბილიზაციას, შემოიღეს გაცვლითი კურსის ელასტიურობა ხანმოკლე პერიოდში. საწყისი და დროებითი ფიქსირებული გაცვლითი კურსი შესაძლოა სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით პიპერიფერალაციის დასასრულებლად. რადგან ის უსრუენელებს ფასების დაუყოვნებლივ გამყარებას. მაგრამ შეცდომა იქნება, თუ მთავრობა გაბედავს და ენდობა გაცვლით კურსს.

მეორე გაკვეთილი ეხება ფინანსურ რეფორმას. მშეყოთიარე საბანკო სისტემა სტაბილიზაციის მიუღწევლობის მთავარი მიზეზია და ხელს უწყობს არსებულ დაძაბულობას მექსიკასა და არგენტინაში. იმის გამო, რომ საბანკო სისტემა ასე მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის და შეუძლია შეაფერხოს უკანასკნელი გამსესხებლის მონეტარული ექსპანსია, რამაც შეიძლება ძირი გამოყოხაროს სტაბილიზაციას, აუცილებელია, საბანკო საქმის ლიბერალიზაცია განხორციელდეს მთავრობის პატიოსანი სუდამხედველობის ქვეშ.

მესამე გაკვეთილი ეხება ორთოდოქსული მიდგომის კამათს არაორთოდოქსულ მიდგომასთან. დროებითი ხელფასი და ფასის კონტროლი შესაძლოა სასარგებლო იყოს დაბალი ინფლაციისაკენ გარდამავალ პერიოდში (სუსტად ისე, როგორც დროებითი ფიქსირებული გაცვლითი კურსი შესაძლოა სასარგებლო იყოს). დაბალი ინფლაციის ტემპის შენარჩუნება იშვიათადაა შესაძლებელი მთავრობის ბიუჯეტის მუდმივი და შესაძლებელი შეკუმშვის გარეშე, რაც ამცირებს ფულის მოჭრის უფლების გადასახადის საჭიროებას და ამით ამცლებს მონეტარულ ზრდას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხელფასის ინდექსაცია და ჯიუტი სეპტიკური მოლოდინი, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ფასებისათვის მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემაზე. როგორც ორთოდოქსული სკოლა ამტკიცებს, ფულადი ემისია წარმოადგენს მუდმივი ინფლაციის მიზეზს განვითარებად ქვეყნებში.

წინსვლის გზა

1980-იანი წლები დანაკარგების წლები იყო ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა გაუარესდა ბევრ ქვეყანაში და წლის ბოლოს მოსახლეობის მდგომარეობა, წლის დასაწყისთან შედარებით, გაუარესდა. ვალების მომსახურების პრობლემის მქონე განვითარებადი ქვეყნების მე-ის წლიური საშუალო მანევენებელი ერთ სულზე 2.6%-ით გაიზარდა 1970 წლიდან 1980 წლამდე, ხოლო საშუალო წლიური უარყოფითი მანევენებელი 1.0%-ით 1981-90 წლებში. მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში შესაძლებელი გახდა ზრდის დაწყება.

საბოლოოდ დასრულდა თუ არა ვალების კრიზისი? მსოფლიო ეკონომიკა მალე ვეღარ დაუბრუნდება საბანკო კრედიტების თავშეუკავებელი გაცემის პრაქტიკას, როგორც ამას ადგილო ჰქონდა 1970-იან წლებში, და არც უნდა გააკეთოს ეს, რადგან ზოგიერთი კრედიტი არაგონიერული იყო. მაგრამ ქვეყნებს, რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე სტაბილური და მომგებიანი საინვესტიციო გარემოს შემოთავაზება, ჩანს, მოუხდებათ მსოფლიო კაპიტალის ბაზარზე თავიდან შეღწევა 1990-იან წლებში. რადგან განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადში კაპიტალის გადინების მზარდი ნაწილი იღებს კაპიტალის ინვესტირების ფორმას, ეს შესებებს ნაკლებ პრობლემებს უქმნის კრიზისის დროს, ვიდრე მცურავი კურსის მქონე კონტრაქტი, რომელიც გავრცელებული იყო 1982 წელს.

განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც წარმატებითა და თანამიმდევრულად მიყვებიან სტაბილიზაციისა და რეფორმების კურსს, ნახავენ, რომ ინდუსტრიული ქვეყნების დანაზოგები კვლავ ხელმისაწვდომია მათთვის. ამ მოდელმა ადრე თავი იჩინა განვითარებადი ქვეყნების ვალების კრიზისის შემდეგ და ჩანს, ახლაც აღმოცენდება. არასტაბილური პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნები, ან ისინი, რომლებიც არ ახორციელებენ რეფორმებს და არა აქვთ სტაბილური გარემო, სიძნელეებს წააწყდებიან კრედიტების აღების დროს. ვალების კრიზისი გვიჩვენებს, რომ ქვეყნებს შორის საქონლით ვაჭრობიდან მოგების მიღება პრაქტიკულად გაძნელდება, როდესაც საერთაშორისო ფინანსური კონტრაქტების განხორციელების ლეგალური სისტემა სუსტია. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები, რომლებიც თავიანთ ეკონომიკას მართავენ თამაშის გამჭვირვალე წესებითა და მინიმალური ჩარევით, ადვილად შეაღწევენ კაპიტალის გლობალურ ბაზარზე.

სამწუხაროდ, კრიზისგადატანილი ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა მნიშვნელოვანი სტაბილიზაციის მიღწევა, რაც საშუალებას მისცემს მათ, იქონიონ გრძელვადიანი კერძო კაპიტალის შემოდინებები საზღვარგარეთიდან. მექსიკაც კი, სადაც 1990-იანი წლების დასაწყისში კაპიტალის შედინების საკმაოდ მაღალი დონე იყო, ახალი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რადგან უცხოელი ინვესტორები 1994 წლის დეკლავაციის შემდეგ პანიკამ შეიპყრო. მიუხედავად სტაბილიზაციის პროგრამისა და რეფორმების განხორციელებისა, 1995 წელს არგენტინაში კვლავ არასტაბილური სიტუაცია შეიქმნა.

აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნისათვის კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე შეღწევა გართულებული ან შეუძლებელია. აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ს ყოფილი კომუნისტური ქვეყნები განსაკუთრებით საჭიროებენ რესურსების ტრანსფერტებს საზღვარგარეთიდან, რადგან ისინი ცდილობენ ააშენონ საბაზრო ეკონომიკა უცხოური ვალების სუდნადები ხარჯების პირობებში (თავი 23). ამ ქვეყნებისათვის ვალების კრიზისი კვლავაც გრძელდება. მთავრობები, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პოლიტიკური ნება, საბოლოოდ გაზრდიან თავიანთი ქვეყნის ცხოვრების დონეს. ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობებს მათი დახმარება შეუძლიათ ვალებზე დათმობებითა და იმ პროტექციონისტული ბარიერების მოშორებით, რაც უძინელებს მევალებს ვალების მომსახურებას.

1. განვითარებული ფინანსური ბაზრები და მთავრობის აქტიური ჩარევა დამახასიათებელია ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის. ამის გამო მათ მიმართა ფიქსირებულ გაცვლით კურსს ანუ **მცოცავ მიბმას**, სამთავრობო დეფიციტის ინფლაციურ დაფინანსებებს **ფულის მოჭრის უფლების გადასახადის** საშუალებით და ფართოდ გაერცვლებული ხელფასების ინდექსაციას. ელასტიური ფასების მქონე მთავარი საქონლის ექსპორტზე თავიანთი ძლიერი დამოკიდებულება განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებულად მგრძობიარეს ხდის საერთაშორისო ბაზრებზე მომხდარი მძაფრი ცვლილებების მიმართ.
2. რადგან ბევრ განვითარებად ქვეყანას გააჩნია პოტენციურად მდიდარი შესაძლებლობები ინვესტირებისათვის, ბენებრივია, მათ აქვთ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და სესხებს იღებენ მდიდარი ქვეყნებისაგან, რაც იწვევს დროთაშორისი ვაჭრობიდან მოგებას; ეს კი ყველა ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებს.
3. განვითარებადი ქვეყნების მიერ სესხების აღებას შესაძლოა აქონდეს ობლიგაციების, ბანკების, ფინანსების, ოფიციალური ორგანოებიდან სესხისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სახე. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის კაპიტალით დაფინანსების ფორმა და განსხვავდება ვალების ფინანსური ოპერაციებისაგან იმით, რომ ანაზღაურების გადინება, რომელსაც ის წარმოშობს, დამოკიდებულია გამსესხებულ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.
4. მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარებადი ქვეყნები აქტიურად იღებდნენ კრედიტებს ევროპიდან, კერძოდ ბრიტანეთიდან. მიუხედავად ვალდებულებების შეუსრულებლობის ინდივიდუალური ეპიზოდებისა და მკვეთრი საერთაშორისო ბიზნესის მერყეობისა, საერთაშორისო კაპიტალის ბაზარი კარგად ვითარდებოდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო ლონდონის მსოფლიო ეკონომიკაში ლიდერობით, მისი ვალდებულებებით თავისუფალი ეკონომიკისადმი და განვითარებადი ქვეყნების მევალებების ღრობებით სიმსუქლებთან მოქნილი შეგუებით. ომებს შორის პერიოდში ბევრი განვითარებადი ქვეყნის ვალები გაჩნდა აშშ-ში. როცა დიდი დემარსია დაიწყო, არ არსებობდა საერთაშორისოდ აღიარებული ხელისუფლება, რომელიც მსად იქნებოდა, მხარი დაეჭირა თავისუფალი ვაჭრობისათვის და დაეხმებოდა კრედიტების შექმნის დინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ. ამის შედეგად ქვეყნების უმეტესობამ უარი თქვა უცხოური ვალების გადახდაზე. განვითარებადი ქვეყნებისათვის კერძო კრედიტების გაცემა 1920-იანი წლების მასშტაბით მხოლოდ 1970-იანი წლების დასაწყისში აღდგა.
5. 1973 წლის შემდეგ განვითარებადი ქვეყნებისათვის ბანკების მიერ კრედიტების გაცემას სტიმული მისცა ინდუსტრიულ ქვეყნებში უარყოფითმა რეალურმა საპროცენტო განაკვეთმა და „ოპეკის“ მიმდინარე ანგარიშის სიტყვების ხელმძღვრე ციკლის საჭიროებამ. სასლფარგარეთ კრედიტების აღებით განვითარებად ქვეყნებს შეუძლოთ, შეენარჩუნებინათ ხარჯების ზრდისა და გამოშვების მაღალი ტემპი 1970-იან წლებამდე. მძიმე სესხებმა ნაყოფის მუორე შოკის შემდეგ გამოიწვია პრობლემები, რადგან დეფლაციამ ინდუსტრიულ ქვეყნებში გაზარდა საპროცენტო განაკვეთი და გამოიწვია რეცესია. 1982 წლის აგვისტოში მექსიკამ გამოცხადა, რომ მას აღარ შეუძლია გადაუხადოს კრედიტორებს გრაფიკით გათვალისწინებული გადასახადი. ამან საყოველთაოდ შეამცირა განვითარებადი ქვეყნებისათვის კრედიტების გაცემა.
6. 1980-იანი წლების დასაწყისის მაკროეკონომიკურმა სირთულეებმა შექმნა ისეთი გარემო, რომელშიც განვითარებადი ქვეყნები ალბათ შეწყვეტდნენ ვალების გადახდას, მთავრობებს, ბანკებსა და საერთაშორისო საავალუტო ფონდს რომ არ უზრუნველყოთ სესხების შედინების გაგრძელება ვალების გადავადებით და არ შეთანხმებულ იყვნენ კრედიტების გაცემაზე. პირველად კოორდინირებულმა ერთობლივმა მოქმედებამ თავიდან აიცილა გასესხების სრული შეწყობა, რასაც შესაძლოა ადგილი აქონოდა, თუ თითოეული ბანკი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ეცდებოდა, შეემცირებინა განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხის მიცემა.
7. 1989 წლის მარტის ბრედის გეგმა იმელოვნებდა, რომ ხელს შეუწყობდა ვალების შემცირებას, როგორც მევალებების ასევე კრედიტორებისათვის ხელსაყრელი პირობებით. ვალების კოორდინირებულმა დათმობამ, რომელიც მოხდა კრედიტორებთან მექსიკის 1989 წლის შეთანხმებას, უზრუნველყო უფრო სოლიდური ბაზისი განახლებული განვითარებისათვის დიდი ვალების მქონე სოგიერთ ქვეყანაში. კერძო კაპიტალის ახალი დინება განვითარებადი ქვეყნებისაკენ გაიზარდა 1990-იანი წლების დასაწყისში. ამ განახლებული კრედიტების გაცემის მთავარი ფაქტორი იყო რამდენიმე ქვეყნის უნარი, განეხორციელებინა ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ინფლაციის შემცირების პროგრამები პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში. რეფორმის პროგრამების მთავარი ელემენტებია: ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების **პრივატიზაცია**, ბაზრის დერეგულაცია, სომიერი მონეტარული ზრდა და სამთავრობო ბიუჯეტის დაბალი დეფიციტი.
8. ბევრი განვითარებადი ქვეყნის მცდელობა – შეენარჩუნებინა ინფლაცია, კრიზისით დასრულდა, რასაც მოჰყვა კიდევ უფრო მაღალი ინფლაციის ტემპი. ხშირად ქვეყნები ცდილობდნენ, შეემცირებინათ ინფლაცია თავიანთი ვალდებულების დეფლაციის ტემპის შენელებით. გაცვლით კურსზე დაფუძნებული სტაბილიზაციის ასეთი გეგმები იწვევენ ადგილობრივი ვალუტის რეალური კურსისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდას. ეს ის ფაქტორებია, რომელიც ბოლოს და ბოლოს ძირს უთხრის გეგმის წარმატებას. სტაბილიზაციის წარმატებულმა პროგრამებმა კი გამოიყენეს გაცვლითი კურსის ელასტიურობა რეალური კურსის მკაცრი (სუბსტი) ზრდის თავიდან ახაცილებლად. წარმატება აგრეთვე მოითხოვს სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრ და მკლმივ კლებას და ადგილობრივი საბანკო სისტემის ექრადლებიან რეგულირებას.

პირითადი ტერმინები

მცურავი მიბმა

ვალუბის გადავადება (რესტრუქტურისაცია)

ვალუბის მომსახურება

მოვალეობის შეუსრულებლობა (ვალუბის გადახდაზე უარის თქმა)

მცურავი კურსის მქონე სესხის კონტრაქტები

პარიზის კლუბი

პროვატიზაცია

სენიორავი (ფულის მოჭრის უფლების გადასახადი)

პითხვები

1. შეუძლია თუ არა მთავრობას, ყოველთვის ამოიღოს ფულის მოჭრაზე უფლების მეტი გადასახადი უბრალოდ ფულის მასის სწრაფი ზრდით? ახსენით თქვენი პასუხი.
2. დაუშვით, რომ ქვეყნის ინფლაციის წლიური ტემპი იყო 100% როგორც 1980, ასევე 1990 წელს, და ეს ინფლაცია მცირდებოდა პირველ წელს, მაგრამ იზრდებოდა მეორე წელს. სხვა თანაბარ პირობებში, რომელ წელს იყო ფულის მოჭრაზე უფლების გადასახადიდან შემოსავალი უფრო მეტი? (დაუშვით, რომ აქტივების მფლობელები სწორად განჭვრეტდნენ ინფლაციის გზას).
3. როცა ბრაზილიის მთავრობის ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი იყო 167%, ის იღებდა გამოშვების მხოლოდ 1.0%-ს, როგორც ფულის მოჭრაზე უფლების გადასახადს მაშინ, როცა სიერა ლეონის მთავრობა იღებდა 2.4%-ს ინფლაციის ტემპის საშუალებით. შეგიძლიათ თუ არა, ახსნათ ფინანსურ სტრუქტურებში განსხვავებები, რომელიც ნათელს მოჰყენს ამ კონტრასტს? (მინიშნება: სიერა ლეონში ვალუტის შეფარდება ნომინალურ გამოშვებასთან საშუალოდ იყო 7.7%; ბრაზილიაში კი – 1.4%).
4. როგორ ეხმარება ხელოვნურად დაბალი საპროცენტო განაკვეთი განვითარებადი ქვეყნის მთავრობას, დააფინანსოს თავისი ბიუჯეტის დეფიციტი?
5. ეთქვათ, არსებობს საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობისათვის დია ეკონომიკა, რომელსაც აქვს გაცვლითი კურსი მცურავი მიბმით, და ამის გამო მისი ვალუტა გამოყვანილი დეველუაციას განიცდის (წელიწადში 10%). ახსენით ადგილობრივი ნომინალური საპროცენტო განაკვეთის კავშირი უცხოეთის ნომინალურ გაცვლით განაკვეთთან?
6. ზოგი განვითარებადი ქვეყნის (როგორცაა არგენტინა) საგარეო ვალი ნაწილობრივ გამოწვეული იყო კაპიტალის საზღვარგარეთ გატანით და ვალუტის მოსალოდნელი დეველუაციით (მთავრობებმა და ცენტრალურმა ბანკებმა ისესხეს უცხოური ვალუტები, რათა გაემყარებინათ თავიანთი გაცვლითი კურსები, ხოლო ეს ფონდები შემდეგ მოხვდა კერძო პირების ხელთ და ნიუ-იორკის ან სხვა რომელიმე ბანკის ანგარიშზე). რადგან კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა მთავრობას დიდ ვალუტებს უტოვებს, მაგრამ ანაზღაურებს უცხოურ აქტივებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ფული საზღვარგარეთ გაიტანეს, ქვეყნის მოლიანი ვალი არ იცვლება. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქვეყნები, რომელთა საგარეო სამთავრობო ვალი ძირითადად გამოწვეულია კაპიტალის საზღვარგარეთ გატანით, არ ღვანან ვალუბის პრობლემის წინაშე?
7. განვითარებადი ქვეყნების სესხების უმეტესობა ხორციელდებოდა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომპანიების მიერ. ზოგიერთ ამ ქვეყანაში მოხდა პრივატიზაცია: სახელმწიფო კომპანიები მიეყიდა კერძო მფლობელებს. ქვეყნები უფრო მეტს თუ ნაკლებს ისესხებდნენ, მათი ეკონომიკის პრივატიზაცია უფრო ადრე რომ განხორციელდებულა?
8. განვითარებადი ქვეყნის გადაწყვეტილება, შეამციროს ისეთი საეაჯრო შეზღუდვები, როგორცაა იმპორტზე ტარიფები, როგორ გავლენას მოახდენს მის უნარზე – ისესხოს მსოფლიო კაპიტალის ბაზარზე?
9. მოცემული გამოშვების პირობებში ქვეყანას შეუძლია გააუმჯობესოს თავისი მიმდინარე ანგარიში ინვესტიციების ან მოხმარების შემცირებით. მას შემდეგ, რაც ვალუბის კრიზისი დაიწყო, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ გააუმჯობესა თავისი მიმდინარე ანგარიში ინვესტიციების შემცირებით. არის ეს გონიერული სტრატეგია?
10. 1980-იანი წლების ვალუბის კრიზისის დროს პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ ბ. კენენმა წამოაყენა საერთაშორისო ვალის დისკონტის (ფასდაკლება) კორპორაციის შექმნის იდეა. ამ კორპორაციის სპონსორი იქნებოდა მთავრობა და გამოუშვებდა თავის გრძელვადიან ობლიგაციებს განვითარებადი ქვეყნებისათვის მათ მიერ მისაცემი სესხების სანაცვლოდ. როგორ შეუმსუბუქებდა ეს კორპორაცია ვალუბს განვითარებად ქვეყნებს? რა პრობლემებს ხელავთ ასეთ მომსახურებაში?

თაზი 23

ყოფილი კომუნისტური ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემები

1989 წლის დასაწყისში 400 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელიც აწარმოებდა მსოფლიო გამოშვების დაახლოებით 12%-ს, ცხოვრობდა ცენტრის მიერ დაგეგმილი ეკონომიკის პირობებში, სადაც წარმოებისა და დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებდნენ მთავრობის ოფიციალური პირები და არა კერძო ფირმები. მიუხედავად რეფორმის გატარების ზოგიერთი მცდელობისა, საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის მთავრობები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ძალების საშუალებით შეიქმნა, კვლავ მართავენ თავიანთ ეკონომიკას ცენტრალური ღირებულებებით და არა დეცენტრალიზებული ბაზრის მექანიზმებით.

1991 ბოლოსათვის სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. კომუნისტური მთავრობები გააძევეს ყოფილი საბჭოთა იმპერიის საზღვრებს გარეთ არსებული სახელმწიფოებიდან და თვით საბჭოთა კავშირიც დაიშალა (ვალკეულ ქვეყნებად. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქვეყანა შეუდგა რეფორმების განხორციელებას, რათა საკუთარი ეკონომიკა გარდაექმნათ დასავლეთის ტიპის საბაზრო ეკონომიკად. ყოფილი ცენტრის მიერ დაგეგმილი ეკონომიკის მქონე ე.წ. გარდამავალი ქვეყნები დღეს გადაიან საბაზრო სისტემაში გადასვლის პროცესს.

რამდენიმე ქვეყანა ეტეობდა, ხანგრძლივ პერიოდში საბაზრო ეკონომიკისაკენ გეზის აღება გასრულიდა თუ არა მწარმოებლურობასა და ცხოვრების დონეს. ყველამ იცოდა, რომ ცენტრის მიერ დაგეგმილი ეკონომიკა გაცილებით ნაკლებეფექტური სისტემა იყო, ვიდრე საბაზრო ეკონომიკა. აღმოსავლეთ ევროპის სოციალური ქვეყანა, როგორცაა ჩეხეთის რესპუბლიკა და აღმოსავლეთ გერმანია, კომუნისტურ მმართველობამდე მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებად ითვლებოდნენ. როდესაც სოციალისტური რეჟიმის ფარდა აიხადა, აღმოჩნდა, რომ მათ უკონდათ უძველესი ქარხნები, დაბალხარისხიანი საქონელი თუ მომსახურება და გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ ამ ერთ დროს მოწინავე რევიორებს უქადა წარმატებას ბაზრისაკენ შემობრუნება.

ცხრილი 23-1 ეკონომიკური განვითარება გარდამავალ ქვეყნებში

ა. ეშპ-ს ზრდა	1990	1991	1992	1993	1994
ბულგარეთი	- 9.1	- 11.7	- 5.7	- 4.2	0
ჩეხოსლოვაკია	- 0.4	- 15.9	- 8.7	-	-
ჩეხეთის რესპუბლიკა	-	-	-	- 0.9	2.6
სლოვაკეთის რესპუბლიკა	-	-	-	- 4.1	5.3
უნგრეთი	- 3.5	- 11.9	- 4.3	- 2.3	2.6
პოლონეთი	- 11.6	- 7.0	2.6	3.8	6.0
რუმინეთი	- 5.6	- 12.9	- 10.1	1.3	3.4
რუსეთი	-	- 13.0	- 19.0	- 12.0	-15.0
უკრაინა	-	- 11.9	- 17.0	- 17.1	23.0
ბ. ინფლაცია					
	1990	1991	1992	1993	1994
ბულგარეთი	23.9	333.5	82.0	72.8	96.0
ჩეხოსლოვაკია	10.8	59.0	11.0	-	-
ჩეხეთის რესპუბლიკა	-	-	-	20.8	10.0
სლოვაკეთის რესპუბლიკა	-	-	-	23.1	13.4
უნგრეთი	29.0	34.2	23.0	22.5	18.8
პოლონეთი	585.8	70.3	43.0	35.3	32.2
რუმინეთი	4.7	161.1	210.3	256.0	137.0
რუსეთი	-	92.7	1353.0	896.0	302.0
უკრაინა	-	91.2	1209.7	4734.9	891.2

მიუხედავად ხანგრძლივი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების დიდი იმედებისა, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის დაშლამ უარყოფითი შედეგები გამოიღო. 23-1 ცხრილი გვჩვენებს, რომ 1989 წლის შემდეგ აღინიშნებოდა გამოშვების შემცირება და ინფლაციის მაღალი ტემპი როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ასევე საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებშიც (აღსანიშნავია, რომ 1993 წელს ჩეხოსლოვაკია დაიყო ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად). საბჭოთა რეჟიმისაგან განთავისუფლებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაუმჯობესება მხოლოდ 1994 წლიდან შეინიშნებოდა. ამავე პერიოდიდან დაიწყო სტაბილიზაცია ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. გარდამავალმა პროცესმა დაადასტურა, რომ სიძნელები მოსალოდნელზე გაცილებით ბევრი იყო.

რატომ არის გარდამავალი პერიოდი ასე რთული? ეს საკითხი, მართალია, სერიოზული განხილვის საგანია, მაგრამ ეკონომიკურ ანალიზს შეუძლია ნათელი მოაფიროს ამ პრობლემას. კერძოდ, გასარკვევია, ამ პროცესში რა განსაკუთრებული როლი ითამაშა საერთაშორისო ვაჭრობამ და ფინანსებმა. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საბჭოთა სისტემის დაშლამდე არსებულ საერთაშორისო სავაჭრო სისტემას აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში, რამაც შემდგომ განაპირობა გარდამავალი პერიოდის სიძნელები. შემდეგ მიუვებრუნდებით იმ მიზეზებს, თუ რატომ შემცირდა გამოშვება და იმ საერთაშორისო ფინანსურ პრობლემებს, რაც წარმოიშვა რუსეთსა და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ვაჭრობა აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლამდე

რუსეთის სამოქალაქო ომში (1917-1921 წწ.) გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ჩაატარა ექსპერიმენტები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს ექსპერიმენტი უარყოფილი იქნა, როდესაც ლენინის სიკედილის შემდეგ ძალაუფლება სტალინმა აიღო ხელთ. 1928 წელს მან შემოიღო სრული ცენტრალური დაგეგმვა, სადაც ქარხნები და ფერმები უნდა დამორჩილებოდნენ მთავრობის მიერ განსაზღვრულ წარმოებას. ამ პერიოდში, მეორე მსოფლიო ომამდე, იგი მიჰყვებოდა ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ქვეყანა ეკონომიკურად დამოუკიდებელი გაეხადა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პროსაბჭოურმა მთავრობებმა ხელთ აიღეს ძალაუფლება აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში და ჩართეს ისინი საბჭოთა სიტემაში. ფორმალურად ვაჭრობა საბჭოთა ბლოკის ქვეყნებს შორის უნდა ემართა ორგანოს, რომელიც ცნობილი იყო *ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს* (სეე) სახელით; საბჭოთა ეკონომიკური ზონა შემდეგში ხშირად მოიხსენიება, როგორც „სევის“ ქვეყნები

„სევის“ ქვეყნების ვაჭრობა კომუნისტურ პერიოდში

სევი, როგორც ერთეული, მოწყვეტილი იყო საგარეო ვაჭრობას. 1980 წელს მისი ერთობლივი გამოშვება შეადგენდა ევროგაერთიანების (ახლანდელი ევროკავშირი) ან აშშ-ს გამოშვების დაახლოებით 50%-ს. ევროგაერთიანების ექსპორტი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში 412 მლრდ დოლარს შეადგენდა, ხოლო სევისა მხოლოდ 84 მლრდ დოლარს. სევის ქვეყნები თვითონ აწარმოებდნენ ყველაფერს, რაც შეესაბამებოდა დაბალი ხარისხის სამრეწველო საქონელს, რასაც ბაზრის მცირე ნაწილი ეკავა დასავლეთში; მათი ვაჭრობა ძირითადად მოიცავდა ნედლეულის გაცვლას (განსაკუთრებით საბჭოური ნაყოფის) იმ მაღალხარისხიან საქონელში, რომლის წარმოებაც მათ არ შეუძლიათ (მაგალითად, მანქანა-დანადგარები საბჭოთა კავშირში იტალიელების მიერ აშენებულ ქარხნებში, რომლებიც 1989 წელს უშვებდნენ საბჭოური ავტომანქანების ნახევარზე მეტს).

სევის ქვეყნები ცოტას ვაჭრობდნენ გარე სამყაროსთან, სამაგიეროდ ინტენსიურად ვაჭრობდნენ ერთმანეთთან. საბჭოთა ცენტრალურ დამკვეთებებს და მათ აღმოსავლეთ ევროპულ შეგირდებს ძალიან სჯეროდათ სპეციალიზაციის უპირატესობისა, კერძოდ მასშტაბის სრული მიღებული ეკონომიისა. ასე რომ, ისინი ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ბევრი სახის სამრეწველო ნაწარმის გეოგრაფიული კონცენტრირებისათვის და ხშირად აშენებდნენ უზარმაზარ ქარხნებს უზარმაზარი საბაზრო სივრცის მოსამარაგებლად. მაგალითად, ტრაქტორები აღმოსავლეთ ევროპისათვის იწარმოებოდა ძირითადად პოლონეთის უზარმაზარ ქარხანაში, ავტობუსები უნგრეთის ქარხანაში. რუსული ფოლადის ქარხანა მაგნიტოგორსკში (60 000 მეშა) ქმნიდა საბჭოთა კავშირში წარმოებული ფოლადის ნახევარს (რომელიც გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომში). 1991 წელსაც კი ბელარუსის ერთი ქარხანა (მსოფლიოში უდიდესი) აწარმოებდა საბჭოთა კავშირში გამოშვებული პოლიეთილენის 90%-ს და რუსეთის ერთი ქარხანა – საბჭოთა კავშირში წარმოებული ავტომანქანების 58%-ს.


სპეციალიზაციის ამ პოლიტიკის შედეგად, ვაჭრობა წარმოადგენდა ევროპული შემოსავლის დიდ ნაწილს აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. 23-1 გრაფიკი გვჩვენებს მეპ-ის ექსპორტის წილს აღმოსავლეთ ევროპისა (სსრკ-ს გარდა) და ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში: 1984 წელს აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სამყაროს ტიპური ქვეყანა აწარმოებდა თავისი გამოშვების 27%-ის ექსპორტს, ხოლო ტიპური განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა მხოლოდ 25 %-ს, ე.ი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რეალურად უფრო ღია იყო ვაჭრობისათვის 1980-იანი წლების ბოლოს. ამის მიზეზი იყო ის, რომ რადგან გეგმიანი ეკონომიკის ქვეყნები უწოდნენ მცირე ვაჭრობას დასავლეთთან, ამით ისინი მაინც გაცილებით მეტს აკეთებდნენ, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო ერთმანეთთან ვაჭრობით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხი უპირისპირდებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების

ურთიერთ-დამოკიდებულების ხარისხს. საბჭოთა კონსტიტუციით ამ რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ, თვითონ ემართათ საკუთარი საქმეები. მაგრამ პრაქტიკულად, 1991 წლამდე ყველა გადაწყვეტილებას იღებდა მოსკოვი. მას შემდეგ, რაც 1991 წლის აგვისტოში ცენტრალური ხელისუფლება გაუქმდა და რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მათ შეეძლოთ თავისუფლად გამოეშვათ საკუთარი ვალუტა და გაეზარდათ გადასახადები. მაგრამ ეკონომიურად ისინი კვლავ ურთიერთდაკავშირებული იყვნენ. 23-1 ცხრილი გვჩვენებს, რომ რუსეთიც კი, რესპუბლიკებს შორის ყველაზე დამოკიდებული, 1989 წელს მიმართადა თავისი გამოშვების 18%-ის ექსპორტს სხვა რესპუბლიკებში.

ცხრილი 23-2 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეაჭრობა 1989 წელს

რესპუბლიკა	მოსახლეობა (მლნ)	ექსპორტის % გამოშვებაში სხვა რესპუბლიკების მიმართ	ექსპორტის % გამოშვებაში სხვა ქვეყნების მიმართ
რუსეთი	148.0	18.0	8.6
უკრაინა	51.8	39.1	6.7
უზბეკეთი	19.8	43.2	7.4
ყაზახეთი	16.7	30.9	3.0
ბელორუსია	10.3	69.6	6.5
აზერბაიჯანი	7.1	58.7	3.7
საქართველო	8.5	53.7	3.9
ტაჯიკეთი	5.2	41.8	6.9
მოლდოვეთი	4.4	62.1	3.4
ყირგიზეთი	4.4	50.2	1.2
ლიტვა	3.7	60.9	5.9
თურქმენეთი	3.6	50.7	4.2
სომხეთი	3.3	63.7	1.4
ლატვია	2.7	64.1	5.7
ესტონეთი	1.6	66.5	7.4

გრაფიკი 23-1 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპორტი და გამოშვება



1980-იანი წლების ბოლომდე აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ქვეყნები, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა განვითარებადი ქვეყნები ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებული.

ვაჭრობის მართვა საბჭოთა კავშირის უარბლებში

როგორ იმართებოდა ვაჭრობის ასეთი დიდი მოცულობა სუვის ფარგლებში? ძირითადად ვაჭრობის დინებები განიხილებოდა როგორც კოორდინირებული ცენტრალური დაგეგმვის პროცესის ნაწილი. პრაქტიკულად დაგეგმვის ეს პროცესი მუშაობდა მხოლოდ თვით საბჭოთა კავშირის ფარგლებში – და იქაც კი ალაღბულზე მოქმედებდა. სუვის სივრცეში ვაჭრობა არის ბარტყერული გარიგების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს შორის.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეკონომიკური მმართველობა ეფუძნებოდა წინასწარ მიმსაღებულ წლიურ გეგმებს, რომლებიც განსასწდურადნენ ბევრი საქონლის წარმოების დონეს. გენერალური გეგმა, რომელიც აღგენდა გამოშვების მოხსენებს, გადაეცემოდა სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოებს. ეს უკანასკნელნი,

თავიანო მხრივ, გადააჩაწილებდნენ მათ საწარმოებსა და ქარხნებს იმ ინსტრუქციებთან ერთად, თუ ვისთვის უნდა მიეწოდებინათ მათ თავიანთი გამოშვებული პროდუქცია.

პრაქტიკულად სისტემა იყო მოუწყვრივე. მისი ხანდახან არარეალური იყო: ან ვერ სკდებოდა ან აწარმოებდნენ ცუდი ხარისხის საქონელს. პროცესის თითოეულ დონეზე მმართველებს ესმოდათ, რომ ისინი ვერ დაეყრდნობოდნენ გეგმით გათვალისწინებულ მიწოდებას, ამიტომ თვითუზრუნველყოფასაც მიმართავდნენ. მაგალითად, ფოლადის ქარხანა არ დაეყრდნობოდა საბადასებს, რომელთაც უნდა მიეწოდებინათ მათთვის რკინა და ქვანახშირი. შესაძლებლობის ფარგლებში, ის ეცდებოდა დაეწესებინა კონტროლი თავის წილ წიადის უკულის საბადასებს ისევე, როგორც თავის სხვა საწარმოებს, საავადმყოფოებს და ექვლაფერს, რისი მართვაც მას სათანადოდ შეეძლო. საბჭოთა სამრეწველო საწარმოები კგავდნენ ხოლმე სხვადასხვა პატარა საწარმოებს მცირემასშტაბიანი (ხშირად არაეფექტური) წარმოებით და ფართო დიაპაზონის იმ საქმიანობებით, რომელებიც თითქოს არც იყვნენ დაკავშირებულნი მათს ძირითად ფუნქციასთან.

თქვენ აღბათ იფიქრეთ, რომ ცენტრის მხრიდან ასეთი უზრუნველყოფა შეამცირებდა რესპუბლიკებს შორის ვაჭრობას, მაგრამ ხშირად საწარმოს აქონდა ფილიალები ათასობით კილომეტრით მოშორებით – და მას უფრო ეადვილებოდა, შეესიდა საჯირო მარაგი მეორე რესპუბლიკაში არსებული საწარმოდან, ვიდრე სხვა საწარმოს კონტროლის ქვეშ არსებული იქვე ახლოს მდებარე წყაროდან. როცა საწარმოები ვერ აღწევდნენ თვითუზრუნველყოფას, ისინი აწარმოებდნენ არაოფიციალურ ბარტერულ გარიგებებს ერთმანეთთან.

ამ სისტემის შედეგი იყო საწარმოებს შორის არსებული ვაჭრობის რთული სტრუქტურა. სისტემა ერთგვარად მოუხერხებელი იყო. ერთ მხრივ, ქარხნები ზედმეტად თვითუზრუნველყოფილნი იყვნენ, ხოლო მეორე მხრივ, ადგილი აქონდა საქონლის შორს მანძილზე არასაჯირო გადასიდვას. 1980-იანი წლების შუამდე საბჭოთა ეკონომიკა ასე გრძელდებოდა იმიტომ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო ჩარეულიყო და აეძულებინა საწარმოები, შეეცვალათ თავიანთი მოქმედება, როგორც კი რომელიმე კონკრეტული სექტორი, როგორც გამოჩაკლისი, განსაკუთრებით თვალშისაკეში გახდებოდა. 1985 წლის შემდეგ, როდესაც ცენტრალური მთავრობის ძალაუფლება შემცირდა, სისტემამ რღვევა დაიწყო. ამ რღვევის ბენებას წვეს ამ თავში მოგვიანებით განვიხილავთ.

ვაჭრობის მართვა სევი-ის ძველებს შორის

საბჭოთა კავშირის გარეთ ვაჭრობა სევის ქვეყნებს შორის იმართებოდა ურთიერთშეთანხმებელი ცენტრალური გეგმით. საბჭოთა სევის ადრეულ წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მიიხილავდა საბჭოთა ეკონომიკის ნაწილად და მათი წარმოება იგეგმებოდა მოსკოვში. ეს გეგმები ხშირად ექსპლუატაციას უწევდა ახალ კომუნიტურ ქვეყნებს, მითხილავდა მათგან, გაეგზავნათ თავიანთი საქონლის დიდი რაოდენობა საბჭოთა კავშირში. 1950-იანი წლების შუა ხანებში ცხოვრების დაბალი დონის გამო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოსვლები დაიწყო, რაც აღმოსავლეთ გერმანიასა და პოლონეთში 1953 წელს და რევილუცია უნგრეთში 1956 წელს სასწრაფოდ ჩაახშეს, მაგრამ ამ წინააღმდეგობამ გამოიწვია ცვლილებები საბჭოთა პოლიტიკაში. ადგილობრივ კომუნიტურ ლიდერებს მეტი ავტონომია მიენიჭათ და ვაჭრობა სევის ქვეყნებს შორის უფრო თანასწორი გახდა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კონტროლი შესუსტდა, ექვლა მცდელობა, დაეგეგმათ სევის ქვეყნების ეკონომიკები, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს იღებდა. ვაჭრობა სევის სიერცეში ისახლებოდა უშუალოდ ქვეყნებს შორის ურთიერთობებით, რაც ერთობ გართულბული იყო სევის ქვეყნებს შორის საერთაშორისოდ მიღებული ვალუტის არარსებობის გამო. ეთქვათ, პოლონეთს უნდა მიეწოდებინა ტრაქტორები უნგრეთისათვის, ეს უკანასკნელი საფასურს რებლებით უხდიდა. მაგრამ რადგან ამ რებლებით ცოტა რამის ყიდვა თუ შეიძლებოდა, პოლონეთი სანაცვლოდ მითხილავდა სხვა რეალურ საქონელს, მაგალითად, ავტობუსებს. ამის გამო მოხდა, რომ, ვაჭრობამ სევის ქვეყნებს შორის ბარტერული გაცვლის სახე მიიღო.

რა განსახლებრავდა ამ ბარტერის პირობებს? ეი. როგორ წვევდნენ პოლონეთი და უნგრეთი, რამდენი ავტობუსი შეესატყვისებოდა ღირბელებით ერთ ტრაქტორს? სწორხაზუანი პასუხი არ არსებობს. ხანდისხან ანახლავრება ემყარებოდა იმ ფასებს, რომლითაც ხდებოდა ექვივალენტური საქონლით ვაჭრობა მსოფლიოში ანუ დასავლეთის ბაზარზე. ბევრ შემთხვევაში არც ექვივალენტები ჩანდა. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის პატარა ორცილინდრიანი ავტომობილი ვერ შეედრებოდა გაცილებით კომფორტულ მანქანებს, რომელიც კაპიტალისტური მსოფლიო ბაზრის ექვლაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში – უნგრეთში – იწარმოებოდა. გაუკებარი იყო, ავრეთვე, როგორ უნდა შედარებოდა ის, მაგალითად, ფარდ ესკორტის ღირბეებს. ვაჭრობის პირობები პოლიტიკის ძლიერი სევის ქვეშ იყო. აღსანიშნავია შემდეგი: მას შემდეგ, რაც 1970-იან წლებში ნავთობის მსოფლიო ფასი გაიზარდა, მსოფლიოზე იყო, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც აღმოსავლეთ ევროპისათვის ნავთობის მთავარი მიწოდებელი, სანაცვლოდ მითხილავდა მეტ სამრეწველო საქონელს. მაგრამ იგი ასე აღარ მოიქცა ორი მიხეხის გამო: პირველი, ის იდგა, რომ „მომე სოციალისტურ სახელმწიფოებს“ შორის ვაჭრობის პირობებს ძლიერ გავლენას მოახდენდა ფასის სრდა (რაც საუდის არაბეთმა თავს მოახვია აშშ-ს ნავთობს). ეწინააღმდეგებოდა მთელ სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელიც ამხელდა თავისუფალი ბაზრის მიერ შექმნილ დესპოტურ და არათანაბარ განაწილებას. მეორე, საბჭოთა კავშირი იძლებული იყო, შემოეღო ასადი ეკონომიკური უღელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც უფრო და უფრო ექვივალენტო იყვნენ კომუნიტური მმართველობით. 1981 წელს პოლონეთში დაიწყო გაფიცვები, რამაც

კინადამ აიძულა ადგილობრივი მთავრობა, დახმარებისათვის ისეუ საბჭოთა კავშირისთვის მიემართა (1981 წელს აღმოცენდა მუშათა მოძრაობა „სოლიდარობა“, რომელიც ატაკქვეშეთში იმყოფებოდა და ხელისუფლებაში მხოლოდ 1989 წელს. კომუნისტური წყობილების ნგრევის შემდეგ მოვიდა).

ნამდვილი სტანდარტების ნაკლებობამ და პოლიტიკის ჩარევის სიჭარბემ გამოიწვია ის, რომ ვაჭრობა ხევის ქვეყნებს შორის ხორციელდებოდა მსოფლიო ბაზრის ფასებისაგან განსხვავებულ ფასებით. კერძოდ, სამრეწველო საქონელს თავის დაბალ ხარისხთან შედარებით მეტი ღირებულება აქონდა დაწესებული, ხოლო ნედლეულს – განსაკუთრებით ნაეთობს – მსოფლიო ფასთან შედარებით ნაკლები. ფაქტობრივად, ნედლეულის ექსპორტიორები, მათ შორის საბჭოთა კავშირი, აფინანსებდნენ სამრეწველო საქონლის ექსპორტიორებს.

საბჭოთა კავშირის შიგნით ვაჭრობას ახასიათებს მსოფლიო დონისაგან სავაჭრო ფასების გაცილებით მეტი გადახრა. იყო რეგიონები, რომლებსაც აქონდათ შედარებით მაღალი ფასები, მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), მაგრამ მათი ბაზარი მაინც დაპყრობილი იყო საკმაოდ ცუდი ხარისხის ნაწარმით, ნედლეული კი მათთვის ხელმისაწვდომი იყო ძალიან დაბალ ფასებში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევის ქვეყნებში სავაჭრო სისტემა განსხვავდებოდა თავისუფალი ბაზრების მქონე ქვეყნების სავაჭრო სისტემისაგან ორი მთავარი ნიშნით:

1. ხევის ქვეყნებში ვაჭრობა დამახინჯებული იყო – ისინი უფრო მეტად ერთმანეთთან ვაჭრობდნენ და არა დასავლეთთან, რის საშუალებასაც თავისუფალი საბაზრო სისტემა იძლეოდა.
2. მათი სავაჭრო ფასები ძალიან განსხვავდებოდა მსოფლიო ფასებისაგან.

აშკარა იყო ამ დამახინჯებული სავაჭრო სისტემის გამო, მისი დაშლა საკმაოდ რთული იქნებოდა. კერძოდ, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ორი სახის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აწუხებდა რეგულირების პრობლემა, ე.ი. მათი ეკონომიკების ორიენტაციის შეცვლა, რაც გამაწვეული იყო ექსპორტთან დაკავშირებული კონკურენციითა და მათსავე იმპორტზე უფრო მაღალი ფასებით. საბჭოთა კავშირის შიგნით პრობლემები უფრო გართულდა კოორდინაციის დაკარგვის გამო: ცენტრალიზებული კონტროლი რესპუბლიკებს შორის ვაჭრობაზე შეწყდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, საბაზრო სისტემას დაიმკვიდრებინა თავისი ადგილი.

რეგულირების პრობლემა აღმოსავლეთ ევროპაში

1990-იანი წლების პირველ ნახევარში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. 40 წელზე მეტი ეს ქვეყნები ევლადფრის ნაკლებობას განიცდიდნენ – ზოგან მაღალი ცარიელი იყო და არ იშოვებოდა აუცილებელი საქონელი და გრძელი რიგები, ყოველდღიურ სურათს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ფაქტობრივად იყო სრული დასაქმება, როცა ეკონომიკა ლიბერალიზებული გახდა, მაღალი ნელ - ნელა გაივსო მაღალხარისხის საქონლით, რიგებიც გაუწინარდა, მაგრამ დაიკარგა სამუშაო ადგილები. პირველად 1940-იანი წლების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა აღმოჩნდა მკაცრი დასავლური ტიპის რეცესიაში.

ამ რეცესიის მიზეზების დადგენისას იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი, ხევის ქვეყნების სავაჭრო სისტემის ნგრევამ შეამცირა ექსპორტი. მეორე, ცენტრალური დაგეგმვით გათვალისწინებული ადგილობრივი მოთხოვნის ორი მთავარი წყარო – მისი მრეწველობის ინვესტირება და სამხედრო ხარჯები – ფაქტობრივად განადგურდა.

სემის ქვეყნებს შორის ექსპორტის შემცირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1989 წლამდე ხევის ქვეყნები ნაკლებ იყვნენ ჩართულნი გარე სამყაროსთან ვაჭრობაში და ერთმანეთზე მჭიდროდ დამოკიდებულებით ხასიათდებოდნენ. მას შემდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმი დაირღვა, ვაჭრობის არსებული წესიც დაინგრა. პოლიტიკით აღარ გრძობდა თავს ევლადფრად, ექიდა არა უსათუოდ უნგრული ავტობუსები, არამედ ემსახებოდა, შეეძინა უფრო საიმედო, საწვავის ეკონომიურად მხარჯველი შეუღური ვოლვოს ავტობუსები. თავის მხრივ, უნგრეთიც მსად იყო შეეწვებოდა პოლიტიკური ტრაქტორების შექმნა და ხანაცვლად ექიდა ამერიკული კეითაილარი ან იაპონური კომაცუ. ცალკეული ქვეყნების ამ გონიერულმა გადაწყვეტილებებმა დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაზე.


ენახით, რატომ მოხდა ეს დაეუბრუნდეთ ქვეყნების ეკონომიკათა ერთიერთადამოკიდებულების მარტივ ანალიზს, რომელიც მე-19 თავში განვიხილეთ. აქ სამაგალითოდ შევისწავლეთ ორი ქვეყანა, რომელთაგან თითოეულის შემოსავალი ნაწილობრივ დამოკიდებულია ერთი მხრე მულისათვის განკუთვნილი ექსპორტის ღირებულებაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეითარების გასარკვევად წარმოვიდგინეთ მსოფლიო, სადაც სამი ქვეყანაა: ნეხოსლოვაკია (C), უნგრეთი (H) და დასავლეთ ევროპა (W). რომლებიც ერთმანეთთან ექსპორტს აწარმოებენ. დაეუქვით, W-ს ეკონომიკა უფრო დიდია, ეიდრე C-ს ან H-ისა, ისედაც დიდი, რომ მასზე გავლენას ეერ მოახდენს დახარხენი ორის განვითარება.

მე-19 თავში შემუშავებულ მოდელში ვახვეწეთ, თუ როგორ შეიძლება ურთიერთდამოკიდებული იყოს ორი ქვეყნის გამოშვება. ე.ი. თუ ერთი რომელიმე ქვეყნის გამოშვება იზრდება, ის მიმართავს მეტ იმპორტს სხვა ქვეყნიდან, რაც სტიმულს მისცემს გამოშვებას ამ უკანასკნელში. ჩვენ გამოიყენეთ ეს ანალიზი 23-2 გრაფიკით (თითქმის იგივე, რაც 19-4 გრაფიკი). გრაფიკის პორიზონტალურ და ვერტიკალურ ღერძებზე მოცემულია ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გამოშვებები Y_c და Y_u . HH^1 მრუდი გვიჩვენებს, რა გავლენას ახდენს უნგრეთის გამოშვებაზე ჩეხეთის გამოშვება. ესაა ზემოთ მიმართული მრუდი, რადგან Y_c ს ზრდა გამოიწვევს ჩეხოსლოვაკიის იმპორტის ზრდას უნგრეთიდან, რაც თავის მხრივ გამოიწვევს უნგრეთის გამოშვების გაფართოებას. ასევე CC^1 მრუდი გვიჩვენებს, როგორ გავლენას ახდენს უნგრეთის გამოშვება ჩეხეთის გამოშვებაზე როგორც მე-19 თავშია აღწერილი, შეგვიძლია დაეუშვათ, რომ HH^1 არის უფრო პორიზონტალური, ვიდრე CC^1 , რაც ნიშნავს, რომ (1) ვერტიკალურ სტაბილური წონასწორობაა აღნიშნული.

ახლა დაეუშვათ, რომ სვეის დაშლის შემდეგ თითოეულმა ქვეყანამ შეიცვალა თავისი აღმოსავლეთ ევროპელი მომხარაგებელი და დასავლეთის მიმწოდებლებზე გადაერთო. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი გამოშვების ნებისმიერ დონეზე უნგრეთი ნაკლებ იმპორტს მიიღებდა ჩეხოსლოვაკიიდან, რის გამოც ჩეხეთის გამოშვება შესაბამისად ნაკლები იქნებოდა. ასე რომ, მრუდი, რომელიც განსაზღვრავს ჩეხეთის გამოშვებას, გადაადგილდება მარცხნივ CC^2 -სკენ. ასევე ჩეხეთის გამოშვების ნებისმიერ დონეზე, უნგრეთის ექსპორტი ჩეხოსლოვაკიაში ნაკლები იქნება და უნგრეთის გამოშვების განმსაზღვრელი მრუდი ქვემოთ დაიწევს HH^2 -კენ. წონასწორობა გადაინაცვლებს (1)-დან (2) ვერტიკალისაკენ: თითოეული ქვეყნის გადაწყვეტილება – ნაკლები იყიდოს მეზობელი ქვეყნისაგან და მეტი დასავლეთისაგან – ორივე ქვეყნის გამოშვებას ამცირებს.

თუ გადავხედავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას კომუნისტური რეჟიმის დამხობის პირველ ორ წელს, ვნახავთ, რომ შემცირების მთავარი ფაქტორი იყო სვეის ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემცირება. 23-3 ცხრილში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოშვების პირველი შემცირება შედარებულია სვეის სხვა ქვეყნებში ექსპორტის კლებასთან. ის გვიჩვენებს, რომ ტრადიციული ვაჭრობის დაქვეითება ძალიან დიდი მასშტაბისა იყო და შეიძლება ჩაითვალოს გამოშვების შემცირების მთავარ მიზეზად.

გრაფიკი 23-2 სპეციფიკური საეაჭრო ურთიერთობების დასრულებით გამოწვეული რეგულირების პრობლემა



უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკები დაკავშირებულია ერთმანეთთან თავიანთი იმპორტით. რაც მეტია თითოეული ქვეყნის გამოშვება, მით მეტია მეორე ქვეყნის ექსპორტი და გამოშვება. თუ თითოეული ქვეყანა დაიწყებს ყიდვას სხვა წყაროდან, წონასწორობა გადაადგილდება (1)-დან (2) ვერტიკალისაკენ: გამოშვება ორივე ქვეყანაში დაეცემა.

შიდა მოთხოვნის კლება

როგორც აღვნიშნეთ, გამოშვების შემცირების მთავარი ფაქტორი იყო ვაჭრობის შემცირება, მაგარამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური სისტემის ერთმანეთთან დაკავშირებული ორი კომპონენტი: უსარმაზარი სამხედრო ხარჯები და კაპიტალდაბანდებები მიმღე მრეწველობაში.

1989 წლამდე საბჭოთა კავშირი ინარჩუნებდა შეიარაღებულ ძალებს, რომელიც სომითა და შეიარაღებით თითქმის უტოლდებოდა აშშ-სას, რომელთანაც შედარებით საბჭოთა ეკონომიკა ერთობ მწირი იყო. ძნელია განსაზღვრა, ეშპ-ს რა ნაწილს შეადგენდა იგი, მაგარამ, ბევრი შეფასებით, იგი 15% -ს აჭრებდა (აშშ-ს თავდაცვაზე იხარჯებოდა მისი ეშპ-ს 5%-ზე ნაკლები). საბჭოთა კავშირის დაშლამ რეალურად ბოლო მოუდო ამ ხარჯებს და ბევრი სამხედრო დანიშნულების ქარხანა როგორც სსრკ-ში, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში გაიხრდა.

1989 წლამდე სისტემას ახახიათებდა, აგრეთვე, დიდი კაპიტალდაბანდებები მიმღე, მაგალითად, ყოვლის მრეწველობაში. რომელიც თავის მხრივ საჭირო იყო სამხედრო უსრუნველყოფისათვის. 1990 წლამდე სვეის სივრცეში ეშპ-ს 30%-ზე მეტი მიდიოდა ამ კაპიტალდაბანდებებზე, რაც გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ეს

იყო მაღალგანვითარებულ იაპონიაში. კომუნისტების დამხობის შემდეგ კაპიტალდაბანდებები 50%-ით შემცირდა ორი მიწისის გამო. პირველი, სისტემის ნგრევამდე კაპიტალდაბანდებებიდან მოგების ნორმა ძალიან დაბალი იყო. მეორე, დიდი კაპიტალდაბანდებების მქონე მრეწველობის გამოშვებაზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა (მაგალითად, ფოლადზე, როცა რუსეთმა შეწყვიტა ტანკების დიდი რაოდენობით გამოშვება). კომუნისტური სისტემის დასასრულის პირველ წლებში მის მიერ გამოშვებულ ზოგიერთ საქონელზე მოთხოვნა გაქრა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გამოშვების უმეტესობა დაბალი ღირებულებით ხასიათდებოდა – იარაღი, რომელიც აღარ იყო საჭირო, ძალიან დაბალი ზღვრული მწარმოებლურობის მქონე მანქანები და ა.შ. (საერთოდ, საქონელი, რომლის იმპორტსაც ერთმანეთთან აწარმოებდნენ სევის ქვეყნები, ძალიან დაბალი ხარისხისა იყო). ასე რომ, გარდამავალ პერიოდში გამოშვების უზარმაზარ შემცირებას თან არ მოჰყვა ცხოვრების დონის დაცემა. მაგალითად, რუსეთში 1989 - 1993 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით რეალური ეშპ შემცირდა დაახლოებით 30 %-ით, მაგრამ რეალური მოხმარება თითქმის არ შემცირებულა.

ცხრილი 23-3 ვაჭრობისა და გამოშვების შემცირება

ქვეყანა	გამოშვების კლება 1989-1991 წწ. (%)	სევის სხვა ქვეყნებში ექსპორტის ცვლილებები (როგორც საწყისი გამოშვების %)
რუმინეთი	- 19	- 10
ჩეხოსლოვაკია	- 17	- 9
უნგრეთი	- 12	- 8
პოლონეთი	- 20	- 4
საბჭოთა კავშირი	- 17	- 4

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დონე ისე არ დაცემულა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოშვების შემცირებას დიდმა სტაბილური უმუშევრობა მოჰყვა. ისმის კითხვა: რატომ მოხდა ასე? მართალია, დასაქმების ბევრი წყარო (მაგალითად, სამხედრო დანიშნულების ნაწარმის გამოშვება), რომელიც აწარმოებდა საქონლის ექსპორტს სევის ქვეყნებში, აღარ ფუნქციონირებდა, მაგრამ რატომ არ გახდა შესაძლებელი ამ სფეროში დასაქმებული სამუშაო ძალის სხვა ახალ საქმიანობაში გადართვა?

დასაქმების პრობლემები

სტანდარტული მაკროეკონომიკური ანალიზი (მე-16 და მე-17 თავები) თითქოს ადვილი პასუხის საშუალებას იძლევა მოთხოვნის კლების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა სევის ქვეყნებში 1989 წლის შემდეგ. მაშ რატომ არ მოხდა კლების კომპენსაცია დეველუაციით ან ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკით ისე, რომ მუშები და სხვა რესურსები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ ტრადიციულ წარმოებაში, გადანაცვლებულიყვნენ ახალ სამუშაოზე და ეწარმოებინათ სამომხმარებლო საქონელი ან მომსახურება და ა.შ.?

მოკლე პასუხი ასეთი გახლავთ – ახალი დასაქმება გარკვეულწილად განხორციელდებოდა, სევის ქვეყნების მოთხოვნის გაფართოების უნარი შეზღუდული რომ არ ყოფილიყო ინფლაციასთან დაკავშირებული პრობლემებით. როგორც 23-1 ცხრილის B ნაწილი გვიჩვენებს, გარდამავალი პერიოდის პირველ წლებში აღინიშნებოდა ინფლაციის მაღალი ტემპი, რაც სოფ შემთხვევაში სრული მიპერიფლაციის საშიშროებას ქმნიდა. ამის გამო ბუნებრივია, ქვეყნები ეცდებოდნენ, შემცირებინათ ფულის მასის მატება და არ გაეზარდათ იგი დასაქმების გაფართოების მიზნით.

მაგრამ ეს ბალებს შემდეგ კითხვას: დაუსაქმებელი რესურსების არსებობამ როგორ შეაკავა ინფლაცია? პასუხი: ეს რესურსები არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ დაემყოფილებინა სამომხმარებლო მოთხოვნა. დაუსაქმებელი მუშები და ჯაბი სიმძლავრე კონცენტრირებული იყო ჯერ კიდევ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებდნენ ფოლადს, მანქანებს და იარაღს. ამასობაში კი ბაზარს სჭირდებოდა სამომხმარებლო საქონელი და მომსახურებანი, პროდუქტები, რასაც ამსაღებდნენ კერძო სექტორის პატარა ფირმები. ფაქტობრივად, გარდამავალ პერიოდში ქვეყნების გამოშვება და დასაქმება შემცირდა ტრადიციულ სექტორში, სამაგიეროდ გაიზარდა კერძო სექტორში. 1996 წლისათვის სახელმწიფოს ძველ საწარმოებში დასაქმებული იყო გაცილებით ბევრი მუშა, ვიდრე კერძო ფირმებში – მაგალითად, რუსეთში 5 კაციდან 1 დასაქმებული იყო კერძო სექტორში. ეს უკანასკნელი ისე სწრაფად ვერ ფართოვდებოდა, რომ შთაენთქა სახელმწიფო მრეწველობაში მომუშავეთა დიდი რაოდენობა.

შესაძლოა, ეს პრობლემა თანდათან გამოსწორდეს, როცა კერძო სექტორის სიმძლავრე შესაბამისად გაიზარდება და წარმოშობს უამრავ, ახალ და ხელმისაწვდომ სამუშაო ადგილს. მართლაც, ბევრმა გარდამავალმა ქვეყანამ – მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკამ და ბალტიის ქვეყნებმა (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი) ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწია 1996 წლისათვის. სხვაგან, კერძოდ რუსეთში, რეკვირების პრობლემებმა გამოიწვია პოლიტიკური ბატალიები, რამაც შესაძლოა ძირი გამოეუთხაროს თვით გარდამავალ პერიოდს.

რუსეთის ნავთობთან დაკავშირებული სირთულეები

ის სიძნელეები, რომელიც გაჩნდა რუსეთის ნავთობის მრეწველობაში უცხოური ინვესტიციების მიზიდვის შემდეგ, კარგი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეუქმლია პოლიტიკურ არასტაბილურობას, ხელი შეუშალოს გარდამავალი ეკონომიკის განვითარებას.

უცხოური ინვესტიციები რუსეთის მრეწველობაში ერთიერთი მთავარი შესაძლებლობების იძლევა თავისი უსარმაზარი რესურსების გამო. რუსეთი მსოფლიოში ნავთობის მეორე მწარმოებელია (საუდის არაბეთის შემდეგ) და მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, თუ ექნება სათანადო კაპიტალი, უკეთესი მენეჯმენტი და თანამედროვე ტექნოლოგია. დასაყვლეთის ნავთობის კომპანიები მზად არიან, მაშინ როდესაც რუსეთს ეს ეველაფერი. მრეწველობის ექსპერტები ერთხელ ვარაუდობენ, რომ წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესება, რასაც დასაყვლეთის კომპანიებმა შეიძლება მიაღწიონ, მათ გაცილებით მეტის მოგების საშუალებას მისცემს მაშინაც კი, თუ იმავედროულად რუსეთის მთავრობას გადაუხდინან წიაღისეულის დამუშავების ბევრად მეტ გადასახადს. ვიდრე რუსეთი იღებდა ნავთობის არსებული ექსპორტიდან. მიუხედავად ამისა, 1996 წლისათვის რუსეთის ნავთობის მრეწველობამ ძალიან მაკრძალველი უცხოური ინვესტიციები მიიზიდა; ათობით მილიარდი დოლარის ინვესტიციები უნდა განხორციელდებოდა იმის შიშით, რომ როდესმე ნაციონალისტური პოლიტიკოსები დააბრუნებდნენ უცხოელებს მათი ეროვნული სიმდიდრის მითვისებაში და მთავრობის მიერ ინვესტიციების ექსპორტირებისას.

1996 წლის დასაწყისში დუმამ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ, მიიღო ახალი კანონი ნავთობში უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც ამ შიშის საბაბს იძლეოდა. კანონი მოითხოვდა, რომ ნებისმიერი ახალი ინვესტიციისათვის აუცილებელი იყო კანონმდებლობის დასტურის; ის ზღუდავდა უცხოური ნავთობის კომპანიების უფლებას, მიემართათ საერთაშორისო სსსამართლისათვის კონტრაქტის კონფლიქტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოსატანად; კანონი უნარჩუნებდა რუსეთის მთავრობას უფლებას, თავიდან განეხილა კონტრაქტის პირობები, თუ ნავთობის მსოფლიო ფასი გაიზრდებოდა, ფაქტობრივად, დუმამ დააკანონა ის, რომ თუ ნავთობის მრეწველობაში დაბრუნდებოდა უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მოგებიანი იქნებოდა, რუსეთის მთავრობა მითვისებდა დამატებით მოგებას.

პოლიტიკურმა რისკმა შეაფერხა რუსეთის ნავთობში უცხოური ინვესტიციების ჩაღება.

ფინანსური და საგადასახდლო ბალანსის საკითხები

გარდამავალი ეკონომიკის სიძნელეები გარკვეულწილად დამოკიდებულია ფინანსური და საგადასახდლო ბალანსის პრობლემებზე. რუსეთს აქონდა კაპიტალის გადინებასა და დოლარის/საცხისთან დაკავშირებული პრობლემები.

ვალდებულებები, უცხოური ინვესტიცია და მიმდინარე ანგარიშში გარდამავალი ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა

კომუნისტური სისტემის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ გარდამავალი ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა მიიზიდავდნენ დიდ კაპიტალს დანარჩენი მსოფლიოსაგან. ბევრი დამკვირვებელი იმასაც კი წახვდა, რომ ეს შედინებები ისეთი დიდი იქნებოდა, რომ იგი წარმოშობდა კაპიტალის გლობალურ ნაკლებობას. კაპიტალის შედინება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ემყარებოდა ორ საკითხს: პირველი, სვეის ქვეყნებს აქონდათ კაპიტალდაბრუნების მაღალი ტემპი 1989 წლამდე, რისი დიდი ნაწილიც მოდიოდა მათი მრეწველობისა და თავდაცვასთან დაკავშირებულ სექტორზე. რომელიც არ იყო ის სექტორი, სადაც ამ ქვეყნების შედარებით უპირატესობა უნდა განსახდებოდა იყო მომავალში. მეორე, სვეის ქვეყნების სამუშაო ძალა არა მარტო რიცხობრივად იყო დიდი, არამედ კარგად განათლებულიც – კერძოდ, ყოფილი სსრკ-ს ბევრი ინჟინრისა და ტექნიკური სპეციალისტი პერსონალის კვალიფიკაციას დასაყვლეთში საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ. ე.ი. გონივრული იქნებოდა, დაგვეშვა, რომ გარდამავალი ეკონომიკები შესთავაზებდნენ უცხოურ ინვესტორებს მაღალ მოსალოდნელ მოგებას და რომ ამ ეკონომიკების რეალური მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება მოხდებოდა უცხოური ინვესტიციებითა და სესხებით.

მაგრამ კაპიტალის შედინება მოსალოდნელზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდა. 23-4 (ცხრილში ნაჩვენებია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის რესპუბლიკის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 1992-94 წლებში, რაც შედარებულია მექსიკის მიმდინარე ანგარიშის ბალანსთან იმავე პერიოდში. როგორც ცხრილშია გვიჩვენა, მარტო მექსიკამ ერთ წელიწადში მეტი წმინდა კაპიტალი მიიზიდა. ვიდრე აღნიშნულმა ყველა გარდამავალმა ეკონომიკამ სამი წლის განმავლობაში. უფრო მეტიც, დაფინანსება ძირითადად მოდიოდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალ ეკონომიკებში უმნიშვნელო იყო (ენგერის გარდა, რომელიც ამ პერიოდში 5 მლრდ დოლარი მიიზიდა).

	აღმოსავლეთ ევროპა	რუსეთი	შექსიკა
1992	-0.5	-4.2	-24.8
1993	-8.0	2.8	-23.4
1994	-7.5	-1.0	-29.5

რატომ აქვთ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ამდენი სიძნელეები უცხოური ინვესტიციების მიზიდვასთან დაკავშირებით? ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხია – პოლიტიკური არასტაბილურობა. უცხოელი ინვესტორები ფრთხილობდნენ, მიემართათ თავიანთი ფონდები იმ ქვეყნებისაკენ, რომლებიც უცებ გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. ეს სიფრთხილე კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გარდამავალი პერიოდის სიძნელეები აშკარა გახდა და ინვესტორები რისკის წინაშე აღმოჩნდნენ.

უცხოელი ინვესტორების მხრიდან შეშფოთება, აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ კაპიტალის ექსპორტი იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ გარდამავალ ეკონომიკებს არ შეეძლოთ დაეფინანსებინათ დიდი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

რეფორმების წინააღმდეგ

1995 წლისათვის ეკონომიკურმა სიძნელეებმა ხელი შეუწყო მოვლენების საოცარ განვითარებას რამდენიმე გარდასაჯულ ეკონომიკაში: კომუნისტები მთავარ პოლიტიკურ ძალად იქცნენ – 1995 წელს პოლონეთში კომუნისტების კანდიდატი აირჩიეს პრეზიდენტად, რომელმაც დაამარცხა 1981 წლის აჯანყების ლიდერი ლუბ ვალენსა (ახალმა პრეზიდენტმა არსენების შემდეგ მალე დატოვა პოსტი, რადგან გამოაშკარავდა, რომ ის იყო საბჭოთა აგენტი). 1995 წლის დეკემბერში რუსეთში პარალელური არსენებში კომუნისტურმა პარტიამ საკმაოდ ბევრი ხმა მიიღო, თუმცა უმრავლესობისაგან იგი საკმაოდ შორს იყო. ყოველ შემთხვევაში 1996 წლის დასაწყისში აშკარად შესაძლებელი გახდა, რომ კომუნისტები – ალბათ ნაციონალისტებთან ერთად – მალე კვლავ შეუღებოდნენ რუსეთის მართვას.

ასეთი პოლიტიკური მოვლენები გამოიწვევდა თუ არა ძველი ცენტრალური დაგეგმვისაკენ დაბრუნებას? ბევრი მკვლევარის აზრით, ეს შეუძლებელი იქნებოდა, ძალიან ბევრი ადამიანი – მათ შორის ყოფილი კომუნისტები – გამდიდრდნენ ახალი რეჟიმის პირობებში და მოელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა მათ დიდად გაუჭირდებოდათ. მიხედავად ამისა, აშკარა იყო ეკონომიკური რეფორმების შედეგებით გამოწვეული უკმაყოფილება. 1996 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მთავრობიდან დაითხოვა რეფორმის მხარდამჭერი თავისუფალი საბაზრო სისტემის მომხრეები და შეცვალა ისინი იმ ადამიანებით, ვინც სათავეში ელგა ეკონომიკას საბჭოთა რეჟიმის დროს.

საკითხის შესწავლისათვის

ესტონეთის წარმატების შესახებ

იმ დროს, როცა ბევრ გარდამავალ ეკონომიკას დიდი სიძნელეები შეექმნა, რამდენიმე ქვეყანამ მიაღწია წარმატებას. ყველაზე მეტად დაწინაურდა ბალტიის პატარა რესპუბლიკა – ესტონეთი, რომლის წლიური ზრდის ტემპი 1990-იან წლების შუაში 6% იყო.

ესტონეთის წარმატება დაფუძნებული იყო მის მესობულ საკანდინავიის ქვეყნებთან, კერძოდ ფინეთთან და შვედეთთან, ახლო ურთიერთობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში ხელფასის ოდენობა არის სკანდინავიის ქვეყნების ხელფასების მხოლოდ ერთი მეხუთედი, კომპანიებმა შეედეთსა და ფინეთში დაიწვეს შრომაინტენსიური სამუშაოების დაფინანსება ესტონეთში. ესტონეთის ეკონომიკის ზრდა ნაწილობრივ გამოწვეული იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობით და დასავლეთის მესობლებთან ტრადიციული კულტურული ურთიერთობებით. პოლიტიკური გარემოც ხელსაყრელი იყო. ესტონეთმა თავისი მრეწველობის პრივატიზება დაიწყო 1993 წელს, ძალიან მცირე შესრულებები დააწესა უცხოელი ინვესტორებისათვის, ნება მისცა მათ, თავისუფლად შესულიყვნენ მრეწველობებში და ესარგებლა მოგებით. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისიც იყო, რომ ესტონეთს არ აქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგია. ისინი არასოდეს თვლიდნენ თავს მის ნაწილად და მიანდათ, რომ აკეპირებული იყვნენ რუსეთის მიერ.

ამ ფაქტორების ერთობლიობის შედეგად ესტონეთს აქონდა ძალიან დიდი უცხოური ინვესტიცია ერთ

კაპიტალის გადინება და დოლარიზაცია

23-5 ცხრილი გვიჩვენებს აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის უცხოურ ვალებს 1991 წლის დასასრულიდან 1994 დასასრულამდე. არის რაღაც შემაჯობებელი შეუსაბამობა ამ მონაცემებსა და წინა ცხრილში მოცემულ მიმდინარე ანგარიშის ციფრებს შორის. მიმდინარე ანგარიშს დამატებული ძირითადი ანგარიში (რომელიც შეიცავს უცხოურ ვალს) ყოველთვის უნდა უდრიდეს ნულს; ქვეყანას, რომელსაც აქვს მიმდინარე ანგარიშსწორების აქტიური საღი, უნდა ახასიათებდეს თანაბარი ძირითადი კაპიტალის დეფიციტი და პირიქით. მაგრამ კაპიტალის შედინებები, რომელიც წარმოადგენს იყო ყოფილი კომუნისტური ქვეყნების უცხოური ვალების ზრდით, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ამ ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. ეს განსაკუთრებით ეხებოდა რუსეთს, რომელსაც მხოლოდ მცირე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (2.4 მლრდ დოლარი) ჰქონდა მთელი 3 წლიანი პერიოდის განმავლობაში. იგი კვლავ დადგა მსარდი უცხოური ვალების წინაშე (26 მლრდ დოლარზე მეტი). ეს მდგომარეობა გაღრმავდა იმ ფაქტითაც, რომ რუსეთმა მიიწიდა 2 მლრდ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელიც საკმარისი იყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დასაფარავად. სად წაეიდა მთელი ეს ნახესხები ყული?!

ცხრილი 23-5 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვალები (წლის ბოლოს, მლრდ დოლარით)

	1991	1992	1993	1994
აღ. ევროპა	101.6	113.6	119.8	125.1
რუსეთი	67.0	77.7	83.7	93.4

თანხების ნაწილი გავიდა ქვეყნიდან კაპიტალის გადინების სახით: რუსეთის მცხოვრებლებმა გაიტანეს თავიანთი ფონდები საზღვარგარეთ. კაპიტალის ეს გადინება შეიძლება ნაწილობრივ მოტივირებული იყო პოლიტიკური არასტაბილურობით, რამაც შეზღუდა უცხოური ინვესტიციები. გარკვეულწილად კაპიტალის გადინებაში ირეკლებოდა რუსეთის მოქალაქეთა (რომლებმაც დააგროვეს ქონება) მცდელობა, განეთავსებინათ თავიანთი სიმდიდრე ადგილობრივი მთავრობებისათვის მიუწევლომელ ადგილას.

აშკარა უთანხმოება კაპიტალის გადინებასა და თითქმის გაწონასწორებულ მიმდინარე ანგარიშს შორის გამოწვეული იყო უცხოური ვალუტის (ძირითადად დოლარის) სწრაფი დაგროვებით რუსეთში. ზოგიერთი ცნობით, 1995 წლისათვის დაახლოებით 20 მლრდ დოლარი (უცხოური ვალუტა) გამოიყენებოდა როგორც ქონების დაგროვებისათვის, ასევე ვალუტის გასაცვლელად. ფაქტობრივად, რუსეთში არსებული უცხოური ვალუტის ღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებდა ადგილობრივი რუბლის ადგილობრივ ღირებულებას.

ეს ფენომენი, რომელსაც ეწოდება დოლარიზაცია, წარმოშობს ორ კითხვას: რა არის ამ პროცესის მიზეზები და როგორი იქნება მისი გავლენა ეკონომიკაზე?

დოლარიზაციის მიზეზები. რუსეთში დოლარის ფართო გამოყენება არ არის უნიკალური მოვლენა. დოლარი დროდადრო წარმოადგენდა გადახდის მთავარ საშუალებას ისრაელში, არგენტინაში, მექსიკასა და სხვა უამრავ ქვეყანაში.

რა ჰქონდათ ამ ქვეყნებს საერთო? ყველა შემთხვევაში ისინი განიცდიდნენ სწრაფ ინფლაციას, რომელიც იწვევდა ადგილობრივი მცხოვრებლების უნდობლობას საკუთარი ვალუტის მიმართ (იხ. მე-14 თავი). ადგილობრივი ვალუტის ნაკლები შენახვის ერთ-ერთი გზაა გადასახდელ საშუალებად უცხოური ქვეყნის ნაკლებად ინფლაციური ვალუტის გამოყენება. რადგან აშშ დოლარი ყველასათვის საკმაოდ ნაცნობია და აშშ არ აკონტროლებს დოლარის გამოყენებას, თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ადამიანებს აღარ აწყობთ ადგილობრივი ვალუტა, მის ნაცვლად მიმართავენ ხოლმე დოლარს.

ინფლაცია ყოველთვის არ იწვევს დოლარიზაციას. მთავარი წინააღმდეგობა ის არის, რომ ბევრ შემთხვევაში დოლარის ან სხვა უცხოური ვალუტის, როგორც შემცველდის, გამოყენება არაღელვარებლად ითვლება. მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებს აქვთ ძლიერი სტიმული, შესაძლოა უცხოური ვალუტის გამოყენება, რათა დაიცვან თავიანთი ფულის დაბეჭდვის ნებართვაზე გადასახადი. ასე რომ, ფართოდ გავრცელებული დოლარიზაცია მხოლოდ იწვევს უფრო მეტს, ვიდრე მაღალი ინფლაციით განპირობებული სტიმული; იგი, აგრეთვე, დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, როცა მთავრობას არ შეუძლია აიძულოს ადამიანები, გააგრძელონ ადგილობრივი ვალუტის გამოყენება.

რუსეთის მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ინფლაცია გეხედება იმ დროს, როცა მთავრობის ძალდატანების უნარი განსაკუთრებით სუსტია – ძალიან დიდი და ფართოდ ორგანიზებული დანაშაულის საფუძველზე. ყველა ამ პირობის გამო შეუძლებელი შეიქმნა რუბლის დოლარად გადაქცევის პროცესის შეჩერება.

დოლარიზაციის შედეგები. რუსეთში დოლარის მსარდ გამოყენებას ორი ძირითადი შედეგი მოჰყვა ეკონომიკისათვის: პირველი, კაპიტალის გადინების ფორმა – რუსეთის დანაშოგის ნაწილი გამოყენებული იქნა ინვესტიციების დასაფინანსებლად რუსეთის გარეთ. მეორე, ადგილობრივი ვალუტის შეცვლით დოლარის მარაგი ამცირებს მთავრობის მიერ სენიორაჟის ამოღების შესაძლებლობას.

რაც შეეხება პირველ შედეგს – რუსეთის მცხოვრებთა მიერ დოლარის მომარაგება შეიძლება ჩავთვალოთ კაპიტალის გადინებად ორი გზით:

1. რუსეთის მცხოვრები ხსნის ანგარიშს ნიუ-იორკის ბანკში და ინახავს ანაბარს 10 000 დოლარს.
2. რუსეთის მცხოვრები ინახავს ნაღდ ფულს 10 000 დოლარს მოსკოვის ბანკის საცავში.

პირველ შემთხვევაში შეიძლება მოგვეხსენიოთ, რომ რუსეთის მცხოვრებმა შეიძინა უცხოური, ხოლო მეორე შემთხვევაში ადგილობრივი აქტივი. საბანკო ანგარიში კი სხვა არაფერია, თუ არა ბანკის მხრიდან პირობა, რომ გადაიხდის დოლარს მოთხოვნისთანავე. მოსკოვში შენახული დოლარი ღირებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის საბოლოოდ შეიძლება დაიხარჯოს აშშ-ში. ე.ი. თითოეულ შემთხვევაში მთავარია ის, რომ რუსეთის მცხოვრებს აქვს 10 000 დოლარის მოთხოვნა აშშ-ს მიმართ.

ასეთი მოთხოვნები ადვილად არ ყალიბდება. იმისათვის, რომ გაზარდოს თავისი მოთხოვნები აშშ-ს მიმართ, საბანკო ანგარიშები იქნება ეს, თუ რეალური დოლარის ბანკნოტები, რუსეთის მცხოვრებმა სანაცვლოდ უნდა გაიყოს რაღაც. ამიტომაც არის, რომ რუსეთს, მიუხედავად დიდი სესხებისა საზღვარგარეთიდან, არა აქვს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი: იგი აქტივების (საბანკო ვალი) მიყიდვას უცხოელებზე იყენებს არა იმპორტის, არამედ სხვა აქტივების (დოლარებისა და საბანკო ანგარიშების) შექმნის დასაფინანსებლად.

დოლარიზაციას მოჰყვა რესურსების სერიოზული გადახრები. დოლარის ბანკნოტები არ ქმნის რაიმე უკუგებას ან პროცენტს. 20 მლრდ დოლარი – ეს არის რუსების მიერ შექმნილი უცხოური ვალუტა, რომელიც წარმოადგენს იმ რესურსებს, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო წარმატებული ინვესტირებისათვის რუსეთის საწარმოებში.

დოლარიზაცია დამატებით წარმოშობს პრობლემებს მთავრობის ფინანსებში (მაგალითად, რუსეთში 1990-იანი წლების შუაში) და დამოკიდებულია დეფიციტის დასაფარად საჭირო სენიორაჟის სიდიდეზე. ეთქვათ, დოლარს უკავია ბრუნვაში არსებული მთელი მონეტარული ბაზის ნახევარი, მაშინ რუბლის მასის ზრდის მოცემული ტემპი წარმოშობდა ფულის სენიორაჟის მხოლოდ ნახევარს, რომ არ ყოფილიყო დოლარიზაცია. თუ მთავრობა ზრდის ტემპს და ბეჭდავს ფულს, ეს იწვევს სწრაფ მაღალ ინფლაციას – რომელიც შემდგომში ზრდის დოლარისაკენ გადასვლის სტიმულს. ისრაელში 1980-იანი წლების შუაში ინფლაციისა და დოლარიზაციის პროცესებმა კინაღამ გამოიწვია პიკერინფლაცია.

შემდგომში დოლარიზაციის პროცესი რუსეთში ქვეყნის ეკონომიკური სიმწვევების ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. იმის ნაცვლად, რომ რესურსები დახარჯულიყო პროდუქტიულ ინვესტიციებში, მოხდა დოლარის ბანკნოტების არაპროდუქტიული აკუმულირება. ამას მოჰყვა საბიუჯეტო დეფიციტი და ინფლაცია.

მომავლის პერსპექტივები

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ სოგან ის წარმატებულად განხორციელდა; მაგალითად, ესტონეთში (რომელმაც მიაღწია წარმატებას მსოფლიო ეკონომიკასთან ახლო ერთობლიობით), პოლანეთში და ჩეხეთის რესპუბლიკაში – რაც იმის ნიშანია, რომ გვირაბის ბოლოს შექი სანს. ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში გარდამავალ ეკონომიკებს შეუძლიათ მიაღწიონ ცხოვრების გაცილებით მაღალ დონეს, ვიდრე ისინი მიაღწეულნენ ცენტრალური დაგეგმვის პირობებში.

მიუხედავად ამისა, სოგიერთი ანალიტიკოსი შიშობს, რომ გარდამავალი პერიოდი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს სოგიერთი ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოსათვის – მათ შორის თვით რუსეთისათვის. რადგან ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდი იწვევს უმუშევრობასა და ცხოვრების დონის დაცემას, საბაზრო ეკონომიკის იდეა მსარდი შემოტევაების საგანი ხდება, რასაც მოსდევს ადგილობრივ ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებში პოლიტიკური ნარკების ზრდა. მთავრობის ასეთი წარუვა, თავის მხრივ, ხელს უწყობს მეწარმეებს კერძო სექტორი გაზრდაში, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დაარწმუნონ სასოგადოება, რაოდენ მომგებიანია მათთვის საბაზრო ეკონომიკა.

ეს სცენარი ჯერ ვერ განხორციელდა. მომავალში კი მოსალოდნელია ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების გონივრული ციკლი და მსარდი პოლიტიკური ნდობა. ეს უკვე ხდება კიდევაც სოციალურ ქვეყანაში და სერიოზული ჩაქარდნებიც კი ეკონომიკურ რეფორმებში არ არის შედგენილი ხასიათის. როგორც მე-10 თავში განვიხილეთ, ათწლიანი პროტექციონისტული პოლიტიკის შემდეგ ბევრ განვითარებად ქვეყანაში მოხდა გადასვლა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე; ეს გვინებებს, რომ ეკონომიკური რეფორმა ყოველთვის არ უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკურად შეუძლებელი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ეკონომიკის გარდამავალი პერიოდი შეიძლება სათვალის დრამატულ გაკვეთილად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების წარმართვაში.

რეზიუმე

1. 1989-91 წლებში კომუნისტური რეჟიმის დაცემამ გამოიწვია ერთ დროს მკიდრად შეკრული ეკონომიკური ზონის დაშლა. კომუნისტური რეჟიმის დაცემამდე საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპა გაერთიანებულნი იყვნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში (სეე) და საბჭოთა კავშირის სახედასხვა რესპუბლიკები წარმოადგენდნენ ერთიანი გეგმიანი მექანიზმის ნაწილებს. ეს ქვეყნები, ახლა გარდამავალი ეკონომიკები, აღმოჩნდნენ რეკულერების პრობლემების წინაშე, რომელშიც სევისა და საბჭოთა კავშირის დანგრევამ გადაამწვეტი რილი ითამაშა.
2. სევი წარმოადგენდა დიდ დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის წევრი ქვეყნები ნაკლებად ვაჭრობდნენ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან, საშავიეროდ, გაცხოველებული ვაჭრობა აქონდათ ერთმანეთთან. რეჟიმის დაცემის შემდეგ ვაჭრობა საკმაოდ შემცირდა, რადგანაც სევის ყოფილი ქვეყნები გადაერთვნენ დასავლეთიდან იმპორტზე. ამან დიდი გავლენა მოახდინა გარდამავალ ეკონომიკებზე. სხვა ფაქტორებმა, კერძოდ, მასობრივი სამხედრო ხარჯების შემცირებამ, გამოიწვია გამოშვების ძლიერი შემცირება, რის შედეგადაც მოული რეგიონი რეცესიამ მიიქცა.
3. გარდამავალი ეკონომიკები ადვილად ვერ ანახლავდნენ მთიხილის შედეგს დეველუაციის ან მონეტარული ექსპანსიის საშუალებით. რადგანაც ადგილი აქონდა მაღალ ინფლაციას. ინფლაციებისა და სამხედრო ხარჯების შემცირებამ წარმოშვა ჭარბი სიმძლავრეები, რამაც ვერ შეხლულა ინფლაცია, რადგანაც ის კონცენტრირებული იყო შეუფერებელ სექტორში.
4. თუმცა ბევრი მკვლევარი მოელოდა, რომ მოხდებოდა დიდი კაპიტალის შედინებები გარდამავალ ეკონომიკებში, პირველ წლებში ადგილი აქონდა მხოლოდ მცირე შედინებებს. ძირითადად პოლიტიკური არასტაბილურობის გამო. უფრო მეტიც, ბევრ გარდამავალ ეკონომიკაში – კერძოდ, რუსეთში – უცხოური კაპიტალის შედინებები გამოიყენებოდა კაპიტალის საზღვარგარეთ გადინებისა და დოლაროზაციის და არა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად.
5. დოლარიზაცია განხორციელდა რამდენიმე ქვეყანაში. ის გამოხატავს ინდივიდუალურ სურვილს – თავიდან აიცილონ ადგილობრივი ვალუტის შენახვა მაღალი ინფლაციის პირობებში, და მთავრობის უუნარობას – დააკანონოს ეროვნული ვალუტის გამოყენება.
6. დოლარიზაციამ გაართულა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იმით, რომ არ გამოიყენა ის რესურსები, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო პროდუქტიული ინფლაციების დასაფინანსებლად და იმით, რომ შეამცირა მთავრობის მიერ სენიორაჟის ამოღების უნარი.

პირითადი ტერმინები

კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა (გადინება)
კოორდინაცია
დოლარიზაცია
გარდამავალი ეკონომიკები

ცენტრის მიერ დაგეგმილი ეკონომიკები
ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (სეე)
კორექტირების პრობლემა

პითხვები

1. ტექსტში ჩვენ ვაჩვენებთ, რომ სევის ეკონომიკები შედარებით დახურული იყო საგარეო ვაჭრობისათვის, ისინი ვაჭრობდნენ ერთმანეთთან. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სევის ეს ორიენტაცია, წარმოიდგინეთ გამარტივებული მსოფლიო, სადაც არის მხოლოდ სევის ორი ქვეყანა, პოლონეთი და უნგრეთი, და მხოლოდ ორი საქონელი, ავტობუსები და ტრაქტორები. უფრო მეტიც, მსოფლიო არის რიკარდოს მოდელის ტიპის: როგორც ვიცით, მოდელში (თავი 2) შრომა წარმოების ერთადერთი ფაქტორია. თითოეულ ქვეყანას აქვას 1 მლნ შემსახელი. ჩვენ ვუძებნებთ, რომ ერთი ტრაქტორის საწარმოებლად თითოეულ ქვეყანაში საჭიროა 5 მუშა, მაგრამ საჭიროა 6 უნგრელი მუშა ტრაქტორის ან 8 პოლონელი მუშა 1 ავტობუსის საწარმოებლად.
ვთქვათ, ორივე ქვეყანა მოქმედებს, როგორც თავისუფალი ბაზრის მქონე ეკონომიკები და თავისუფლად ვაჭრობენ მსოფლიო ბაზარზე. სადაც ყოფიან ტრაქტორებსა და ავტობუსებს – თითოეულს 30 000 დოლარად.

- ა. აღწერეთ სპეციალიზაციისა და ვაჭრობის სტრუქტურა.
 - ბ. განსაზღვრეთ რეალური ხელფასი თითოეულ ქვეყანაში ორივე საქონლის სახით.
 - გ. დაუშვათ, რომ თითოეული ქვეყანა ხარჯავს თავისი შემოსავლის ნახევარს ტრაქტორებზე, მეორე ნახევარს კი ავტობუსებზე. როგორი იქნება ექსპორტის წილი თითოეული ქვეყნის მშპ-ში? როგორი იქნება ექსპორტის წილი გარეთა მსოფლიოსთან ვაჭრობაში რეგიონის კომბინირებულ მშპ-ში?
2. პირველ კითხვაში არსებული ვარაუდის გათვალისწინებით დაუშვათ, რომ პოლინეთი და უზგრეთი წყვეტენ ვაჭობას მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან, მაგრამ ინარჩუნებენ ვაჭრობას ერთმანეთთან. უარყავით ის ფაქტი, რომ ისინი არიან გეგმიანი ეკონომიკები და დასვით კითხვა: რა მოხდება თავისუფალი ბაზრის პირობებში?
 - ა. აღწერეთ სპეციალიზაციისა და ვაჭრობის სტრუქტურა.
 - ბ. როგორი იქნება ექსპორტის წილი თითოეული ქვეყნის მშპ-ში? შეადარეთ პირველ შეკითხვაში (გ)-ს და ახსენით.
 - გ. განსაზღვრეთ რეალური ხელფასები თითოეულ ქვეყანაში და შეადარეთ შედეგებს, როდესაც რეგიონი ღიაა ვაჭრობისათვის.
 3. ერთმა ქვეყანამ, რომელიც არასოდეს ყოფილა კომუნისტური, ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს შორის არეულობით დიდი ზარალი განიცადა. 1991 წლამდე ფინეთი (საბჭოთა კავშირის მესობელი ქვეყანა, რომელსაც აქონდა საბაზრო ეკონომიკა და პოლიტიკურად ნეიტრალური იყო) იყო სამრეწველო საქონლის ძირითადი მიმწოდებელი საბჭოთა ბაზარზე. ფინეთი ახლა მძიმე რეცესიაშია და მისი ვალუტა – მარკა – გაუფასურებულია.

მოათავსეთ ფინეთი აღმოსავლეთ ევროპაში რეგულირების პრობლემასთან დაკავშირებული ანალიზის კონტექსტში. რით განსხვავდება ეს პრობლემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემისაგან?
 4. მეორე ქვეყანა, რომელმაც პოლიტიკური მოვლენების გავლენა განიცადა, არის კუბა. 1991 წლამდე საბჭოთა კავშირი ყიდულობდა კუბის შაქრის მოსავლის დიდ ნაწილს მსოფლიო ბაზრის დონეზე მაღალ ფასად და იქვე ყიდვიდა თავის ნაეთობს მსოფლიო საბაზრო ფასზე ნაკლებად. ის აგრეთვე უსრუწველყოფდა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირ დახმარებებს. ახლა ეს ყველაფერი შეწყდა.
 - ა. შეადარეთ კუბის მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისას. არის რაიმე განსხვავება?
 - ბ. ეთქვათ, თქვენ სათავეში უდგახართ კუბის პირველ პოსტ-კომუნისტურ მთავრობას. საერთაშორისო ვაჭრობის როგორ სტრატეგიას მიმართდით თქვენ?
 5. ერთი მიზეზი, რის გამოც გაცხოველებული ვაჭრობა იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, იყო ის, რომ საბჭოთა სისტემის პერიოდში ტრანსპორტირება ძალიან იაფი ჯდებოდა, გაცილებით იაფი, ვიდრე გადასასიდი საქონლის რეალური ღირებულება. რატომ უწყობდა ხელს დაბალი სატრანსპორტო გადასახადები ძალიან დიდი ქარხნების მშენებლობას?
 6. თუ ათი წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად იქნება, ბევრი ევროპული ქვეყანა შეცვლის ეროვნულ ვალუტას ევრო ვალუტით – ევროთი. გამოიწვევს თუ არა ეს იმავე პროცესს, რაც რუსეთმა განიცადა დოლარიზაციისაგან? რატომ ან რატომ არა?
 7. ეთქვათ, ვეტეობთ, რომ რამდენიმე მლრდ „დოლარი“, რომელიც ბრუნავს რუსეთში, ყალბია და დაბეჭდილი შეა აზიაში. უნდა ითანამშრომლოს თუ არა რუსეთის მთავრობამ აშშ-ს მთავრობასთან ერთად, რათა ამოიღოს ისინი ბრუნვიდან? (იფიქრეთ ამაზე ყურადღებით. შეიძლება არსებობდეს რამდენიმე პასუხი).

მათემატიკური დამატება

მე-3 თავის დამატება

სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელი

ამ მინაწერში წარმოგიდგენთ მათემატიკურ ფორმულას, წარმოების სპეციფიკური ფაქტორის მოდელისათვის, რომელიც აღწერს წინამდებარე თავში. ეს დაგვეხმარება თვით მოდელის უკეთ გაგებაში და განსაზღვრავს იმ კონცეფციის განვითარების შესაძლებლობას, რომელიც გამოიყენება შემდგომ მოდულებში.

საწარმოო ფაქტორის ფასები, ხარჯები და მასზე მოთხოვნები

სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელს აქვს ორი სექტორი: სამრეწველო საქონელი და საკვები. თითოეულ სექტორში გამოიყენება წარმოების ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, კაპიტალი და სამუშაო ძალა (სამრეწველო საქონელი) და მეორე მხრივ მიწა და სამუშაო ძალა (საკვები). სანამ მიუბრუნდებით მთლიან მოდელს, დაეკვირდეთ, როგორ არის დაკავშირებული საწარმოო ფაქტორების ხარჯი და მოთხოვნა მისსავე ფასებთან, როცა მეწარმე იყენებს ორ ფაქტორს.

განვიხილოთ საქონლის წარმოება, რომელიც მოითხოვს კაპიტალსა და სამუშაო ძალას, როგორც საწარმოო ფაქტორებს. საქონელი იწარმოება მედმივი მასშტაბის ეფექტით, წარმოების ტექნოლოგია შეიძლება შეჯამდეს ერთეული იზოკვანტის სახით, ანუ მრუდით, რომელიც გვჩვენებს კაპიტალისა და სამუშაო ძალის ყველა სახის კომბინაციას (II მრუდი $3\text{მ}-1$ გრაფიკში). რაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ერთეული საქონლის საწარმოებლად. II მრუდი გვჩვენებს ერთ ერთეულ გამოშვებაზე დახარჯული კაპიტალის რაოდენობას, a_K , და ერთ ერთეულ გამოშვებაზე დახარჯული სამუშაო ძალის რაოდენობას, a_L , შორის ალტერნატივას. ერთეული იზოკვანტის მოხრილობა ასახავს იმ ვარაუდს, რომ ძალიან ძნელდება კაპიტალით სამუშაო ძალის შეცვლა, როცა კაპიტალის სამუშაო ძალასთან შეფარდება იზრდება და პირიქით.


კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაში მეწარმეები აირჩევენ კაპიტალის სამუშაო ძალასთან შეფარდებას იმ წარმოებაში, რომელიც მაქსიმალურდ ამცირებს მათ ხარჯს. ხარჯის შემამცირებელი ასეთი წარმოების არსევა აღინიშნება $3\text{მ}-1$ გრაფიკში E წერტილით, სადაც II ერთეული იზოკვანტა კვეთს მრუდს, რომლის დაქანება უტოლდება სამუშაო ძალის (w) შეფარდებას კაპიტალის ფასთან (r).

წარმოების რეალური ღირებულება C უდრის კაპიტალისა და შრომითი დანახარჯების ჯამს,

$$C = a_K r + a_L w, \quad (3\text{დ}-1)$$

სადაც ხარჯის კოეფიციენტი a_K და a_L შერწყმული იქნა C -ს შესამცირებლად.

გრაფიკი 3დ-1 ეფექტური წარმოება



ხარჯების შემამცირებელი კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდება დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორის ფასებზე.

რადგანაც კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდება შეიძლება იმსახოს, რომ მინიმალურდ დაიყვანოს ხარჯები, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ცვლილება ამ შეფარდებაში არ შეამცირებს ხარჯებს. ხარჯები

არ შემცირდება არც a_K -ს სრლით და არც a_L -ის შემცირებით და პირიქით. აქედან გამომდინარეობს, რომ ხარჯის შემამცირებელი არსებებიდან ძალზე მცირე გადახრა კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდებაში გაუღუნავს ვერ მოახდენს ღირებულებაზე. ვთქვათ, da_K , da_L არის მცირე ცვლილება ხარჯის ოპტიმალური არსებებიდან. მაშინ

$$rda_K + wda_L = 0 \quad (3დ-2)$$

აღნიშნული ტოლობა აღინიშნება ნებისმიერი მოძრაობისას ერთეული იზოკვანტის გასწვრივ.

თუ საწარმოო ფაქტორის r და w ფასებს შეეცვლით, მივიღებთ ორ ეფექტს: ის შეცვლის a_K -სა და a_L -ის არსებებს და შეცვლის წარმოების ხარჯს.

პირველი ეფექტი – განვიხილოთ ერთი ერთეული გამოშვების საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალისა და სამუშაო ძალის გაუღუნა შესადარ რაოდენობაზე. ხარჯის შემამცირებელი კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდება დამოკიდებულია სამუშაო ძალის ფასის შეფარდებაზე კაპიტალის ფასთან:

$$\frac{a_K}{a_L} = \Phi \left(\frac{w}{r} \right). \quad (3დ-3)$$

წარმოების ხარჯებიც შეიცვლება. საწარმოო ფაქტორის dr და dw ფასებში მცირე ცვლილების დროს წარმოების ხარჯების ცვლილება იქნება:

$$dC = a_K dr + a_L dw + rda_K + wda_L. \quad (3დ-4)$$

(3მ-2) ტოლობიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ (3მ-4) ტოლობაში მოცემული ბოლო ორი შესაქრების ჯამი უდრის ნულს. აქედან გამომდინარე საწარმოო ფაქტორის ფასების ეფექტი ხარჯზე შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$dC = a_K dr + a_L dw. \quad (3დ-4)$$

აღმოჩნდა, რომ ძალიან მოსახერხებელია (3მ-4) ტოლობისაგან ვაწარმოთ განსხვავებული ტოლობა, რომლის ზოგიერთი ელემენტის გაყოფითა და გამრავლებით მან შეიძლება შემდეგი სახე მიიღოს:

$$\frac{dC}{C} = \left(\frac{a_K r}{C} \right) \left(\frac{dr}{r} \right) + \left(\frac{a_L w}{C} \right) \left(\frac{dw}{w} \right). \quad (3დ-5)$$

dC/C შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცენტული ცვლილება C -ში და შეიძლება გამოვსახოთ როგორც

$$\bar{C} = \theta_K \bar{r} + \theta_L \bar{w}, \quad (3დ-5)$$

სადაც,

$$\theta_K + \theta_L = 1.$$

ეს არის უკიდურესად გამოსაღები მათემატიკური გზა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გამოსახატავად.

საწარმოო ფაქტორის ფასების ურთიერთობა შეიძლება მათემატიკურად გამოისახოს კაპიტალის სამუშაო ძალასთან შეფარდებაში. სამუშაო ძალის ფასის ზრდა შედარებით კაპიტალის ფასთან ამცირებს სამუშაო ძალის შეფარდებას კაპიტალთან; ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

$$\bar{a}_L - \bar{a}_K = -\sigma (\bar{w} - \bar{r}) \quad (3დ-6)$$

სადაც σ არის პროცენტული ცვლილება სამუშაო ძალის შეფარდებაში კაპიტალთან, რაც გამოიწვეულია ერთპროცენტული ცვლილებით საწარმოო ფაქტორის ფასების შეფარდებაში და ცნობილია, როგორც **შეცვლის ელასტიურობა**.

საწარმოო ფაქტორის ფასის განსაზღვრება სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელში

სპეციფიკური საწარმოო ფაქტორების მოდელს აქვს ორი სექტორი, რომელთაგან თითოეული აკავს ახლახანს აღწერილს. სამრეწველო საქონელი იწარმოება კაპიტალისა (სპეციფიკური წარმოების ფაქტორი) და სამუშაო ძალის გამოყენებით:

$$Q_M = Q_M(K_M, L_M). \quad (3დ-7)$$

საკვები იწარმოება მიწისა (სპეციფიკური წარმოების ფაქტორი) და სამუშაო ძალის გამოყენებით:

$$Q_F = Q_F(T, L_F) \quad (3\text{დ-8})$$

მიწისა და კაპიტალის მიწოდება თითოეული სექტორისათვის შესაძლოა ნებისმიერი იყოს. სამუშაო ძალა შეიძლება განთავსებული იყოს ნებისმიერ სექტორში:

$$L_M + L_F = \bar{L} \quad (3\text{დ-9})$$

სადაც \bar{L} არის ეკონომიკის მეშახელის მთლიანი მიწოდება.

სრულყოფილად კონკურენტულ ეკონომიკაში თითოეული საქონლის ფასი უნდა უდრიდეს მისი წარმოების ღირებულებას. მაშინ სამრეწველო საქონლის წარმოებაში

$$P_M = a_{KM} r + a_{LM} w \quad (3\text{დ-10})$$

სადაც r არის კაპიტალის ფასი, w არის სამუშაო ძალის სახელფასო განაკვეთი, a_{KM} და a_{LM} ურთიერი დანახარჯის კოეფიციენტები. თუ გამოვიყენებთ (3\text{დ-6}) ტოლობას, აღმოჩნდება, რომ

$$\hat{P}_M = \theta_{KM} \hat{r}_K + \theta_{LM} \hat{w} \quad (3\text{დ-11})$$

ან

$$\hat{r}_K = \left(\frac{1}{\theta_{KM}} \right) (\hat{P}_M - \theta_{LM} \hat{w}) = \hat{P}_M + \left(\frac{\theta_{LM}}{\theta_{KM}} \right) (\hat{P}_M - \hat{w}) \quad (3\text{დ-12})$$

იგივე ხდება კეების სექტორში -

$$\hat{r}_T = \left(\frac{1}{\theta_{TF}} \right) (\hat{P}_F - \theta_{LF} \hat{w}) = \hat{P}_F + \left(\frac{\theta_{LF}}{\theta_{TF}} \right) (\hat{P}_F - \hat{w}) \quad (3\text{დ-13})$$

(3\text{დ-12}) და (3\text{დ-13}) ტოლობები საშუალებას გვაძლევს, შევცვალოთ კაპიტალისა და მიწის ფასები სამრეწველო საქონლის, საკეებისა და სამუშაო ძალის ფასებში მოცემული ცვლილებების შესაბამისად. ეს იქნება ცვლილებათა პირველი საფეხური. მეორე საფეხური არის სახელფასო განაკვეთის ცვლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე დაყრდნობით.

პირველად აღვნიშნოთ:

$$K = a_{KM} Q_M \quad (3\text{დ-14})$$

და

$$L_M = a_{LM} Q_M \quad (3\text{დ-15})$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$L_M = \left(\frac{a_{LM}}{a_{KM}} \right) K \quad (3\text{დ-16})$$

იმის გამო, რომ სპეციფიკური საწარმოო ფაქტორის - კაპიტალის მიწოდება ფიქსირებულია, სამუშაო ძალის დასაქმება სამრეწველო საქონლის წარმოებაში შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კაპიტალისა და სამუშაო ძალის შეფარდებაში ცვლილებების შედეგად. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვაწარმოოთ შემდეგი:

$$\hat{L}_M = \hat{a}_{LM} - \hat{a}_{KM} = -\sigma (\hat{w} - \hat{r}_K) \quad (3\text{დ-17})$$

(3\text{დ-12}) ტოლობიდან შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ

$$\hat{r}_K - \hat{w} = \left(\frac{1}{\theta_{KM}} \right) (\hat{P}_M - \hat{w}) \quad (3\text{დ-18})$$

აქედან გამომდინარე

$$\hat{L}_M = \sigma_M \left(\frac{1}{\theta_{KM}} \right) (\hat{P}_M - \hat{w}) \quad (3\text{დ-19})$$

სადაც, σ_M არის სამრეწველო საქონლის წარმოებაში შეცვლის ელასტიურობა და ანალოგიურად,

$$\hat{L}_F = \sigma_F \left(\frac{1}{\theta_{TF}} \right) (\hat{P}_F - \hat{w}) \quad (3\text{დ-20})$$

ახლა მივუბრუნდეთ სამუშაო ძალის სრულ დასაქმებას (3\text{დ-9}). თუ მთლიანი დასაქმება არ უნდა შეიცვალოს, მაშინ ერთ სექტორში დასაქმების ზრდა უნდა ანაზღაურდეს მეორე სექტორში დასაქმების შემცირებით:

$$dL_M + dL_F = 0 \quad (3\text{დ-21})$$

როგორც ადრე, ეს შეიძლება გამოვსახოთ ალგებრული ფორმულის საშუალებით:

$$\left(\frac{dL_M}{L_M}\right) \left(\frac{L_M}{L}\right) + \left(\frac{dL_F}{L_F}\right) \left(\frac{L_F}{L}\right) = 0 \quad (3\text{დ-22})$$

ახ

$$\alpha_M \hat{L}_M + \alpha_F \hat{L}_F = 0, \quad (3\text{დ-22'})$$

სადაც, $\alpha_M = L_M/L$ არის სამრეწველო საქონლის წარმოებაში დასაქმებული სამუშაო ძალის წილი. ბოლო საფეხურია სამუშაო ძალისა და მოთხოვნის (3მ-19) და (3მ-20) ტოლობების (3მ-22') ტოლობით შეცვლა:

$$\left(\alpha_{M M} \sigma_{KM} / \theta_{KM}\right) \hat{P}_M + \left(\alpha_{F F} \sigma_{TF} / \theta_{TF}\right) \hat{P}_F = \left[\left(\alpha_{M M} \sigma_{KM} / \theta_{KM}\right) + \left(\alpha_{F F} \sigma_{TF} / \theta_{TF}\right)\right] \hat{w} \quad (3\text{დ-23})$$

ახ

$$\hat{w} = \frac{\left[\left(\alpha_{M M} \sigma_{KM} / \theta_{KM}\right) \hat{P}_M + \left(\alpha_{F F} \sigma_{TF} / \theta_{TF}\right) \hat{P}_F\right]}{\left[\left(\alpha_{M M} \sigma_{KM} / \theta_{KM}\right) + \left(\alpha_{F F} \sigma_{TF} / \theta_{TF}\right)\right]} \quad (3\text{დ-23'})$$

ე.ი. სახელფასო განაკვეთში ზრდა არის სამრეწველო საქონლისა და საკვების ფასებში ზრდის შეწონილი საშუალო.

ცვლილების ეფექტი შესადარ ფასებში

უტკეათ, სამრეწველო საქონლის ფასი საკვების ფასთან შედარებით იზრდება; ე.ი. $\hat{P}_M > \hat{P}_F$. იმის გამო, რომ სახელფასო განაკვეთში ცვლილება არის ორივე საქონლის ფასებში ცვლილების შეწონილი საშუალო, გეჰქნება

$$\hat{P}_M > \hat{w} > \hat{P}_F.$$

სამუშაო ძალის განთავსებაზე გავლენა აშკარაა (3მ-19) და (3მ-20) ტოლობებიდან: რაკი $\hat{P}_M > \hat{w}$, გეჰქნება - $\hat{L}_M > 0$; რადგან $\hat{P}_F < \hat{w}$, გეჰქნება - $\hat{L}_F < 0$. დაქმება სამრეწველო საქონლის წარმოებაში გაიზრდება, ხოლო საკვების მრეწველობაში შემცირდება.

$$\hat{r}_K > \hat{P}_M > \hat{w} > \hat{P}_F > \hat{r}_T. \quad (3\text{დ-24})$$

რადგან კაპიტალის ფასი იზრდება ორივე სქონელთან მიმართებაში, ის, ვინც თავის შემოსავალს იღებს მთლიანად კაპიტალიდან, უეჭველად მოგებული დარჩება. რადგან მიწის ფასი მცირდება ორივე სქონელთან მიმართებაში, ის, ვინც თავის შემოსავალს იღებს მთლიანად მიწიდან, უეჭველად წააგებს. ის, ვინც შემოსავალს იღებს სამუშაო ძალიდან, აღმოაჩენს, რომ ამ შემოსავლის მსყიდველობითი უნარი გაზრდილა საკვებთან და შემცირებულა სამრეწველო საქონელთან მიმართებაში.

მე-4 თავის ღამატება

ფაქტორების შეფარდების მოდელი

საწარმოო ფაქტორების შეფარდების მოდელი მოქნილი კოეფიციენტით ძალიან წააგავს სპეციფიკური ფაქტორების მოდელს: მასაც ორი სექტორი აქვს, რომლიდანაც თითოეული იყენებს წარმოების ორ ფაქტორს.

პირითადი ტოლობები საწარმოო ფაქტორების შეფარდებათა მოდელში

დაუშვათ, ქვეყანა აწარმოებს ორ საქონელს (X და Y) და იყენებს წარმოების ორ ფაქტორს, მიწასა და სამუშაო ძალას. X არის მიწაინტენსიური. თითოეული საქონლის ფასი უნდა უდრიდეს მისი წარმოების ღირებულებას:

$$P_X = a_{TX} r + a_{LX} w, \quad (4\text{დ-1})$$

$$P_Y = a_{TY} r + a_{LY} w, \quad (4\text{დ-2})$$

სადაც a_{TX} , a_{LX} , a_{TY} , a_{LY} არის ღირებულების შემამცირებელი ხარჯის არჩევანი r მიწის და w სამუშაო ძალის ფასის დროს.

ამასთან, ეკონომიკის წარმოების ფაქტორები უნდა მოლიანად იქნეს გამოყენებული

$$a_{TX} Q_X + a_{TY} Q_Y = T, \quad (4დ-3)$$

$$a_{LX} Q_X + a_{LY} Q_Y = L, \quad (4დ-4)$$

სადაც T და L არის მიწისა და სამუშაო ძალის მთლიანი მიწოდება.

წარმოების ფაქტორის ღირებულების (4დ-1) და (4დ-2) ტოლობები გულისხმობს ტოლობებს ფაქტორული ფასების ცვლილებების განაკვეთისათვის ისევე, როგორც წარმოების სპეციფიკური ფაქტორების მოდულისათვის:

$$\bar{P}_X = \theta_{TX} \bar{r} + \theta_{LX} \bar{w}, \quad (4დ-5)$$

$$\bar{P}_Y = \theta_{TY} \bar{r} + \theta_{LY} \bar{w}, \quad (4დ-6)$$

სადაც θ_{TX} არის მიწის წილი X წარმოების ღირებულებაში და ა.შ. $\theta_{TX} > \theta_{TY}$ და $\theta_{LX} < \theta_{LY}$, რადგან X მეტად მიწაინტენსიურია, ვიდრე Y .

(4დ-3) და (4დ-4) რაოდენობრივ ტოლობებს ფრთხილად უნდა მოეკიდო. ერთეულზე დანახარჯები θ და ა.შ. შეიძლება შეიცვალოს, თუ წარმოების ფაქტორის ფასი შეიცვლება. თუ საქონლის ფასები მუდმივია, მაშინ ფაქტორის ფასებიც არ შეიცვლება. ამგვარად, X და Y მოცემული ფასებისათვის შესაძლებელია დაიწეროს ტოლობები მიწოდებისა და გამოშვების ფაქტორის გათვალისწინებით:

$$\alpha_{TX} \bar{Q}_X + \alpha_{TY} \bar{Q}_Y = \bar{T}, \quad (4დ-7)$$

$$\alpha_{LX} \bar{Q}_X + \alpha_{LY} \bar{Q}_Y = \bar{L}, \quad (4დ-8)$$

სადაც α_{TX} არის მიწის მიწოდების წილი, რომელიც გამოყენებულია X -ის და ა.შ. წარმოებაში. $\alpha_{TX} > \alpha_{LX}$ და $\alpha_{TY} < \alpha_{LY}$ X წარმოების უფრო მეტი მიწაინტენსიურობის გამო.

საქონლის ფასი და წარმოების ფაქტორის ფასი

წარმოების ფაქტორის ფასის ტოლობებიდან (4დ-5) და (4დ-6) შეიძლება გამოიხატოს წარმოების ფაქტორის ფასები, როგორც საქონლის ფასების შედეგი (ეს ახსნა იყენებს იმ ფაქტს, რომ $\theta_{LX} = 1 - \theta_{TX}$ და $\theta_{LY} = 1 - \theta_{TY}$):

$$\bar{r} = \left(\frac{1}{D}\right) [(1 - \theta_{TY}) \bar{P}_X - \theta_{LX} \bar{P}_Y], \quad (4დ-9)$$

$$\bar{w} = \left(\frac{1}{D}\right) [\theta_{TX} \bar{P}_Y - \theta_{TY} \bar{P}_X], \quad (4დ-10)$$

სადაც $D = \theta_{TX} - \theta_{TY}$ (ნაგულისხმევაა, რომ $D > 0$). ეს შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

$$\bar{r} = \bar{P}_X + \left(\frac{\theta_{LX}}{D}\right) (\bar{P}_X - \bar{P}_Y), \quad (4დ-9)$$

$$\bar{w} = \bar{P}_Y + \left(\frac{\theta_{TY}}{D}\right) (\bar{P}_X - \bar{P}_Y). \quad (4დ-10)$$

დაეუშვათ, X -ის ფასი იზრდება Y -ის ფასთან მიმართებაში, ანუ $\bar{P}_X > \bar{P}_Y$. მაშინ

$$\bar{r} > \bar{P}_X > \bar{P}_Y > \bar{w}. \quad (4დ-11)$$

ე.ი. მიწის რეალური ფასი იზრდება ორივე საქონლის გათვალისწინებით მაშინ, როცა სამუშაო ძალის რეალური ფასი მცირდება ორივე საქონლის გათვალისწინებით. კერძოდ, X -ის ფასი რომ გაზრდილიყო Y -ის ფასში ცვლილების გარეშე, ხელფასის განაკვეთი ფაქტობრივად შემცირდებოდა.

ფაქტორული მიწოდება და გამოშვება

რამდენადაც საქონლის ფასი სახესუა, ტოლობა (4მ-7) და (4მ-8) აიხსნება იმ ფაქტის გამოყენებით, რომ $\alpha_{TY} = 1 - \alpha_{TX}$ და $\alpha_{LY} = 1 - \alpha_{LX}$; ეს კი გამოხატავს იმას, რომ თითოეული საქონლის გამოშვებაში ცვლილება არის წარმოების ფაქტორების მიწოდებაში ცვლილებების შედეგი:

$$\bar{Q}_X = \left(\frac{1}{\Delta}\right)[\alpha_{LY}\bar{T} - \alpha_{TX}\bar{L}], \quad (4დ-12)$$

$$\bar{Q}_Y = \left(\frac{1}{\Delta}\right)[- \alpha_{LX}\bar{T} + \alpha_{TX}\bar{L}], \quad (4დ-13)$$

სადაც, $\Delta = \alpha_{TX} - \alpha_{LX}$ $\Delta > 0$,

ეს ტოლობები ასეთ სახეს მიიღებს:

$$\bar{Q}_X = \bar{T} + \left(\frac{\alpha_{TX}}{\Delta}\right)(\bar{T} - \bar{L}), \quad (4დ-12)$$

$$\bar{Q}_Y = \bar{L} + \left(\frac{\alpha_{LY}}{\Delta}\right)(\bar{T} - \bar{L}), \quad (4დ-13)$$

დაეუშვათ, PX და PY მუდმივია მაშინ, როცა მიწის მიწოდება იზრდება სამუშაო ძალის $-\bar{T} > \bar{L}$ მიწოდების ნიაშართ. მაშინ ნათელი გახდება, რომ

$$\bar{Q}_X > \bar{T} > \bar{L} > \bar{Q}_Y \quad (4დ-14)$$

კერძოდ, თუ T იზრდება და L მუდმივია, X -ის გამოშვება გაიზრდება უფრო მეტად, ვიდრე ეს ტოლობაში ნაჩვენებია, Y -ის გამოშვება კი რეალურად შემცირდება.

მმ-5 თავის ღამატება

მსოფლიო ვაჭრობის ეკონომიკა

მიწოდება, მოთხოვნა და წონასწორობა

მსოფლიო წონასწორობა

მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკულად უფრო ადვილია მსოფლიო წონასწორობის ანუ შესადარის მიწოდებასა და შესადარის მოთხოვნას შორის თანაბრობის გამოხატვა, მათემატიკურად უმჯობესია ალტერნატიული ფორმულების გამოყენება. ოღონდ საჭიროა ყურადღება გამახვილდეს თანაბრობაზე მიწოდებასა და მოთხოვნაზე ორ საქონლთან – ტანსაცმელსა და საკვებთან დაკავშირებით. არა აქვს მნიშვნელობა რომელიმე საქონლის გამოყოფას, რადგან წონასწორობა ტანსაცმლის ბაზარზე გულისხმობს წონასწორობას საკვების ბაზარზე და პირიქით.

ამ პირობების განსახილველად დაეუშვათ, Q_c, Q^* არის ტანსაცმლის გამოშვება ჩვენ ქვეყანაში და უცხოეთში, ხოლო D_c და D^* მოთხოვნილი რაოდენობა, შესწამისად; F -ით წარმოდგენილია საკვების ბაზრის შესაბამისი ცვლადები. აგრეთვე დაეუშვათ, p არის ტანსაცმლის ფასი საკვების ფასთან მიმართებაში.

ვევლა შემთხვევაში მსოფლიო ხარჯი გაუტოლდება მსოფლიო შემოსავალს. მსოფლიო შემოსავალი არის ტანსაცმლისა და საკვების რეალური (პირდაპირი) მიღებული შემოსავლის ჯამი; მსოფლიო ხარჯი არის ტანსაცმლისა და საკვების შესყიდვის ჯამი. ამგვარად, შემოსავლისა და ხარჯის ტოლობა ასეთნაირად გამოისახება:

$$p(Q_c + Q_c^*) + Q_f + Q_f^* = p(D_c + D_c^*) + D_f + D_f^* \quad (5დ-1)$$

ახლა დავეუშვათ, რომ ტანსაცმლის მსოფლიო ბაზარი წონასწორულია; ე.ი.,

$$Q_c + Q_c^* = D_c + D_c^* \quad (5დ-2)$$

(5მ-1) ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

$$Q_F + Q_F^* = D_F + D_F^* \quad (5დ-3)$$

ე.ი. საკვების ბაზარიც უნდა გაწონასწორებული იყოს. ე.ი. თუ საკვებისა და ტანსაცმლის ბაზრები ერთნაირად გაწონასწორებულია.

ამიტომ შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ ტანსაცმლის ბაზარზე, რათა განვსაზღვროთ წონასწორული შესადარი ფასი.

წარმოება და შემოსავალი

თითოეულ ქვეყანას აქვს ეკონომიკურ შესაძლებლობათა ზღვარი, რომლის გასწვრივაც მას შეუძლია აირჩიოს ტანსაცმლის ან საკვების წარმოება. ეკონომიკა ამ ზღვარზე ირჩევს წერტილს, სადაც აღინიშნება გამოშვების ღირებულების მაქსიმუმამდე ზრდა ტანსაცმლის მოცემული შესადარი ფასის დროს. ეს შემდეგნაირად გამოისახება:

$$V = pQ_c + Q_f \quad (5დ-4)$$

როგორც წინა მინაწერში აღწერილი ფასების მინიმუმამდე დაბრუნების შემთხვევის დროს, არჩეული საქონლის ნაკრების ღირებულების მაქსიმუმამდე ზრდის ფაქტი ნიშნავს, რომ წარმოების შესაძლებლობათა ზღვარის გასწვრივ წარმოების მცირე გადახრა ოპტიმალური კომბინაციიდან არავითარ გაელენას არ ახდენს გამოშვების ღირებულებაზე:

$$pdQ_c + dQ_f = 0. \quad (5დ-5)$$

ტანსაცმლის შესადარ ფასში ცვლილება მიგვიყვანს როგორც სხედასხვა საქონლის კომბინაციის, ასევე გამოშვების ღირებულების ცვლილებამდე. გამოშვების ღირებულებაში ცვლილება შემდეგნაირად აისახება:

$$dV = Q_c dp + pdQ_c + dQ_f; \quad (5დ-6)$$

მაგრამ, ვინაიდან ბოლო ორი პირობის ჯამი (5მ-5 ტოლობა) ნულის ტოლია, ეს გამოსახულება დაიყვანება ტოლობაზე:

$$dV = Q_c dp. \quad (5დ-6')$$

ჩვენი ქვეყნის მსგავსად, უცხოეთშიც ასეთ ტოლობას ექნება ადგილი:

$$dV^* = Q_c^* dp. \quad (5დ-7)$$

შემოსავალი, ფასები და სარგებელი

თითოეული ქვეყანა განიხილება, როგორც ინდივიდი. ქვეყნის გემოვნება განიხილება, როგორც სარგებლის ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია ტანსაცმლისა და საკვების მოხმარებაზე:

$$U = U(D_c, D_f). \quad (5დ-8)$$

დავუშვათ, ქვეყანას აქვს I შემოსავალი საკვების სახით. მისი მთლიანი ხარჯი უნდა უდრიდეს ამ შემოსავალს:

$$pD_c + D_f = I \quad (5დ-9)$$

მომხმარებლები მაქსიმუმამდე გაზრდიან სარგებელს, როცა მათი შემოსავალი და საქონლის ფასები სახეზეა. დაეუშვათ, MU_c MU_f არის ზღვრული სარგებელი, რასაც მომხმარებელი იღებს ტანსაცმიდან და საკვებიდან; მაშინ, სარგებლის ცვლილება, რომელიც მოჰყვება ნებისმიერ ცვლილებას მოხმარებაში, არის

$$dU = MU_c dD_c + MU_f dD_f. \quad (5დ-10)$$

რადგან მომხმარებელი მაქსიმუმამდე ზრდის სარგებელს მოცემული შემოსავლითა და ფასებით, უკვე გამორიცხებულია რაიმე დასაშვები ცვლილება მოხმარებაში. ეს კი მის მდგომარეობას აუმაჯობებს. ეს პირობა გულისხმობს, რომ

$$\frac{MU_c}{MU_f} = p. \quad (5დ-11)$$

ახლა წარმოვიდგინოთ შემოსავლისა და ფასების ცვლილების შედეგები სარგებელზე. დიფერენცირებული

ტოლობა (5მ-9) გადაღეუს

$$pdD_c + dD_f = dI - D_c dp. \quad (5დ-12)$$

მაგრამ (5მ-10) და (5მ-11) ტოლობებიდან ვიცით, რომ

$$dU = MU_F [pdD_c + dD_f]. \quad (5დ-13)$$

ამგვარად,

$$dU = MU_F [dI - D_c dp]. \quad (5დ-14)$$

მიზანშეწონლია ახალი განსაზღვრების შემოტანა: სარგებლის ცვლილება, გაყოფილი საკვების (ანუ საქონელი, რითაც შემოსავალი იზომება) ზღვრულ სარგებელზე, შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ცვლილება რეალურ შემოსავალში; მისი გამოსახულება იქნება dy :

$$dy = \frac{dU}{MU_F} = dI - D_c dp. \quad (5დ-15)$$

მთლიანად ეკონომიკისათვის შემოსავალი უდრის გამოშვების ღირებულებას: $I = V$. ამგვარად, ტანსაცმლის შესადარ ფასში ცვლილების ეფექტი ეკონომიკის რეალურ შემოსავალზე არის

$$dy = [Q_c - D_c] dp. \quad (5დ-16)$$

$Q - D$ არის ტანსაცმლის ექსპორტი. ტანსაცმლის შესადარი ფასის ზრდა ასარგებლებს იმ ეკონომიკას, რამდენიც ტანსაცმლის ექსპორტს მიმართავს, რაც შემდეგი ტოლობით გამოისახება:

$$dy = [p(Q_c - D_c)] \left(\frac{dp}{p}\right). \quad (5დ-17)$$

კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ექსპორტის ღირებულება, მრგვალ ფრჩხილში კი ცვლილების პროცენტი ვაჭრობის გათვალისწინებით. ამიტომ ეს ფორმულა გვეუბნება, რომ რეალური შემოსავლის მოგება, როგორც შედეგი ვაჭრობის ცვლილებით მიღებული პროცენტისა, უდრის პროცენტულ ცვლილებას ვაჭრობაში – გამრავლებულს ექსპორტის საწყის ღირებულებაზე. თუ დასაწყისში ქვეყანას გააქვს 100 მლრდ დოლარის საექსპორტო საქონელი და მისი ვაჭრობის პირობები უმჯობესდება 10%-ით, ქვეყნის შემოსავლის მოგება იქნება 10 მლრდ დოლარი.

მიწოდება, მოთხოვნა და წონასწორობის სტაბილურობა


ტანსაცმლის ბაზარში შესადარი ფასის ცვლილება გამოიწვევს ცვლილებებს როგორც მის მიწოდებაში, ასევე მოთხოვნაში.

მიწოდების მხარეს p -ს ზრდა აიძულებს ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთს, აწარმოოს მეტი ტანსაცმელი. მიწოდების ამ რეაქციას აღვნიშნავთ ჩვენი ქვეყნისათვის s -ით, ხოლო უცხოეთისათვის s^* -ით; ასე რომ,

$$dQ_c = s dp, \quad (5დ-18)$$

$$dQ^*C = s^* dp \quad (5დ-19)$$

მოთხოვნის მხარე უფრო რთულია. p -ს ცვლილება გამოიწვევს როგორც შემოსავლის, ასევე შეცვლის ეფექტებს, რაც მოცემულია (5მ-1) გრაფიკში. გრაფიკი გვიჩვენებს ეკონომიკას, რომელიც დასაწყისში აწუდება VV^0 მრუდის დაქანებით აღნიშნულ შესადარ ფასს. მოცემული შესადარი ფასით ეკონომიკის წარმოება აღინიშნება Q^0 წერტილზე და მოხმარება D^0 წერტილზე. დავეშვათ, ტანსაცმლის შესადარი ფასი იზრდება VV^2 მრუდით აღნიშნულ დონემდე. სარგებლის ზრდა რომ არ ყოფილიყო, მოხმარება გადაიხრებოდა D^1 -კენ, რაც გამოიწვევდა ტანსაცმლის გასაღების შემცირებას. აქვე არსებობს ცვლილება ეკონომიკის რეალურ შემოსავალში; ამ შემთხვევაში რეალური შემოსავალი იზრდება, რადგან დასაწყისში ტანსაცმლის წმინდა ექსპორტიორი არის ეკონომიკა. ეს ცვლილება იწვევს მოხმარების აღნიშვნას უფრო D^1 წერტილში, ვიდრე D^1 -ში და შემოსავლის ამ ეფექტს ახასიათებს ტანსაცმლის მოხმარების ზრდის ტენდენცია. მოთხოვნასთან დაკავშირებით p -ში ცვლილების გაველენის ანალიზი საჭიროებს მხედველობაში მივიღოთ როგორც შეცვლის ეფექტი (ცვლილება მოხმარებაში, რომელიც მოხდება მაშინ, თუ რეალური შემოსავალი მუდმივი იქნება), ასევე შემოსავლის ეფექტი (დამატებითი ცვლილება მოხმარებაში, რაც რეალური შემოსავლის ცვლილებების შედეგია).



შესადარ ფასში ცვლილება იწვევს როგორც შემოსავლის, ასევე შეცვლის ეფექტებს.

შეცვლის ეფექტი აღენიშნოთ $-e dp$ -ით; ის ყოველთვის უარყოფითია. შემოსავლის ეფექტი აღენიშნოთ $n dy$ -ით; რამდენადაც ტანსაცმელი ნორმალური საქონელია, რომლის მოთხოვნაც იზრდება რეალურ შემოსავალთან ერთად, ის დადებითია, თუ ქვეყანა ტანსაცმლის წმინდა ექსპორტიორია და უარყოფითი, თუ წმინდა იმპორტიორია. მაშინ ადგილობრივ ქვეყანაში ტანსაცმელზე მოთხოვნის ცვლილების მთლიანი ეფექტი იქნება

$$dD_c = -edp + ndy = [-e + n(Q_c - D_c^*)]dp. \quad (5დ-20)$$

უცხოეთის მოთხოვნის ეფექტიც ასევე იქნება

$$dD_c^* = [-e^* + n^*(Q_c^* - D_c^*)]dp. \quad (5დ-21)$$

რადგან $Q_c^* - D_c^*$ უარყოფითია, უცხოეთში შემოსავლის ეფექტიც უარყოფითი იქნება.

მოთხოვნისა და მიწოდების გაკლენა შესაძლოა ახლა ერთად განვიხილოთ, რათა მივიღოთ p -ში ცვლილების მთლიანი ეფექტი ტანსაცმლის ბაზარზე. ტანსაცმლის ჭარბი მიწოდება არის სხვაობა სასურველ მსოფლიო წარმოებასა და მოხმარებას შორის:

$$ES_c = Q_c + Q_c^* - D_c - D_c^*. \quad (5დ-22)$$

p -ში ცვლილების ეფექტი მსოფლიო ჭარბ მიწოდებაზე არის

$$dES_c = [s + s^* + e + e^* - n(Q_c - D_c) - n^*(Q_c^* - D_c^*)]dp. \quad (5დ-23)$$

თუ ბაზარი თავდაპირველად გაწონასწორებულია, ჩვენი ქვეყნის ექსპორტი უდრის უცხოეთის იმპორტს, ისე როგორც $Q_c^* - D_c^* = -(Q_c - D_c)$; ამიტომ ჭარბ მიწოდებაზე p -ს ეფექტი გამოისახება:

$$dES_c = [s + s^* + e + e^* - (n - n^*)(Q_c - D_c)]dp. \quad (5დ-23')$$

დაეუშვათ, დასაწყისში ტანსაცმლის შესადარი ფასი წონასწორულზე მაღალია. ამას რომ ტანსაცმლის ჭარბი მიწოდება გამოეწვიოს, საბაზრო ძალები შეამცირებდნენ ტანსაცმლის ფასს და აღადგენდნენ წონასწორობას. მეორე მხრივ, თუ ტანსაცმლის უადრესად მაღალი შესადარი ფასი იწვევს ტანსაცმელზე ჭარბ მოთხოვნას, ფასი ისევ გაიზრდება და წონასწორობა დაირღვევა. ამგვარად, წონასწორობა იქნება სტაბილური, თუ ტანსაცმლის შესადარი ფასის მცირე ზრდა გამოიწვევს ტანსაცმლის ჭარბ მიწოდებას; ე.ი. თუ

$$\frac{dES_c}{dp} > 0 \quad (5დ-24)$$

(5მ-23') ტოლობა გვიჩვენებს იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ წონასწორობის სტაბილურობას. მიწოდების ეფექტიცა და შეცვლის ეფექტიც მოთხოვნის სტაბილურობის სასარგებლოდ მოქმედებენ. არასტაბილურობის ერთადერთი შესაძლო წყარო არის შემოსავლის ეფექტები. შემოსავლის წმინდა ეფექტი ბუნდოვანია - ის დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა $n > n^*$ -ზე; ე.ი. აქვს თუ არა ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი 'სღერული მისწრაფება, მოხმაროს ტანსაცმელი მისი რეალური შემოსავლის ზრდის პირობებში, ვიდრე უცხოეთის. თუ $n > n^*$ -ზე, შემოსავლის ეფექტი სტაბილურობის საწინააღმდეგოა, ხოლო თუ $n < n^*$ -ზე, იგი სტაბილურობის სულსმეშვეობად გამოდის.

შედარებითი სტატიკტიკის მეთოდი

მსოფლიო ეკონომიკაში ცვლილებების ეფექტების შესაფასებლად გამოიყენება *შედარებითი სტატიკტიკა*. ტექსტში აღნიშნულ თითოეულ შემთხვევაში ეკონომიკა ემორჩილება ისეთ ცვლილებებს, რომელთაც მიუყვართ ტანსაცმლის მსოფლიო შესადარი ფასის ცვლილებამდე. *შედარებითი სტატიკტიკის* ამ მეთოდის პირველი ნაბიჯი არის, გამოვიანგარიშოთ მსოფლიო ეკონომიკაში *საწყისი p პირობებში* ჭარბ მიწოდებას (ცვლილების ეფექტი). ეს ცვლილება გამოიხატება $dES|_p$ -ით. წინასწარობის აღსადგენად საჭირო ცვლილება შესადარ ფასში გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ^P

$$dp = \frac{-dES|_p}{(dES/dp)}, \tag{5დ-25}$$

სადაც, dES შეფარდება dp -თან ასახავს მიწოდების, შემოსავლისა და შეცვლის ადრეაღწერილ ეფექტებს.

ქვეყნის კეთილდღეობაზე მოცემული ცვლილების ეფექტები ორ ეტაპად განიხილება. პირველი, როგორც ცვლილების პირდაპირი გავლენა რეალურ შემოსავალზე, რომელსაც აღვნიშნავთ $dy|_p$; მეორე – არაპირდაპირი გავლენა მიღებული ცვლილებისა ვაჭრობის გათვალისწინებით, რომელიც გამოიანგარიშება 5მ-16 ტოლობის გამოყენებით. ამგვარად, კეთილდღეობაზე სრული ეფექტი გამოიხატა

$$dy = -dy|_p + (Q_c - D_c)dp. \tag{5დ-26}$$

ეკონომიკური ზრდა

განვიხილოთ სრდის ეფექტი წვენი ქვეყნის ეკონომიკაში. როგორც ტექსტშია აღნიშნული, სრდად მოიაზრება წარმოების შესაძლებლობის სღვარს გარე გადახრა. ეს ცვლილება გამოიწვევს როგორც ტანსაცმლის, ასევე საკვების გამოშვებაში ცვლილებებს საწყისი შესადარი p ფასის დროს; დავეუშვათ, dQ_c და dQ_f არის ცვლილებები გამოშვებაში. თუ სრდა მკუთრადაა გადახრილი, ერთ-ერთი ამ ცვლილებათაგანი უარყოფითი იქნება. მაგრამ რადგან ამას წარმოების შესაძლებლობების გაფართოება მოჰყვება საწყისი p -ს პირობებში, გამოშვების ღირებულება გაიზრდება:

$$dV = pdQ_c + dQ_f = dy|_p > 0. \tag{5დ-27}$$

საწყისი p -ს პირობებში ტანსაცმლის მიწოდება გაიზრდება dQ_c ოდენობით. ტანსაცმელზე მოთხოვნაც მოიმატებს $n dy|_p$ -ით:

$$dES|_p = dQ_c - n(pdQ_c + dQ_f). \tag{5დ-28}$$

ამ ტოლობამ შეიძლება სხვა ნიშანზეც მიუთითოს. დავეუშვათ, სრდა გადახრილია ტანსაცმლისაკენ – როცა $dD_c > 0$, $dQ_f \leq 0$. მაშინ ტანსაცმელზე მოთხოვნა იზრდება

$$dD_c = n(pdQ_c + dQ_f) \leq np dQ_c < dQ_c$$

ამგვარად, ჭარბ მოთხოვნაზე მოდიანი ეფექტი იქნება

$$dES|_p = dQ_c - dD_c > 0.$$

შედეგად, $dp = -dES|_p / (dES/dp) < 0$ ე.ი. წვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობები გაუარესდა.

მეორე მხრივ, დავეუშვათ, სრდა გადახრილია საკვებისაკენ ისე, რომ $dQ_c \leq 0$, $dQ_f > 0$. საწყისი p -ს დროს ტანსაცმლის მიწოდებაზე ეფექტი უარყოფითია, მაგრამ ტანსაცმლის მოთხოვნაზე – დადებითი რჩება. გამოდის, რომ

$$dES|_p = dQ_c - dD_c < 0,$$

$dp > 0$ – წვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობები უმჯობესდება.

სრდას, რომელსაც გადახრის ნაკლები ტენდენცია ახასიათებს, შეუძლია იმოძრაოს p -ს ნებისმიერ მხარეს, რაც დამოკიდებულია გადახრის ხილვადობაზე.

შემდეგ დავებრუნდებით რა კეთილდღეობის ეფექტებს, დავინახაოთ, რომ უცხოეთისათვის აღნიშნულ ეფექტს განაპირობებდა მსოფლიო ვაჭრობის პირობები. წვენი ქვეყნისათვის კი ეს ეფექტი დამოკიდებულია საწყისი

შემოსავლის ცვლილებასა და ვაჭრობაში პირობებში შემდგომი ცვლილებების კომბინაციაზე, როგორც ეს ნაჩვენებია 5მ-26 ტოლობაში. თუ ზრდა შეაბრუნებს ვაჭრობის პირობებს ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, ეს უარყოფითად იმოქმედებს ზრდის დაუყოვნებლივ ხელსაყრელ ეფექტზე.

მაგრამ შეუძლია თუ არა ზრდას, მნიშვნელოვნად გააუარესოს ვაჭრობის პირობები, რათა ქვეყნის მსარდი კეთილდღეობა გააუარესოს? ამისათვის პირველად განვიხილოთ იმ ქვეყნის შემთხვევა, რომელსაც ახასიათებს მიუღებელი გადახრა თავისი წარმოების შესაძლებლობიდან, რაც ზრდის Q_c -ს და ამცირებს Q_f -ს, ხოლო მისი გამოშვების ღირებულებას ტოვებს უცვლელად საწყისი შესადარი ფასის დონეზე (არ არის აუცილებელი, ეს ცვლილება განვიხილოთ, როგორც ზრდა, რადგანაც ის არღვევს 5მ-27 ტოლობის ვარაუდს, მაგრამ იგი მაინც გამოსადეგი საკითხია). შემდეგ - არ აღინიშნება მოთხოვნის ცვლილება p -ს საწყის პირობებში მაშინ, როდესაც ტანსაცმლის მიწოდება იზრდება; აქედან გამომდინარე p უნდა შემცირდეს. რეალურ შემოსავალში ცვლილება იქნება $dI|_p - (Q_c - D_c)dp$; ეს ისეთი შემთხვევაა, როცა $dES|_p = 0$; ასე რომ, dy არის, რა თქმა უნდა, უარყოფითი.

ახლა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება, რადგან გამოშვების ღირებულება საწყისი ფასის დონეზე არ იზრდება. ნებისმიერი სხვა საქონლის გამოშვების ოდნავი მატების დროსაც კი ქვეყნის აღნიშნული ზრდა შესაძლებელია. თუ ზრდა საკმაოდ მცირეა, ის ვერ გადაწონის p -ს კლებით გამოწვეულ დანაკარგებს. ამიტომ მნიშვნელოვანი გადახრის შედეგად მიღებული ზრდა გააუარესებს ქვეყნის მდგომარეობას.

ტრანსფერტების პრობლემა

ეთქვათ, ჩვენი ქვეყანა აწარმოებს ზოგიერთი თავისი შემოსავლის ტრანსფერტს უცხოეთისათვის, ეთქვათ, როგორც დახმარებას. დაეუშვათ, საკვების სახით გაზომილი ტრანსფერტის ოდენობა არის d , რასაც უცვლელი შესადარი ფასის პირობებში არანაირი ეფექტი არ ექნება მიწოდებაზე. გავლენა აღინიშნება მხოლოდ მოთხოვნაზე. ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მცირდება da -ით, უცხოეთისა კი იზრდება იმავე ოდენობით. ეს იწვევს D_c -ს კლებას $-n da$ -ით, ხოლო D_c^* იზრდება $-n^* da$ -ით. ასე რომ,

$$dES|_p = (n - n^*)da \quad (5დ-29)$$

ვაჭრობის პირობებში კი ცვლილება მოგვეცემს ტოლობას:

$$dp = -da \frac{(n - n^*)}{(dES|_p)} \quad (5დ-30)$$

ჩვენი ქვეყნის ვაჭრობის პირობები გაუარესდება, თუ $n > n^*$ -ზე; ეს განიხილება ნორმალურ შემთხვევად. აღნიშნული პირობები გაუმჯობესდება, თუ $n^* > n$ -ზე.

ჩვენი ქვეყნის რეალურ შემოსავალში ეს ცვლილება აერთიანებს ტრანსფერტის პირდაპირ უარყოფით ეფექტსა და ვაჭრობის პირობების არაპირდაპირ ეფექტს. შეუძლია თუ არა ხელსაყრელი ვაჭრობის პირობების ეფექტს, გადაწონოს შემოსავლის დანაკარგები? ჩვენი მოდელის მიხედვით - არა.

ასეთი დასკვნის მიზეზი ჩანს შემდეგ ტოლობაში:

$$\begin{aligned} dy &= dy|_p + (Q_c - D_c)dp \\ &= -da + (Q_c - D_c)dp \\ &= -da \left\{ 1 + \frac{(n - n^*)(Q_c - D_c)}{s + s^* + e + e^* - (n - n^*)(Q_c - D_c)} \right\} \\ &= -da \frac{(s + s^* + e + e^*)}{[s + s^* + e + e^* - (n - n^*)(Q_c - D_c)]} < 0. \end{aligned} \quad (5დ-31)$$

ამ ტოლობის ახსნა შემდეგია: ეთქვათ, p -ს ზრდას უნდა გაეუმჯობესებინა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა იმ დონემდე, რაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყოდა ტრანსფერტებზე უცხოეთის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაშინ აღარ აღინიშნებოდა შემოსავლის გავლენა მოთხოვნაზე მსოფლიო ეკონომიკაში. მაგრამ ფასის ზრდა გამოიწვევდა ტანსაცმლის გაზრდილ გამოშვებას; გამოშვების მოთხოვნის ამ ცვლილებას მოაყვებოდა ჭარბი მიწოდება და ფასების შემცირება. შედეგი გეიჩვენებს, რომ p , რომელიც წინასწარულ p -ზე მნიშვნელოვნად მაღალია, შეინარჩუნებს ტრანსფერტის პირდაპირი კეთილდღეობის ეფექტს.

ტარიფი

ვთქვათ, ჩვენი ქვეყანა აწესებს ტარიფს იმპორტზე, რომლის გადასახადი უტოლდება ფასის t ნაწილს. მაშინ ტანსაცმლის მოცემული მსოფლიო p შესადარი ფასის პირობებში ჩვენი ქვეყნის მომხმარებლისა და მწარმოებლის შიდა შესადარი ფასი იქნება $\bar{p} = p(1 + t)$. თუ ტარიფი საკმაოდ დაბალია, შიდა შესადარი ფასი იქნება:

$$\bar{p} = p - pt. \quad (5\text{დ-32})$$

ეფექტურ p -სთან ერთად ტარიფი გასრდის შემოსავალს, რომელიც საგარაეოდ გადანაწილდება ეკონომიკის სხვა სფეროებში.

ვაჭრობის საწყისი პირობების დროს ტარიფი ორგვარ გააღწენას მოახდენს ტანსაცმლის ჭარბ მიწოდებაზე: პირველი, ქვეყნის შიგნით ტანსაცმლის შესადარი ფასის კლება შეამცირებს ტანსაცმლის წარმოებას და აიძულებს მომხმარებელს, ტანსაცმელი შეცვალოს საკვებით. მეორე, ტარიფმა შეიძლება გააღწენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის რეალურ შემოსავალზე, რაც გამოიწვევს შემოსავლის გაღწენას მოთხოვნაზეც. თუ ჩვენი ქვეყანა დაიწყებს ვაჭრობას ტარიფების გარეშე, ან შემოიღებს მცირე ტარიფებს, პრობლემა შესაძლოა გამარტივდეს, რადგან ასეთ ტარიფს უმნიშვნელო ეფექტი ექნება რეალურ შემოსავალზე. ამ ურთიერთობის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ, რომ

$$dy = pdD_c + dD_f.$$

გამოშვებისა და მოხმარების ღირებულება ყოველთვის უნდა იყოს ერთმენეთის ტოლი მსოფლიო ფასების პირობებში, ამიტომ ვაჭრობის საწყისი პირობების დროს

$$pdD_c + dD_f = pdQ_c + dQ_f$$

მაგრამ იმის გამო, რომ ვაჭრობის საწყის დონეზე ეკონომიკა მაქსიმუმამდე ზრდიდა თავის გამოშვების ღირებულებას ტარიფების შემოღებამდე,

$$pdQ_c + dQ_f = 0.$$

იმის გამო, რომ არ არის შემოსავლის ეფექტი, რჩება მხოლოდ შეცვლის ეფექტი. შიდა შესადარი \bar{p} ფასის კლება იწვევს წარმოების შემცირებას და მოხმარების ზრდას:

$$dQ_c = -sp dt, \quad (5\text{დ-33})$$

$$dD_c = ep dt, \quad (5\text{დ-34})$$

სადაც dt აღნიშნავს ტარიფის ზრდას. აქედან გამომდინარე

$$dES|_p = -(s + e)p dt < 0, \quad (5\text{დ-35})$$

ეს კი გულისხმობს, რომ

$$dp = \frac{-dES|_p}{(dES|dp)} = \frac{p dt(s + e)}{[s + s^* + e + e^* - (n - n^*)(Q_c - D_c)]} > 0. \quad (5\text{დ-36})$$

ეს ფორმულა გვჩვენებს, რომ ტარიფი უმნიშვნელოდ აუმჯობესებს ვაჭრობის პირობებს იმ ქვეყანაში, რომელმაც ის შემოიღო.

ტარიფს რეალურად შეუძლია თუ არა გააუმჯობესოს ვაჭრობის პირობები ისე, რომ იმპორტული საქონლის შიდა შესადარი ფასი დაეცეს და საექსპორტო საქონლის შიდა ფასი გაიზარდოს? \bar{p} -ს ცვლილება ასეთი იქნება:

$$d\bar{p} = dp - p dt, \quad (5\text{დ-37})$$

მივიღებთ ასეთ პარადოქსულ შედეგს, თუ $dp > p dt$.

5დ-36 ტოლობის შემოწმებით ეს შედეგი (ცნობილი, როგორც მუცლურის პარადოქსი), მართლაც, შესაძლებელია: თუ $s^* + e^* - (n - n^*)(Q_c - D_c) < 0$, ალბილი ექნება მუცლურის პარადოქსს.

მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი

განვიხილოთ მონოპოლისტურად კონკურენტულ მრეწველობაში წონასწორული ბაზრის სიდიდის ცვლილებები. თითოეულ ფირმას აქვს მთლიანი ხარჯების ფორმულა

$$C = F + cX, \tag{6დ-1}$$

სადაც c არის ზღვრული ხარჯი, F მუდმივი ხარჯი და X ფირმის გამოშვება. ეს გულისხმობს საშუალო ღირებულების მრუდის ტოლობას:

$$AC = C/X = F/X + c. \tag{6დ-2}$$

ასევე, თითოეული ფირმის მოთხოვნის მრუდის გამომსახველი ფორმულაა:

$$X = S[1/n - b(P - \bar{P})], \tag{6დ-3}$$

სადაც S არის მრეწველობის მთლიანი რეალიზაცია, n არის ფირმების რაოდენობა და \bar{P} არის სხვა ფირმის მიერ დაწესებული საშუალო ფასი. თითოეული ფირმა ირჩევს ფასს, რომელიც მაქსიმუმამდე გაზრდის მის მოგებას. ტიპიური ფირმის მოგება არის

$$\pi = PX - C = PS[1/n - b(P - \bar{P})] - F - cS[1/n - b(P - \bar{P})]. \tag{6დ-4}$$

მოგების მაქსიმუმამდე გასაზრდელად ფირმა აწესებს $d\pi/dP=0$ წარმოებულს, რაც გულისხმობს, რომ

$$X - SbP + Sbc = 0. \tag{6დ-5}$$

რადგან ყველა ფირმა სიმეტრიულია, წონასწორობის პირობებში $P = \bar{P}$ და $X = S/n$. ასე რომ (6დ-5) ტოლობა გულისხმობს:

$$P = 1/bn + c, \tag{6დ-6}$$

რაც ადასტურებს ტექსტში გამოყენებულ ფორმულას.

რადგან $X=S/n$, საშუალო ღირებულება არის S -ისა და n -ის ფუნქცია,

$$AC = Fn/S + c \tag{6დ-7}$$

წულოვანი მოგების წონასწორობის პირობებში, ტიპიური ფირმის მიერ დაწესებული ფასი უნდა უტოლდებოდეს მის საშუალო ღირებულებას. ასე რომ:

$$1/bn + c = Fn/S + c \tag{6დ-8}$$

რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ:

$$n = \sqrt{S/bF}. \tag{6დ-9}$$

ეს გვიჩვენებს, რომ ბაზრის სიდიდის ზრდა, S , გამოიწვევს ფირმების n რაოდენობის ზრდას, მაგრამ არაპროპორციულად – მაგალითად, ბაზრის სიდიდის გაორმაგება გაზრდის ფირმების რაოდენობას დაახლოებით 1.4-ით.

წარმომადგენლობითი ფირმის მიერ დაწესებული ფასი არის

$$P = 1/bn + c = c + \sqrt{F/Sb}, \tag{6დ-10}$$

რაც გვიჩვენებს, რომ ბაზრის სიდიდის ზრდა იწვევს ფასების შემცირებას.

და ბოლოს, ერთი ფირმის რეალიზაცია X უდრის

$$X = S/n = \sqrt{SbF}. \tag{6დ-11}$$

ეს გვიჩვენებს, რომ ბაზრის სიდიდესთან ერთად იზრდება თითოეული ინდივიდუალური ფირმის მასშტაბი.

რისკის მოკლევითა და პორტფელის სავრთაშორისო დივერსიფიკაცია

ამ მინაწერში განვიხილავთ რისკის მოკლევით ინვესტირების მიერ პორტფელის სავრთაშორისო დივერსიფიკაციის მოდელს, რომელიც გვჩვენებს, რომ ინვესტირების ურადღება მახვილდება რისკზე და თავიანთი პორტფელის უკუგებაზე. კერძოდ, ისინი უპირატესობას აძლევენ ისეთ აქტივებს, რომელთა მოსალოდნელი უკუგება უფრო დაბალია, ვიდრე სხვა აქტივებისა, ოღონდ ეს სტრატეგია უნდა ამცირებდეს მათი ქონების მთლიან რისკს.

წარმომადგენელ ინვესტორს შეუძლია თავისი რეალური ქონება W გაანაწილოს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის აქტივებს შორის. მომავალში შესაძლოა შეიქმნას ორგვარი მდგომარეობა (შეუძლებელია იწინასწარმეტყველო, რომელი მათგანი): პირველი, მოხდება ალბათობა q -ს დროს, როცა ერთეული ქონების დაბანდება ჩვენი ქვეყნის აქტივებში იძლევა H გამოშვებას, ხოლო ერთეული ქონების უცხოეთის აქტივებში დაბანდება F გამოშვებას. მეორე მდგომარეობა, როცა $1 - q$ ალბათობის შემთხვევაში ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის აქტივებში დაბანდება იძლევა H_1 და F_1 გამოშვებებს, შესაბამისად.

დაეუშვათ, α არის ჩვენი ქვეყნის აქტივში დაბანდებული სიმდიდრის წილი, უცხოეთში კი $1 - \alpha$. თუ შემოთ აღნიშნული პირველი მდგომარეობა გვაქვს, ინვესტორს შესაძლებლობა ექნება, მოიხმაროს თავისი ორი აქტივის ღირებულების შეწონილი საშუალო:

$$C_1 = [\alpha H_1 + (1 - \alpha)F_1] \times W. \tag{21დ-1}$$

ამის მსგავსად მოხმარება მეორე მდგომარეობაში იხება:

$$C_2 = [\alpha H_2 + (1 - \alpha)F_2] \times W. \tag{21დ-2}$$

ჩვენს მიერ მდგომარეობაში ინვესტორი იღებს $U(C)$ სარგებლიანობას C მოხმარების დონიდან. რადგან მოხმარებელმა წინასწარ არ იცის, რომელი მდგომარეობა შეიქმნება, იგი იღებს გადაწყვეტილებას, მაქსიმუმამდე გაზარდოს საშუალო ან მოსალოდნელი სარგებლიანობა მომავალი მოხმარებიდან:

$$qU(C_1) + (1 - q)U(C_2)$$

ოპტიმალური პორტფელის ანალიტიკური გადაწყვეტა

მას შემდეგ, რაც (1) და (2) მდგომარეობის (21დ-1) და (21დ-2) ტოლობებით ნაჩვენებ მოხმარების დონეები შეიცვლება ზემოხსენებული მოსალოდნელი სარგებლიანობის ფუნქციით, ინვესტორის გადაწყვეტილება შემდეგნაირად გამოითქმის: აირჩიე პორტფელის α წილი მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმუმამდე გასაზრდელად, რაც გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$qU([\alpha H_1 + (1 - \alpha)F_1] \times W) + (1 - q)U([\alpha H_2 + (1 - \alpha)F_2] \times W).$$

ეს პრობლემა გადაწყდება მოსალოდნელი სარგებლიანობის დიფერენციალით α -თან მიმართებაში და შედეგად მიღებული წარმოებულის ნულთან გათანაბრებით.

დაეუშვათ $U'(C)$ არის სარგებლიანობის $U(C)$ ფუნქციის წარმოებულები C -თან მიმართებაში; ე.ი. $U'(C)$ არის მოხმარების სდერული სარგებლიანობა. მაშინ α მაქსიმუმამდე გაზრდის მოსალოდნელ სარგებლიანობას, თუ

$$\frac{H_1 - F_1}{H_2 - F_2} = \frac{(1 - q)U'([\alpha H_2 + (1 - \alpha)F_2] \times W)}{qU'([\alpha H_1 + (1 - \alpha)F_1] \times W)} \tag{21დ-3}$$

ეს ტოლობა ამოიხსნება α -თვის - პორტფელის ოპტიმალური წილისათვის.

რისკის მოკლევით ინვესტირისათვის მოხმარების სდერული სარგებლიანობა $U'(C)$ მცირდება, როცა მოხმარება იკლებს. კლებადი სდერული სარგებლიანობით აიხსნება ის, თუ რისკის მოკლევით რატომ ვერ ბუღავს, მიმართის ნულის მოსალოდნელ მოგებას.

თუ ინვესტორი რისკისადმი ნეიტრალურია და $U'(C)$ მკლმეია კვლეა C -თვის, (21დ-3) ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$qH_1 + (1 - q)H_2 = qF_1 + (1 - q)F_2,$$

რომელიც გულისხმობს, რომ მოსალოდნელი მოგება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის აქტივებიდან თანაბარია. ეს შედეგი არის მე-13 თავის მტკიცების საფუძველი: ყველა აქტივმა უნდა მოიტანოს ერთნაირი მოსალოდნელი მოგება წონასწორობის დროს, როდესაც რისკის (და ლიკვიდურობის) მანუვრები უარყოფითია.

სემით მოტანილი ანალიზის გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთ აქტივს ცალკეულ მდგომარეობაში არ შეუძლია მოიტანოს უფრო მაღალი მოგება, ვიდრე სემით ნახსენებ ორივე მდგომარეობაში. თუ ერთი აქტივი არ აკარებს მფორეს, (21მ-3) ტოლობის მარცხენა მხარე დადებითი იქნება და მარჯვენა უარყოფითი. ამგვარად, (21მ-3) ტოლობას ახსნა არ ექნება. არავის ენდობება იქონიოს რომელიმე კონკრეტული აქტივი, თუკი სხვა - ყოველთვის უკეთესი აქტივი, მისთვის ხელმისაწვდომია. მაგრამ თუკი ვინმე მაინც მოინდომებს, იქონიოს რომელიმე კონკრეტული აქტივი, სხვა ინვესტორებს ურისკო არბიტრაჟის მოგების შესაძლებლობა მიეცემა დაბალმომგებიანი აქტივების გამოშვებითა და მაღალმომგებიანი აქტივების შექმნით (შემოსავლის გამოყენებით).


სისუსტისათვის ვუშვებთ, რომ $H > F$ და $H < F$ - ე.ი. ჩვენი ქვეყნის აქტივი უკეთესადაა (1) მდგომარეობაში და უარესად (2)-ში. ეს ვარაუდი ახლა გამოიყენება სქემატური ანალიზის გასადრმაველად და მოდელის დამატებითი პირობის საილუსტრაციოდ.

ოპტიმალური პორტფელის სქემატური გადაწყვეტა

(21მ-1) გრაფიკზე წარმოდგენილია მოსალოდნელი სარგებლიანობის მიმართ გულგრილობის ფუნქციის მანუვრები მრუდები. ეს ფუნქცია გადმოცემულია ფორმულით - $qU(C_1) + (1 - q)U(C_2)$. უნდა ვიგულისხმოთ, რომ წერტილები დიაგრამაზე გაუთვალისწინებელ გეგმებს გამოსახავენ - დაკავშირებულს მოხმარების დონესთან, თითოეულ შემოდასახელებულ მდგომარეობაში. რაც შეეხება სტანდარტულ გულგრილობის მრუდებს, გრაფიკში მოცემული თითოეული მრუდი წარმოადგენს მოხმარების გაუთვალისწინებელი გეგმების მანუვრებლებს, რომლითაც ინვესტორი თანაბრად დაკმაყოფილებული.

იმისათვის, რომ მოხდეს ინვესტორის ხარჯების კომპენსირება (1) მდგომარეობაში (C_1) მოხმარების კლების გამო, (2) მდგომარეობაში მოხმარება (C_2) უნდა გაიზარდოს. ამის გამო გულგრილობის მრუდი ქვემოთ დაიხრება. საერთოდ, თითოეული მრუდი უფრო პორიზონტალური ხდება, როდესაც (C_1) იკლებს და (C_2) იზრდება. მრუდების ეს მოძრაობა არეკლავს $U(C)$ -ის იმ თვისებას, რომ მოხმარების ზღვრული სარგებლიანობა მცირდება, როდესაც C იზრდება. როდესაც C ეცემა, ინვესტორს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი საწყისი გულგრილობის მრუდი C_2 -ში პროგრესულად მატების საშუალებით.

გრაფიკი 21მ-1 გულგრილობის მრუდები და ბიუჯეტის ხაზი პორტფელის შერჩევის შემთხვევაში



გულგრილობის მრუდები აერთიანებენ გაუთვალისწინებელი მოხმარების გეგმებს, რომლითაც ინდივიდი თანაბრად კმაყოფილია. ბიუჯეტის ხაზი გვიჩვენებს არჩევანს (1) და (2) მდგომარეობაში მოხმარებათა შორის. არჩევანი გამოსწავლია პორტფელის გადაადგილებით ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის აქტივებს შორის.

(21მ-1) და (21მ-2) ტოლობები გულისხმობს, რომ აღნიშნულ ორ მდგომარეობას შორის პორტფელის დაყოფის არჩევანით, რომელიც მოცემულია როგორც α , ინვესტორი აგრეთვე ირჩევს თავის მოხმარების დონეებს იმავე ორი მდგომარეობიდან. ასე რომ, ოპტიმალური პორტფელის არჩევის პრობლემა არის C_1 და C_2 გაუთვალისწინებელი მოხმარების დონეებიდან ერთ-ერთის ოპტიმალური არჩევანის ექვივალენტი. შესაბამისად (21მ-1) გრაფიკში გულგრილობის მრუდები ინვესტორმა შეიძლება გამოიყენოს ოპტიმალური პორტფელის განსაზღვრისათვის. ერთადერთი, რაც ზუსტია ანალიზის დასასრულებლად, არის ბიუჯეტის ხაზი, რომელიც გვინვიჩნებს ბაზრის მიხედვით არჩევანს (1) მდგომარეობის მოხმარებასა და (2) მდგომარეობის მოხმარებას შორის.

ეს არსებული მოცემულია (218-1) და (218-2) ტოლობებით. თუ (218-2) ტოლობა გადაჭრილია, მივიღებთ შედეგს:

$$\alpha = \frac{F_2 W - C_2}{F_1 W - H_2 W} \quad (218-4)$$


თუ შევიცვლით α -ს მნიშვნელობას (218-1) გრაფიკში ეს უკანასკნელი ტოლობა გახდება

$$C_1 + \phi C_2 = Z, \quad (218-4)$$

სადაც $\phi = (H_1 - F_1)/(F_2 - H_2)$ და $Z = W \times (H_1 F_2 - H_2 F_1)/(F_2 - H_2)$.

იმის გამო, რომ $H > F$ და $H < F$, ϕ და Z არის დადებითი. ასე რომ, (218-4) ტოლობა გამოიყურება როგორც ბიუჯეტის ხაზი, რომელიც გამოჩნდება მოხმარებლის არსებობის ჩვეულებრივ ანალიზში, სადაც ϕ თამაშობს შესადარი ფასის, ხოლო Z შემოსავლის როლს, რომელიც იხსნება (1) მდგომარეობის მოხმარების გათვალისწინებით. ბიუჯეტის ეს ხაზი გამოსახულია (218-1) გრაფიკში როგორც მრუდი - II დაქანებით, რომელიც კვეთს ვერტიკალურ ღერძს Z წერტილში.


გრაფიკი 218-2 საერთაშორისო ინვესტიორის პრობლემის მოგვარება



მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმუმამდე გასაზრდელად ინვესტიორი აკეთებს გაუთვალისწინებელი მოხმარების არჩევანს, რომელიც ნაჩვენებია (1) წერტილში, სადაც ბიუჯეტის ხაზი კვეთს კველაზე მაღალ ხელმისაწვდომ გულგრილობის მრუდს - II. ოპტიმალური პორტფელის წილი α შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად: $(F_1 W - C_1') = (F_1 W - H_1 W)$.

რომ განვმარტოთ ϕ როგორც ბაზრის არსებული (2) და (1) მდგომარეობის მოხმარებას შორის, დავეუშვათ შემდეგი: ინვესტიორი გადაადგილებს თავისი კეთილდღეობის ერთ ერთეულს ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთის აქტივებში. რადგან ჩვენი ქვეყნის აქტივებს აქვს ყველაზე მაღალი მოგება (1) მდგომარეობაში, მოხმარების წმინდა დანაკარგებიც H -ით ნაკლებია უცხოეთის აქტივების (1) მდგომარეობის F მოგებაზე. ასევე მისი წმინდა მოგება (2) მდგომარეობის მოხმარებაში არის $F - H$ იმისათვის, რომ მიიღოს $F - H$ -ის (2) მდგომარეობაში დამატებითი მოხმარება, ინვესტიორმა უნდა დათმოს $H - F$ (1) მდგომარეობაში. C -ის ერთი ერთეულის ფასი C -ის სახით არის $H - F$ გაყოფილი $F - H$ -ზე, რაც უტოლდება ϕ -ს, ბიუჯეტის ხაზის (218-4) დაქანებით გამოსახილ აბსოლუტურ ღირებულებას.

გრაფიკი 218-3 მრავალფეროვნებას მოკლებული პორტფელები



როდესაც $\alpha = 1$, ინვესტიორი ინახავს მთელ თავის ქონებას ჩვენი ქვეყნის აქტივებში, როდესაც $\alpha = 0$, ის ინახავს თავის ქონებას უცხოეთის აქტივებში. მოძრაობები ბიუჯეტის შესწავლის ხაზის გასწვრივ ზემოთ და $\alpha = 1$ -დან მარჯვნივ შეესაბამება უცხოეთის აქტივების გაყიდვას დაფარვის გარეშე, რაც გადაადგილებს α -ს 1-ის ზემოთ. მოძრაობები ქვემოთ და $\alpha = 0$ -დან მარჯვნივ შეესაბამება ადგილობრივი აქტივების გაყიდვას დაფარვის გარეშე, რომელიც გადაადგილებს α -ს 0-ის ქვემოთ.

218-2 გრაფიკი გვჩვენებს, როგორ განისაზღვრება C_1 და C_2 ს არსებული. როგორც წესი, ინვესტიორი ირჩევს მოხმარების დონეებს, რომელიც მოცემულია (1) წერტილში, სადაც ბიუჯეტის ხაზი კვეთს კველაზე მაღალ ხელმისაწვდომ გულგრილობის II მრუდს. C_1 და C_2 -ს ოპტიმალური არსებობის პირობებში α შეიძლება გამოითვალოს (218-1) ან (218-2) ტოლობების გამოყენებით. ბიუჯეტის შესწავლის გასწვრივ ქვემოთ და მარჯვნივ მოძრაობის დროს ჩვენი ქვეყნის აქტივის პორტფელის წილი α მცირდება.


(21მ-3) გრაფიკზე მოცემული წერტილები მანკენებელია ინვესტორის ბიუჯეტის შესაღწევად, რომლის დროსაც $\alpha = 1$ (ე.ი. $C = H W, C = H W$), ან $\alpha = 0$ (ე.ი. $C = F W, C = F W$). თუ დაიწვევს α -დან, უცხოეთის აქტივის ნაკლებობის გამო ინვესტორის მოძრაობა აღინიშნება ზემოთ და მარცხნივ შეზღუდვის ხაზის გასწვრივ (გახდის რა α -ს 1-ზე მეტს და $1 - \alpha$ -ს უარყოფითს). ჩვენი ქვეყნის აქტივის ნაკლებობის გამო კი მას შეუძლია იმოძრაოს ქვემოთ და მარჯვნივ $\alpha = 0$ -დან.

უკუგების ნორმების ცვლილების ეფექტები

გრაფიკი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკუგების ნორმებში ცვლილებები ეფექტის საილუსტრაციოდ (რისკის მოძულებობის პირობებში). ვთქვათ, (1) მდგომარეობაში ჩვენი ქვეყნის აქტივის მოგება იზრდება იმ დროს, როცა სხვა მოგებები და ინვესტორის ქონება - W უცვლელი რჩება. H -ის ზრდა გააძლიერებს ϕ -ს, (2) მდგომარეობაში მოხმარების შესაძარ ფასს და აქედან გამომდინარე, უფრო მეკეთრად დააქანებს (21მ-3) გრაფიკზე ნაჩვენებ ბიუჯეტის მრუდს.

ჩვენ გვკირდება მეტი ინფორმაცია, რათა სრულყოფულად აღწეროთ, როგორ იცვლება ბიუჯეტის ხაზის მდგომარეობა (21მ-3) გრაფიკში, როდესაც H იზდება. განვიხილოთ პორტფელის განთავსება $\alpha = 0$ -სა (21მ-3) გრაფიკში, როცა მთელი ქონება დაბანდებულია უცხოეთის აქტივში. ამ ინვესტირების სტრატეგიიდან ($C = F W, C = C W$) გამომდინარე გაუთვალისწინებელი მოხმარების დონეები არ იცვლება H -ის ზრდის შედეგად იმიტომ, რომ პორტფელი, რომელსაც განვიხილეთ, არ მოიცავს ჩვენი ქვეყნის აქტივს. რადგანაც $\alpha = 0$ -თან დაკავშირებული მოხმარება არ იცვლება H -ის ზრდასთან ერთად, $C = F W, C = C W$ იქნება წერტილი ბიუჯეტის ახალი შესაღწევის მრუდზე: H -ის ზრდის შემდეგ ინვესტორისათვის კვლავ შესაძლებელია, ჩადოს მთელი თავისი ქონება უცხოეთის აქტივში. აქედან - H -ის ზრდის ეფექტი (21მ-3) გრაფიკში ბიუჯეტის შესაღწევას ამოძრავებს საათის ისრის მიმართულებით $\alpha = 0$ წერტილის გარშემო.

გრაფიკი 21მ-4. H -ის ზრდის გავლენა მოხმარებაზე



H -ის ზრდა იწვევს ბიუჯეტის ხაზის საათის ისრის მიმართულებით მოძრაობას $\alpha = 0$ -ის გარშემო, რის შედეგადაც ინვესტორისათვის მეტნაკლებად ხელსაყრელი პირობები გადაადგილდება (2) წერტილისაკენ. (1) მდგომარეობის მოხმარება ყოველთვის იზრდება; ნაჩვენებ შემთხვევაში (2) მდგომარეობის მოხმარება მცირდება.

H -ის ზრდით გამოწვეული ეფექტი ინვესტორის საკმიანობაზე ნაჩვენებია (21მ-4) გრაფიკზე, რომელიც უჩვენებს, რომ დასაწყისში $\alpha > 0$ (ე.ი. დასაწყისში ინვესტორი ფლობს ჩვენი ქვეყნის აქტივის დადებით რაოდენობას). როგორც ყოველთვის, „შეცვლის“ და „შემოსავლის“ ეფექტი გავლენას ახდენს ინვესტორის გაუთვალისწინებელი მოხმარების გეგმის გადაადგილებაზე (1) წერტილიდან (2)-ში. შეცვლის ეფექტი არის C ის მოთხოვნის ტენდენციაზე მეტი, რომლის შესაძარი ფასი დაეცა, და C -ზე ნაკლები, რომლის შესაძარი ფასი გაიზარდა. H -ის ზრდის შემოსავლის ეფექტი გადასწევს ბიუჯეტის მთლიან მრუდს ზემოთ და გვიჩვენებს მოხმარების ზრდას ორივე მდგომარეობაში (რადგან დასაწყისში $\alpha > 0$ -ზე). იმის გამო, რომ ინვესტორი უფრო მდიდარი გახდება (1) მდგომარეობაში, მას შეუძლია გადაიტანოს თავისი ქონების ნაწილი უცხოეთის აქტივში (რომელსაც აქვს უფრო მაღალი მოგება (2) მდგომარეობაში). რისკის მოძულებობა ხსნის ინვესტორის სურვილს, თავიდან აიცილოს მოხმარების დიდი ცვალებადობა მდგომარეობებს შორის. როგორც (21მ-4) გრაფიკი გვთავაზობს, C გამოკვეთილად იზრდება იმ დროს, როცა C შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს (მოცემულ შემთხვევაში შეცვლის ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე შემოსავლის ეფექტი, რის გამოც C_2 მცირდება).

ამგვარივეა α პორტფელის წილზე H -ის ზრდის ეფექტი. (21მ-5) გრაფიკი გვიჩვენებს ორ შესაძლებლობას. ამ გრაფიკის გასაგებად საჭიროა დაკვირვება: თუ ინვესტორი არ შეცვლის α -ს H -ის ზრდის საპასუხოდ, მისი მოხმარების არჩევანი მოცემული იქნება (P') წერტილში, რომელიც მდებარეობს ბიუჯეტის ახალი შესაღწევის მრუდზე. საწყისი მოხმარების (1) წერტილის ზემოთ. (21მ-2) ტოლობა გულისხმობს, რომ $C'_2 = [\alpha H_2 + (1 -$

მ) $F] \times W$ არ იცვლება, თუ α უცვლელია; (1) მდგომარეობის მოხმარების უფრო მაღალი ახალი ღირებულება საწყისი პორტფელის არსეულის შესაბამისად მოცემულია წერტილით ბიუჯეტის ახალი შესლუდვის მრუდსე C^2 წერტილს ზემოთ. (21მ-5) გრაფიკის ორივე ნაწილში OR მრუდის დაქანება, რომელიც აკავშირებს საწყისსა და (1) წერტილებს. გვიჩვენებს C_1/C_2 შეფარდებას, რომელიც გულისხმობს საწყისი პორტფელის შემადგენლობას H_1 -ის ზრდის შემდეგ.

ახლა გასაგებია, რომ გადაადგილდეს C უფრო დაბალი ღირებულებებისაკენ, ინვესტორმა უნდა გაზარდოს α მის საწყის ღირებულებაზე მეტად, ე.ი. გადაადგილოს პორტფელი ჩვენი ქვეყნის აქტივის მხარეს. C -ის გასასრდელად მან უნდა შეამციროს α , ე.ი. გადაინაცვლოს უცხოეთის აქტივისაკენ. (21მ-5ა) გრაფიკი გვიჩვენებს შემოხვევას, როცა შეცვლის ეფექტი გადაწონის შემოსავლის ეფექტს. ასეთ შემოხვევაში C ეცემა, ე.ი. ინვესტორი გადაადგილებს თავის პორტფელს ჩვენი ქვეყნის აქტივისაკენ, რომლის უკუგების მოსალოდნელი ნორმას გაიზრდება უცხოეთის აქტივის უკუგების ნორმასთან შედარებით. ეს შემოხვევა შეესაბამება იმას, რაც ჩვენ შევისწავლეთ ტექსტში; იქაც ნასწენები იყო, რომ აქტივის პორტფელის წილი იზრდება მისი შესაბამისი უკუგების მოსალოდნელი ნორმის მატებასთან ერთად.

(21მ-5ბ) გრაფიკი გვიჩვენებს საწინააღმდეგო შემოხვევას: C იზრდება და α მცირდება, რაც გულისხმობს პორტფელის გადაადგილებას უცხოეთის აქტივისაკენ. ფაქტორი, რომელიც ამ ზრდის საშუალებას იძლევა, გრაფიკსე გამოისახება უფრო მკვეთრი მოხრილობის გულებრილობის II მრუდით. ეს მოხრილობა არის ზუსტად ის, რასაც გულისხმობენ ეკონომისტები ტერმინით – რისკის მოძულებობა. ინვესტორი, რომელიც ხდება რისკის უფრო მოძულე, განიხილავს მოხმარებას ზემოთ აღნიშნულ ორ სხვადასხვა მდგომარეობაში, როგორც უფრო სუსტ შემცელებებს, და აქედან გამომდინარე, მოითხოვს (1) მდგომარეობაში მოხმარების უფრო დიდ ზრდას (2) მდგომარეობაში მოხმარების კლების ანაზღაურების მიწნით (და პირიქით). ყურადღებას იქცევს (21მ-5ბ) გრაფიკში ნაწენები პარადოქსული შემოხვევა, სადაც აქტივის უკუგების მოსალოდნელი ნორმის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტორის მხრიდან მასზე ნაკლები მოთხოვნა, რაც რეალურ სამყაროში არ ხდება. მაგალითად, ვალუტის მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ადიდებს ამ ვალუტის დეპოზიტებზე უკუგების მოსალოდნელ ნორმას ორივე მდგომარეობაში და არა მხოლოდ ერთში. ამის გამო პორტფელის შეცვლის ეფექტი ვალუტის სასარგებლოდ უფრო ძლიერია.

შედეგი, რომელიც მივიღეთ, სრულიად განსხვავდება იმ მოსალოდნელი შედეგისაგან, რაც მოჰყვებოდა ინვესტორის ნეიტრალურ დამოკიდებულებას რისკის მიმართ. ასეთი ინვესტორი გადაადგილებდა მთელ თავის ქონებას უფრო მაღალი მოსალოდნელი უკუგების მქონე აქტივში და ყურადღებას არ მიაქცევდა რისკს. რაც მეტია რისკის მოძულებების ხარისხი, მით უფრო ძლიერია აქტივების ყოელისმომცეელი პორტფელის საშიშროებაზე წუხილი.

სარჩევი

თავი 1. შესავალი	1
თავი 2. შრომის მწარმოებლურობა და ფარდობითი უპირატესობა: რიკარდოს მოდელი	7
თავი 3. სემიფიკური ფაქტორები და შემოსავლის განაწილება	25
თავი 4. რესურსები და ვაჭრობა	45
თავი 5. ვაჭრობის სტანდარტული მოდელი	61
თავი 6. მანუშაბის ზრდით მიღებული ეკონომია	79
თავი 7. ფაქტორების სპერტაშორისო დინამიკა	105
თავი 8. სავაჭრო პოლიტიკის საშუალებანი	121
თავი 9. სავაჭრო პოლიტიკის პოლიტიკური ეკონომია	141
თავი 10. სავაჭრო პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში	162
თავი 11. სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა მოწინავე ქვეყნებში	176
თავი 12. ეროვნული შემოსავლის აღრიცხვა და საგადასდელო ბალანსი	192
თავი 13. გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის ბაზარი: აქტივების განხილვა	213
თავი 14. ფული, სავროცენტო განაკვეთები და გაცვლითი კურსი	237
თავი 15. ფასების დონე და გაცვლითი კურსი ხანგრძლივ პერიოდში	259
თავი 16. გამოწვევა და გაცვლითი კურსი ხანმოკლე პერიოდში	286
თავი 17. ფიქსირებული გაცვლითი კურსი და უცხოური ვალუტის ინტერვენცია	318
თავი 18. სპერტაშორისო სავალუტო სისტემა 1870–1973 წწ.	348
თავი 19. მაკროეკონომიკური პოლიტიკა და კოორდინაცია მტურავი სავალუტო კურსის დროს	371
თავი 20. ვალუტის რატიგალური სივრცე და ეროვნული გამოცდილება	398
თავი 21. კაპიტალის გლობალური ბაზარი: განხორციელება და პოლიტიკური პრობლემები	422
თავი 22. განვითარებადი ქვეყნები: ვალი, სტაბილიზაცია და რეწორა	445
თავი 23. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების სპერტაშორისო ეკონომიკური პრობლემები	469
გათემატიკური დამატება	482